



ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ქართველოლოგიის ცენტრი

მამია ფაღავა, ქმერი ცინცაძე, მაია ბარამიძე

ქართული ენის შავშური დიალექტი
(გამოკვლევა, მასალები, ლექსიკონი)

გამომცემლობა

ბათუმი 2022

Batumi Shota Rustaveli State University

Faculty of Humanities

Centre for Kartvelian Studies



ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი



Mamia Paghava, †Meri Tsintsadze, Maia Baramidze

A Shavshian Dialect of the Georgian Language

Batumi 2022

გამოკვლევა ეძღვნება ქართული ენის შავშურ დიალექტს, რომელიც ისტორიულ შავშეთშია გავრცელებული. წიგნი სამი ნაწილისაგან შედგება:

პირველ ნაწილში განხილულია შავშურის ფონეტიკური, გრამატიკული და ლექსიკური თავისებურებანი;

მეორე ნაწილში - შავშეთის ონომასტიკა (ტოპონიმია, ჰიდრონიმია, გვარ-სახელები, მცენარეთა სახელები, პირუტყვის სახელები).

მესამე ნაწილში შეტანილია შავშური დიალექტის მასალები (ლექსიკონითურთ).

წიგნი განკუთვნილია ქართული დიალექტოლოგიით, ისტორიული გეოგრაფიით, ეთნოლოგიით, ფოლკლორით, ზოგადად, ჭოროხის აუზით დაინტერესებული მკვლევრებისათვის, სტუდენტებისა და მკითხველთა ფართო წრისათვის.

მაშია ფალავას საერთო რედაქციით

რეცენზენტები: პროფესორი მაია კიკვაძე
ასოცირებული პროფესორი მზია ხახუტაიშვილი

პირველი გამოცემა
ISBN
გამომცემლობა

შესავალი

ჭოროხის აუზის ქართულს სამხრულ მეტყველებას ვუწოდებთ, ხოლო მისი დიფერენციაციის შედეგს - სამხრულ დიალექტებს. სპეციალურ ლიტერატურაში აჭარული და იმერხეული მიჩნეულია ქართული ენის დიალექტთა სამხრულ-დასავლურ ჯგუფად (იხ. მარტიროსოვი, 1972.:15; ფუტკარაძე, 1987; ფუტკარაძე, 1995). ბ. ჯორბენაძე კი სამხეთ-დასავლურ კილოკავებად მიიჩნევს მესხურსა და ჯავახურს (ჯორბენაძე, 1989.:374), რამდენადაც ისინი გავრცელებული არიან აღმოსავლეთ საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ რეგიონში, ხოლო გურულს, აჭარულსა და იმერხეულს უწოდებს დასავლეთ საქართველოს ქვემო ზონის დიალექტებს (ჯორბენაძე, 1989.:514-515). ვფიქრობთ, ჩვენი ტერმინი - სამხრული კილოები// დიალექტები უფრო მოხერხებულიცაა და რეალობის ამსახველიც (იხ. ფაღავა, 1999.:36-44). აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ სპეციალურ ლიტერატურაში არის მოსაზრება, რომ თურქეთის საქართველოს მკვიდრთა მეტყველება არის ერთიანი და მას ერთნი იმერხეულ დიალექტს უწოდებენ (Mapp 1911; გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961; მარტიროსოვი, 1972.:78), მეორენი - იმერხეულთან ერთად კლარჯულს (თოფურია, 1963.:164; ჯორბენაძე, 1989.:574). აზრთა სხვაობა იმითაა გამოწვეული, რომ ნ. მარის შემდეგ თითქმის 90 წლის განმავლობაში არავის უკვლევია ადგილზე სამხრული მეტყველება (გამონაკლისია აჭარული დიალექტი) ცნობილი მიზეზების გამო. მკვლევრები ე.წ. იმერხეულ თუ კლარჯულ დიალექტზე საუბრობდნენ იმ მცირე მასალაზე დაყრდნობით, გასული საუკუნის დასაწყისში (1904 წელი) რომ ჩაიწერა და გამოაქვეყნა ნ. მარმა (Mapp, 1911.:47-71). XX საუკუნის 90-იანი წლებიდან შესაძლებელი გახდა ჭოროხის ქვეყნებში სამეცნიერო ექსპედიციების მოწყობა, ინდივიდუალური გასვლები, შედეგად მოპოვებულ იქნა საყურადღებო ეთნოგრაფიული, ფოლკლორული და დიალექტოლოგიური მასალები, რომელთა ანალიზი, ისტორიული რეალობის გათვალისწინებით, საშუალებას გვაძლევს სამხრულ მეტყველებაში გამოიყოს რამდენიმე დიალექტური ერთეული, კერძოდ: ტაოური, კლარჯული, შავშური და აჭარული.

ამჟამად აჭარულის გარდა სხვა სამხრული დიალექტები ძირითადად თურქეთის რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრებშია. ძირითადად ვამბობთ იმიტომ, რომ კლარჯეთის ნაწილი, ჭოროხის ხეობა ერგეს ზემოთ და



ისტორიული შავშეთის ნაწილი, მაჭახლის ხეობის ქვემო წელი - საქართველოს ადმინისტრაციულ საზღვრებშია. თურქეთის რესპუბლიკაში ქართულად ლაპარაკობენ ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში განსახლებული მუჰაჯირთა შთამომავლებიც. მათი მეტყველება ვერ განიხილება ცალკე დიალექტურ ერთეულად, იგი ძვირფასი დამატებითი მასალაა სამხრული კილოების, - აჭარულის, კლარჯულისა და შავშურის შესასწავლად.

მკითხველს ვთავაზობთ ნარკვევს შავშური დიალექტის შესახებ.

შავშური დიალექტი გავრცელებულია ისტორიული შავშეთის ტერიტორიაზე. შავშეთი ღადოს მთებით იყოფა ორ ნაწილად: დასავლეთი შავშეთი - მაჭახლის ხეობა და აღმოსავლეთი შავშეთი - მდინარეების შავშეთისწყლისა და იმერხევის (ფაფართის) ხეობები (იხ. საქართველოს ისტორიული რუკა, ივ. ჯავახიშვილის რედაქციით, თბ. 1923; ასევე: კუკულაძე, 1990:92-93). თუმცა არსებობს სხვა მოსაზრებაც, კერძოდ, ვახუშტი ბატონიშვილისა, რომელიც შავშეთს ასე შემოსაზღვრავს: „აღმოსავლით მთა არსიანი, ... სამჯრით მზღვრის კლდე არტანუჯსა და შავშეთს შორისი, ვითარცა კედელი, რომელიც ჩამოვალს არსიანის მთიდან დასავლეთად, ვიდრე კნინდა ჭოროხამდე და განვლის მას კლდესა შინა გზა, ვითარცა კარი და თვნიერ მისა არა არს გზა. დასავლით მთა შავშეთისა, შავშეთსა და ჭოროხს შორისი, ჩრდილოთ მთა არსიანიდამ ჩამოსული დასავლით ჭოროხამდე” (ვახუშტი, 1973:679-680). ვახუშტის მიხედვით, მაჭახელი აჭარის საზღვრებშია მოქცეული (იქვე, 676: 17-21), ქობულეთი კი – არა. თუმცა ფეოდალურ საქართველოში საზღვრების ცვლა არ იყო უცხო.

საკუთრივ შავშეთს, შექმნილი რეალობიდან გამომდინარე, ორ ნაწილად ვყოფთ: მექართულე შავშეთი (იმერხევის ხეობის ქართულად მოლაპარაკე სოფლები, ასევე უსტამისი, ჩიხისხევი...) და მეთურაქულე შავშეთი - შავშეთისწლის ხეობის უმეტესი სოფლები, რამელთა მკვიდრნი უმეტესად მშობლიურენადაკარგული ქართველები არიან, თუმცა მათ მეტყველებაში ჯერ კიდევ შეიმჩნევა ქართული ელემენტი. მეთურაქულე შავშეთში ახსოვთ ძველი ქართული გეოგრაფიული სახელები, კარგადაა შენახული ქართული ზემო მაჭახელში (თურქეთის მაჭახელში), აღარაფერს ვამბობთ ქვემო მაჭახელზე.

შავშურ დიალექტში, დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, გამოვყოფთ ორ კილოკავს – იმერხეულსა და მაჭახლურს. თუმცა არსებობს სხვა დაყოფაც (ფუტკარაძე, 1995.:5).



კვლევა ემყარება შავშეთის ქართულ სოფლებში ბსუ ქართველოლოგიის ინსტიტუტის (ახლა - ქართველოლოგიის ცენტრის) მუდმივმოქმედი კომპლექსური ექსპედიციის მიერ მოპოვებულ დიალექტოლოგიურ მასალებს, ნაშრომში სათანადოდაა გათვალისწინებული სხვათა მიერ ჩაწერილი დიალექტოლოგიური ტექსტებიც...

ნაწილი პირველი

შავშური დიალექტი

თავი I. ფონეტიკა

§1. შავშურის ბგერითი შედგენილობიდან

შავშურ დიალექტში დასტურდება **ა, ჯ, ს, გ** ბგერები, იშვიათად დაჩნდება **P** და **Q** უმლაუტები.

1.1. **ა შავშურში.** შავშურში პალატარული ნახევარხმოვანი **ა** უმეტეს შემთხვევაში დამავალი დიფთონგის ნაწილია, ჩვეულებრივ - სხვადასხვა პოზიციაში ი ხმოვნის დასუსტების შედეგი.

V-#: ხმოვნის მომდევნო პოზიციაში **ა** გვხვდება, როგორც სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში, ისე სიტყვაში:

დედე ბათომიდან მოვდოდა (ზ.); ოსმან **დედე**... იღებდა იქ ყველაფერ (ზ.); ზაქიეთურია **ბექირა** ... (ზ.); ვაშლი აქ ბევრია: **ორთასულა**, **წოწოლა** ვაშლი, **მაჭებლელა** (ზ.); **მუზიკა** რატომ არ **მოიტა**? (ზ.); **ა** კუტაბალია (ხევწ.); [მსხალი] **თავრეჯულა** არი, **დევაგრა** არი ... (უ.); ი დიდი ბიჭია და **ა** **პაწა** (ჩაქ.)...

ჩამედლე, ჭო, რაა (ბაზგ.); ... დაბის **ზედამ** დაბური მაილაა (უ.); [სახლი] ... ჩვენი **ემო**ს განაყარისა (უ.); [ბულები] ... **დეჭედებოდენ** (ზ.); მაწონს დალევთ, **ადრანსა**? (ზაქ.).

აღვნიშნავთ, რომ სიტყვის შიგნით ხმოვნის მომდევნო პოზიციაში **ი** ყოველთვის არ გვაძლევს **ა**ს, ზოგჯერ სრული **ი** ისმის. აქ რაიმე ნორმის დადგენა ვერ ხერხდება.

V-#-V: ინტერვოკალურ პოზიციაში **ი** სისტემებრ გვაძლევს **ა** ნახევარხმოვანს:

ისაც ჩემი **ძია**ა... (ნიოლ.); ქორი **ა**ა, მერეგსაც ვეტყვით (ჩაქ.); დრომან **გედე**აარა (უსტ.); ... კარჩხალში **გედე**აარდენ, ასე თიებიდან (უსტ.); **ა** ცეკვა **ჩვენებურა**ა (სვირ.); წყალი **ცოტა**ა, არ აბრუნეფს (ბაზგ.); ეს სახლი მისი **ტა**აა სახლია (ბაზგ.); გურჯები გაგაგდებენ, **გე**არებენ, წევლენ (უ.); ხასან **ტა**ამ იცის (უ.); ერთი **ემე**ა, დიობანი (უ.); ბიჭი ამაზე **პაწა**ა (უ.); **გე**დეარ, ლეკობანია (უ.); გურჯი **სო**ადი დევრიშაშვილი (უ.); დაბლა **წყარო**ა (უ.)...

ხმოვანთშორის პოზიციაში აჭარულში, უფრო ზემოაჭარულში, **ი** (>ა) ხშირად იკარგება ($i > a > 0$): **გე**არა (გეაარა<გაიარა) წევდა (ხიხ.).

#-V: ხმოვნისწინა პოზიციაში **ა** გვხვდება თურქულიდან ნასესხებ სიტყვებში **y** ხმოვნის გადმოსაცემად (ფაღავა, 2004.:16):



... **ფუზ** მეთრო გზაც არ იქნება (ჩაქ.); **იერლი** ვარ, ნენი, **იერლი** (სვირ.); ჩიქუნეთური **აილეების** მხრიდან არის გოლი (ზ.); ჯენევიზები ემეები არიან, რუმების ძველები, **აანი**... (უ.); თურქის იდარეთი იყო და ანჯახ **იერლი** (უ.); წააგებდა **აგანი** [1:1 კამათელზე] (ხევწ.); **გავრი** ქვაა რომ თქვან, არ შეინახვენ (ხევწ.)....

მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, რომ თურქულიდან ნასესხებ სიტყვებში აღმავალ დიფთონგში **ი** გვხვდება სიტყვის თავშიც და სიტყვაშიც. აღვნიშნავთ, რომ ხმოვნისწინა პოზიციაში საკუთრივ ქართულ სიტყვებში **ი** არ დასტურდება (იხ. აჭარული: ნოლაიდელი, 1936.:7; ნიჭარაძე, 1957.:94. შდრ. ფაღავა, 1995).

ი'ს ხმარების თვალსაზრისით შავშური მისდევს სამწერლობო ქართულს (შდრ. ქავთარაძე 1964.:60).

1.2. **ს შავშურში**

შავშურ დიალექტში **ს** ვ'ს ფონეტიკური გარდაქმნის შედეგი ჩანს. სუსტდება სხვადასხვა პოზიციაში, კერძოდ, ხმოვანსა და თანხმოვანს და თანხმოვანსა და ხმოვანს შორის მდგომი ვ.

ვ > ს:

ახლა **მისხტი** განა. **ჩსენ** აქ ვსაქმობთ (ბაზგ.); კარზე **მისდენ**, ნობეთჩებმა არ შეუშვეს... (ქდ 384); ბიჭმა წყალი **სსა** (ბსკიფ 47)...

ნ. მარის იმერხეულ ტექსტებში ზოგჯერ ერთსა და იმავე სიტყვაში ხან **ვ** არის, ხან **ს**: **ასდექ** ჩაველ მიღმა ტყეში (მარი, 49). შდრ. ავდექ, იქიდან **მუელი** (იქვე).

ვ და ს გრაფემები ძველი და საშუალო ქართულის ძეგლებშიც ირეოდა ხშირად, რაც აღნიშნულია კიდევ სამეცნიერო ლიტერატურაში (იხ. ქავთარაძე 1964.:89 და შემდეგ; ცინცაძე, ფაღავა, 1998.:10).

შ. ფუტკარაძე, მსჯელობს რა უმარცვლო უ'ზე იმერხეულში, აღნიშნავს, რომ შეინიშნება „ს'ს მოშლის ტენდენცია, ვ'დ ქცევა: **იფხრეელი** (<იფხრესლი. ტოპონიმი), **ავადეელი** (<ავადესლი)“ (ფუტკარაძე, 1995.:6). შევნიშნავთ, რომ მოყვანილ მაგალითებში არ ჩანს „ს'ს მოშლის ტენდენცია“. ვფიქრობთ, **ს** კი არ გვაძლევს ვ'ს, არამედ: **უ>ვ**//**ს**: **იფხრეული>*იფხრეელი**//**იფხრესლი** (ფაღავა, 2007.:3; 2004.:17).

ოვ>ვ>ს: სეტყვა **მსა**, არ არი კად (ბაზგ.).

შავშურში **ს** გვხვდება C-V, V-C პოზიციებში.



ჩანს, შავშურში, ისევე როგორც სხვა სამხრულ დიალექტებში, **ს** დასტურდება ხმოვნისა და სონანტის წინა პოზიციაში. სხვაგვარად: შავშურში **ს** რეალიზდება იმავე პოზიციაში, ძველ ქართულში რომ იხმარებოდა, ოღონდ ერთი განსხვავებით: შავშურში **ს** არ გვხვდება თანხმოვნის შემდეგ სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში, როგორც ეს ძველ ქართულში გვქონდა (იხ. გამყრელიძე, მაჭავარიანი, 1965.:40; შდრ. ცინცაძე, ფაღავა, 1998.: 10-11; ფაღავა, 2004.: 17; 2007.:6).

1.3. ჯ შავშურში

შავშურ დიალექტში გვხვდება ფარინგალური **ჯ** თანხმოვანი. მაგალითები:

ჯარები შევდოდენ მადარაში (ზ.); **ჯარ** აღარ ვინახავთ (უ.); დაბლა **ჯიღია**, ქემერიანი **ჯიღი** (უ.); [მეჰმედამ] ... იკითხა, იკითხა, დოხტორი **გაჯდა** (უ.); **ჯარ** აღარ ვინახავთ, **მოგჯნავთ**, ყანეები წვრილია... (ნიოლ.); არა, **ჯევწრულიდამ** არა, **ნაჯევნე** დერე, **ჯევნიანი** დერე, წყალი (ბაზგ.); **ფერჯი**, **ჯევი**, **ჯარი**, **მჯარი** ... ჩვენში ... ვიცით (ბაზგ.).

ნ. მარი აღნიშნავს, რომ იმერხეულში ზოგჯერ **ჯ** განირჩევა **ხ**საგან. მაგალითად, ზაქიეთში მე ნათლად განვასხვავეო ერთმანეთისაგან ეს ზგერები, როცა ყურადღება მივაქციე ქუხილს, ზაქიეთელმა კითხვაზე: რა არის ეს? მიპასუხა: „ახლა ქუხს, დაიქუხა“. რომ მქონოდა **ჯ**ს მაგალითები, მე შევეკითხე მთის პატარა მდინარის შესახებ, თუ რა ერქვა მას. მიპასუხეს, ამას **ჯევი** ქვია, - **ჯევი**. პატარა რომ იქნება, დელეს ვეტყვით, დიდი - **ჯევია**. ასევე **ჯ** და არა **ხ** წარმოთქვა მან სიტყვებში: **ფეჯი**, **ჯარი**, **ჯელი**, **ჯმელი** ... ზუსტად ისევე, როგორც ძველ ქართულშია (Mapp, 1911.:81). ნ. მარის შავშეთში მოგზაურობიდან საუკუნეზე მეტი გავიდა, დღესაც **ჯ** შემონახულია შავშეთის თითქმის ყველა მექართულე სოფლის მეტყველებაში. მნიშვნელოვანია, რომ **ჯ** და **ხ** ერთმანეთის მონაცვლედ იხმარებიან და ვერ ქმნიან ოპოზიციას: **ხიდი**//**ჯიდი**; **ფეხი**//**ფეჯი**...შეგვატყო რა დაინტერესება, ერთმა ბაზგირეთელმა აგვიხსნა: **ხელი** - **ჯელი** სხვა არ არი... (იხ. ფაღავა, 2005.:47; 2004.:17-18).

1.4. გ შავშურში

შავშურში გარკვეულ პოზიციაში დასტურდება ნეიტრალური ხმოვანი გ. იგი იგივე ბგერა უნდა იყოს, გ. ახვლედიანი რომ ახასიათებს სვანურში.: „თავშეყრილ თანხმოვანთა შუა ჩაერთვის ნეიტრალური ხმოვანი გ: ხგნსგა „ნახევარი“, კკლდე „კკლდე“, ჯჯრელ „ჭრელი“ (ახვლედიანი, 1949.:223).

შავშურში გ წარმოითქმის ერთგვარი დაჭიმვით. იგი სხვადასხვა პოზიციაში გვხვდება:

ა. გ წარმოადგენს ანაპტიქსურ ხმოვანს:

გურჯისტანი თელათ ოსმანლისა იყო (უ.); მადარა ასე დაფლატულა, კკლდეები დაყაფანებულა (უ.); ჩვენი გვარი, დათუნაშვილი ქობგლეთ ყოფილა (სვირ.); ... გაღმა კკლდეები რომაა, იქ დადგებიან (ჩაქ.); ხგზო, კოტიკი ... (მაჩხ.); კკლდიზირი [ტოპონიმი] (ახალდ.); ცგხისძირი, თეთრკკლდე (<თეთრკკლდე) (ციხ.).

ბ. გ განვითარებულია თანხმოვნის მომდევნოდ და წარმოადგენს რომელიმე ბგერის (ძირითადად უ, ი) პოზიციურ ვარიანტს:

ზარმელი არი ახლა, ჰა! აირანიც არგ (<არი<არის) (უ.); ნაზლიჯან, ნაზლიჯან, ვეტყოდით ...ჩგმოყრიდა (<ჩომოყრიდა //ჩუმოყრიდა) (მაჩხ.); ჩგხორ (<ჩიხორ) აღარ წავდივარ (ნიოლ.); ჩგხისხევის (<ჩიხისხევის) ადგილებია... (ჩიხ.).

შავშურში გს პოვნირებამ შეიძლება წარმოშვას კითხვა: ხომ არ არის იგი თურქული ენის გავლენით სრულხმოვნობისაკენ სწრაფვის ტენდენცია? ვფიქრობთ, არა. ჩვენს ვარაუდს მხარს უჭერს, ერთი მხრივ, ქართული ენის სხვა დიალექტების (ხევსურული, ინგილოური, მესხური, ჯავახური, აჭარული, იმერული, ლეჩხუმური) მონაცემები (ჯორბენაძე, 1998.:51-52), მეორეს მხრივ, გს არსებობა ქართული ენის ისტორიულ ძეგლებში (ქავთარაძე, 1964.:72-73. შდრ. ფალავა, 2004(1):3-8; 2004.:18).

§2. უმლაუტი შავშურში

შავშურში, ისევე როგორც სხვა სამხრულ დიალექტებში, იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება უმლაუტის შემთხვევები. ჩანს, იგი მეტ-ნაკლები ინტენსივობით დამახასიათებელი იყო ქართული ენის ყველა ქვესისტემისათვის, მაგრამ ქართულმა ენამ ვერ იგუა იგი, უფრო სწორად, უმლაუტი ქართული ენისათვის დარჩა გამოუყენებელ შესაძლებლობად.



შავშურში დასტურდება **P** და **Q** პალატალური ხმოვნები, ორივე - ფონეტიკური გარდაქმნის შედეგია:

ვი>Q:

ჩხოკობიხან **ღმერთისთQნ**, **ბატონისთQნ** შეპირობია (უ);
 იმათოვინ, **ქართველებისთQნ** ეს ადგილი წმინდა არი (უ.); მერე
ჩვენთQნ მუუციან (სვირ.).

Q გვაქვს შემდეგ მაგალითებშიც:

ხემწრQლი დაილის უკნედამ ერთი ჩვენი რუ არი (უ.);
დაბაწრQლი (სოფ. შავშეთში)...

ხევწრQლი (<*ხევწრვილი<ხევწვრილი);

დაბაწრQლი (<*დაბაწრვილი<დაბაწვრილი).

ვა>P: ცაცხვის **ყPვილი** (მან).

ვე>P:

ჩPნ ღმერთი ხელში ვართ, **ჩPნ** ხელში არაფერი არ არი
 (მაჩხ.); აკვან **ხPწვენ** (ბაზგ.); ახალდაბა **ჩPნი** სოფელია (ახალდ.).

პალატალიზებული **P** ჩანს შემდეგ მაგალითებშიც: **ჩPნჩხერი**
 (<ჩანჩქერი), **რგPვდენ** (<რგავდენ)...

§.3. ფონეტიკური მოვლენები

შავშურ დიალექტში მეტ-ნაკლებად გვხვდება ყველა ფონეტიკური მოვლენა, რაც ცოცხალი ქართული მეტყველებისათვის არის დამახასიათებელი.

3.1. ასიმილაცია

მრავალფეროვანი და ფართოდ გავრცელებულია ზმნისწინის, ზმნის ფუძისეული ხმოვნებისა და ხმოვანი პრეფიქსის შეხვედრის შედეგად მომხდარი ფონეტიკური პროცესები, - ხმოვანთკომპლექსების მონაცვლეობა.

აე>ეე სრული, რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე:

იმფრათ იგზე **დეეხვევა** (ბაზგ.); უკნედან **წეევიდა** (ბაზგ.);
 ქვაბ ჩააბრუნებდენ, ფეხი არ **გეემუროსო** (შავშ.); აქ უწინ გოგოს
 ვერ **დეელაპარიკებოდი** (ჩაქ.); ჯინები ინსნებ **დეემგვანებოდენ**
 (მაჩხ.)...



ასიმილაცია ხდება მაშინაც, როცა აე კომპლექსი გათიშულია ზმნის ფუძისეული ვ თანხმოვნით და სუბიექტური პირველი, ობიექტური პირველი და მეორე პირების ნიშნებით: ვ-, მ-, გვ-. მაგალითები:

აე ხმოვანთკომპლექსი გათიშულია ზმნის ფუძისეული ვ თანხმოვნით:

იქ წვედი (ნიოლ.); მემრე წვეელ (უ.); ხასები არ წველით (იფხ.); შვიდ საათზე წვეელთ, შვიდ-რვა საათში ჩვეელთ (ბაზგ.); წველით, თივა ვზიდეთ (ხევწ.)...

შეიძლება დაიკარგოს ფუძისეული თანხმოვანი:

მე ვერ წვედი (შოლტ.). შდრ. ყურბეთში არ წველით (იფხ.); ახორში წველ (ბაზგ.); შარშან თველზე ქი ჩაველი... (ხევწ.)...

ველ ზმნური ფუძის მესამე პირის მრავლობითის ფორმაში სუბიექტური პირის ნიშნის (-ენ) ხმოვნის გავლენით იკარგება ფუძისეული ე:

კაცები ჯამეზე წველენ (<წავლენ) (ზ.)...

აე ხმოვანთკომპლექსი გათიშულია სუბიექტური I პირის ნიშნით:

სხვისას არ წვეკარები (ხევწ.); დევეშიდობეთ (ზაქ.)...

აე კომპლექსი გათიშულია I და II ობიექტური პირების ნიშნებით:

ენა დემება (მან.); გემეპარე უკანა კარიდან (უსტ.); ორ წელწად არ დეგველაპარაკენ (ჩაქ.); ქომოთ ჩეგვესხა (ჩაქ.)...

თმა გეგეშავებია (ზაქ.); ეგეფხანება (უ.); მოკალ, ცოდვა არ დეგედვა (ბაზგ.)...

შეიძლება შეიცვალოს რთული ზმნისწინის ორივე ხმოვანი:

იმდენი ჭკვაში მოსულიყო, საბანი გედებურა (ბაზგ.); ნიჩბით ზიბილი იქნა გედემექნია (დ.)...

ამ ცვლილების პირველი საფეხური - მეორე რიგის ფორმები (გადებურა, გადემექნია) შავშურში არ ჩანს.

აი>ეი (>ეი) ნაწილობრივი, რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე:

გეიქეცი, ქი მოდიანო (ჩაქ.); გეიყიდებოდა ადგილი (უსტ.); ვერაფერი ვერ დეიწავლა (ბაზგ.); დეამღერე, შვილო! (ბაზგ.); დეიანახე მოტანილი თივა? (ჩაქ.); ბზე'ნა ჩეიწუროს (ჩაქ.); ღარჭი წეიყვანა (ბაზგ.); აგზე ეიარებენ (ხევწ.)...

ეია (>ეა) კომპლექსში ზოგჯერ ი (>ი) იკარგება: ეიარებენ>ეარებენ.

ასიმილაციის საფუძველზე რთული ზმნისწინის ორივე ხმოვანი შეიძლება შეიცვალოს:

გედეიწმინდაო, ვიტყვით (მაჩხ.); ასე გედეიფშნება (ჩაქ.)...



აღნიშნული ცვლილების პირველი საფეხური **გადეიწმინდა, გადეფშნება**, არ დასტურდება.

დამოწმებული ტიპის ფორმებში ზოგჯერ ისმის ა:

გინდა, **ეიღებ, წეიღებ** (ბაზგ.); იმგვარად გათოვლდება, ქი **ეივსება** თოვლი (ჩაქ.); გულმა რავარ **გეისვენოს?** (ბაზგ.); ვიყავით ჰამა **გეაკრიფენ** (მან.); **გეიარს**, წევა (ბაზგ.); ბერი ხარი რქიებ ქვემოთ **დეიღებს** (მაჩხ.); ძველები, ძველები **დეიბოცენ** (ჩაქ.)...

აი კომპლექსში ასიმილაციის პროცესს არ აბრკოლებს მასში ჩართული ზმნის ფუძისეული ვ, სუბიექტური I და ობიექტური I და II პირის პრეფიქსები: ვ-, მ-, გვ-, გ-. მაგალითები:

აი კომპლექსში ჩართულია ფუძისეული ვ:

მე ახლა ჯამეში'ნა **ჩევიდე** (ჩაქ.); **ევიდეთ** სათავეში (უ.); ღარჭობის დროს **გევიდოდით** ბაჭლები (ჩაქ.); ისინი **წევიდენ** (ჩაქ.); ყველა წელწად **წევდოდა** ბაბოს სახში (ჩაქ.)...

აი კომპლექსში ჩართულია I სუბიექტური პირის ნიშანი:

მე **გევიპარე** (ჩაქ.); **გევინათლებ**, **გევიარ** (ჩაქ.); **დევინახე**, ეს ჩვენი ვინცხაა-მეთქინ (ჩაქ.); შვიდი წლის უკან თურქჩა **დევიწავლე** (ჩაქ.); ხელები **დევიბანოთ** (შავშ.)...

აი>ეი პროცესს ზოგჯერ ერთვის ზმნის ფუძისეული ვ ბგერისა და პირველი სუბიექტური პირის ნიშნის მომდევნო მასიმილირებული ი ხმოვნის დაკარგვა:

მაღლა **ევიდა** (ბაზგ.); ყაზა ქნა და მალევე **წევიდა** (მაჩხ.); ჩიხვთაში **წევიდენ** (მაჩხ.); ესენიც ვერ **ევიდენ** (უსტ.); ბზე **ჩევიდა** (ა.); ერთი **გევიდეთ**, ვიმდეროთ (უსტ.)...

მაზუთი **ევილე** (ჩაქ.); არა, არ **გევიპარე**, მითხვა (უსტ.); მე ისე **გევიგე** (ზ.მ.); **გევიხედავ**, არვინ არაა (უსტ.); ოფლი დამასხა, **დევილალე** (ბაზგ.); არ **გევიქევი**, არა (ივ.); ვერ **დევიჭირე** რემეზანის (ბაზგ.); ფარა **გედევიხადე** (ა.)...

შავშურისათვის უფრო დამახასიათებელი ჩანს **წევიდა, დევიჭირე**... ფორმები, ხმოვნის დაკარგვა აჭარულისთვის არის ნორმა.

აი კომპლექსში ჩართულია პირველი და მეორე ობიექტური პირის ნიშნები:



ამედად კად (=კარგად) არ იყო, **გემისკდა** გული (ზ); გაზომეს, რამდენი **გემივლია** (ჩაქ.); ისენიც ამოწყდა, **დეგვიტეხეს** (ბაზგ.); არ **დეგვივიწყოთ** (ზენ.)...

გული არ **გეგისკდეს** გზაზე (ხევეწ.); ბაჯლებმა დაამზადეს და **დეგიდვეს** (უ.); **დეგისხა** კილო ერთი, **დეგისხა** (ზაქ.); ფეხი **დეგიცურდა**, რა'ნა ქნა?(ზაქ.); **ჩევიდეთ**, ჭადი **ჩეგისხა** და გაჭამოთ (უ.); **გეგიჩდება**, რა'ნა ქნა?(ბაზგ.)...

ხაზგასმული ფორმებით შავშური დიალექტი განსხვავდება ქართული ენის სხვა ქვესისტემებისაგან, მათ შორის აჭარულისაგან, რომელშიც ასიმილაცია ერთსაფეხურიანია და სრული: **დამინახე > დიმინახე, გამიხდა > გიმიხდა...** წინა საფეხურის, ნაწილობრივი ასიმილაციის ფორმები აჭარულში არ ჩანს. მართალია, შავშურშიც არის სრული ასიმილაციის ფორმები, მაგრამ, როგორც ნაწილობრივი ასიმილაციის მომდევნო საფეხური.

პატრობის დროს ბევრი **დიმივიწყდა** (სვირ.). შდრ. ... თელი **დამავიწყდა** ისტამბულ (სვირ.); ძმა ამოვლოდა, შიშას **დიმიპობდა** (უსტ.); **დიმიმლერე**, ქი დევძინოო (ზაქ.); მირთმევა **გიმიხარდება** (მაჩხ.); ბეჭედი შვა თითზე ვერ **გიმიტანია** (ბაზგ.); იქიდან **დიგვიწავლეს** (ბაზგ.)...

ერთი და იმავე ფუძის ზმნა გვხვდება ორივე სახით - ნაწილობრივი და სრული ასიმილაციით:

არ **გემიგონია** მაგვარი (უ.). შდრ. შატბერდი არ **გიმიგონია** (უ.); შენი დანახვა ჯენნეთი **გემიხდება** (შავშ.) შდრ. ავათ **გიმიხდა** კაცი (უსტ.)... ეგეფხანება, **გეგიარს** (უ.). შდრ. გულში არ **გიმიარდა**, გნახევდით (მაჩხ.); მეც იქ ვიყავ, **დემინახეთ?** (ივ.). შდრ. ასე **დიმინახე**, გეხსომები (სვირ.)...

ზოგჯერ ერთსა და იმავე წინადადებაში არის ორივენაირი ფორმა:

სამოც დღე ვიხმარეთ წყალი, **დეგვიშრეს** სოფელმა, იმათი სიმიინდი კად მოდის და ჩვენი არ მოდისო, **დიგვიშრეს** წყალი (მან.)...

აი კომპლექსის ნაწილობრივი ასიმილაციის ერთი ფორმა იმერხევის მეტყველებიდან დასტურდება „ქართულ დიალექტოლოგიაში” გამოქვეყნებულ ტექსტში:

ამ ყონახზე მობძანებულ ეფენდიმა არ **დემივიწყოს** (ქდ 388).



ანალოგიური შემთხვევები გვხვდება „ჩვენებურების ქართულში“ (ფუტკარაძე 1993):

გემიყუანეს (199); **დეგინახონ** (202); **მეგიტანა** (203);
დეგვიცადე (205), **გეგვიშვა** (211); **გეგიშავდება** (211)...

დიმინახა (196); **დიგინახავს** (220); **გიმიხარდა** (204)...

ოე>ეე სრული რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე:

დათვმა და გელებმა **მეერიენენ** (ჩაქ.); საქმემ **მემერიაო**, ჩემი
ბაბოჲ იტყოდა (მაჩხ.); არაბანი **მეგეშალენ** (უსტ.)...

ზოგიერთი ფორმის ამოსავლად შეიძლება **მი-** ზმნისწინიანი ფორმაც
ვიგულისხმოთ: **მიერიენენ**, **მიეტანა**.

რთული ზმნისწინის პირველი ხმოვანი არ იცვლება:

არ **გამემიშვეს** (შავშ.). შდრ. **გამომიშვეს**; **გამემილოს**,
ტიტველი არ ვარ (სვირ.); რომ არ **გამეეჭრევიებია**, არ ემეს
იქმოდა (მაჩხ.)...

ოი>ეი (>ეჲ) ნაწილობრივი რეგრესული ასიმილაციის შედეგად:

მეიკიდე აკვანი ზრუგში (უსტ.); აქ **მეიხედე** (ბაზგ.); ახლა
გამეიცვალოს (ბაზგ.)...

ზოგჯერ კომპლექსის ი ხმოვანი უმარცვლო ხდება:

მაშინ რაცხას **მეიტანდა**, **მეიტანდა** (ჩაქ.); ჩვენი საჭმელები
არ **მეიწონა** (შავშ.)...

არ ფუძის ზმნაში მასიმილირებული ი იკარგვის:

ამეარეთ იქ (უსტ.); სარფიდან **გადმეარეთ** (უსტ.); ეზიათიც
გამევარეთ (უსტ.); გენჯობა **გეარა**, წევდა (უსტ.); ისე'ნა **ეარო**
(უსტ.)...

ამოიარეთ>ამეიარეთ>ამეარეთ>ამეარეთ.

ასიმილაცია მაშინაც ხდება, როცა კომპლექსში ჩართულია ზმნის
ფუძისეული **ვ**, პირველი სუბიექტური, პირველი და მეორე ობიექტური
პირების ნიშნები: **ვ-**, **მ-**, **გვ-**, **გ-**.

ჩართულია ფუძისეული **ვ**:

ერთი აღმანი **მევიდა**, იურისტი (ბაზგ.); ახლა მარტო ბალი
მევიდა (ზ.); გზაში დადექ, არ **წამევიდეს** (ხევწ.); ერთი კამიონი
არაბაჲ **ჩამევიდა** იქიდან ჩომათი (ხევწ.)...

კომპლექსში ჩართულია I სუბიექტური პირის პრეფიქსი:



მევიღალე, ქორში ვიყავ (ხევწ.); ახლა ძივალთ, **მევიტანოთ** (ჩაქ.); იქიდან **წამევლე** (დ.)...

შეიძლება ბგერათვომპლექსში ვ'ს მომდევნო ი დაიკარგოს.

ოვი>ევი>ევ:

ახლა **გამევდა**, უწინ არ იყო (ბაზგ.); ბზე **ამევდაო**, ვიტყვით (ა.); ახლა ამოსულიყო დღე და არ **ამევდა**, ბაჯალა. **ამევდა** და ველარ **წამევდა** (ბაზგ.); ძველათ ფენა გვეშინოდა, გარეთ ვერ **გამევდოდით** (კოკ.); შიშას **მევტანთ** კამიონით (მან.)...

გამოვეყოფთ **მო-** ზმნისწინიან ფორმებს, რომლებშიც **ოი** კომპლექსი გათიშულია I და II ობიექტური პირების ნიშნებით (მ-, გვ-, გ-). ნაწილობრივი, რეგრესული ასიმილაციით მიღებულია ზმნის ასეთი ფორმები:

ჩვენ (=ჩვენმა) მეზობელმა ძე **მემიტანა** (დ.); იმან **მემიპარა** ცხენზე (დ.); მე არ **მემიკითხეს** (მაჩხ.); თავის თორუნი მეყვანა, **მემიაროსო** (მაჩხ.)... საჭმელს **მეგვიტანდენო** საქმის ადგილზეო (ზაქ.); შენ **მეგვიტანე**, ჩვენ ჭვამთ თაფლ, **მემიტანე** (უსტ.)...

ძილი **მეგივიდა** (უ.); თორმეტ ალთუნ **მეგვიტანო** (ბრ.); ანაჲ ქი **მეგიკდება** (ბაზგ.)...

რამდენიმე ფორმა ამ წარმოებისა გავხვდებოდა „ჩვენებურების ქართულში“ (ფუტკარაძე, 1993):

რამდენჯელ **მეგიკითხე** (246); **მეგითხუთ** და წამოიო (259); ნენეი ფაფას **მეგიდულეზსო** (270).

ნაწილობრივ ასიმილაციას შეიძლება მოჰყვეს სრული რეგრესული ასიმილაცია. ამდენად, პროცესი ორსაფეხურიანია: **ოი>ეი>იი**. სრული ასიმილაციის შედეგად **მო-** ზმნისწინი ემასგავსება **მი-** ზმნისწინს. ჩვენი დაკვირვებით (და სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვითაც) ეს მოვლენა არ გვხვდება ქართული ენის სხვა დიალექტებში, არც აჭარულში, რომელთანაც ბევრი საერთო აქვს შავშურ დიალექტს:

ვერ **მიმიწველია** (<მემიწველია<მომიწველია) ძროხა (უსტ.); ბაბოჲ მეყვანეს, იმან **მიმიარა** (ბაზგ.); დედამთილ-მამამთილი არ მყავს, მალე **მიმიკდენ** (უსტ.); ეს ახლა **მიმიტანა** ბაღანამა (ბაზგ.); მეზობლები **მიგიტანებენ** (მეგვიტანებენ<მოგვიტანებენ) (ბაზგ.); **მიგიტანო** ჩაი?(უსტ.); არ **მიგიდინებენ** წყალ? (უსტ.)...



ახლა წყლები **მიგვიყვანეს**, ა. იქიდან **მიგვიყვანეს**
(<მეგვიყვანეს <მოგვიყვანეს) კარჩხლიდან (უსტ.); ხარლი
მიგვიყვანეს (უსტ.)...

ერთსა და იმავე წინადადებაში გვხვდება ორი სხვადასხვა ფორმა -
შეუცვლელი, ამოსავალი და ასიმილირებული (სრული ასიმილაციით):

წყალი, ორი წელიწადია, მოგვიყვანა ბაშქანმა, ჩვენ წყალი არ
გვქონდა, ფერდიდან **მიგვიყვანა** (ნიოლ).

ზოგიერთ ფორმაში **მი-** ელემენტს გადაჭრით ვერ მივიჩნევთ **მო-**
ზმნისწინისაგან მომდინარედ:

გურჯიჯა ვერ **მიგვიფერებია** (უსტ.); ვერ **მიმიცლია**, ყანას
ვთიბ (სვირ.); ვერ ჩავსულვარ, ვერ **მიმიცლია** (უ.)...

ხაზგასმულ ზმნებში **მო-** ზმნისწინიც შეიძლება გვქონდეს:
მოგვიფერებია, მომიცლია.

აუ>ოუ ნაწილობრივი, რეგრესული ასიმილაციით:

ამათ ვიზე **გოუკეთა** (<გაუკეთა) (ზაქ.); **გოუგზავნიან** ისენი
(დავ.); ამრეველი თუ არი, **ოურიეთ** (ზაქ.); **გოულე** ჯენნეთის კარი
(მან.); რამდენი მეტრო **გოუვლია** (ჩაქ.)...

ნაწილობრივი ასიმილაციის გაგრძელებაა სრული ასიმილაცია:

აუ>ოუ>უუ:

ურბას **უუღებენ** (უსტ.); ჭვირთი **უუმბიმაღო** ცხენს (მან.);
ორი წელიწადი არ **უუთაგებია** (ბაზგ.); თხილი ვერ **გუუყიდვან**
(ნიოლ.)...

ჭარბობს სრული ასიმილაციის ფორმები. **უუ** ენაცვლება არა მარტო **აუ**
კომპლექსისაგან მიღებულ, არამედ პირველად **ოუ**საც:

დოდოფალ ოდას **მუუწყობენ** (<მოუწყობენ) (უსტ.);
გურჯიჯა ვერ **მუუფერებიან** (<მოუ-ფერებიან) (ხევწ.)...

ზოგიერთი, **უუ** კომპლექსიანი ზმნის ამოსავლად შეიძლება
ვივარაუდოთ, როგორც **მო-**, ისე **მი-** ზმნისწინიანი ფორმა:

ნიშან **მუუტანებენ** (უსტ.). მოუტანებენ, მიუტანებენ
(>მუუტანებენ);

იმას ჭიპ **მუუბრუნებდენ** (წეთ.); შორიდან **მუუშვირე** და
გათბი (ბაზგ.)...

სხვადასხვა ფორმა გვხვდება ერთსა და იმავე წინადადებაში:



ხახვ **ჩუურევთ**, სარჩას **ჩუურევთ**, ლამაზათ **მოურევთ**, მოვხრაკავთ (უსტ.).

ეუ-უუ სრული, რეგრესული ასიმილაციით:

იმისთინ **შუურიელია**, არ დამანახვესო (შავშ.); ბიბერი'ნა **შუურიო**, რენგი მიცეს (უ.); ლამაზათ **შუურევთ** (უსტ.)...

დასტურდება ხმოვანთა ასიმილაციის სხვა შემთხვევებიც, რომლებიც არ არის დაკავშირებული ზმნისწინებთან:

ზომოთ (<ზემოთ) ზაქიეთური დაილაა(ჩაქ.).

კითხვითი ნაცვალსახელი **რა** და ზმნა **იქნა** აღიქმება ერთ სიტყვად (ენკლიტიკის შემთხვევა), რომელშიც ხდება ნაწილობრივი რეგრესული ასიმილაცია:

რე იქნა მანქანა? (ხეფწ.); **რე იქნა** არ ვიცი (შავშ.); **რე იქნა** ფაჩავრა? (ზაქ.).

ასიმილაციაა მომხდარი **ცა**, **ლა** ნაწილაკდართული **რა** ნაცვალსახელის მოქმედებითი ბრუნვის ფორმაში:

რაცხეთ (<რაცხაით) გინდა (ჩაქ.).

ასევე ამ ნაცვალსახელის უნაწილაკო და ნაწილაკიან **ებ**იან მრავლობითში:

რეები იცით თქვენ? (დ.); **რაცხეები** (<რაცხაები) აქვან-მეთქი (ზაქ.); შდრ. **რაცხებს** აჩუქებენ (შავშ.); ჩვენთან უფრო ბევრი **რაცხაები** იციან (ზაქ.).

ასიმილაციაა უარყოფით ნაცვალსახელში (ვინ ნაცვალსახელის ი ხმოვნის გავლენით):

აქ არევიან არ წავა (ჩაქ.);

იქვე გვხვდება:

არავის არ მიხტომია, **არავისთვის** არ უკბენია (ჩაქ.).

ნაწილობრივი პროგრესული ასიმილაციის მაგალითია ნაწილაკიანი ზმნიზედა **იქეც**:

იქეც (<იქაც) არაფერი არაა (ნიოლ.); **იქეც** ასკერი არი (ნიოლ.).

ასევეა: **შეკიკი-შაკიკი**:

თავი ტკივილი გექნება, **შეკიკი**, დედკიდო'ნა (ზაქ.).

სრული ასიმილაციის სხვა მაგალითებია:



დოდოფლობა ახლა ისე აღარ არი (ჩაქ.); **დოდოფლობაში** შეკაზმული იყო (სვირ.). შდრ. ჩემი ბაჭალა იმისი **დედოფალია** (ჩაქ.); **ხოშკოკოლამ** (<ხოშკაკალამ) ჩაწყვიტა (ხოხ.).

გეოგრაფიული სახელი **მაჭახელი** გვხვდება სხვადასხვა ფორმით: **მაჭახელი, მაჭიხელი, მაჭეხელი, მეჭეხელი**. ვფიქრობთ, სამი უკანასკნელი ფორმა ასიმილაციით უნდა იყოს მიღებული: რეგრესული, ნაწილობრივი ასიმილაციით: **მაჭახელი>მაჭიხელი**; სრული, რეგრესული ასიმილაციით: **მაჭეხელი**(<მაჭახელი), **მეჭეხელი** (<მაჭეხელი):

მაჭახელი:

მაწყინარი თაფლი **მაჭახელშია** (ჩიხ.); აგზე **მაჭახელია**, **მაჭახელის** ხერთვისში ვიყავ (ზაქ.); **მაჭახელიდან**, იქიდან ძველათ გადმოსულან ჩვენი დიდვანი დედიები (უსტ.); **მაჭახელ** აკრიადამ გათხოვილი ყოფილა (უსტ.); მამალიშვილები **მაჭახლიდან** მოსულან (ჩიხ.)...

მაჭიხელი:

ხალაჲ იქ, **მაჭიხელ** გათხოვილი ყავდა (ბაზგ.); ჩემ ნენეჲ იქიდან იყო, **მაჭიხელიდან** (უსტ.); **მაჭიხელი** გურჯია (ჩაქ.); **მაჭიხლელებმა**, ამათ იციან (ივ.)...

მაჭეხელი:

მაჭეხელში რომ გადახვალ, გვარ მედიკოთხვენ (ბაზგ.); **მაჭეხლური** წამალი მაქ (ბაზგ.); მეც ვთქვი, **მაჭეხელ** გედევალ (ბაზგ.); ახლა ემეი მოგვყავს **მაჭეხლიდან** (უსტ.); მღერა, ქორწილი თქვენი და **მაჭეხლელებისა** ერთია (სვირ.)...

მეჭეხელი:

დედეჲ იქედან გადმოსულა, **მეჭეხელ** ეტყვიან (ბაზგ.).

მეჭეხელი ინდივიდუალური ფორმა ჩანს.

ინდივიდუალური უნდა იყოს **ცაკვა** (ცეკვა). საინტერესოა მოუბრის განმარტება: „ცქვიტათ (სწრაფად) სამას „ცაკვა“ უთხრეს. „ცეკვიდიან“ „ცაკვა“ გახდა (ა.). თურქ. „სამას“ ანალოგიით სწრაფი ტემპის ცეკვას დაარქვეს „ცაკვა“ (პროგრესული ასიმილაციით).

შავშურში ფართოდაა გავრცელებული თანხმოვანთა ასიმილაცია.

რეგრესული ნაწილობრივი ასიმილაციის საფუძველზე მომხდარა თანხმოვანთა შემდეგი ცვლილებები:

სღ>ზღ:



ამეზღამ (=ამაღამ) აქ ხართ? **ამეზღამდელი** დღეა აგზია (უსტ.).

ამეზღამ მიღებულია ჩვენებითი ნაცვალსახელის (ეს) მიცემითი ბრუნვის ფორმის (ამას) და არსებითი სახელის **ღამე** (>**ღამ**) შეერთებით.

ამასღამ>ამაზღამ ასიმილაციას ერთვის ხმოვანთა რეგრესული დისიმილაცია: **ამაზღამ>ამეზღამ**. გვხვდება ამღამე ფორმაც: **ამღამე** ბაზგირეთ დღეა (დ.).

შენიშნავთ, რომ გვიანი პერიოდის ორიგინალურსა და ნათარგმნ ქართული ლიტერატურის ძეგლებში დასტურდება სწორედ ეს ამოსავალი ფორმა - **ამას ღამე** (ცალ-ცალკე სიტყვებად):

მე ვარ **ამას ღამე** ტალო (ამირ. 148); **ამას ღამე** შენ მიმასპინძლე (რუსუდ. 39,32); ბედნიერობა იყო ჩემი **ამას ღამე** შენი ჩემთვის ესეთი სიქუმე (ვისრ. 330); **ამას ღამე** შენთანა ვიქნები (ყარამ. 176)...

სამწერლობო ენაში გვხვდება **ამაზღამ** ფორმაც. „რუსუდანთანში“ იგი ვარიანტებშია გატანილი (624, B), „როსტომიანიდან“ და „შაჰ-ნამედან“ „**ამეზღამ**“ დამოწმებული აქვთ ივ. ქავთარაძეს (ივ. ქავთარაძე 1964.:271), ა. მარტიროსოვს (მარტიროსოვი, 1954.:57) და მ. ძიძიშვილს (ძიძიშვილი, 1960.:78).

ამეზღამ გავრცელებულია აჭარულში (ქობულეთური კილოვაციის გამოკლებით), იშვიათია **ამაზღამ** (ცინცაძე, ფაღავა, 1998.:25-26). **ამეზღამ** და **ამაზღამ** ფორმებს იმოწმებს შ. ფუტკარაძე (ფუტკარაძე, 1995.:7,16). ქართული ენის სხვა დიალექტებში ეს ფორმები არ გვხვდება.

ვფიქრობთ, **ამეზღამ** კარგი მაგალითია სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნული იმ მოვლენისა, როცა სახელთა ფორმები „ბრუნვითა პარადიგმიდან გამოსვლის შემდეგ იქცევიან ზმნიზედებად, ანუ გარემოებებად“. ამ მოვლენის ერთ-ერთ ნიმუშად თ. უთურგაძე იმოწმებს სწორედ არსებით სახელს „ღამე“: „ღამე, როგორც სახელი, კვეცადია, მაგრამ სახელობითში არასოდეს კარგავს ბოლო ხმოვანს... როგორც ზმნიზედა კი იცვლება და ბოლო ხმოვანს კარგავს გარკვეულ შემთხვევებში: „დღე და ღამ შრომობს...“ (უთურგაძე, 1986.:96). ჩვენი მხრით დავუმატებთ, რომ შავშურ დიალექტში ანალოგიურ კონტექსტში ბოლო ხმოვნის გარეშეა „საღამო“

: ხვალ არი დღეა, ხვალ **საღამ** არი (ივ.).



ბოლო ხმოვანი ეკვეცება თურქულიდან შესულ სიტყვას „სირა“ (sira) „რიგი“, „მწკრივი“, როცა იგი „წინა“ ზმნიზედასთან ერთად აღნიშნავს დროს:

წინა სირ ორი თემტი მოვადულე (ხევწ.).

აქარულში ფართოდაა გავრცელებული „ხვალსაღამ“, „ამსაღამ“, „გუშინ საღამ“.

სჭ>შჭ:

ნიორი ილაჯია, ბაბოღ **შჭამდა** (წით.); წანდილ მოხარშვენ და **შჭამენ** (ჩაქ.); **შჭრიან**, ახმოზენ (ჩაქ.)...

გყ>ქყ:

ვირები **ქყყავდა** (უსტ.); მედყვანონ და **მოქყვიდონ** (უსტ.); ოთხი თანე ბიჭი **ქყყავს** (ჩაქ.).

გყ>კყ:

წამოკყვეს და პასუხი მოგე (ჩაქ.); შდრ. არ **წამოკყვათ?** (ჩაქ.).

გქ>ქქ:

საქონელი **ქქქონდა** (ჩაქ.).

გჭ>ქჭ:

წისქვილი აღარ **ქჭჭირია** (ჩაქ.).

გხ>ქხ:

მოკდე, არ **შექხედავენ** (ჩაქ.).

გც>ქც:

მოქცემ სამას დოლარს (ბაზგ.); საჭმელი **მოქცე**, ჭამდე (უსტ.). შდრ. **მოგცემდა** ბეგი კვერცხ (ზაქ.).

გა>ქა:

დაქკრავ ამ გარგან (ხევწ.).

ბშ>ფშ:

ქვიან **ალაგეფში** არის (ჩაქ.).

სხვადასხვა ფორმაა ერთსა და იმავე წინადადებაში: „ჩადებ **გობში**, დახრეტილ **გოფში**, გედწურვის (ბაზგ.).

დე>ტყ:

იქ, ისტამბოლ, არის, **ავატყოფია** (ბაზგ.); **ავატყოფებს** უყურებთ? (ჩაქ.).

თანხმოვანთა პროგრესული ასიმილაციის შემთხვევები შედარებით ნაკლებია:



ცღ>ცხ: კითხვით ნაცვალსახელებს და ზმნიზედებს დაერთვის **ცა**, და ნაწილაკები, შედეგად **ცა** ნაწილაკისეული **ა** იკარგვის, სპირანტი **ლ' ც'** თანხმოვნის მეზობლად ყრუვდება: **ცღ>ცხ: რაღაცა>რაცლა>რაცხა:**

რაცხა შეევიარდება თვალში ... ამის ნათქვამი ბევრი **რაცხა**სთინ იქნება (ჩაქ.).

ვინცაღა>ვინცლა>ვინცხა:

ვინცხას რომ მატყვილეფ (ჩაქ.).

ანალოგიური მაგალითებია:

„**რომელცხამ** ქი გაამჟღავნა, იმან ითხვა (სვირ.); **რავარცხა** ქი დოდოფლობაში შეკაზმული იყო (სვირ.).

ასეთი შემთხვევები ქართული ენის სხვა დიალექტებიდანაც არის ცნობილი.

ცღ>ზღ: ახლოა, **ოზდაათ** დეყეზე ახვალ (ხევწ.).

რჩ ფუძის ზმნებში **რ** სონორი იცვლება **ს** სპირანტით: **სჩება**. რეგრესული ასიმილაციით **სჩ>შჩ:**

დიდი თუთა **დაშჩა** (ხევწ.)...

კდ>კტ:

კაცი **მოკტა** ოთხმოცდაჩვიდმეტი წლისა (ბაზგ.); ციხევ, **მოგიკტეს** ამშენებელი (მაჩხ.).

ჭარბობს უასიმილაციო ფორმები:

რამდენი ხანია **მოკდნენ** (ბაზგ.); **მოკდები**, აგზე ჩაგდებენ (უ.); ახლა ისიც აღარ მყავს, **მოკდა** (უსტ.); ანამისი არ ჰყავდა ზათი, **მომკდარი** იყო (ჩაქ.).

ამ მხრივ ერთგვაროვნება არ არის აჭარულშიც: ქობულეთურისათვის ჩვეულებრივია ასიმილირებული ფორმები: **მოკტა**, **სიკტილი**... სხვაგან - **მოკდა**, **სიკდილი**... არის გავრცელებული.

ხდ>ხტ: ვერ მივმხტარვარ, თქვენ მიხტებით (ბაზგ.)...

ხდ>ხთ: ემჯამი ერთ დოხტურმა მიხთა (სვირ.)...

ქდ>ქთ: პურს მოვზელავთ, **გასუქდება** (ჩაქ.)...

3.2. დისიმილაცია

დისიმილაციის შემთხვევები ასიმილაციასთან შედარებით ნაკლებია. დისიმილაცია ხდება ვალ ფუძის ზმნის ფორმებში:



არსათ არ წევალ (ჩაქ.); სოფელში წევალთ (მან.); იქიდან ჩეხვალ მაჭეხელში (ბაზგ.); მეც ვთქვი, მაჭეხელ გადევალ (ბაზგ.).

შდრ.:

ჯანჯირი დაილაში ჩახვალ (ბაზგ.); თუ დიგვიძახებს, წავალთ (ჩაქ.); მემრე ყავეში წადიან (შოლტ.); გამოვიტანო მიორე (<მეორე)? მიორეც გამეძტანე (ზაქ.); მიორე მოსლაზე აათავეფ (მან.); მიორეები არ არიან დაქორწილებული (ნიოლ.).

მიორე'ს გვერდით გვხვდება მევრე (ო>ვ):

მევრე აჩული გამოდგა (სვირ.); მევრე დღეს მეფერებიან ქალები (შავშ.); ერთი მაჰალე გურჯი არის, მევრები თურქა არიან (ზ.მ.).

გვხვდება მიერე, რომელიც პროგრესული ასიმილაციით მიორე'საგან უნდა იყოს მიღებული:

ერთი არ იყო ლამაზი, მიერები ლამაზები იყვენ (ჩაქ.); მიერე წელიწადსაც მე წამუელ (ბაზგ.); მიერედ მოხვალთ (მან.).

ჭალაში შიაგდებ (ხევწ.); არავისაც არ შივაჭმევ; შიშას მევტან კამიონით (მან.).

დისიმილაციის მაგალითად ითვლება ლაპარიკობს <ლაპარაკობს (ჯორბენაძე, 1989.:405):

გოგო მელაპარიკება ტელეფონზე (მან.); თელი მიხდებიან, ვერ ილაპარიკებენ (იფხ.); არ დემელაპარიკება, ცხენია (ზაქ.); ისინი ვერ გველაპარიკებიან (მაჩხ.).

უფრო მეტია უდისიმილაციო ფორმები:

ეფედ ილაპარაკეთ (კოკ.); სახში გურჯიჯა არ ლაპარაკობენ (ა.); ბევრხან არ ველაპარაკებოდი (უსტ.); შენ ილაპარაკებ, ჩემ კაც, ასეო? ის ილაპარაკებდა (ჩაქ.).

ოა>უა>უე რეგრესული დისიმილაციის საფუძველზე (ოა<ოვა; ოე<ოვე). ეს მოვლენა ხშირია ვალ//ველ ფუძიან ზმნებში:

იზინი თუ მიცეს, მუა (<მოა<მოვა) (ჩაქ.); ჩვენ კარიდან გავხედე, ქარიშხალი მუაო; ჯარში წაველ, მასუკან მუელ (<მოელ<მოველ) (ჩაქ.); დელე-დელე აგზე მუელით (მოელით<მოველით) (ხობ.); აქ გადმუელ (<გადმოელ<გადმოველ) (ბაზგ.).

ოა>უე, ოე>უე პროცესის სხვა მაგალითებია:



ხერხით **მუახვეთ** (ნიოლ.); აგზე გვამდერეს, ვერ **მუაფერეთ** (უსტ.); **გამუაცხოზთ** იშტე (ბაზგ.); პური'ნა **გამუაცხოთ** (ა.); ზოგს გავახმობთ, ზოგ ამა დავაჭრით, **გამუასუფთებთ** (ჩაქ.).

ერთი და იმავე პირის მეტყველებაში გვხვდება დისიმილირებული და ამოსავალი ფორმები:

ფშნილას **მუაყრით...** დავჭრით ასე ყართოფ, ფშნილას მოვაყრით (ბაზგ.); ჩომას **ვამუებდი** და დემიჭირეს; ძროხებ **ამოვებს** (ჩაქ.).

თანხმოვანთა დისიმილაციის მაგალითებია:

პირპილი<**პილპილი**:

პირპილ არ ვიხმარებდით (წით.).

წრეველ<**წრეულ**<**წლეულ**:

ახლა ისიც აღარ მყავს, **წრეველ** მოკდა (უსტ.).

არალი<**არ არის**:

შინ **არალიან** (ზ.მ.); ჰალა **არალი** არაფერი (ხობ.).

თუმცა სხვა შემთხვევაში დაცულია ორი **რ**:

არაფერ არ ვიტყვით (ჩაქ.); თორუნებიც მყავს, **ორ-ორი** თანე (ნიოლ.).

3.3. ბგერის დაკარგვა

დასტურდება ბგერის დაკარგვის მრავალი შემთხვევა.

იკარგება ს. ხშირია მიცემითი ბრუნვის ნიშნის დაკარგვა, განსაკუთრებით თანხმოვანფუძიან სახელთა მხოლოდობით რიცხვსა და საერთოდ **-ებ**'იან მრავლობითში. მნიშვნელობა არა აქვს, სახელი აქტანტაა - ზმნასთან შეწყობილი პირია თუ გარემოება (ადგილისა ან დროის):

იქ ჭამ **პურ** (ჩაქ.); ჩემ **შვილ** ჰამერი ყავს (ბაზგ.); **სიმიინდ** ვთესავთ, **ქერ** ვთესავთ (ბაზგ.); იმას დეველაპარიკებოდით **ყველაფერ** (ჩაქ.); **ბაზგირეთ** (<ბაზგირეთს) დუგუნია (დ.); იქ გაზდილა, **მურდულ** (<მურდულს) (უსტ.)...

იშვიათად **-ს** იკარგება ხმოვანფუძიანებთანაც:

სიძე (<სიძეს) თქვენ რას ეტყვით? (ზაქ.); გურჯიჯა **ქუფელა** (<ქუფელას, - „ყურის ბიბილო“) ებნევიან (ჩაქ.); **ჩულა** (<ჩულას, - „შალის ქსოვილს“) დუუგებთ წინედან (ბაზგ.)...

-ებ'იანი მრავლობითი:



თქვენ **ღარკებ** ასწავლით, არა? (ჩაქ.); **ვირებ** ავკიდებდით ზრუგზე (უსტ.); დღუმახებდით **მეზობლებ** (უსტ.); **სიმიინდებ** რომ მოჭრიან, იმ დროზე (ბაზგ.); **ძველებ** ეცოდინებიან ბელქი (ჩაქ.)...

იმვიათად –ს არ არის დაკარგული:

მე რა ვიცი, რას შეეხვეწებიან **ღმერთს** (ჩაქ.); ბუზანკალია, **ხარს** ეხვევა (ჩაქ.); **დოდოფალს** ქი მეიყვან, არ ისამებ? (უსტ.); ჩვენ **ყავეს** ვებნევით (მან.); პურ ვაჭმევ, **თივას** (ჩაქ.); ახლა მარტო **ყართოფას** ვთესავთ (ბაზგ.); **კონსერვებს** გავაკეთებთ, ჟავეს (უსტ.)...

ერთსა და იმავე წინადადებაში სახელი ორგვარად არის წარმოდგენილი: მიცემითი ბრუნვის ნიშნით და უნიშნოდ:

ზოგს გავახმობთ, **ზოგ** ამა (<ამას) დავაჭრით (ჩაქ); შიგან **მად** დასწუავ... ჩომის **მადს**, ერბოს (ბაზგ.); **კარებ** ვაკეთებ, **ფანჯრებს**, **რამკებს** ფუტკრისთინ (ბაზგ.)...

მიცემითის ნიშანი ხშირად იკარგება ჩვენებით-პირის ნაცვალსახელთან:

იმა<იმას:

ბობოლ **იმა** ვეტყვით (ჩაქ.); **იმა** ძველათ ქერ ეტყოდენ (ბაზგ.); სიმღერას გამუუთქმევდენ **იმა** (ჩაქ.); **იმა** ფული აართვით ბოლათ (ბაზგ.)...

ამა<ამას:

ამა არ უყვარს (ბაზგ.); **ამა** სალონ ვუმახით (მან.); **ამა** ზენაგარა ქვია; **ამა** სონერი ქვია (ბაზგ.); **ამა** დააბრალებდენ, აბა?! (ჩაქ.).

იმავიათად შენარჩუნებულია **ს:**

იმას კომისთვინ ვიტყვით (ჩაქ.); **იმას** წასწევდენ წინ (ჩაქ.); „თავ“ ვეტყვით **ამას** ჩვენ (ჩაქ.); **ამას** ეკალი ქვია (ჩაქ.); დღუზგარი აქ **იმას**, ფერვანები აქ იმა (ბაზგ.); **იმას** ციცინათელას ვებნევით, ღამით ანთობს იმა (ჩაქ.); რა იჯება, **რას** იჯება? ამეზღამ **რას** იჯება? (ჩაქ.).

მიცემითი ბრუნვის ნიშანი იკარგება –**თან** თანდებულის ხმოვანფუძიან სახელებთან:

სართთან (<სარესთან) სიდედრი ყავს (დ.); **ჯამეთან** (<ჯამესთან) რომ იყო, ის არი (უ.); **მუსათან** (<მუსასთან) ვერაფერ ვერ დამახსენებს (ხევწ.); აქ ჩემ **დათან** (<დასთან) ახვალთ (ბაზგ.)...



იკარგება ნათესაობითი ბრუნვისნიშნისეული -ს მსაზღვრელ სახელებში:

ქორწილში, **პური** ჭამაში სუფრას დეიჭირვენ (უსტ.); **ჯანი** მიცემამდე ჭკვა ქონდა (მაჩხ.); **ტყი** ღორები სუქანი არიან (ზაქ.); **კარი** გამღებელი არა... (უსტ.)...

ს იკარგება **თანა** თანდებულის ნაცვალსახელთან:

არც ხორცი იქნება გერმელი **იმითანა** (ბაზგ.); ჩვენც ჩავსხამთ **მაგითანასა** (ა.)...

ამ ფორმათა ანალოგიით უნდა იყოს დაკარგული მსაზღვრელი კუთვნილებითი ნაცვალსახელის, თავისი ს:

იქ არი **თავი** (<თავის) ბაბოსთან, **თავი** ანასთან (ბაზგ.); **თავი** ანას უნდოდა ჩემი თავი (შავშ.)...

იმვითად შენარჩუნებულია ნათესაობითის ბრუნვისნიშნისეული ს:

ყრალი სული უდინს **ანწლის** ფურცელ (მან.); ყართოფ **ყანის** ქენერზე ვთესავთ (უსტ.); თავი ტკივილი გექნება, შეკივი, დეიკიდო'ნა, **თავის** ტკივილი მეც მჭირს (ზაქ.).

გვხვდება თანხმოვანთა დაკარგვის სხვა შემთხვევები:

ხშირია სახელის თავკიდურა თანხმოვნის დაკარგვა.

იკარგება მ:

ოთხი წელწადია არ ავსულვარ **თაზე** (ზაქ.); **თელმა** არ იციან (წეთ.); თქვენ **ძიმე** ხართ (სვირ.); **თავრობაში** ვიყავ, **თავრობაში** (ივ.); **ჟაუნამ** (<მჟაუნამ), ჰო, ემეა (სვირ.); უმუუსლელი **კვახეა** (ნიოლ.); არიან გელები (მან.); **ყრალი** სული უდინს **ანწლ** (მან.); ჩვენი დედემ **ჭედელი** იყო, **ჭედელიძე** გვარი არიო (მან.); ჩვენ ვიცით **წვანე** ლობიო (იფხ.); ეს არ იჭმის, **წარეა** (ნიოლ.)...

იკარგება რ:

ზემოთ ახვალ **კოც** არი (უ.); შენ **ძალი** იქვერი გყავს? (უსტ.).

შდრ. **რძალი** უარდა... მე **რძალთან** ვარ (იფხ.)

რ'ს დაკარგვის სხვა შემთხვევებია:

საიდან **ბძანდები**? (სვირ.); არ დეგელაპარიკება, **ცხვენია** (ზაქ.); რა სირცხვილი იყო, **მცხვენია** (უსტ.); მე ხომ კაცი არ ვარ, რატომ'ნა **შეგცხვენს** (სვირ.); ჩვენც ერთი თუთა **დაგვჩა** (ხევწ.)...

ახალგაზდები დიდ ქალაქებში არიან (ჩაქ.); აქ არ **გაზდილა**, ის **გაზდილა** მურღულ (უსტ.); **ღმა** ლელიებში წევდეთ (უსტ.);



გძელი ემე არია? (ჩაქ.); **ფთხილად** შეხედეთ თქვენ თავს (ა.); დაბუჟებისთინ კად არი, **ფჩხილებზე** წევსვამთ (ჩაქ.); ძველათ **ფჩხილ** არ დავაჭრიდით (მაჩხ.)...

შდრ. **ფჩხილით** წამოკარ, თუ თეთრია, კადა (ივ.).

სიტყვის დასაწყისში ზოგჯერ იკარგება ორი ბგერა:

გვალი ვაშლი არი (ჩაქ.).

რს დაკარგვას სამხრულ დიალექტებში განიხილავს მ. ფაღავა (იხ. ფაღავა, 2002(1):189-199).

რს დაკარგვის შემთხვევები დასტურდება სამწერლობო ქართულშიც.

ზრდ ფუძეში რს დაკარგვის ერთ შემთხვევას X საუკუნის ხელნაწერიდან (შინ. 39) იმოწმებს მ. ძიძიშვილი: **საზდელი** (ძიძიშვილი, 1960.:106). ამ ფუძეში ძველ ქართულში რ არასოდეს არ იკარგებოდა (ქავთარაძე, 1964.:137). გვიანი პერიოდის ქართული ლიტერატურის ძეგლებში რს დაკარგვა ხშირია:

„რუსუდანინი“:

ხელმწიფის შვილს **ზდა** დაუწყო (269,11); იყო ერთი ხელმწიფე, დავდომილთა **გამზდელი** (461,24); **გამოზდიდი** უძლურსა (144,28); გრძნეულთაგან **გაზდილი** გრძნებით შექნილი გახდა (54,4); **შემოზძანდა**, მიიხედ-მოიხედა (226,31); მაგისთანა ქართულსა რასათვის **მიზძანებ?** (365,27).

მაგალითები სხვა ძეგლებიდან:

რა იცნა, მაშინვე **ზძანა** (ყარ.386); კარგად **ბძანე** (არჩ. 450); მას თავი დაახსნევინა, **მოზძანდა** (არჩ.)...

ანალოგიურ მაგალითებს არჩილის თხზულებებიდან განიხილავს ლ. კობიაშვილი (კობიაშვილი, 1976.:83).

იკარგება ს: სამხრული მეტყველების ერთ-ერთი გავრცელებული თავისებურებაა **ს** თანხმოვნის დაკარგვა სწავლაში და ამ ფუძის ზმნებში:

დაჯექ, დაჯექ, **აწავლე** (უსტ.); არც არავის **ვაწავლი**, არც იმათი **წავლა** მინდა (უსტ.); გაწვიმდა, რაი'და **ვაწავლო?! (უსტ.);** ოქულში დადიან და იქ **დეწავლიან** (ჯვარ.); აქ, სკოლაში, არ **გვაწავლიან** გურჯულს (წეთ.); **ვიწავლე** ქართული (ჩიხ.).

ს'ანიანი ფორმა იშვიათია:

მაღარა **გასწავლათ** (ჩაქ.); მე არ მცალიაო და შენ **ასწავლეო** (ჩაქ.).



ქართული
ბიბლიოთეკა



ს იკარგება სხვა სიტყვებშიც:

არ მოვწრებივარ (ივ.); ჰო, წორეა (სვირ.); წორეს ამბობს, დალამდა (ბაზგ.).

შდრ:

სწორეთ არ ასულან, **სწორეთ** არ მისულან აქ (უ.).

ს ბგერის დაკარგვა წინაენისმიერ სამეულებთან საერთოდ გავრცელებულია ქართული ენის დიალექტებში. ხშირია ეს მოვლენა სხვა სამხრულ კილოებშიც.

ს ბგერის დაკარგვის ანალოგიურ მაგალითებს იმოწმებს შ. ფუტკარაძე (ფუტკარაძე, 1995.:24).

ივ. ქავთარაძე ს'ს დაკარგვას საერთოქართველურ მოვლენად მიიჩნევს. იმოწმებს მაგალითებს გვიანი პერიოდის ლიტერატურული ძეგლებიდან: **გავწორდებით, დავიწარი, დავწრებივართ** (ქავთარაძე, 1964.:140). შდრ. მიწასთან **გაწორა** და მოკლა (ყარ. 566).

ს იკარგება ასეთ შემთხვევებშიც:

შორ იყო, საცხან (ბაზგ.); აქიდან ფეხით ვერ იარ, **შორ** არი (ბაზგ.); ჰაჯერაჲ ჰად **არიო**, ქომო **არი**-მეთქი (ხევწ.)...

ბგერათა დაკარგვის სხვა შემთხვევებია:

იკარგება დ:

მე **კარგა** არ ვიცი (ჩაქ.); ბაღვი **სა** წედყანეს? (ბაზგ.); **სა** იყავით გუშინ? (ჩაქ.).

შდრ. **სად** წახველი? (ზაქ.).

იკარგება ვ:

ძველი სახელი **გამოცლილია** (ჩაქ.); მექთების **მასწალებელი** ვარ (უ.); **ქრივი** იყო (ხევწ.); **ექსი** თვე აქ ვარ, **ექსი** თვე იქ ვარ (ივ.); ქვა **გახრეტილი** ყოფილა (ჩაქ.); კაცი **მოიდა** (სვირ.); **წამოიდა** და ახლა იქ არიან (ბაზგ.).

კვდ ფუძეში **ვ'ს** დაკარგვის შემთხვევები ასიმილაციასთან დაკავშირებით ზემოთ განვიხილეთ.

იკარგება გ:

რავარი ქალი იყო?! (ხევწ.); წინ-წინ **რავარ** ვიყავით (ივ.); **რავარ** გითხრა, ვერ გვილაპარაკნია (ჩაქ.).

შდრ. **რავარ** უსაქმიან? (მაჩხ.).



რაგავი//რაგამ იკარგება ორი თანხმოდანი და რ: **რაგავარი>რაგარი>რაგავი(//ა):**

რაგამ ვიყავით მაილაში (უსტ.); **რაგამ** გითხრა (უსტ.).

ამ ფორმებს აქვთ ზმნიზედის მნიშვნელობა. ი (>ა) გაჩენილი უნდა იყოს იმ ფორმათა ანალოგიით, როგორცაა: **ადვილაი//ადვილაამ, ქართულაამ, ჩვენებურაამ...**, რომლებშიც ხმოვანფუძიან სახელთა ანალოგიით ვითარებითი ბრუნვისნიშნისეული **დ**ს დაკარგვის შემდგომ დართულია **ი//ა**.

იკარგება ლ:

სკინტ (<სკინტლ) გუულებსევედით (წეთ.).

იკარგება ნ:

სიმიდ ვთესევედით, ამდენი სიმინდი მოვიდოდა (ჩაქ.).

იკარგება ორი ბგერა:

მოლი ბვერი **გვაქ** (<გვაქეს) (უ.); სახლი დაყრილი **მაქ** (<მაქეს) (ბაზგ.); წყალი **მიმაქ** (<მიმაქეს)(ზ)...ცოტა **ფთხალი** (<მფრთხალი) ძროხაა (ხოხ.).

ზოგჯერ ზმნას აკლია ბოლო მარცვალი:

ღმერთო, **მოგვე** (<მოგვეცი) წვიმა-წყალი (ხევეწ.); ფარა **მომეო** (ჩაქ.); ფარა თექერენ უკან **მივე**; საქონელი გასაკვებლა **მიე** (ხევეწ.).

თურქული **თანე** „ცალი“ ახლავს რიცხვით სახელებს: **ორი თანე, ათი თანე...** „ერთი“ ამ სიტყვასთან გვხვდება როგორც სრული სახით, ისე ბგერამოკვეცილი (ჩამოშორებული აქვს სახელობითი ბრუნვის ნიშანი და ფუძის ბოლოკიდური თანხმოდანი:

ანამ ზათი ერთი თანე არი, გძელი არი, ანამ **ერთანე** არი (ბაზგ.); ბაჯალასაც ერთი ბიჭი ყავს, **ერთანე** კაცი (უსტ.).

„ერთი“ **თანე**სთან გვხვდება ფუძის სახითაც:

ახლა **ერთთანე** ვერ მუუტანიან (მან.).

ასევეა რიცხვითი სახელი **შვიდი**:

შვიდი თანე აათავე, რაცხა გინდა, შვიდი თანე აათავე... მარილიც **შვიდთანე** (ჩაქ.); **შვიდთანე** და აათავეო (ჩაქ.).

ორი **თ** შენარჩუნებულია თურქულ რიცხვით სახელთან დორთ „ოთხი“:

შვილი ორი თანე დამჩა, **დორთთანე** მყავდა (უსტ.).

ხმოვანთა დაკარგვა იშვიათია, მაგრამ მაინც დასტურდება:

ა: ახლა **სიდამ** (<საიდამ) მოდიხართ? **სიდან** ბძანდები, **სიდან** მოხვალ? (სვირ.).



ე: ჩვენი **ნახვარი** (ნახევარი) ქართული ენაა (ხევწ.); **ნახვარი** მილეთი ველარ მიცნია (ბაზგ.).

შდრ. **ნახევარ** კოვზი ურთო'ნა (ზენ.).

ი: ოთხი **წელწადი** ვიკითხე (უ.); ორი **წელწადი** მარტო ვარ (მან.)...

3.4. ბგერათა ჩართვა

ბგერის დაკარგვის პარალელურად არის ბგერის ჩართვის შემთხვევები, თუმცა შედარებით ნაკლებად.

ჩართულია ვ:

იმსომ ცივა, ქი **ყვინავს** სიცივე (ჩაქ.); ზემოდან ასე **გალობვილი** ყოფილა (უსტ.); **მდულვარე** ამოდის ცხელი წყალი (ჩაქ.); მოვთიბავ, შევდგამ, **მასკვან** გავციდავ (ხევწ.); **მასკვან** წედაყვანა ართვინ (უსტ.).

შდრ. რაცხა რომ ახლა **მოღობილია** (ბაზგ.).

მასკან გვხვდება აჭარულში, მისი მნიშვნელობაა **შემდეგ**, მიღებულია ორი სიტყვის შეერთებით: **მას უკან-მასკან-მასკვან**.

ჩართულია მ:

ყველამფერი მავიწყდება (დავ.); იქ **რაცხამფერი** მიქონდენ (ჩაქ.); აქ ემეები არ **მცხოვრობენ**, აქ ვინცხა **მცხოვრობენ**, იმათიდან'და მოკრიფონ (ზ.მ.); ჯენევიზების **სამცხოვრო** არი (უ.)...

შდრ. იქ **ცხოვრობენ** (ნიოლ.).

ზმნიზედა „**უმფო**“ მომდინარეობს ზედსართავისაგან **უმფროსი**, რომელშიც მ ჩართულია **უმცროსის** ანალოგიით (რ დაკარგულია):

ის **უმფო** ხას პურს აცხოზდა (ბაზგ.); ის ადეთი **უმფო** კამ იყო (შავშ.)...

გვხვდება დისიმილირებული **იმფო**:

მე თურქჩა **იმფო** არ ვიცი (დ.); ეს სობა **იმფო** არ აცხოზს (ბაზგ.); მეშველაძე **იმფო** მოკლეა (ჩაქ.)...

ჩართულია ნ:

ყრალი სული **უდინს** ანწლის ფურცელ (მან.).

შდრ: ის იჭმის? სული **უდის** (ზაქ.).

აქნიდამ (<აქიდამ) ვერ გადავალთ (უსტ.); შენ საქმე **დაგლევნია** (ხევწ.); იმისთინ არ **მითიზნებია** (ხევწ.); **ემერთმევნია**



თელი (ხევწ.); დრო აქვან, **მოხევის** დრო (ჩაქ.); (იგულისხმება ტყეში ხის მოჭრის, „მოხევის“ დრო).

ჩართულია რ:

ზემოთ ახვალ **ცხრემლა** არი (უ.);
შდრ. დავკაფო'ნა **ცხემლები** (ჩაქ.).
აქ **სათივრებია**, ჭალებია (ზ.).

ჩართულია პ:

ბავალა არიო, **ნაწნები**, თმიებშიო ასე ჩასული აქო (ჩაქ.);
შდრ. წელზე ასხია **ნაწნები** (უსტ.).
მთქმელი განმარტავს: „ნაწნები“ - ორი თანე თუა, „ნაწნავი“ - ერთი თანე (მაჩხ.).

ჩართულია ლ:

ცხენით მეყვანეს ქი, **ჩამუახტუმლებენ** (ჩაქ.); არ **გედეიხტუმლება** და იმაზე ამბობენ (ჩაქ.).

ჩართულია ღ:

აქ თოვლია, **ჟღვაგია**(<ჟვაგი) (უ.).

3.5. სუბსტიტუცია

მრავალია სუბსტიტუციის - ბგერათა შენაცვლების მაგალითი (მათ შორის სხვა დიალექტებიდანაც ცნობილი).

მ/ზ: **ზუმ** დამწვა (ხევწ.); **ზზე** ადგება, ბზათა ქვია (წეთ.).

მ/ნ: არ გაწვიმდება, **კანკამებს** (<კამკამებს) (უსტ.); ღარჭმა **მეინდონა** (იფხ.).

შდრ. მეგემ იმის ბაჯოს შვილი **მოინდომა** ჩვენმა ღარჭმა (მაჩხ.).

ვ/ნ: ზოგი **მახსონს** (უ.); **კიდენ** დადიან ესენი (ჩაქ.).

ვ/მ: **სიმაგრმა** ბარსამხან არბენია (ჩაქ.). შდრ. ესეც ჩემი **სიმამრის** ზმამა (ნიოლ.).

ნ/მ: **ამამ** (<ამან) არ მამღერა, დიმიშალა (მაჩხ.).

ნ/ლ: დადგა ბეთი **სული**, ყრალი **სული** (შავშ.).

ჟ/ჯ: ე რა **ჯავე** (<ჟავე-მჟავე) გამოდგა (უსტ.); **ჯავეს** ჭამს (სვირ.); **ჯავეს** ჩავდებთ (ნიოლ.); იი აღარ **დამჯავდება** (ბაზგ.); დათვი **ანჯავებს** და ისე ჭამს (უ.)...



ბოლო მაგალითში **ჟ/ჯ** შენაცვლებას ერთვის **მ/ნ** ზგერათა სუბსტიტუცია. ეს მონაცვლეობა (აფრიკატიზაცია) განპირობებული უნდა იყოს თურქული ენით, რომელშიც არ არის **ჟ** ფონემა.

ძ/ზ: თურქული ენის გავლენით უნდა აიხსნას **ძ/ზ** თანხმოვანთმონაცვლეობა - დეზაფრიკატიზაცია (თურქულს არა აქვს **ძ**):

თურმანიზე სოფელია (ჩაქ.); **ზველი** ბინა იყო (უსტ.); ესეც ჩემი **ზმაა** (ნიოლ.); აქ მარტო **აზოვებენ** (უსტ.).

შდრ. ცხელა და არ **ძოვენ**, არ **ძოვს** ჩემიც (ხევწ.).

ეს **ნაზვია** (უ.); აიშეს **დუუზახ** (ზ.); **ყურზენი** ფენა მოდიოდა (უსტ.).

შდრ. ადესა, დათუნა **ყურმენია** (უ.); **გუუზლო**’ნა და (ხევწ.).

ერთსა და იმავე წინადადებაში გვაქვს ფონეტიკურ ნიადაგზე მიღებული და ამოსავალი ფორმაც:

არ **დაგვაძინეს**, არც მათ **დეფზინეს** (უსტ.).

გვხვდება საპირისპირო შემთხვევაც: **ზ** თანხმოვნის ნაცვლად არის **ძ**:

ესკიდან მარილი ბათუმიდან უწიკავთ **ძრუგით** (ბაზგ.).

ც/ს მონაცვლეობის საფუძველიც დეზაფრიკატიზაციაა:

ძველი **ჭურჭელის** (=ჭურჭელიც) აღარ არი (ჩაქ.). ზათი კითხვაც არ **ვისით** (<ვიციტ) (უსტ.); ნენიეფ უფრო **ესოდინებიან** (<ეცოდინებიან) (ნიოლ.); **ლაზების** (<ლაზებიც) ქართველები არიან (ხევწ.); ახლა **ოსდაექსი** (<ოცდაექსი) არიან (ხევწ.); სხვამა არ **ისიან** (<იციან), მე **ვისი** (<ვიცი) (ბაზგ.); მე თელ **მევსემ** (<მივცემ) (ჩაქ.); **მეს** (<მეც) გაგონილი ვარ (ბაზგ.).

პარალელური ფორმებია **ლიცე/ლისე**:

ლიცეში აქ, ემეში, იყო, ართვინ (ჩაქ.). შდრ. მაარჩინა **ლისე** (მან.).

ს/ჰ:

იმაჰაც (<იმასაც), **ამაჰაც** (<ამასაც) „კოშ“ ვეტყვით (ჩაქ.); **ჰა** (სა<სად) მიხვალ? (ივ.); არ ვიცი მე, **ჰიღამ** ჩდება (ბაზგ.).

შ/ჩ: შორვას **ვხარჩავდი** (<ვხარშავდი) (ჩაქ.). შდრ. იმას ქი მოჰკრეფენ, **მოხარშვენ** (ხევწ.).

ქ/კ: აქ **კლიავი**, თხილი იცის (ნიოლ.). შდრ. **ქლიავებიც** არი (ბაზგ.).

პ/ფ: ესენიც გახდენ **ფატრონი** (ნიოლ.).

პატრონი>**ფატრონი** თურქული ენის გავლენის შედეგი ჩანს.



სიტყვის ბოლოში მჟღერი თანხმოვანი ყრუვდება, გვაქვს მჟღერ და ყრუ თანხმოვანთა მონაცვლეობა:

ბ/ფ: ვდერდოფ, გული მეწვის (ხევწ.); **შედეფ**, შეინახავ (ჩაქ.).

ერთი და იმავე პირის მეტველებაში დადასტურდა **ბ/ფ** მონაცვლეობა:

კაკლით ბორეგ **ვაკეთეფთ**, იმასაც **ვაკეთებთ**, პარკი **ლობიოსაც** (უსტ.)..

დ/თ: ძველათ წევდოდით (უსტ.); დმერთი **სათ** არი, შენი საქმე არ არი (მან.).

სტ/შტ: დოუშტვინეთ (დოვუსტვინეთ< დავუსტვინეთ), უკან გამეძქცა (მაჩხ.).

დადასტურდა ხმოვანთა მონაცვლეობის რამდენიმე შემთხვევა:

ი/ე: სახლ უკნედან (<უკნიდან) **ტყიმალი**, კუნწალ-კუნწალ კიღია (მან.);

წინედან გაძლომა უნდა, **უკნედან** აინალს დაჭირვა უნდა (უსტ.).

შდრ. სოფლის **უკნიდან** გოლია (ბაზგ.).

ო/ე: საღამემდე (<საღამომდე) ყვიროდა (ბაზგ.)...

გვხვდება ხმოვანთა კომპლექსების მონაცვლეობაც:

აუ>ავ: უ ვიწროვდება, იქცევა **ვ** თანხმოვნად: უ>ვ:

აქავრი ქალი იყო ჩემი ანალული (ბაზგ.); ჩვენი ბაღნები

იყვნენ, **იქავრი** (უსტ.).

ხაზგასმული ფორმების პარალელურად გვაქვს დისიმილირებული **აქევრი** (<აქავრი) და ასიმილირებული **იქევრი** (<იქავრი):

აქევრი უფრო თეთრი არიან ჩვენ ჩიჩეგზე (ბაზგ.); **იქევრი**

წყალი დაჰა კადა (ნიოლ.).

ამავე რიგის ჩანს **სიდევრი**:

მე **სიდევრი** ვარ, იცი? ამ სოფლისა ვარ (ბაზგ.).

სადაური>სიდაური>სიდაპრი>სიდავრი>სიდევრი.

უი>ვი:

ტყვილი ტყვილს იპოვს; თქვენ **ტყვილი** არ ყოფილიყავით,

ტყვილ კაც არ იპოვიდით (ჩაქ.); **ტყვილ-ტყვილს** ნუ იფიცავთ (შავშ.).

ტყუილი>ტყვილი.

ძველი ქართული ენის ძეგლებში ხშირია **ტყუილი** და **ტყუილი** ფორმათა მონაცვლეობა.

ეუ>ევ: გარეული არიან (ბაზგ.).

გარეული>გარეული.

3.6. მეტათეზისი

შავშურში ბევრია მეტათეზისის - ბგერის გადასმის შემთხვევები.

ხს>სხ: საერთოდ სამხრულ დიალექტებში ფართოდ გავრცელებულია მეტათეზისი **ხსნ** ძირის შემცველ ფორმებში:

გასხნა კონსერი (შავშ.); გზა არ **გეისხნა** (უსტ.); გზა **გეისხნება**, გათოვდება, ჰუქუმეთი **გასხნის** გზას (ჩაქ.); დუქანი მაქ **გასხნილი** (სვირ.).

ზოგჯერ ერთსა და იმავე წინადადებაში გვაქვს ორივე ფორმა:

გათოვლდა ამაღამ, ხვალ **გასხნის**, გეგვისხნის ჰუქუმეთი, **გეგვისხნის** (ჩაქ.).

მღ>ღმ:

ღმერა არ არის (სვირ.); აქ იმდენ **იღმერებენ**, ქი ვერ დაწერავ (ჩიხ.).

შდრ. თქვენ გურჯი **მღერა** გინდანან (ბაზგ.); ამანაც კად **მღერა** იცის (უსტ.).

ზურ(//>**ზრუ**) გავრცელებულია მთელ სამხრულ მეტყველებაში:

ზრუგზე (<ზურგზე) ევკიდებდით (უსტ.); **ზრუგზე** მედვიდავ (ჩაქ.).

სხვა დიალექტებშიც ცნობილი ფორმებია: **თუთხმეტი**, **ღურბელი**, **ძვილაძე**:

თუთხმეტი (//**თხუთმეტი**) სოფლის ქილისა ყოფილა (ა.);
ღმერთმა აქვერი **ღურბელი** (//**ღრუბელი**) არ დაგანახვოს (ხევწ.);
ძვილაძე კალთით მევტან (ხობ.)....

შავშურში ნორმა ჩანს **გერმელი**<**გემრიელი**. მეტათეზისს ერთვის ი'ს დაკარგვა:

რა **გერმელი** იყო ყველაფერი (ბაზგ.); **გერმელათ** ლაპარაკობდა (ბაზგ.).

ამ სიტყვისაგან ნაწარმოებია **გერმელობით**, **გააგერმელებს**:

იცოცხლეთ **გერმელობით**, **გერმელობით** წადით, **გერმელობით** მოდით (ჩაქ.); მარილს ემეს იჯებიან, **გააგერმელებს** (ჩაქ.).

მეტათეზისის მაგალითია **ლესვი** (<**ლექსი**). ბგერის გადასმას ერთვის სუბსტიტუცია:



მე **ლესკები** არ ვიცი (ბაზგ.); ჩემ ანას ბაბოშ, დედემ გამუთუქვა **ლესკი** (შავშ.).

შავშური დიალექტის ერთ-ერთი გავრცელებული თავისებურებაა პირველი სუბიექტური პირის ნიშნის მეტათეზისი.

სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია **ვ** პრეფიქსის მეტათეზისი ძველ ქართულში **ხ, ჰ** თანხმოვნების მომდევნოდ: **შეხვაბთ>შეხვაბთ>შეხუაბთ; ვხეტყვ>ხვეტყვ> ხუეტყვ** (შანიძე, 1986.:278). თ. უთურგაიძის აზრით, „მეტათეზისი ძველ ქართულში ხდება ფონოლოგიური მოთხოვნილებით. **ვხეტყვი** ფორმაში **ვ** ფონოლოგიურად შეუთავსებელია **ხ**ს მომდევნოდ”. მკვლევარი აქვე შენიშნავს, რომ დიალექტებში იძებნება მეტათეზისის შემთხვევები ამ კომბინაციაში (უთურგაიძე, 2001.:55). ამ მოვლენაზე ყურადღებას ამახვილებს მ. სუხიშვილი. იმოწმებს სხვა მკვლევართა მიერ ქართული ენის ზოგიერთ დიალექტში დადასტურებულ სამ ზმნას: **ტვირი**(<ვტირი), **ღვაობ** (<ვდაობ), **ღვეები** (<ვღვეები). დასკვნა ასეთია: „სუბიექტური პირველი პირის (**ვ**-) მორფემის პოზიცია სამწერლობო ქართულსა და ქართული ენის დიალექტებში, სხვა ქართველურ ენებში არაა მყარი” (სუხიშვილი, 1986.:55). მოვლენის მიზეზი **ვ**ს ბუნებაში უნდა ვეძიოთ. მეტათეზისი მოუდის არა მარტო პირის ნიშან **ვ**ს, არამედ ზოგადად **ვ** თანხმოვანს გარკვეულ პოზიციაში.

შავშურში **ვ**ს გადასმა (რამდენიმე ზმნაში) გავრცელებული მოვლენა-ნორმაა.

ვყიდი ჰო, **ჰვამთ**, სახში (ბაზგ.); ღორი აქ ბევრია, ჰამა ჩვენ არ **ჰვამთ** (უსტ.); მემრეც გამუაცხოვთ, **ჰვამთ** (უსტ.); **ჰვამთ** ლამაზად (ჩაქ.); გერმელათ ვილაპარაკეთ, ახლა **ჰვამოთ** (შავშ.); აგზე მეხსუს **ჰვამ**, ქი მილეთი მოიდეს და ერთათ **ჰვამოთ** (მაჩხ.); ზამთარში **ჰვამთ** (დავ.); ჰადდე, პური **ჰვამოთ** (მაჩხ.); რად გვაქ, რად **ჰვამოთ?** (მაჩხ.); ახლა აღარ **სვამოვთ**, ძველათ **სვამოვდით** (უსტ.)...

ამ თვალისაგან სწორედ ვერ **ხვედავ**, ამიდან **ხვედავ**, ამიდან ვერ **ხვედავ** (ბაზგ.).

აქაც **თვესავთ**, **ჰვამთ** (უსტ.).

ვ გადასმულია ხმოვნის მომდევნოდაც:

მე ლიმონ **უვრევ** (<ვურევ). შდრ. სამი ხარი გყყავს, ძროხებში არ **ვურევთ** (ხევწ.); ლობიო **ვურევთ** (ჩაქ.).



გადასმული ვ უმარცვლო უთი არის შეცვლილი, აღქმულია ფუძისეულ ბგერად, ამიტომ ზმნას ერთვის პირის ნიშანი - პრეფიქსი ვ-:

ვკლავთ და არ ვჭუამთ (უსტ.).

საპირისპირო ჩანს შემდეგი ფორმა:

ჰემ სვამ, ჰემ მივართვამთ (მაჩხ.).

ხაზგასმულ ფორმაში ფუძისეული ვ გაგებულია გადასმულ პირის ნიშნად (ისევე როგორც ვჭამ ზმნაში), ამიტომ არა გვაქვს ვ- თავსართი - პირველი სუბიექტური პირის ნიშანი. სვამ, რომ პირველი პირის ფორმაა, ჩანს მეორე ზმნით „მივართვამთ“.

დასტურდება სვავთ:

ჩაის გავაკეთებთ, სვავთ (ხოხ.).

აქაც გადასმულია პირველი სუბიექტური პირის ნიშანი, -ამ თემის ნიშანი შეცვლილია -ავით.

ვ გადასმულია რიცხვით სახელში რვა:

ვრა წელიწადი გახდა (ბაზგ.); ვრა თანე დერგი იყო (უსტ.);

წყალ დაარუნიებ ვრა დღეში (უსტ.); შვიდი-ვრა კაცი იყვენ (მან.);

შუათანა ოცდავრა წლისაა (უ.); თორუნიები ავსილი არიან - ათი და

ვრა (მაჩხ.).

მსაზღვრელად გამოყენებულ ნათესაობითის შეკვეცილ ფუძეშიც გადასმულია ვ:

ვრა თვისაა (ბაზგ.)...

3.7. ბგერათა შერწყმა

ვა>ო:

სხოგან გერმელი წყალი არ არი (ბაზგ.); ძველი გორი

მესხაძეებია (ხოხ.); ცაცხვის ყოვილი ჩემ ძალმა მოკრიფა (მან.);

თქვენი სიმღერები რაგორი არიან? (ბაზგ.).

პარალელური ფორმებია კვამლი და კომლი, მარტვამ და მარტომ:

ახლა სამოცი კვამლია (ჩიხ.); ოცი თანე რჩებიან, ოცი კვამლი

(ჩაქ.).

შდრ. თორმეტი კომლი დარჩება (ჯვარ.);

მარტვამ ქი დავჩი, მარტვამ (ბაზგ.); მარტომ დავჩი ფენა

(უსტ.); მარტომ დახევდა ასე შეშას (უსტ.)...



გვხვდება საპირისპირო შემთხვევაც: მოსალოდნელია, რომ ნაცვლად არის

ვა:

დიდრვანი (<დიდრონი) ფოტოები იყო (მან.); **დიდრვანები** ლაპარიკობენ (იფხ.); **დიდრვანები** დეფხოცნენ, გენჯები არ მოდიან (უ.).

შდრ. **დიდრონები** ლაპარიკობენო (დავ.); [ლახანა] ასე თეთრი თავებია, **დიდრონი** (უსტ.).

გოგოვ, შენზე თვალი მაქ, შენ ანამ არ **შეგვიტყვას** (ბაზგ.); მოჰკლავ, არ'ნა **შიგიტყვან** (ჩაქ.).

ევ>ო:

დაგასხა **კიდო** (<კიდევ)? (ზაქ.); **კიდო** მიდიან იქა (ნიოლ.).

ვე>ო:

ქომო (ქვემო) სოფლიდან ვერ ამაადინეს (უსტ.); დირეგი(ს) **ქომოდან** წისქვილია (უსტ.); **ქომო** ცოტა დუშულია (უსტ.); მუსაფირ **დაჩოვლი** (<დაჩვეული) ვართ (დ.); **ჩონ** ღმერთი(ს) ხელში ვართ, **ჩონ** ხელში არაფერი არ არი (მაჩხ.); ახალდაბა **ჩონი** სოფელია (ხალდ.); თქვენ ღვინოზე **დაჩვევლი** ხართ (ზაქ.); **დაჩვევლი** ვარ გურჯა (უსტ.)... **ყოლაფერი** (<ყველაფერი) მოგაგონდება (ხევწ.); აქ ყოლაფერი მოვა (დავ.); **ყოლა** (<ყველა) მედარეთ? (ჩაქ.)...

უ დავიწროვდა: უ>ვ:

ვე არ არის შერწყმული:

ყალე არაა დანგრეული, **ეტყვება** (დას.); მეტი წუნკერია, თავის თავმა დააბერა, **ეტყვება**, ვერ ხედავ? (ბაზგ.); ერთ წელიწადზე შვიდი მოზვი, შვიდი სული გაყიდო, ახორ **დეეტყვება**? (ბაზგ.); ფული თუ გაქ, **ყველაფერი** გაქ (ჩაქ.).

3.8. კონტამინაცია

„გარეთ“ ზმნიზედის მნიშვნელობით შავშურში (აჭარულშიც) იხმარება **გარში**. იგი მიღებული უნდა იყოს „გარეთ“ და „კარში“ სიტყვათა შერწყმით. ეს ზმნიზედები ხშირად გვხვდება ადგილის გარემოების მნიშვნელობით:

კარში არ გუუშვებდით, არ შუუქციოსო (წეთ.); ათი თანედან ცხრა **კარში**, გარეთ არიან (ივ.); ჩვენ ავწევთ, გამევიტანთ **კარში**



(ზ.); ჩემზე ძალად არიან, ვერ გაქანებულან, **გარში** ვერ გასულან (ივ.); ასი კაცი სოფელშია, ექვსასი - **გარში** (მან.).

„ბევრი“ და „მრავალი“ სახელების კონტამინაციით ჩანს მიღებული „ბრევი“:

ყალბეც არი, **ბრევიც** არი (ჩაქ.)...

§4. ფონეტიკური ცვლილებები ნასესხებ სიტყვებში

ფონეტიკური ცვლილებები დასტურდება თურქული ენიდან შესულ სიტყვებშიც. ამ ცვლილებათა წყარო შეიძლება იყოს თურქული ენის დიალექტები, ან თვით ქართული ენა, - მასში მოქმედი კანონები.

ფონეტიკური პროცესების შედეგად შავშურ დიალექტში გვხვდება თურქულიდან შესული ერთი და იმავე სიტყვის სხვადასხვანაირი ფორმა, რომელთა საფუძველი ჩანს ასიმილაცია, დისიმილაცია, ბგერის დაკარგვა, ჩართვა, სუბსტიტუცია...

1.ასიმილაციის საფუძველზე უნდა იყოს მომხდარი შემდეგი ცვლილებები:

Asker „მეომარი“, „ჯარისკაცი“, „არმია“ - ასკერი//ესკერი:

ამ **ასკერს** ერთი თანე გურჯი ახლავს (ჩაქ.); იქვეც **ასკერი** არი (ნიოლ); ჩვენმა **ასკრებმა** დიმიჭირეს (დავ.)...

აქიდან ჩვენი **ესკერი** წვიდა (ივ.); წევდა ჩემი კაცი **ესკერში** (უსტ.); **ესკერში** წასული არ იყო ჯერ (ბაზგ.)...

Kenar „განაპირა“, „კიდე“ - ქენარი//ქენერი:

სარფი(ს) დენიზი(ს) **ქენარში** ჩამოსული ვარ მე (ზაქ.); იგზე ჩემი ტყუპები იყვენ ყანი(ს) **ქენერზე** (სვირ.); **ქენერს** შეხედე (სვირ.); ყართოფ ყანი(ს) **ქენერზე** ვთესავთ (უსტ.); მინდორი სადაც არ მუუდგება, მანგლით ვკოლავთ **ქენერებზე** (ა.)...

Mahale „უბანი“ - მაჰალე//მეჰელე:

ქომო **მაჰალე**(ს) ჰეჩ თურქჩა არ დუულაპარაკია (ჩიხ.); **მაჰალეში** დგას (ხევწ.); იმ **მაჰალეში** გახვალ, იპოვნი (ჩიხ.); მე ქომოდან გამოთხოვილი ვარ, ჰევი(ს) **მეჰელედან** (ზ.)...

Tekrar „ისევ“, „ხელახლა“ - თექრე//თექრენ//თექრენა:

თექრე ჩამოხველით? (ზ.); **თექრენ** მოდიან, წადიან (ზ.); წევდეთ **თექრენ**, წევიდენ, **თექრენ** მოიდენ (შავშ.); დაბრუნდებით **თექრენა** (უსტ.)...



ამ ფორმებში მონაცვლეობს რ//წ თანხმონებებიც.
2. ქვემოთ დასახელებული ფორმების საფუძველი დისიმილაციაა:

Biteviye „მთლიანი“, „მთლიანად“, „ყველა“ - ბითევი//ბითევათ // ბითა-
ვი// ბითავე//ბითთავა:

ზამთარში ზოგი წავლენ, **ბითევი** არა (ივ.); **ბითევათ** ვერ
ვაფერებთ სიტყვას (ბაზგ.); **ბითავი** სირათ არ ვიცი (ბაზგ.);
[წარბები] **ბითავე** გავყარე (ხევწ.); **ბითთავა** ლურსი ამას აწვება
(მან.)...

Bütün „ყოველთვის“, „მუდამ“ - ბუთუნ//ბითუმ:

დუზები **ბუთუნ** დათხრილია (უსტ.); დედასავეთ **ბითუმ**
კაძნა იყოს (იფხ.); ამფერი **ბითუმ** იქნებოდეთ (ბრ.)...

Eziyet(ti) „წვალება“, „ტანჯვა“, „ჩაგვრა“, „შეწუხება“ - ეზიეთი//ეზიათი:

ეზიეთ ვერ მივცემ (დ.); „ჯან აძლევსო“ ვიტყვით, „სულის
ეზიეთშია“ (ბაზგ.); ბევრი **ეზიათიც** გამევარე (უსტ.); ფენა **ეზიათი**
იყო (ბაზგ.); ლახანას არ ვთესავთ, ჰაზირ ვიღებთ ჩვენც, რატონ
ეზიათი ვწიოთ? (უსტ.)...

Yegen „ძმისშვილი“, „დისშვილი“ - ეგენი//ეგანი:

ეს ჩემი **ეგანია** (ივ.); **ეგანი** ორთავა - დისშვილი,
ძმისშვილი. ჩემ **ეგანმა** წიგიყვანონ (უ.); მემედა ჩვენი **ეგანი**
ყოფილა (ივ.); აქვერი **აეგანი** (ბაზგ.)...

Ogretmen „მასწავლებელი“ - ორეთმენი//ორითმენი:

მე ქართული არ ვიცი, **ორეთმენი** ვარ (მაჩხ.); **ორეთმენები**
ხართ? (ჩაქ.); ბათუმიდან იყვნენ, ერთი **ორითმენი** ეხლენ (ბაზგ.);
ჩემი კაცი **ორითმენია** (დ.); იქავრულები **ორითმენები** ყოფილან
(ჩაქ.)...

Pencere „ფანჯარა“ - ფენჯერე//ფენჯერა:

კარ ვაკეთებ, **ფენჯერას** (ბაზგ.); ათოლიე გვაქ, კარებ
ვაკეთებ, **ფენჯრებ** (ბაზგ.); ქართველმა უთხრა, **ფენჯერზე**
დადგო (შავშ.)...

Ramazan „მარხვა“ - რამაზანი//რემეზანი:

რამაზანს ვიჭირავთ (მან.); ჩვენი **რემეზანი** ყოფილა ერთ
თვეში ყოლთინ (მან.); **რემეზანზაირამი** ვიცი, **რემეზანს**
დეჭკირავთ (ზ.)...

Zengin „მდიდარი“ - ზენგინი//ზენგილი:



მოსულან მეგერ სამი ეშხია და **ზენგინს** უთქვია (ბაზგ.); ...
 ჰამა ი **ზენგილი** იყო, მე არ ვარ **ზენგილი**, რა მიმეცა, თუ **ზენგილი**
 ხარ, იქ (ხოხ.); **გაზენგილებულა** და ცხვირი დიდი გუუზდია
 (მაჩხ.)...

3. ზგერის ჩართვა:

Urba „ტანსაცმელი“ - ურბა//ურუბა:

ურბას უუტანებენ (ზ.); **ურბას** გუურცხი (მაჩხ.)...

შეკვაზმავთ, **ურუბას** ჩავაცვამთ, გავაკეთებთ (ზ.); ნიშნის
 გაცლაში **ურუბა** მუუტადთ ბიჭის თერეფ (სვირ.)...

4. სუბსტიტუცია:

შედარებით მეტი ჩანს სუბსტიტუციის შემთხვევები:

Aferin „აფერუმ“, „ყოჩალ“, „შესანიშნავია“ - აფერუმ//აბერუმ:

აფერუმ, ღმერთმა ყველა ყეზადან გადაარჩინოს (ხევწ.);
 თორუნები გყავს? **აფერუმ!** ღმერთმა მოგცეს (მაჩხ.); **აბერუმ!** მე იქ
 ვარ (ხოხ.)...

Akşanamaz „სალამოს ლოცვის დრო“ - ახშანამაზ-ი//ახშალამაზ-ი:

ახშანამაზზე ბზე ჩემურვის (ჩაქ.); **ახშალამაზიხან**
 გადადგომია დათვი ზემოდან, ტყიდან (ხევწ.)...

Ancak „ძლივს“, „როგორც იქნა“, „მხოლოდ“ - ანჯახ//ანჯალ:

ანჯახ გავთბი (ხევწ.); **ანჯახ** მოგკრიფე (ზ.); ის **ანჯახ**
 ღმერთმა იცის (იფხ.); თავლ არ ვყიდავთ, **ანჯახ** ვყოფნილობთ
 (ჩიხ.); ათ და ხუთ **ანჯალ** ვართ (მან.)...

Bakir „სპილენძი“ - ბახირი//ფახირი:

იმ ემეში **ბახირი** და ალთუნი არი მიწაში (უ.); **ფახირიდან**
 გაკეთებულია კარდალა (მაჩხ.).

Deniz „ზღვა“, **Karadeniz** „შავი ზღვა“ - დენიზი//დენისი:

ჩემი ღარჭი **დენიზში** მოხარშულა (სვირ.); **ყარადენიზი** არი
 თქვენში? (მან.); წუხელი თელევიზიონში ვუყურებდი,
ყარადენისი ტიროდა (ნიოლ.)...

Hemenki „თითქმის“ - ჰემენქი//ჰამანქი:

ჰემენქი ბვერი არი (უ.); **ჰამანქი** ძუხელლი ხასთანიმ ვიარე
 (ხევწ.); დედამთილი, სამი წელიწადია, მოკდა, მამამთილი -
ჰამანქი ოცი წელიწადი გახდა (ბაზგ.)...

Heralde „როგორც ჩანს“, „ყოველ შემთხვევაში“ - ჰერალდე//ჰერალდა:



ისე **ჰერალდე** ღვინოზე დაჩვეული ხართ (ზაქ.); ისე უთხრა **ჰერალდა** (ჩაქ.); **ჰერალდა** შარავ აკეთებენ (უსტ.)...

Hiç „სრულად“ - ჰიჩ//ჰეჩ:

სობას **ჰიჩ** არ ვაპარებთ (მან.); ცუდეთ მარეს, **ჰეჩ** არ იყაბულეს (უ.)...

Yşte „ერთი სიტყვით“, „ამგვარად“, „ამრიგად“ - იშტე//იშტა:

დავდივარ **იშტე** (ზრ.); ესენი რომ წამოგეყვანა, ახლა იქ ვიქნებოდით **იშტე** (ზაზგ.); ხან-ხან ურევს **იშტე** (უსტ.); აქევრი დოღრი გურჯები არიან **იშტა** (ზაზგ.); ჩემი ღარჭი **იშტა**, მეჰმედა... (უსტ.)...

Meger „თურმე“ - მეგერ//მეგემ//მეგრემ//მეგერა:

მეგერ მას უნდოდა ჩემი თავი (შავშ.); **მეგემ** იმის ბაღვის შვილი მეინდონა ჩვენმა ღარჭმა (მაჩხ.); **მეგერა** რუსმა გადმაყარა შექერი (უ.); ძველათ **მეგრემ** აქ მაჭეხლელს ცხენით ძალი მიაქ (ზაზგ.)...

ფორმაში **მეგრემ** გადასმულია ე და ჩართულია მ.

Misafir „სტუმარი“ - მუსაფირი//მოსაფირი:

მუსაფირ დაჩოვლი ვარ (ხოხ.); დეგანია, ჰამა მოსული **მოსაფირია** (ზაზგ.)...

Mutfak „სამზარეულო“ - მუთმალი//მუთბალი:

მუთმალი ჰურის საჭმელი ოდაა (მან.); ეს ტანტრაბაა, ეს **მუთბალია** (ნიოლ.).

Pekmez „ხილის დადუღებული წვენი“ - ბექმეზი//ბეთმეზი:

თუთიდან **ბექმეზ** ვაკეთებთ (უ.); **ბექმეზია**, ლეჩერს მოჩოჩთაა უნდა (სვირ.); შვიდ დოხტრის ილაჯია **ბეთმეზი** (დავ.); **ბეთმეზ** მოვადუღებთ (დავ.).

Sarap „ღვინო“ - შარაფი//შარაბი:

ჰერალდა **შარავ** აკეთებდენ (უსტ.); **შარაბი** იყო იშტე ბევრი (უსტ.)...

Zaten „ისეც“, „ისედაც“, „უწინ“ - ზათენ//ზათინ//ზათი:

ზათენ აღარვინ აღარ წავლენ იქ (ჩაქ.); **ზათინ** ბევრი გყავდა ხარები (წეთ.); ჩემ დედამთილ **ზათი** სამი ბიჭი ყავს (ჩაქ.)...



5. ზოგი პარალელური ფორმის საფუძველი არის თურქული h-ს შესაბამისი ჰ თანხმოვნის დაკარგვა, ჩართვა ან მისი შენაცვლება ხ თანხმოვნით:

დაკარგულია ჰ:

Hükümet „მთავრობა“ - ჰუქუმეთი//უქუმეთი:

ქართველებ **უქუმეთი** არ ქონიან, არეული ვიყავით (უ.);

უქუმათი არ გვეშველება (ნიოლ.).

შდრ. გათოვლდა ამაღამ, ხვალ **ჰუქუმეთი** გეგვიხსნის (ჩაქ.);

გიგვიერსდეს **ჰუქუმეთმა** (უ.).

Muhacir „ლტოლვილი“ - მუჰაჯირი//მუაჯირი//მოაჯირი:

ზოგი წასული არიან, **მოაჯირად** წევდენ (ბაზგ.).

შდრ. ქართველი **მუჰაჯირათ** წევდა (ჩიხ.).

Şehir „ქალაქი“ - შეჰერი//შეერი:

შეერშიც ჩავდივარ ბაღნებთან (ბაზგ.); შენ **შეერიდან** მოხველ? (ბაზგ.); გურჯების **შეერი** ბათომი იყო (ზ.).

შდრ. ისენი ქალაქში არიან, **შეჰერში** (ჩიხ.); ბათუმ **შეჰერში** ვარო (იფხ.)...

Vallahi „ღმერთმანი“ - ვალლაჰა//ვალლაჰ:

ვალლაჰ, მე არ ვიცი (ბაზგ.)...

შდრ. **ვალლაჰა**, არ გემეგნება (ბაზგ.)...

h -ს დაკარგვის შემთხვევა ბევრი არაა, იგი უმეტესად შენარჩუნებულია: **haydi** „ჰაიდე“, **hem** „ჰემ“, **hemen** „ჰამან“ **hiç** „ჰიჩ//ჰეჩ, **hazir** „ჰაზირი“ **hemişre** „ჰემშირი“, **hemenki** „ჰემენ-ქი//ჰამანქი“...

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ჰ-ს შენარჩუნებას „შესაძლებელია, ხელს უწყობდეს თურქული, რომელშიც ჰ ბგერა სრულფასოვანი ფონემაა“ (ჯიქია, 1974.:122).

ჰ ჩართულია სიტყვაში ან დართულია დასაწყისში:

Ama „მაგრამ“ - ამა//ჰამა:

მე არავისი **არამი** არ მინდა, ამა არვისაც არ შივაჰმევე, ამა სხვისას არ წევეკარები (ხევწ.); ყველაფერ ჩვენ ვიქდით, **ამა** ახლა ველარ გვიქნია (ჩაქ.)...

შდრ. ბალახი არი, **ჰამა** ბევრი არ ვიცი (უსტ.); დილაზე იპუეს, **ჰამა** შეჰმული (უსტ.).

Yaşl „ასაკოვანი“, „ხანდაზმული“ - მაშლი//ჰამაშლი:



იტყოდენ წინ-წინ ბერები, **აშლები** (მან.); ცოტა **აშლი** არი (ბაზგ.); ი ქალი მოიდა, **აშლი** იყო (წეთ.); ჩვენ მარტო **აშლი** კაცები დავრჩით (ჩაქ.); ჰიჩ არ მეშინია, **ჰაშლი** ვართ (იფხ.)...

Saat „საათი“ - საათი//საჰათი:

[ფუტკრები] ჭკვიანი არიან, **საათი** არიო, მიხდებიან (ბაზგ.); **საჰათი** შევბი კლავზე, აველ სადგირელაზე (ბაზგ.).

შეინიშნება „ჰ-ს გამლიერებისა და მისი **ხ** თანხმოვანში გადასვლის შემთხვევები“ (ჯიქია, 1974.:123). მაგალითები:

Hasta „ავადმყოფი“, **Hastalik**(ღი) „ავადმყოფობა“, **hastanhane**, **hastane** „საავადმყოფო“ - ჰასტანე/ხასტანე, ჰასტანლული/ხასტანლული:

თქვენში **ჰასტანები** არის? (ხევეწ.); **ჰასტანლული** რომ იქნებიან, უგოვლელი **ჰასტანლული**, იმა ისე აჭმევენ (ჩაქ.); ავადმყოფი, მანი, **ხასტა** დედამთილია (ბაზგ.); [ნიაზი] რიზეში იყო, **ხასტანეში** იყო (ა.); ერთი ნენეა, **ხასტანლული** ნენეა (უსტ.); ორი დღეა, **ხასტადურ** (ზაქ.); ჰა-მანქი ძუხელოი **ხასტანიშ** ვიარე (ხევეწ.); დოხტორი გახდა, ერთნახევარ წელიწად **ხასტანეში** ისაქმა (უ.)...

Hesap(bi) „ანგარიში“, „ფიქრი“, „ვარაუდი“ - ჰესაბი//ხესაბი:

ისევე ამ დუნიას, ამ დუნიას **ჰესაბი**,/თავზე გადაგხდება თელი **ჰესაბი** (მან.); ჰადვიდი, ჩემ **ხესაბში** არვინ არ იყო (უსტ.).

Allah „ალაჰი“, „ღმერთი“ - ალლაჰ//ალლაჰ//ალლახ:

ალლაჰ რაზი ოლსუნ, კად რძალია (მაჩხ.); რა ვიცი, **ალლახ**, ღმერთმა იცის (ბაზგ.); **ალლა** რაზი ოლსუნ (ხევეწ.)...

ეს მონაცვლეობა (ჰ//ხ) დასტურდება იმ სიტყვაშიც, რომლის თურქულ შესატყვისში **h** არ არის:

Ark „სარწყავი არხი“ - ჰარდი//ხარდი:

ჰარდი თუ არ არი, არ მოდის ეს წყალი (უსტ.); **ხარდი** გიგვიკეთეს იქა (უსტ.).

უკანასკნელ ფორმაში (**Ark**), როგორც ვხედავთ, საერთოდ არ არის **h** ბგერა.

იშვიათად **h** -ს შესატყვისად არის ჰ//ღ:

Hudut(du) „საზღვარი - ჰუდუდი//ღუდუდი:



აგზე თქვენი **ჰუდუდია**. აქიდან თქვენი **ჰუდუდია**, მაწყვალთა არი (მან.); ჩვენგან თქვენ **ჰუდუდში** დარჩენ, ჩვენ აქ დავრჩით (მან.).

ჩვენ თაზე ავდივართ, **ლუდუდ** ვუძახით (მან.); ჩვენ მაილადან გამოვდივართ, **ლუდუდზე**, ჩვენი კაცი დიგვიჭირეს იქა (ბრ.)...

6. სიტყვა, რომელიც თურქულში შეკუმშული და შეუკუმშავი ფუძით გვხვდება, შავშურში შესულია შეუკუმშავი - სხვადასხვა ფუძისეული ხმოვნით:

Yzin(ni) „ნებართვა“, „შეგბულება“ - იზინი//იზანი//იზენი:

ჰუქუმეთი **იზინს** მოგვცემს, მოჭრი, მეძტან (მან.); **იზინი** თუ მიცეს, მუა (ჩაქ.); დევლეთ **იზინ** აღარ აძლევს (ჩაქ.); გამოიარეს ასკერებმა... **იზანი** თუ გაქვანო (იფხ.); ახლა აქ **იზენზე** მუელ (ნიოლ.).

7. შავშურ დიალექტში დასტურდება ერთი და იმავე სიტყვის თურქული ბოლოკიდური ყრუ თანხმოვნის გამჟღერების შედეგად მიღებული სხვადასხვა ფორმა: თურქული **k** -ს მჟღერი ვარიანტი ქ ქართულში გადმოდის **გ** და **ღ** თანხმოვნებით - გვაქვს პარალელური ფორმები:

Borek(ği) „ნამცხვარი“ - ბორელი//ბორეგი:

კაკლის **ბორეგ** ვაკეთებთ (უსტ.); **ბორელს** აყრი ყართოფს, მოხარშონა (ხევწ.); **ბორელ-მორელ** ვაკეთებ და ვყიდი (სვირ.); ბევრი საჭმელები იყო: ყაურმა, ფაფა-მაფა, **ბორელი** (შავშ.)...

Direk „ბოძი“ - დირეგი//დირელი:

დირეგი(ს) ქომოდან წისქვილია (უსტ.); ჩემი ბაჯალა ჩემი **დირელია**, არ გაგატანთ (ხევწ.).

Düşük „დაბალი“ - დუშუგი//დუშული:

ჰემ **დუშუგი** ალაგიც არი (უსტ.); ქომოთ ცოტა **დუშულია** (უსტ.).

Yemek „საკვები“, „საჭმელი“ - ემეგი//ემელი//ემელი:

ლუგუნში ბიშ ჩამოურიგებენ, **ემეგ** (ჩაქ.); ჯამეს ქი აკეთებენ კაცები, **ემეგზე** ამასახა (ჩაქ.); **ემეგ** აკეთებენ, ჩაის სმენ (უსტ.); მე **ემეგ** ვაკეთებო'და...(ჩაქ.); ყველაფერ გააკეთებ, **ემელს** (ჩაქ.); [კაკალს] ხმარობენ აქა, **ემელეებზე** ხმარობენ (ბაზგ.); ხაპის **ემელია**, მოჩოჩდას (ა.)...



ქართული
ბიბლიოთეკა



იშვიათად ქ თანხმოვანიც ისმის:

ოგირმი ოთუზ **ემექებ...** იმათ მივართვავთ (ზოხ.); **ემექებ**
აკეთებენ, ასე **ემექებ** (ჩაქ.).

ამ ცვლილებათა საფუძველია თურქულ ენაში არსებული „ზუსტად გარკვეული და ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე მოქმედი წესი: ხმოვნის დართვისას ფუძისეული ბოლოვიდური ყრუ ველარი **k** გადადის **ğ(ღ)** თანხმოვანში, ხოლო ფუძისეული ბოლოვიდური პალატალური **k’ - გ’** თანხმოვანში” (ჯიქია, 1974.:119).

შავშურის მიხედვით საერთოდ **k’ს** შესატყვისად არის ორივე თანხმოვანი – **გ, ღ**.

შენიშნავთ, რომ **çiçek** „ყვავილი” შავშურში შეგვხვდა მხოლოდ ერთი ფორმით - ჩიჩეგი:

ვაშლს ბევრი **ჩიჩეგი** ესხა (ზ.).

ორი შესატყვისი აქვს შავშურში თურქულ სიტყვას **düğün** „ქორწილი”:
დუგუნი//დულუნი:

ხუთ დღეში აქ **დუგუნი** იქნება (ბაზგ.); **დუგუნი** ვქენეთ,
ვისამეთ (უსტ.)...

დულუნ დუუცადეთ (ბაზგ.).

„დულუნი” გვხვდება ლაზურშიც. ს. ჯიქია აღნიშნავს, რომ სპეციალურ ახსნას მოითხოვს ასეთი ცვლილება შუა პოზოციაში. „შესაძლებელია ისიც, რომ ამ შემთხვევაში თურქული სინამდვილე იყოს ასახული” (ჯიქია, 1974.:119).

8. პარალელური ფორმების საფუძველია თურქული **t(თ)** თანხმოვნის შესაბამისად **ტ, თ** თანხმოვნების მონაცვლეობა. თურქულს მკვეთრი თანხმოვნები არა აქვს, ქართულში **t’ს** შეესაბამება **თ**, ასეა შავშურ დიალექტშიც:

Takim „მოწყობილობა”, „ჯგუფი”, „კომპლექტი” - თახუმი;

Tabut „კუბო” - თაბუთი;

Tavan „ჭერი” - თავანი;

Tembel „ზარმაცი” - თემბელი;

Tepe „ბორცვი” - თეფე;

Tohum „თესლი” - თოხუმი;

Torba „ტომარა”, „პარკი” - თორბა;

Tofal „კოჭლი” - თოფალი;



ეროვნული
ბიბლიოთეკა



Torun „შვილიშვილი” - თორუნი.

ამ და სხვა უამრავი სიტყვის გვერდით არის სიტყვები, რომლებშიც თურქული t-ს შესატყვისად არის არა **თ**, არამედ **ტ**:

taş „ქვა” - ტაშ; **tavşan** „კურდღელი” - ტაოშანი; **tuz** „მარილი” - ტუზ. რამდენიმე სიტყვა ჩვენს ტექსტებში ორი სახით (**ტ** და **თ** თანხმოვნებით) გვხვდება:

muxtar „სოფლის (უბნის) მამასახლისი - მუხთარი//მუხტარი:

მუხტრის სახლი მკითხეს (უ.); ამის კაცი **მუხტარი** იყო (ჩაქ.);
მუხტარმა მითხრა, წაყვიო (ბაზგ.); ონ იქი სენე **მუხტრობა** ქნა
ამან (ჩაქ.); **მუხტარი** შინ არ არი (უ.)...
ჩემი **მუხტრობის** დროში (ჩაქ.).

Istersen „გინდ”, „თუნდ” - ისტა//ისტა, ისტერ//ისტარ//ისტერ:

ისტერ ქალი იყვეს, **ისტერ** ქმარი (მან.)...
ისტა ძაღში მოხარშავ, **ისტა** ცეცხლში ჩადეფ (ხოხ.); **ისტა**
ძალი იყოს, **ისტა** დედამთილი, საბრი ყაბი ედგომა (ბაზგ.).

ერთსა და იმავე სიტყვაში ერთი **t** -ს შესატყვისია **თ**, მეორისა - **ტ**:

tatli „ტკბილი”, „ტკბილეული” - ტათლი: **ტათლის** გააკეთებენ (ჩაქ.).

9. პარალელური ფორმების არსებობის ერთ-ერთი საფუძველი დაკავშირებულია გემინირებულ თანხმოვნებთან. „ორი ერთნაირი თანხმოვანი თურქულში, როგორც წესი, არ გვხვდება, მაგრამ ოფიციალურ ორთოგრაფიაში სავალდებულოა თანხმოვნების გაორკეცებულად წერა” (ჯიქია, 1978.:128). შავშურში გვხვდება თურქულიდან შესული ერთი და იგივე სიტყვა როგორც გემინირებული, ისე ერთი თანხმოვნით (ზოგჯერ თურქული ენისაგან დამოუკიდებლად):

Millet „ხალხი” - მილლეთი//მილეთი:

არაბა, არაბა! **მილლეთი**, **მილლეთი**! (უსტ.); აჰმედად
მილლეთ ვექილი იყო (უ.);
ესკი **მილეთი** არიან (დ.); რომელი **მილეთიდან** იყვეს, ჩემი
პრობლემა არ არი (ჩიხ.); **მილეთი** აქ იკითხავდა, ოქულში (მაჩხ.);
ჩვენი **მილეთი** იქ დეიზარდენ (მაჩხ.); ეშინოდენ **მილეთ** (მან.).

Bile ნაწილაკი **ც, ც კი, კიდევ** - ბილლე//ბილლა// ბილე//ბილა//ბილაა:

ოთხმოცის **ბილლე** იქნებოდა (მაჩხ.); გურჯული ჩვენ
ბილლე დაგვავიწყდა (ა.); სოკო **ბილლა** მათქვან (ბაზგ.)...



კარშიც **ბილე** არ გამემიშვეს (შავშ.); გურჯიჯა **ბილე** არ იცის (ჩიხ.)...

სომეხები **ბილა** ყოფილან და წამუუსხრეკიან (უ.); [კაკალს] სალათშიც **ბილა** ურევენ (სვირ.)...

წარბები **ბილაჲ** არ მქონდა (ხევწ)...

მოყვანილი მასალის მიხედვით დასტურდება, რომ ეთნიკური ქართველების მეყველებაში არის მიდრეკილება თანხმოვანთა გამკვეთრებისაკენ ქართული ენის ფონეტიკის შესაბამისად (იხ. ჯიქია, 1974; ჟღენტი, 1938; 1953).

Belli „ნათელი“, „ცხადი“, „გარკვეული“ - ბელლი//ბელი:

ბელლი არაა, სად'ნა იკითხოს (იფხ.).

Kale „ციხესიმაგრე“ - ყალლე//ყალე:

აქავრი თამარაჲს **ყალლები** არიან (სვირ.); [შარაბის ქუფები]

ამ **ყალლეზეც** ბევრია (უსტ.)...

მე ესკი **ყალედან** ვარ (უსტ.)...

გემინირებული თანხმოვნები თურქულ სიტყვაში მომხდარი ასიმილაციის შედეგია:

Türlü „სხვადასხვა“, „მრავალნაირი“ - თულლი//თული:

თულლი-თულლი დემელებს გავაკეთეფთ (ჩაქ.); ყველა

თულლი ისამებენ (ზ.)...

ყველა **თული** სიმღერა იციან (ჩაქ.); [კარტოფილი] არი, არი!

თული-თულია (ჩაქ.)...

Yerli „ადგილობრივი“ - დერლი//დელი:

აქ ძველი **დერლი** არ არიან (ჩიხ.); **დერლები** არ არიან აქა,

მოსულები ვართ (ჯვარ); **დერლი** ვართ, ნენი, **დერლი** (სვირ.)...

ანჯახ თურქი **დელი** ემეები... აქ ბევრი სომეხები ბილა

ყოფილან (უ.)...

§5. ტონური მახვილი

შავშურში, ისევე, როგორც სხვა სამხრულ დიალექტებში (გამორჩეულად ტაოურში) შეიმჩნევა ტონური მახვილი. იგი უკვე მიღებულია და გარკვეულ პირობებში იჩენს თავს. ტონური მახვილი ქართველურ ენებში „ფართოდ გავრცელებული მოვლენის ნაშთს წარმოადგენს“ (ჩიქოზავა, 1936.:42).



ტონური მახვილი ფიქსირებულია. იგი სიტყვაში მოუდის ბოლოდან მეორე ხმოვანს (შდრ. როგავა, 1963.:8).

ბათუმი ქაზიმ დიაბეჟირმა, ათათურქმა მეიგო (უ.); ეს კაკალია (უ.); სიტალინსა იხტიბარი ქი უქნია... (უ.); ბევრი სალამი, სალაში (სვირ.); ამედარეთ, ყალე არ სჩა'ნდა? (სვირ.); აბა არ არი'ან, საესე (ჩაქ.); დიობანში იყა'ვით? (ნიოლ.); მიწის სახელი ა'რი! გიგიმა'რჯოს (ნიოლ.)...

აღვნიშნავთ, რომ სიტყვაში ტონურმახვილიანი ხმოვანი გრძლად წარმოითქმის და გრძელი ხმოვნის შთაბეჭდილებას ტოვებს.

ტონური მახვილის პოვნიერებით შავშური, სხვა სამხრულ დიალექტებთან ერთად, გვერდში უდგას ქართული და სხვა ქართველური ენების დიალექტებს (იხ. ფაღავა, 2003.:54-59; 2004.:35-37).

თავი II. მორფოლოგია

§1. სახელები

1.1. სახელის ფუძე

ფუძეთა მიხედვით შავშურ დიალექტში სახელთა ორი ჯგუფი გამოიყოფა, მაგრამ ზოგიერთი არსებითი სახელი ორგვარი ფუძითაა წარმოდგენილი.

თუთა//თუთი:

ბალი მიყვარს, **თუთა** - არა (ხევწ.); **თუთა** მოგიტანე, ჭამე (ხევწ.); მე ახლა **თუთა**'ნა მეჭამა... (ჩაქ.); **თუთა** დიგირხიო? (სვირ.)...

აქ დაჰა ბევრია **თუთი** (სვირ.); აქ არი **თუთი** (ჩაქ.); **თუთს** აქანებენ, არხევენ (ხევწ.); ყალე ქი არი, იქ **თუთი** არი (ჩაქ.)...

ხმოვანფუძიანი ვარიანტია ამ ხილის ერთ-ერთი სახეობის სახელში - კომპოზიტში „თუთაყურსი“:

თუთაყურსი, თეთრი თუთა რომ გაწითლდება, ისაა (დავ.).

მრავლობითის ფორმაში, ბუნებრივია, ამოსავალი ფუძე არ ჩანს:

თუთები გვაქ, ვაშლები გვაქ (უსტ.).

ამ სახელის თურქული შესატყვისია **dut. თუთი** გვხვდება მეთურქულე შავშელთა თურქულ მეტყველებაშიც.

ჯინჭველი//ჯინჭველა:

ჯინჭველა გიკბინა, დეგანჯან, **ჯინჭველა**? აქ ბევრი **ჯინჭველა** არი (უ.)...

აქარულში გავრცელებულია ხმოვანფუძიანი ვარიანტი. **ჯინჭველი** არქაულია. იგი ეკუთვნის იმ სახელთა რიცხვს, რომელთაც ძველ ქართულში ფუძე თანხმოვანზე უთავდებოდათ, დროთა განმავლობაში კი იქცნენ ხმოვანფუძიანებად (მანჯგალაძე, 1956.:171-186).

შდრ. რადსაებრ უკუე განეყოფვის კაცი **ჯინჭველსა**? (ამონ. ერმ. 92,34); **ჯინჭველი** შეიპყარ (სიბრძ. 7); მცონარს სოლომონ ამაგებს, **ჯინჭველი** მოსწონს ქებითა (ქილ.დამ. 3).

ხმოვანფუძიანია სალიტერატურო ქართულისა და დიალექტების **წამწამი, ჭარხალი:**

ეს წარბი, ეს **წამწამა** (ჩაქ.); **ჭარხალას** ვთესავთ (ზ.)...



არსებითი სახელი **დარი** შედგენილ შემასმენელში მეშველი ზმნის მესამე პირის შეკვეცილ ფორმასთან ა (<არის) ე ხმოვნით არის წარმოდგენილი, მიუხედავად იმისა, რომ სტროფში მას ერთიმემა ია³ზე დაბოლოებული ზმნა - მწადია:

მოყორილში წვიმა წვიმს,
 დიობანში **დარეა**,
 სამი წელიწადია,
 დასახლება მწადია (უსტ.).

თანხმოვანფუძიანი **წვერი** სალიტერატურო ქართულში, შავშურში ბოლოვდება ა ხმოვანზე, ალბათ სარიტმო სიტყვის გამო:

აველ გორი **წვერაზე**,
 დავჯექ ააზი წერვაზე (უსტ.).

თურქულიდან შესული ზოგიერთი ხმოვანფუძიანი სახელი სხვადასხვა ხმოვნით ბოლოვდება:

ბაბაა//ბაბოა:

ჩემი **ბაბაა** იყო კონდრაბადზე (უსტ.); **ბაბაა** იტყოდა (მაჩხ.).
 ანაა, **ბაბოა**, ხუთი წლის ვიყავ, მომიკდა (ა.); იმის **ბაბოა** იქ
 წევდა (ხევწ.); ჩემი **ბაბოა** ვის ელაპარაკება-მეთქი? (შავშ.); ჩემ
ბაბომ ჩვენი თერეფის უმფო მედწადინა (შავშ.).

ბაჯი//ბაჯოა:

ამისი დედამთილი ჩემი კაცისა და იყო, **ბაჯი** (სვირ.);
 წასლიხან ჩამაცვეს ამის **ბაჯის** მოტანილი (შავშ.)...
 ი რომ ფუძისეულია, ჩანს წოდებითის ფორმაში:
 ანი, შენ ჩაი? შენ **ბაჯი**? (ზაქ.).
 ეს ამისი ემე არი, **ბაჯოა** (სვირ.); აგზე გელაპარაკებოდა
 ამისი **ბაჯოა** (ნიოლ.); **ბაჯოა ბაჯოს** ბაჯალას თხივნილოფს
 (წეთ.)...

ბიბი//ბიბიაა//ბიბოა:

ძალს თავის **ბიბის** სახელი ქვია, **ბიბისაც** ისმინაზი ქვია
 (ბაზგ.)...
 ჩვენი **ბიბიაა** იყო აგზე და მოკდა (იფხ.)...
 ერთი **ბიბოა** მყავდა, ბაბოსი და (ბაზგ.); ხალაა ანაას დაა,
ბიბოა - ბაბოს და (ჩაქ.); დღვან იმისი **ბიბომს** ბაჯალა გათხოვილა
 (ივ.)...



ქართული
ბიბლიოთეკა



ქილისე/ქილისა:

მე შვეიდოდი **ქილისეში**, ქომოთ არი **ქილისე** (დ.); **ქილისე** არ არი, ყალე არი (უსტ.); ისტამბულ **ქილისე** აქვან ხრისტიანებ (მაჩხ.); ერთი **ქილისე** რაბათში იყო (მან.)...

იქაც **ქილისას** ნანგრევები არი (ჩაქ.); იქა და **ქილისა** იყო, მადა ასკერი (ჩაქ.); თუთხმეტი სოფლის **ქილისა** ყოფილა (უ.)...

თურქული ხმოვანფუძიანი სახელი შავშურში თანხმოვანფუძიანი ვარიანტიც გვხვდება:

შოშე/შოში:

ადის არაბად, იგზე დუზია, **შოშე** გზაა (ჯვარ.); ამ **შოშედს** დელეებში ჩახვალ (ხობ.)...

აქ **შოში** არი და, ქვეშედან **შოში** მუა, იქიდან **შოშით** ბელქი წევდენ, **შოში** დელედამ იშტე ჩეველით **შოშში** (ხობ.).

ფართოდ გავრცელებული ჩანს ხმოვანფუძიანი ვარიანტი.

თურქული **ანნე** და **ანა** (დედა) ასევე ორი სახითაა შესული შავშურ დიალექტში: **ანნედ//ანედ//ანად**:

ანნედ არ დაგვამახნია, **ანედ** ერთი თანე გყავანო, **ანად** და ბაბოა და არ ქნა (ბაზგ.); **ანედ** თაზე წევდა (დ.); კათოლიკის შვილოო, ჩვენი **ანად** გვეტყოდა (დ.); ჩემი **ანად** და მისი **ანად** დები არიან (ზაქ.).

უფრო გავრცელებულია ა ხმოვნიანი ვარიანტი.

თურქულში ე ხმოვნით დაბოლოებული სახელის ფუძე შავშურში ა ხმოვნიანია, ი ხმოვნიანი ე ხმოვანზე ბოლოვდება:

ქოლა (შდრ. Kole „მონა“, „მოჯამაგირ“):

იმათი **ქოლა** ვყოფილიყავ? (ბაზგ.).

ეს ფუძე დაცულია ამ სახელისაგან ნაწარმოებ ზმნაშიც:

წამუელ, რათ'ნა **ვექოლაგო**, ვეხიზმეთქარო? (ბაზგ.); შენ ქორ ქალ'და **ვექოლაგო**? არ **ვექოლაგე** (ბაზგ.).

ქოშა (შდრ. Koşe „კუთხე“):

[მოჭრილ ჭიპს] ჯამის **ქოშეზე** ჩამოდებდენ (წეთ); ციხევ, მოგიკდეს ამშენებელი, გარედან **ქოშა** მიმშენებელი (მაჩხ.).

ქოშე და **ქოლა** ორივე ფუძე აჭარულში ე ხმოვნით ბოლოვდება (ნიჟარაძე, 1971.:358,359).

ჯამე (შდრ. ჩამი „მეჩეთი“):



ჯამე დავასუფთეთ (უ.); **ჯამეს** ქი აკეთებენ (ჩაქ.)
თურქულიდან შემოსული თანხმოვანფუძიანი სახელები დაირთავენ სახელობითი ბრუნვის ნიშანს:

ადეთი (Adat „ჩვეულება“): **ადეთი** არ არი აქა (ბაზგ.);

ადუმი (Adum „ნაბიჯი“): ორი **ადუმი** გადადგა (ჩაქ.);

ბაირამი (Bayram „დღესასწაული“): **ბაირამი** არ არი... რაქნა ვიმდერო? (ბაზგ.);

ხებერი (Haber „ამბავი“): შენ **ხებერი** არ გაქ (უ.);

ხაჩი (Haç „ჯვარი“): ეგ რა გკიდია შენ, **ხაჩი**? (ზაქ.);

ქიტაბი (Kitab „წიგნი“): მე **ქიტაბი** მუატანიე (უსტ.)...

1.2. ბრუნვის ნიშნები, მრავლობითი რიცხვის წარმოება, მავრცობი ხმოვანი

ბრუნვის ნიშნების მხრივ შავშურში ბევრი თავისებურება არ ჩანს.

ა. ხმოვანფუძიანი საზოგადო და საკუთარი სახელები სახელობით ბრუნვაში ერთმანეთს ენაცვლებიან უნიშნო და ი (>მ) ნიშნიანი ფორმები:

მიწის ქვეშ სამი თანე **გზა** არი (ა.); ღმერთო, **წვიმა** მოგვეც (მაჩხ.); მალე'და დეილიოს, ქი [ჩაი] **გემო** გველოთ (მაჩხ.).

სხვებიც **ზმა** არი, **ძია** არი (ნიოლ.); **ძიგარა** გინდა, მოუკიდებ (ჩაქ.); მარილი **ცოტა**ქნა ჩაყარო (ჩაქ.); საქონელი ბევრი იყვნენ, ახლა **ცოტა**ა (უსტ.); **სიძე** ძველათ დოდოფალ არ დენახვებოდა (სვირ)...

ბაბოიც ხუჯუზი მყავდა (ბაზგ.)...

ბ. ხმოვანფუძიანი სახელების უკვეცელ ფუძეებში ნათესაობითსა და მოქმედებითში ზოგჯერ არის **მ**, ზოგჯერ - არა:

ანას კაცი ჩემი ემოდ იყო (მაჩხ.); ჩემ **ბაბოს** ხიზმეთქრობას ვიზამ (ბაზგ.); ჩამუელ ჩემ **ბაბოს** სახში (ბაზგ.); ლიბანი ჩემი **ანას** მაჰალეა (ა.); **მერიემას** ჯინსიდან არიან (მაჩხ.); **ეჩო**მქნა დაკეპო (ბაზგ.)...

გ. რამდენიმე სახელი მოთხრობით ბრუნვაში -**მან** დაბოლოებით დადასტურდა:

დედჭირა **დათემან** (უსტ.); **დრომან** გედემარა (უსტ.); **ძველებმან** იცოდენ (უსტ.); **ბაქალამან** და ბალანამ მედწონა, თამამ (უსტ.)...



დ. ხმოვანფუძიან სახელებს უმეტეს შემთხვევაში აქვს **მა** ნიშანი:

ბაბუამა მითხრა... (ბაზგ.); მისმა **დედამა**, **მამამა** არ მოდიან სოფელში (ზ.); **ქვამა** რა'ნა გიქნას (ზაქ.); მისმა **ბაჯალამა** ბაჯალა გაათხვა (კოკ.); **დედ-მამამა** „არ მინდა“ თქვას, წაყვება გოგო (შავშ.); გაწუხდენ, **მზემა** ემე ქნა (ბაზგ.); მოსულ **მზემა**'ნა უყუროს, ამოსულ **მზემა**, ჩასულ **მზემა**'ნა დახედოს (ბაზგ.); მე მოვკრიფავ, **სხვამა** არ იციან (უსტ.); ისა, **მეორემა** თქვა (ბაზგ.); ახლა მიმიტანა **ბაღანამა** (უსტ.); იგზე გვისხია, **სეტყვამა** გაყარა (ბაზგ.)...

ასევეა თურქული ენიდან შესულ სახელებშიც:

ბიზიამა რაცხა იცის, ისაა (წეთ.); **დედმა** მაწავლა (უსტ.); ზორით მიმცა ბაბომა (ხობ.); **ანამა** ზორით ღარჭი დუგუნში წეიყვანა (სვირ.); დოუმტვინეთ, უკან გამეიქვა **ხოჯამა** (მაჩხ.)...

ე. სახელის მრავლობითს აწარმოებს **-ებ**, **ნ/თ** სუფიქსები. ნორმა ჩანს – **ებ** იანი წარმოება, **ნარ-თან** იანი წარმოება იშვიათია:

არაბანი მეგეშალნენ? (უსტ.); სამი **ძმანი** ყოფილან (სვირ.); **სხვანი** თიბვენ და მე ფარას მამლევენ (ბაზგ.); ჰადდე, წად ახლა, **სხვანი** ალაპარაკეთ (ბაზგ.); **ორნი** ვართ (ჩაქ.).

„დეგანი“ **ორთავეა**: ძმისშვილი, დისშვილი (უ.).

-**თა** სუფიქსი შეზრდილია ფუძესთან, რომელსაც დაერთვის ბრუნვის ნიშანი:

ამ ემოს ღარჭებმა, **ორთამა** ემოს ბაჯალაზე თვალი გამოდგა (სვირ.).

ვ. შავშურ დიალექტში პროდუქტულია მავრცობი ხმოვანი მიცემითა და ნათესაობითში, შედარებით ხშირია მიცემით ბრუნვაში, ორივე რიცხვში:

მიცემითი:

ღმერთსა ეწყინა (უ.); **საჭმელსა** შავშეთ ვიღებთ (მაჩხ.); აქ ფუში არ უძღება **კაცსა** (ხობ.); **(რ)ძალსა** არ უნდა (მაჩხ.); ჩემ **შვილსა** ბაჯლები ყავან (მაჩხ.); **ჩაისა** დაჰა დიდი ჭიქით სვამენ (მან.); **ძროხებსა** ინახევდენ (უ.)...

ნათესაობითი:

თუ არა და, გახდება **დედოფლისა** (ჩაქ.); ღარჭი ყავს ორი **წლისა** (ბაზგ.); ერთი **წლისა** უკან ქირვას დააყენებენ (წეთ.); კად თაფლი **წაბლისა** არი, **შქერისა** არი (ბაზგ.); **ქართველებისა** დუგუნია (ბაზგ.)...



ზ. თანხმოვანობაში ჩვეულებრივ გამოიყვანა კუმშვადი და უკუმშველი სახელები.

სალიტერატურო ქართულის მიხედვით კუმშვადი სახელები შავშურში უკუმშველია:

ასე **გუთანით...** ემეს ვებნევით ჩვენ, „ჯილდა“ (ნიოლ.); ამას **წამალადაც** ხმარობენ (ბაზგ.); ამას კითხავს: ეს კაცი **ქმარად** გინდა, თუ არაო (შავშ.); ჭამა არი, ჰამა **წყალით** არი გერმელობა (ბაზგ.); **დოდოფალი(ს)** წაყვანამდე დადეები წევდოდენ (შავშ.); **ცხვარის** ხორცი გერმელია (ზაქ.)...

გვხვდება შეკუმშული ფუძეებიც:

ცხვრის შვილი კრავია, (მ)გელის - ლეკვი (მაჩხ.); ზოგი **ქმრის** სახში დალოგინდებოდა (წეთ.); **წყლის** სირა გვაქ (ზ.); აქ **ხორბლი(ს)** ყანები იყო (ახალდ.); ჭიაზე **ყაბლი(ს)** (<ყაბალის) გულ მიართმიდენ (წეთ.)...

ზოგჯერ ერთი და იმავე სახელის შეკუმშული და შეუკუმშავი ფორმები დასტურდება ერთსა და იმავე წინადადებაში:

საჭმელი **საქონლისა** გვაქ, ათი თანე, ოცი თანე **საქონელიდან** ორ-სამ გაყიდის აქავრი (ბაზგ.)...

დადასტურდა შემთხვევა, როცა ცალკე აღებული სახელი უკუმშველია, კომპოზიტში კი იკუმშება:

ჯამიკრი დელე (ა.). შდრ. აქ არის **ჯამი კარის** წყალი (ივ.).

შეუკუმშველი ფორმები ხშირია –**ებ** იან მრავლობითში:

სტუმარები მიხვალთ (ბაზგ.); **(მ)გელები** შიერები დაწყდებიან (წეთ.); გერმელი **წყალებია** (ივ.); **წყალებ** ვადენტ (ზ.); დათვმა და **გელებმა** მეერივნენ (ჩაქ.); **ბებერები** არიან (ჩიხ.); **სომეხები** ბილა ყოფილან (უ.); ესკიდან **სომეხები** ყოფილან (დას.); ერმენები, **სომეხები** ყოფილან ჯენევიზებში (უ.)...

სომეხი უკუმშველია –**ეთ** სუფიქსიან გეოგრაფიულ სახელშიც: **სომეხეთი** (შოლტ.).

ახალებ ცოტა ვერ დუულაპარაკნიან ჩვენსავე (ჩაქ.); აწავლე **ახალებ** (უსტ.).

შეკუმშული ფორმები იშვიათია:

სიმინდი **კოტრებ** გეკეთებს (ხევწ.); კოტორი ხომ თელი **მუსლიმნები** არ ლოცულობენ (ხევწ.); ძველები დეიხოცნენ,



ახლებმა არ იციან (ჩაქ.); დღესაც კიდევ **სატუმობსა** საქმელ დუღუმენ (სვირ.).

გეოგრაფიულ სახელებშიც დასტურდება კუმშვადი და უკუმშველი ფორმები:

სვირევიდან აქ მოხველით (ჩაქ.).

კარჩხალის ჰამან უკნედანაა (ჩაქ.); **კარჩხალიდან** ჩვენი სოფელი ჩანს (ზ.მ.).

შდრ. წყალი მიგვიყვანეს, იქიდან მიგვიყვანეს, **კარჩხლიდან** (უსტ.); წყალი ქი მიქონდა **კარჩხლიდამ** (სვირ.).

ასევე პარალელური ფორმებია თურქულიდან შესულ სიტყვებში:

ქიტაბი (**Kitap** „წიგნი“):

ძველათ **ქიტაბის** სახელს არქმევდენ (წეთ.)...

ხანდახან **ქიტბებს** ემე იჯება, კითხულობს (ბაზგ.); ქონდა

ქიტბები დაწერილი (მაჩხ.); მე **ქიტბები** ვიკითხე (ივ.)...

ასკერი//ესკერი (Asker „მომარა“, „ჯარისკაცი“):

ასკრებმა თოფი მუღღირეს (მაჩხ.); რუსების **ესკრებმა** მე დემიჭირეს (ჩაქ.); გამოიარეს **ასკრებმა** (იფხ.)...

ისინი დუუკავიან **ასკერეფ** (მან.)...

-ებ¹იან მრავლობითში შეკუმშულია **ხებერი, ჩობანი, მეზარი, დეგანი**:

ჩობნები ვლასპარიკობთ (ჩაქ.); ყერიბი **მეზრებია** (სვირ.);

ჩამოდინ **დეგნები**, გურჯები (მაჩხ.); **ხებრები** მოდის... (დავ.)...

მოყვანილ მაგალითებში ნასესხები სახელები ექვემდებარებიან ქართულ ენაში მოქმედ წესებს. ისინი აგებულებით კუმშვადი ფუძეებია და იკუმშება კიდევ. ზოგჯერ თუ მოსალოდნელია კუმშვა, მაგრამ სახელი არ იკუმშება, ეს უკვე დიალექტის, ცოცხალი მეტყველების ნორმაა.

1.3. კვეცა და კუმშვა შავშურში

ა და ე ხმოვნებზე დაბოლოებული სახელები უმეტესად უკვეცელია:

ჩვენ **საქმედან** ვერ მოვრჩებით (ჩაქ.); ერთი კამიონი არაბად ჩამევიდა იქიდან **ჩომათი** (ხევწ.); შიში(ს) **ლეღედამ** იშტა ჩაველით შოშში (ხოხ.)...

შდრ. იქეთა **ლეღიდამ** ... მუალთ (ხოხ.); დოდოფალი თხუთმეტი **დღისა** გახდა, მივიდოდით (ჩაქ.); ჩემ **ყანიდან** ვინცხა ხართო (ნიოლ.); წყალი **თიდან** მუუშვეს (ზ.მ.)...



პარალელური ფორმები დასტურდება ხმოვანფუძიან გერგრაფიულ სახელებში:

აჭარადამ გადმოსულან (მაჩხ.); **ყვირილადადამ** არი გურჯი (მაჩხ.); **აჭარადან** გადმოსული ვარო, ბაბომა თქვა (ჩაქ.); ჩვენი დედენუმ დედე **აჭარადან** მოსულა (ჩაქ.); **ხოფადან** კაჩ კილომეტრია ბათუმი? (სვირ.); სამ თვეს იქ იყო, **ხოფადამ** მოსულა (ჩიხ.); **ხოფადან** მოსულან შავშეთში (დავ.); **აგარადანა** ვარ (ზენ.).

შდრ. ერთი კაცი **აგარიდამ** წეფყვანეს (დავ.); **ანკარიდან** ახლოა (ჩაქ.); ეს, აქეთა მაჰალე **ჩაქველთასია** (ზენ.); ეს **ჩაქველთას** ყალუა (ჩაქ.); **ჩაქველთაის** ბარადა ეს, ჰო, **ჩაქველთის** (ჩაქ.); ეს **ჩაქველთის** გზა არი (ჩაქ.)...

პარალელური ფორმებითაა წარმოდგენილი ზოგიერთი თურქული სახელიც:

ჩემი **არაბაით** წამულა (უ.); თქვენები ჩამოიდნენ **არაბაით** (იფხ.)...

შდრ. კილო მეეტანა **არაბით** (ზ.); **არაბით** ამოიდნენ (ჩაქ.).

ამ შეუკუმშველი სახელის შეკუმშული ფორმა ინდივიდუალურია:

არაბაით მოსულა (უ.).

საჩმა (Саҭма -ბადე, თევზის საჭერი ბადე. იხ. ლექსიკონი, 2001):

აქ ლელებში დეიჭირავ **საჩმაით** (ხობ.).

მაქინა (Makine „მანქანა“, „ძრავა“, „მექანიზმი“):

მაქინაიდან ნალებ გამაადენ (ნიოლ.); **მაქინაით** ჭლიკი ჩამოთალეს (მან.).

ძიგარა (Sigara „სიგარეტი“):

თავი ტკივა, **ძიგარას** ბრალია, აბა?! (ჩაქ.); **ძიგარაით** ვარ (იფხ.).

ჯამე (Cami „მეჩეთი“) იკვეცება მხოლობითში:

[მოჭრილ ჭიპს] **ჯამის** ქომაზე ჩამოდედენ (წეთ.).

ბ. დასტურდება კუმშვად-კვეცადი სახელების სხვადასხვა ფორმა:

ბაჯალა:

ბაჯლის კაცის ანას ახლა წელიდან ზორი აქ (ბაზგ.). იმისი **ბაჯლები** ვნახე... **ბაჯლებ** ეცოდინებიან (უსტ.).

ლახანა:



შორვას თელზე ვაკეთებთ ... **ლახნის** შორვას (მაჩხ.); თეთრი ფქვილი'და ამუჟიკილო **ლახნის** ჩორბას (ბაზგ.); ჯავეს ჩადებენ, **ლახნის** ჯავეს (ჩიხ.).

ბაღანა:

შეერში ჩავდივარ **ბაღნებთან** (ბაზგ.); **ბაღნები** გეიქცენ, ბურსას სამობენ (მაჩხ.)...

შდრ. ჩვენი **ბაღანები** (=ბაღანებმა) არ იციან (მაჩხ.)...

ფუძის სახით არის წარმოდგენილი ა და ე ხმოვნებზე დაბოლოებული სახელები (უმეტესად ე ხმოვანზე), რომელთაც თანდებულთა ფუნქციით ერთვის ზმნიზედები. ასეთი სახელები გამოხატავენ მოქმედების ადგილსა და დროს (უფრო ხშირად დროს):

[გზა] **მალარა** ქვეშ გაჭრილია, ჰამა ჩაწვა (სვირ.); შეხვალ **ღელე** გაღმა, ჰო (ზენ.); **ათ დღე** უკან მივალ იქა (მან.); დილაზე თუ მოკდა, **შუადღე** უკან ჩადებენ (ბაზგ.); ერთ **კვირე** უკან მოსულიყავ, კად იყო (უ.); ლაზების ჭკვა **შუადღემდე** ისაქმებს, **შვადღე** უკან - არაო (ხევწ.)...

ანალოგიურია საწყისიანი კონსტრუქცია:

ქირეზა მიღევნიხან ამოვლენ (უსტ.); **დაწოლა** უკან წავალთ ოღებში (მან.).

ფუძის სახითაა ა ხმოვანზე დაბოლოებული სახელი (უბრალო დამატება) მიმღობასთან:

დავჩი მარტო, ედ, **შეშა** დამპოპბელი არა (უსტ.); ციხევ, მოგიკდეს ამშენებელი, გარედან **ქოშა** მიმშენებელი (უსტ.)...

ვფიქრობთ, რომ ეს, ხაზგასმული სახელები, ნათესაობითი ბრუნვის შეუკვეციელი ფორმებია და არა მიცემითი ბრუნვის ნიშანდაკარგული ფორმები: ამ მნიშვნელობათა გადმოსაცემად ანალოგიურ კონსტრუქციებში უმეტესად გამოყენებულია ნათესაობითი ბრუნვა სრული სახით, ან ბრუნვის ნიშნის თანხმოვნითი ნაწილის მოკვეციით ორივე ჯგუფის - თანხმოვანფუძიან სახელებთან. ქვემოთ მოყვანილ მაგალითებში ბრუნვის ნიშანი სრულადაა წარმოდგენილი:

ა. თანხმოვანფუძიან სახელებთან:

ეს არის **იმერხევის** გადაღმა (ზენ.); **შავშეთის** ქომოდან არი (ჩიხ.); წითვეთი **შავშეთის** უკანაა (დავ.); დაილაზე ვიყავთ **კარჩხალის** ჰამან უკნედან (ჩაქ.); **ჯანჯირის** ზემოდან დუზეა



(უსტ.); ერთი მაილა არი **გამეშეთის** ზემოთ (ზ.); **სადგირელის** უკნედან მიბრუნდები, მობრუნდები (შავშ.); ერთი ამ **სოფლის** ბოლოშია (ზ.); შვიდი **წლის** უკან თურქა დევიწავლე (უ.)...

ბ. ხმოვანფუძიან სახელებთან:

ამ **გზის** ზემოთ სერში არის (ჩაქ.); **გზის** გაღმა სარაჲ ყოფილა (დავ.); ამ **მთის** გადაღმა ბამგირეთია (უ.); [ძოხა] აგზე ჩეიყვანე, **ხის** ქვეშ ჩააგდე (ხევწ.); ოთხი **კვირის** წინ იქ ვიყავ (ივ.); ჩემი ერთი ბიჭი ოთხი **დღის** წინ ბათუმ იყო (ჩაქ.)...

- დაკარგულია ბრუნვის ნიშნისეული ს:

ჩიხორი ამ **სერი** გადაღმა არი (ჩიხ.); **ჯინალი** უკნედან აჭარაა (დავ.); **დირეგი** ქომოდან წისქვილია (ჩაქ.); ერთი გელინი ბაიბურთული, ერთი მაბანი, **ართვინი** გარედან (უ.).

მიწი ქვეშ სამი თანე გზა არი (ა.); ქილისე აგზე იყო, **გზი** ქვეშ (დავ.).

- თანხმოვანფუძიანი სახელი ფუძის სახითაა წარმოდგენილი:

შერთულ ზემოთ გურჯებ ებნევიან (უ.); მე იქეთ ვიყავ, **სერ** იქეთ (ჩაქ.); **სერ** იქეთ ლამაზი არ არი (დას.); ყიშლა გვქონდა **სერ** იქეთ (ჩაქ.); **სერ** გადაღმა თურქები არიან (დავ.); მეიყვანებენ **ყვავილ** ქვეშედან დოდოფალ (ზ.).

როგორც მოყვანილი მასალიდან ჩანს, ამ მნიშვნელობათა გადმოსაცემად აღნიშნულ კონსტრუქციაში ბუნებრივი ჩანს სახელის ნათესაობითი ბრუნვა.

მიცემითი ბრუნვის გამოყენების თითო-ოროლა შემთხვევა დასტურდება შავშურში:

ბრილს უკნედან ერთი აგარაა (დავ.).

საინტერესოა ა და ე ხმოვნებზე დაბოლოებულ სახელთა –ებ'იანი მრავლობითის ფორმები.

გვხვდება სხვადასხვა შემთხვევა (წამოვადგენთ თურქული ენიდან შესულ სახელებსაც).

ა ხმოვნით დაბოლოებული სახელები.

ა. შეკვეცილი ფორმები:

გზა: **გზები** ყაფანდება (ივ.).

ქვა: **ქვები** დუუწყე (ხევწ.); ეს **ქვები** მეზობელმა მოყარა (უ.);

ოდა: სიმინდ **ოდეშში** ვინახავთ (ხევწ.).



ქილისა: იქ ქილისეები ქვები დამჩალა (ჩაქ.); აქ არ არი ჩვენი ქილისეები (კოკ.).

ხოჯა: ჯინდარ **ხოჯებ** ეტყვიან (წეთ.).

ბ. შეუკვეციელი, ასიმილირებული ფორმები:

გზეები (<გზაები): **გზეები** არი (ჩაქ.).

ყანეები (<ყანაები): **ყანეები** წვრილია, მაქინა არ შედის (უ.).

ხოჯეები (<ხოჯაები): მე და მუფთი **ხოჯეების** ემედ ვართ, ბაშქანი (მაჩხ.).

ამათ გვერდით დასტურდება შემდგომი საფეხურის - დისიმილაციით მიღებული ფორმები:

გზიები (გზეები<გზაები): კარგი **გზიებია** (უსტ.).

ქვიები (<ქვეები<ქვაები): იქა **ქვიებზე**, მაღლა აზაებია (ჩაქ.).

თმიები (<თმეები<თმაები): **თმიები** ასე ჩასული აქ (ჩაქ.).

რქიები (<რქეები<რქაები): ბერი ხარი **რქიებ** ქვემოთ დეილებს (მან.); (რ)ქიები ექნება (ჩაქ.).

თხიები (<თხეები<თხაები): აქ იქნება **თხიები** (ჩაქ.).

(მ)თიები (<მთეები<მთაები): ესენი ბაზგირეთ ასულან **თიებზე** (სვირ.).

ძმიები (<ძმეები<ძმაები): **ძმიები** ყავს (ჩიხ.).

სკიები (<სკეები<სკაები): ზველათ **სკიები** (=სკებს) დააკეთებდენ (უსტ.).

პაპიები (<პაპეები<პაპაები): არიან ჩვენიდან, **პაპიებიდან** (უსტ.).

ხოჯიები (<ხოჯეები<ხოჯაები): **ხოჯიების** კითხვა არ მიყვარს (მან.).

ბახჩიები (<ბახჩეები<ბახჩაები): **ბახჩიებში** არაფერი არ მოდის (წეთ.).

ე ხმოვნით დაბოლოებული სახელები:

ა. ე ხმოვნით დაბოლოებულ სახელებში, როგორც მოსალოდნელი იყო, - ებ ნიშნის დართვით ორი ე გვაქვს:

ღელე: აქ გოლი არ არი, **ღელეებია** (უსტ.).

ხე: აქ **ხეები** უნდა, **ხეები** (უსტ.).

კლიტე: ერთათ მიბმული იყო **კლიტეები**? (ხევწ.).

ჯამე: ბევრი **ჯამეები** ჩემ ალაგშია (მაჩხ.).

ყალე: აქავრი თამარას **ყალეები** არიან (სვირ.).

ნენე: ამ სახლებში **ნენეები** არ არიან (უსტ.).

დედე: ჩვენი **დედეები** ზათი აჭარადამ გადმოსულან (მაჩხ.).

ქილისე: ბევრი **ქილისეები** არიან (ჩიხ.).

ამ სახელების დამოწმებულ ფორმებში ხდება დისიმილაცია: ეე>იე:

დღიები (<დღეები): **დღიებში** ჩადგაო, ვიტყვით (ბაზგ.).



თვები (<თვეები): **თვების** სახელები არი (ბაზგ.).
ღელიები (<ღლეები): ღმა **ღელიებში** წვეალთ (უსტ.).
დედიები (<დედეები): ჩვენი **დედიები** აჭარაიდამ მოსულან (უსტ.).
საქმიები (საქმეები): არიან იმგვარი **საქმიები** (ნიოლ.).
ნენიები (<ნენეები): მაშინდელი **ნენიების** ხელში რომ იცოდენ (ბაზგ.).
დადიები (<დადეები): **დადიები** ერთი ბაჯლის თერეფიდან იქნება, ერთი - ბიჭის (უსტ.).

ანალოგიური შემთხვევების შესახებ ბ. ჯორბენაძე წერს: „... **იებ** ზოგჯერ ერთიან ფორმანტად გაიზარება და დაერთვის ერთმანცვლიან ფუძეკუმშვად სახელებს - ფუძეში რედუცირებული ხმოვნის საკომპენსაციოდ” (ჯორბენაძე, 1989.:380).

1.4. ნაცვალსახელი

შავშურში ზოგი თავისებურებით ხასიათდება ნაცვალსახელი:

გავრცელებულია **ისა**:

ჩემი ახრაბა არი **ისა** (ზაქ.); იმგვარი გერმელია **ისა**, ქი (ბაზგ.)...

დასტურდება ნაწილაკიანი ფორმებიც:

ისაც ავთ გახდა, **ისაც** ემე გომიხდა (ბაზ.); **ისაც** მეთიმი იყო (ხოხ.); **ისაც** [მაილა] ჩვენია (ჩაქ.)...

ი ბოლოკიდურიანი იშვიათია:

სერზე **ისი** არი ... დუზია (ჩაქ.)...

ისი იშვიათია ც(ა) ნაწილაკთანაც:

ახლა **ისიც** აღარ მყავს (უსტ.)...

გამოთქმულია ვარაუდი: „შესაძლოა... **ესე**, **ისი** ... არქაიზმები კი არ იყოს, არამედ **ესა**, **ისა** ფორმების ასიმილაციის შედეგი” (ლეჟავა, 1958.:183). საინტერესო ვარაუდია, მაგრამ, ვფიქრობთ, ასიმილაცია ხელს არ უშლის, რომ **ესე**, **ისი** არქაიზმები იყოს.

მრავლობითში ნორმაა ე ბოლოკიდურიანი **ისენი**:

კიდენ დადიან **ისენი** (ჩაქ.); **ისენი** ბითევ თურქქას ლაპარაკობენ (უსტ.); ჩვენში **ისენი** არ არიან (ჩაქ.); ანამ მყავდა, ბაზომ მყავდა, **ისენი** მიშველიდენ (უსტ.)...

ისინი სპორადულია:

ისინი გენჯები იყვენენ (ბაზგ.)...

გვხვდება ესანი:

ესანიც თქვენები არიან? (ბაზგ.)...

ისენი და ესანი ფორმები შეიძლება ისინი და ესენი ფორმებისაგან იყოს მიღებული დისიმილაციით: ისინი>ისენი; ესენი>ესანი.

მეორე პირის ჩვენებითი ნაცვალსახელი გვხვდება ოთხი სხვადასხვა სახით:

რა თქმა არი ეგა? (ზაქ.); ეგა მეზობელია (ზაქ.); მეგ წორეა (დ.); მეგა ქლიავისა (ნიოლ.); მეგეც გაწყდება (უსტ.)...

ჩვენებითია იმგვარი, იმგვარო, მაგვარი:

იმგვარო რაცხა გვესმოდა (უ.);

იმგვარი ემე იყო, ქი...(ჩაქ.);

არ გემიგონია მაგვარი, დანი (უ.).

გვხვდება დისიმილაციით მიღებული ფორმა ემგვარი:

იქნება აქ ემგვარი (ჩიხ.).

პარალელურია იმდენერთი და იმდენეთი (რ დაკარგული):

ამ ღარჭის იმდენეთი ვიყავ, ბევრი არ მახსოვს (ხევწ.)...

ზველი ბინა იყო და... იმდენერთი იყო სავსე (უსტ.)...

შდრ.: ჩვენს სისხლსა აუხვალ, რომ ამდენი ერთი კაცი ამოვსწყდეთ? (რუსუდ. 412,3).

არ. მარტიროსოვს მიაჩნია, რომ ახალ ქართულში შეიცვალა საშუალო ქართულიდან მომდინარე შესიტყვებების - იმდენ ერთი, ამდენ ერთი შემადგენელი ნაწილების რიგი: ერთი ამდენი, ერთი იმდენი (მარტიროსოვი, 1964.:154). ჩანს, შავშურს საშუალო ქართულის ვითარება დაუცავს.

შავშურში დაცულია ადრინდელი ფორმა.

კითხვითია რაი//რაი//რა:

ჭალი რაი არის? (ზაქ.);

რაი ქვია, გო? (უსტ.); ჰამა, რაი'ნა ქნა? (ბაზგ.)...

რა ვიცი ანი, ვინცხა ყავს, არ ყავს (ბაზგ.)...

რა რომელი ნაცვალსახელის ფუნქციითაც იხმარება:

რა ალაგიდან ხართ? (იფხ.); რა სოფლიდან ხართ? (ივ.).

რა მიცემით ბრუნვაში სავრცობიანია:

შენ რასა წერავ აქა? (ზაქ.).

მრავლობითის ფორმები ფონეტიკაში გვაქვს განხილული და აქ აღარ გავიმეორებთ..



განსაზღვრებითი ნაცვალსახელი **თელი** მნიშვნელობით იგივეა, რაც **ყველაფერი, ყველა**:

თელი გურჯი არიან რაბათში (დავ.); **თელმა** არ იციან, ზოგმა... (უსტ.); **თელი** იმღერა იქა? (ჩაქ.); აქ **თელითვინ** (=ყველასთვის) იყო იარაღი (ბაზგ.); შორვა **თელზე** ვაკეთებთ (მაჩხ.)...

ყველაფინ (=ყველა):

ნუსხა ჩეთინია, **ყველაფინ** ვერ დაწერს (ბაზგ.).

ყველაფინ (ყველა+ფინ): **ვინ** შეიძლება უტოლდებოდეს **ვინმე** ნაცვალსახელს იმ მნიშვნელობით, რომელიც მას აქვს სამხრული მეტყველებისათვის დამახასიათებელ უარყოფით კონსტრუქციაში: **ვინმე ვერ დაწერს**.

უარყოფითი ნაცვალსახელები **არავინ, არვინ, აღარვინ, არაფერი...** გვხვდება ზმნის უარყოფით ფორმასთან:

ბუღდას **არვინ** არ თესავს (მაჩხ.); **არვისთან** არ გიგიშვებთ (მან.); **არაფერ** არ ჩაყერი (ბაზგ.); **არაფერი** არ მახსოვს (ბაზგ.).

შავშურში იშვიათია სამხრული კილოებისათვის, განსაკუთრებით აჭარულისათვის დამახასიათებელი გამოთქმები, რომლებშიც განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი ახლავს ზმნის უარყოფით ფორმას:

იქ **რამეს არ ჩადებენ** (სვირ.); **რამე არ აქ** (ბაზგ.); **რამე აღარ ვიცი** (ბაზგ.).

ჩვენ მიერ ჩაწერილ შავშურ ტექსტებში ამ კონსტრუქციის ორმოცდაათზე მეტი გამოთქმიდან მხოლოდ შვიდია ისეთი, რომლებშიც განუსაზღვრელი ნაცვალსახელი და ზმნის უარყოფითი ფორმაა, დანარჩენში უარყოფითი ნაცვალსახელი და ზმნის უარყოფითი ფორმაა. ამავე ტიპისაა გამოთქმები, რომლებშიც უარყოფითი ზმნიზედა ზმნის უარყოფით ფორმას უკავშირდება:

საქმეზე **არსად არ იყო** (ბაზგ.); **არსად არ წევსულვარ** (ბაზგ.); **არსად არაფერი არაა** (ხოხ.).

ამ გამოთქმების ნაცვლად აჭარულშია: **სადმე არ წევსულვარ, სადმე რამე არაა...**

სამხრულ კილოებში, კერძოდ აჭარულში, ფართოდ გავრცელებული „ვინმე არ არის“ ტიპის გამოთქმები სამეცნიერო ლიტერატურაში ჩათვლილია თურქული გამოთქმის **Kimse yok** კალკად: **Komse** „ვინმეს“, „ვიღაცას“ ნიშნავს



წართქმითი ფორმის შემასმენელთან, ხოლო უკუთქმითი ფორმის შემასმენელთან აქვს მნიშვნელობა „არვინ“ (გურგენიძე, 1973.:79). ნ. გურგენიძის აზრით, აჭარულში არ არის გარჩეული თურქულიდან შემოსული ნაცვალსახელის გამოყენების წესები. მკვლევრის მსჯელობის მიხედვით, სწორი იქნებოდა „ორმაგი უარყოფის შემცველი გამოთქმა „არავინ არ არის“. ზმნიზედებზე არაფერია ნათქვამი.

უკანასკნელ ხანს გამოითქვა განსხვავებული მოსაზრება: დიალექტებში არსებული „ვინმე არ არის იქ“, „რამე არ გადამიხდია ბაზარში“... და სალიტერატურო ქართულის „არავინ არის იქ“, „არაფერი გადამიხდია ბაზარში“ გამოთქმებში ხაზგასმულ ნაცვალსახელთა ფუნქციურ აღრევას განაპირობებს ქართულ ენაში არსებული კითხვით ნაცვალსახელთაგან უარყოფითი და განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელების წარმოების წესი. საფიქრებელია, რომ აქ მარტოდენ მარტივი აღრევა არ უნდა გვექონდეს. შესაძლებელია, ამ ფორმებში არქაული ვითარება იყოს დაცული. ამდენად, აღნიშნული საკითხი შესწავლილი უნდა იქნეს ქართველურ ენათა სხვა დიალექტების მიმართაც (ჩანტლაძე, 2010.:66-67).

აღნიშნული ტიპისა და სამეცნიერო ლიტერატურაში კალკებად ჩათვლილი სხვა გამოთქმები განხილულია მერი ცინცაძისა და მამია ფალავას შრომაში „კალკების საკითხისათვის სამხრულ კილოებში“ (წინასწარი შენიშვნები) (იხ. ცინცაძე, ფალავა, 2005).

რაცფერი მნიშვნელობით უდრის ბევრნაირი, მრავალგვარი:

ბელქიდა **რაცფერი** შეინახეს (უ.); რუსმა გადმაყარა შექერი,

რაცფერი საჭმელი და აჭარლები გადააბრუნა თავისკე (უ.).

თვით, თავად ნაცვალსახელთა მნიშვნელობით ჩვეულებრივია და ნორმად უნდა ჩაითვალოს **თავეთ**:

ბიბიშვილზე მიყოლილი ვიყავ, **თავეთაც** მიმცეს (ბაზგ.);
 ღმერთი **თავეთ** დიგვიქნევს (ბაზგ.); **თავეთაც**ნა გახდენ
 დედამთილი, ხებერი არ აქვან (ხეფწ.); თორუნები შარშან
 მოვდოდენ **თავეთ**, წელს არ მომივდენ (მან.); საქონელი მევდენ და
თავეთ ვერ მოვდა იშტა (უსტ.); **თავეთ** იქ არიან (ზ.); არ უნდა
 წახმარება, **თავეთ** იცის იმან (ბაზგ.); **თავეთ** იქ არიან ზიოსში
 (ბაზგ.); ქალები მოიდენ, **თავეთაც** მოიდა (მან.); ერთი ბაკალა
 ახლა გავათხვე, **თავეთ** აირჩია (მან.); თავის ფული **თავეთ** მეიგოს
 (უ.).



თავით არის ამოსავალი ამავე მნიშვნელობის სხვა ფორმებისათვის:

თავითალამ შევა შით (ბაზგ.); ხელით დასაბრუნებელი, ჯეირანისაც გამოსულა, **თავითალამ** ატრიალებს (ბაზგ.); ერთ წელწად პურ არ დავთესდით, **თავთანამ** ამოვდოდა ისა (უ.)...

დასტურდება ფონეტიკურად სახეცვლილი, თანდებულიანი ვარიანტი: ახლა წავლენ ბიჭი, ბაჯალა, **თავესთვინ** არიან (ჩაქ.).

ანალოგიური აგებულების ჩანს **ჩვენათამ** (=ჩვენ თვითონ), **ჩემთანალამ** (=მე თვითონ):

უქუმეთი არ გვეშველება, **ჩვენათამ** რაა'ნა ვქნათ? (ნიოლ.); მე **ჩემთანალამ** წამუელ (ბაზგ.).

თავით გვხვდება საბასთან კუთვნილებითი ნაცვალსახელის მნიშვნელობით:

რაც საფრანგეთში მხატვარი, კაცი თუ ქალი გამოსულიყო **თავეთის** ხელით **თავეთის** სახე დახატული იყო (მოგზ. ევრ. 254); **თავთავეთი** სატანჯველი ხელთ ეჭირათ (იქვე, 256); ორის **თავეთის** რიგისა წმიდისა სხვა თავი, მრავალი სხვა ნაწილი გვიჩვენეს (იქვე, 265); სამოცდათექსმეტი ვეცხლის წმიდანი იყო შექმნილი, **თავეთთავეთი** ნაწილი ეჭირათ (იქვე, 2); ამ თათრებს ხომალდიდამ ამოუშვებ, **თავთავეთვის** წავლენო (იქვე, 286).

თავეთი „უკუქცევით-კუთვნილებითის მნიშვნელობით მრავლობით რიცხვში მათის“ გვერდით” იხმარება ჯავახურში:

წავიდნენ **თავენტ** გზაზე, მივიდნენ **თავენტ** სახემწიფოში (მარტიროსოვი, 1984.:57).

უკუქცევითი „თავი“ კუთვნილებით ნაცვალსახელთან ერთად პირის ნაცვალსახელის ნაცვლად უკავშირდება ზმნას:

თავის ანას უნდოდა ჩემი თავი (შავშ.).

ამ წინადადებაში „თავის“ „მის“ ნაცვალსახელის მაგივრადაა ნახმარი (=მის ანას).

ბაჯალასაც ამის **თავი** უნდოდა (ბაზგ.); კაკლი(ს) ხეჭბოდან გამოსულა და ჩემი **თავი** არ მოჰწონსო (მაჩხ.); გუუყინავს შენი **თავი** (ბაზგ.); რა? იცის ჩემი **თავი**? (ბაზგ.).

იშვიათია პირის ნაცვალსახელი აღნიშნული სინტაგმის ნაცვლად (ჩემი თავი...):

მე ბელქი არ უყვარვარ (ხევწ.).

§2. ზმნა

2.1. პირისა და რიცხვის ნიშნები

მესამე პირდაპირობოექტური პირის პრეფიქსები - **ხ, ჰ, ს** დაცულია უმეტესად მაშინ, როცა ის მიცემით ბრუნვაშია.

ხ: თითო-თითოს **ჩავხყრით**, მივაყრით მიწას (ხობ.); ჩვენი მალე **მოხვეთავს** (ბაზგ.); ჩალასაც **შეხვებონავთ** (ბაზგ.).

ჰ: ფხალსაც მოხარშავ, **დაჰკეპავ**, **ჩაჰყრი** (ხობ.); ერთ თანეს **მოჰკლავ**, მეორე მოვაო (ჩაქ.); **მოჰკლავ**, არ'ნა შეგიტყვან'ნა (ჩაქ.).

ჰ შენახულია დედისეული ბგერების წინაც:

ეს ჯინჭარია, ახლაც **ვჰჭამთ** (ჩაქ.); ახლა გაჰააზირებ, ზამთარში **დაჰწვავ** (წეთ.); ღმერთმა გაგაწყნაროს, ასე **დავჰწყევლით** (მაჩხ.); **აჰწონავ** ერთ ემესა (ჩაქ.).

ს: არ **სწყევლო** არავის (იფხ.).

პირველი სუბიექტური პირის ნიშანთან არის მრჩობლი **ჰს:**

მოვჰსწველდი, მაქინაში **მივჰსცემდი** (მაჩხ.).

ზმნის ფორმაში ხშირად არ არის მესამე პირის ობიექტის ნიშანი:

ბახშიში **მიცემენ** (წეთ.); ოსმალომ მიწა **მიცა** (ჩიხ.); ორი მილიონი **მიცეს** (ნიოლ.); ფარა ვერ **მიცა** (ნიოლ.); ჯან **მიცემს**, მოკდება (სვირ.); ბიბერი'ნა გუფურიო, რენგი **მიცეს** (სვირ.).

გული **ტკივა**, აგზე **ტკივა**, ქლიკი, წელი **ტკივა** (სვირ.); იმა **ტკივა** და მე არ **მტკივა?** (ჩაქ.).

ძიმე საქმე არ ასაქმებენ, **მოწყდება** ბალანა (წეთ.).

იმვითად ობიექტური წყობის ზმნებში დაცულია მიცემით ბრუნვაში დასმული სახელის ნიშანი:

ხ: ქვიები **ხქონდა** აგზე (ჩაქ.); შვილები **ხყოლიაო** (მაჩხ.); ახლა დობტორთან **მიხყავან** (წეთ.).

ჰ: კაკლი(ს) ხეჰპოდან გამოსულა და ჩემი თავი არ **მოჰწონსო** (მაჩხ.); ჩვენში თურქი ლაპარაკი **მოჰწონან** (ჩაქ.).

ჭარბობს უპრეფიქსო ფორმები:

სასაფლაო არ **ქონია** (ჩაქ.); ამას ეკალი **ქვია** (ჩაქ.); ამას სონერი **ქვია** (ბაზგ.); ის დიდი ბუზები, ბონერები არიან, ფუტკრებს **გავან** (ბაზგ.); ხალაჲ იქ, მაჭიხელ, გათხოვილი **ყავდა** (ბაზგ.).



მიცემითბრუნვიანი პირის მრავლობითობა სხვადასხვა ჯგუფის ზმნებთან სხვადასხვა მწკრივში აღინიშნება მესამე სუბიექტური პირის მრავლობითობის –ან სუფიქსით მოსალოდნელი თ'ს ნაცვლად:

მრავლობითობის –ან სტატიკური და ობიექტური წყობის ზმნებთან აწმყოში:

დოდოფალი მოქყავან (ბაზგ.); საჩუქარი ვინ ქყავან (ჩაქ.); იქაც გყავან საქონელი? (უსტ.); რაცხა რომ გასაგნები გაქვან (ჩაქ.); ღვინოსაც სვამთ, ფენა გიყვარან (ზ.) ახლა სხვა ალაპარაკეთ, ჩემიდან გეყოფიან (ჩაქ.); საქმე გეზარებიან (ბაზგ.); თქვენ არ გაქვან ადეთი? (უსტ.); თქვენ არ გითესიან, არ გაქვან? (ხობ.); ამათ ესმიან ადეთი (მან.); ამათ ენა იციან, ჰამა არ უბრუნავან ენა (ზ.მ.); ჯეიზიცი აქვან (უსტ.); ზოგ ჩომა არ ყავან (ბაზგ.); ვინცხას ქი ჩომა ყავან, თიბვენ (ბაზგ.)...

ბოლო ორი წინადადების ნაცვალსახელები „ზოგ“, „ვინცხას“ მრავლობითად არის გააზრებული, რაზეც მიუთითებს ზმნა თიბვენ ბოლო წინადადებაში.

მრავლობითობის –ან I თურმეობითში:

მეგენი ზათი დიგიწერავან (ზაქ.); ღვინო უკეთებიან (უსტ.); გურჯიჯა ვერ მუფერებიან (უსტ.); გაღმა სერები დოუნახავან (ივ.); კად ალაგები უნახავან (უ.); ფეხებით უტენავან კანდრაში ფშნილაი (ხობ.); ვერ მუუკვლიან, მასალიაო... (უსტ.); შიგან სურათები გუმურვან, ცეცხლი მუფემიან და გუმურიან (მან.); აქ რაცხა რომ ძველათ დუუწავლიან ... იმათ იჯებიან (ბაზგ.); ძველათ დუურქმევიან (ბაზგ.); აქ იყავითო, იმათაც უთქმიან (ნიოლ.); იწავლიან და ვერ დუულაპარაკნიან (უსტ.); თქვენ საქმე დაგლევიან და დამსხდარხართ (ხევწ.); ვერ უუვლიან (ნიოლ.); შავშეთიც გურჯი ყოფილა, ჰამა დავიწყნიან (ჩაქ.)...

-ან იცის ზმნის მყოფადის ფორმასთან:

ძველებ ეცოდინებიან ბელქიდა (ჩაქ.); ბაჯლებ ეცოდინებიან (ბაზგ.); იმათ ეცოდინებიან (ბაზგ.)...

შდრ. ამ გურჯებ ეცოდინება (უსტ.)...

II თურმეობითში დასტურდება –ენ, –ეს სუფიქსები:



რა **დეეშავები**ენ იცი? (მან.); ესენი რომ **წამოგეყვანენ**, ახლა იქ ვიქნებოდით (ბაზგ.); **ეთესებოდენ** ლახანა, დაკვირდებოდი ამოვლად (უსტ.)...

ეს არ **დეგექციეს**, შარაბი იყო იშტე (უსტ.); იქავრი შარაბები **მიეტანეს** (უ.)...

-ენ უწყვეტელში:

რა **უხაროდენ** (ივ.); **ემინოდენ** მილეთ (მან.)...

იმვიათად წყვეტილში –**ნენ** სუფიქსია:

ერთი [თუთა] **დაგჩნენ**; დიდი თუთა **დაშჩნენ** (ხეცვ.)...

-თ სუფიქსის ნაცვლად ორმაგი სუფიქსით – **ანან** არის ნაწარმოები **უნდა** ზმნის II და III პირის მრავლობითის ფორმები:

თქვენ გურჯი მღერა **გინდანან?** (უსტ.); ახლა უუუ... ბევრი რაცხა **უნდანან** (ჩაქ.); თუ **უნდანან**, იგზე დაკლენ (ჩაქ.); რაცხა ქი **უნდანან**, მედთხოვენ (უსტ.)...

მიცემითბრუნვიანი პირის რიცხვის გამოხატვის საკითხი ქართულში განხილული აქვს ნ. სურმაგას (სურმაგა, 1989).

პარალელური ფორმებია **არის** და **არი**:

ექვსასი დოლარის ამღებელიც **არი** (ჩაქ.); აქ ყველა ბალახი **არი**, ყველა ჩემიტი **არის** (უ.); აქ **არი** თავის ბაბოსთან (ბაქზგ.)...

მყავს ზმნაში არ არის სუფიქსი –**ს**:

დედაბერიც **მყავ** აგზე (უსტ.); ერთი ღარჭი **მყავ**, ერთი – ბაჯალა (უსტ.); ერთი აქ მეზობელი **მყავ** (მან.)...

ვიდ ფუძის ზმნის წყვეტილის მესამე პირის მრავლობითი რიცხვის ფორმაში იხმარება სუფიქსი –**ეს**:

იმათ ვუთხართ, ჰამა არ **წამოიდეს** (ივხ.)...

მოსალოდნელი –**ენ** სუფიქსის ნაცვლად სუბიექტის მესამე პირის ნიშნად აწმყოს მრავლობითში არის –**ან**:

აქედან **მიდევან** გოგოს ნათესავები (სვირ.)...

ერთპირიან ზმნაში ორი პირის ნიშანია:

ხან-ხან ელექტრიკები **სწყდება** (ჩაქ.); ამეძარეთ, ყალე არ **სჩანდა?** (სვირ.); ანჯახ გავთბით, **გაჰყინა, გაჰყინა** (ხოხ.)...

2.2 დრო

მყოფადის გადმოსაცემად ზმნისწინიანი აწმყოს პარალელურად გამოყენებულია კავშირებითის ფორმები (უმეტესად მეორე კავშირებითი). ამ მხრივ ძველი ქართულის ნორმა დაცული.

I კავშირებითი: რად გითხრა, **ვიცოდე**, **ვიტყოდე** (სვირ.).

II კავშირებითი:

თუ ქემალამ არ მედწონა, მე **ავართვა** (ბაზგ.); ერთი ჩავალ, ძროხა **ავადრო**, ახორშია (ხევწ.); **ჩევიდეთ**, ჭადი **ჩეგისხათ**, **გაჭამოთ** (უ.); შიერი არ იყოთ, საჭმელი **მოქცეთ**, ჭამდე (უსტ.); შინ'ნა **მივდეთ**, პური **მოგართვათ** (მან.); მეც **მოგეკრა** (=შეგეერთდებით) და **წევედით** (უ.); სკამები **მოგცეთ**, ემეები დათალეთ და **ჭამეთ** (უსტ.); რაცხა **გითხრა**, შაირები (დ.)...

მყოფადის მნიშვნელობა აქვს ი- პრეფიქსიანი ვნებითის II კავშირებითის ფორმას:

დიობან წეიყვანეთ, ზათი ვერ **იცოცხლებენ**, დეიხოცნენო (=დაიხოცებიანო) (ივ.).

ხაზგასმული ზმნის მყოფადის მნიშვნელობა „იცოცხლებენ” ზმნითაც ჩანს. ასეთივეა:

ფარნუხში არ'ნა გახვიდე? სად **შეიყარნეთ** (=შეხვდებით)(უ.). მკითხე და **გითხრა** (ბაზგ.); სობაჲ ავანთე და აქ ადულდეს და ჩაი **გიგიკეთო** (ბაზგ.); მე **წევდე**, ყანა მოვრონიო (ზ.).

ერთსა და იმავე წინადადებაში მყოფადი გადმოცემულია კავშირებითისა და ზმნისწინიანი აწმყოს ფორმით:

რომელცხა კარზე **მიხვიდე**, იქ **დაგაყენებენ** (ჩაქ.); **გითხრა**, ჰამა თქვენ ვერ **გეიგნებთ** (კოკ.); საჭმელი **გემშევიან**, **მოგართვამთ**, ჭამეთ, ჩაი **გასვათ** (სვირ.)...

დიალოგში:

- **გაწვიმდეს'ნა**.
- **დაგაყენებ!**
- მგონი არ **დამაყენო** (ხევწ.).

ვალ ზმნის აწმყოს ზმნისწინიან ფორმას აქვს აწმყოს მნიშვნელობა:

ჯვარისხევი ეს არი, ეჰე, გზა **შემოვა** (=შემოდის) (ჩაქ.); ნაფეტვარი სადაა, იცი? აგერ გზა რომ **მოვა** (=მოდის) (დ.).



ასეთი ფორმები ზოგჯერ უდროო, ზოგადი აწმყოს მნიშვნელობით არის გამოყენებული:

ახლა დოხტრები არიან, იქ არევიან არ **წავა** (ჩაქ.); ზამთარში ზოგი **წავლენ** (ჩაქ.); ზათენ აღარვიან აღარ **წავლენ** (ჩაქ.); ზამთარში ბევრი თოვლი **მოვა** აქ (ჩაქ.); ხუთი ქილომეტრი **მივა** (ბაზგ.); ძალი საქმეზე **დავა** (=დადის) (ბაზგ.)...

აწმყოს მნიშვნელობა აქვს I თურმეობითს:

ყველაფერს ჩვენ **ვიქდით** (+ვშვრებოდით), ამა ახლა ველარ **გვიქნია** (ვშვრებით) (ჩაქ.); დავბერდით, ველარ **გვიქნია** (ბაზგ.); ზოგსა ვსეირობთ, ზოგი ვერ **გიგვიგნია** (უ.); ახლა უძაღლო ვერ **დავმდგარვარ** (=ვძღვებ) (ჩაქ.)...

მყოფადის მნიშვნელობითაა ნახმარი აწმყო:

დღეს ვარ, ხვალ არ ვარ (ხევწ.); **მღერობენ**, ამ დეყეზე არ **მომაგონდება** (შავშ.). შდრ. ახლა აღარ **მაგონდება** ქი (უსტ.).
ბაღნებმა გურჯიჯა **იგნებენ**, ვერ **ილაპარიკებენ** (უ.).

2.3. ზმნისწინი

შავშური დიალექტის ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული თავისებურებაა **წა-** ზმნისწინის ხმარება **მი-**ს ნაცვლად:

მეც **წავდივარ**, წრეველ აქ ვიყავ (ზაქ.); არ ვდგები აქ, **წავდივარ** ხოჯისთან ერთად (ბაზგ.); სამ წელიწადში ერთი თვე წინ **წადის** (მან.); ფეხდაფეხ **წადის**, ახლოა (წეთ.); თაზე **წადიოდა**, მემთვერე იყო (ხობ.); გასათოვლებელ დროში **წავდივართ** (ჩაქ.); თელი **წავდივართ** ისტამბულ (სვირ.); ჩიხორ აღარ **წავდივართ** (ნიოლ.); ისენი **წადიან** (უსტ.); ქალებიც **წადიან** (ბაზგ.); ზოგი რჩებიან, ზოგი **წადიან** (ხევწ.); ქალაქებში ვერ **წადიოდენ** (ჩიხ.)...

ერთმანეთის გვერდითაა **წა-** და **მი-** ზმნისწინები:

მიდიხარ, ველარ **წადიხარ** (ბაზ.).

წა- და **მი-** ზმნისწინი მნიშვნელობით უპირისპირდება **მო-**ს:

სიძე **წადის** და **მოდის** (მან); ხანდახან **წადის** და **მოდის** [ელექტრიკები], ზაფხულში იმდენი არ **წადის** (ჩაქ.); ონ ბემ გუნ **წადიან**, **მოდიან** (დ.).



სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ფუნქციით წა (<წარ) ზმნისწინი უტოლდება მი^ს. სწორედ ამით აიხსნება, რომ „ხშირად ეს ორი ზმნისწინი ერთიმეორის შემცვლელად გამოდის” (მარტიროსოვი, 1953.:87).

წამო- მნიშვნელობით იგივეა, რაც **მო-**, რომლის ნაცვლადაც დიალექტში ნახმარია **წა-** და რომელსაც იგი კონტექსტში უპირისპირდება:

აქიდან **წადიან**, სალამოს **წამოდიან** (ბაზგ.); **წამოდიან** იქიდან (ბაზგ.)...

მი- და **მო-** იშვიათად უპირისპირდებიან ერთმანეთს:

ჰო, მივდივართ, მოვდივართ (ბაზგ.).

მა- ზმნისწინი **მო**-ს ნაცვლად ფართოდაა გავრცელებული შავშურში. ამ მონაცვლეობის საფუძველი ზოგჯერ ფონეტიკურია - ასიმილაცია: თუ **მო** ზმნისწინს მოსდევს ა- პრეფიქსი, მაშინ **ოა**: **მო-ა>მაა**; **გამო-ა>გამაა**; **ამო-ა>ამაა**; **ჩამო-ა>ჩამაა**...

მო-ა>მაა:

ახლანდელეფს შენ ვერ **მატყვილეფ** (ხევწ.); პატარამაც წრეველ **მარჩინა** ლიცე (ხევწ.); სოკო ბილა **მაქვან** (ბაზგ.); იმას მახასით **მაჭრიან** (ბაზგ.); მაშინ ეს სუჩლი გახდებოდა, შენ **მაპარვიეო** (ჩაქ.); ხეს **მაახტები**, ახვალ (წეთ.); თუ გინდა, მაწონ შეატან, თუ გინდა, თაფლ **მაწობ** (წეთ.)...

გამო-ა>გამაა:

იმ კეცებზე პურებ **გამააცხოზდენ** (უსტ.); რუსმა **გამაატყვილა** აჭარლები (უ.); „გამააქციე” „გამააბრუნე”, ის თქმადა (მაჩხ.); მაქინაიდან ნალებ **გამაადენ** (ნიოლ.); ამას რაცხას **გამაატანებენ** (შავშ.); **გამააჭრევინა** დოხტურს (მაჩხ.)...

ამო-ა>ამაა:

კაცები ემეგზე **ამასხა** (ჩაქ.).

ჩამო-ა>ჩამაა:

უნდათ **ჩამააგდონ**, ჰამა ვერ გააქანეს (მან.).

გადამო>გადმო-ა>გადმაა:

მე ვიტყვი, ჰამა თურქა ვიტყვი, ამან **გადმაატრიალოს** (ა.); რუსმა **გადმააყარა** შექერი (უ.)...

ეს მონაცვლეობა სხვა დიალექტებშიც ხდება, მაგრამ ისეთ ფორმებში, რომლებშიც **მო-** ზმნისწინს მოსდევს I და II ობიექტურ პირთა ნიშნები.



დამოწმებული მასალით ჩანს, რომ შავშურში **მო-** ზმნისწინი თითქმის ყოველთვის იცვლება ზმნის **ა-** პრეფიქსიან ფორმაში.

პირველ და მეორე ობიექტურ პირთა ფორმებშიც არის **მა-** ზმნისწინის მაგალითები შავშურში:

მამპარეს ძალი (ჩაქ.); შენ ქი მე არ **მამყევი**... (მაჩხ.); იმან გამოთხარა, **გამამიყვანა** წყალი (ხევწ.); ყართოფა დავეთესე, **ამამიყარეს** (ჩაქ.); ღმერთმა გაცოცხლოს, კარგად **მაგარჩინოს** (სვირ.)...

გაფართოებული ჩანს **გა-** ზმნისწინის ფუნქცია - იგი ხშირად სხვა ზმნისწინის ნაცვლად იხმარება:

გა- შე'ს ნაცვლად:

გავწუხდი იქაო, ისტამბულ, არ **გაწუხდე**, მოვალ (ნიოლ.); ესენი ჩემი თანიში არიან, არ **გააწუხო** ესენი-მეთქი (ზაქ.); ბევრი არ'ნა **გააწუხო**, ეს **გავაწუხეთ** (ზაზგ.); იქიდან ქი გამოქცეულა, თურქებ **გუწუხებია** (უ.); არ **გაწუხდეთ** (ზაზგ.); საქმემ **გამაწუხა**, საქმემ მემერიაო, ჩემი ბაბო იტყოდა (მაჩხ.); აქ **გავწუხდები**, ჩავალ შავშეთში (ჩაქ.)...

მონაცვლეობა მიმდებარეობს:

არ ვარ **გაწუხული** (ზაზგ.).

გა (>გე) - და'ს ნაცვლად:

შენ - გაღმა, მე - გამოღმა, გულმა რავარ **გეისვენოსო** (ზაზგ.); ველარ **გემისვენია** (უ.); დასივდა ასე ბაყეები, ველარ **გევისვენე** (ზაზგ.).

გა- მო'ს ნაცვლად:

კვირის ჩხვერაზე **გატყვილდება** ქალი (წეთ.).

გა- და/შე ზმნისწინების ნაცვლად:

გავპირდი, ჩევდე'ნა იქა, ვუშველო (ნიოლ.).

შე- ზმნისწინის ენაცვლება **შა-**:

ემინე აბლა, **შამოა**, **შამოა** (დ.); ბევრი მოყრილობა იქნებოდა, **შამეხვევი** (<შემოეხვევი) (დ.); ჯინები არ მოვდენო, საბელ **შამავლებდენ** (წეთ.); დადე [დოდოფალს] **შამეიყვანს** (ზ.); დოდოფალ მოვთხოვთ, **შაგვიკაზმენ** (ზ.); მამამთილი **შამუა**, ადგე'ნა ფეხზე (შავშ.); **შამოიდნენ** (<შემოვიდნენ) ქალები (უ.)...

ზოგი ზმნა უზმნისწინოდაა წყვეტილსა და მეორე კავშირებითში:



ბითუმ შავი'ნა იცვა? (ზაქ.); გაწვიმდეს'ნა, არ შატყვილო (ბაზგ.); რა ზორი მაქ, პირი ვიმყრალო (ბაზგ.)...

დიალოგში:

- არ გამომილო (=გადამილო) [სურათი]!

- ილო, ილო, ნენეჯან! (სვირ.).

უზმნისწინა საწყისიც:

არ არი ჯენნეთში ჰემდა რიდება (=მორიდება) (მან.).

ფართოდ არის გავრცელებული და- ზმნისწინი მოქმედების ინტენსივობისა და ობიექტის სიმრავლის გამოსახატავად:

ახლა ლამაზი სახლები დავაკეთეთ (უსტ.); ძველათ სკიები (=სკებს) დააკეთებდენ (უსტ.); ყართოფ დავთლით (ბაზგ.); ემეები დათაღეთ და ჭამეთ (უსტ.); ბლიები დახმა, დახმა (ჩაქ.); იმან ჭალა დათიბა (ხევწ.); თუ დავთიბე ჭალები, ვიქნები (ზ.); ახლა ფენა დაზენგილდენ (უ.); ჩვენ დავზარდეთ [ბავშვები], აკვანში გვიწევან (ბაზგ.); ჭურჭელი დავრცხა (ნიოლ.); ზოგი ზროხები'ნა დავყიდო, ვერ უარ, ვერა (ხევწ.); საქონელი დავყიდე, დავაცოტავე (ზაქ.); აქ ბაღვები დეიზდენ, წევდენ (მაჩხ.); აფუელი თანე ღარჭი აწველი (აყვანილი) მყავსო და ბითევი დეიზარდენო (ბაზგ.); დავახვევთ ზარმას (უსტ.)...

და- ზმნისწინის ეს ფუნქცია ჩანს მიმღეობაშიც:

პური'ნა ჩევსხა, დაკეთებულია სომუნები (უსტ.); ამ სოფლის რუები დაკეთებულია (უსტ.); გოგოები მყავს, აქ არიან დათხოვილი (უსტ.)...

საიქეთო და სააქეთო რიგის ზმნისწინები უპირისპირდება ერთმანეთს ისეთ ზმნებში, რომელთა მნიშვნელობასთან მიმართულება არ არის დაკავშირებული:

გოგოს უნდა, მომიპარეო, ეტყვის (შავშ.); დიმინახა, მიმიპარა, კად ბიჭი იყო (ჩაქ.); კაცმა ამომირჩია, ის ჩვიდმეტისა იყო (ჩაქ.); ჯამე დავასუფთეთ, მივხოცეთ, მოვხოცეთ (უ.); ქვას გუუქნევ [ძროხას], ვერ დაწყევლი, ვერ გამეიმეტებ (ივ.).

2.4. თემის ნიშნები

ა. თემის ნიშნები დაერთვის სალიტერატურო ქართულის ზოგიერთ ათემატურ ზმნას:

ბან:

სობას აანთობენ, **გააბანებენ** (=დაბანენ) ლამაზათ (სვირ.);
ორი თანე ხოჯა მოვლენ, **გამაბანებენ** (სვირ.).

მღერ:

ჩვენი მეზობელი კაცი **მღერობს** (ზაქ.); გეცინებენ
მეზობლები, რატომ **მღერობსო** (ხევწ.); ყოლთინ **მღერობს** (ბაზგ.);
დუგუნში **მღერობენ** ბევრი (ბაზგ.)...

იშვიათად გვხვდება ი მწკრივის ნიშნით აწმყოში:

ქართულა არ **მღერის** (ბაზგ.).

ტან:

მერე იშტე **შუუტანებენ** საჭმელ (შავშ.); საჭმელ მოგართმენ,
შემოგიტანებენ (ბაზგ.); წრეველ ბირ ბუჩულზე **ეიტანებენ** (ხევწ.)...

იგულისხმება: თივის ფასი გაიზრდება, „აიწევა“ ერთნახევარჯერ.

ამ ჯგუფის (ათემატური) ზმნები ზოგჯერ ორი ვარიანტით - თემის
ნიშნით და უნიშნოდ არის წარმოდგენილი:

ყვან:

მერე **წეყვანდენ** დოდოფალ (შავშ.); დოდოფალ წყალზე
გეყვანდენ (შავშ.); იმა **მეყვანდენ** ბაბოს სახში (ჩაქ.)...

რძალ შიგან **შეიყვანებენ** (უ.); **შეიყვანებენ** ოდაში
დოდოფალ (შავშ.); ამისი ახლო ქალები **გამოიყვანებენ** (შავშ.);
მერე **წეყვანებენ** გოგოს (სვირ.); დოდოფალ რომ **მეიყვანებენ**,
მაშინ იმღერებენ (ბაზგ.)...

ხმარ:

დუგუნში **იხმარენ** ყაფსაფე (იფხ.)...

თუ დეემართა ჩიჩეგი, საპონ არ **ვიხმარებდით**, პირპილ არ
ვიხმარებდით, არ **მახმარებდენ** საპონ, არ **ვიხმარებდი** (წეთ.)...

წერ: ამ ფუძის ზმნის ფორმები თითქმის მხოლოდ თემის ნიშნით (-ავ)
იხმარება, უთემისნიშნოდ იშვიათი, თითო-ოროლა შეიძლება იყოს:

ნუსხას **დაწერენ**, ემე **დაწერენ** (ბაზგ.); შენ ანთიკურ
სიტყვებ ლაპარაკობ და იმა **ვწერო** (ბაზგ.)...



ცქვიტად **წერავთ**, მე მასე ვერ **დავწერავ** (ჩინ.); შენ რას **წერავ** აქა? (ზაქ.); თურისტის საქმე ასეა, დეინახავ, **მოწერავ** (ზაქ.); ჩვენ თურქია **ვწერავთ** (უსტ.); ამას **წერავთ** და მემრე ქითაბინა დაწეროთ? (ნიოლ.).

-ავ თემისნიშნისეული ვ საწყისშიც არის შენარჩუნებული:

დავჯექ მაზი **წერვაზე** (ზაქ.); **დაწერვას**, კითხვას იწავლიან (დ.); **წერვაზე** არიან (მაჩხ.)...

ბ. პარალელური ფორმებით - თემის ნიშნითა და უნიშნოდ არის გავრცელებული ერთი და იმავე ფუძის ზმნებიც, რომლებიც სალიტერატურო ქართულში თემის ნიშანს დაირთავენ.

თეს:

პრასას არ **ვთესავთ**, მადანოზ **ვთესავთ**, ჭარხალას **დავთესავთ** (ზ); **ვთესავთ** სიმინდ, ლობიოს (წეთ.); **დათესვენ** და ამოვა (ჩაქ.)...

ერთ წელწად პურ **დავთესდით** (უ.); სიმინდ **დავთესთ** (უ.); უსტამისურ სოფელში სიმინდ **თესენ**, პურ თესვენ (უსტ.); აქ ყარაყორჩილს **დათესდენ**, ახლა აღარ დათესვენ (უ.)...

თიბ:

მაგას დათესილი აქ და **თიბავს** (უ.); ჭალებში **თიბვენ** (ხევეწ.); ტურუმად **თიბავს**, რაზე არ **ვთიბავთ**? (ხევეწ.); ეს მონჯაა, დათესავ, **მოთიბავ** (ხევეწ.); სხვანი **გვითიბავს** (ბაზგ.)...

სხვანი **თიბენ** (მან.); ბითევი **თიბენ** (ნიოლ.); ვერ მიმიცლია, ყანას **ვთიბ** (სვირ.)...

როგორც დამოწმებული მასალითაც ჩანს, ჭარბობს თემისნიშნიანი ფორმები.

კრ:

ერთი ზურნას **უკრავს**, ერთი - დაულს (შავშ.); კაცი მიუზიყეს **უკრავს** (ბაზგ.); ქედფში ჭიბონ **ვუკრავთ** (ხევეწ.); მეჰმედაა **უკრავდა** (ივ.)...

თქვენ სოფელში ამას **უკრენ**? არ **უკრენ** აქ ამგვარ მუსიკას (უსტ.); გზაში ჭიბონ **უკრენ** (შავშ.)...

შეიძლება, ამ ზმნის მესამე პირის ფორმაში, მრავლობითში სხვა –ავ თემისნიშნიანთა მსგავსად შეკუმშული იყოს (დაიკარგოს ვ) თემის ნიშანი: **უკრავენ>უკრვენ>უკრენ**.



გ. თემის ნიშანთა მონაცვლეობა.

ერთი და იმავე ფუძის ზმნა წარმოდგენილია სხვადასხვა თემის ნიშნით:

კიდ:

ზრუგზე **ევკიდებდით**, ამევტანდით (უსტ.); ძიმე საქმეს არ ასაქმებდენ, არ **მოჰკიდებდენ** (ბაზგ.); კურჩხელას **უკიდებენ** აკვანზე (ბაზგ.); **მოიკიდებ**, წედლებ, მედტან (უ.)...

ზრუგმა დაგვაბერა, **ეკიდავ**, გაწორდები (ხევწ.); ზრუგზე **მეიკიდავ** ფომფას (ჩაქ.); სიმინდ ოდებში ვინახავთ, **დავკიდავთ** (ზ.)...

კეთ:

ფესტილ **გავაკეთებთ** ტყიმლიდან, სხლიდან ბექმეზ **გავაკეთავთ** (დაბ.)...

რთ:

წყალ დაასხამ, რეჰანი **ურთავ**, მოხარშავ (სვირ.)...

ხახვ **ურთობ** (ბაზგ.); ზოგი **ურთობენ** (ბაზგ.)...

ნთ:

ციცინათელას ეტყვიან, ჰო, ღამით რომ **ანთებს** (ბაზგ.)...

იმას ციცინათელას ვეტყვით, ღამით **ანთობს** (ჩაქ.); სობას **აანთობენ**, გააბანებენ ღამაზათ (ბაზგ.).

ლოც:

ვინცხას ლოცვა უნდა, **ილოცავს** (ივ.); თურქეთი კად არი, აქ გინდა **ილოცავ**, გინდა - არა (ივ.)...

ვინცხა **ლოცულობს**, ადექით (ივ.)...

კაცები ჯამეში არიან, **ილოცებენ** (შოლტ.)...

ვლ:

ერთ ხელზე ხელსაც **წაავლებს** (სვირ.)...

ქალები ამას **წაავლობენ** (შავშ.)...

სმ:

[მიგარას] მე **ვსვამ** (იფხ.); ჩვენ [ჩაის] ბევრ **ვსუამთ** (ზაქ.)...

ჩაის **სვავ?** (ხოხ.)...

რთმ: თანამედროვე ქართულის მივართმევ **-ევ**, **-ავ** თემის ნიშნებთან ერთად **-ამ** ნიშნითაც (არქაული ფორმით) გვხვდება.

-ევ:



ერთ-ორ დღე დონჯას **მიაართმევ**, მერე თევას **მიაართმევ** (უ.);
თივა შევეყარე, ჩომას **მივართმევდით** (კოკ.); ზამთარში ჩომას
მივართმევ (ხევწ.)...

-ავ:

ზოგ **მივართვავეთ** საქონელ (ზ.); მოსაფირები მოვლენ, იმათ
მივართვავეთ (ხოხ.)...

-ამ:

ერთანე ბაჯალას მოქცემთ, ერთ **აგართვამთ** ყარშიბერი (ჩაქ.);
მოვტანთ და მერე **მივართუმთ** ჩომას (ჩაქ.)...

მეორე მაგალითში –**ამ** ნიშნიანი ფორმა შეკუმშულია (მივართვამთ>
მივართვამთ).

სხვადასხვა ზმნებში თემის ნიშნთა მონაცვლეობის მაგალითებია:

[კაკალ] არ იჯება, ვერ **ასწრობს** ზამთარ (ბაზგ.); გაღმა სერში
ქათამი, დამჟდარა და **კაკანოფს**, მე შენ რომ დიგინახავ, გულში
გამაკანკალოფს (ხოხ.);

აავსობ ბეღელ (ჩაქ.); კარზე ქი **აავსობთ**, ყოლადა (უსტ.);
აკვანს **გაარწობ** (ბაზგ.); **შეპირობია** წასლიხან, ყურბანი'და
დავკლაო, **შეპირებია** (უ.).

წინა ოღაში **იძინევდა** (ბაზგ.).

„ჩხვერა“ ფუძის ზმნაში მონაცვლეობს უნიშნო და –ავ თემისნიშნიანი
წარმოება:


იტყოდენ, რუსები მოდიანო, მუცელში **დამჩხვერდა**,
ამტკივდებოდა (სვირ.); მაყარი დასხდებიან, **დამჩხვერავენ**, რაცხა
უნდათ იგზე, ავათ გავხდითო (შავშ.).

სხვადასხვა ნიშნით გვხვდება –ი სუფიქსიანი ზმნები, რომელთაც ეს ი
გადაჰყვებათ სავრცობიან მწკრივებში. ასეთ ზმნებს გ. გოგოლაშვილი
უწოდებს „ი ელემენტური ზმნებს“. მკვლევარს ი მიაჩნია არა თემის, არამედ
აწმყოს მწკრივის ნიშნად, ხოლო სავრცობიან მწკრივებში –**იდ** მაწარმოებლის
ნაწილად (გოგოლაშვილი, 2010.:318).

დავიმოწმებთ რამდენიმეს ამ ზმნათაგან, რომლებიც შავშურში
გვხვდება უნიშნოდ, -ი, -ავ, -ებ სუფიქსებით:

უსუფიქსოდ:

ძროხას **მოვწველთ** (წეთ.); **მოწველენ**, ძეს დაასხმენ (ბაზგ.).



საცხა ქი ლამაზ იპოვს, ის ითხვოს (ხევწ.); ვერ იპოვ იმა (ზ.);
იპოვ ადგილ? (ნაფ.); თავდაღმა ჩუყევეთ, იქ იმფო **იპოვთ** (ზ.).

ასწონენ ყანთარით (ა.).

ანას **მიძახს** (მაჩხ.); ამ ალაგს ქილისეს **ვუძახთ** (ხევწ.).

ი სუფიქსით:

დაწერვას, კითხვას **იწავლიან** (დ.); **იწავლიან** და ვერ
 დუულაპარაკნიან (უსტ.); იქ **გაწავლიან** გენჯები (დ.); ბაღვები არ
დეიწავლიან (უ.); რა ვიცი, თელ **მაწავლიდა** (ზაქ.); წყაროს
აწავლიდენ (შავშ.);

ამა დირელ **ვუძახით** (მან.); ზემოთ არი ერთი სოფელი,
 გამეშეთ **ვუძახით** (ზაზგ.); იმა ლაზებ **უძახით** (ხევწ.); აქ რაცხა ემეს
უძახიან (დ.); ბიჭის მაყრები გოგოს მაყრებსა „გოდრიან“ **უძახიან**
 (შავშ.); ბორელ-მორელ **ყიდი**... უსტა მყავს და ის **ყიდის** (სვირ.);
 ჩომას **ვჭყიდი**, ჰო (ჩაქ.); **ყიდის** ჩასაცმელებს (ზაქ.); ჭრელსაც
 ვქსოვ, არ **ვჭყიდი**, არა, ისე ვაძლევ (მაჩხ.); [თაფლს] **ყიდიით**,
 ჭვამთ სახში, **ყიდიით** (ზაზგ.).

სალიტერატურო ქართულისაგან განსხვავებით -ი უწყვეტელშიც
 გადაჰყვებათ:

ალაბაღექ დიდ ვენახ **უძახიდენ** (ზაზგ.);

... მაშინ მე **დამაბრაღიდენ** (ჩაქ.);

მიქონდენ, **ყიდიდენ** (მან.); ბევრი გადმოვიდენ, **ყიდიდენ**
 (მან.); თაფლი მააქდენ, **ყიდიდენ** (უ.).

-ავ სუფიქსით:

ვწვეღავ, ჰო, აბა რად იქნება (ზენ.); ქვას **აწონავდენ** (წეთ.);
 შეშის კროჭში **ჩავტენავთ** (ჩაქ.); ნაღებ აბა ვერ **იყიდავთ**? (ნაფ.); აქ
 ვერ **იყიდავ** მაგა (ნიოლ.); **ზიდენ**, **იყიდავ** (ზაზგ.); მივცემ ფარას,
 მოვათიბიებ, **გავყიდავ** (ხევწ.)...

-ებ სუფიქსით:

კაცსა რაცხაზე ქი ჭკვა უჭრის, იმას **ასწავლებენ** (მან.);
იყიდებ ფარაზე (ჩაქ.)...

2.5. გვარი

ა. შავშურში ერთმანეთს ენაცვლება ვნებითი გვარის ფორმათა
 პრეფიქსული და სუფიქსური წარმოება.



ეროვნული
ლინგვისტიკის
ცენტრი



ბესიკ

მოსალოდნელი დ'ონიანი ვნებითი შეცვლილია ე'ნიანი:

წყალსიმერში **გვეთხვე** (წეთ.); თქვენთანა **გვეთხვო** (ხევწ.); ხატიჯე ხალად აქ **გვეთხვა** (მან.); იმის ბაჯალა აქ **გამეეთხვა** (მაჩხ.); ბათომიდან ერთი ქალი **გამეეთხვა** აქა, კაცი მუუკდა, ხამდა **გვეთხვა** (ჩაქ.).

თითო-ოროლა დ'ონიანი ვნებითის ფორმაც გვხვდება:

იმან იკითხა, არ **გათხოვდა** (უ.); ათ და ხუთი წლის **გათხოვდა** (კოკ.).

ე'ნიანია მშია ზმნის ვნებითი:

ზარმელი მევიდა, **მეგემშევიან** (ზაქ.); საჭმელი **გემშევათ**, მოგართვამთ (სვირ.); ამათ **მეემშეოდენ** (დ.); ვინცხას **მეემშევა**, ჭამოს (ჩაქ.); **შეგემშია?** მე არ მშია, ჩორბა ამოვჭამე (ბაზგ.).

ე'ნიანია ამ ზმნის ვნებითი ძველ ქართულშიც, გვხვდება „მხოლოდ ნამყო წყვეტილის ფორმით“ (ქავთარაძე, 1954.:75).

ე'ნიანია ასევე **დასახლების** (დაქორწინების, ცოლის შერთვის) შესაბამისი ზმნა:

ეს არ **ესახლება**, ფარა უნდა, კად გოგო ნახოს (ჩიხ.); არ ეთხვებიან, ბიჭებიც არ **ესახლებიან** (უსტ.); თექრენ ქი **დეესახლება** (ბ.); ჩემ ბაბო **დეესახლა** (ბ.); აქ დევბადე, **დევესახლე** (უსტ.)...

იშვიათად დ'ონიანი წარმოებაც დასტურდება:

მე ბალვი არ მეყოლა და **დასახლდა** (ბაზგ.); ბაბო **დასახლდა** (ბაზგ.); ახლა ჩვენი ღარჭები **დასახლდებიან** (ბაზგ.)...

„გაუხარდა“ ფორმის ნაცვლად არის „გეეხარა“:

ძალიან **გეეხარა** (ნიოლ.).

გვხვდება საპირისპირო შემთხვევაც: მოსალოდნელ ე'ნიანს ენაცვლება დ'ონიანი:

დღევანდელი ჭკვა ხვალ **მოგწონდება** (=მოგეწონება)? (ბაზგ.); რაფერ **მოგწონდება** ინსან(ს) ჯენნეთი? (უსტ.); **მოგაწონდება** სოფელი? ელჩი სამჯელ მოვიდენ, **მოვაწონდი** (წეთ.)...

შდრ. თუ არ **მოგეწონებიან** (=მოგეწონებათ), თუ არ გეამა, არ ჭამოთ (შავშ.)...

„შეეფერება“ ფორმის შესატყვისი დ'ონიანია:

ჩვენი გურჯიჯა მაზ არ **ფერდება**, თქვენი - **ფერდება** (ზაქ.).

მოსალოდნელი ი'ნიანის ნაცვლად არის დ'ონიანი:



დრო მუა, რომ **ჩაფარდება** (დაიფარება, ჩაიფარება) აქავერობა, გათოვლდება (ბაზგ.).

ბ. ე პრეფიქსიანია საშუალო გვარის შემავსებელი ფორმები:

ერთი ორითმენი **ეხლენ** (ბაზგ.).

შდრ. სამი გენჯი ბიჭები იყვენ, ორი ქალი **ახლდა** (ბაზგ.).

ასეთი ფორმა ამ ზმნისა იშვიათია.

ჩქარობ ზმნას დანაკლის ფორმას უვსებს ე'ნიანი ვნებითი:

გეეჩქარე, ცქვიტაა წადი (ნიოლ.).

მოსალოდნელი იყო: **იჩქარე**, **აჩქარდი**.

ე'ნიანი ვნებითით ევსება ფორმები **ცურავს**, **ბანაობს**, **უყურებს** ზმნებს:

ჩემი ღარჭი დენიზში მოხარშულა, **ეცურებოდა**, **ებანებოდა** (სვირ.).

ეცურებოდა, **ებანებოდა** იგივეა, რაც **ცურავდა**, **ბანაობდა**.

გვხვდება **დ'ონიანი წარმოებაც**:

ნიჩბით მიაწვები, **გაცურდება** (ნიოლ.); გძელი ემე არია?

[გველი] **გაცურდება** (ჩაქ.); ხელგაშლილად **გასამდი** (უსტ.)...

ხელგაშლილად ცეკვის სახეა; „გასამდი“ „ისამე“ ზმნის პარალელური ფორმაა.

„**ვეყურებთ**“ ზმნის პარალელურია „**ვეყურებით**“:

ჩვენ თაზე ამოვდივართ და **ვეყურებით** (მაჩხ.)...

გ. ვნებითის ნიუანსები. ვნებითი გვარის პრეფიქსური წარმოების ზოგიერთი ფორმა შესაძლებლობას გადმოგვცემს:

ყართოფი ორი ჯინსი არი: გარედან წითელი, ი არ **იჭმის**,

წარეა (ივ.); ღორის ჯორც ჭამენ? ის **იჭმის**? სული უდის (ზაქ.)...

დასტურდება –**ებ** სუფიქსიანი წარმოებაც:

ინსნის ხორცი არ **იჭმება**, მეზერში რა'ნა წედლო?! (ჩაქ.).

შესაძლებლობას უნდა გადმოსცემდეს **იპოვნება** ზმნა შემდეგ წინადადებაში: ეგ თაზე **იპოვნება** (უ.). იგულისხმება: მთაში შესაძლებელია პოვნა.

მიჩნევის ვნებითია „**გვეჩეთინება**“, „**გვეძნელება**“:

ცოტა გაგნებიხან **გვეჩეთინება** (უ.).



2.6. ზმნის ფორმათა წარმოება

ა. -ავ და -ამ თემისნიშნის ზმნებს აწმყოს მესამე პირში მრავლობით რიცხვში თემის ნიშანი ეკუმშებათ ისევე, როგორც ძველ ქართულში:

-ავ:

არ **შეინახვენ** ჩვენი ხალხი (ხევწ.); ახლა აკვანში აღარ აწვენენ, **მოკოჭვენ** და მიდებენ (ზ.); **მოხარშვენ** ძეში, **გაწურვენ**, გერმელია (ბაზგ.); ვალას **გადააბურვენ** (ზ.); თივას არაბით **ჩაწიკვენ** (დას.); ტყეებიდამ შიშას **ზიდვენ** (წეთ.); ჭალები მიცემული მაქ, **თიბვენ** (ბაზგ.); გადმოდიან, **გაქუცვენ** და წადიან (იფხ.); **ილოცვენ**, **დამლოცვენ** (უ.); დეშილ ხახვ **დათესვენ** (ბაზგ.); სიზმარ რას ეტყვიტ თქვენ, ღამით ქი **ნახვენ**, სიზმარ? (ჩაქ.); ეზან **იკითხვენ** (ჩაქ.).

-ამ:

ჩაის **სმენ** (უსტ.); დღესაც კიდევ სტუმრებსა **დუუდგმენ** (სვირ.); თოკს **წაგაბმენ** (მაჩხ.); ... ცხვარ მოითხოვენ, ყურზე რაცხას **მოაბმენ** (შავშ.)...

-ამ თემისნიშნისა ახალი ქართულის **მირთმევა**. მასშიც იკუმშება თემის ნიშანი -ამ (ძველ ქართულში გვექონდა **მიართუამს**):

ჩომას **მიართუმენ** (დას.).

ხშირად აქ იკარგება უ ხმოვანიც:

კრედი გამოწიო, იმასაც ემე **გართმენ** (ბაზგ.); აქ **მიართმენ**, **დააყენებენ** (ჩაქ.); ფარას **აგართმენ** (ზ.); საჭმელ **მოგართმენ** (შავშ.); ახლა ბაჰალია, ბევრ ფარას **ართმენ** (ბაზგ.).

იშვიათად ეს წესი არ ირღვევა:

ჩემ ბიჭებმა თქვეს, იმას **იკითხავენ** თიფლისშიო (უ.); გურჯულს არ **დაჰკარგავენ** (მაჩხ.); **დაჩხვერავენ** რაცხა უნდა აგზე, ავათ გავხდითო (შავშ.).

ბ. -ავ და -ამ თემისნიშნის ზმნებს ძველი ქართულისა და ზოგიერთი სხვა დიალექტის მსგავსად შავშურშიც ეცვლება თემის ნიშნის ხმოვანი: ა-ე უწყვეტლის I და II პირებში. ამ წესს მიჰყვება სხვა ჯგუფის ზმნებიც, რომლებიც -ავ თემის ნიშანს დაირთავენ: **ვწერ, ვყიდი, ვწვავი...**

უწყვეტელი, I პირი:

იგზე **ვვაჭყედი** (სვირ.); მის ალაგებსაც ჩვენ ვხმარობდით, ჩვენ **ვთიბევდით** (ბაზგ.); ბათუმიდან **ვწიკევდით** ძველათ



სიმინდ, მარლ (ზ.); კალოს **ვლენედით** (ბაზგ.); ჭურებ ვაკეთებდით, **ვყიდევდით** (ჩაქ.)...

ძველ ქართულში უწყვეტლის მესამე პირსა და სხვა სავრცობიან მწკრივებში –**ვდ**, –**ემდ** შეცვლილია **ვიდ**, **მიდ** წარმოებით. შავშურში ეს წესი დაცული არ არის: ყველგან ე ხმოვნიანი წარმოება, –**ვდ**, –**ემდ** დასტურდება.

მეორე პირის ფორმები არ დასტურდება, „რაც იმით აიხსნება, რომ წარსული დროის გამომხატველი მეორე პირის ფორმები საერთოდ ნაკლებად იხმარება“ (კიკნაძე, 1961.:261).

უწყვეტელი, III პირი:

სიმინდ **ფქვედა** (ჩაქ.); უწინ ღელეში [წისქვილი] წყლით **ბრუნედა** (ჩაქ.); პაწად ღარჭიც გვიან მევდა, **სძინედა** ოდაში (ბაზგ.); ისიც ასე **სწერედა** (მაჩხ.); პურ **თესევენ**, სიმინდ **თესევენ** (უსტ.)...

უწყვეტელში –**ამ** თემის ნიშნის ხმოვანი არ იცვლება.

–**ამ** თემის ნიშანი ცვლილებას არ განიცდის აგრეთვე თუშურში (უთურგაძე, 1960.:47; ჯორბენაძე, 1989.:258).

მყოფადის ხოლმეობითი:

–**ავ**:

სოფელში რომ იყო **ღვენახევი** (ბაზგ.); გულში არ გიმიარდა, **გნახევი** (მაჩხ.); მცოდნოდა, **დიგიწერევი** (უსტ.); ღარჭები ყართოფ **მუუპარევი** (<მოფუპარევი) (მან.); ზველათ **დავთესევი** ხორბალ (ჩიხ.); ფურნეში **გამოვწვევი** (დას.); ერთი დედე მოვდოდა, **იკითხევი** (ბაზგ.); თუ დაკარგე, **მოგკლევდა** (ზაქ.); ბიჭის თერეფი, თუ უნდა, იმას **დაჰკლევდა** იგზე (შავშ.); წევდოდენ და ძველათ **დახოცევენ** (უსტ.); იწვებოდენ, იწვებოდენ, სიზმარ **ნახევენ** (ჩაქ.); ამას **ღეინახევენ** (შავშ.); ძროხას გამუშუშებდენ, **მოწველევდენ** (უ.)...

–**ამ**:

აქ ჯარებ **ჩავაბემდით** (ნიოლ.); ზვინსაც მოჩოშტას **დავდგემდით** (ჩაქ.); მახეს **მუუდგემდით**, ჩავარდებოდა (ჩიხ.); მოჩოშტა არი? იმას **გადმუაცვემდით** თავზე, წვიმამ არ ჩოუაროსო (ჩაქ.); **ჩავსხემდით**, **ჩავსხემდით** გევრეგ (ბაზგ.); ვინცხას რაცხა უქნია... **მოასხემდენ** ჩვენთან: სიმღერას **გამოუთქვემდენ** იმა(ს)



(ჩაქ.); ღარჭი მეყოლაო, ემე **იზემდენ** (წეთ.); წითელაი არი, იმა რას **უზემდენ?** ილაჯ **უზემდენ** (წეთ.)...

იშვიათად ზემოთ აღნიშნულ ფორმებში დაცულია –ავ, –ამ თემის ნიშნები ხმოვაშეუცვლელად:

ღორ, დათვ, მგელ **ვკლავდით** (ჩაქ.); ჩიტის სკინტ **გუულესავდით** (წეთ.); მოცლილ კბილსაც **შეენახავდით** (წეთ.)...

ძველათ ბუხარი იყო... ლობიოს **მუუდგამდით** (ჩაქ.); ძროხას ძველათ კალით **დავაბამდით** (ნიოლ.).

-ვიდ, -მიდ წარმოების ორიოდე შემთხვევაც შეგვხვდა:

[ძროხა რძეს] ჩამოჰყრიდა, ხბოსთვინაც **შეინახვიდა** (მაჩხ.)...

ჭიაზე ყაბლი გულ **მიაართმიდენ** (წეთ.)...

შავშური დიალექტი განსხვავდება აჭარულისაგან, რომელშიც ამ ზმნათა ორმაგი პარადიგმა ფართოდ გავრცელებული: სამივე პირში –**ევდ**, –**ემდ** და **ვიდ**, **მიდ** წარმოება. ეს ვარიანტები სხვადასხვა დიალექტური წრის კუთვნილებადაა მიჩნეული. „ძველ ქართულში ნამყო უსრულში შერწყმული უნდა იყოს ორი ვარიანტი... სათანადო დიალექტებში ყველა პირში გვექნებოდა –**ევ-დ** ვარიანტიცა და **ვ-ი-დ** ვარიანტიც” (ჩიქობავა, 1964.:129). ამავე აზრისაა ზ. სარჯველაძე (სარჯველაძე, 1984.:448). სამივე პირში **ევ-დ**, **ემ-დ** წარმოება ჩანს გვიანი პერიოდის ძეგლებში. ზ. სარჯველაძის აზრით, სამივე პირში **ევ-დ**, **ემ-დ** წარმოება სამწერლობო ქართულში დიალექტიზმს წარმოადგენს (სარჯველაძე, 1980.:22). –ავ, –ამ სუფიქსები მეორეულადაა მიჩნეული. „–ევ სუფიქსი უნდა გვექნოდნა იქ, სადაც –ავ სუფიქსი გვაქვს” (ჩიქობავა, 1964.:128). ამ მხრივ საგულისხმოა აჭარული და ზემოიმერული, რომლებშიც –**ევ** სუფიქსი აწმყოს ფორმებშია დადასტურებული (ცინცაძე, ფაღავა, 1998.:70; მოწინიძე, 1952.:89).

როგორც აღვნიშნეთ, შავშურში, ჩვენი მასალის მიხედვით, არ იკვეთება ამ ზმნათა უღლების ორი პარადიგმა სავრცობიან მწკრივებში, – გავრცელებულია –**ევ-დ**, –**ემ-დ** წარმოება.

აწმყომიც ორიოდე ფორმა –**ევ**, –**ემ** წარმოებისა ინდივიდუალური ჩანს:

ლობიოს არგვენ, მე არ **ვარგევ** (ბაზგ.);

ზოგი **სვემს**, ზოგი არა, მე არ ვსვამ (ივ.).

გ. –ავ, –ამ თემისნიშნისანი მოქმედებითი გვარის ზმნების შესაბამისი ვნებითის ფორმებს მოსალოდნელი –**ებ** ნიშნის ნაცვლად აქვთ მოქმედებითის ფორმათაგან გადაყოლილი –ავ, –ამ ნიშნები, ოღონდ შეკუმშული სახით:



შენ რომ მომაგონდები, გევხრუკვი და გველანძვი (ბაზგ.);
 მალე მოდთ, თვარა გევბუკვი (ა.); იქ რა იმაღვის? (ბაზგ.); კარგა
 მედხარშვის (იფხ.); ეს გუგუმი, ფახირია, მოიკალვის, ლამაზი
 არაა (უ.).

შდრ. ლამაზათ მედშუშვის, მარილს შეაყრიან, მედხრაკება (მაჩხ.);
 ჩვენ მუსლიმანობაში შედთან არ დეინახვის (მაჩხ.);
 მექთები დეიფანტვის (წეთ.);
 აქედან ჩევბარგვით, მოვკრეფავთ (უსტ.); თელი ედხარგვის
 თაზე (სვირ.);

ის მღერაში არ მედღალვის (უსტ.); არ მედღალვის, ძალიანია
 (ხევწ.);

მემრე ის თერეფი გამეიწურვის... ჩეიწურვის თემტში (უ.);
 ახშანამაზზე ბზე ჩეიწურვის (ჩაქ.); ზოგი იმ ღამეს დეიფანტვიან
 (ზ.); აქედან ჩეიბარგვიან დაბას (უსტ.);

მარიობაზე თაზე წეიბარგვიან (სვირ.).

ამ ზმნებს მიჰყვება ეყოღვის:

ერთ კაც ეყოღვის შვიდასი ჰური (მან.); უშვილოს შვილი
 ეყოღვის (უსტ.).

-ამ თემისნიშნიანი ფორმები იშვიათია:

ჩვენი ლაპარაკი თქვენსას არ ედგმის (ზ.).

ოდ სავრცობის წინ ვ იკარგება, გვაქვს უთემისნიშნო ფორმა:

ტყეში დევიმალოდით, გვეშინოდა (უ.).

ასეთი ფორმები ძველი ქართულისათვის არის დამახასიათებელი:

ივლტოდა და იმაღვოდა ადგილითი-ადგილად (სინ. 267,9);
 ვირემდის ერთმანერთსა არა შეებმით (ამირ.114); დევთა და
 ვეშაპთა ვერ შეებმით (რუსუდ.31,20).

დ. I სერიის ფორმებს ხმოვანმონაცვლე ზმნები აწარმოებენ ე და ი
 გახმოვანებითა და თემის ნიშნით.

ე ხმოვნინები დაირთავენ –ავ თემის ნიშანს:

სოკო? მე ვკრეფავ, აქედან ჩევბარგვით, მოვკრეფავ (უსტ.);
 ჰურსაც მოვზელავთ (უსტ.); მოვზელავთ, გავადებთ (უსტ.);
 დავხრესავთ იმა, შეში გობებში (ჩაქ.).

-ავ თემისნიშნიანია ი ხმოვნინიანი - II სერიის თემაზე დაყრდნობილი
 ფორმები I სერიაში:



ტოტები შორ არი და ვერ მოწყვიტავ (დ.); შიხვალ და მეიტან და მოწყვიტავ (უსტ.); რამაზანს იჭირავთ? (უსტ.); ღელეებში დეაჭირავ საჩმათ (ხოხ.); ზამთარში ფენა თფილათ იჭირავს ისა (უ.);

ჯონჯოლოს გავაკეთებთ, მოვხრისავთ (მაჩხ.);

დეაჭირავენ, გამოგზანიან (ბაზგ.); მალე მოთიბენ, ფარას დეაჭირავენ (უსტ.); რემეზანს დევჭირავთ (ზ.); სობასთან დაჟდებოდა და ფეხებ ასე მიაჭირავდა სობას (ბაზგ.);

ნაღებ ხელში დევჭირევდით (უსტ.); კვერცხ დევჭირევდით (ჩიხ.); მამინ სიხი იყო და გვიჭირევდენ (ზ.).

II სერიის ფუძეს –ებ თემის ნიშანი დაერთვის:

ნაღები დინდება, ძალი ცალკე გვერჩევა (ჩაქ.); მომდინდება ცრემლები (უ.); რუებ გუშუვებ, დადინდება წყალი (ზ.); საბრი ყაბი ედვსობა, გადმოდინდება (ხევწ.).

ე ხმოვნანი ფუძეები უთემისნიშნა:

გობში, ლაილონის გობში მოვზელთ (ბაზგ.); უწინ შემის(ს) გობში ვზელდით (ბაზგ.); გავახმობ, დავხრეს (ჩაქ.); ამას დახრეს (ჩაქ.);

მოვზელ, მარულ დავაყრი, მოვზელ (ბაზგ.);

სისხლი იდენს, არ დადგება (ბაზგ.); ძროხას მოვწველთ, მემრე მაქინაში გავადენთ (წეთ.); მაქინაში მივჭეცემდით, გავადენდით, ნაღებ ერთ თერეფში ჩავადენდით (მაჩხ.); მაქინას გამოვადენთ, ავადუღებ კარგა ძეს (ზენ.).

ჭარბობს მეორე სერიის თემისნიშნანი ფორმები.

ამ ფორმების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა მოსაზრებაა. მკვლევართა უმრავლესობას მიაჩნია, რომ ვზილავ ტიპის ფორმებისათვის ამოსავალია მეორე სერიის ფუძე, რომელსაც დაერთვის თემის ნიშნები: ვზელ>ვზილე>ვზილავ.

მეორე ვარაუდით, ეს ფორმები „მიღებული უნდა იყოს –ავ ფორმანტის დართვით პირველი სერიის ფუძეზე, ეწიანზე, მონაცვლეობის საფუძველი ფონეტიკურია (ი/ე მონაცვლეობა რედუქციის შედეგია). აწმყოს წრის მწკრივებში იწიანი ფორმები რედუქციის საფეხურს წარმოადგენენ” (ნოზაძე, 1998.:225).



გ. გოგოლაშვილის აზრით, აღნიშნულ ფორმებში ორსაფეხურიანი პროცესია: პირველ ეტაპზე ე საფეხურიან ფუძეს დაერთვის თემის ნიშანი: **დრეკს>დრეკავს>დრიკა** (გოგოლაშვილი, 2010.:329).

ე. ხმოვანპრეფიქსიან და უპრეფიქსო ფორმათა მონაცვლეობა.

შავშურში (საერთოდ სამხრულ დიალექტებში) ერთმანეთს ენაცვლება ზმნის ხმოვანთავსართიანი (ა-) და უპრეფიქსო ფორმები ერთი და იმავე ფუძის ზმნისა.

ხმოვანთავსართიანი ფორმები:

ენა არ იხმარე, არ იხმარე, **და-მ-ა-ვიწყდა** (ბაზგ.); **და-მ-ა-ვიწყდა**, გეარა, წევდა (იფხ.); თელი **და-მ-ა-ვიწყდა** ისტამბულ (სვირ); ახლა ყოლა ადგილიდამ თითო კაცი **გა-ვ-ა-გზანოთ** (უ.); რომ დავადებ, ბაბოძს სახში **გა-ვ-ა-გზანი** (უ.); ელჩი სამჯერ მოვიდენ, **მო-ვ-ა-წონდი** (წეთ.); ამ დეყეზე არ **მო-მ-ა-გონდება** (შავშ.); შენ რომ **მო-მ-ა-გონდები** (უ.); ლობია **ა-რგვენ**, მე არ **ვ-ა-რგავ** (ხოხ.); დოდოფალ მოვთხოვთ... შაგვიკაზმენ, ვალას **გადა-ა-ბურვენ** (ზ.).

უპრეფიქსო ფორმები.

კარდალა **დამვიწყდა** (მაჩხ.); სათლელიდან მოვდივართ, **დამვიწყდა** (ხევწ.); ავათ ვარ და თელი **დამვიწყდა** (ჯვარ.); ჩუუბარგე, ლამაზათ **გავგზანე**... მე **გავგზანე-მეთქი** (ხევწ.); მაჭახიდან ელჩი **გამოგზანეს** (ბაზგ.); თოკ **წაგაზმენ**, სიბირიას გაგზანიან (მაჩხ.); თითო-თითოს **ჩავხყრით**, მივყრით მიწას (უ.მ.); იმ დეყე **მომგონდება**, ახლა დამავიწყდება (ჯვარ.); დილაზე ავყრი, საღამოზე **დავბურავ** (მაჩხ.); ინსანი ხანდახან ვერ **დაკვირდები** (ხევწ.); ეთესებოდენ [ლახანა] **დაკვირდებოდი** ამოვლაჲ (უსტ.)...

უპრეფიქსო ფორმები გვხვდება ძველი და გვიანი პერიოდის ძეგლებში:

გულსა ჩემსა შთამივარდა და არასადა **დამვიწყდება** გონებასა (რიფს. 176,19. ვიმოწმებთ ილ. აბულაძის ლექსიკონის მიხედვით); **გავგზანენ** ყოვლნი ლაშქარნი (ვეფხ. 461); მე არარას **დავკვკრდი** სენსა (ბალავ. 94,30).

ვ. ი ხმოვნიან და უხმოვნო ფორმათა მონაცვლეობა წყვეტილის პირველსა და მეორე პირებში.



წყვეტილის მწკრივის (ზოგჯერ ბრძანებითი მნიშვნელობით მეორე პირში) პირველსა და მეორე პირების მხოლოდობით რიცხვში ერთმანეთს ენაცვლება ხმოვნიანი და უხმოვნო ფორმები ერთნაირი საყრდენი მორფემის მქონე ზმნებში. ჭარბობს უხმოვნო.

I პირი:

წამოვდევ ფეხი, ამევექნიე (უსტ.); დავაქუხე, **მოვკალ** (ხევწ.);
 ორთაღ კაც არ **მუუჯექ** (ბაზგ.); **დავჯექ** ჩემ ბაბოსთან (ბაზგ.);
 აღმართში **მივადექ**, დადგაო (ჩაქ.); იქ არ **გითხარ**, იმ სახშიაო?
 (ჩაქ.); მუხტრის სახლი მკითხეს და **ვუთხარ** (უ.); ვერ **მოვასწარ**
 (ჩაქ.); წასულან ბევრი ხანია, მე ვერ **მევესწარ** (კოკ.); მე ეს ქალი ვერ
ვიცან (ხევწ.).

II პირი:

მოლი ბევრია, **მოჭარ**, მიაართვი ჩომას (ზ.); აიშე, **იცან?**
 (ხევწ.); ისტა ძალში მოხარშე, ისტა ცეცხლში **ჩადევ** (ხოხ.);
 ქალაღდი **დადევ** იქა (მაჩხ.); გზაში **დადექ**, არ წამევედეს (ხევწ.);
 ზედან **დაჯექ**, არ არის საშიში (უ.); სახში **დაჯექ**, არ წახვიდე
 (ხევწ.); აჰადა, **მოკალ** (ბაზგ.)...

ხმოვნიანი ფორმები ცოტაა:

I პირი:

ავდექი და წამუელ (უსტ.); ადრე **ავდექი** (უ.); რაცხა ვიცოდი, **გითხარი**
 (ბაზგ.); მე რომ **ვუთხარი** (ბაზგ.).

II პირი:

ამ გურჯებ კაი ეცოდინება, ერთი-ორი **უთხარი** (ბაზგ.);
 გევრეგი **უთხარი?** (ბაზგ.); შვიდის-თქვა, ასე **უთხარი** (ბაზგ.).

ზ. -**ევი** დაბოლოებიანი წყვეტილი:

-ე სუფიქსიან ზმნებს წყვეტილის I და II პირის ფორმებში (ბრძანებითის მნიშვნელობითაც) აქვს –**ევი** დაბოლოება:

საქმე **გადავდევი** (უ.); ჩემი **დევნახევი** (ხევწ.); გაღმა რომ
დედნახევი სურათი... (შავშ.);

დავანთევი ცეცხლიო (ნიოლ.); აქა **დავმაღევი** (უ.);
 ართვინ **ევიღევი**, იქაც **ევიღევი** (ზ.მ.);

დიმიგევი ლოგინი (მაჩხ.); მოდთ, საქმე **გაავდევი** (ივ.);
 ამა(ს) განა ყური **უგდევი** (უსტ.)...

იშვიათად მოკვეცილია –ი:



შენც **გეიგევ**? საიდან **გეიგენ**-მეთქი? (ნევენი)
შდრ. ჩვენ ნება არ **დავრთევით** (ყარ.); **გავალევით** კოშკის კარი
(რუსუდ.); რაც სანახავები **ვნახევით**, ვით აღიწერება (მოგზ.); ამ ციხის
ამბავი შენ **შემიტყევ** (ყარ.)...

სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა შეხედულებაა –ე სუფიქსის
გენეზისის შესახებ. მკვლევართა ნაწილს –**ევ** წყვეტილის უძველეს სუფიქსად
მიაჩნია (არნ. ჩიქობავა, გ. როგავა, დ. მელიქიშვილი), ნამცოს სახეობათა
საერთო ნიშნად თვლიდა –ე სუფიქსს ვ. თოფურია.

განსხვავებულია გ. გოგოლაშვილის ვარაუდი: –**ევ** წყვეტილის I და II
პირებში უძველესი სახეა მხოლოდ იმ ზმნებში, რომლებსაც III სუბიექტურ
პირში აქვთ **ო**. დიალექტებში დადასტურებული **გავაკეთევი**, **ავაშენევი** ტიპის
ფორმები მკვლევარს მეორეულად მიაჩნია (გოგოლაშვილი, 2010.:371).

ე სუფიქსიანია შავშურში ვშვრები ზმნის წყვეტილი:

ჩაღმა **ვქენე** თავი, აღმაც (უსტ.); წაღან ქი **ვქენე**-ა? (უსტ.);

ჰო, ჩვენ **ვქენეთ** და ჩვენ უკან - არა (ჩაქ.); დუგუნი **ვქენეთ**,
ვისამეთ (უსტ.).

ამ წარმოების ფორმა II პირისა დაცულია ჯავახურ კილოში:

ამ სახენმწიფოში ვარ და რამე **ჰქენე** და მამარჩინეო
(ჯავახ.140).

ინდივიდუალური ფორმა ჩანს **ჰამეთენა**: ჰა, **ჰამეთე**’ნა, კარტოფილი
მოგართვა (მან). ‘ნა „უნდა” ნაწილაკის ნაწილი უნდა იყოს.

თ. II სერიის მწკრივებში პრეფიქსიანი ვნებითის მრავლობითი რიცხვის
ფორმებში დასტურდება –**ენ** (>ნ) სუფიქსი (წარმოშობით მოქმედებითი გვარის
ფორმათა ობიექტის მრავლობითობის ნიშანი):

წყვეტილი:

დევეჩვიენით თურქჩას (მაჩხ.); **მეველაენით**, მარა... (ბაზგ.);
რაც **გევეთხვენით**, არ გვიმღერია (ბაზგ.).

სად იყავით, **დეიდალენით**? (შავშ.); არ **მევეწარენით**
(=მოვესწარით) იმათ ქი (ჩაქ.); **მევესწარენით** ასი, ასი და ათი
(უსტ.); ბინ დოხუზ ეუზ ალთმიშ (ათას ცხრაას სამოცში)
გევერჩიეთ, **გევერჩიენით** (ჩაქ.).

ბოლო წინადადებაში გვერდიგვერდაა პარალელური, –**ენ** სუფიქსიანი
და უსუფიქსო ფორმები.



ი. მეორე კავშირებითში დაცულია ძველი ქართულის წესი: მწკრივის ნიშანი არის არა –ო, არამედ –ე:

ფარნუხში არ'ნა **გახვიდე?** სად **შეიყარნეთ?** (უ.).

ვილოცოთ, ვიკითხოთ, ღმერთს **ვებვეწნეთ** (ბაზგ.).

ეგევე ზმნა მანატბელი ნ. ჯიჯანიძის წარმოთქმულ „გურჯი ვაიზში“ მწკრივის ნიშნად **ო**'ს წარმოაჩენს:

ვებვეწნოთ გამჩენელს სულ ყოლა ენით (მან.).

ასევეა ვარ ზმნის მონაცვლე ფუძის ზმნაში:

იქ'ნა **ვიყვნეთ** (წეთ.).

2.7. I თურმეობითის ფორმათა წარმოება

ენებითი გვარის ორპირიანი ზმნის აღწერითი წარმოება ეყრდნობა მიმდებარე საწყისის ნაცვლად:

არ **დავკვირვებულვარ**, არ ვიცი, ჰამა ... (ჩაქ.); ვერ **დავკვირვებულვარ** ... ვერაფერი (კოკ.); ჩვენ არ **მოვწრილვართ** (=მოვსწრებოვართ) (ა.)...

ზოგიერთ ზმნას III პირის მრავლობით რიცხვში –ან ნიშნის წინ ეკუმშება თემის ნიშანი:

ხოფადან **მოსულან** ქი შავშეთში, კარგი ადგილები **დუუჭირვან** (დავ.); ღარჭები არსად **წამისხმიან** (ბაზგ.).

ერთ წინადადებაშია განსხვავებული ფორმები:

დუუკლავან გურჯებ, **შუუნახვან**, ახორში **დუუმალავან** (დავ.).

ზმნის ფუძეში ჩაერთვის **ნ** თანხმოვანი:

შენ საქმე **დაგლევნია** (ჯვარ.); ისე **დუურქმევნიან** (ნიოლ.).

მისცემ ზმნას გადაყვება –ემ:

ღმერთს **მუუცემია** [დღე](მან.); ხელიდან ხელში ქვა **მუუცემიან** (სვირ.); ღმერთსა რაცხა **მუუცემია**, ის ჭვამოთო (მან.).

შდრ. ეს ქვეყანა შენდა **მომიცემიანო** (ამირ.121); დია საქონელი **გამიცემია** გლახათათვის (ვისრ.).

ჩივის, იჩივლა ზმნას I თურმეობითში შეესაბამება მიმდებარისაგან ნაწარმოები ფორმა:

თვეები **აჩივლებულან**: ათ-ათი დღე წინ მუუწევიან (მან.).

შდრ. იმისთინ **შუუჩივლია**, არ დამანახვესო (ჩაქ.).

2.8. ფუძემონაცვლე ზმნები

-ვედ ფუძეს წყვეტილის I და II პირებში ენაცვლება იზმონიანი ფუძე ველ ორივე რიცხვში (სხვადასხვა ზმნისწინით).

I პირი, მხ. რიცხვი:

შველ დეიწყო ტირილი (ხევწ.); **ჩაველ** იქიდან, **მუელ** (უსტ.); ვერ წაველი (კოკ.); მე შვიდი წლისა **წაველი** (დ.); ჯარში **წაველი** (ჩაქ.); შარშან ქი **ჩაველი** (ხევწ.); მიერე წელიწადსაც მე **წამუელ** (ბაზგ.); ვერ **გადაველი** მე სიმონეთ (კოკ.); **წამუელ** და **გამუელ**, **დავჯექ**, **წამუელ** დოხტურთან, **წაველ** თრაფიზონ (სვირ.); მე ჩემთანაღა **წამუელ**, **დავტრინკე** და **წამუელი** (ბაზგ.)...

I პირი, მრ. რიცხვი:

ფესტივალზე **წაველით**, გაწვიმდა და ღამით **ამუელ** (მაჩხ.); ხასები არ **წაველით** სახში (იფხ.); **წაველით**, ვნახოთ (ბაზგ.); ყურბეთში აღარ **წაველით** (იფხ.); **გეველით**, თივა ვზიდეთ (ხევწ.); **ჩაველით** შოშში (ხოხ.); იქ **მიველით** (ხევწ.)...

II პირი მხ. რიცხვი:

შენ შეერიდან **მოხველ**? (უსტ.); სად **წახველ**? (ზაქ.); იმის პასუხიდან **გადახველ**, თამამ (უსტ.); მაშინ რატონ **მოხველ** აქა (ზ.); რა იჯებოდა, **შეხველ**, თუ? (ხევწ.); **მოხველი**, კაი დღე არ დაგვანახვეო (ხევწ.).

II პირი, მრ. რიცხვი:

თქვენ სიდან **მოხველით**? (უსტ.); დაბას არ **ახველით**? (ზაქ.); ჰიდან **ჩამოხველით**? (ჩიხ.); ქვეშედან ქი **ამოხველით** (ჩიხ.)...

მრავლობითში იშვიათია უხმონო ფორმა:

შვიდ საათზე **წაველთ**, შვიდნახევარ საათში **ჩაველთ** (ბაზგ.); ფესტივალზე **მოხველთ** ახლა? (წეთ.)...

იშვიათად ერთმანეთის გვერდითაა **ვედ** და **ველ** ფუძის ფორმები:

მერე ვეღარ **წევედი**, მერე ემეში **წეველ** (ბაზგ.); აქ რომ **გადმოედი**, გამეცვალე [გვარი], აქ რომ **გადმოველ**, გამევეთხუე (ბაზგ.)...

შავშურში ჭარბობს, ნორმის დონეზეა, **ველ** ფუძე.

მთელ შავშურ დიალექტში დაცულია ბევრის წაყვანა-მოყვანის მნიშვნელობით **სხამ/სხ** ფუძის ზმნის ხმარების წესი:



ბავშები რატომ არ **წამაასხით**, **წამეგესხეს** (ჩინ.); **წავასხი** ისენი ჰუჭუმეთში (ზაქ.); აქ **მოვასხი** ჩემი კაცისთინ (ჩაქ.); იქიდან **წამაასხეს** ქალები და აქ **მასხეს** (ბაზგ.); ჩვენები მოდიან იმ **წელწად**, დიობან **წავასხით** (იფხ.)...

ამ წინადადებებში იგულისხმება ვინ ჯგუფის სახელები.

იგივე ფუძეა გამოყენებული, როცა კრებითი სახელით აღნიშნული რა ჯგუფის სულიერი სახელია ნაგულისხმევი:

ჩემი დედეა ... აქიდან **წასხემდა** ჩომას (ბაზგ.); ჩიხორის თავ **ჩავასხით** საქონელი (ბაზგ.); საქონელი (=საქონელს) **ვასხამთ**, რიზეში **გავასხამთ**, იქ ვაკვლევიებთ (ჩაქ.); წადი და მეორედ აღარ **ამაასხაო** [საქონელი] (ჩაქ.)...

საინტერესოა ერთ-ერთი შავში მოსაუბრის, შუბლამის (გოჩიენთი) განმარტება, რომელიც მან თავის მონათხრობში ჩაურთო:

საზღვარი გეისხნა, მოდიოდენ ქართველები, **მოვასხამდი** სახში („მოვიყვანე” ერთი თანე, ბევრი „მოვასხი”, ქართველებს ერთი რუსი ეხლა...

სხ ძირია შემდეგ წინადადებაში თვალის მრავლობითი რიცხვის გადმოსაცემად: შენ ლამაზი თვალები **გასხია**-და (ხევწ.).

ზი, ჯდ, ჯექ ფუძეებს ენაცვლება **სხდ**:

თელი ემეში **სხედან** (ბაზგ.); ესენი აგზე **დასხდნენ** (ხევწ.); საქმე დაგლევიან, **დამსხდარხართ** (ხევწ.); მოსულან, აქ **დამსხდარან** (დას.); იქ **ისხდნენ** (ჩაქ.)...

მიმღეობაშიც ეს მონაცვლეობაა:

ქალები იქვე **დამსხდარი** არიან (ხევწ.)...

გამონაკლისი იშვიათია:

ჩამოჯექით-და (უ.); ორი თანე აქევრი არიან, იქ **ზიან** (სახლობენ, ცხოვრობენ) (ზ.)...

კვდ ფუძეს ზემოთ აღნიშნულ ზმნათაგან განსხვავებით იშვიათად **ხოც** ცვლის:

ორნივე **დემეხოცნენ** (ბაზგ.)...

2.9. სახელზმნური ფუძის ზმნები

შავშურ დიალექტში დასტურდება სახელზმნური - საწყისისა და მიმღეობის (უმეტესად მიმღეობის) ფუძის ზმნები უმთავრესად აწმყოს მწკრივში (სათქმელის შინაარსის მიხედვით) –**ობ** თემის ნიშნით:



ქალი **წყენულობს**, რატომ არ მოდისო (მან.); ამა (=ეს) არაბას **წყენულობს**, წამლებს ცლაპავს (ა.); არ **წყენულობენ**, არა (ბაზგ.); არ **წონილობენ** გოდა გოგვები (უსტ.); რა ვიცი, არ **წონილობენ** (ნიოლ.); ისა **პოვნილობს** (უ.); ქართულად ვაგინებ და ვარ, არ **გნებულობენ** (სვირ.); გურჯიჯა **გნებულობს** და ვერ დუულაპარაკნია (ბაზგ.); კიდეც **ვგნებულობთ** (=ვუგებთ) ერთმანეთ, კადა (დ.)...

ვგნებულობთ ზმნის წყვეტილია გეგენით, რომელშიც –**ენ** ფუძისეულია: ახლა **გეგენ** (ჩიხ.). შეცდომით ამ ფორმას პრეფიქსიანი ვნებითების მრავლობითი რიცხვის ზმნათა რიგში ასახელებენ, **ენ** მიაჩნიათ მოქმედებითი გვარის პირდაპირი ობიექტის მრავლობითის ნიშნად.

თაფლ არ ვყიდით, ანჯახ **ვეოფნილობთ** (ხოხ.); ახლანდელი დოლარით ვთქვა მე, სამასი და ორმოცდაათი, **ვეოფნილობ** (ჩაქ.); ცოტაც არ არი, მე **ვეოფნილობ**, **ვეოფნილობ** (ჩაქ.); ბაჯომ ბაჯომს ბაჯალას **თხოფნილობს** (წეთ.)...

ამავე რიგის ჩანს იშვიათი **ვგდობილობ**:

ადარ **ვგდობილობ** ყურ (უსტ.); იმაზე მიცემული მაქ კლიტე და ის **უყურგდებულობს** ჰო, **ყურგდებულობს**, ჰემ ჩემი მაზლი არი (მაჩხ.)...

შდრ. ჯავახური: წამოდი, კაცო, მაგას რაღა **ყურგდებულობ** (მარტიროსოვი, 1984.:115).

ასეთი ზმნა გვხვდება უწყვეტელშიც:

საქონელი ბევრი იყნენ და არ **ყოფნილობდენ** ბალახი (უსტ.)...

ზმნის ფუძედ გამოყენებულია გაარსებითებული მიმღეობა - **ნამყენი -ებ** თემის ნიშნით:

ფიდან გეიზდება, დაანამყენებ, თელი **დაანამყენებ** (ბაზგ.).

იშვიათია საწყისური ფუძის ზმნა –**ებ** თემის ნიშნით:

ვოტკა არ **მერჩოლება** (ბაზგ.); ნეფეს თოფი ექნება, **ესროლებს** (შავშ.); ასე დიმიწახე, **გეხსონება** (სვირ.)...

საწყისის ფუძის ზმნა მეორე კავშირებითში:

უნდა **გელოდინო**, მალე მოდი (ა.)...

§3. სახელწმინდა

3.1. საწყისი

„ლოცვის“ მნიშვნელობით იხმარება ზმნისწინიანი „მოლოცვა“:

ლოცვა, კითხვა გენჯებს არ უყვარან, ახალმოზღებსაც,

მოლოცვა ბერებს უყვარან (უ).

„სიკვდილის,, პარალელურია „მოკდენა“, „მოკდომა“, სიკვდილი იშვიათია:

მეშინია **სიკვდილის** (წეთ.);

ბელქიდა **მოკდენამდე** (რ)ჩებიან?(უ.); ბაბოღს **მოკდენამდე** დრომ გიმიარაო (მან.); ლუყმან ექიმს **მოკდომა** ემეღ უქნია, წამლები უპოვნია, **მოკდომისა** უპოვნია (უსტ.)...

ერთმანეთს ენაცვლება გასუბსტანტივებული „სიმღერა“ და „მღერა“:

ამ ქალებმა ფენა **სიმღერა** იციან (უ.);

დედაბრებმა არც სამა ვიცით, არც **მღერა** (მაჩხ.); ამანაც კაღ

მღერა იცის, ჰე (უსტ.); დოხ, **მღერა** არ ვიცი (ბაზგ.)...

-**ობა** სუფიქსით ნაწარმოებია ნამიმღეობარი საწყისი:

ვერ დევჭირე **მარხულობა** (ხევწ.)...

იმავე ძირის წ'არიანი საწყისია მოსალოდნელი -**ობა** სუფიქსი ანი'ს ნაცვლად:

ხარების **ქედნა** იყო მათში (ივ.).

ხმოვანმონცვლე ზმნის შესაბამისი საწყისი მეორე სერიის თემას ეყრდნობა:

უკნედან აინალს **დაჭერვა** უნდა (უსტ.).

-**ომ** სუფიქსიანია **დარჩომა** (დარჩენა), რომელსაც I თურმეობითის ფორმა ეყრდნობა:

ერთი ფეხი ისე **დარჩომია** (ნიოლ.)...

3.2. მიმღეობა

მიმღეობას აწარმოებს სხვადასხვა აფიქსი:

ა. სასუბიექტო მიმღეობა

მ: აქ **მყოფები** თიბვენ (უ.).

მ- პრეფიქსით არის ნაწარმოები **მკითხავი** და წერ ფუძის -ავ თემისწინიანი ფორმის მიმღეობა.



წერავი, კითხავი, დამყურებელი, ღმერთო, გოგულე ჯენნეთის კარი (მან.).

ხაზგასმულ მიმღებებში მ- პრეფიქსი დაკარგულია ფონეტიკურ ნიადაგზე.

მე-ე:

მე მინდა, ქი გურჯიჯ'ნა იყოს **გამჭრე** (უ.); ჩვენი **გამგნე** (გამგები) იყო (უ.).

მო-ო:

ედლოს'ნა ღარჭმა, ჰამა [ფული] **ამთავო** არ აქ (ბაზგ.).

მა-: ვალ ფუძისაგან სასუბიექტო მიმღებობა **მა-** თავსართით არის ნაწარმოები:

ორი ბილეზული'ნა იყოს, ორი **ამავალი**'ნა იყოს, ორი **ჩამავალი** (ჩაქ.).

ზოგჯერ მ'ს ენაცვება ნ:

შავშეთში **მინავალი** კოთხეგია (ჩაქ.).

მ-არ:

მშობიარი ქალი შემოვა, არ შუუშვებენ (წეთ.).

მ-არე:

ცხელი წყალი ამოდის, **მდულვარე** (ჩაქ.).

მა-არ:

მაწყინარი [თაფლი] იშტა ისენი არიან - შქერისა და იმისა... (ბაზგ.).

შედარებით პროდუქტულია **მე-ელ** კონფიქსი:

წევდა კაცი ესკერში: შეშა **დამპობელი** არა, კარი **გამღებელი** არა (უსტ.); ექვსასი დოლარის **ამღებელიც** არი (ჩაქ.).

სალიტერატურო ქართულის მიხედვით, ამ მიმღებებში **-ელ** სუფიქსი არაა საჭირო (გამღები, ამღები).

ბევრი **მსაქმებელი** დაჰა ბევრ იღებენ (ჩაქ.).

მო-არ||-ალ:

მოშიშარი ვარ (მაჩხ.); ბიჭებიდან ვინ არი **მომღერალები** (ბაზგ.).

მო- პრეფიქსს ამ ფუძესთან ენაცვლება **მე-**:

ფოხ, მღერა არ ვიცი, **მემღერალი** ზათი არ ვიყავი (ხევწ.).

მო-ე:



ჩვენი გენჯები არ არიან **მოკითხვე, მოლოცვე** (მან.).
ლოცვა, კითხვა გენჯებს არ უყვარან, **მოზღებსაც** (მან.).

მოზღე (<მოზრდე<*მოზარდე) კომპოზიტის ნაწილია:

ახალმოზღები გადმოსული იყვენ (ა.);

მოზღე მრავლობითში გულისხმობს **მოზღეებს**, მაგრამ ეს ფორმა შავშურში არ ჩანს. აქვე შევნიშნავთ, რომ შ. ფუტყარამეს სალექსიკონო ერთეულად შეტანილი აქვს **მოზღო** (ფუტყარამე, 1993)..

მოზღე ისეთივე მიმღეობაა, როგორცაა ძველი ქართულის **მოცალე, მოზარე, მოწყე...**

მოზღე აღნიშნავს **მოზარდს**, ვინც იზრდება.

შდრ. მე **ახალგაზდელი** ვიყავი (ჩიხ.).

ერთმანეთს ენაცვლება **მ-** და **მო-** პრეფიქსიანი ერთი და იმავე ფუძის მიმღეობები:

[ჭიპს] ჯამის ქოშაზე ჩამოდებდენ, **მლოცავი** გამოვდესო (წეთ.); **მოლოცავი**’ნა იყო (ბაზგ.).

მო-ე აფიქსებიან მიმღეობას ენაცვლება **მა-ელ** აფიქსებიანი:

ეს ძანულია, ღორი ქალია, **მოლაპარიკე** (სვირ.); ჩვენ სიფელში ჰიჩ თურქა **მალაპარიკებელი** არ იყო (მჩხ.).

ბ. საობიექტო მიმღეობა

წარსული დროის საობიექტო მიმღეობათაგან შედარებით გავრცელებულია **-ულ** და **-ილ** სუფიქსიანები.

-ულ:

ერთ წელიწად იქნება **დანიშნული** (უსტ.); **მოკუკული** არი (სვირ.).

ხმოვანმონაცვლე ზმნის **-ულ** სუფიქსიანი მიმღეობა იწარმოება პირველი და მეორე სერიის ფუძეთაგან:

ხელში **დაჭერული** რა’ნა ისაქმო? (ბაზგ.);

იმ ბიჭ სახლი **დაჭირული** აქ ემეში (ბაზგ.); ოთელი **დაჭირული** ექნებიან (ხევწ.).

ასეთ წარმოებაში **-ებ** თემის ნიშანი არის ჩართული:

ქართველი ან ბლაცვია, ან **მოჭირებული** (უ.).

თუმცა ამ ფუძის ზმნის პირიანი ფორმა მეორე სერიის ფუძით **-ავ** თემისნიშნანია (იჭირავს).

-ულ სუფიქსიან მიმღეობაში არ არის მოსალოდნელი **-ებ** თემის ნიშანი:



თელი გათხოვლი, **დასახლული** ყავს (კოკ.); ცხელ წყალს ჩაასხამ, **ადუღულ** წყალს (ბაზგ.).

ახლა გურჯიჯა ვინცხას ქი **დავიწყნული** აქვან... (ბაზგ.); ზოგი სიტყვები **დავიწყნული** მაქ (ბაზგ.).

უთემისნიშნა: **გაცინული** გამოიდა (ივ.).

-**ულ** სუფიქსიანია **წერ** ფუძის ზმნის საობიექტო მიმღეობა, რადგან ამოსავლად –**ავ** თემისნიშნიანი პირიანი ფორმა გვაქვს:

თავის **დაწერულ** ტყვილ იტყოდა (დავ.).

-**ილ**:

ეს სახლები **დაყრილია** (=დაკეტილია) (უ.); **მოყორილში** წვიმა წვიმს (უსტ.); ყალეს ზემოდან ასე **გაღობვილი** იყო (უსტ.); ბიბიშვილზე **მიყოლილი** ვიყავ (ბაზგ.).

-**ილ** ნიშნიანში არ არის –**ებ** თემის ნიშანი:

თორუნები **ავსილი** არიან (მაჩხ.).

უთემისნიშნა აგრეთვე **დატეენილი** (=დატოვებული):

ორი მყავს **დატეენილი** (ჩაქ.).

შესაბამის ამოსავალ ფორმად შეიძლება ვიგულისმოდ მველი ქართულის დატეევა (-**ილ** მაწარმოებლის წინ **ნ** არის ჩართული).

სალიტერატურო ქართულის **მ-არ** აფიქსებიანი მიმღეობის ნაცვლად არის –**ილ** სუფიქსიანი:

შეწვილი ყაბღის გულია (ა.).

ამ წარმოებას ეყრდნობა მესამე სერიის ფორმები:

I თურმეობითი:

სამი ძმა მოსულან, იქიდან ამდენი **გახდილან** (სვირ.).

II თურმეობითი:

ზრუგის თერეფის პერანგი ზედ **ჩაწვილიყო** (ბაზგ.).

ვნებითი გვარის ზმნის I თურმეობითის ფორმაში გამოყენებულია მოქმედებითი გვარის ზმნის ფუძის შესაბამისი მიმღეობა –**ილ** სუფიქსით:

ბორები **დახეთქილა** (მაჩხ.).

-**ილ** სუფიქსიანია სალიტერატურო ქართულის რეცხავს ზმნის შესაბამისი **რცხ** ფუძის მიმღეობა:

ეს ხალები **გარცხილია**, მეზობლებმა **გარცხეს** (უ.); ჩვენი **გადარცხილია**, თქვენი **გადარცხილია**, არ ვიცი (მაჩხ.).



-ულ და -ილ მაწარმოებლიან მიმღეობათათვის ერთი და იმავე ფუძის ზმნის სხვადასხვა ფორმაა ამოსავალი, მაგალითები:

-ულ მაწარმოებლიანი მიმღეობა – **გათხვეული** მომდინარეობს –**ებ** თემისნიშნინანი ვარიანტისგან – **გათხვება** (<გათხხოვება):

აქიდან ბაჯალა **გათხვეებულა** (<გათხხოვებულ არს) (უ.).

ბ დაკარგულია:

[მაშინ] **გათხვეული** არ ვიყავ (ჩაქ.).

-ილ სუფიქსიანისათვის ამოსავალია **გათხოვა**:

მული არ არის **გათხოვილი** (ბაზგ.); მაჭახელ აკრიადამ **გათხოვილი** ყოფილა (ჩაქ.).

დაკარგულია –ილ მაწარმოებლის ი:

აქ ემეში **გათხოვილი** იყო (ბაზგ.).

-ილ სუფიქსიანია **რჩ** ძირის ზმნის შესაბამისი მიმღეობა, რომელსაც ეყრდნობა I თურმეობითი:

გადმოიდენ და **დარჩენილან** (იფხ.); სამი თვისა დეთიმი **დავრჩენილვარ** (მაჩხ.).

-ილ სუფიქსი ერთვის –ომ სუფიქსიან საწყისს:

რუსია ქი დაყაფანდა, **დარჩომილი** არიან (ზაქ.); ყაზანი ოქრო ბათუმში ქონდა **დარჩომილი** (უსტ.).

ეგევე მიმღეობაა ზმნის პერიფრასტულ ფორმებში:

ჩემი ერთი გადასულა და **დარჩომილა** (ზაქ); ძველათ **დარჩომილა** (ჩაქ.); ქმარი იქ გეეგდო, აქ **დარჩომილიყო** (ზაქ.).

ამ ფუძის ამავე მნიშვნელობის მიმღეობა **მ-არ** (ალ) აფიქსითაც არის ნაწარმოები (ძირეული **რ** დაკარგულია):

რაფ'ნა გაარიგო, დეთიმი სამი წლისა **დამჩარი** (ბაზგ.); სამი წლის **დამჩალი** ვარ დეთიმი (ბაზგ.); არაფერი არ **დამჩალა** (უ.); პაწახან **დამჩალან** იქა (ნიოლ.).

წარსული დროის საობიექტო მიმღეობა იწარმოება **ნა-**, **ნა-არ** და **ნა-ურ** აფიქსებით:

ნა-:

იქ **ნაკითხები** აქ არ ყაბულობენ (ივ.).

-ებ თემის ნიშანი უნდა იყოს, ამ მიმღეობის მნიშვნელობაა **ნასწავლები**.

ნა-ურ:

თურქს უნდა თავის **ნათქვამურად** საქმე ქნას (ბაზგ.).



ეროვნული
ლინგვისტიკის
ცენტრი



ნა-არ:

ნაომარისთინ ათათურქმა ემე ქნა, მექთები გააწყო (მაჩხ.).

მომავალი დროის საობიექტო მიმღეობა იწარმოება **სა-**, **სა-არ**, **სა-ო**, **სა-ელ** აფიქსებით:

სა-:

აღმა **საწიკი** არ აქ, დაღმა **საწიკი** არ აქ (ჩაქ.).

მოსალოდნელი თემის ნიშანი –**ავ** არ ჩანს (შდრ. წიკავს – საწიკავი).

რაცხა რომ **გასაგნები** გაქვან (ჩაქ.).

სა-არ:

გასათხვარი ყოფილა (იფხ.).

სა-ო:

ამის ხე(=ხეს) რომ გაჰხდიან, **სახმარო** კასრ გააკეთებენ (ჩაქ.).

ერთმანეთს ენაცვლება **სა-** და **სა-ელ** მაწარმოებლები:

სათიბავებს, **სათიბლებს** ჭალას ვეტყვით ჩვენ (წეთ.);

თამარას **სასვენზე** ქვა იყო, იქ ეწერა: „თამარ დედოფლის

სასვენებელი”(ბაზგ.).

გ. უარყოფითი მიმღეობა

უარყოფითი მიმღეობა იწარმოება **უ-ელ** აფიქსებით:

უდერდელი იმ დუნისაა, იქ არიან (მაჩხ.).

გვხვდება ორმაგად ნაწარმოები უარყოფითი მიმღეობაც:

სანა არ იჭმება, **უმუსლელი** კვახეა (ნიოლ.); ცაცხვის

ყვავილი ჩემ ძალმა მოკრიფა და მზის **უდუუნახველი** ვახმოფთ

(მან.); **უგოვლელი** ჰასტანლული რომ იქნებიან, იმა ისე აჭმევენ

(ჩაქ.).

(**უგოვლელი** (<უგუვლელი<უგუვლელი) – ავადმყოფი, რომელსაც სიარული არ შეუძლია).

§4. ზმნიზედა

ზმნიზედის მნიშვნელობით გვხვდება ზედსართავი „კარგი” სახელობითის ფორმით:

- რავად ხარ?

- **კარგი** ვარ, კარგი (უსტ.).

- რას შობი, **კად** ხარ?

- აჰმედად **კად** არ იყო, ახლა **კადა**, **კად** ვარ ახლაო (ზ.).

შდრ.

რა იჯები, **კარგათ** ხართ? ჩვენც **კარგათ** ვართ (ნიოლ.).

„**ბევრი**“ იხმარება „**ბევრჯერ**“, „**ბევრად**“ ზმნიზედების მნიშვნელობით:

ელჩად **ბევრი** არ მოსულან, ერთი-ორჯერ თავისი ბაბოა
(შავშ.).

მთქმელის მონათხრობის შინაარსის მიხედვით ამ წინადადებაში
„**ბევრი**“ იგივეა, რაც „**ბევრჯერ**“.

მაჭახელი **ბევრი** (=ძალიან) შორ არი (ბაზგ.).

„**კარგად**“ ზოგჯერ იმავე მნიშვნელობისაა, რაც „**ხშირად**“, „**ბევრჯერ**“:

ხან-ხან ელექტრიკები წყდება, ჰო, **კარგად** სწყდება (ჩაქ.).

გაორკეცებულფუძიანი კომპოზიტები უმეტესად **და** კავშირის გარეშეა:

კარი-კარ ხომ ვერ მარს? (ჩაქ.); ვედრა არ იყო **წინ-წინ** (ზენ.);

ახლა ლამაზი სახლები დავაკეთეთ, **წინ-წინ** უთავნო... (უსტ.);

ახლა არა და, **წინ-წინ** საცოდვა ვიყავით (უსტ.).

„**წინ-წინ**“ მნიშვნელობით იგივეა, რაც „**უწინ**“.

სათესლედ გავარჩევდი **ხან-ხან** ასე (ჩაქ.); **ხან-ხან**

ელექტრიკები სწყდება (ჩაქ.); ფარა მიე **ხან-ხან** (ჩაქ.); დაჩვევლი

ვარ გურჯიჯა, თურქა და **ხან-ხან** ვურევ (უსტ.); რუსები კიდევ

ხან-ხან დადიან (ჩაქ.).

იშვიათად კავშირიც ჩაერთვის კომპონენტებს შორის **და-დე** დისიმი-
ლაციით:

ხანდეხან შეშას ვხყრით თავდაღმა (წეთ.); **ხანდეხან** მოდინ
აქევრები (უსტ.).

ადგილის ზმნიზედას ერთვის სახელობითის ნიშანი **მ-ი**:

ზაფხული **იქამ** კადა (დავ.).

ამავე ფორმით **აქამ** ზმნას ეწყობა აქტანტად – პირდაპირ ობიექტურ
პირად:

მემრე **აქამ** ბილა წაგვართვეს (ხევწ.).

ამ წინადადების აზრი ასეთია: „შემდეგ აქაურობაც კი წაგვართვეს“.

იშვიათად შეიძლება შეგვხვდეს **-ნე** და **-ნა** დართული ფორმებიც:

გამარჯობა, ნენევ, ამოი **აქანე** (უ.);

მიწიხაპად მიყვარსო, სოფელში არ არიო და **აქვენა** არი (მან.).

ზმნიზედად ხშირად გამოიყენება ზედსართავის ვითარებითი ბრუნვის
ფორმა:



ქართული
ბიბლიოთეკა



თურქულად უმღერებენ (უსტ.).

ვითარებითი ბრუნვინიშნისეული თანხმოვანი ზოგჯერ ყრუვდება (დ>თ):

ჩემი სახლი აგია, **ახალათ** ვაკეთეფ (ნიოლ.); ამან **ახალათ** გამეფყრა (=კვირტი გამოილო) (ჩაქ.); **მალლათ** ვართ (ბაზგ.); **თურქულათ** ლაპარაკობს, თურქია (ჩაქ.).

ზოგჯერ **დ** იკარგება:

ამგვარ ღარჭებ **თურქულა** ველაპარაკები (ბაზგ.); ჰემ **გურჯულა**, ჰემ თურქია ვლაპარაკობ (უ.); **ქართულა** „ფარას“ ვეტყვით ჩვენ (ჩაქ.); **შენებურა** ამბობ (მაჩხ.); **იქვერულა** არ იციან (ბაზგ.).

ხმოვანფუძიან სახელთა ანალოგიით ამ ფორმებს ერთვის სახელობითის ნიშანი **მ<ი**:

სახლის ემე იმდენი არ იცოდა **ახლანდულამ** (ბაზგ.); **თურქულამ**, **ქართულამ** ვისამეთ (უსტ.); **ლაზურამ** არ იციან (ჩაქ.); **უჩუმარამ** გადავდიოდით (მან.); **უჩუმარამ** დევლაპარიკებდით (წეთ.).

ასევე მომავალი დროის მიმღობა მიზნის გადმოსაცემად:

სავლელამ წევდოდით (იფხ.).

კითხვის ზმნიზედის მნიშვნელობა აქვს უთანდებულო და **ზე** თანდებულიან **რა** ნაცვალსახელს:

რა იცინი, **ზე**ინაბ? (ბაზგ.)...

რაზე ვერ'ნა გააკეთოს? (ჩაქ.); **რაზე** წერავთ (ბაზგ.);

დედამთილი **რაზე** არ'ნა მიყვარდეს? (უსტ.).


„**იმიტომ**“ ზმნიზედის მნიშვნელობისაა „**იმაზე**“:

მე ვისაქმე ოც წელიწად და **იმაზე** ცოტას ვიღებ (ჩაქ.).

§5. თანდებული

-**კენ** თანდებული **კე**ს სახითაა. დაერთვის იგი სახელებსაც, ზმნიზედებსაც:

აქეთკე ხართ თქვენ (ბაზგ.); ჰადდე, ასე ჩუუყვეთ **ქომოთკე** (ნიოლ.); **ზემოთკე** ვიცით, **ქომოთკე** არ იციან (უ.); რუსმა გადააბრუნა **თავისკე**, თვარა თქვენ **აქეთკე** იყავით (უ.); თორმეტი



სოფელი იქეთ დარჩენილა, ექვსი თანე სოფელი აქეთკე (უ.);
 ბრუნდება იქითკე ლაპარიკი (უ.)...

კენ (>კე) თანდებული დაერთვის –**გან** თანდებულით
 ნაცვალსახელისაგან ნაწარმოებ ზმნიზედას:

თელგნისკე არი გზა (უ.);

თელგნისკე (<*თელგანისკენ): ყველა მიმართულებით.

თვის თანდებულის ვარიანტებია –**თვინ**, –**თინ**:

თვის>თვინ:

თაფლი მააქ... **თავისთვინაც** აკეთებს, **შენთვინაც** აკეთებს
 (ბაზგ.); ახლაც ვჭკამთ, **ზამთრისთვინაც** ვინახავთ (ჩაქ.);
ზამთრისთვინ ადუღებენ (ჩაქ.); **არავისთვინ** არ უკბენია (ბაზგ.);
ჩემთვინ მარტვაჲ დავლევ (ბრ.); ესენი **თავისთვინ** არიან, ჩვენ –
ჩვენთვინ (ჩაქ.); იმას **კოშისთვინ** ვიტყვით (ჩაქ.); **დათვისთვინ**
 უთქვამს (მან.)...

თვის>თინ:

კარებ ვაკეთებ... **ფუტკრებისთინ** (ბაზგ.); აქ ამოვასხი ჩემ
კაცისთინ (ჩაქ.); შელოცვა **ჩემთინ** ვიცი (უსტ.); ჩვენი რემეზანი
 ყოფილა ერთ თვეში **ყოლთინ** (მან.)...

შდრ. ღმერთმა რატომ მოგვცა ენა? **ლაპარაკისთვის!** (ბაზგ.).

თვის ვარიანტი იშვიათია.

თვის თანდებულის პარალელურად იშვიათად იხმარება ქართული ენის
 დასავლური კილოებისათვის დამახასიათებელი –**იზა** (<იზდა<ისდა):

ბზე ადგება და **იმიზა** ბზათა ქვია (წეთ.); **ტელეფონებიზა**
 ამოველით (ბაზგ.).

ვით თანდებულის გავრცელებული ვარიანტია –**ვენ**:

ამა(ს) **ჩაისავენ** სმენ (ნიოლ.); დედებმაც **ჩვენსავენ** იცოდენ
 (ჩაქ.); კაკლებია წვრილი **ზივებსავენ** (ბაზგ.); **შენსავენ** ასე შუმკუნ
 [ქალი] იყო (ბაზგ.)...

ერთმანეთს ენაცვლება –**იდან** (<იდგან<ითგან) და –**დამ**:

ჩვენ **კარიდან** გევხედე (მან.); ამ ჩვენი სოფლის **გალმიდან** ლელე არის
 (ხობ.)...

დიობანიდამ მაღლა'ნა აბრუნდე (ბაზგ.); **იქიდამ**, აბა, ასე იქითა
ლელიდამ(ხობ.); ერთი აქ მეზობელი მყავ, გაღმა **სოფლიდამა** (მან.).**აქედან**,
 ოჰო, ბევრია **აქედამ** (ნიოლ.)...



„**ბაზრის**” აღმნიშვნელ თურქულ სახელში „**ჩარში**” (çarşı) ში გაგებულია ქართულ თანდებულად და ზოგჯერ –**ში** აღარ ერთვის:

ესენი **ჩარში** დეიზადენ (იფხ.).

შდრ. აიჰანა **ჩარშიში** წევდა (ბაზგ.).

დასტურდება ცალკე მდგომი **შინა** თანდებული, ოღონდ სახელის ფუძესთან:

ქართულ შინა თურქა შერეულია (ბაზგ.)...

თანდებულის ფუნქციით იხმარება სხვადასხვა შინაარსის ზმნიზედა.

ფართოდ არის გავრცელებული თანდებულის მნიშვნელობით **უკან**, რომელიც დაერთვის სახელს და აღნიშნავს დროს.

შევნიშნავთ, რომ **უკან** და სხვა ზმნიზედებიც უმეტესად დაერთვიან სახელის ფუძეს (მიცემითი ბრუნვის ნიშანი დაკარგულია):

ეგა დანიშნულია, ბაირამ **უკან**’ნა მეფყვანოს (მან.); ათ დღე **უკან** მივალ (ნიოლ.); დილაზე თუ მოკდა, შუადღე **უკან** ჩადებენ (ბაზგ.).

იშვიათად მიცემითი ბრუნვის მარკერი ჩანს:

სამ დღეს **უკან**’ნა მოიდეს (ჩაქ.).

უკან გვხვდება ნათესაობით ბრუნვასთანაც:

მარტი იცით? ნისანი? მარტის **უკან** ქი არის, ნისანი? (ჩაქ.).

მესამე პირის ჩვენებითი ნაცვალსახელის მიცემითი ბრუნვის ფორმა დაირთავს „**უკან**” ზმნიზედას:

იმას უკან რუსებმა ნელნელა წამოციმციმდენ (მან.); **მას უკან** გვითხრა (უ.); **მას უკან** მუელ (ჩაქ.).

პირველი პირის ნაცვალსახელის მრავლობითის ფორმასთან ბრუნვა არ ჩანს:

ჩვენ ვქენეთ და **ჩვენ უკან** - არა (ჩაქ.).

როგორც დამოწმებული მასალიდან ჩანს, **უკან** „შემდგომი, მომდევნო, გვიანდელი ვითარების აღსანიშნავად გამოიყენება” (აფრიდონიძე, 2002.:34).

ორიოდე შემთხვევაში **უკან** ადრინდელ, წინა ვითარებას აღნიშნავს:

ერთი კვირე **უკან** მოსულიყავი, კამ იყო (უ.); შვიდი წლის **უკან** დევიწავლე თურქა (უ.); ერთი წლისა **უკან** ქირვას დააყენებენ (წეთ.)...



საინტერესოა მოსაუბრის შენიშვნა: „ორი წლის წინა, წვენ „წინ“ ვამბობთ, „უკან“ ჰალადა მოიღეს, იგია უკან (მაჩხ.). ე.ი. რაც უნდა მოვიდეს, ის არის „უკან“.

უკან გვხვდება კლარჯულშიც (იხ.ფალავა, 2011; ცინცაძე, 2015).

ადგილის აღსანიშნავად სახელთან გვხვდება **უკნედან**:

კარჩხალის ჰამან **უკნედან**; წითვეთი შავშეთის **უკნედანაა** (ბაზგ.); ჯინალი(ს) **უკნედან** აჭარაა (დავ.)...

„წინ“ სახელთან ადრინდელ ვითარებას გადმოგვცემს ნათესაობით ბრუნვასთან და ფუძესთან:

ოცი **წლის წინ** ზამთარ-ზაფხულ იქ იქნებოდენ (დას.); ჩემი ერთი ბიჭი ოთხი **დღის წინ** ბათომ იყო (ჩაქ.);

თხუთმეტ **წელწად წინ** გაკეთდა გზები (დ.).

ზმნიზედის თანდებულად გამოყენების სხვა შემთხვევებია:

იმაზე **წინ** ჩაქველთა იყო (ჩაქ.);

შეხვალ **ღელე გაღმა**, ჰო (ზენ.);

მე იქ ვიყავ, **სერ იქეთ** (უ.);

სხვაგან წეიყვანა, **სოფელ გარეთ** (ჩაქ.).

შდრ. ჯავახ.: გავიდა **სოფელ გარეთ** (მარტიროსოვი, 1984.:62).

თანდებულის ფუნქციით თანაობის აღსანიშნავად ნათესაობით ბრუნვასთან იხმარება „ერთად“:

ჩაის ერთათ ყართოფი ფენა გერმელია (ხოხ.); **ტომათისის ერთად** ძალით ჩავასხამთ (უსტ.); ხახვ დაწვავ **ძაღვის ერთათ** (ბაზგ.); ძაღში მოხრაკვენ ძემილი **ხახვის ერთათ** (უსტ.); იქიდან მუალთ ამ **ბაღვის ერთათ** (ხოხ.)...

ერთ შემთხვევაში „ერთად“ დაერთვის –**თან** თანდებულის ნათესაობითს:

წავდივარ **ხოჯისთან ერთად** (ბაზგ.)...

§6. ნაწილაკი

ა. ხშირია –ა ნაწილაკის ხმარების შემთხვევები. უმეტესად დაერთვის იგი ზმნას და გამოხატავს კითხვას:

ჩვენებურა დეველაპარიკები-ა? იმა გონია, მაგინფესო (ზენ.);

ამას წამოყევი-ა? (ჩაქ.); აქ რომ აღარ ვარ, იქ ვარი-ა, რაძადა ქნა?



(ბაზგ.); ჩვენი ჯამე არი-ა? იქაც ქილისე ყოფილა (უ.); აღარ ვიცით
ქი: მოსული არი-ა? დერლი არი-ა? (ჩაქ.)...

შავშურში კითხვითი ინტონაცია ა' ნაწილაკზე მოდის, როგორც ეს
დასტურდება თუშურში და ივარაუდება ძველი ქართულისათვის (იხ.
ფაღავა, 2009:29-39).

ბ. უნდა ზმნა ნაწილაკის მნიშვნელობით შეკვეცილი სახით ('ნა, 'და)
ერთვის სხვადასხვა სიტყვას:

უნდა>ნა:

წყალი'ნა დაასხა (ბაზგ.); **მეძარგოს'ნა** რიზეს (წეთ.); იმ
ხიდზე'ნა გედეაროს (ჩაქ.); მე ახლა აქ **თუთა'ნა** მეჭამა (ჩაქ.); ახლა
მე'ნა წევდე (ბაზგ.)...

'ნა ზოგჯერ რამდენიმე სიტყვას დაერთვის ერთსა და იმავე
წინადადებაში:

მალე'ნა ეთქვეს'ნა (ხევწ.); **არ'ნა შეგიტყვეს'ნა** (ჩაქ.); **ვარია'ნა**
გავრცხა'ნა, იოღურთი'ნა ჩავასხა (უსტ.); ჰო, **ახლა'ნა ჩევდე'ნა**
(ხევწ.); **იქ'ნა უთხრათ'ნა** (ჩაქ.)...

უნდა>და შედარებით იშვიათია:

შენზე ათ ტკაველ ზემოში **არ'და** გეერიო, შენ ქვემოთ ათ
ტკაველში **არ'ნა** გეერიო (მან.); სახში რომ მოვა, შენი ემეე გახდება
[გველი], **არ'და** მოკლაო, იტყვიან (ჩაქ.); **რაი'და** ქნა? (ბაზგ.);
ბაჰალობაა, ფარა **ბევრი'და** გქონდეს (უ.)...

ზოგჯერ 'ნა და 'და ერთსა და იმავე მთქმელთან ერთსა და იმავე
წინადადებაში:

დედამთილმა **რძალს'და** უყოს რძალობა, მემრე **რძალმა'ნა**
ქნას რძალობა (იფხ.); **გუდუურიო'ნა, გუდუურიო'და**, დაკეპავ
ეჩოდთ (ბაზგ.)...

გ. კითხვას, რომელსაც გაკვირვებაც ახლავს გამოხატავს თურქული –მი
ნაწილაკი:

აღმართი **შეარეთ-მი?** კაა არი (ბაზგ.); წუხელი **აქ-მი**
იყავით? (ა.)...

თავი III. ლექსიკა

§1. სიტყვაწარმოება

შავშურში სხვადასხვა აფიქსებით სიტყვაწარმოების მრავალი შემთხვევა გვხვდება.

ა. –**ობა** ძირითადად აბსტრაქტული სახელების საწარმოებლად გამოიყენება:

რა ჩეთინია **მარტობა** (უსტ.); ისწავლი **მუსლიმანობას** (ჩაქ.); **ღარჭობის** დროს გევდოდით ბაჯლები (ჩაქ.); **ღარჭობაში** ბოტოტმა შემაშინა მე (ბაზგ.); **კარგობა** მოგცეს ღმერთმა (ჩაქ.); სამ წელწად დედამთილმა რძალს'და უყოს **რძალობა**, მემრე რძალმა'ნა ქნას **რძალობა** (იფხ.); მანამდე **ესკრობა** მოვდა (ჩაქ.)...

ბ. –**ობა** სუფიქსიანი სახელი გამოხატავს სიმრავლეს, კრებითობას:

აქ **მეზობლობაში** ფინთობა არ არი (ბაზგ.); ბევრი **მოყრილობა** იქნება, შემეეხვევი (დ.); შარშან ფენა **თაფლობა** იყო (ბაზგ.); ახლა **ტილობა** არ არი, მაშინ **ტილობა** ბევრი იყო, თლათ **ტილობა** გახდა (უ.)...

გ. –**ობა** გამოხატავს დროის განსაზღვრულ მონაკვეთს, რაიმე საქმიანობის შესრულების პერიოდს:

ჭალობის (=თიბვის) დრო არ არი (ბაზგ.).

–**ობა** სუფიქსით ნაწარმოებ სახელს აქვს საწყისის მნიშვნელობა:

ქორწილობა დიდი დუგუნია (ზ.); ახლანდელი **ცხოვრობა** ცოტა ისე იქნება (ბაზგ.)...

დ. ადგილის ზმნიზედისაგან –**ურ** სუფიქსით ნაწარმოებ ზედსართავზე –**ობა** სუფიქსის დართვით იწარმოება „აქაურობა“, „იქაურობა“:

მოგწონს **აქევრობა**? (ბაზგ.); **აქევრობა** ცივი ალაგია (მაჩხ.); დეიწავლი **აქევრობას** (ბაზგ.); **აქევრობა** ლამაზი ყოფილა, თლათ გურჯია (უსტ.);

აქოვრობაში ჩვენებურად, გურჯიჯა ვლაპარაკობთ (ბაზგ.);

აქავრობა თურქულზე ახლოა (უსტ.).

აქაურობა - ყველაფერი, რაც აქ არის; აქ არსებულის ერთობლიობა; ეს ადგილები.

იქაურობა - ყველაფერი, რაც იქ არის; იქ არსებულის ერთობლიობა, ის ადგილები (ქეგლ).

ე. ა სუფიქსით ნაწარმოები სიტყვა ბევრი არ არის:



-ა ღნიშნავს რომელიმე საგნის ან მისი თვისების მქონეობას:
 აქ ყველა ბალახი არი, ყვავილა ბალახები (უ.); სამყურად (უსტ.); ამ სხალ წარიას ვეტყვით (უ.); გაღმა მთას სარტყელად ქვია (უ.); ალთუნად სიმინდი (უსტ.).

-ა სუფიქსით ნაწარმოებია ტოპონიმები:
 გვალად (<მრგვალად), (მან.); ტიტველად სერი (ჯვარ.).

-ა დაერთვის საობიექტო მიმღეობას, აღნიშნავს ცეკვის სახეობას:
 ამ ცეკვას შემორბენილად ქვია (სვირ.); კიდევ დართულად იციან (სვირ.).

-ა სუფიქსით გეოგრაფიული სახელისაგან არის ნაწარმოები ცეკვის სახელი:

ორთაბათუმურას ვეტყვით (ზ.).

-ა ზმნიზედისაგან აწარმოებს ზედსართავს:
 შიანად (<შიგანად) ცარიელია (ჩაქ.); „კომ“ ვეტყვით, შიგანად ცარიელია (ჩაქ.).

ვ. -ურ|-ულ პროდუქტული სუფიქსია, რომელიც სხვადასხვა შინაარსობრივი ჯგუფის სახელებს აწარმოებს.

შავშურ დიალექტში -ურ|-ულ არ განასხვავებს ვინ და რა ჯგუფის სახელებს; ნორმად ითვლება ამ სუფიქსებით ადამიანთა სადაურობის აღნიშვნა.

გეარეთ დაბა, მე დაბური ვარ (ზაქ.); გელინი ზიოსურია (ზაზგ.); ანეე ჩაქველთური ქალია (ახალდ.); უბური იყო (ზაზგ.); მაჭებლური ემეი ყავდენ, ანაე (ზაზგ.); მაჭიხლური არი ბაიარ შაჰინი (ზაზგ.); მაჭიხლური ბევრი არიან (მან.); ზეგნური იყო ზათი, ახალდაბიდან გადმოთხოვილი (ჩაქ.)...

ბათუმურია ისა, ჯაფერად (ხევწ.); აქ გადმოდიან ბათუმური ბაღვები (იფხ.); ახალი გელინია, ბათუმური არ არი, ქუთაისური არი (ჩიხ.)...

ჩემი კაცი ჩიხორულია, ლიბანური, ადნი ვართ (ა.); ჩვენ აქ ამ სოფლური ვართ (ზენ.)...

ჩვენი სოფლური არიან, ბიჭიც ქართულია, გოგოც ქართულია (უსტ.); ვუთხარ, მე ქართული ვარ და გიმეშვეს (ჩაქ.)...

ქართველის აღსანიშნავად იხმარება აგრეთვე გურჯი, გურჯული:
 დედამთილი გურჯულია (წეთ.).



„გურჯული“ ამავე დროს ქართული ენის აღმნიშვნელიცაა:

რატონ არ დევწავლე გურჯულიო (უსტ.).

თურქის აღმნიშვნელია „**თურქული**“:

მეზობელი **თურქულია** (=თურქია) (ჩიხ.); ძველათ ერმენები იყვენ, ბათომ წასულან... **თურქული** არი, გურჯული – არა (კოკ.).

არის პირიქითაც:

ჩვენში **თურქი** ლაპარაკი მოსწონან (უ.).

-**ეთ** სუფიქსიან გეოგრაფიულ სახელს ზოგჯერ **ბაზგირეთი//ბამგირეთი** ჩამომორდება ეს მაწარმოებელი:

ბაზგირული დედოფალი მოყავან (უ.); მე **ბაზგირული** ვარ (ხევწ.); **ბაზგირული** ვინცხა არიო (შავშ.).

შდრ:

ზაქიეთური გელინი გყავს, ჩემი **ბაზგირეთულია** (ნიოლ.); ჩვენ **გამეშეთური** მყარი ვართ (სვირ.); ჩვენი ჯაფერად ბათუმ არი და **გამეშეთური** ის ემე იყო (ხევწ.); **ზაქიეთურია** ბესიმადა (ზ.).

-**ევ** მარცვალზე დაბოლოებული სახელისაგან (ხოხლევი) სადაურობის სახელში **ვ** იკარგება:

ხოხლეური ვარ, დავითაძე (მაჩხ.).

ვინ და **რა** ჯგუფის საგანთა სადაურობას აღნიშნავს ჩვეულებრივ **-ურ** სუფიქსი:

ქალი **იქვერი** (<იქაური) ყავს (უ.); **აქავრი** ქალი იყო ჩემი ანალული (ხოხ.); **აქვერი** ვარ (უ.); გოგო **აქვერი** იყო (ჩაქ.); ჩვენი ბაღნები იყვენენ **იქავრი** (უსტ.); შენ ძალი **იქავრი** გყავს (უსტ.); **იქვერი** წყალი დაჰა კადა (ნიოლ.).

-**ურ//ულ** აღნიშნავს **რა** ჯგუფის საგანთა წარმომავლობას:

მე მარტო ეს ვიცი, **ბათუმურად** სიმღერა (ივ.); ჩვენ ვერ გავაგნებებთ, თქვენი **მაჭახლურია** (უსტ.); ძიმეთ ეტყვიან, „ფეხძიმე“ **იქეთურია** (ბაზგ.); **ჩაქველთური** წყალია (ჩაქ.); დაზები არი იქა, **ოსმალური** მაზი არია (ჩაქ.); **ბამგირული** აწავლე (უსტ.).

-**ურ//ულ** სუფიქსი აღნიშნავს კუთვნილებას, რომელიც შეიძლება გადმოიცეს ნათესაობითი ბრუნვის ფორმითაც, ასე მაგალითად: „**ხერთვისული** მაილა“ იგივეა, რაც „**ხერთვისის** მაილა“:

დაბის ზეიდამ **დაბური** მაილაა (უ.); **უბური** თა ზათი ლაღოა (უ.); ზემოთ **ზაქიეთური** მაილაა (უ.); ციხიყელი ქვია იმ



ყალეს, ჩაქველთური ყალეა (დას.); ჩიქუნეთური მაილების მხრიდან არი გოლი (წეთ.); სორწიო აგარული მაილაა (დიობ.); სვირევეული მაილა იქაა, ზეთ (უ.); ნაფურნევი აგარული მაილაა (დას.); უსტამისურ სოფლებში სიმინდ თესენ (უსტ.).

შდრ. უსტამისის მაილაა იშტე (უსტ.).

-ურ//ულ სუფიქსის ასეთ მნიშვნელობას მოხეურში ადასტურებს ივ. ქავთარაძე (იხ. ქავთარაძე, 1949.:93).

ზ. -ელ: სუფიქსი -ელ არ არის პროდუქტული -ურ//ულ სუფიქსთან შედარებით. იგი აღნიშნავს ადამიანთა სადაურობას:

ამ მაჭახლელებმა, ამათ იციან (ივ.); თქვენი და მაჭახლელებისა და ბორჩხელებისა [ლაპარაკი] გავს (ზაზგ.); ბითევი ბათუმლები ხართ? (ზაზგ.).

ჩიქუნეთლები გადმოდოდენ აქა (ზ.); იმათ მაილებში ეფრატლები არიან, მაჭახლელები (ზ.); შენ რუსოო, შენ მოსკოველო, რუსჯა გადაგარონია (მაჩხ.).

-ელ სუფიქსით იშვიათად რა ჯგუფის სახელი იწარმოება:

ვაშლი აქ ბევრია... წოწოლაა ვაშლი, მაჭახლეაა (ზ.).

ასეთი მნიშვნელობით -ელ სუფიქსი იხმარება იმერულში (ძოწენიძე, 1973.: 236; ძიძიგური, 1973.:149).

თ. აქ, იქ ადგილის ზმნიზედათაგან -ურ სუფიქსით ნაწარმოებ ზედსართავზე -ურ, -ელ სუფიქსების დართვით - ორმაგი სუფიქსაციით ვინ, რა ჯგუფის საგანთა წარმომავლობის სახელი იწარმოება:

[სოკოს] იქ იღებენ ბევრი, ჰამა ჩვენ აქევერელები... (ზაზგ.); იქავრულები [იქაურელები] თელი ორითმენები ყოფილან (ჩაქ.); აქავრელები (<აქაურელები) გურჯი ვართ (უსტ.); იქევერულაა ლაპარაკი სხვანაირია (ხევწ.).

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ -ურ//ულ და -ელ სუფიქსების „ასეთი დაპირისპირება პირვანდელი არ უნდა იყოს. ამ სუფიქსების პირვანდელი ფუნქცია უფრო ზოგადი უნდა ყოფილიყო”. არნ. ჩიქობავას ამ სუფიქსებით სადაურობის აღნიშვნა მეორეულ მოვლენად მიაჩნია (ჩიქობავა, 1942.:119; 137).

„-ურ სუფიქსი X საუკუნის ბოლომდის არ გვხვდება თვისების აღმნიშვნელ სახელთა საწარმოებლად. ამ მიზნით იგი შეიძლება შეგვხვდეს XI



საუკუნის მეგლებში, მაგრამ ისიც ძლიერ იშვიათად იგი უფრო გამოყენებულია სადაურობის გამოსახატავად (იხ. მანჯგალაძე, 1953.:174, 479).

ი. მეტ-ნაკლები სიხშირით გვხვდება –**იან**, –**იერ**, –**ეულ**, **სა-ე** აფიქსებით ნაწარმოები სახელები.

–**იან** აღნიშნავს მქონებლობას:

მე დაჰა **ხნიანი** ვარ თქვენზე (ზაქ.); ზოგი ასე **მალაქკლიკიანი** არიან (ბაზგ.); ჰემ დუშუგი ალაგიც არი, ჰემ **თიანი** (<მთიანი) ალაგიც (ჩაქ.); **გემოანი** (<გემოიანი) მოდის, გერმელია (უსტ.).

იშვიათად –**იან** შეცვლილია –**ეან** სუფიქსით:

ღორღეანი ალაგია (უ.).

–**იერ** –**ელ** სუფიქსის მონაცვლე ჩანს:

სოფლიერმა გააკეთეს ეს ჯამე (ჩაქ.); **სოფლიერმა** კაცმა კითხა (მაჩხ.).

გამოთქმულია ვარაუდი, რომ იგი შეიძლება მომდინარეობდეს –**ივ** სუფიქსისგან. „ამ სუფიქსის ფუნქციის დაბნელების შემდეგ მისი საშუალებით ნაწარმოებ სახელებს დაერთო –**ერ**, რომელიც განსაზღვრულ შემთხვევებში ცალკე გამოიყენებოდა იმ ფუნქციის გადმოსაცემად, რომელსაც გამოხატავდა პირველი –**ივ**“ (მანჯგალაძე, 1953.:498).

–**ეულ** (>ეულ) ავად ზმნიზედას დაერთვის, აღნიშნავს **ავადმყოფს**, **ავადმყოფობას**:

მე **ავადეული** ვარ (ზაქ.); მამა **ავადეულია**, ძმაც **ავადეულია** (ბაზგ.).

სა-ელ//**ე** კონფიქსი დანიშნულების სახელს აწარმოებს:

ბზის შესატანს **საბზელი** ქვია (უსტ.); ქორი, **საბზესაც** ვეტყვით (მან.).

სა-ე აფიქსებით არის ნაწარმოები ტოპონიმები:

სალეზე (ნიოლ.); **სამელე** (ჯვარ.); **სასკივრე** მთა (უ.); **საბურთიას** თა (უსტ.).

მსხლის ჯიშია **საჭურიად**:

სხალი არი **საჭურიად**, ჭურში ჩაყრი (ზ.).

უ-ო უქონლობის სახელის მაწარმოებელია:

უძაღლო ვერ დავმდგარვარ (ჩაქ.).

კ. გვხვდება თურქული აფიქსებით ნაწარმოები სიტყვებიც:



წაღან ვთქვი'ა **შუქურჯი** (=მაღლიერი) არიან (უ.); **მაქინაჯი** (=მემანქანე) ვარ, ყუმაშ ვკერავ (სვირ.); თურქჩას რომ ვლაპარაკოფ, **გურჯი** ბევრი აღარ ვიცით (ჩაქ.).

ერთ წელწად ვიყავ **ნიშანლი** (ბაზგ.);

მესხაძეები სისხაძეები არიანო, **ჰერსლი** კაცები (ა.)...

აღლი – კარაქიანი, ერბოიანი, გად. მდიდარი:

ამისი სოფელი **აღლი** არი (შ.).

ზათი **შექერლია**, რათ უნდა [შექერი] (ხევწ.);

აღარ ვიცით, ქი მოსული არი-ა? **დერლი** არი-ა? (ჩაქ.);

იმ დღუზე **დორთქოშალი** (ოთხკუთხიანი) ციხე იყო (ჩაქ.).

თურქულიდან შესულ სიტყვას ქართული სუფიქსები დაერთვის:

უდუგუნო იქნება ახლანდელი გენჯები? (მან.); გავაქციე **გენჯობა** (ბაზგ.); **გენჯობა** გეარა (უსტ.);

შერბეთობა ახლა გახდა (ივ.); **ბაჰალობა**, ფარა ბევრი'და გქონდეს (ბაზგ.); ძველი **ფუხრობა** აღარ არი (ბაზგ.); ძველათ **ფუხრობა** იყო (უ.); ბევრი **დეთიმობა** გამოვწიე, ბევრი **ყერიზობა** გამოვწიე, ნენეჯან (ბაზგ.); მეზერში რა'ნა წედლო, **ინსნობა**'ნა წედლო (ჩაქ.).

§2. ფრაზეოლოგიზმები შავშურში

შავშეთის ქართულის ფრაზეოლოგიზმები მრავალფეროვანია როგორც შინაარსობრივად, ისე შედგენილობითაც. აქ დაცულ ფრაზეოლოგიზმთაგან ზოგიერთს პარალელი ეძებნება სალიტერატურო ქართულსა და მის კილოებში.

ფართოდ არის გავრცელებული ქალისა და ვაჟის ურთიერთმოწონების, შეყვარების აღმნიშვნელი გამონათქვამები, რომლებშიც ერთ-ერთი კომპონენტი (უმეტესად პირველი) არის „თვალი“. ამ სახელსაც და ზმნასაც აქვს გადატანითი მნიშვნელობა:

გოგო, შენზე **თვალი** მაქ.

ჩვეულებრივ, ამ გამონათქვამებში ვაჟის აქტიურობა ჩანს, იშვიათად – ქალისა: ჩემ ღარჭზე(=ვაჟზე) შვიდ წელწად **თვალი** ქონდა. „თვალი ქონდა“ ნიშნავს „უყვარდა“, „ელოდა“.

ბევრია ამ მნიშვნელობით „**დაჭერა**“ ფუძის ზმნის შემცველი **გამონათქვამი**:



ათი წელიწადია, შენზე **თვალი მიჭირავს**; ამ ემოს ღარჭებმა
 ორთამა ამ ემოს ბაჯალაზე **თვალი დეიჭირეს**; ამას **თვალი
 დუუჭირია**, იმიტომ ავათ გამხდარა.

გვხვდება ამ სახელითა და ზმნის შესაბამისი მიმღეობით შედგენილი
 კომპოზიტები:

თვალნაჭირი გემითხუეს, აღარა ვარ ჭკუაში; იმანაც
თვალნაჭირი დეინახა; ამისი **თვალდაჭირული** ბაჯალა რავარცხა
 ქი დოდოფლობაში შეკაზმული იყო, აინი შეიყვანეთ.

„თვალის დაჭერა“ იმავე მნიშვნელობისაა, რაც აქვს ქართულში ცნობილ
 გამონათქვამს: „ვისზედმე თვალის დადგმას, „მოწონება, ვისიმე თავისად
 მიჩნევა, თავისად ნატვრა“ (სახოკია. 1979:260).

„თვალის დაჭერას“ ასე განმარტავს თ.სახოკია: „თვალის დევნება,
 მოწონება, ჩაცივებით და ნდომით ცქერა“ (სახოკია, 1979:261).

„თვალთან“ აღნიშნული მნიშვნელობით იხმარება „**მექცევა**“, „**გაქცევა**“
 (გაგირბის, გამირბის) ზმნები („თვალს“ „გულიც“ ემატება):

მე რომ შენ დეგინახავ, **თვალი** შენკენ **მექცევა**: სხვაზე რათ
გექცევა თვალი და გული?!

„**თვალში დგას**“ იგივეა, რაც „არ მავიწყდება“: ჩემ კარზე (=ეზოში) გეარე,
 ჰალა (=ჯერ კიდევ) **თვალში დგას**.

საერთოდ მოწონების მნიშვნელობა აქვს აგრეთვე „**თვალის დარჩენას**“:
 იქ ფენა (=ძალიან) კაი გურჯული იცინა, **თვალი** იმაზე
დაგჩება.

„გზაში თვალი დარჩენა“ კი მოლოდინს ნიშნავს:

თაში ქალი დიმირჩა, / ვუთვალე, არ ჩამოვდა, / გზაში
თვალი დიმირჩა.

„**თვალის დარჩენას**“ დანანების, გულდაწყვეტის მნიშვნელობა უნდა
 ჰქონდეს შემდეგ წინადადებაში:

მეჰმური(=თანამშრომელი) ხომ არ ხარ, რაში **თვალი**ნა
დაგჩეს.

ბევრი ფრაზეოლოგიზმი გამოხატავს ადამიანის სულიერ და ფიზიკურ
 მდგომარეობას.

„**შავი დღის მოქცევა**“ აღნიშნავს დადარდიანებას, შეწუხებას, ტანჯვას: მე
 რომ შენ ვერ გითხვო, **შავი დღე მომექცევა**. შდრ.: „**შავი დღის დაყენება** -



დატანჯვა, გაწვალება, გვემა, დასჯა, სულის აღშფოთება, ვნება, დაჩაგვრა” (სახოკია, 1979:736).

ამავე მნიშვნელობისაა „**დერდში ჩაგდება**“:

ინგუარ **დერდში ჩამაგდე**, ვერა ვნახე ილაჯი(=წამალი).

კიდევ უფრო ძლიერი სულიერი ტკივილის გამომხატველია „**ფუშში ცეცხლის ნთება**“:

ნუ მამტყუნებ, **ფუშში**_(=მუცელში, კუჭში) **ცეცხლი მენტობა**.

ხელის აქნევა ნიშნავს ხელის ჩაქნევას, ყურადღების მიუქცევლობას, რაიმეზე გულის აყრას:

კაციც აღარ მყავდა, **ევქნე ხელი**.

მძიმე სულიერი მდგომარეობის აღმნიშვნელ გამონათქვამებში მონაწილეობს „**გული**“:

ე რა **გული დემეწვა**; **დაწვილი** ვარ **გულიდან**, არ მეტყობა გარედან.

„**გულთან**“ დაკავშირებულია რამდენიმე სხვა გამონათქვამიც: **გულიდან არ ამოდის** - არ მავიწყდება:

ვარ(=სატრფოვ), შენი ნათქვამი **გულიდან არ ამოდის**.

გულში გავლება//გარება - გაფიქრება:

აქიდან არ გეიარეთ? დიგინახეთ, ჰამა **გულში არ გიმიარდა**, გნახევდით; **გულში გიგიარდა** აქ მოსლა?; **გულში რავარ გაგიარს**, ისე მოგცეს ღმერთმა.

მძიმე მდგომარეობიდან გამოსვლა, დარდის შემსუბუქება შედარებულია ტვირთის მოხსნასთან:

გუზელებიც (=ლამაზებიც) დევნახე, **ძუქები ჩამოვყარე**.

(**თ. ყ ũ k** - ტვირთი, დატვირთვა).

განსაცდელთან, დარდთან დაკავშირებულია **გონის დაკარგვა**. ამ შინაარსობრივი ჯგუფის ფრაზეოლოგიზმების აუცილებელი კომპონენტია „**ჭკუა>ჭკვა**“:

თვალნაჭირი გემითხუეს, **აღარა ვარ ჭკუაში**; **ჭკვა დეიკარგა** სიმწარისგან.

გასულელების აღსანიშნავად შესანიშნავი მეტაფორული გამონათქვამებია:

მაგას **ჭკვა დათესილი** აქ და თიბავს ჭკვას; დაბერდა, ხაპერში **ჭკვას ვერ ჭუჭკავს** (=ვერ აგროვებს, თავს ვერ უყრის).



საპირისპიროა, გონზე მოსვლის აღმნიშვნელია „**ჭკვაში მოსვლა**“:

დაბლყუნობ, **ველარ მოხვალ ჭკვაში**; გიყურეფ, გაბლყუნეფ, **ველარ მოხვალ ჭკუაში**; **ჭკვაში მოი**, დუნიაში კარქა დეიფიქრე.

„**ჭკუა უჭრის**“ შავშურში აღნიშნავს მიდრეკილებას რაიმესადმი, გონებრივ შესაძლებლობას:

კაცსა რაცხაზე ქი **ჭკუა უჭრის**, იმას ასწავლებენ; შდრ.: ჭკუა უჭრის - ჭკუიანია, ჭკუით სხვებისაგან განირჩევა, ჭკუით ტოლებსა ჯობნის (სახოკია, 1979:895).

ვინც ცოტა იცის, ის ამბობს: ამდენი **ჭკვა არ მიჭრის**, ამდენი არ ვიცი.

ერთმანეთისაგან განსხვავებულია „ჭკვით დაწერა“ და „გულით დაწერა“:

ჭკვით დაწერვა სხვა არი და **გულით დაწერვა** სხვა არი.

იგულისხმება განსხვავება გონებით წერასა და გრძნობით წერას შორის.

ავადმყოფობის, ფიზიკური შეუძლებლობის აღმნიშვნელია „**გზას ვერ მივზღვე**“. ამ გამონათქვამის მნიშვნელობა უფრო კონკრეტულია: იგულისხმება სიარულის შეუძლებლობა:

ავადეული ვარ, **გზას ვერ მივზღვე** (შდრ. კლარჯული: **ფეხი არ მომდევს**).

ფრაზეოლოგიზმით გამოხატულია ადამიანის პიროვნული თვისებები, ხასიათი. ვინმეს მიმართ გულგრილობის, უყურადღებობის გამოხატველია „**არ მიათბო**“:

მაზლი მყავს მე, წევდა მაგან, ბურსას არი, ჰამა იმან **არ მიათბო**, ჩემიც იქვერ საქმეზე არ გაგზანა.

თავისებური ხასიათის, სხვებისაგან განცალკევების, ჩაურევლობის აღმნიშვნელი მეტაფორული გამონათქვამია „**თავის ქერქში ყოფნა**“:

თავის ქერქშია, ბევრი არ'ნა გააწუხო.

გაიძვერა, პირმოთნე ადამიანისათვის დამახასიათებელია „**შავი პირი, თეთრი კბილი**“: ასეთ ადამიანს გულში სხვა უდევს, ამბობს სხვას. „პირი“ შეიძლება აქ „გულის“ სინონიმიც იყოს.

მსაზღვრელისა და მსაზღვრულის შეერთებით მიღებულია ქართულში ცნობილი კომპოზიტი „პირშავი“: შენ მუხსინეფ, შენ **პირშავო**, რა უყავ ჩემი დოდოფალი.



„პირშავი - დამნაშავე, მტყუანი, უნამუსო, უსინდისო, უსირცხვილო, უპირწყლო, სახელგატეხილი, უპირული”(სახოკია, 1979: 499).

დაკაცებას, მოწიფულობაში გადასვლას აღნიშნავს „თავის პოვნა”:

„თავი იპუა” ვიტყვით, ახალგაზრდა ქი დაკაცდება.

მიხვედრილობის მნიშვნელობით გამოიყენება ფრაზა: **ღმერთი ხომ თვალში თით არ გვრავს (406)**. იგულისხმება: ზოგ რამეს თვითონ უნდა მიხვდე. ეს ფრაზა მოსდევს მთქმელის მონათხრობს იმ ადამიანზე, რომელიც ღმერთს შეჰპირდა, თუ თხოვნას შეუსრულებდა „ყურბანი’და დავკლაო”, მაგრამ დანაპირები ასე შეასრულა: „ამეილო უბიდან ტილი და აჰა ყურბანიო და... ღმერთს ეწყინა.

„თვალის ცემა” - ხალხის რწმენით, ზოგ ადამიანს აქვს „ავი თვალი”, რომელიც ცუდად მოქმედებს სხვებზე. სინონიმური მნიშვნელობისაა ქართულში „თვალის კვრა” - დანავსვა, დაზარალება, მოხიბვლა, ვნება, ხელის შეშლა, დაღუპვა” (სახოკია, 1979: 262):

ჩემ საყვარელ თვალი ცემს.

გვხვდება შელოცვაში: ალელისა, მალელისა, **თვალი გეცა** ალემისა.

„თვალს” უკავშირდება **ცემა** ფუძის ზმნის მიმღებები, მიიღება კომპოზიტები:

ალელისა, მალელისა, **თვალი ცემია** ქალებისა; შენი **თვალიმაცემარსა** თვალი უხმებოდა, ხორცი უშრებოდა.

„თვალის დახუჭვას” პირდაპირი მნიშვნელობის გარდა აქვს გადატანითი მნიშვნელობაც. მისი სინონიმია თურქული სიტყვის შემცველი „იშმარის მიცემა”:

თვალის დახუჭვა ამისი ნათქვამი ბევრი რაცხადასთან იქნება.

„იშმარი მისცაო”, ისე ვიტყვით. **თვალებს ქი დოუხუჭავ**, ემეს იქ, სხვა სიტყვა არ არის.

ამ გამონათქვამის მნიშვნელობა ემთხვევა საერთო ქართულის „თვალის ყოფას”: თვალით ნიშნება, ყურადღების მიქცევინება ვისზედმე ან რაზედმე, რაიმე აზრის ცნობება, როცა მესამე პირის თანდასწრებით რაიმე საიდუმლოს სიტყვით არ ვეუბნებით, არამედ თვალით ვანიშნებთ, თვალთ ვაგებინებთ”(სახოკია, 1979: 264).

საინტერესოა, რომ „ხუჭი” „თვალის” გარემეც იხმარება:



ხუჭი არ მიქნია, ძილი არ დამიძინია, დილაში ყვიროდა, საღამომდი ყვიროდა, აბა.

„ენის დაბმა“ - ბორძიკით ლაპარაკი: შარშან ენა დემება.

ვინც ქართულად ნათქვამს იგებს, მაგრამ თვითონ ქართულად ვერ ლაპარაკობს, იმას „ენა არ უბრუნავს“:

იციან, ამა (=მაგრამ) არ ბრუნავს ამათი ენა, იციან, არ უბრუნავან ენა-და.

გაჩუმების მნიშვნელობა აქვს გამონათქვამებს: „სუნგალი გაჰკრა“, „ჩუმსაც არ ვიღებდი“:

ზროხა წამეიყვანეთო რომ თქვით, **სუნგალი გაჰკრა**, გაჩუმდა; **ჩუმსაც არ ვიღებდი**; **ჩუმს არ გვეღებდი**; ქალი წეყვანეს, თქვენ **ჩუმი არ გეიდლოთო**.

ჩუმი - დაბალი ხმიანობა, ხმადაბალი (ქეგლ).

„ხელის დასმა“ - მოფერება, პატივით, მოკრძალებით მოპყრობა. ქალების მიერ მამაკაცების მიმართ ნიშნის მოგებით ნათქვამია:

კაცებმა **ბუკი კრან**, მარტვად რა დროს ვყავართ, **ხელი დიგვისვან**. ბუკი პირია, სახე. გაურკვეველია **ბუკი კრან** გამონათქვამის ზუსტი მნიშვნელობა.

ზოგადად რაიმეს შეუძლებლობის გამომხატველია **არ იქს**. იქს (<იქმს) ჩვეულებრივ ორპირიანია (ის მას), ფრაზეოლოგიური მნიშვნელობით ერთპირიანი: არ იქს - არ შეიძლება ის, არც დროული გაგება აქვს: ფორმა ზმნისა მწკრივების მიხედვით არ იცვლება, მნიშვნელობა არა აქვს, რომელი დროის მოქმედება იგულისხმება წინადადებაში:

აბანჩი (უცხო, ამ შემთხვევაში არა ქართველი) **არ იქს-მეთქი**, აბანჩი სიძე არ გვინდოდა.

„კრედის გამოწევა“ - კრედიტით ფულის სესხება ბანკიდან:

კრედი გამოწიო, იმასაც ემე გართმენ.

„გამოწევა“ სხვა კონტექსტში სურათის გადაღების მნიშვნელობით იხმარება:

ჩვენი დედაბერი **გამოწიეთ**; ორი ღარჭი მყავს, **გამოწიე** ჩემი ბაღნები; **გამოგწიოს**, წედლოს'ნა გურჯისტანში, ბათუმში.

ბანკში ფულის შეტანას აღნიშნავს **„ფულის დაწვენა“**:

ფული ვაწვინე, ემექლი(=პენსიონერი) გავხდი; ათ-ათი მილიონი **დავაწვინეთ**.



ქართული
ლინგვისტიკის
აზიის განყოფილება



„თელეფონის გასხნა“ - ტელეფონით დარეკვა:

მუსას თელეფონი გუუსხენ-და, მეზნევა ქი...; თელეფონ
გუუსხნიდი, რავაი ხარ-მეთქი.

„სიკვდილის“ მნიშვნელობა აქვს რამდენიმე ფრაზეოლოგიზმს:

„მიწაში თავის ჩაყოფა“:

ანამ მიწაში თავი ჩაყო, ბაბოძც ფინთი გახდა.

„ჯანის მიცემა“: can - სული, სიცოცხლე:

იმაზე ყურება-ყურებაში მოკდება - ჯან მისცემს; ჯანი მიცემამდი ჭკვა
ქონდა.

ამ მნიშვნელობის გამონათქვამებში ჯანის ქართული შესატყვისიც
დასტურდება:

ამ სიმღერას იტყვის, თან სული ამოდრება.

ამოდრობას ამ გამონათქვამში არ ახლავს უარყოფითი ნიუანსი.

საინტერესოა, რომ შავშეთის ქართულად მოლაპარაკე გრძნობს სიტყვის
ემოციურ იერს: მოკდა, „გაცდა“ ფინთია ასეთი ნათქვამი, ისე იქნაო.

სიკვდილის წინა წუთების აღსანიშნავად იხმარება აგრეთვე „სულის
ეზიეთშია“ (თ. eziyet(ti) - შვეიწროება, წვალება, ტანჯვა):

ვიციო, „ჯან აძლევსო, „სულის ეზიეთშია“.

„ყაზა ქილა“ - ეს გამონათქვამიც სიკვდილის აღსანიშნავად იხმარება.
kaza - უბედური შემთხვევა, ავარია.

საინტერესოა ასეთი სიტყვათშეერთება: უეჯლო სიკდილი: ვინცხა
ნათქვამს ვერ ითხოვს, უეჯლო სიკდილია (თ. ecel - სიკვდილის საათი,
სულთამხუთავი). „სულთამხუთავი - მაწვალებელი, მტანჯველი,
მომაკვდინებელი, სიკვდილის მომახლოებელი. ხალხის ძველი რწმენით,
სულთამხუთავი გულისხმობს ანგელოზს, რომელიც მომაკვდავს თავს ადგას
და დააქარებს სულის ამოსვლას (სახოკია,1979:594). „უეჯლო სიკდილი“,
როგორც ჩანს, არ არის ფიზიკური სიკვდილი, ადამიანს თავს არ ადგას ეჯელი
- სიკვდილის ანგელოზი, მაგრამ ალბათ, უფრო მძიმე, ძნელად გასაძლებ
მდგომარეობაშია: სიკვდილის ანგელოზი თავს არ გადგას, მაგრამ მაინც
კვდება. „უეჯლო სიკდილი“ მიგნებული, სწორად შერჩეული მეტაფორული
გამონათქვამია.

აჭარულ კილოში ცნობილია გამონათქვამი „ენაზე მაქვს“ იმის
გადმოსაცემად, რომ ადამიანს ახსოვს რაღაც და არც ახსოვს, ვერ მოუგონებია
სახელი. ნ. ცეცხლაძე „ჩვენებურების ქართულიდან“ იმოწმებს ფრაზას „ენაში



მიგორავს და ვერ მითქმია” და თ. სახოკიას: „ენის წვერზე დგომა (რისამე) - მოგონება და ვერც მოგონება კარგად რისამე (სახოკია, 1979:171). შავშურ კილოში დაცული ანალოგიური მნიშვნელობის ფრაზეოლოგიზმი უფრო ახლოსაა სახოკიასეულ ვარიანტთან: გვარი არ მახსოვს, ენი წვერზე მიგორავს. ცხადია, „ენის წვერზეგორვა“ უფრო ბუნებრივია, ვიდრე „ენაში გორვა“.

„პურის ჭამა” საერთოდ ჭამის, საჭმელის ჭამის მნიშვნელობით გავრცელებულია სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში:

ერთი ჩაი გვესვა, **პური** მაინც **გვეჭამა**; **პური ვჭამეთ**, ახლა'ნა წევდეთ; ქალები არ არიან? **პური ჭამე**.

პარალელურად გვხვდება **პურის გამწარება** - შევიწროება; ცუდ, გამოუვალ მდგომარეობაში ჩაყენება: „მოვდა თქვენი ოხალი და **პური გიგვიმწარა**“. ამ ფრაზეოლოგიზმთან დაკავშირებით საინტერესოა, რომ თ. სახოკია **პურის ჭამას** განმარტავს როგორც **ცხოვრებას**. იმოწმებს რაფიელ ერისთავის სტრიქონებს:

დღეს შენა ხარ, ხვალ სხვა მოვა
რა დაგრჩება სამუდამო,
ის არა სჯობს, რომ სიმართლით
ხალხს აამო, **პურიც სჭამო**.

„პურის გამწარებას“ „პურის ჭამის“ ამ მნიშვნელობის საპირისპირო მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს (წვალემა, ტანჯვა, გამოუვალი მდგომარეობა). მართალია, „პურის ჭამა“ საერთოდ ცხოვრების მნიშვნელობით არ ჩანს შავშურში, მაგრამ „პურის გამწარების“ ამ მნიშვნელობით არსებობა გამორიცხული არ უნდა იყოს.

თავის გატანის, გაჭირვების, ოჯახის მართო გაძლოლის მნიშვნელობა აქვს გამონათქვამს: **იდარეს ვიჯები**: „**იდარეს ვიჯები**, ვხლართავ“. ამ გამონათქვამის მნიშვნელობას განმარტავს თვითონ მთქმელი, 80 წლის მარტოხელა მოხუცი. იგი **ხლართვას** (ჯახირს, წვალებას) უწოდებს თავის ოჯახობას.

წუთისოფლის ამაოება, ცხოვრების წარმავლობა სამხრულ კილოებში გადმოიცემა ფრაზეოლოგიზმით: **ალანჩი დუნია** (თ. diünya - ქვეყანა, სამყარო; yalanci - მატყუარა; ყალბი, მოჩვენებითი): „**ალანჩი დუნია**, გავაქციეთ გენჯობა, წევდა“. „ალანჩის“ ნაცვლად მისი ქართული შესატყვისიც იხმარება: „რაფერ ეწყობიან ამ **ტყვილ დუნიაში**; **დუნია**, ლამაზი **ტყვილია**-და, იცოდე“. ნ.ცეცხლაძე იმოწმებს ამ გამონათქვამის შესატყვისებს



ლიტერატურული ნაწარმოებებიდან, მიიჩნევს მას ლიტერატურული წარმომავლობის(?) ფრაზეოლოგიზმად (ცეცხლაძე, 2018:39).

სწორი გზის, ვაკე, დაბლობი ადგილის აღსანიშნავად გამოიყენება შესანიშნავი მეტაფორული ფრაზა: დუზი გზაა, კვერცხი არ გადაბრუნდება (თ. düz - სწორი, დაბლობი, სწორი ადგილი).

„ყუსურზე არ დიმირჩე“ - არ დამძრახო; ბოდიშის მოხდაა. ყუსური თურქულია, ნიშნავს ნაკლს, მანკს, წუნს, შეცდომას, დანაშაულს: „ჭამოთ'ნა, ქათამიც არი, ყუსურზე არ დიმირჩეთ“. აჭარულშია: ყუსურზე არ დამიხედოთ (ნიჟარაძე, 1971). შავშეთშიც დადასტურდა ამ გამოთქმის თურქული შესატყვისი: „ერთი წყალი'ნა დავხედო, მარტომა გაგდებ (=გტოვებ), ყუსურ ბახმა (თ. bakmak – ყურება, ცქერა, შეხედვა).

„საბრის ქნა“ (თ. sabir (bri) - მოთმინება):

გელინის ლაპარაკი ადეთი არ იყო, ჰამა, მე ბევრი საბრი არ მიქნია.

„საბრი ყაზის ავსება“ - მოთმინების დაკარგვა, „მოთმინების ფიალის ავსება“ (თ. kap(bi) - ჭურჭელი):

საბრი ყაზი ეივსობა, გადმოდინდება (შდრ. ქართული „მოთმინების ფიალა“).

„მუსაფირად გახდომა“ - სტუმრად მიღება, გამასპინძლება. misafir - სტუმარი:

მუსაფირ გაგხდი, ჭად ჩეგისხამ, დილაზე პურ მოგართვამ და გაგზნანი. „პურ მოგართვამ“ იგივეა, რაც „პურს გაჭმევ“.

„აჯიდის ამოყრა“ - სამაგიეროს გადახდა, მიგება, მიზღვა:

არ გევეთხვე, აჯილი ვიყარე.

„ხებერის მიცემა“ - შეტყობინება:

ერთი გეძკითხე, ხებერი მოგვეცი ქი, ცოცხალი არიან, არ არიან, ორი-სამი წელიწადია არ ვიცით (თ. haber - ამბავი, ცნობები).

„ხებერის ქონა, არ ქონა“ - ამბის უცოდინარობა, საერთოდ რაიმეს უცოდინარობა:

იქ მული მყავს-მეთქი და მიტირია, და ხებერიც არ მაქ.

„ნუსხაფზე ხელის დადგმა“ - ნუსხაფზე, ყურანზე დაფიცება:

მე ვინმეს არ ვუყურეფ, ნუსხაფზე ხელ დავადგამ.

„თერეზის დაძლევა“ - ჯობნება (terazi - სასწორი):

თერეზმა დაძლია...მე გავაგდე კაცი, დავტრინკე.

„ღარკზე დაწოლა“ - მოსამშობიარებლად „დაწოლა“:



„**ლარჯზე დაწვანო**“, იტყვიან. „**ლარჯი**“ ამ საერთოდ ბავშვის მნიშვნელობითაა.

ქორწილთან, სხვადასხვა რიტუალთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიზმები: „**სუფრის დაჭერა//დაჭირვა**“, ამ გამონათქვამის მნიშვნელობას კარგად განმარტავენ თვითონ მთქმელები:

ქორწილში, პური ჭამაში, **სუფრას დეიჭირვენ**, რაც ქი(=რომ) უნდანან, იმას მეითხოვენ, არ ადგებიან სუფრიდან, ფუტკრის ძე მეიტანეო, მეიტანო'ნა იშტა.

ჩვენ წარმოვადგინეთ ფრაზეოლოგიზმების ნაწილი, რომლებიც შავშურ კილოში შედარებით ფართოდ არის გავრცელებული.

ბევრი ფრაზეოლოგიური შესიტყვება დასტურდება დალოცვასა და წყევლაში: ღმერთმა ერთ ბალიშზე დაგაბერონ; ღმერთმა ერთ კლავზე დაგაბერონ(205); ღმერთმა შავი დილა გიგითენოს; დიგიქორდეს (დაგიბრმავდეს) თვალები; ღმერთმა ჩენგე დიგიყაფანოს (ღმერთმა ყბა ჩაგიკეტოს).

სხვა დიალექტებით ცნობილ ფრაზეოლოგიზმთაგან შავშურშიც დასტურდება:

მადლის მოკიდება: მოლოცავის'ნა იყო, **მადლი მეაკიდო;**

მადლის დადება: გზა გააკეთე, **მადლი დეგედვა;**

ცოდვის დადება: აჰა და მოკალ! **ცოდვა არ დეგედვა?**

სამხრული მეტყველების ფრაზეოლოგიზმები მომავალში საკვლევი საინტერესო მასალაა.

თავი IV. სინტაქსი

§1. მსაზღვრელ-საზღვრული

ა. სხვადასხვა სახის მსაზღვრელი უმეტესად პრეპოზიციურია:

რომელმა ქნა? **ბაზგირეთელმა მუზაფერმა** (ხევწ.); **გაღმიტა**
სოფელში რომ არი (ჩაქ.); **ერთი დედემ** მყავდა (ბაზგ.); **ჩვენ** თა
(<მთა) ადგილზე ვართ (ზ.).

იშვიათია შებრუნებული რიგი, უმეტესად მაშინ, როცა საზღვრული
შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილია:

კახიძეები **ნათესავია ჩემი** (ივ.); ეს **გუგუშია წყლისა** (ბაზგ.);
ჩვენი **ციხეა ბაზგირეთისა** (ბაზგ.).

გვხვდება ზმნით გათიშული მსაზღვრელი და საზღვრული:

ერთ საცხა **მეზერ** დეინახევდენ **მკვდრისა** (ჩაქ.); **ფხალისას**
მოვადულეებთ **ჩორბას** (უსტ.).

დასტურდება განმარტოებული მსაზღვრელიც, „როცა მასთან
საზღვრული არ არის ნახმარი, მაგრამ იგულისხმება... ასეთი მსაზღვრელი
ბრუნვის ნიშანს უსათუოდ მიიღებს” (შანიძე, 1973.:94).

მარტო **ჰევასი** ბევრი დაწერა (უსტ.); ჩვენ სამა თუ იციან
ქართული? ჩემსამ **ქართული** არ იციან (ზ.); კეცი იყო, **ტალახისას**
გავაკეთებდით (ბაზგ.); არვისაც არ შივაჭმევ, ამა **სხვისას** არ
წევკარები (ხევწ.); **ჩვენსას** იმდენი არ ასხია (ხევწ.); **გაღმიესას**
თიბავს მუდუროდ (ხევწ.); მისი კაცი **თქვენსაში** გადმოსულია
(ბაზგ.).

I პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელით გადმოცემული
პრეპოზიციური მსაზღვრელი ხშირად შეუთანხმებელია საზღვრულთან
სახელობითსა და მოთხრობით ბრუნვებში (წარმოდგენილია ფუძის სახით):

სახელობითი:

ჩემ ბაბო დეესახლა (ბაზგ.); **ჩემ ბაბო** ავა (წეთ.); **ჩემ პაწა**
გოგო მეზნევა (ბრ.).

მოთხრობითი:

ჩემ ბაბომ ჩვენი თერეფის უმფო მედწადინა (შავშ.); **ჩემ სიძემ**
მომეზნა (მაჩხ.); **ჩემ მეზობელმა** იკითხა იქავრი (ხევწ.); ცაცხვის
ყვავილი **ჩემ რძალმა** მოკრიფა (მან.); ვინ მოქ-სოვა? **ჩემ ხელმა**
(უსტ.); **ჩემ კაცმა** დაჰა კაი იცის (უსტ.); გერმანიაში წემიყვანეს **ჩემ**
ბაღნებმა (ივ.); **ჩემ ბიჭებმა** თქვეს (უსტ.); **ჩვენ ჩობნებმა** დემიძახეს



(ჩაქ.); **ჩვენ გოგებმა**, ისე არ გიხდებოდ (შავშ.); **ჩვენ პრეზიდენტმა** რუსჯა აქ'ნა ასწავლოს'ნა (მაჩხ.).

ზოგჯერ შეუთანხმებელია სახელობით ბრუნვაში მესამე პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელით გადმოცემული მსაზღვრელი:

მათ ჰუქუმეთი არ გაძღა (მაჩხ.).

შეუთანხმებელია ზოგჯერ ზედსართავით გადმოცემული მსაზღვრელი მოთხრობით ბრუნვაში:

მოვდა და მითხრა **წვერიან კაცმა** (ჩაქ.); ელაპარაკა იმან, **დიდ ვინცხამა** (ჩაქ.).

იშვიათად მსაზღვრელი ნაცვალსახელი მოთხრობითი ბრუნვის საზღვრულთან სახელობითშია:

ჩემი ბაბომა იმიყვანა (მან.).

ზოგჯერ მოთხრობითი ბრუნვის საზღვრულთან მსაზღვრელი ნაცვალსახელიც მოთხრობითშია:

ჩემმა ნენემ ბევრი იცოდა (შავშ.).

ფუძის სახითაა ატრიბუტული მსაზღვრელი ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვებში:

ნათესაობითი:

მაზლი მყავს მე **ჩემ კაცისა** (ბაზგ.); **ჩემ დის** კაცთან მიდით (ბაზგ.); **ძველ მუხტრის** ქალია (ჩაქ.).

მოქმედებითი:

იმასაც ყავს **ჩვენ სოფლიდან** (ბაზგ.); **ორ-სამ ადგილიდან** გადმოდის თურმანეთსა გზა (ჩაქ.); **ჩვენ თქმით** არ წავა (ჩაქ.).

პრეპოზიციური სუბსტანციური მსაზღვრელი, გადმოცემული ხმოვანფუძიანი არსებითი სახელის ნათესაობითი ბრუნვით, უტოლდება პოსტპოზიციურს - დაირთავს ი'ს სახელობით ბრუნვაში:

ჩემი დედესი ხალაშვილია (ბაზგ.); გაღმიეთ აბლად მყავდა, **ემოსი ქალი** (უსტ.); ერთი დედემ მყავდა **ბაბოსი ბაბოდ** (ბზათ.); ერთი ბიბოდ მყავდა, **ბაბოსი და** (ბაზგ.); დადე, ამისი დის **ემოსი ქალი**, მოიდა (შავშ.); **ჩემი დედესი** გაკეთებულია (უსტ.)...



§2. ქვემდებარისა და შემასმენლის ურთიერთობა რიცხვში

ქვემდებარისა და შემასმენლის რიცხვში ურთიერთობის მხრივ, შეიძლება ითქვას, მრავალფეროვნებაა. საერთოდ იგრძნობა ტენდენცია ყველანაირ ქვემდებარესთან შემასმენლის მრავლობითის ფორმით გამოყენებისა.

ა. ქვემდებარე მხოლოდითშია, შემასმენელი - მრავლობითში:

ვინ ჯგუფის სახელთან:

ჩემი **სიამამრი** ახლა იზმით **არიან** (შავშ.); **ბიჭი** ცოტა შეშლილი **არიან** (შავშ.); სხვამ არ **შეხედონო**, არ ვასამე (მაჩხ.); ფევი გურჯია, **გურჯი არიან** (ჩიხ.); **სოფლიერმა გააკეთეს** ეს საქმე (ჩაქ.).

სოფლიერმა აქ მრავლობითს უნდა გულისხმობდეს: **სოფლელებმა**. მრავლობითის შინაარსი იგულისხმება განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელის მხოლოდითის ფორმაში:

ვინცხამ ამოთხარეს, დეიხოცენ (ბაზგ.); **ვინცხამაც იციან**, იღებენ (ბაზგ.).

რა ჯგუფის სახელთან:

ბეჭედი ... შვა თითზე ვერ გიმიტანია, სახში **არიან**, ვერ მიხმარია (ბაზგ.); **ქერი**, ბულდა... ფურნეში ქი **აცხოზენ**, თეთრი, წითელიც **არიან** (კოკ.).

შემასმენელი მრავლობითშია შემდეგ შემთხვევებში:

ბ. ქვემდებარედ უარყოფითი ნაცვალსახელია **არვინ**//**არავინ**:

არვინ არ **არიან** იქ ახლა (ჩაქ.); აქ ძველი ძერლი **არვინ არიან** (ჩიხ.); აქ **არავინ** არ **დარჩებიან** (მაჩხ.).

გ. ქვემდებარედ კრებითი სახელია:

ვინ ჯგუფი:

მეზობლებთან **დაწვებიან** დაპატიჟებული **ხალხი** (შავშ.); **ხალხი** ჭალაში **არიან**, ბითევი თიბვენ (ნიოლ.).

ბიჭის თერევის **მაყარი** ფულს **გაყრიან** (შავშ.); **მაყარი დასხდებიან** ორივე (შავშ.); ჩვენი **მილეთი** (millet - „ხალხი”) იქ **გეიზარდენ** (მაჩხ.).

მრავალი იგულისხმება სახელებში **სოფელი**, **თერევი** (tarap - „მხარე”), იხმარება კრებითის მნიშვნელობით, შემასმენელი მრავლობითშია:

[წყალი] **დეგვიშრეს** იმ **სოფელმა** (მაჩხ.); ამ **თერეფმა** არ **იციან** გურჯული (კოკ.).



დ. მრავლობითში ითანხმებს შემასმენელს „ხალხი“, რომელსაც მსაზღვრელად ახლავს „ბევრი“:

თურქეთში **ბევრი ხალხი ცხოვრობენ** (ჩიხ.); **ბევრი ხალხი იქნებიან** (უსტ.); **უცოცხლიან ბევრ ხალხ აქ** (ივ.).

ასევე: **ბევრი ალთუნი არიან** (კოკ.).

ე. შემასმენელი რა ჯგუფის სულიერ კრებით სახელთან:

ძველათ **ცხვარი იყვენ, ჩომა იყვენ** (უ.); **ჩომა არიან** (ბაზგ.); ჩემი **ჩომა გედვიდენ** იქა (ჩაქ.); თიდან რომ **ჩამოვლენ ჩომა**, იმ დროზე (ბაზგ.); თხა **ბევრი იყო, ცხვარი ბევრი იყო, საქონელი ბევრი იყვენ** და არ ყოფნილობდენ ბალახი (უსტ.); **საქონელი მევდენ**, დაღამდა, **საქონელი მევდენ** და თავეთ ვერ მოვდა იშტა (უსტ.).

ვ. ქვემდებარედ ნაცვალსახელია - **ზოგი, ზოგ-ზოგი**, შემასმენელი მრავლობითშია:

ზოგი კეთდებიან (=იკურნებიან), **ზოგი ვერ კეთდებიან** (სვირ.); **ზოგი იმღერებენ** ქართულა (უსტ.); **ზოგი რჩებიან, ზოგი წადიან** (ჯვარ.); არაფერ არ ჩავყრი, **ზოგი აყრიან** (ბაზგ.); **ზოგი ურთობენ** (ბაზგ.); **ზოგი წასული არიან** (ბაზგ.).

ზოგ-ზოგმა იციან (ბაზგ.); ზიარეთში **ზოგ-ზოგი წევლენ** (ნიოლ.).

ზ. თუ ქვემდებარეა ნაცვალსახელი **თელი** (ყველა), შემასმენელი მრავლობითშია:

ისე **ამბობენ თელი** (ჩიხ.); **თელი დაანამყენებენ**, სანთელ მიაკრენ (ბაზგ.); **თელი მიხდებიან**, ილაპარიკებენ, **თელმა იციან** (იფხ.); **თელმა არ იციან**, **ზოგმა-და** (უსტ.).

ამ ქვემდებარესთან შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი მხოლოდობითია, ზმნური ნაწილი - მრავლობითში:

თელი კამ არიან (სვირ.); **თელი გურჯი არიან** რაბათში (დავლ.).

თ. ქვემდებარედ არის **ბევრი, ცოტა**:

მნიშვნელობა არა აქვს, რას აღნიშნავს ეს სახელები.

ბევრი გადმოვიდენ, ყიდიდენ (მან.); ამათი **ლაპარიკი** (=ლაპარაკს) დაჰა **ბევრი ხდებიან** (მან.); ახლა აღარ არიან, **ბევრი აღარ არიან** (უ.); კალამ, ქი უხტება, ის არი, **ბევრი არიან**, ბევრი



(ბაზგ.); ჩვენი სოფლიდან ბევრი არიან ექს- (მაჩნ.); ბევრი წადიან (ჯვ.);

აქა რჩებიან, ჰამა ბევრი – არა, ცოტაა რჩებიან (ჩაქ.); ცოტაა დარჩენ (ზ.).

ი. ქვემდებარედ ორცნებიანი კომპოზიტია:

ანა-ბაბომაც იციან გურჯიჯა (ბაზგ.); დედამთილ-მამამთილი არ მყავს, მემიკდენ (უსტ.); წადიან რძალ-შვილი (ხევწ.).

კ. ქვემდებარედ რიცხვითი სახელია მხოლობითის ან მრავლობითის ფორმით:

ზამთარში ოცდაათი რჩებიან (იფხ.); ორი თანე მომიკდენ (უსტ.); ორი თანე გერმანიაში არიან, ორი – ბურსას (ივ.); ოცი თანე რჩებიან, ოცი კვამლი (ჩაქ.); ხუთი თანე, ათი თანე მოვლენ, დეგეშველებიან (უსტ.); ორი ბაჯალა მეყოლა, ორნივე დემეხოცნენ (ბაზგ.).

ლ. ქვემდებარეს განსაზღვრებად ახლავს რიცხვითი სახელი:

ორი ბაჯალა ჩემი არიან (ხევწ.); ხუთი კომლი რჩებიან (ჯვ.); სამი რაიონი არიან (ჩიხ.); სამი თანე ძმა მოსულან (ჩაქ.); სამი ღარჭი დასახლებული არიან (უ.).

ასეთ მსაზღვრელთან საზღვრულიცა და ქვემდებარეც მრავლობითშია:

ორი-სამი გენჯი ბიჭები იყვენ (ბაზგ.).

მ. რა ჯგუფის უსულო საგნის სახელი მრავლობითშია, შემასმენელიც მრავლობითშია:

სახლები არიან (დ.); ხაპის ჯინსები შავიც არი, თეთრიც არი, შავიც არიან (ხობ.); თამარას ყალეები არიან (სვირ.).

იშვიათად მრავლობითის ფორმის ქვემდებარესთან შემასმენელი მხოლობითშია:

ბაჯლები ცოცხლობს (უ.); იქიდან გამოვდოდა ბულები, დეაქედებოდენ, ვერ მიერევოდა, შევდოდენ მორევში (ზ.).

ბოლო წინადადებაში ორი შემასმენელი მხოლობითშია, ორი – მრავლობითში.

§ 3. ქვემდებარის ბრუნვა

იცის შემასმენელთან ქვემდებარე სახელობითშია:

[გურჯული] ჩემი ქალი ჩემზე კაი იცის და თაზე არი (ჩიხ.);
თელი სოფელი თურქა არ იცის (მაჩხ.); ჩემი ბაღანები, თორუნები
არ იციან (უ.); ხოჯა იცის გურჯული (ა.); ეს კაცი იცის (ა.); ის ანაა
არ იცის, ანაა, ანაიო, ტიროდა (მან.); ბერები კარგა იციან (მაჩხ.);
ჰო, ისაც იცის, ჰო, ისენი იცის (ნიოლ.); ჩემი დედეა ჰარაბ კარგა
იცოდა (მან.).

გარდაუვალ ზმნასთან ქვემდებარე მოთხრობითშია:

ახლანდელეგმა რომ მოდიან აქა, ისვენ წადიან (ხევწ.);
ეყურბანოს მას ცოლმა და შვილმა (მან.).

§4. დამატების ბრუნვა

პირდაპირი დამატება პირველი სერიის ფორმებთან ხშირად
სახელობითშია:

ეგა იხლამურია, გავახმობთ, ჩაი ვადუღებთ (უ.); წყალი
იქიდან ვწიკავთ (უ.); ტათლი არ ვაკეთებთ (ხევწ.).

შევნიშნავთ, თურქული სახელის ტათლი (ტატლი) დაბოლოება
გაგებულა ქართული სახელობითის ნიშნად.

თქვენ ჭამთ ღორი(ს) ხორცი? (ხევწ.); რეჰანი ურთავ,
მოხარშავ (სვ.); ოთხი თანე ქათამი მყავს, ზოგი მოხარშავ (ზ.);
ბახშიში მიცემენ (უსტ.); ერთი თენეჟე ყაზიალი სამ მარჩილად
იღებენ ბათუმ (ზ.); ზველათ სკიები (=სკებს) დააკეთებდენ (უსტ.);
საქონელი ბევრი იყვნენ და არ ყოფნილობდენ ბალახი (უსტ.).

ხმოვანფუძიან სახელთან უნდა ვივარაუდოთ სახელობითი ბრუნვა და
არა მიცემითის –ს'დაკარგული ფორმა:

ლობიო არგვენ, ჰამა მე არ ვარგევ (ხოხ.).

წინადადებაში დამატებად არის ორი თანხმოვანფუძიანი სახელი, ერთი
სახელობითის ფორმით, მეორე – ფუძით:

მარილ დაყრი, ნიორი არ გუურევ (იფხ.); კაკალი ვურევთ
ჩვენ, თესლ ვურევთ (ჩაქ.).

მიხვდები ზმნის ფორმებთანაც დამატება სახელობითშია:

ვერ მივხტი მათი ლაპარიკი, თქვენი ლაპარიკი მივხტები
(მაჩხ.); ამათი ლაპარიკი დაჰა ბევრი ხდებიან (მან.).



ჰამიან ფორმასთან, რომელსაც ზოგადი აწმყოს მნიშვნელობა აქვს (ემთხვევა ძველი ქართულის მეორე ხოლმეობითს), დამატება სახელობითშია:
 არ **ჰამიან ჰადი**, პურ ჰამენ (უ.).

სწყევლო ზმნასთან დამატება მიცემითშია: არ **სწყევლო არავის** (იფხ.).

§5. გარემოებანი

5.1. ადგილის გარემოება

ადგილის გარემოება ხშირად გადმოიცემა სახელის უთანდებულო მიცემითის ფორმით:

ზამთარში **ბურსას ვარ** მე (მაჩხ.); ახლა მე **ბურსას ვდგავარ** (ნიოლ.); ჩემი ღარჭები ბითევი იქ არიან, **რიზეს არიან** (ჩაქ.); **ხეფწრულ გათხოვილია** (ბაზგ.).

ს დაკარგულია:

მე **ბათუმ** ორ-სამჯერ **ამუელი** (ნაფ.); თელი **წავდივართ ისტამბულ** (სვ.); ახლა იქ, **ისტამბულ**, შვილთან **ვარ** (ჩაქ.); **ჯამიკარ არიან** (ბაზგ.); ერთი ბიჭი **ყავს ართვინ** (ჩაქ.); **იფხრევლაც არი** მალარა (ჩაქ.).

ფუძეს ერთვის **ც** (ა-ც) ნაწილაკი.

მიცემითი ზოგჯერ სავრცობიანია:

წუხელის **წევდა შავშეთსა** (ბაზგ.); **ბაზგირეთსა** ჩომა აღარ **ყოფილა** (ხეფწ.); **ბურსასაც არიან** გურჯები (სავრცობი, ჩვეულებრივ, ნაწილაკის წინაა).

-ში თანდებულიანი მიცემითიც გვხვდება ადგილის გარემოებად:

ისტამბოლში ჩავალთ (ჩაქ.).

5.2. დროის გარემოება

დროის გარემოება გადმოიცემა წელიწადის დროის აღმნიშვნელი სახელის –ში თანდებულიანი ფორმით:

ზამთარში თივებ **ზიდვენ** ჩომასათვინ (წეთ.); **ზამთარშიც სდგებით** აქა? (ჩაქ.); **ზამთარში მიდიან, ზაფხულში მოდიან** (წეთ.); [სინათლე] **ზაფხულში** იმდენი არ **წადის** (წეთ.).

-ში თანდებულიანია დრო:



ჰა იმ **დროში** მივდივართ, გასათვლელ **დროში** წავდივართ (ჩაქ.); ჩვენ **დროში** ორმოცი წლის ემექლი ხდებოდა, ახლა აღარ არის, ჩვენ **დროში** იყო-და (ჩაქ.).

გვხვდება უთანდებულო მიცემითიც:

ჰალა ღარჭობის **დროს** გევდოდით ბაჯლები (ჩაქ.); ჩვენი ციხეა... რუსის **დროს** გუუკეთებიან (ბაზგ.).

დროის გარემოება გადმოიცემა სხვა საშუალებებითაც:

-**ზე** თანდებულიანი სახელით:

მეორე დღეს, **დილაზე**, უკან მოგვეწია (სვირ.); **დილაზე** იპუეს, ჰამა შეჭმული (უსტ.); ოც **წელიწადზე** ვძებნე ალთუნი (ივ.); მე თვის **თხუთმეტზე** მოვალ-მეთქი (ნიოლ.).

აბსტრაქტული სახელის მოქმედებითი ბრუნვისა და -ში თანდებულიანი ფორმით:

ბაჯლობით ძალვან ლამაზი იყო (მაჩხ.); მე **პატრობით** (პატარაობაში) ვიწავლე (უ.).

მაღე ამართვა ღმერთმა **პატრობაში** (ბაზგ.)...

დროის აღმნიშვნელი სახელის -**ივ** ბრუნვის ფორმით:

ისე ახლა ყოლადა, თბილა და **ზამთრივ** ზორია (უსტ.); ზეგანში ვართ ახლა, **ზამთრივ** – ბარში (უსტ.); კიდევ დადიან ისენი [ასკერები], ჰამა **დღივ** არა, დღივ არ არიან (ჩაქ.).

ერთმანეთს ენაცვლება ხმოვანფუძიანი **ღამის** სახელობითისა და -ში თანდებულიანი ფორმები:

საქონელი დარჩა **ღამე** გარეთ და ... **ღამეში** ვერ იპუეს (უსტ.).

სახელის სახელობითის ფორმით დროის გარემოების ფუნქციით გვხვდება აგრეთვე **დღე**, **ზამთარი**, **ხანი** (მრ. რიცხვში):

თელი **დღე** რას აკეთებ? (ა.); **ზამთარი** ბურსას ვართ ჩვენ (მაჩხ.); ჯუმა **დღე** მოდიან (ზ.); ამ ქილისაში თამარა მოსულა, უკანა **ხანები** აქ უცოცხლია (მაჩხ.).

სახელის ფუძით, ფუძეებისაგან შედგენილი კომპოზიციით:

რძალი მოდის **გაზაფხულ** აქ (წეთ.); **ზამთარ-ზაფხულ** ესენი აქ არიან (ნიოლ.).

ვლ ფუძის ზმნის საწყისის სახელობითი ბრუნვის ფორმით:

ავლაჲ (=ავლის დროს) შეგვეყრება და განახვებ (ჩაქ.); დაკვირდებოდით **ამოვლაჲ** (უსტ.).



ეს საწყისი –ზე თანდებულითაც გვხვდება ამავე ძნიშვნელობით:
ჩავლაზე დაგანახვებ (ზაზგ.).

5.3. მიზნის გარემოება

მიზნის გარემოებად მომავალი დროის ვითარებითი ბრუნვის ფორმაა, ოღონდ ბრუნვის ნიშნის თხზმოვნითი ნაწილი მოკვეცილია, ა'ზე დაბოლოებულ მიმღეობას ერთვის **ღ<ი>**:

მივალ ნეკრი **საკაფავაღ** (უ.); თაბუთის **წასაღებელაღ** შენ მიმოხველ, მიწის **დასაყრელაღ** მიმოხველ (სვირ.); [საქონელ] ვაძლევთ **გასაკვებლაღ** (ჩაქ.).

§6. უბრალო დამატება

შავშურშიც გვხვდება უბრალო დამატება ნათესაობითის (თანდებულიანი და უთანდებულო) ნაცვლად –გან თანდებულიანი მოქმედებითი ბრუნვის ფორმით:

მაწვნიდან?... ყველაფერი იქნება **მაწვნიდან** (ჩაქ.); მე **ძველებიდან** არ ვიცი (უსტ.); ის ალაპარაკეთ ახლა, **ჩემიდან** გეყოფიან (ჩაქ.); კოლოფებ აკეთებდენ **შეშიდან** (=ხისაგან) (ზენ.); იმი **პასუხიდან** გადახველ? თამამ (უსტ.); შეშინდა **თქვენიდან** (ჩაქ.); **იმიდან** გვეშინია ჩვენ (ჩაქ.); **დათვიდან** ეშინია (მან.).

ასეთი ფორმები –გან თანდებულიანი უბრალო დამატებად ფართოდ არის გავრცელებული აჭარულში.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ –გან თანდებულიანი მოქმედებითი დღევანდელი სალიტერატურო ქართულის ფაქტი არაა, დღეს ქართულში გვაქვს –დან თანდებულიანი მოქმედებითი (ცოცანიძე, 1981.:27).

§7. აღწერითი წარმოება

შავშურ დიალექტში ისევე, როგორც საერთოდ სამხრულ მეტყველებაში, ზმნის ორგანულ ფორმათა გვერდით, გავრცელებულია აღწერითი წარმოება:

მე ბევრი **საბრი** არ მიქნია (შავშ.);
ხბო ქნაო, ვიტყვით, **ხბოს** იქს (ჩაქ.);
დილაზე **საუზმ** არ ვიქთ (ჩაქ.);
მოვდა, **დოსტობა** ვქნათო (სვირ.);



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ონ იქი სენე **მუხტრობა ქნა** (ჩაქ.);
ჩვენ აქ გურჯი ვაიზებ არ ვიჯებით (ნიოლ.);
არაბა ყაზა ქნა და მალევე წევდა (მაჩხ.); აქ დეიძინებენ,
დუას იქმენ (ნიოლ.).

რატომ **ეზიეთი ვწიოთ** (უსტ.);

ავჯობას ვიჯებოდით (ჩაქ.).

ასეთი კონსტრუქციები სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეულია თურქულის კალკებად (გურგენიძე, 1973.:77-78; 80-84; ნიჟარაძე, 1971.:69). ამ ფორმებს ჩვენც განვიხილავთ ერთ-ერთ შრომაში (ფალავა, ცინცაძე, 2005). აქ მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ანალოგიური კონსტრუქციები მრავლად გვხვდება ძველსა და გვიანი პერიოდის ქართულ ძეგლებში, ორიგინალურსა და ნათარგმნში. დავიმოწმებთ რამდენიმე ნიმუშს:

გვბრძანე, რადთა **ვემნეთ ხევსი** (ლიმ. 28,21); მრავალნი **კურნებანი ყენა** (მცხეთ. 36); ხოლო **იქმნა** დიდი **გამარჯუება** მეფისად (მთაწ. 160,4); **თათბირი ვქნათ** (ვისრ.350).

ზმნის აღწერითი ფორმები ბუნებრივ მოვლენად მიაჩნია თ. ვაშაკიძეს. დეტალურად განიხილავს რა ყველა სახის აღწერით კონსტრუქციას ძველ ქართულში, ერთ-ერთი სახის („იქმნა” მეშველზმნიანი) შესახებ ავტორი წერს: აღნიშნული წარმოება სრულიად ბუნებრივი მოვლენაა ქართული ენისათვის. იგი არ წარმოადგენს უცხო ენათა გავლენის შედეგს (ვაშაკიძე, 1993.:155).

შავშურში სხვა აღწერითი კონსტრუქციებია:

დანახული მყავს და მოკლული არ მყავს (ჩაქ.); მეს (=მეც)
გაგონილი მაქ (უსტ.); **გაგონილი გვაქ** ბათუმი და არ **ვართ**
მისული (შავშ.).

ზმნის ორგანული ფორმების ნაცვლად (დიმინახავს, არ მომიკლავს, გამიგონია, გაგვიგონია, არ მივსულვართ) გამოყენებულია შედგენილი შემასმენლები.



ნაწილი მეორე

შავშეთის ონომასტიკა



შავშეთს, ისტორიულ ქართულ ქვეყანას, პირობითად ორად ვყოფთ: მექართულე შავშეთი (იმერხევის ხეობაში გაშენებული ქართულენოვანი სოფლები, ასევე მისი მიმდებარე რამდენიმე ქართული სოფელი და მაჭახლის ხეობა, - მაჭახლურ მეტყველებას შავშურის კილოკავად განვიხილავთ) და მეთურქულე შავშეთი, - საკუთრივ შავშეთის თურქულენოვანი სოფლები, რომელთა ავტოქტონურ მოსახლეობას დაუვიწყია წინაპართა ენა, მაგრამ დაუცავს ძველი, ქართული გეოგრაფიული სახელები, ასევე ქართული მცენარეთა სახელები, ფიტონიმები, შავშთა თურქულ მეტყველებაში დღემდე შეყუჟულა და არსებობას განაგრძობს ქართული ლექსიკური ერთეულები... ყველაფერი გამოწველილვით უნდა შეისწავლოს მკვლევარმა, სხვაგვარად სრულყოფილი ვერ იქნება შავშური დიალექტის დახასიათება. ამიტომაც გადავწყვიტეთ შავშეთის ონომასტიკის შესწავლა, უპირველესად გეოგრაფიული სახელების; ტოპონიმთა ხომ „მიწის ენა“, როგორც ნ. ნადეჟდინი წერდა, „ხოლო მიწა წიგნია, რომელშიც კაცობრიობის ისტორია გაოგრაფიული ნომენკლატურითაა ჩაწერილი“ (ვიმოწმებთ: Мырзаяев, 1981:15). შავშეთის მიწა ქართული „წიგნია“, ჩვენ შევეცდებით მის წაკითხვას, რომ ვუთხრათ მოყვარეს თუ სხვებს, რომ ამ მიწის შვილები ყივჩაღები (||ყიფჩაღები) არ არიან, რომ ეს ქართული მიწაა და მისი მკვიდრნი მშობლიურენადაკარგული ქართველები არიან. გვახსენდება ტაოში, ერთი ბალხელის გულისტკივილით ნათქვამი: „ზემვან სოფელში ამტკიცებენ, რომ გურჯები არ არიან, თურქები არიან: ადგილის სახელები გურჯული, ანეა და ბაბაა გურჯულა ხვარათობდენ (აქ: ლაპარაკობდნენ), შენ თურქი რაფერ ხარ?“ თურქეთელ ქართველთა ცნობიერების ერთ მნიშვნელოვან მხარესაც მივაქცევ ყურადღებას, რომელიც „ამართლებს“ ზემვანსოფელელთა ხედვას: შავშის, კლარჯის, ტაოელის, მუჰაჯირის გაგებით ქართველი//გურჯი ხარ თუ ქართულად ლაპარაკობ, შენი ქოხის ენა ქართულია. არ იცი ქართული, არ ხარ ქართველი. ხშირად გაიგონებთ მეთურქულე სოფლებში, „ბაბაა და ნენეა (თუნდაც - დედეა და ებეა) გურჯები იყვენ, მე თურქი ვარო“. და ქართველად//გურჯად არ ცნობს თავს იმიტომ, რომ ქართული არ იცის. მცნება „მშობლიურენადაკარგული“ ქართველი მისთვის არ არსებობს, გაუგებარია. ქართველი//გურჯი და ქართული//გურჯული სინონიმური მცნებებია. დაბოლოს, ვიტყვით იმასაც, რომ წინაპართა ენის ცოდნა-არცოდნა დაედო საფუძვლად შავშეთის ქვეყნის ორად გაყოფას, დაუპირისპირდა ერთმანეთს



მექართულე იმერხევი და საკუთრივ შავშეთი. ჩვენს დროში ამას მოჰყვა ტერმინები: „შავშეთ-იმერხევის ტოპონიმია“, „შავშეთ-იმერხევის ეთნოგრაფია“... დასახელებული და მსგავსი გამოთქმები შავშეთის ქვეყნის უცოდინრობის, ზოგჯერ ზედმეტი ცდის შედეგია. ვსაუბრობთ „შავშურ დიალექტზე“, „შავშეთის ტოპონიმიაზე“, „შავშეთის ეთნოგრაფიაზე“... რაშიც მოიაზრება ერთიანი შავშეთი, ისტორიული ქართული ქვეყანა.

დაბოლოს, ამავე ნაწილში ვმსჯელობთ შავშეთის ჰიდრონიმიაზე, გვარ-სახელებზე შავშეთში, მცენარეთა სახელებზე, პირუტყვის სახელებზე, რომელიც გვაწვდის საყურადღებო ინფორმაციას საკვლევი რეგიონის შესახებ.

თავი 1. შავშეთის ტოპონიმია

§1. შავშეთის ტოპონიმის მასალები

შავშეთის ტოპონიმის კვლევისას ვიყენებით სავსე ექსპედიციების დროს ჩვენს მიერ ჩაწერილ, ასევე ისტორიულ დოკუმენტებში გაბნეულ ონომასტიკურ მასალას, სხვა მკვლევართა ჩანაწერებს... ჩვენი მიზანია, ერთის მხრივ ვიკვლიოთ შავშეთის ტოპონიმია, მეორეს მხრივ, შეძლებისდაგვარად ერთად მოვუყაროთ თავი გეოგრაფიულ სახელებს. დაგვიგროვდა მრავალფეროვანი ტოპონიმის მასალა, რომლის ლინგვისტურ ანალიზსაც ქვემოთ შემოგთავაზებთ. თავდაპირველად საგანგებოდ შევხებით რამდენიმე წყაროს.

1.1. დ. პაგირევის შრომა: „Алфавитный указатель к пятиверстной карте Кавказского края, издания Кавказского ВоенноТопографического Отдела, Тифлис, 1913. ქვემოთ: Пагирев, 1913, ან „ანბანური საძიებელი“). აღნიშნავთ, რომ ხსენებულ წიგნში შეტანილია „კავკასიის ხუთვერსიან რუკაზე“ დატანილი გეოგრაფიული სახელები, რაც მნიშვნელოვანი წყარია კავკასიის (ზოგადად) და ჭოროხის აუზის (კერძოდ) ტოპონიმის საკვლევად. წინასწარ აღნიშნავ, რომ რუსი მოხელე, შესაძლოა ზოგჯერ ტომით ქართველი, ყოველთვის კარგად ვერ აღიქვამს ინფორმატორის ნათქვამს და არასწორად იწერს სახელურ ფორმებს, არც რუსული დამწერლობა აძლევს მას ყოველთვის საშუალებას, ზუსტად ჩაიწეროს ქართული ტოპონიმები... ეს მცდარი ჩანაწერი შემდეგ გადავიდა „ხუთვერსიან რუკაზე“, იქედან კი - სამეცნიერო თუ საცნობარო ნაშრომებში. ვფიქრობთ, მკვლევარმა სიფრთხილით უნდა გამოიყენოს აღნიშნული მასალები. მივყვით მოვლენებს.

გთავაზობთ „ხუთვერსიან რუკაზე“ დატანილ შავშეთის გეოგრაფიულ სახელებს კომენტარებით:

Бадзгиреть [ბადზგირეტი] - სოფ. ბამგირეთი. მნიშვნელოვანია, რომ ჩამწერი ამოსავალ ფორმას იწერს, გვხვდება პარალერული - ბაზგირეთი'ც. ახლა უფრო ეს უკანასკნელი ისმის, მიზეზი თურქულ გამოთქმაში უნდა ვეძიოთ, ასევე ძ:ზ თანხმოვანთმონაცვლეობაში.

Беглеванъ [ბეგლევანი] - სოფ. ბელღევანი.

Бзата я. [ბზატა] - ბზათა (დაილა). ბზათა ახლა სოფელია იმერხევში. ჩანს, რუკის მასალების შეკრების დროს აქ საზაფხულო სადგომები იყო.



Гаркилобь [გარკილობ'ი] - სოფ. გარყილობი/გარყლობი. გარყლობი სვანურიაო, გარყლობ ლაპარაკს ნიშნავსო სვანურში (თოფჩიშვილი, 2022:37). ძნელი დასაჯერებელია სვანური ელემენტი შავშეთის ტოპონიმიში.

Гобихоция [გობიხოცია] - ამოსავალი ფორმა უნდა იყოს გობიხოვეწია>გობიხოწია, ვე>ო'ს. მნიშვნელოვანია, რომ ტოპოგრაფს დიალექტური ფორმა ჩაუწერია. აღვნიშნავ, რომ ვე>ო'ს დასტურდება სამხრულ მეტყველებაში: ხვეწნა>ხოწნა (ტაოური), წვეული>წოული (ქობულეთი)...

Гогонаури г. (მთა გოგონაური).

Гурнатель [გურნატელ'ი] - სოფ. გურნათელი. ლიტერატურული წყაროებიდან (გიორგი მერჩულეს თხზულება) ცნობილი სოფელი, სადაც მდებარეობდა გრიგოლ ხანძთელის მიერ დაარსებული დედათა მონასტერი **გუნათლეს ვანი**.

Даба - სოფ. დაბა.

Дабацврили [დაბაცვრილ'ი] - სოფ. **დაბაწვრილი**, გვხვდება - **დაბაწრული**ც.

Дабакетили [დაბაკეტელ'ი] - სოფ. დაბაკეთილი.

Дасимоб с. [დასიმობ'ი] - სოფ. დასამობი. რუკაზე დატანილია დისიმილირებული ფორმა.

Девадзиеб с. [დევადზიებ'ი] - სოფ. **დევაძიები**, ასე ჩავიწერეთ ადგილზე, თუმცა ისმის **დევაძიები**ც, დისიმილირებული ფორმა (ეე>იე) და **დევაძივი**. მნიშვნელოვანია, რომ კარტოგრაფს დიალექტური ფორმა ჩაუწერია.

Джабухь я. [დჟაბუხ'ი] - მაილა ჯაბუხი.

Джала [დჟალა] - ვფიქრობთ, ამოსავალი ფორმაა **ჟალა** და არა **ჯალა**. ჩამწერმა სათანადოდ ვერ აღიქვა ინფორმატორის ნათქვამი.

Джануджирь я. [დჟანუდჟირ'ი, მაილა] - რუკაზე დატანილი **ჯანუჯირი** შორსაა ამოსავალი ფორმისაგან - **ჯანჯირი**.

Джиналь [დჟინალ'ი] - ჯინალი.

Дзенумани [დზენუმანი] - ძენუმანი//ზენუმანი? - ასეთი ტოპონიმი ჩვენ არ დაგვიდასტურებია, არც სხვათა ჩანაწერებში შეგვხვდებოდა. იქნებ, ცუდად ჩაწერილი ზედუმანია?

Дзioso [დზიოს'ი] - ზიოსი//ძიოსი, სოფელი იმერხევში. ამოსავალი ფორმა ჩანს **ზიოსი**.

Диобань с.я. [დიობან'ი, სოფელი და მაილა] სოფ. იმერხევში.



Довлатъ [დოვლატ'ი], **დოვლათი**, სოფ. იმერხევში, ადგილობრივები გამოთქამენ - **დავლათი**, ამოსავალი ფორმაც ეს უნდა იყოს. **დავლა** მამაკაცის სახელი უდევს ფუძედ გეოგრაფიულ სახელს.

Дорт-каде г. [დორტ-კადე, მთა], **დორთ-კადე** - შესაძლებელია, ფონეტიკურად სახეცვლილი, უფრო ცუდად ჩაწერილი „დორთ კილდე“ იყოს.

Закиеть с.я. [ზაქიეტ'ი, სოფელი, ძაილა]. **ზაქიეთი ზაქის** სახლელულის კუთვნილია.

Занза-дагъ г. [ზანზა-დაგ'ი, მთა], **ზანზა დაღი** - შესაძლოა, „ძანძა დაღი“ <ძინძე დაღი(?) იყოს. ს. ჯიქია „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში ამოიკითხავს სოფლის სახელწოდებას **ძინძე**, ადგილი უტყუესუბანში (იხ. ჯიქია, 1958:101). **ძინძე** დასტურდება „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“: „და ვითარ შთამოვიდეს დასასრულსა მას ხევისასა, რომელ არს უტყვისა, მივიდეს ადგილსა რასმე **ძინძედ** სახელდებულსა“ (ზარზ.322). ს. ჯიქია საარქივო სიებში დაადასტურებს ტოპონიმს **Зинзи** (ჯიქია, 1958:101), მიიჩნევს რომ იგი **ძინძი**'ის სახეცვლილი ფორმაა.

Кадагеть [კადაგეტ'ი], შდრ. ქადაგი, ვინც ქადაგებს, მეტსახელი კაცისა. **ქადაგ** ფუძიდან მოგვიანებით ჩამოყალიბდა გვარ-სახელები ქადაგიძე (გვხვდება მაჭახელში), ქადაგიშვილი.

Камелеть [კამელეტ'ი]. კამელეთი' ქაილის სახლის საცხოვრისია.

Кареть г. [კარეტ'ი, მთა]. **კარეთი კარის** კუთვნილია. **კარი** სახელი ან მეტსახელია, დაცულია გვარში **კარიძე**.

Ква-тетрисъ [ქვა-ტეტრის'ი], **ქვა-თეთრისი**, ადგილობრივთა გამოთქმაში გვხვდება **ქოთეთრისი** (ვა>ო).

Коклиеть [კოკლიეტ'ი] - **ქოქლიეთი**<*ქოქოლიეთი, ქოქოლას სახლელულის კუთვნილი.

Кокобереть [კოკობერეტ'ი] - კოკობერეთი, ადგილობრივთა გამოთქმით - კოკბერეთი //კოკვერეთი, ფუძე შეკუმშულია.

Коколеть-су [კოკოლეთ-სუ] - ქოქოლეთ-სუ, შდრ. ქოქოლეთის წყალი. ჩანს, მასალის ჩაწერისას ქართული „წყალი“ თურქული სუ'თი უკვე შეცვლილი იყო.

Колота [კოლოტა] - საინტერესო ფუძეა, ქართულში რამდენიმე მნიშვნელობით იხმარება:

„კოლოტი“ - სატკბილე ტიკი ზროხისა“ (საბა, 1949).

„კოლოტი“ აჭარული: „კარგად მოსხმული მტევანი“ (ნიჟარაძე, 1971).



„კოლოტი“ ქართლური და ქიზიყური: „20-40 ფუტიანი ტიკი, კამეჩის...“ (დლონტი, 1984).

„კოლოტა“ - ქართლური, „პატარა ხარი“ (მენტეშაშვილი, 1970).

აღვნიშნავთ, რომ **კოლოტა** კაცის მეტსახელიც ჩანს, რომელიც საფუძვლად დადებია მეტსახელ გვარს **კოლოტაშვილი//კოლოტოღლი** და საგეოგრაფიო სახელს **კოლოტეთი**.

Лекнауръ г. [ლევნაურ’ი, მთა] - ლევნაური, **ლევნა** ფუმიდან ნაწარმოები გეოგრაფიული სახელი. ლევნა<*ლევინა სახელი/მეტსახელი ჩანს.

Лекобанъ я. [ლევკობან’ი, დაილა]. **ლეკი**’ ანთროპონიმი ჩანს, შდრ. ლეკიშვილი.

Мачхатидзе с. [მაჩხატიძე, სოფელი]. ახლა სოფელს **მაჩხატეთს** (ძველი ფორმა) ეძახიან. რუსი მოხელე იწერს **მაჩხატიძეს**.

Мокта [მოკტა] - მოქთა<*მოგთა<*მოგვთა, სოფელი მეთურქულე შავშეთში.

Парех-су [პარეხ-სუ, მდ.], შდრ. პარეხის წყალი.

Парнухъ [პარნუხ’ი], სოფ. ფარნუხი.

Петобани [პეტობანი] - სოფლის უბანი და მეზრე **პეტობანი** (<*პეტრეს უბანი), ძველი წარმოების ტოპონიმი ჩანს, ოსმალობამდელი მაინც.

Петруль [პეტრულ’ი] - ტოპონიმში გამოიყოფა პეტრ[ე] ანთროპონიმი.

Пхикуръ [ფხიკურ’ი] - ტოპონიმში გამოიყოფა მეტსახელს „ფხიკი“ (იგივე - ფხიკიანი), „ავგული, ყველა მალე ეწყინოს“ (საბა, 1949).

Сабудара [საბუდარა].

Садруе [სადრუე]. ს. ჯიქია დიდი არტაანის ლივაში კითხულობს ტოპონიმს „დროში“, ამასთან მკითხველს სთავაზობს ვარიანტებს: დროში, დოროში, დრუში, დურუში (ჯიქია, 1958:506). მოყვანილი სახელის შემდეგი სემანტიკაა შესაძლებელი: **სა-დრუ-ე**. ჩანს, იგი დანიშნულების სახელია **სა-ე** თავსართ-ბოლოსართით ნაწარმოები, ფუძეა „დრუ“. **დრო** (>*დრუ) გვხვდება ბასილი ზარზმელის თხზულებაში: „შეუძლებელ არს არამისლვაჲ ჩვენი ადგილსა მას **დროსსა**“ (ზარზ. 341). სამიებელია **დრო/დრუ** ფუძის მნიშვნელობა. საბა განმარტავს **დრუსო**ს: „დრუსო არს ზღუდე ქვისა, მაღალი, კეთილად ნაგები კოშკ-კოშკოვანი“ (საბა, 1949). **დრო//დრუ** (<*დრუსო) ქვის ღობეა...

Сакавре г. [საკავრე, მთა], **საყავრე**, ადგილი, სადაც ყავარს ამზადებდნენ.



Сакал-дедан г. [საკალ-დედანი, მთა], საქალ-დედანი(?) ზღა ეს ტოპონიმი არ ფიქსირდება.

Сакория я. [საკორია, დაილა], საქორია, ქორ'ების ადგილი. **ქორი** კიდევ საბძლის მნიშვნელობით იხმარება შავშეთში (შავშეთი, 2011:604).

Самджель [სამდჟელი] - სამჯელი: სა-მჯ-ელ'ი. ძირია მჯ//მჯა. საბა განმარტავს მჯა'ს როგორც ზვინი (საბა, 1991).

Сами-цкали р. [სამი-ცკალი, მდინარე], შდრ. სამწყალი.

Светь [სვეტ'ი], - წყაროებით ტბეთთან უნდა იყოს „ციხე სვეტისა“ (იხ. სიხარულიძე, 1988:38).

Светибарь [სვეტიბარ'ი].

Синготь [სინგოტ'ი] - სინგოთი, ადგილზე ჩავიწერეთ სინკოთი. სინგოთი <სინკოთი' საგან გვკ მონაცვლეობით.

Сопорь [სოპორ'ი], იგივე უნდა იყოს, რაც **სოფორო**.

Степанидзе მზ. [სტეპანიდზე, მეზრე], - შავშეთში ექსპედიციების დროს არ ჩავიწერია არც გვარი **სტეფანიძე**, არც - ტოპონიმი. „ხუთვერსიანმა რუკამ“ შეინახა გვარი **სტეფანიძე** და მისი სახელობის მეზრე.

Суревань [სურევან'ი], ადგილზე ჩავიწერეთ **სვირევანი**<***სვილევანი** //**სვილოვანი**.

Схлобань [სხლობან'ი] - ადგილის სახელია **სხლობანი**<***სხლოვანი** <**მსხლოვანი** ვ:ზ მონაცვლეობით.

Тавзеть [ტავზეტ'ი], - თავზეთი, გვხვდება პარალელური ფორმაც - თავზეთი.

Тавизорть მზ. [ტავიზორტ'ი, მეზრე], - **თავიზორთი**, კომპოზიტია - თავი-ზორ//ძორ, ეს უკანასკნელი ხვეის აღმნიშვნელი ფუძეა სომხურში.

Тавкатурь [ტავკატურ'ი] - თავკატური.

Танзоть [ტანზოტ'ი] - ტანზ-ოთ-ი//ტანძ-ოთ-ი. შდრ. ტანძია.

Тарангело г. [ტარანგელო, მთა], - **თარანგელო**. კარტოგრაფს ჩაუწერია დიალექტური ფორმა (თარანგელო <*მთავარანგელო). იმავე სახელწოდების მთა გვხვდება მაჭახელშიც.

Тбети [ტბეთი]. შვიდი ტბეთია დატანილი „ხუთვერსიან რუკაზე“ ბათუმისა (ოთხი) და ართვინის (სამი) ოლქებში: სოფელი 3, მდინარე - 1, მთა - 1, დაილა - 1, ყიშლა - 1.



Толгомъ [ტოლგომ'ი] - **თოლგომ'** სახელური ფუძე შესაძლებელია მომდინარეობდეს **თალგამ'**ისაგან ფონეტიკური გარდაქმნით: თალგამი>თალგომი>თოლგომი.

Турманидзе [ტურმანიძე], - **თურმანიძე**, გვხვდება **თურმანეთიც**. ეს უკანასკნელი ძველი ფორმაა.

Тхиладзурь [ტხილადზურ'ი], - თხილაზური, ადგილზე **თხილაზორ'** ჩავიწერეთ. შდრ. **თხილისხვეი**.

Устамеса [უსტამესა], იგივე უსტამისია, ქართულის არმცოდნის ჩაწერილი.

Устамель [უსტამელ'ი], წარმომავლობის სახელია ტოპონიმად ქცეული.

Устамись [უსტამის'ი]. გეოგრაფიულ სახელებს **უსტამეს'**ას, **უსტამელ'**სა და **უსტამის'**ს ერთი ფუძე აქვთ - **უსტამ'**ი, მამაკაცის სახელი.

Халбаши [ხალბაში]. **ხალბაში**-**ხალვაში**'საგან ბ:ვ მონაცვლეობით.

Халвашь [ხალვაში'ი].

Хаста г. [ხასტა]. **ხასთა** იქნებ ცუდად ჩაწერილი **ხანცთაა**. დაშვების უფლებას გვამღევს ის ფაქტიც, რომ ხუთვერსიან რუკაზე **უბური ხანძთა** დატანილი არაა.

Хархана г. [ხარხანა, მთა] - ორი გეოგრაფიული პუნქტია ართვინში ამ სახელით. **ხარხანი** აჭარაშიც გვხვდება, მტირალას გვერდით მდებარეობს **ხარხანი**.

Хертвись [ხერტვის'ი], ხერთვისი. დ. ჰაგირევის შრომაში სამი ხერთვისია შეტანილი: ორი ბათუმის ოლქში და ერთიც - ართვინში. აღვნიშნავთ, რომ ხერთვისი „ცოცხალი“ სიტყვაა შავშურში, „ღელე-ღელეს შეეყრება, ხერთვისია“ შავშისათვის.

Хинзартъ р.р.в. и. [ხინზარტ'ი, მდინარე, ნანგრევი, ეკლესია], - ხინძართი >ხინზართი ძ:ზ მონაცვლეობით. **ხინძართი**//**ხინზართი** ცუდად ჩაწერილი ხინძართა' არის.

Хохлаурь [ხოხლაურ'ი], იგივე **ხოხლევი** უნდა იყოს.

Целать [ცელატ'ი], - **წელათი**, სოფელი შავშეთში.

Цепта [ცეპტა], - **წეფთა**, იქვეა Цептис-ბარი [ცეფთის ბარი], ადგილობრივი გამოთქმით **წეფთიბარი**.

Цетилеть [ცეტილეთ'ი], - **წეთილეთი** - შავშური სოფელი.

Цитветь [ციტვეტ'ი], - **წითვეთი**, შავშური სოფელი.

Цихис-дзири [ციხის-დზირი], - **ციხისძირი**, შავშური სოფელი.



Цкалцимеръ я. [ცკალციმერ'ი, მაილა], - წყალსიმერი, სოფელი შავშეთში. კარტოგრაფიული სამუშაოების დროს იქნებ მაილა იყო, შემდეგ მუდმივ საცხოვრებლად, სოფლად იქცა.

Цорцель [ცორცელ'ი] - სოფელი შავშეთში.

Цхумри [ცხუმრი], - ცხუმურ' სახელური ფუძის შეკუმშული ფორმა ჩანს.

Чавлиети я. [ჩავლიეტ'ი, მაილა], ჩავლიეთი, ჩავლ' ფუძე ჩანს გვარსახელებში ჩავლეიშვილი, ჩავლეშვილი. ჩავლიეთი ჩავლ'ის კუთვნილი მამულია.

Чамурли я. [ჩამურლი, მაილა], ქართული სატალახე//ტალახიანის პირდაპირი თარგმანია. შავშეთშივე დასტურდება Чамурлы дагы г. [ჩამურლი დაღ'ი, მთა]. შდრ. სატალახე მთა. აღვნიშნავთ, რომ სატალახე დასტურდება ტაოშიც (იხ. ტაო, 2020:842).

Чарбиэты [ჩარბიეტ'ი] - ჭარბიეთი, სოფელი შავშეთში.

Чартулетъ [ჩარტულეტ'ი] - ჩართულეთი, სოფელი შავშეთში.

Чахет-хевъ მზ. [ჩახეტ-ხევ'ი, მეზრე], ჭახეთ-ხევი, შდრ. ჭახათ ხევი. ჭახა მეტსახელი ჩანს კაცისა.

Чваребъ [ჩვარებ'ი], - ჭვარები<*ჭუარები<ჯუარები//ჯვარები. კარტოგრაფმა ინფორმატორისაგან „გაიგონა“ ჩვარები და ასეც ჩაიწერა.

Чевте-кепри მზ. [ჩევთე კეპრი, მეზრე], ცუდად ჩაწერილი „ჩივთე ქოფრია“, წყვილი ხიდი, ორხიდი.

Чедлеури [ჩედლეური], - ჭედლეური.

Чедлури [ჩედლური], - ჭედლური. ჭედლეურსა და ჭედლურში გამოიყოფა ჭედლ<*ჭედელ ფუძე, შეიძლება აღვადგინოთ კონფიქსისეული მ'ც: მჭედელეური, მჭედლური.

Чидиль [ჩიდილ'ი], - ჩი[რ]დილი<ჩრდილი.

Читилаис цкали р. [ჩითილაის ცკალი//ჩითილაის წკალი], ცუდად ჩაწერილი „ჩიდილაის წყალია“.

Чихис-хеви [ჩიხის ხევი].

Чихоръ Б. [ჩიხორ'ი, დიდი], - დიდი ჩიხორი.

Чихта [ჩიხტა//ჩიხთა] - ჩიხვთა.

Шавкетъ (Сатлелис цкали) [შავკეთ'ი (სათლელის ცკალი)], შავკედი, სათლელის წყალი. ჩამწერი სიზუსტისათვის მდინარის ორივე სახელს ასახელებს.

Шартевъ მზ. [შარტევ'ი, მეზრე].

Шолтис-хеви я. [შოლტის ხევი, დაილა].

Шубладзе г. [შუბლადზე, მთა], - შუბლადე

Шуртумъ [შურტუმ'ი], - შურთუმი.

წარმოვადგინეთ დ. პაგირევის შრომაში (შესაბამისად „კავკასიის ხუთვერსიან რუკაზეც“) შეტანილი შავშეთის გეოგრაფიული სახელები. ვერ დავიჩემებთ, რომ სრულად გადმოვიტანეთ, იქნებ გამოგვჩა რამე, ანდაც ბათუმის ან ართვინის ოლქების სხვა ტოპონიმები შევიტანეთ, რომლებიც შავშეთის არაა და მოსაზღვრე კუთხეების კუთვნილებაა; ვეცადეთ კი ყურადღების მიღმა არაფერი დაგვეტოვებინა.

რითაა საყურადღებო „კავკასიის ხუთვერსიანი რუკის“ მასალები?

ა. დ. პაგირევის „ანბანური საძიებლიდან“ ჩანს, რომ ოსმალებს შავშეთის ქართული გეოგრაფიული სახელების თურქულით შეცვლა ინტენსიურად ჯერაც არ დაუწყიათ, იშვიათია თურქული გეოგრაფიული სახელები: Занза-дагъ, Дорт-каде, Парех-су...

ბ. ხშირად რუსი მოხელე ვერ ახერხებს ქართული ტოპონიმის სწორად აღქმასა და ჩაწერას: **Дасимобъ დასამობის** ნაცვლად...

გ. უმეტესად რუსული ანბანი, ქართულისაგან სრულიად განსხვავებული ენისათვის შექმნილი, კარტოგრაფს არ აძლევს საშუალებას ზუსტად ჩაიწეროს ინფორმატორის ნათქვამი: **Гаркилобъ** (გარკილობ'ი) ჩაიწერა **გარყლობის//გარყილობის** ნაცვლად, **Гобихоция** - **გობიხოწიას //გობიხვეწიას** ნაცვლად...

დ. ხშირად უხეიროდ ჩაწერილი გეოგრაფიული სახელი საგრძნობლად დაშორებია ამოსავალ ფორმას: **Дзенуманъ** [ძენუმან'ი//ზენუმან'ი] ასეთი ტოპონიმი არ დასტურდება, ალბათ **ზედუბანი** იგულისხმება.

ე. მნიშვნელოვანია, რომ დ. პაგირევის შრომამ შეგვინახა არაერთი საკუთარი სახელი, რომელიც დღეს დავიწყებულია: **Сакал-дедани** [საქალ-დედანი], **Самджель** [სამჯელ'ი], **Степанидзе** მზ. [სტეფანიძე, მეზრე]... ტოპონიმმა - **სტეფანიძე** შეინახა გვარი - **სტეფანიძე**, რომელიც დღეს აღარ დასტურდება. შდრ. აჭარაში სოფელია **სტეფანაშვილები**, სადაც ამ გვარის მატარებლები აღარ სახლობენ.

ვ. „ანბანურ საძიებელში“ დაცულია სახელური ფუძეები, რომლებიც შავშური დიალექტის მნიშვნელოვანი წყაროა: **გობიხოწოა<გობიხვეწია** (ვე>ო, უმლაუტის მასგავსი მოვლენა), **ჩიდილაის წყალი** შდრ. ჩიდილას წყალი...



იქნებ სხვა მნიშვნელებიც გაჩნდეს „ანბანური საძიებლის“ გამოწვლილვით შესწავლის შემდეგ. ერთი რამ ნათელია, დ. პაგირევის შრომა მნიშვნელოვანი წყაროა შავშეთის ტოპონიმის შესასწავლად, ოღონდ მასალა უნდა გამოვიყენოთ სხვა, უმეტესად ველზე შეკრებილ მასალებთან შეჯერების შემდეგ.

1.2. 2013 წელს სტამბულში დაიბეჭდა თანერ ართვინლის წიგნი „**Gürcüce, Lazca, Hemsince, Ermenice, Türkçe ARTVİN YER ADLARI SÖZLÜĞÜ, İdari, Yerleşim ve Coğrafi Yer Adlarının Toponimisi**” (შემდეგ: ართვინლი, 2013). ლექსიკონში შეტანილია ართვინის ილის (გუბერნიის) ტოპონიმები. აღვნიშნავთ, რომ დღევანდელი თურქეთის ადმინისტრაციული დაყოფით ისტორიული შავშეთი (ახლა შავშათის ილჩე) ართვინის გუბერნიაშია მოქცეული. ასევე: ისტორიული კლარჯეთის თურქული ნაწილი (არტანუჯის, ართვინის, ბორჩხის, მურღულის ილჩეები), ძველი ტაოს ერთი კუთხე (ახლანდელი იუსუფელის ილჩე/რაიონი) და ლაზეთის დიდი ნაწილი. ავტორი ცდილობს, ზუსტად ჩაიწეროს გეოგრაფიული სახელები, თუმცა თურქული დამწერლობა ამის საშუალებას ყოველთვის არ აძლევს. უხერხულობის დასაძლევად თ. ართვინლი ზოგჯერ ტოპონიმის ლათინურ და ქართულ ტრანსკრიპციასაც მოიყვანს: Abramient [Abramianti, აბრამიანთი], adagül [Adaguli, ადაგული], Ahaldaba [Axaldaba, ახალდაბა]... ამასთან მოაქვს გარკვეული ცნობები დასახელებული გეოგრაფიული სახელის შესახებ, იძლევა სახელის ფუძის მისეულ ანალიზს. თავად ავტორის ჩანაფიქრი მისასაღმებელია: მარტო სურვილი რომ შეეკრიბა ართვინის პროვინციის ისტორიული ქართული კუთხეების ტოპონიმის და შეექმნა ლექსიკონი, მნიშვნელოვანი ფაქტია. ამჯერად ჩვენ შავშეთის გეოგრაფიული სახელები გვინტერესებს თ. ართვინლის შრომიდან, რომელთაც ზოგიერთი კომენტარით ქვემოთ გთავაზობთ:

Abramient [Abramianti, აბრამიანთი]¹, ავტორი გამოყოფს ანთროპონიმს **აბრამი**.

Aburtul (აბურთული), უთითებს, რომ სახელი ქართულია.

¹ კვადრატულ ფრჩხილებში [] ავტორისეული ტრანსკრიპციაა მოცემული, () ფრჩხილებში ტოპონიმის ჩვენეული წაკითხვა.



ქართული
სწავლანობის
ცენტრი



Agara (აგარა) - საკვლევ რეგიონში ათზე მეტი აგარა, ავტორი მოიყვანს მისთვის ცნობილ ამ სახელწოდების პუნქტებს, მათ შორის შავშეთის აგარას. თ. ართვინლის განმარტებით, აგარა ძალიან, საზაფხულო საძოვარი.

Ağgil (აღაგილ) - სოფლის უბანი.

Ahaldaba [Axaldaba] - **ახალდაბა**, მიუთითებს, რომ სახელი ქართულია, მასში გამოყოფს „ახალი“ (yeni) და „დაბა“ (kasaba, köy).

Ahalemet [Axalemet] - **ახალემეთი**, ავტორი აღნიშნავს, რომ სახელი ქართულია.

Ahalkasgil [Axalkasgil], - **ახალკაცგილ**, სისვეთის (ახლა: Atalar köyü), წიწვეთის უბანი.

Ahnal [Axnal] - **ახნალ**ი, შავშეთშია, **ხანთუშეთის** (ახლა: - Hanlı köyü) უბანი.

Aho [Axo], - ახო, შავშეთში ორი ახო დასტურდება: კუჭენსა (Kocabey) და მერიამი (Veliköy).

Ahot [Axot], - **ახოთ**ი, შავშეთშია, ზენდობას (ახლა: Arpalı köyü) უბანი.

Aksakallar (აკსაკალარ'ი), შავშეთშია, მერიის (ახლა: Veliköy) უბანი.

Akvana (აკვანა), შავშეთშია, დიობანში (Meydancik), ქართულიაო.

Alagöz (ალაგოზ'ი), სულობანის (ახლა: Pinarlı), ალბათ **სხლობანის** უბანი.

Alot (ალოთ'ი) ადგილი ხანთუშეთში (ახლა: Hanlı köyü).

Ardiyasminda (არდიასმინდა), ავტორი ქართულად მიაწერას სწორ ფორმას „ანდრიაწმინდა“, ქართულიაო, ჩიხორის (ახლა: Çukur köyü) უბანი.

Arknali [Arqnali] - ადგილი **ზეთილეთში** (ახლა: Erikli köyü), ალბათ **წეთილეთში**, ქართულიაო, წერს ავტორი.

Armutlu (არმუთლუ), ძველი - სამჯელი.

Askilvan (Yeşilce) - ადგილი მანატბაში. ქართულიაო, წერს თ. ართვინლი, **Askilani**, სეგმენტაციით გამოყოფს: Askili+ani. ასკილვან'ი < * ასკილ+[ო]ვან.

Aşağı Cami (აშაღი ჯამი) ადგილი ქოთეთრისში, ახლა: Kireçli.

Aşağı Koynly (აშაღი ქოინლუ), ახლა - Bağlı köy (ბაღლი ქოი), ძველი - სულესი.

Aşığienti (აშიღიენთი) დიობნის, ახლა - Meydancik, მეიდანჯიქის უბანი. ქართულიაო, წერს ავტორი. ქართულია: Aşığientu (sül)< თ. Aşıklar? ავტორი გამოთქვამს ვარაუდს, რომ ფუძე მომდინარეობს თ. Aşıklar'ისაგან. მართლაც,



აშიღინთ”ში შეიძლება გამოვყოთ -ენტ სუფიქსი, შტო გვარის მანარმოებელი და აშიღი (<იშიღი) საკუთარი სახელი.

Atalar (ათალარ’ი) ადგილი ბაღლი ქოღში, სისვეთში (შდრ. წიწვეთი).

Atyan (ათიანი//ატიანი), სინკოთის, ახლა - Küplüce უბანი.

Avazanati (ავაზანათი), ადგილი დიობანში.

Ayvazgil (აივაზგილ’ი) მამანელისის, ახლა - Yavuzköy (დავეუზქოღ) უბანი.

Bagat (ბაღათ’ი) ჩიხორის, ახლა - Çukur köyü უბანი. სახელის სეგმენტაციას ავტორი არ ახდენს, თუმცა წერს, ქართულიაო.

Bagti (ბაგთი) აღბათ - ბაღთი, ადგილი შოლტისხეღში, ახლა - Karayığit.

Bağdat (ბაღდათ’ი) ადგილი ზედოღბაში, ახლა - Arpalı.

Bahçiyet (ბაღჩიეთი), ჯინალის, ახლა - Ilica köyü, უბანი.

Bakanat [Baganat] (ბაქანათ, ბაგანათ’ი), ადგილი სინკოთში, ქართულიაო, წერს ავტორი. შდრ. ბაგან-ათ’ი, ამოსავალი ფუღე ჩანს ბაგა-ნ’ი - მრ. ფორმა).

Bakusa Dersi (ბაქუსა დერსი) ადგილი სამჯელში, ახლა - Armutlu.

Balıklı (ბალიქლი), დიობნის უბანი.

Balvana (ბალვანა), ავტორი ბალვანას უკავშირებს ქართულ „ბალს“, ბალიანი, Kirazlı’ო.

Bartlumi (ბართლუმი), ადგილი შოლტისხეღში. ქართულიაო, ამბობს ავტორი. ბართლუმი შეიძლება ასე დანაწევრდეს: ბართლ’ სახელური ძირი და -უმ სუფიქსი. ვფიქრობთ, ბართ<ბარდ’ისაგან, ლ’ განვითარებული ჩანს (იხ. ფაღავა, 2009:3-15).

Basavra (ბასავრა) - ჯინალის (ახლა: Ilica köyü) უბანი. ავტორი კითხვის ნიშანს სვამს (?). არაფერს ამბობს ტოპონიმის შედგენილობაზე და წარმომავლობაზე. ბასავრა<ბასაურა’საგან და დაიშლება: ბასა-ურ-ა. სამიებელია ბას//ბასა ფუღის მნიშვნელობა.

Basilet (ბასილეთი) ადგილი სინკოთში (ახლა: Küplüce köyü). ავტორის ვარაუდით ტოპონიმი ქართულია.

Baskallar (ბასქალლარ შდრ. ქართ. ბასქალეღი), სულოღანის (სხლოღანის) (ახლა: Pınarlı köyü) უბანი. ტოპონიმი თურქულიაო. ვფიქრობთ, ბასქალლარ ქართული ბასქალეღ’ის თურქული ფორმაა, თარგმანია.

Başağgil (ბაშაღაგილ’ი) - სისვეთის (წიწვეთის), ახლა - Atalar köyü, უბანი.



Batakil (ბათაქგილ), ზენდობნის (ახლა: Arpalı köyü) უბანი. თურქული სახელიაო, წერს ავტორი.

Batonöğlebi (ბატონოღლები), დიობნის (ახლა: Meydancık) უბანი. ქართულ-თურქული ტოპონიმია, ქართ. ბატონი +თ. ოღლი.

Bazgiret (ბაზგირეთ'ი) ახალა - Bağlı köyü. ავტორი ამოსავალ ფორმასაც უთითებს ქართულად **ბაძგირეთი**, უკავშირებს ქართ. **ბაძგნარი**, **ბაძგი** (Badzgnari/badzgi), ლაზური bazdžgari/batsxili/p'ats'kali, მეგრ. Bartshi.

Becitgil (ბეჯითგილ) სისვეთის (წიწვეთის) უბანი.

Beglar (ბეგლარ'ი), ტბეთის (ახლა: Cevizli köyü) უბანი. შდრ. ქართ. **ბეგები**.

Bekirgil (ბეკირგილ), სისვეთის (წიწვეთის), ახლა - Atalar köyü, უბანი.

Belekoğlu (ბელეკოღლუ), - წიწვეთის უბანი. წიწვეთი (ავტორით - სისვეთი) ახლა მეთურქულეა, სოფლის უბნების სახელებიც თურქულია, სოფლის დასახლების ტიპი, უბანს ქმნის ერთი სახლეული (ქოხი), შენარჩუნებულია.

Beltiyet (ბელტიეთი) ხევწრულის//ხევწვრილის (ახლა: Çağlayan köyü) უბანი. ავტორი ქართულად ჩაწერილ ფორმასაც გვთავაზობს: **ბალთიეთი**||ქართ. Baltieti, sü. (გვარიაო). ჩვენ ადგილზე **ბელტიეთი** ჩავიწერეთ. ბელტიეთი, გინდა ბალტიეთი გვარი არაა, ბელტის' სახლის საცხოვრისია.

Berekgil (ბერეკგილ) - სისვეთის (წიწვეთის), ახლა - Atalar köyü უბანი. Berekgil თურქულიაო, გვარი (sül).

Beriyet (ბერიეთ'ი) ჩიხორის, ახლა - Çukur köyü უბანი. ქართულიაო, **ბერის** ადგილს ნიშნავსო. **ბერი**//**ბერა** საკუთარის სახელია, **ბერიეთი** კიდევ მისი ოჯახის საცხოვრისი.

Berul (ბერულ'ი), ადგილი სინკოთში (ახლა: Küplüce köyü).

Biril (Bril>Biril) (ბირილ'ი: ბრილ>ბირილ) - დასამობის (ახლა: Dereçi köyü) უბანი. არის მეორე ბრილიც, ჩიხორის (ახლა: Çukur köyü) მეზრე.

Biyetur (ბიეთურ'ი) - ზენდობას (ზენდუბნის - ავტ.) უბანი, ქართულიაო.

Boloğor (ბოლოღორ'ი), მერიას (ახლა: Veliköy) უბანი. ავტორი კითხვის ნიშანს (?) სვამს. კითხვა უჩნდება მკითხველსაც: ბოლოღორი (sic.) უცნაური ფუძეა.

Boskanat (ბოსქანათ'ი) ახალდაბის (ახლა:Tepeköy) უბანი. ავტორი კითხვით ნიშანს(?) სვამს, ჩანს, ეჭვობს. მსგავსი გეოგრაფიული სახელი არ



დასტურდება „ხუთვერსიან რუკაზეც“. იქნებ ცუდად გამოთქმული//ჩაწერილი **ბოსტანათია**.

Bosotur (ბოსოთურ'ი), ხანთუშეთის, ახლა - Hanlı köyü, უბანი.

Böğrekler (ბოღრეკლერ), სისვეთის (წიწვეთის), ახლა - Atalar köyü უბანი. თურქულიაო, გვეუბნება ავტორი.

Buçigil (ბუჭიგილ'ი), ტბეთის (ახლა: Cevizli köyü) უბანი. თურქულიაო, გვამცნობს ავტორი.

Buriltepesi (ბურილ თეფესი), მერიის (ახლა: Veliköy) უბანი. ქართულიაო, უკავშირებს **ბირილ** (<ბრილ) ფუძეს. ტოპონიმი ქართულ-თურქულია: **ბურულ-თეფე**. თეფე თურქულია, ქართულად მთას, ქედს ნიშნავს. **ბურვა/დაბურვა** კიდევ ცნობილი ფუძეა, დახურვის მნიშვნელობით. ბურულთეფე - დაბურულ (ნისლით) მთას ან ქედს ნიშნავს.

Butiet (ბუთიეთი<ბუტიეთი), დიოზნის, ახლა Meydancik'ის, უბანი. ფუძე ქართულიაო, წერს ავტორი. **ბუთიეთ**ში გამოიყოფა **ბუთი**, მამაკაცის სახელი//მეტსახელი და -ეთ სუფიქსი. **ბუთი** დაცულია გვარში - ბუთიძე<ბუთისძე. **ბუთიეთი** ბუთის ოჯახის საცხოვრისია.

Büyük Soç (ბუფუქ სოჩ'ი), მერიას (ახლა - Veliköy) უბანი.

Bzata (ბზათა), დიოზნის (ახლა: Meydancik) უბანი. **ბზათა** ქართულიო, ავტორი გამოყოფს „ბზა“ ფუძეს და -თა მაწარმოებელს.

Calat (ჭალათ'ი), ჩიხორის (ახლა: Çukurköy) უბანი. ქართულიაო ჭალათი - ormanlık çala - პატარა ტყე. ჭალათი ქართულია, მაგრამ „ორმანლიქ ჭალა“ „პატარა ტყეა“ თუ „ტყიანი ჭალა?“.

Caret [Caret>Carat], (ჯარეთ'ი), ავტორი უკავშირებს **ჯვარეთს** (ჯვარის ადგილი). შეიძლება **ჯარეთი** იყოსო, ჯარის ადგილი. „ჯარეთი“ „ჯვარეთი“ უნდა იყოს (ჯუარეთი>ჯვარეთი>ჯარეთი).

Cemikara (ჯემიკარა), ადგილი კუჭენში (ახლა: Kocabey köyü). იქნებ ჯამიკარა (Camikara)?

Cencavur (ჯენჯავურ'ი), ადგილი კუჭენში (ახლა: Kocabey köyü).

Cengelek (ჯენგელექ), ადგილი შავშათში (ახლა: Şenköy).

Cevizli (ჯევიზლი), ძველი ტბეთი.

Cimuihyent [Cimuxiyent] (ჯიმულიენთ'ი, ჯიმუხიენთ'ი), ხევწვრილის (ახლა: Çağlayan köyü) უბანი. ქართულიაო, **ჯმუხიანთი** სულალეაო, ქოხის სახელი.

Cinal (ჯინალი), სოფელი შავშეთში.



Cindaği (ჯინდაღი), ადგილი მერიაში (ახლა: Veliköy). **ჯინდაღი** ქართული „ჭინკების, ჯინების მთის“ თარგმანი ჩანს.

Cinolar (ჯინოლარ), მერიის (ახლა - Veliköy) უბანი.

Ciritdüzü (ჯირითდუზი) - ადგილი ტბეთში. შდრ. საჯირითო ველი//მინდორი.

Civo (ჯივო), ადგილი ზენდობაში (ახლა: Arpali köyü).

Corienti (ჯორიენთი), დიობნის (ახლა: Meydancik) უბანი, ქართულიაო. **ჯორიენთი** მეტსახელი გვარი ჩანს.

Coşnar (კოშნარი), ადგილი კუჭენში (ახლა: Kocabey köyü). იქნებ **ჭოჭნარია** (<ჭოჭენარი), ჭოჭე კიდევ დაჭაობებული, წყლიანი ადგილია.

Culiyet (ჭულიეთ'ი) ჩიხორის (ახლა: Çukur köyü) უბანი.

Cumogil (ჯუმოგილ'ი) - ტბეთის (ახლა: Cevizli köyü) უბანი. თურქულიაო, წერს ავტორი, ქოხის სახელია (Sülale) **ჯუმოგილი**.

Cusguliyet (ჯუსგულიეთ'ი), ადგილი კუჭენში (ახლა: Kocabey köyü). ტოპონიმი ქართულიაო, ავტორის აზრით.

Cvarisasveni (ჯვარისასვენი), დიობნის (ახლა: Meydancik) უბანი. ქართულიაო, წერს თ. ართვინლი.

Cvarishev [Cvarishev] (ჯვარისხევი), ქართულიაო, წერს ავტორი და ახდენს ტოპონიმის სემანტიკას: ჯვარის+ხევი.

Çağlayan (ჩალაიან'ი), ადგილი ხევწვრილში. თურქულიაო, წერს ავტორი.

Çağlipinar (ჩალიფინარ'ი), ადგილი ხობლევში. ტოპონიმი თურქულიაო.

Çakolta (ჩაქოლთა), ავტორი მოიტანს ქართულ ფორმასაც - ჩაქაველთა. ქართულიაო Çakvelta „Çakvililer“ ქოხის სახელიაო (sül.). ჩაქველთა<ჩაქურელთა'საგან. **ჩაქურ** სახელი ან მეტსახელი ჩანს. შდრ. გვარი **ჩაქურიძე**.

Çakoskara (ჩაქოსქარა): ჩაქვისკარა>ჩაქოსკარა.

Çakrak (ჩაქრაქ), ავტორი უკავშირებს **ჭახრაკს** (სართავი დაზგა, დანადგარი. ფუტკარაძე, 1993).

Çamikara (ჩამიკარა), ადგილი ხანთუშეთსა (ახლა: Hanlı köyü) და ციხისძირში (ახლა: Kayadibi köyü). **ჯამიქარი** იგივე **ჯამიკარია**, ჯამეს ეხო.

Çamlıca (ჩამლიჯა), ადგილი ჩართულეთში (ახლა: Bağlı köyü).



Çamlık (ჩამლიქ), ჩიხორის (ახლა: Çukurköy) უბანი. თურქულიაო, წერს ავტორი.

Çamurgil (ჩამურგილ'ი), შავქედის (ახლა: Karaköy) უბანი. შდრ. ტალახიენთი, გვარი - ტალახაძე.

Çançkara (ჩანჩქარა), ადგილი წიწვეთში (ახლა: Atalar köyü), ავტორი ტოპონიმს უკავშირებს ქართულ **ჩანჩქერს**.

Çarba (ჭარბა), ადგილი შავქეთში (ახლა: Karaköy). **ჭარბა** მეტსახელი ჩანს კაცისა, დაცულია გვარში **ჭარბაძე**.

Çarbaşgil (ჩარბაშგილ'ი) შავქეთის (ახლა: Karaköy) უბანი. **Çarbaşgil**'ი სულალეაო, ქოხის სახელი. მართლაც, **ჩარბაში**' მეტსახელი ჩანს კაცისა.

Çavdarlı (ჩავდარლი) სოფელი **ცორცელი** (Sorsel). ცორცელს ახალ დროში ახალი ნიშნით ახალი სახელი უწოდეს. **ჩავდარი** ქართულად ჭვავი, სვილია. თ. ჩავდარლი - **სვილოვანს** უნდა ნიშნავდეს.

Çayağzi (ჩადაღზი), სოფელი სირა სინკოთი.

Çayarlık (ჩაარლიქ'ი), უბანი დაბაწვრილში (ახლა: Meşeli köyü).

Çeçevra (ჩეჩევრა), ადგილი სინკოთში (ახლა: Küplüce köyü). იქნებ - ჭეჭეურა>*ჭეჭევრა? (შდრ. ჭეჭელა - ლამაზი).

Çedligil (ჩედლიგილ'ი), უბანი წიწვეთში (ახლა Atalar köyü). თუქულიაო Çedligil, ქოხის სახელიაო. ავტორი იქვე ფუძეს უკავშირებს ქართულ **მჭედელს**. გაუგებარია, რატომაა **ჭედლიგილ**'ი თურქული, მასში ხომ გამოიყოფა ქართული **ჭედელ** (<მჭედელ) ფუძე და **გილ**' თურქული (სპარსული) სუფიქსი? შდრ. **ჭედლიენთი**.

Çengelek (ჩენგელექ'ი), ციხიას (ახლა: Yoncalı köyü) აილა..

Çermik (ჩერმიქ'ი), სოფელი მიქელეთი.

Çerulat (ჭერულათ'ი), ადგილი წიწვეთში (ახლა: Atalar köyü). გამოიყოფა **ჭერ**' სახელური ძირი და **-ათ** სუფიქსი.

Çihishev [Çixishev] (ჩიჰისჰევ'ი [ჩიხისხევ'ი], სოფელი შავშეთში. ავტორი უკავშირებს ქართულ **ციხისხევს** (Kalederesi).

Çıkrıklar (ჩიქრიქლარ), სოფელი ციხია.

Çiçikgil (ჩიჩიქგილ), სულოზანის (სხლოზანი) (ახლა: Pınarlı köyü) უბანი. **ჩიჩიქგილ**'ი სახლის სახელიაო (Sül.).

Çiftlik (ჩიფთლიქ'ი), ადგილი წიწვეთში (ახლა: Bağlı köyü).



Çihor [Çixor] (ჩიხორ'ი), სოფელი შავშეთში (ახლა: Çukur köyü), ავტორი ეთანხმება „ჩიხორ“ სახელური ფუძის ტარიელ ფუტკარამისეულ სეგმენტაციას: „ჩიხ-ორ-ი“. ქეგლ'ის მიხედვით **ჩიხორი** ქვედა წელიაო.

Çihta [Çixta] (ჩიხთა), **ჩიხვთა** ქართულიაო, წერს ავტორი. სალექსიკონო ერთეულად გააქვს **ჩიხთა**, ბოლოს მოიყვანს **ჩიხვთა**'საც. „ხუთვერსიან რუკაზეც“ **ჩიხთა**'ა დატანილი. ამოსავალი ფორმა ჩანს **ჩიხვთა**.

Çitlibi [Tsitlibi] (ჩითლიბი [წითლიბი]), ადგილი შოლტისხევში. იქნებ - წითლობი (>*წითლიბი)?

Çivienti (ჭივიენთი), უბეს (ახლა: Oba) უბანი. პარალელურ ფორმად ასახელებს **ჭივიეთ**'ი. ქართულია, ქოხის გვარიაო.

Çoçitav (ჩოჩითავ'ი) - ჭოჭითავი, ადგილი წიწვეთში.

Çorakli (ჩორაქლი//ჭორაქლი), სოფელი გარყლობი.

Çoşlar (ჩოშლარ'ი), ადგილი ხანთუმეთში.

Çökek (ჩოქექ'ი), ადგილი სამჯელში.

Çukur (ჩუქურ'ი), სოფელი შავშეთში.

Çukurköyü (ჩუქურქოი) - ძვ. ჩიხორი, სოფელი შავშეთში.

Çuvarep (ჩუვარეფ'ი) - ჩვარეფი<ჯვარეფი. ავტორი მართებულად აკავშირებს ქართულ ფუძესთან.

Daba (დაბა), სოფელი შავშეთში.

Dabaketili (დაბაკეთილი) - სოფელი შავშეთში.

Dabazrul (დაბაზრულ'ი), დაბაწრული (<დაბაწვრილი) (ახლა: Meşeli), სოფ. შავშეთში.

Dabelienti (დაბელიენთი), დიობნის უბანი. **დაბელიენთი** ქოხის სახელიაო, წერს თ. ართვინლი.

Dalkırmaz (დალქირმაზ'ი), ძველი ანკლია, სოფელი შავშეთში.

Dambalcoc (დამბალჯოჯ'ი), დამბალჭოჭი - ადგილი წიწვეთში.

Dangrevl kldeebi (დანგრევლ კლდეები), ადგილი შოლტისხევში.

Dasamop (დასამოფ'), - დასამობი (ახლა: Dereiçi) სოფელი შავშეთში.

Davitet (დავითეთ'ი), სურენის//სვირენის უბანი.

Davlat (დავლათ'ი), დასამობის უბანი.

Delicebi (დელიჯები), დიობნის უბანი.

Demirci (დემირჯი) ძვ. დაბა, სოფელი შავშეთში.



Demircigil (დემირჯიგილ) ტბეთის უბანი; ამავე სახელწოდებისაა უბანი სხლობანშიც. **დემირჯი** თურქულიაო, სახლის სახელი (sül.). იქნებ ქართული **მჭედლიენთი**’ს თარგმანი იყოს.

Demir kapi (დემირ ქაფი), სოფელი **ქურელა** შავშეთში.

Dibler (დიბლერ), ადგილი წიწვეთში (ახლა: Atalar köyü).

Didmindora (დიდმინდორა), ადგილი დიობანში.

Didnaz (დიდნაზ’ი), ტყე წიწვეთში, ავტორი მიუთითებს, ქართული „დიდი ნაპვი“.

Diobnis ğele (დიობნის ღელე) „დიდი უბანის ღელეო“ წერს ავტორი. აქ დიობნის მნიშვნელობაცაა ხაზგასმული - **დიდი უბანი**.

Diobnisveri [Diobnitsveri] (დიობნისვერი [დიობნიწვერი]), ქართულია, ამბობს თ. ართვინლი.

Dişdişa (დიშდიშა), ადგილი სინკოთში (ახლა: Küplüce köyü).

Diobani (დიობანი) (ახლა: Meydancık), სოფელი შავშეთში.

Dolakalohevi [Dolakaloxevi] (დოლაკალოხევი), ადგილი წეთილეთში (ახლა: Erikli köyü). ავტორი ახდენს გეოგრაფიული სახელის სემანტიკას: **დოლა+კალო+ხევი**. „Xevi“ განმარტებულია, როგორც „Dere“. დოლაკალო<დოლასკალო>საგან. **დოლა**’ კაცის სახელი ან მეტსახელია. შდრ. დოლაბერიძე.

Dorbiyan (დორბიან’ი), ადგილი წიწვეთში, თ. ართვინლი აღადგენს ფორმას „Doblian“, ქართულიაო. ტოპონიმში გამოვყოფთ **დობლ**’ ძირს და -**იან** სუფიქსს. **დობლიანი** ქოხის სახელი ჩანს.

Dutlu (დუთლუ), ძვ. სვირევანი/სურევანი, სოფელი შავშეთში.

Düz mahalle (დუზ მაჰალე), მამანელისის (ახლა: Yavuzköy) უბანი, შდრ. ველისუბანი.

Eliasminda [Eliatsminda] (ელიასმინდა [ელიაწმინდა]), ზაქიეთის (ახლა: Yağlı köyü) უბანი.

Elmalı (ელმალი) სოფელი შავშეთში, ძველი სოფელი **ვანთა**.

Enekevra (ენეკევრა), ადგილი სინკოთში. ტოპონიმი ქართულია, შდრ. **ენეკეურა<ენუქეურა?**

Enikavre (ენიქავრე), სხლობანის (ახლა: Pınarlı köyü) უბანი. გეოგრაფიული სახელი ქართულია: ენიქავრე<ენიქაურ’<ენუქაური>საგან. **ენუქი** მამაკაცის სახელია.

Erikli (ერიკლი), ძველი აგარა, სოფელი შავშეთში.



Eskikale (ესქი ქალე), ადგილზე ისმის - ესკიკალე, ძველი უსტამისი, სოფელი შავშეთში.

Eteregil (ეთერეგილ'ი), ტბეთის (ახლა: Cevizli köyü) უბანი.

Ethemhoca (ეთჰემჰოჯა), ტბეთის (ახლა: Cevizli köyü) უბანი.

Ezavur (ეზავურ'ი), ადგილი წიწვეთში (ახლა: Atalar köyü). ავტორი გვთავაზობს პარალელურ ფორმებს: ეზავურ//ეზევეურ. სახელი ქართულიაო. **ეზავურ'ი** <ეზაურ'ი>საგან ვ'ს განვითარებით (V-V პოზიციაში ვ'ს განვითარება დაშვებულია სამხრულ კილოებში).

Gagma (გალმა), ადგილი დიობანში (ახლა: Meydancık). ტოპონიმი ქართულია.

Galat (გალათ'ი), ახალდაბის (ახლა: Tepeköy) უბანი. ავტორი სახელის ენობრივ კუთვნილებას ღიად ტოვებს, კითხვით (?) ნიშანს სვამს. **გალათ'** ფუძე დაიშლება: გალ+ათ. -ათ ცნობილი სუფიქსია ქართულში, საძიებელია **გალ'** ფუძის მნიშვნელობა.

Galo (გალო), ადგილი შავქედში (ახლა: Karaköy). ავტორი გვთავაზობს სახელის ამოსავალ ფორმას - Kalo და მიუთითებს მის მნიშვნელობაზე „Harman yeri“, „küçük düzlük“ (ხვავის ადგილი, მცირე მინდორი).

Gamişet [Gameşet//Gamişet] (გამიშეთ'ი [გამეშეთ'ი//გამიშეთ'ი]), ბაზგირეთის (ახლა: Madenköyü) უბანი. ავტორი ტოპონიმს უკავშირებს ქამუშ//ქამიშ სახელურ ფუძეებს. იმავე ფუძეს ხედავს გვარში **ქამუშაძე**. **გამიშე//გამეშე** მეტსახელი ჩანს კაცის, აქედან - გამეშეთ'ი, გამეშის საცხოვრისი. მოგვიანებით იგივე ფუძე დაედო საფუძვლად გვარს **გამეშიძე//გამიშიძე**.

Garkilob (გარქილობ'ი), სოფელი შავშეთში, ახლა - Çoraklı (ჩორაქლი). ავტორი ფუძის ახსნას ვერ ახერხებს, სვამს კითხვით (?) ნიშანს. ადგილზე გამოთქვამენ **გარყლობი //გარყილობი**, თურქული დამწერლობა მკვლევარს არ აძლევს საშუალებას ზუსტად ჩაიწეროს გაოგრაფიული სახელი.

Gemalmazgil (გემალმაზგილ'ი), ტბეთის (ახლა: Cevizli köyü) უბანი.

Gigiet (გიგიეთ'ი), ჩიხორის (ახლა: Çukur köyü) უბანი. გიგიეთი სახლის სახელიაო. გიგიეთი გიგის სახლუელიც საცხოვრისია და არა „გვარი“.

Girgvini (გირგვინი), ადგილი შოლტისხევში (ახლა: Karayığit). **გირგვინი** ქართულიაო, წერს თ. ართვინლი, თუმცა არ მიუთითებს მნიშვნელობას. **გირგვინი**<**გვირგვინი**>საგან ვ'ს დაკარგვით.

Gocor (გოჯორ'ი), ადგილი წიწვეთში (ახლა: Atalar köyü). ფუძე ქართულიაო, წერს მკვლევარი, თუმცა არ ცდილობს ახსნას.



Goçient (გოჩიენტ'ი), ხევწვრილის (ახლა: Çağlayan köyü) უბანი, ავტორი ქართული დამწერლობით მოიყვანს „გოჩიანთი“, ქართულიაო, „გოჩიანთი“ სახლის სახელიაო.

Godgev (გოდგევ'ი), ახალდაბის (ახლა: Tepeköy) უბანი. ქართულიაო **გოდგევ'ი//გოდგეზ'ი** (შდრ. ხოხლევი).

Godoravaklditavi (გოდორავა კლდი თავი), ადგილი დიობანში, ქართულიაო, წერს ავტორი.

Gognidzeler (გოგნიძელერ), სინკოთის (ახლა: Küplüce köyü) უბანი. **გოგნიძე** გვარიაო, ქართულ გვარს დართული აქვს თურქული –lar//–ler სუფიქსი. შდრ. **გოგნიძეები**. ვიტყვით, რომ **გოგნიძე** გვარი შავშეთში არ ჩანს, ტოპონიმმა შეინახა მისი ხსოვნა.

Gogolet (გოგოლეთ'ი), ახალდაბის (ახლა: Tepeköy) უბანი. ქართულიაო გეოგრაფიული სახელი. აღვნიშნავთ, რომ **გოგოლიენთი** „გვარი“ არ დაგვიდასტურებია შავშეთში, ტოპონიმმა შეინახა **გოგოლ'** საკუთარი სახელის ხსოვნა.

Golienti (გოლიენტ'ი), დიობნის (ახლა: Meydancık) უბანი. **გოლიენთი** ქვია ივეთის (ახლა: Mısırlı) უბანსაც. **გოლიენთი** სახლის სახელიაო ქართული. **გოლი//გოლია** მამაკაცის სახელი//მეტსახელი ჩანს. დაცულია გვარში **გოლიაძე**.

Gont (გონთ'ი), ადგილი კუჭენში (ახლა: Kocabey köyü). **გონთა//გონთი** სახელში გამოვყოფთ **გონ** (<გომ) ფუძეს და **თ(ა)** მრავლობითობის სუფიქსს.

Gorgoşi (გორგოში), ადგილი შოლტისხევში (ახლა: Karayığit). **გორგოში** ქართულიაო, გვეუბნება ავტორი, თუმცა არ განმარტავს.

Gorgvienti (გორგვიენთი), უბეს (ახლა: Oba köyü) უბანი. ავტორს მოჰყავს Gorgvienti' და ქართულად მიაწერს **გორგვიეთი** (სახლის სახელიაო). შევნიშნავთ: **გორგვიენთი** სახლის სახელია, იშვიათად გეოგრაფიულ სახელადაც გვხვდება, **გორგვიეთი** კი - ადგილის სახელი.

Gorisahoti [Gorisaxoti] (გორისაჰოთი [გორისახოთი]), ადგილი შოლტისხევში (ახლა: Karayığit). ვფიქრობთ, **გორისახოთი<გვარისახოთი(?)**.

Goriellar (გორიელლარ), ადგილი ხანთუშეთში (ახლა: Hanlı köyü). შდრ. გორიელეზი.

Gorjolavati (გორჟოლავათი), იფხევის (<იფხრეულის) (ახლა: Taşköprü) მეზრა.



Gosnigil (გომწიგილ'ი), ახალდაბის (ახლა: Tepeköy) უბანი. **Gosnigil** თურქული ქობის სახელიაო.

Görbinet (გორბინეთ'ი), ადგილი წიწვეთში (ახლა: Atalar köyü).

Göre (გორე), ადგილი წიწვეთში (ახლა: Atalar köyü). Göre გეოგრაფიულ სახელს ავტორი უკავშირებს **გორას**, „dağ“.

Göşpara (გომშპარა), ტყე წიწვეთში (ახლა: Atalar köyü). **გომშპარა** ქართულიაო, ამბობს ავტორი, ჩვენ კი ვეჭვობთ.

Guneler [Guneler//Kuneler] (გუნელერ [გუნელერ//ქუნელერ]), სულობანის (<სხლობანის) უბანი. **Guneler** ქობის სახელიაო. შდრ. ქართ. გუნენთი.

Gurienti (გურიენთი), ივეთის (ახლა: Mısırlı köyü) უბანი. Gurienti ქართულია, სახლის სახელიო, წერს თ. ართვინლი.

Gürnatel (გურნათელ'ი), სოფელი მათურქულე შავშეთში.

Güverde (გუვერდე), ადგილი იმერხევში, შდრ. **გვერდა**.

Ğağaneti (ღაღანეთი), დიობნის უბანი, ქართულიაო, წერს ავტორი. **ღაღანეთი** ღაღანას, კაცის სახელი/მეტსახელია, კუთვნილია. შემდგომ სახელური ფუძე **ღაღანა** საფუძვლად დაედო გვარსახელს ღაღანძე.

Ğarşogil (ღარშოგილ'ი), ტბეთის (Cevizli köyü) უბანი. თურქულია. **Ğarşogil** ქობის სახელია.

Ğomela (ღომელა), ადგილი იმერხევში. ავტორი არ აკონკრეტებს, რომელი ენის კუთვნილებაა სახელი. **ღომელა** ქართული ფუძე ჩანს.

Haberler (ჰაბერლერ), სხლობანის უბანი.

Hacienti//Hacioğlebi (ჰაჯიენთი//ჰაჯიოღლები), იფხრევის (ახლა: Taşköprü) უბანი. Hacioğlebi თურქულიაო, ქობის სახელი.

Hafizgil (ჰაფიზგილ'ი), ზენდობას (ახლა: Arpalı köyü) უბანი.

Hafizoğllu (ჰაფიზოღლუ), ადგილი ზენდობაში.

Halipgil (ჰალიფგილ'ი), წიწვეთის (ახლა: Atalar köyü). უბანი.

Halolar (ჰალოლარ'ი), შავქედის (ახლა: Karaköy) უბანი. **Halolar** (შდრ. ქართული ჰალოლები) სახლის/ქობის სახელიაო.

Halvacigil (ჰალვაჯიგილ'ი), ტბეთის (ახლა: Cevizli köyü) უბანი. **Halvacigil** სახლის სახელიაო.

Hanazor (ჰანაზორ'ი), ჩიხორის (ახლა: Çukur köyü) მეზრა. კითხვით ნიშანს (?) სვამს ავტორი. **ჰანა** (სახელური ფუძე)+ **ზორ**//**ძორ** (სომხ.) ხევი //ხეობა. **ჰანაზორი** - **ჰანას** ხევი//**ჰანას** ხეობაა.



Hanlı (ჰანლი), ძვ. ხანთუშეთი, სოფელი მეთურქულე შავშეთში.
Hanlısu (ჰანლისუ), მდინარე შავშეთში (შდრ. ხანთუშეთის წყალი).

Hantuşet (ხანთუშეთ'ი), სოფელი მეთურქულე შავშეთში (ახლა: Hanlı).
 შეიძლება, თუშეთს დაუკავშირდესო. ვფიქრობთ, გასაზიარებელია რ.
 ხალვაშის მოსაზრება, რომ ხანთუშეთს უნდა უკავშირდებოდეს გვარი
ჯანთუშისძე//ჯანთუშისძე: „ჩვენი აზრით, გვარსახელი ხანთუშისძე//
 ჯანთუშისძე და ოიკონიმი ხანთუშეთი [ჯანთუშეთი] მომდინარეობს
 ანთროპონიმ „ხანთუშისაგან“. სწორედ ამ ფორმით იხსენება ეს ანთროპონიმი
 A-97 ხელნაწერის სულთა მატეანეში“ (ხალვაში, 2015: 165-166). მართლაც,
 ხანთუშეთი ხანთუშის კუთვნილს, სამოსახლოს ნიშნავს (იხ. ფაღავა, 2015:3-9).

Harabola (ჰარაბოლა), ადგილი სამჯელში (ახლა: Armutlu).

Hatoret (ჰათორეთ<*ხათორეთ'ი) - სიხიას (შდრ. ციხიას, ახლა: Yoncalı köyü) უბანი.

Haitagil (ჰაითაგილ), სხლობანის (ახლა: Pınarlı köyü) უბანი. **Haitagil'**
 სახლის (ქობის) სახელიაო თურქული. იგივეა, რაც ქართული ჰაითაენთი.

Haznedargil (ჰაზნედარგილ), წიწვეთის (ახლა: Atalar köyü) უბანი.

Hececurlar (ჰეჯეჯურლარ), კუჭენის (ახლა: Kocabey köyü) უბანი.
ჰეჩეჩურლარ' თურქული სახლის სახელიაო. ვფიქრობთ, დასახელებულ
 გეოგრაფიულ სახელში აღდგება **ხეჭეჭური//ხაჭიჭური** (მსხლის ჯიში,
 საზამთრო). **ჰეჩეჩურლარ** სხვა არაფერია, თუ არა ქართული **ხეჭეჭურები**.

Hevsrul [Xevsrul] (ჰევსრულ [ხევსრულ]), სოფელი შავშეთში (ახლა:
 Çağlayan köyü). ავტორს სალექსიკონო ერთეულად გააქვს **ხევსრული**, შემდეგ
 მოიტანს ამოსავალ ფორმასაც - **ხევწვრილი** და იძლევა სწორ ახსნასაც:
 Xevts'vrili „Incedere“ [xevi (dere)+ ts'vrili (ince, bücük)].

Hilvet deresi (ჰილვეთ დერესი), ხეობა წიწვეთში (ახლა: Atalar köyü).
 შდრ. ქართ. **ხილვეთის ხევი**.

Hinavur [Xinavur] (ჰინავურ [ხინავურ]), ადგილი ხანთუშეთის
ბოტოჭურის (სჯობს: პოტოჭური - ავტ.) უბანში. **ხინავური** (<*ხინაური)
 სახლის სახელიაო. **ხინავური** <***ხინაური**საგან **ხინა**ს კუთვნილს ნიშნავს.

Hocienti [Xocienti] (ჰოჯიენთი [ხოჯიენთი]), დიობნის უბანი. **ხოჯიენთი**
 სახლის სახელიაო.

Hohlev [Xoxlev] (ჰოხლევი [ხოხლევი]), ახლა: Çağlipınar, სოფელი
 შავშეთში.



Hucur [Xucur] (ჰუცურ'ი [ხუცურ'ი]), ადგილი კუჭენში (ახლა: Kocabey köyü). **ხუცური ხუცის** კუთვნილს ნიშნავს.

Humirat (ჰუმირათ'ი), ადგილი ციხისძირში (ახლა: Kayadibi). შდრ. **ხუმირათი** (<*ხვიმირათი).

Ilıca (ილიჯა), ძვ. ჯინალი, სოფელი შავშეთში.

İbadigil (იბადაგილ'ი), მერიას (ახლა: Veliköy) უბანი.

İbisienti (იბისიენთი), უბეს (ახლა: Oba köyü) უბანი. **იბისიენთი'** ქართული სახლის სახელიაო.

İbrahimoğlu (იბრაჰიმოღლუ), ზენდობნის (ახლა: Arpalı Köyü) უბანი. თურქული სახლის სახელიაო, წერს ავტორი. შდრ. იბრაჰიმიენთი.

İhsienti [Ixsienti] (იჰსიენთი [იხსიენთი]), ივეთის (ახლა: Mısırlı) უბანი. **იხსიენთი** ქართული ქობის სახელიაო.

İlemienti (ილემიენთი), უბეს (ახლა: Oba köyü) უბანი. **ილემიენთი** ქართულია, სახლის სახელი.

İmerhev [İmerxev] (იმერჰევ'ი [იმერხევ'ი]), ქართულია (თ. „Karşı vadi//Karşidere“ გაღმა ხევი, გაღმა ხეობა).

İmerhev daği (იმერჰევ დაღი), შდრ. იმერხევის მთა.

İmniet/İmnieti (იმნიეთ//იმნიეთი), დიობნის უბანი. **იმნიეთს** ავტორი უკავშირებს გვარს იმნაძე, რაც არასწორია. იმნიეთი **იმნას** კუთვნილია, **იმნას** ოჯახის სამოსახლოა. **იმნიეთის** უბნებია: **ჩურქვესეთი** (<*ჭურქვესეთი? - ავტ.), **ივშირიენთი**, **უშარეთი**, **ლალჯინიენთი** (<*ლალჯინიენთი? - ავტ.), **ჯაფარეთი** [ჩაფარეთი], **ბოჯანათი** (<*ბოჯანათი? შდრ. ბოჯანეთი ავტ.), ახლა - **ნავანები** (ავტორი იმოწმებს: ფუტკარაძე, 2007: 48-49).

İphev [İpxel//İpxrevl] (იფხევ'ი [იფხელ//იფხრევლ'ი]), სოფელი შავშეთში. ავტორი **იფხევ**ში გამოყოფს იფ-ხევ'ს. **იფ**თან კითხვის ნიშანი (?) დაუსვამს (ალბათ ეჭვობს), „ხევი“ კი განუმარტავს როგორც - „dere“. იძლევა სხვა „ეტიმოლოგიებსაც“. ამოსავალი ფორმა ჩანს **იფხრევი** (>იფხევი რ'ს დაკარგვით), მისგან ნაწარმოებია **იფხრეული//იფხრეული**. ტოპონიმის საყრდენი ფუძე არის **იფხრ//იფხვრ'** და არაფერი აქვს საერთო ხევთან.

İpkvrana (იფქვრანა), ადგილი დიობანში. იფქვრანა<იფქვნარა'საგან. ძირია **იფქვ//იფქლ** (შდრ. იფქლი).

İvet (ივეთ'ი), დიობნის (ახლა: Meydancık) უბანი (ახლა: Mısırlı).

Kadda (ქადდა), ადგილი შოლტისხევში (ახლა: Karayigit).



Kahvecigil (ქაჰვეჯიგილ შდრ. კაჰვეჯოღლი - ავტ.), სხლობანის (ახლა: Pınarlı köyü) უბანი. თ. ქაჰვეჯიგილ სახლის სახელიაო.

Kanlı Satar (ქანლი სათარ'ი), ადგილი დაბაწვრილში (ახლა: Meşeli köyü).

Kapanati (კაპანათი), ადგილი იმერხევში, ქართულიაო.

Kapıçayır (ქაფიჩაირ'ი), ადგილი წიწვეთში (ახლა: Atalar köyü).

Kapnieti (კაპნიეთი), იფხრეულის (ახლა: Taşköprü) უბანი.

Karaağaç (ქარააღაჩ'ი), ძვ. ვერხვნალი, სოფელი შავშეთში.

Karaköy (ქარაქოჲ), ძვ. შავქეთი, სოფელი შავშეთში.

Karaosmangil (ქარაოსმანგილ'ი), ძველი სულესი. **ქარაოსმანგილი** სახლის სახელიაო.

Karapa (ქარაპა<*კარაპა - ავტ.), ადგილი შოლტისხევში (ახლა: Karayığit).

Karavat (კარავათი), ახლა Saylıca, სოფელი შავშეთში.

Karçhal (ქარჩჰალ<*კარჩხალ - ავტ.), ბაზგირეთის (ახლა: Madenköy) უბანი.

Karhane (ქარჰანე), ადგილი სამჯელის (ახლა: Armutlu) უბანში.

Kataroğlu Tepesi (ქათაროღლუ თეფესი<*კატაროღლი თეფესი - ავტ.), თურქულიაო. შდრ. **კატრიენთი**.

Katigil (ქათიგილ'ი), სხლობანის (ახლა: Pınarlı köyü) უბანი. ქათიგილ'ი სახლის სახელიაო.

Katrigil (ქათრიგილ'ი), წიწვეთის (ახლა: Atalar köyü) უბანი. თ. **კატრიგილ**'ი სახლის სახელიაო.

Kavaklık (ქავაკლიქ'ი), შავქეთის (ახლა: Karaköy) უბანი.

Kayabaşı (ქააბაში), 1. თურმანეთი, სოფელი შავშეთში; 2. მერიას (ახლა: Veliköy) უბანი.

Kayadibi (ქაადაიბი), 1. სიპიზირ (ციხისძირი) სოფელი შავშეთში. 2. მამანელისის (ახლა: Yavuzköy) უბანი.

Keçaniler (ქეჩანილერ), ქოთეთრისის (ახლა: Kireçli köyü) უბანი. **ქეჩანილერ**' სახლის სახელიაო.

Keçen (ქეჩენ'ი), ადგილი შავქეთში (ახლა: Karaköy).

Ked (ქედ'ი), ადგილი კუჭენში. ქართულიაო, ქედი - Tepe.

Kedat (ქედათ'ი) სხლობანის (ახლა: Pınarlı köyü) უბანი. ქართულიაო, წერს ავტორი.

Keliğe (ქელიღე), ტყე შოლტისხევში (ახლა: Karayığit). იმოწმებს ფუტკარაძეს (ფუტკარაძე, 2007), ქართულიაო, ღელე - ğele.



Katen tepesi (კატენ თეფესი), ადგილი ციხისძირში (ახლა: Kayadibi).
თურქულიაო. შდრ. კატენის ქედი.

Kilisahoti [Kilasaxoti] (ქილასაპოთი [კილასახოთი]), ადგილი
შოლტისხევში (ახლა: Karayığit), ქართულიაო, გვეუბნება თ. ართვინლი.

Kilisebaşı (ქილისებაში), ადგილი მერიაში (ახლა: Veliköy), თურქულიაო.

Kiliseler (ქილისელერ’ი), ადგილი ციხისძირში (ახლა: Kayadibi), ჯამის
უბანში, თურქულიაო სახელი.

Kirazlı (ქირაზლი), ძვ. ბალვანა, სოფელი შავშეთში.

Kireçli (ქირეჩლი), ძვ. ქოთეთრისი//ქვათეთრისი, სოფელი შავშეთში.

Klarça [Qlarça] (ქლარჩა), ადგილი წეთილეთში, თ. ართვინლით -
ზეთილეთში (Zetilet).

Kldekari-Gadasasvleli (კლდეკარი-გადასასვლელი), ქართულიაო,
ავტორმა.

Kldekari (კლდეკარი), მთა იმერხევში (ახლა: Meydancık), ქართულიაო.

Klduanaziri [Kldianadziri] (კლდუანაზირი [კლდიანაძირი]), ადგილი
შოლტისხევში (ახლა: Karayığit). ქართულიაო, **კლდუანაძირი** იგივეა, რაც
„Kayadibi“.

Kocabey (ქოჯაბეა), ძვ. კუჭენი, სოფელი შავშეთში.

Koco düzü (ქოჯო დუზუ), მინდორი კუჭენში.

Koçat (ქოჩათ’ი), ადგილი წიწვეთში (ახლა: Atalar köyü).

Koçienti (ქოჩიენთი), იმერხევის უბანი. ქართულიაო, „კოჩიენთი“ სახლის
სახელიაო, წერს მკვლევარი.

Kodisharo [Qodisxaro] (ქოდისჰარო [ქოდისხარო]), უბანი სინკოთში
(ახლა: Küplüce köyü). შდრ. კოდისწყარო.

Koğlieti (ქოღლიეთი), ქოთეთრისის (ახლა: Kireçli köyü) უბანი.
ქართულიაო, ავტორმა.

Kohtebi [Koxtebi] (ქოჰთები [ქოხთები]), ადგილი წეთილეთში (ახლა:
Erikli köyü).

Koklieti (ქოქლიეთი), იმერხევის (ახლა: Meydancık beldesi) უბანი.
ქართული ქოქლიეთი< Kokelaeti (ქოქელაეთი), „Kokela (öz) yürdü“ (კოკელას
კერა, საცხოვრისი). ქოქლიეთი <ქოქოლაეთი’საგან.

Kopivri (კოპივრი), ადგილი იმერხევში. კოპა’ მამაკაცის სახელი//
მეტსახელი ჩანს, შენახულია გვარში **კოპაძე**.



Kopturaşvilebi//Kopturienti (კოპტურაშვილები//კოპტურიენტი), იმერხევის (ახლა“ Meydancık beldesi) უბანი. კოპტურაშვილები //კოპტურიენტი ქართული სახლის სახელიაო.

Korhil [Korxil] (ქორჰილ [ქორხილ]), ტყე წიწვეთში (ახლა: Alatalar). ავტორი სხვას არაფერს ამბობს. **ქორხ**//**კორხ** ფუძე ძველი წარმოებისა უნდა იყოს, გამოვეყოფთ ხ' სუფიქსს, იმავეს, კოლხ'სა და მისთანა სახელებში რომ გვხვდება.

Korhil Tepe [Korxil Tepe] (ქორჰილ თეფე [კორხილ თეფე]), ქედი მერიასა და ტბეთს შორის.

Korikne (ქორიქნე), ადგილი ხანთუშეთში (ახლა: Hanlı köyü).

Korhil [Korxil] (ქორჰილ [ქორხილ'ი]), ადგილი ხანთუშეთში (ახლა: Hanlı köyü). **ქორხ** სახელურ ფუძეშიც გამოვეყოფთ -ხ სუფიქსს. ქორ' იგივე სახელური ფუძეა, ქორი'ენტსა და ქორიძეში რომ გვხვდება (ვრცლად იხ. ტაო, 2020:823-827; ფაღავა, 2021: 488-497).

Kortohienti (კორტოხიენტი), უბეს (ახლა: Oba köyü) უბანი. კორტოხიენტი ქართულია, ქოხის სახელი. გეოგრაფიულ სახელში გამოიყოფა **კორტოხ** სახელური „ფუძე“, რომელშიც ბოლოკიდურა ხ' სუფიქსი უნდა იყოს (შდრ. მოსოხი).

Korzian (ქორზიანი), ტყე წიწვეთში (ახლა: Atalar köyü). ქორზიანი<*ქორძიანი //კორძიანი'საგან.

Kotelti (ქოთელთი), იმერხევი, ზაღლისმერის უბანი, ქართულიაო. **ქოთელთი** <***კოთელთი**'საგან. ასევე ექვს ბადებს **ზაღლისმერი**, ხომ საქმე არ გვაქვს ცუდად ჩაწერილ წყალსიმერთან?

Koviet (ქოვიეთ'ი), უბეს (ახლა: Oba köyü) უბანი. ქოვიეთი სახლის სახელიაო, წერს მკვლევარი. **ქოვიეთი**<***კოვიეთ**'ისაგან და აღნიშნავს ქოვის//კოვის ოჯახის საცხოვრისს. სახლის სახელი იქნება **ქოვიენტი**//**კოვიენტი**.

Kökler (ქოქლერ'ი), ადგილი წიწვეთში (ახლა: Atalar köyü). შდრ. ქოქლები<ქოქოლები (ქოქლიენტი).

Köprübaşı (ქოფრუბაში), ხანთუშეთის (ახლა: Hanlı köyü) უბანი. შდრ. ხიდისთავი.

Köprükaya (ქოფრუქადა), ძვ. ჩარეთი (შდრ. ჯარეთი - ავტ.), სოფელი შავშეთში.

Köprülü (ქოფრულუ), ძვ. რაბათი, სოფელი შავშეთში.



Kötetris (ქოთეთრის'ი), სოფ. შავშეთში (ახლა: Kireçli), ქართულიაო: „ქვა“ (taş), თეთრი (ak, beyaz).

Kriça (ქრიჩა), ადგილი შოლტისხევში (ახლა: Karayığit). **ქრიჩა<*კრიჭა?**

Kubavur (კუბავურ), ჯინალის (ახლა: Ilica köyü) უბანი. ქართულია Kubavuri (კუბავური), სახლის სახელიაო.

Kuçen [Kuçen//Küçen] (კუჭენი), სოფელი შავშეთში (ახლა: Kocabey).

Kudret (ქუდრეთ), ადგილი მერიაში (ახლა: Veliköy). ქუდრეთი <კუდრეთი>საგან.

Kudrul [Qudrul] (ქუდრულ'ი), ადგილი სინკოთში (ახლა: Küplüce). სახელი ქართულია, თუმცა ფუძის მნიშვნელობა საკვლევია.

Kululenti (კულულიენთი), უბეს (ახლა: Oba köyü) უბანი. სახლის სახელიაო კულულიენთი. **კულული** მეტსახელი ჩანს კაცისა.

Kumaşeti (კუმაშეთი), დიობნის უბანი. ქართულია, **კუმაშეთი** სახლის სახელიაო. ჩვენი აზრით, **კუმაშეთი** სახლის საკუთრების აღმნიშვნელი სახელია. **ყუმაში//კუმაში** გვხვდება აჭარულში, სამწერლობო ქართულშიც და ნიშნავს ქსოვილს ან ქონებას ზოგადად (დაწვრილებით იხ. ცინცაძე, ფაღავა, 1998:131-133; შდრ. შანიძე, 1957:110; გურგენიძე, 1973:51; ფუტკარაძე, 1993). შ. ნიჟარაძე აჭარაში აფიქსირებს ძროხის სახელს **ყუმაშაი** (ნიჟარაძე, 1971). **ყუმაში//კუმაში** გადატანით დოვლათს აღნიშნავს. ყუმაშეთში ყუმაშ//კუმაშ მეტსახელი ჩანს კაცისა, ქონებიანი კაცის ზეწოდება.

Kumlieti (ქუმლიეთი), დიობნის უბანი. ქართულიაო ქუმლიეთი.

Kurela (ქურელა), სოფელი შავშეთში, ახლა - Demirkapı. ქართულიაო, ავტორი უკავშირებს „კვირა“ს“. **კურელა** ცუდად ჩაწერილი **ყვირალა** (ქურელა <კურელა <*ყურელა<*ყვირელა<ყვირალა?)

Kurudere (ქურუდერე), ძვ. მორღელი, სოფელი შავშეთში, იმავე სახელწოდების უბანია ხანთუშეთში. ქურუდერე<*კურუდერე<ყურუდერე<*ყრუდერე. შდრ. ყრუხევი, ხეყრუ.

Kurut (ქურუთ'ი), ტყე ჩიხორში (ახლა: Çukurköy).

Kutalet (კუთალეთ'ი), სურენის (ახლა: Dutlu) უბანი. კუთალეთ'ი <კუტალეთი>საგან. კუტალეთი ქართულია.

Küplüce (ქუფლუჯე), სოფელი შავშეთში, ძველი სინკოთი.

Kvaba (ქვაბა), ადგილი შოლტისხევში (ახლა: Karayığit), ქართულიაო ქვაბა.

Kvakibe (ქვაკიბე), ადგილი შოლტისხევში (ახლა: Karayığit).



Kvesienti [Kvesienti] (ქვესიენთი [კვესიენთი]), ადგილი ივეთში (ახლა: Misirli). „კვესიენთი“ ქართულია, სახლის სახელიაო.

Kviroti (კვიროთი), იფხრეულის (ახლა: Taşköprü) მეზრა. ქართულიაო **კვიროთი**, გვეუბნება თ. ართვინლი. „კვიროთი“ ასე დაიშლება: კვირ-ოთ'ი. დასაშვებია, შეგვხვდეს კვირუთი'ც. -ოთ -უთ სუფიქსები მონაცვლეობენ ხოლმე. კვირ' ქართული სახელური ფუძეა შდრ. **კვირია**, **კვირიკა**. **კვირიაა**... -**ოთ -ეთ**'ის დიალექტურ ვარიანტად მიიჩნევა ნ. მარი...

Kvitavri (ქვითავრი), წეთილეთის (ახლა: Erikli köyü) მეზრა. დასაშვებია ორი ვარიანტი: ა. ქვითა<ქვათა'საგან დისიმილაციით; ბ. ქვითა<კვიტა'საგან. ქვათა' და კვიტა' ანთროპონიმები ჩანს, უფრო მეტსახელები (შდრ. გვარსახელები: ქვათაძე და კვიტაშვილი//კვიტაიშვილი).

Lagunet (ლაგუნეთ'ი), ჯინალის (ახლა: Ilıca köyü) უბანი. **ლაგუნეთი** ქართულიაო.

Lalans (ლალანს'ი), ტყე სიხიზირში² (<ციხისძირში) (ახლა: Kayadibi).

Lampelavur (ლამპელავური), ტყე წიწვეთში (ახლა: Atalar köyü). ლამპელავური (<ლამპელაური) ქართულიაო, ამბობს ავტორი. ტოპონიმის ფუძეა **ლამპელა**<**ლამპარა**'საგან ფონეტიკური გარდაქმნით. **ლამპარა** კიდევ ანთროპონიმია, დაცულია გვარში **ლამპარაძე**.

Lelvana (ლელვანა), ადგილი შავექეთში (ახლა: Karaköy), ქართულია. **ლელვანა**<**ლელოვანა**'საგან. შდრ. „ლელიანი“.

Lelvant (ლელვანთ'ი), ტყე კუჭენში (ახლა: Kocabey). ავტორი აღადგენს ფორმას „ლელვანეთი“. ვფიქრობთ, სჯობს **ლელვანთ(ა)**<**ლელოვანთ(ა)**, სადაც თ(ა) მრავლობითობის სუფიქსია.

Lersmana (ლერსმანა), ადგილი ხანთუშეთში (ახლა: Hanlı köyü). ავტორი სვამს კითხვის ნიშანს (?). ლერსმანა<ლერწმანა'საგან. **ლერწამა** მცენარეა, იგივე სასტვირთია (იხ. მაყაშვილი, 1991; ნიჟარაძე, 1971).

Lesili (ლესილი), ადგილი იფხრეულში (ახლა: Taşköprü), ქართულიაო, წერს თ. ართვინლი.

Leventoğullar (ლევენტოღულლარ), ადგილი სიხიაში (ახლა: Yoncalı köyü), თურქულია, **ლევენტოღულლარ** სახლის სახელიაო.

Liban (ლიბან'ი), ჩიხორის (ახლა: Çukur köyü) უბანი. **ლიბანი** ქართულიაო, წერს მკვლევარი.

² ავტორი ხმარობს ფორმას **სიხიზირი**, ნაცვლად **ციხისძირი**'სა. მსჯელობისას ჩვენ გამოვიყენებთ **ციხისძირს**.



Loçka (ლოჩქა), ადგილი შავქეთში (ახლა: Karaköy).
Lomahev [Lomaxe] (ლომაჰევი [ლომახევი]), ადგილი სხლობანში (ახლა: Pınarlı köyü).

Lurca (ლურჩა), ადგილი სინკოთში (ახლა: Küplüce köyü). **ლურჩა** (<*ლურჯა?) ქართულიაო.

Maçhatet [Maçxatet] (მაჩჰათეთი [მაჩხატეთი]), სოფელი შავშეთში (ახლა: Yeşilce köyü). მკვლევარი გამოყოფს **მაჩხატ** ფუძეს და -ეთი(?) დაბოლოებას. **მაჩხატეთი** სახლის სახელიაო, აღნიშნავს. **მაჩხატეთი მაჩხატის** სამკვიდროა, საცხოვრისი. **მაჩხეტ** (<მაჩხატ' დისიმილაციით) ფუძე გვხვდება ტოპონიმში **მაჩხეტლერ**, პარხლის (ტაო) უბანი.

Madenköy (მადენქოი), ძვ. ბაზვირეთი//ზამვირეთი, სოფელი შავშეთში.

Mahriet (მაჰრიეთი), ჩიხორის (ახლა: Çukurköy) უბანი. ქართულიო გეოგრაფიული სახელი. შდრ. **მახრიეთი**.

Mahvileti [Maxvileti] (მაჰვილეთი [მახვილეთი]), ადგილი წყალსიმერში, ქართულიაო ტოპონიმი. **მახვილა** მეტსახელი//სახელი ჩანს.

Maldüzü (მალდუზუ), ადგილი წიწვეთში (ახლა: Atalar köyü).

Mamanelis (მამანელისი), სოფელი შავშეთში, ახლა Yavuzköy. ქართულიაო. **მამანელის** მკვლევარი ასე დაშლის: მამა (baba) + nelis (?) კითხვით ნიშანს დაუსვამს მეორე ნაწილს. ჩვენი აზრით, **მამანელისი** კომპოზიტი არაა, **მამანელ**ი წარმომავლობის სახელია, -ის ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი.

Mamogil (მამოგილი), ტბეთის (ახლა: Gevizli köyü) უბანი. თურქულია, მამოგილი' სახლის სახელია, წერს ავტორი.

Manasgil (მანასგილი), ჯინალის (ახლა: Ilca köyü) უბანი. სახელი თურქულია. **მანასგილი** სახლის სახელიაო.

Manatba (მანატბა), სოფელი შავშეთში, ახლა - Yeşilce. მანატბა ქართულია, წერს თ. ართვინლი, **მანა** ქართ. მამაკაცის სახელიაო: მანა[ს]ტბა.

Martukatar (მარტუკატარი), ადგილი შავქეთში (ახლა: Karaköy). ავტორი კითხვით ნიშანს(?) სვამს. სახელი ნამდვილად ქართულია - მარტოკატარი (უხეიროდაა ჩაწერილი ტოპონიმი), კომპოზიტია: მარტო+კატარი. „მარტო“ ცნობილი ფუძეა, „კატარი“ იგივეა, რაც ფიჭვი (იხ. მაყაშვილი, 1991).

Masazluanti (მასაზლუანთი), ზაღლისმერის (ვფიქრობთ, წყალსიმერის) უბანი. ტოპონიმი ქართულია.



Mazga (მაზგა), ტყე წიწვეთში (ახლა: Atalar köyü). ქართულიაო, წერს თ. ართვინლი.

Mazmanlar (მაზმანლარ'ი), ქოთეთრისის (ახლა: Kireçli köyü) უბანი. თურქულია, **მაზმანლარ'** სახლის სახელიაო. ტოპონიმი ქართ. მაზმანების თარგმანი ჩანს. შდრ. გვარი მაზმიშვილი.

Megrelient (მეგრელიენტ'ი), ხევწვრილის (ახლა: Çağlayan köyü) უბანი. ავტორი ქართულად წერს **მეგრელიანთი**, თურქულად - Megrelienti (მეგრელიენთი).

Memişdedegil (მემიშდედეგილ'ი), კუჭენის (ახლა: Kocabey köyü) უბანი. თურქულია, **მემიშდედეგილ'** სახლის სახელიაო.

Meroban (მერობანი), ჯინალის (ახლა: Ilica köyü) უბანი. ქართულიაო, **მერ** (Mer?) **უბანი** (mahale). „იმერი უბანი“ ხომ არააო, ვარაუდობს ავტორი. უფრო **მერე უბანი**>**მერუბანი** უნდა იყოს. „მერე“ კიდევ ვაკე ადგილია მდინარის პირას (ნიქარაძე, 1971).

Merya (მერია), სოფელი შავშეთში, (ახლა Veliköy). ქართულიაო „მერია“, ავტორი მას უკავშირებს „იმერიას“.

Meşeli (მეშელი), ძველი დაბაზრული (<*დაბაწვრილი//დაბაწრული), სოფელი შავშეთში.

Meydan (მედან'ი), სხლობანის (ახლა: Pınarlı köyü) უბანი.

Meydancık (მედანჩიკ), იმერხევი.

Mısırlı (მისირლი), ძველი ივეთი, სოფელი შავშეთში. შდრ. **სიმინდოვანი**.

Mihelhmient [Mixelxmient] (მიჰელჰმიენტ'ი [მიხელხმიენტ'ი]), ხევწრულის (ახლა: Çağlayan köyü) უბანი. ქართულიაო **მიხელხმიენთი**, სახლის სახელია მიხელყმიანთი, **მიხეილ//მიხაილ** [Mikail] შვილები. **მიხელყმიანთ'** მიხეილის შვილები არაა, **ყმებია**.

Mikelet (მიქელეთ'ი), სოფელი შავშეთში. ქართულია, **მიქელეთი** სახლის სახელიაო(?), წერს მკვლევარი.

Miskinavur (მისქინავურ), ადგილი წიწვეთში (ახლა: Atalar köyü). ქართულიაო, წერს ავტორი.

Mokta (მოქტა), სოფელი შავშეთში (ახლა: Savaşköy). კითხვის ნიშანი (?) დაუსვამს ავტორს. **მოქტა**<***მოქტა**<**მოგვტა**'საგან, ნიშნავს „მოგვების“.



Morğel (მორღელი), სოფელი შავშეთში, ახლა - Kurudere, მორღელ^ი ქართულიაო, მორი+ღელე. ძნელი დასაჯერებელია ასეთი ახსნა. „მორღელი“ სადაურობის სახელი ჩანს, „მორღიდან“. სამიებელია, სადაა ეს „მორღი“.

Morohoz [Moroxoz] (მოროჰოზ^ი [მოროხოზ^ი]), სოფელი შავშეთში, ახლა - Yamaçlı.

Mosieti (მოსიეთი), დიობნის უბანი. **მოსიეთი** ქართულია.

Muhelgil (მუჰელგილ), წიწვეთის (ახლა: Atalar köyü) უბანი, თურქულიაო, წერს ავტორი.

Muhner Deresi [Muxner] (მუჰნერ დერესი [მუხნერ]), მუხნერის ხევი, - ხევი სულესთან. კითხვის ნიშანი(?) დაუსვამს ავტორს. Muhner Deresi ქართული მუხნერის ხევის<მუხნარის ხევის ნახევართარგმანია. ეს უკანასკნელი სინტაგმა ტოპონიმი ქართული.

Muhoban [Muxoban] (მუჰობანი [მუხობანი]), სოფელი შავშეთში, ახლა - Üzümlü, ქართულიაო **მუხობანი** (Meşeli köyü).

Muhoul Gölü (მუჰოულ გოლუ), ტბა არსიანზე. კითხვით ნიშანს(?) სვამს ავტორი. „მუჰოულ გოლუ“ ცუდად ჩაწერილი „მოხვეული გოლი“ ხომ არაა?

Musakana [Musaqana] (მუსაკანა [მუსაყანა]), ყანა წეთილეთში (ახლა: Erikli köyü). **მუსაყანა** ქართული სახელიაო, წერს ავტორი.

Nacvarevi (ნაჯვარევი), წყალსიმერის მეზრა. ნაჩვარევი<ნაჯვარევი^{საგან} ჯ:ჩ მონაცვლეობით.

Nadarbazev (ნადარბაზევ^ი), ადგილი ხანთუშეთში (ახლა: Hanlı köyü). სახელი ქართულია.

Nadirgil (ნადირგილ^ი), ტბეთის (ახლა: Cevizli köyü) უბანი. **ნადირგილ^ი** თურქულია, სახლის სახელიაო.

Nagmurt (ნაგმურტ^ი), ადგილი ხანთუშეთში (ახლა: Hanlı köyü), სახელი ქართულიაო.

Nakalebət (ნაქალებეთ^ი), ადგილი კუჭენში (ახლა: Kocabey köyü). სახელი ქართულიაო, აღნიშნავს ავტორი.

Nakaluevi (ნაკალუევი), ადგილი შოლტისხევში (ახლა: Karayığit). გეოგრაფიული სახელი ქართულია.

Nakar (ნაქარ^ი თუ ნაყარი?), ადგილი კუჭენში (ახლა: Kocabey köyü), სახელი ქართულია.

Nakar Tepesi (ნაქარ თეფესი) ადგილი ციხისძირში (ახლა: Kayadibi). ქართული სახელიაო; უფრო ქართულ-თურქული სინტაგმა ტოპონიმი.



Nakarov (ნაქაროვი), ადგილი წიწვეთში (ახლა: Atalar köyü) ქართული ტოპონიმიაო. შდრ. ნაქარევი.

Nakoravat [Naqoravati] (ნაქორავათ'ი [ნაყორავათ'ი]), ადგილი შოლტისხევში (ახლა: Karayığit), ქართული სახელია.

Nakordalar (ნაქორდალარ'ი), ადგილი ზენდობაში (ახლა: Arpalı köyü), ქართულია სახელიო. ნაქორდალარ'ი<*ნაკორდალარ'ისაგან, შდრ. ქართ. ნაკორდალები.

Nakulev (ნაქულევ), ადგილი წიწვეთში (ახლა: Atalar köyü). იქნებ: ნაქულევ <ნაყულევ'ისაგან. **ნაყულევი** წინავითარების სახელია, გამოიყოფა ყულ' (kul) ძირი, მნიშვნელობით მონა, ღმერთის მსახური, თაყვანისმცემელი (ლექსიკონი, 2001)

Nakverin Sirti (ნაქვერინ სირთი), ადგილი დაბაწვრილში (ახლა: Meşeli köyü).

Napotia seri (ნაფოტია სერი), ადგილი დიობანში. სინტაგმა ქართულია.

Napurnev (ნაფურნევ'ი), ჩიხორის (ახლა: Çukur köyü) დაილა. სახელი ქართულია.

Napuzar (ნაფუზარ'ი), ადგილი წიწვეთში (ახლა: Atalar köyü), სამჯელში (ახლა: Armutlu), ხანთუშეთსა (ახლა: Hanlı köyü) და კუჭენში (ახლა: Kocabey köyü). სახელი ქართულია. Napuzari (ნაფუზარი) „yıkınlı, harabe“. აღვნიშნავთ, რომ ნაფუზარი<ნაფუძარი'საგან ძ:ზ მონაცვლეობით.

Nasarat (ნასარათ'ი), ადგილი კუჭენში (ახლა: Kocabey köyü). ქართული „Natsari“ (ნაცარი) „kül yeri, yanık“. გეოგრაფიული სახელია **ნაცარათი** და არა **ნასარათი**. თურქულმა დამწერლობამ ჩამწერს არ მისცა საშუალება სწორად ჩაეწერა ქართული სახელი.

Natbev (ნატბევ'ი) - ტყე წიწვეთში (ახლა: Atalar köyü). ქართული სახელია.

Naturnihev [Naturnixev] (ნათურნიჰევ'ი [ნათურნიხევ'ი]), - ტყე ჩიხორში (ახლა: Çukur köyü). სახელი ქართულია.

Neklat (ნეკლათ'ი), ახალდაბის (ახლა: Tepeköy) უბანი. სახელი ქართულიაო.

Nenaurilar (ნენაურლარ), ქედი კუჭენში (ახლა: Kocabey köyü). თურქული Nenaurilar სახლის სახელიაო, წერს ავტორი. ქართულ „ნენაურს“ თურქული Lar ერთვისო. **ნენაური** ქართული სახელური ფუძეა თურქული მრავლობითობის სუფიქსით. შდრ. ნენაურები.



Nepedodopal (ნეფედოდოფალი), ადგილი ხანთუშეთში (ახლა: Hanlı köyü). ქართული Nepe-dodopali (ნეფე-დოდოფალი) „damat-gelin“.

Neseret Tepesi (ნესერეთ თეფესი), „ნესერეთის ქედი“, ადგილი ციხისძირში (ახლა: Kayadibi), ქართულია სინტაგმა.

Nigrat (ნიგრათ’ი), ადგილი მერიაში (ახლა: Veliköy). სახელი ქართულია.

Nuhugar (ნუჰუგარ’ი), ადგილი კუჭენში (ახლა: Kocabey köyü). კითხვის ნიშანს (?) სვამს ავტორი, არ განსაზღვრავს სახელის ენობრივ კუთვნილებას.

Oba (ობა), სოფელი შავშეთში, ძველი უბე.

Obnieti (ობნიეთი), დიობნის უბანი. ქართულია, Obaneti (ობანეთი).

Odabaş (ოდაბაშ’ი), სხლობანის (ახლა: Pinarlı köy) უბანი. თურქულია, Odabaş სახლის სახელიაო, გვეუბნება ავტორი.

Oğlaur (ოღლაურ’ი), წეთილეთის (ახლა: Erikli köyü) უბანი. ქართულია, Oğlauri სახლის სახელიაო (sül). **ოღლაური** გვხვდება ორთაბათუმის თემში (აჭარა) და მარადიდში (ისტორიულ კლარჯეთში).

Oğogil (ოლოგილ’ი), ჯინალის (ახლა: Ilica köyü) უბანი. თურქულია, Oğogil სახლის სახელიაო (sül.).

Okrobaget (ოქრობაგეთ’ი), - სოფელი შავშეთში (ახლა: Köprülü köyü). ქართულიაო ოქროვაკეთი (Okrovak’et). საიდან ოქროვაკეთი? ადგილზე ჩავიწერეთ ოქრობაგეთი. სახელის ქართულობა ეჭვს არ იწვევს შდრ. ოქროპირი. ოქრობაგე’ მეტსახელი ჩანს კაცისა.

Okuzger (ოქუზგერ’ი), ადგილი სინკოთში (ახლა: Küplüce köyü). კითხვითი ნიშანი (?) დაუსვამს ავტორს.

Orankgil (ორანქგილ’ი), კუჭენის (ახლა: Kocabey) უბანი. თურქულია, Orankgil სახლის სახელია (sül.).

Orcuat ğeleebi (ორჯუათ ღელეები), ხევი შოლტისხევში (ახლა: Karayığit). ქართულია „ğele“, „ğeleebi“. სინტაგმა ტოპონიმია „ორჯუათ ღელეები“.

Otluca (ოთლუჯა), სოფელი შავშეთში, ძველი სათაფლია.

Pançatur (ფანჩათურ’ი), ადგილი ხანთუშეთში (ახლა: Hanlı köyü).

Pantalik [P’ant’alux] (ფანთალიქ [პანტალუხ’ი]), ადგილი სამჯელში (ახლა: Armutlu). შდრ. პანტალული, პანტიანი.

Papacela (პაპაჯელა), ქედი კუჭენში (ახლა: Kocabey köyü). კითხვით ნიშანს (?) სვამს ავტორი. გეოგრაფიული სახელი ქართულია, კნინობითი სახელია, -ელა მაწარმოებლით.



Papatuali (პაპათუალი), ადგილი სულესში (ახლა: Koyunlu köyü), ავტორი არაფერს ამბობს სახელის კუთვნილებაზე. **პაპათუალი/პაპათვალი** ქართულია.

Parcuket (ფარჯუქეთი), ჯინალის (ახლა: Ilica köy) უბანი. სახელი ქართულია. **ფარჯუქეთი ფარჯუქის** სამოსახლოა.

Parihiti [Parixti] (პარიჰითი[პარიხთი]), ხევი იმერხევში. კითხვის ნიშანს (?) სვამს ავტორი. **პარიხთი-პარეხთი** საგან (შდრ. პარეხთა). სახელი ასე დაიშლება: **პარეხ-თა** (შდრ. პარეხები). **პარეხი** - კლდე გამოქვაბულია (საბა, 1949; შდრ. აბულაძე, 1973; კლარჯეთი, 660-661).

Paserat (ფასერათი), ტყე ჩიხორში (ახლა: Çukurköy). სახელი ქართულიაო, გვეუბნება ავტორი.

Peranet (ფერანეთი), სხლობანის (ახლა: Pınarlı köyü) უბანი. ტოპონიმი ქართულიაო, წერს თ. ართვინლი. **ფერანეთი** - ფერანის კუთვნილია, მისი სახლის საკუთრება.

Pevzienti (ფევზიენთი), იფხრევის (ახლა: Taşköprü) უბანი. **ფევზიენთი** ქართულია, სახლის სახელიაო, წერს მკვლევარი.

Pikalp (ფიქალფი), ადგილი ზენდობაში (ახლა: Arpalı köyü), ქართულიაო, ავტორი უკავშირებს ქართულ ფიქალებს.

Pikalat (ფიქალათი), ტყე წიწვეთში (ახლა: Atalar köyü), ქართულია.

Polakli (ფოლაქლი), ადგილი ხევწვრილში (ახლა: Çağlayan köyü). კითხვით ნიშანს (?) სვამს ავტორი.

Pona (ფონა), ადგილი სხლობანში (ახლა: Pınarlı köyü). კითხვით ნიშანს (?) სვამს ავტორი. **ფონა** ქართულია (ფონ-ა). ფონა<ფონე>საგან, ნიშნავს „მომვებული, მოფონებული“ (საბა, 1949).

Potola (ფოთოლა), სამჯელის (ახლა: Armutlu) უბანი.

Pzobilkana [Pzobilqana] (ფზობილკანა [ფზობილყანა]), ადგილი შოლტისხევში (ახლა: Karayığit). **ფზობილყანა<ზზობილყანა** ბ:ფ მონაცვლეობით.

Rabat (რაბათი), სოფელი შავშეთში (ახლა: Köprülü köyü), თურქულიაო, წერს ავტორი.

Ramandalgil (რამანდალგილი), მამანელისის (ახლა: Yavuzköy) უბანი. **რამანდალგილი** თურქულია, ქოხის სახელი.

Recephana (რეჯეფჰანა), მერიის უბანი, თურქულია.



Revazient (რევაზიენთ'ი), ხევწრულის (ახლა: Çağlayan köyü) უბანი. ქართულია **რევაზიენთი**, წერს ავტორი, ქობის სახელიაო.

Rufetağgil (რუფეთაღაგილ), ტბეთის (ახლა: Cevizli köyü) უბანი. თურქულია, **რუფეთაღაგილ'**ი ქობის სახელიაო.

Rutavi (რუთავი), ადგილი შოლტისხევში (ახლა: Karayığit), ქართულია, შდრ. რუსთავი.

Sabadordi (საბადორდი), ტყე იმერხევში. კითხვითი ნიშანი (?) დაუსვამს ავტორს. „ხუთვერსიან რუკაზე“ დატანილია Сабадоpъ (საბადორი). „საბადორდი“ და „საბადორი“ ერთი და იგივე გეოგრაფიული პუნქტი ჩანს, ორივე ცუდად ჩაწერილი „საბადური“ უნდა იყოს.

Sabadur (საბადური), ქედი იფხრეულის (ახლა: Taşköprü) უბანში, კვიროთში (მეზრაა). ქართულია. **საბადური** ქობის სახელიაო (?), საბადური<საბაური>საგანო. საეჭვოა, რამდენადაც შავშეთში დასტურდება **საბაურიცა** და **საბადურიც**. აღვნიშნავთ, რომ შავშეთში რამდენიმე **საბადური** გვხვდება.

Saburtal (საბურთალ'ი), ადგილი შავქეთში (ახლა: Karaköy). კითხვითი ნიშანი (?) დაუსვამს თ. ართვინლის. „საბურთალი“ იგივე „საბურთიაა“, ორივე ფორმა დასტურდება ჭოროხის ხეობაში.

Saçançalo (საჩანჩალო), ადგილი იმერხევში. სახელი ქართულია: **სა-ჩანჩალ-ო**, დანიშნულების სახელია, ადგილი, სადაც ჩანჩალებენ, „ფეხის ათრევით, უღონოდ დადიან“ (ქეგლ).

Sağrieti (საღრიეთი), იფხრეულის (ახლა: Taşköprü) უბანი, ქართულია (შდრ. გვარი საღარაძე).

Saqarti (საქართი), ადგილი იმერხევში, ქართულია, Sakarti (საქართი) „sakare civari“ (საქარე ჯივარი). საქართი<საქალტი>საგან; „**ქალტა**“ - „ოთხფეხისათვის შემოღობილი ადგილი“ (მგელაძე... 2018; ნოღაიდელი, 2015).

Saketne (საქეთნე), ადგილი სინკოთში (ახლა: Küplüce köyü). ავტორი კითხვის ნიშანს (?) სვამს. „საქეთნე“ ცუდად ჩაწერილი „საქედნე“ უნდა იყოს.

Sakiriat (საკირიათ'ი), ახალდაბის (ახლა: Tepeköy) უბანი. სახელი ქართულია.

Sakoçi [Saçoçi] (საქოჩი[საქოჩი]), ადგილი შოლტისხევში (ახლა: Karayığit). „საქოჩი“ შესაქუჩებელი ადგილია. „შექუჩება“ - „მოსიარულეთა მცირე ხანს ერთად შედგომა“ (საბა, 1949).



ქართული
საგანმანათლებლო
ცენტრი



Sakoniet (საქონიეთი), ციხიას (ახლა: Yoncalı köyü) დაიბადა

Sakot (საქოთი), ადგილი სინკოთში (ახლა: Kocabey köyü). ჩანს, **საკოთი-საკვეთი** საგან ვეო^ს ფონეტიკური გარდაქმნით.

Sakoya (საქოია), ზენდობას (ახლა: Arpalı köy) უბანი. ქართულიაო ტოპონიმი, წერს ავტორი. **საქოია** ცუდად ჩაწერილი **საქორია** უნდა იყოს.

Sakriat (საქრიათი), ტყე წეთილეთში (ახლა: Erikli köy).

Sakversho [sakvertso] (საქვერსო [საკვერცხო]), ჩიხორის (ახლა: Çukurköy) უბანი. კითხვით ნიშანს (?) სვამს ავტორი. **საკვერცხო** დანიშნულების სახელია **სა-ო** თავსართ-ბოლოსართით.

Salesme (სალესმე), ადგილი შოლტისხევში (ახლა: Karayığit), ქართულია. **სალესმე** დანიშნულების სახელი ჩანს **სა-ე** კონფიქსით, მაგრამ გაუგებარია **ლესმ** ფუძის მნიშვნელობა.

Samarile (სამარილე), ადგილი შოლტისხევში (ახლა: Karayığit), ქართულია.

Samarileti (სამარილეთი), ადგილი წიწვეთში (ახლა: Atalar köyü), ქართულია.

Samcel (სამჯელ'ი), სოფელი შავშეთში, ახლა - Armutlu köyü, ქართულია.

Samela [Samela//Samele] (სამელა[სამელე]), ადგილი დაბაწვრილში.

Samerella (სამერელა), ადგილი წიწვეთში (ახლა: Atalar köyü). სამერელა<სამერელი>საგან, დანიშნულების სახელია, ჩანს, ქართული; საძიებელია **მერელ** ფუძის მნიშვნელობა.

Samerula (სამერულა), ადგილი ციხისძირში (ახლა: Kayadibi), ქართულიაო, წერს ავტორი. **სამერულა** დანიშნულების სახელია, ტოპონიმის ფუძეა **მერულ**'ი. „მერული - ორთითია“ საბას განმარტებით (საბა, 1949), „იყენებენ კალოობის დროს პურის ძნების ჩასაფენად, ან თიბვის დროს თივის დასაბულულებლად“ (ნიჟარაძე, 1971. შდრ. ჩუბინაშვილი, 1961; მენტეშაშვილი).

Samnazviseri (სამნაზვისერი), სერი დიობანში, ქართულია (სამნაზვისერი <სამნაძვისერი>საგან).

Samsil (სამსილ'ი), ადგილი მერიამში (ახლა: Veliköy), ქართულიაო სახელი, ამბობს თ. ართვინლი.

Sanadiro (სანადირო), ტყე წეთილეთში (ახლა: Erikli köyü), ქართული სახელია, ავტორის აზრით.



Sanapote (სანაფოტე), ადგილი წეთილეთში (ახლა: Erikli köyü), ქართულიაო ტოპონიმი, გვეუზნება თ. ართვინლი.

Sanikre (სანიკრე), სერი შოლტისხევი (ახლა: Karayığit), ქართულიაო წერს ავტორი, იქვე კითხვის ნიშანს(?) სვამს. **სანიკრე-სანეკრე** საგან (დისიმილაციით: ე-ე>ი-ეს).

Sankurat (სანკურათი), ადგილი წიწვეთში (ახლა: Atalar köyü), ქართულიაო სახელი. სანკურათი<*სამკურათი<*სამყურათი?

Sanzirtev Tepesi (სანზირთევ თეფესი), ადგილი ციხისძირში (ახლა: Kayadibi). ქართულიაო, ავტორმა. სინტაგმა „სანზირთევ თეფესი“ (<*სამზირევ თეფესი?) ქართულ-თურქული სინტაგმაა.

Sapte (საფთე<*საფრთე?), ადგილი შოლტისხევი (ახლა: Karayığit), ქართული ტოპონიმი, წერს ავტორი.

Sarçeve [Sarçeve//Saarçeve] (სარჩევე [სარჩევე/საარჩევე]), ადგილი წეთილეთში (ახლა: Erikli köyü). ავტორს ეეჰება, კითხვის ნიშანი (?) დაუსვამს. ჩვენც გვაეჰებს ფორმის სისწორე: „საარჩევე“ ცუდად ჩაწერილი „საარჩევე“ ხომ არაა?

Sarçevti (სარჩევთი), ადგილი იმერხევიში.

Sarikevla (სარიქველა), ჯინალის (ახლა: Ilica köyü) უბანი. კითხვის ნიშანს (?) სვამს ავტორი. **სარიქველა<*სარიქეული/სარიკეული** საგან, სარიკის კუთვნილს ნიშნავს.

Sarkisevul [Sarkisevul//Sakisoul] (სარქისეველ'ი[სარქისეველ //სარქისოულ]), ზენდობნის (ახლა: Arpalı köyü) უბანი. კითხვის ნიშანი (?) დაუსვამს ავტორს. ამოსავალი ფორმაა სარქისისეული>სარქისოული//სარქისეული.

Satapliya (სათაფლია), სოფელი შავშეთში (ახლა: Otluca).

Satarin Düzü (სათარინ დუზუ), ადგილი მერიაში (ახლა: Veliköy). თურქულიაო, წერს ავტორი. შემდეგ იტყვის: ქართული „სათარი“ ტყეში მოჭრილი ხეების სათრევი ადგილიაო. „სათარი (სათრევი) დუზი“ სინტაგმა ტოპონიმი ქართული და თურქული სიტყვებით.

Satari (სათარი), ტყე შოლტისხევი (ახლა: Karayığit), ქართულიაო, წერს მკვლევარი.

Satave (სათავე), დაილა იმერხევიში, ქართულია.

Satkisavur (სათქისავურ'ი), ადგილი წიწვეთში (ახლა: Atalar köyü). ქართული სახელია. სათქისავური<*სატკიცავური საგან.

Satlel (სათლელ'ი), შავშათის უბანი, ქართული გეოგრაფიული სახელია.



Satrahevi (სათრაჰევი), ადგილი წეთილეთში (ახლა: Erikli köyü).
სათრაჰევი <სათრახევი> სათარი ხევი<სათრევი ხევი>საგან.

Savaşet (სავაშეთი), ადგილი სამჯელში (ახლა: Armutlu). კითხვის ნიშანს (?) სვამს ავტორი. ტოპონიმი ქართულია (წარმოებით მაინც), **სავაშის** ან მისი სახლელულის კუთვნილს აღნიშნავს.

Savaşköy (სავაშქოი), ძველი მოგვთა, სოფელი შავშეთში.

Saylıca (საილიჯა), ძველი კარავათი, სოფელი შავშეთში.

Saysari (საისარ’ი), ქედი სინკოთში (ახლა: Küplüce köyü). კითხვის ნიშანს (?) სვამს მკვლევარი. **საისარი** ქართულია, **სა-** პრეფიქსით ნაწარმოები სახელი, ისარ’ კიდევ ცნობილი ფუძეა ქართულში.

Sazgirevla Tepesi (საზგირეველა თეფესი), ქედი ციხისძირში (ახლა: Kayadibi köyü). ქართულ-თურქული სიტყვებით შედგენილი სინტაგმა ტოპონიმი: **საზგირეველა** (<“საცქირეველა“) + თეფე (ქართ. ქედი).

Sebzeli (სებზელი), ძველი ჯვარისხევი, სოფელი შავშეთში. **სებზე** - მწვანელი, ბოსტნეული.

Sageoğulları (საგეოღულლარი), ქოთეთრისის (ახლა: Kireçli köyü) უბანი. თურქულიაო, წერს თ. ართვინლი.

Sekiler (სექილერ’ი), ტყე წიწვეთში (ახლა: Atalar köyü).

Sementoğlu (სემენტოღლუ), ადგილი წიწვეთში (ახლა: Atalar köyü), თურქულია, სემენტოღლუ - სახლის სახელიაო.

Septa (სეფთა), უსტამისის (ახლა: Eskikale) უბანი. ქართული - **წეფთა**. სალექსიკონო ერთეულად თ. ართვინლის რატომღაც გამოაქვს **სეფთა** და არა **წეფთა**. **სეფთა** თურქულ გამოთქმაში „გადატეხილი“ **წეფთაა**.

Seslavur [sesxlavur>seslavur] (სესლავურ’ი [სესხლავურ>სესლავურ]) ახლა ზიარეთი. შდრ. ქართული ცეცხლაური. „ცეცხლაური“ „სესლავურად“ გარდაიქმნა თურქულ გამოთქმაში. ვერც თ. ართვინლის „მცდელობამ“ უშველა ფორმის აღდგენას.

Setüma (სეთუმა), ადგილი ხანთუშეთში (ახლა: Hanlı köyü). ავტორი კითხვის ნიშანს (?) სვამს. სეთუმაში გამოვყოფდით „სეთ“ ძირს და -უმ სუფიქსს. თუ ჩვენი მსჯელობა სწორია, მაშინ გეოგრაფიული სახელი ქართულად შეიძლება მივიჩნიოთ.

Sevahil//Savahil (სევაჰილ//სავაჰილ), ზენდობნის (ახლა: Arpalı köyü) უბანი. თურქულიაო, „sicak yerler“ - „ცხელ ადგილს“ ნიშნავს.

Siğanlar (სიღანლარ’ი) ადგილი წიწვეთში (ახლა: Atalar köyü).



Siheryet [Sixeriyet] (სიჰერიეთ'ი [სიხერიეთ'ი]), ჩიხორის (ახლა: Çukur köyü) უბანი. ქართულიაო გეოგრაფიული სახელი.

Sihiya [Sixiya] (სიჰია [სიხია]), სოფელი შავშეთში (ახლა: Yoncalı köyü), ტოპონიმი ქართულია, **ციხია**.

Sipirt (სიფირთ'ი), ადგილი ხანთუშეთში (ახლა: Hanlı köyü). კითხვის ნიშანს (?) სვამს ავტორი.

Siharul [Sixarul] (სიჰარულ'ი [სიხარულ'ი]), ხევწრულის (ახლა: Çağlayan) აილა.

Sihizir [Sixizir] (სიჰიზირ [სიხიზირ]), სოფელი შავშეთში, ქართული Tsixidziri (ციხიძირი). ავტორი იძლევა სახელის სემანტიკას: ციხე+ძირი.

Sikreti [Tsikreti] (სიქრეთი [ციკრეთი]), უბანი დიობანში. ქართულია Tsikraeti (ციკრაეთი). **ციკრეთი//ციკრაეთი** ცუდად ჩაწერილი **ცისკარეთი>ციკარეთი**. **ცისკარა** კიდევ ანთროპონიმია (შდრ. ცისკარაძე).

Sinkot [Singot] (სინქოთ'ი [სინგოთ'ი]), სოფელი შავშეთში, ახლა - Küplüce (ქუფლუჯე). სახელი ქართულია.

Sirasinkot [sirasinqot] (სირა სინკოთ'ი [სირა სინგოთ'ი]), სოფელი შავშეთში, ახლა - Çayağzi (ჩადაღზი), ტოპონიმი ქართულია.

Sirkvilkari [Tsirkvilkari] (სირკვილკარი [ცირკვილკარი]), ადგილი იმერხევში. ქართულია. **წისქვილიკარია** ამოსავალი ფორმა. თ. ართვინლის მიერ მოტანილი ფორმები გვარწმუნებს, რომ თურქული ანბანი საერთოდ გამოუსადეგარია ქართული სიტყვის ჩასაწერად. ამავე ფორმებში (სირკვილკარი [ცირკვილკარი]) ჩანს, თუ რამდენად აღიქვამს ორენოვანი მკვლევარი ორენოვანი ინფორმატორის ნათქვამს.

Sisienti [Tsitsienti] (სისიენთი [ციციენთი]), ადგილი იმერხევში. ციციენთი სახლის სახელიაო, წერს მკვლევარი.

Sisvet (სისვეთი, შდრ. წიწვეთი), სოფელი შავშეთში, ახლა: Atalar köyü. **Ts'its'veti** (ციცვეთი) - არ გამოდგა თურქული ანბანი ქართული სიტყვის ჩასაწერად.

Sitelaze (სითელაზე), ადგილი ჩიხორში (ახლა: Çukur köyü), წითელაძე, ქართულია, სახლის სახელი.

Someheti [Somexeti] (სომეჰეთი [სომეხეთი]), უბანი იმერხევში. ქართული „სომეხეთი“ „სომხის ადგილი“. **სომეხი** კაცის მეტსახელი ჩანს, შდრ. გვარი **სომხიშვილი**.



Soporo (სოფორო), სოფელი შავშეთში, ახლა დუზენლი (Düzenli), ქართულია, „ჩუქურ ძერი“ (Çukuryer).

Sorap (სორაფ'ი), ადგილი ხანთუშეთში (ახლა: Hanlı köyü), ქართულიაო.

Sorkieti//Sorghazebi [Sorgieti] (სორქიეთი//სორღაზები[სორგიეთი]), იფხრეულის (ახლა: Taşköprü) უბანი, ქართულიაო. ძირეულ ფორმად ჩანს „სორგიეთი“ და „სორგაძები“ (<სორგაძეები). **სორგაძე** გვარი (ან **სორგიენთი** მეტსახელი გვარი) შავშეთში არ დასტურდება, მიწას „შუენახავს“ მისი ხსოვნა.

Sornal (სორნალ'ი), ტყე ჩიხორში (ახლა: Çukur köyü), ქართულიაო, ავტორმა. **სორნალ'ი<სურნალ'ი<სურონალ'**ისაგან.

Sorsel (სორსელ'ი), სოფელი შავშეთში, ახლა - Çavdarlı (ჩავდარლი). ადგილზე **ცორცელს** გამოთქვამენ.

Söğütlü (სოღუთლუ), ძველი სათლელი, შავშათის უბანი.

Subaşgil (სუბაშგილ'ი), წიწვეთის (ახლა Atalar köyü) უბანი. თურქულია **სუბაშგილი**, სახლის სახელიაო, წერს თ. ართვინლი. **სუბაში** მეტსახელი ჩანს კაცისა. რამდენადაც ცნობილია, სოფელი ირჩევს **სუბაშს**, რომელსაც ევალება ყანა-ჭალების მორწყვის განრიგის დაცვა, ზოგადად, განაგებს სარწყავ წყალს.

Subukenti (სუბუქენთი), დიობნის უბანი. ქართულია, **სუბუქიენთი** - სახლის სახელიაო. შდრ. სუბუქიძე.

Sulanat (სულანათ'ი), კუჭენის (ახლა Kocabey) უბანი. ქართული სახელია.

Suliyet (სულიეთ'ი), ჩიხორის (ახლა: Çukur köyü) უბანი. სახელი ქართულია. **სულას** კუთვნილია **სულიეთი**(<სულაეთი).

Suloban (სულობანი), სოფელი შავშეთში, ახლა Pınarlı köyü (ფინარლი ქოძ), ქართულია. **სხლუბანი** (Sxlubani, „Armutköy“). ამოსავალი ფორმაა **სხლობანი**(<*მსხლობანი). ავტორი ტოპონიმის სწორ სეგმენტაციას გეთავაზობს: **მსხალი+უბანი**. გაკვირვებას იწვევს ის, რომ თ. ართვინლიმ იცის „სხლობანი“ - ამოსავალი ფორმა, სალექსიკონო ერთეულად გააქვს **სულობანი**, რატომ? იქნებ ქართულის არმცოდნე ინფორმატორმა გამოთქვა ასე?

Surevan [Surevan//Sürevan] (სურევანი), სოფელი შავშეთში, ახლა - Dutlu (დუთლუ), ქართულია. **სურევანი<*ვირევანი<*ვილეევანი**; ვვიქრობთ, ამოსავალი ფორმაა **სვილეევანი**.

Susuna kaya (სუსუნა ქადა), ადგილი სინკოთში (ახლა: Küplüce köyü).

Susuz (სუსუზ'ი), სოფელი შავშეთში, ძველი - გურნათელი.

Süles (სულესი), სოფელი შავშეთში.



Şakuşet (შაქუშეთი), ტყე წიწვეთში (ახლა: Atalar köyü), სახელი ქართულია.

Şalçı (შალჯი), ძვ. ჩუვარეფი, სოფელი შავშეთში. ავტორი არ განმარტავს, რომელი ენის კუთვნილებაა დასახელებული ტოპონიმი.

Şalikgil (შალიქგილ), სხლობანის (ახლა: Pınarlı köyü) უბანი. შალიქგილ' თურქულიაო, ქობის სახელი. ავტორი ტოპონიმს უკავშირებს **შალიკაშვილს**(?).

Şarabul (შარაბული), ჩიხორის (ახლა: Çukur köyü) უბანი. კითხვით ნიშანს (?) სვამს მკვლევარი. **შარაბული** ქართულია, **შარაბის'** კუთვნილს აღნიშნავს (შდრ. გვარი შარაბიძე).

Şarieti (შარიეთი), იფხრეულის (ახლა: Taşköprü) უბანი. ქართულია. **შარიეთი** შარას კუთვნილია (შდრ. შარაძე).

Şaşvi çkaro [Şaşvits'qaro] (შაშვი ჩქარო [შაშვიწყარო]), ადგილი სხლობანში (ახლა: Pınarlı köyü), ქართულია.

Şatırlar (შათირლარ), მერიას (ახლა: Veliköy) უბანი. თურქულია, Şatırlar (შათირლარ) სახლის სახელიაო. **შათირლარ'**ი, ვფიქრობთ, „შათირების“ გათურქულებული ფორმაა. **შათირ'** ქართული სახელური ფუძეა, დაცული გვარსახელში **შათირიშვილი**.

Şaul (შაულ'ი), -კუჭენის (ახლა: Kocabey) ზიარეთი (სალოცავი, შდრ. ნიჟარაძე, 1971).

Şavket (შავქეთი), სოფელი შავშეთში, ახლა - Karaköy (ქარაქო). **ქარაქო** ქართული **შავქედის** თურქულად გადააზრებული ფორმაა.

Şavşat (შავშათ'ი), მცირე ქალაქი და რაიონული (ილჩეს) ცენტრი ართვინის ილში (გუბერნიაში), ქართული სახელია.

Şavşet (შავშეთი), ისტორიული კუთხე სამხრეთ საქართველოში.

Şavta (შავთა), სოფელი შავშეთში, ახლა Şenköy (შენქო); ქართულია **შავთა** (შდრ. შავების. **შავა'** კაცის სახელი//მეტსახელი ჩანს, შდრ. გვარი შავაძე). შეიძლება მეორე დამწებაც, ნაკლებსარწმუნო: **შავთა**<**შავმთა**'საგან. ჩვენ მაინც პირველს ვემხრობით.

Şavul (შავულ'ი), ახალდაბის (ახლა Tepeköy) უბანი. კითხვის ნიშანი (?) დაუსვამს ავტორს. **შავული**>**შაული** ქართული სახელია, გამოიყოფა **შავ'** ძირი და **-ულ** სუფიქსი. შავული **შავის**//**შავას** კუთვნილი ადგილია.

Şenköy (შენქო), სოფელი შავშეთში, ძველი **შავთა**.

Şenocak (შენოჩაქ'ი), სოფელი შავშეთში, ძველი - **ჩაქოლთა** (<ჩაქველთა).



Soltishev [Soltishev] (შოლტისჰევ'ი [შოლტისხევი]), სოფელი შავშეთში, ახლა - Karayığit (ქარაიგით'ი).

Suaseri (შუასერი), ადგილი შოლტისხევში (ახლა: Karayığit), ქართულია.

Subal (შუბალ'ი), ადგილი შოლტისხევში (ახლა: Karayığit), ქართულია. გვხვდება - **შუბალეზი**. მეტსახელი გვარი უნდა იყოს, ქობის სახელი.

Talihev [Talixev] (ტალიჰევ'ი [ტალიხევი]), ადგილი ახალდაბაში (ახლა: Tepeköy). ქართული „Tali“ (ტალი)(?), „ხევი“ - „dere“ (დერე). **ტალი**'ს მნიშვნელობა გაურკვეველია ავტორისათვის. **ტალი კაჟია** - თუმურში, ხევსურულში, მოხეურში, ფერიდნულში (იხ. უთურგაძე, 1960: 75; ჭინჭარაული, 1960: 275; ქდ, 1961:264; ბერიძე, 2018; შდრ. საბა, 1949; ჩუბინაშვილი, 1961; ჩუბინაშვილი, 1984; ქეგლ). **ტალისხევი**//**ტალიხევი** იგივე **კაჟისხევი**ა.

Tampal (ტამპალ'ი), ადგილი შავქეთში (ახლა: Karaköy), ქართულია, „Dampali“ (დამპალი) „çürük“ (ჩურუქ). ავტორმა იცის „დამპალი“ და სალექსიკონო ერთეულად გააქვს **ტამპალი**, რატომ?

Tandlienti (თანდლიენტი), იფხრეულის (ახლა: Taşköprü) უბანი. ქართულია, **თანდლიენტი** სახლის სახელიაო, შდრ. თანდილაენტი. მიწამ „შეინახა“ მამაკაცის სახელი **თანდილა**, დღეს შავშეთში მას ვეღარ გაიგონებთ.

Taplıkaro [Taplitsq'aro] (თაფლიჩქარო [თაფლიწყარო]), - წყარო დიობანში (ახლა: Meydancık), სახელი ქართულია.

Taşköprü (თაშქოფრუ), - სოფელი შავშეთში, ძველი **იფხრეული** //**იფხრევი**//**იფხევი**.

Taşhyayla (ტაშლი დაილა), სხლობანის (ახლა: Pınarlı köyü) დაილა.

Tathora [Tatxora] (ტათჰორა[ტათხორა]), ადგილი მერიაში (ახლა: Veliköy). კითხვის ნიშანი(?) დაუსვამს ავტორს.

Tatvienti (თათვიენტი), დიობნის უბანი. ქართულია. „თათვიენტი“ სახლის სახელიაო: **თათვიენტი**<**დათვიენტი**'საგან, რეგრესული ასიმილაციით. **დათვი**' მეტსახელია სახლისა.

Tavzet (თავზეთი), დაბაწვრილის (ახლა: Meşeli köyü) უბანი. ქართულია, გვხვდება **თაუზეთი**: **თაუზ-ეთ**'ი//**თავზე-ეთ**'ი.

Teleğavur (თელეღავურ'ი), ადგილი წიწვეთში (ახლა: Atalar köyü), ქართულია: **თელეღავური**<**თელეღაური**. თელეღა' მეტსახელი ჩანს კაცისა.

Telvani (თელვანი), ადგილი წეთილეთში (ახლა: Erikli köyü), ქართულია, თელვანი< თელოვანი'საგან. შდრ. **თელევნარი** (ბორჩხა).



Tenezalar (თენეზალარ'ი), ადგილი შავქეთში (ახლა: Karaköy), სახელი თურქულია.

Tepebaşı (თეფეზაში), სოფელი შავშეთში, ძველი **ზიოსი**.

Tepecik (თეფეჩიქ'ი), ადგილი **ციხიაში** (ახლა: Yoncalı köyü), ტოპონიმი თურქულია.

Tepeköy (თეფეკოი), სოფელი შავშეთში, ძველი **ახალდაბა**.

Terzibil (თერზიგილ'ი), ტბეთის (ახლა: Cevizli köyü) უბანი. თურქულია, თერზიგილ (<*თერძიგილ - ავტ.) სახლის სახელიაო. შდრ. **თერძიენთი**. **თერძი** მეტსახელი ჩანს კაცისა, იქნებ - სახლეულისაც.

Tetraket (თეთრაქეთი), ჩიხორის (ახლა: Cukur köyü) უბანი. ქართულია **თეთრაქედი**.

Tetrop (თეთროფ'ი), ადგილი წიწვეთში (ახლა: Atalar köyü), ქართული სახელია. შდრ. **თეთრობი**.

Tibet (ტიბეთ'ი), სოფელი შავშეთში (ახლა: Cevizli); ქართულია „ტიბეთი“.

Tigiget (თიგიგეთ'ი), კუჭენის (ახლა: Kocabey) უბანი. ცუდად ჩაწერილი სახელია, ჩვენთვის გაუგებარი, თუმცა სტრუქტურით ქართული, -ეთ მაწარმოებლით.

Tigrat Deresi (ტიგრათ დერესი), შდრ. ტიგრათხევი (?).

Tolyançalar (თოლიანჩალარ), ადგილი შავქეთში (ახლა: Karaköy). „თოლიანჩალარ“ თურქულიაო, სახლის სახელი. შდრ. თოლიანჩალარ <*თოლიანჭალეზი//თვალანჭალეზი.

Topçigil (თოფჩიგილ'ი), მამანელისის (ახლა: Yavuzköy) უბანი. თურქულია, სახლის სახელიაო, ამბობს ავტორი.

Toptaş (თოფთაშ'ი), დაბაწვრილის (ახლა: Meşeli köyü) უბანი, თურქული სახელია.

Tuharis Kalesi [Tuharis] (თუჰარის კალესი [თუხარის'ი]), ციხე ციხისძირში (ახლა: Kayadibi). შევნიშნავთ: თუხარისი ტაოშია, ჭოროხის მარცხენა სანაპიროზე, ჩვერელს ზემოთ, აწინდელი ოთხთა ეკლესიის სამამასახლისოში (სამუხტროში).

Tulazeler (თულაზელერ), სხლობანის (ახლა: Pınarlı köyü) უბანი. **თულაზელერ** (Tulazeler) თურქულია, სახლის სახელიაო. იქნებ, **თულაზელერ** <*თულაძელერ<*თულაძეები? თუ ასეა, მაშინ საგეოგრაფიო სახელი ქართულია, ქართული „გვარის“ საცხოვრისი.



Turmanet//Turmanize (თურმანეთი//თურმანიზე, შდრ. თურმანიძე), სოფელი შავშეთში, ახლა - Kayabaşı (ყააბაში).

Ube (უბე), სოფელი შავშეთში, ახლა - **Oba**. ტოპონიმი ქართულია.

Uçhti [Uçxti] (უჩხთი [უჩხთი]), ადგილი შოლტისხევში (ახლა: Karayığıt), ქართულია. შდრ. **უჩხითი** (სოფელი აჭარაში, ქედის მუნიციპალიტეტში).

Ukaneti (უკანეთი), ადგილი შოლტისხევში (ახლა: Karayığıt). სახელი ქართულია.

Ustamis (უსტამისი), სოფელი შავშეთში, ახლა - Eskikale (ესქიკალე). კითხვის ნიშანი(?) დაუსვამს ავტორს. **უსტამისი** ქართულია.

Üçarmut Tepesi (უჩარმუთ თეფესი), ადგილი ციხისძირში (ახლა: Kayadibi), თურქული სახელია.

Ürüto (ურუთო), ადგილი წიწვეთში (ახლა: Atalar köyü). კითხვის ნიშანი(?) დაუსვამს ავტორს.

Üzümlü (უზუმლუ), ძველი **მუხობანი**, სოფელი შავშეთში.

Vaçiet (ვაჩიეთი), ადგილი სინკოთში (ახლა: Küplüce). **ვაჩიეთი** ქართულია, **ვაჩეს** კუთვნილის აღმნიშვნელი სახელი.

Vakitav (ვაკითავი), ადგილი წიწვეთში (ახლა: Atalar köyü), ქართული სახელია „ვაკითავი“.

Vanat//Vanet (ვანათი//ვანეთი), - ადგილი სინკოთში (ახლა: Küplüce), ქართულია.

Vanta (ვანთა), ახლა ელმალი (Elmalı), სოფელი შავშეთში.

Vardihana [Vardixana] (ვადიჰანა [ვარდიხანა]), ჩიხორის (ახლა: Çukurköy) უბანი, ქართულია: **ვარდიხანა** < ***ვარდიყანა** 'საგან. საკითხავია, ავტორი რატომ იყენებს არაბუზნებრივ ფორმებს - ვადიჰანა//ვარდიხანა.

Vardohev [Vardoxev] (ვარდოჰევი [ვარდოხევი]), ადგილი ჩიხორში (ახლა: Çukurköy), ქართულია.

Vehnal [Verxnal] (ვეჰნალი [ვერხნალი]), ხანთუშეთის (ახლა: Hanlı köyü) უბანი, ქართულია, ვეხნალი < ვერხნალი 'საგან.

Vel (ველი), ახლა ჯირითდუზი (Ciritdüzü), სოფელი შავშეთში.

Velagize (ველაგიზე), ტყე წიწვეთში (ახლა: Atalar köyü), ქართულია: **ველაგიზე** < ***ველაგიძე**.

Velati (ველათი), სხლობანის (ახლა: Pınarlı köyü) დაილა. ქართულია **ველიეთი** [Veli+eti], წერს ავტორი.



Verhunal [Verxunal] (ვერჰუნალ'ი [ვერხუნალ'ი]), სოფელი შავშეთში, ახლა - **ყარააღაჯი** (Karaağaç), ქართულია: ვერხუნალი-ვერხუნალი.

Yağlı (დაღლი), ძვ. ზაქიეთი, სოფელი შავშეთში.

Yakacık (მაქაჯიქ'ი), ადგილი სხლობანში (ახლა: Pınarlı köyü). კითხვის ნიშანი (?) დაუსვამს ავტორს.

Yakıcak (მაქიჩაქ'ი), ადგილი ციხიაში (ახლა: Yoncalı köyü). კითხვის ნიშანს (?) სვამს ავტორი.

Yamançlı (ამანჩლი), ძველი მოროხოზი, სოფელი შავშეთში. ტოპონიმი თურქულია.

Yanbegiler (ანბეგილერ'ი), ადგილი წიწვეთში (ახლა: Atalar köyü), თურქულია, „**ანბეგილერ'** სახლის სახელიაო.

Yanık Tepe (ანიქ თეფე), ადგილი ტბეთში (ახლა: Cevizli köyü). სახელი თურქულია.

Yanıklı (ანიქლი), ძველი ჩიხისხევი, სოფელი შავშეთში.

Yassitepe (ასსითეფე), ადგილი მერიაში (ახლა: Veliköy), თურქულია.

Yastana (ასთანა), ადგილი შავქედში (ახლა: Karaköy). ავტორი სვამს კითხვის ნიშანს (?). ტოპონიმი ქართული ჩანს, იასთანა (იას+თანა).

Yaşarköy (აშარქოი), ძველი დაბაკეთილი, სოფელი შავშეთში.

Yavurt (ავურთ'ი), ახალდაბის (ახლა: Tepeköy) უბანი. სახელი თურქულია.

Yavuzköy (ავუზქომ), ძველი **მამანელისი**, სოფელი შავშეთში.

Yeşilce (ეშილჯე), ძველი მანატბა, სოფელი შავშეთში.

Yoğurtlu (აულურთლუ), ადგილი ციხიაში (ახლა: Yoncalı köyü), ტოპონიმი თურქულია.

Yoncalı (ონჯალი), ძველი ციხია, სოფელი შავშეთში.

Yoramgil (ორამგილ'ი), ტბეთის (ახლა: Cevizli köyü) უბანი. თურქულია, იორამგილი სახლის სახელიაო, წერს ავტორი. შევნიშნავთ: ძნელი წარმოსადგენია ანთროპონიმი **იორამი** თურქულ კულტურაში. საქმე გვაქვს ქართულ მამაკაცის სახელზე „იორამი“ სპარსული სუფიქსის (გილ) დართვასთან. შდრ. იორამიენტი (სახლის სახელი), იორამიეთი - მისი საცხოვრისი.

Yukarı Koyunlu (აუქარი ქოჟუნლუ), - ძველი სულესი, სოფელი შავშეთში.



Zağliser [Ts'qalsimer>Zağliser//Karsimel] (ზაღლისმერ'ი [წყალსიმერ'ი >ზაღლისმერ'ი //ქარსიმელ]), ახლა - ბალიქლი (Balıklı), უბანი დიობანში. **წყალსიმერი** ქართულიაო, წერს ავტორი, თუმცა რა ფონეტიკური გაუგებარია გადაქმნების შედეგია: წყალსიმერ'ი>ზაღლისმერ'ი//ქარსიმელ'ი. უფრო ქართულის არმცოდნე ინფორმატორის „მცდელობასთან“ და დაბნეულ ჩამწერთან გვაქვს საქმე. გაუგებარია ისიც, თუ ავტორს სალექსიკონო ერთეულად რატომ არ გააქვს **წყალსიმერი** და გააქვს **ზაღლისმერი**.

Zakaret (ზაქარეთ'ი), ჯინალის (ახლა: Ilica köyü) უბანი. ქართულია გეოგრაფიული სახელი.

Zakiyet (ზაქიეთ'ი), სოფელი შავშეთში, ახლა - Yağlı köyü, სახელი ქართულია.

Zakve (ზაქვე), ადგილი წიწვეთში (ახლა: Atalar köyü). კითხვის ნიშანს(?) სვამს ავტორი. **ზაქვე** (<*[გ]ზაქვე'საგან) ქართული ჩანს.

Zamidil (ზამიდილ'ი), ზენდობანის (ახლა: Arpalı köyü) უბანი. კითხვი ნიშანს(?) სვამს ავტორი.

Zendoba (ზენდობა), სოფელი შავშეთში, ახლა Arpalı köyü

Zetilet (ზეთილეთ'ი), სოფელი შავშეთში, ახლა Erikli köyü. სოფლის სახელია **წეთილეთი**. ჩვენი ავტორი „ზეთილეთს“ უკავშირებს „წეთილეთს“, მეორეს მხრივ - ზეთილეთ'ს („Yağlı“).

Zirzirat (ზირზირათ'ი), - ახალდაბის (ახლა: Tepeköy) უბანი. კითხვის ნიშანი(?) დასვა ავტორმა. იქნებ **ზირზირათი<ძირძირათი'**საგან?

Ziyaret (ზიარეთ'ი) 1. სოფელი შავშეთში, ძველი **ცეცხლაური** (Seslavur), 2. სხლობანის უბანი; 3. მერიის უბანი. სახელიც თურქულია.

Ziyatlar (ზიათლარ'ი), ტბეთის (ახლა: Cevizli köyü) უბანი. „ზიათლარ“ სახლის სახელიაო თურქული. ხომ არაა ქართული ზიათების//ზიაენტის თარგმანი?

Zios (ზიოს'ი), სოფელი შავშეთში, ახლა - თეფებაში (Tepebaşı). ქართული, **ზიო**//**ზია** კაცის სახელიაო, წერს ავტორი, უთითებს შ. ფუტკარამეს. შევნიშნავთ: ზიოსი<ზიოისი'საგან, **ზიო** ანთროპონიმი ჩანს.

შავშეთის ილჩეში თ. ართვინლი ასახელებს 68 სამამასახლისოს (სამუხტოს), ეყრდნობა თანამედროვე ადმინისტრაციულ დაყოფას. შავშეთში, ბუნებრივია, სოფლების რაოდენობა გაცილებით მეტია. ზოგჯერ ერთ სამამასახლისოში უბნის უფლებით რამდენიმე მცირე თუ დიდი სოფელია გაერთიანებული. აქვე მოვიყვანთ შავშეთის ილჩეს



სამსახლისოების ჩამონათვალს (სოფლის სახელები, მოგვეყვას ავტორისეული
ორთოგრაფიით, რომელიც ზოგჯერ დაშორებულია ტოპონიმის ამოსავალ
ფორმას):

1. **სამჯელი** - არმუთლუ მაჰალესი.
2. **სათლელი** - სოლუთლუ მაჰალესი.
3. **იმერხევი** - ენიქოჲ მაჰალესი, მედდანიჩქ ბელდესი.
4. **დიობანი** - მედდანიჩქ'ი.
5. **ზაღლისმერ'ი** - ბალიქლი მაჰალე.
6. **ივეთ'ი** - მისირლი მაჰალე.
7. **იფხევ'ი** - თაშქოფრუ მაჰალე.
8. **ჩიხთა** - აქდამლა.
9. **ზენდობა** - არფალი.
10. **აშადი სულესი** - აშადი ქოჲუნლუ.
11. **სისვეთ'ი** - ათალარ.
12. **ტიბეთ'ი** - ჯევიზლი.
13. **ველ'ი** - ჯირითდუზუ.
14. **ჰევსრულ'ი** - ჩაღლაჲან'ი.
15. **ჰოხლეგ'ი** - ჩაღლიფინარ'ი.
16. **ჩართულეთ'ი** - ჩამლიჯა.
17. **სორსელი** - ჩავდარლი.
18. **სირასინკოთ'ი** - ჩაჲაღზი.
19. **მიქელეთ'ი** - ჩერმიქ'ი.
20. **ჩიფთლიქ'ი** - ჩიფთლიქი.
21. **გარკილოზ'ი** - ჩორაქლი.
22. **ჩიხორ'ი** - ჩუქურქოჲ.
23. **ანკლია** - დალქირმაზ'ი.
24. **დაბა** - დემირჩი.
25. **კურელა** - დემირკაფი.
26. **დასამოზ'ი** - დერეიჩი.
27. **სურევან'ი** - დუთლუ.
28. **სოფორო** - დუზენლი.
29. **ვანთა** - ელმალი.
30. **ზეთილეთ'ი** - ერიქლი.
31. **უსტამის'ი** - ესქი ქალე.

32. ჰანთუშეთი - ჰანლი.
33. ჯინალი - ილიჯა.
34. ვერხუნალი - ქარაალაჯ'ი.
35. შავკეთი - ქარაქოდ.
36. თურმანეთი//თურმანიზე - ყადა ბაში.
37. სიხიზირ - ყადადიბი.
38. ზალვანა - ქირაზლი.
39. ქოთეთრისი - ქირეჩლი.
40. კუჩენი - კოჯაბედ.
41. რაბათ'ი - ქოფრულუ.
42. ჯარეთ'ი - ქოფრუქადა.
43. მორღელი - ქურუდერე.
44. სინკოთ'ი - ქუფლუჯე.
45. ბაზგირეთი - მადენქოდ.
46. დაბაზრულ'ი - მეშელი.
47. უბე - ობა.
48. სათაფლია - ოთლუჯა.
49. სულობანი - ფინარლი.
50. მოქთა - სავაშქოდ.
51. კარავათ'ი - საილიჯა.
52. ჯვარისჰევ'ი - საბზელი.
53. გუმათელ'ი სუსუზ'ი.
54. ჩუვარეფ'ი - შალჯი.
55. შავმთა - შენქოდ.
56. ჩაქოლთა - შენოჯაქ'ი.
57. ზიოს'ი - თეფეზაში.
58. ახალდაბა - თეფექოდ.
59. მუხობან'ი - უზუმლუ.
60. მერია - ველიქოდ.
61. ზაქიეთი - ძალლი.
62. მოროხოზ'ი - ძამაჩლი.
63. დაბაკეთილ'ი - ძაშარქოდ.
64. მამანელის'ი - ძავუზქოდ.
65. მანატბა - დეშილჯე.

66. სიხია - ონჯალი.

67. აუქარი სულეს'ი - აუქარი ქოდნლუ.

68. სესლაფურ'ი - ზიარეთ'ი.

შავშეთის 565 (შეიძლება უფრო მეტიც, იქნებ გამოგვრჩა რამე) გეოგრაფიული სახელი შეუტანია თანერ ართვინლის თავის ლექსიკონში და მისეული განმარტებაც მიუცია თითოეულისათვის: რომელი ენის კუთვნილებაა ტოპონიმი (უმეტესად ქართული, თურქული, იშვიათად სხვა), ფუძის აგებულება, მნიშვნელობა... ვიტყვი, რომ მასალებმა მნიშვნელოვნად შეავსო ჩვენი ცოდნა შავშეთის ტოპონიმის შესახებ. საყურადღებო მასალაა ლექსიკონში თავმოყრილი, რაც სასიკეთოდ წაადგება ჭოროხის ხეობის ტოპონიმის, ისტორიული გეოგრაფიისა თუ სამხრული დიალექტების მკვლევარს, სხვათაგ ვინც ჭოროხის ქვეყნებს იკვლევს. ამიტომაც თ. ართვინლის შრომიდან ამოვკრიბეთ შავშეთის ტოპონიმის მასალები, უმეტესობას დავურთეთ ჩვენეული კომენტარი და შემოგვაქვს სამეცნიერო მიმოქცევაში.

ყურადღებას მივაქცევთ, რომ ტოპონიმთა უმრავლესობა ქართულია. მიუხედავად ცდისა (გეოგრაფიულ პუნქტებს ქართული სახელები თურქულით შეუცვალეს „მიწის ასიმილაციის“ მიზნით) შავშეთის მიწას ჯერაც მკვეთრად ატყვია ქართული კვალი. სხვაგვარად, შავშს ახსოვს თავისი სოფლისა თუ სოფლის უბნისათვის, ყანებისა და ბახჩებისათვის, მთებისა და მდინარეებისათვის, ხევებისა და წყაროებისათვის... წინაპართა მიერ შერქმეული სახელი, რომელმაც, საუკუნეებგამოვლილმა, ჩვენამდე მოაღწია. „მიწის სახელები“ ისტორიული მეხსიერების ჯაჭვის რგოლია, რომლითაც თანამედროვე შავში, ხშირად ქართული ენის არმცოდნე, დიალოგს მართავს წარსულთან. ვფიქრობთ, ძველი გეოგრაფიული სახელები რომ დავიწყებას მიეცემა, კუთხის ასიმილაციის პროცესიც დასრულდება. ამ თვალსაზრისით შავშეთში ქართული ფენომენი ჯერაც ცოცხალია. შავშები, ზოგადად და უპირველესად მშობლიურენადაკარგული ნაწილი, არ წყვეტენ ურთიერთობას წარსულთან, რაც მნიშვნელოვანია.

თ. ართვინლის მსჯელობაში არის ზოგიერთი შეუსაბამობა: -**ეთ** სუფიქსიანი სახელები ზოგჯერ სახლის სახელებად//ქობის სახელებად არის



მიჩნეული, რაც, ვფიქრობთ, არასწორია³. -**ეთ** გეოგრაფიულ სახელებში აღნიშნავს ოჯახის, ეთნიკური ჯგუფის თუ ერის საცხოვრისს.

- სალექსიკონო ერთეულად გეოგრაფიული სახელები გააქვს განსხვავებული ორთოგრაფიით, რასაც თავადაც გრძნობს ხოლმე ავტორი და მსჯელობაში სწორ ფორმას ასახელებს კიდევ. ჩანს, მკვლევარი ანგარიშს უწევს ტოპონიმის თურქულ გამოთქმას, რომელიც ხშირად სცილდება ამოსავალ ფორმას:

სისვეთი - წიწვეთის ნაცვლად.

სიხია - ციხიას ნაცვლად.

ზეთილეთი - წეთილეთის ნაცვლად.

ჰანთუშეთი - ხანთუშეთის ნაცვლად.

სულობანი - სხლობანის ნაცვლად.

სეფთა - წეფთას ნაცვლად.

ხევსრული - ხევწვრილის//ხევწრულის ნაცვლად.

სიჰიზირ - ციხისძირის ნაცვლად.

გუმათელი - გურნათელის ნაცვლად...

- ტოპონიმებში „იკითხება“ შავშურის ზოგიერთი ფონეტიკური თავისებურება, სხვაგვარად, გეოგრაფიული სახელები მნიშვნელოვანი წყაროა დიალექტის შესასწავლად.

კურელა<კვირელა<*ყვირელა<ყვირალა.

სურევანი<სვირევანი.

ვერხუნალი<ვერხვნალი.

ქოთეთრისი<ქვათეთრისი.

სულობანი<სხულობანი<სხლობანი.

მოქთა<მოქვთა.

ჯვარისჰევი<ჯვარისხევი.

ჩუვარეფი<ჯუვარეფი<ჯვარეფი.

ჩაქოლთა<ჩაქველთა.

გუმათელი<გუნათელი<გურნათელი...

აღვნიშნავთ, რომ ქართული სახელის სწორად ჩაწერას ხელს უშლის თურქული დამწერლობაც, რომელიც ქართულისაგან განსხვავებული ფონეტიკური სისტემის ენისთვისაა შექმნილი. თ. ართვინლის შრომის

³ აღვნიშნავთ, რომ -**ეთ** სუფიქსს გვარის მაწარმოებლად მიიჩნევს არაერთი მკვლევარი საქართველოში (იხ. ენუქიძე, 1977:39; კახიძე, 2013:31 და შემდეგ).



გაცნობის შემდეგ ვრწმუნდებით, რომ თურქული დამწერლობა სრულიად გამოუსადეგარია ქართული სიტყვის ჩასაწერად.

- გეოგრაფიულ სახელებს დაუცავს ცნობები ზოგიერთი ისეთი „გვარის“ შესახებ, რომელიც დღეს შავშეთში აღარ გვხვდება.

- დაკვივებული თვალი ტოპონიმებში გაარჩევს ქრისტიანული ხანისა და ოსმალობის პერიოდის ანთროპონიმებს.

მომავალში დაკვირვების ობიექტი უნდა გახდეს ჭოროხის ხეობის თურქული ტოპონიმები. უმეტესად ადგილისათვის სახელების ახალი ნიშანია შერჩეული:

ტბეთი - ჯევიზლი;

ბაზგირეთი - მადენი;

დაბაკეთილ'ი - მაშარქო;

მამანელის'ი - მაფუზქო;

მანატბა - დეშილჯე;

ციხია - დონჯალი...

ზოგჯერ ახალი სახელი ძველის თარგმანია:

შავქეთი - ყარაქო;

ციხისძირი - ყადაღი...

ვფიქრობთ, თ. ართვინლის შრომა მნიშვნელოვანი წყაროა შავშეთის ტოპონიმების შესასწავლად, თუმცა მკვლევარმა სიფრთხილით უნდა გამოიყენოს იგი.

1.3. შავშეთის ტოპონიმის მასალებს ვხვდებით ოსმალურ დავთრებშიც. ხელთა გვაქვს:

1. „შავშეთის ნაჰიე - შავშეთისა და იმერხევის ლივის მოკლე დავთარი (1550-70-იანი წლები).

2. „ჩილდირის ეიალეთისადმი დაქვემდებარებული სათლელის სანჯაყის მუსლიმ მამაკაცთა აღწერის დავთარი“ (ჰიჯრით 1251 წ. (1835/1836 წწ) (შემდგომში: დავთარი).

„დავთრები“ ოსმალურიდან თარგმნა პროფესორმა ზაზა შაშიკაძემ. მაღლობას მოვახსენებთ მას თარგმანების მოწოდებისათვის. ვიტყვით, რომ კვლევისათვის ყველა მასალა ძვირფასია და ყურადღების ღირსი.

„დავთრებში“ ნახსენები გეოგრაფიული სახელები საყურადღებოა, უპირველესად ჩვენთვის ცნობილისაგან ფორმასხვაობით:



ყვირალეთი - სოფელი ყვირალას ხეობაში. თანამედროვე ყვირალელები, „ყიფჩალების შთამომავლები“, თავიანთ სოფელს **ყვირალას** ეძახიან.

ზემო აგარა - სოფელი შავშეთში, ახლა - ზენაგარა (<ზენა აგარა).

წითელეთი - სოფელი შავშეთში, ადგილზე **წეთილეთს** ამბობენ. შესაძლოა: **წითელეთი**>**წეთელეთი**>***წეთილეთი**. **წითელა** მამაკაცის სახელი //მეტსახელი ჩანს (შდრ. გვარი - წითელაძე). **წითელას** ოჯახის საცხოვრისია წეთილეთი.

კოკოლაური - სოფელი შავშეთში (დასტურდება სახლის სახელი - კოკოლიენთიც). ალბათ, **ქოქოლაური** უნდა მივიჩნიოთ ამოსავალ ფორმად: **ქოქოლაური**>**კოკოლაური**. **ქოქოლა** კიდევ შენახულია გვარში - ქოქოლაძე (<ქოქოლასძე).

ჭილობ'ი - სოფელი შავშეთში.

ქვათეთრისი - სოფელი შავშეთში. უმეტეს წყაროებში **ქოთეთრისი** (<ქვათეთრისი. ვა>ო ფონეტიკური გარდაქმნით) დასტურდება. ოსმალურ „დავთარს“ დაუცავს ამოსავალი ფორმა.

მორდილი//მორღალი - სოფელი, დღეს **მორღელს** უწოდებენ.

ბამგირეთი - სოფელი, ახლა **ბაზგირეთი** ისმის. ოსმალურ „დავთარს“ ამოსავალი ფორმა შეუნახავს.

ციხია - სოფელი. თ. ართვინლის ლექსიკონში სალექსიკონო ერთეულად „სიხია“ შეუტანია. ამოსავალი ფორმა „ციხია“ უნდა იყოს, რაც შეუნახავს „დავთარს“. იმავე ფორმას ვხვდებით „კავკასიის ხუთვერსიან რუკაზე“.

წიწვეთი - სოფელი შავშეთში. თ. ართვინლის ლექსიკონში „სისვეთი“ შეუტანია. ამოსავალი ფორმა „დავთარს“ დაუცავს.

აკვითი, იგივე მანატბა, სოფელი შავშეთში. **აკვითი** ამოიკითხა მკვლევარმა, ფორმა ეუცხოვა და კითხვის ნიშანი(?) დაუსვა. ახლა მანატბის სახელით იცნობენ ამ სოფელს. სამიებელია, რატომ შეიტანა ოსმალთა მოხელემ **აკვითი**? თავდაპირველად **აკვითი** ხომ არ ერქვა ამ სოფელს?

წებთა - სოფელი, მას ახლა **წეფთად** იხსენებენ. ამოსავალი ფორმა **წებთა'** ჩანს, **წეფთა** მისი ფონეტიკური ვარიანტია (ბ:ფ მონაცვლეობით მიღებული). თუმცა ქართული საისტორიო წყარო იცნობს **წეფთა'**სა (წერეფთა) და **წერბეთ'**ს (იხ. ქ.ცხ.1, 1955:292, სქ.).

„დავთარებს“ შეუნახავს ისეთი გეოგრაფიული სახელები, დღეს რომ აღარ ჩანს, რაც ზრდის ამ დოკუმენტისადმი ინტერესს:



სბოლალა - სამჯელის უბანი. დავთრის წამკითხველმა კითხვის ნიშანი(?) დაუსვა სახელს.

მაჰარათი (<მახარეთი?) - სოფელი. აღნიშნული გეოგრაფიული პუნქტი არ ჩანს არც ისტორიულ წყაროებში, არც „ხუთვერსიან რუკაზე“, არც შავშეთში სახელებენ.

ბაგრატი - სოფელი. ასეთი გეოგრაფიული პუნქტი დღეს არ გვხვდება.

შაული - სოფელი. იქნებ იგივეა, რაც „ხუთვერსიანი“ რუკის „ბეშაული?“

საკრია - სოფელი შავშეთში. არ ჩანს ჩვენთვის ცნობილ წყაროებში.

ჩედარი - სოფელი შავშეთში. ამ სახელწოდების სოფელი არ დასტურდება. **ჩედარი<*ჭედარი<ჭადარი** (ჩ:ჭ მონაცვლეობითა და რეგრესული დისიმილაციით: ა-ა>ე-ა).

ჩედარი ღელე - მდინარე. **ჩედარი ღელე** სოფელ ჩედარს ჩამოუდიოდა ალბათ. „გაქრა“ სოფელი (უფრო: ტოპონიმი **ჩედარი**), „გაქრა“ - „ჩედარი ღელეც“.

მადრაჯი - ადგილი სამწყართან.

ანზარაქი - სოფელი. დღეს აღარ ჩანს ეს გეოგრაფიული პუნქტი, ან სახელი შეუცვალეს და სახელშეცვლილი განაგრძობს არსებობას სოფელი, ანდაც ნასოფლარია უკვე უსახელო.

ჩუდესი//ჩუტე - სათესი. ორივე ფორმა დასაშვებია (დ:ტ მონაცვლეობით). **ჩუდესი<ჩუდე[ი]სი** ვილაცის კუთვნილს აღნიშნავს.

მამასი//ფაფასი(?) - სოფელი, ახლა აღარ ჩანს. იქნებ **ჰაპიეთია?**

„დავთრებში“ შეტანილი მასალები იმითაც იქცევს ყურადღებას, რომ მასში სოფელთან ერთად ხშირად მისი უბნებიცაა დასახელებული:

მოქთა (<მოგვთა) რამდენიმე უბნისაგან შედგება: **შინდობანი, სათაფლია, სხლობანი, უკანჭალა.**

სათლელი სამ უბანს აერთიანებს: **გურნათელი, საბუღარა, დაბაკეთილი.**

შავშეთის ონომასტიკის მასალები გვხვდება ქართულ საისტორიო თუ ლიტერატურულ თხზულებებში, კერძოდ, „ქართლის ცხოვრება“ (იხ. ქ.ცხ. I, 1955; II, 1959; III, 1973), „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, „ტბეთის სულთა მატთანე“ (იხ. მატთანე, 1977), ასევე, დიმიტრი ბაქრაძის (ბაქრაძე, 1987), გიორგი ყაზბეგის (ყაზბეგი, 1995), ზაქარია ჭიჭინაძის (ჭიჭინაძე, 1913), ნიკო



მარის (Mapp, 1911; მარი, 2012), ექვთიმე თაყაიშვილის (თაყაიშვილი, 1, 2016) შრომებში.

შავშეთის ტოპონიმისა და ისტორიული გეოგრაფიის საკითხებს იკვლევდნენ პავლე ინგოროყვა (ინგოროყვა, 1954), იური სიხარულიძე (სიხარულიძე, 1988), ნუგზარ ცეცხლაძე (ცეცხლაძე, 2000; 2004; 2011), შუშანა ფუტყარაძე (ფუტყარაძე, 1993), ტარიელ ფუტყარაძე (ფუტყარაძე, 2007)...

შავშეთის ონომასტიკის მასალები ასევე შეკრებილია ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის მუდმივმოქმედი კომპლექსური ექსპედიციის მიერ 2005, 2009, 2010 წლებში შავშეთში მოწყობილი სავლე ექსპედიციების დროს. კვლევისას ძირითადად ვეყრდნობით ექსპედიციის მიერ ველზე მოპოვებულ მასალებს, ვითვალისწინებთ ასევე სხვა მკვლევართა ჩანაწერებსაც.

ხელთა გვაქვს შავშეთის ონომასტიკის (უმთავრესად ტოპონიმის) მრავალფეროვანი მასალა, რომლის სათანადო ანალიზი მნიშვნელოვნად წაადგება შავშეთის დიალექტის, ასევე ისტორიული გეოგრაფიისა და შავშეთის ეთნოგრაფიის საკითხების კვლევას.

§2. შავშეთის ტოპონიმთა სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი

შავშეთის ტოპონიმის წყაროების განხილვის შემდეგ გადავდივართ გეოგრაფიულ სახელთა სტრუქტურულ-სემანტიკურ ანალიზზე. ვცდით ტოპონიმების სემანტიკას, ვისაუბრებთ ზოგიერთი სახელური ფუძის ეტიმოლოგიაზე. აღვნიშნავ, რომ ჩვენ ხელთაა შავშეთის გეოგრაფიულ სახელთა საკმაო რაოდენობა, შევეცდებით, ყურადღების მიღმა არ დაგვრჩეს არც ერთი მათგანი, რადგანაც ჩვენთვის ძვირფასია შავშეთში (და არა მარტო) გადარჩენილი ყველა ქართული თუ არაქართული სახელური ფუძე.

2.1. უსუფიქსო გეოგრაფიული სახელები

შავშეთის ტოპონიმთა ერთი ნაწილი უსუფიქსოა. გვხვდება როგორც თანხმოვანფუძიანი, ისე ხმოვანფუძიანი სახელები.

2.1.1. **თანხმოვანფუძიანი სახელები.** შავშეთის გეოგრაფიულ ნომენკლატურაში თანხმოვანფუძიანი სახელები დასტურდება ზოგჯერ მხოლოდითი, ზოგჯერაც მრავლობითი რიცხვის ფორმით. ჩვენ ყველა ერთ ჯგუფში გავაერთიანეთ.

ჰევი (ზაქიეთის უბანი).



ჯანჯირი⁴ (ბაზგირეთის⁵ დაილა): შესაძლებელია, ამ ფუძეს სხვაგვარი ახსნაც მოეძებნოს, კომპოზიტად იქნას მიჩნეული, თუმცა ახლა ამის საფუძველს ვერ ვხედავთ.

ხოზაბირი/ხოდაბირი (ადგილი ჩიკისკევეში).

წერი (ადგილი ახალდაბაში): ყურადღებას იქცევს **წერ** ფუძე ტოპონიმად. იქნებ იგი **წვერ**ისაგანაა მიღებული ვ'ს დაკარგვით, თუნდაც **მწერ**ისაგან მ'ს დაკარგვით? დაბეჯითებით რაიმეს თქმა ძნელია⁶.

წალკოტი (ადგილი სვირეგანში, იქ სადაც მაღარაა), იგივე სახელი გვხვდება დაბაწვრილსა და უბეშიც. უბეშიც მაღარების მიდამოებს ქვია წალკოტი. ბუნებრივია, დაიბადოს კითხვა: რატომ უწოდებენ ძველი მაღარების (უფრო ქვაბების) მიდამოებს წალკოტს? რაზე მიგვანიშნებს ეს შემთხვევა? **წალკოტი** ხილის ადგილი, ბაღია, საბას განმარტებით (იხ. საბა, 1949). იმავე მნიშვნელობით - ყვავილნარი, ბაღი, იხმარება ძველ ქართულშიც (აბულაძე, 1973). როგორც ვთქვით, ხსენებული სახელი ფიქსირდება მაღარების, ქვაბების ახლოს. ჩანს, ქვაბები ადამიანთა ძველი სადგომია, ყვავილნარი და ბაღიც ადამიანის საცხოვრისთანაა.

მინდორი - ადგილი უსტამისსა და ჯვარისკევეში.

ვანი⁷ (ეკლესია), **ვანი** (ადგილი გურნათელში), **ვანი** (ნასოფლარი აგარისწყლის მარჯვენა ნაპირზე (სიხარულიძე, 1988:31). ი. სიხარულიძე მოიყვანს ნ. მარის მოსაზრებას, რომ **ვანი** სომხური **ვანქ**'ის სახენაცვალი ფორმაა, ასე უწოდებდნენ შავშეთის სომხობა. თუ გავითვალისწინებთ, რომ შავშეთი ქართული ქვეყანაა, და იმასაც, რომ შავშეთის ტოპონიმიაში სომხური

⁴ იური სიხარულიძე აღნიშნავს, რომ **ჯანჯირი**, „ერთ დროს საზაფხულო სამოვარი საუკუნის დამდეგს (იგულისხმება XX საუკუნის დამდეგი - ავტ.) გაუქმებული ყოფილა (იმოწმებს ნ. მარს. იხ. სიხარულიძე, 1988: 58). **ჯანჯირი** ზანიზიმიაო, ამბობს მკვლევარი. აღნიშნავთ, რომ **ჯანჯირი** ამჟამად მოქმედი დაილაა, ბაზგირელებს ახლაც დაუდით ზაფხულობით საქონელი.

⁵ **ბაზგირეთი** < ბაძგირეთი > საგან, თუმცა ახლა უფრო **ბაზგირეთი** იხმის, ამიტომაც ამ ფორმას გამოვიყენებთ მსჯელობისას.

⁶ ხუთვერსიან რუკაზე დატანილია **წერეთი** (Щереть) (Пагирев, 1913), მაგრამ სხვაგან და არა შავშეთში. **წერეთ**შიც **წერ** ძირი გამოიყოფა. **წერეთ** სახელური ფუძე შეიძლება გამოვყოთ გვარში **წერეთ-ელ**'ი (წარმომავლობის სახელი ჩანს, შდრ. წერეთიდან).

⁷ ნ. მარი აღნიშნავს, **ვანი** არის საკუთრივ იმ ეკლესიის სახელწოდება, რომლის ნანგრევებიცაა ტაუზეტთან (თაუზეტთან - ავტ.), სომხები მას **ტაუზეთის ჯვარს** უწოდებენ...“ (მარი, 1911: 109). საყურადღებო ინფორმაციაა. ჩანს, ეკლესიის სახელწოდებაა თაუზეთის ჯვარი.



ფენა მეორეული და ახალია, მაშინ **ვანი** კი არაა **ვანქ**ის სახენაცვლი ფორმა, არამედ **ვანქია ვანის** სომხურადქცევის შედეგი. სახეზე გვაქვს ტოპონიმიზე „ზეწოლის“ ფაქტი. **ვანი** ძველ ქართულში ნიშნავს: სადგომი, „სახლი“, დაბა, საცხოვრებელი, მონასტერი, „საყოფელი“, „ბუნაგი“ (აბულაძე, 1973; შდრ. საბა: ვანი - სადგომი იხ. საბა, 1949). როგორც ვხედავთ, ქართულში **ვანი** ცნობილი სიტყვაა, მრავალი მნიშვნელობის მქონე.

ლოთი - ადგილი კოკბერეთში. უცნაურია **ლოთ** სახელური ფუძე ცნობილი მნიშვნელობით ტოპონიმად. წარმოსადგენადაც ძნელია, რა ნიშნით შეარჩია სახელმდებელმა კოკბერეთის მცირე პუნქტისათვის ეს სახელი. შეიძლება დავუშვათ, რომ **ლოთი** რომელიმე სახელური ფუძის ფონეტიკურად სახეცვლილი ფორმაა: **ლოდი** (დ:თ მონაცვლეობით), **ლოტი** (თ:ტ მონაცვლეობით). ლოდი „კლდე“, „ქვა“ ძველ ქართულში (იხ. აბულაძე, 1973). **ლოტ**ს კიდევ „სველის“ მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს (შდრ. ლტობა - დასველება). სულხან-საბა **ლოტ**ის განსხვავებულ მნიშვნელობაზე მიუთითებს: „**ლოტი** - გაუყარი მეზობელი“ (საბა, 1949). „ხუთვერსიან რუკაზე“ ამავე რეგიონში დატანილია **Лоды-Ваке** [ლოდი-ვაკე] (იხ. Пагирев, 1913). **ლოთ**ი [Lot] შეაქვს ლექსიკონში თ. ართვინლისაც (ართვინლი, 2013), ოღონდ არა შავშეთში.

შაული - ადგილი ახალდაბაში. ი. სიხარულიძე ასახელებს მთა **შაულს** (სიხარულიძე, 1988:35). **შაული** უაფიქსო სახელი ჩანს, თუმცა არ გამოვრიცხავთ, შაული<შავული>საგან (V-V პოზიციაში ვს დაკარგვა დაშვებულია შავშურში და,ზოგადად, სამხრულ დიალექტებში). თუ ჩვენს ვარაუდი სწორია, მაშინ შავულ სახელურ ფუძეში გამოიყოფა -ულ სუფიქსი, შდრ.: შარაბული, ნადირაული, ქვიტაური//ქვატაური...

ვენახი - ადგილი ჩაქველთაში. ვენახი ძველ ქართულში აღნიშნავდა „საყურძენი“, „საყურძნე“, „ვენაჯოვანი“, „სანერგე“, „ვაზი“, ზვარი, „ნასხლევი“ (აბულაძე, 1973). საბას განმარტებით „ვენაჯი - საყურძნეა“ (საბა, 1949). აღნიშნულ ტოპონიმს ყურადღებას მივაქცევთ იმიტომაც, რომ თანამედროვე შავშეთში ვაზი ნაკლებადაა, შესაბამისად, ვაზთან დაკავშირებული სახელებითაც ღარიბია შავშური დიალექტი. **ვენახი//ვენაჯი** გეოგრაფიული სახელი ინახავს ვაზის ხსოვნას შავშთა ქვეყანაში.

ჩიხორი სოფელი იმერხევში და მანატბელთა **აილა** (ჩხორი). მანატბელთა აილა დღეს გაუქმებულია, „ჩხორ აღარ წავდივართო“, გვითხრა ერთმა მანატბელმა. ნ. მარი დაასახელებს **ჩიხორის** უბნებს:



ანდრიაწმინდა (წითელოდლი), **ლიბანი**, **დასამობი**, **გიგითი**, **ბრილი**, **აგარა**, **ნიოლეთი** (ნიოლისძე). ჩანს, გასული საუკუნის დამდეგსაც ჩიხორი დიდი სოფელი ყოფილა. ი. სიხარულიძის აზრით, „ჩიხი“ ციხეს გულისხმობს“(სიხარულიძე, 1988:54). მკვლევარი აზრს გამოთქვამს, თუმცა არ ცდილობს მის დასაბუთებას (კოლხურ ჯიხას - ციხე (იხ. ქობალია, 2010; თანდილავა, 2013) ხომ არ უკავშირებს მკვლევარი: ჯიხა>ჩიხა? იქნებ! ჩვენთვის გაუგებარია, რატომ გულისხმობს „ჩიხი“ ციხეს, ერთი მხრივ, და „მეორეს მხრივ“ რა არის „ორ“ (ჩიხ-ორ) ელემენტი აღნიშნულ ფუძეში? სუფიქსი? ქართული ენა იცნობს -ორ სუფიქსს, თუმცა სხვა ფუნქციით (იხ. ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე, 1988:352). ვფიქრობთ, **ჩიხორ**’ი მარტივი ფუძეა და მისი სეგმენტაცია არასწორია.

ჩიხირი - ძალია, შესაძლებელია დავუკავშიროთ **ჩიხორს** (>ჩიხირი, ი-ო>ი-ის ასიმილაციით).

ბრილი - სოფელი შავშეთში. „ბრილი გრილი ადგილია, მზე არ მიადგება, ბრილიც იმიტომ დუურქმიან“. მევლუთ ჩელიქი, ბრილელი განმარტავს: „ჰელზეთ გრილი ბრილზე გადააბრუნესო“ (ფაღავა, 2013:168). ტოპონიმი **ბრილი** გვხვდება აჭარაშიც, სოფელი შუახევის მუნიციპალიტეტში.

ჩრდილი - სოფელი შავშეთისწყლისა და უსახელო ხევის შესაყარში (სიხარულიძე, 1988:14).

„ხუთვერსიან რუკაზე“ დატანილია Чидилъ [ჩიდილი], ალ. ჯავახიშვილის რუკაზე - ჭიდილეთი.

ჩრდილი>ჩდილი>ჩიდილი (თურქულ გამოთქმაში). აღვნიშნავთ, რომ „ხუთვერსიან რუკაზე“ ხშირად თურქიზებული ფორმებია შეტანილი, აქედან ნ. მართანაც. ჩანს, ნ. მარი თავის ჩანაწერებს „ხუთვერსიანი რუკით“ „აზუსტებს“, იქნებ ავსებს კიდევ. **ჩიდილის** „ქართული წაკითხვა“ ჩანს ალ. ჯავახიშვილისეული „ჭიდილი“, აქედან **ჭიდილეთი**. **ჭიდილი** თუ **ჭიდილეთი** ჩვენ არ დაგვიდასტურებია.

კოდი - ადგილი დევაძეების წყლის მარჯვენა სანაპიროზე (სიხარულიძე, 1988:60). **კოდი**’ საწყაოა ძველ საქართველოში (იხ. საბა, 1949). **კოდი** არ დასტურდება „ხუთვერსიან რუკაზე“, დასტურდება კოდა’, ოღონდ სხვა რეგიონში და არა შავშეთში.

კოდი რამდენიმე მნიშვნელობით იხმარება ქართულში: 1. ხის დიდი ჭურჭელი, გაკეთებული გულამოდებული მორისაგან. იხმარება ჩვეულებრივ მარცვლეულისა და ფქვილის, აგრეთვე რძის ნაწარმის შესანახად... 2.



მთლიანი ხის მოგრძო ჭურჭელი, წყაროსთან დადგმული ცხოველის დასარწყლულეზლად. 3. მარცვლეულის საწყაო სხვადასხვა ზომისა... 4. გულამოღებული მორი უძირო, რომელიც მიწიდან ამომდინარე წყაროშია შვეულად ჩადგმული წყლის შესაკრებად და გამოსადენად... 5. ფუტკრის გეჯა, რომელსაც შვეულად დგამენ... (ქეგლ). როგორც ვხედავთ, კოდის ხუთივე მნიშვნელობას აქვს საერთო, - გულამოღებული ხის მორია კოდი, თუ რა დანიშნულებით გამოიყენება იგი, სხვა საქმეა. ვფიქრობთ, ხსენებული ტოპონიმი უკავშირდება კოდის მეორე, მეოთხე ან მეხუთე მნიშვნელობას: ა. კოდი ადგილია, სადაც დგას „მთლიანი ხის მოგრძო ჭურჭელი... ცხოველის დასარწყლულეზლად“; ბ. ადგილი, სადაც გულამოღებული მორია ჩადგმული წყლის შესაკრებად და გამოსადენად; გ. ადგილი სადაც ფუტკრის გეჯები, კოდებია დადგმული. ადგილის სახელმდებელს დასახელებულ ნიშანთაგან ერთ-ერთი შეურჩევია სახელდებისათვის.

ხოზაბირი, სოფელი შავშეთში. „ხუთვერსიან რუკაზე“ დატანილია „Хозабартъ” [ხოზაბარტი], ნ. მარი იწერს **ხოზაბირ**’ს, ჩვენ ჩავიწერეთ - **ხოზაბირი/ხოდაბირი**. რუსული **ხოზაბარტი** ქართული **ხოზაბართ**’ის(?) გარუსულეზლული ფორმაა. ვფიქრობთ, ამოსავალი ფორმაა **ხოზაბირი**, თუმცა მის მნიშვნელობაზე რაიმეს თქმა არ შეგვიძლია.

ზნელი - ადგილი მანატბაში, დასაშვებია „ძნელი“ (ზ:ძ მონაცვლეობით).

ქილი ადგილი შავშეთში (ფალავა, 2013:321). ტოპონიმი დატანილი არაა „ხუთვერსიან რუკაზე“, არც თ. ართვინლის ლექსიკონშია შეტანილი. გვხვდება **ქილი თავები//ქილი თავი**, ოღონდ ბორჩხის ილჩეში (კლარჯეთში), ლეკობანში.

აჭარულში დასტურდება **ქილი//კილი**, „კრკილი - გამხმარი ხორცის მღრნელი მატლი, „მწერთ კვერცხი - მსხმილი“ (საბა, 1949), დარჩილული ხის მტყვერი“(ნიქარაძე, 1971).

ფერეიდულს დაუცავს „**კირკილი**“ მკილის, ჩრჩილის მნიშვნელობით (ბერიძე, ბაკურაძე, ნახუცრიშვილი, 2018). **კირკილ**’ი ფუძეგაორკვეებული კომპოზიტია: **კილკილი>კირკილი** (რეგრესული დისიმილაციით).

ქილი//კილი ადგილია, სადაც ქილია, ანდაც - დაქილული//დაკილული ხეები.

ბარი - ადგილი უსტამისში, მთის (თის) ანტონიმი: ბარი - მუდმივი საცხოვრისი, მთა (//თა) საზაფხულო სადგომი, დაილა.



ლიბანი ჩიხორის უბანი (სიხარულიძე, 1988:59). ჩვენ ჩავიწერეთ როგორც აგარის უბანი. „ხუთვერსიან რუკაზე“ დატანილია **ლიონიძე**. ნ. მარი შენიშნავს: „ლიონიძე სინკოთთან არის, აქედან 2-3 ვერსში“ (მარი, 2012:223). მთავარია, რომ შავშეთის ამ უბანში დასტურდება გეოგრაფიული სახელი **ლიბანი**.

ლიბანი//ლებანი აჭარულში გვხვდება, აღნიშნავს ციტრუსის ან კაკლის ნაყოფის ნაწილს: ციტრუსის ნაყოფი ლებნებისაგან//ლიბნებისაგან შედგება, ასევე ორი ლებნისაგან შედგება კაკლის ნაყოფი, ლობიოს მარცვალი... (შდრ. საბა, 1949; ფიტკარაძე, 1993). რა კავშირი შეიძლება ჰქონდეს ტოპონიმ **ლიბანს** ნაყოფის ლიბანთან//ლებანთან ძნელი წარმოსადგენია. შესაძლოა, **ლიბანი** დაუკავშირდეს ლივანს (ბ:ვ მონაცვლეობით), შდრ. ლივანა.

ველი - სოფელი ქალაქ შავშათს ქვემოთ. დატანილია „ხუთვერსიან რუკაზე“ (Пагирев, 1913).

ვერცხლი - ადგილი შავშეთში, ზაქიეთთან (სიხარულიძე, 1993:57).

ილილი - მთა (მარი, 2012:148). ეს მთა არ იცის „ხუთვერსიანმა რუკამ“. **ილილი** <ილინი>საგან თურქულია და ნიშნავს **ხევი, გროვა, შეკრებილობა** (იხ. ფუტკარაძე, 1993).

უკეთი - სოფელი ყვირაღას ხეობაში. „ხუთვერსიან რუკაზე“ დატანილია **Укедь** [უკედი].

გიორგი ყაზბეგი ჩაიწერს „უხედი“(ყაზბეგი, 1995:63), ნ. მარი - „უკეთი“. ამოსავალი ფორმა ჩანს **უკეთი**, რაც არ/ვერ გამოკეთდება.

ჯვარი - ადგილი მახარობიხევში (სიხარულიძე, 1988:29). აღნიშნავთ, რომ **ჯვარი** გეოგრაფიულ სახელად შედარებით იშვიათია, უფრო გავრცელებულია **ჯვარ’ფუძიანი კომპოზიტები** და სინტაგმა ტოპონიმები (იხ. ქვემოთ).

დასამობი - ამ გეოგრაფიული სახელის შესახებ ნ. მარს ჩაუწერია: „... მაღალ მთაზე ცხოვრობდა და-ძმა. და გარბოდა სათამაშოდ, ძმა - გაეკიდა. აღმოჩნდა, რომ და სამობს. აქედანაა სწორედ დასამობის სახელწოდებაო“(მარი, 2012:156). მშვენიერი ეტიმოლოგიური ლეგენდაა, თუმცა **დასამობი** ფუძის მნიშვნელობა საძიებელია.

წიალი - ჭედლის მეზრე. აღნიშნულ ფუძეს ძველ ქართულში რამდენიმე მნიშვნელობა აქვს: „გაღმა, იმ მხარეს, გამოღმა, ამ მხარეს“; ილია, კალთა“ (აბულაძე, 1973). ვფიქრობთ, ტოპონიმი „წიალი“ ძველი ქართულის მნიშვნელობისაა, აღნიშნავს: გაღმა ან გამოღმა მხარეს. ბარემ ვიტყვი, რომ



სოფლის მამასახლისი ნ. მარს უმტკიცებდა, „წილი ქართულად სიცხეს ნიშნავსო“ (მარი, 2012:284).

მელი - სოფელი საყავრისაწყლის მარცხენა სანაპიროზე (სიხარულიძე, 1988: 14). ი. სიხარულიძე **მელ'** სახელურ ფუძეს **მელო'**ს უკავშირებს (მელო სოფელია ჭოროხის ხეობაში. იხ. სიხარულიძე, 1988:57). ვფიქრობთ, ორივე ტოპონიმში ერთი საერთო ძირი, მელ' გამოიყოფა.

დორიკი - ადგილი იმერხევში.

რაბათი - ადგილი ჩაქველთას ქვემოთ, ციხის ახლოს, თავად ციხის ტერიტორიას **მეთაბრა** ქვია.

ამოიწურა ჩვენს ხელთ არსებული უაფიქსო თანსხმოვანფუძიანი გეოგრაფიული სახელები. ვცადეთ, ზოგიერთი ფუძის მნიშვნელობის ახსნა. ერთი რამ ნათელია, სახელმდებელი (ადგილის ნათელია) სახელდებისათვის ხშირად ისეთ ნიშანს იყენებს, რომლის ახსნა ჭირს, ხშირად ვერც ხერხდება. მიგვაჩნია, რომ ჩვენი „ცდებიც“ ხშირად „სათუოა“, არაფერს ვიჩემებთ, მხოლოდ ჩვენეულ ვარაუდს გიზიარებთ.

2.1.2. **ხმოვანფუძიანი სახელები.** უაფიქსო ტოპონიმების ერთი, შედარებით მცირე ნაწილი ხმოვანზე დასრულებული სახელებია:

ა: ეკლესია - ადგილი დაბაში. ადგილობრივები ამ ადგილს **ქილისას** უწოდებენ.

მერია - სოფელი შავშეთში, სხლობანისწყლის ორივე სანაპიროზე.

აგარა - სოფელი წერეთისხევის მარცხენა სანაპიროზე (იხ. სიხარულიძე, 1988:56). აღვნიშნავთ, რომ შავშეთში რამდენიმე აგარა დასტურდება.

მეთაბრა - ჩაქველთას ციხის მიმდებარე ტერიტორია.

წიფელა - ადგილი უსტამისში.

დაბა - სოფელი იმერხევის ხეობაში. დაბელთა განმარტებით, **დაბა**=ტაბა'საგან. ტ:დ ფონეტიკურად შეპირობებული ბგერათცვლილება სამხრულ კილოებში. მოულოდნელია, აღნიშნულ სოფელს **დაბა'** რომ ქვია, „მომცრო ქალაქი მოზღუდვილი“ (საბა, 1949).

შავშეთში ა'ზე დამთავრებული რამდენიმე ნასესხები სახელიც გვხვდება ტოპონიმად:

ქილისა - ადგილი ზენაგარაში. **ქილისა//ქილისე** პარალელური ფორმებია, ა:ე მონაცვლეობას აუსლაუტში.



აილა - რამდენიმე გეოგრაფიული კონქტი გვხვდება ამ სახელწოდებით: საზაფხულო სამოვრები შამბალეთის წყლის მარჯვენა სანაპიროზე, იმერხევის მარცხენა სანაპიროზე, იმერხევის მარჯვენა სანაპიროზე. აილა საზაფხულო სამოვარია. შავშები ისტორიულად მისდევენ მესაქონლეობას, შესაბამისად, ყველა სოფელი ზაფხულობით საქონელს მთაზე//თაზე მიერეკებოდა. ყველა სოფელს საკუთარი ან სხვასთან საზიარო სამოვარი ჰქონდა. ვიტყვით, რომ აილების უმეტესობას საკუთარი სახელი აქვს, მხოლოდ რამდენიმეა უსახელო და მას აილას ეძახიან (საზოგადო სახელი გეოგრაფიულ სახელად არის ქცეული). აილა საზაფხულო სახლსაც ჰქვია (იხ. ნიჟარაძე, 1971; ფუტყარაძე, 1993).

ყიშლა - შუა ადგილი მთასა (აილა) და ბარს (აქ: სოფელი, მუდმივი საცხოვრებელი) შორის, „საგაზაფხულო და სამემოდგომო სამოვარი“ (იხ. ნიჟარაძე, 1971; შამილაძე, 1966; სახოკია, 1950...). აღვნიშნავთ, რომ ყიშლებს ჩვეულებრივ საკუთარი სახელი ჰქონდა, იშვიათია ყიშლა გეოგრაფიულ სახელად. ბევრი ძველი **ყიშლა** დღეს სოფლადაა ქცეული.

ე: მერე - ადგილი წყალსიმერთან და სურევანთან. მერე მდინარისპირა დაბლობია, ხშირად იყენებენ სახნავად...(იხ. ჩუბინაშვილი, 1961; ნიჟარაძე, 1973; ფუტყარაძე, 1993). სულხან-საბას განმარტებით, მერე „მეედანი, სწორი ვაკეა“ (საბა, 1949). ჩანს, საბასთვის **მერე** მხოლოდ მდინარისპირა დაბლობი არაა, ვაკეა, მეედანია ზოგადად. **მერე** საზოგადო სახელია, იშვიათად გვხვდება ადგილის სახელად. **მერე** გეოგრაფიულ სახელად გვხვდება გიორგი მერჩულეს თხზულებაშიც, ადგილი, სადაც გრიგოლ ხანძთელმა დაარსა დედათა მონასტერი, კარჩხალას ხეობაში (კლარჯეთი) უნდა ყოფილიყო.

ციხე - ფაფართის მთაზე (სიხარულიძე, 1988: 59). ციხეებს ხშირად სახელი არ აქვთ, ამიტომაც საზოგადო სახელს იყენებენ მის აღსანიშნავად, - ციხე. შავშეთში **ციხე**ს უწოდებენ სიმარეს ტბეთს ზემოთ, ვახუშტი ბატონიშვილი მას თუხარისად მიიჩნევს (იხ. ქ.ც.ხ. IV, 1973:679, სქ.3). შევნიშნავთ, რომ თუხარისის ციხე ტაოშია, აწინდელ სოფელ ჩევრელში (ვრცლად იხ. ფაღავა, 2017: 325 და შემდეგ; ტაო, 2020: 837, სქ. 20.).

უბე - სოფელი იმერხევიში. სულხან-საბას განმარტებით, **უბე** - სიღრმეა (უთითებს: 3 მეფ. 22,35); „**უბე** მსოფლიოდ⁸ წიადს უწოდენ“ (საბა, 1949). ძველ ქართულშიც **უბე** წიადია, კალთა; ფერდი; ფოსო, ყურე (აბულაძე, 1973). **უბე** და **წიადი** სინონიმური მცნებებია.

⁸ მსოფლიო - ერისკაცნი (აბულაძე, 1973).



სოფელი **უბე** ფერდობი ადგილია. **უბეს** ეს მნიშვნელობა შავშელთა მეტყველებისათვის უცნობია, ტოპონიმმა შეინახა იგი. სახელმძღვანელოს კარგად შეურჩევია სოფლის სახელდებისათვის ნიშანი.

საყურადღებოდ გვეჩვენა **უბეს** დასახლება, უბნები: **გოგვიეთი** (//გორგვიეთი), **იბიშიენთი**, **მიღმიენთი**, **კულულიენთი**, **კოვიენთი** (//კოვიძენი), **კორტიენთი** (//კორტოხამენი), **ჭივიენთი**, **ზორბები**.

როგორც ვხედავთ, სოფლის უბნებს ქმნის ერთი სახლელი. დასახლების ეს ტიპი გვხვდება მთელს ჭოროხის ხეობაში. აღვნიშნავთ, რომ ზოგიერთი „გვარი“ უბეში დღეს აღარ ცხოვრობს, მიწამ შეინახა მისი ხსოვნა.

ვაკე - ადგილი დაბაწვრილში. საზოგადო სახელი ადგილის სახელად ქცეულა. ანალოგიური შემთხვევები ბევრია გეოგრაფიულ სახელთა ნომენკლატურაში.

დარე - ადგილი მანატბასა და უბეში. **დარე** ცნობილი ფუძეა სამხრულ მეტყველებაში, ნიშნავს: ფერდი, ფერდობი, გვერდი, გვერდობი (იხ. ნიჟარაძე, 1971).

ო: კალო - ადგილი ზენაგარაში. საბას განმარტებით, **კალო** „სალეწავი ადგილია“ (საბა, 1949). იმავე მნიშვნელობით **კალო** იხმარება ძველ ქართულშიც (აბულაძე, 1973). განსხვავებული მნიშვნელობა აქვს კალოს აჭარულში: „მოტეხილი სიმინდის გროვა“ (ნოღაიდელი, 2015). ქვემოაჭარულში **კალოს** ეზოს მნიშვნელობა აქვს: „ბედი **კალოზე** მომდგომია, ხომ არ გუუშვებ?“ (ორთაბათუმი).

ზო - ადგილი დაბაში. **ზო** დასტურდება იმერულში, ნიშნავს: „მზიანი, უჩრდილო ადგილი. სადამომდი მზე რო ეფიცხება, ისაა ზო“ (ძოწენიძე, 1974; შდრ. ლლონტი, 1984). აღვნიშნავთ, რომ **ზო** არ დაგვიდასტურებია არც ერთ სამხრულ დიალექტში, ფუძე დაუცავს გეოგრაფიულ სახელს.

ბარო - ციხე ჩაქველთას ქვემოთ (მარი, 2012:154).

წუმპო - ადგილი დაბაწვრილში, გვხვდება **წუმპეც**; ნიშნავს: წყლიან, სველ ადგილს (შდრ. საბა: „წუმპე - იგივე ლაფი“(საბა, 1949). შ. ნიჟარაძე სალექსიკონო ერთეულად გაიტანს **წუმპვას** და განმარტავს: „მთლად ერთიანად დასველება, წუწვა, წყლით გაწუწვა ერთმანეთისა, წუწაობა“(ნიჟარაძე, 1971).

ლადო - უბური ძაილა: „უბური თა ზათი ლადოა“ (უბე). „ვახუშტის მიხედვით, ლადოს მთებითაა გაყოფილი იმერხევი მაჭახლისაგან. ლადოს მთა მართლაც მაჭახლისკენაა, მაგრამ ლადო ერთ ადგილს ქვია ახლა, დროთა



სვლაში დავიწროვდა ტოპონიმის მნიშვნელობა“ (ფალავა, 2013:53-54). **ლადოს** მნიშვნელობა შავშურს არ დაუცავს, არც სხვა სამხრულ დიალექტებს.

ლადა' გვხვდება კომპოზიტიში ლადალუდა (დასტურდება მოხეურსა და მესხურში) და ნიშნავს: **მოხეური:** უსწორ-მასწორო, ქვიან-ბორცვიანი გზა;“

მესხური: 1. გაუვალი, უგზო და ბნელი ადგილები, ორწოხები; 2. წყვდიადით მოცული სივრცე (იხ. ღლონტი, 1984).

ვფიქრობთ, **ლადო** გაუვალი, უსწორ-მასწორო ადგილია, ორწოხი.

მოვიყვანეთ ხმოვანფუძიანი უსუფიქსო გეოგრაფიული სახელები. ჩანს, უმეტესი ფუძე გამჭვირვალეა, ხერხდება მათი ახსნა. რამდენიმე სახელი სრულიად უცნობი ფუძეა, რომელთა მნიშვნელობის დადგენა ვერ შევძელით. აღვნიშნავთ, რომ ზოგიერთი სახელი დაივიწყა დიალექტმა, არ იხმარება შავშთა მეტყველებაში, მაგრამ „შეუნახავს“ ტოპონიმს. დაბოლოს, მნიშვნელოვანია, რომ ტოპონიმთა უმეტესობა ქართულია, თუმცა უმეტეს მათგანს თურქული „შემცვლელი“ მოეპოვება. ორსახელიანობის პირობებში ქართული რომ ახსოვთ მეთურქულე შავშეთშიც კი, დასტურია, რომ ქართული ელემენტი ჯერაც ცოცხალია ამ კუთხეში, რომ შავშთა „ლინგვისტური ასიმილაციის“ (სინტაგმა ნიკო მარისაა) პროცესი შორსაა წასული (შავშების დიდმა ნაწილმა დაივიწყა წინაპართა ენა და „გათურქდა“), მაგრამ დასრულებული არ არის.

2.2. ოდენპრეფიქსური წარმოება შავშეთის ტოპონიმიაში

პრეფიქსური წარმოების რამდენიმე ტოპონიმი დადასტურდა შავშეთში. მცირეა მათი რაოდენობა ჭოროხის სხვა ქვეყნებშიც. ვადასტურებთ, რომ ოდენპრეფიქსური წარმოების ტოპონიმები მცირეა, სიმცირის მიზეზზე კი არავინ მსჯელობს. თ. ზურაბიშვილი იტყვის ერთგან: „ეს მოვლენა (პრეფიქსური წარმოების სიმცირე - ავტ.) საერთოდ სიტყვაწარმოებას ახასიათებს“ (ზურაბიშვილი, 1961:140). „... ამ ტიპის სახელთა სიმცირე იმით აიხსნება, რომ წინავითარების სახელებს ჩვეულებრივ პრეფიქს-სუფიქსური წარმოება ახასიათებთ (ნა-არ, ნა-ევ, ნა-ურ), ოდენ პრეფიქსი, ნა- იშვიათია. იგივე ითქმის სა- პრეფიქსზე...“ (ზურაბიშვილი, 1961:140). მოგვიანებით თ. ზურაბიშვილის აზრს გაიზიარებს ფ. მაკალათია (იხ. მაკალათია, 1976: 30). ჩვენც ვფიქრობთ, რომ ოდენპრეფიქსური წარმოების სიმცირე პრეფიქს-სუფიქსის ჩამოყალიბებას უკავშირდება. პროცესი უფრო ადრე ჩანს დაწყებული, ჯერ კიდევ მაშინ, როცა პრეფიქსური წყობის ენა სუფიქსაციის



გზას დაადგა, შედეგად, ადრინდელმა პრეფიქსებმა დამოუკიდებელი ფუნქცია დაკარგეს, ან სახელის ფუძეს შეეხორცნენ, ანდაც სუფიქსს მიეკედლენ და მის „თანამოაზრედ“ იქცნენ. ძალზე მცირე დარჩა ენაში დამოუკიდებლად მოქმედი პრეფიქსი.

მოვიყვანთ ოდენპრეფიქსური წარმოების ტოპონიმებს შავშეთიდან:

უ-: **უ-ხედი**, - ადგილი ზენაგარაში. „რაც არ ჩანს, უხედა“.

უ-ხრავე, - ადგილი იმერხევში. **უხრავე** მცენარეა, Хмелеград, Незмайка... უხრავე (მაყაშვილი, 1991). ფიტონიმი გამოყენებულია გეოგრაფიულ სახელად.

ნა-: **ნა-სყიდი**, - ადგილი აგარაში, რომელიც იყიდეს.

სა-: **სა-ფორი**, - სოფელი სათლელისწყლის მარჯვენა ნაპირზე (სიხარულიძე, 1988:23). გვხვდება **საფორო>სოფორო**ც (რეგრესული ასიმილაციით).

სულხან-საბას განმარტებით, „**ფორი** - მეედანია“ (საბა, 1949), „**ფორო** - ფორია“, ეს უკანასკნელი კი ასეა განმარტებული: „**ფორო** - ვეგი ამოდრუტენილი“ (საბა, 1949). „**ვეგი** - კოჭია“ (საბა, 1949). შესაძლებელია, ჩვენი ტოპონიმი (საფორი) დაუფუკავშიროთ მოედანს, „ადგილი მოედნისათვის“, ანდაც დიალექტურ „ობს“ (ფორი აჭარულში, ინგილოურში, იმერულში, აღნიშნავს ობს. იხ. ნიჟარაძე, 1971; ჯანაშვილი, 1913; ძოწენიძე, 1974). რამდენადაც **ფორი** მოედნის მნიშვნელობით სამხრულ დიალექტებში არ ჩანს, ვფიქრობთ, ხსენებული გეოგრაფიული სახელი უკავშირდება დიალექტურ **ფორს, ობს**.

მოყვანილი ოთხიოდე პრეფიქსური წარმოების გეოგრაფიული სახელი დავადასტურეთ შავშეთში.

2.3. ოდენსუფიქსური წარმოება შავშეთის ტოპონიმიაში

შავშეთის ტოპონიმიაში მრავალფეროვნებით გამოირჩევა სუფიქსებით ნაწარმოები გეოგრაფიული სახელები. წინასწარ აღვნიშნავ, რომ ყველა ბოლოსართი თანაბარი სიხშირით არ გამოიყენება სახელური ფუძის საწარმოებლად, რაც ბუნებრივია.

2.3.1. **სუფიქსი -ეთ**. ტოპონიმთა ფუძის საწარმოებლად შავშეთის ტოპონიმიაში, ისევე როგორც ზოგადად ქართულ გეოგრაფიულ



ნომენკლატურაში, ხშირად გამოიყენება თს შემცველი სუფიქსები სხვადასხვა ხმოვნის თანხლებით: **-ეთ**, **-ით**, **-ათ**, **-ოთ**, **-უთ**, **-თა**. ამათგან ყველაზე დატვირთულია **-ეთ**, სხვები შედარებით - ნაკლებად.

-ეთ სუფიქსის შესახებ მრავალმა მკვლევარმა გამოთქვა მოსაზრება (Mapp, 1938:50; 1925:69; კეკელიძე, 1955:116-119; ჩიქობავა, 1926: 308; დონდუა, 1948:133-146; ზურაბიშვილი, 1961:144). თითოეულის მოსაზრებას აქ აღარ მოვიყვანთ, რადგანაც საკითხზე სხვაგან ვმსჯელობთ (იხ. კლარჯეთი, 2016:607; ტაო, 2020:827). ყველა მკვლევარი თანხმდება, რომ „-ეთ სუფიქსის ფუნქციაა მრავლობითობის თუ კრებითობის გამოხატვა“ (ფაღავა, 2015:3). შესაძლებელია, ვიფიქროთ, რომ „-ეთ და ყველა თს შემცველი სუფიქსისეული თ’ იგივეა, რაც სახელებსა და ზმნებში რიცხვის მაწარმოებელი -თ(ა)“ (ფაღავა, 2015:3). ყურადღებას მივაქცევთ, რომ ქართულ მეცნიერებაში **-ეთ** სუფიქსის შესახებ გამოთქმულია განსხვავებული მოსაზრებაც:

ა. **-ეთ** და **-ელ** ერთი და იგივე ფუნქციის მატარებელია (ყაუხჩიშვილი, 1959:077-078), ანუ აწარმოებს წარმომავლობის სახელებს?

ბ. **-ეთ** აწარმოებს მამაკაცის გვარებს (ენუქიძე, 1977:39; შდრ. კახიძე, 2013:31). მოყვანილი მოსაზრების შემდეგ დაიბადება კითხვა: ქალის გვარებს რაღა აწარმოებს? გამოთქმული მოსაზრება აცდენილია რეალობას. თინა ენუქიძისა და სხვათა მოსაზრების შესახებ მსჯელობას აქ აღარ გავაგრძელებთ, რამდენადაც მასზე საუბარია მონოგრაფიაში „კლარჯეთი“ (კლარჯეთი, 2016:610-611) და მ. ფაღავას ნაკვლევებში (ფაღავა, 2015:9). მკითხველის ყურადღებას მივაქცევთ პ. ინგოროყვას ერთ მოსაზრებას: „საქართველოთი“ ძველ ქართულად აიხსნება აგრეთვე როგორც „საქართველოსეული“ და შესადარებლად მოიყვანს დავით აღმაშენებლის მატთანეში ნახმარ სინტაგმას „მამული ლიპარიტეთი“ - „მამული ლიპარიტისეული“ (ინგოროყვა, 2009:287; შდრ. ქავთარაძე, 1985: 65-67). ვიტყვით, რომ „ლიპარიტეთი“ ლიპარიტისა და მისი სახლეულის კუთვნილია, საცხოვრისია (სწორად ხსნის პ. ინგოროყვა), მაგრამ ძნელი დასაჯერებელია, რომ „საქართველოთი“ - „საქართველოსეულია“, სხვაგვარად, „მამული ლიპარიტეთი“ და „საქართველოთი“ არ შეიძლება ერთ სიბრტყეზე მოთავსდეს (იხ. ტაო, 2020:827-828).

დაბოლოს, კიდევ ერთ მოსაზრებაზე შევჩერდებით: გ. დიასამიძე ერთგან აღნიშნავს: „...გამოთქმულია მოსაზრება, რომ -ეთ სუფიქსით ძველად



ადამიანთა გვარებიც იწარმოებოდა. როგორც ჩანს, -ეთ სუფიქსით წარმოებული გვარსახელები შემდეგ ქართულ გეოგრაფიულ სახელებად ჩამოყალიბდა(?). ამ თვალსაზრისით გვარსახელოვანი წარმოშობისა ჩანს დღევანდელი ტოპონიმები: გორგაძეთი, გვიანეთი, კეჯერეთი, სიკალეთი, ცხადიეთი (დასახლებული პუნქტები ზედა ჩხუტუნეთში). შესადარებლად მოიყვანს მასალას „ტბეთის სულთა მატთანედან“: გუიანეთ, კეჯერეთ, ცხადიეთ, სიკალეთ“ (დიასამიძე, 1988:77). მოყვანილი მსჯელობა დაზუსტებას მოითხოვს:

-ეთ სუფიქსი გვარებს არ აწარმოებს, იგი დაერთვის ადამიანის სახელს ან მეტსახელს და მისი ან მისი ოჯახის კუთვნილს/საცხოვრისს აღნიშნავს. ამის დასტურია მაჭახლური სოფლის უბნების გ. დიასამიძის მიერ მოყვანილი სახელებიც (გორგაძეთი გვიანდელი//ახალი მოვლენაა. მეზე დასრულებულ გვარებს -ეთ სუფიქსი ჩვეულებრივ არ დაერთვის, შდრ. ადგილის სახელი: გორგაძე/გორგაძეები), ასევე „ტბეთის სულთა მატთანეში“ მოყვანილი ე.წ. „გვარები“ ადგილის სახელებია. რომელიმე გუიანეთი ადგილის სახელია, გუიანას//გვიანას კუთვნილი მამულის სახელი.

-ეთ გეოგრაფიულ სახელს აწარმოებს ეთნიკური სახელისაგან: შავში (ეთნიკური სახელი), **შავშთა** ქვეყანას **შავშეთი** უწოდეს. ბარემ აღვნიშნავთ, რომ ქართველოლოგიაში შავშეთის „ეტიმოლოგიის“ რამდენიმე ცდაა მოცემული:

ნუგზარ ცეცხლაძე (იხ. ცეცხლაძე, 2004:15) მოიყვანს ვახუშტი ბატონიშვილისა და ზაქარია ჭიჭინაძის მოსაზრებებს: „სიტყვა „შავშეთში“ გამოიყოფა „შავ“ ფუძე და -ეთ მაწარმოებელი. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, ეს ფუძე დაკავშირებულია **შავთან**, - რადგან შავშეთი ტყეებით გამორჩეული ქვეყანაა, სახელდებაც მოხდა ამის მიხედვით. ვახუშტი თავის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ წერს: „შავშეთი - ვითამ შავში და არა სპეტაკში, მთა-კლდოვან ტყის გამო“ (ქ.ცხ. IV, 653).

შენიშნავთ: შავშეთში გამოიყოფა **შავშ** ფუძე და არა **შავ** (უკანასკნელის შემთხვევაში **შავეთი** გვექნებოდა და არა **შავშეთი**). **შავშ** ფუძე ჩანს ტოპონიმში **შავშები** (სოფელი მცხეთის ახლოს). რომ არ გავაგრძელოთ, ვახუშტი ბატონიშვილისა და მასზე დაყრდნობით გამოთქმული მოსაზრება ე.წ. ეტიმოლოგიურ ლეგენდას არ სცილდება და არ აქვს საერთო მეცნიერულ ეტიმოლოგიასთან.



ზაქარია ჭიჭინაძე ამბობს, „იქაური მკვიდრნი ამბობენ, რომ შავშეთს ოსმალურად **ნისლათას** უწოდებენო, ე.ი. ნისლიანი ქვეყანაო... ვახუშტის თქმით, შავშეთს სახელი მისგან დარქმევია, რომ შავშეთში ყოველთვის, ნაძვნარის მეოხებით, სიბნელეა, შავით არის მოსილი და იმიტომ უთქვამთ, რომ „შავშიო“. ამნაირად, სიტყვა შავშიდან წარმომდგარა შავშეთი“ (ჭიჭინაძე, 1913:264).

დავიწყეთ იმით, რომ შავშეთის ეტიმოლოგიაზე მსჯელობისას ფაქტად ვერ გამოდგება, რომ ოსმალები შავშეთს ნისლათას უწოდებენ. ჩანს, ოსმალებმა ქვეყნის სახელდებისას ახალი ნიშანი შეარჩიეს, რომ კუთხე ნისლიანია. შავში' სატომო სახელია და არა ში' თანდებულისანი გასუბსტანტივებული ზედსართავი. შავშეთი ისეთივე წარმოების გეოგრაფიული სახელია, როგორც კახეთი (შდრ. კახი), იმერეთი (შდრ. იმერი), მესხეთი (შდრ. მესხი), კლარჯეთი (შდრ. კლარჯი), კოლხეთი (შდრ. კოლხი), ჰერეთი (შდრ. ჰერი), სვანეთი (შდრ. სვანი)...

მოგვიანებით **შავშეთ**'ის ახსნა სცადა იური სიხარულიძემ: „შავშეთი -ეთ მაწარმოებლით მიღებული ტოპონიმია ფუმიდან **შავში**“ (სიხარულიძე, 1988:6). „შავში“ ფუძეს ხედავს მკვლევარი **შავშაქ**'ში (ან **შავშაკ**'ში, - ტყე აღმოსავლეთ გურიაში). **შავშაქ**' თავად მარტივი ფუძეა. თუ ამოსავლად მივიჩნევთ **შავშაკ**'ს, მაშინ შეიძლება **შავში**' ძირი და -აკ სუფიქსი გამოვყოთ...

ანანია შირაკაცი ახსენებს „შავშეთს“ ხევის და ქვეყნის მნიშვნელობითო, განაგრძობს მსჯელობას მკვლევარი (სიხარულიძე, 1988:6). ანანია შირაკაცი **შავშეთში**, ხევის მნიშვნელობით, ალბათ აწინდელ შავშეთისწყლის ხეობას გულისხმობს, ქვეყანაში - თავად **შავშეთს**.

იური სიხარულიძე ცდილობს **შავშეთ**'ი ამოიკითხოს რუსულ რუკებზე დატანილ შავკეთში (Шавкетъ. Пагирев, 1913), მდებარეობს შავშეთისწყლის მარცხენა ნაპირზე. რუსულ Шавкет'ში **შავქედი** იკითხება და არა შავშეთი.

მაშასადამე: **შავში**' - სატომო სახელი.

შავშეთი - შავშთა საცხოვრისი (შდრ. ჟამთააღმწერელი, 1987:65;78).

შეცდომაა: **შავშელი**. ამ შემთხვევაში **შავში** ქვეყანის სახელია და არა ტომის.

თუ რატომ უწოდეს **შავში**' ამ ქართულ ტომს, პასუხის გაცემა ჭირს, რამდენადაც სახელდებისათვის შერჩეული ნიშანი ნათელი არაა. ამიტომაც მოსალოდნელია, ამ თემაზე მსჯელობა მომავალშიც გაგრძელდეს და ახალი ვარაუდებიც გამოითქვას. არსებული მოსაზრებები სარწმუნო არ არის.



მცირე ჩანართი: ერთ შრომაში, მ. ფალავა მსჯელობს შატბერდის ეტიმოლოგიაზე. დასტურდება ტოპონიმის ორი ფორმა: **შატბერდი** და **შატბერთი** (უკანასკნელს იყენებს პავლე ინგოროყვა (იხ. ინგოროყვა, 1954: 306). ამოსავალ ფორმად მიჩნეულია **შატბერთი** < ***შატბერთა** > სავან. შატბერთი მრავლობითის ფორმად მიაჩნიათ (ვრცლად იხ. კლარჯეთი, 2016: 650-657). **შატბერა** ფუძე დასტურდება გვარსახელში **შატბერაშვილი**. მსჯელობა დამაჯერებელია, ცდა - გამართლებული. დასაშვებად მიგვაჩნია მსჯელობის ასე გაგრძელება: **შატბერთი** < ***შატბერეთი** > სავან. თუ ეს მოსაზრება მისაღებია, მაშინ მოიხსნება სპეციალურ ლიტერატურაში არსებული ბევრი უხერხულობა, რამდენადაც **შატბერთი** < ***შატბერეთი** > სავან ქართულია და აღნიშნავს **შატბერას** კუთვნილს, მისი ოჯახის საცხოვრისს. იგი იმავე ყალიბით ნაწარმოები გეოგრაფიული სახელია, რითაც ასეულობით ტოპონიმი ჭოროხის ქვეყნებში.

აქვე შევხებით კიდევ ერთ საკითხს: ბოლო ხანებში ქართულ მეცნიერებაში გაჩნდა ცდა **შარბიეთისა** და **შატბერდის** იდენტიფიკაციისა. რასაც გაუჩნდა მომხრეებიც. ჩვენ ისევ ჩვენს აზრზე ვრჩებით. იოანე ბაგრატიონი ქართლში ასახელებს სოფელს **შარაბეთი**. სქოლიოში გატანილია ვარიანტები: **შარამეთი**, **შარაბეთი** (ბაგრატიონი, 1986: 48). ამოსავალი ფორმა ჩანს **შარაბეთი** (შარაბ-ეთ-ი), ხოლო **შარბეთი** **შარაბეთ** ის შეკუმშული ფორმაა. რაც შეეხება **შარამეთ** ს მიღებულია **შარაბეთ** ისავან მ:ბ მონაცვლეობით. ამდენად, **შარბეთი** და **შარამეთი** **შარაბეთის** ფონეტიკური ვარიანტებია. **შარაბ** სახელური ფუძე დაცულია გვარში **შარაბისძე** (შდრ. **შარბიენთი** შავშეთში). **შარაბი** მამაკაცის სახელი ან მეტსახელი ჩანს.

ჩვენი მსჯელობიდან ჩანს, რომ **შარბიეთი** და **შატბერთი** (<შატბერეთი) ორი სხვადასხვა ფუძეა. დაუჯერებელია **შატბერდ** ისავან **შარბიეთ** ის მიღება. და რაც მთავარია, **შატბერდიცა** და **შარბიეთიც** ქართულია.

დავუბრუნდეთ -ეთ სუფიქსიანი ტოპონიმების განხილვას.



ა. -**ეთ** დაერთვის საკუთარ სახელს//მეტსახელს და აღნიშნავს სახლის //სახლეულის კუთვნილს, მის საცხოვრისს:

კოკლი-ეთი - დიობნის უბანი (მარი, 2012:170): **კოკოლა-ეთ-ი>კოკლი-ეთ**ს (შდრ. ქოქოლა>ქოქლი-ეთ-ი, გვარი: ქოქოლაძე). **კოკოლა** კაცის სახელი //მეტსახელი ჩანს (შდრ. კიკოლა<კოკოლა რეგრესული დისიმილაციით).

ბალტი-ეთი - ზაქიეთის უბანი (მარი, 2012:216). ჩვენ ადგილზე ჩავიწერეთ **ბელტიეთ**ი. **ბალტი//ბელტი** (ბალთი//ბელთი) მამაკაცის სახელი ჩანს (შდრ. „გვარი“ ბალთოღლი).

გიგი-ეთი - ადგილი დასამობის გვერდით (მარი, 2012: 216). **გიგი** - მამაკაცის სახელია.

გორომ-ეთი - სოფელი ჩხაკათხევის მარცხენა სანაპიროზე (სიხარულიძე, 1988:15). **გორომ** სახელური ფუძე შეიძლება მიღებული იყოს **გორგომ**ისაგან **გ**'ს დაკარგვით. **გორგომ**ი სალექსიკონო ერთეულად შეაქვს სულხან-საბას, თუმცა არ განმარტავს (საბა, 1949), ხოლო ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით გამოცემულ ლექსიკონში (იხ. საბა, 1, 1991) იგი განმარტებულია, როგორც **ხე. გორგომა** იგივე **ხურტკმელია** (Крыжовник, Grosularia recnilata) დიალექტებში **გორგომა** სხვადასხვა სახელით იხმარება:

მესხურ-ჯავახური - **ღორღოშო, გორგოშა, ღორღოშინა**;

ზემოიმერულსა და რაჭულში - რუსული **მოცხარი...**(მაცაშვილი, 1991).

გორგომა კაცის სახელი ჩანს, იქნებ მეტსახელიც, დაუცავს გვარს **გორგომაძე** (<გორგომაძსძე).

ხანთუშეთი - სოფელი შავშეთში. ტოპონიმს ახსენებს შუმანა ფუტკარაძე (იხ. ფუტკარაძე, 1993:184), თუმცა რაიმე განმარტებას არ იძლევა. რ. ხალვაშმა გაარკვია **ხანთუშეთის** მნიშვნელობა. XVI საუკუნის მიძნამორელ მოღვაწეთა შორის არიან **ჯანთუშისძეები**. მკვლევარი მიუთითებს, სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრდა არასწორი დაწერილობა **ჯანთუბიძე//ხანთუბიძე//ხანთუმიძე**. რ. ხალვაში ხელნაწერის ფოტოპირებში ამოიკითხავს „**ჯანთუშისე**“ და „**ხანთუშისძე**“, უკავშირებს მას შავშეთის სოფელ **ხანთუშეთს** და აკეთებს დასკვნას: „არსებობს საფუძველი ვიფიქროთ, რომ **ჯანთუშისძეთა//ჯანთუშიძეთა//ხანთუშიძეთა** გვარის სამკვიდრებელი სწორედ შავშეთის **ხანთუშეთი** იყო“ (კლარჯეთი, 2016:157). ვფიქრობთ, მსჯელობა დამაჯერებელი და მისაღებია.

ბელემ-ეთი - სამოვარი საბუდარას ახლოს (მარი, 2012:147; სიხარულიძე, 1988:40). **ბელემ**(ა) ანთროპონიმი ჩანს (შდრ. გვარი **ბელემაძე**).



მარკუე-ეტი - სოფელი შავშეთისწყლის მარჯვენა სანაპიროზე (სიხარულიძე, 1958:40). **მარკუეტი//მარკვეტი**<***მარკოეტი**ისაგან. **მარკო** მამაკაცის სახელია, **შდრ. მარკოიძე** - გვარი ზემო აჭარაში. **მარკუეტი //მარკვეტი მარკოს** ოჯახის საცხოვრისია.

ქადაგ-ეტი, „ხუთვერსიან რუკაზე“ დატანილია „Кадагетъ“[**კადაგეტი**] (Пагирев, 1913) **ქადაგეთის** გარუსულებული ფორმა. გეოგრაფიული სახელი მომდინარეობს ანთროპონიმიდან „ქადაგი“, იგივე სახელი დადებია საფუძვლად გვარს „ქადაგიძე“ (შდრ. სიხარულიძე, 1988:44).

მიქელ-ეტი - სოფელი ყვირაღას ხეობაში, **მიქელეთი** ქვია ადგილს შოლტისხევიც. სოფლის სახელი გვარსახელიდან (მიქელაძე) უნდა მომდინარეობდესო, წერს ი. სიხარულიძე (იხ. სიხარულიძე, 1988:46).

განვმარტავთ: შავშეთმა არ იცის გვარი „მიქელაძე“. მიქელეთი მიქელას სახლის საცხოვრისია.

ივ-ეტი - ივხრეულის უბანი. ი. სიხარულიძე ასახელებს ფორმას - ივეეთი (სიხარულიძე, 1988:51). **ივეტი** შეაქვს ლექსიკონში თ. ართვინლის (ართვინლი, 2013). ჩანს, ამოსავალია **ივეთი**. აღვნიშნავთ, რომ იოანე ბაგრატიონი გორში ასახელებს სოფელს **ივრეთი** (იხ. ბაგრატიონი, 1986:40). ხომ არ შეიძლება, **ივეთისა** და **ივრეთის** დაკავშირება? ივრეთი <ივერეთისაგან; ივეთი<ივრეთი<ივერეთისაგან.

ზაქი-ეტი - სოფელი იმერხევიში. „სოფელს **ზაქიეთი** ჰქვია, მაგრამ არავინ იცის, **ზაქი** რა არის. ზაქიეთში და მთელს შავშეთში კამეჩს ჯამუმს ეძახიან, მის შვილს კი - **კოტოს//კოტიას**“ (ფაღავა, 2013: 43). **ზაქი** სახელი//მეტსახელი ჩანს კაცისა...

გამიშ-ეტი//**გამეშ-ეტი** - მცირე სოფელი ბაზგირეთს ზემოთ, ახლა მისი უბანი. ი. სიხარულიძე ასახელებს **გომიშეთ**სა და **გამიშეთ**ს ცალ-ცალკე (სიხარულიძე, 1988:57), რაც შეცდომაა. სოფლის სახელია **გამიშეთი**, დასტურდება მისი ასიმილირებული ფორმაც, - **გამეშეთი**. ტოპონიმს საფუძვლად უდევს **გამიშ//გამეშ** ანთროპონიმი (დაცულია გვარში - **გამიშიძე//გამეშიძე**).

დავით-ეტი სურევანის უბანი. იური სიხარულიძის აზრით, „უბნის სახელი გვარსახელისაგან მომდინარეობს...“ (სიხარულიძე, 1988:59). ვერ დავეთანხმებით მკვლევარს. **დავითეთი** მომდინარეობს მამაკაცის სახელისაგან **დავითი** და მისი სახლის საცხოვრის, რომელიც სოფლის უბანს ქმნის, აღვნიშნავს. **დავითეთი** და მისთანა ანთროპონიმული წარმოშობის



გეოგრაფიული სახელები გაცილებით ძველია, ვიდრე გვარი თანამედროვე გაგებით.

კუტალ-ეთი - სურევანის უბანი. ნ. მარი ასახელებ **კოტალაძე//კუტალაძე** ფორმებსაც. **კუტალა** კაცის მეტსახელი ჩანს.

წიქრ-ეთი - დიობნის უბანი. ნ. მარი ასახელებს **წითელაძე, წიქრაძე, წიქრეთი** (მარი, 1911:75). **წიქრეთი**<**წიქარეთი**>საგან, შეკუმშული ფუძეა. **წიქარ** ფუძე დასტურდება ტოპონიმში **წიქარეული** (სოფელი ორთაბათუმის თემში). **წიქარა** მეტსახელი ჩანს, დაცულია გვარში - **წიქარიძე**.

ჩაქურ-ეთი - ზაქიეთის უბანი. გეოგრაფიული სახელის ფუძედ გამოყენებულია კაცის სახელი//იქნებ მეტსახელი **ჩაქური**, შენახულია გვარსახელში **ჩაქურიძე**. **ჩაქური** <*ჩაქურისა>გან ვ'ს დაკარგვით, - წარმომავლობის სახელია.

ყამჩი-ეთი - ადგილი მანატბაში. **ყამჩი** თურქულია (Kamçi) მათრახს, შოლტს ნიშნავს. (იხ. ლექსიკონი, 2001; ნიქარაძე, 1971). შდრ. **შოლტისხევი**. ჩანს, **ყამჩი//შოლტი** კაცის მეტსახელი იყო.

ოხეთი - სოფელი წეთილეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით. „ხუთვერსიან რუკაზე“ დატანილია **Охетъ** [ოხეტ'ი] (პაგირევი, 1913), რაც ოხეთის რუსული ტრანსლიტერაციაა. ალ. ჯავახიშვილთან დასტურდება **ახმეტი** (შდრ. ახმედი). ვფიქრობთ, **ოხეთი**<**მოხეთი**>საგან თავკიდურა მ'ს დაკარგვით. **მოხი** სოფელია მესხეთშიც. ფუძის მნიშვნელობა ჩვენთვის უცნობია.

კიტნ-ეთი - სოფელი ქვაბიკარის წყლის მარჯვენა სანაპიროზე (სიხარულიძე, 1988:38). **კიტნეთი**<***კიტანეთი**>საგან. **კიტა** მამაკაცის სახელია.

ჯავრი-ეთი - ადგილი მანატბაში. **ჯავრი** (ჯევრი) მამაკაცის სახელი ჩანს. დაცულია გვარსახელში - **ჯავრიშვილი**.

ჯუმი - **ეთი//ჯუმი-ეთი** - ადგილი უსტამისთან. **ჯუმი** მამაკაცის სახელი ჩანს.

ჩიმაგ-ეთი - ჩაქველთას უბანი. **ჩიმაგ//ჩიმაკ** ანთროპონიმი ჩანს, დაცულია გვარსახელში **ჩიმაკაძე**.

ქიზინ-ეთი - ადგილი მანატბაში. **ქიზინეთი**<***ქიძინეთი**>საგან ძ:ზ მონაცვლეობით. **ქიზინ//ქიძინ** კაცის სახელი//მეტსახელი ჩანს, შენახულია გვარში **ქიძინიძე**.

სომეხ-ეთი - შოლტისხევის უბანი. **სომეხი** სალანძღავი სიტყვაა იმერხევში, **ფოშის//ზოშის** სინონიმი. ერთი მელექსე ამბობს: „დილას ავდექ, შინ არ იყო,/მე რა ვიცი ი ზუნკალი,/ ტყვილ-ტყვილა ნუ ფიცავო,/შენ **სომეხო**,



შენ ფოშაო...“ (შოთაძე, 2016:85). **სომეხი** აქ უარყოფითი შინაარსის შემცველია. **სომეხი'** ცუდი კაცის//კაცების მეტსახელი შეიძლება იყოს, **სომეხეთი** კი - მათი საცხოვრისი.

სვან-ეთი - ადგილი ზაქიეთში. **სვანი** კაცის მეტსახელი ჩანს, დაცულია გვარში **სვანიძე-სვანისძე**.

სარ-ეთი - ადგილი უსტამისთან. **სარი** მამაკაცის სახელი ჩანს, დაცულია გვარში **სარიძე, სარიშვილი**.

რუბან-ეთი - ადგილი ზენაგარაში. **რუბა'** მამაკაცის სახელი ჩანს (შდრ. გვარი **რუბაშვილი**. მაისურაძე, 1990:139).

რობან-ეთი ადგილი მანატბაში. **რობან//რუბან** ერთი და იგივე ფუძეა. საბას ლექსიკონში შეუტანია **რობა** - ხელგობი (საბა, 1949). **რობა//რუბა** მეტსახელი ჩანს.

მესხი-ეთი - უბანი უკანეთის მაჰალეში. **მესხა'** კაცის სახელი ჩანს, შენახულია გვარში **მესხაძე**. **მესხას** კუთვნილია **მესხიეთი**.

ლაზ-ეთი - ჩაქველთას უბანი. **ლაზი'** სატომო სახელია, უპირველესად, მაგრამ შესაძლოა ანთროპონიმიდან შეგვხვდეს, - სახელად ან მეტსახელად. **ლაზეთი** აქ **ლაზის** კუთვნილს აღნიშნავს.

კოკბერ-ეთი//კოკვერ-ეთი - სოფელი იმერხევეში.

კოკიბერ-ეთი - ადგილი ჩიჭისხევეში.

კოკბერ-ეთი//კოკვერ-ეთი (ბ:ვ'ს მონაცვლეობით მიღებული ფორმებია), **კოკიბერ-ეთი** - სამივეს საერთო სახელური ფუძე აქვს. **კოკბერი // კოკვერი//კოკიბერი** - ანთროპონიმი ჩანს. შესაძლოა, იგივე ფუძე გამოიყოს გვარში **კობერიძე** (<*კოკბერიძე).

კვირიკ-ეთი - ადგილი შოლტისხევეში. კვირიკეს სახლეულის საცხოვრისია **კვირიკეთი**. შევნიშნავთ: ქობულეთის მუნიციპალიტეტში დასტურდება სოფელი **კვირიკე'**, გაოგრაფიული სახელი ყოველგვარი მაწარმოებლის გარეშე.

კარ-ეთი - ადგილი ზაქიეთს იქით, სადაც ზიარეთია: „ზიარეთი არის იქ, **კარეთ** ვებნევით...“ (უბე). **კარ'** ანთროპონიმი დასტურდება გვარში **კარიძე**. **კარეთი კარის** კუთვნილია, მისი სამოსახლო.

ირკახი-ეთი - ადგილი კოკბერეთში. **ირკახი'** მეტსახელი ჩანს.

იმნი-ეთი - ადგილი ივეთში. „**იმნიეთ** არი თამარას ციხე“ - ივეთელი ინფორმატორის განმარტება. **იმნა'** კაცის სახელი ჩანს, დაცულია გვარში **იმნა[ს]ძე, იმნა[ს]შვილი**.



თეთროზ-ეთი - ზენაგარას უბანი. **თეთროზეთი** < **თეროძეთი** საგან ზ:ძ მონაცვლეობით. **თეთრო//თეთრა** კაცის მეტსახელი ჩანს. **თეთრიენთი** სახლის სახელია ბაზგირეთში (საქართველოში გვარიცაა **თეთრაძე**).

ზუბი-ეთი - ადგილი ჩივისხევში. **ზუბიენთი** სახლის სახელია ბაზგირეთში. **ზუბი//ზუ[მ]ბი/სუბი/სუ[მ]ბი** კაცის მეტსახელი ჩანს. **ზუბიეთი** **ზუმბიენთის** სამოსახლოა ჩივისხევში.

გოგი-ეთი - სოფელი იმერხევში. გეოგრაფიულ სახელში მამაკაცის სახელი **გოგი** დასტურია, რომ ოსმალობამდელი დასახლება უნდა იყოს **გოგიეთი**.

გორგვი-ეთი ადგილი უბეში. **გორგვიეთში** ვ' განვითარებული ჩანს. **გორგი** < **გიორგი** საგან.

ბათინ-ეთი - ადგილი შოლტისხევში. **ბათინი//ბათნი** კაცის სახელი/მეტსახელი ჩანს. შდრ. გვარი **ბათნიძე/ბათნისძე**.

დევ-ეთი ადგილი დაბაში. **დევი** საკუთარი სახელია (გვარ სახელი - **დევიძე**). **დევის'** კუთვნილია **დევეთი**.

წიწვ-ეთი - სოფელი შავშეთში. **წიწვი//ციცი** საკუთარი სახელი/მეტსახელი ჩანს. დაცულია გვარებში - **წიწვამე, ციცვიძე** (იხ. მაისურაძე, 1990:214; 208).

მაჩხატ-ეთი - სოფელი იმერხევში. **მაჩხატ** საკუთარი სახელი ჩანს, დაცულია გვარში **მაჩხატიძე**. ზოგჯერ სოფელს **მაჩხატიძედაც** იხსენებენ (იხ. ფაღავა, 2013: 207-208).

გოჯელ-ეთი - ადგილი ახალდაბაში. **გოჯელა** (<*გორჯელა) კაცის მეტსახელი ჩანს (შდრ. გვარი **გორჯელაძე**). **გოჯელი** წარმომავლობის სახელია, იგივეა, რაც **გოჯიდან**.

პაპი-ეთი - ადგილი ახალდაბაში. **პაპი** მამაკაცის სახელია, დაცული გვარში - **პაპიძე**.

თურმან-ეთი (//**თურმანიძე**//**თურმანიზე**) სოფელი ჩაქველთას ზემოთ. **თურმანის'** ოჯახის სამოსახლო, დღეს - მეთურქულე.

ნიოლ-ეთი (იგივე **ლეონიძე**) - სოფელი შავშეთში.

ვაჩენ-ეთ-ური - ადგილი მანატბაში. ორმაგსუფიქსიანი ტოპონიმი: **ვაჩენეთური** სიტყვასიტყვით **ვაჩენეთიდან** მოსულის სამოსახლოა.

ზოვრ-ეთი - სოფელი შავშეთისწყლის მარჯვენა სანაპიროზე (სიხარულიძე, 1988:40).



წითილ-ეთი - სოფელი შავშეთისწყლის ხეობაში. ხუთვერსიან რუკაზე დატანილია Цетилеть [ცეტილეთი] გარუსურებული ფორმა.

ალ. ჯავახიშვილთან ვკითხულობთ **ჩეტილეთი(?)**.

ამოსავალი ფორმაა **წითილეთი**. **წითილა** კაცის მეტსახელი ჩანს.

ოქრობაგ-ეთი სოფელი შავშეთში.

ოქრობაგეთი ლექსიკონში შეაქვს თ. ართვინლისაც, ამოსავალ ფორმად მიიჩნევს **ოქროვაკეთი** და გვთავაზობს ფუძის ასეთ სეგმენტაციას: **ოქრო+ვაკე+ეთი** (ართვინლი, 2013).

ნ. მარი ასახელებს - **ოქრობაგეთი** (მარი, 2012:111).

„ხუთვერსიან რუკაზე“ დატანილია Окробагетъ [ოქრობაგეთი] (Пагирев,1913).

ოქრობაგეთი ჩაიწერა ჩვენმა ექსპედიციამაც.

ოქრობაგე შეიძლება მეტსახელი იყოს კაცისა, ისეთივე, როგორცაა **ოქროპირი**, ეს უკანასკნელი მამაკაცის სახელადაც გვხვდება.

შოთა მამულაძემ ჩიხორის ხეობაში ჩაიწერა (იხ. შავშეთი, 2011:69):

ვარდი-ეთი - **ვარდი** მამაკაცის სახელი ჩანს, დაცულია გვარში **ვარდიძე**. **ვარდიეთი** - **ვარდის** საცხოვრისია.

ბერი-ეთი - **ბერი** ანთროპონიმია, დაცულია გვარში **ბერიძე**, **ბერიშვილი**... **ბერიეთი** - **ბერის** კუთვნილია.

მახრი-ეთი (<*მახარა-ეთი), **მახარა** ანთროპონიმია, დაცულია გვარში **მახარაძე**, **მახარაშვილი**... არ დაგვიდასტურებია **მახრიენთი**, სახლის „გვარი“, ტოპონიმმა შეინახა მისი არსებობა ჩიხორის ხეობაში.

წყური-ეთი - საყურადღებო გეოგრაფიული სახელია **წყურ** ფუძით (შდრ. ა-წყურ⁹).

საყურადღებო გეოგრაფიულ სახელებს ვხედავთ მ. ჩოხარაძის ჩანაწერებში (იხ. შავშეთი, 2011:37).

მამლი-ეთი - სოფელი იმერხევში. **მამალა** ანთროპონიმია, იქნებ მეტსახელიც, დაცულია გვარში - **მამალაძე**.

იშხნი-ეთი - ადგილი იმერხევში. შდრ. იშხნელი, იშხნელიძე.

შ. ფუტკარაძე ივეთში ადასტურებს გეოგრაფიულ სახელს **კოეთი**// **კოვეთი** (ფუტკარაძე, 1993:283)⁹. **კოეთი**<**კოვეთი**ისაგან. დასტურდება გვარი **კოიძე**<**კოვიძე**//**კობიძე**.

⁹ შ. ფუტკარაძე ჩაიწერს საინტერესო ამბავს კოვეთთან დაკავშირებით: „**კოვეთ** არი სამი ქუა, ერთმანეთზე შეწყობილი. ამზობენ ერთმა გოგომ დადვაო. ამ ადგილს



ბუღანჯ-ეთი - საყანე ხოზაბირიდან ნორგიელის გზაზე (სინარულიძე, 1988:15). შდრ. **ბუღანჯები-ბუღაჯები**, - ხელობის სახელი მეტსახელად ქცეული.

წამოვადგინეთ ადამიანის საკუთარ სახელზე/მეტსახელზე -**ეთ** სუფიქსის დართვით ნაწარმოები გეოგრაფიული სახელები: ბათინეთი, ბალტიეთი, ბელეშეთი, ბერიეთი, გამიშეთი, გიგიეთი, გოგიეთი, გორგვიეთი, გოროშეთი, გოჯელეთი, დავითეთი, ვარდიეთი, ვაჩენეთური, ზაქიეთი, ზოვრეთი, ზუბიეთი, თეთროზეთი, თურმანეთი, ივეთი, იმნიეთი, იშხნიეთი, კარეთი, კვირიკეთი, კიტნეთი, კოკბერეთი//კოკვერეთი, კოკლიეთი, კუტალეთი, ლაზეთი, მამლიეთი, მარკუეთი, მაჩხატეთი, მახრიეთი, მესხიეთი, მიქელეთი, ნიოლეთი, ორკახიეთი, ოქრობაგეთი, ოხეთი, პაპიეთი, რუბანეთი, სარეთი, სვანეთი, სომეხეთი, ქადადეთი, ქიზინეთი, ყამჩიეთი, ჩაქურეთი, ჩიმაგეთი, წეთილეთი, წიქრიეთი, წიწვეთი, წყურიეთი, ხანთუშეთი, ჯავრიეთი, ჯუშიაეთი, - ორმოცდაათზე მეტი ტოპონიმი (-ეთ სუფიქსიანი ტოპონიმები შეტანილია თ. ართვინლის ლექსიკონშიც, ბევრი განსხვავებულიც, რომელთა აქ მოყვანა საჭიროდ აღარ ჩავთვალეთ (იხ. ზემოთ). შესაძლოა, ანალოგიური სახელები სხვაგაა შავშეთში. მნიშვნელოვანია, რომ -ეთ სუფიქსიანი სახელები ქმნის შავშეთის ტოპონიმიის ძველ ფენას. ყურადღებას მივაქცევთ ერთ ფაქტსაც: ადამიანის საკუთარ სახელზე//მეტსახელზე -**ეთ** სუფიქსის დართვით იწარმოება გეოგრაფიული სახელი, რომელიც აღნიშნავს კონკრეტული სახლის საცხოვრის და ხშირად წარმოადგენს სოფლის უბანს, ზოგჯერ სოფელსაც. შავშეთში მეორდება სოფელში გვართა განსახლების წესი, რაც დასტურდება ტაოსა და კლარჯეთში, ანალოგიური იყო აჭარული სოფლის სტრუქტურაც. რაიც კიდევ ერთი დასტურია, რომ ჭოროხის აუზი ერთიანი კულტურული სივრცეა.

ბ. -**ეთ** სუფიქსი სიმრავლის//კრებითობის აღსანიშნავად:

ვაკ-ეთი - ზაქიეთის ყიშლა, იგივეა, რაც ვაკეები.

ძვარ-ეთი (<*ზვარ-ეთი) - ადგილი ჩაქველთაში, შდრ. **ზვარები** (>ზვრები).

ქვაშეწყობილი ქვია. იქვე ახლოს ლომის მეზურია. ლომი მოუკლავან ჩუენ ზველებსა და ჩოუდვიან მიწაში... ერთი კაცი ყოფილა, მირი, იმ მირსა მოუკლავს ის ლომი, მირიც მომკდარა. ლომსა დოუიარალებია. მეზური შუაზე გოუჭრიან: ცალ თერეფზე ლომი წევს, ცალ თერეფზე - მირი. მირის საფლავს უზახიან“ (ფუტკარაძე, 1993:183). მშვენიერი ლეგენდაა ლომისა და მირის შესახებ.



ქართული
ენების
სწავლის
სამეცნიერო
ცენტრი



ყიშლ-ეთი - სოფელი ქერეთისხევში (სიხარულიძე, 1988:56). შდრ. ყიშლები.

საბზელ-ეთი (<**საბძ-ელ-ეთი**>) - ადგილი შარათხევში.

დარვი-ეთი - ადგილი იმერხევში. **დარვიეთში დარვ** ძირეული მასალაა. იგივე მარტივი ფუძე დასტურდება ზმნაში **არვევს** (>**დარვევა**). თუ დაკავშირება სწორია, მაშინ **დარვიეთი** იგივე დარვეულებია, დახნულები. **დარვევა** შავშურში **ხენის** მნიშვნელობით იხმარება (შავშეთი, 2011: 579).

გ. -**ეთ** სუფიქსი დაერთვის ფლორონიმებს მცენარის გარკვეული სახეობის სიმრავლეზე//კრებულზე მიუთითებს:

ბაზგირეთი (<**ბაძგირეთი**>) - სოფელი იმერხევის ხეობაში. სახელური ძირია **ბაძგირ** //**ბაძგარ** „ეკლიანი ჭყორნალი“ (საბა, 1949). შევნიშნავთ, რომ აჭარულში გვხვდება **ბაძგარი**, რომელსაც შ. ნიჟარაძე განმარტავს: „მარადმწვანე ბუჩქოვანი მცენარე, აქვს კიდეწვეტიანი ფოთოლი; მოსახლეობა საქონლის საკვების ნაკლებობის დროს ზამთარში იყენებს როგორც უხეშ საკვებს, განსაკუთრებით თხა ეტანება მას...“ (ნიჟარაძე, 1971).

ბაძგი, **ჭყორი** განმარტებული აქვს ალ. მაცაშვილსაც: Падул, Остролист... და მოაქვს მისი შესატყვისები:

- ქართლური - ირმისკვნეტელა,
- ლეჩხუმური, ოკრიბული, აჭარული, ჭანური - ბაძგარი, ბაძგარა,
- რაჭული, იმერული - ჭყორი,
- ერწო-თიანური - ჩხერი, ვირის საკვნეტელა,
- ხევსურული, ფშაური - ზამთარა, ზამთარ-ზაფხულა, ჭკემარა,
- მეგრული - ბარცხელი, ბარცხინი,
- სვანური - ნარცხილ' (მაცაშვილი, 1991).

როგორც ვხედავთ, **ბაძგი** მთელ საქართველოში გავრცელებული მცენარეა. **ბაძგირეთი**//**ბაზგირეთი** ბაძგიანი ადგილია, ბაძგნარი.

ბაზგირეთი სამი უბნისაგან შედგება: ქომო უბანი, ზემო უბანი, გამეშეთი და შუა უბანი. გამეშეთი ცალკე სოფლადაც იხსენება.

ჩხავერი-ეთი - ადგილი მანატბაში (ფალავა, 2013:191). **ჩხავერიეთი**<**ჩხავერი-ეთი**>ის შეკუმშული ფიძეა. ჩხავერი ვაზის ჯიშია საქართველოში. მიწას შეუნახავს შავშეთში ჩხავერის არსებობა.

ბარდნან-ეთი - ადგილი მანატბაში: **ბარდნანეთი**<**ბარდნარეთი**>ისაგან ნ-ნ-ნ-რ პროგრესული ასიმილაციით. ორმაგსუფიქსიანი ტოპონიმია, ორივე - კრებითობას აღნიშნავს. **ბარდი** შეუტანია საბას „სიტყვის კონაში“



განმარტების გარეშე (საბა, 1949), რედაქციებში ვკითხულობთ: „ბარდი - ხე“ (საბა, I, 1991), გვაგზავნის შებარდულთან, „შებარდული - ბარდით შეფარული“ (საბა, II, 1993).

„ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ (ახალი რედაქცია) ვკითხულობთ: „ბარდი - ბუჩქების ან ბალახეული მცენარის ერთმანეთში გართხმულ-გადახლართული ღეროები“ (ქეგლ).

ბარდნანეთი-ბარდნარეთი ბარდებით დაფარული ადგილებია.

კოპიტ-ეთი - სოფელი სხლობანისწყლის ხეობაში. შდრ. **კოპიტნარი**.

დ. -ეთ სუფიქსი დაერთვის სივრცეში ორიენტაციის აღმნიშვნელ ზმნიზედებს:

ქვეშ-ეთი - მაჩხატეთის უბანი, რაც რაღაცის ქვემოთა, ქვემო უბანია: „ზემოთ მიხუალ თუ ქვეშეთ?“ (ჩიხვთა).

უკან-ეთი - ადგილი უკანეთის მაჰალეში; ის რაც უკანაა, უკანეთია.

გალმი-ეთი - ადგილი უსტამისში: „გალმიეთი (აქ: გალმიეთიდან - ავტ.) აბლაჲ მყავდა“. გალმიეთი ჩაქველთას უბანიცაა.

ე. -ეთ სუფიქსი სხვადასხვა ფუძეებთან:

ჩართულ-ეთი - ადგილი შავშეთში.

ღურღულ-ეთი - ადგილი მანატბაში. ღურღული გვხვდება აჭარულში, „ხმამალა, არეულად ლაპარაკი, ყაყანი, ღრიანცელი (?) (ნიჭარაძე, 1971). საბა-სულხანი განმარტავს **ღურღულა**ს: „მუცლის ხშირად ყვანა“ (საბა, 1949). **ღურღული** მიწიდან ამომავალი წყლის ხმაა უფრო, ასევე მუცლის ხმაური: „წყლის **ღურღული** ისმის“; „მუცელი **მიღურღულებს**“ (ორთაბათუმი). ღურღულეთი ადგილია, სადაც მიწიდან ხმა (წყლის...) ისმის.

უხერ-ეთი - ადგილი მანატბაში(?).

ქოშლი-ეთი - ადგილი შავშეთში: **ქოშლიეთი** < ***ქვაშლიეთი** საგან, ადგილი, სადაც ქვა იშლება.

ტანზ-ეთი - სოფელი მანსურათისწყლის ხეობაში.

„ხუთვერსიან რუკაზე“ დატანილია **Танзотъ** [ტანზოთი] (Пагирев, 1913).

ი. სიხარულიძე ვარაუდობს, რომ სახელის ადრინდელი ფორმა შეიძლება **ტანძეთი** ყოფილიყო (სიხარულიძე, 1988: 33). **ძ.ზ** მონაცვლეობა სამხრულ კილოებში დაშვებულია.

ველზე ჩავიწერეთ **ტანზოთი**//**ტანძოთი**. თ. ართვინლის აზრით, **ტანზოთი** (დანზოთი) სომხურია და სხლობანს ნიშნავს (ართვინლი, 2013).



-**ეთ** სუფიქსით ნაწარმოები ყველა გეოგრაფიული სახელი მოვიყვანეთ. უმეტესი მათგანი ადამიანის სახელისაგან//მეტსახელისაგან ნაწარმოები გეოგრაფიული სახელია. სხვა ფუნქციით -**ეთ** შედარებით ნაკლებად იხმარება.

2.3.2. **სუფიქსი -თა**. შავშეთში დადასტურდა -თა სუფიქსიანი გეოგრაფიული სახელები, რაოდენობრივად არცთუ ბევრი:

ბზა-თა - სოფელი იმერხევში. ტოპონიმის ფუძეა **ბზა**, მის აღსანიშნავად ქართული ენის დიალექტებსა და კოლხურში რამდენიმე ტერმინია გამოყენებული:

ქართლური - უფლის ხე.

აჭარული - შიმშირი.

ჭანური - ჩიმჩირი.

მეგრული - ბზაკალი, ზაკალი.

სვანური - ბაია, ბზაკალ, ზაქალ (იხ. მაცაშვილი, 1991).

სოფელში ჩავიწერეთ ადგილობრივთა „დაკვირვებები“:

„ბზე ადგება და იმიზა ბზათა ქვია, მე ვამზოფ“ (ინფორმატორის განმარტება).

„ჩვენ ბზათას ვიტყვით, დაწერვიხან ზათას დაწერვენ“ (ინფორმატორის განმარტება).

ბ'ს დაკარგვა სიტყვის თავში საინტერესო შემთხვევაა შავშურში.

ბარელ-თა - უბელების (უბური) მთა.

ხანძ-თა - უღელტეხილი დიობნიდან უბისაკენ მიმავალ გზაზე//უბური ხანძთა. გეოგრაფიულ სახელში გამოიყოფა ხანძ' მარტივი ფუძე, იგივე რაც ხანძვა'სა და შეხანძვა'ში (შეხანძვის შესახებ იხ. ნიჟარაძე, 1971). „ხუთვერსიან რუკაზე“ დატანილია ტოპონიმი **Ханъз** [ხანზ'ი] ოლთისში. ჭოროხის ხეობაში **ხანძ'** ფუძიანი სხვა სახელებიც გვხვდება. აღვნიშნავთ, რომ უბური **ხანძთა** არ არის გიორგი მერჩულეს თხზულებაში ნახსენები მონასტერი, ის კლარჯეთშია, აწინდელი ნუკას საყდარი (ვრცლად იხ. ფაღვა, 2007:143-149).

ხანძთა დახანძული, დახანძრული, გადამწვარი ადგილია.

ვან-თა - სოფელი შავშეთში. ფუძეა **ვან'**, კარგად ცნობილი ძველ ქართულში: „სადგომი სახლი, დაბა, საცხოვრებელი, მონასტერი, „საყოფელი“, „ბუნაგი“ (აბულაძე, 1973. შდრ. სარჯველაძე, 2001).

სულხან-საბასთვის **ვანი** სადგომია (საბა, 1949).

ვანთა ადგილია, სადაც სადგომებია.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

სსიპ

ფიქალ-თა//ფიქალ-თ(ი) - ტყე ხობლევს, გაღმა და ადგილი დაბაწვრილში. ტოპონიმის ფუძეა **ფიქალ'**. ზ. სარჯველაძე ლექსიკონში შეიტანს **ფიქალს**, მაგრამ არ განმარტავს (სარჯველაძე, 2001), არც ი. აბულაძეს განუმარტავს იგი; სალექსიკონო ერთეულად გაიტანს **ფიქალი** (ფიქლისა) და მოიყვანს საილუსტრაციო მაგალითებს (აბულაძე, 1973). სულხან-საბას ცალკე სალექსიკონო ერთეულად არ შეაქვს **ფიქალი**, ქვასთან ერთად განმარტავს, - „ქვის ფიცარი“ (საბა, 1949), ასევე „რედაქციებში“ შეტანილია **ფიქალი** განმარტების გარეშე და გვაგზავნის **ქვასთან** (საბა, II, 1993).

ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში **ფიქალი** განმარტებულია: „კლდის ქუა ძარღვიანი, რომელიც თავისთავად დაიშლება ფიცრებად, სხვადასხვა ნაკვეთებად“ (ჩუბინაშვილი, 1961).

შავშურში დასტურდება **ფიქალი**, „შავშეთში“ შავშურ მასალებზე დართულ ლექსიკონში გატანილიცაა სალექსიკონო ერთეულად განმარტების გარეშე (შავშეთი, 2011:602).

„შრობრივი აგებულების მთის ქანი“ - ვკითხულობთ „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ (ქეგლ).

ფიქალთა ადგილია, სადაც ფიქლებია, შრობრივი ქანებია.

მოგთა - სოფელი შავშეთში. **მოგთა-მოგვთა** საგან ვ'ს დაკარგვით, **გვთ** თანხმოვანთკომპლექსის გამარტივების მიზნით.

მოგვი - მაზდეანთა მღვდელია ძველ ქართულად (სარჯველაძე, 2001).

„ქართლის ცხოვრებაში“ დასტურდება ფორმა **მოგუთა**: „სახელი ელიოზისი იყო ქალაქსა დასავალით, წიად **მოგუთასა**, ჳიდსა ზედა“ (ქ.ცხ, I, 1955: 101; ჯავახიშვილი, 1965:32); „ვარნაჯომ მეფემ მოიყვანნა სპარსეთით ცეცხლის მსახურნი და **მოგუნი** და დასხა იგინი მცხეთას, ადგილსა მას, რომელსა აწ ჰქვან **მოგუთა** და იწყო ცხადად გმობად კერპთა“ (ქ.ცხ, I, 1955: 29).

ი. აბულაძის განმარტებით, „**მოგუ** - ვარსკვლავთმრიცხველი, მისანი, კუდიანი; მაზდეანთა მოძღვარია“ (აბულაძე, 1973).

სულხან საბა: „**მოგვი** ვარსკულავთ მრიცხველი, გინა გრძნეული“ (საბა, 1949).

მოგვთა//მოგთა ძველი ტოპონიმი, ნიშნავს „ადგილი მოგვებისა“ (დლონტი, 1984).

ჩიხვ-თა - სოფელი ყვირაღას ხეობაში. ძირია **ჩიხ'**, ვ' შემდეგაა განვითარებული. **ჩიხვთა'** უნდა აღნიშნავდეს ფარეხი, საჩიხე (ზ. იმერული),



საჩხე, ქართა (ბერიძე, 1912) (ჩიხ' ფუძის სხვა მნიშვნელობები იხ. ღლონტი, 1984).

გომთა - ადგილი შავშეთში (მარი, 2012:172). სახელის ძირია **გომ'**, იგივეა, რაც **გომური**, ბოსელი, საქონლის სადგომი (შდრ. ღლონტი, 1984).

ბოსელთა - დაბური ძაილა (მარი, 2012:172). „ხუთვერსიან რუკაზე“ დატანილია **Боселтъ** [ბოსელთ'ი]. თ. ართვინლის ლექსიკონში შეაქვს **ბოსელთა** და განმარტავს, როგორც „ახორის ადგილი“ (ართვინლი, 2013).

ბოსელთა დგილია, სადაც ბოსლებია, ახორებია.

ფაფარ-თა - ვაკე ივეთს ზემოთ ორი საათის სავალზე (მარი, 2012:173). **ფაფართა** აგებულებით -**თა** სუფიქსიან სახელს გვაგონებს, თუმცა გვაეჭვებს: **ფაფართა** (ფაფრების) თუ **ფაფარ[მ]თა**? ვფიქრობთ, მაინც პირველი.

ჩიფ-თა - ადგილი შავშეთში. „ხუთვერსიან რუკაზე“ დატანილია **Чифтликъ** [ჩიფთლიკი].

ალ. ჯავახიშვილთან - **ჩიფთა**.

ამოსავალი ფორმა ჩანს - **ჩიფთა**.

ჩიფთ ი თურქულია, წყვილს ნიშნავს (ნიჟარაძე, 1971). შევნიშნავთ, რომ **ჩიფთა** იცის ზემოიძერულმა, ნიშნავს ფქვილის ამოსადები ჩოგანი (ღლონტი, 1984).

კოლო-თა - მთა ოქრობაგეთის ჩრდილოეთით. ახსენებს ნიკო მარი. **კოლოთა** <**კალოთა**>საგან რეგრესული ასიმილაციით.

ჩოხ-თა - სოფელი ჯინალის ახლოს. **ჩოხ** ფუძე ჩანს ტოპონიმში **ჩოხაგარა** (აჭარა) (იხ. სიხარულიძე, 1958:59). **ჩოხი** დასტურდება ქიზიყურში, „პურეულია, გრძელი, გასლურტული თავთავი და მარცვალი აქვს, ფხიანია, ყანაში ურევია, აცლიან მარგვლის დროს“ (ღლონტი, 1984). **ჩოხთა** ადგილია, სადაც **ჩოხი** მოდის.

ბორ-თა - სამოვარი შავშეთში (სიხარულიძე, 1988:52). ტოპონიმში გამოიყოფა **ბორ'** სახელური ძირი. **ბორი** განმარტებული აქვს სულხან საბას: „წმელი ნისლი მტურის მსგავსი“ (საბა, 1949).

წეფ-თა - ციხე უსტამისს ზემოთ. „ქართლის ცხოვრებაში“ დასტურდება **წეფთი** და **წერეფთი** (იხ. ქ.ცხ. I, 1955:277). ი. სიხარულიძე ძველ ფორმად მიიჩნევს **წერეფთს**, რაც **წარაფმთის** სახენაცვალი ფორმა უნდა იყოსო (სიხარულიძე, 1988:52). ჩვენი აზრით, ამოსავალი ფორმა ჩანს **წერეფთა**, სადაც ფუძეა - **წერეფ**.



პარეხ-თა - ციხე იფხრეულში, თამარის ციხესაც ეძახიან, ხოჯანეთის ციხესაც. **პარეხ** ფუძეს ვხედავთ პარხალშიც (<პარეხ-ალი>). „პარეხი კლდეა, გამოქვაბულია“ (საბა, 1949). ილ. აბულაძის განმარტებით, **პარეხი** „ნაპრაღია კლდეებს შორის“, ან „კიბის საფეხური“ (აბულაძე, 1973).

პარეხთა ადგილია, სადაც კლდეა, გამოქვაბულია, ნაპრაღია კლდეთა შორის (ვრცლად იხ. ფაღავა, 2013: 90-93).

ამით ამოიწურა ჩვენ ხელთ არსებული **-თა** სუფიქსიანი ტოპონიმები. მასალის ანალიზის შემდეგ ვსვამთ კითხვას: რა ფუნქციას ასრულებს **-თა** გეოგრაფიულ სახელებში?

ვარლამ თოფურიას მოსაზრებით: „**-თა** სუფიქსი ქართულ ნიადაგზე ყოფილა წარმოშობილი და წარმოადგენს მრ. რიცხვის ნათესაობითი ბრუნვის დაბოლოებას. ტოპონიმიკურ სახელად გვქონდა მსაზღვრელ-საზღვრული, სადაც მსაზღვრელი ნართანიანი მრ. რიცხვის ნათესაობით ბრუნვაში იყო, შემდეგ დაიკარგა საზღვრული და ადგილის აღმნიშვნელი დარჩა მხოლოდ **-თა** სუფიქსიანი მსაზღვრელი. მას დროთა განმავლობაში ადგილის სუფიქსის ფუნქცია დაუკავშირდა...“ (თოფურია, 1924:10).

ვ. თოფურიას მოსაზრება ლოგიკურია და დამაჯერებელი, ოღონდ **-თა** სუფიქსი არ წარმოადგენს „მრ. რიცხვის ნათესაობითი ბრუნვის დაბოლოებას“, **-თა** მრავლობითობის სუფიქსია და არა რომელიმე ბრუნვის მარკერი. **-თა**ს არც „ადგილის სუფიქსის ფუნქცია“ დაკავშირება. სახელმძღვანელომ მრავლობითის ფორმა გამოიყენა ადგილის სახელად.

ს. ჯანაშია მსჯელობს რა **-თა** სუფიქსიანი ტოპონიმებზე, იტყვის: „ამ კატეგორიაში მოიპოვება ისეთი სახელები, რომელთა დაბოლოება ჩვენ სახელობითი ბრუნვის ფორმანტად მიგვაჩნია: ჯერ ერთი, რომ მათი ქართული წარმოშობა საეჭვოა, რადგანაც ისეთ რაიონებში გვხვდება, სადაც ქართველის მოსახლეობის არსებობა ან დაუმტკიცებელია (მაგ. სამეგრელოში: ხეთა, ყინოთა, ჭაბურთა და სხვ.), ან სამიებელი (ხორანთ - ჰერეთში, ქურთა - ჩრდ. ოსეთში და სხვ.), შემდეგ ამიტომაც, ამ სახელების ეტიმოლოგია ყოველთვის არ არის იმდენად ნათელი, მათი, როგორც კომპოზიტის ნაშთის, გაგება დაუმტკიცებლად არ ჩაგვეთვალა (თუნდაც იგივე მცხეთა, ვარენტა - სამცხეში, ხანძთა - შავშეთში, იკორთა - ქართლში). დასასრულ ამასვე გვაფიქრებინებს ჩვენ ქართულ გეოგრაფიულ სახელთა ისეთი სუფიქსები, სადაც ფორმატივი წარმოდგენილია **თი**ს სხვადასხვა, ხშირად გართულეულს პირობებში (ჯანაშია, 1949:143).



ს. ჯანაშიას მსჯელობა გარკვეული წინააღმდეგობის შემდეგელია: რატომ არ შეიძლება სამეგრელოში, ჰერეთში, თუნდაც ჩრდ. ოსეთში -**თა** სუფიქსიანი ტოპონიმების არსებობა? მთავარია, რომ ასეთი გეოგრაფიული სახელები დასახელებულ კუთხეებში დასტურდება.

ქართულ მეცნიერებაში -**თა** სუფიქსის შესახებ სხვა მოსაზრებებიც გამოითქვა (იხ. კლარჯეთი, 2016: 614). საკითხზე საუბარს აღარ გავაგრძელებთ, ვიტყვი, ჩვენ იმ აზრისა ვართ, რომ -**თა** ქართული ფორმანტია (ვიზიარებთ, ვ. თოფურისა აზრს), იგივეა, რაც მრავლობითობის -**თა**.

2.3.3. **სუფიქსი -ათ. ავაზან-ათ** - სოფელი შავშეთში. **ავაზანი** ხისგან გამოთლილი დიდი ვარცლია, პირუტყვისათვის წყლის შესაგროვებელი (შდრ. ნიჟარაძე, 1971).

ავაზანათი ადგილია, სადაც ავაზანებია.

თურთლ-ათ // **თურთულ-ათ** - ადგილი შავშეთში. **თურთლა** // **თურთულა** < **თურთელა** // **თურთელა** - საგან ქს დაკარგვით (რთელ კომპლექსის გამარტივების მიზნით).

თურთლ-ათ // **თურთულ-ათ** ნიშნავს: „ახალი ნორჩი ბოსტნეული... ბალახეული მცენარე, ან ახლადგამომცხვარი მჭადი, პური და მისთ“ (ნიჟარაძე, 1971).

თურთლ-ათ // **თურთულ-ათ** ადგილია, სადაც ნორჩი ბალახია.

ბალ-ათ - გურნათელის უბანი (ფაღავა, 2013:324). **ბალას** ოჯახის საცხოვრისი¹⁰.

ბუჩ-ათ - ადგილი გურნათელთან. **ბუჩა** სახელური ფუძეა. სულხან-საბა განმარტავს: „ბუჩი-ბუემპალი“ (საბა, 1949). ჩვენთვის მთლად ნათელი არაა **ბუემპალის** მნიშვნელობა. **ბუჩ** ი ფშაურსა და მოხეურში, **ბუჩო** ქართლურსა და მთიულურში დასტურდება და ნიშნავს ჩალა-ბულა, ჩალის, თივის ნარჩენი, ნაგავი (იხ. ლლონტი, 1984). იმასვე უნდა ნიშნავდეს ბუემპალიც. **ბუჩათი** ადგილია, სადაც ჩალა-ბულაა, თივის ნარჩენებია...

¹⁰ **ბალათი** - ბალაძეებს უცხოვრიათ აქ. მაჭახლიდან მოსულანო გურნათელში ბალაძეები, ასე იციან გადმოცემით, აქ დასახლებულან და სოფლის უბანსაც შერქმევია სახელი ამ გვარის მიხედვით. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, მაჭახელში ბალაძეების კვალი არ ჩანს, შეიძლება ოდესღაც სახლობდნენ. გურნათელთა ხსოვნამ შემოინახა ეს ცნობა...“ (ფაღავა, 2013: 324). შევნიშნავთ: **ბალათი** უფრო ძველია, ვიდრე გვარსახელი **ბალაძე**.



ბეკათი - ადგილი გურნათელს ქვემოთ. **ბეჩ** - ფუძეს რამდენიმე მნიშვნელობა აქვს:

ბეჩი - გამტერებული (საბა, 1949).

ბეჩა - სიმინდის ჯიშია (ნიჟარაძე, 1971).

ბეჩათი - გადატანით მიწაზეც შეიძლება ითქვას, სადაც მოსავალი არ მოდის, გამოფიტულია.

თაუზ-ათი//**თაუზ-ეთი** - ადგილი დაბაწვრილში. **თაუზათი** იქნებ ფონეტიკურად სახეცვლილი **თავაძეთია**: თაუზათი<*თავძათი<*თავაძათი <*თავაძეთისაგან.

მანსურ-ათი - ადგილი დაბაწვრილში. **მანსური** მამაკაცის სახელი ჩანს. **მანსურათი** //**მანსურეთი** მანსურის საცხოვრისია.

ბაგ-ათი - ადგილი დაბაწვრილსა და მანატბაში.

ბაგას რამდენიმე მნიშვნელობა აქვს, მათ შორის - ახალი ვენახი (საბა, 1949).

ბაგათი ახალი ვენახის ადგილია.

შეწინაშავთ: შავშეთში, განსაკუთრებით იმერხევში, მევენახეობის კვალი ნაკლებად ჩანს, უფრო რელიეფის ან მეურნეობის სხვა დარგების (განსაკუთრებით მემინდვრეობის) დაწინაურების გამო, თუმცა გეოგრაფიულ სახელებს „შეუნახავს“ ცნობები მის შესახებ.

გი-ათი (<*გიაათი) - ადგილი უსტამისში. **გია** მამაკაცის სახელია, **გიათი** - მისი სახლის კუთვნილი ადგილი.

ბაკ-ათი - ადგილი დაბაწვრილში. **ბაკი** - მოზღუდულს ნიშნავს; **ბაკათი** - მოზღუდულები.

ზირზირ-ათი - ადგილი ახალდაბაში. **ძირზირა**<*ძირძირა>საგან. **ძირა**//**ზირა** ბალახია, იგივე **კვლიავი** (იხ. მაცაშვილი, 1991). **ზირზირათი**// **ძირძირათი** ადგილია, სადაც **ზირა**//**ძირა** ხარობს.

ტაბ-ათი//**ტბ-ეთი** - ადგილი ვერხვნალში.

ზევზ-ათი - ადგილი ჩივისხევში.

კოკობ-ათი - ადგილი მანატბაში. შდრ. **კოკობეთი**. **კოკობი** - გაუმლელი ყვავილია (ჩუბინაშვილი, 1961). **კოკობა**//**კოკობი** კაცის მეტსახელი ჩანს.

კინ-ათი - ადგილი მანატბაში. „თურქი სახელი რააა, ის არ ვიცით“ (ინფორმატორის განმარტება - ავტ.). **კინათი**<*კირნათი>საგან **რ**'ს დაკარგვით. **კირნათი** - სოფელია ჭოროხის ხეობაში, მარადიდს გაღმა.



კაც-ათი - ადგილი ახალდაბაში. **კაცი//კაცა** მეტსახელია კაცისა, დაცულია გვარში კაცაძე. **კაცათი//კაცეთი** - კაცას სახლელულის კუთვნილია.

კარავ-ათი - სოფელი იმერხევეში, თურმანეთის გვერდით, მექართულე სოფელია. ნ. მარს ჩაუწერია **კოროვატი**. **კარავათი**<**კრავათი**საგან. **კრავა** კიდეც ანთროპონიმია. **კარავათი კრავას** კუთვნილი მამულია.

პაპ-ათი - ადგილი ახალდაბაში (შდრ. პაპიეთი). **პაპა(ა)** მამაკაცის სახელი ჩანს. დაცულია გვარში - **პაპიძე**.

ბასილ-ათი - ადგილი ჩაქველთაში, ბასილის კუთვნილი. **ბასილათი** იგივე **ბასილეთია**.

დებლ-ათი - სოფელი შავშეთში.

გუბ-ათი - ადგილი ჩაქველთაში. სახელის ძირია **გუბ(ე)**. **გუბათი** - ადგილი, სადაც გუბებია.

ორკულ-ათი - მთა შავშეთში. იური სიხარულიძე **ორკულ**ს უკავშირებს ლაზურ **ორკოლ**ს - დოქი.

ისპან-ათი - სოფელი შაულისწყლის მარჯვენა სანაპიროზე. ტოპონიმში გამოვყოფთ **ისპან** მარტივ ფუძეს. **ისპანი**, **ისპი**, **სპანი** მცენარეა, ძირითეტრა (მაყაშვილი, 1991).

სამალავ-ათი - ადგილი უსტამისში. იგივეა, რაც **სამალავები**.

ქარი-ათი - ადგილი ახალდაბაში.

ლომელ-ათი - ყანა მანატბაში. **ლომელა** ფლორონიმია, იგივეა, რაც **ღვალო//ღოლო**, Конский шавель, **ღვალომმაგა**, **ღოლომმაგა**, **ღვარძლი**, Грыжная трава (ჩუბინაშვილი, 1961). **ლომელათი** ადგილია, სადაც **ღვალო** ხარობს.

წერწ-ათი//წელწ-ათი - ადგილი ჩიჭისხევეში.

კოლოტ-ათი - ადგილი ოქრობაგეთში.

კოლოტი - „სატკბილე ტიკი ზროხისა“ (საბა, 1949).

კოლოტა მეტსახელი ჩანს კაცისა, დაცულია გვარში **კოლოტაშვილი** (**კოლოტოღლი** - ზემო მარადიდში). **კოლოტათი//კოლოტეთი** კოლოტას კუთვნილია.

გუდ-ათ(ი) - სოფელი საყავრიას მთის კალთებზე (სიხარულიძე, 1988:14). **გუდა** ანთროპონიმია. წყისის 616-619 წლების წარწერაში ვკითხულობთ: „ესე ჯუარი ქრისტჳსი, მე კოსტანტი, მემან სტეფანესმან და **გუდასმან** აღჰუმართე სახელსა მცხეთისა ჯუარისასა...“ მოცემულ ტექსტში **გუდა** კოსტანტის მშობელია, დედა. აქვე აღვნიშნავთ, რომ საბაშიოში იოანე



ბაგრატიონი ადასტურებს ტოპონიმს **გუდეთი** (იხ. ბაგრატიონი, 1986:45), ტაოში კი დასტურდება სოფელი - **გუდასხევი**. **გუდა-თ(ი)** - გუდას კუთვნილია.

ფოჯან-ათ'ი - ადგილი იმერხევეში. ძირი ჩანს **ფოჯან**. **ფოჯანათი** იგივე - **ფოჯანეთია**.

კოპიტ-ათ'ი ადგილი, რომლის ქვემოთაც სხლობანის წყალი ერთვის შავშეთის წყალს (სიხარულიძე, 1988:11). სახელის ფუძე ჩანს **კოპიტ/კოპიტა**, მეტსახელი კაცისა. **კოპიტას** სახლის კუთვნილი ადგილი - **კოპიტათია** (//კოპიტეთი).

დუმ-ათ'ი - მწვერვალი (მარი, 2012:147).

დავლ-ათ'ი - სოფელი შავშეთში. ფუძეა **დავლა**, ნიშნავს: ქონება, ნადავლი, ნაალაფარი, ომში ნაშოვარი (ლლონტი, 1984). **დავლა** მეტსახელი ჩანს კაცისა, დაცულია გვარში **დავლაძე**.

მოვიყვანეთ -ათ სუფიქსიანი გეოგრაფიული სახელები: ავაზანათი, ბაგათი, ბაკათი, ბალათი, ბასილათი, ბეჩათი, ბუჩათი, გიათი, გუბათი, დავლათი, დებლათი, დუმათი, ზევზათი, ზირზირათი, თაუზათი, თურთლათი, კარავათი, კაცათი, კინათი, კოკობათი, კოპიტათი, კოლოტათი, მანსურათი, პაპათი, სამალავათი, ტაბათი, ფოჯანათი, ქარიათი, ღომელათი, წერწათი. სამ ათეულამდე ტოპონიმი. ვცადეთ, აგვეხსნათ თითოეული სახელის ფუძის მნიშვნელობა, ნაწილის შევძელით, სხვა - ვერა. ჩვენ ხელთ არსებული მასალა მთლინად მოვიყვანეთ. შავშეთში რომ დაივიწყონ ეს სახელები, წიგნში უნდა გადარჩეს, არ დაიკარგოს.

ორიოდ სიტყვით -ათ სუფიქსის შესახებ.

სუფიქსი -ათ ეთ'ის ზანურ შესატყვისად არის მიჩნეული (ზურაბიშვილი, 1961:141; შდრ. ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე, 1988). შავშეთის ტოპონიმიში ზანურის კვალი მოულოდნელი არ არის, მაგრამ ერთი კითხვა ჩნდება: სახელის ფუძე ქართულია, აფიქსი - ზანური? თუმცა ამ უხერხულობას ხსნის აკაკი შანიძის კომენტარი: „-ათ'იანი გეოგრაფიული სახელები ყველა ზანური წარმოშობისად ვერ ჩაითვლება. ქართული ენის მასალათა მიხედვითაც შესაძლებელია ასეთი დაბოლოების დამოუკიდებლად შემუშავება“ (შანიძე, 1981:440).

2.3.4. **სუფიქსი -ით**. ორიოდ გეოგრაფიულ სახელში დადასტურდა -ით სუფიქსი: **მოკლ-ით**'ი (ჩივისხევის უბანი) და **ნაღს-ით**'ი (ადგილი შავშეთში).



აღვნიშნავთ, რომ -ით იშვიათად გვხვდება ტოპონიმებში აკაკი შანიძე მსჯელობს რა -ით სუფიქსის შესახებ, წერს: „...კვლევას მოითხოვს საკითხი იმის შესახებ, თუ რა წარმოშობისაა ი' ით'ზე დაბოლოებულ გეოგრაფიულ სახელებში, როგორცაა: **როკ-ით-ი**, **ღვანკ-ით-ი**... ცხადია, რომ აქ, ზოგან მაინც, ფუძისეული ხმოვანი უნდა ვიგულოთ, ხმოვანი, რომელიც ი დეტერმინანტის სახელობითის ფუძეზე შეზრდისა და ბრუნვის დაბოლოებად ქცევის შემდეგ სახელობითის ნიშნად უნდა ყოფილიყო გაგებული, როგორც ამას ვხედავთ უცხო წარმოშობის სიტყვებში: **სურაი** (არაბ. სურაჰი), **გემი** (თურქ.) და სხვ.“ (შანიძე, 1984:440).

აღვნიშნავთ, რომ მაგალითების სიმცირის გამო ძნელია ვისაუბროთ -ით სუფიქსის ფუნქციაზე, თუმცა სპეციალურ ლიტერატურაში არის მასზე გარკვეული მინიშნება (ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე, 1988: 228; 229). შდრ. ცეცხლაძე, 2004:37).

2.3.5. **სუფიქსი -ოთ**. ერთი გეოგრაფიული სახელი დადასტურდა შავშეთში -ოთ სუფიქსით ნაწარმოები: **სინკ-ოთ** - მეთურქული სოფელი შავშეთში.

-ოთ სუფიქსს ნიკო მარი -ეთ'ის დიალექტურ ვარიანტად თვლიდა, რაც უმართებულოდ მიაჩნდა ს. ჯანაშიას (ვიმოწმებთ: ზურაბიშვილი, 1961:144).

2.3.6. **სუფიქსი -თ(ი)**. რამდენიმე ტოპონიმი შავშეთში -თ(ი) სუფიქსითაა ნაწარმოები:

ჭერულ-თ(ი) - ადგილი ნიოლეთში. გეოგრაფიულ სახელში გამოვყოფთ: **ჭერ-ულ-თ(ი)** ელემენტებს. **ჭერ'** მარტივი ფუძე გეოგრაფიულ სახელად დასტურდება აჭარაში, **ჭერი'**, სოფელი ხიხანის ხეობაში. **ჭერულ'** წარმომავლობის სახელია, იგივეა, რაც ჭერიდან. **ჭერი** აჭარულში ნიშნავს: „დაუმუშავებელი, გაუთლელი წვრილი ხე, იყენებენ სასიმინდეს, საქათმისა და მისთ. იატაკის დასაგებად...“ (ნიჟარაძე, 1071). ამ განმარტებაში მთავარია, რომ **ჭერი'** დაუმუშავებელი წვრილი ხეა, თუ რაში გამოიყენებს, მომხმარებელმა გადაწყვიტოს (იხ. ტაო, 2020). **ჭერულთ'** (ჭერულთა) ადგილია, სადაც ჭერიდან მოსულები სახლობენ, ან მათი კუთვნილია.

ზულვარ-თ(ი) - ადგილი ჯვარისხევში. ფუძის მნიშვნელობა გაურკვეველია.



ფაფარ-თ(ი) - მთა შავშეთში. ზ. ჭიჭინაძე ასახელებს ფორმას **ფაფათი**. ზ. ჭიჭინაძე აზუსტებს ფაფართის მდებარეობას: „ეს მთა კარჩხლის მთასა და სოფელ ბაძგირეთს შუა მდებარეობს“ (ჭიჭინაძე, 1913:267). ჩვენ ჩავიწერეთ - **ფაფართი**. ვფიქრობთ, ამოსავალი ფორმაა ჩვენი ჩაწერილი. ტოპონიმში გამოვყოფთ მარტივ ფუძეს **ფაფარ'**, რაც ცნობილი ფუძეა ქართულში.

ზუბუნ-თ(ი) - ადგილი ჩიჩიხევში. **ზუბუნი** თურქულია (Zibin) და ნიშნავს: „ჩოხის ქვეშ ჩასაცემელი ჟილეტის მსგავსი ზედა ტანსაცემელი (კაცისა)... (ნიჟარაძე, 1971). სახელმდებელმა რა ნიშნით შეარჩია **ზუბუნი'** ადგილის სახელად, ძნელი წარმოსადგენია.

მაწაწველ-თ(ი) - ადგილი მანატბაში. სახელის სხვა ვარიანტებზე შეიძლება შეგვხვდეს: **მაწაწველეთ'ი**, **მაწაწველთ'ა**. **მაწაწველი** წარმომავლობის სახელია. **მაწაწველთ(ი)** ადგილია, სადაც **მაწაწველები** სახლობენ.

ამოსავალ-თ(ი) - ადგილი უსტამისში. **ამოსავალი** ადგილია (მხარეა), საიდანაც **ამოდის** (მზე), იქნება - აღმოსავლეთი.

წიწელ-თ(ი) - ადგილი გურნათელში. **წიწელი** წარმომავლობის სახელია, შეიძლება აღდგეს ფორმა - **წიწელი**. **წიწელთ(ი)**//**წიწველთ(ი)** ადგილია, სადაც **წიწელები** სახლობენ.

საყავრია-თ(ი) - ადგილი ჩაქველთაში. **სა-ყავრ-ი-ა** დანიშნულების სახელია, ადგილი, სადაც **ყავარს** ხდიდენ, ან ინახავდნენ.

საკირია-თ(ი) - ადგილი ჩაქველთაში. **სა-კირ-ი-ა** დანიშნულების სახელია, ადგილი, სადაც **კირს** მოიპოვებდნენ.

ჯინჭარავალ-თ(ი) - ადგილი მანატბაში. **ჯინჭარავალი** <**ჯინჭარავალი**>საგან, ა'ს ჩავარდნით. **ჯინჭარა** - კაცის სახელი//მეტსახელი ჩანს, დაცულია გვარში - **ჯინჭარაძე**.

წინაგამ-თ(ი) - ადგილი ჯვარისხევში.

წელწა-თ(ი)//**წერწა-თ(ი)** - ჩიჩისხევის უბანი. **წერწა** მეტსახელი ჩანს კაცისა.

ამით დავასრულეთ **თ'ს** შემცველი სუფიქსებით ნაწარმოები გეოგრაფიული სახელების ანალიზი. რაოდენობრივად ასეთი სახელები საკმაოდ ბევრია. შავშეთის გეოგრაფიულ სახელებში გამოვლინდა -**ეთ**, -**ით**, -**ათ**, -**თა**, -**თ** სუფიქსები. ბუნებრივია, ყველა მათგანი თანაბარი ინტენსივობით არ გამოიყენება. აღსანიშნავია ისიც, რომ **თ'ს** შემცველი სუფიქსები გეოგრაფიულ სახელებში სიმრავლეზე, კრებითობაზე მიუთითებენ.



2.3.7. **სუფიქსი -ა**. შავშეთში საკმაო რაოდენობით შეგვხვდა -ა სუფიქსით ნაწარმოები გეოგრაფიული სახელები.

ტოპონიმებში -ა'ს „...ქონების, მსგავსების, თვისების მნიშვნელობა უნდა ჰქონდესო“, - წერს თ. ზურაბიშვილი (იხ. ზურაბიშვილი, 1961: 151; შდრ. ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე, 1988:14).

ნ. ცეცხლადის დაკვირვებით, სუფიქსი -ა დაერთვის „...როგორც მარტივ, ისე რთულ ფუძეებს... აწარმოებს კნინობის, დანიშნულების, წარმომავლობის, ქონების აღმნიშვნელ გეოგრაფიულ სახელებს“ (ცეცხლაძე, 2004: 34).

მ. ქამადაძე წერს: „-ა სუფიქსიანი ზოგიერთი გეოგრაფიული სახელი საზღვრულდაკარგილი ფორმა ჩანს: **ონაგირ-ა**, **აკვან-ა** ტიპის სახელებში იგულისხმება საზღვრული წევრი - მთა, სერი, გორი... ასეთ ტოპონიმებში -ა საზღვრულის ერთგვარ ფუნქციას ასრულებს“ (?) (ქამადაძე, 1992: 220-21; შდრ. მაკალათია, 1976:42 და შემდეგ).

ქართველოლოგიაში -ა სუფიქსის შესახებ არსებობს სხვა მოსაზრებებიც (იხ. შანიძე, 1973; ბედოშვილი, 1980; მანჯგალაძე, 1956:171-186...), რომელთა შესახებ საუბარს ადარ გავაგრძელებთ. ვნახოთ, რა დატვირთვა აქვს -ა'ს შავშეთის ტოპონიმიში.

ყვირალ-ა - სოფელი და ხეობა შავშეთში. ადგილობრივთა გამოთქმით **ყურიალა** (ყვირალა>ყურალა//ყურიალა'ს, ვი>უ'ს)¹¹. **ყვირალა** ხევიან, რომელიც ხმაურობს, ყვირის, **მყვირალაა** (თავსართი მ' დაკარგულია). ჩანს, **ყვირალა** თავდაპირველად ხეობის სახელი იყო, შემდეგ ეწოდა სოფელსაც.

გვალ-ა - ადგილი დასამობსა და მანატბაში, მრგვალი ადგილი. შდრ. მგვალი//მრგვალი (რ' დაკარგულია).

ციხი-ა - სოფელი აბუქეთისწყლის მარჯვენა სანაპიროზე (სიხარულიძე, 1988:35). ადგილი, სადაც **ციხეა**. აღვნიშნავთ, რომ იოანე ბატონიშვილი **ციხიას** ადასტურებს ძამის ხეობაშიც (იხ. ბაგრატიონი, 1986: 32).

ჭამიარ-ა - მთა გოგინაურისწყლის ზემოთ (სიხარულიძე, 1988:39). „ხუთვერსიან რუკაზე“ დატანილია Чамиара [ჩამიარა], ასე კითხულობს მ. ფაღავაც (იხ. ფაღავა, 2015:203). ი. სიხარულიძისეული **ჭამიარა** რუსული Чамиара'ს გადმოქართულების ცდაა, თუმცა არა წარმატებული. ი.

¹¹ **ყვირალაში** ნიკო მარი ადასტურებს ჰინძანს, საწნახელს (ადგილობრივები ორივე სახელს იყენებენ) (მარი, 2012:150), რაც მევენახეობა-მეღვინეობის კვალზე მიუთითებს შავშეთში.



სუხარულიძე **ჭამიარა**'ს შეადარებს „საჭამია სერს“ რთულია გარკვეო, სახელდებისას ნიშნად რა აირჩია სახელმდებელმა...

ლურჯა-ა - ადგილი სინკოთში.

ბარა-ა - ჩაქველთას საზამთრო სამოვარი. „ჩვენ **ბარა**ს ვეტყვით, ჩაქველთას **ბარა**ა ეს, ჰო!“ (ინფორმატორის განმარტება). სუფიქსი -ა' კნინობითობაზე მიუთითებს: **ბარა** - პატარა ბარი უნდა იყოს, მთის ომონიმი.

კორდა-ა - მთა (სიხარულიძე, 1988:52).

„ხუთვერსიან რუკაზე“ დატანილია **კორდა**.

ალ. ჯავახიშვილი ასახელებს - **ქორდა**ს.

ვფიქრობთ, ამოსავალი ფორმაა **კორდა**, ნიშნავს **კორდიანს**.

ფეფელა-ა (პეპელ-ა?) - ადგილი უსტამისში. ამ ტოპონიმს არ იცნობს „ხუთვერსიანი რუკა“. თ. ართვინლის ლექსიკონში შეუტანია Pepela Deresi [პეპელას ხევი/ფეფელას ხევი] (იხ. ართვინლი, 2013). **ფეფელა**//**პეპელა** - **პეპლიანს** უნდა ნიშნავდეს.

ხუხულა-ა - ადგილი ჩაქველთაში.

ხუხულა' განმარტებული აქვს სულხან-საბას: „არს ყრმათ მიერ ბედითი ნამუშაკარი, რეცა სახლაკი“ (საბა, 1949).

ხუხულა იგივეა, რაც თუშური **ხუხულაყი**, იგივე **ხოხოლა** (უთურგაძე, 1960). **ხოხოლა** იცის აჭარულმაც იმავე მნიშვნელობით. -ა სუფიქსი აქ კნინობის აღმნიშვნელია.

ჩაკიდულა-ა - ადგილი ჩაქველთაში. ჩაკიდული ადგილი, იგივე **დეიბე**, **დუბე**, „კარგი, მოხერხებული, მისადგომი, დაბლობი საყანე მიწა, სადაც ქარი არ უდგება“ (ნიჟარაძე, 1971; ჭყონია, 1910; ჩუბინაშვილი, 1961; ჩუბინაშვილი, 1984).

ონაგირა-ა - მთა შავშეთში. **ონაგირი**, **უნაგირი** ცნობილი ფუძეა ქართულში, „ცხენის შესადგმელი“ (საბა, 1949). სხვა მნიშვნელობა დასტურდება ხევსურულში, „ნაქარგის (ნაქსოვის) სახეა ერთგვარი“ (ლლონტი, 1984).

ონაგირა - უნაგირის ფორმის ადგილია.

სარტყელა-ა - ადგილი აგარაში.

ვერანა-ა - ხანთუშეთის უბანი. **ვერანა** (ბალები) დასტურდება კარჩხალას (კლაჯეთი) ხეობაშიც. **ვერანა** სპარსულიდან ნასესხები სიტყვაა და მისი ერთი მნიშვნელობაა „უვალი, მიუვალი, ადამიანის ფეხი რომ არ დადგმულა ისეთი ადგილი, გავერანებული, აოხრებული, გაპარტახებული“ (ნიჟარაძე, 1971).



გაპარტახებული ადგილია ვერანა.

ბიჯ-ა - სოფელი შავშეთში. „რას უნდა ნიშნავდეს ტოპონიმად ბიჯ“ ფუძე? ნუთუ იგივე ძირია, რაც ნა-ბიჯ-ში? ნუთუ ერთი ნაბიჯია ეს სოფელი?“ (ფალავა, 2013:320). სულხან-საბა განმარტავს ბიჯს და ნაბიჯს: „ბიჯი და ნაბიჯი განიყოფებიან: ნაბიჯი არს ერთისა ფერჯისა გარდადგმა, ხოლო ბიჯი მეორისა გარდანაცვლება, რომელი ზომით იქნების ხუთი ტერფი (საბა, 1949).

ჩანს, სიმცირის/კნინობის გამო უწოდეს ამ სოფელს ბიჯა.

ანკლი-ა - სოფელი გურნათელს გაღმა.

ბუჭი-ა - ადგილი ზაქიეთში. ბუჭ ფუძე მნიშვნელობით პატარას უნდა აღნიშნავდეს. ბუჭულას - მთიულურში პატარა ტანის კაცზეც იტყვიან (ღლონტი, 1984).

ბარაკ-ა - ადგილი უკანეთის მაჰალეში. „ბარაკ“ - ელვარება, - განმარტავს საბა (საბა, 1984). ბარაკა - ადგილი, რომელიც მცირედ ელვარებს? ბარაკა იქნებ ბარაქაა? (კ:ქ მონაცვლეობით).

ჩუტ-ა-მ - ადგილი დაბაში. ჩუტი ქიზიყურში ნიშნავს: „ბარელის რომ დააცარიელებენ და დაიფუშება“ (ღლონტი, 1984). შდრ. დაჩუტვა.

ჩხოკობ-ა-მ - ადგილი ივეთს ზემოთ. „ჩხოკობა“ იცინა იმერხევში, ეძახიან „მთაში ზაფხულობით ბარგის წაღებას“ და შემდეგ „მთიდან ბარად წამოღებას...“ (შავშეთი, 2011:609; ფუტკარაძე, 1993).

ჭალ-ა - ადგილი კოკბერეთში. ხშირად მრავლობითის ფორმით გვხვდება - ჭალები. შავშეთში ჭალა სათიბია, ან ყანა (შავშეთი, 2011: 610).

ჭალა - „წყლის პირი ნაყოფიერი“ (საბა, 1949). ჭალა საზოგადო სახელია, საკუთარ სახელად ქცეული.

აგარ-ა - სოფელი მაჩხატეთთან,¹² სოფელი წეთილეთს უკან. აგარა ცნობილი ფუძეა ძველ ქართულში: „ქუეყანაჲ საქმარი“, „დაბა“, „სოფელი“, ყანა, „ველი“ (აბულაძე, 1973).

აგარა საზოგადო სახელია, ადგილის სახელად ქცეული.

რა მოგვცა -ა სუფიქსიანი სახელების ანალიზმა?

ა. გეოგრაფიულ სახელთა უმეტესობაში -ა რაღაცის მქონებლობაზე მიუთითებს;

ბ. -ა აღნიშნავს მსგავსებას.

¹² „ბათუმიდამ გოგო გამოქცეულა, აქ შეჰყრიან, უთქვიან ქი, აგერაო, დიერქვა აგარა“ (ფალავა, 2013: 218), - მარტივად „აგვიხსნა“ აგარელმა სოფლის სახელდების მიზეზი.

გ. -ა კნინობითობის აღმნიშვნელია.

დ. აქ და სხვაგანაც, ხშირად შეუცნობელია სახელმძღვანელოს განზრახვა, რატომ უწოდა ესა თუ ის სახელი კონკრეტულ ადგილს. უფრო სწორად, სახელდებისას კონკრეტული გეოგრაფიული პუნქტისათვის კარგად შერჩეული ნიშანი დროთა განმავლობაში დავიწყებას მიეცა, შესაძლებელია, ადგილმაც დაკარგა იგი, აწინდელ მკვლევარს კი თავსატეხს უჩენს და ათქმევინებს, „რამ მოაფიქრებინა“ ამ ადგილისათვის **პეპელა** ეწოდებინა, ამისთვის - **ჩუტამ**, სხვათათვის კიდევ - **ჩხოკობა** თუ **ბიჯა**. შეზღუდვა არ აქვს სახელმძღვანელოს, სახელდებისას იყენებს ყველა ტიპის სახელურ თუ ზმნურ ფუძეს, უდეტრებსაც, მთავარია ადგილი აღნიშნოს...

2.3.8. **სუფიქსი -ის**. შავშეთში დასტურდება -ის სუფიქსით ნაწარმოები გეოგრაფიული სახელებიც:

სულ-ის’ი (მარი, 2012:105), გვხვდება სულესიც. „კავკასიის ხუთვერისან რუკაზე“ დატანილია **Сулесь** в.н. [სულეს’ი ზემო, ქვემო] (Пагирев, 1913). ამოსავალი ჩანს **სულისი**<**სულაისი**, -სულას კუთვნილი.

ზიო-ს’ი - სოფელი შავშეთში. ნ. მარი ჩიხორის უბნად ასახელებს **ძიოს**’ს (მარი, 2012:223). ეს უკანასკნელი ზიოსის ფონეტიკური სახესხვაობაა (ზ:ძ მონაცვლეობით). **ზიოსი**<**ზიოს**’ისაგან და **ზიოს** კუთვნილს ნიშნავს. ბარემ აღვნიშნავთ, დღეს **ზიოსი** მოზრდილი სოფელია რამდენიმე უბნით, ესენია: **ბექი-ეთ**’ი, **ბალი-ეთ**’ი, **მოლლი-ენთ**’ი, **ბიბო-თ(ი)**, **ქომოჯი-ენთ**’ი, **სარვანი-ენთ**’ი (შდრ. გვარი - სარვალიძე), **მიკელყმი-ენთ**’ი<**მიქელყმი-ენთ**’ი.

უსტამ-ის’ი - იგივე წყეთი ბარი, სოფელი შავშეთში. **უსტამი**¹³ მამაკაცის სახელი ჩანს, **უსტამისი** - მისი კუთვნილი მამულია.

მამანელ-ის’ი - სოფელი შავშეთში. **მამანელი**’ აგებულიებით წარმომავლობის სახელია, **მამანელისი** - მამანიდან მოსულის კუთვნილი მამული.

მალ-ის’ა (<**მალა-ის**’ა) - სოფელი შავშეთში. **მალა**’ მეტსახელი ჩანს კაცისა, გადარჩენილია გვარში - **მალაშვილი**.

¹³ „ეესტათი მცხეთელის წამებაში“ ვკითხულობთ: „და უსტამ, ციხისთავმან მცხეთისამან, ისმინა მათი ეესტატისთვის და მიავლინა ერთი მხედართაგანი მოწოდებად ნეტარისა ეესტათისა...“ (ეესტათი მცხეთელი, 1981:28); „ხოლო უსტამ ციხისთავმან ჰრქვა მას“ (იქვე, 29). ჩანს, უსტამი ცნობილი სახელი იყო ძველ საქართველოში.



-ის სუფიქსით ნაწარმოები გეოგრაფიული სახელები მიჩნეულია საზღვრულდაკარგულ მსაზღვრელებად (იხ. შანიძე, 1973:115; 119; 1958: 20-21; ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე, 1988: 241, შნშ. 2ბ).

2.3.9. **სუფიქსი -ობ'ა**. შავშეთის ტოპონიმიაში -ობ სუფიქსით ნაწარმოები რამდენიმე გეოგრაფიული სახელი დადასტურდა. -ობ//**-ოფ** სუფიქსი „საერთოდ აბსტრაქტულ სახელებს აწარმოებს, ტოპონიმიკურ სახელებში კი მას კრებითი, ქონების მნიშვნელობა აქვს“ (ზურაბიშვილი, 1961:151).

გარყლ-ობ'ა - სოფელი შავშეთში.

„ხუთვერსიან რუკაზე“ დატანილია Гаркилоб'и [გარყილობ'ი], სოფელი და მაილა შავშეთში (Пагирев, 1913). ი. სიხარულიძე „ხუთვერსიან რუკაზე“ ამოიკითხავს „გარკელოვ“, იმავე ფორმას ასახელებს გიორგი ყაზბეგთანაც (იხ. სიხარულიძე, 1988:45).

ნიკო მარი ჩაიწერს - „გარყელოვს“.

ალ. ჯავახიშვილი ასახელებს - „გარკილობა“.

ჩვენ ექსპედიციების დროს ჩავიწერეთ **გარყლობი//გარყლობა**, - სოფელი ციხისძირს ზემოთ იმერხევში. იოანე ბაგრატიონი თრიალეთში და ზბრითის ხევში ასახელებს გეოგრაფიულ სახელს **გარყლუპი** (სქ. **დარღლუპი?**)(იხ. ბაგრატიონი, 1986:47;48).

„ქართლის ცხოვრებაში“ ნახსენებია „ციხე გარყლობისა“ (ქ.ცხ.I, 1955:292).

დასაშვებია **გარყლობი//გარყილობი//გარყელობი//გარყელოფი**); ამავე რიგში ჩადგება **გარყლუპი** (<*გარყლობი>საგან ფონეტიკური გარდაქმნით). **გარყლ'** ფუძის მნიშვნელობა უცნობია.

თეთრ-ობ'ი - ადგილი ჩაქველთაში.

„ხუთვერსიან რუკაზე“ დატანილია **Тетропъ** [თეთროპ'ი], რუსულად ჩაწერილი **თეთრობი**. თეთრობი გვხვდება აჭარაშიც, რაგვთისა და თხილვანის მაილა.

-ობ//**-ოფ** სუფიქსის შესახებ არაერთი მოსაზრება გამოითქვა ქართველ მკვლევართა მიერ, რაზეც სხვაგან ვსაუბრობთ (იხ. კლარჯეთი, 2016:621-622) და აქ აღარ გავიმეორებთ.

2.3.10. **სუფიქსი -ეულ**. -ეულ გამოხატავს „განკუთვნებას, კუთვნილებას და წარმომავლობას“ (ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე, 1988:153). აჭარის



ტოპონიმიაში, მ. ქამადაძის დაკვირვებით -**ეულ** კუთვნილებას გამოხატავს (ქამადაძე, 1999:23).

აღ. მსხალაძე მსჯელობს -**ეულ** სუფიქსის შესახებ და მიიჩნევს, რომ -**ეულ**>-**ევლ**>-**ევს**, სადაც უ' შეიცვალა ვ'თი, -**ლ** კი დაიკარგა (მსხალაძე, 1954:25-27) და მოიყვანს მაგალითებს: **მარჯანევი**, **ბიტყევი**, **მაზარევი**. გვხვდება პარალელური ფორმებიო: **ბიტყეველ'**, **მარჯანეველ'**, **მაზარეველ'**. პარალელური ფორმების დადასტურება მნიშვნელოვანი საბუთია, თუმცა, ვფიქრობთ, -**ევ**' -**ებ**'ის ფონეტიკური ვარიანტია. დასაშვებია, რომ ბირტყ-ევ'ის -**ევ** და ხოხლ-ევ'ის -**ევ** სხვადასხვა ოდენობაა: პირველი -**ეულ**' სუფიქსის ფონეტიკური გარდაქმნის შედეგია, მეორე - **ებ**'ის. ფონეტიკურ ნიადაგზე წარმოიშვა განსხვავებული წარმომავლობისა და მნიშვნელობის „ომონიმური“ სუფიქსები.

იფხრ-ეულ'ი - სოფელი შავშეთში, ისმის **იფხრ-ევლ'**ი. თ. ართვინლი ასახელებს ფორმას **იფხ'ევ**//**იფხრ-ევ**. ამდენად, გვხვდება პარალელური ფორმები: **იფხრ-ეულ'**ი>**იფხრ-ევლ'**ი> **იფხ-ევ**//**იფხრ-ევ**.

ბარემ ვიტყვით, რომ **იფხრეული** გასული საუკუნის დამდეგს სამი უბნისაგან შედგებოდა: **იმნაძე**, **იმფხრეული**, **იგიეთი** (მარი, 2012:172).

იფხლ'ი ძველ ქართულში ცნობილი ფუძეა, გვიმრას აღნიშნავს (იფხლი>იფხრი ლ:რ მონაცვლეობით) (იხ. ფალავა, 2013:90). **იფხლ'**//**იფხ'** სახელურ ფუძის შესახებ ვრცლად მსჯელობენ იზა ჩანტლაძე და ნინო ნაკანი (იხ. ჩანტლაძე, ნაკანი, 2014:96-100). მკვლევრები მოიტანენ **იფხ**//**იფხლ** ფუძის შემცველ გეოგრაფიულ სახელებს მთლიანი საქართველოდან. აღნიშნული ფუძე საერთოქართველური კუთვნილება ჩანს.

დაბოლოს, **იფხრეული** ვიდაცის კუთვნილებაზე მიუთითებს. ჩანს, **იფხრი**/**იფხლი** მეტსახელია კაცისა. აღვნიშნავთ, რომ **იფხრიენთი**//**იფხლიენთი** სახლის სახელი არ დაგვიდასტურებია.

მორბედ-ევლ'ა<**მორბედ-ეულ'**ი - მორბედის კუთვნილი ადგილია დაბაწვრილში. მორბედი „საოჯახო საქმეების შემსრულებელი, ხელზე მოსამსახურე, შინამოსამსახურე“ - განმარტავს შოთა ნიჟარაძე (ნიჟარაძე, 1971).

-**ეულ** სუფიქსი დასახელებულ გეოგრაფიულ სახელებში კუთვნილებაზე მიუთითებს.

2.3.11. **სუფიქსი -ურ**(//**-ულ**). **-ურ**//**-ულ** მიჩნეულია წარმომავლობის სუფიქსად. „-ურ'ის დართვისას (იხე როგორც **-ელ**'ის დართვისას)



გეოგრაფიულ სახელს, რომელსაც ბოლოში -**ეთ** და -**ის** აქვს. შეიძლება ეს -**ეთ** ჩამოშორდეს ძველი წარმოების თანახმად: დუშეთი - დუშური“ (შანიძე, 1973:127-128. შდრ. ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე, 1988; ზურაბიშვილი, 1961:149).

არნ. ჩიქობავას -**ურ**//**-ულ** სუფიქსი რა კატეგორიის (არაადამიანთა კლასის - ავტ.) მაწარმოებლად მიაჩნია (ჩიქობავა, 2013:137).

შავშეთის ტოპონიმიში გვხვდება -**ურ**//**-ულ** სუფიქსით ნაწარმოები სახელები:

კოჩიბა-ვ-ურ'ი - ადგილი სათლელთან ახლოს (მარი, 2012: 142)¹⁴, ფუძეში ვ' განვითარებული ჩანს.

კოჩიბაურის შესახებ მსჯელობს ი. სიხარულიძე: „კოჩიბაური-კოჩიბაური ამ ადგილის ოდინდელ მფლობელზე უნდა მიგვანიშნებდეს. კოჩიბა ან საკუთარი სახელი უნდა იყოს, ან - გვარი“ (სიხარულიძე, 1988:22). კოჩიბა გვარსახელი ვერ იქნება, ასეთი წარმოების გვარი ქართულ სინამდვილეში არ დასტურდება. კოჩიბა' სახელი ან მეტსახელია კაცისა.

კოკიშა-ურ'ი - ადგილი გურნათელში, სადაც ადრე ეკლესია ყოფილა. კოკიშა' მეტსახელი უნდა იყოს.

ფხიკი-ურ'ი - სოფელი იმერხევში, გვხვდება **ფხიკი-ურ**'აც. „ხუთვერსიან რუკაზე“ დატანილია Пхикиор [ფხიკიურ]. **ფხიკი**' კაცის მეტსახელი უნდა იყოს.

დავლა-ურ'ი - სოფელი იმერხევში. გვხვდება **დავლა-ვ-ურ**'იც, V-V პოზიციაში ვ' განვითარებულია. დავლა საკუთარი სახელი ჩანს (შდრ. გვარი - დავლაძე).

ცეცხლა-ურ'ი - სოფელი შავშეთში (სიხარულიძე, 1988:17). **ცეცხლა**' მეტსახელი ჩანს.

გომინა-ურ'ი - მთა შავშეთში.

ჭედლი-ურ'ი - სოფელი ქვათეთრისს//ქოთეთრისს ხეობაში. „ხუთვერსიან რუკაზე“ დატანილია Чедлеури [ჩედლეურ'] ჭედლეური.

¹⁴ „აქ ადრე საუცხოო ვენახი იყო. იქ იპოვეს ქართული დროების უზარმაზარი ქვის საწნახელი. გასპარის (ნიკო მარის მეგზური - ავტ.) მამამ ოცი წყვილი ხარი შეაბა, რომ საწნახელი სახლში მოეთრია“ (მარი, 2012:142-143). საყურადღებო ცნობაა, რამდენადაც დღეს შავშეთში ვაზის ჯიშები ბევრი არ გვხვდება, მივიწყებულია ზოგადად მეურნეობის ეს დარგი. მევენახეობასთან დაკავშირებული ყოველი ფაქტი დასტურია, რომ შავშეთში ადრე მევენახეობაც დაწინაურებული დარგი იყო. ნ. მარი დავლაურშიც ადასტურებს ქვის საწნახელს.



მჭედელი (>ჭედელი) ხელობის სახელია მეტსახელად **ჭედელი-ჭედელი-ურ**'ი **ჭედელის** საკუთრებაა. სიტყვის თავში აფიქსისეული მს დაკარგვა გავრცელებული მოვლენაა სამხრულ მეტყველებაში.

მჭედრე-ულ'ი - ჩიხორის უბანი. ნ. მარი რამდენიმე ფორმას ასახელებს: **ჭედრიული, მჭედრეული, ჭედლეული** (მარი, 2012: 179; 184; 185). „ხუთვერსიან რუკაზე“ დატანილია **Чедлурь** [ჩედლურ'ი]. **ჩედლური ჭედლურის** რუსული ჩანაწერია.

ჭედლიური ჩაუწერია ნიკო ერისთავ-შარვაშიძეს (შარვაშიძე, 1995).

ი. სიხარულიძე უპირატესობას ანიჭებს „**მჭერეულს**“ (?) რაც „მჭედლეურის სახენაცვალი ფორმა ჩანს და მჭედლიძისოულს უნდა ნიშნავდეს“ (სიხარულიძე, 1988:58).

ჯერ ერთი, **მჭერეული** არც ერთ ჩანაწერში არ დასტურდება, არც ადგილზე ისმის.

მეორე, - **მჭედლეური//ჭედლეური მჭედლის//ჭედლის** კუთვნილია და არა - მჭედლიძის.

სურმალა-ვრ'ი (<*სურმალა-ურ'ი) - ადგილი ბაზგირეთში. **სურმალა** <**სურმანა** ანთროპონიმია, შენახულია გვარსახელში სურმანიძე.

ზედა-ურ-ებ'ი - ადგილი ჩაქველთაში. **ზედაური** წარმომავლობის სახელია.

გაგა-თ-ურ'ი - ადგილი ახალდაბაში: გაგას კუთვნილი.

ქვიტა-ურ'ი//<**ქვატა-ურ**'ი - ადგილი აგარაში. **ქვიტა//ქვატა** <**ქვითა** //**ქვათა**>საგან. **ქვათა**' მეტსახელი ჩანს, შენახულია გვარსახელში - ქვათაძე.

შარაბ-ულ'ი - ადგილი აგარაში. **შარაბი** კაცის სახელია, დაცულია გვარსახელში შარაბიძე. **შარბი-ეთ**'შიც<***შარაბი-ეთ**'ისაგან იმავე ფუძეს ვხედავთ. **შარაბული** ორთაბათუმის აგარაშიც გვხვდება.

კოვრი<***კოური** - ადგილი აგარაში. **კოი** ანთროპონიმი უნდა იყოს, დაცულია გვარსახელში **კოიძე**<***კოისძე**.

ნადირა-ულ'ი - ადგილი წიწვეთში. **ნადირაული** - ნადირას კუთვნილი მამულია.

კორნა-ულ'ა//**ყორნა-ულ**'ა - ადგილი ვერხვანალში.

კორნა<**კვერნა**>საგან (ვე>ო'ს), მეტსახელია კაცისა.

ყორნა<**ყორანა**>საგან, - მეტსახელი კაცისა.

ორივე დასაშვებია, ორივე ფუძე (კვერნა, ყორანა) გვხვდება გვარსახელებში, - კვერნაძე, ყორანაშვილი.



ქიჩბა-ური - ადგილი შავშეთს ზემოთ.

სიანთე-ური <***სანთე[ლა]-ურ**ი(?) - ადგილი შარათხევში.

შევნიშნავთ: ქართულის არმცოდნე ინფორმატორს უჭირდა ქართული სახელის წარმოთქმა.

ჯურმ-ული - ადგილი გურნათელში.

აღნა-ური - ადგილი გურნათელში. **აღნა//აღნია** ანთროპონიმია, შენახული გვარში - აღნიაშვილი.

აახმეთ-ური (<**ახმეთ-ურ**ი) - ადგილი გურნათელს ქვემოთ. **ახმეთი//ახმედი** მამაკაცის სახელია.

ალჩირა-ვლი <***არჩილა-ურ**ი - ადგილი ჯვარისხევში. **არჩილა**> **ალჩილა**’ს რეგრესული ასიმილაციით.

ბითა-ური - ადგილი დაბაწვრილში. **ბითა**’ ანთროპონიმია. შდრ. გვასახელი **ბითამე**.

ვაჩან-ეთ-ური - ადგილი მანატბაში. **ვაჩა-ნ-ი**<***ვაჩენ-ი** ვაჩეს ოჯახი, ჩამომავლობა. **ვაჩენ-ეთ**ი ვაჩეს სახლეულის კუთვნილია. შემდეგ ხელახლა უწარმოებიათ გეოგრაფიული სახელი **-ურ** სუფიქსის დართვით. ორი სუფიქსით (-ეთ, -ურ) ერთი მნიშვნელობის მქონე ტოპონიმი უწარმოებიათ.

კვესა-ური - სოფელი შავშეთში. **კვესია//კვესიე** მეტსახელი ჩანს კაცისა. შდრ. გვარი **კვესიეშვილი**.

მოყვანილ მასალაში **-ურ// -ულ** სუფიქსი ვისიმე ქონებაზე მიუთითებს, ყველა ანთროპოტოპონიმი ჩანს.

განსხვავებული მნიშვნელობისაა:

დაჭერ-ული - ადგილი დაბაწვრილში, მიმღეობური ფუძეა.

შერთ-ული - ადგილი იმერხევში. **შერთული** ადგილია, სადაც ორი ხევი//ხეობა ან მდინარე შეერთო ერთმანეთს. მნიშვნელობით იგივეა, რაც ხერთვისი.

შევნიშნავთ, რომ **შერთული** გვხვდება პატარა ლიახვის ხეობაშიც (იხ. ბაგრატიონი, 1986:40).

2.3.12. **სუფიქსი -არ(-ალ)**. შავშეთის ტოპონიმიაში რამდენიმე სახელი დადასტურდა **-არ** სუფიქსით ნაწარმოები. აღვნიშნავთ, რომ **-არ** იშვიათია ქართულ ტოპონიმიაში (ზურაბიშვილი, 1961:149), იშვიათია იგი ჭოროხის ხეობის გეოგრაფიულ ნომენკლატურაშიც. შავშეთში დადასტურდა ათამდე სახელი, რომელშიც გამოიყო **-არ(-ალ)** სუფიქსი, ტაოში - ოთხი. **-არ** სუფიქსი



„გეოგრაფიულ სახელთაგან აწარმოებს წარმომავლობის სახელს“ (შანიძე, 1981:33), -**არ-ელ**’ის ბადალია (ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე, 1988:42).

ჩიხ-არ’ი, - გეოგრაფიული სახელი ჩაუწერია ზაქარია ჭიჭინაძეს (ჭიჭინაძე, 1913:294). წარმომავლობის სახელი (ჩიხარი) გამოუყენებიათ ტოპონიმად. **ჩიხი**’ ფუძე დაცულია ჩიჭისხევეში. სადღაც არსებობდა გეოგრაფიული პუნქტი **ჩიხი**’, რომელიც ახლა არ ჩანს. **ჩიხარი** - ჩიხელია: ახალ საცხოვრისში მის კუთვნილსაც იგივე სახელი, - **ჩიხარი** უწოდეს. ამავე რიგში შეიძლება განვიხილოთ **ბათ-არ**’ი (ართვინლი, 2013).

-**ალ** სუფიქსს გამოვეყოფთ ტოპონიმში **კარჩხ-ალ**’ი - მთა და სოფელი კარჩხალას ხეობაში. **კარჩხ**’ ფუძე ჩანს სახელში **კარჩხ-ან-ა**. საბა განმარტავს მას როგორც თევზი, თევზეული (საბა, 1949).

ქართული ენის დიალექტებში დასტურდება:

კარჩხა „საკიდარი, მრავალტოტა ქირჭო, რქა“ (ხევსურული); „კერის თავზე გადებული ხარჩხა“; „ძალიან გამხდარი კაცი“ (მთიულური). ალ. ღლონტი ლექსიკონში შეიტანს **კარჩხალი** მთა და განმარტავს: „კლდოვანი, ტიტველი მთა“ (უთითებს გ. შარაშიძეს. იხ. ღლონტი, 1984). თუ კარჩხალის მთებს დავაკვირდებით, იგი მართლაც შიშველია. ამასთან, კარჩხალი დაკბილულია, მრავალტოტაა. კარჩხალის ბუნებრივ მდგომარეობასთან ყველაზე ახლოსაა **კარჩხა**’ს ხევსურულში დადასტურებული მნიშვნელობა, „მრავალტოტა ქირჭო, რქა“.

კარჩხალი თავდაპირველად მთას ერქვა, მდინარის სახელი მეორეულია: სათავეს კარჩხალას მთებში იღებს, სახელდებაც აქედან მოდის.

ნორგი-ალ’ი - სოფელი შავშეთში. სახელი ნახსენებია გიორგი მერჩულეს თხზულებაში. „ხუთვერსიან რუკაზე“ დატანილია **Норгиель** [ნორგიელ’ი].

ნიკო მარიც ასახელებს **ნორგიელ**’ს.

ნორგიალი//**ნორგიელი** წარმომავლობის სახელი ჩანს. -**ალ**//**-ელ** სუფიქსის მონაცვლეობით ფუძის მნიშვნელობა არ იცვლება. ერთი კია, ნორგიალი უფრო ძველი ფორმა ჩანს; **ნორგ**’ სახელური ფუძის მნიშვნელობა სამიბებელია.

ჯინ-ალ’ი - სოფელი შავშეთში, ყვირაღას ხეობაში.

ჯნალი ნახსენებია „ქართლის ცხოვრებაში“ (ქ.ცხ. II, 1959:260): „იძლია თეგუდარ, და ივლტოდა დედაწულითა მიერ მთასა დადოსასა, **ჯნალის** თავსა...“ სქოლიოში ჩატანილია **ჯანალი** E. **ჯნალი**’ **ჯინალის** შეკუმშული ფორმაა, ძველი ჩანს **ჯანალი**.



„ხუთვერსიან რუკაზე“ დატანილია **Джиналь** [ჯინალი] ადგილზეც ასახელებენ **ჯინალს**. ჩანს, ისტორიულად იცვალა ფორმა სახელმა: **ჯანალი>ჯინალი** რეგრესული დისიმილაციით, შესაბამისად, მოხდა მნიშვნელობის გადააზრებაც. საბა-სულხანი განმარტავს: „**ჯინი** - გოდორ მარხილი“ (საბა, 1949).

გურიაში დასტურდება ვაზის ჯიში **ჯანი**, კახეთში - **ჯანაანური** (ღლონტი, 1984). გურული **ჯანი** (ვაზის ჯიში), კახეთის **ჯანაან** იდან უნდა იყოს. **ჯანაანი** გეოგრაფიული პუნქტი ჩანს კახეთში. ბარემ აღვნიშნავთ, რომ ენისელის სოფელია **ჯინიხ** (ბაგრატიონი, 1986:72). იმავე ფუძეს ვხედავთ **ჯან-ალ//ჯინ-ალ** საგეოგრაფიო სახელშიც.

ბრინჯვ-ალ - ადგილი ზენაგარაში. **ბრინჯვალი** ბრინჯიანი ადგილია. შდრ. **ნაბრინჯვალი** - სადაც წინათ იყო ბრინჯი. **ნა-ალ** კონფიქსში წინავითარებას **ნა-** პრეფიქსი გამოხატავს.

-**ალ** სუფიქსს გამოვყოფთ **ყვირ-ალ-ა** შიშც.

ჩიხ-არ’ი, **ბათ-არ**’ი, **კარჩხ-ალ**’ი, **ნორგი-ალ**’ი, **ჯინ-ალ**’ი, **ბრინჯვ-ალ**’ი, **ყვირ-ალ-ა** - სულ შვიდიოდე გეოგრაფიული სახელი დავადასტურეთ შავშეთში -**არ**//**-ალ** სუფიქსით ნაწარმოები.

-**არ** (//**-ალ**) სუფიქსიანი ტოპონიმები ძველი ფენაა ქართულ ენაში.

2.3.13. **სუფიქსი -ელ**. **-ელ** ადამიანის წარმომავლობის სახელების საწარმოებელი სუფიქსია (შანიძე, 1973:127). ჩანს იგი გეოგრაფიულ სახელებშიც და გარკვეული წარმომავლობის პირის/პირების კუთვნილებას აღნიშნავს, ან - საცხოვრისს.

ცორც-ელ’ი - სოფელი შავშეთში. ი. სიხარულიძე ასახელებს **ცირცელს** (იხ. სიხარულიძე, 1988:16).

„ხუთვერსიან რუკაზე“ დატანილია **Цорцель** [ცორცელ’ი] (Пагирев, 1913).

თ. ართვინლის ლექსიკონიში შეაქვს **Sorsel** [სორსელი], უხეიროდ ჩაწერილი **ცორცელი**.

ჩვენ ჩავიწერეთ **ცორცელი**.

ამოსავალი ფორმაა **ცორცელი**: **ცორც**’ი გეოგრაფიული პუნქტი უნდა იყოს, საიდანაც მოსულა ცორცელის მეპატრონე **ცორცელი**.

წარმომავლობის სახელი სახელმძებელს გამოუყენებია ადგილის სახელად.

გურნათ-ელ’ი - სოფელი შავშეთში.

ტოპონიმი დატანილია „ხუთვერსიან რუკაზე“: **Гурнатель** [გურნათელ’ი] (Пагирев, 1913).

გურნათელი<**გუნათლეელი**’საგან რ’ს განვითარებითა და ლ’ს დაკარგვით. **გუნათლეელი** (>გურნათელი) წარმომავლობის სახელია, იმ პირის აღსანიშნავად, ვინც გუნათლედანაა; სოფლის სახელადაც **გურნათელი** აურჩევია სახელმძღვანელს, გუნათლედან მოსულის კუთვნილების აღსანიშნავად.

მორღ-ელ’ი - ადგილი შავშეთში. წარმომავლობის სახელია **მორღელი**, შემდგომ ტოპონიმად ქცეული, მორღიდან მოსულის კუთვნილების აღმნიშვნელი. საძიებელია **მორღის** მდებარეობა.

ციხისძირის გზაზე ადგილს ქვია **მორგელი**. ადასტურებს ნ. მარც (მარი, 2012:142).

„ხუთვერსიან რუკაზე“ დატანილია **Моргель** [მორგელი]. **მორგელი** რუსი მოხელის მიერ ჩაწერილი **მორღელი** უნდა იყოს.

ვაკს-ელ’ი - მთა უბის ზემოთ: **ვაკსელი**<***ვაკისელი**?

კოთ-ელ’ა - ადგილი ბაზგირეთში. **კოთელა**<***კვეთელა**’საგან? (ვე>ო’ს დაშვებულია სამხრულ დიალექტებში).

სარტყ-ელ’ა - მთა უბეს გაღმა.

ფოლოცი-ელ’ი - სინკოთის უბანი. ფუძეა **ფოლოცი**<***ფოლორცი**’საგან(?). საბა-სულხანი განმარტავს: „**ფოლორცი** - შუკა“ (საბა, 1949). **ფოლოცი-ელ**’ი წარმომავლობის სახელია.

ბელ-ელ’ი - ადგილი აგარაში.

სულხან-საბა განმარტავს: „**ბელელი** - ფქვილისა და ხვარბლის დასამარხავი...“ (საბა, 1949); **ბელო** - „სამნე სახლი“ (საბა, 1949).

დიალექტებში **ბელელს** რამდენიმე მნიშვნელობა აქვს:

1. საბოსტნე მიწა (გურული, აჭარული, თუშური, ფშაური). 2. მცირე შენობა ფქვილის, სიმინდის, ბოსტნეულისა და სხვა სანოვავის შესანახავი. 3. 22 საპალნე ახდილი ყავარი. 4. საზამთრო სახლი. 5. ბელელი ყავარი - 300 ცალი ყავარი; ყავრის ზომის ერთეულია... (ღლონტი, 1984).

დასახელებულ მნიშვნელობათაგან ტოპონიმი **ბელელი** უნდა უკავშირდებოდეს „საბოსტნე მიწას“, თუნდაც იმიტომ, რომ ადგილის სახელია. **ბელელის** ეს მნიშვნელობა დღეს შავშურისათვის უცნობია.



დასახელებულ გეოგრაფიულ სახელებში -ელ სუფიქსი გამოხატავს წარმომავლობას (გურნათელი, მორღელი...) და დანიშნულებას (ბეღელი, სარტყელი).

2.3.14. **სუფიქსი -ებ**. შავშეთის გეოგრაფიულ სახელებში გამოიყოფა -ებ სუფიქსიც. ტოპონიმებში -ებ სიმრავლეს გამოხატავს, სხვაგვარად, სახელის მრავლობითის ფორმა გამოყენებულია ადგილის სახელად.

ა. -ებ დაერთვის რა ჯგუფის სახელებს:

ჭუარ-ებ’ი (<*ჯუარ-ებ’ი//ჯვარ-ებ’ი) - გარყლობის უბანი. „ჭუარებთან ერთად, ახლანდელი ადმინისტრაციული დაყოფით, მთავრდება შავშეთი“ (მარი, 2012:148).

ჭვარები გვხვდება თემის ხეობაშიც (ზაგრატიონი, 1986:31).

ოდ-ებ’ი - ქვაბები ბალვანის მიდამოებში (სიხარულიძე, 1988:30). **ოდა** აქ ოთახის (თ. Oda) მნიშვნელობითაა.

ქვაბ-ებ’ი - ადგილი ყვირაღას ხეობაში. „ქვაბი - კლდე გამონაკაფი“, - განმარტავს სულხან-საბა (საბა, 1949). შდრ. „პარები - კლდე გამოქვაბული“ (საბა, 1949).

მნიშვნელოვანია, რომ ტოპონიმმა დაიცვა „ქვაბის“ ძველი მნიშვნელობა, რაც უცხოა თანამედროვე შავშურისათვის.

დარი-ებ’ი (<*დარები. ეე>იე’ს დისიმილაციით).

„დარე“ გვხვდება აჭარულში, ნიშნავს „ფერდი, ფერდობი, გვერდი, გვერდობი“ (ნიჟარაძე, 1971). „დარე“ ამავე მნიშვნელობით იხმარება შავშურშიც (იხ. შავშეთი, 2011:513).

სერ-ებ’ი - ადგილი მანატბაში. „სერს უწოდებენ მოგრძედ წაზიდულ გორასა“ (საბა, 1949).

თუთუნ-ებ’ი - ადგილი მანატბაში. ყანა, სადაც თუთუნის (თამბაქოს) პლანტაციაა.

დოლმ-ებ’ი - უბანი უბეში. **დოლმა** იგივე მელეზია. მელეზი კიდევ ნიშნავს: „ნარევი, არეული: „ჩვენ მელეზი ვართ, დოლმა, არეული. დოლრი გურჯი თქვენ ხართ, ჩვენ - მელეზი“ (შავშეთი, 2011: 591). **დოლმები** უბანია, სადაც შერეული/ნაჯვარი მოსახლეობაა. **დოლმები** - მეტსახელი გვარია, სახლის სახელია, მათი საცხოვრისიც **დოლმებია**.

ბარ-ებ’ი - ადგილი ჩიჭისხევში. **ბარი მთის** ანტონიმია.



ბარი - „ცხელი ქუჩეყანა“ (საბა, 1949). **„ბარი დაბლობი“**, თბილისი ადგილი“ (ფუტკარაძე, 1993: 393). **ბარი** - სადაც მუდმივი საცხოვრებელია (შდრ. მგელაძე...2018:67); **მთა//თა** - საზაფხულო სადგომი, ძალადი, მაილა (მგელაძე...2018:290). **მთასა და ბარს** შორის არის საგაზაფხულო და საშემოდგომო სადგომი, **ყიშლა**.

ვაკე-ებ - ადგილი ჯვარისხევში. „ვაკე“ იგივეა, რა ველი, „ქუეყანა ბრტყელი“ (საბა, 1949).

ჭოჭ-ებ - ადგილი მანატბაში.

„**ჭოჭე**“ - ადგილი წყლიანი“ (საბა, 1949).

„**ჭოჭე**“ წყლიანი მდელო, დაჭაობებული ადგილი (ფუტკარაძე, 1993).

„**ჭოჭი**“ აღნიშნული მნიშვნელობით ცნობილია სამხრულ კილოებში (შდრ. აჭარული: ჭოჭი (ნიჟარაძე, 1971); შავშური: ჭოჭე (შავშეთი, 2011).

„**ჭოჭები**“ - წყლიანი ადგილია.

კაკლ-ებ - ადგილი ჯვარისხევში.

ხოზნ-ებ - ადგილი უკანეთის მაჰალეში.

„**ხოზანი**“ არანაყოფიერი, გამოფიტული მიწაა (შდრ. აჭარული **ხოზანი**. ნიჟარაძე, 1971).

ბ. -ებ დაერთვის ვინ ჯგუფის სახელებს:

დევაძე-ებ - უბანი უბეში.

„ხუთვერსიან რუკაზე“ დატანილია **Девадзиеби** [დევაძიები] (Пагирев, 1913).

ნ. მარი ადასტურებს **დევაძეები**.

ალ. ჯავახიშვილი ასახელებ ფორმას - **დევაძე**.

ჩვენმა ექსპედიციამ ჩაიწერა **დევაძევი**.

დასახელებული ყველა ფორმა (დევაძეები, დევაძიები, დევაძე, დევაძევი) დასაშვებია ჭოროხის ქვეყნებისათვის.

დავლავლე-ებ - ადგილი დასამობში, სადაც ციხეა, თავად ციხესაც იმავე სახელით მოიხსენებენ.

დავლავლები - **დავლას** სახლის კუთვნილი ადგილია სოფელში. გვხვდება გვარი **დავლაძე**, თუმცა იგი გვიანი წარმონაქმნია.

თუქშ-ებ - ზიოსის უბანი: „ჩვენ სოფელ **თუქშები** ქვია. ზიოსიდან ქი ჩამედარეთ, ... იქ მაჰალეა“ (ხევწვრილი). **თუქში** სახლის სახელია, მეტსახელი გვარი.

კურცხალთ-ებ - ადგილი დაბაწვრილში.



კურცხალთები (კურცხალ-თ-ებ’ი) - ორმაგი მრავლობითი ფორმაა. **კურცხალი** ადამიანის სახელი//მეტსახელი ჩანს, დაცულია გვარსახელში - **კურცხალიძე**.

კონზოლ-ებ’ი - ადგილი მანატბაში.

კონზოლი//**კონძოლი** მეტსახელი უნდა იყოს.

დღვაბიზ-ებ’ი - უბანი წეთილეთში.

დღვაბიზე < ***დღვაბიძე** > საგან, - მეტსახელი გვარი, ქოხის სახელი ჩანს.

ზორბ-ებ’ი - უბანი უბეში.

„ზორბა“ სახლის სახელია, ჩანს, ფიზიკური აღნაგობის გამო შერქმეული. „ზორბა“ წარმოსადეგი, დიდი, მოსული (ქეგლ). შდრ. სულხან საბა ორბელიანი: „ზორზოხი - ტანად მოდიდო კაცი“ (საბა, 1949).

დასახელებულ მაგალითებში სახელის მრავლობითის ფორმები გამოყენებულია ტოპონიმებად.

2.3.15. სუფიქსი -ნარ//ნალ. შავშეთის ტოპონიმიაში გვხვდება **-ნარ/-ნალ** სუფიქსით ნაწარმოები გეოგრაფიული სახელები. ივარაუდება, რომ **-ნარ** რთული შედგენილობისაა, **-ნ** და **-არ** ელემენტებისაგან შედგება, სადაც **-ნ** მრავლობითობის სუფიქსია, **-არ** კრებითობისა. „-ნარ//ნალ დაერთვის არხებითი სახელის ფუძეს (უპირატესად მცენარეთა სახელებს) და გამოხატავს კრებითობას, ერთობლიობას“ (ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე, 1988:318).

ვერხვ-ნალ’ი - ადგილი ჩაქველთაში.

ვერხვი, *Populus tremula*. ასახელებენ ვერხვის სახეობებს: კანადური ვერხვი, ვერხვი ჭალისა, ხვალო (იხ. მაყაშვილი, 1991).

თხინ-ნარ’ი (* <თხილ-ნარ’ი. ლ - ნ > ნ - ნ’ს ასიმილაციით). - ადგილი ჩაქველთაში.

ღვია-ნარ-ებ’ი - ადგილი ნიოლეთში. ორმაგი სუფიქსით (-ნარ, -ებ) ნაწარმოები სახელია. ფუძეა - ღვია, მცენარე, *Juniperus*, იგივე **ტუია** (ქართლური), **ღვია** (ქიზიყური), **არჩან** (ინგილოური), **ოდალაჯი** (აჭარული), **ჰყერი**, **ჰყერუ** (სვანური) (მაყაშვილი, 1991). ჩანს, ღვია გავრცელებული მცენარეა საქართველოში. „ღვია ეკლიანი იგია, იმ ემეში ბევრი არი და... ისე დუურქმევნიან“ - ბაზგირელი ინფორმატორის განმარტება.

ჰოჰ-ნარ-ებ’ი - ადგილი მანატბაში: „წყლიანი ადგილია და ისე დუურქმევნიან“ - ინფორმატორის განმარტება.

ჰოჰ-ნარ’ი - ადგილი ნიოლეთში.



მოყვანილ მასალაში -**ნარ**//**-ნალ** დაერთვის მცენარულ (უმეტესად) ფუძეებს (ზოგჯერ - სხვასაც) და გამოხატავს მცენარეთა ამ სახეობის კრებულს, სიმრავლეს. ორიოდ ფუძეს -**ნარ**'თან ერთად -**ებ** სუფიქსიც დართვია. ჩანს, შავშეთში თანდათან დავიწყებას ეძლევა -**ნარ**//**-ნალ** სუფიქსის მნიშვნელობა.

2.3.16. **სუფიქსი -ევ**. შავშეთში დავადასტურეთ -ევ სუფიქსით ნაწარმოები რამდენიმე გეოგრაფიული სახელი:

გალიმურ-ევ'ი - ადგილი ჯვარისხევში.

შამორ-ევ'ი - ადგილი აგარაში.

ხოხლ-ევ'ი - სოფელი შავშეთში¹⁵, ისმის - **ხოხლოვიც**.

„კავკასიის ხუთვერსიან რუკაზე“ დატანილია **Хохлаурь** [ხოხლაური] (Пагирев, 1913).

თანერ ართვინლის ლექსიკონში შეაქვს **Hohlev** [Hoxlev] - **ხოხლევი**. მიანიშნებს პარალელურ ფორმაზეც - **Koxlebi** (კოხლები), „Kivrimlar“. Kivrim (ქივრიმ) თურქულში სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარება, მათ შორის: „ნაოჭი, დანაოჭებულობა, ტალღისებურობა“ (ლექსიკონი, 2001). თუმცა „ხოხლევის“ კოხლევად“ ქცევა მკვლევრის „შემოქმედებაა“.

ხოხლევი < **ხოხოლევი** > საგან. **ხოხოლა**, იგივე **ხუხულა** გვხვდება სამხრულ დიალექტებში, აქედან მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველებაშიც (ფუტკარაძე, 1993). სულხან-საბა განმარტავს: „**ხუხულა** არს ყრმათა მიერ ბედიითი ნამუშავევი, რეცა სახლი“ (საბა, 1949).

ხოხლევი//**ხოხოლევი** იგივე **ხუხულევი**ა, აღნიშნავს ადგილს, სადაც **ხოხოლებია**.

ზაზალ-ევ'ი - გვარი უბეში (შდრ. **ზაზალები**).

დევაძე-ევ'ი (< ***დევაძე-ევ** >) - უბანი უბეში (მარი, 2012:212). გვხვდება **დევაძეები** // **დევაძეებიც**. დასახელებულ ფორმებში **ვ:ბ** თანხმოვანთმონაცვლეობაა, რაც ფონეტიკურად შეპირობებულია.

დასახელებულ მაგალითებს დაემატება თ. ართვინლის ლექსიკონიდან **გოდგ-ევ**'ი.

¹⁵ **ხოხლევი** მოზრდილი სოფელია რამდენიმე უბნით: მესხიეთი, გორგიეთი, ქომიეთი, ჯენიგლიეთი, ლომიეთი, ჯევრიეთი, პალჯიეთი. ხოხლევი სახლობენ შემდეგი გვარები: მესხაძე/სისხაძე, გორგაზე, ქომაზე, ჯენიგელი, ლომაზე, ჯევრაზე, პალჯი (ფუტკარაძე, 1993:195).



მოყვანილ მასალაში თვალშისაცემია, რომ მონაცვლეობენ **-ევ** და **-ებ** სუფიქსები. **-ევ**, **-ებ**, **-ეთ** სუფიქსთა მონაცვლეობა დავადასტურეთ კლარჯეთის ტოპონიმიაშიც: **ბერძნევი//ბერძნეთი, კასრევი//კასრეთი, ისკევი//ისკები** (კლარჯეთი, 2016:627).

-ევ სუფიქსიანი ტოპონიმების რაოდენობა იზრდება, შესაბამისად, ფართოვდება „-ევ კილოს“ გავრცელების არეალიც (იხ. ფაღავა, 2017: 211-216; კლარჯეთი, 2016: 626-629).

2.3.17. **სუფიქსი -ენტ// -ანთ**. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ **-ენტ** სუფიქსი აწარმოებს სახლის სახელს// მეტსახელ გვარს, ხოლო **-ეთ** - გეოგრაფიულ სახელს, სახლის კუთვნილს. თუმცა გვხვდება **-ენტ// -ანთ** სუფიქსი ტოპონიმებშიც, იმავე ფუნქციით, რითაც **-ეთ**, - აღნიშნავს სახლის კუთვნილებას. ბარემ აღვნიშნავთ, რომ ნუგზარ ცეცხლაძე გამოყოფს **-იენტ// -იეთ** ბოლოსართს (იხ. ცეცხლაძე, 2004:36; შდრ. ქამადაძე, 1999:23), ვფიქრობთ, არასწორად. სუფიქსია **ენტ (>ეთ)**.

დადი-ენტი - ადგილი ჩაქველთაში, აღნიშნავს **დადიას** კუთვნილს.

ლაზი-ენტი - ადგილი ჩაქველთაში, აღნიშნავს **ლაზის** კუთვნილს.

გალმი-ენტი - ადგილი ჩაქველთაში.

გოზალი-ენტი ადგილი ჩაქველთაში, აღნიშნავს **გოზალის** კუთვნილს.

გოზალი ანთროპონიმია, შდრ. გვარი **გოზალიშვილი**..

ხოჯი-ენტი - ადგილი შოლტისხევში, აღნიშნავს **ხოჯის** ოჯახის კუთვნილს..

ციცი-ენტი - ადგილი შოლტისხევში, აღნიშნავს **ციცის** სახლის კუთვნილს. **ციცი** კაცის სახელია, დაცულია გვარში - **ციციშვილი**.

თათუ-ენტი - ადგილი შოლტისხევში, **თათუს** ოჯახის კუთვნილს.

ხარზვი-ენტი - ადგილი უბეში. **ხარზვიენთი**<**ხარძვიენთ**ისაგან.

ქეე-ენტი<***ქვეე-ენტ**ი - ადგილი შოლტისხევში. შესაძლოა, ერთი სახლის ნაწილი ზემოთ ცხოვრობს, მეორე - ქვემოთ, ეს უკანასკნელი **ქვეეენტია** ოჯახის ზემო ნაწილისათვის, ხოლო ქვემო ნაწილისათვის **ზემოენტია** ოჯახის ზემო ნაწილი. აჭარაში გვხვდება **ქვედაე** (ფაღავები) და **ზედაე** (ფაღავები), სხვაგან: **ქომოები** და **ზემოები**, **მალაეები** და **დაბლაეები**, **გალმაეები** და **გამოღმაეები**... **ქეეენტ**იც ანალოგიური წარმოების სახელია.

ნადრი-ენტი<***ნადირი-ენტ**ისაგან - ჭალა მანატაში.

ქომინთი<***ქომოენტ**ისაგან - ადგილი უკანეთის მაჭალეში.



ჭახი-ენთ - ადგილი კოკბერეთში. **ჭახა** მეტსახელი ჩანს, შდრ. გვარი **ჭახაძე**.

დუღბი-ენთ - უბანი ჩიჭისხევში. **დუღბი** სახელი/მეტსახელი ჩანს.

გოჩი-ენთ - ადგილი წეთილეთში.

ზუბი-ენთ - უბანი ჩიჭისხევში.

ეკლუ-ანთ - ადგილი უკანეთის უბანში. **ეკლუანთი**<**ეკლიანთი**>საგან; **ეკალა** სახელია კაცისა (შდრ. გვარი **ეკალაძე**).

მოლი-ენთ<***მოლა-ენთ**>საგან - ადგილი კოკბერეთში.

რამდენიმე **-ენთ** სუფიქსიან გეოგრაფიულ სახელს ასახელებს თანერ ართვინლი:

იბისი-ენთ, **იხშიმი-ენთ**, **ილემი-ენთი**, **ჰაჯი-ენთ**//**ჰაჯიოდლები**, **ხოჯი-ენთ**, **აშილი-ენთ**, **ჯიმუხი-ენთ**, **ჯმუხი-ენთ** (ჯიმუხიენთი და ჯმუხიენთი ერთი და იგივე მეტსახელი გვარია, თუმცა თ. ართვინლი ცალცალკე ასახელებს - ავტ.). **ჯორი-ენთ**, **ჩივი-ენთ**//**ჭივი-ენთ**, **დაბელი-ენთ**, **თანდლი-ენთ** (<*თანდილა-ენთი - ავტ.), **თათვი-ენთ**, **სისი-ენთ**, **რევაზი-ენთ**//**რევაზი-ანთ**, **ფევზი-ენთ**, **მიხელხმი-ენთ**//**მიხეილყმი-ანთ** [Miheil oğullar], **კოპტური-ენთ**, **გური-ენთ**, **გოჩი-ენთ**//**გოჩი-ანთ**, **გორგვი-ენთ**.

მნიშვნელოვანი მასალაა. თითოეულ გეოგრაფიულ სახელზე კომეტარი იხ. ზემოთ.

დასახელებული გეოგრაფიული სახელები ქოხის სახელი//სახლის სახელია წარმოშობით ტოპონიმად ქცეული და აღნიშნავს კონკრეტული სახლის კუთვნილს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ბევრი სახლი დღეს აღარ სახლობს წინაპართა საცხოვრისში, მიწას შეუნახავს ხსოვნა მათ შესახებ.

დაბოლოს, **-ენთ**//**-ანთ** სუფიქსიან სახელთა ერთი ნაწილი ძველია, ყოველ შემთხვევაში ოსმალობამდელი პერიოდის, დასტურად ფუძეებად აღებული მამაკაცის სახელებიც კმარა: **გოჩი**, **გორგვი** (<*გორგი<*გიორგი), **რევაზი**, **მიხეილი**, **თანდილა**, **ეკალა**, **ნადირა**... და მისთანა სახელები გამაჰმადიანებულ შავშეთში აღარავის ერქვა, შესაბამისად, ძველი ანთროპონიმები მუსლიმანურმა სახელებმა ჩაანაცვლა. ეს პროცესი ტოპონიმიკაშიც აისახა.

რამდენიმე **-ანთ**//**-ენთ** სუფიქსიანი გეოგრაფიული სახელის ფუძე ანთროპონიმი არ ჩანს, ასეთებად მიგვაჩნია:

სამელი-ენთ - ადგილი მანატბაში.



ყორი-ენთ - ადგილი უბეში. „აქ ღორღეანი ალაგია“ - ინფორმატორის განმარტება. ყორე აქ ქვის მნიშვნელობითაა ნახმარი.

მახვი-ენტ - ადგილი კოკბერეთში.

აღვნიშნავთ, რომ **-ენტ//ანთ** სუფიქსი ადამიანის საკუთარი სახელისაგან //მეტსახელისაგან აწარმოებს სახლის//ქობის სახელებს, რომელთაც სახელმდებელი იყენებს გეოგრაფიულ სახელად და აღნიშნავს კონკრეტული სახლის კუთვნილებას. აქვე ვიტყვით, რომ **-ენტ>-ეთ**ს, **-ანთ>-ათ**ს ნს დაკარგვით. ფუნქციები ისტორიულად ასე განაწილდა: **-ენტ//ანთ** აწარმოებს ქობის სახელს, **-ეთ**, **-ათ** ქობის კუთვნილს ან საცხოვრისს... თუმცა ზოგჯერ **-ენტ//ანთ** სუფიქსიანი სახელებიც გამოუყენებიათ ტოპონიმებად.

2.3.18. **სუფიქსი -იან**. **-იან//ეან** სუფიქსის თავდაპირველი მნიშვნელობაა აღნიშნოს „წარმომავლობა, მიმდევრობა (ქრისტიანი, მაჰმადიანი)...“ (შანიძე, 1973: 123-124). ახლა მას მრავალი სხვა მნიშვნელობა ეძებნება (იხ. ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე, 1988: 214-216), მათ შორის „...რისამე ან ვისამე ქონების აღნიშვნა“ (ზურაბიშვილი, 1961:146; სარსევანიძე, 2002: 56-57).

ფლატ-იან - ადგილი ბაზგირეთში. **ფლატე** - „მიწა ჩამონგრეული“ (საბა, 1949). **ფლატიანი** ადგილია, სადაც მიწაა ჩამონგრეული, შდრ. დაფლატული.

სოტ-იან - ადგილი ბაზგირეთში. **სოტ** ფუძის მნიშვნელობა ჩვენთვის უცნობია, ვფიქრობთ, სისველესთან უნდა იყოს დაკავშირებული.

ატ-იან - ადგილი ჩაქველთაში. იური სიხარულიძე მთასაც ასახელებს იმავე სახელით (სიხარულიძე, 1988: 40).

„ხუთვერსიან რუკაზე“ დატანილია Атианъ г. [ატიან'ი, მთა].

ატიან - შეაქვს ლექსიკონში თანერ ართვინლისაც, ადგილი სინკოთში (ართვინლი, 2013).

-იან სუფიქსით ნაწარმოები სულ სამიოდე გეოგრაფიული სახელი დადასტურდა შავშეთში. ყველა მათგანში **-იან** ადგილს რაღაც ნიშნით ახასიათებს.

2.3.19. **სუფიქსი -ევან**. მოვიყვან ამონარიდს ერთი შრომიდან: „ევან - 1. რთული სუფიქსი, რომელიც გამოხატავს მქონებლობის ფუნქციას (ხაზი ჩვენია - ავტ.), არაპროდუქტულია.. (შდრ. ოვან, იან). 2. ივარაუდება, რომ **-ევან** ამოსავალი უნდა იყოს **-ეან** სუფიქსისათვის, რომელმაც ეა>ია ფონეტიკური



ცვლილების საფუძველზე მოგვცა -იან სუფიქსი...“ (იხ. ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე, 1988:136). ვფიქრობთ, კარგადაა განსაზღვრული -ევან სუფიქსის ფუნქცია და მისი ფონეტიკური გარდაქმნის შედეგიც.

ქურდ-ევან’ი - მთა (მარი, 2012:148). იგივე ფუძე ჩანს **ქურდ-იან**’ში. უნდა მომდინარეობდეს ეთნონიმიდან „ქურდნი“ (კეკელიძე, I, 1956:179).

სურ-ევან’ი - სოფელი შავშეთში (მარი, 2012:158).

„ხუთვერსიან რუკაზე“ დატანილია **Суреванъ** [სურევან’ი], ადგილზე ჩავიწერეთ **სურევანი** და **სვირევანი**: **სურ-ევან**’ი<***სვირ-ევან**’ი<***სვილ-ევან**’ი.

აღვნიშნავთ, რომ ტოპონიმებში სამივე სახელური ფუძე შეიძლება შეგვხვდეს:

სურო (სურო-ევან’ი> სურ-ევან’ი/სურ-ოვან’ი), **სვირ**’ი (სოფელი ზესტაფონის რაიონში), სვილი.

„სვილი“ - „ჩვეულებრივი ჭვავი“ განმარტავს ალ. მაყაშვილი (მაყაშვილი, 1991).

ჩვენი ტოპონიმისათვის ამოსავალი უნდა იყოს **სვილევანი**.

სურევანი დიდი სოფელი იყო ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში. ნიკო მარი ასახელებს სოფლის ექვს უბანს: **სურევანი**, **დავითეთი** („ხუთვერსიან რუკაზე“ **Давиэти** [დავითეთი]/*დავითეთი), **ფარნუხი**, **კუტალეთი**, **ჯვარისხევი**, **ჩაქველთა** (მარი, 1913:158).

2.3.20. **სუფიქსი -ოვან**. შავშეთში -ოვან სუფიქსით ნაწარმოები ორიოდ ტოპონიმი დავადასტურეთ:

სხლ-ობან’ი (<***სხლ-ოვან**’ი) და **ბალ-ვან**’ა (<***ბალ-ოვან**’ა). ამათ დაემატება **დი-ობან**’ი (<***დი-ოვან**’ი) და **მუხ-ობან**’ი (<***მუხ-ოვან**’ი).

ვფიქრობთ, -ობან’<ოვან’ისაგან ვ:ბ მონაცვლეობით (იხ. ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე, 1988). **ოვან**’ მიჩნეულია რთულ სუფიქსად: **ოვ+ან**. -ოვ ელემენტის მნიშვნელობა „ასახსნელია, მეორე ელემენტს, -ან კრებითობის გამომსახველად მიიჩნევენ“ (ზურაბიშვილი, 1961; ძნელაძე, 1981; მაისურაძე, 1983).

2.3.21. **სუფიქსი -ხ (-უხ)**. რამდენიმე გეოგრაფიულ სახელში გამოიყოფა **ხ** სუფიქსი სხვადასხვა ხმოვნის თანხლებით.

ქორ-ხ’ი - მთა (სიხარულიძე, 1988:14). **ქორ**’ სახელური ფუძე იგივე უნდა იყოს, რაც გვაქვს **ქორ-ეთ**’ში (შემდგომ გვარსახელში **ქორიძე**).



კორ-ხუ - მთა გორომეთის ახლოს, დატანილია „ხუთვერსიან რუკაზეც“
– Kopy [კორხუ].

ფარნ-უხ’ი - სოფელი იმერხევში.

ქონჭო-ხ’ი - ადგილი აგარაში. **ქონჭო** (შდრ. აჭარული **ქონჭყო//ჭინჭყო**)
წყლიანი ადგილია.

-ხ სუფიქსიანი სახელები გვხვდება საქართველოს სხვა კუთხეებშიც. იოანე ბაგრატიონი თავის შრომაში ასახელებს ენისელის სოფლებს: **ფარე-ხა** (შდრ. პარეხი), **კატე-ხ’ი**, **ღან-უხ’ი**, **მაწე-ხ’ი** (სქ. ბაწეხი), **მუხრა-ხ’ი** (სქ. მუხრანი), **ტესერ-უხ’ი**, **ჭო-ხ’ი//ჭუ-ხ’ი**, **ანწ-უხ’ი**, **ხუნზა-ხ’ი**, **ტლო-ხ-ელ-ებ’ი**, შდრ. **ტლო-ხ’ი** (ბაგრატიონი, 1986:48, 72, 73, 75)¹⁶.

2.3.22. **სუფიქსი -გილ**. შავშეთის ტოპონიმიში დასტურდება უცხო-სუფიქსიანი ტოპონიმებიც, რაც ბუნებრივია. უპირველესად **-გილ** მაწარმოებლიან სახელებს შევხებით.

-გილ ქართული **-ეთ**ის სპარსული ან არაბული შესატყვისია. აღნიშნავენ, რომ **-გილ**’ს იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც ქართულ **-ეულ//ოულ**, **-ენტ//ეთ** სუფიქსებს: იგი დაერთვის ადამიანის საკუთარ სახელებს/მეტსახელებს და აღნიშნავს მათ საცხოვრის, რომელიც ხშირად სოფლის უბანს (ზოგჯერ სოფელსაც) ქმნის (შდრ. შავშეთი, 2011:329; ცეცხლაძე, 2004:108).

ასნი-გილ’ი - ადგილი ციხისძირში. **ასნიგილი<ასანიგილი>**საგან(?) შდრ. **ასნოული//ასანოული**, **ასნიეთი//ასანიეთი**.

გომწი-გილ’ი - ადგილი ახალდაბაში. შდრ. **გომწ-ეული**, **გომწი-ეთ-ი**.

სისონ-გილ’ი - ადგილი ციხისძირში. შდრ. **სოსონეული**, **სისონეთი**.

დასახელებულს დაემატება **გილ**’სუფიქსიანი ტოპონიმები თანერართვინლის ლექსიკონიდან:

ღარშო-გილ’ი, **ქადირ-გილ’ი**, **ყარაოსმან-გილ’ი**, **კატრი-გილ’ი**, **ნადირ-გილ’ი** (შდრ. **ნადირიენთი**), **მამო-გილ’ი**, **მანა-გილ’ი**, **მემიმ-დედე-გილ’ი**,

¹⁶ საკითხის შესახებ ვრცლად იხ. მგელაძე, ფაღავა, 1998:14 და შემდეგ. ავტორები მხარს უჭერენ მოსაზრებას, რომ **-ფხე** (ფშ//ფს//ხე//მხეე //ხი//ხინი //ხინე//ფჰა//ფა) საერთო ქართველური და კავკასიური კუთვნილებაა (შდრ. თოფურია, 1977:8; ფაღავა, მგელაძე, 2005:14; ჯავახიშვილი, 1998:61, 1951:93). აღვნიშნავთ, რომ **-ხ** სუფიქსიანი ტოპონიმები უძველესი ფენაა საქართველოს გეოგრაფიულ ნომენკლატურაში (კლარჯეთი, 2016:629).



ეროვნული
ცენტრი
კულტურის
და მემკვიდრეობის
დაცვის
სახელმწიფო
სამსახური



მოლა-გილი (შდრ. მოლი-ენთ'ი<მოლა-ენთ'ი), ოლო-გილი, ორანქ-გილი, რამანდან-გილი, რუფეთ-გილი, საქი-გილი, სუბაშ-გილი, იორამ-გილი, თოფჩუ-გილი, შალიქ-გილი, ეთერ-გილი, დემირჩ-გილი (შდრ. მქედლიენთი), ჩამურ-გილი, ჩიჩიქ-გილი (შდრ. ვარდი-ეთ'ი), ჯუმო-გილი, ბაშ-ალა-გილი, ახალკაც-გილი, ჰაფიზ-გილი, ჰალიფ-გილი, ხალვაში-გილი (შდრ. ხალვაში), ჰაითარ-გილი, ჰაზნედარ-გილი (ართვინლი, 2013).

აღვნიშნავთ, რომ თანერ ართვინლის მასალებში ბევრი ახალი ნაწარმოები ტოპონიმია. შორს რომ არ წავიდეთ, შავშეთში გვაქვს ტოპონიმი ხალვაში, ართვინლისთან გვხვდება - ხალვაშიგილ, გვაქვს - მქედლიენთი, ართვინლისთან - დემირჩ-გილი... ხშირად ინფორმატორი „თვითნებობს“ და ტოპონიმის იმ ფორმას ასახელებს, რომელიც მას სურს: ხან თარგმნის, ხან ახლებურად აწარმოებს... ამიტომაცაა ერთი და იმავე ფუძიდან ხან -ეთ მაწარმოებლით აწარმოებენ გეოგრაფიულ სახელს, ხან - ენთ'ით, ხანაც -გილ სუფიქსით. ვფიქრობთ, მკვლევარი ამ „მრავალფეროვნებას“ სიფრთხილით უნდა მოეკიდოს.

2.3.23. **სუფიქსი -ლარ//ლერ.** -ლარ/-ლერ მრავლობითობის სუფიქსია თურქულში, ქართული -ებ'ის ბადალი. ტოპონიმებში იგი სიმრავლეს აღნიშნავს, იხმარება იმავე ფუნქციით, რითაც ზოგადად თურქულ ენაში.

კოგაზდი-ლარ' - ადგილი შავშეთში (სიხარულიძე, 1988:31).

ნიკო მარი ასახელებს **კოლაზდი-ლარ'**ს//**კოგაზდი-ლარ'**ს. ეს მეორე ფორმა რუსულად გამოთქმული **კოლაზდი-ლარ'**ია. ამოსავალ ფორმად ვვარაუდობთ **კოლაზდი-ლარ'**ს; შდრ. **კოლაზები<კოლაძები//კოლაძეები //კოლაძევი.**

ჯინშარ-ლარ'ი - ადგილი ციხისძირში. შდრ. **ჯინჭარლარ**, ქართული - **ჯინჭრები.** **ჯინჭარი** მცენარეა, სუსხვად (ტაოური), მაგრამ **ჯინჭარა'** მეტსახელი ჩანს კაცისა, დაცულია გვარში - **ჯინჭარაძე.**

ათა-ლარ'ი - წიწვეთის თურქული სახელი. შდრ. ქართული **მამები.** ძნელი სათქმელია, რატომ უწოდეს ახალ დროში ეს სახელი. გეოგრაფიული პუნქტის სახელდება გარკვეული ნიშნის მიხედვით ხდება, რატომ **ათა** (მამა)? პასუხი არ გვაქვს; იქნებ მონასტერი იყო აქ ადრიდან? დღეს წიწვეთში მონასტრის კვალი არ ჩანს...



თოთიძე-ლარ' - ადგილი სინკოთთან ახლოს. შდრ. **თოთიძეები**. აღვნიშნავთ, რომ **თოთიძე'** გვარი შავშეთში დღეს არ ჩანს, მიწამ შეინახა მისი ხსოვნა.

ჭოლაზე-ლარ'/**ჭოლაძე-ლარ'** - ადგილი დაბაწვრილში. შდრ. **ჭოლაძეები**.

კობაზე-ლარ'/**კობაძე-ლარ'** - ადგილი დაბაწვრილში. შდრ. **კობაძეები**.

ხარაზე-ლარ'/**ხარაძე-ლარ'** - ადგილი დაბაწვრილში. შდრ. **ხარაძეები**.

აღვნიშნავთ, რომ თანამედროვე შავშეთში **ჭოლაზე/ჭოლაძე**, **ხარაზე/ხარაძე** არ დასტურდება, ტოპონიმმა შეინახა ინფორმაცია მათ შესახებ.

დემურჯი-ლარ'/**დემურჯი-ლერ'** - ადგილი დაბაწვრილში. შდრ. **მჭედლები/ჭედლები, ჭედლიენთი**.

ბესე-ლარ' ადგილი ჩიჭისხევში. შდრ. **ბესეები**. **ბესე'** იქნებ მეტსახელია. იქნებ **ბესება** (სანაძლეოს დადება) უყვარდა კაცს და **ბესე'** შეარქვეს?

ქილისე-ლარ'/**ქილისე-ლერ'** - ადგილი დაბაწვრილში. შდრ. **ეკლესიები**.

ბალ-ლარ' - ადგილი ჩიჭისხევში. შდრ. **ბალები**.

დასახელებული ტოპონიმებიდან რვაში სახლის სახელის სიმრავლეს აღვნიშნავს -**ლარ** სუფიქსი, სამიოდ შემთხვევაში - სხვა სახელების. ვიტყვი, -**ლარ** სუფიქსიანი წარმოება ახალია, ხშირად -**ებ** სუფიქსიანი სახელის „თარგმანია“.

2.3.24. **სუფიქსი -ლულ** (-**ლუ**, -**ლიქ**). -**ლულ**, ფონეტიკური ვარიანტებით, ქართული -**ნარ**, -**იან** სუფიქსების თურქული შესატყვისია:

ჭილ-ლულ' - ადგილი შავშეთში. შდრ. **ჭილ-იან'**, **ჭილ-ნარი**. აღვნიშნავთ, რომ მექართულე შავშეთმა **ჭილი** არ იცის, ტოპონიმმა შეინახა მცენარის სახელი.

ჩიფთ-ლიქ' - ადგილი შავშეთში. შდრ. წყვილიანი. **ჩიფთ/ჩიფთ** სპარსულია და წყვილს ნიშნავს (შდრ. ნიჟარაძე, 1971).

დუთ-ლუ[ქ] - სვირეენის უბანი. შდრ. **თუთიანი**.

2.3.25. **სუფიქსი -ლი**. თურქული -**ლი** ქართული -**იან**, -**ნარ** სუფიქსების ბადალია:

არფა-ლი - სოფელი შავშეთში, ძველი - ზენდობა.

არფა' თურქულია, **Arpa**, ქართული - **ქერი**.



პალეხ-ლი (<*პარეხ-ლი) - მცირე სოფელი იმერეთში (პარეხის შესახებ იხ. ზემოთ).

მოვიყვანეთ სუფიქსური წარმოების ტოპონიმები შავშეთიდან. სუფიქსთაგან დადასტურდა: **-ეთ, -ათ, -თა, -ით, -თ(ი), -ა, -ის, -ობ(ა), -ეულ, -ურ//-ულ, -არ//-ალ, -ელ, -ებ, -ნარ//-ნალ, -ენტ, -იან, -ევან, -ოვან, -ხ//-უხ.**

ტოპონიმებში გამოვლინდა ასევე თურქული სუფიქსები: **-ლარ, -ლულ, -ლი.**

აღვნიშნავთ, რომ გეოგრაფიული სახელის ფუძედ შეიძლება იქცეს ნებისმიერი სახელი: ადამიანის საკუთარი სახელიდან//მეტსახელიდან - აბსტრაქტულ სახელამდე, მთავარია, სახელმძღვანელო ადგილის რა ნიშანს აირჩევს სახელდებისას.

2.4. პრეფიქს-სუფიქსური წარმოება შავშეთის ტოპონიმიაში

შავშეთის ტოპონიმიაში დასტურდება პრეფიქს-სუფიქსით ნაწარმოები გეოგრაფიული სახელები.

2.4.1. **პრეფიქს-სუფიქსი სა-ო.** უპირველესად ყურადღებას მივაქცევთ **სა-ო** თავსართ-ბოლოსართს: **სა-** პრეფიქსი და მასთან ერთად სხვადასხვა სუფიქსი დანიშნულების სახელებს აწარმოებს. საინტერესოა გ. გოგოლაშვილის ერთი დაკვირვება: რჩება შთაბეჭდილება, რომ **სა-**პრეფიქსიან კონფიქსებში დანიშნულებას სწორედ პრეფიქსი გამოხატავს, მასთან მიერთებულ სუფიქსს კი დანიშნულების მნიშვნელობა არ უკავშირდება (გოგოლაშვილი, 2011:233).

თ. ზურაბიშვილი ამბობს: „ტოპონიმურ სახელებშიც მათ (**სა-ო** კონფიქსს - ავტ.) თითქმის იგივე - დანიშნულება-თვისების გამოხატვის ფუნქცია აქვს, რომელიც ხშირად სიმრავლესაც(?) უკავშირდება“ (ზურაბიშვილი, 1961:153). ვიტყვი, რომ ტოპონიმებში იგივე სიტყვა-საწარმოებელი ინვენტარია გამოყენებული, რაც ზოგადად ენაში გვხვდება. სახელდებისას სახელმძღვანელო გეოგრაფიული პუნქტის აღსანიშნავად გამოიყენა ყველა ის შესაძლებლობა, რაც ენას აქვს, ან ჰქონდა წარსულში.

აკაკი შანიძე **სა-ე** და **სა-ო** კონფიქსებს აიგივებს: „სა-ო იგივეა მნიშვნელობით, რაც სა-ე, ოღონდ ამას მეტი სასიცოცხლო ძალა აქვს: ახალ-ახალი სიტყვებისგან ეს აწარმოებს სახელებს, რომლებიც უმეტესად ზედსართავებია“ (შანიძე, 1973:136). საყურადღებო დაკვირვებაა;



დავაკვირდეთ ასეთ მაგალითებს: **სანერგე** (მეურნეობა) და **სასოფლო** (საბჭო) - ორივე დანიშნულებას გამოხატავს, და ეს ფუნქცია სა- პრეფიქსს უკავშირდება, -ე და -ო სუფიქსის დატვირთვა ასეთ სახელებში არ ჩანს. ამიტომაც შესაძლებელია **სა-ე** და **სა-ო** კონფიქსების გაიგივება, აქვე ნათელი ხდება გიორგი გოგოლაშვილის დაკვირვების მართებულობაც.

გიორგი ახვლედიანის აზრით, „თანასწორ პირობებში **სა-ე**ს (ე.ი. ე)ს სუბსტანტივობისაკენ აქვს მიდრეკილება, **სა-ო**ს (ე.ი. ო)ს კი ადიექტივობისაკენ, რამდენადაც -ო ქართულში იხმარება ზედსართავის საწარმოებელ სუფიქსად, -ე კი სუბსტანტივის მაწარმოებელია“ (ახვლედიანი, 1923:58-59). გიორგი ახვლედიანის ამ მოსაზრებას ერთგვარი სიცხადე შეაქვს აკაკი შანიძისა და გიორგი გოგოლაშვილის დაკვირვებაში: კონფიქსში **სა-პრეფიქსა** და -ე და -ო სუფიქსებს სხვადასხვა დატვირთვა აქვს.

განვიხილოთ **სა-ო**თი ნაწარმოები ტოპონიმები შავშეთიდან:

სა-წილ-ო - მთისკენ (მაჭარელთა) მიმავალი გზა (მარი, 2012:143).

სა-ქარ-ო - მთა შავშეთში (სიხარულიძე, 1988:30).

სა-ნადირ-ო - მთა და ხევი იმერხევში, ადგილი აგარაში.

სა-ტრედ-ო - ადგილი ჯვარისხევში.

სა-რწი-ო>სო-რწი-ო - აგარის დაილა. ძირი ჩანს **რწ**, იგივე, რაც **რწევა**ში, შდრ. ა-რწ-ევს.

სა-მა-თვარი-ელ-ო (<*სა-მა-თვალი-ერ-ო) - ადგილი მანატბაში. მა-თვარი-ელ' ნაწარმოები ფუძეა, თვარ<*თვალ' - სახელური ძირი.

სამათვარიელო ადგილია, საიდანაც ათვალიერებენ, თვალყურს ადევნებენ.

სა-ფორ-ო>სო-ფორ-ო - სოფელი შავშეთში. ძირია **ფორ'** (ობი, იხ. ნიჟარაძე, 1971). **ფორი'** გვხვდება რაჭულში (კობახიძე, 1987), იმერულში (ძოწენიძე, 1974), ინგილოურში (ჯანაშვილი, 1913), იქნებ სხვა დიალექტებშიც, **ფორი**, როგორც კუთხული სიტყვა, შეტანილია „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ (ქეგლ, ტ. VII).

საფორო<სოფორო ნესტიანი ადგილია, სადაც **ფორი** ედება...

სა-თავ-ე>სა-თა-ო - ადგილი იმერხევში: „სათაოზე არ მიხვალთ?“ (უსტამისი). სათავეზე მარიობის ფესტივალი იმართება, უსტამისელმაც ამიტომ იკითხა გაკვირვებულმა: მარიობის დროს შავშეთში იყო და სათავეზე ფესტივალს არ დაესწრო, წარმოუდგენელია აქაური კაცისათვის.



მოყვანილი ტოპონიმები დანიშნულების სახელებია გეოგრაფიულ სახელად ქცეული.

2.4.2. **პრეფიქს-სუფიქსი სა-ა. სა-ხარ-ა** - მთა (მარი, 2012:148), გვხვდება **საჰარა'** ფორმითაც. ამოსავალი უნდა იყოს **სახარა/საჰარა**. მარტივი ფუძე ჩანს **ჰარ/ხარ. სახარა** (//საჰარა) ხარებისათვის განკუთვნილი ადგილია, ხარის საწოლი, ხარი მათალი, ძალადი ხარებისათვის.

სა-ყორნ-ი-ა - კლდე მიქელეთის აღმოსავლეთით. **საყორნია** გვხვდება ორთაბათუმშიც. **საყორნია** < ***საყორია** 'საგან (ყორე - აქ: ქვა), **ნ'** შემდეგ უნდა იყოს განვითარებული.

სა-ხახვ-ი-ა - ადგილი ბაზვირეთში.

სა-კუპრ-ი-ა - ადგილი ბაზვირეთს ზემოთ, ჯარების სამოვარი. **კუპრ'** სახელური ფუძისაგან წარმოქმნილი სახელია. **კუპრი'** განმარტებული აქვს სულხან-საბა ორბელიანს: „ესე **კუპრი** სომხურია, ქართულად ასფალტოსია“ (იხ. საბა, I, 1991). **ასფალტოსი** კი ასეა განმარტებული: „...კლდიდან და წყლიდან გამოვა, შავია, კუპრს ჰგავს“ (ZA რედაქციებშია. საბა, 1991). საბა **ასფალტოსიდან** გვაგზავნის **წუნწუბასთან**: „წუნწუბა - გოგირდი“ (საბა, II, 1993). **კუპრი** - შავი ნავთი (ჩუბინაშვილი, 1961). **კუპრი** ძლიერ ბნელის, შავის მნიშვნელობით იხმარება გამოთქმებში: „კუპრივით ბნელი ღამე“, „კუპრივით შავი თვალები“... **კუპრი** ჩანს ფერეიდნულშიც, იხმარება წყევლის ფორმულაში: „კუპრის წყალი ამაგივარდესყე“ (ბერიძე, ბაკურაძე, ნახუცრიშვილი, 2018).

საკუპრია - ადგილია, სადაც კუპრია.


სა-ქორ-ა/სა-ქორ-ი-ა - ზიოსური და მანატბური დაილა. **ქორ'** ფუძისაგან ნაწარმოები გეოგრაფიული სახელი. **ქორი'** შავშურში საბძელია (შავშეთი, 2011:604). განსხვავებული მნიშვნელობით იხმარება იგი ტაოურში: „**ქორი** - შემოდობილი ადგილი ბოსელში, წვრილფეხა საქონლისათვის“ (ტაო, 2020: 1171; ქორის შესახებ იხ. ფაღავა, მგელაძე, 2012).

საქორია ადგილია, სადაც ქორია, საბძელია.

სა-ბურთ-ი-ა - ადგილი უსტამისში.

სა-თაფლ-ი-ა - ადგილი შავშეთში.

დასახელებულ მაგალითებს დამატება მასალა თანერ ართვინლის შრომიდან:



სა-მელ-ა (შდრ. სამელიე), სა-მერულ-ა, სა-რიკველ-ა (სა-რიკველ-ა), სა-ილიჯ-ა, სა-ზგირ-ელ-ა (კომენტარები იხ. ზემოთ).

2.4.3. პრეფიქს-სუფიქსი სა-ე. შავშეთის გეოგრაფიულ ნომენკლატურაში გვხვდება სა-ე კონფიქსით ნაწარმოები სახელები.

სა-წერნაგ-ე - კლდე შავშეთში. „...აქ მოიპოვება წერნაგი, საღებავი, რომელსაც დურგლები იყენებენ“ (მარი, 1913:223, სქ.1).

აჭარულმა იცის წარნაქი, „ერთგვარი მოწითალო ფერის მიწა, თიხა, ხმარობენ სადურგლო საქმიანობაში საღებავად, - თბილ წყალში გახსნიან და ლარს გაავლებენ დასახერხ ხეზე, მორზე“ (ნიჭარაძე, 1971).

ს. მენტეშაშვილი ქიზიყურში ადასტურებს წერნაქს (მენტეშაშვილი, 1943).

ძველ ქართულში გვხვდება წარნაქი gypsum; bitumen, pix: „მოწერა იგი წიგნი წარნაქითა და ძოწითა მეწამულ ქმნა ფერი მისი“ O, სიბრძ. სოლ. 13,14; „იშენე... მოფიცრული ნაძვთა განგლორწნილი წარნაქითა“ O, „უშენე... მონივთებული ნაძვთა, განგლესილები წარნაქითა“ pb., იერემ. 22.14. (აბულაძე, 1973). მოყვანილი მასალიდან ჩანს, რომ ძველ ქართულში წარნაქი მიწაა ერთგვარი...

სულხან-საბასთან გვხვდება წარნაქი, საღებავის მნიშვნელობით: „ესე წითელი სახატავია, კაპაძუკიას გამოვა, ერთი უწითლესია, მეორე უმქრქალესი, მესამე ცუდია“ (საბა, 1949).

როგორც ვხედავთ, შავშური წერნაგი ფონეტიკური სახესხვაობით იხმარება ქართულ დიალექტებში, იცის სამწერლობო ქართულმაც.

სა-თავე-ე - ადილი უბეს ზემოთ. სათავე - „გამოსადენი წყალთა და მდინარეთა“ (ჩუბინაშვილი, 1961).

სა-თლ-ე - „ქალაქი მცირე“ (ქ.ცხ. IV, 1973:679). ადგილზე ჩავიწერეთ სათლელი. „სათლელი“ შავშურში „ფულს“ ნიშნავს: „ზათი აქ ვიღებთ ფარას, სათლელ; სათლელი ფარას ქვია“ (ჩაქველთა).

სათლელი ადგილია, სადაც ითლიან (<ითვლიან) (ფაღავა, 2013: 310-311), ან მიუთვლიან... სხვაგვარად, სავაჭრო ადგილი.

სა-სკივრ-ე - ადგილი უბეში. სულხან-საბა სალექსიკონო ერთეულად გაიტანს სკივრს, მაგრამ არ განმარტავს (იხ. საბა, 1949).

ნ. ჩუბინაშვილთან კვითხულობთ: „ჭურჭელი ზარდახშის გუარისა, сундук, თ. ზანდუხჩა“ (ჩუბინაშვილი, 1961). საინტერესოა, სახელმძღვანელო



რატომ უწოდა **სასკივრე** ამ ადგილს. იქნებ იმიტომ, რომ აქ სკივრს ან მასალას სკივრისათვის ამზადებდნენ? ვინ იცის!

სა-ლებ-ე - ადგილი მანატბაში. „ქვიანი ადგილია და ასე დუურქმიან“ - გვითხრა ერთმა მანატბელმა.

აჭარულმა და შავშურმა იცის „**ლები**“ (<ლები). აღვნიშნავ, რომ ძველ ქართულში იხმარება **ლები** - დალურჯებულის მნიშვნელობით (იხ. აბულაძე, 1973; ჩუბინაშვილი, 1961). ძნელი სათქმელია, რომელ მნიშვნელობას უკავშირდება დასახელებული ტოპონიმი, ალბათ პირველს.

სა-მელ-ე - ადგილი ჯვარისხევში.

სა-კაჯ-ე - ადგილი მანატბაში . **კაჯი**<**კაჟი**‘საგან **ჯ:ჟ** მონაცვლეობით.

დასახელებულ ტოპონიმებს დაემატება სახელები თანერ ართვინლის ლექსიკონიდან: **სა-ქეთნ-ე** (<***სა-ქედნ-ე**<***სა-ქედან-ე**).

სა-ლესმ-ე, **სა-მარილ-ე**, **სა-ნიკრ-ე** (<***სა-ნიკრ-ე**<***სა-ნიკერ-ე**), **სა-ნაფოტ-ე**, **სა-ფთ-ე** (<***სა-ფრთ-ე**), **სა-თხ-ე**.

სულ ესაა **სა-ე** კონფიქსით ნაწარმოები ტოპონიმები შავშეთიდან.

2.4.4. **პრეფიქს-სუფიქსი სა-ელ. სა-ელ** კონფიქსი გამოიყოფა ტოპონიმებში:

სა-რტყ-ელ-ა - მთა უბის გაღმით.

სა-ზღუბ-ელ-ა - მთა შავშეთში.

„ხუთვერსიან რუკაზე“ დატანილია **Сазгубела сашь** [საზგუბელა საში], ქართული ჟღერადობით „საზღუბელა საში“.

სა-ზღ[რ]უბ-ელ-ა<**სა-ღრუბ-ელ-ა**‘საგან. **ზ** ფუძეში განვითარებული ჩანს. საღ[რ]უბელა ადგილია, სადაც ღრუბელია, საღრუბლია.

სა-მჯ-ელ-ი - ადგილი სათლელს ზემოთ. ძირია **მჯ[ა]**, საბა განმარტავს, როგორც „ბრჯა“ (საბა, 1949). მჯა იგივე ნამჯაა, ცნობილი ფუძე ქართულში: „პურის ღერო ძირიდან თავთავამდე“ (ქართლური, კახური, რაჭული); „მკის შემდეგ დარჩენილი პურის ღეროები ან მათი ქვედა ნაწილი“; „მომკილი პური თავთავიანად“ (იხ. ლლონტი, 1984).

„**სამჯელი**“ ადგილია, სადაც „**მჯას**“ ინახავენ. ტოპონიმმა შეინახა ინფორმაცია, რომ შავშეთის ამ უბანში ითესებოდა პური.

სა-ზგირ-ელ’ი/**სა-ზგერ-ელ’ი**/**სა-დგერ-ელ’ი** - ადგილი ბაზგირეთს ზემოთ.



„ხუთვერსიან რუკაზე“ დატანილია **Самзғири** [სამზგირი], რაც ცუდად ჩაწერილი **სამზირი** ჩანს.

„საზგირელს“ ახლა „ქილისე სერსაც“ ემახიან“, - ჩაიწერა ინფორმაცია შოთა მამულაძემ (შავშეთი, 2011:70).

ამოსავალი ფორმა უნდა იყოს „**სამზერი**“, „**სამზერელი**“ (პირველში კარგად იკვეთება **სა-** პრეფიქსის ფუნქცია¹⁷, დანიშნულების გამოხატვა - ავტ.). აქედან ჩანს მთელი კარჩხალას ხეობა, მეორეს მხრივ, გამეშეთი და ბაზგირეთი, გაღმა დაკბილული კარჩხალის მთები. ამ ადგილს „კაპანთი თავს“ უწოდებენ (მარი, 2012:202). „კაპანთი თავი“, „კაპანების თავია“ საზგირელი კარჩხალას მხრიდან...¹⁸

სა-რბი-ელ-ა - ადგილი ზაქიეთში. სარბიელი - სარბენელი ადგილი (საბა, 1949). სავალი ადგილი, გინა სტადიონი, поприще (ჩუბინაშვილი, 1961).

ძნელი წარმოსადგენია შავშეთში დღეს ვინმემ **სარბიელის** მნიშვნელობა იცოდეს, მიწას კი ახსოვს.

სა-მერ-ელ-ა (ართვინლი, 2013), გვხვდება **სამერულაც**. **მერული** იცის აჭარულმა, არის „ოთხთითა ან სამთითა, იყენებენ კალოობის დროს ჰურის ძნების ჩასაფენად, ან თიბვის დროს თივის დასაბუღულელებლად“ (ნიჟარაძე, 1971).

სა-ბზელ-ი (>**სა-ბმ-ელ**'ი) - ადგილი შავშეთში.

2.4.5. **პრეფიქს-სუფიქსი სა-არ**. რამდენიმე გეოგრაფიული სახელი დადასტურდა **სა-არ** კონფიქსით ნაწარმოები:

სა-ტავ-ალ-ა - მთა შავშეთში (მარი, 1913:105).

სა-ტავ-ალ-ა<**სა-თავ-ალ-ა**საგან, ძირია **თავ**'.

¹⁷ **სა-** პრეფიქსის ფუნქცია (დანიშნულების გამოხატვა) კარგად ჩანს ტოპონიმში „სა-ისარ-ი“, სადაც **სა-** სუფიქსის გარეშე გამოხატავს დანიშნულებას.

¹⁸ ბაზგირელთა რწმენით, **სამზერზე** (სამზირელზე/სამზერელზე/სადგერელზე) „თამარას სასვენია“. „საზგირელზე ასულებს აუცილებლად გეტყვიან, რომ აქ წარწერიანი ქვა იყო, ფიქალზე ეწერა რაღაც. ვიღაც ხოჯამ წაიღო ამ ათი წლის წინ სტამბოლში და დაიკარგაო...“

სხვა იტყვის, ქვა გატყდაო, დაიშალაო.

სხვამ კიდევ გადაწერა სიგარეტის კოლოფზე, წასაკითხად წაიღო ართვინში ქართულის მცოდნე ადვოკატთან, მაგრამ ადვოკატი სტამბოლში წასულიყო, შემდეგ კი დაკარგა ქალადი. იმასაც გეტყვიან, ფიქალზე ეწერა „თამარ დედოფლის სასვენით“ (ფაღავა, 2013:155). ასე სწამთ ბაზგირეთში, გამეშეთშიც, ჩვენც „გვჯერა“ მათი...



სა-ბუდ-არ-ა - ადგილი უსტამისთან. ტოპონიმი დატანილია „ხუთვერსიან რუკაზეც“: Сабу́дара [საბუდარა]. ორმაგი სუფიქსით (-არ,-ა) ნაწარმოები ტოპონიმია. -ა ჩანს გვიან დაერთო, შდრ. საბუდარი.

სა-ყდ-არ’ი ადგილი ქოქლიეთში. **საყდარი**<***საყუდარი**’საგან. დასახელებულს დაემატება თანერ ართვინლის ლექსიკონიდან **სა-თ-არ-ი**(?).

ჩანს, **სა-არ** მაწარმოებელი ნაკლებად გამოიყენება ტოპონიმებში.

2.4.6. პრეფიქს-სუფიქსი სა-ურ. ორიოდე გეოგრაფიული სახელი **სა-ურ** კონფიქსით არის ნაწარმოები:

სა-ბად-ურ’ი - ადგილი მანატბაში. **საბადური** გვხვდება ასევე ქვათეთრისში, სოფოროში, მამანელისში, წყალსიმერში, მაჩხატეთში. „ბუნებრივია, დაისვას კითხვა, რა უნდა ამ მთის წვერზე, ღრუბლებში საბადურს? თუმცა სადაც **მანატბაა** (<*მანა-ტბა), იქ არც საბადურია უადგილო. შეიძლება სხვა ვარაუდის დამტკიცება: საბადური შეიძლება ის ადგილია, სადაც ბადეს აბამდნენ ჩიტის დასაჭერად, სასირე, როგორც ჩვენში ემახდნენ“ (ფალავა, 2013: 191).

ჩანს, შავშეთის სოფლებში გავრცელებული იყო ფრინველზე ბადით ნადირობა.

სა-ყინა-ურ’ი - ადგილი მანატბაში. **ყინა**<***ყინვა**’საგან; საყინაური ყინვის ადგილია.

2.4.7. პრეფიქს-სუფიქსი სა-ეთ. **სა-ეთ** თავსართ-ბოლოსართით ნაწარმოებ ერთ ტოპონიმს ასახელებს ნიკო მარი: **სა-ქუჩ-ეთ**’ი (მთა. იქვე, სქოლიოში ავტორი გააკეთებს გამწარტებას: „საქუჩეთი ადგილზე არ ესმით. ახალგაზრდობამ არცოდნით გვიპასუხა. დასახმარებლად მოსული მოხუცი კაცი გვიხსნიდა კიდევ, რომ ეს ნიშნავს „წითელ და თეთრ ქვას“, მაშინ როდესაც ეს არის მთა მომთაბარეთათვის, აქედან **საქოჩეთი**, resp. **საქუჩეთი**, ზმნისაგან „ქოჩვა“, ანუ გადასახლება, მომთაბარეობა“ (უთითებს თურქულს და ახალსომხურს. იხ. მარი, 2012: 289).

ვფიქრობთ, **საქუჩეთი** მოსაქუჩებელი, შესაგროვებელი, შესაყარი ადგილია (იხ. ქეგლ, I, აქუჩებს).

სა-ბზელ-ეთ’ი - ადგილი სადაც საბზლებია.

სა-ქონი-ეთ’ი - დაილა შავშეთში. საქონიეთი’ საქონლისათვის განკუთვნილი ადგილებია.



სა-მარილ-ეთ' - სამარილე ადგილები. გვხვდება - **სამარილე**.

სა-ო, სა-ა, სა-ე, სა-ელ, სა-არ, სა-ურ, სა-ეთ კონფიქსებში დანიშნულებას გამოხატავს **სა-** პრეფიქსი, თანმხლებ სუფიქსებს სხვა ფუნქცია უნდა ჰქონოდა თავდაპირველად. ეს ჩანს პარალელურ ფორმებში: საბზე/საბზელი, საბუდე/სა-ბუდ-არ-ა, სამჯე/სამჯელი...

2.4.8. **პრეფიქს-სუფიქსი ნა-ევ.** შავშეთის ტოპონიმიაში **ნა-** პრეფიქსთან ერთად გამოიყენება **-ევ** და **-არ** სუფიქსები. „აღნიშნული აფიქსები წინავითარების სახელებს აწარმოებენ, კერძოდ უჩვენებენ: ა. სადაც წინათ ის საგანი იყო, რომელსაც ძირეული აღნიშნავს (სოფელი, ნასოფლარი) და ბ. საგანს, რომელიც ამ ადგილას იყო, რომელზედაც ძირეული მიუთითებს: მთა - ნამთევი“ (შანიძე, 1973:133; შდრ. ზურაბიშვილი, 1961:155). მისაღებია თ. ზურაბიშვილის მსჯელობა: „მსგავს სახელთა წარმოებისას ფუძედ გამოყენებულია საზოგადო სახელი, ხოლო აფიქსებიდან მთავარია საერთო **ნა-** პრეფიქსი და არა სუფიქსები, რაზედაც სუფიქსთა სიმრავლეც მიუთითებს“ (ზურაბიშვილი, 1961:155). ამდენად, კონფიქსებში წინავითარებას თავსართი **ნა-** გამოხატავს, ხოლო მის მხლებელ სუფიქსებს სხვადასხვა ფუნქცია აქვს, მაგრამ არა წინავითარების გამოხატვისა.

ნა-ცარ-ევ' - ადგილი ფხიკიურში. ძირია **ცარ(ა)**, „მიწა, რომელიც ადვილად იხენება, ადვილად დასამუშავებელია, ფხვიერი მიწა“ (ნიჟარაძე, 1071).

ნა-ფურნ-ევ' - აგარის დაილა. „ფურნე, ფურნო ლათინურია, ქართულად ღუმელი ჰქვან“ (საბა, 1949). **ფურნე/ფურუნი** თონეს მნიშვნელობით იხმარება სამხრულ მეტყველებაში.

ნა-სახლ-ევ' - ადგილი მანატბაში.

ნა-კალუ-ევ' - ადგილი მანატბაში. შდრ. ნაკალევი/ნაკალოები.

ნა-ახორ-ევ' - ადგილი ჩაქველთაში. ამბობენ **ნაახორევებ'**საც.

ნა-თაძრ-ევ' - ადგილი გურნათელში. შდრ. ნატაძრები.

ნა-ურმ-ე[ვ]' - ადგილი გურნათელში.

გურნათელი მეთურქულე სოფელია და უჭირთ გუქნათელებს ქართული სახელების სწორად წარმოთქმა: გვითხრეს **ნაურმე**, ჩაკითხვის შემდეგ დაგვიდასტურეს - **ნაურმევი**.

ყურადღებას მივაქცევ ერთ ფაქტსაც: მოყვანილი მაგალითები კარგი დასტურია იმისა, რომ **ნა-ევ** კონფიქსში წინავითარებას პრეფიქსი გამოხატავს:

ფურნევი//ფურნები - ნაფურნევი;
კალუევი//კალუები - ნაკალუები;
ახორევი//ახორები - ნაახორები...

მნიშვნელობით კარგად უპირისპირდება პრეფიქსიანი და უპრეფიქსო ფორმები.

მოყვანილ მასალას დავუმატებთ ტოპონიმებს თ. ართვინლის შრომიდან:

ნა-ჩვარ-ევ'ი <*ნა-ჯვარ-ევ'ი;

ნა-დარბაზ-ევ'ი;

ნა-კარ-ოვ'ი<*ნა-კარ-ევ'ი;

ნა-ყულ-ევ'ი (ნა-ყულე-ევ'ი >ნა-ყულ-ევ'ი);

ყულე (არ. Kule) ციხე, კოშკი, ციხე-სიმაგრე, გოდოლი, სასახლე, სრა (იხ. ნიჟარაძე, 1971; შდრ. ფუტკარაძე, 1993). ნაყულევი ადგილია, სადაც კოშკი, ციხე, ციხე-სიმაგრე, გოდოლი, სასახლე იყო.

ნა-თე-ევ'ი (შდრ. ნამთევი? ადგილი, სადაც [მ]თა, სამოვრები, დაილა იყო).

შევნიშნავთ, რომ კონფიქსში თავისუფლად მონაცვლეობენ -ევ და -ებ სუფიქსები.

2.4.9. პრეფიქს-სუფიქსი ნა - არ// ნა - ალ: შავშეთის ტოპონიმიაში რამდენიმე გეოგრაფიული სახელი ნა - არ//ნა - ალ კონფიქსითაა ნაწარმოები.

ნა-ეკლესი-არ'ი - ნანგრევი სამწყარის სანაპიროზე. ნაეკლესიარს ეძახიან აგარაში, კუტალეთში და ლიბანში (ლეონიძე) ნანგრევებსაც.

ნა-ქილისვ-არ'ი ადგილი დაბაში. ვ' განვითარებულია. ნაქილისვარი ნაეკლესიარის პირდაპირი თარგმანია.

ნა-ფეტვ-არ'ი - ადგილი ხობლევაში, დაბაწვრილსა და დაბაში.

ნა-გომ-არ-თ'ი - ადგილი მანატბაში. ტოპონიმში ორი სუფიქსი გამოიყოფა, - არ და -თ. ეს უკანასკნელი მრავლობითობას გამოხატავს, ნაგომართი იგივე ნაგომარები//ნაგომრებია.

გომი<*გომური'საგან, „ბოსელი, საქონლის საზამთრო ბინა“ (ღლონტი, 1984).

ნა-ფუზ-არ'ი (<*ნა-ფუძ-არ'ი) - ადგილი მანატბასა და აგარაში. ნაფუძარს შ. მამულაძე ადასტურებს გურნათელშიც. მკვლევრის ვარაუდით, იგი გაბრიელ დაფანჯულის სამოსახლო უნდა იყოს (შავშეთი, 2011: 76).



ნაფუზარი სულხან-საბას განმარტებით **ნასახლარის** (საბა, 1949).

ნაფუზარი/ნაფუძარის ვრცელი განმარტება აქვს ნ. ჩუბინაშვილს: „მსოფლიონი უხმობენ ნასახლარსა, ნაბოსლევთა და ხვასტაგთა ნადგომთა ადგილთა მახლობლად შენობათა, სადაცა მიწა ფრიად გასუქებული მოსცემს კეთილთა მოსავალთა“, ყაჰრა (ჩუბინაშვილი, 1961; შდრ. ჩუბინაშვილი, 1984; ნიჟარაძე, 1971; მგელაძე... 2018).

ნა-კორდ-არ'ლარ (ართვინლი, 2013), შდრ. ნაკორდალები.

ჩანს, რომ **ნა-არ//ალ** არაა პროდუქტული კონფიქსი შავშეთის ტოპონიმიაში.

ამდენად, შავშეთის ტოპონიმიაში დადასტურდა:

ა. დანიშნულების სახელების საწარმოებლად: სა-ე, სა-ო, სა-ა, სა-ელ, სა-არ, სა-ეთ თავსართ-ბოლოსართები.

ბ. წინავითარების სახელების საწარმოებლად: ნა-ევ, ნა-არ//ალ.

გ. რამდენიმე გეოგრაფიულ სახელში (ა-გარ-ა) გამოვყოფთ ა - ა კონფიქსსაც.

საილუსტრაციო მასალა ნათელი მაგალითია, რომ ტოპონიმია იყენებს ენის სიტყვათქმნადობის ყველა შესაძლებლობას გეოგრაფიული პუნქტის აღსანიშნავად. სახელდებისას მთავარია, სახელი რაღაც ნიშნით ახასიათებდეს კონკრეტულ გეოგრაფიულ პუნქტს.

2.5. რთული სახელები შავშეთის ტოპონიმიაში

შავშეთის ტოპონიმიაში რთული ფუძეების, კომპოზიტების წილი საკმაოა. ჩვენ შევეცადეთ დაგვეჯგუფებინა რთულფუძიანი სახელები და ისე მოგვეცა მათი ანალიზი.

2.5.1. კონპოზიტის მეორე ნაწილია ჯევი//ხევი

სულხან-საბა განმარტავს: **ჯევი//ხევი** „ლეღეთ უდიდესი“ (საბა, 1949).

შავშურში **ჯევი//ხევი** მდინარესაც ნიშნავს.

ჯვარის ხევი//ჯვარის ჯევი - სოფელი იმერხევის ხეობაში: „ქვევიდან ჯევი მივა, „ჯუარი“ კაცის სახელი ყოფილა“ (ინფორმატორის განმარტება - ავტ.). ბუნებრივია, „განმარტება“ საინტერესოა, მაგრამ არა საკმარისი. ხევის თავში აღმართული ჯვარის გამო უწოდებიან **ჯვარის ჯევი//ჯვარის კუთვნილი ჯევი**. ი. სიხარულიძე აღნიშნავს, რომ „ჯვარი აქ საზღვარზე უნდა



მიგვანიშნებდეს“ (რის საზღვარზე? - ავტ.) (სიხარულიძე, 1988:43). ჩვენთვის გაუგებარია, რატომაა ჯგერის საზღვრის მანიშნებელი.

ციხის ხევი - ხევი უსტამისის იქით. წეფთის ციხის ქვემოთაა ხევი, ამიტომაც უწოდეს **ციხის ხევი**. აღვნიშნავთ, რომ შავშეთში (და არა მარტო) ხევს, მდინარეს, ღელეს იშვიათად აქვს საკუთარი სახელი. სახელდება ხდება იმ პუნქტის მიხედვით, საიდანაც სათავეს იღებს ხევი, მდინარე თუ ღელე, ან ჩამოუვლის რომელიმე გეოგრაფიულ პუნქტს...

ციხის ხევი სათავეს უსტამისის ციხიდან იღებს, სახელიც აქედან ეწოდა.

ციხის ხევი - გოგინაურის წყლის შენაკადია.

ჩიხის ჯევი//ჩეხის ხევი - სოფელი იმერხევის ხეობაში¹⁹.

შოლტის ხევი//ჯევი - სოფელი იმერხევის ხეობაში.

ჩიხის ჯევი//ჩეხის ხევი და **შოლტის ხევი//ჯევი** იმდენადაა საყურადღებო, რომ ხევის სახელი ქვეულა სოფლის სახელად.²⁰

კოთხევი//კოთჯევი - ადგილი ახალდაბაში. **კო*რკოსაგან**, იგივეა, რაც მუხა. შდრ. მუხათხევი.²¹

ოფიჯევი (<*ოფი[ს]ჯევი - ადგილი დაბაწვრილში. ინტერესს აღძრავს კომპოზიტიში შემავალი პირველი ფუძე - **ოფი**. სულხან-საბა განმარტავს ოფო'ს „მცირე საგუბარი წყალი“ (საბა, 1949).

იმერხევი//იმერჯევი - მექართულე ხეობა შავშეთში. „აქ არიან ქართველები იმერჯევიში, შავშეთში არ არის გურჯი“ (განმარტავს ბაზგირელი ინფორმატორი - ავტ.). იმერხევი საძოვარსაც ქვიაო შამბალეთის წყლის

¹⁹ ნიკო მარი აღნიშნავს: „არ არსებობს ჩიხისხევეზე უარესი ადგილი: უგზო, ღრმულებით, სიცხით და ავადმყოფობით შეწუხებული მოსახლეობა, გაყვითლებული, საცოდაობაა მათზე შეხედვა...“ (მარი, 2012:220).

²⁰ შოლტისხევი დიდი სოფელია, შედგება ცხრა უბნისაგან: სომეხეთი, ქეფნთი, ქურდიკეთი, თათუნთი, კვირიკეთი, მიქელეთი, ხოჯიენთი, ციციენთი, ბათინეთი (ფაღავა, 2013:183). შოლტისხევის უბნებს ქმნის სახლეულები, რომელთა სახლის სახელი ეწოდა სოფლის უბანს.

²¹ „სინკოტიდან კოთხევიში გადავედით. სოფლის სახელწოდება ისმის პარალელური ფორმით; კოთხევი//ქოთხევი. ეს ფორმები შეიძლება, ფონეტიკური ვარიანტები იყოს, შეიძლება სხვადასხვა სიტყვა. თუ კოთხევი, რაც დიდი ალბათობით ასეა, მაშინ იგი კო'ს, რკო'ს დაუკავშირდება და რკოთხევი (მუხათხევი) გვექნება. ხოლო თუ ქოთხევი, მაშინ ფორმა ასეთი გზით იქნება მიღებული: ქვათხევი (შდრ. ქვათახევი)>ქოთხევი (ვა>ო'ს). ორივე ფორმა დასაშვებია. არც კოთხევი იქნება უცხო ქართული გეოგრაფიული ნომენკლატურისათვის და არც ქოთხევი (ქვათხევი//ქვათახევი). კოთხევიც გადაბრუნებულა, დაუვიწყიათ კოთხეველებს ქართული“ (ფაღავა, 2013:170).



მარჯვენა სანაპიროზე (სიხარულიძე, 1988:52). ბარემ აღვნიშნავთ იმერხევი დასტურდება ქართლშიც, იგივე ძამის ხეობა. ჩანს, რაც სახელმდებლისაგან იმიერი ხევია, ისაა იმერხევი. თუ მაჭახლიდან შევხედავთ, მთას გადაღმა იმერხევია... ანალოგიურად უნდა იყოს შექმნილი სახელწოდება იმერეთი: ქართლელის წარმოდგენით მთას (ლიხს) გადაღმა იმერეთია, შდრ. ამერი და იმერი.

შირათხევი//შირათჯევი - ხევი შავშეთში.

მოყვანილ მასალას დაემატება რამდენიმე ხევისშემცველი ტოპონიმი თ. ართვინლის შრომიდან (ართვინლი, 2013): **ბოდლორახევი//ბოდლორახევი(?)**, **დოლაკალოხევი**, **ტალიხევი** (ტალი - კაჟი (საბა, 1949)), **ვარდიხევი** (<*ვარდი[ს]ხევი, ვარდი მამაკაცის სახელი ჩანს, შდრ. გვარი ვარდიძე, ვარდიაშვილი), **ლომახევი** (<*ლომა[ს]ხევი, შდრ. გვარი ლომაძე), **სათრახევი**, **ნათხევი** (<*ნათ[ას]ხევი), **ნათურნიხევი** (ნათურანი[ს]ხევი?).

რამდენიმე ტოპონიმის შემადგენლობაში ქართულ „ხევს“ თურქული „დერე“ ცვლის:

ხილვეთ დერესი (<*ხილავეთ დერესი), **ყურუდერე** (ყრუ ხევი?), **ტიგრათ დერესი** (შდრ. ტიგრათ ხევი).

ქართულ-თურქული ფუძეებით შედგენილი ტოპონიმები ახალი მოვლენაა ჭოროხის ხეობაში ზოგადად და შავშეთშიც.

თ. ართვინლისთან გვხვდება **გოსორი** (<*კოსორი? შდრ. **კოთხევი**. ჩანს, მკვლევარს ტოპონიმი სომეხმა ინფორმატორმა ჩააწერინა - ავტ.).

სორ//ზორ სომხურია, ქართული ხევის ბადალი.

2.5.2. კომპოზიტის მეორე ნაწილია უბანი//ობანი

აღვნიშნავთ, რომ მექართულე შავშური სოფლების ქართულში უბანი//ობანი არ დასტურდება, მის აღსანიშნავად იყენებენ თურქულ მაჰალეს (//მეჰელეს); რთულფუძიანმა გეოგრაფიულმა სახელებმა შეინახა „უბანი“ მისი ფონეტიკური სახესხვაობით.

მუხობანი (<მუხათ უბანი), - ადგილი შარათხევში, სვირევენის გაღმა. მუხა საკუთარი სახელი//მეტსახელია კაცისა, დაცულია გვარსახელში **მუხა[ს]ძე**.

შინდობანი - ადგილი შავშეთში.²²

შინდი მცენარეა, კизил, გვხვდება მთელ საქართველოში: შვინდი (ქართლი, კახეთი), შუნდ (საინგილო), კიზილჯული (ჭანური. თურქული ნასესხობაა, იგივე ტერმინი დასტურდება ყველა სამხრულ დიალექტში. რუსული კизил (კიზილ) ასევე თურქულიდან ნასესხები ჩანს), ბპგირი (მეგრული), შვინდ' (სვანური). შინდ' ფუძე ტოპონიმებში საქართველოს სხვა კუთხეებშიც გვხვდება: **შინდისი** (ქართლი)...

შინდობანი<*შინდ[ას]უბანი'საგან. **შინდა** კაცის სახელი/მეტსახელი ჩანს.

ბოხობანი<*ბოხოსუბანი - ადგილი შავშეთში. **ბოხო** მეტსახელი ჩანს, იქნებ კაცის სახელიც (შდრ. გვარსახელი ბოხუა); ბოხობანი ბოხოს სახლელულის საცხოვრისია.

დევთუბანი - მთა, ასახელებს ი. სიხარულიძე (სიხარულიძე, 1988:4).

დევთუბანი<*დევთაუბანი'საგან; **დევი**' მამაკაცის სახელი ჩანს, შენახულია გვარსახელში დევიძე.

პეტობანი - „ხუთვერსიან რუკაზე“ დატანილია ორი Петобанъ [პეტობან'ი] - სოფელი და მეზრე (Пагирев, 1913).

ალ. ჯავახიშვილთან გვხვდება „ფეთობანი“.

ამოსავალი ფორმა უნდა იყოს **პეტ[რ]ობანი**<*პეტრეს უბანი'საგან.²³

სინდობა<*სინდობანი'საგან. **სინდი** ანთროპონიმია ჩანს. შდრ. **სინდიეთი** (მაჭახელში) - **სინდის** სახლის კუთვნილი.

წინობა<*წინობანი'საგან , - ეკლესია. ტოპონიმს ასახელებს ნიკო მარი (მარი, 2012:108). იქვე სქოლიოში ავტორი განმარტავს, რომ „ოქრობაგელი სომხები წარმოთქვამენო წინობან“.

წინუბანი - ნასოფლარი მანსურეთის წყლის მარჯვენა ნაპირზე (სიხარულიძე, 1988:33).

ნიკო მარი ჩაიწერს: **სინდობა//წინობა//წინობან**.

რამდენიმე -**ობან'**/**უბან'**ფუძიანი ტოპონიმი შეუტანია ლექსიკონში თანერ ართვინლის (ართვინლი, 2013). სურათის სისრულისათვის მოვიყვანთ მასალას მისი ლექსიკონიდანაც:

²² თურმე აქ თავადებს უცხოვრიათ, აქ ძველი ხიდიც ყოფილა, დანგრეულა - გვითხრა ერთმა შინდობნელმა (ფაღავა, 2013:322), ამით მან ხაზი გაუსვა სოფლის ისტორიულ წარსულს.

²³ ნიკო მარი ახსენებს ტოპონიმს „მახარობიწორ“; ყურადღებას იქცევს დასახელებული კომპოზიტი: მახარობიწორ<* მახარობ[ნის]წვერ'ისაგან, ვე-ო'ს ფონეტიკური გარდაქმნით. აღდგება ფორმა - მახარობნის წვერი; მახარა მამაკაცის სახელია.



დი-ობან’ი - სოფელი იმერხევში. **დიობანი**<**დიდობანი**, იმავე რთულ ფუძეს გამოვყოფთ ტოპონიმებში: **დიობნისვერი**<**დიობნიწვერი** და **დიობნისღელე**.

ზენდ-ობა<**ზენდობანი**’საგან.

სულ-ობან’ი<**სულ[ას] უბანი?**

მერ-ობანი.

უბანი’ უმეტეს შემთხვევაში სოფლის ნაწილია, ზოგჯერ მთელი სოფელიც და კონკრეტული სახლის კუთვნილს აღნიშნავს.

2.5.3. კომპოზიტის მეორე ნაწილია ძირი

რამდენიმე გეოგრაფიულ სახელში ძირ’ ფუძე გამოიყოფა:

ციხისძირი - სოფელი შავშეთში. იური სიხარულიძე „დააზუსტებს“: „სოფელი სვეტის ციხის ძირში“. აქ ცხოვრობენ: **კონდისძე, ყარმუსძე, აბრამისძე**. ინფორმაცია ნიკო მარისაგან აუღია მკვლევარს (სიხარულიძე, 1988:49). „სვეტის ციხისა“ და ციხისძირის თავზე არსებული ნანგრევების იდენტიფიკაცია ძნელი დასაჯერებელია.

ციხისძირს ყალედიბსაც ეძახიან.

ზარნაზილი<**ზარნაძილი** (ზ:ძ მონაცვლეობით) <**ზარნაძირი**. სამიებელია **ზარნა**’ს მნიშვნელობა.

კვლდიზირი<**კვლდიძირი**<**კილდიძირი**, ახლა ყადაღიბი, - ადგილი იმერხევში.

2.5.4. კომპოზიტის მეორე ნაწილია თავი//თავები

ყანითავი (<ყანის თავი) - ადგილი ჩაქველთაში.

ყიშლისთავები - ადგილები ხოხლევსა და დაბაწვრილში.

დარე თავები - ადგილი კოკბერთში. ცალკე არსებობს ტოპონიმი **დარეები** (იხ. ზემოთ).

კოდითავი - ადგილი დაბაწვრილში. **კოდითავი**<**კორდისთავი**’საგან.

სათრითავი<**სათარი[ს]თავი** - ადგილი ჩაქველთაში. **სათარი** „თავქვე დასაცურებელი (ხეების), ღარობი, შურო“ (ნიჟარაძე, 1971).

რუთავი<**რუ[ს]თავი** - ადგილი იმერხევში.

გოდოროვაკლდითავი (ართვინლი, 2013).

ვაკითავი<**ვაკისთავი** - ადგილი შავშეთში.



მარანთავი - ადგილი აგარაში. შავშეთში **მარანი** „ღვინის სახლს“ არ აღნიშნავს; „შესანახველი ადგილია, მარანს ეტყვიან“ - განმარტა ალი ჯაფარიძემ, აგარელმა (იხ. ფაღავა, 2013:230).

რამდენიმე კომპოზიტი „თავი“ თურქული „ბაშითაა“ შეცვლილი:

ყააბაში (შდრ. კლდის თავი).

ქოფრუბაში (შდრ. ხიდისთავი).

ყააბაში და **ქოფრუბაში** შესაბამისად ქართული **კლდის თავისა** და **ხიდისთავის** პირდაპირი თარგმანია.

2.5.5. კომპოზიტის მეორე ნაწილია ქედი

აბუქედი - მთა. აღვნიშნავთ, რომ აჭარაში დასტურდება **აბუქეთა** (სოფელი ქედის მუნიციპალიტეტში). ამოსავალი ფორმა ჩანს **აბუს ქედი**, - კუთვნილებას აღნიშნავს.

ქურდიკეთი - ადგილი შოლტისხევში.

ქურდიკეთი<**ქურდი[ს]ქედი**საგან. **ქურდი** //**ქურდა** საკუთარი სახელი ჩანს, შდრ. გვარები: **ქურდაძე**, **ქურდიანი**.

ქურდიკეთი<**ქურდი[ს]ქედი** - კუთვნილების აღმნიშვნელია, **ქურდა**ს კუთვნილია.

ქედი ასეთ გეოგრაფიულ სახელებში კონკრეტული ოჯახის საცხოვრისს აღნიშნავს და ქმნის სოფლის უბანსაც. ყურადღებას მივაქცევ ერთ ფაქტს: აჭარის ბევრ სოფელში გვარები განსახლებულია ქედების მიხედვით: ბრუნჯაძნების სირთი²⁴, ჭეჭელოღლების სირთი, ინანოღლების სირთი, ევენდოღლების სირთი, გურგენიძნების სირთი... (ყოროლისთავი, სოფელი ხელვაჩაური მუნიციპალიტეტში, ორთაბათუმის თემი). ანალოგიურ სურათს შეხვდებით ქობულეთის სოფლებშიც. მაგალითად, აჭყვისთავში (ქობულეთის მუნიციპალიტეტი) შემდეგი ქედები დასტურდება: „ზოიძნების ქედი“, „კომახიძნების ქედი“, „ბერიძნების ქედი“, „მესხიძნების ქედი“, „რომანაძნები ქედი“, „მემარნეების ქედი“, „ანანიძნების ქედი“, „ხაბაძნების ქედი“. ვფიქრობთ, ქედ' ფუძიანი გეოგრაფიული სახელები შავშეთში იმავე ვითარების აღმნიშვნელია, რაც აჭარაში დასტურდება.

ერთ სახელში დადასტურდა სერი: **ლეკობნი სერი**.

სერი „მოგრძოდ წამოზრდილი გორა“ (ქეგლ).

²⁴ თურქული **სირთი** იგივეა, რაც ქართული **ქედი**.



„სერი“ გამოიყოფა ტოპონიმში „სერიჭალა“. **ჭალა** აქ სათიბის მნიშვნელობითაა ნახმარი.

თანერ ართვინლი ასახელებს **ქედის** შემცველ კიდევ რამდენიმე გეოგრაფიულ სახელს:

ჯუვარიქეთ<*ჯუვარქეთ<*ჯვარიქედ’ი.

შავქეთი<*შავქედი.

ზოგიერთ ტოპონიმში ქართული **ქედი** თურქული **თეფეთია** შევცლილი:

ბურილთეფესი (შდრ. დაბურული (ნისლით) ქედი).

კატაროლლი თეფესი (შდრ. კატაროლლის ქედი).

ჩათალ ჩევიზ თეფესი (<*ჩათალ ჯევიზ თეფესი?).

ქეთენ თეფესი.

ნესრეთ თეფესი (შდრ. ნესრეთის (ანთროპონიმია) ქედი).

ნისლათა სირთი (შდრ. ნისლიანი სერი, ქედი, მთა). ნისლათა’ ცალკეც გვხვდება შავშეთში.

კორხილ თეფე (შდრ. კორხის ქედი).

უჩარმუთ თეფესი (შდრ. სამი მსხლის ქედი).

სანზირევ თეფესი (შდრ. სამი მსხლის ქედი).

სანზირთევ თეფესი <*სამზირთევ თეფესი (შდრ. სამზირი ქედი).

ასით თეფე.

2.5.6. კომპოზიტის მეორე ნაწილია „ყანა“ და „დაბა“

რამდენიმე კომპოზიტში მეორე ნაწილად „ყანა“ და „დაბა“ დადასტურდა:

ზენდაბა<*ზენა დაბა(?). „დაბა“ აქ „ყანის“ მნიშვნელობით უნდა იყოს.

ჯორყანა<*ჯვარ ყანა - ადგილი ვერხვნალში.

თ. ართვინლი ასახელებს **ვარდიჰანა**’ს (ართვინლი, 2013). ვფიქრობთ, **ვარდიჰანა**’ ცუდად ჩაწერილი ქართული **ვარდიყანა**.

ფზობილყანა<*ზობილყანა(?) - ადგილი შოლტისხევში.

2.5.7. სხვა კომპონენტის კომპოზიტები შავშეთის ტოპონიმიაში

ორიოდე ტოპონიმში კომპოზიტის მეორე ნაწილია **თა**(<მთა):

მაჭარელთა (<*მაჭარელმთა) - სამოვარი შავშეთში. ეს სამოვრები ძველად აჭარელთა კუთვნილება ყოფილა. ტოპონიმმა შეინახა **მ-ელ**



კონფიქსისეული პრეფიქსი მ-. მაჭარელში იგივე პრეფიქსი გვხვს, რაც მეგრელში (შდრ. ეგრისი - მეგრელი), მარგველში (შრ. არგვეთი - მარგველი), მაჩაბელი (აჩაბეთი - მაჩაბელი)... ბარემ აღვნიშნავთ, რომ მ' პრეფიქსი ხ. ახვლედიანმა ტოპონიმის - აჭარა' ნაწილად მიიჩნია (მაჭარა) და აჭარის „ეტიმოლოგიაც“ შემოგვთავაზა: „აჭარა მიღებულია მაჭარადან. რადგან ამ ხეობის, კერძოდ, ქედის მევენახეობა ძლიერ განვითარებული ყოფილა და მისმა მაჭარმა საყოველთაო აღიარება მოიპოვა თავის დროზე“ (ახვლედიანი, 1978:80). ბუნებრივია, ეს მოსაზრება დარჩა მოსაზრებად...

ნუგზარ ცეცხლაძე მაჭარელთა'ს ასეთ სეგმენტაციას გვთავაზობს: მ-აჭარ-ელ-თა (ცეცხლაძე, 2004:39). რაიც, ვფიქრობთ, არაა მისალეები: მაჭარელ-[მ]თა - აღდგება ტოპონიმის ამოსავალი ფორმა.

მთა' აღდგება თ. ართვინლის მიერ ჩაწერი ტოპონიმში კოხთები<*კოხ[მ]თები'საგან.

რამდენიმე კომპოზიტ ტოპონიმის შემადგენლობაში არის „ჯვარი“:

ქათიჯვარი (<*ქათის ჯვარი) - ადგილები აგარასა და ხობლევიში. უცნობია ქათის' მნიშვნელობა.

ყვირანჯვარი - ადგილი უსტამისში. აღდგება კომპოზიტი ყვირანის-ჯვარი; შესაძლოა, ყვირანი ადგილის სახელი იყოს, ჩვენთვის ჯერაც უცნობი.

ჯორი ფეხი - სათბი ოქრობაგეთთან. ნიკო მარს ტოპონიმი უთარგმნია Нога лошака [ნოგა ლოშაკა]. ვფიქრობთ, ჯორიფეხი<*ჯვარი ფეხი'საგან ვა>ო'ს ფონეტიკური გარდაქმნით.

გვხვდება ქვა ფუმიანი კომპოზიტებიც:

ქვაფდევრები<*ქვა დევები (?) ვ' და რ' განვითარებული ჩანს.

შევნიშნავთ, შავშეთში არ იციან დევი, რამდენიმე ტოპონიმმა შეინახა მისი ხსოვნა.

ქვა ტაბლა - ადგილი უკანეთის მაჰალეში.

ქვაკიბე - ადგილი ბაზუგირეთში, შდრ. პარეხი.

სხვა ტოპონიმთაგან განცალკევებით დგას დასამობი - სოფელი შავშეთში. კომპოზიტის მეორე ნაწილი ზმნაა, „სამობს“ (ცეკვაძე), - და სამობს. სოფელს ასახელებს ნიკო მარიც (მარი, 1911:35).

„ხუთვერსიან რუკაზე“ დატანილია Дасамобъ [დასამობი].

დასამობის შესახებ ნიკო მარს ასეთი ლეგენდა ჩაუწერია: „აქ ცხოვრობდნენ და და ძმა, მაღალ მთაზე, ჩრდილოეთით. და გაიქცა სათამა-



შოდ, ძმა - გამოეკიდა. დაინახა, რომ **და სამობს**, აქედან **დაერქვა დასამობი**“ (მარი, 1911: 35).

„ჩვენი დაკვირვებით, **დასამობი** <***დასაბამი**‘საგან (დასაწყისი). **დასამობი** ხომ სოფლის საწყისი უბანია“ - წერს მ. ფალავა (ფალავა, 2013:160).

ვფიქრობთ, მეორე მოსაზრება უფრო დამაჯერებელია.

შავშეთში დადასტურდა ტოპონიმი **ქვაბიკარი** - მთა (სიხარულიძე, 1988:35). **კარ** ფუძიანი ტოპონიმები უფრო ტაოშია გავრცელებული, თუმცა გვხვდება ჭოროხის სხვა ქვეყნებშიც (იხ. ფალავა, 2014).

ყურადღებას მივაქცევთ ასევე კომპოზიტ ტოპონიმებს:

წყალსიმერი - სოფელი შავშეთში. მოზრდილი სოფელია, მეთურქულე სამი უბნით: წყალსიმერი, შოლტისხევი და ბზათა.

წყალსიმერი წყლის, მდინარის გაღმა სოფელია.

ზაღლიპირაჲ <***ძაღლიპირაჲ** - ადგილი მანატბაში. მსგავსების გამო დაურქმევიათ სახელი ადგილისათვის.

ყორაგარა <***ყორთაგარა** - უსტამისის უბანი. **ყორი** საკუთარი სახელი//მეტ-სახელი ჩანს. დაცულია გვარში ყორიაშვილი.

ნასეფართი <**ნასე[ს]ფართი** - ადგილები ნიოლეთსა და მანატბაში, - ნასეს კუთვნილი.

ტყიპირაჲ <***ტყისპირაჲ** ადგილი - მანატბაში.

აღვნიშნავთ, რომ როცა კომპოზიტის შემადგენლობაში შედის სახელი ნათესაობით ბრუნვაში, ბრუნვისნიშნისეული თანხმოვანი (ს) უმრავლეს შემთხვევაში დაკარგულია.

ციხიყელი <***ციხის ყელი** - ადგილი ჩაქველთაში.

ქალისაფინავი <***ქალისსაფინავი** - ადგილი სურევანთან.

მანატბა - სოფელი შავშეთში. ი. სიხარულიძე ასახელებს ფორმას **მონატბა** (სიხარულიძე, 1988:49). „ხუთვერსიან რუკაზე“ დატანილია **Манатба** [მანატბა] (Пагирев, 1913).

მანატბა <***მანასტბა**‘საგან. **მანა**’ მამაკაცის საკუთარი სახელი უნდა იყოს²⁵.

საყურადღებო სახელები ჩანს:

²⁵ **მანატბის** შესახებ შემდეგი თქმულება ჩაიწერა რ. ხალვაშმა: „მანატბა რაზე დურქმევია იცი? რატონ და კაცი მანაა, ქალი - ტბა. უთქვამენ ქი, მანა - ტბასა, კაცის მანა გულში ტბაშიო... (ვუთითებთ: შიოშვილი, 2016: 296).



ნაცარგველა - მთა შავშეთში (სიხარულიძე, 1988:17) დატანილია „ხუთვერსიან რუკაზეც“.

საფანახვარი - ადგილი აგარაში. **საფა** (არ. Safa) სიხარულს, მოსვენებას ნიშნავს. **საფანახვარი**<**საფანახევარი** რას უნდა ნიშნავდეს გაურკვეველია.

დგანდგალი - ადგილი კოკბერეთში,- ფუძის გაორკეცვით შექმნილი კომპოზიტი.

2.5.8. კომპოზიტის მეორე ნაწილი ზედსართავი სახელია

კომპოზიტში შემავალ ფუძეთაგან ერთი ზედსართავი სახელია. ფაქტიურად ტოპონიმად გამოყენებულია ატრიბუტული მსაზღვრელი-საზღვრულთან, ზოგჯერ ინვერსიული წყობითაც:

ხევწრული (//**ხევწურული**/**ხევწვრილი**), - სოფელი შავშეთში. **ხევწრულში** პალატალიზებული უ გვაქვს ფონეტიკური გარდაქმნის შედეგად მიღებული., კერძოდ, პროგრესული ასიმილაციით: **ხევწვრილი**>**ხევწურილი**>**ხევწურული**>**ხევწრული**. აღვნიშნავთ, რომ **ხევწრული** შავშურში ზოგჯერ წარმომავლობის სახელადაა გააზრებული: „**ხევწრული** ანაჲ მყავს“ (გვითხრა ინფორმატორმა - ავტ.). შდრ. **აჭარულაჲ ნენემ, მაჭახლურაჲ რძალი...** შესაბამისად: **ხევწრულურაჲ** ანაჲ.

შაქვაბები - ადგილი ჯვარისხევში.

შავტყეები//**შავტყეები** - ადგილი მანატბაში. **ეე>იე**’ს რეგრესული ასიმილაციით. ორივე კომპოზიტში (შაქვაბები, შავტყეები) **შავი**’ ბნელის მნიშვნელობითაა ნახმარი.

ღმადელი თავები - ადგილი მანატბაში. **ღრმ** თანხმოვანთკომპლექსში (ღრმა) რ’ დაიკარგა კომპლექსის გამარტივები მიზნით.

ქოთეთრისი <**ქვათეთრისი**’დან. **ვა>ო**’ს, პალატალიზაციის გზით, რაც შესამჩნევია სამხრულ კილოებში (იხ. ფაღავა, 2002:113-121; 2003:138-145).

ზელქედი<***ზელქედი**<***გელქედი**<***გრბელქედი** - ადგილი მანატბაში. ერთ რთულ ფუძეში რამდენიმე ფონეტიკური გარდაქმნა მომხდარა: **ძ:ზ** მონაცვლეობა, შემდეგ **გ’სა** და **რ’ს** დაკარგვა.

ნათელახევი (<***ნათელი ხევი**?) - ადგილი კოკბერეთში.

კლდეჭრელი - ადგილი დაბაწვრილში.

ინაწმინდა - ქედი მაჭახლის ზემოთ. საძიებელია **ინა**’ სახელური ფუძის მნიშვნელობა.

თავბრული<**თავბურული**<**თავდაბურული** - ადგილი ჯვარისხევში.



ქართული
ენების
აქადემია



თათავრი<*[მ]თა[მ]თავ[ა]რი(?) - ადგილი ჯვარისხევიში

თეთრკველდე (<თეთრკილდე<*თეთრ[ი]კლდე) - ადგილი ციხისძირში.

თრკლდ' კომპლექსში თანხმომავანთგასაყარად გაჩენილა ანაპტისური ხმოვანი გ, რაც დაჩნდება ხოლმე სამხრულ მეტყველებებში (იხ. ფაღავა, 2004(ა): 3-8).

ელიაწმინდა - ადგილი ჩაქველთაში. ელიაწმინდა გვხვდება ტაოშიც, - ხეობა და სოფელი.

ახალდაბა - სოფელი იმერხევიში.²⁶

დიდვაკე - ადგილი ზენაგარაში.

დაბაწრული - სოფელი შავშეთში. წრულ'ი<წურულ'ი<წვრილი - უპალატალიზებულია.

დიდნაზვი<*დიდნამვი - ადგილი უსტამისში. ძ:ზ მონაცვლეობა დასტურდება სახელში, რაც თურქულის გავლენით იხსნებოდა, თუმცა ძველი და საშუალო ქართულის ძეგლებში დადასტურებული შემთხვევები უარყოფს ამ მოსაზრებას (იხ. ცინცაძე, ფაღავა, 1998:34-35; მარტიროსოვი, 1977:263; სიმფონია, 1956; ფაღავა, 2003:178-181). აღვნიშნავთ, რომ სამხრულ მეტყველებებში ძ:ზ მონაცვლეობის ზოგიერთი კონკრეტული მაგალითი თურქულის გავლენითაც შეიძლება აიხსნას.

დიდვენახი - სოფელი კარჩხალას ხეობაში.

ოროკდარე - ადგილი კოკბერეთში. „ოროკი - ხელოვნური ტერასა/ტერასები“ (ნიჟარაძე, 1971). „ოროკო - მიწა ბაქან-ბაქან მოკავებული“ (საბა, 1949). დარე - ფერდი, ფერდობი (ნიჟარაძე, 1971).

ოროკდარე - დატერასებული ფერდობია.

ღურე თბა<*[მ]ღურე ტბა<*მღვრიე ტბა - ადგილი დაბაწვრილში.

ხერთული<*წე[ვ]რთული? - ადგილი აგარაში.

გვალყანა<*[მრ]გვალ ყანა - ადგილი აგარაში.

დიდვაკე<*დიდი ვაკე - ადგილი აგარაში.

კლდე ჭრელი - ადგილი ხოხლევიში.

დიობანი<*დიდი უბანი (იხ. ზემოთ).

²⁶ „ახალდაბა ჩონი სოფელი, ახალი - ტბათი“ - აგვიხსნა ხუსეინ კარაპანმა, ქართულის მცოდნე მეთურქულე ახალდაბელმა. ახალდაბაში არ ველოდით ქართულის მცოდნეს... „დედა მყავს ჩაქველთური, ქართული იმან მასწავლაო“, - ხუსეინმა. ყურადღებას მივაქცევთ ჩონი ფორმას, რომელშიც პალატარიზებული ო' გვაქვს...



დაბა კეთილი - სოფელი შავშეთში²⁷. **დაბა** აქ ძველი ქართულის მნიშვნელობით არის ნახმარი: „აგარაკი“, „სოფელი“, „ყანა“ (აბულაძე, 1973), უფრო აგარაკი.

ანდრიაწმინდა - სოფელი შავშეთში, ახლა **წითელოღლი**.

თეთრაკეთი<***თეთრაქედი** - ქედი ლეონიძის ზემოთ.

თეთრი ქვა - მთა (სიხარულიძე, 1988:54).

გურილ თა<***გრილმთა**<***გრილი მთა** (სიხარულიძე, 1988:53).

კოხტოვილი <***კოხტაველი**? „ხუთვერსიან რუკაზე დატანილია **Кохлевицъ** [კოხლევილ’ი], - მაილა შავშეთში. **კოხტოვილი** და **კოხლევილი** ცუდად ჩაწერილი **კოხტაველი** ჩანს.

დიდმერე - „მინდორი, რომელსაც ჩამოუდის ჯვარისხევი“. „ხუთვერსიან რუკაზე“ დატანილია **Диди-мире** кшл. [დიდი მირე, ყიშლა].

დიდი მირე ცუდად ჩაწერილი **დიდი მერე**//**დიდმერეა**.

კუნტიკალო - ადგილი ჩაქველთაში.

კუნტვა - „პირუტყვთ ხლტომით თამაში“ (საბა, 1949). ნაკლებსარწმუნოა, დასახელებული ტოპონიმი კუნტვასთან იყოს დაკავშირებული. უფრო სარწმუნოა, **კუნტიკალო**<***კუტი[ს]კალო**’საგან, **წ** განვითარებული ჩანს.

კუტი - „ადამიანი, რომელსაც ფეხები არ ემორჩილება, სიარული არ შეუძლია, საპყარი“ (ქეგლ).

კუნტიკალო<**კუტი[ს]კალო**’საგან, - საპყრის კალო/საპყრის ეზო.

ვაკეტყე - ტყე მანატბაში.

წვრილხევი - სოფელი იმერხევში (მარი, 1911:150).

შავმთა - მთა გარყლოფს ზემოთ (მარი, 1911:147).

ერთ კომპოზიტში მსაზღვრელად რიცხვითი სახელია:

სამწყარი//**სამწყარი**<***სამწყალი** - ახლა **უჩირმაღლარ** (სიტყვასიტყვით - სამი ხევები), სამწყალის არცთუ წარმატებული თარგმანი.

ძველი ჯანჯირის მაილას უჩყარდემი უწოდეს.

„ხუთვერსიან რუკაზე“ დატანილია **Учь-кардашь** [უჩ ყარდაში] - სამი ძმა. ალბათ, ეს უკანასკნელია სწორი ფორმა.

გვხვდება ატრიბუტულმსაზღვრელიანი თურქული ტოპონიმები:

²⁷ ნიკო მარის ინფორმაციით დაბაკეთილში გასული საუკუნის დამდეგს ორი გვარი ცხოვრობდა: მორთულაძე და ლერწამიძე (მარი, 1911:27).



სარი ჩაირი (შდრ. ყვითელი ბალახი), - დაბაწერილის დაილა. ადგილობრივებს ძველი, ოსმალობამდელი ქართული სახელი არ ახსოვთ, **სარი ჩაირი** ახალია, ახალი ნიშნით შერქმეული.

ყარადალი - გურნათელს ქვემოთ. ამ რეგიონში **kara** (შავი) ზედსართავიანი ტოპონიმი ბევრი გვხვდება:

ოთხი - **ყარაგაოლი** (შავი ტბა), ორი **ყარატაში** (შავი ქვა), **ყარა-მეშა** (შავი მუხა) და სხვა.

თურქულ-ქართული ფუძეების შეერთებით მიღებული კომპოზიტი **ველიქოა** (შდრ. ველი სოფელი) - სოფელი იმერხევში.

თურქულია **სუსუზი** - ადგილი გურნათელში, ქართულად **უწყლოს** ნიშნავს.

მოვიყვანეთ ჩვენს ხელთ არსებული ატრიბუტულმსაზღვრელიანი ტოპონიმების მთლიანი მასალა. უპირველესად თვალშისაცემია, რომ ტოპონიმთა უმეტესობა ქართულია. სხვაგვარად, შავშებს, ახალ, თურქულ სახელებთან ერთად ახსოვთ ადგილის ძველი, ქართული სახელები, რაც მნიშვნელოვანია. რაოდენობრივად ძალიან მცირეა ტოპონიმები, რომლის ქართულ შესატყვისს ვერ ასახელებენ.

მოყვანილი გეოგრაფიული სახელები ატრიბუტული მსაზღვრელ-საზღვრულია.

მსაზღვრელ-საზღვრულის წყობა გვხვდება როგორც პირდაპირი, ისე ინვერსიული.

პირდაპირი წყობა: კუნტიკალო, შავმთა, წვრილხევი, თეთრი ქვა, თეთრაკეთი, სამწყარი//სამწყარი<*სამწყალი, დიდვაკე<*დიდი ვაკე, კოხტოვილი <*კოხტაველი?, ბერი კლდე,

ინვერსიული წყობა: ანდრიაწმინდა, დაბა კეთილი, კლდე ჭრელი, დაბაწრული, ქოთეთრისი <ქვათეთრისი...

აღსანიშნავია ისიც, რომ ატრიბუტული მსაზღვრელ-საზღვრული ტოპონიმად უმეტეს შემთხვევაში გამჭვირვალეა, რამდენადაც ასეთი გეოგრაფიული სახელები ახალი წარმონაქმნია.

2.5.9. ზმნიზედები კომპოზიტებში

რთულფუძიანი კომპოზიტების შედგენილობაში ვხვდებით ფორმაუცვლელ სიტყვებსაც. ცალკე ჯგუფად გამოყავით ასეთი გეოგრაფიული სახელები, თუმცა არ მიგვაჩნია, რომ რაიმე განსაკუთრებულ



ჯგუფს ქმნიან ისინი. მაინც საყურადღებოა ასეთი ტოპონიმები, თუნდაც იმიტომ, რომ დავინახოთ, სახელმძღვანელო სახელდებისას იყენებს ენის ყველა შესაძლებლობას, ოღონდ მარჯვე ნიშანი შეურჩიოს გეოგრაფიულ პუნქტს და უწოდოს სახელი.

ქორწინამ - ადგილი ჯვარისხევში.

ქომობანი < ***ქომოუბანი** < ***ქვემო უბანი** - უსტამისისა და დაბის უბნები.

ზემობანი < ***ზემოუბანი** - ადგილი დაბაში.

წინობანი < ***წინა უბანი** - ადგილი დაბაწვრილში.

უკანხევი - ადგილი კობერეთში.

კარწინათი - ადგილი **ზენაგარაში**, შდრ. **კარწინაები**.

კარი ეზოა ტაოურში, სახლსაც აღნიშნავს ზოგჯერ (ტაო, 2020:1139).

კარი ეზოს აღმნიშვნელია კლარჯულსა და შავშურშიც (კლარჯეთი, 2016:1057; შავშეთი, 2011:588). იგივე მნიშვნელობა აქვს კარს დასახელებულ ტოპონიმშიც, - **კარის წინა** ადგილი.

კვლდიზირი < ***კვლდი[ს]პირი** - ადგილი ახალდაბაში.

ზენაგარა < ***ზედა აგარა** - სოფელი იმერხევში.

ზენდაბა - სოფელი შავშეთში. **ზენა**//**ზედა დაბა, მიწა**.

ზედვაკე < ***ზედა ვაკე** - ადგილები მანატბასა და ზაქიეთში.

ზეგანი < ***ზემო განი** - ადგილი უსტამისში.

ზედუბე - „უბის ზედედამ ადგილია ზედუბე“ (უბელი ინფორმატორის განმარტება - ავტ.). ვფიქრობთ, ეს ის შემთხვევაა, როცა ხალხური „ეტიმოლოგია“ ზედმიწევნით განმარტავს გეოგრაფიულ სახელს.

გვერდალეუ - ლეუ მანატბასთან.

გვერთყანები//**გვერდყანები** - ადგილი ნიოლეთში.

დარბაზუკანად - ადგილი აგარაში.

წინაგამთი - ადგილი ჯვარისხევში. კომპოზიტის მეორე ნაწილის (გამთი) მნიშვნელობა უცნობია.

კლდეთუკანა - ადგილი ჩაქველთაში.

თუქანს უკან//**დუქანს უკან** - ადგილი ჩაქველთაში. **თუქანი**//**დუქანი** თურქულია, სავაჭროს ნიშნავს.

წოწოლაპირი - ადგილი კოკბერეთში. **წოწოლა** ვაშლის სახეობაა.

აღმა-დაღმა - ადგილი გურნათელთან.

საყურადღებო ნიშნები შეურჩევიათ სახელმძღვანელებს გეოგრაფიული პუნქტებისათვის, მოქნილი, ზედმიწევნით რომ ახასიათებს ადგილს.



კომპოზიციის ნაწილად ზმნიზედები აულიათ, რომლებიც სახელებთან ერთად ქმნიან კომპოზიტებს. ყურადღებას იქცევს კომპოზიციის აგებულებაც, ზმნიზედა ხან უსწრებს სახელს, ხანაც - მოსდევს.

დაბოლოს, დასახელებული თითქმის ყველა გეოგრაფიული სახელი გამჭვირვალეა.

2.5.10. ძეზე დასრულებული გვარები ტოპონიმებად

შავშეთში გეოგრაფიულ სახელებად გვხვდება ძეზე დამთავრებული გვარები, - აღნიშნავენ უმეტესად სოფლის უბანს, ზოგჯერ - სოფელსაც.

დებაძე - დაბის უბანი (მეჭლე) (მარი, 2012:215).

გოგნიძე - სინკოთის უბანი (სიხარულიძე, 1988: 41).

მაჩხატიძე - სოფელი მანატბის გაღმით. ახლა მაჩხატეთს ეძახიან. „ხუთვერსიან რუკაზე“ დატანილია Мачхатиძე [მაჩხატიძე] (Пагирев, 1913).

ი. სიხარულიძე ასახელებს **მაჩხატაძე**ს(?) (სიხარულიძე, 1988:49).

ბუნებრივია კითხვა: რომელია ძველი ფორმა - მაჩხატიძე თუ მაჩხატეთი? ჩვენი აზრით, მეორე, - **მაჩხატეთი**.

შუბლაძე - მთა.

იმნაძე - იფხრეულის უბანი, გვხვდება ძველი ფორმაც, - **იმნიეთი**.

ლიონიძე - სოფელი ქოთეთრისის ხეობაში.

ნ. მარი ლიონიძის გვერდით ასახელებს ნიოლეთსა და ნიოლისძეს (მარი, 1911:79). ამოსავალი ფორმა ჩანს **ლეონიძე** (შდრ. მამაკაცის სახელი - **ლეონი**), **ნიოლიძე** მისი ფონეტიკური ვარიანტია.

გორგვაძე - უბეს უბანი/მაჰალე, **გორგვაძე**<**გორგაძე** (ვ'ს განვითარებით). ფუძეა **გორგა**<* **გიორგა**// **გიორგი**საგან. **გიორგა**' **გიორგის** ვულგარული ფორმაა, ცოცხალ მეტყველებაში გამოიყენებენ ხოლმე.

მიქაზე (<***მიქაძე**) - უბანი ზაქიეთში.

თოდიზე (<***თოდიძე**) - სოფელი შავშეთში.

თეთროზეთი (<***თეთროძეთი**//**თეთრაძეთი**) - სოფელი შავშეთში. **თეთრა**' კაცის მეტსახელი ჩანს.

მოსიზე (<***მოსიძე**) - უბანი ზენაგარაში.

მარგაძე - უბანი ზენაგარაში.

შულლაძე (აბაშიძეების მეტსახელია) - უბანი ზენაგარაში.

ვარდიძე - უბანი ზენაგარაში.

კოტალაძე//**კუტალაძე** - სვირევის უბანი, **კუთალეთსაც** ეძახიან.



წითელაძე/წიქრაძე, resp. წიქრეთი (მარი 2012:212) წიქრაძე
 <წიქრაძე>საგან. საქართველოში დასტურდება გვარი წიქარიძე.

გვარ-სახელია ასევე წითელაძე, გვხვდება - მარადიდშიც (კლარჯეთი).

წითელაძე და წიქრაძე დღეს სხვადასხვა გვარია.

თ. ართვინლი ასახელებს: ველაგიზე<*ველაგიძე, ქოქოძე, კობტურა-
 შვილი//კობტურიენთი - ადგილის სახელებს შავშეთში.

ქოქოძე მოგვიანებით გვამღვეს ქიქოძეს რეგრესული დისიმილაციით.

კოვიძეები - ადგილი უბეში.

კორტოხაძენი - უბანი უბეში.

აღვნიშნავთ, რომ შავშეთში ადგილის სახელად უფრო გვარის
 მხოლობითის ფორმები გვხვდება.

ერთი ტოპონიმი დავადასტურეთ -ში დაბოლოებით: ხალვაში, წინათ
 სოფელი ყოფილა, ახლა - ახალდაბის უბანია. „ხუთვერსიან რუკაზე“ ხალვაში
 სოფელია (Пагирев,1913). ჩანს, ახალი ადმინისტრაციული დაყოფის შედეგია
 ხალვაშის ახალდაბაში გაერთიანება.

დავადასტურეთ -ოღლი' (შდრ. ქართული შვილი, ძე) დაბოლოებიანი
 ორი ტოპონიმი:

კარიბოღლი - სამწყარის უბანი.

სახმაროღლი - სოფელი ბალვანას ჩრდილოეთით. „ოსმალოს დროს
 წარმოქმნილი ტოპონიმია გვარ-სახელისგანო“ წერს იური სიხარულიძე
 (სიხარულიძე, 1988:30). რა კომენტარის გაკეთება შეიძლება ამ მოსაზრებაზე?
 სჯობს, არაფერი ვთქვათ...

გვარები გეოგრაფიულ სახელად საინტერესოა ეთნოგრაფიულად,
 კერძოდ, ქართული სოფლის დასახლების სტრუქტურის შესასწავლად: გვარი
 (ძე, შვილით გაფორმებული) თუ სახლეული სოფელში კომპაქტურადაა
 დასახლებული და ქმნის სოფლის უბანს, ხშირად სოფელსაც. ასეთია სოფლის
 სტრუქტურა ჭოროხის ქვეყნებში. აქ მეზობელი - განაყარია; თუ
 დავაკვირდებით სოფლის სტრუქტურას, უბანში, ჩვეულებრივ, ერთი სახლის,
 ოჯახის ჩამომავლები ცხოვრობენ, ისინი ერთმანეთისათვის განაყრები არიან:
 სახლის ნამრავლი - განაყარია.

2.6. სიტყვათშეერთებით მიღებული ტოპონიმები

შავშეთის გეოგრაფიულ სახელებად ბევრია სიტყვათშეერთებით
 მიღებული ტოპონიმები, რომელთაც სინტაგმა ტოპონიმებსაც ვუწოდებთ.



სინტაქმა-ტოპონიმები, ჩვეულებრივ, მსაზღვრელ-საზღვრულია; მსაზღვრელი ან ზედსართავი სახელია, ანდაც ნათესაობითში დასმული არსებითი სახელი.

2.6.1. ატრიბუტივიანი გეოგრაფიული სახელები

პატარა ჭალა - ადგილი ოქრობაგეთში (მარი, 2012:114). „ადგილი სახმარის თავზეო“ (?) - განმარტავს იური სიხარულიძე (სიხარულიძე, 1988:30).

სათლელ რაბათი - ადგილი შავშეთში.

ბერი კლდე - მთა არდაგანის უღელტეხილზე, „რაც ნიშნავს ძველ კლდეს“ (მარი, 2012:142).

შავი მთა - სოფელი გარყობის ზემოთ (სიხარულიძე, 1988:45).

ჭვინ მთა - მთა შავი მთის ჩრდილოეთით.

„ხუთვერსიან რუკაზე“ დაუტანიათ **Чвин-мта** [ჭვინ-მთა].

„ჭვინს“ უწოდებს ალ. ჯავახიშვილი.

ჭვინი იქნებ ფონეტიკურად სახეცვლილი **ჭვირ**ია (ნ:რ მონაცვლეობით), რომელსაც სულხან-საბა განმარტავს: „შეხედვა“, „ჭვირობა - ჭვრეტა“ (საბა, 1949. შდრ. ჩუბინშვილი, 1961).

ჭვინ მთა - საჭვრეტი მთაა, საიდანაც უთვალთვალებენ.

დიდი ჩიხორი - სოფელი ჩიხორის წყალზე.

კურტუკლი სერი - ადგილი ბაზგირეთში.

საბეგი ჯვარი - ადგილი უბეში. „ჰერალდა გეეგებებიან, ის არი, საგებები ჯვარი“ (ფაღავა, 2013:48). **საბეგ**ში **ბეგ** ძირი გამოიყოფა; იმავე ძირს გამოვყოფთ **ბეგვა**ში, - „ჯოხის ცემით მარცვალთ გამოღება“ (საბა, 1949). **ბეგვა** - მიბეგვა, დაბეგვა (მიბრეგვა, დაბრეგვა) ცემასთანაა კავშირში. „**საბეგი ჯვარი**“ ადგილია, სადაც ბეგვავდნენ (იხ. ფაღავა, 2019:47).

დიდ ახო - ადგილი მანატბაში.

ზელ ქედი - <*გზელ ქედი<*გძელ ქედი<*გრძელ ქედი. როგორც ვხდევთ, „ზელ ქედი“ რამდენიმე ფონეტიკური გარდაქმნის შედეგია:

გრძელი > **გძელი** (რ'ს დაკარგვით. გვხვდება აჭარულშიც).

გძელი>**გზელი** (ძ:ზ მონაცვლეობით).

გზელი>**ზელი** - თავკიდურა გ'ს დაკარგვით.

ზელი მხოლოდ შავშურში დასტურდება.

დაწვილი ტყე - ადგილი აგარაში (შდრ. დამწვარი ტყე).

კაპაკურ ახო - ადგილი აგარაში. **კაპაკური** მეტსახელი ჩანს კაცისა.

ბელენ ქვაბი - ადგილი აგარაში.



ბელენ-ბლენ-ბნელ'ისაგან. ბელენ ქვაბი - ბნელი ქვაბია, ე' განვითარებულია. ბლენი გვხვდება სამხრულ მეტყველებაში.

ნარევი ტყე - ადგილი აგარაში.

თეთრი კელდე//კვლდე - ადგილი ციხისძირში.

ჩემი ყანა - ადგილი წიწვეთში.

უჯამურთა კლდე - ადგილი გურნათელში.

უჯამურთა კლდე- *უჟამურთა კლდე (ჯ:ჟ მონაცვლეობით).

უჟამო - „ჟამ უქონელი“ (საბა. 1949).

უჟამო - უდროო - განმარტავს ნიკო ჩუბინაშვილი (ჩუბინაშვილი, 1961).

აქვე აღვნიშნავ, რომ „უჟამური - სენი უდროვოდ მოსული“ (ჩუბინაშვილი, 1961).

ბუნებრივია კითხვა: რატომ **უჯამურთა//უჟამურთა კლდე?** სენიანებს ხომ არ ყრიდნენ ამ კლდიდან?

თეთრი სათიბი - ადგილი დაბაწვრილში.

დიდი სახლი - ტყე უკანეთის მაჰალეში.

ჯომყუნა ვაკე - ადგილი მანატბაში. **ჯომყუნა[ს] ვაკე** იყო, თუ „ჯომყუნა“ „ვაკის“ მსაზღვრელია? უფრო პირველი.

ხერთვისური აილები - ადგილი იმერხევში.

ჩიქუნეთური აილა - ადგილი ზიოსს ზემოთ.

დასახელებული ტოპონიმები ატრიბუტული მსაზღვრელ-საზღვრულია, ფართოდ გავრცელებული ქართულში, გამოყენებული ადგილის სახელად.

2.6.2. ნათესაობითი დასმული მსაზღვრელ-საზღვრული გეოგრაფიულ სახელად

ჩვეულებრივ ასეთი ტოპონიმები უმეტესად ვიღაცის კუთვნილებაზე მიუთითებენ. ყურადღებას იქცევს შემდეგი: გეოგრაფიულ სახელთა ერთ ნაწილს შენარჩუნებული აქვს ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი:

უკანეთის მაჰალე - აგარის უბანი.

სანდალოს წვერი - ადგილი უსტამისში.

ოქროს საწველები - ადგილი მანატბაში. შდრ. ოქროს საწოლები.

მისილოღლების აილები - აილა კარჩხალას კალთებზე.

მისილოღლები მაჭახლელები იყვნენ, საზღვრის ჩაკეტვის შემდეგ სამოვრებით შავშელები სარგებლობდნენ.



ზალის საფინავი<*ძალის საფ[რ]ინავი - ადგილი ხევეწრილში. ასეთ ამბავს მოგიტხრობენ ხევეწრილში: „იქ პური გადავარდა და ზალი გადაყვა. იმიტომ ქვია ასე,“ - ნიკო მარმა ჩაიწერა ეს ეტიმოლოგიური გადმოცემა, ჩვენც მოგვითხრეს იგივე. საინტერესო ტოპონიმი. სახელდების ხალხური ნიშანი საყურადღებოა, მაგრამ არა საკმარისი. სინტაგმაში ყურადღებას იქცევს **ძ:ზ** მონაცვლეობა (ზალი<ძალი), დამახასიათებელი სამხრული კილოები-სათვის და სამწერლობო ქართულისათვის (იხ. ცინცაძე, ფალავა, 1998:34-35; ქავთარაძე, 1964:238-239; ფალავა, 2003:178-181) და **რ**'ს დაკარგვა (საფინავი <საფრინავი), - ასევე გავრცელებული ფონეტიკური მოვლენა დიალექტებსა და სამწერლობო ქართულში (ფალავა, 2002; ცინცაძე, ფალავა, 1998:12-13; ქავთარაძე, 1964: 137; ძიძიშვილი, 1960:106).

ჯარის საწოლი - აგარის აილა, გვხვდება პარალელური სინტაგმაც - **ჯარი ათალი**.

ერბოს საშრობი - ადგილი საზვირელიდან მაჭახლის გზაზე.²⁸

ჩაქველთას ციხე (მეთაბრასაც ეძახიან ჩაქველთურები) - ციხე ჩაქველთას ქვემოთ.

გოგამის აილა - ადგილი იმერხევში.

ჯაფარას ხარო - ადგილი გურნათელთან. **ხარო** შავშეთში, მით უმეტეს მეთურქულე შავშეთში, აღარავინ იცის, დაიცვა ტოპონიმმა. „ჯაფარას ხარო“ ძველი გეოგრაფიული სახელი ჩანს, მამაკაცის სახელი ჯაფარა' ოსმალობამდე შავშეთში თუ იქნებოდა.

ჯარების ყანა - ადგილი ჩაქველთაში. **ყანა** აქ ძველი მნიშვნელობითაა ნახმარი - მიწა, ველი (სარჯველაძე, 2001). რატომ „ჯარების ყანა“? ვფიქრობთ, **ჯარა/ხარა** მამაკაცის სახელია, მისი ოჯახის (ხარების) კუთვნილს უწოდეს ეს სახელი.

ხანძთის მინდორი - ადგილი უბეს ზემოთ. უბურ ხანძთას არაფერი აქვს საერთო „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ხანძთასთან.

²⁸ ამ ადგილს **აღლის საშრობი** ქვია! რატომ? მოვუსმინოთ ბაზვირლებს: „მაჭახლელმა ერბო იყიდა და ცხენით მიქონდა. გზაში იფიქრა, ერბოს გავაშრობ, ასუბუქდება და ცხენსაც აღარ გუუჭირდებაო. გაფინა ერბო მზეზე, თვითონ ლოცვა დეიწყო. ლოცვა რომ გაათავა, ნახა, ერბო აღარ იყო. რაფერ გაჩერდებოდა მზეზე ერბო. გაჭერსებულმა ცხენს შუტია:

- ამდენი ერბო მარტო შეჭამე? - შეეკითხა. ცხენმა თავი დუუქნია...

მაჭახლელმა დაქუხა და მოკლა ცხენი. ამიტომ დუურქმიან აქავრობიზა **ერბოს საშრობი!** ეს ამბავი ოსმან იბიქმა (მჭედლიძემ) გვიამბო“ (ფალავა, 2013:153-154).



ქალის საფინავი - დაღმართი ჭუარები-უკეთის გზაზე. ნიკო მარი ასახელებს „ქალის საფინავ/ქალი საფრინავ“.

თამარის სასვენი - ადგილი საზვირელზე. სასვენი აქ: განსასვენებელი.

თუთუნის მთა - ახსენებ იური სიხარულიძე (სიხარულიძე, 1988:4). ამ სახელწოდების მთა არ იცის „ხუთვერსიანმა რუკამ“.

გრილოს წყალი - წყარო თეთრაკეთის გზაზე. ი. სიხარულიძე ასახელებს **გრიალის წყალი** (სიხარულიძე, 1988:59). ექსპედიციამ ადგილზე ჩაიწერა „გრილოს წყალი“, ამოსავალი ფორმაც ეს უნდა იყოს.

სუმრის წვერი - მთა.

„ხუთვერსიან რუკაზე“ დატანილია **Сумрис цвери** г. [სუმრის ცვერი, მთა].

ალ. ჯავახიშვილთან - **სუმბრის წვერი** (ბ' განვითარებული ჩანს).

ჯნალის თავი - მთა. ნახსენებია „ქართლის ცხოვრებაშიც“ (ქ.ცხ.II:260).

ყვირალას უღელტეხილი - ახსენებს იური სიხარულიძე (სიხარულიძე, 1988:48).

„ხუთვერსიან რუკაზე“ დატანილია **Квиральский пв.** [ყვირალას უღელტეხილი].

გარყობის დაილა - სამოვარი ჩიხვთას დასავლეთით.

ყველის წვერი - გადასასვლელი ყვირალას სათავეებში ართვინი-არდაგანის მიმართულებით.

ბერის მთა - ახსენებს ნიკო ერისთავ შარვაშიძე (შარვაშიძე, 1995:182)²⁹.

ტბეთის ციხე - „სუეტი“ (სიხარულიძე, 1988:8).

წეფთის მთა - ახსენებს ნიკო მარი (მარი, 2012:243).

უკეთის ხევი - ხევი იმერხევში (მარი, 2012:148).

ჯორის ფეხი - სახნავეები ოქრობაგეთთან.

სინტაგმა ტოპონიმთა ნაწილში ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი მთლიანად, ან მისი თანხმოვანი ნაწილი (ს) დაკარგულია.

კოთელა სერი (<კოთელას სერი) - ადგილი იმერხევში.

სავათა თავი (<სავათას თავი)/სავაცა თავი(<სავაცას თავი) - ადგილები ხოხლევსა და დაბაწვრილში.

²⁹ ნიკო ერისთავ-შარვაშიძე ექვთიმე თაყაიშვილისადმი მიწერილ წერილში ახსენებს **ოპისძენი** - Опиза. სხვა წყარო, სადაც ოპიზის **ოპისძეებ** თან დაკავშირება იქნება, ჩვენთვის უცნობია. არც ოპიზაში უხსენებია ვინმეს **ოპისძენი**. არადა საყურადღებო ფაქტია ოპიზის ეტიმოლოგიისათვის: **ოპისძე>ოპიძე>ოპიზე >ოპიზა**.



ქართული
ენების
სწავლის
სამსახური



ნაფუზარი თავი (<ნაფუზარის თავი) - ადგილი მანატბაში.

ზადლი პირად (<მადლის პირად) - ადგილი მანატბაში.

ჩახლი ახო (<ჩახლის ახო) - ადგილი მანატბაში.

ჯოშყუნა ვაკე (<ჯოშყუნას ვაკე) - ადგილი მანატბაში.

ქათი ჯვარი (<ქათის ჯვარი<*ხატის ჯვარი) - ადგილი მანატბაში.

ქურდი ყანათი (<ქურდის ყანათი?) - ადგილი აგარაში.

ქუცუნ ყანები (<ქუცუნას ყანები) - ადგილი აგარაში. ქუცუნა//ქუცნა მამაკაცის სახელი ჩანს.

მარგე ყანა (<მარგეს ყანა) - ადგილი აგარაში. მარგე//მარგა მამაკაცის სახელი უნდა იყოს, შენახულია გვარში მარგაძე, მარგიშვილი, მარგიანი.

წისქვილ თავი (<წისქვილის თავი) - ადგილი წიწვეთში.

სერი ყანა (<სერის ყანა) - ადგილი წიწვეთში.

ურემა ძირი (<ურემას ძირი) - ადგილი წიწვეთში.

დარი თავი (<დარის თავი) - ადგილი ჯვარისხევში.

აღმართ თავი (<აღმართის თავი) - ადგილი მანატბაში.

ვახტანგი ვაკე (<ვახტანგის ვაკე) - ადგილი ბაზგირეთს ზემოთ.

კლდი თავი (<კლდის თავი) - ტყე უკანეთის მაჰალეში.

ლეკობნი სერი (<ლეკობნის სერი) - ადგილი ხერთვისულ დაილებთან.

ქვაბითავ დაილა (<ქვაბითავის დაილა) - ადგილი იმერხევში.

ქუნდი ჯვარი (<ქუნდის ჯვარი) - ადგილი ჩაქველთაში.

ყვარიან ჯვარის (<ყვარიანის ჯვარი) - ადგილი უსტამისს ზემოთ.

ციხი ყელი (<ციხის ყელი) - ადგილი ჩაქველთას ციხესთან.

იმნიეთ ციხე (<იმნიეთის ციხე) - ციხე იფხრეულთან.

დათვიეთ თავ (<დათვიეთის თავი) - ყანები მანატბასა და ნიოლეთში.

ნადრიენტ ჭალები (<ნადრიენტის ჭალები) - ადგილი ნიოლეთში.

მიღმიეთ წინა (<მიღმიეთის წინა) - ადგილები მანატბასა და ნიოლეთში.

თხილებ უკანად (<თხილების უკანად) - ადგილი მანატბაში.

დარბაზ უკანად (<დარბაზის უკანად) - უბანი ზენაგარაში.

გვერთ ყანები (<გვერდის ყანები) - ყანები მანატბაში.

დაბოლოს, შავშეთში დასტურდება თუქული სინტაგმა ტოპონიმები, როდენობრივად მცირე, ახალი ფენა ქვეყნის გეოგრაფიულ ნომენკლატურაში.

სარად სირთი (შდრ. სასახლის სერი/ქედი) - ადგილი ავაზანათში.³⁰

³⁰ ავაზანათელი იაშარი მოგვითხრობს: „სარაის დიდი გველი იცავსო, ამ ბოდის ხელაო (გვითითებს ელექტრობის ბიძზე - ჩამწ.). იქ ჩამოყრილი ქვებია. გველი



ქართული
ლიბრთეკა



ალანუს ჩამი (შდრ. მარტო ნაძვი) - ქედი შავშეთში.

ღუზ დალი (შდრ. ვაკე მთა) - მთა შავშეთში.

ნარი კოლა (<ნარი ყალა?) - ადგილი შირათხევიში.

ქილისე თეფე (შდრ. ეკლესიის ბორცვი) - ადგილი ავაზანათში.

სარი ჩაირი (შდრ. ყვითელი თივა) - ადგილი ხოხლევში.

ბულა გოლი (შდრ. ხარის ტბა) - ადგილი უსტამისში.

ყარა ისალი - სამოვარი სარიჩაირთან ახლოს. იური სიხარულიძე სინტაგმის მეორე ნაწილს არაბულ „ჰისარს“ (ციხე) უკავშირებს (სიხარულიძე, 1988:48). ყარა ისალი - შავი ციხე?

კოლლი ტაში - ადგილი სამწყაროსთან.

სინიკლი თაფა (შდრ. ჩამოქცეული ბორცვი) - ადგილი შავშეთში.

ყანლი თეფე (შდრ. სისხლიანი ბორცვი) - ადგილი შავშეთში.

დიქ ტაში - მთა.

კიასინ ტაში - მთა.

ესაა სულ ჩვენს ხელთ არსებული თურქული სინტაგმა ტოპონიმები შავშეთიდან. მოყვანილ მასალას დამატება რამდენიმე ქართულ-თურქული სინტაგმა ტოპონიმი:

ყალეს ყანა (შდრ. ციხის მიწა) - ადგილი აგარაში.

აღის სადნობი (შდრ. ერბოს სადნობი) - ადგილი საზგირელს იქით.

ხარი ათალი (შდრ. ხარის საწოლი) - ადგილები დაბაწვრილსა და უსტამისში.

ნაჯევდე დერე - ადგილი იმერხევიში.

აღვნიშნავ, რომ სინტაგმა ტოპონიმები უმეტეს შემთხვევაში გამჭვირვალეა. ჩანს, გეოგრაფიულ სახელთა აღწერითი ფორმები შედარებით ახალია, ზოგიერთი სახელდახელოდ შექმნილის შთაბეჭდილებასაც ტოვებს.

რა მოგვცა შავშეთის ტოპონიმის შესწავლამ?

რომ შიგ შევა, ქვები იბერებაო... ამბობენ, ღამ-ღამობით გამოდისო გველი გარეთ; ტრაქტორისტმა თქვა, ვნახეო, ცხვარს, კურდღელს ჭამსო გველი. სხვაგანაც დასტურდებაო ასეთი რამ, იხსენებს იაშარი. ოლთისში გზის მშენებლობისას ორი გველი გამოვარდაო მიწიდან, ერთი მოკლეს, მეორე - გაიქცაო. იქაც ცხვრები იკარგებოდა, გველს აბრალეზდნენო...“ (ფაღავა, 2013: 321). რაღაც თქმულების ეპიზოდი მოგვიყვა იაშარმა, საინტერესო იქნებოდა ერთიანი ამბავი სარაის მცველი გველის შესახებ. ჩავეკითხეთ, ვიფიქრეთ, ეგებ გაიხსენებო სხვა ეპიზოდსაც, მაგდენი ვიციო...



მთავარია, რომ შავშეთში (როგოც მექართულე ისე მეტურქულე ნაწილში) ახსოვთ ქართული გეოგრაფიული სახელები. ორენოვანია ტოპონიმია მთელს შავშეთში, უმეტეს გეოგრაფიულ პუნქტს ორი სახელი აქვს, ქართული - ძველი, ძველთაგან სახელდებული და თურქული, ახალი, ახალი ნიშნით შექმნილი, ხშირად ძველის თარგმანიც. კულტურათა დიალოგი ტოპონიმიაშიც აისახა. მნიშვნელოვანია, რომ შავშთა კოლექტიურმა მემსიერებამ ადგილის ძველი სახელები შეინახა, ზოგჯერ „ეტიმოლოგიური ლეგენდებითაც“ გაამყარა მათი არსებობა, რაც ნიშანია იმისა, რომ კუთხის „ლინგვისტური ასიმილაციის“ (სინტაგმა ნიკო მარისაა) პროცესი ჯერ არ დასრულებულა, ძნელად მიმდინარეობს, ტოპონიმია ყველაზე გამძლე ელემენტი გამოდგა კულტურათა დიალოგში: უმეტესად შეინარჩუნა თავისთავადობა და ნაკლებად დაემორჩილა „ძლიერი კულტურის“ ნებას.

დრო გადის, თაობები იცვლება, ბევრი რამ დავიწყებას მიეცა, ბევრსაც მომავალი დაივიწყებს. დავიწყებას ვერც შავშეთის ქართული ტოპონიმია გადაურჩება. ამიტომაც ქართული მეცნიერების (და არა მარტო) ვალია გეოგრაფიული სახელების შეკრება და შესწავლა, წიგნში შენახვა. ამ მიმართულებით მუშაობა მომავალშიც უნდა გაგრძელდეს...

თავი 2. გვარ-სახელები შავშეთში

შავშური „გვარები“ შეუნახავს ახლანდელი შავშეთის მკვიდრთა ისტორიულ მეხსიერებას, ასევე ქვეყნის ტოპონიმებს. შავშთა მეხსიერებისა და შავშეთის გეოგრაფიული სახელების მონაცემთა გათვალისწინებით შესაძლებელი ხდება შავშური ოჯახის სახელისა და მოგვიანებით გვარების სურათის აღდგენა. აღვნიშნავთ, რომ შავშური ოჯახის სახელებს//სახლის სახელებს//შტო გვარებს//ქობის სახელებს (დასტურდება ტაოში) //მეტსახელ გვარებს აწარმოებს -**ენტ** სუფიქსი, ხოლო სოფელში მათ საცხოვრისს -**ეთ**, ზოგჯერ -**ენტ** მეტსახელი გვარის საცხოვრისის აღსანიშნავადაც გვხვდება, -**ეთ** კი „გვარების“ მაწარმოებლად, რასაც რამდენიმე მიზეზი აქვს:

1. დავიწყებულია -**ენტ** და -**ეთ** სუფიქსების თავდაპირველი ფუნქცია.
 2. -**ენტ** და -**ეთ** ერთ სუფიქსადაა გააზრებული.
 3. ტოპონიმი ჩაწერილია არასწორად, საქმე გვაქვს ჩამწერის, ან ინფორმატორის, ანდაც ორივეს ერთად, უზუსტობასთან.
 4. ისტორიული წყაროს არასწორ წაკითხვასთან...
- ყველაფრის გათვალისწინებით აღვნიშნავთ:

-**ენტ** აწარმოებს შავშური ოჯახის სახელებს//სახლის სახელებს//შტო გვარებს//ქობის სახელებს //მეტსახელ გვარებს.

-**ეთ** გეოგრაფიულ სახელს, - ოჯახის საცხოვრისის დასახლებულ პუნქტში, რომელიც უმეტესად სოფლის უბანს ქმნის (ზოგჯერ სოფელსაც) და განსაზღვრავს სოფლის დასახლების სტრუქტურას. შეიძლება იმაზეც ვიფიქროთ, რომ უძველეს პერიოდში ოჯახის საცხოვრისები წარმოადგენდნენ მცირე სოფლებს, შემდეგ ხდება მათი გაერთიანება და იქმნება სოფელი თანამედროვე გაგებით, რომლის უბნებსაც ქმნის კონკრეტული ოჯახების საცხოვრისები, რომელნიც აღინიშნებიან -**ეთ** სუფიქსით ნაწარმოები გეოგრაფიული სახელებით...

-**მე**, -**შვილი** (იშვიათად), მათი შესატყვისი თურქული -**ოღლი** დაბოლოებიანი „გვარები“ ახალი წარმონაქმნი ჩანს.

შავშეთში დასტურდება სხვა წარმოების „გვარებიც“, რომელნიც ვერ ცვლიან საერთო სურათს.

§1. -**ენტ** სუფიქსი

შავშეთში დავადასტურეთ -**ენტ** სუფიქსიანი გვარები. სუფიქსი დაერთვის სახელის//მეტსახელის სახელობითი ბრუნვის ფორმას. ზოგიერთი მკვლევარი სახელობითის ფორმანტს სუფიქსის ნაწილად მიიჩნევს და



გამოყოფს სუფიქსის ფონეტიკურ სახესხვაობებს **-ენტ/-ენტ**, რაც არასწორია:

ჩაქვრი-ენტ'ი - „გვარი“ ზაქიეთში.

ჩაქვრიენტ<**ჩაქური-ენტ**'ისაგან. იმერხევში იმავე ფუძისაგან ნაწარმოები **ჩაქურიძე**’ც გვხვდება.

ქომი-ენტ'ი - სახლის სახელი უკანეთის მაჰალეში, იგივე „გვარი“ დავადასტურეთ წეთილეთში.

ქომიენტ<**ქომონტ**'ისაგან. შდრ. **ქომოები**. ქომო ზემოს ოპოზიციაა. ქომო ზმნიზედა დადებია „გვარს“ ფუძედ.

შარი-ენტ'ი - ქობის სახელი უბეში, ახლა ყარალოღლებსაც ეძახიან.

შარი-ენტ'ი<**შარა-ენტ**'ისაგან. შდრ. გვარი - **შარაძე**<**შარა**'სძე.

ქოსი-ენტ'ი - სახლის სახელი უბეში. „ქოსა“ მეტსახელი დადებია „გვარს“ ფუძედ.

ფექრი-ენტ-ნი - „გვარი“ უბესა და სვირევანში. იმფორმატორები „გვარს“ ზოგჯერ მრავლობით რიცხვში გვკარნახობდნენ, ჩვენც ასე ვიწერდით. **ფექრი**//**ფიქრი** მამაკაცის სახელი ჩანს, დაცულია გვარში **ფე[ი]ქრი-შვილი**.

ფუტი-ენტ'ი - ოჯახის სახელი უბესა და სვირევანში. **ფუტი** (კვამლი) დადებია „გვარს“ ფუძედ. **ფუტი**’ მეტსახელი უნდა იყოს.

მელიქი-ენტ'ი - „გვარი“ უბესა და სვირევანში, გვხვდება მელიქოლიც. **მელიქი**’ დაცულია გვარებში მელიქიშვილი, მელქაძე<**მელიქაძე**, მელიქიძე (შდრ. მაისურაძე, 1990).

ლეზგი-ენტ'ი - მეტსახელი გვარი უბეში. „ლეზგი“ სატომო სახელი უდევს საფუძვლად „გვარს“.

ივ-ენტ'ი<**ივ[ი]-ენტ**'ისაგან - ქობის სახელი ივეთში. „ჩვენ მისირლი არ ვართ, ივ-ე[ნ]თნი ვართ“ (ინფორმატორის განმარტება - ავტ.).

იოღვი-ენტ'ი - „გვარი“ უბესა და სვირევანში.

თეთრი-ენტ'ი - სახლის სახელი ბაზგირეთში. **თეთრი**//**თეთრა** მეტსახელი უნდა იყოს კაცისა. ფუძე დაცულია გვარში **თეთრაძე**.

გათენ-ენტ'ი - შტო-გვარი უბესა და სვირევანში. შდრ. **გათენა**, მამაკაცის სახელი, დაცული გვარში **გათენა[ს]ძე**.

გოჩი-ენტ'ი - „გვარი“ წეთილეთში: „ჩემი გვარი დეკარქა, ამისი - **გოჩიენტია**“ (შავშათი). **გოჩი**, **გოჩა**, **გოჩიტა** მამაკაცის სახელი ჩანს.



ბისონი-ენთი - სახლის სახელი ბაზგირეთში. **ბისონ** სახელური ფუძე გამოიყოფა გვარში **ბისონიძე**.

აიში-ენთი - შტო-გვარი უბესა და სვირევანში. **აიშე** ქალის სახელია თურქულ კულტურაში (იქნებ სხვაგანაც). აღვნიშნავთ, რომ იშვიათად გვხვდება ქალის სახელი „გვარის“ ფუძეში, სხვაგვარად, იშვიათია ქალი ოჯახის უფროსი.

დავით-ენთი - „გვარი“ უბესა და სვირევანში.

დაჩი-ენთი - ქოხის სახელი უბეში. **დაჩი** მამაკაცის სახელი გამოიყოფა გვარში **დაჩიძე/და[რ]ჩიძე**.

პაპი-ენთი³¹ (//პაპიები) - სახლის სახელი ჩიქისხევსა და წეთილეთში. საყურადღებოა, რომ **-ენთ** მაწარმოებელს ასეთ სახელებში ხშირად ცვლის -ებ მრავლობითობის სუფიქსი. ჩანს, **-ენთ** სუფიქსს მრავლობითობის გაგებაც აქვს.

ხოჯი-ენთი - სახლის სახელი შოლტისხევში, უბესა და წეთილეთში. მოგვიანებით ყალიბდება „გვარი“ **ხოჯიოღლი**.

ჭივი-ენთი - „გვარი“ უბესა და სვირევანში. **ჭივიენთი<ჩივიენთი** საგან. **ჩივი/ჩივა** მეტსახელი ჩანს, დაცულია გვარში **ჩივაძე**.

მურემ-ენთი - „გვარი“ სვირევანში.

ხარზვი-ენთი<*ხარძვი-ენთი - „გვარი“ სვირევანში. შდრ. გვარი **ხარძიანი**.

ჰაჯი-ენთ-ებ - სახლის სახელი დაბაში.

კილდი-ენთ-ებ - ქოხის სახელი დაბაში. **კლდე/კილდე** მეტსახელია? იქნებ!

ხატიჯ-ენთ-ებ<ხატიჯე-ენთ-ებ - მეტსახელი გვარი დაბაში. **ხატიჯე** ქალის სახელია.

სურათი-ენთ-ებ - „გვარი“ დაბაში. **სურათი** ქოხის წინაპრის სახელი იყო?

³¹ უნდა ითქვას, რომ შავშეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი მოსულს უწოდებს თავისთავს. „ქართველები აქ არეულობის დროს მოკრებილან. არეულობა იყო მა, ქართველი მოჰაჯირათ წევდა... ერმენები იყვენ აქ, ართვენ ქალაქიდან... ვინცხა ქი იქა წევდა, ოსმანლიმ მიწა მიცა... აქ ძველი, ძერილი არავინ არიან“ (ვაღავა, 2013: 158). ანალოგიურ თხოვბებს სხვაგანაც ვხვდებით. ვიღაცამ დააჯერა ადგილობრივი მოსახლეობა, რომ თავდაპირველად აქ ერმენები ცხოვრობდნენ. რატომ? რატომ დასჭირდა თურქულ ისტორიოგრაფიას ანალოგიური „ფაქტების“ მოგონება?



მაზმან-თ-ებ’ი < ***მაზმანი-ენტ-ებ**’ი - სახლის სახელი დაბაში. მაზმანოღლებსაც უწოდებენ თავს. შდრ. გვარი მაზმიშვილი.

ცვარი-ენტ-ებ’ი - ქობის სახელი ბაზგირეთში. ცვარიძეობას ჩემულობენ მათი შთამომავლები.

ჯივანი-ენტ-ებ’ი - სახლის სახელი ბაზგირეთში. ჯივანიშვლობაზე დებენ თავს ამ ოჯახის შვილები. **ჯივანი**’ კლარჯული სოფელია. ჯივანელის შთამომავლები ბაზგირეთში ჯივანიენტებად „მონათლეს“.

მეკმედი-ენტ’ი - „გვარი“ ბაზგირეთში.

ზუბი-ენტ-ებ’ი - „გვარი“ ბაზგირეთში. ზუმბაძეობას ჩემულობენ მათი შთამომავლები.

თ. ფუტკარაძე ბაზგირეთში სხვა გვარებთან ერთად ჩაიწერს **ბეზგი-ენტ**’ს (შავშეთი, 2011: 102).

ბეზგი-ენტ’ი < ***ბაზგირ-ენტ**’ი < ***ბაძგირ-ენტ**’ი; ბაზგი[რ]ენტის //ბაძგირენტის სამოსახლოა ბაზგირეთი. მოყვანილ მაგალითში კარგად იკვეთება **-ენტ** და **-ენტ** სუფიქსთა ფუნქციები.

შ. ფუტკარაძე მანატბაში ადასტურებს „გვარებს“:

შავქეთლი-ენტ’ი (ფუტკარაძე, 1993:266).

შავქეთლი-ენტ’ი < ***შავქედლი-ენტ**’ისაგან.

შავქედლი - შავქედელი, ეს უკანასკნელი სოფელია შავშეთში.

წარმომავლობის სახელი (შავქეთლი>შავქედლი, შავქედელი) დადებას საფუძვლად სახლის სახელს.

მაჩხატეთში შ. ფუტკარაძე (იხ. ფუტკარაძე, 1993:257) ჩაიწერს:

მიღმი-ენტ’ი, **მიღმაზე**’საც (შდრ. მიღმაძე) უწოდებენ თავისთავს, შდრ. აჭარული - მიღმაძე. მიღმა - ადგილის ზმნიზედა უდევს „გვარს“ საფუძვლად. ყურადღებას იქცევს კიდევ ერთი ფაქტი: მექართულე შავშეთში ახალ დროში **-ენტ** სუფიქსიან ნებისმიერ სახლის სახელს დაურთავენ **ძე**’ს, იშვიათად **შვილს**’ და აწარმოებენ „გვარს“. ასე შეიქმნა **ზუბიენტისაგან** - **ზუმბაძე**, **მიღმიენტისაგან** - **მიღმაძე**, **თეთრიენტისაგან** - **თეთრაძე**...

ფოთუ-ენტ’ი - **ფოთუ**’//**ფოთე**’(?) სახელური ფუძე გამოიყოფა „გვარში“.

დარბაზი-ენტ’ი³² - დარბაზიშვილსაც უწოდებენ გვარს. ეს უკანასკნელი ახალი წარმონაქმნია.

³² „ასე იტყვიან: ზრუგი თუ გეფხანება, დარბაზიენტ კარს მიადექიო“ (ფუტკარაძე, 1993:25), მოჩხუბრები არიანო.



გოგი-ენტ’ი - გორგაზე(<*გორგაძე)საც უწოდებენ თავს, - ჩახმახჩი’საც (<*ჩახმახჯი), ვისაც ჩამახის დასახლება შეუძლია.

ჩახმახჯი „გვარის“ მეტსახელი ჩანს.

ბადიში-ენტ’ი - „გვარი“ აგარაში. **ბადიშიენთი** ბადიშის (შვილიშვილის) ჩამომავალია.

მოსი-ენტ’ი<***მოსი-ენტ’ი** - „გვარი“ აგარაში, მოსიმეს’ ამბობენ ახლა.

საფი-ენტ’ი - სახლის სახელი აგარაში. **საფი/საფა** მეტსახელი ჩანს.

მელმი-ენტ’ი<***მიღმიენთი**საგან, - მეტსახელი გვარი აგარაში.

მელმი-ენტ’ი<***მიღმიენთი** მიღმა მცხოვრების ჩამომავლები არიან, უმეტესად განაყრების შთამომავლობა.

ქეზი-ენტ’ი - ქოხის სახელი აგარაში. **ქეზი** იქნებ კაცის მეტსახელია.

ქომუ-ენტ’ი<***ქომო-ენტ’ი** - „გვარი“ აგარაში. **ქომო**<***ქვემო** - ქვემოთ მცხოვრების ნამრავლი.

ვარდი-ენტ’ი<***ვარდი-ენტ’ი**საგან, შდრ. გვარი ვარდიძე.

უფანი-ენტ’ი - „გვარი წეთილეთში. შდრ. მამაკაცის სახელი **უღფანი**.

თემური-ენტ’ი - ქოხის სახელი წეთილეთში.

ზანდრი-ენტ’ი - სახლის სახელი წეთილეთში.

ზანდრა>**ზანდრი** მამაკაცის სახელი/მეტსახელი ჩანს, შდრ. გვარი - **ზანდრაძე**.

დუდუ-ენტ’ი - მეტსახელი გვარი წეთილეთში. **დუდუ** მეტსახელი ჩანს კაცისა.

შ. ფუტკარაძეს (ფუტკარაძე, 1993:183) ივეთში ჩაუწერია:

დაბელი-ენტ’ი შდრ. დაბელი, წარმომავლობის სახელი.

ზობი-ენტ’ი<***ზუბი-ენტ’ი** (?) - **ზუბიენთი** ბაზგირეთშიც დავადასტურეთ.

ცხიკატი-ენტ’ი შდრ. მეტსახელი კაცისა **ცხიკატა**. **ცხი** კატის მოსაშორები შორისდებულია. ცალკე შესწავლის ობიექტი უნდა გახდეს მეტსახელის სახელდების პრინციპი. მნიშვნელოვანია, სახელმეტას//მეგლის //სიგელის შერქმევისას რა ნიშანს მიაქცევს სახელმდებელი ყურადღებას. რატომ „ცხიკატა?“

მეთაფლი-ენტ’ი შდრ. ხელობის სახელი **მეთაფლე**.

კუტუსი-ენტ’ი შდრ. კაცის მეტსახელი **კუტუსი**.

ყურადღება მივაქცევთ ზიოსურ „გვარებსაც“:

ბექი-ენტ’ი - ახლა **ბექაძეობას/ბექაზეობას** ჩემულობს.



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ბალი-ენტ’ი შდრ. ბალაძე/ბალაზე.

ხველი-ენტ’ი ახლა **ხველაძე/ხვერაძე**საც ამბობენ. „გვარის“ ფუძე უნდა იყოს **ხვეელი/ხვეელა**, წარმომავლობის სახელი, **ხვერა**’ მისი ფონეტიკური სახესხვაობაა.

შოლტისხევეური „გვარებია“:

ხვალი-ენტ’ი, - ხვალი/ხვალა მეტსახელი კაცისა? მედღე-მეხვალიე კაცს შესაძლოა შეარქვეს **ხვალი/ხვალა**, მის ჩამომავლევას კი - **ხვალიენთი** უწოდეს.

ბათი-ანთ’ი, - ბათა, ბათი კაცის მეტსახელია. შდრ. გვარი **ბათაძე**.

თათუ-ენტ’ი <***თანთუ-ენტ’ი**. შდრ. **თანთიძე/თანთუძე**.

დასარულ კვლავ ხაზგასმით აღვნიშნავ: მექართულე შავშეთში რამდენიმე „გვარის“ მაწარმოებლად ჩანს **-ეთ** სუფიქსი. **-ეთ<-ენტ’ისაგან** **ნ’ს** ჩავარდნით, ამიტომაც ასეთ პოზიციამში ყველგან უნდა აღდგეს **-ენტ**: უნდა გაიმიჯნოს სახლის სახელი (**-ენტ** სუფიქსით ნაწარმოები) და მისი საცხოვრისი (**-ეთ** სუფიქსით ნაწარმოები): სომეხეთი (ადგილი), სომეხ-ენტო - „გვარი“, მიქელეთი (ადგილი), მიქელენთი - „გვარი“...

მოვიყვანეთ **-ენტ** სუფიქსიანი მეტსახელი გვარების ჩვენს ხელთ არსებული ყველა მაგალითი. უპირველესად ყურადღებას იქცევს, რომ „გვარის“ ფუძედ უპირველესად აუღიათ სახლის უფროსის, უფრო მამაკაცის სახელი ან მეტსახელი, იშვიათად ქალისაც (ხატიჯიენთი, აიშიენთი...), ზოგჯერ წარმომავლობის, ხელობის სახელები. ოჯახის სახელდებისას სახლის სახელის ფუძედ გამოუყენებიათ ზმნიზედებიც, - ხვალიენთი, მილმიენთი, ქომიენთი... მნიშვნელოვანია, რომ **-ენტ** სუფიქსიანი ქოხის სახელები ძველი წარმოებისაა.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ სოფელში „გვარები“ ერთად ცხოვრობდნენ და ქმნიდნენ უბანს, რაც განსაზღვრავდა კიდევ სოფლის დასახლების სტრუქტურას. ანალოგიურ ვითარებაზე ვსაუბრობდით ტაოში (იხ. ფაღავა, 2018), დასახლების იმავე ტიპს ვხვდებით მაჭახელში (იხ. მსხალაძე, 1954), სხვაგანაც. ბარემ აღვნიშნავთ, რომ ქობულეთური სოფელი გორებად იყოფა, რომლებიც თავდაპირველად ერთი გვარის კუთვნილება იყო, ასეა ბათუმის სოფლებშიც... ამ თვალსაზრისით ჭოროხის ხეობის სოფლების შესწავლა, ვვიქრობთ, საინტერესოა როგორც ლინგვისტურად, ისე ეთნოლოგიურად.

დავუბრუნდეთ შავშეთს და შავშურ სოფელში გვართა განსახლებას:

უბე: გორგვიეთი (გორგვიენტების უბანი), იბიშიეთი (იბიშიენტების უბანი), მილმიეთი (მილმიენტების უბანი), კულულიეთი (კულულიენტების



უბანი), კორტიეთი (კორტიენტების უბანი), კოვიეთი (კოვიენტების უბანი) ჭივიეთი (ჭივიენტების უბანი).

ჩიხორი: ბერიეთი (ბერიენტების სამოსახლო), გიგიეთი (გიგიენტების სამოსახლო). სოფელში სხვა უბნებიც გამოიყოფა, მაგრამ ამჯერად ჩვენთვის არა საინტერესო.

ჯინალი: უზნარეთი, ბახჩიეთი, ზაქარეთი, მიქელეთი, ჭიაჭიმურეთი, ბარდულეთი.

ზოგჯერ სოფელში „გვარი“ არ ახსოვთ, მიწამ შეინახა მათი ხსოვნა: ჯინალში არ ჩავვიწერია „გვარი“ ჭიაჭიმურეთი, არც ბარდულენთი, არც ზაქარეთი, არც მიქელენთი, არც უზნარეთი, მაგრამ ადგილის სახელები უზნარეთი, ბახჩიეთი, ზაქარეთი, მიქელეთი, ჭიაჭიმურეთი, ბარდულეთი გვაგვარაუდებინებს დასახელებულ ქობის სახელებს ჯინალში. სხვაგვარად, მიწამ შეინახა გვარების ხსოვნა.

დიობანი: ოზნიეთი, წიქრიეთი, ყუმაშეთი, ციალეთი, ქოქლიეთი.

მანატბა: ჯიჯანიეთი, კოსოლიეთი, დარბაზიეთი, შავქეთლიეთი.

შენიშნავთ: მანატბაში შეგვხვდა გვარები ჯაჯანიძე და კოსოლიძე, არ ჩავვიწერია ჯაჯანიენთი და კოსოლიენთი. მიწამ შეინახა ხსენებული ოჯახების ძველი სახელები.

აღვნიშნავთ, რომ სოფელში, სადაც **-ეთ** სუფიქსიანი ადგილის სახელები დასტურდება, იგულისხმება იმავე ფუძისაგან ნაწარმოები **-ენტ** სუფიქსიანი გვარები.

ხოხლევი: მესხიეთი, გორგიეთი, ქომიენთი, ჯენიგლიეთი, ლომიეთი, ჯევრიენთი, პალჯიენთი (<*ბალჯიეთი). ახლა ხოხლეველებს ჯენიგლიენთი სახლის სახელი არ „ახსოვთ“, იციან ჯენიგელი, არც - ჯევრიენთი (იციან ჯევრაზე//ჯევრაძე), არც - ბალჯიენთი (იციან მეთაფლიენთი)... მიწამ შეინახა სოფლის ძველი „გვარები“.

აქ წინასწარ ერთი ვარაუდის გამოთქმაც შეიძლება: აწინდელი **ძე/ზე**ზე დასრულებული გვარები ძველი **-ენტ** სუფიქსიანი სახლის სახელებია. დასტურად შემდეგი ფაქტებიც გამოდგება: მესხაზე/სისხაზე გვარი, მესხიეთი - უბანი, ქომაზე - გვარი, ქომიეთი - უბანი... უფრო მეტიც, პალჯი გვარი, პალჯიენთი - უბანი...

დაბოლოს, შავშეთის გეოგრაფიულმა სახელებმა და „გვარებმა“ შეგვინახა შავშეთში ოსმალობამდე გავრცელებული სახელები, უმეტესად - მამაკაცის:

აბრამიენთი - აბრამი.
აბაშიენთი - აბაში.
ბერიეთი - ბერი, ბერა.
ლომიეთი - ლომი, ლომა.
გაბილეთი - გაბილა.
სოსანეთი - სოსანა.
ბასილეთი - ბასილა.
მიქელეთი - მიქელა.
გიგიეთი - გიგი.
ზაქარეთი - ზაქარა.
გორგიეთი - გორგი (<გიორგი).
აქვე დავასახელებთ:
ივანური - ივანე.
მარამული<*მარიამული - მარიამი.
წეწლაური - წეწლა...

ამ თვალსაზრისით შავშეთის ტოპონიმისა და გვარების შესწავლა, ვფიქრობთ, საინტერესოა.

§2. ძე/ზე შავშურ გვარებში

შავშეთში დასტურდება ძე/ზე დაბოლოებული გვარები, რომლებიც შედარებით ახალია. ბარემ ვიტყვით, რომ მექართულე შავშები უფრო გამოთქვამენ ზე'ს (ძ:ზ მონაცვლეობა სამხრულ მეტყველებაში ხშირია. იხ. ფადავა, 2003:178-181). ნიკო მარი წერს: „ადგილზე კვითხულობ ქართული გვარების შესახებ. ჩვეულებრივ ისინი ძე'ზეა. მაგრამ ქართულად არმოლაპარაკე მუსლიმანები (sic) წარმოთქვამენ როგორც ზე...“ (მარი, 2012:141) და ასახელებს ტბეთურ გვარებს: ციალიძე, ნიქებეძე (შდრ. ნიქაბაძე), კისერეძე, აგათიძე (<*ალათიძე), ზიადიძე, მასკულიძე. მნიშვნელოვანია, რომ გასული საუკუნის დამდეგს ნიკო მარს დახვდა ინფორმაცია ტბეთელთა ქართული გვარების შესახებ, ახლა ტბეთში ანალოგიური მასალის მოპოვება შეუძლებელია.

ნიკო მარმა ექსპედიციის დროს სხვა სოფლების გვარებიც ჩაიწერა:

ჭუარები: ფანჩიძე (შდრ. ფენჩიძე).

მერია: ფირპიძე, ირემიძე (შდრ. ირემაძე).

გარყელოფი: ქადაგიძე.

დაბაწვრილი: კობაძე, ხალაძე.

სულობანი (სხლობანი): ფუტკარიძე, ბერიძე, თულაძე, გათამიძე (სქ. ქათამიძე).

დაბაკეთილი: ლერძამიძე (შდრ. ლერწამიძე), მორთულაძე.

ციხისძირი: კორდისძე, ყარმუსძე, აბრამისძე (მარი, 2012:105).

იფხრეული: მოსიძე, საღრაძე, სუბუქიძე, შარაძე, ჯორჯაძე, ოსიძე (მარი, 2012:171-172). ოსიძეების ოჯახში გაათია ღამე მკვლევარმა.

დასამობი: აღანიძე, ჯარბიძე (ჭარბიძე)³³.

ყურადღებას მივაქცევ ციხისძირის გვარების არქაულ ფორმებს: **კორდისძე**, **ყარმუსძე**, **აბრამისძე** და იმასაც, რომ ახლა ეს სოფელი მეთურქულა და ქართული გვარები აღარავის ახსოვს. დაბოლოს, ციხისძირში ნ. მარი ადასტურებს გვარს **კორდისძე**. შავშეთში არის სოფელი კორიდეთი. იგულისხმება, რომ **კორიდეთი კორდიენტის** კუთვნილია, ამ უკანასკნელისაგან ახალ დროში უწარმოებიათ კორდისძე³⁴.

სხვა სოფლებში ჩვენმა ექსპედიციამ ჩაიწერა:

ხევრაძე - გვარი უკანეთის მაჰალესა და ხოხლევიში.

ცვარიძე - გვარი ბაზგირეთში.

ჩაქვიძე - გვარი ზაქიეთში.

ქომაძე, გორგაზე - გვარები ხოხლევიში.

ჩაქურიძე - გვარი ზაქიეთსა და დაბაწვრილში. ზაქიეთში **ჩაქვრიენტ**³⁵საც ამბობენ. **ჩაქვიძე** და **ჩაქურიძე** საერთო ფუძის გვარებია: **ჩაქვიძე** < ***ჩაქვრიძე** < ***ჩაქურიძე**. **ჩაქური** - საკუთარი სახელი ჩანს.

მიქაძე/მიქაზე - გვარი ზაქიეთში.

ქურდუკიძე - გვარი ხევწვრილსა და ბაზგირეთში.

მესხაძე - გვარი დაბაწვრილში. იმავე გვარს ვხედავთ ხოხლევისა და უკანეთის მაჰალეში.

მჭედლიძე - გვარი ბაზგირეთში.

³³ მამუდ ახმედ ოღლი ჯარბიძე ამტკიცებდა, რომ მისი პაპა მღვდელი იყო (მარი, 2012:156). საყურადღებო ინფორმაციაა: მეოცე საუკუნის დამდეგს ჯერაც არის ცნობა ქრისტიანობის შესახებ შავშეთში. იყო მღვდელი, ნიშნავს იყო მრევლიც, შესაბამისად, ივარაუდება შავშეთში მე-19 საუკუნის ბოლოს ქრისტიანული თემის არსებობაც.

³⁴ ნიკო მარი შენიშნავს: „ადგილობრივები თავისთავს ქართული გვარებით არ წარმოგიდგენენ. მხოლოდ როცა ჰკითხავთ, მაშინ გაცნობებენ ქართულ გვარებს“ (მარი, 2012:105). შავშელთა ასიმილაციის ტემპი ჩანს ამ მცირე ცნობაშიც.



კორტოხაძეები - გვარი უბეში. ინფორმატორმა ეს გვარი (სხვაც რამდენიმე) მრავლობითში წარმოთქვა, ჩვენც ასე ჩავიწერეთ და უცვლელად შეგვაქვს შრომაში.

კოვიძე - გვარი ხევწვრილში.

კიკნაძე - გვარი ხევწვრილსა და ბაზგირეთში.

გამეშიძე - გვარი გამეშეთში, ბაზგირეთის ზემო უბანში. ნუგზარ ცეცხლაძე და თამაზ ფუტკარაძე **გამეშიძესა** და **ქამაშიძეს** პარალელურ ფორმებად მიიჩნევენ (იხ. ცეცხლაძე, ფუტკარაძე, 2001:123). გარეგნული „მსგავსების“ მიუხედავად, **გამეშიძე** და **ქამაშიძე** სხვადასხვა გვარია. გამეშიძეები სახლობენ ბაზგირეთსა და იქედან მაჭახელშიც, ქამაშიძეები - ხულოში. შავშეთში ქამაშიძე არ დასტურდება.

გამრეკლიძე - გვარი ხევწვრილსა და ბაზგირეთში. გვარის ფუძე ხელობის სახელია, გამრეკელი.

დავლაძენი - გვარი უბეში. დავლაძეები ხევწვრილშიც არიან. შდრ. სოფელი **დავლათი**. ჩანს, დავლათი (<*დავლეთი) არის დავლაძეების სახლის პირველსაცხოვრისი.

კობიძე - გვარი დაბაწვრილში. გვარის ფუძედ ანთროპონიმი **კობა** აულიათ.

კოპაძე - გვარი გურნათელში. აღვნიშნავ, რომ გურნათელი მეთურქულე სოფელია, თუმცა გურნათლელებს ახსოვთ ზოგიერთი ქართული გვარი. ჩანს, არაა დიდი დრო გასული, რაც სოფელმა წინაპართა ენა დაივიწყა.

შულლაზე - გვარი ხობლევიში. მაჩატეთურ აგარაში შულლაძე აბაშიძეობას იჩემებს.

მოსიძე - გვარი აგარაში.

მარგაძე - გვარი აგარაში.

ვარდიძე - გვარი აგარაში.

ზუმბაძე - გვარი ბაზგირეთში³⁵.

³⁵ „თქვენი კოპრატივის თავმჯდომარე იყო მოსული (გულისხმობს კიტა შავიშვილს, საბჭოთა საქართველოს ცეკავშირის თავმჯდომარე 70-80-იან წლებში - ავტ.), იმან მითხრა:

რა სოფადი (გვარი - ავტ.) ხარო?

ზუმბოლლი-მეთქი!

არა, ზუმბაძე იქნებო!

კარგი-მეთქი! - ასე გავხდი ზუმბაძე“ (ფალავა, 2013:104). მოყვანილი ამონარიდი მიგვანიშნებს ზოგიერთი ძე'დაბოლოებიანი გვარის „გენეზისზე“.



ჰაჯალიძე/ხაჯალიძე - გვარი უბეში. შდრ. მამაკაცის სახელი ხაჯიალი//ჰაჯიალი.

ქებაძე - გვარი უბეში.

ტივიძე - გვარი უბეში.

ბექაძე - გვარი ზიოსში. მოლოდინისა და უწოდებენ ბექაძეებს.

კეფოძე - გვარი ბაზირეთში. „კეფოძე კაფვის ასოციაციით წარმოქმნილი გვარ-სახელი“ - წერს ი. სიხარულიძე (სიხარულიძე, 1988:57). ვითომ ასეა? „კაფვის ასოციაციით შექმნილი გვარ-სახელი“(!), საინტერესო „მიგნება“.

ბისონიძე - გვარი გამეშეთში. იური სიხარულიძე ასახელებს **ბასონიძეს** (სიხარულიძე, 1988:57). ვფიქრობთ, ამოსავალი ფორმაა **ბისონიძე**.

დარგიძე - გვარი იმერხევში. **დარგი** მამაკაცის სახელი ჩანს. შდრ. **დარგვეთი**.

ზურაბიძე - გვარი ივეთში.

შ. ფუტკარაძეს დასამოხში ჩაუწერია გვარი **ყურბენაძე** (ფუტკარაძე, 1993:226). **ყურბენა**, ჩანს, კაცის მეტსახელია, ძნელი გასარკვევია რა ნიშნით შერქმეული.

ჩიხორში დადასტურდა **წითელაზე**.

აღვნიშნავთ, რომ ზოგიერთი გვარი შ. ფუტკარაძემ რომ ჩაიწერა, რამდენიმე წლის შემდეგ ჩვენმა ექსპედიციამ ვეღარ დაადასტურა, ასეთია:

მიქელყმაძე - გვარი ხევწრულში (ფუტკარაძე, 1993:229).

სხვა ხევწრულური გვარებია: **ფანჩიძე** (დასტურდება - ფენჩიძეც), **დონაზე**, **მიქელაზე**, **დავლაზე**, **ფუტკარიზე**, **მოსიზე** (ფუტკარაძე, 1993:229). ჩვენთვის მოულოდნელი იყო იმერხევში მიქელაძისა და დონაძის პოვნირება.

წყალსიმერის გვარებია:

ღაღანიძე, **სუბუქიზე**, **შარაზე**, **საღრიზე** (შდრ. საღარიზე/საღარაძე), **ბუტიზე** (შდრ. ბუთიძე), **ჯაფარიზე**, **ჭურკვესიზე** (შდრ. ჭურკვეიძე).

წეთილეთში ცხოვრობს:

ჯაფარიზე, **ქურდიკიზე**, **შუბლაზე**, **მესხაზე**.

იფხრულში - **საღრიზე** და **ზურაბიზე**.

ნუგზარ ცეცხლაძე და თამაზ ფუტკარაძე იმერხევში ასახელებენ **კახაბიძესა** და **ხერხაძეს** (ცეცხლაძე, ფუტკარაძე, 2001:123).



სულ ესაა ჩვენს ხელთ არსებული შავშური გვარები. იქნებ სხვა გვარებიც არის ძეზე დასრულებული მექართულე თუ მეთურქულე შავშეთში ჩვენი ყურადღების მიღმა რომ დარჩა. ბუნებრივია ყველაფრის აღნუსხვა ვერ ხერხდება. აღვნიშნავთ:

- ძეტი ნაწარმოებ გვართა უმრავლესობას ფუძედ სახლის უფროსის სახელი აქვს აღებული, ზოგჯერ მეტსახელიც.

- მნიშვნელოვანია, რომ ძეზე დაბოლოებული გვარის კუთვნილება სოფელში ან იმავე სახელითაა (გვართ - ავტ.) სახელდებული, ან -ეთ სუფიქსიანი გეოგრაფიული სახელით.³⁶

მოვიყვანთ მაგალითებს:

გვარი	უბანი, მიწა
ხოხლევი: მესხაზე//მესხაძე	მესხეთი
გორგაზე//გორგაძე	გორგიეთი
ქომაზე//ქომაძე	ქომიეთი
ლომაზე	ლომიეთი
მანატბა: ჯიჯანიძე//ჯიჯანიზე	ჯიჯანიენთი
კოსოლიძე//კოსოლიზე	კოსოლიენთი
დარბაზიძე	დარბაზიენთი
ცეცხლაძე//ცეცხლაზე	ცეცხლიეთი
სურევანი: კოტალაძე	კოტალეთი
დიობანი: ვასაძე//ვასაზე	ვასათი<*ვასეთი
აგარა: აბაშიძე	აბაშიეთი

მაგალითების დაძებმა კიდევ შეიძლება, მაგრამ აღარ გავაგრძელებთ, რამდენადაც ზემოთ მრავალი ანალოგიური მაგალითია მოყვანილი.

³⁶ ყურადღებას იქცევს ასეთი ფაქტიც: სოფელში მიწის, ყანის, ჭალის თუ წყაროს მეპატრონედ ჩანს არა მარტო გვარი თუ სახლი, არამედ პიროვნებაც: არჩილ წყარო (<*არჩილას წყარო), გორგი ვაკე (<*გიორგის ვაკე), დოდო ყანა (<*დოდოს ყანა), მაჩო ყანა (<*მაჩოს ყანა) (მაჩო<მაჩვი - კაცის მეტსახელია), პაპუნა ჭალა (<*პაპუნას ჭალა), პეტრო ყანა (<პეტროს ყანა) (მასალები ავიღეთ: ცეცხლაძე, ფუტკარაძე, 2001:123, კომენტარები ჩვენია).

მკითხველის ყურადღებას მივაქცევთ სინტაგმა ტოპონიმში შემავალ ანთროპონიმებს: არჩილი, გორგი<გიორგი, დავითი, დოდო, პაპუნა, პეტრო <პეტრე... ყველა ოსმალობამდელი სახელებია შავშეთში, ჩანს, ქრისტიანული. დასახელებული და მსგავსი ანთროპონიმები დღეს აღარ გვხვდება, ტოპონიმმა შეინახა მხოლოდ.



მოვიყვანთ მაგალითებს, სადაც **ძე**ზე სრულდება გვარები, ამავე სახელებით აღინიშნება მისი კუთვნილი მამულიც სოფელში:

გვარი	უბანი//მაჰალა,
მიწა	
სინკოთი: გოგნიძე (<*გაგნიძე)	გოგნიძე
დაბა: დებაძე	დებაძე
ზენაგარა: შულლაძე	შულლაძე
მარგაძე	მარგაძე
მოსიძე	მოსიძე
ვარდიძე	ვარდიძე
ზაქიეთი: მიქაძე	მიქაძე
უბე: კორტოხაძე	კორტოხაძენი
კოვიძე	კოვიძეები
გორგვაძე	გორგვაძე
თეთროზე//თეთროძე	თათროძე
ზაქიეთი: მიქაზე//მიქაძე	მიქაძე
იფხრეული: იმნაძე	იმნაზე
მერე: კომბაზე//კომბაძე	კომბაზე

ზოგიერთი გვარის არსებობა სულაც მიწამ „შეინახა“, ასეთია წყალსიმერში **ბასილიზე, ბაბელიზე, ზაქარიზე...**

- **ძე**თი გვარები ახალ დროში უწარმოებიან, ადრე **-ენთ** სუფიქსით იწარმოებოდა სახლის სახელები, რაზეც უკვე გვქონდა საუბარი. დასტურად საკმარისია ის ფაქტი, რომ **ძე**თი ნაწარმოებ გვართა უმეტესობა **-ენთ** სუფიქსით გაფორმებულიც გვხვდება.

ძეზე დასრულებული ბევრი შავშური გვარი დღეს დასტურდება მაჭახელშიც. ვფიქრობთ, ესეც ერთი დასტურია იმისა, რომ ისტორიულად მაჭახელი შავშეთის ნაწილი იყო.

§3. „შვილი“ შავშურ გვარებში

„შვილზე“ დაბოლოებული გვარები მცირეა შავშეთში. ჩანს, ან ნამალადევია ასეთი გვარები, ანდაც - გვიან გაჩენილი:

ბაზგირეთში ჩავიწერეთ **პალიშაშვილი**, თან გაგვიმარტეს - **ბეზირგანოღლი** ვართო.



ჩივისხევეში **მამალიშვილები** სახლობენ, მაჭახლიდან მოსულანო. მაჭახელში ანალოგიური გვარი არ დასტურდება, არც „ტბეთის სულთა მატთანში“ ჩანს (იხ. მატანე, 1977:106).

ჩივისხევეში ჩაგვანერინეს **ბერიშვილი**, - იხტიაროღლისაც ეტყვიანო. **ბერი//ბერა** სახელური ფუძე უდევს საფუძვლად გვარს.

ხევწვრილში დადასტურდა **მელიქოლიშვილი** - ორმაგსუფიქსიანი (ოღლი, შვილი) გვარი, უბეში ცხოვრობენ **მელიქიენტები**. მელიქოლიშვილი და მელიქიენტი ერთი გვარის ორი სახესხვაობაა, მეორე ძველია, პირველი - ახალი, იქნებ სახელდახელოდ შექმნილი...

უსტამიში **დათუნაშვილები** ვნახეთ, ახლა **ბულდუზებს** იწერებიან. მეგზურობაც გაგვიწია ერთმა დათუნაშვილმა-ბულდუზმა უსტამისურ დაილებზე.

ბაზგირეთში **თანთოშვილებს** შევხვდით, **თანთოღლისაც** გვეტყვიანო.

შ. ფუტკარაძემ ჩიხორში ჩაიწერა: **ჩოლოყაშვილი**, **ველიაშვილი** და **კვიტაშვილი**.

სულ ესაა „შვილზე“ დაბოლოებული გვარები შავშეთიდან, მომავალმა ძიებამ იქნებ ახალი მასალები გამოავლინოს, რომელიც შეავსებს ჩვენს ცოდნას შავშური გვარების შესახებ. მასალები დაემატება, მაგრამ, ვფიქრობთ, დასკვნა არ შეიცვლება, რომ **ძე**სა და **შვილ**ზე დაბოლოებული გვარები შავშეთში ახალია, მეორეული წარმოშობისაა.

§4. „უცნაური“ გვარები შავშეთიდან

„უცნაური“ ვუწოდეთ შავშეთში სხვადასხვა დროს ჩაწერილ გვარებს, რომელნის საერთო კანონზომიერების გარეთ არიან. ამ ჯგუფში გავაერთიანეთ გვარები, რომლებიც არც **-ენტ**ზე მთავრდებიან (სახლის სახელები), არც **ძე**ზე და არცა **შვილ**ზე, არც მის თუქულ ეკვივალენტ - **ოღლი**ზე.

უბეში ჩავიწერეთ: **ჩაფრასტები** - სახლის სახელია. ფუძედ **ჩაფრასტი** აულიათ.

ჩაფრასტი სპარსულია, ქართულად არასწორს, მრუდეს ნიშნავს, გადატანით - მატყუარას, უკუღმართს (ნიჟარაძე, 1971). ჩანს, ამ თვისებათა გამო შეარქვეს უბელებმა „ჩაფრასტები“ მეზობელ ოჯახს.

ფალაზები - „გვარი“ ზიოსში.

ფალაზი - ძველი ტანსაცმლის ნაფლეთი, ნაგლეჯია, ძონძი (ფუტკარაძე, 1973). ძონძებით რომ დადიან, ისინი არიან ფალაზები. ყურადღებას მივაქცევ



ერთ ფაქტსაც: აჭარულში გვხვდება ზმნა ეფალაზება, იტყვიან ადამიანზე, რომელიც საჭიროზე დიდი ზომის ტანსაცმელს იცვამს და სასაცილოდ დადის: „შეხედე ერთი, რაფერ ეფალაზება უსუფაის გოგო, რაფერი ურუბა ჩუუცვამს...“

სარაჯი - „გვარი“ უბეში. შდრ. **სარაჩი**. თურქულია, ქართულად მეუნაგირეს ნიშნავს (იხ. ლექსიკონი, 2001).

მურემენი - „გვარი“ უბეში.

მურემას აჭარაში შავგრემან კაცზე იტყვიან (ნიჟარაძე, 1971). **მურემენი//მურემები** ამ ნიშნით შერქმეული მეტსახელია, შემდეგ გვარად ქცეული.

მურევი (**//მურები**) - „გვარი“ უბეში. სახელის ფუძეა **მური**, „სომხურია, კუამლისგან გაშავებულს ჰქვია; ქართულად **ფარილს** უწოდენ“ (საბა, 1949). **მურევი//მურები** იგივე შავებია.

კიკვიები - „გვარი“ ჩიჩისხევეში. „ლაღაბია, დაბალი კაცები არიან და ისე ეტყვიან“ - განმარტა ინფორმატორმა.

ჭიკვიები - „გვარი“ ჩიჩისხევეში. ჭიკვა წვრილს, პატარას უნდა ნიშნავდეს.

ზორბები - „გვარი“ უბეში. **ზორბა** „წარმოსადეგი, დიდი, მოსული“ (ქეგლ). დიდები ყოფილან და ამიტომაც შეურქმევიათ ეს სახელი უბელებს მეზობელი სახლისათვის.

თუმები(**>თუქმები**) - „გვარი“ უკანეთის მაჰალეში. გამოიყოფა **თუმ**>**თუქმ** ფუძე. შ. ნიჟარაძე აჭარულში ადასტურებს **თუმს** და განმარტავს: „ნამძის ან სოჭის ხშირი და სიბრტყივ გართხმული ტოტები, რაზედაც ჯარჯებად დააწყობენ მოჭრილ ხეებს... და თავქვე დააცურებენ ხოლმე მოყინულ თოვლზე, ან ტყიანი მთის თხრილზე“ (ნიჟარაძე, 1971). იქნებ, თუმის საქმით იყო ცნობილი ეს ოჯახი და სახელიც აქედან მიიღო?

ბოკვერი - „გვარი“ სვირევანში. ბოკვერი დათვის ნაშიერია, აჭარაში მსუქან ბავშვზეც იტყვიან, ბოკვერივითააო. აღვნიშნავ, რომ ბათუმში, ორთაბათუმის თემში სახლობს „გვარი“ ბოკვეროდლი (შდრ. ბოკვერიშვილი). **ბოკვერი** კაცის მეტსახელი ჩანს.

ბედინები - „გვარი“ სვირევანში. არაბულია **ბედენი** (Beden), ნიშნავს სხეული, ტანი, ადგილი. იქნებ **ბედინი**<**ბედენი**>საგან და ნიშნავს ადგილობრივს.

თ. ფუტყარაძეს (შავშეთი, 2011: 95) სვირევანში ჩაუწერია:

კუკუები - კუკუ' მეტსახელი კაცისა.

ფუცხები - ფუცხი' მეტსახელი კაცისა.

მურუკები - მურუკი კაცის მეტსახელი.

ფუტები - ფუტი' ოჯახის მეტსახელი. გვხვდება ფუტიენთიც.

უხვანჯური - უქონლობის სახელია, წარმოქმნილი ხვანჯ' ფუმიდან. „ხვანჯი - ხრიკი და ხლათი“ (საბა, 1949). უხვანჯური - ვინაც ხრიკი არ იცის, გულწრფელია.

იმერხევში სხვადასხვა დროს ჩავიწერეთ:

ჩაფხუნები//ჩაფხუნოღლები - ჩაფხუნი სახლის მეტსახელი ჩანს. საბა „სიტყვის კონაში“ შეიტანს **ჩაფხუტს**, **ზუჩთან** გვაგზავნის. **ზუჩი** - ჩაბალახთან ნახეო. ეს უკანასკნელი ასეა განმარტებული: „ესე არს თავსახურავი საომარი, გინა წვმაში თავს ჩამოსაცმელი რამე“ (საბა, 1949). **ჩაფხუნები** - ჩაფხუტით//ჩაბალახით რომ დადიან, ის სახლია.

კოჩნები***კოჩანები**, გამოიყოფა ფუძე **კოჩან**'ი, შეიძლება **კუტს**, დაკუტებულს ნიშნავდეს.

დელიჯა - „გვარი“ იმერხევში(?).

ბაირახტარი - „გვარი“ ჩაქველთაში. შდრ. მედროშე, მეწინავე. მედროშის ოჯახს **ბაირახტარი** უწოდეს.

ზაზალევი (/ზაზალევი) „გვარი“ უბეში.

მურუკი - „გვარი“ უსტამისში. **მურუკი** - კაცის მეტსახელი უნდა იყოს.

სათიჯები - „გვარი“ აგარაში (ფუტკარაძე, 1993:285).

უჩიტლები - „გვარი“ წეთილეთში. Учитель - მასწავლებელი. მოულოდნელია წეთილეთში რუსიზმი, თუმცა ფაქტია.

ნიკო მარი კუტალეთში ჩაიწერს „საგვარეულო სახელებს“: **ელიზაძე**, **ლაზარაძე**, **ოსეფაძე** (მარი, 1911:32).

მეტსახელი გვარები სხვაც შეიძლება იყოს შავშეთში. ჩვენი მასალა ამით ამოიწურა. განსაკუთრებით ინტერესს იწვევს სახელდებისას შერჩეული ნიშანი, ზუსტი მახასიათებელი კონკრეტული პიროვნებისა თუ ოჯახისა.

§ 5. „ოღლი“ შავშურ გვარებში

ოსმალობის დროიდან შავშეთში (არა მარტო) წარმოიქმნა - **ოღლი**//**ოღულ** (შდრ. ქართული **შვილი**) დაბოლოებიანი გვარები, ე.წ. ოსმალური გვარები. ისინი ახლა გამოცვლილია, მაგრამ შავშებს დღესაც



ახსოვთ ძველი **ლაღაბები//ლაღბები** (მეტსახელები) და ბევრმა საკუთარ „გვარად“ სწორედ ის დაგვისახელა.

ბაზგირეთში ჩავიწერეთ **ბეზირგანოლი** (შავშეთი, 2011:376), პალიშაშვილიაო ჩვენი ძველი გვარი. **ბეზირგანი** სპარსულია, ვაჭარს, სოვდაგარს ნიშნავს.

ბეზირგანოლი - ვაჭრის შვილი. ძველი პალიშაშვილი ოსმალობის დროში ბეზირგანოლად იქცა, სრულიად ახალი ნიშანი დაედო გვარს საფუძვლად.

ყავეჯოლი - „გვარი“ ჩიჩისხევში. **ყაჰვე** არაბულია, იგივეა, რაც ქართული ყავა. **ყა[ჰ]ვეჯი** - ვინ ყავას ამზადებს. ხელობის სახელი დაედო „გვარს“ საფუძვლად. **ყავეჯოლი** რიზედან მოსული ლაზიაო, ინფორმატორმა.

ჯივანოლი - „გვარი“ ბაზგირეთში. ჯივანიდან (სოფელია ისტორიულ კლარჯეთში) მოსულის შთამომავალია **ჯივანოლი**.

ხოჯიოლი - „გვარი“ ჩიჩისხევში. „ადანადან მოსულა“ **ხოჯიოლი** (ინფორმატორის განმარტება - ავტ.).

ხოჯა სპარსულია, ქართულად ნიშნავს: 1. მასწავლებელი; 2. მუსლიმანური სასულიერო პირი. **ხოჯიოლი** - ხოჯის ჩამომავალია.

ყარსელოლი - „გვარი“ ჩიჩისხევში. ყარსიდან მოსულის ჩამომავლობაა **ყარსელოლი**. მნიშვნელოვანია, რომ ქართულ წარმომავლობის სახელს დაერთო „ოლი“ მაწარმოებელი.

ფათოლები - „გვარი“ ჩიჩისხევში. **ფათა** (თ. Pata) ყაიმს ნიშნავს. ფათა' მეტსახელი ჩანს.

უსუფოლი - „გვარი“ უბეში. შდრ. **უსუფაშვილი**.

სუსანოლი - „გვარი“ უბეში. **სუსანა** ანთროპონიმია.

პაპოლი - „გვარი“ ჩიხვთაში. შდრ. პაპიენთი, პაპიები

პეტროლი - „გვარი“ უბესა და უსტამისში. შდრ. პეტრიენთი//პეტრენთი.

ლაზოლი - „გვარი“ უბეში. **იქიენთი** - ასეც მოიხსენებენ ლაზოლებს. ფუძედ ეთნონიმი **ლაზი** აულიათ. შდრ. ლაზიშვილი.

მოლოლი - „გვარი“ უბესა და ზიოსში. მოლა არაბულია (Molla) „მთავარი მოსამართლე, მედრესეს მოსწავლე, განათლებული პიროვნება“ (ფუტკარაძე, 1993). ისლამის მსახური, მასწავლებელი. შდრ. გვარი მოლაშვილი, მოლიშვილი.



ისმეთოლი - „გვარი“ უბესა და სვირევანში. **ისმეთი** მამაკაცის სახელია.

იზეთოლი - „გვარი“ უბესა და სვირევანში. **იზეთი** მამაკაცის სახელია.

თანოლი - „გვარი“ უბეში. **თანო** მამაკაცის სახელი ან მეტსახელია. თანოლოებს კოლოტენტებსაც უწოდებენ. ბაზგირეთში ჩავიწერეთ გვარი თანოშვილი.

თანოლი ახალია, მასზე ახალია - **თანოშვილი**.

ზუბოლი - „გვარი“ ჩივისხევში.

გენჯოლი - „გვარი“ ჩივისხევში. **გენჯი** მამაკაცის სახელია. **გენჯი** (თ. Genç) ახალგაზრდას ნიშნავს თურქულად.

ბაირახტაროლი - „გვარი“ უბესა და სვირევანში. შდრ. **ბაირახტარი** - გვარი ჩაქველთაში.

ასტანოლი - „გვარი“ უბეში.

დელიოლი - „გვარი“ ჩივისხევში, **ლეჩიშვილებსაც** ეძახიან. თ. Deli [დელი] სულელი, არანორმალური (ლექსიკონი, 2001).

დევრიშოლი - „გვარი“ უბეში³⁷. დევრიში (სპ. dervis) მუსულმანური სასულიერო პირი (ფუტკარაძე, 1993).

იხტიაროლები - „გვარი“ ჩივისხევში. **იხტიარი** (არ. ixtiar) მოხუცი, ასაკოვანი.

ხოროზოლები - „გვარი“ ჩივისხევში. **ხოროზი** (სპ. horoz) მამალი. **მამალაშვილებსაც** ეძახიან **ხოროზოლებს**.

ფანთოლი - „გვარი“ უსტამისში.

ყარალოლი - „გვარი“ უსტამისში. შდრ. **ყარალი** (თ. Karali) განსაზღვრული, თანაბარი, ზომიერი, დადგენილი (ფუტკარაძე, 1993).

გურჯიოლი - „გვარი“ ზიოსში. შდრ. **გურჯი** (gürgü) ქართველი. ქართველიშვილი. აღვნიშნავთ, რომ გამუსლიმანებულ შავშეთში **ქართველი, ქართველიშვილი** უარყოფითი შინაარსი მატარებელი სიტყვებია, ურჯულოს ნიშნავს.

კედელოლი - „გვარი“ შავშეთში. კედელა მეტსახელი ჩანს.

ნ. მარს ჩაუწერია „გვარები“: **ირილ-ოლი, წმახოლი, ჯიროლი, მემედ ხასან-ეფენდი ოლი, ყარა ახმედ ოლი, ისა ბეგ ათაბეგ-ოლი** -

³⁷ „დევრიშოლებს გვეტყვიან. გურჯი სოფადი დევრიშიშვილი(?) იშტე...“ (ფალავა, 2013:48). ექსპედიციის თვალწინ **დევრიშოლი დევრიშიშვილად** იქცა...



ოქრობაგეთში (მარი, 2012:157;145; 104;112). უცნაურია, რომ ძველი ათაბაგების შთამომავლები ათაბეგობას ჩემულობენ და ყივჩაღები ვართო, ამტკიცებენ.

სამწყალში უბანია **კარიბოღლი** - კარიბოღლის სახლის სამოსახლო.

კუნჭულოღლი - „გვარი“ წეთილეთში, **კუნჭულებსაც** უწოდებენ თავს. **კუნჭული** მეტსახელი ჩანს.

ინჯილოღლი - „გვარი“ აგარაში. ინჯილ (არ. incil) ახალი აღქმა, სახარება. საყურადღებო ისტორიაა შეფარული ამ „გვარში“.

დემირჯოღლი - „გვარი“ მაჩხატეთში. **დემირჯი** (თ. demirci) მჭედელი. შდრ. მჭედლიძე, მჭედლიშვილი.

დაბოლოს, აღვნიშნავთ, რომ ერთი და იგივე „გვარი“ შეიძლება რამდენიმე სოფელში შეგვხვდეს, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ საქმე ერთ ოჯახთან, სისხლით ნათესავებთან გვაქვს. რომელიმე **მოლოღლი** გვხვდება უბესა და სვირევანში, ისინი სხვადასხვა ოჯახის ჩამომავლები არიან, ერთი უბელი მოლის, მეორე - სვირევნელი. ასევე **დემირჯოღლი** ჭოროხის ყველა ქვეყანაში დასტურდება, მჭედლის ჩამომავლებს **დემურჯოღლი** (მჭედლი-ენთი, მჭედლიძე, მჭედლიშვილი) უწოდეს. ამდენად, დემირჯ-ოღლები სხვადასხვა სოფელში სხვადასხვა დემირჯის ჩამომავლები არიან...

სოფლებში უბნებს ან ოჯახის კუთვნილ მიწებს „გვართ“ იხსენებენ, რაზეც ზემოთაც ვსაუბრობდით. მაგალითად:

წყალსიმერში დასტურდება ადგილის სახელები: **ყავრანოღლები** („გვარი“ ყავრანოღლი არ შეგვხვედრია - ავტ.), **ჩახმახოღლები**, **ყოჩალოღლი** (<*ყოჩალოღლი, - „გვარი“ არ დაგვიდასტურებია), **თითიოღლები** („გვარი“ არ შეგვხვედრია), **მურადოღლები**, **ყარსიოღლები**, **დაიროღლები** (შდრ. დაირი - მამაკაცის სახელი. ბათუმში, ორთაბათუმის თემში დასტურდება შტო-გვარი დაირადისშვილები), **ეზიზოღლები**.

აგარაში ადგილის სახელია **ბადიშოღლები**.

იფხრეული: **მისიროღლები**, **ქოფითუროღლები**, **იფშიროღლები**, **აღჯიოღლები**. აღვნიშნავთ, რომ **ქოფითუროღლი**, **იფშიროღლი**, **აღჯიოღლი** „გვარი“ არ შეგვხვედრია.

წეთილეთი: **თემუროღლი**.

გვარის წარმოების პრინციპი ოსმალობის პერიოდში შეიცვალა (მე, შვილი თურქულმა ოღლიმ ჩაანაცვლა), თუმცა სოფელში „გვარის“ კუთვნილების აღნიშვნა იგივე დარჩა.

თავი 3. შავშეთის ჰიდრონიმია, - მდინარეები, წყაროები, ხევები შავშეთში

შავშეთი შავშეთისწყლისა და მისი შენაკადების ხეობებშია გაშენებული. შავშეთისწყალი კიდევ ჭოროხს ერთვის. მნიშვნელოვნად გვესახება შავშეთის ჰიდრონიმიის შესწავლა, განსაკუთრებით, სახელდების პრინციპის გათვალისწინებით. უპირველესად აღვნიშნავთ, რომ შავშეთში, ისევე როგორც ჭოროხის სხვა ქვეყნებში, მდინარეებს, წყაროებს, ხევებს, ტბებს უმეტესად სახელი არ აქვთ. ხშირად ისინი ატარებენ:

ა. იმ სოფლების სახელებს, რომელთაც ჩამოუდიან.

ბ. იმ მთის თუ გეოგრაფიული პუნქტის სახელებს, საიდანაც სათავეს იღებენ.

გ. იშვიათად სახელდებისას სხვა ნიშანიც გამოუყენებიათ.

დაბოლოს, ა და ბ წესებიდან გამომდინარე, ხშირად ერთ მდინარეს თუ ხევს რამდენიმე სახელი აქვს: იმერხევის წყალი და ფაფართის წყალი (მდინარე ფაფართის მთებში იღებს სათავეს). ბარემ აღვნიშნავ, იმერხევი თავდაპირველად ხეობის სახელი იყო, შემდეგ აღნიშნა შავშეთის ნაწილი იქ გაშენებული სოფლებით, ამიტომაც მდინარის აღსანიშნავად საჭირო გახდა იმერხევს დამატებოდა სხვა აღმნიშვნელიც - წყალი და ასე მივიღეთ სინტაგმა ჰიდრონიმი იმერხევის წყალი (შდრ. აჭარა თავდაპირველად ხეობის სახელი ჩანს, შემდეგ ეწოდა ქვეყანას, ამიტომაც მდინარეს უცვალეს სახელი, აჭარისწყალი უწოდეს. ასევეა - მაჭახელი თავდაპირველად ხეობას აღნიშნავდა, შემდეგ - აღნიშნა ქვეყანა, შესაბამისად, ჩამოყალიბდა: მაჭახელი - კუთხის და მაჭახელა - მდინარის აღსანიშნავად, მოგვიანებით ჩნდება სინტაგმა ჰიდრონიმი მაჭახლის წყალი. ანალოგიური მაგალითების დაძებნა კიდევ შეიძლება ჭოროხის ქვეყნებში.

ჰიდრონიმი უმეტესად სინტაგმაა: ადგილის სახელი+წყალი, ხევი, ღელე...

§1. ჰიდრონიმის მეორე ნაწილია „წყალი“

შავშეთის წყალი, - შავშეთის დედა მდინარე, ჭოროხის მარჯვენა შენაკადი. მდინარე ნახსენებია „ასწლოვან მატთანეში:“ „... აწცა იხილვების დიდი იგი ნაღუარევი, რომელი შთავალს მართლ ზედა წყალსა შავშურსა...“ (ქამთააღმწერელი, 1987:147). ისტორიული წყარო ახსენებს შავშური წყალი და



არა - შავშეთის წყალი. ეს უკანასკნელი გვიან ჩამოყალიბებული სინტაგმა ჩანს.

ჯამიკარი[ს] წყალი - წყარო ივეთში.

ჩაქველთას წყალი, - ჩაქველთურ წყალსაც ეძახიან.

შოთა მამულაძემ (იხ. შავშეთი, 2011:69) ჩაიწერა:

ჩიხორის წყალი//ზასილათ წყალი - მდინარე იმერხევში. ორი სახელი აქვს ერთ მდინარეს.

შ. ფუტყარაძე ივეთში ასახელებს: **შავწყალი**;

ჯინალში - **ველათის წყალი**;

აგარაში - **კლდეშუათის წყალი** (ფუტყარაძე, 1993:288;223;284).

დევაძეების წყალი - ნაკადული უბეში.

სუმრიწვერის წყალი (სიხარულიძე, 1988:54). სუმრიწვერი მთაა შავშეთში.

თეთრი ქვის წყალი (სიხარულიძე, 1988:53), - მოედინება თეთრი ქვის მთიდან.

„ხუთვერსიან რუკაზე დატანილია **Тетри-ква** г. [თეთრი ქვა, მთა] და **Тетрис цкали** [თეთრის წყალი] (Пагирев, 1913). **თეთრი ქვის წყალი** იგივე ქოთეთრისი უნდა იყოს.

შამბალეთის წყალი (სიხარულიძე, 1988:51) იმერხევის მარცხენა შენაკადი.

იმერხევის წყალი - მდინარე. ი. სიხარულიძეს თუ დავუჯერებთ: „ზემო წელზე მდინარე (იმერხევი) **დევთუბნის წყლად** იწოდებოდა (დევთუბნის მთიდან მომდინარეობის გამო), ხოლო სოფელ **ფხიკიურს ქვემოთ** - ამავე სოფლის სახელით“ (სიხარულიძე, 1988:42).

მაშასადამე, **იმერხევის წყალი, დევთუბნის წყალი, ფხიკიურის წყალი** - ერთი მდინარის სამი სახელწოდება.

ატიანის წყალი - შავშეთისწყლის მარჯვენა შენაკადი.

გოგინაურის წყალი - მოედინება გოგინაურის მთიდან.

ქვაბიკარის წყალი - მოედინება ქვაბიკარის მთიდან. **ქვაბიკარის დელესაც** ამბობენ.

შაულის წყალი - მდინარე შავშეთში.

აბუქედის წყალი - ციხიის ხევის მარცხენა შენაკადი.



„ხუთვერსიან რუკაზე“ დატანილია **Абокеть г.** [აბოქეტი, მთა], აჭარაში დასტურდება აბუქეთი (Пагирев, 1913). ამოსავალი ფორმაა აბუქედი (>*აბუქეთი//აბუქეთა).

აგარის წყალი - მანსურათის წყლის მარჯვენა შენაკადი.

სხლობნის წყალი (სიხარულიძე, 1988:34) - **შავშეთის წყლის** მარჯვენა შენაკადი.

კუჭენის წყალი - გვალას ხევში მომდინარე წყალი, შავშეთისწყლის შენაკადი.

ი. სიხარულიძე ასახელებს **კუჭენის წყალი** (სიხარულიძე, 1988:24). კუჭენი კუჭენის რუსულად ჩაწერილი ფორმაა.

„ხუთვერსიან რუკაზე“ დატანილია **Кучень** [კუჭენი]. იმავე ფორმა იყენებს ალ. ჯავახიშვილიც.

ნიკო მარიც იწერს - **კუჭენი**.

„ხუთვერსიანი რუკა“ რუსულადაა შედგენილი, რუსულადაა დაწერილი ნ. მარის „დღიურებიც“, ამიტომაც გასაგებია **Кучень** [კუჭენი], სხვაგვარად შეუძლებელი იყო, მაგრამ ალ. ჯავახიშვილსა და ი. სიხარულიძეს ქართული ფორმა უნდა გამოეყენებინათ - **კუჭენი**.

გაუმართავია ი. სიხარულიძის ასეთი კომენტარიც: „მდინარის სახელი მეორეულია „მოდის სოფლის სახელწოდებისაგან“ (სიხარულიძე, 1988:24). სინტაგმა ჰიდრონიმში არაა ლაპარაკი პირველადზე ან მეორეულზე, აქ სახელდების ტრადიციის ასახვაა მხოლოდ.

მამანელისის წყალი - სათლელის წყლის შენაკადი. მამანელი წარმომავლობის სახელია (მამან-ელ’ი), მამან’ი რომელი გეოგრაფიული პუნქტია ჩვენთვის უცნობია.

საყავრის წყალი - მოედინება საყავრის მთიდან. საყავრე მთაა გუდათის ჩრდილოეთით. ი. სიხარულიძე საყავრის მთას და საყავრეს სხვადასხვა გეოგრაფიულ პუნქტად მიიჩნევს (სიხარულიძე, 1988:15). „ხუთვერსიან რუკაზე“ დატანილია მხოლოდ **Сакавре г.** [საყავრე, მთა]. საყავრის მთა და საყავრე ერთი და იგივე ტოპონიმი. საყავრე უნდა იყოს ამოსავალი ფორმა.

გუდათის წყალი (სიხარულიძე, 1988:15).

სამწყარი - სათავეს ქურდევანის მთიდან იღებს.

„ხუთვერსიან რუკაზე“ დატანილია **Сами-цкали** [სამი წყალი, მდ.].

ალ. ჯავახიშვილთან - სამხარ წყალი(?).

ივ. ჯავახიშვილთან - ანაკერტი.



„ხუთვერსიან რუკაზე“ რუსმა კარტოგრაფმა შეიტანა „განმარტებული ფორმა“ - სამი წყალი, ივანე ჯავახიშვილისეული „ანაკერტიც“ საერთო კანონზომიერების ამსახველია (მდინარის მეორე სახელწოდება „ანაკერტია“. ხშირად ერთ მდინარეს რამდენიმე სახელი ჰქვია, არც სამწყარი გამონაკლისი); ალ. ჯავახიშვილისეული „სამხარ წყალი“ კი გაურკვეველია.

სამწყარი ზმნიზედადაა(?) მიჩნეული (სიხარულიძე, 1988:13). წყარი - წყალი, „დიდი მდინარე“ (ქობალია, 2010), თუმცა უხერხულობა იქნება: რატომ „სამწყარი“ და არა „სუმწყარი“?

ტბეთის წყალი//ტბეთის ღელე - შავშეთისწყლის მარჯვენა შენაკადი.

ჩივისხევის წყალი - იმერხევის შენაკადი. რატომ გახდა აუცილებელი ჩივისხევს დართვოდა „წყალი“? ჩანს, მას შემდეგ, რაც ჩივისხევი სოფელს ეწოდა, განასხვავეს სოფელი და მდინარე. თავდაპირველად ჩივისხევი მდინარის// ხევის სახელი იყო, შემდეგ ეწოდა სოფელსაც. ამავე ჰიდრონიმმა შეგვინახა საგეოგრაფიო სახელი **ჩივი//ჩიხი**. ვითარება ასე გვესახება: იყო გეოგრაფიული პუნქტი (იქნებ სოფელი?) **ჩივი**, მას ჩამოუდიოდა **ჩივისხევი**. შემდეგ სოფელს უწოდეს **ჩივისხევი**, შესაბამისად, მდინარეს - **ჩივისხევი წყალი**.

ბერთის წყალი//ბერთას წყალი - მდინარე შავშეთში.

ბალვანის წყალი - მდინარე შავშეთში.

ხანთუშეთის წყალი - მდინარე შავშეთში.

ჩხაკათხევის წყალი (სიხარულიძე, 1988:11), - მდინარე შავშეთში. სინტაგმა „ჩხაკათხევის წყალი“ მეორეული ჩანს, მდინარის პირველადი სახელია - ჩხაკათხევი. **ჩხაკა'** ადგილის სახელი ჩანს. მდინარის სახელწოდების (ჩხაკათხევი) გადააზრება მას შემდეგ მოხდა, რაც ადგილს უწოდეს „ჩხაკათხევი“. ასე წარმოიშვა: „ჩხაკათხევი“ (ადგილი სახელი) და „ჩხაკათხევის წყალი“ (მდინარის სახელი).

ახრანთხევის წყლები - ჩაიწერა შოთა მამულაძემ, სათავეს საზვიარებელზე იღებს (შავშეთი, 2011:85).

ორთვალ წყალი - მდინარე გურნათელთან.

გოგაძის წყალი - რუ ფხიკვიურიდან ნახევარი საათის სავალზე (მარი, 2012:156).

ორი მდინარის აღსანიშნავად გვხვდება ქართულ-თურქული სახელწოდება:



მასურათ ჩად - მდინარე შავშეთში. ნ. მარი ასახელებს მდინარე **მასურათს** (მარი, 1911:105). „ხუთვერსიან რუკაზეც გვაქვს **Масуратъ** p. [მასურათი, მდ.]. ჩანს, „მასურათ ჩად“ ახალი წარმოქმნილია, იქნებ ინფორმატორის შემოქმედებაცაა.

აგარა ჩად - მდინარე შავშეთში.

ჩანს, „წყალ“ კომპონენტის ტოპონიმები ყველაზე გავრცელებულია შავშეთის ჰიდრონიმიაში.

§2. სინტაგმა ჰიდრონიმის მეორე ნაწილია „ღელე“

ჰიდრონიმთა ერთ ნაწილს კომპოზიტის მეორე კომპონენტად ახლავს „ღელე“:

ხოხლოვის/ხოხლევის ღელე - მდინარე შავშეთში.

ჯამიკრის ღელე - მდინარე შავშეთში. „კარი“ ჩვეულებრივ უკუმშველი ფუძეა, როცა კომპოზიტის ნაწილია, შეიკუმშა (შდრ.: ცისკარი - ცისკრის, მაგრამ: ცუცკარი - ცუცკარის).

ჩიხორის ღელე - მდინარე შავშეთში. ხეობაში გაშენებულია სოფლები: ანდრია წმინდა, წითელოლი (მარი, 2012:223).

ნ. მარი ასახელებს **ჩხერის ღელეს**. **ჩხერი**, - ქართ. წყლის ხმა, რაკრაკი. ამ წყალსვე ეტყვიან „ჩიხორ ღელეს“ (მარი, 2012:223): **ჩიხორ/ჩხეორ<ჩხერი**.

ნ. მარი აღნიშნავს, რომ „ჩიხორის ღელე უერთდება მდ. ფხიკიურას, ე.ი. იმერხევსო“ (მარი, 2012:234). მნიშვნელოვანია, რომ აქ იმერხევი ნ. მარისათვის მდინარის/ხევის სახელია და არა შავშეთის კუთხის.

რაბათის ღელე - მდინარე ჩაქველთასთან.

აგრათ ღელე - მდინარე უბეში.

ფრიალო ღელე - მდინარე უბეში.

გვერდა ღელე - მდინარე მანატბასთან.

შ. ფუტკარაძეს ჩაუწერის ღელეები:

ჩიხორთან ახლოს: **თეთრი ღელე, თხინა ღელე, ზეგნი ღელე, დიდღელე** (ფუტკარაძე, 1993:227).

მაჩხატეთთან: **დიდღელე, წყარო ღელე** (ფუტკარაძე, 1993:257).

აგარასთან: **საინე ღელე, ხერცვათ ღელე** (ფუტკარაძე, 1993: 284).

წყალსიმერთან: **სარჩევთი ღელე, ცივწყარო ღელე** (ფუტკარაძე, 1993:278).



იფხრეულთან: **ჯელლეთ ღელე, ბრავალთი ღელე, აღბუღას ღელე**³⁸ (ფუტკარაძე, 1993:279). **საქოთნიჭევი ღელე, ბლიგორთის ღელე, ჭინკანას ღელე, ცხვარავლის ღელე**³⁹.

მანატბასთან: **სვირევი ღელე, სათამი ღელე, დიდ ღელე** (ფუტკარაძე, 1993:266).

კოკლევთან: **ქუაბთი ღელე** (იქვეა ქუაბთა კლდე. უნდა ქუაბთა ღელეო - ავტორის შენიშვნა) (ფუტკარაძე, 1993:195).

ყურადღებას იქცევს სინტაგმა ჰიდრონიმში შემავალი ზოგიერთი გეოგრაფიული სახელი, რომლებიც ცალკე არ შეგვხვდნია: **ჩხერი, თხინა, საინე, ხერცვათი, ჯელლეთი, აღბუღა, ბლიგორთი, ჭინკანა, ცხვარაული**. დასახელებული ტოპონიმები ჰიდრონიმებმა შეინახა.

ყურადღებას მივაქცევთ იმ ფაქტსაც, რომ მდინარეთა შესაყარს შავშები ხერთვისს ემახიან.

§3. სინტაგმა ჰიდრონიმის მეორე ნაწილია „მდინარე“

სულ ორიოდ სინტაგმა ჰიდრონიმის შედგენილობაში შედის მდინარე:

მდინარე სათლესი (სიხარულიძე, 1988:11), ახლა **სათლელის წყალს** ამბობენ. ჩანს, შავშურმა კილომ არ იცის **მდინარე**, იხმარება **ღელე** ან **ხევი**.

შენიშნავთ: ვახუშტი ბატონიშვილი ახსენებს: 1. **სათლე** - შავშეთის მდინარე და 2. **სათლე** - ქალაქი მცირე (ქ.ცხ, IV, 1973:679). **სათლე** ვახუშტისთვის მდინარის სახელიცაა და მცირე ქალაქისაც. ასევე გვხვდება „სათლელის ხევიც“. ი. სიხარულიძე წერს: „სახელწოდება მეორეულია ხეობისათვის, წარმოდგება სოფლის სახელწოდებისაგან“ (სიხარულიძე, 1988:20). ვახუშტი ბატონიშვილთან მდინარის სახელია **სათლე** (ასევე „მცირე ქალაქისაც). „სათლელის ხევი“ ახალია, ახალ დროში შექმნილი.

ჭილოვნის მდინარე - ვახუშტი ბატონიშვილი ახსენებს „ჭილოვნის ჳევი“ (ქ.ცხ.IV, 1973:679). ი. სიხარულიძეს დასაშვებად მიაჩნია მისი გაიგივება „სხლობანის წყალთან“ (შავშეთისწყლის მარჯვენა შენაკადი) (სიხარულიძე, 1988:10).

³⁸ **ბრავალთი ღელე** და **აღბუღას ღელე** შეიყრება, იმა ხერთვისი ქვია - განმარტავს ინფორმატორი.

³⁹ **ბლიგორთის ღელე, ჭინკანის ღელე, ცხვარავლის ღელე** შეიყრება ჳერთვისი ქვია - ინფ.



რამდენიმე მდინარეს სახელი არ აქვს, ზოგადი სახელით – „მდინარე“ ახსენებენ:

მდინარე - „მოედინება მაღლასამზირის მთიდან და ერთვის ჩხაკათხევს მარცხნიდან, პეტობნის აღმოსავლეთით“ (სიხარულიძე, 1988:15).

მდინარე - კუჭენისწყლის მარცხენა შენაკადი.

მდინარე - სხლობნისწყლის მარცხენა შენაკადი.

მდინარე - ქვაბიკარის წყლის მარცხენა შენაკადი.

დასახელებული „მდინარეები“ უსახელო მცირე ხევებია.

§4. სინტაგმა ჰიდრონიმის მეორე ნაწილია „ხევი“

ხევი//ჯევი გავრცელებული ტერმინია შავშეთში, მისი მნიშვნელობაა წყალი, ღელე.

ქერეთის ხევი - მოედინება ქერეთის მთიდან.

იური სიხარულიძე ასახელებს იმერხევის ორ მარცხენა შენაკადს ზოგადი სახელით „ხევი“ (სიხარულიძე, 1988:52). ასეც ხდება, სოფელში მოიკითხავ, რა ქვია ამ მდინარეს? - ღელე! ხევი! - გიპასუხებენ. უსახელო ხევები, ღელეები, ქედები, სათიბები... ბევრი შეგხვდება მოგზაურს ნებისმიერ „ქვეყანაში“, მათ შორის შავშეთშიც.

მცირე ხევი - შუბლამის ხევის მარჯვენა შენაკადი (სიხარულიძე, 1988:51).

მცირე ხევი - ასახელებს ი. სიხარულიძე - შავშეთისწყლის მარჯვენა შენაკადი (სიხარულიძე, 1988:24). „მცირე ხევი“ ჰიდრონიმი არაა, უსახელო ხევის აღსანიშნავად არის ნახმარი.

შუბლამის ხევი - ერთვის იმერხევს წყალსიმერს ქვემოთ.

აბანოს ხევი - ყვირალას მარცხენა შენაკადი.

აბანო - „სახლი დასაბანელი“ (საბა, 1949). შავშურში, სხვა სამხრულ დიალექტებშიც, აბანოს, გარდა ძირითადი მნიშვნელობისა, აქვს „ბუნებრივი სამკურნალო მინერალური წყლების“ (ქეგელ, ახალი რედაქცია, 1) მნიშვნელობაც. **აბანოს ხევი** ბევრი თერმული წყალია, სამკურნალო, აბანოები...

ყვირალას ხევი - მდინარე შავშეთში. ნ. მარი ჩავიწერს „ყურიალას“. ჩვენ ადგილზე **ყვირალა** ჩავიწერეთ ადგილობრივი „ყივჩალისაგან“.

ქორდის ხევი - იმერხევის შენაკადი.



ქორდის ხევი „ხუთვერსიანი რუკის“ **Корда** [ქორდა, მდ.] (Пагирев, 1913) უნდა იყოს. შესაძლოა, **ქორდა** თავდაპირველად მდინარეს ერქვა. იმავე რუკაზე დატანილია მთა **კორდაც**. კორდი ცნობილი ფუძეა, „უნამაშარო მიწა“ (საბა, 1949), „მინდორზე ამოსული ბალახი“ (?) (ნოლაიდელი, 2015), „ბალახიანი ადგილი, მოლი“ (ნიჭარაძე, 1971). არა მგონია, მართებული იყოს „ქორდის“ და „კორდას“ გაიგივება.

ციხიას ხევი - სხლობანისწყლის მარჯვენა შენაკადი.

მახარობის ხევი - ნ. მარი ასახელებს „მახარობი ძორ“ (მარი, 1911:10). „ძორ“, „ზორ“ სომხურია, ქართულად „ხევს“ ნიშნავს. ჩანს, მკვლევარმა ადგილობრივი სომხისაგან ჩაიწერა „მახარობი ძორ“. სინტაგმის პირველი ნაწილი, „მახარობი“ ქართულია, იმავე ფუძეს ვხედავთ გვარში **მახარობლიძე**. **მახარობი//მახარობელი** „კეთილი მოამბე“ (საბა, 1949).

გვალას ხევი - შავშეთის წყლის შენაკადი. **გვალა** < ***მგვალა** < ***მრგვალა** ადგილია შავშეთში. ნ. მარი ჩაიწერს „გვალის ხევს“ ოქრობაგეთთან (მარი, 2012:115).

ჩხაკათ ხევი - მოედინება ქურდევანის მთიდან. **ჩხაკა** მეტსახელი ჩანს კაცისა.

უსახელო ხევი - გუდათისწყლის მარჯვენა შენაკადი.

შ. ფუტკარაძეს ჩაწერილი აქვს რამდენიმე „ხევის“ შემცველი ჰიდრონიმი:

აგარაში: **ბოდღვერა ჳევები**, **დოლაკალო ჳევები**, **ჳევები** (უსახელო - შ. ფუტკარაძე) (ფუტკარაძე, 1993:284).

მაჩხატეთში: **კარჩხალეთ ჳევ**, **ჳეობა** (ფუტკარაძე, 1993:257).

იფხრეულში: **გლი ჳევი** (<[მ]გლი[ს] ჳევი), **ვირაი ჳევი** (ფუტკარაძე, 1993:279).

ჯვარის ხევი - იმერხევის შენაკადი (მარი, 2012:158).

სანადირო ხევი - ხევი დავლათს ქვემოთ (მარი, 2012:155).

იმერხევიში დასტურდება **ხევწვრილი//ხევწრული** მდინარე და სოფელი. აქ პირველადია ხევის სახელი, სოფელი - მეორეული.

შავშეთში დასტურდება უსახელო ხევები, რომელთაც ზოგადი სახელით **ხევი//ჳევი** იხსენებენ:

ხევი - მანსურათის წყლის მარჯვენა შენაკადი.

ხევი - მანსურათის წყლის მარჯვენა შენაკადი, პირველის ზემოთ.

ხევი - შავშეთის წყლის მარჯვენა შენაკადი.

ხევი - იმერხევის მარცხენა შენაკადი.

ხევი - შუბლამის ხევის მარჯვენა შენაკადი.

მოყვანილი მასალიდან ჩანს, რომ შავშეთში ხევს უმრავლეს შემთხვევაში სახელი არ აქვს (ისევე როგორც მდინარეს, წყალს), ატარებს იმ სოფლის//ადგილის სახელს რომელსაც ჩამოუდის. ზოგიერთ ხევს საკუთარი სახელი ჰქონია, თუმცა სახელი სოფელს „დაუჩემებია“ და უსახელოდ დარჩენილ ხევისათვის სინტაგმა ჰიდრონიმი შეუქმნიათ: **ქორდა** (ხევის სახელი) „დაისაკუთრა“ სოფელმა, ხევისთვის კი ახალი სახელი, **ქორდას ხევი** შექმნეს...

§5. სინტაგმა ჰიდრონიმის მეორე ნაწილია „ჭალა“

შავშეთში ერთი ჰიდრონიმი დადასტურდა, რომლის მეორე ნაწილია „ჭალა“.

„ჭალა“- „წყლის პირი ნაყოფიერი“, - განმარტავს სულხან-საბა (საბა, 1949). კომპოზიტში მას ხევის, წყლის მნიშვნელობაც აქვს:

ბარიჭალა - ნაკადული (სიხარულიძე, 1988:43), ერთვის იმერხევს.

§6. „წყაროები“ შავშეთში

შავშეთში ბევრი წყარო გვხვდება, რომელთა უმეტესი უსახელოა, ზოგადი სახელით, **წყარო** იხსენება, ნაწილის სახელი - სინტაგმა ჰიდრონიმია, იშვიათად - საკუთარი სახელი აქვს:

წყარო - მუსოღლის მამულის ახლოს.

წყაროები - დასამობში.

გრიალი წყარო (მარი, 2012:223). ჩვენ **გრიალოს წყარო** ჩავიწერეთ.

ცივ წყარო - მანატბაში.

პეტროვნი წყარო - მანატბაში. **პეტროვანი** - ადგილის სახელია.

ჩიტის წყარო - უატამისში. საინტერესოა სახელდების თვალსაზრისით: რატომ **ჩიტის წყარო**?

წყარო თვალი - ივეთში.

შ. ფუტკარაძეს ჩაუწერია წყაროები:

ზიოსში: ალიბაში[ს] წყარო, მუნთო[ს] წყარო, დაყუფა[ს] წყარო, კოთელა[ს] წყარო (ფუტკარაძე, 1993:289).



ივეთში: ჯამიკარის წყარო, ჯანდარას წყარო, წყაროთუალი, სუანეთი წყარო⁴⁰.

იფხრეულში: ცივწყარო, საბურავა წყარო, წასადეგი წყარო, კვირაი წყარო, მაღალ წყარო, სალაქორი წყარო, ზემონაგვარი წყარო, საკლდეკევი წყარო, მოსიენ წყარო, არჩილა წყარო, ჰაჯიენ წყარო, დელითავი წყარო, ბალიკევი წყარო (ფუტკარაძე, 1993:279).

წყალსიმერში: ცივ წყარო, ინგიშლი წყარო, ტყლაპი წყარო, თაფლი წყარო, დამპალ წყარო, მიქელ კარი წყარო, დიდართი წყარო, ორპატიტა წყარო, ცივწყარო დელე (ფუტკარაძე, 1993:278).

უბეში: თელა წყარო, ოქურჩი წყარო⁴¹, ვინგიშლის წყარო, უღელტეხილის წყარო.

აგარაში: ქალი წყარო.

მაჩხატეთში: ქალი[ს] წყარო, მესრი წყარო, ორთულა წყარო (ფუტკარაძე, 1993: 257).

კოკლევში: მერის წყარო.

იფხრეულში: კვირაი წყარო, წონთი წყარო.

თეთრაკეთში: სინქოთური წყარო (შდრ. სინკოთური წყარო).

მაჩხატეთი: სიაწყარო//სიას წყარო (ფუტკარაძე, 1993: 195; 227; 219).

ჯანარად - ივეთში. წყაროს სახელია ჯანარად;

წყარო ბევრია შავშეთში, საკუთარი სახელი ერთს დაუდასტურდა (ჯანარად), სხვათა სახელები სინტაგმებია სხვადასხვა ნიშნით რომ ახასიათებს წყაროს:

კუთვნილება: პეტროვნი წყარო, ჩიტის წყარო, ქალი[ს] წყარო...

მდებარეობას: უღელტეხილის წყარო, ჯამიკარის წყარო...

თვისებას: ტყლაპი წყარო, თაფლი წყარო, დამპალ წყარო, ცივწყარო...

გარეგანი ნიშანი: ორთულა წყარო, ორპატიტა წყარო...

§7. წყლის აღმნიშვნელი სხვა სახელები

ორიოდე მდინარეს თუ დელეს საკუთარი სახელი აქვს:

ჩიხარი - დელე ჩიხისხევთან.

⁴⁰ ყურადღებას იქცევს „სუანეთი წყარო“. სუანეთი' სვანის/სუანის (პიროვნების სახელი ჩანს) საცხოვრისია. იქაური წყაროა **სუანეთი წყარო**.

⁴¹ „ვინც აძუეფს ვარეფსა, იმა ოქურჩი ქვია“ - ინფორმატორის განმარტება (ფუტკარაძე, 1993:288).



მანსურათი - შავშეთისწყლის მარჯვენა შენაკადი,
„ხუთვერსიან რუკაზე“ დატანილია Масыратъ р. [მანსურათი, მდ.].

ნ. მარი ჩაიწერს **მანსურათი**.

მასურათი/მანსურათი მდინარის საკუთარი სახელია.

შავშეთში წყლის აღმნიშვნელად გვხვდება „**ნაკადი**“:

ნაკადი - დაბაწვრილში.

ნაკადი - ხოხლევში.

ნაკადს განმარტავს სულხან-საბა: წარსადინელი (საბა, 1949).

ნაკადი იგივეა, რაც ნაკადული: „წარსავალი გზა წყალთა“ (საბა, 1949).

* * *

მოვიყვანეთ შავშეთის ჰიდრონიმიის ჩვენს ხელთ არსებული მასალა.
ახლა შეგვიძლია ზოგიერთი დასკვნის გაკეთება, კერძოდ:

ა. შავშეთში ხევი, წყალი, მდინარე (იშვიათად) სინონიმური მცნებებია.

ბ. მდინარეთა უმეტესობას საკუთარი სახელი არ აქვს, ატარებს იმ ადგილის სახელს საიდანაც გამოედინება, ან იმ სოფლის სახელს რომელსაც ჩამოუდის. არის შემთხვევები, როდესაც ერთ მდინარეს რამდენიმე სახელი ქვია: სათავეში სხვა, ქვემოთ - სხვა.

გ. რამდენიმე მდინარეს საკუთარი სახელი ქვია: ჩიხარი, მანსურათი, ჯანარაფ, კალოსერი... ასევე, გვხვდება სახელები, რომლებიც თავდაპირველად მდინარის თუ ხევის სახელი იყო, შემდეგ ადგილისათვის უწოდებიათ, მომხდარა ჰიდრონიმის გადააზრება და ტოპონიმადქცეულ ჰიდრონიმს დართვია წყალი, ხევი... და ქცეულა სინტაგმად.

დ. ჰიდრონიმთა უმეტესობა სინტაგმებია, სიტყვათშეხამებით ნაწარმოები სახელები, რომლის შედგენილობაში შედის ადგილის სახელი (წყაროების შემთხვევაში პიროვნების სახელიც) + ხევი, წყალი, მდინარე, წყარო.

ე. შავშეთში ბევრია უსახელო ხევი, წყალი, მდინარე, წყარო... რომელთაც ზოგადი სახელით - ხევი, წყალი, მდინარე, წყარო... მოიხსენებენ.

ვ. ჰიდრონიმები ყურადღებას იქცევს ერთი მხრივ სახელდების თვალსაზრისით, მეორე მხრივ, ზოგიერთმა ჰიდრონიმმა შეგვინახა ადგილის ან პიროვნების სახელი, დღეს რომ აღარ ისმის.

თავი 4. მცენარეთა სახელები შავშეთიდან

შავშეთში საველე ექსპედიციების დროს ვკრებდით მცენარეთა სახელებსაც, ფიტონიმებს. სახელთა ეს ჯგუფი საყურადღებოა მრავალი თვასაზრისით, განსაკუთრებით - სახელდების, თუმცა ყოველთვის არ ჩანს სახელდების მოტივი. მნიშვნელოვანია ისიც, რომ შავშეთში დღემდე ახსოვთ მცენარეთა ქართული სახელები.

§1. ვაშლი შავშეთში

შავშეთში ვაშლის მრავალი ჯიში გვხვდება: ზოგიერთი ძველია, ადგილობრივი, ზოგიც ახალი, ახალნაშენი. ვაშლის სახელები შავშებს სხვადასხვა ნიშნით შეურჩევიათ, უპირველესად ნაყოფის ფერის, მოყვანილობის, მსგავსების... მიხედვით:

თეთრი ვაშლი, წითელვაშლი - ფერის მიხედვით.

ბუმბულაჲ/ბუმბულ ალმა - ყურადღებას იქცევს ქართულ სახელწოდებას თურქული „ალმა“ ახლავს და არა „ვაშლი“, უფრო მონაცვლეობს ქართული და თურქული.

წოწოლაჲ, მესვეთ ვაშლი (გვალ-გვალა - ინფორმატორის განმარტება), **ბერკა ვაშლი, კვერცხაჲ, ხაშხაშ ელმასი, კნატუნაჲ** - ფორმისა და თვისების მიხედვით შერქმეული სახელები.

კედელი ალმა (ქედელი ალმა?), **იმერხველ მასი, ურუსეთ ელმასი, მაჯარულა** (მაჭარულა?), **ბათუმელაჲ** (ბათუმურაჲ), **ბუჯურულაჲ, ბაღალმა** (შდრ. ბაღის ვაშლი), **წალკოთა** (<წალკოტა), - წარმომავლობის და სადაურობის მიხედვით სახელდებული.

ჩემოთვლილ ვაშლის ჯიშებში ყურადღებას მივაქცევ რამდენიმეს:

იმერხველ მასი, ბათუმელაჲ - ადამიანის წარმომავლობის სახელის მაწარმოებელი -ელ სუფიქსი ერთვის ნივთის სახელს.

მაჯარულა (მაჭარულა) **აჭარა**'სთან მ- პრეფიქსის გამოყენების კიდეც ერთი მაგალითი. შავშეთში ტოპონიმი დასტურდება მაჭარულთა: **მაჭარულა** და **მაჭარელი**, შესაბამისად, ნივთისა და ადამიანის წარმომავლობის სახელები.

ჩვენთვის გაურკვეველია: **შეწერ ელმა, ბეგთებელ ელმასი, მორ ელმა, ღირტო, ჯანანა ვაშლი** (სახელწოდებები ჩაიწერა შ. მამულაძემ. იხ. შავშეთი, 2011:89). აგებულებით ჩამოთვლილ სახელთაგან ზოგიერთი ქართული ჩანს: ღირტო, ჯანანა ვაშლი, სხვები - გაურკვეველია.



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ვაშლი ბევრი ჩანს დავლათში: წითელვაშლი, ზიარეთ ვაშლი, სინკოთელაჲ (სინკოთი სოფელია კლარჯეთში), თევრ ვაშლი (თევრი ვაშლი), თავრეჯულაჲ - სახელდება ხდება ადგილის მიხედვით.

ყურადღებას იქცევს -ელ და -ულ სუფიქსების უნიფიკაცია: სინკოთელაჲ ვაშლი (მეორეც მხრივ: სინკოთელაჲ ნენეჲ) და თავრეჯულაჲ ვაშლი.

დემირ ალმა (შდრ. რკინის ვაშლი), გვხვდება აჭარაშიც. ამბობენ რკინის შემცველობააო დიდი ამ ვაშლში, როდესაც გაჭრი, მალე ფერს იცვლისო, იჟანგებაო, - ასეთია დემირ ალმას ხალხური შეფასება.

აღვნიშნავ, რომ დემირ ალმა გვხვდება მაჭახელში, აჭარასა და კლარჯეთშიც, მუჰაჯირებსაც წაუღიათ მისი ნერგი და უხარებიან იგი ახალ სამოსახლოში, - თურქეთის ქვეყნის სხვადასხვა პროვინციაში.

ქრისტა ვაშლი - მცენარეთა სახელწოდებაში ქრისტე გვხვდება ასევე ქრისტესისხლაში (ბალახია ერთგვარი). შდრ. ქრისტებეჭედა (იგივე ქათმისკუჭა), ქრისტესბალახა (იგივე ფუტკრის დედა), ქრისტესგვირგვინა (იგივე - გლედიჩია), ქრისტეს ნეკი (იგივე ბოსტნის წალიკა), ქრისტეს ცერი (იგივე ბოსტნის წალიკა), ქრისტეს ცერის დანაბიჯი (იგივე ბოსტნის წალიკა), ქრისტეს ცრემლები (იგივე ცახცახა) (იხ. მაყაშვილი, 1991). ბუნებრივია კითხვა: რატომ ქრისტე მცენარეთა სახელწოდებებში? ალბათ აღმატებული თვისებების მატარებელია და იმიტომ? ვერაფერს დავიჩემებთ.

ხეჭეჭურაჲ ვაშლი - ჩაგვაწერინეს დავლათში. ცნობილია ხეჭეჭურაჲ მსხალი, ალბათ მაგარი კანის გამო ვაშლსაც უწოდეს ხეჭეჭურაჲ.

ვაშლი ხობლევში:

ჯავე ვაშლი (შდრ. ჟავე ვაშლი<მჟავე ვაშლი. ჟ:ჯ მონაცვლეობა დაშვებულია სამხრულ დიალექტებში), **ტკიბილი ვაშლი** (შდრ. ტკიბილი ვაშლი), **ჯანიანი ვაშლი** (აქ: მაგარი ვაშლი), - თვისებების მიხედვით შეურქმევიათ სახელები ხობლეველებს.

საგემოვნო თვისებები აუღიათ ნიშნად ივეთლებსაც ვაშლის სახელდებისას: **შექერ ვაშლი**, **ჯავე ვაშლი**. ცალკე დგას **კარაფილაჲ**, - გაურკვეველია სახელდების ნიშანი.

ვაშლი ჩაქველთაში:

ზიზმანაური - წარმომავლობის მიხედვით.

ბერვაჲ (<*ბერაჲ?).

შექერ ვაშლი - საგემოვნო თვისებების მიხედვით სახელდებული.

ვაშლი დაბაწვრილში:

ჯაგე ვაშლი, ტკიბილი ვაშლი, ჯანიანი ვაშლი - ზოგადი სახელებით შემოიფარგლნენ დაბაწვრილელები.

ვაშლი უბეში:

ხანსტ ელმა, წითელი ვაშლი, თეთრი ვაშლი (ფუტკარაძე, 1993:289).

ყურადღება მიიქცია **ხანსტ ელმამ** <*ხანცთ ელმა, - ხანცთის/ხანძთის ვაშლი?

ვაშლი ზიოსში:

მაჭახელა, წოწოლა (ფუტკარაძე, 1993:2289).

ვაშლი წყალსიმერში:

ყარაფილა, ჯაგე ვაშლი, რუსულა ვაშლი, ფქვილა, სინქოთელა (<სინკოთელა, sic.), **ზიზნავრი** (<*ზიზნაური) (ფუტკარაძე, 1993:279).

ვაშლი მანატბაში:

წითელი ვაშლი, ზიზნავრი, ნაბადა ვაშლი, შექერ ვაშლი, ყარსელა (sic.) **ვაშლი, სუსუნა, ამასია ვაშლი, ყარაფილა.**

რამდენიმე სოფელში დადასტურდა **ზიზნავრი<ზიზნაური** ვაშლი. აშკარად გეოგრაფიული სახელია **ზიზნა'**, მაგრამ სად, ჩვენთვის უცნობია.

შავშეთში ჩავიწერეთ ვაშლის სხვა ჯიშებიც:

მესერა (>მესარა. მესარი - „მორის, ხის ნაპობი, რომელსაც იყენებენ სარად, ჭიგოდ. ნოლაიდელი, 2015), - ადგილის მიხედვით შერქმეული სახელია.

წითელვაშლა, თეთრი ვაშლი - ფერის მიხედვით შერქმეული სახელები.

თავრეჯულა, მაჭახელა (sic) - წარმომავლობის მიხედვით სახელდებული. ვაშლი მაჭახელა არის და არა მაჭახლურა. თოფიც მაჭახელაა მაჭახელში, იქედან მთელს საქართველოში.

შავშეთშივე ჩავიწერია ვაშლი **ოტრილა** (<*იტრილა. **იტრია** სოფელია კლარჯეთში. იხ. შავშეთი, 2011:384).

უპირველესად ყურადღებას იქცევს ვაშლის მრავალფეროვნება. მნიშვნელოვანია, რომ სახელწოდებათა უმეტესობა ქართულია, ზოგჯერ ქართულ-თურქული ფუძეებით შექმნილი კომპოზიტი ან სინტაგმა. ვაშლის სახელწოდებებში ჩანს ჭოროხის ქვეყნებს შორის ურთიერთობები: ბათუმურა, მაჯარულა, ბუჯურულა (ბუჯური კლარჯეთის სოფელია)...



§2. მსხალი შავშეთში

შავშეთში ჩავიწერეთ მსხლის არაერთი ჯიში, რომელთაგან ზოგი ადგილობრივია (დერლია), ზოგის - მოტანილი.

მოჩობთაა//მოჩობდაა - ამ სახელს შავშელეები გოგრას ეძახიან, ეძახიან მსხალსაც. ალბათ, დიდნაყოფიანი მსხლის ჯიშია, გოგრასავით ნაყოფს იბამს.

მოჩობთაა სხალიო - ჩაგვაწერინა ინფორმატორმა და განმარტებაც მოაყოლა: „მოჩებდა სხალიო“ (მოჩებება - უწესრიგოდ დაყრა, მიმოზნევა. იხ. ნიჟარაძე, 1971; შავშეთი, 2011:383).

ნამყენაა, კუტალაა (პატარა ნაყოფი აქვს), **პანტა,**

ააღარმუთი//ზეგარმუთი (შდრ. ერბო მსხალი//ზეგის მსხალი//საბეგო მსხალი), იგივეა, რაც **ყაბარდული** აჭარაში (შ. მამულაძის შენიშვნა).

მსხალ-ოქრო, ბოქშვამ (მსხლის ეს ჯიში აჭარაშიც გვხვდება, **ბოქშუა** - იხ. ნიჟარაძე, 1971), **თავკეშა** (კანმაგარი, ტყავკეშა), **ხეჭეჭური,**

იშილ მემედი (იგივეა, რა სხვალთაფლა, გვხვდება აჭარაშიც, ტკბილი და წვნიანი მსხალია, მწიფდება ადრე შემოდგომაზე).

ინჯირა (შდრ. ინჯირ - ლელვი. ლელვა მსხალი?).

სართულა, ფქვილაა, შექერ არმუთი (შდრ. მსხალ შაქარა), **ტარყინარაა, საჭურე.**

დასახელებული მსხლები თვისების მიხედვითაა სახელდებული.

ჭანური (შდრ. **ჭანურაა** აჭარაში), **პეტრულაა, ამასიის მსხალი, კალოპირული, მარიობაა, პლაკე სხალი, მერული** (<მერიული? - სოფელია შავშეთში) - წარმომავლობისა //სადაურობისა და დროის მიხედვით სახელდებული.

რერლულაა - წარმომავლობაზე უნდა მიანიშნებდეს -**ულ** სუფიქსი, თუმცა გეოგრაფიული პუნქტი **რერლი** ჩვენთვის უცნობია.

სართულაა, წოწოლაა, ბორბალაა, ქოთანაა - გარეგნული ნიშნით სახელდებული.

სახელდების ნიშანი გაურკვეველია: **შაშხანაა(?)** და **ეჯემეთი(?)**. **ეჯემეთ**ში -**ეთ** სუფიქსი გამოიყოფა; გეოგრაფიული სახელი უნდა იყოს **ეჯემეთი**, ვინმეს კუთვნილების აღმნიშვნელი.

განცალკევებით დგას **საჭურა** (ჭურში ინახავენ ზამთრისთვის), **უფრო - საჭურე** და **მერულა** (<მერიულა//მერიული(?)), - **მერიული** მსხალი. -**ულ** სუფიქსიც ამ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს.



მსხლის ჯიშები: **რერღულაჲ, სართულაჲ, წოწოლაჲ, ბორბალაჲ, ქოთანაჲ, შაშხანაჲ, ეჯემეთი, საჭურა, მერულა** ჩაიწერა შ. მამულამემ (იხ. შავშეთი, 2011:90).

ზიოსში ჩავიწერეთ მსხლის ჯიში **ქირეზაჲ** (თ. Kirez-ayi - ივნისი) - ივნისში მწიფდება და ამიტომაც ეძახიან ასე. **ქირეზაჲ სხალი** გვხვდება აჭარაშიც.

დასამობი:

წარიაჲ, ერბოაჲ (შდრ. ძალარმუთი), **ხრაშუნაჲ, ხეჭეჭურაჲ** (შდრ. აჭარული ხაჭიჭურაჲ), - ხეჭეჭი, უხეში კანი აქვს, ამიტომაც უწოდებით ეს სახელი, სხვაგვარად: კანის თვისების მიხედვით სახელდება **ხეჭეჭური**.

ჩიხორულაჲ, თავრეჯულაჲ, - წარმომავლობის მიხედვითაა სახელდება.

ჩიხორული იქნებ სულაც არაა განსხვავებული მსხლის ჯიში, ჩიხორიდან მოიტანეს მისი ნერგი, ან სულაც კალამი და სახელიც აქედან მოდის.

ჭურაჲ - ჭურში ინახავენ ზამთრისთვის.

აშილაჲ, იქნებ იშილაჲ? შდრ. სანთელაჲ, მსგავსებით სახელდება.

ხოხლევი:

სასელაჲ, - საადრეო მსხალია, **ოდრევილი** (<*ადრეული) - მწიფობის დროის მიხედვით სახელდება.

შიშველაჲ - აუხსნელია სახელდების ნიშანი.

ნასყიდი - საყურადღებო ნიშანია: ნერგი იყიდეს, მსხლის ჯიში არ იცოდნენ, **ნასყიდი** უწოდეს.

წუწულაჲ<წუწოლაჲ<წოწოლაჲ - ფორმის მიხედვითაა სახელდება.

თავრეჯული - სხვა სოფლებშიც გვხვდება.

ივეთი:

თავრეზულაჲ (<*თავრიზულაჲ)>***თავრეჯულაჲ** - თავრიზიდან მოტანილი მსხალია.

ბოსტვანი<ბოსტოვანი(?), სასელაჲ.

ჩაქველთა:

წარიაჲ - სხვაგანაც დავადასტურეთ.

თავრეჯულაჲ - გავრცელებული ჯიშია შავშეთის სოფლებში.

ზიოსი:



თავრეჯულად, ქოთანად, სასელად, ყვითელად (შდრ. აჭარული სანთელად - ავტ.), **ზოსტოლანი** (ფუტკარაძე, 1993:289).

უბე:

თავრეჯულად, იშილად (შდრ. სანთელად), **კვირიშტავად** (<*კვირისთავად - ავტ.), **ყანთარ არმუთი (?)**, **პანტა** (ფუტკარაძე, 1993:289).

წეთილეთი:

წეთილეთში შ. ფუტკარაძეს მსხლის მრავალი ჯიში ჩაუწერია (ფუტკარაძე, 1993:279):

წოწოლად, სასელად, ბეგარმული (იგივე ერბო სხალი, იგივე ძალარმუთი - ავტ.), **ყაბალი** (მოშოშდა) **სხალი** (შდრ. ხაპად - ნაყოფის მსგავების (სიდიდით) მიხედვით სახელდებული), **ჰასან ფაშა სხალი, საქერად(?)**, **ლომად** (ფერი მიხედვით სახელდებული - ავტ.), **ზოსტოლანი(?)**, **ნასყიდი, თავრეჯული, შიშუელი, კვირიშტავად** (<კვირისთავად - ავტ.), **ბოქშუად, გუერდწითელი, სხალთაფლად, ჯეჭეჭური** (sic), **მელახური** (<მელახორი? მელახორი -ადგილი შავშეთში), **ოდრევილი, ყუდრეთად.**

მანატბა:

ნასხიდი, სანახშირო, საქერად, თავრეჯული, ბათმანად (მოცულობის გამო სახელდებული? - ავტ.), **კოკა სხალი** (მსგავების მიხედვით სახელდებული - ავტ.), **წარიანი, წითელად, ოდრივილი** (<*ოდრევილი <ადრეული), **ხეჭეჭურად, მაჭარულად, ლომად, ქვასხალად** (თვისების გამო სახელდებული - ავტ.), **ყლარჭად** (მახრჩობელა. შავშურში, სხვა სამხრულ კილოებშიც მოყლარჭვა - დახრჩობის მნიშვნელობით იხმარება), **ნესვად, კუტალა.**

მოყვანილი მასალა დასტურია, რომ შავშეთი მსხლის (ვაშლისაც) მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ჩვენ სხვადასხვა სოფელში ჩაწერილი მასალა ცალ-ცალკე მოვიყვანეთ, ზოგჯერ მეორდება კიდეც ჯიშები და ეს არცაა მოულოდნელი; მოვიყვანეთ იმიტომ, რომ გვეჩვენებინა მსხლის მრავალფეროვნება შავშეთის ქვეყანაში. ბუნებრივია, ჩვენს მასალას ამომწურაობის პრეტენზია არ აქვს, მომავალში კიდეც დაემატება მოყვანილს სხვა ჯიშებიც, რომელთაც ჩვენ ვერ მივაქციეთ ყურადღება.

§3. ქლიავი შავშეთში

შავშეთის სოფლებში ქლიავის სხვადასხვა სახეობა ვნახეთ, რომელთა სახელები ყურადღებას იქცევს.

დაბაწვრილში ვნახეთ:

თეთრი ქლიავი, წითელი ქლიავი - სახელდებულია ფერის მიხედვით.

ჭანჭური, ტყემალი//ტყიმალი - გვხვდება ჭოროხის სხვა ქვეყნებშიც, იქნებ მთელს საქართველოში.

დასამობში ვანახეთ:

თეთრი ქლიავი, შავი ქლიავი, ტყუბა (ტყუბი ნაყოფი აქვს. აჭარაში ტყუბა ტყემალასაც ეძახიან - ავტ.), **დოდოფლო ქლიავი** (აჭარაში **დოდოფალას** ან **დედოფალა ქლიავს** ეძახიან, დიდი ნაყოფი იცის, ლიმონის ფორმის), **სართულა**. ამ უკანასკნელის სახელდების ნიშანი გაურკვეველია.

ქლიავი დავლათში:

ტყუბა, დოდოფლო, შავი ქლიავი, თეთრი ქლიავი.

აჭარაში დედოფალას ეძახიან, შავშეთში - დოდოფლოს. იქნებ, ნაყოფის განსაკუთრებული საგემოვნო თვისებების გამო დედოფლის შესაფერისი? ვინ იცის, რას გაუგებ სახელმდებელს?!

§4. ვაზი შავშეთში

წინასწარ აღვნიშნავთ, რომ კლარჯეთისაგან განსხვავებით, შავშეთი არ გამოირჩევა ვაზის მრავალფეროვნებით:

შავი ყურძენი, თეთრი ყურძენი - ზოგადი სახელი გვითხრეს, ვინ იცის, ამ ორ სახეობაში ვაზის რამდენი ჯიში გაერთიანდა. დაივიწყეს შავშებმა ვაზის ძველი სახელები.

ადესაა//რუსული ყურძენი - ცნობილია მთელს ჭოროხის ხეობაში.

სვირევანში ჩაგვაწერინეს **ბალუზუმი** (შდრ. ბალის ყურძენი), ახალი ჯიშია შავშეთისათვის.

დათუნა ყურძენი - ხარობს სვირევანში, იქნებ სხვაგანაც. ეს უკანასკნელი იქნებ რომელიმე ძველი ვაზია სახელმეცვლილი.

შ. ფუტკარაძემ წეთილეთში ჩაიწერა: **კნატურაი, ჩიტითუალაი, თეთრი ყურზენი** (ფუტკარაძე, 1993:292).

საყურადღებო სახელებია **კნატურაი** და **ჩიტითუალაი**. მეორე ჭოროხის სხვა ქვეყნებშიც გვხვდება, პირველი - განსხვავებულია.



შავშეთის სოფლებში ხეებზე გაშვებული მაღლარი ვაზი დიახაც გვინახავს, მაგრამ მათი სახელები „არ ახსოვთ“, დაივიწყეს, ამიტომაც ზოგადად ასახელებენ, - თეთრი ყურძენი, შავი ყურძენი, კონკრეტულ სახელებს ვერ ამბობენ, განსხვავებით ტაოსა და კლარჯეთისაგან, სადაც ვაზის მრვალი ჯიში ჩავიწერეთ (იხ. ფაღავა, 2015:296-302; 2020: 131-143).

იქნებ ჩვენ ვერ მოვიკითხეთ კარგად შავშური ვაზის ჯიშები. არადა იმერხევს გადაღმა, კარჩხალას ხეობა, სადაც მოსახლეობის ნაწილი ბაზგირელები არიან, ვაზის მრავალფეროვნებით გამოირჩევა.

§5. სხვა ხეხილი შავშეთში

შავშეთის სოფლებში შეხვდებით **თუთას, ბალს, მერცხალს** (შდრ. მოცხარი)...

თუთა: წეთილეთში ერთმანეთისაგან განასხვავებს **თუთა** და **ტუტა:** „ესა მოხოშია, ჯავეა, შავი, წითელი იქნება...“ - ინფორმატორის შენიშვნა (ფუტკარაძე, 1993:292). **თუთა** კიდევ თეთრია.

ბალი: **თურვანდა, ადრე ბალი** (შდრ. ნაადრევი ბალი//საადრეო ბალი), **გუიანაი ბალი, შავბალაი, ვიშნა.**

თურვანდა - სახელდებულია სადაურობის მიხედვით.

ვიშნა - შდრ. თ. višne - ალუბალი.

კარითუალაი, თეთრი ბალი, შავი ბალი, კაკამბალი (ფუტკარაძე, 1993:289).

კარითუალაი გვხვდება უბეშიც.

შევნიშნავთ: ჭოროხის ხეობაში გვხვდება ვაზის ჯიში **ხარითუალაი** (შდრ. თ. ოქუზ გოზი). ამ მხარეებში უყვართ **კარი//ხარი** და შესაძარებლად იყენებენ ხოლმე ხარის თვალს.

§6. ყანა, ბოსტანი და ბალახები შავშეთში

შავშურ სოფელში უპირველესად სიმინდის ყანები გვხვდება თვალში.

„სიმინდი **ალთუნაი** არის...“ - გვიხსნიან ხევწვრილში. იქნებ სხვა ჯიშებსაც თესავენ, მაგრამ სახელები არ იციან.

ივეთში ლობიოს ჯიშები ვიკითხეთ:

აგარელაი (შდრ. აგარელაი რძალი, მაგრამ აგარელაი ლობიო), **ხაშრი ლობიო.** ეს უკანასკნელი ზოგადი სახელია, ხაშარზე (სარზე) შეიძლება სხვადასხვა ჯიშის ლობიო მიუშვა. ჩემს სოფელში გამიგონია **შავშურა**, ხაშრის



ლობიო. ვიკითხე, შავშურას არ თესავთ-მეთქი? არ ვიცი. **შავშურა**. დიახ, შავშეთიდან მოტანილ ხაშრის ლობიოს აჭარაში შავშურა უწოდეს, შავშეთში სხვა სახელით იცნობდნენ ალბათ. აი „ხაშრი ლობია“ რომ გვითხრეს, იქ „იგულისხმება“ შავშურაც.

შავშეთში **მიწინაპაძის//ქართოფის** ყანებსაც შეხვდებოდა კაცი.

ბაზგირეთში შ. ფუტყარაძეს ჩაუწერია კარტოფილის განსხვავებული სახელი - **კუმბატი**, - „სხუაგან ყართოფ ეტყვიანო“ (ფუტყარაძე, 1993:246).

ამრიგად, შავშეთში კარტოფილის აღსანიშნავად გვხვდება: **მიწინაპაძე** (აჭარაშიც იციან ეს ტერმინი), **ქართოფი** (<*კარტოფი<კარტოფილი), **კუმბატი**. ბარემ ვიტყვით, ტაოში კარტოფილს ეძახიან **მარქვალი//მარკვალი** (იხ. ტაო, 2020:1144), **ქართო**, **ქართოლი** (ტაო, 2020:1168).

ისტორიულად ცნობილია, რომ შავშეთი პურის ბეღელი იყო. დღეს მეთურქულე შავშეთის ნოყიერ ველებზე პური ითესებოდა... მოვიკითხეთ, ხორბლის რა ჯიშებს თესავდნენო აქ? **ყარაყირჩილი** (შდრ. შავთავთავიანი)! - იყო პასუხი.

სხვა?

სხვა არ ახსოვთ.

ხორბლის ძველი, ქართული ჯიშები შავშთა მეხსიერებას არ შეუნახავს. მიზეზი მრავალია, უპირველესად ის, რომ მოსახლეობის დიდმა ნაწილმა წინაპართა ენა დაივიწყა, ნაწილიც შეიცვალა, ახალ დროში კიდევ ხორბლის ახალი ჯიშები მოიტანეს... შესაბამისად, გაწყდა ისტორიული მეხსიერების ჯაჭვი...

გოგრას შავშები **მოჩოჩთას** ეძახიან, „სხვაგან **ყაბალ** ეტყვიანო“ - აგვიხსნეს. შემდეგ დააზუსტეს: [მოჩოჩთა] თეთრი და გზელი რომაა, იმა **ქესტანა** ქვია, თეთრი ყაბალი.

ქესტანა, **ყაბალი** - გოგრაა ზოგადად.

ქესტანა - გოგრის სახეობაა, „თეთრი და გზელი“, შდრ. აჭარული „წაბლა ხაპი“.

კოკლევში შ. ფუტყარაძეს ჩაუწერია ბოსტნეული მცენარეების სახელები:

ტომბატი (შდრ. თ. Domates) - პომიდორი, **ბიბერი** (შდრ. პიმპილი), **მარული** (შდრ. სალათი), **ქინზი** (<ქინძი), **მაიდანოზი** (შდრ. ოხრახუში), **წინმატი**, **თალგამი**, **ჭარხალა**, **ბოლოვი**, **შექერჭარხალა**, **ქონდარი**, **ლახანა** (იციან ფხალიც), **ხახვი**... (ფუტყარაძე, 1993:195).



საყურადღებოა, რომ ბოსტნეულის სახელები უმეტესად ქართულია: **ქინზი/ქინძი, წიწმატი, თალგამი, ჭარხალი, ბოლოკი, შექერჭარხალა, ქონდარი, ხახვი.**

ბალახი ბევრია შავშეთში, მოლი ზოგადად:

შავშმა იცის **ნანე** (თ. Nane) - პიტნა: „ყანეფში მოვკრეფთ ნანებს, ბალახია, შორვაში ჩაყვრით...“ (ზიოსი). პიტნას ბოსტანშიც თესავენ, ველადაც იზრდება.

დაბაწვრილში მოვიკითხეთ ბალახის სახელები:

აონჯა - ითესება, „ჩომას მიაართუმენ“.

სამყური - ბალახია, „ამოვა იშტე“. აჭარაში „სამყურად ბალახი“ ქვია: „სამყურას ვთესავთ, საქონლი ბალახისთვინ“ (ნოლაიდელი, 2015).

თივაქერად - გმელი/გზელი თივაა, ისა, ზინჭარი. თივაქერას ასახელებს ალ. მაცაშვილი, *Cunosurus cristatus*, ლეჩხუმური - კობლია (მაცაშვილი, 1991).

ხალი - „თაზე გეფდება“, იგივეა, რაც **ფანჯარი** (<*ბანჯარი?), **ხალი** (<მხალი?); საბა განმარტავს: **ბანჯარი** - სომხურია, მხალსა ქვიან (საბა, 1949).

ხალი//ბანჯარი//ფანჯარი - მხალია გარეული.

დილხვინა/დილხინა - ბალახია ერთგვარი, „სამკურნალო ბალახი“ (ფუტკარაძე, 1993). შავშური **დილხვინა/დილხინა** იგივე უნდა იყოს, რაც **დილხამი**, *Campanula glamerata*, მთიულური **დილხამა**, აჭარული **ჭარბადელო** (მაცაშვილი, 1991). „მხალეული მცენარე, მაღალმთიან ადგილებში, სათიბებში ხარობს, თოვლის გადნობის შემდეგ გაჩნდება, ჩვეულებრივ, ნათიბ ადგილებში. მისგან მხლის შეჭამანდს ამზადებენ ჩვეულებრივი წესით, შეიძლება, დაამწნილონ კიდეც“ (ნიჟარაძე, 1971). **დილხვინა** იგივეა, რაც **ლიხვინა**.

როგორც ვხედავთ, ერთი მცენარის აღსანიშნავად გვხვდება: **დილხვინა//დილხინა, დილხამი, ჭარბადელო, ლიხვინა**. დასახელებულთაგან, **ჭარბადელოს** გარდა, ერთი ფუძის ფონეტიკური ვარიანტებია.

ღვლო (>*ლოლო), „იყენებენ მხალეულ შეჭამანდში“ (ნიჟარაძე, 1971).

ღვლო, ლოლო განმარტებული აქვს ნ. ჩუბინაშვილს, როგორც **Конский шавель** (ცხენის შაველი) (ჩუბინაშვილი, 1961).

შავშეთში ტყის ველური მხალიც იციან. ბზათაში შ. ფუტკარაძე ჩაიწერს: **ჯივანაი** (ჯივანი სოფელია შავშეთში - ავტ.), **ფამფარაი, თელახარში, ჯაუნა** (შდრ. ჟაუნა<*ჟაუნა), **ხოზალიმა**. „ჯივანაი აჩული ჯავვა“ (ფუტკარაძე, 1993:277).



მანატბაში გვხვდება: **სკვანტლა ფორჩვი**, **ხოზადიძი**, **ხალი**, **ღიმი** (ატოლი, ჯავეს ჩავდებთ იმითა - ინფორმატორის განმარტება), **აჯორიკაი**, **ისპანაქი**, **ბოლოვი**, **ჭარხალა**, **იელხანა** (ესა მიწაში ყავას (თავს) იქს, თალგამივით არი“ (ინფორმატორის განმარტება), **ტიტა** - „იმისი ღერი იჭმება“ (ფუტკარაძე, 1993:269).

ქუბაი - ბალახია (უსტამისი). **ქუბი** - ჭვავი (საბა, 1949). ალ. მაცაშვილი ასახელებს ქუბაბა, piper cubeba (მაცაშვილი, 1991).

ქუბაი ჭვავის მსგავსი ბალახია.

ჟინჭარი - **ჭინჭარი** (რაც ჭინჭრავს), სახელი თვისების მიხედვით ჩანს შერჩეული. შდრ. აჭარული: **ჯინჭარი**, **ჟინჭარი**, ტაოური - **სუსხვაი** (რაც სუსხავს. ტაოელმა სხვაგვარად „გაიაზრა“ ჭინჭრის თვისება, ამიტომაც სახელიც განსხვავებული შეურჩია). **სუსხი** იციან შოლტისხევეშიც (იხ. ფუტკარაძე, 1993: 238).

იფხერი - გვიმრა. **იფხ'** საერთოქართველური ფუძეა (იხ. ჩანტლაძე, ნაკანი, 2014: 97). აჭარაში გვხვდება ადგილის სახელი **იფხლანა** (სხალთის ხეობა, ჭერი. იხ. სიხარულიძე, 1958: 100), მაჭახელში - **იფხნარი ღელე** (სიხარულიძე, 1958:129). ორივე სახელწოდებაში გამოიყოფა **იფხ'** ძირი.

იფხ' სახელური ფუძე დასტურდება აჭარულში, მაჭახლურსა და შავშურში.

პატიტაი - ბალახია ერთგვარი.

ყორანგალი - ბალახიაო შოლტისხეველმა მთხრობელმა.

ანწლი - გვხვდება მთელ დასავლეთ საქართველოში, სხვადასხვა ფონეტიკური ვარიანტებით: **ანწლიკა** (გურია, იმერეთი), **ანწელი** (ჭანეთი), **ინჭირია** (სამეგრელო), **განჭვ'** (სვანეთი). განსხვავებული სახელი აქვს ტაოში - „ყრალი მოლი“ (ტაო, 2020:1175).

ხოზადიმილაი - ჩავიწერეთ უსტამისში, ბალახიაო, თუმცა მისი იდენტიფიკაცია ვერ მოხერხდა.

შავშეთში იციან **მოცვი**,

თიყურძენაი (ვვიქრობთ, იგივეა, რაც მერცხალი, მოცხარი),

მაცვალი (შდრ. ტაოური ველაი),

წმინდა ბალახი,

ლაგადმარღვა (<***ბრავალმარღვა**, შდრ. აჭარული **მარღვამარღვა**, საერთოქართული - მრავალმარღვა),

ფართო ბალახი (შესაძლოა, იგივე იყოს, რაც ბულლო),



კატაბალახა (დასამობში ჩავიწერეთ **კატარა ბალახი** ვფიქრობთ, **კატარაბალახი > კატაბალახა**ს),

ფამფარა - ალ. მაცაშვილით **tragopogor** (მაცაშვილი, 1991), გვხვდება ქიზიყში, ლეჩხუმში, მესხეთში, ბალახია ერთგვარი (ღლონტი, 1984).

თის ბალახი - წამალიაო, გაურკვეველია, რომელი ბალახია.

თივრიფხალა < ***თივრიფხალა**?, იგივეა, რაც **კატარა**. შდრ. აჭარული კატარა ბალახი, იგივე **გლერძა**: „ხალხურ მედიცინაში კატარა ბალახს იყენებენ ხველის საწინააღმდეგოდ“ (ნიჟარაძე, 1971).

ალ. მაცაშვილთან დასახელებულია **გლერძას** შესატყვისები: **ღვლერძა** (ქართლური), **გლერჯა** (ჯავახური), **ქათირა** (ქიზიყური), **ეთეკა** (ხევსურული), **კუტეკალი** (კახური), **გლარჯანა** (გარე კახური), **ეკალბუჩქა** (მაცაშვილი, 1991), ამათ გვერდით - შავშური **თივრიფხალა** და **კატარა**.

ნეგო - ბალახია, იყენებენ სამკურნალოდ, იგივე **სუნველა**.

ნეგო იცის საბა-სულხანმა, თუმცა არ განმარტავს (საბა, 1949). ალ. მაცაშვილი დასახელებს **ნეგოს** შესატყვისებს: **უკვდავა**, **ლაწუნა**, **მთის ნეგო**, **სვარნა** (მაცაშვილი, 1991). მესხურ-ჯავახურში ნეგოს შესატყვისია **კრაზანა** (ღლონტი, 1984). **ნეგო** გვხვდება აჭარაშიც, „მთაზე ხარობს, ყვითელი ფოთლები და კამ სუნი აქ“ (ნოღაიძელი, 2015).


ჟაუნა < ***მჟაუნა** - გავტყელებულია მთელს საქართველოში (იხ. მაცაშვილი, 1991). აჭარაში **ჟაველა** (<მჟაველა) ქვია. თავკიდურა მ' დაკარგულა (ჟაუნა<მჟაუნა, ჟაველა<მჟაველა), რაც ნორმაა სამხრული დიალექტებისათვის.

სხვა ბალახები:

ვირისაკვნეტელა, **ლინჭრულა**, **სამყურა**, **ზუზუნა**, **კირკატი**, **ნარაი**//**ნარი**, **ეკლიკაკამ**, **მაცრუებელა** („არ ჭამო, დაყრუვდები“ - ინფორმატორის განმარტება) (ფუტკარაძე, 1993:195).

შ. ფუტკარაძე მაჩხატეთში ჩაიწერს ბალახებს:

ღიმი, **ხოზადიმი**, **ჯარიფურაი**, **ლინჭლოლაი**, **თივაქერაი**, **თელახარში**, **ბულღო**, **სამყური**, **ჯაუნაი** (შდრ. ჟაუნა), **ნარი**, **სკვანტილაი**, **ქონდარი**, **ხალი**, **ბაბაყველაი**, **მასტუმრაი**, **სათოვლიაი** (ამუა თეთრი ყუავილი, გზელი), **ფაფათია**, **გრილაი**, **ქარქვეტი**, **გლერზაი** (ფესვები აქ გზელი, ნაყვენ, აჭმევენ საქონელ, ზალიან კარქია - ინფორმატორის განმარტება), **ღვალო**, **ჯინჭარი**, **ლენცოფაი**, **ანწლი**, **ჯახანდარი**, **დილხვინა**, **მოლოქაი**, **ზაღლიმარწყუაი** (ფუტკარაძე, 1993:260).



წეთილეთში: **დიმი, ხოზალიმი, დილყინა** (სხვაგან - დილხვინა - ავტ.),
თელახარში, ბულლო, დვალო (ფუტკარამე, 253).

ბალახების სახელებს ვეცნობით შავშეთში, პირველი შთაბეჭდილება, რაც დავგრჩა, აბსოლუტური უმრავლესობა ქართულია, თითო-ოროლა თუ შებგვდება არაქართული, უფრო თურქული. ბალახებს არ შებგვბია თურქულის გავლენა, რაც მნიშვნელოვანია. მცენარეთა სახელები შავშური ლექსიკის ის უბანია, რომელსაც ყველაზე ნაკლებად შებხო ასიმილაციის პროცესი...

§7. ტყის მცენარეები შავშეთში

შავშეთის ტყეებში მრავალფეროვანი ფლორა ხარობს, რომელთა სახელწოდებები საინტერესოა მრავალი თვალსაზრისით:

ნაზვი (<ნაძვი), **სოჭი**, **ვერხვი**, **ცხემლა//ცხრემლა**, **კატარი**, **ლევი** (შდრ. აჭარული **ლევიხე**, ქვემოაჭარული - **ლეკმაკერჩხი**),

კო (<რკო, მუხა), - სახელდებულია ნაყოფის მიხედვით. აღვნიშნავთ, რომ **კო//რკო მუხის** მნიშვნელობით მხოლოდ სამხრულ მეტყველებაში დასტურდებრა.

წიფელაა,

ღვია, - ბუჩქოვანი მცენარე,

დგნალი - „ხე, ფურცლიანი, „წნორის ჯიშის ხეა“ (დლონტი, 1984).

შავლეკო - თეთრი ხეა, **უხრავი**, იფნი (//იფანი), **თხმელა**, **იხლამური** (იციან ცაცხვიც - ავტ.), **უზანი** - სულხან-საბა განმარტავს: უზანი - ხე (საბა, 1949).

ჭანდარი, **ქორავი**,

აზრავი, - „...მეისხამს კაკალსა და ვსჭამთ. დამწიფებამდე მრეშათ არი, დამწიფდება კი ყუმრალი გახთება, თუელზე მწიფდება“ - ინფორმატორის განმარტება (ფუტკარამე, 1993:270).

დათვიბაბაი, **მუშმულაი**, **ჯოლი**, **წყავი**, **ეკლიკაკაი**...

ზოგიერთი განმარტება:

აზრა//აზრავი - გარეული, ტყის კენკროვანი მცენარე (ფუტკარამე, 1993).

მუშმულა - **ზღმარტლი**: „... დაბალი ხეა, ეკლები აქ“ - ინფორმატორის განმარტება.

ჯოლი - **ჟოლი** (თუთა). შდრ. ტაოელისათვის „ჯოლა - გარეული თუთაა, „დაბანი ჯოლაა, სახლის - თუთა“ (ტაო, 2020:1190).

მერცხალი - **მოცხარი**.



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეკლიკაკაი - ასკილი.

ყუმრალი<ყომრალი - „თურქ. კუმრალ, - მუქი ნაცრისფერი, „ლეგა“ (ქეგლ).

ტყის მცენარეების სახელები მოვიტანეთ, სხვაც იქნება ალბათ შავშეთის ტყეებში, რომელთა გახსენება ჩვენმა ინფორმატორებმა ვერ შეძლეს. მთავარი ისაა, რომ ყველა სახელი ქართულია. სახელდებისას ზოგჯერ შავში სხვა ნიშანს მიაქცევს ყურადღებას, რაც საინტერესოა: **მოცხარს მერცხალი** უწოდა შავშმა: ნაყოფი აქვს მერცხლის თვალივითო, აგვიხსნეს. ვფიქრობთ, კარგად შერჩეული ნიშანია. **ასკილს** კიდევ **ეკლიკაკაი** უწოდეს. აქ გათვალისწინებულია, რომ მცენარე ეკლიანია და ისხამს კაკლებს.

ჯოლი - ჟოლი, - ერთი სიტყვის ფონეტიკური სახესხვაობებია, ტაოელმა სხვადასხვა მნიშვნელობა მოუძებნა..

წმ. სოკო შავშეთში

რამდენიმე სოკოს სახელიც ჩავიწერეთ შავშეთში:

ცხვარა - ხის თეთრი სოკო. „ცხვარას ეძახიან იმა, გურჯიჯა ცხვარაჲ ქვია და... იმა ქი მოკრეფენ, მოხარშვენ და დაღში მოხრაკავენ დეშილი ხახვის ერთად“ (ბაზგირეთი). სოკო მიმსგავსებულია ცხვრის მატყლთან: „ცხუარის მატყლივით იქნება“ (ფუტკარაძე, 1993:270).

შ. ფუტკარაძე მანატბაში ჩაიწერს:

ხოზოყურაჲ - „ბუზგი ზირებში დაწოწოლდება, ავიდრებში, გაზაფხულზე“.

ბუზგი ზირები<ბუძგი ძირები.

ბუძგი - იგივეა, რაც **ბუწვი**. სულხან საბა განმარტავს: „**ბუწვი** - დაბალი ჩირგი“; **ჩირგვი** კიდევ „ცუდი ბუჩქია“ (საბა, 1949).

ტიტაჲ - „ყვითელი რენგი აქ, მიწაზე ამოდის“ - განმარტავს მთხრობელი (ფუტკარაძე, 1993:270).

ცხვარა, ხოზოყურაჲ, ტიტაჲ - მსგავსების მიხედვითაა სახელდებული.

მცენარეთა სახელები მოვიყვანეთ შავშეთიდან, რაც სხვადასხვა დროს ჩავიწერეთ ჩვენ თუ სხვა მკვლევრებმა. ბუნებრივია, სხვაც იქნება ფლორონიმები შავშეთში, ბოსტნეულის, ბალახების თუ მერქნიანი ხეების სახელები, მასალების შეკრება მომავალშიც უნდა გაგრძელდეს, განსაკუთრებით მეთურქულე შავშეთში. ბარემ ვიტყვით, რომ ხშირად



როდესაც ვკითხულობთ ფლორის სახელებს, თურქულს, გვეუბნებიან, ჩაკითხვის შემდეგ კი - ქართულსაც „იხსენებენ“. რას ვხედავთ უპირველესად მოყვანილ მასალაში? მცენარეთა სახელების აბსოლუტური უმრავლესობა ქართულია, რაც მნიშვნელოვანი ფაქტია, - შავშეთში ჯერაც ახსოვთ მცენარეული საფარის ქართული სახელები. აღვნიშნავთ იმასაც, რომ შავშური სახელები ანალოგს პოულობენ საქართველოს სხვა კუთხეების, უპირველესად ჭოროხის ქვეყნების ფლორონიმებთან.

მცენარეთა სახელები უპირველესად საინტერესოა სახელდების თვალსაზრისით, სხვაგვარად, რა ნიშნის მიხედვით უწოდა სახელმდებელმა მცენარეს სახელი:

- ნაყოფის ფერი: თეთრი ყურძენი, წითელი ვაშლი...
- ნაყოფის ფორმა: წოწოლა ვაშლი, წოწოლა მსხალი...
- შედარება-მსგავსება: ცხვარა სოკო, მერცხალი...
- თვისება: კატარა ბალახი, თივრი ფხალად, წმინდა ბალახი...
- წარმომავლობა: თიყურძენად, თის ბალახი, მიწიხაპად, აგარელად...

სხვა ნიშნებიც ეძებნება მცენარეებს სახედებისათვის. შესამჩნევია ისიც, რომ სახელდებისას უპირველესად ითვალისწინებენ მცენარის ნაყოფს. თუ მთელს საქართველოში მუხას მუხა ქვია, შავშეთსა და ჭოროხის სხვა ქვეყნებშიც - კო//რკო; მთელს საქართველოში ასკილია ცნობილი, შავშეთში ეკლიკაკაი ქვია... ვფიქრობთ, ეს მნიშვნელოვანი ფაქტია მცენარეთა სახელების შესწავლისათვის. სახელდების ნიშანი ხშირად არ ჩანს. ჩვენთვის გაურკვეველია, რატომ უწოდეს ქლიავის ერთ სახეობას დედოფალად//დოდოფალად (გვხვდება შავშეთში, აჭარასა და კლარჯეთში)...

მასალებიდან ჩანს, რომ შავშეთში ვაშლისა და მსხლის მრავალფეროვნებაა, ზოგიერთი ხილის სახელწოდება ზოგადია: თეთრი ყურძენი, შავი ყურძენი... ამ „თეთრისა“ და „შავის“ უკან შეიძლება ვაზის მრავალი ჯიში „იმალებოდეს.“ აქვე ვიტყვით, რომ ისტორიული შავშეთი, უფრო აწინდელი მეთურქულე შავშეთი განთქმული იყო პურის ყანებით, ბუნებრივია, იქნებოდა პურის ქართული ჯიშებიც, ცუდია, რომ შავშებს არ ახსოვთ ხორბლის ძველი ჯიშები, დაივიწყეს. იქნებ მომავალში შეივსოს ეს ხარვეზი.

მცენარეთა სახელები სხვადასხვა ფონეტიკური სახესხვაობით მეორდება აჭარაში, კლარჯეთსა და ტაოში, რაც კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ჭოროხის აუზი ერთიანი კულტურული სივრცეა.

თავი 5. მასალები პირუტყვის სახელებისათვის შავშეთიდან

შავშებს უყვართ შინაური საქონელი, განსაკუთრებით ჯარი//ხარი და ძროხა. ხარი სიამაყეა აქაური კაცისათვის, ოჯახის ძალის მიმცემი, ძროხა კიდეც - მარჩენალი. განსაკუთრებული სიყვარულითა და მოკრძალებით ექცევა აქაური კაცი პირუტყვს: შავში საქონელს თივას კი არ დაუყრის, არამედ - მიართუმს: „მოლი ბევრია, მოჭარ და მიართვი ჩომას“, - გვითხრა ერთმა იმერხეველმა ქალბატონმა. სიამაყით მოგვითხრობენ შავშეთში, რომ წინათ სოფელში სამასი ჯარი იქნებოდა, რომელსაც ზაფხულობით მთებში, ღრუბლებს მაღლა გამართულ საძოვრებზე მიერეკებოდნენ, იქ სადაც ჯარის საწოლია//ჯარი დათაღია...

შავშეთის სოფელში მოგვითხრობენ ტბაში მცხოვრები ხარის შესახებ. სხვადასხვა ვარიაციით თქმულება საქართველოს არაერთ კუთხეში გვხვდება, მათ შორის ჭოროხის ქვეყნებშიც. შავშეთში ასეთი ამბავი ჩავიწერეთ: „ბუღა და გოგო ყოფილა გოლში. [გოგოს] თმები ასე ჩასული აქო, წელზე ასხია ნაწნებიო და... მიქელეთში ამოდულს ცხელი წყალი, ქვიებს ყრის გარეთ, ახლოს ვერ მიხვალ. [ქალები] ჩაჟდებიან და უშვილოს შვილი ეყოლვის“.

პირუტყვისადმი შავშთა დამოკიდებულება შერქმეულ სახელებშიც ჩანს.

§1. ფურის სახელები შავშეთში

როგორც წესი, ახალდაბადებულ ხბოს სახელს შეარქმევდა პატრონი. ყურადღებას იქცევს პირუტყვის სახელები, განსაკუთრებით სახელდების თვალსაზრისით.

ნაზლია - ნაზლი ქალის სახელია, მოფერებით ფურსაც არქმევენ.

ყირმიზა, შდრ. წითელა, - ფურის მიხედვით შეურქმევიათ სახელი.

სარიყიზა, შდრ. ყვითელი გოგო.

გული ყიზა, თ. Gül - ვარდი, kiz - გოგონა: გულიყიზა - ვარდი გოგო(?).

ჩიმენა(?)

ჩიჩეგა, შდრ. ქართული „ყვავილი“.

სადილა - სახელდებულია დაბადების დროის მიხედვით: სადილობისას დაბადებული.

ზარმელა - ზარმელი „შუადღის უკან ჭამადი“ (საბა, 1949). სამხრობისას დაბადებული.

აპრილამ - აპრილში დაბადებული.

მაისამ - მაისში დაბადებული.

ტაღდაგულამ - ***დაღდაგულამ** - მთის ყვავილი.

ბაღდაგულამ, შდრ. ბალის ყვავილი.

დესტომ(?)

ფინარი, შდრ. წყარო.

ჩიდემამ(?)

სათუთამ, შდრ. „უტუქსარად ზრდილი“ (საბა,1949), მოფერებით ნაზარდი.

ფუტამ - ფუტი კვამლია სამხრულ დიალექტებში.

აინალამ(?).

გუზელამ - შდრ. ლამაზამ, გავრცელებული სახელია აჭარაშიც.

ჯილველამ - არ. Cilve, cilveli - უმშვენიერესი, მომაჯადოებელი, კელუცი (ფუტკარამე, 1993).

ფაქომ - ფაქი. შდრ. ფაქიზო. სპ. Pak - სუფთა, უცოდველი, შეუბრაღავი (ფუტკარამე, 1993).

სონგულამ (?)

ფირინჯამ (<*ზირინჯი) თ. Birinci - პირველი.

სეიღანამ (?)

ნიკორამ - გარეგნული ნიშნით სახელდებული.

ჩინარამ - ჩინარი ჭადარია იგივე. ძნელი სათქმელია, რატომ შეადარა ფური ჭადარს სახელმდებელმა.

ლიმონამ - ფერის მიხედვით სახელდებული.

ნარიყიზამ თ. Nari - ბროწეული, kiz - გოგონა: ბროწეულის გოგონა(?).

გოგჩეგამ(?)

გოგარჩინამ(?)

ვახშამამ - ვახშმისას დაბადებულს შეარქმევენ ხოლმე.

ისიამ(?)

დოვლეთამ, - აჭარაში გვხვდება **დოვღათამ**.

ნერგიზამ, - ქალის სახელია ნერგიზი<*ნარგიზი, მოფერებით ფურსაც ეძახიან.

ქექლიგამ (?)

აინაგულამ, - აინაგული ქალის სახელია, მოფერებით ფურსაც არქმევენ.



მაშალაძე, - „ძროხის სახელი, შერქმეული იმ მიზნით, რომ პირუტყვს თვალი არ ეცეს“ (ნიჭარაძე, 1971), არ გაითვალის. შდრ. მაშალა (არაბ.) შორისდებული, „თვალი არ ეცეს, ჯვარი წერია, ყოჩაღ, ვაშა, ბარაქალა, აფერუმ“ (ნიჭარაძე, 1971).

სანთელაძე - სანთლის მსგავსი. სანთელაძე ხარის სახელადაც შეგვხვდა.

ფუნჯულაძე - ქოჩორა, ულვაშა, მოფერებითი სახელია.

ფურის სახელებში უკუფენილია შავშის შინაური საქონლისადმი დამოკიდებულება, სახელების უმეტესობა მოფერებით-ალერსობითია... ზოგჯერ მოფერებით ისეთ სახელსაც შეურჩევს ხბოს, რომლის მნიშვნელობას თავადაც ვერ აგისხნით სახელმდებელი...

§2. ჯარის//ხარის სახელები შავშეთში

შავშები ხარებს განსაკუთრებული მოწიწებით ექცევიან. იგი შავშური ოჯახის დამხმარე ძალაა, ამასთან სიამაყის საგანი: უყვართ შავშებს მუხლმაგარი ხარი, სხვის ხარს რომ დაამარცხებს „ჭედვაში“. ჯარების შეჯიბრი კიდევ ყოველწლიურად იმართება... განსაკუთრებით ეშხადებიან ამ დღისათვის და ამხადებენ თავიანთ „ფალავანსაც“ ხარის პატრონები. სახელსაც შესაბამისს ურჩევენ პირუტყვს:

აიდინაძე - მამაკაცის სახელია, თ. Aydin - ნათელი, მზიანი.

დილბერაძე - მამაკაცის სახელია, სპ. Dilber - ლამაზი, შდრ. ქართული ლამაზაძე, ოღონდ ეს უკანასკნელი ფურის სახელია.

სოითარი - თ. Soytari - მასხარა, კლოუნი.

იეთერაძე - თ. Yeter - საკმარისი, სამყოფი.

ალთუნ - თ. Altin - ოქრო. მამაკაცის სახელიცაა ოქრო, ალთუნი კიდევ - ქალის.

მურეშაძე შდრ. მრეში, სახელდებულია ფურის მიხედვით. „მურეშა - წითელი-შავი (საბა, 1949).

სარიაძე - შდრ. ყვითელაძე.

თვარიაძე//თუარიაძე<მთვარიაძე - მსგავსება-შედარების მიხედვით შერქმეული.

ნიკორაძე - სახელდებულია გარეგანი ნიშნის (ნიკორის) მიხედვით.

ბოზოძე - შდრ. თ. Boz - რუხი, ლეგა (ნიჭარაძე, 1971). შევნიშნავთ, ლაზურში ბოზო - გოგოს ნიშნავს (თანდილავა, 2013). ვფიქრობთ, უფრო ფურის მიხედვითაა შერჩეული ხარის სახელი.



გუმიშაი თ. Gümüş - ვერცხლი. გუმიშაი მამაკაცის სახელადაც გვხვდება, უფრო კომპოზიტიში გუმიშახმედი (შდრ. ვერცხლი ახმედი).

მარტაი - მარტში დაბადებული ხარის სახელია.

შავარდენაი < ***შევარდენაი**, - „მტაცებელი ფრინველი საშუალო ზომისა“ (ქეგლ). შევარდენი თვისებების მატარებელი, - სახელდება მსგავსება-შედარების მიხედვით. სახელდებისათვის გამოყენებულია დიალექტური ფორმა „შავარდენი“.

ჩახალაი თ. Çakal - ჩაჯალ'ი, ტურა. ძნელი წარმოსადგენია, რატომ შეადარა ტურას ხარი სახელმდებელმა. აღვნიშნავთ, რომ იმერულში გვხვდება ჩახალა, რომლის მნიშვნელობაა ხიბორკალი (დლონტი, 1984). ეს უკანასკნელი ქეგლში ასეა განმარტებული: „სამფეხა დაზგა, რომელზედაც ჩამოდებულია ხარის ფეხების გასაკვრელი უღელი (დაჭედვის დროს). შავშურმა ჩახალა ამ მნიშვნელობით არ იცის. შ. ნიჟარაძე ხარის სახელს **ჩახალა** ადასტურებს აჭარულში და განმარტავს: „განსხვავებული ფერის ზოლები რომ დაყვება სახეზე“ (ნიჟარაძე, 1971). ვფიქროთ, შ. ნიჟარაძის განმარტებამ გარკვეული ნათელი მოფინა ხარის სახელს.

ყემერაი (?)

ზორბაი, შდრ. ზორბა - წარმოსადეგი, დიდი, მოსული (ქეგლ). აღნაგობის მიხედვით სახელდება.

ბაზარაი (< ***ფაზარაი**? **ბ:ფ** მონაცვლეობით), თ. Pazar კვირა: კვირას დაბადებულს შეარქვეს **ბაზარაი**.

ჯუმარდი < ***ჯომარდი**; ჯომარდი, სპ. ჯავანმარდ: გულადი, ყოჩალი, ჩაუქი, ქველი (ქეგლ). **ჯუმარდი** ხარის სახელად გვხვდება აჭარაშიც (ნიჟარაძე, 1971). თვისების მიხედვით შერქმეული სახელი.

ასლანაი, შდრ. თ. Aslan ლომი. **ასლანაი** იგივეა, რაც **ლომა**. აჭარაში დასტურდება **ლომი** - ხარის სახელი (ნიჟარაძე, 1971). შედარება-მსგავსების მიხედვით შერქმეული სახელი.

სანთელაი - სანთლის მსგავსი. სანთელას ფურსაც არქმევენ.

ყარაფილაი შდრ. თ. Karanfil მიხაკი. **ყარაფილაი** - მიხაკისფერი. შ. ნიჟარაძე აჭარაშიც ადასტურებს ხარის აღნიშნულ სახელს და განმარტავს: „წაბლისფერი ხარის სახელი“ (ნიჟარაძე, 1971).

ჩინარაი - ჩინარი ჭადარია იგივე. ჩინარაი ფურის სახელადაც შეგვხვდა.

ყარაგოზი - შდრ. შავთვალა.

თვარი - შედარება-მსგავსებით შერქმეული სახელი.



ჩაქმანაა(?)

ზორთენაა - **ზორი** ძალასაც ნიშნავს სპარსულად, იხმარება სამხრულ კილოებში. **ზორთენაა** იქნებ სიძლიერის აღმნიშვნელია?!

ქიბარაა შდრ. არაბული ქიბარი: თავმომწონე, ამპარტავანი, ამაყი, ქედმაღალი, პატივმოყვარე (ნიჟარაძე, 1971). თავმომწონე და ამაყი ხარის სახელია **ქიბარაა**. ამ სახელის მატარებელ მამაკაცებსაც ვხვდებით სამხრეთ საქართველოში.

აღვნიშნავთ, რომ შინაური პირუტყვის სახელებს სამხრეთ საქართველოში კრებდნენ შ. ნიჟარაძე (იხ. ნიჟარაძე, 1971), შ. ფუტკარაძე (იხ. ფუტკარაძე, 1993), ჯ. ნოლაიძელი (იხ. ნოლაიძელი, 2015), ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის მუდმივმოქმედი კომპლექსური ექსპედიციის წევრები. მნიშვნელოვანია, რომ პირუტყვის სახელები აჭარაში, შავშეთში, კლაჯეთში, ტაოში ხშირად მეორდება: სახელმდებელი ერთსა და იმავე ნიშანს გამოარჩევს სახელდებისას, რაც კიდევ ერთი დასტურია, რომ ჭოროხის აუზი ერთიანი კულტურული სივრცეა...

შავში მისდევდა მესაქონლეობას, ინახავდა ხარსა//ვარსა და ძროხას, ზაფხულობით იალაღებზე დაუდიოდა საქონელი: ფურები ცალკე მაილებზე, ვარები//ხარები ცალკე, მალლა მთებში, ნისლებს ზემოთ, იქ სადაც ხარის საწოლია (ხარი ძათადი, როგორც ახალ დროში ეძახიან). შავში უვლიდა, ევერებოდა ოჯახის მარჩენალ საქონელს, სახელს არქმევდა, სახელდებისას გარკვეულ ნიშანს შეარჩევდა და შესაბამის სახელს უწოდებდა ახალშობის „მოცედს“ (მოცედი - საფურე ხბო. საბა, 1949) თუ „ბოჩოლას“ (ბოჩოლა - საჯარე ხბო. საბა, 1949). სახელის დარქმევისას სახელმდებელი ითვალისწინებდა:

ა. ხბოს დაბადების დროს: ზარმელაა, სადილაა, ვახშამაა, მაისაა, აპრილაა, იანვარაა...

ბ. გარეგნულ ნიშანს, ფერს: ნიკორაა, წითელაა, ნათელაა, ყარაგოზი (შდრ. შავთვალა), სანთელაა...

გ. სახელდებისას მიმართავდა მსგავსება-შედარებას: თუარიაა, ყარაფილაა (ყარაფილი - მიხაკი), ჩიჩეგაა (ჩიჩეგი - ყვავილი), ფინარი (წყარო)...

დ. ზოგჯერ პირუტყვის სახელდებისას ადამიანის სახელსაც გამოიყენებდა: ნაზლიაა, ალთუნაა, დიღბერაა...



ე. სხვადასხვა ეპიტეთით ამკობდა მომავალს ფურს (თჯანში დოვლათის შემომტანს) თუ ჯარს//ხარს, - გამწევ ძალას და ოჯახის სიმღიერის განმსაზღვრელს: ჩიჩეგად (ყვავილი), დაღდაგულად (მთის ყვავილი), ბაღდაგულად (ბაღის ყვავილი), სათუთად („უტუქსარად გაზრდილი“ - საბა, 1949), შევარდენად...

პირუტყვის სახელები ქართულიცაა და თურქულიც, უფრო თურქული ჭარბობს შავშური ლექსის ამ უბანზე, რაც განსხვავებულ კულტურასთან ხანგრძლივი ურთიერთობის შედეგია. სახელდების პრინციპი, - გარკვეული ნიშნის გათვალისწინებით სახელის შერჩევა, დაცულია.

დაბოლოს, შინაური ცხოველების სახელების უმეტესობა გამჭვირვალეა, ზოგიც ძიებას მოითხოვს. დასაზუსტებელია სახელდებისას გამოყენებული ზოგიერთი ნიშანიც.

პირველი ნაწილისათვის გამოყენებული ლიტერატურა

აბულაძე, 1973 – ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბ.

აფროდონიძე, 2002 – შუქია აფროდონიძე, ჩვენი ენა ქართული, თბ.

ახვლედიანი, 1949 – გიორგი ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ.

ბარამიძე, 2010 – მაია ბარამიძე, შავშური კილოს ლექსიკიდან. XXX რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბ.

გამყრელიძე, მაჭავარიანი, 1965 – თამაზ გამყრელიძე, გივი მაჭავარიანი, სონანტა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ.

გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961 – ივანე გიგინეიშვილი, ვარლამ თოფურია, ივანე ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ.

გოგოლაშვილი, 2010 – გიორგი გოგოლაშვილი, ქართული ზმნა, თბ.

გურგენიძე, 1973 – ნანა გურგენიძე, აღმოსავლური წარმოშობის ლექსიკური ერთეულები აჭარულსა და გურულში, თბ.

გუჯეჯიანი, 2007 – როზეტა გუჯეჯიანი, ერთი საერთო ქართველური ენობრივი კულტურული ტერმინის შესახებ „ქორი. ქართველური მემკვიდრეობა, XI, ქუთ.

დეველიოღლუ, 1998 – Ferit Develioğlu Osmanlıca – Türkçe Ansiklopedik Luğat, 15, Baskı, Ankara.

ვახუშტი 1973 – ვახუშტი ბაგრატიონი, ქართლის ცხოვრება, IV, თბ.

თოფურია, 1963 – ვარლამ თოფურია, ქართველურ ენათა დიალექტების შესწავლის მდგომარეობა და ამოცანები. ქესს, III, თბ.

კიკნაძე, 1961 – ლევან კიკნაძე, უწყვეტლის ხოლმეობითის მწკრივი. თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 7, თბ.

კობიაშვილი, 1976 – ლ. კობიაშვილი, არჩილიანის ფონეტიკურ-მოფოლოგიური თავისებურებანი. მაცნე/ე #1, თბ.

კუკულაძე, 1990 – თამარ კუკულაძე, მაჭახლის ხეობის ტოპონიმი. ადღლ, VII, თბ.

ლეჟავა, 1958 – ლია ლეჟავა, ზემო იმერულის მასალები ერთი სოფლის მცხოვრებთა მეტყველების მიხედვით. იკე, IX-X, თბ.

ლექსიკონი, 2001 – თურქულ-ქართული ლექსიკონი, სტამბული.



ლექსიკონი, 2005 – Türk Dil Kurumu Türkçe Sözlük, Ankara.

ლექსიკონი, 2005(1) - Türkçe Sözlük, Ankara, 2005, 10 Baskı.

მანჯგალაძე, 1953 – ალექსანდრე მანჯგალაძე, **-ურ** სუფიქსისათვის ძველ ქართულში. იკე, V, თბ.

მანჯგალაძე, 1956 – ალექსანდრე მანჯგალაძე, ა ხმოვანზე დასრულებული ზოგი სახელის აგებულებისათვის ქარ-თულში. სახელთა ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში. თბ.

მარტიროსოვი, 1953 – არამ მარტიროსოვი, ზმნისწინის შედგენილობა და ფუნქციები ძველ ქართულში. იკე, V, თბ.

მარტიროსოვი, 1964 – არამ მარტიროსოვი, ნაცვალსახელი ქართველურ ენებში, თბ.

მარტიროსოვი, 1972 – არამ მარტიროსოვი, ქართული დიალექტოლოგიის ისტორიისათვის, თბ.

მარტიროსოვი, 1984 – არამ მარტიროსოვი, ქართული ენის ჯავახური დიალექტი, თბ.

მგელაძე, 2010 – ვლადიმერ მგელაძე, სახლი და კარ-მიდამო ზემო აჭარაში. ხ. ახვედიანის სახ. მუზეუმის მაცნე, 3, ბათ.

მელიქიშვილი, 2001 – დამანა მელიქიშვილი, ქართული ზმნის უღვლილების სისტემა, თბ.

ნიჟარაძე, 1957 – შოთა ნიჟარაძე, ზემოაჭარულის თავისებურებანი, ბათ.

ნიჟარაძე, 1971 – შოთა ნიჟარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა, ბათ.

ნოზაძე, 1998 – ლია ნოზაძე, ხმოვანმონაცვლე ზმნათა წარმოების ზოგი საკითხი ქართულში. ქეს VII, თბ.

ნოლაიდელი, 1936 – ჯემალ ნოლაიდელი, აჭარა დიალექტოლოგიურად, ბათ.

ორბელიანი, 1949 – სულხან საბა ორბელიანი, სიტყვის კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი. ს. იორდანიშვილის რედაქციითა და წინასიტყვაობით, თბ.

როგავა, 1963 – გიორგი როგავა, მახვილის საკითხისათვის ქართულში. ქეს III, თბ.

სარჯველაძე, 1980 – ზურაბ სარჯველაძე, ძველი ქართული წერილობითი ძეგლების მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიული დიალექტოლოგიისათვის (საკითხის დასმა). მრავალთავი VIII, თბ.



სარჯველაძე, 1984 – ზურაბ სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ.

სარჯველაძე, 1995 – ზურაბ სარჯველაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ.

სახოკია, 1979 – სახოკია თ. ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი. გამომცემლობა „მერანი“. თბ.

სევორთიანი, 1955 – Э. В. Севортян, Фонетика Турецкого Литературного Языка. М.

სურმავა, 1989 – ნარგიზა სურმავა, ზმნის პირთა რიცხვის აღნიშვნის ისტორიიდან (XVI-XVIII სს ქართული საბუთების მიხედვით). იკე XXVIII, თბ.

სუხიშვილი, 1986 – მურმან სუხიშვილი, სუბიექტური პირველი პირის პრეფიქსისათვის ქართველურ ენებში. იკე, XXV, თბ.

უთურგაიძე, 1986 – თედო უთურგაიძე, ქართული ენის სახელის მორფონოლოგიური ანალიზი, თბ.

უთურგაიძე, 2001 – თედო უთურგაიძე, გრამატიკული კატეგორიებისა და მათი ურთიერთმიმართებისათვის ქართულ ზმნებში, თბ.

ფალავა, 1995 – მამია ფალავა, აჭარულის ბგერითი შედგენილობიდან 1. ა ბგერა აჭარულში. ბსუ შრომები, I, ბათ.

ფალავა, 1999 – მამია ფალავა, ენობრივი სიტუაციის შესახებ ისტორიულ სამხრეთ საქართველოში. კრ. ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, ბათ.

ფალავა, 2002 – მამია ფალავა, უმლაუტი სამხრულ კილოებში. რსუ მ. აბაშიძის სახ. სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის კრებული, II, ბათ.

ფალავა, 2002(1) – მამია ფალავა, რ'ს დაკარგვა სამხრულ კილოებში. რსუ მ. აბაშიძის სახ. სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის კრებული, III, ბათ.

ფალავა, 2003 – მამია ფალავა, მახვილის საკითხისათვის სამხრულ კილოებში. ენათმეცნიერების საკითხები, 2, თბ.

ფალავა, 2004 – მამია ფალავა, ქართული ენის სამხრული კილოების ფონემატური სტრუქტურა. სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი, თბ.

ფალავა, 2004(1) – მამია ფალავა, ე სამხრულ კილოებში. ბსუ შრომები, VI, ბათ.

ფალავა, 2005 – მამია ფალავა, ფარინგალური ჯ იმეხეულში. XXV რესპუბლიკური დიალექტური სესიის მასალები, თბ.

ფალავა, 2007 – მამია ფალავა, უმარცვლო უ სამხრულ კილოებში. რსუ შრომები, X, ბათ.



ქართული
ენების
სწავლის
სამხრული
კვლევების
სამხრული
კვლევების
სამხრული
კვლევების



ფაღავა, 2009 - მამია ფაღავა, ნაწილაკი ახალ ქართულში, თბ.

ფაღავა, 2010 - მამია ფაღავა, ძველი ქართული ლექსიკა სამხრულ კილოებში. XXX რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სესიის მასალები, თბ.

ფაღავა, 2011 - მამია ფაღავა, თანდებული შავშურში. ლინგვისტური ქართველოლოგიისა და აფხაზოლოგიის პრობლემები, ტ. III, თბ.

ფაღავა, ცინცაძე, 2005 - მამია ფაღავა, მერი ცინცაძე, კალკების საკითხისათვის სამხრულ კილოებში (წინასწარი შენიშვნები). სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, კრებული, IV, ბათ.

ფუტკარაძე, 1987 - ტარიელ ფუტკარაძე, მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნებისათვის სამხრულ-დასავლურ დიალექტებში. ადდლ, VI, ბათ.

ფუტკარაძე, 1993 - შუშანა ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათ.

ფუტკარაძე, 1995 - შუშანა ფუტკარაძე, ქართული ენის სამხრულ-დასავლური დიალექტების თავისებურებანი ისტორიული ტაო-კლარჯეთისა და მუჰაჯირი ქართველების მეტყველების მიხედვით. სადისერტაციო მაცნე, თბ.

ქავთარაძე, 1949 - ივანე ქავთარაძე, მოხეური დიალექტი ყაზბეგის ენაში. თსუ შრომები, XXXV-B, თბ.

ქავთარაძე, 1954 - ივანე ქავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ქართულში, თბ.

ქავთარაძე, 1964 - ივანე ქავთარაძე, ქართული ენის ისტორიისათვის (XII-XVIII სს), I, თბ.

ქავთარაძე, 1973 - ივანე ქავთარაძე, ზოგი სიტყვის აღნაგობისა და ისტორიისათვის ძველ ქართულში. იკვ, XVIII, თბ.

ქავთარაძე, 1985 - ივანე ქავთარაძე, ქართული ენის მოხეური დიალექტი, თბ.

ქეგლ - ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I-VIII, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით. თბ. 1950-1964.

ღლონტი, 1984 - ალექსანდრე ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბ.

შანიძე, 1973 - აკაკი შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ.

შანიძე, 1981 - აკაკი შანიძე, ნაშთები მესამე პირის ობიექტური პირის პრეფიქსის ხმარებისა ხმოვნების წინ ქართულ ზმნებში. თხზ. 12 ტომად, ტ. II, თბ.



ჩანტლაძე, 2010 – იზა ჩანტლაძე, განუსაზღვრელობით და უარყოფით ნაცვალსახელთა ფუნქციურ-ფორმოზრივი მიმართებისათვის ქართული ენის დასავლურ დიალექტებში. XXX რესპუბლიკური დიალექტური სამეცნიერო სესიის მასალები, თბ.

ჩიქობავა 1942 – არნოლდ ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ.

ჩიქობავა 1964 – არნოლდ ჩიქობავა, აწმყოს ფუძის წარმოქმნის ისტორიისათვის 1. -ავ, -ამ, -ევ, -ემ სუფიქსთა ისტორიული ურთიერთობა (წინასწარი მოხსენება). იკე XIV, თბ.

ჩიქობავა, 1936 – არნოლდ ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, ტფ.

ცეცხლაძე, 2018 - ნანა ცეცხლაძე, ფრაზეოლოგიზმთა კვლევის ასპექტები, თბ.

ცინცაძე, 2015 - მერი ცინცაძე, „უკან“ სიტყვის მნიშვნელობისა და სინტაქსური ფუნქციისათვის კლარჯულში. ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრი, კრებული, X, ბათუმი.

ცინცაძე, ფაღავა, 1998 – მერი ცინცაძე, მამია ფაღავა, სამხრული დიალექტები და ქართული სამწერლობო ენა (V-XVIII სს), ბათ.

ცოცანიძე, 1981 – გიორგი ცოცანიძე, „გან“ თანდებულისანი მოქმედებითის საკითხისათვის თანამედროვე სალიტერატურო ქართულში. ქეს V, თბ.

ძიძიგური, 1973 – შოთა ძიძიგური, მიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან, თბ.

ძიძიშვილი, 1960 – მერი ძიძიშვილი, ფონეტიკური პროცესები ძველ ქართულში, თბ.

ძოწენიძე, 1952 – ქეთევან ძოწენიძე, ზემოიმერული კილოკავი. ქპი შრომები, XI, ქუთ.

ძოწენიძე, 1973 – ქეთევან ძოწენიძე, ზემოიმერული კილოკავი (ენობრივი მიმოხილვა და ტექსტები). თბ.

ჭაბაშვილი, 1989 – მიხეილ ჭაბაშვილი, უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბ.

ჯაჯანიძე, 1961 – პ. ჯაჯანიძე, აქარული ლექსიკონის მასალები. ქპი შრომები, XXIII, ქუთ.

ჯიქია, 1974 – სერგი ჯიქია, თურქულ-ზანური ენობრივი ურთიერთობიდან. თსუ შრომები, B 8-9, თბ.



ჯორბენაძე, 1989 – ბესარიონ ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ.

ჯორბენაძე, 1998 – ბესარიონ ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, II, თბ.

Kümüsi, 1989 – Kumüsi Türki Şemseddin Sumi.

Mapp, 1911 – Н.Я. Мapp, Георгий Мерчул, Житие св. Григория хандзийского... с дневником поездки в Шавшетию и Кларджию. Кн. Тексты и разыскание по Армяно-грузинской филологии, VII, СПб.

მეორე ნაწილისათვის გამოყენებული ლიტერატურა

აბულაძე, 1973 – ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბ.

ართვინლი, 2013 – Taner Artvinly, Artvin Adlari Sözlüg, Istanbul.

ახვლედიანი, 1923 - გიორგი ახვლედიანი, „სა-ო“ და „-ური“-ს მნიშვნელობა. ჩვენი მეცნიერება, 2-3, ტფილისი.

ახვლედიანი, 1978 - ხარიტონ ახვლედიანი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, ბათუმი.

ბაგრატიონი, 1986 - იოანე ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა. საქართველოს ისტორიის წყაროები, ტ. 41, თბ.

ბაქრაძე, 1987 - დიმიტრი ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურისასა და აჭარაში, ბათუმი.

ბედომვილი, 1980 - გურამ ბედომვილი, ერწო-თიანეთის ტოპონიმია, თბ.

ბერიძე, 1912 - ვ. ბერიძე, სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა, სპბ.

ბერიძე, ბაკურაძე, ნახუცრიშვილი, 2018 - მარინე ბერიძე, ლია ბაკურაძე, ნიკოლოზ ნახუცრიშვილი, ფერეიდნული დიალექტის კორპუსული ლექსიკონი, თბ.

გოგოლაშვილი... 2011 - გიორგი გოგოლაშვილი, ავთანდილ არაბული, მურმან სუხიშვილი, მარიამ მანჯგალაძე, ნინო ჭუმბურიძე, ნინო ჯორბენაძე, თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, სალიტერატურო ენა, გიორგი გოგოლაშვილის საერთო რედაქციით, თბ.

გოილაძე, 2007 - ვახტანგ გოილაძე, „მიწის ენა“ მრუდე სარკეში, თბ.



გურგენიძე, 1973 - ნანი გურგენიძე, აღმოსავლური წარმოშობის ლექსიკური ელემენტები აჭარულსა და გურულში, თბ.

დავთარი, 1550-60 - „შავშეთის ნაპიე - შავშეთისა და იმერხევის ლივის მოკლე დავთარი (1550-60-იანი წლები).

დავთარი, 1835/1836 - „ჩილდირის ეიალეთისადმი დაქვემდებარებული სათლელის სანჯაყის მუსლიმ მამაკაცთა აღწერის დავთარი“ (პიჯრით 1251 წ. (1835/1836 წწ).

დიასამიძე, 1988 - გუგული დიასამიძე, ქვემო აჭარის ანთროპონიმია. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა XLV სამეცნიერო კონფერენცია, მასალები, ბათუმი.

დონდუა, 1948 - კარპეზ დონდუა, ლიპარიტეთისა და ანალოგიური ფორმის გვარ-სახელებისათვის ქართულ ისტორიულ წყაროებში. თსუ შრომები, XXXIIIb, თბ.

ევსტათი მცხეთელი, 1981 - უცნობი ავტორი, ევსტათი მცხეთელის ცხოვრება. ქართული პროზა, წიგნი I, თბ.

ენუქიძე, 1977 - თინა ენუქიძე, გამოკვლევა წიგნზე: ტბეთის სულთა მატინე, თბ.

ზურაბიშვილი, 1961 - თამარ ზურაბიშვილი, ტოპონიმის შესწავლისათვის. ქესს, II, თბ.

თანდილავა, 2013 – ალი თანდილავა, ლაზური ლექსიკონი, თბ.

თაყაიშვილი, I, 2016 – ექვთიმე თაყაიშვილი, თხზულებანი, ტ.1, თბილისი.

თოფურია, 1924 - ვარლამ თოფურია, გეოგრაფიულ სახელთა -თა სუფიქსისათვის ქართულში. კრ. ჩვენი მეცნიერება, #11-12, ტფილისი.

თოფურია, 1977 - გურამ თოფურია, ჭოროხის ეტიმოლოგიისათვის. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის XXXIII სამეცნიერო სესია, თეზისები, თბ.

თოფჩიშვილი, 2022 - როლანდ თოფჩიშვილი, ქართველი ხალხის ეთნიკური ისტორია და ეთნიკური ვითარება ისტორიულ საქართველოში. საქართველოს ისტორიის პალიტრა, ტომი, 2, თბ.

ინგოროყვა, 1954 - პავლე ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ.

კახიძე, 2013 - ნოდარ კახიძე, ეტრატზე ამეტყველებული ისტორია, ბათუმი.



კეკელიძე, 1955 - კორნელი კეკელიძე, -ეთ სუფიქსიანი კრებითი სახელები ქართულში. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, III, თბ.

კლარჯეთი, 2016 - მამია ფაღავა, მერი ცინცაძე, მათა ბარამიძე, მალხაზ ჩოხარაძე, თინა შიოშვილი, შოთა მამულაძე, რამაზ ხალვაში, ნუგზარ მგელაძე, ზაზა შაშიკაძე, ჯემალ კარალიძე, კლარჯეთი, თბ.

კობახიძე, 1987 - ალექსანდრე კობახიძე, რაჭული დიალექტის ლექსიკონი (მასალები), თბ.

ლექსიკონი, 2001 - თურქულ-ქართული ლექსიკონი, I-II, სტამბული.

მაისურაძე, 1983 - ილია მაისურაძე, მასალები სამცხის ტოპონიმიიდან. აღ. ჰუმკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XVII, თბ.

მაისურაძე, 1990 - ილია მაისურაძე, ქართული გვარ-სახელები, თბ.

მაკალათია, 1976 - ფიქრია მაკალათია, არაგვის ხეობის ფშავის ტოპონიმიკა. წიგნში: ტოპონიმიკა, 1, თბ.

მანჯგალაძე, 1956 - ალექსანდრე მანჯგალაძე, ა' ხმოვანზე დასრულებული ზოგიერთი სახელის ფუძის აგებულებისათვის ქართულში. სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართულში, I, თბ.

მარი, 1911 - Н.Я. Марр, Георгий Мерчул, Жизнь св. Григория Хандзийского... с дневником поездок в Шавшетию и Кларджию. Кн. Тексты и Разыскание по Армяно-Грузинской Филологии т. VII, СПб.

მარი, 2012 - ნ. მარი, შავშეთსა და კლარჯეთში მოგზაურობის დღიურები, ბათუმი.

მარტიროსოვი, 1977 - არამ მარტიროსოვი, ჭილ-ეტრატის იადგარის ორთოგრაფია და ფონეტიკა. იხ. ჭილ-ეტრატის იადგარი, გამოსცეს და გამოკვლევა დაურთეს ა. შანიძემ, არ. მარტიროსოვმა და ა. ჯიშიაშვილმა, თბ.

მატიანე, 1977 - ტბეთის სულთა მატიანე. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და სამიუბელი დაურთო თ. ენუქიძემ, თბ.

მაყაშვილი, 1991 - ალექსანდრე მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბ.

მგელაძე, ფაღავა, 1998 - ნუგზარ მგელაძე, მამია ფაღავა, -ხე/-ფხე - ისტორიისა და ეტიმოლოგიის საკითხები. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, II, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სერია, ბათუმი.



მგელაძე... 2018 - ნუგზარ მგელაძე, თემურ ტუნაძე, ლია მელიქიძევილი, თამილა ლომთათიძე, ჯემალ ვარშალომიძე, ელდარ ნადირაძე, ნოდარ შოშიტაშვილი, ჯემალ მიქელაძე, მზია ჯღარკავა, ნანა სტამბოლიძევილი, ქართველი ხალხის ეთნოლოგიური ლექსიკონი, აჭარა, ბათუმი.

მენტეშაშვილი, 1943 - სტეფანე მენტეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, თბ.

მენტეშაშვილი, 1970 - სტეფანე მენტეშაშვილი, ქართლური სალექსიკონო მასალა (ალგეთის ხეობა). იკე, XVII, თბ.

მერჩულე, 1981 - გიორგი მერჩულე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება. ქართული პროზა, წიგნი I, თბ.

მსხალაძე, 1954 - ალექსანდრე მსხალაძე, მაჭახლის ხეობის ტოპონიმიკისათვის. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტთა შრომები, 1, ბათუმი.

ნიჟარაძე, 1971 - შოთა ნიჟარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა, ბათუმი.

ნოღაიძელი, 2015 - ჯემალ ნოღაიძელი, აჭარული კილოს სალექსიკონო მასალა, ბათუმი.

ჟამთააღმწერელი, 1987 - ჟამთააღმწერელი, ასწლოვანი მატთანე, გამოსცა რ. კიკნაძემ, თბ.

საბა, 1949 - სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი, ს. იორდანიშვილის რედაქციითა და წინასიტყვაობით, თბ.

საბა, I, 1991 - სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, თბ.

საბა, II, 1993 - სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, II, თბ.

სარსევანიძე, 2002 - ქეთევან სარსევანიძე, საგომარეთოს ტოპონიმიის წარმოწმნის ზოგიერთი საკითხი. XXII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბ.

სარჯველაძე, 2001 - ზურაბ სარჯველაძე, ძველი ქართული ენის სიტყვის კონა. ქართველოლოგიური ბიბლიოთეკა, 5, თბ.

სახოკია, 1950 - თედო სახოკია, მოგზაურობანი: გურია, აჭარა, სამურზაყანო, აფხაზეთი, თბ.

სიმფონია, 1956 - ვეფხისტყაოსნის სიმფონია, შედგენილი აკაკი შანიძის ხელმძღვანელობით მისივე წინასიტყვაობითა და გამოკვლევით, თბ.

სიხარულიძე, 1958 - იური სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, I, ბათუმი.



სიხარულიძე, 1959 - იური სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმთა, II, ბათუმი.

სიხარულიძე, 1986 - იური სიხარულიძე, ნიგალი, ბათუმი.

სიხარულიძე, 1988 - იური სიხარულიძე, შავშეთ-იმერხევი, ბათუმი.

ტაო, 2020 - მამია ფაღავა, მერი ცინცაძე, მანია ბარამიძე, მალხაზ ჩოხარაძე, თინა შიოშვილი, რამაზ ხალვაში, ნუგზარ მგელაძე, ზაზა შაშიკაძე, მერაბ ხალვაში, ჯიმშერ ჩხვიმიანი, ჯემალ კარალიძე, ტაო, თბ.

უთურგაიძე, 1960 - თედო უთურგაიძე, თუშური დიალექტი, თბ.

ფაღავა, 2002 - მამია ფაღავა, უძლავუტი სამხრულ კილოებში. ბსუ მემედ აბაშიძის სახელობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი, კრებული, II, ბათუმი.

ფაღავა, 2003 - მამია ფაღავა, სამხრული კილოების ფონემატური სტრუქტურა. დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, ხელნაწერის უფლებით. ბათუმი.

ფაღავა, 2004 - მამია ფაღავა, ქართული ენის სამხრული კილოების ფონემატური სტრუქტურა. სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი (ხელნაწერის უფლებით), თბ.

ფაღავა, 2004(ა) - მამია ფაღავა, 2 სამხრულ კილოებში. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, VI, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სერია, ბათუმი.

ფაღავა, 2007 - მამია ფაღავა, ხანძთისა და შატბერდის ლოკალიზაციისათვის. ყ. მნათობი, 1, 2007, თბ.

ფაღავა, 2009 - მამია ფაღავა, -**უმ/-ომ** სუფიქსი ქართულ ტოპონიმებში და ზოგიერთი გეოგრაფიული სახელის ახსნის ცდა. ბსუ შრომები, XIII, ბათუმი.

ფაღავა, 2013 - მამია ფაღავა, შავშური ჩანაწერები, თბ.

ფაღავა, 2014 - მამია ფაღავა, კარ'ფუძიანი ტოპონიმები კლარჯეთში. XXXIV რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სესია, მასალები, თბ.

ფაღავა, 2015 - მამია ფაღავა, ჭოროხის აუზი კავკასიის ხუთვერსიან რუკაზე. ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქართველოლოგიის ცენტრი, კრებული, X, ბათუმი.

ფაღავა, 2015(ა) - მამია ფაღავა, ოდენსუფიქსური წარმოება კლარჯეთის ტოპონიმიაში. ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქართველოლოგიის ცენტრი, კრებული, X, ბათუმი.



ფალავა, 2015(ბ) - მამია ფალავა, ვაზი და მარანი კლარჯეთში. ჩვენი სულიერების ბალავარი. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, ტ. VII, ბათუმი.

ფალავა, 2017 - მამია ფალავა, კლარჯული ჩანაწერები, თბ.

ფალავა, 2018 - მამია ფალავა, შტო-გვარის სახელთა წარმოება და ტაოური სოფლის დასახლების ერთი თავისებურება. სმამ, ტ. 12, №1.

ფალავა, 2019 - მამია ფალავა, მასალები „ცემის“ სემანტიკური ველისათვის ქართველურ ენებში. ბსუ ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი, ფილოლოგიური მაცნე, V, თბ.

ფალავა, 2020 - მამია ფალავა, ვაზი ჭოროხის ხეობაში. XL რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სესიის მასალები, თბ.

ფალავა, მგელაძე, 2005 - მამია ფალავა, ნუგზარ მგელაძე, აჭარა, მაჭახელი, ჭოროხი, - ეტიმოლოგიის ცდა. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, VII, ბათუმი.

ფალავა, მგელაძე, 2012 - მამია ფალავა, ნუგზარ მგელაძე, ქორის (სახლი, ოხორი) მნიშვნელობისათვის ჭოროხის ხეობის ქართულ მოსახლეობაში. ტაო-კლარჯეთი, II საერთაშორისო კონფერენცია, თბილისი-ბათუმი.

ფუტკარაძე, 1993 - შუმანა ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, წიგნი პირველი, ბათუმი.

ფუტკარაძე, 2007 - ტარიელ ფუტკარაძე, იმერხევის მეტყველი მიწა, ქუთაისი.

ქ.ცხ., I - ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ. 1955.

ქ.ცხ., II - ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ. 1959.

ქ.ცხ. IV - ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ. 1973.

ქავთარაძე, 1964 - ივანე ქავთარაძე, ქართული ენის ისტორიისათვის (XII-XVIII სს), ნაწილი I, თბ.

ქავთარაძე, 1985 - ივანე ქავთარაძე, ქართული ენის მოხეური დიალექტი, თბ.

ქამადაძე, 1992 - მიხეილ ქამადაძე, ზემო აჭარის ტოპონიმია. აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, VIII, თბ.



ქართული
ენების
სწავლის
სამეცნიერო
ცენტრი



ქდ 1961 - ივანე გიგინეიშვილი, ვარლამ თოფურია, ივანე ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ.

ქეგლ - ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, არნოლდ ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. I-VIII, თბ. 1950-1964.

ქეგლ, ახალი რედაქცია, ტ. I-IV, რედაქტორი ავთანდილ არაბული, თბ. 2008-2019.

ქობალია, 2010- ალიო ქობალია, მეგრული ლექსიკონი, თბ.

ღლონტი, 1975 - ალექსანდრე ღლონტი, მცხეთის ტოპონიმია. ტოპონიმოკური ძიებანი, II, თბ.

ღლონტი, 1984 - ალექსანდრე ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბ.

ყაზბეგი, 1995 - გიორგი ყაზბეგი, სამი თვე თურქეთის საქართველოში, თბილისი.

ყაუხჩიშვილი, 1959 - სიმონ ყაუხჩიშვილი, „ქართლის ცხოვრების“ ძეგლთა ენა, იხ. ქართლის ცხოვრება, II, თბილისი.

შავშეთი, 2011 - მამია ფაღავა, თინა შიომშვილი, შოთა მამულაძე, მერი ცინცაძე, მალხაზ ჩოხარაძე, ზაზა შაშიკაძე, ნუგზარ ცეცხლაძე, თამაზ ფუტკარაძე, მაია ბარამიძე, ჯემალ კარალიძე, ვარდო ჩოხარაძე, შავშეთი, თბ.

შამილაძე, 1966 - ვახტანგ შამილაძე, ალპური მესაქონლეობა საქართველოში, თბ.

შანიძე, 1957 - აკაკი შანიძე, ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, I, თბ.

შანიძე, 1958 - აკაკი შანიძე, საქართველოს დედაქალაქის სახელწოდებისათვის. კრ. თბილისი 1500, თბ.

შანიძე, 1973 - აკაკი შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ.

შარვაშიძე, 1995 - ნიკო ერისთავ-შარვაშიძის წერილი ექვთიმე თაყაიშვილს, 1908 წელი. იხ. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, I, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სერია, ბათუმი.

შიომშვილი, 2016 - თინა შიომშვილი, ისტორიული სამხრეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება, I, შავშური ფოლკლორი, ბათუმი.



ჩანტლაძე, ნაკანი, 2014 - იზა ჩანტლაძე, ნინო ნაკანი, სვანეთის ფლორა (ინტერდისციპლინურ-ეტიმოლოგიური კვლევა ქართველურ ენათა მასალების მიხედვით), I, თბ.

ჩიქობავა, 1926 - არნოლდ ჩიქობავა, -ონ სუფიქსი მეგრულში. თსუ მოამბე, VI, ტფილისი.

ჩუბინაშვილი, 1961 - ნიკო ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, თბ.

ჩუბინაშვილი, 1984 - ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ.

ცეცხლაძე, 2000 - ნუგზარ ცეცხლაძე, შავშეთ-იმერხევის ტოპონიმია, ბათუმი.

ცეცხლაძე, 2004 - ნუგზარ ცეცხლაძე, ძიებანი ჭოროხის აუზის ტოპონიმიდან, ბათუმი.

ცეცხლაძე, ფუტკარაძე, 2001 - ნუგზარ ცეცხლაძე, თამაზ ფუტკარაძე, შავშეთ-იმერხევის ანთროპონიმია. ქუთაისური საუბრები, VIII, ქუთაისი.

ცინცაძე, ფაღავა, 1998 - მერი ცინცაძე, მამია ფაღავა, სამხრული დიალექტები და ქართული სამწერლობო ენა (V-XVIII სს), ბათუმი.

ძიძიშვილი, 1960 - მერი ძიძიშვილი, ფონეტიკური პროცესები ძველ ქართულში, თბ.

ძნელაძე, 1981 - რევაზ ძნელაძე, -ა, -იან, -ოვან სუფიქსთა ფუნქციისა და განაწილებისათვის გურიის ტოპონიმიაში. მაცნე/ე, 1, თბ.

ძოწენიძე, 1974 - ქეთევან ძოწენიძე, ზემოიმერული ლექსიკონი, თბ.

ჭინჭარაული, 1960 - ალექსი ჭინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი, თბ.

ჭიჭინაძე, 1913 - ზაქარია ჭიჭინაძე, მუსულმანი ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში, ტფილისი.

ჭყონია, 1910 - ილია ჭყონია, სიტყვის კონა, სულხან-საბა ორბელიანის და დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონებში გამოტოვებული სიტყვები, სპბ.

ხალვაში, 2015 - რამაზ ხალვაში, ქართული მწერლობის კერები კლარჯეთში: მიძნაძორი. ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქართველოლოგიის ცენტრი, კრებული, X, ბათუმი.

ჯავახიშვილი, 1926 - ალექსანდრე ჯავახიშვილი, საქართველოს გეოგრაფია, 1, 1926.

ჯავახიშვილი, 1951 - ივანე ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, თბ.



ქართული
ენების
სწავლის
ცენტრი



ჯავახიშვილი, 1965 - ივანე ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ.

ჯავახიშვილი, 1998 - ივანე ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორიის შესავალი. თბზ. 12 ტომად, ტ. XI, თბ.

ჯანაშვილი, 1913 - მოსე ჯანაშვილი, საინგილო. ძველი საქართველო, ექვთიმე თაყაიშვილის რედაქციით, II, განყ. IV, თბ.

ჯანაშია, 1959 - ს. ჯანაშია, მრავლობითი რიცხვის -თა/თ სუფიქსის ეტიმოლოგიისათვის. შრომები, III, თბ.

ჯიქია, 1958 - სერგი ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი III, თბ.

ჯორბენაძე, კობაძე, ბერიძე, 1988 – ბესარიონ ჯორბენაძე, მანანა კობაძე, მარინე ბერიძე, ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბ.

Март, 1925 - Н.Я. Март, Грамматика Древнелитературного Грузинского Языка, М-Л.

Март, 1938 – Н.Я. Март, О Языке и Истории Абхазов. История Термина „Абхаз“, М.

Мурзаев, 1981 – Э. Мурзаев, География в названиях, М.

Пагирев, 1913, Алфавитный указатель к пятиверстной карте Кавказского края, издания Кавказского ВоенноТопографического Отдела, Тифлис.

ნაწილი მესამე

შავშური დიალექტის მასალები

ბაზგირეთი

- აიჰანა ჩარშიში წევდა დღეს, ღარჭი წეიყვანა.
- რავად ჭამს, მედღაფა პირი.
- ზეინას მიძახიან ენჩული, ზეინებად მქვია.
- ცოდვა არი, დაბერებულა ნენედ, მაგათ ქალები ბევრი ყავან, ზემოთ არიან. აიჰანის ბაბოდ და ჩემი ნენედ ემიაშვილები არიან.

ზემოთ სახშია დუგუნი.

- იმა ფული აართვით ბოლათ. მუუყვანეთ ქალი.
- სამი თანე შვილი მყავს, ორი ბაჯალა გათხოვილი მყავს; ღარჭი ჩემთან არი; სამი თანე ბადიში მყავს. ერთი ართვინშია, სერვის წიკავს, შოფერია. ართვინ ვინმეს საქმე აქ, წაასხამს, აქეთ წამაასხამს.

- რაზე წერავთ?

- ფენა, ფენა... ბევრი გათოვლდება, ყავარზე ავა თოვლი; ჩომა გვყავს, ხარები გვყავს, უართ; ახლა დაილაშია; სამი ხარი გვყავს, პროხებში არ ვურევთ; ათოლიე გვაქ, კარ ვაკეთებთ, ფენჯერას, ჩემი კაცი აკეთებს.

ოცი წლისა გვეთხვე, ელჩები მოვდენ, კაცი სამი წლით პაწადა ჩემზე, გავზარდე (ხუმრობს – ჩამწ.). კაცმა ამომირჩია, ის ჩვიდმეტის იყო; საქონელ ერთად ვაძუებდით; სოფელში რომ იყო, დევნახევდი, დევლაპარიკებდით (მეხსუს მალაპარაკებენ აგზე, ახლა მივხდი).

- ჩემთან მევიდნენ, ჩემთან დადგნენ, ერთი თვე გახდა, ისინი გენჯები იყვნენ (სხვებიც ყოფილან აქ – ჩამწ.).

- საქმე მაქ, ოფლი დამასხა, დევლალე.

კად მეზობლები არიან, აქ არავინ არ წეიკინდლებიან; ამ სახში გეარეთ, იმა ეცოდინება ბევრი.

- ეს სკამია; დიდ სკამს სანდალიეს ვეტყვით; ჩემ შვილ ჰამერი ყავს.

- სიმინდ ვთესავთ, ქერ აღარ ვთესავთ, ახლა მარტო ყართოფას ვთესავთ.

- თამამ, ედვსო, დააყრუე (ნარგიზას ეუბნება, გამორთოს ვიდეოკამერა – ჩამწ.), მევლალე ლაპარაკში. ახლა მე'ნა წევდე, ბოსტანში საქმე მაქ, რაცხაები'ნა მევტანო; მე'ნა წევდე, კარები'ნა დუუყარო.



- ამა სონერად ქვია, ერთი ლამაზათ იმდერე, შვილო (ბავშვს მიმართავს – ჩამწ.). აპა-და, მოკალ, ცოდვა არ დეგედვა? (მიმართავს პატარას, რომელმაც ბუზი მოკლა – ჩამწ.). ამგვარ ღარჭებ თურქულა ველაპარაკები, ჩვენ გურჯულა ვლაპარაკობთ.

დეიმდერე, შვილო.

(რამდენი წლის ხარ? – ვეკითხებით პატარას).

- შვიდის-თქვა, ისე უთხარ, წრეველ'ნა წევდეს ოქულში. ღარჭები დიდვანი გვყავს.

- აგერ ვაშლი, აგზე სხალია, ქლიავი მოდის იშტე. ბალი მოდის, ჰამა ბევრი არა. წოწოლად ვაშლი გვაქ, გვალი ვაშლი არი, მოშომთად სხალი არი, წარიად სხალი ქვია; პანტა სხალია, ფიდანი გეიზდება, დაანამყენებ. თელი დაანამყენებენ, სანთელ მიაკრენ.

- იმა ქალიც ყავს, ბაჯალაც ყავს; ქლიკები მტკივა, მევღალე ლაპარაკში.

- ესანიც თქვენები არიან?

- კაკალი აქ არ არი ზათი, არ იჯება, მაღლათ ვართ-და. ქომოდან მოგვაქ, ფულით ვიღებთ, აქ არ იჯება, ვერ ასწრობს ზამთარ; ხმარობენ აქა, ხმარობენ; დემეღებზე ხმარობენ, ჰამა ცოტა ბაჰალი არი, ბევრ არ ვხმარობთ; ტათლზეც ხმარობენ; ბევრ არ ვაკეთებთ, ჰო.

პურის გამოცხობა და გევრეგის გაკეთება

მოვზელ, მარილ დავაყრი, მაიას ვურთობ, მოვზელთ, უჩ საათ ისე დავაყენებ ჰო, სამ საათ, ედდა მემრე თექრენ გავაკეთებ იმა, სამ საათ სოდრა კვერებ დავაკეთებ, ერთ საათსაც იმა დავაყენებთ და მემრე თექრენ ჩავსხამთ იშტე სობაში და სობაში გამუაცხობთ იშტე.

გობში, ლაილონის გობში მოვზელთ, უწინ შეში გობში ვზელდით, რომ არ იყო ლაილონი... კეცში ჩავსხემდით, კეცი იყო, ტალახისას გავაკეთებდით, იქში ჩავსხემდით, ის უმფო ხას პურ გამააცხობდა, ხას ჭად გამააცხობდა. ეს სობა იმფო არ აცხობს ჰო, რა გერმელი იყო ყველა'ფერი.

(შემის გობები გადაყარეთ? – ჩამწ.).



ქართული
ლიბრთეკა



- არ გადავყარეთ, თავანშივე ყრია იშტე, ვინახავთ იშტე.
მემრე გევრეგ მოვზელთ ნაღებში, პურისაც იჯება, პურსაც მოვზელთ, ჭადისასაც მოვზელთ (სიმინდის ფქვილს გულისხმობს – ჩამწ.) გევრეგ; ანთი გავასუქებთ. არ ამოვა, არ ამოვა... ფორმაში არ ამოვა.

მერჯიმეგი

მერჯიმეგის შორვას გავაკეთებთ, კაკლებია წვრილი ზივებსავენ, წითელი. იმა ენ წინ... არ მოვხარშავთ. ენ წინ ძალ დასწუავ, შიგან ხახვ ჩააჭრი, ჩომის ძალს, ერბოს, არაფერ არ ჩავყრი, ზოგი აყრიან. ჩვენ ბიბერი, ემეი, ნანე-მანე არ გვიყვარს და იმას არ ჩავყრით და მოვხარშავთ იშტე, მოვხარშავთ. მარილ დააყრი, გახდება შორვა. გერმელია; წყალი'ნა დაასხა, წყალი; ხახვ ვურთობ, ბიბერ, მაიდანოზ – არა: არ ჭამს ე ჩვენი კაცი და. ზოგები ურთობენ, ამა არ უყვარს.

გევრეგი უთხარ?

ყართოფიანს დავდგამთ, ყართოფ დავთლით, სინში ჩავკეპლავთ, ძალ, ფშნილას მუყარით; ერბო, ძალი თელი ერთია.

დავჭრით ასე ყართოფ. ფშნილას მოვაყრით, ძალ ვურთობთ, მარილ სინში. შევდგამთ სობაში, გამოცხვება, გერმელია.

ჰაძდე, წაით ახლა, ახლა სხვანი ალაპარაკეთ.

- „ილდიზ“ სოიადია, აქ რომ გადმოედი, გამეცვალე, იქ დურმიშ ეწერა, „ანურ დურმიშ“ ეწერა. აქ რომ გადმოველ, გამევეთხუე, ახლა ენჩული... გამეიცვალოს'ნა და, კაცის ემეზე გადმოხვალ...

- მე იქეთ ვიყავ, სერ იქეთ. ჩვენ სოფელ ძანუხის ეტყვიან, ჩიჯისხევი. აგე იმასაც ყავს ჩვენ სოფლიდან, აგერ, ა! რა ვიცი მე, ძველათ დუურქმევიან, არი იშტე; რა ვიცი, დიდი სოფელია, ჰო. ვრა წელიწადი გახდა, ირმი სექიზ, ოთუზ სექიზ. ორმოც წელიწად ორი წელიწადი აკლია, ჰო, აქ გადმუელ.

(როდის გათხოვდით? – ჩამწ.).

- მეე? ოცდასამი წლისა ვიყავ; მიხვდებით? გურჯიჯას? თურქია არ იცით, განა? იგირმი უჩ, ჰო. თამამ. ნაკითხი იქნები-ა?

ზედაც მოდიოდენ იქა იშტე. ხისიმები გყავდა, გადმოდიოდენ იქა იშტე, ყიშლა გვქონდა სერ იქით-და; იქ ყიშლაში ვიყავთ და იქიდან ჩემი



მეზობელი, ჩემი ხისიმია-და, ის წამეიყვანეს იმ წელიწად, ედა იქიდან დიგვიწავლეს, მიერე წელიწადსაც მე წამუელ...

ერთ წელიწად ვიყავ ნიშანლი.

ზათინ იქ რომ ვიყავ, იქ მაჭახლური ემეი ყავდენ იქა, ამ ჩემ მეზობელ ანაე ემიდან, ემიდან ყავდა... მაჭახლური... ჰო, ხალაე იქ მაჭახელ გათხოვილი ყავდა და იქიდან იცოდენ იმათ; იქიდან ხისიმეები ყავდენ და ჩემი მეზობელი იქიდან არი, ჩივისხევიდან. ახლა ჩეარა ქი იმის ქალი ხისიმია და... ხალაე ყავდა და იქიდან იცოდენ და იქიდან ელჩი ყავდენ, მაჭახლიდან ელჩი გამოგზავნეს ჰო. ამათ იცოდენ იქიდან, იქ, ემეში, მაჭახელ... ქვაბისთაუში ამათ ხისიმეები ყოლიან, ამ ჩემ დედამთილ-მამამთილ, ედა იმათ ელჩი იქიდან გამოგზავნეს და იმ ელჩმა უთხრა ჩემ ბაბოს ქი, არ მოგცემო, გაქოჭავთ ფეხებიდან და ხელებიდანო და ავწევთ ბაჯალას და წევყვანთო; ორ-ორი, სამ-სამი ბიჭები მყავსო, აუსუფას ეტყვიან, მისიროლლი აუსუფას, იცი? გეცოდინება – ჰო, ჰო!

(ლამაზი იყავი ალბათ, ხომ? – ჩამწ.)

ვიყავ, ამა... ე ისე. ამა კარგი, ამა გონჯი, ისე, დუმტუმ რა ვიცი, ჩოქ ბიში...

ბაბოე ყიშლაში იყო, ჩომაე გეყავდა-და... ჩემი ერთი და მყავდა, ის გათხოვლია-და... მე ანალული მყავს, ანაე არ მყავს ზათი, სამი წლისა დამჩალი ვარ დეთიმი, აბა!

სამი წლისა დამჩალი ვარ. ჩემ ბაბოე დეესახლა-და... ბაჯალა ითხვა, იმ სოფლიდან იყო. ედა დუნიაში რამე არ იცოდა, ანი, შენსავენ ასე შუმჰუნ, მაღალი ემეე ქალი იყო, ამა ანაე ბეილური არ ყავდა, არ იყო იშტე, რაცხა სოფლისა იყო, სოფლისა, ამა არ იცოდა არაფერი, მაშინდელი ემიოზა იშტე. ალთმიშუჩ ააშინდა ვარ, ალთმიშუჩ.

(კარგი ანალული იყო? – ჩამწ.)

- არა, არა! ბაბოე ხუჯუზი მყავდა, ფინთი. ბაბოე არ იყო, ჰეჩ... ზათი ანაე მოკდა, ანამ მიწაში თავი ჩაყო, ბაბოე ფინთი გახდა, ანი; ზათინ არ იყო, ხუჯუზი იყო, ჰამა უმფო ფინთი გახდა, ჰო. აანი ჩემი ყადრი არ იცოდენ, აანი ეს დეთიმია და ბუნი უზეთ (თურქულად ჩაურთო – ჩამწ.) არ იყო, არ იცოდენ... აქაც კიდენ ისე, იქიდან შანსი ისე მქონდა, რა ვიცი, იყბალი ისე მქონდა, მეტი ეზგილი ალაგი, მეტი ეზგილი ალაგი, აქა, ჰო. იქ დეთიმი დავჩი, თხა-ცხვარი ქეყავდა, ჩომა ქეყავდა, ეე ანალული მყავდა, ისე ბაჯალა ითხუა, არაფერი არ იცოდა: მარტივი ყანაში ფაჭვა-მაჭვა, იგზე-მიგზე. ბევრი სახლის



ემე იმდენი რამიები არ იცოდა ახლანდულად, ჰო... კიდევ ისეა, ახლა ზათი დაბერდა, კიდევ, ადნი ისეა, ვერაფერი ვერ დეიწავლა. ისე ახლა ზათი დაბერდა. ამდენი წელწადია, აღარ გადავსულვარ, სამი-ოთხი წელწადია ზათი.

ბევრი დეთიმობა გამოვწიე, ბევრი ყერიბობა გამოვწიე, ნენეჯან, ბევრი. დუზდამინდე ერ-თი დედემ მყავდა, ბაბოსი ბაბომ, სახში ქალი ყისმი არა, რად'ნა გაარიგო, დეთიმი სამი წლისა დამჩარი?! ერთი ბიბომ მყავდა, ზათი შორ იყო ისე, ბაბოსი და, ისაც იშტე შორედან რავა იქნებაო იშტე, ონა და გორა, იშტა.

რად'ნა ქნა, რას იქ?!

(დედამთილი როგორი იყო? – ჩამწ.)

- არაფერი არ იყო... ბოსტანი... აქვერი სახლი გურჯულად სახლი, იმსო დიო იშტე.

- არა, არა. რამდენ ხანია მოკდნენ, ჰო, აღარ არიან. დედამთილი, სამი წელწადია, მოკდა. მამამთლი – ჰამანქი ოცი წელიწადი გახდა, გახდა, ჰო.

დედამთილი ფელჯი გახდა, მიხვდები-და, იცით? ფელჯი გახდა, ფელჯი თავიდან-და... ჭკვაში არ იყო-და. ედა სობასთან დაჟდებოდა და ფეხებ ასე მიაჭირავდა სობას. ედა დეიწვა. აქ უკნედან მეგემ მიაჭირა და უკნედან წეეკიდა და... ახორში წაველ, ჩომა... ჩომა მყავდა მაშინ მოსავლედი-და... ამუელი ქი, აქიდან წაკიდებოდა, აქიდან ზრუგში და ზრუგის თერეფის პერანგი ზედ ჩაწვილიყო; ჰალბუქი ქი ოცი დეეე-მი დავჩი, იმდენიც არა; ე პაწად ღარჭიც გვიან მევდა იშტე და სძინევდა ოდაში-და... ესკერში წასული არ იყო მაშინ (ე პაწად ღარჭი, აგზე ქი იყო, თეთრქუდიანი, ის ჩემი ღარჭი იყო, პაწად), ედა იმან ქი წრიპინი დეიწყო, მე შემეშინა ქი, ღარჭი არ შეაშინოს-მეთქი, წინა ოდაში იძინევდა, ჰო; ამუელი ქი, იმდენი გეეღვიძა ქი, ა ე საბანი ეეწია და იმდენი ჭკვაში მოსულიყო ქი, გედებურა, ჩეეფარებია, ჰამა ზრუგის თერეფის პერანგი ზრუგში ჩაწვილი იყო; ზეიდან მეგერ სობაში ესე ენთება... შორიდან ასე მუუშვირე და გათბი! მიაჭირა მეგერ ასე, ემშვირა ე ტრაკი, მიაჭირა და წეეკიდა უკნედან მეგერ პერანგზე და, ჰო, ოდლე ქესთუმ ქი ბირბუჩულ, ხუჭი არ მიქნია, ძილი. დილამდი ყვიროდა, სალამემდი ყვიროდა, აბა! აგზე მეზობლებმა იციან. იგზე, ბაჯლის შვილიც ყავდა იგზე, ხევწრულს გათხოვლია, მისი ერთი ბაჯალა ყავს-და იქ გათხოვლია-და იგზე იყო, ყირხ გუნ იგზე იყო, ჰამა ისაც ავათ გახდა, ისაც ემე გიმიხდა.



კაცი არ მყავს, ნენე. ონ სექიზ სენე აღარ არი-და, თვრამეტი წელიწადია, თვრამეტი, აბა! კანსერი იყო, კანსერი. კანსერი იყო და გეცოდინებთან არ ემე იქნა იშტე, რა ვიცი მე, საქმეზე არსად არ იყო, შინ იყო, ჰამა!?

- კაცთან რამდენ ხან ვიყავ? იგირმი იქი სენე ვიყავ, ოცდამეცამეტე წელიწად ვიყავ კაცთან, ჰო, ოცდამეცამეტე წელიწად ვიყავ.

- შვილი? ორი ბიჭი მყავს, ერთი ბაჯალა. ბაჯალაც გათხოვლი მყავს. ი დიდი ბიჭიც დასახლებული მყავს-და, ის დიდი ბიჭი წევდა ახლა... ემეში წევდა ისა, იქ... ისტამბოლისკენ არი ისა. იმა, ჰო, ერთი ბაჯალა ყავს, ორი წლისა-და, ახლა იმის ქალიც... ახლა, იმ ჯუმაზე, იქ მივალთ ჩვენა, იქ მივალთ ახლა... ისაც საქმეზეა-და, უთავდება-და, იქ ზიოს არი იგი, ემეში, ჰო. იქ ასული იქნებით, იქ არი, თავი ბაბოსთან, თავი ანასთან და ახლა, ახლა ამოსულიყო დღე და არ... არ ამევდა, ბაჯალა არ ამევდა და ვეღარ წამევდა; იქიდან ფეხით ვერ მარ, შორ არის, ჩუნქი ჰო, ღარჭი ყავს ორი წლისა და წუხელი ამევდა, ჰო.

ონბეშ... თხუთმეტი დღე იზინი აქ რაცხა, მეც ახლა ერთი თვე გახდა, მუელ მეცა.

(აქ ვინ ცხოვრობს?)

- არავინ არა, დაყრილი მაქ-და... ახლა აგზე ქი ჩეარა, ის ჩემი კაცის განაყარია, ემიას შვილი, ედა იმაზე მიცემული მაქ კლიტე და ის უყურეგდებულებს, ჩემი სახლის იქიდან სახლი აქ აგზე, ჰო, უყურეგდებულებს, ჰო. ჰემ მახლი არი, ჰემ... იმის ქალი ჩვენი ხისიმი არი, ჰო (თურქ.). ახლა იქ, ისტამბულ, შვილთან ვარ, ჰო. იქა, ჰო. იმ ბიჭ სახლი დაჭირული აქ და... პაწამც ბაჯლის შვილთან არი.

(ჩომა აღარ გყავს?)

- არა... ორი-სამი წელიწადია, აღარ მყავს. ერთი ძროხა მყავდა, ორი წელიწადია, გავყიდე. აქ რომ აღარ ვარ, იქ ვარი'ა, რად'და ქნა, რა ვქნა, ვინ შეხედოს აქა? მოთიბვა უნდა, მოტანა უნდა, ნენი, ვინ ქნას? მარტვად, მარტვად ქი დავჩი, ჰო. ბახჩა მიცემული მაქ, ჭალები მიცემული მაქ, თიბვენ, ვინცხას ქი ჩომა ყავან, თიბვენ, მაქვან იშტე. რაცხას ქი მომცემენ, იყბალა, ქირითა, ჰო. რა ვქნა, ეზგილი ალაგები არი, ისინი გაგდებული მაქ. ბევრი ალაგი გვაქ, ჰამა ეზგილი არი, ასე გარეთა ალაგები არი, გაგდებული მაქ, აღარ ვთიბავთ-და. ჭალებ თიბვენ, ჰო, რად'ნა ვქნა, ჩომა ქი არ მყავს, მოვთიბო და რა ვქნა?

გინდა, ედღებ, წედღებ, ბაჰალია, ჰამა რად'ნა ქნა, რას იქ?! (რძის პროდუქტებს გულისხმობს – ჩამწ.). აილული არ მაქ, კაც რომ არ ქონდა



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ნასაქმი, არ იყო გარეთ, არაფერი არ აქ; დედამ ქი არ გაგზავნა, სახში ასაქმა. მაზლი მყავს მე, ჩემ კაცის ძმა, ჰამა იმა არ მიათბო, წევდა ისა. წევდა მაგან, ბურსას არი, გაყრილია, იქ წევდა, იმის ალაგებსაც ჩვენ ვხმარობთ, ჩვენ ვთიბევდით, ჰო. ედდა, გაყრილია, ჰო, და ის არ უყურებდა და ჩემიც იქვერ საქმეზე არ გაგზავნა. რამე ფენა საქმე არ არის იქო და რამე არ აქ. არც მამამთილ ქონდა, არც კაც ქონდა, რაღ'ნა ქნა, ნენე, რას იქ?! ბირქერე ფუხარადან გამობხველ ფუხარა, ფუხარაში ჩავარდები. რას იქ, რაღ'ნა ქნა?! ჰო. რა'ნა ქნა?! ბაბოს ზათი... ბაბოსაც არ ქონდა ემე, ადლული, ნასაქმი არ იყო, ჰო. ისაც ფუხარა კაცი! ახლა ალთმიშბემის ადლულია, ახლა ის არი, ჰო. არ არი ბევრი, ჰამა რა'ნა ქნა?! არ არი, ჰამა... ჰო, ბირმილიარი და ალთმიშბემის ადლული – ძუზმილიონი ერთია? ჰო, ჰო... აქა, აქა ერთი მილიარი ერთ წელიწად გეყოფა, ჰამა იქა ერთი მილიარი ერთ თვეს არ გეყოფა, ნენე. იქა ერთ თვეს არ გეყოფა, ნენე, ერთ თვეს. სუჯი-ბუჯი ყველა სოხრაში ფარას აძლევ, მარტო ქირა, სახლის ქირა დორთ ძუზი-ბემ ძუზი მილიონია იქა? ფენა ბაჰალია, ძუზოთუზ მილიარი, ნენე, იმდენ ვერ ედღებ, აბა! ფენა ბაჰალია იქ სახლი, ედღოს'ნა ღარჰმა, ჰამა ამთავო არ აქ, ამა ბაჰალია ფენა, ჰო; კრედი გამოწიო, იმასაც ემე გართმენ, არ იჯება-ჰო. ედღოს'ნა ჰამა ქირა ბევრია, ჰამა, რაღ ქნა?

- გელინი ზიოსურია. გურჯიჯა ცოტა ვერ დუულაპარიკნია-და... იქ საქმობს, ემეში, ისტამბოლშია. თურქა უმფო დუულაწავლია, გურჯიჯა გნებულობს და ვერ დუულაპარიკნია ბევრი, იქ საქმობს, ჰო, ჰამა იმის რა იქნება ბემძუზმილიონი ადლული, ისაც სახლის ქირას იზამს, ჰო. რას საქმობს, რა ვიცი, რა ვიცი რაზე... არ დიმინახია არაფერი. არ ვიცი ქი.

ჰაწად არ მყავს დასახლებული. შარშან მეცდა გეესტრიდან, ჰო, ის არ არი დასახლებული ჯერ. რა ვიცი, ანი, ვინცხა ყავს, არ ყავს. არ ვიცი ქი. რიზე ემე რა ქვია? იქ ოქულიც იკითხა, ორთაც იკითხა, ლისეც იკითხა-და, უნივერსიტეტში'ნა ემე ქნილიყო'და, მანამდი ესკრობა მუუვდა და ახლა ორი წელწადია-და ახლა ისტამბოლში საქმობს ახლა, ჰო, საქმეში შესულია ერთი წელწადია. შორ იყო საცხან არ ვიცი იქითკენ, ალაგი იყო, მე რა ვიცი, ონბემ - ონ სექიზ დაშჩა რაცხა ისე, ორი წელწადი არ უუთავებია, იშტე, ახლაც უკლებენ მა დანი, ჰო, ჰო, უკლებენ-და. ახლა ემე იჯება, არ ვიცი რაცხას... კითხულობს, ემე იჯება, ჰამა არ ვიცი ქი, რაღ ქნა, წევდეს'ნა, რაღ'ნა ქნას, არ ვიცი. ხანდახან ქითბებს ემე იჯება, კითხულობს და, დიდიც ემე იჯება, დიდიც და...



ლიცეში, აქ ემეში იყო, ართვინ. ართვინ იკითხა... გინდა ჰამა, წამეილონა, ჰო. მეზობლები მიგიტანებენ.

- დათესილი არ მაქ არაფერი... ზათი... დონჯა მითესია. სხვაზე მიცემული მაქ ჭალები, სხვისთვინ, ნენე, სხვისთვინ, სხვანი თიბვენ და მე ფარას მაძლევენ.

- ედა ფული მალე ვერ მივეცი იქა. ემე ყავს ჩემ დიდ ბიჭ, ღარჭი ყავს ორი წლისა და იმა ვუზდი იქა, მალე ვერ მოვსულვარ, რა'ნა დათესო, ვერ მოვსულვარ მალე, ე იმა ღარჭ ვუზდი, ძალი საქმეზე დავა და... საქმეზე დავა, ათი წელწადია საქმეზეა.

(კარგი რძალი გყავს?)

- არც კარგი, არც გონჯი. ჩემი ბაბოსი ხალაშვილია, ამის ქალიც ჩემი მულის ბაჯალა არი ჰო, ჰო. მეტი წუნკერია და თავის თავმა დააბერა ეს, ეტყვება, ვერ ხედავ? წუნკერია, თავის თავიც დააბერა, ეს ქალიც ამან დააბერა, თავის ქალი. არ დაბერდებოდა ქალი დიდია ამაზე, ეს ჩემზე პაწაა. ეს დაბერებულია, ჰამა ჩემზე პაწაა. მე ალთმიშ უჩი ვარ, ჩემზე პაწაა. ისეა ე, რა'ნა ქნა ხუჯუზი რომ არი... არ'ნა იყვე ამა... ბირქერე... რომ იქნება, რას იქ, აბა?! რას იქ, რა'ნა ქნა, ვერ ემე უქნიან ისე.

ის ადეთი არ არი აქა, ნენი, არ არი ადეთი...

- ეს პაწაა, პაწაა ბიჭია. არ დიმისახლებია ჯერ-და, იქ საქმობს, ისტამბოლშია, იქა. ბიჭ ებნევიან, ბაჯალა... ზათინ... იტყვის „ჩემი ბაჯალა“... „ბაღურ“ ძველებურია, ახლა „ღარჭის“ ებნევიან.

- ის ახლათ ქი ამუა, ნენე, ამდენი ქი გეიზდება, იმა მახასით'ნა მოკნაჰო'და... ჩორბას ადულებენ, ჩორბას. მოხარშავ, გაწურავ-და, ეჩოდთ'ნა დაკეპო და ჩაყარო ცხელ წყალში, იმას ფშნილას ჩაყარიან, ფშნილას, არ იცით იქა და იმაზე, აქა ძეს დაასხმენ, ძროხას ქი მოწველენ, იმ ძეს დაასხმენ. გერმელია ის, იქევრულა არ იცით და იმაზე, აქ მაადულებენ, მე ვიცი, დედამთილი ადულებდა. გუდუუწურო'ნა, გუდუუწურო'და, დაკეპავ, ეჩოდთ, ჩაყარი ლამაზათ, ცხელ წყალს ჩაასხამ, ადუღულ წყალს, ჩაყარი. იმა ძველათ ქერ ეტყოდენ, ქერ ქი თესავდენ, არ იცი? საფანელ იმიზა, ახლა თეთრი... ახლა თეთრი ფქვილია, თეთრი ფქვილი'და ამუუკიდო ლახნის ჩორბას, ხახვით გაახრაკებ, ხახვ დაწვავ ძალის ერთად, ხახვით გაახრაკებ, ფშნილას ჩაყარიან, გერმელი მოვა, იმას არ ემე იჯებთან, ის არ იციან, ახლა ეს ... მაჭახლურად, იქ ბევრ რაცხას ემე იჯებთან, ჰამა იქ ისინი არ იციან, აქ რაცხა რომ ძველათ დუუსწავლიან, იმათებ იჯებთან.



- სამი წლისა დეთიმი დავჩი, ანალული მყავდა... ბაჯალა ითხვა, არაფერი არ იცოდა, ჰო.

ანაჲ ქი მეგიკდება და თექრენ კი დეესახლება, ბაბოჲ მიიყვანს, იმა ანალულ ვეტყვით, არ იცით? აჲ ისე იტყვიან.

ეს ემე იყო, ციცინათელას ეტყვიან, ჰო, ღამით რომ ანთებს. ის დიდი ბუზები, ბონერები არიან, ანი, ფუტკარს გავან, ანი, ფუტკარს, ანი კბენენ, ზოგი ასე მაღალჭლიკიანი არიან... ისენი კბენენ.

- ემეჲ ამოდის, ისტამბოლში ვართ, და ... მააქვან. ბალახები აქაც არი, ჰამა არ იციან, იჲ დემეგებ აკეთებენ, იღებენ და... სოკო ბილლა მააქვან, სოკოში ფარა... ფარას მივცემ? სხვა რაცხას ევლებ, სოკოებ არ ვჰამ, აჲ ამოდის სოკოები... მეხსუს მოყავანო, მე იმ სოკოში ფარას არ მივცემ... არ არი კადო-და...იჲ იღებენ ბევრი, იციან, ჰამა ჩვენ აქევრელები...

ზოგი არი, იჰმებაო, საჰმელია-და, სოკოს ორი-სამი ჯინსი არის... ზოგი...ის ფინთი არის, იმას იღებენ, მააქვან, ვინცხამაც იციან, იღებენ, აკეთებენ დემეჰებში გუურევენ, ჰო. აჲ ჩვენ იმდენი არ ვიცით.

ხეზე ემეში ამოდის, ცხვარას ებნევიან, თეთრი ცხვარაჲ, ისა იმგვარი გერმელია ქი, იმსოჲ არც ხორცი იქნება, არაფერი იქნება. ის ახლა, ამ წვიმებზე, ამოდის, თველზე. თიდან რომ ჩამოვლენ ჩომა, თველზე სიმინდებ რომ მოჰრიან, იმ დროზე.

ცხვარას ეძახიან იმა, გურჯიჯა ცხვარაჲ ქვია-და... იმას ქი მოკრეფენ, მოხარშვენ და დაღში მოხრაკვენ, დეშილი ხახვის ერთათ. დეშილი ხახვი იჲ დათესვენ-და, იცი? ჰო, მოხრაკვენ იმა, მოხრაკვენ, რა ხასია! არც ხორცი იქნება გერმელი იმითანა, არაფერი არ იქნება.

ეჲდა, იჲ ვიყვე, ჰამა წევდენა, რა ვქნა, ძალ უუთავდა და ამ ჯუმაზე მივალ იქეთ იშტე, ძალი საქმეზე მივა, ბალვი სა წედყვანოს, ვუზდი იმა, რა ვქნა.

- აბა საქმეზე არიო?

- აა?

- საქმეზე არიო?

- საქმეზე ვიყავით და ჩამუელით.

კიბილები ამუუვდა, ჰამა იცის, თელი.

- ბაჯალა არი. თაზე გაგზანეს. სამი-ოთხი ძროხა ყავან-და იჲ გაგზანეს და ხასტანლულია... დოხტურთან დარა, ჰამა... ორნახევარი წლისა ბაჯალა ყავს, ონ დაშინდა ბიჰი ყავს... იჲ ისტამბოლ არის. ავატყოფია, მესელა, არ წევს, ჰამა



... გაგონილი გეჟნება, ზოგი კეთდებიან, ზოგი ვერ კეთდებიან. ისე ჩემი ვერ წევდა... ემე ვერ ქნა, ეს უნდოდა, ჰა (ფულს გულისხმობს, ხელით გვანიშნებს – ჩამწ.). ახლა ბაჰალია, ბევრ ფარას ართმენ. აბა! ყიაზე ქონდა, აქ, ასე დიდი-და, აქიდან მორჩა-და ემე ხასტანლული, ხასტანლული ქონდა, იქიდანაც გახადეს ჰო. სიძეს, ბაჯლის კაცს, ბაჯლის კაცის ანას (შეასწორა – ჩამწ.) ახლა წელიდან ზორი აქ. ახლა გამევედა, ძველათ არ იყო, არ ვიცი მე, ჰიდამ არი, ჰიდამ ჩდება, სიცივიდან ჩდება.

- ძალს ისმინაზი ქვია, თავის ბიბის სახელი ქვია, ბიბისაც ისმინაზი ქვია-და... თავის ბაზომა დაარქვა. ხასტანლული ბაზომ ყავს, ანკარას, იქა.

- მაშინდელი იმფო... მაშინდელი ნენიების ხელში რომ იცოდენ, და ნენიობა, იმათ ხელში იმფო საღლული იყვენ, ახლა დოხტორთან, ემიებთან ემე ხდებიან. საღლული არ არიან, ავატყოფი არიან. აბა, ეხმარებიან. სობას აანთობენ, გააბანებენ ლამაზათ. იმას მახასით მათქრიან შორედან. ახლოდან სისხლი გამოდინდება. ჰო, ჰო, „ჭიპი“ ისე უძახიან, იმას ემე იქმენ... ორ დღეზე ქი მოკოხდება, კაკალ გაცოხნიან და კაკალ დაადებენ. კაკალ გავცოხნიდით და დავადებდით ქი, მალე გუუკეთიებდეს და მალე მორჩესო. კაკალი, კაკალი ყოფილა, კაკლის გული გაცოხნილი. კაკალი არ იცი? ჰო, იმის გულს გაცოხნი და დაადებ, ორი დღისა გახდება, მესამე დღე დაადებ, მალე მოგოხდება. ზოგი ახლა დოხტორებთან ემე აყრიან... ფოდრას აყრიან, ემე იჯებიან, იმისთინ იჯებიან, ფულ გაყრიან-და, ჰო, უმფო ფენა ხასი არი გაცოხნილი ლამაზად, ლინგად, წუუსვაემენ და იმა დაადებ, სამ-ოთხ დღეზე მოშპება, საღლული იქნება.

ჩემ დედამთილის ანამ იყო-და, ედა, დუზელლი თანე ღარჭი აწევლი მყავსო, ერთი თანე კდარი დეიბადაო, მარტო ერთი თანეო, რაცხა საღლამი არ იყო-და... დუზელლი თანე ღარჭი აწევ-ლი მყავსო და ბითევი დეიზარდნენო; დედამთილის ანამ იყო-და, ჰოდა დედამთილისა. ჰო, გძლად, ჰო აგზე... ეს რომ ჰიპი არის, ცოტა ასე შორიდან'ნა მათქრა... ძირში მათქრა, სისხლი იდენს, არ დადგება, ღარჭი მოკდება.

მასკან ის ემე'ნა ქნა, ქალი გააბანიო და ისე'ნა მათწოვიო. გააბანიო და... ცივ წყალ-ში'ნა გააბანიო. ცივ წყალში ის გააბანებს ლამაზათ, დააჟღუმლებს ლეგენში, გააბანებს...

გამეიწველო'ნა. ჰო, „ხსენ“ ეტყვიან, ჰო ძროხასავენ... ერთ-ორ დღე ისე იქნება და მასკვან ძეზე გადაბრუნდება. საქონელიც ისე არიან: ორ დღე ემე იქნებიან, მესამე დღე ძეზე გადაბრუნდება, ძე იქნება.

ჩომაში იქნები, საქმეზე იქნები, მოხვალ მოღალულნი. ცივ წყალით'ნა დეიბანო ძუძუები და ისე'ნა მათწოვო. ცხელ ქი მათწოვე, ცხელი ძე მოწოვა, გასკდება, ავით გახდება, არა, ი კად არ არი, აბა! საქმიდან მოხვალ, მოღალული, ცხელდება ისა, ძუძუები, ძე ცხელდება. ცივ წყალით'ნა დეიბანო და... ხელ-პირ დეიბან იმას დეიბან, იმას უკან დაჟდება და მათწოვ.

ყირხეუნ იტყვიან, ყირხ, ქალი არ უნდა გამოვდეს, იტყვიან, ჰამა...

(რამდენი თავი ფუტკარი გყავთ?)

- ოთხმოცი. ზემოთ მყავს, სხვის ადგილში; ადგილი კად არი-და... ადგილი წინა ენჩული უნდა იყვეს. ამოსულ მზემან'ნა უყუროს, ამოსულ მზემა; ჩასულ მზემან'ნა დახედოს, თბილათ'ნა იყოს, ჰო. თელგან წავა ჩიჩეგისთინ, თელგან წავა, ქომოთვენ წავა, აღმაც წავა, თელგან წავა იშტე; ხუთი ქილომეტრი მივა. ახლო იპუა ჩიჩეგი, შორ არ წავა, მათ იციან თავის საქმე.

მართვი ქი გამუა, იმფრათ იგზე, ხეზე დეიხვევა. ძირ დავდებთ იგზე, იქიდან ჩამეცტანთ, ჩულა დუუდებთ წინედან, დავყრით იგზე, ანაჲ შევდა, ბითევი შეიყრებიან შიგან; ანაჲ არ შევდა, არ შევლენ.

დოხ, არ უნდა წახმარება, თავეთ იცის იმან, თავითალაჲ შევა შით, შევა შიგან, ჩითებზე ლისი დასხმული გვაქ, ლისი, ართულ იმაზე დეიწყებს საქმეს, საქმეს დეიწყებს იშტე, გამოდებს, კვერცხ დადებს შიგან იშტე, ემეს იქს, დეემატება. ერთი ანაჲ დღეში ბინთანე ემეს დადებს, კვერცხ, ათჯერ ასი...

აჲ ჩემი თორუნი!

(ნაყარი ხიდან რომ ბინაში შევიდეს, რას შვრებიან?)

- ხიდან? ჩაყრი, რაცხა, კროჭი გექნება რაცხა, იქში ედღებ, მუუშვებ, ჩავბერტყავთ, ჩამეცტანთ, ძირ დავყრით, რამკაში შევლენ; ჰკვიანი არიან ისენი, იციან იმათ. ერთი რომ გამუა, ემეს იქ... კოვზით, რკინი კოვზით... საანი გექნება ემეს იქ, ჰკვიანი არიან, საათი არიო, მიხდებიან ისენი, შორ წავლენ, ჰოო.

(შიგნით რანაირად მუშაობენ?)

შით იმას ვერ დეინახავ, ვერ მიხდები...

თაფლი მათქ, თაფლ იმა იჯება, იმას აკეთებს, თავისთვინაც აკეთებს, შენტვინაც აკეთებს, ფაჭა რჩება, ფაჭა. შავი ფაჭა არი.



ფაჭა... მემრე ემეს იქ... ჯერ ფაჭას გაადნობ, გახდება ლისი, თექრენ გამოადენიებ, გახდება ლისი... სანთელი იშტე, სანთელი გახდება. ჩვენ ლის ვებნევით. ჰოო, ჰოო, ერთია, ერთი.

ის... დინდგარა... ბაშქა... დინდგალად წინედან გამოსულ ადგილს...

- მესხუს გალაპარაკებენ!

-მალაპარაკოს ედდა, რად იქნა?!

ახლა ისე, ლისა-მი, ჩერჩევე რომ არი, მაქინები გვაქ გამოსაწური. იმ მაქინაში ჩავდებთ ოთხთანე ჩითას, დავაბრუნებთ, დუზგარი აქ იმას, ფერვანები აქ, იმა... გამოდინდება, ქვეშედან შუუდებთ რაცხას, ბიდონ, ემეს, თვალი აქ, გამოდინდება იქში, დააბრუნებ. მემრე ის თერეფი გამედწურვის, გადაატრიალებ ორ თერეფ ისე, ამა ახლა ემეებიც გამოსულა, რაცხა ჯერიანისაც გამოსულა, ხელით დასაბრუნებელი ჯერიანისაც გამოსულა, თავითალად ატრიალებს, ემე იჯება.

(ანა ფუტკარს დედოს ხომ არ ეტყვიან?)

- ჰო, ჰემ ანად, ჰემ დედოდ იშტე, თელი ერთია.

(მუშა ფუტკარიც ხომ არის?)

ერქექარი არიან, ერქექარიც არი, ანად ზათი ერთითანე არი, გძელი არი, ანად ერთანე არი, ი კვერცხ დებს.

იშჩიარი არი, ერქექარი არი, ანადჯი არი, არი და არი იშტე. ერქექარი ცოტა დიდრუანი არიან, ის ჰაზირ მარტივ თაფლ ჭამს, მუა ახლა თაფლი დრო, იმა ჭრის, იმა კლავს ერქექარიც იშტე ანად დოლანია, ერქექარი არ იყოს, ანად დოლამა.

(ყველაზე კარგი რომელი თაფლია?)

- ენ კად ჩიჩეგისა. კად ყვავილია, ჩვენებური ახლა... წაბლისა არი, შქერისა არი, ისენი ცოტა ჯიასალია და ჩვენი, აქვერი უფრო თეთრი არიან ჩვენ ჩიჩეგზე, ჰამა ცოტა წარედ...

- წამლათ? წამლათ ისე იტყვიან ქი, შქერისა და ემედ უმფო კად არიო. მაწყინარი იშტე ისენი არიან, შქერისა და იმისა და ჩვენი, აქვერი რამდენცხას ჭამ, ეს არ გაწყენს; ამა ჩვენი მალე მოხკვეთავს. აქვერი ჩიჩეგისა არი'ა?

(თაფლის ამოღებას რა ეტყვიან?)

- ხილვა, ხილვა იშტე.

ონ ბემ, ირმი გუნ არიან იშტე.

შარშან ფენა თაფლობა იყო, ჰავები კად იყო, წრეველა წვიმს, წვიმს, რამე არ არი.

ვყიდით, ჰო, ჭვამთ სახში, ვყიდით.

- მასკე თუ არ გაცვია, დეგეხვევიან, მასკე გაცვია...

ქორულ ამბობს!

ქორუგით დავფუთავთ, მივაფუფეთ ასე...

- ჩვენი ფესტივალი ოთხი დღე იქეთ იქნება.

კარებ ვაკეთებ, ფენჯრებ, რამკებს ფუტკრებისთინ.

ჯერ არ გვიხილია, მალეა.

ბათუმიდან იყვენ, ერთი ორითმენი ეხლენ, მე ამათ ვაკითხვებო, გერმელათ ლაპარა-კობ-დენ, თელი იცოდენ; სახელი გვითხრა, ჰამა დამავიწყდა.

ამას დები ხყავს ორითანე, დღეს ჭალაში არიან.

- ამა ზრუგ ეტყვიან. თელი ერთია. ხერხემალ ეტყვიან, აგზე წელი არი, წელ ეტყვიან; „წელი მეწვისო“ – იტყვიან.

ზოგი წასული არიან, მოაჯირად წევდენ.

ზოგ ჩომა არ ყავან, ვისაც ერთი ჩომა ყავს, წავლენ.

- ჯან ამღევსო, - ვიტყვით, სულის ეზიეთშია.

მოლოცავი'ნა იყო, მაदლი მეაკიდო; არ გექნება, მეტი ჩეთინია.

წყალში მოყლარჭულაო – იტყვიან; ლოგინში რომ მოკდება - მოკდაო.

ყაზა ქნილა – მოკდა. „გაცდა“ – ფინთია ასეთი ნათქვამი; ისე იქნაო.

ბობოლი გველია; დარჭობაში ბოტოტმა შემამინა მე; ბობოლი დიდი არი.

აგია ჩემი სახლი ყარშიბერი. დავბერდი, ამდენი ჭკვა არ მიჭრის, დავთესე. ჩვენი ზათი გურჯიჯაა-და.

რა ღორი ხარ, რასოდ სიმღერა გცოდნია.

დალანჩი დუნია, გავაქციეთ გენჯობა.

ორი ბაჯალა მეყოლა, ორნივე დემეხოცნენ. კაცთან არ ვარ, აქ ბაზოს სახში ვარ, აღარ ვარ იმათთან, ქესკერე ვერდუმ ონა; მე ბაღვი არ მეყოლა და



დასახლდა. ქორია, მარჯვენა თვალი ჩახუჭული აქ. თერეზმა დაწონა; დობტურმა რა'ნა ქნას, ღმერთია დობტური. მას ფეხზე'ნა ვუყურო?!
 ეროვნული ბიბლიოთეკა

მე ჩემთანაღად წამუელ, რათ'ნა ვექოლავო, ვეხიზმეთქარო? დავტრინკე და წამუელი ღურამადი, იმათ ხიზმეთქრობას, ჩემ ბაბოს ხიზმეთქრობას ვიზამ!

ბაბოდა, ანად, ძალი, ღარჭი ყავს.

ნუ ყლარჭავ, ლამაზათ იმღერე, იმღერე კიდე, იმღერე, ამუშუვი ხმა (ბავშვს ეუბნება – ჩამწ.).

იმათი ქოლა ვყოფილიყავ?

მე სიდეგრი ვარ, იცი? ამ სოფლისა ვარ.

გენჯობაში ვსაქმობდი, სიმღერა დაჰა...

შენი დასმული'და მოგცეს ღმერთმა, მალე ამართვა, პატრობაში.

ტადა-ბიბიშვილები ვიყავით (ქმარზე ამბობს – ჩამწ.).

რა ზორი მაქ, ვექოლავო?!

სამი ძმა მყავს, ერთი ართვინ არი, თავეთვინ.

თერეზმა დაძლია.

ღმერთ როდი დევქნევთ, თავეთ დიგვიქნევს, ჩვენ ვერ დევქნევთ. კაციც აღარ მყავდა, მოკდა, ექვნიე ხელი.

აქ მეზობლობაში ფინთობა არ არი.

ლამაზი ჰავები გამოიდა, ალლაჰა შუქურ.

ხედავ? დიმიწერნებია.

რა იცინი, ზეინაზ? იქ რა იმაღვის?

ცხვენია, გურჯული არ იცის, მოი აგზე, გაგააჩუღებ.

ბადრამი არ არი, დუგუნი არ არი, რაა'ნა ვიმღერო?!
 ეროვნული ბიბლიოთეკა

დავაკიჟინებდით, დავბერდით ახლა.

მე გავაგდე კაცი, დავტრინკე; მარჯვენა თვალი ასე აქ (ხელით გვიჩვენებს), მოჭუტულია (ყოფილი ქმრის მეორე ცოლზე ამბობს – ჩამწ.).

შენ იქ და მე ვერ ვიქ? მუუჟდე და ქოლობა, ხიზმეთქრობა ვქნა?!

არ ვუთხარ ქი, მივალ-მეთქი.

ვეღარ დადგნენ სოფელში.

ჩამუელ ჩემი ბაბოდს სახში; მუუჟდე ქორ? წამუელ; თუ უნდოდა, წევევანე.

ორთალი კაცთან დეიდგომება? არც დევნახავ, არც ვექოლავები. ჩემ ბარობად დასახლდა, უბური იყო; ფუხრული იყვენ.



დურამადი, დავაბერე ქორ ქალზე. ამით აჯილი ვიყავი, მეც დავტრინკე; მე ხომ ქორი არ ვარ, ქორთან დავბერდე?! მუუჯექ და იყავ. ორთაღ კაც არ მუუჯექ! მე არ გევეთხვე, იმდენი ხათრი ვუყავ, არ გევეთხვე, იშტა! შენ ისე იზამ, მეც გიზამ. შენ ქორ ქალ'და ვექოლაგო? არ ვექოლაგე, დავჯექ ჩემ ბაბოსთან.

- თექრენ შეახვევინე ხელი? რა თქვა დობტურმა? გერმელია ზაფხული, აქ ბევრხან იქნებოდე, დეიწავლი აქევრობას (ხელშეხვეულ, სტუმრად ჩამოსულ ბიჭს ეუბნება – ჩამწ.).

აქევრი დეგანია.

ბუზი გაჟდება, გაკოცოს'ნა. მარა გაქ? იმის უსტიები არიან, გიგისწორებენ - კლავ.

- ავათ ვიყავ, ვერ დევჭირე რემეზანი.

აღარც ანამ მყავს, აღარც ბაბო, ჩემი დერდი წეღო.

ბაბოს ერთი ვყავდი: სამი ყარდაში, ერთი ბაჯალა.

ბიბიშვილზე მიყოლილი ვიყავ, თავეთაც მიმცეს.

- დედაბერი რავად ხარ? მევღალე.

- ვერ მიცანი?

- ვერ'ნა გიცნო? გაფელეგანებულხარ რაცხა.

- ნეჯათას ბიჭი ვარ.

რასოდ მომღერალი ვიყავი!

- თირფანმა დამგალა ხელები. საქმე გეზარებთან, უსაქმური პურ ვერ ჭამ...

აქ ერთი დღე ისაქმე, მიერე დღე დეისვენე; იქ ასე არაა: ერთი დღე დეიგვიანე... ამას აქეთ სამ წელწად იქ'ნა ვიყო, ერთ წელწად აქ'ნა ვიყო.

- ყერიბია იგი, დეგანია, ჰამა მოსული მოსაფირია.

- ქი მცემს, რაზე არ მეშველები?

- არ ცემო, არა, შაფხა მიეცი.

- მიცნა, იმსოდ მეხვია, ქი...

ჯოხი'ნა მუუსკვა.

გაწვიმდეს'ნა. არ მატყვილო. დაღმურ დობტურ.

- არ მაქ მე კლიტე, არ ვიცი შოფრობა. შენ იცი? არ გადაგყვარო!

ბაბოდ აქ არი? როდი მოვა? შენც წა, აქ რა'და ქნა?

- გაწვიმდეს'ნა, დაგვასველოს'ნა. პური გშია?
გიმუშტავე, ვერ ხედავ?

ზექერია, ზექერია, შენი ვაშლი შექერია.

დრო მუა, რომ ჩაფარდება აქავრობა, გათოვლდება. ალლაჰ ეთმასი, რა ზორი მაქ, პირი ვიმყრალო (სიგარეტზე ამბობს – ჩამწ.). ბელქი გაწვიმდა და არაბაში დასველდა, რამ დაგაყრევინა არაბაში? აქა ბამგირეთია, სიცივეა.

- ძველებური სიმღერები აღარ არი, მოკდა.

- გადმოსკდეს'და, გო! თუ დიგიშპა ფეხი, მაშინ დეინახავ (ეუბნება ბავშვს, რომელიც მანქანაზე არის ასული – ჩამწ.).

ჰავა'ნა მეიშალოს, ჰალა ბახალუმ!

რა ცივი ხელები გქონდა, ჭოვ?! გუყუყინავს შენი თავი.

- აქიდან წადიან, სალამოს წამოდიან აქეთ.

დაჯე, ვიყონუმოთ, ხალები არ დეიგება აქ.

ღმერთმა რატომ მოგვცა ენა? ლაპარაკისთვის.

(შემოგვიერთდა რაზიე ავჯი – ზეინაბის რძალი – ჩამწ.).

- დეეთხარე აგზე, დაჯექ (სარემ მიმართა ხუმრობით – ჩამწ.).

რავდენი დღეა აქ ვარ, წავალ-ჩამუალ, სამი დღეა, იქ ვარ.

- არაფერი არ ვიცი და ვურახუნებ.

- დაჭრილზე დეიდებ, არ ვიცი, რა ქვია.

- აქევრობა არ გადაშლილა ჯერ.

- დღევანდელი ჭკვა ხვალ მოგწონდება? – არა.

ძველი ფუხრობა აღარ არი, არა! ლამბიდან ფუხრობა აღარ არი; ახლა ჯერანებია, ლამბები არაა.

ჩვენ რა ღორი ვართ: გურჯულიც ვიცით, თურქჩაც ვიცით; დავბერდით, შვილოჯან.

გენჯობაში ვიმღერებდით, გუუბანებდით სადგირელზე, კილდი თავზე, დავჟდებოდით და გუუბანებდით; აბა, ახლა გუუბანე, აბა!

ბამგირეთი ვის უქია, მარიობის თვეში უბუქია.

- რა ცოდვა ხარ, მაგის ჩაცმას ფეხშიშველად მარე!

- ვინ მოქსოვა? ჩემ ხელმა; ორი ჩიფთი მაცვია და კიდევ მცევია.

ამაზე ზემოთ სოფელი არი? არა? გამეშეთია. ამაზე ზემოთ გამეშეთია; იქ უფრო ცივა.

ცოდვა ხართ, რა ბრალი ხართ.

რა ამბავია, ჭო? გცივა? მოკუზულხარ რაცხა.

მაგ ჭლიკზე არ'ნა შეგცივდეს.
სკამი დეენგრა, ფუმტი სკამი გუუკეთებია მეხსუს.
ჭალობა არი, მილეთი არ არიან.
ერთმანებ მუუმღერებდით არხატაშები.
ნახვარი მილეთი ველარ მიცნია.

საუბრობდნენ: აინურ ილდიზი (დურმიში), 63 წლის.
ზეინებ სეჩე, 62 წლის.
ალი ჩაქირი, 59 წლის.
სარეი ბულბული, 79 წლის.
რაზიე ავჯი, 50 წლის.

... მეიმური გამოდიოდა; ახლა ლიცე, შედ... რა ქვია, უნივერსიტე...
მოდიან აქა, ვერ დაგვისვენიაო... არა ისე დანი... იქა საქმე არი-ა? ყანა
არი, აქ ჩვენ საქმე არ გვაქ, აქა. ავატყოფია, ანი, ხასტა დედამთილი-და... უნდა
ქი, აქ ვიყვე, სახში ვიყვე. ბაჯალა არი, მული არ არის გათხოვილი, დიდია, ანი.
ცოტა დედამთილი ალთმიშბეშია, თეიზედ, ხალას უმახიან გურჯიჯა.
მამამთილს – ამჯა, ემოს. არ წყენულობენ, ჰო? არა, არა, არა! ანნედ არ
დაგვაძახნია, არ ქნა. ანნედ ერთთანე გყავანო, ანად, ბაბოდ და არ ქნა.

- ჰო, წორეა.

(უყვარხარ? კად რძალი ხარ?)

- რა ვიცი, ალლახ, ღმერთმა იცის.

ჰო, ერთად ვზივართ, ჰო. მივდივართ, მოვდივართ.

იქ, ლიბან ეტყვიან, მაჰალესი, იქ მიმიყვანეს.

წამოდიან იქიდან, დაჰა არ იციან გურჯიჯა, ვერ ულაპარაკნიან, არ
იციან. სახში არ დევლაპარაკებთ გურჯიჯა.

არ დაგვავიწყდება, ანი, გურჯი ვართ-და, იგნებენ, ისე გეიგნებენ-და,
ვერ ულაპარაკნიან, ჰო, ანა-ბაბომაც იციან გურჯა, იმათ/ამაც იციან, კაცის
თერეფმა.



თქვენ ახლა სიდამ მოდიხართ? ბათუმიდან? გაგონილი გვაქვს ბათუმი და ისე არ ვართ მოსული. მევედეთ, ჰამა... მოდიან, ხან მოდიან, ხან ვერ მოდიან, ანე, თუ არიან, მოდიან. ჯუმა დღე მოდიან, არა. არ გაარუნიებენ, ისე, ანი, ზამალარ-და გელიერლარ. ჯამიკარ არიან ჰერალდა, ქალები თაზე არიან. ესა აგარა, ბაქირთას მაჰალე, ჩულურ, ჩულურ აგარა, ბაქირთა მაჰალე.

ხალები, ემე იგი მოვრეცხეთ-და, აღარ ემე მიქნია, აღარ დიმიძრია-და. ა იგზე, ჯამიკარ, ლაილონს დავაგებთ. ჩადირს ფურჩათ, ნებილეი ამ ემეში (ვაშრობთ), ჩადირს ავატანიებთ, დავაგევიებთ, ყოლაჲ იქნება. ვაცხოვთ ჭადსაც, გვაქვს ჯანი ჭადსაც ემე, ჰამა... არ ემეს იჯებიან, არ ჭამიან ჭადი, პურ ჭამენ.

ჰო, (ჩომა) გვყავს. მე არ მყავს, ანი აქა-და... ედღებ ფართით, არ ვდგები აქ, წავდივარ, ანნეთან წავდივარ, წავდივარ ხოჯისთან ერთად. აქავრი'ნა შეხედოს, იყვეს'ნა. ჰამა ღარჭები დადიან მექთებში-ა? მე და ხოჯა ვრჩებით მართო. ჩვენაც არ ვართ სახში იშტა. ხან ისინი გამოდის, გავდივართ, ეჲ, აქაც მეზობლები არიან, ამა ... უყურებენ, მიგვიტანებენ იშტა, მააქვან.

- კვირა დღეა. ჩვენ ჯუმა ერთასის ფაზარ ვეტყვით. დულუნ დუუცადეთ და კადა... ოსმანი რომელია? სულიას ღარჭიც იქ არი. ალიაჲ? ამმედ ალთუნის სამსუნში იყო. ხასან ჩელიქი იქ არი იშტა. აქ არი ახლა, სოფელშია, აგზეა.

ახლა მიუხტი განა. ჩუნ აქ ვსაქმობთ. შეერშიც ჩავდივარ ბაღნებთან. აქაც ვერ გიგვიგდია სახლები. დავბერდით, ველარ გვიქნია. ჩომა არიან. ზამთარი დიდი აღარაა. ორი-სამი მეტრო თოვლი მოვდოდა, აღარაა.

ჩვენი ციხეა, ბაზგირეთისა. ხევწრულის რაა. რუსის დროს გუუკეთებინ.

აღმური არი, წვიმა მოდის. სათიბი ვერ გვითიბავს. ფული ვაწვინე, ემექლი გავხდი. თქვენ სიდამ მოხვალთ? – ბათუმდა გელდორ, დედე ბათუმდა (მიუგო პატარამ ბაბუას – ჩამწ.).

- ამოდენ'ნო, თქვა იმანა. ასე დიდი ფესტივალი იყო, ბაღარ შაჰინი იყო, რიზელები იყენ... იმღერს ჰოოო!!! ბირას დავლევე, ვიმღერევე.

თქვენი ვოტკა ზალიან მაგარია. გუშინა ბიჭებმა ლევდენ... ჭაჭა ზათინ მეტი სერთია. თურქულად, ქართულად... ვისამეთ.

მაჭახლური არი ბაიარ შაჰინი. იმან იშტე გურჯულა იმღერა. აქაც'ნა ამოიდეს. წუხელის წევდა შავშეთსა. დუგუნშიც'ნა ამოიდეს.



ისო... რად ვიცი, კაცო. კასეტში გედედღეფს. არ გაწუხდით, ძურთეზაა?... ველარ დიმინახავს, მაღლა ევდა, ერთი ფაცხა სახლი აქ. გამუყყვანია დიდი ღელე, სხალი და ვაშლი დუურგავს ორი თანე, იქა რაა'ნა იქნას?

- გუშინ ერთი კაცი იყო და ... გენჯი ბიჭი. მეო გურჯული დევწავლო'ნა, ქართველი'ნა ვიყო. ედა რავად დევწავლო და რავად ქი გურჯი გავხდეო, მერაყობდა. ალფაბე'და დედწავლო, ავაშ-ავაშ იწავლი. გუშინ ქაღალდი მოქცევს, ანბანიო, სა წევლე, არ ვიცი. ხალხი ბევრი, ბევრი, ბევრი იყო... ორი-სამი გენჯი ბიჭები იყვენ, ორი ქალი ახლდა, ილაპარაკეს.

ერთი იყო, ორმოცდათვრამეტისა ვარო, რა იცის ჩემი თავი, არაბა გუუფუჭდა, ველარ აასაქმა. მოყყვანე ერთი ბიჭი, ამფერი რამე ეგნებოდა, გუუკეთა... იმა ფული მიცა, სასმელი მე მომცა... ჰოო... გერმელი იყო, გერმელი... სამი-ოთხი ფაკეტი ემეა მაჩუქა. კად იყო, ჰო, ჰოო... (ხელს აყოლებს აღფრთოვანების ამოძახილს ოსმანად – ჩამწ.).

გვარი რად გაქო, მოვკითხე. მითხრა: ჭედელი არაფერი არ არიო. ჭედლიძე გვარი არიო. ხევწრულში არიან: გამრეკლიძე, ჩაქურიძე, ქურდუკიძე, კოვიძე, მელიქოღლიშვილები, კიკნაძე ბელქიდა იქნება.

ჩვენ მჭედლიძე ვართ, ცვარიძე არიან, გამეშიძე არი, ისენი იშტე არიან გვარი. მაჭეხელში რომ გადახვალ, გვარს გეძკითხვენ, ბერები გეძკითხვენ. მაჭეხელი ბევრი შორ არი.

ერთი ალმანი მევიდა, თურისტი. მუხტარმა მითხრა, წაყვიო. მეც ვთქვი, მაჭეხელ გედევალ, დევწახავ... შვიდ საათზე წვევლთ, შვიდნახევარ საათში ჩვევლთ. ზემოდან გადადი-გადმოდ, ქომოდან ფასაფორთი ქქონდეს.

კაცი მოკტა ორმოცდაჩვიდმეტი წლისა. ზეიდან წევდოდითო ცხენებით, ჩევდოდითო ბათუმში.

გადახვალ ხევწრულში (ციხის ზემოდ ადგილი ჩვენია, ყალე ხევწრულის ადგილში რჩება), ამოხვალ ბაზგირეთ, ახვალ გამეშეთ, გამეშეთიდან საზგირელაზე (საზგირელი დიდი დუზია და ბოლოში მაილაა), ქომოთ ემეში... კარჩხალი არი, იქი ქომოთ არი თორმეტი სახლი, იქა ყორეზე გაკეთებულია ფენჯრები, ამბობენ, იქა თამარად ყოფილაო. არაბადთ გაღმით გახვალ, გამოწევე; წახვალ, ჯანჯირი მაილაში ჩახვალ, იქ'ნა აწავლებიო. ალაბალექ დიდვენახ უძახიდენ, გაღმა აშენებულია... გაღმი თერეფში, კლდიძირში, გზი თერეფისკე ფენჯრები აქ. მეც არ ვიცოდი. ბაბად იქ ცხოვროფს, ბაბამ დამანახვა. ბაბად მერაყლია, იქაო ალთუნი არიო, წაველით, ვნახოთო (ლაპარაკობს ნუკას საყდარზე – ჩამწ.).



საზვირელიდან მაღის სადნობზე გახვალ, მველათ მეგრემ აქა
მაჭებლელს ცხენით მაღი მიაქ, ჭვირთი უუმდამდაო ცხენს, ჩამოილო,
გამსუბუქდესო. გადნა მაღი. ილოცა, ნახა მაღი აღარაა, კაპიწი ცარიელია. შენ
შეჭამეო ამდენი? ცხენი თავს იქნევს. ედლო, მოკლა ცხენი.

ლეკობნი სერი, ხერთვისური მაილეუბი; ხერთვის მაილიდან ქვაბითავ
მაილაში გახვალ, ქვაბითავ მაილადან ინაწმინდას (ინაწმინდა სერია, თა,
დუზი სერია), იქიდან ჩეხვალ მაჭებელში.

შენ გაღმა, მე გამოღმა,

გულმა რავარ გეისვენოსო.

საფუტკრი კარში დააბა ცხენი მაჭებლელმა. დაკბინა ფუტკარმა.
გიმიბლეზე ფუტკარიო, მოკლა ყათირი.

- მკითხე და გითხრა.

ამან არ იცის, ბევრი, არა.

ოქულში ვისწავლე. რა ვქნა ქი, არ ვიცი. ვერ მუელ მალე. მოთიბენ.
ფარას დეფირავენ, გამომიგზანან.

- ვახიცუზი (მძიმეთაა ქალი)... ძიმეთ ეტყვიან. ფეხძიმე იქეთურია. ვრა
თვისაო იტყვი. ცხრა თვისა შეიქნება, მახლოვდაო დაწოლის დრო. კად
გახდა?!

- აგზე მეწვის. ეს ალაგი'და გეეჭრეს'და, არ გამჭრეს. დემური'და
ჩეედგენ. სად ღმერთის გაჩენილი ემე და სად იგი. სანქი კად არი. გეგიჩდება,
რა'ნა უშველო, რას იქ.

დღიებში ჩადგაო. მე სამი თანე გავზარდე, არც დოხტორთან
წავსულვარ... ალლაუმ ვერდულუნე შუქურ. ჰერ არსათ არ წევსულვარ. ბეზიად
იქნებოდა აქა, იცოდა. მოვახლოვდი'ა, ჩემი დედამთილის ანად ამოყვანეს,
იმან მომიარა, ეყვანა. პაწაზე დედამთილის ანად ცოცხალი აღარ იყო. აგერ
რომ ედარა, იმის ბიბოდ მეყვანეს, იმან მიმიარა. ღარჭებიც არსათ წიმისხმიან.
სხოგან გერმელი წყალი არ არი, ჰავა გერმელი არ არი... ჰამა არი, ჰამა, წყალით
არი გერმელობა. ჭლიკი მეტკინა, დიმისივდა, დასივდა ასე ბაყვები, ვედარ
გევსვენე. ვიყავ, ჰამა ვიყვირე, დაფულრულა...

ღარჭზე დაწვაო, იტყვიან. დალოგინდაო, იმასაც იტყვიან.

ბაკალა თუ არი, ბაკალა ყავსო, იტყვიან. ებუჭუნებს, გედარს, წევა.

ამითო ღარჭს ზრუგში მევკოჭავთო და წევყვანთო. ასე ხელში
დაჭერული რა'ნა ისაქმოო.



- აკვანს გაარწოფ, დეაძინეფს-და. ტარზე ხელ მოკიდეფ, გაარწოფ. ახლა სხვა ემეე გამოსულა. წაავლეფ თოკზე, დაარწოფ, დეაძინეფს, გაავდეფ, შენც დაწვები დეაძინეფ.

კურჩხელას უკიდებენ, დანახული გექნება, კურჩხელას დუუკიდვენ, იმა ექცევა.

- აკვან ხოწვენ....

სოფლის გალმიდან მეზელლულია. რაცხა რომ ახალია, მოღობილია, თელობით შემოღობეს. ჩომამა აჯუმენ, აფსამებენ, კად არ არი. სეტყვა მუა, არ არი კად.. ბევრი ხნისა ზოგი ჩაფარებულია, ბევრი გეძკორდა, ტყეში ასლამდეა.

- დილაზე თუ მოკდა, შუადღე უკან ჩადებენ. საღამოზე თუ ემე იქნა, დილაზე შუადღემდი ჩადებენ...

ოსმან იშიქი

ახალი სახელი მადენი არი. ბაზგირეთი ქართულად თქვენში რა არი?

ჩვენ ქართულად ვიცით, ამა წერვა არ ვიცით, კითხვა არ ვიცით. ჩვენ გვაქ დაწერილი ემეები, ჰამა? აგზე აღმართ შედართ, იმას უკან კად არი გზეები, გურჯი ლაპარიკი. აღმართი შედართ'ში, კად არი.

(აქ რა გვარები ცხოვრობენ? –ჩამწ.)

ბეზირგანოლლი – პალიშაშვილი, თეთრიენთი, გამეშიძეები არიან... ორი-სამი თანე კულან'და დაჟდეთ, თვარა არ იქნება... ჩვენ პალიშაშვილ გვეტყვიან. ა, მაგრე, კაცო, მიდექ... ბისონიენთი, თქვენში და ჩვენში სხვაფერ იტყვიან. თქვენი ლაპარიკი სხვასოდ არი. თქვენი და მაჭეხელისა და ბორჩხელებისა გავს. ჩვენ ლაპარიკში თურქა შერევლია, ქართველ შინა თურქა შერევლია...

- თქვენი ბიჭი წყევანეთ, სოფლის უკნიდან გოლია, იქ წყევანეთ, ლამაზია.

ხალხი ჭალაშია.

ჩვენ მაილას ჯანჯირი ქვია. იმა უჩხარდემი ებნევიან, იქევრობა ახლა იშტე. ლეკობანი და ჩვენი მაილა ახლოა. ფეხით ერთ დღეში ვერ გადახვალთ...

- აქედან წასული, გაკრეფილი არიან. აქ მიწიხაპად მოდის, ჩომა ყავან, იმა გაყიდვენ...

- ბათუმში გამეშიძე ჯაფერად არი, იცნობთ ჰელბეთ...



- ზამთარში ბევრი თოვლია. ორი მეტრი გათოვდება. ზამთარში თივას ემე იქმენ, საჭმელს ეძებენ... ექვსი-შვიდი თვე საქონელი გარეთ არ გამოვა, შიგნით არიან. კაცები წევლენ ყაპვეში, დალევენ, ქალაღდ ექცევიან. ჩვენში რახ ბევრი დავლევთ. ტელევიზორში დედნახდით, ანკარას ემე რახი გააკეთეს, ხალხი ემე ქნეს.

- ფული მათგებიეს.

- ესენიც გახდენ ფატრონი.

- ორი ბიჭი, ერთი გოგო მყავს, თბილისში ისწავლეს, უნივერსიტეტში. მეც ოთხნახევარ წელწად აღმანიაში ვიყავ. ქურთების, სხვა ხალხების პოლიტიკოსების ერთად ვიყავთ. ახლა ევროპაკავშირი ებნევა და აწიეს.... ასი და ოთხი ის მქონდა მე, სასამართლოდან მომივდა ასი და ოთხი დავა, დოსია. ერთ იმიდამ და სამასი მილიონი ფული'და გადამეხადა, და სამ წელწად ციხეში'ნა ვყოფილიყავ. ახლა არ გვცემენ და კიდევ ქურთების ემეები იგზე არიან, ჩრდილოეთ ერაცში... ქართული ყოფილხარ, სხვა ყოფილხარ აქ თელითვინ ის იყო, დასალი. მე ქურთი ვარ თქმა, ქართველი ვარ თქმა, სომეხი ვარ, თქმა დასალია, დამალო'და.

- ჩემი დედემ თურქი არ არი, მამა არ არი, საიდან ვიქნები მე თურქი? კითხავ, არა, არა, ისე წერიაო. მემრე აწიეს. ახლაც კიდო ეს ემე არ გაწორდა. ახლა თურქი ყვირის, ქურთებ რაზე გარედამ ეშველებიან! ქართველები ცოტა არიან, ქურთები ბევრი არიან...

- რამდენი ქართველი იქნება თურქეთში? იქნება სამი მილიონი. არა, ბატონო, ილია მეორემ თქვა, ათი მილიონი იქნებაო. იქნებოდეს მეც გომიხარდება-თქვა. ქართველი ვარ - ბევრიც არ არი მთქმელი. სამი მილიონი, მგონია, ვიქნებით... ოთხი-ხუთი მილიონი იქნება. სამზეც მეტი იქნება, რომ კითხო, არ ამჟღავნებენ კი.

შავშეთში ქართული არ იციან?

- ზოგი, ვინცხა რომ განათლებულია, იცის: სოფლის სახელი ქართულია, ანა-ბაბოდს სახელი ქართული, სიტყვებიც იციან ბევრი-ბევრი, ჰამა ვერ ლაპარიკოფს. აქ ართვინში თურქი არაა. ბელქი ამ შავი ზღვის პირში თურქი არ არი: ბერძენი, სომეხი, ლაზი, ქართველი.

- სხვა რაცხას რომ ლაპარიკობენ, რაა ამისო, ეტყვი. ლაზურიაო.

- ამ ხალხთან კარგათ ვართ. ერმენი ვარო, ბერძენი ვარო, ვერ ამბოფს. ლაზი ვარო, ამბოფს.



მეხსუთ ილმაზი სომეხი იყო, აშინებდენ მისი ამხანაგები, ვიტყვითო ქი. ახლანდელი პრემიერი ვინაა?! ერდოგანი. ის რიზელია, რიზელი. ჩემ ბაბუას ვკითხე კი, ვინ ვართო და ბაბუამა მითხრა, კიო, შვილოვო, მუსლიმანი ვართო. ჩემთვინ ქართველი მუსლიმანი ყოფილა, ქრისტიანი ყოფილა, ჩემთვინ ერთია. მე ბევრი წიგნი ნაკითხი მაქ, - ტოლსტოი, ბალზაკი, დოსტოევსკი...

თამარას სასვენზე ქვა იყო, მეც დევნახე. წეძღეს იზმითში. ასე ლამაზათ გათლილი ქვა... და ხელს მოკიდებდი იშლებოდა, მაგარი არ იყო. გურჯული ეწერა. მეც დევნახე. გადავწერე. ბორჩხაში ერთი ადვოკატი იყო, ქართული წერა-კითხვა იცოდა, წევლე. სტამბულში წასულიყო... მერე დავეკარქე. ასე პატარა კაცი იყო. სახელი არ მახსოვს. იქ ეწერა: „თამარ დედოფლის სასვენებელი“.

ფერჯი, ჯევი, ჯარი, მჯარი... ჩვენში ბზე ვიცით. ჩვენი ცოტა ძველია. სულ ძველი არი. ზოგი სიტყვები დავიწყნული გვაქ. ეს თასია, ეს საღანი, ეს შუშეძე. ამისი სახელი არ ვიცით... ტიტყვი (იდაყვი – ჩამწ.).

ხელი – ჯელი სხვა არ არი... ჩვენი ზველია.

ზაფხულში კაა არი. ჩემი დედე ფენა ნავალია ბათომში. აქიდან წასახემდა ჩომას, იქ დააკლევებდა ყასაბ, რაცხა გვინდოდაო, მარილიო, ჩასაცვამი, იქიდან ამოვტანდიო... იქ ზემოთ ლამაზი ვაკე არი. იმ ვაკესაც ვახტანგი ვაკეს ვუძახით.

მე ყურანი სურები ეზბერად ვიცი. ნუსხას დაწერენ, ემე დაწერენ... ხოჯებმა იციან.

არ ვიცი, არ მაგონდება ქი. ვინცხა რომ ზველი დედაბრები არიან, იმათ'ნა კითხო... ჩვენ თანთოშვილებ გვეტყვიან, სახელი - ალი.

სელამი მუუსმინოთ, მოკითხვა უთხარით, შვილებსაც. აქ არი მისი დოდოფალი, ამისი ბიძაშვილი. ეს სახლი იმისი ტადას სახლია.

შენ ანთიკურ სიტყვებ ლაპარიკობ და იმა ვიწერო. ჩვენი გამგნე იყო (ნოდარ კომახიძეზე ამბობს – ჩამწ.).

ჰაიდეთ, ახლა ევდეთ, ჩაი ვსუათ.

ქართული რომ დედვიწყენ, ვბლეზდები, ჰამა, რა'ნა ქნა?

ჩვენ ასე ვიცით დიდვანებიდან. ამ ალაგ ქილისეს ვუძახთ. დაბლა ბაზგირეთის დაილაა, ჯანჯირ დაილა.

დაილაზე არაბით ავალთ. არაბა ვარი. ნაქილისარი არი, მარა რავა გაწავლო. მაქინა მეფტადთ და ნახავთ.



მე რა ვიცი, ზამანდა უშენებთან. აქევრები დოღრი გურჯები არიან. იშტა, ის რომ გეხსნა, გეგნენ აქ ქართველები რომ იყვენ. ესკიდან აქ ნენეები ყოფილან იქვერი, დარჩენილან აანი.

აქ არიან ქართველები იმერჯევში, შავშეთში არ არის გურჯი. ისენი თურქი არიან.

თქვენ სიდამ მოხველით? აქეთკე ხართ თქვენ?

აქ თელევიზიონში ლაპარიკოფს გურჯიჯა ხებრებს, ცქვიტ-ცქვიტათ ლაპარიკოფს.

ერთი'და დეგინახო,
 უბეში'ნა შიგინახო,
 შენ რომ ყურბეთში წახველი,
 მე როგორ დიგინახო?

ფესტივალზე ამოდი და ამღერე აგინი.

ბევრი ზამთარია აქა. ქორებ ავავსეფთ თივით. ჩვენ წასული ვართ და ნენეები არიან, დედები... ჩვენ მალე წამოვდივართ, ქალები. ჩვენ ცოტა არ ვიცით, თქვენსავეთ. კითხვა არ ვიცით, დაწერილი ვერ გვიკითხავს. ახლა აქევრელები იქ ესახლებიან. იქ ისწავლიან, იქიდან წამაასხეს ქალები და აქ მასხეს. ენწინ არ იყნენ ისენი. რუსები მოვდენო, გვემინოდა. ახლა თეელი ერთი გახდა. ახლა მახანჯობა აღარ არი...

გავახმოთ'ნა ჩაი. ად იხლამურია. ზველი ჯამე ეს არი. ესკი ქილისე ყოფილა, გადმობრუნებულა.

თუთუნ ზველათ ვთესევედით, ახლა არა.

ვაშლი თეთრი და წითელია. არალმაც არი.

შარშან დეინგრა და ისევ ააშენეს. ზიოსშიც არი წისქვილი. წყალი ცოტაა, არ აბრუნეფს. დახოშრავს და დალენკავს (წისქვილი).

ჩახვში ჩაასხამ, ჩადეფ გობში. დახრეტელ გოფში, გეფწურვის.

აგერ, ქვეშიდამ მოგვაქ თივა. არ არი შორ.

ესკი ფეხებით უტენავან კანდრაში ფშნილა, ახლა ქვას ნახავ, ჩააწყოფ და ჩატენავ.

ახლა ტადოს უყრია და მერე'და დავაყარო.

ესკიდან მარილი ბათუმიდან უწიკავს ძრუგით. ბამგირეთიდან ჩეღარდენ ბათუმ. მაღი მიაქვან, ფშნილა, მარილი მიაქვან.

ზველადაც არ იცოდენ შავშეთში გურჯიჯა.



ჩვენებურად დევლაპარიკებია, იმა გონია, მაგინფს, აკოვრობაში ჩვენებურად გურჯიჯა ვლაპარიკოვთ.

ახლა ჩვენი ღარჭები შიგა მემლექეთში საქმობენ, იქ დასახლდებიან. ჩვენც ჰუქუმეთში მოვალთ, გურჯიჯა ხომ არ ვლაპარიკოვთ.

დედე იქედან გადმოსულა, მეჭეხელ ეტყვიან, გაგონილი გექნება. რუსი რომ მოვდა, დედე წამოსულა. ორი ღარჭი იქ გუუგდია, ორი წამუყყანია. ასე იტყოდა ბაბო.

ი ბექმეზია.

ბელქი და მოკდენამდი ჩებიან. იცოდენა და დაგჭირდება, იწავლი.

შენი სახელი რაა არი? იმა?

ხომ გელდიზ! გამარჯობა! მეგრელიშვილი ვარ.

დაბერდა, ხაპერში ჰკვას ველარ ჭუჭკავს.

მეგრელები გლახა თქმა არია.!

თირფანი მაქ, მერულიც. მერული მოსაღენკია. ზამთარი ძიმეა.

ჩამედლე, ჭო, რადა...

* * *

- იმღერებენ გენჯები, მე ვერ ვიტყვი, მე თურქა ვიცი. ბითავი სირათ არ ვიცი. თურქა ვერ გადააბრუნებ. იქ ჩემ დათან ახვალთ, მისი კაცი თქვენსაში გადმოსულია, ღარჭები იქა ყავს, ორი თანე.

- თუთი, მოდი აგზე, გო! ძველებური რაცხა-და დაწერონ, მე არ მაგონდება; ვინცხა რომ დედაბრები არიან, იმათ იციან, ფატყუ ნენეს ეცოდინება.

- ვალლაჰა, მე არ გემეგნება, არაფერი არ მახსოვს, რა'ნა მახსოვდეს, გო?! მანი, მანის ამბობს, მე არ გიმიგონია, მე რაი ვიცი?! წყალი მიმაქ ჭალაში, ვთიბავ.

- ქართულად თქმა უნდანან, მარა ვერ ვამბობ. ფატყუ ნენემ არ გამაგინოს, ცოტა დაშლი არი; ერთი ბიჭიშვილი ყავდა, მუუკდა და იტყვის, მე შენი ქეიფის დრო მაქო? წიგვიგველებს. გევდე, შინ თუ არი.

- ო ყათარ ბიშე ბილმამ, იმდენი არ ვიცი; რას მეგვონეფ, რა ვიცი, აღარ მახსოვს.

- დოდოფალ რომ მეიყვენებენ, მაშინ იმღერებენ. გურჯიჯა სიმღერები აღარ მაგონდება ბევრი,. დუგუნში მღერობენ გენჯები. ხუთ დღეში აქ დუგუნნი



იქნება, მაშინ'ნა დუუდინგლო. ზემოთ არი ერთი სოფელი, გამეშეთ ვეძახით, იქიდან'ნა მეყვანონ.

- ისა უნუთას ხალაა, აქ მევდა და ზამთარში წადის; ანაა, ბაბოა ყავდა, დეახოცენ.

- ჩვენ თეთრიენტ გვეტყვიან. ზემოთ ჯივანოლლები არიან. ვერ გავარიგებთ, ასე ვლაპარაკობთ ბოძნე; მე იმდენი არ ვიცი, მაგან ბევრი იცოდა, დავიწყნია. რაცხა ვიცოდი, გითხარი.

- ნუსხა ჩეთინია, ყველავენ ვერ დაწერს; რომ ილოცავ, ის ვიცი. იმათ უბერვენ, იმათი აფეთები არ ვიცი; ბითავმა არ იცის, ზოგ-ზოგმა იციან.

- ლოცვები ანემ იცოდა; რომ ვუთხარი ქი, მასწავლე-მეთქი, მე რომ გაწავლო შენო, მე რომ ვულოცო სხვებს, აღარ კვეთავსო, სოდრა გასწავლიო. არ მიკითხა, არ ვიცი იშტე. ჩვენ ზამანში დასალი იყო კითხვა. მოდიოდნენ, გვიჭირევდენ. ღარჭობაში ერთი დედეა იყო, მოვდოდა, იკითხევდა. მაშინ ვიცოდი, ჩამოთლიდა, გვატირებდა ხოჯიები მაშინ იყნენ.

- სიმწარე გამოვიარე, ღმერთის საქმეა.

გურჯიჯა ვაიზი რა არი? - ვილოცოთ, ვიკითხოთ, ღმერთს ვეხვეწნეთ, ღმერთო ბატონო, შენ შიგვიბრალეო.

- მე ქი ვერ ამოვალ ზემოთ, თქვენ არაბაათ წახვალთ.

- მარტო იგზედან ვერ ამოსულა.

- ახლა ვერვის ვერ ნახავთ, ჭალეებში არიან. ქალეებიც წადიან; გათენებული იყოს, დადამებული იყოს იქნებიან; ახლა აქ არ არიან. ჩემ დის კაცთან მიდით, ის თელ გაწავლის. მე მაგდენი მანები არ ვიცი.

- აკვანში ჰელბეთ უმდერენ, ჰამა ქართულაა არ არი, თურქჩას ებნევიან. ჩვენი ბევრი გადაბრუნებულია, გურჯიჯა აღარ დარჩა.

- ისტამბულიდან მოსული ვარ, აქავრობა გავყიდეთ. ისინი იზმითში ცხოვრობენ, მეც იქ ვცოცხლობ, აქევრი ვარ, ოთუზ სენე გახდა, მე წასული ვარ დევლეთიდან. ერთი შვილი მყავდა, მოკდა; ბერი არი სახში. აქევრი ბითევი იქ არიან.

- ეს დაწერილები თელევიზიონში'ნა მისცე გოზგორა? დუგუნია. აქ იყავ და უდინგლე; ოთხი დღე არი დუგუნი. ჩემ ძმას დააწერიე, ის მღერობს, ქემალამ იცის.

- ჭოვ, მოდი, აწავლე!

- ამის დუგუნში მიდით და მაშინ დეიწავლეთ. მე ქართული შაირები არ ვიცი.



დღეებში შენ მისლა გინდა, მიხვალ. ისეირებ, რამე არ უნდა; ჩვენში ფულიც არის, საჩუქარიც არის.

- ამას სახლი დაჭირული აქ ემეში.
- ოქრო არისო, - გვითხრეს.
- არ არის ქი ოქრო. არავინ არ თხრის ქი. ვინცხამ ამოთხარეს, დეფხოცნენ.

- თავის ქერქები, ხაპერის ქერქები ყრია პაწაჲ; მოკდნენ, დეფხოცნენ.
- გურჯისტანი, იქოვრობა ლამაზი ყოფილა.
- სად არიან, დაღამდა იშტე.
- წორეს ამბობს, დაღამდა; ღამეში გზა-კვალი არ იცი...
- ესენი რომ წამოგეყვანენ, ახლა იქ ვიქნებოდით იშტე.
- შოთა და არჩილი ემეში იყვნენ. სამუშაო ადგილი არ იქნება იმდენი.

მუსლიმანი მუსლიმან აფუჭებს.

- ორი თანე, სამი თანე რუსი იყო.
- ფული გინდა, ხუთასი მილიონი რომ ჩეიდვა, გახვალ-გამოხვალ.
- მე ფასაფორთი მქონდა და გაველ. თურქების ოთელიც ყოფილა.
- ხოფადან ყაჩ ქილომეტრია ბათუმი?
- თექვსმეტი!
- რამე არ ყოფილა.
- ჩვენთან ქალი იმუშავებს, იმუშავებს, ორმოცდათხუთმეტი აათავე, თამამ. ოთხასორმოცდაათ თურქ ფარას მოქცემენ, სამას დოლარს.
- ისა რე იქნა?
- ფენა, ფენა ღვინო ლევს. ადგება ცივ დილაზე და დათვებ კლავს. ღორები არიან, ჰამა არ ვჭამთ. გარეული არიან; დათვები საქონელ ჭამენ.
- ჭამე-და, ბალი აქევრი არი.
- არ გამომწიო!
- გამოგწიოს, წედლოს'ნა გურჯისტანში, ბათუმში. გამოგწიოს, კადა, შენი ხისიმი დიგინახავს.

- ახლანდელი ცხოვრება ცოტა ისე იქნა. მამა ავადევლია, ძმაც ავადევლია. სიბერეში სისხლი არ მიდის. დამრები ისხნება. დედა თხუთმეტი-ოცი წელიწადია, მიმყავს-მომყავს, არაბა მყავს, ფუტკარი მყავს.



ცხოვრობა ასეა. ერთი ძმა პატარა არის. ორი წელიწადია ფსიქიატრულად ავადაა. ჩემი ტადადც ასეა, თავი ჩამეიხჩო.

ქალი მევეყვანო? ქალი სახში არ დადგება, ქალი ნორმალა არაა (დედაზე ამბობს - ჩამწ.), ძმა ნორმალა არაა. მე წევდე, ამათ სიცოცხლე ვერ'ნა გაარიგონ. სიცოცხლე ასე არის.

ფასაფორთი გავაკეთებო და მერე ვეღარ წევედი; ისტამბულში ვიმუშავე, ხელფას არ გვაძლევდენ კარგად, ჯარის დრო მოდიოდა, ერთნახვარ წელიწადში ჯარში ვიყავი, ფსიქიატრულად ცოტა მომეშალა, ქურთების ომშიც ვიყავი. ერთ წელს დეპრესიანის წამლები ვჭამე, არ ვიყავი კარგად; ერთ წელს იქეთ გამოვბრუნდი, მუშაობა დევწყე შევშათში, იქაც ხელფასი არ იყო კარგად; მერე ემეში წეველ, სამ წელს იქ ვისწავლე, ღამეში დიექეზი ვიყავ (ღამის მუშაობის უფროსი), დღე თურქი იყო. მერე გამომადგეს. ოთხი წელიწადია აქ ვარ. ცოლის მოყვანა იმდენი არ მაინტერესებს, უმფო ბაღები. ახლანდელი ჭკვა მქონებოდა!... შენ ვერ გიგიგნია, მე რას ვიჯები. ოჯახში პრობლემებია, მიდიხარ, ვეღარ წადიხარ.

დიდ ძმას სამი თანე ბავშვები ყავს, ემეში ყავს, სექურინტია ფაბრიკაში, სახში პატარაა; საქონელი გყავს. ჩვენ ჯივანოღლებ გვეტყვიან.

- ზემოთ არაბად ოც დეყეზე ავა. აქ ანჯახ მუაწევს.

- დრო რამდენიც გადის, იკარგვის ქართული. ერთი ენა არ იხმარე, არ იხმარე, დამავიწყდა.

- თავის ქერქშია, ბევრი არ'ნა გააწუხო (მოსაუბრემ თქვა ერთი კაცის შესახებ, რომელიც კუთხეში იჯდა, გვისმენდა და საუბარში არ ერეოდა - ჩამწ.). ეს გავაწუხოთ, აგზე ზექერიადა, ამან ბევრი იცის. მანდოლინი ქონდა ამას, დასვენებაზე ასწევდა ამას და... დანგ, დანგ.....

მოა აგზე, რაცხა გურჯიჯა სიმღერები დააწერიე. ახლა ბიჭებიდან ვინ არი მომღერალები! ახლა რომ ქორწილი იქნება, იმდენს იმღერებენ!

ღვინოსე ევლებთ, ორასი - იქიუზელლი კაცი იქნება.

- მანქანა გაქვან? ზექერიადა ვერ მევეყვანეთ. იქა დიდი და არი ნეჯათისა; ზემოდან ჩამოხვალთ ნეჯათთან, იქიდან ყოლადა. გუუჭირდა ბელქი'და აღმართში.

- შეგეშინდა?

მე არ მშია, ჩორბა ამოვჭამე.



- ფსაფორთი არ იგვიღია, ბათუმში ან ალმანიაში თუ გედევდით, მაშინ უნდა, აქ რათ გვინდა. ართვინის ვალი პროტოკოლს უკეთებს და სამ ღამე გადადის.

- ჩამოთ, ჩაის გიგიკეთებენ. ზარმელი ჭამეთ? ზარმლობის დრო არ არი? სტუმარები მოხვალთ.

- მურთაზაა თუ იქ არი, გეკითხოთ. თუ ქემალამა არ მედწონა, მე ავართვა.

- ამ მანქანით რომ დარო, ერთ წელიწადში გაზავდება. ამაზე ძლიერი არის ჩემი მანქანა.

- ყველაფერი რიზედან მოაქვან. ერთ დღეში მოდის ორასი-სამასი მანქანა; ზიდვენ, იყიდავ, მედტან, მედგებ. მე ორ-სამ საქმეს ვიჯები, ვერ მუაწრობ, თექრენ ემე ვიქ. კვირაში ერზუმში'და წევდე. სამ წელწად ვისაქმე. თურქს უნდა თავის ნათქვამურად საქმე ქნას....

- რა იქნა, რატომ არ დარა? ტალახია?

- მაგას ჭკვა დათესილი აქ და თიბავს ჭკვას.

- აქიდან წახვიდე გამიშეთში, დუზი გზაა, კვერცხი არ გადაბრუნდება.

- იქიდან თლათ გეექნენ, აღარ არიან. იგზე არ ჩამოგეყვანა კად იყო, მარა ნედსა.

- ბითევი ბათუმლები ხართ?

- აქ სათივრებია, ჭალებია. მოგწონს აქავრობა? ზემო მაჰალიდან დოდოფალი'და ჩამეყვანოთ. მაჭიხელი ამკენაა.

- ამას წამალადაც ხმარობენ, თქვენ გეცოდინებიან, კატარაა ბალახია, თივრიფხალაა ქვია. ამა მოხარშვენ ძეში, გაწურვენ, გერმელია.

საუბრობდნენ: ფათმა დუზგუნი (75 წლის)

სარე ბულბული (47 წლის)

აიჰან გენჩარი (35 წლის)

ქემალ ჩალიშინი (34 წლის)

ჰაიდარ ბულბული (36 წლის)

- რაც გევემთხვენით, არ გვიმდერია; სიარულზე ამოსული ვართ, ტელეფონებიზა ამოველით.



- აქ მე ვმუშაობ და საჭმელი მე ამომიტანეს: აქვეერი ვარ, ბურსაში წაბმანებული ვარ.

- კაცები მოსაგებზე არიან. ჩვენ'ნა წევდეთ, სასიარულოთ ვართ ამოსული. ახლა დაილაში'ნა წევდეთ.

- შავშეთში'ნა წახვიდეთ - ჰო?

- რამდენი წლისა ვარ, ჰო?

- ოცდათვრამეტს იჯება!

- ისე უთხარ რაცხა!

- ახლა იმან'ნა დაგაწერიოს, ჩემი კაცის ტაადა. მე ლესკები არ ვიცი.

- თხარეს, ძველათ ყოფილა ქილისა.

- ჩვენ შილები ვართ, ისენი ემიაშვილები არიან.

- ჩემი ღარჭია ის.

- მე ხომ კაცი არ ვარ, რატონ'ნა შეგცხვეს?!

- ნახვარ გურჯში თურქჩას ვურევ.

- ჩვენ დავზარდეთ, აკვანში გვიწევან, ვუმღერებთ: ნანაჲ, ნანა. ბევრი ადეთი არა გვაქ.

- ბეჭედი შუა თითზე ვერ გიმიტანია. სახში არიან, ვერ მიხმარია.

- გაწუხდენ, მზემა ემე ქნა.

- შენ გააგნებოე, ჩვენი ლაპარიკი ვერ გუუგნიან. ისა მეორემა თქვა.

- ესენი არ შიჭამე? ჩაი გიგიცივდა, შვილო.

- მევღალენით, მარა...

- თქვენ ცქვიტად ვერ მართ. ტაადა საქმობს აგზე. ჩემ კაცისა ტაადა ის.

ზიოსი

- დედე ბათომიდამ მოვდოდა, ამა არ მოვწრებივარ. ჩიქუნეთ გასული ვარ. მაშინ სიხი იყო და გვიჭირევდენ. ჩემი ბიჭი ამბოფს, ბათუმ'და გევდე და მოზიკაჲდა ამოვტანოვო.

- მოლი ბევრია, მოჭარ, მიართვი ჩომას.

- დაჭედავ ბულებს.

- ჩიქუნეთური დაილების მხრიდან არის გოლი. იქიდან გამოვდოდა ბულები, დედაქედებოდენ, ვერ მიერევოდა, შევდოდენ მორევში.

- მისილოღლები დაილებს ეტყვიან, სულიემანი იყო მისილოღლი. ჩიქუნეთლები გამოდიოდენ აქა. იმათ დაილებში ეფრატლები არიან, მაჭებლელები.



- მარიობას ვეტყვით ჩვენ იმა, საქორიას დავდივართ.
- საზგირელ ვეტყვით იმ ადგილ. რომ გათოვდებოდა, გაწვიმდებოდა, ჯარები შევდოდენ მალარაში.
- ყაზიალ გადმოიტანდენ. ერთი თენექე ყაზიალი სამ მარჩილად იღებდენ ბათუმ. ზათინ გურჯების შეერი ბათომი იყო. ოსმან დედე ბექაძე იღებდა იქ ყველაფერს.
- ზაქიეთურია ბესიმამ. აიშეს **დუზახ** ტელეფონია-თქვა.
- ქორწილობა დიდი დუგუნია აქა. ოქული დაყაფანდა.
- ძველი კაცები მოვლენ, გოგოს დედნიშვნენ, მემრე აღდს იქმენ.
- ვაშლი აქ ბევრია: ორთასულად, წოწოლად ვაშლი, მაჭხლელად...
- სხალი არის, მოჩოჩთად სხალი (მოჩეჩთად სხალიო, ასეც ახსენა მოუბარმა – ჩამწ.).
- კარქა ვარ. მუზიკად რატომ არ მოატად? მაშინ რატომ მოხველ აქ, რომ ვერ მოატად? (ნუგზარ ცეცხლადეს საყვედურობდა მასპინძელი – ჩამწ.).
- ოთხი თორუნი ბიჭიდან, ხუთი გოგოდან. თორუნები მყავს, ბიჭი გამძულდა. თორუნები მიყვარან.
- ბლაცვი არ'და იყო.
- შეშასავეთ დადიან ფალაზები.
- გვარი'და დედაწავლო, გვარი.
- ხელით ხვრიტოს, კადა. მაწონი კოვზით'ნა ხვრიტო'ნა, გემო იმა ქონდეს.
- ჩემი სიმინდი ყანა დააწვინა... გენჯები წადიან, არ ჩერდებიან...
- ორთაბათუმურას ვეტყვით საცეკვაო მუზიკას. დიგიკრათ'ნა, გაცეკვოთ'ნა...

- ის სოფელიც ახლოა, თხუთმეტ დეყეზე მიხვალთ. მე ვერ ვიკითხავ გურჯიჯა; ტრაბზონშიც მიდიხართ?
- ეს თეფეზაშია. ჩემი ბიჭია ისა. მედხედე აქეთ! ხუთი თანე მყავს ღარჭები; ირმიდორთ, - ოცდაოთხი თორუნი მყავს.
- რა ვიცი მე, დავბერდი, ხებრები არ ვიცი. ძველი არ ვიცი, ძველმა გეარა.
- აქ ხილი, მეფვა თელი არი. ვაშლი არი მესერად, ოტრილად, საჭურად, თავრეჯულად, წითელვაშლად, თეთრი ვაშლი, მაჭახელად, წოწოლად.



- მაილაში წევდოდი, ვისამებდი, წამევედოდი; ქომო მეჭეღეღეში
ვცხოვრობ.

- ჩვენი მაილა არი გამეშეთის ზემოთ. ახლა წასული არიან თელი, აქ არ
არიან; ზოგი ჭალაში არიან, მაილაში არიან. ისა იმათი ემიადა, ჩემი ძმაა, იქ
არიან; თიდან ორ თვეში დაბრუნდებიან.

- ამა ორი ძმა ყავს, თავეთ იქ არიან. ბადვი ოთხი თანე ყავს.

- ახლა აკვანში აღარ აწვენენ, მოკოჭვენ ასე და მიდებენ.

- ახლა ენჩული თურქა არი ბევრი, გურჯიჯა გენჯებმა აღარ იციან. არ
მოდინ სოფელში, მისმა დედამა, მამამა არ მოდინ სოფელში, არ იციან
ქართული.

- ჰიჩ არ ვიცი, ვალადა, მე არ ვიცი. ბაჭალა თაზე წასულა. თავდადმა
ჩუყყევით, იქ უმფო იპოვთ.

- წყლის სირა გვაქ, წყალებ ვადენტ!

- დაადინე წყალი?

- რუებ გუშუვებთ, დადინდება წყალი.

- აჰმედად კად არ იყო, გემისკდა გული, ახლა კადა. კად ვარ ახლაო.
ხებერი არ მაქ, აგზე ჩამუელ, აგზე მითხრეს, ავათ გახდაო.

- ესა, აგარას ეტყვიან, იქიდან გამეეთხუა. იმათი ბაბოად იყო ისა.

- ჩემი დედედ აღარ მყავს, ერთი წელიწადი გახდა. ეს ამისი გოგოა, ჩემი
ბიჭისა.

- ზამთარში თელი წასული არიან. მე წაველი იმასთან, გოგოები მყავს. აქ
არიან დათხოვილი. ახლა აქ არიან, თექრენ მოდინ, წადიან. ერთი ამ სოფლის
ბოლოშია, ის ემე იჯება, ყიდის ჩასაცმელებს, მაღაზა აქ, შორ არიან. ერთი
გოგო დოხტორია ართვინ.

- კაცები ისაქმებენ, აქ არ მოდინ, ქალები მოვლენ. რემეზან ბაირამი
ვიცი, რემეზანს დევჭირავთ. მასლულ ვჭამთ. კაცები ჯამეზე წევლენ,
ილოცვენ.


- ჩვენთან მოდის ლახანა, ლობიო, კიტრი, ყართოფი. ჩვენ თა ადგილზე
ვართ, გვიან მოდის; ვაშლს ბევრი ჩიჩეგი ესხა, შეცივდა და გაყარა. ზამთარი
დიდი იცის. დიდი თოვლი მოდის, აქ ადის ჰა (უთითებს სახლს-ჩამწ.). ახლა
მარტო ბალი მევიდა.

ესეც ჩვენია, ისაც.

- სხალი არი საჭურაად, ჭურში ჩაყრი. ერთი თვე უკლია მოსლას, უმფო
ბევრი. ხეჭეჭურაად არი, ჰამა იგი უმფო დიდვანია.



ქართული
ლიბრერი



- სიმინდ ოდებში ვინახავთ, დავკიდავთ, ზოგ დავფქვავთ, ზოგ მივართვავთ საქონელ.

- პრასას არ ვთესავთ, ართვინ ევიღევთ. მაიდანოზ ვთესავთ, ჭარხალას დავთესავთ, ჯავეს ჩავდებთ, ლახანას; კიტრს დასალათებ. სარმას ვაკეთებთ, ლახანაში გავახვევთ, ხორც დავფქვავთ, გუფთას გავაკეთებთ.

- ყაურმას ამდენ-ამდენ დააბრაწებ მაღში (ხელით გვაჩვენებს ხორცის ნაჭრის ზომას-ჩამწ.);

- ყანებში მოვკრეფთ ნანებს-ბალახია, შორვაში ჩავყრივთ, გაახმობ და ჩაყრი.

- კაკლით რას ვაკეთებთ? დოხას გეყვანთ, კაკალს დავაყრივთ.

- ოთხი თანე ქათამი მყავს. რა სოდს არ გინდა, ისე გააკეთებ: ზოგი მოხარშავ, წვენს დავაქცევთ, მაღში გააბრაწებ, ერთ კვერცხ ჩაატეხ; აქავრი ასეა. ბურღულით ფაფას გააკეთებ ქათმის წვენივთ; მაკარნა სახში ცომით გაკეთებული უმფო გერმელია.

- გუშინ ფენა გაწვიმდა, სა იყავთ მაშინ? თავდაღმა მოხვიდოდით?

- გაწვიმდა და ხედავ? არც ეტყობა; აქ ბევრი გათოვდება.

- ეს ხაშარია, ლობიოს შუუსობ.

- ჭლიკები გტკივა? წუხელი იქ ახველით, თექრე ჩამოხველით? შენ ჰიმკენ მიხვალ?

- წყლის სირა გვაქ, ერთი წყალ'ნა დავხედო. მარტოდ გაგდებ, ყუსურ ბახმა. დაჟდები იგზე, ღარჭებთან.

- დახედე, აბა!

- ყანაში გუდუღუღვი, ასე გეარს, გამეარს ლობიო-მობიო... კვირაში ერთი თანე უნდა, წყალი ზემოდან მოდის.

- ეს იხლამურია, ჩაის ვაკეთებთ. ანჯახ მოვკრიფე. გავახმო'ნა, ზამთარში ჩა'ნა გავაკეთო; მოცვი ვიცით, ჰამა იმიდან ჩაი არ კეთდება.

- მე ართვინიდან დოდოფალი მუელი აქა. ოთხი თანე მყავს ღარჭები - ორი ბიჭი, ორი ბაჭალა. დედ-მამა იქ მყავს.

- ვერ იპოვ იმას. საცხა იქნება, იქითა სახლებში იქნება.

- ამეზღამ აქა ხართ? აქ იყავთ, ჩვენთან იყავთ, ქალები ჩვენთან იყავთ; ჩვენთან კაცი არ არი სახში, ქალებ დაგაყენებთ, ჩვენთან დადექით; ვის ძებნით? იმან ბითევი იცის. აქ ბითევი ქართულია. შავშეთ ხართ ოთელში? ბევრი ფარები გაქვთ?



ქართული
ბიბლიოთეკა



- თვალეზში დიმიზნელდა, ხანდახან ემეს მიჯება იმტე. შენ რაში საქმოზ? მე ვაკითხებ წურილებს; მეკითხებია, ვაკითხებდი კიდევ სამსუნშიგან. ოცდაათი წელწადი ვისაქმე, ახლა ემექლი ვარ. ზაფხულში მუალ, ზამთარში წავალ; იქ სახლი მაქ. ბაღები იქ მყავს, სამი თანე იქვენა არიან, ორი თანე აკითხებს; ცხრა თანე ბადიში მყავს; ოთხი თანე გათხოვილი მყავს, ორი თანე აქვერი არიან, იქ ზიან. ორი აქ არიან; ბიჭი, სიძე, იქვერია. ბაჭლები არ მედწონებენ კაცებ, ისე არიან. ჩვენთან „ჰემ გოგოს ეტყვიან, ჰემ ბაჯალას“.

- ჩვენსამა თუ იციან ქართული?
- ჩემსამ ქართული არ იციან. ჩენი ლაპარიკი თქვენსას არ ედგმის.
- იმათი ემე'ნა ვქნა, იმათი წყალიც'ნა ვადინოთ იქ, წყაროდან, ერთმანეთ მივაკრათ.

- სამი ბიჭი მყავს, ორი გოგო. ერთი ბიჭი დავაქორწილო'და. გურჯისტან არი, აქვერი ქალი მოყავს. იმის დუგუნი მექნება.

- აქედან წავა სამი-ოთხი მანქანა, წავალთ. იმ საღამოს საჭმელ მოგვართმენ ბოლათ. იმ საღამოს გოგოს სახში პური'ნა მოგვართვან. დოდოფალ მოვთხოვთ, შაგვიკაზმენ, ვალას გადააბურვენ, დადე შამეფყვანს, მისი ძმის ქალი, დადე შამეფყვანს; ჩვენ იმას საჩუქრებს მივცემთ, პირზე ავხდით; იმის მემრე ფულს მივცემთ და ალთუნს; ბევრი ხალხი მეფყრებიან, ისამებენ-იცეკვებენ, იშელიგებენ. მემრე ინას მოლესვენ (ჩვენ წევილებთ ბიჭის თერეფიდან), დოდოფალ ხელზე წუუსვამენ, იმასაც ერთ საჩუქარ მივცემთ.

- ზოგი იმ ღამეს დეიფანტვიან, დაწვებიან; გათენდება, დილაზე დოდოფალ გამეფყვანთ გარეთ, შეკვაზმავთ, ურუბას ჩავაცვამთ, გავაკეთებთ. სკივრზე დოდოფალ დააქდუნებენ, საჩუქარ, ფარას აგვართმენ, სკივრ არ მოგვცემენ, უფაროთ არ გვამლევენ. დოდოფლის რაცხაებია სკივრში. ადგება დოდოფალი, იმ სკივრ მოგვცემენ, ჩვენ ავსწევთ, გამევიტანთ კარში, მანქანაში დავდებთ. დოდოფალ გამეფყვანთ გარეთ; ჩენი ბიჭი გამოდებს კლავში, ასე... გამეფყვანს, მანქანაზე დააქდუნებენ.

საუბრობდნენ: იასემინ დუზგუნი (26 წლის)
ჰაჯერ ალთუნი (80 წლის)
აჰმედ ალთუნი (64 წლის)

ხევწრული

- ილმაზი ავათ არი.? ჰე, ჰე, ავათ არი!
- ად კუტიბალია (პანტა ბალს უწოდა ასე – ჩამწ.). იქ ზაღლის საფინავია. პური გადავარდა და ზაღლი გადაყვა, იმიტომ ქვია ასე.
- ბათუმი ჰითკენაა ახლა? ბათუმი გურჯისტანია! ალლა რაზი ოლსუნ, გორბაშოვ მადლობა.
- ყუმარი იცოდენ აქა. ყილიჯ ითამაშებდენ, ზარებით. მეიგებდა: დუბეში, დუშეში, დუსე, შეშიბეში; წააგებდა: მაგანი, დუბარა, დორთჩარი, დუ-მაქი.
- შეჰერში წადიან გენჯები. აქა ფუში არ უძღება კაცსა. ჩვენში ფუხრობა მეტია.
- ერთი მილიარიც რომ მეიგო, ანჯახ იქნები. ფინთი მეგ არის. უწინ აქ დავთესევედით ბუღდას, ქერს, სიმინდს... სიმინდი ალთუნად არის, სხვაც... კოტრებ გეძკეთებს, ქუჩუჩ მეძბამს... სიმინდ დაფშნი, კუტუტად დარჩება, დავწვავთ.
- რაჰათათ იყავ.
- ზიოსში ბეჭირად დიდი კაცია.
- ზველი სოფელი ღელეში ყოფილა. ჯარი დაკარქულა, გოლის ნაპირში უპოვიათ. მემრე აქა დასახლებულან,- უზოვნია, უზოვნია და დაწოლილა.
- ზველ ქითაბებ არ შეინახდენ. გავრის ქვააო, რომ თქვან, არ შედნახვენ. ქითაბსაც არ შედნახვენ ჩვენი ხალხი.

* * *

- ჰადდე, ძროხა წეძყვანე, ხის ქვეშ ჩააგდე.
- ქალები არიან? პური ჭამე.
- რამდენი წლის ვარ? რა ვიცი. ჩვენ დროში მექთები არ იყო.
- რას ვაკეთებთ? ფასტა მაფარუნ. შექერი, მაღი, ცომში ურევენ, თასიაზე ჩაასხმენ, სობაში შევდებთ.
- ქალები იგზე დამსხდარი არიან, გარეთ არიან, თუთს აქანებენ, არხევენ. თეთრი თუთაა. თუთი ჭამე. ბალიც არის იქა.
- ამას მოჩოშტად (მოჩოჩთად ?!) ქვია, ყაბალი.



- შვილების სახელები?-მეჰმედად, ყედირადა, ~~ორი თანე~~ თორუნია-
ისმეილადა, ოსოდა. ერთ თანეს არ ყავს შვილი. ერთი ბიჭი დავასახლე, ორ
წელწადში მუუკდა ქალი, შვიდი, ვრა წელიწადია. ერთი გელინი მყავს;

- ჯესურადა, მაზლის ღარჭი, რუსიაშია დასახლებული, იქ იკითხა,
წელიწადში ერთი მოდის.

ერთი ჩევალი, ძროხა ავადრო, ახორშია.

- აგზე ჩედეყვანე, ხის ქვეშ ჩააგდე, გზაში დადექ, აქ არ წამევიდეს. ამა ჯერ
ფუქო არ უქნია და თაზე არ წევეყვანეთ.

ძროხის სახელები ჩამოგითვალო? ფუტადა, აინალადა, გუზელადა,
ჯილველადა, ფაქოდა, სონგულადა, ფირინჯადა, სელილანადა, ნიკორადა, ლიმონადა,
ჩინარადა... ჰადა დედილივინენ (სახელების ჩამოთვლა დასრულდაო - ჩამწ..).

ხარსაც თვარადა ქვია, ერთ-ბოზოდა. ორი ხარი გყვავს.

- ესენი აგზე დასხდნენ, სამა ისეირეთ, ემეში გამოწიეთ, იქ დეინახეთ,
წადით დუგუნში. მე რა'ნა ვაწავლო ამათ?! იქევერულადა ლაპარაკი სხვანაირია.

- სიმინდი სიხია, თხელი'ნა იყვეს-ჰო? კოტორი მისცემს მალე. ჩვენი
ღარჭებიც ამოიდნენ, იმან ჰალა დათიბა. მე წევიდე, ყანა მოვრონიო. ისა არ
მოსულა? ჰადაა, რა თქვა, რა იჯებოა?

არ მიველი, სათიბი დამჩაო.

ორი ძროხა შენ დოდოფლებმა არ მოგიწველოს, სხვამ-და მოგიწველოს?

ასიედა რავარი ქალი იყო: წევიდოდა, ჩამოვდოდა. ერ წელწად მოიდა,
რატონ არ მოხველო.

- მეც'ნა წამევიდე, ქომო გამევიარე, ისაც წამევიდა. ვინ არი გენჯი ახლა,
ასიედა რომ არაა? ვინ მოძებნეს? იმდენი ძაღლები ყავს, გრიალებენ.

- რა იჯებოდა, შეხველ-თუ?

- შევედა, დედიწყო ტირილი.

- თუთა მიგიტანე, ჰამე და მერე წერე.

- არ მედილაღვის, ძალიანია (=ძალა აქვს-ჩამწ.); ასე გვიან რაზე აქანებენ
(თუთის ხეზე ამბობს-ჩამწ.); დარჩა ჩემი ჰალები, ახლა ხეხერი მომცეს, ვერ'ნა
მოვთიბოთო.

- მალე'ნა ეთქვეს'ნა. ცოდვა არი, არ მითხრეს მალე, როდი'ნა მოიდეს!

- ჭალა არა მაქ, არ ვთიბავ.
- რაზე არა გაქ?

- ათორბე, არ გადმეყაროს.
- ქალები რა იჯებებიან?
- ერთი კითხე, ვინ ენდომება სოფელში. ტურუმად თიბავს, რაზე არ ვთიბავთ?
- მე არ ვიცი, გაღმიესას თიბავს მუდუროდ. ჭალებში თიბვენ, ოსმანას უთხარ, მოთიბოს; აღმა საწიკი არ აქ, დაღმა საწიკი არ აქ.

- ინსანი ხანდახან ვერ დაკვირდები: შავშეთიდან მოვდივარ, მივე ფარა, მე'ნა მივეცე იქი მილიონი. ჰო, ინსანი ვერ დაკვირდები, იმან'ნა მომცეს ოცი მილიონი. მე მგონია, ოცი მილიონი მომცა, მეგერ ოთუზი მომცა. ბევრ მაძლეე-მეთქი, ბევრ მაძლეე შენ-მეთქინ, თექრენ უკან მივე. ემერთმევნია თელი, მე ქარში ვიყავ, ალლა ეთმასინ, მე არავისი ჰარამი არ მინდა, ურაშდა, ურაშდა, ძარები შუქურ, ამა არვისაც არ შივაჭმევ, ის ადეთიც მაქ. ჩემი დევნახევი, უსტანა გიღარი. ამა სხვისას არ წევეკარები.
- შენც ემე ხარ-და, შენ'და ხოჯა მისინ?

- ეაკიდი, მე ვიქმოდე, მივეცემ ფარას, მოვათიბიებ, შევდგამ, მასკვან გავეიდავ, ბირბუჩულ აწევ. ბირბუჩულზე ქომოთ თუ თივა იყო, მომიგონეთ, ედენ, ბირ მილიონ გაყიდეს(?) შარშანწინ, წრეველ ბირბუჩულზე ედტანებენ.
- წრეველ ზამთარში ძვირათ იქნება.
- წრეველ ბირბუჩულზე ედტანებენ, უყურე აბა!
- ბაზგირეთსა ჩომა აღარ ყოფილა.
- ვინ თქვა?
- ერთი კამიონი არაბად ჩამევიდა იქედამ ჩომათი.
- გო, იმდენი ჩომა ყავან ქი ბაზგირეთსა და ზიოს, ბევრი ჩომა ყავან.
- იმ ქალმა თქვა, ქი ენ ფუხარას ათი თანე ყავს ბაზგირეთსო.
- ჰო, ჩვენთან შვიდი ძროხა ყავან, შვიდი ხბო არი;
- მაშალა სუფხანელა.



ეროვნული
ბიბლიოთეკა



- ჰო, ერთიც ჩემი არი,-ვრა.

- ბაზგირეთსა ჩომა ბევრი არიან. იმან ილაპარაკა, ჩომა სავსე არიანო. ერთ შვიდი მოზვი შეგემატოს, ერთ წელწადზე შვიდი მოზვი, შვიდი სული გაყიდო, ახორ დეეტყვება?

- ჩვენ ერთ წელიწად შვიდი სული გავყიდეთ და სამი, ორი ძროხა დაგვჩენია.

- შვიდი სული ყავან, ეტყვი-„ხუთი, ხუთიო“.

- ჩვენ რვა ხბო გვყავს, წრეველ ცხრა ხბო გვყავს; გეაზდენ იმტე; ცხრა ხბოს გაკვება უნდა!

- ზოგი ძროხები'ნა დავყიდო. ვერ უარ, ვერა.

- რას წერავ? ჩემზე რამდენით პაწაა ხარ? სიმღერის ვახტი მაქ? დიმიდინგლე! იქ გავხედე გუშინ, იქ მული მყავს-მეთქი და მიტირია და ხებერიც არ მაქ.

- ჩვენც ერთი თუთა დაგვჩა.

- ერთი დაგჩნენ?

- ყორეზე.

- ყორეზე? დიდი თუთა დაშჩნენ.

- ვერ ევდა?

- აა! ვერ ევდა და იმიტონ?

- არა, არა, აქანებენ, ადის, ადის.

- ჩვენსას იმდენი არ ასხია, მაშალა!

- წინა სირ ორი თემტი მოვადულე.

- რამდენი თანეა თუთა?

- ოთხი.

- წრეველ ბევრი არ ასხია თუთას. ერთ კიდენ მოვადულო-მეთქი და, ერთი ჰაჯერას ჩუუსხი ახლა-და მე ქი უმიანათან ვარ. ხანდახან გავალ ჰაჯერასთან-და.

- მუსად რა იჯება, მუსად?!

- მუსად ემლაქჩია, ებლაყუნება, არი.

- არ შევიდა საქმეში?

- არ შედის, ა?

- არ საქმობს?

- ემლაქჩია-და, საქმობს.
- კადა, კად, ისაქმოს'და.
- რაი აქვან? ტიტველად ნუ იქნები-და.

* * *

- ბაზგირეთ ააწიეთ? დადექით აქა, დაგაყენებთ.

- ვერ ვიცანი, იგზე თაქსში იჟდა. არაბაში ვიჯექ, გამუელ, ვუთხარ, გეჩმიშოლსუნ-მეთქი. აინი ჩემსავეთ გამხდარა, აღარც თმა აქ, არაფერი აღარ აქ, გააყრევია ილაჯმა. მეც ისე ვიყავ, წარბები ბილაად არ მქონდა, ბითავე გავყარე.

- მაშალა, კად გახდი.

- ჰო, ილაჯებით. შარშან თველზე ქი ჩაველი, შარშანწინ არა; შარშან თველზე ჩაველი, შეველი დოხტორთან, შეველ მითხრა ქი, მაშალა, მაშალა! ადამ ოლმიშდი. ჰო, ახლა'ნა ჩევდენა, მივდე. კიდე კონტროლი მაქ და ემე აღარ იგვილია, ანი! რანდევი აღარ იგვილია და ჩავალ მაშინ. შარშან რანდევი გვექონდა. რანდევი რა არი? ყადდი გახდები ქი, ამუალ დღე'და მოიდეო.

- კონტროლი მქონდა, ერ თვის მემრე'ნა ჩავსულიყავ. იქიდან მიველ, იქ მიველით და კად ხარო.

- ჩაფარ რას იქს, იცი? ჩაფარ, კდარი შეხვალ, ცოცხალი გამოხვალ, ისე არი-და?! მე რომ რამდენი ვიარე? უუდ, ისტამბულ, ჰამანქი ფუხელი ხასტანიშ ვიარე და ელლი დარჩებოდა. გაწვიმდეს'ნა და აქ'ნა დავრჩე მე.

- დაგაყენებ!

- არა, არა, აჩუღია.

- მგონი, არ დამაყენო.

- ძროხა გყავს-ჰო?

- არა მყავს ძროხად, ბაზგირეთ გავგზანე. ისაც'ნა გავყიდო.

- იმდენი ბალახებია, ჰამა, ცხელა და არ ძოვენ.

- ბალახი არი, ჰამა არ ძოვენ.

- არ ძოვს ჩემიც, ჰალაში შიაგდებ.

- ამეზლამ არ გაწვიმდებოდეს, წახვალ. წუხელი გაწვიმდა, თუთები დამიქანა, გაყარა. სა იყავით მაშინ, ბაზგირეთ მიდიოდით?

- შავშეთში ხართ ახლა?

- ოთელი დაჭირული ექნებიან.

- ცალკე'ნა დააჟდუმლო დოდოფალი.

- კად ისეა.

- თელგან ისეა, თელგან. დედამთილები არ უყვარან, ამა თავეთაც'ნა გახდნენ დედამთილი, ხებერი არ აქვან.

-შენ დედოფალ ეყვარები!

- აა?

- შენ ეყვარები.

- რაზე? მე ბელქი არ უყვარვარ, რა იცი?

- არა, არა, ჰაჯერად კარგია.

- შენიც კარგია, მეც ისე მეჩვენება.

- გუუზლო'ნა და.

- გუუზლო'ნა და. ახლა მოიდა. ჩვენსა არ ამოსულა ჰიჩ. ჩუუბარგე ლამაზათ, გავგზანე, ავათ იყო, მე ჩუმი არ გიმილია. ჰამა იყვეს ანაა, ისაც ანაა-და; მუსას თელეფონი გუუსხენ-და მეზნევა ქი:

- ანა, ჰაჯერად ჰად არიო?

- ქომოთ არი-მეთქი. სადამო იყო.

- იქ რატომ არიო?

- იქ დგას-მეთქი!

- შენთან არ ამოდისო?

- მე გავგზანე-მეთქი, ვუთხარ.

ისტა ძალი იყოს, ისტა დედამთილი, საბრი ყაბი ეფსობა, გადმოდინდება. ისე არ არი, აბა! ჰო, კაცი, შვილი უნდა იყოს, კაცი მაგარი. ჰო, ზათი მუსათან ვერაფერ ვერ დამახსენებს, შენი ანაა ასეო ვერ იტყვის.

- აფერუმ! ღმერთმა ყველა ყაზიდან გადაარჩინოს.

- ისე ვერაფერ ვერ შეჩივლებს, შენი ანაა ასე, ისეო - ვერ ეტყვის იმა, ოდღე ბიშე.

- კარგია იშტე. ღმერთმა მომცეს, ერთს კიდე ყავს.

დღე ვარ, ხვალ არ ვარ, თავეთვინ კარგი იყვენ-და. მარები შუქურ, ჰერქემა ვერდი. დღე ვარ, ხვალ არ ვარ.

- მიველით, იქიდან, გარიდან იშტე, იმან გამოთხარა, გამამიყვანა წყალი.

- არ მივიდინებენ წყალ?

- შარშან ხომ არ ჩიმიხმა ყანა?
- არ გამააშვებინე? არა, ისე, სასმელი წყალი!
- სასმელი წყალი ყანას მადენს?
- ღელის წყალი გყავან?
- ჰო. ღელის წყალი ჰაჯერამა მივდა და გამოთხარა.
- შორ არი ტრაბზონზე ბათუმი?

* * *

- ყანაში მოდიან-და, ემეები, ღორები.
- თქვენ ჭამთ ღორი ხორცი? არა მგონია, თუ მუსლიმანი ხარ.
- ხომ თელი მუსლიმნები არ ლოცულობენ?
- ემე იყო და ჩვენი ჯაფერად იქაა და, ბათუმ არი და გამეშეთური ის ემეა და. იმის ბაბოა იქ წევდა; აქ იყო, მის მემრე გეფდა, რა იქნა, ის მეც არ ვიცი-და. ბელქი-და, რაცხა არ გეწყინოს შენ-და. თიფლიზო, ისე არიო, ჰანი, შენი კაცი – ჩემი კაცი, ჩემი ქალი - შენი ქალი, არ იციანო, ისე გაგონილი მაქ და. იმ ჯაფერას ვკითხე მე, ბათუმურია ისა, ჯაფერად. გამეშეთიდან წასული არიან. ედდა მითხრა, ქი, ჩვენო, ბათუმ მუსლიმანი ხალხი არიან, ისე არაო იქო, თიფლის ახლავან ალაგ-ალაგო.

* * *

- ზედთაც დაკარგე? ეს არის-და. ეს ის ემე, რაცხა ჭკვაში არა ხარ, გადაქვრავ ამ გარგან! დუუყარე, იგზე არ დადევ?
- დავდევ, არ აღებს.
- აბა, რომელი დაკარგე სხვა?
- იშტე ისა.
- ორი იყო ზათი.
- ჰო, ორი იყო.
- ერთი დაკარგე. სახში დაჯექ, არ წახვიდე!
- ერთათ მობმული იყო კლიტეები?
- არ იყო. ერთ ზამთარში დაკარგეთ-და.
იქეთ კლიტეები, აქეთ კლიტეები, ვერ ვიპუეთ ვერსად. მე რომ წავეღ, დედედ შავშეთ მივდოდა.
ევიდა შავშეთ და გააკეთებია. ახლა ჯელ არ მიყოფს კლიტეს.

- მუსაფირ დაჩოვლი ვარ.
- იდუღებს, იდუღებს, იქნება ბექმეზი.
- რა ქენით? დააყარეთ? ბექმეზი დუღდება. ზათი შექერლია, რათ უნდა;
მეხბარშვის, გადავასხამ, გეძწურვის, დერგში ჩავასხამთ ან ზეთუნის
ბიდონებში.

- ჩემი გოგო თაშია, იმის კაცი ტრაზონშია.
- თივა ჭალიდან მოგვაქ, ქვეშედან, არ არი შორ.
- საქმე დაგლევიან, დამსხდარხართ.
- დედალა და რას ამბობს, აღარ იცის, სახლი ზემოთ აქ.
- ჩემი ღარჭი შავშეთაა, ქომო მაჰალეში, ექუმბეის სიძეა.
- ესა კვარია, კვარი. არ'ნა დავჟდე.

ახლა კრავი'ნა ქნას, იმან'ნა დაკლას.

- რომელმა ქნა?
- ბაზგირეთელმა მუზაფერამ.
- დოდოფალ ქი მუუმღერებენ, ეს არ ვიცი.
- დუა დაწერე, წყევლა რა'ნა ქნა?!
- წყევლა ვიცი, წერე ჰანი:
- ღმერთმა არ გაგახაროს, შავ და უკულმა წადი!
- ღმერთმა აქვერი ღურბელი არ დაგანახვოს!
- რა ბელა იყავ ჩვენ თავზე!
- გამოგიტყდეს ე კვალი!
- ღმერთმა კად დღე არ დაგანახვოს!
- მოხველი, კად დღე არ დაგანახვო.
- კიწი ამოგივარდა!

ხედავ, რავად ლაპარაკი ვიცი?

დალოცვაც ვიცი:

- ღმერთმა თეთრი ძაზმით დაგაბეროს!
- ღმერთმა ერთ ბალიშზე დაგაბერონ;
- გაკეთდი, ინშალა, კარგობა მოგცეს!
- შენ დღეში სიმწარე არ დედნახე!
- ღმერთმა გიგიქაროს, რაცხა დერდი გაქო.

გათავდა დუა. კარგობით.



- მე იქიდან წამოსული ვარ. ტირიან, აგზე ეიარებენ. იქნა ჩვეიდე, ჯერ არ მეჩქარება.

- გამთბარა წყალი, ბელქი გაწვიმდეს, ამეცტანოთ ბარე. გაგდებასაც არ ღირს.

- გეველით, თივა ვზიდეთ. იმისთინ არ მითიბნებია. ვერ შეუძლია, დაბერდა.

- ჯერ რა იქნა, ჰელე. მეც ისე ვებნევი, ჩვენ'ნა მოგვართვა'ნა. ზრუგმა დაგვაბერა.

- ედვიდავ, გაწორდები.

- ახლანდელეებმა რომ მოდიან აქა, ისვენ წადიან; წადიან რძალ-შვილი. რძალი წავა, იქ იჟდება, ჩვენ აქ ვსაქმობთ.

- შენ ქყავს ძალი?

- ჭამე თუთა.

- დუუდგი, არ ჭამს.

- ბალი მიყვარს, თუთა – არა.

- ჩემიც დეგექანებია, ვინ'და დააქანოს?

- შენი სახელი რა არი?

- იგზე გვისხია, სეტყვამა გაყარა, აქ მუშტიოდენი იყო. რავად სეტყვა იყო!

- ჭამე, ქვაბშიც ჩაყარე.

- გევიდნენ, კაცები არ არიან, ერთმანებ ეგვაჯებიან. ჯერ არ მოგლიჯო, არ მოსულა.

- ერთი წელი აღარ მაქ. ჩომამა დაჭრა.

- ქვები დუუწყე.

- უწყე და იყავ.

- ორი გორგალი ევლე ხვიტიანი, ერთი სხალი მოვკმიჩე. დათვი ასულა ბახჩაში, აგზე მოდის. აქიდან გადმოვდა. წუხელი, ახშალამაზიხან გადადგომია დათვი ზემოდან, ტყიდამ; ძროხას წევყუან, მეშინია.

- ეს არი ჩემი სახლი, აბათუბანი; ე ჩემი ნენეა; ე ფენა ლამაზი იყო.

- აღმანიაში რომ წადიან, იწავლიან ენასაც, შენ რატონ არ იწავლე?

- ანჯახ გავთბი.

- ჩემ ბაჯალას ქვია მერიემი.

- ამას ძროხას მივართმევ.



- შორ არიან და იქიდან არ მოდიან. სამი ბაჭალა მყავს, ერთი ბიჭი და იქიდან არ მოდიან.

- ჩემი აქ არი, არსად აღარ მიდის.

- ჩვენ სოფელი თუქშები ქვია. ზიოსიდან ქი ჩამეიარეთ, იქ მობრუნდები, იქვე მაჰალეა. იგზე ზიოსიდან ჩამეარეთ-და.

(პაწაჲ, თუქშები არ არიან კად ხალხიო – ნუგზარ ცეცხლაძე)

რაზე? შენც გეფგევ? საიდან გეიგენ-მეთქი? რაზე მიხდი-და, თუქშები კად არ არიანო?

- არ გამეგვილო ჩვენ! იმიტონ, ამათ ძიობენ, იქ ნამეჰრამებში'ნა არუნიონ.

- რატომ არ არიან ჰელე თუქშები კად?

(ტყვილი იციანო, დალალატება იციანო – ნუგზარ ცეცხლაძე)

- ჰო, არაფერი არ იციან ტყვილი და ჰერსიანი არიან თუქშები. ხალხი ვინ არიან ეს კიდე იქა?

- რატონ არ მუუქციე, მიგექცია. მე ხომ თუქშები არ ვარ, მე ბადგირული ვარ.

(გამეშეთიდან ხომ არ ხარ? – ნუგზარ ცეცხლაძე)

- არა, ქომო მაჰალედან, ჰამან მიხვალ თუ არა, იგზედან.

- იმა ლაზებ უძახით და. ლაზების ჰკვა შვადლემდე ისაქმებს, შვადლე უკან – არაო. ლაზები აქ არ არიან. მეგრელი ჩვენ ვართ, იშტე. მეგრელებს გვიძახიან. მეგრელი ინადი გაქო, - იტყვიან. მეგრელი და ლაზი ერთი არ არიან, ჰამა ასე იტყვიან.

(რატომ უძახიან მეგრელებს? – მამია ფალავა)

- რა ვიცი, არ ვიციოთ ქი.

(ძველი გვარები გახსოვს? – მამია ფალავა)

- არ მახსოვს ძველები, არ მახსოვს. ბაბოსი-ალქანი, მე თამრივერდი ვარ. მე აქედან იქა ვარ გათხოვლი. მამის სახში ვარ.

- შენი ღარჰი აქ'და დავასახლოთ, დაროს, საცხა ქი ლამაზს იჰოვს, ის ითხვოს. აგრეა, ჰო? შენ ლამაზი თვალეები გასხია-და. ამ ნენეს ყავს ერთი ბაჭალა.

- ახლანდელეებს შენ ვერ მათყვილეფ.

- კად უქნია: იქვერი აქ არ მოვლენ, აქვერი იქ არ წავლენ.

- ნენეჯან, გატყვილებენ.

- ნამეტრად გეყვარება, იმას „ჯან“ ვეტყვით.

- ახლა რომელ თერეფში'ნა წახვიდეთ?
- ე ბუზები ფენა უკბენენ აბანჯ.
- ღარჭი ქი წამეფყანე, ქალი რაზე არ წამეფყანე? ბაჯალაც წამეფყვანა!
- მაშინ ორი არაბა უნდოდენ.

* * *

- ხალაფ ანამს დაა. ბიბო-ბაბო-ბაბო და. ჩვენ ბიბოს ვუძახდით, ახლა ხალას უძახიან. ესკიდან ისე იყო. თეფზე ახლა ანამს დას ებნევიან. ქართულად არ ვიცი.

- წვიმა ქი არ იქნება, მაშინ ვიმღერებთ ჩვენ:

„შეგვეწყინა მზე და თვარე,
ღმერთო, მოგვე წვიმა-წყალი“.

- ართვინში, ორქოში, ზემოთ ვცოცხლობთ.

ჩემი ღარჭი პოლიცევში საქმოფს, დიდი ბიჭი. პატარამაც წრეველ მარჩინა ლიცე. ახლა უნივერსიტე'ნა იკითხოს, ბახალუმ, მეფო! ეს არ წამევიდა ართვინ. არხატაშები ყავს აქ. ეს ფონჯაა, დათესავ, მოთიბავ, გაახმობ, ქორში შედებ.

- თქვენში ჰასტნები არის? ასე ავად გახდები, დოხტრები არიან? თქვენებურები არიან?

- ჩემ მეზობელმა იკითხა იქავრი და ვერ გახდა დოხტორი, ბათუმში იკითხა და აქ ვერ მუშუგია. იმათ თურქუში უნდა; იქ რომ იკითხა, აქ ვერ მუშუგია; შედის, ცარიელად გამოდის.

- ჩემი დედე ბათუმ გადასულა, ფენა ადგილიაო, იტყოდა.

„ბათუმ იქეთ კახაბერი,

ჩემ ბაბოდან რა ხებერი?“

- აღრიბასანი აქაც იყო, ღამეში დაგაწვება, მახსოვს, დედე იტყოდა. ამ ღარჭის იმდენეთი ვიყავ, ბევრიც არ მახსოვს.

- კაცი არ მყავს, გეცინებენ მეზობლები, რატომ მღერობსო. ჩემი კაცი ავათ იყო, ორი წელიწადი გახდა, მოკდა.

- რე იქნა მანქანა?

- ჩემი ბაჯალაა, ჩემი დირელია, არ გაგატანთ.

- რას დეფარებით, რა ამბავია? აფერუმ, მე იქა ვარ, ჩემი ერთი ფეხი იქ არი, ჩემი ბალანა იქ დოხტრობას იჯება.

- მანქანა სად გაქვან, ანი? გული არ გეგისკდეს გზაზე!

- ყანაში მოდიან ღორები; გარეველი ღორებია. ჩვენ არ ვჭამთ.

თქვენი ღორები თეთრია;
- ნეგო გიპოვნია.

საუბრობდნენ: ხანასლი ყაია - 64 წლის.
გულდიხან ბელ-67 წლის.

* * *

- მევიღალე, ქორში ვიყავ, თივა შევყარე, ზამთარში ძროხას მივართმევ.
ბევრი ჭალა მაქ, ყანა მაქ.

- ჰიღამ დევწავლე? თქვენი სიმღერები რაგორი არიან? თქვენი
სიმღერები რასოდა? ხევწურული ანაჲ მყავს, ძმა ერთი თანე.

რამდენი წლის ვარ? ყირხ ბეშ.

მეყოფა, აღარ ვიცი, მამღეროს'ნა. ჩართავ და მე აღარ ვიცი. დაგაწერიეფ.
არაფერი არ მაქ, გამოყრილია, ბზემ დამწვა.

- თქვენთან'ნა გევეთხვო.

- აგინე, აგინე, რაზე არ გეეთხვეო.

- აჰა, თქვენი სიმღერა მითხარ, ჩემი სიმღერები იმღერე. სათლელიდან
მოვდივართ, დამვიწყდა.

- არ გამომწიო, ბაყლიანი ვარ, მოგკლავ. ადშე, იცან?

უ, ჩვენი გაშე. მე ეს ქალი ვერ ვიცან (ჩვენ მიერ ჩატანილ წინა
ექსპედიციის დროს გადაღებულ სურათებზე ამბობს – ჩამწ.).

- გოზლულები არ მაქ.

- თაზე მივალ.

- დაბლაცუნობ, გიყურებ; ვეღარ მოხვალ ჭკვაში.

- გამამტყუნებენ, სირცხვილია.

- ჩემი შვილი აღმანიაშია. ა, იმ ქალმა ბევრი იცის. ე ჩემი დედეა.

შენც რა კად მიპუე მე. შენი არხატაშია? დაჯე, სა იყო? არ იყო აგზე.

- არ ვიმღერებ, ეყოფა., დაგაწერიე, ეყოფა.

- ესენი შავშეთში ყოფილან, ხომ ბათუმიდან არ მოდიან?

- მე არ გამომწიო. გამომწიე და წეღლე ბაყლიანი თავი რასოდ იყო? ჩვენი

დედაბერი გამოწიეთ.

ორი ღარჭი მყავს. გამოწიე, ჩემი ბაღნები, ორი ბაჭალაჲ ჩემი არიან.

(მანქანაში)



- ვერ დევჭირე მარხულობა. თელი ევროპა ჭამს, მე რაზე არ ვჭამო (ღორის ხორცზე ამბობს – ჩამწ.). დავაქუხე, მოვკალ (გარეულ ღორზე ამბობს – ჩამწ.). ვერ ვილოცავ.).

- ამაში ფულ გაძლევენ? (ჩვენ გვეკითხება – ჩამწ.). ჩვენი ნახვარი ქართული ენაა. მანქანა გზა არ არი.

შევყრებით კიდე.

საუბრობდნენ: ნიგარ ორალი, 45 წლის.

ჯემალ ჩელიქი, 52 წლის.

ზაქიეთი

- ამასიაში მოსულან მეგერ სამი ეშხია, და ზენგინს უთქვია კი ქალი-ზალი ბაჯალა მოგვიყვანე. სამ კაც წუუსხამ კი. ჩვენებურ კაც უთქვამს, რაზე მიეცი ქალიო? რა მექნაო. წაასხა მეგერ ძალით სამი შვილი, ერთიც თავით – ოთხი. შეჯდენ ცხენებზე, მიყავს. წამოწვიან. ჩამოდთ ძირშიო, ჩამოაგდეს. ქალები მიყავან, ჩუუჯდუნებიან კალთაში. ქალები გუუშვითო, ცხენები ქალებ მიეცითო. მუუცემიან. გეძხადეთო, რაცხა გაცვიან. გუუტიტლებიან. გუუშვეს. ქალები წამაასხეს. ის ვინცხა იყო, ბერი, კარქა უცემიან, იმისი შვილიც უცემიან, რომ დედა წყევანეს, და წყევანეს, ქალი წყევანეს, თქვენ ჩუმი არ გეძლეთო. მოტრიალებულან უკან. ბევრი ისე წასული არიან თოქათ...

- მე მინას ვაკეთეფ ქარხანაში.

- ხანუმი აქ არი და... აგზე გედედარა, მაჰალეა კიდო, მიქამე...

- რამდენი წლისა? სამოცი და ათი?

- ოთხი თანე ბაჯალა, გათხოვილი არიან. თელი ემეში სხედან, ისტამბულ.

- არ ვარ გაწუხული.

- დიხვინა (დილხუინა? ბალახია)||დილხინა..

- არა, ჰევწრულიდამ არა, ნაჰევნე დერე, ჰევნიანი დერე, წყალი.

- ჩემი ქმარი ჩაქვრიენ თია (ჩაქურიძე), მაჰმუდ აითექი.

- ამათთან შედით აგზე, ჩვენგან გაბუტულია. აქ არ შამუა. ისე იმღერეფს, აბა რას იქს, ყოლთვინ მღეროფს და...

- დონერს გააკეთებენ და, ხორც აასხმენ შიშაზე, ჰალ ვეტყვით

- რე იქნა ი ფაჩავრა, რა უყავი?



- სიმინდ ვრცხი, ჭადი'ნა გავაკეთო. გარეცხვენ, მემრენ წაახმობენ, გაფქვენ....

- იქ შავშეთი არია, ისენიც ქართველი ყოფილა წინდაწინ... ქართული დავიწყნიათ, თურქულად ლაპარაკობენ... აღარ უყაბულებიან ქართველობა. ზველათ ბათუმიდამ მოსული აქ ბევრი არიან.

- ქართველობიდამ ეშინიათ, მაგრები არიან.

- იქვერი შარაბები მიეტანეს, წითელი შარაბი. გერმელი იყო.

- ერთი თექი სახლი ჩანს, დაბისაა. მეგრელები ქომოთ არიან. ქართველი მეგრელები ვართო, ბათომიდან.

- აქ ბევრი ქურთი არიან. ის თერეფი ბევრი ემე... ერმენები ისტამბულ არიან. აქ ყოფილან, მემრე წესულან.

- ლაზების ქართველები არიან. თურქებ უყვარან ქართველები, ჰო! ქართველებიც მილლეთ ვექილი ბევრი არიან. ახლა ოსდაექსი თანე არიან მეჯლიშში.

- ეს პოლისი იყო და ემექელი გახდა. ზეზე დავდგებით, ისე ვიმღერებთ. დოუკარ და ვისამებთ. ქართული? ასე ვისამებთ ართვინში.

შენ რომ მომაგონდები,
გევზრუკვი და გევლანძვი.

მივალ ნეკრი საკაფვად,
დაკვაფო'ნა ცხემლები,

შენ რომ მომაგონდები,
მომდინდება ცრემლები.

- დალევლი ყოლაფერი მოგაგონდება-მეთქი.

სობაზე დავდევ გუგუმი,

გაღმა დეაწყო დუგუნი,

ველარ გემისვენია,

როდის'ნა ვქნა დუგუნი.

- მოვბრუნდეთ იქითკე? მობმანდი, უსუფ!

- ახლა საჭმელი მარტო კარტოფილია. ის ბევრი არ დიგვითესავს. კართოფი, სიმინდი, ჭალა... ჩომა გყავს. საჭმელი გარედამ, საქონლისა გვაქვს. ათი თანე, ოცი თანე საქონელიდან ორ-სამ გაყიდის აქვერი, საჭმელ ედღეფს, იცხოვრეფს. ზამთარი დიდი იცის.

- ბუკი ხესავენ გეაზდება, ემეებ მიცემს ზედამ, ბონჯღალეებ. ბონჯღალი ბოლათ თესლია.



- აქვერი დერებია: ზედვაკე, სარბიელად, ბუჭიად, სვანეთი, აღმა რომ მივა, სვანეთია, სარტყელად.

(რატომ ქვია სვანეთი? - ჩამწ.).

- რა ვიცით. სვანები ჩვენ ვართ, ესენი არიან... მაგდენი არ ვიცით. ახლა გურჯიჯა ვინცხას კი დავიწყებული აქვან, ადგილების სახელები გურჯულია... თურქულსაც ვლაპარაკობთ, ქართულსაც. სამი სიტყვა თქვით-მეთქი, არ გიყაბულებთ...

* * *

- ბათუმშიგან ხართ?

მე ავადეული ვარ; ხანუმი აქ არი-და. აგზე არი.

ჩვენ იქა გვყოლია ჩაქვიძე, ჩაქურიძე, ერთი ბიჭი არი, მიქაძე.

რამდენი წლისა ვარ? სამოცი და ათი. ოთხი თანე ბაჯალა მყავს, ბიჭი არ მყავს. ისინი გათხოვილი არიან; ისინი თელი ემეში სხედან. არ ვარ გაწუხული; ჩემი ცოლია ეს.

- თაზე არ ვარ, დავბერდი, თაში ველარ ავალ.

- ქომოდან გამოთხოვილი ვარ, ჳევი მეჳელედან.

- ამათი ღარჭი იმღერებს, ჩვენი მეზობელი, კაცი მღერობს, მიუზიყეს უკრავს, ჩვენზე გაბუკულია, აქ არ იმღერებს.

* * *

- თითო ზარდალი ჩაი სვით.

ზამთრი ისტამბულ ვართ, ერთი ბიჭი მყავს იქა, ერთი გოგო, ერთი აქ არის.

ემექლი გავხდი, ოცდაექსი წელიწადი ვიმუშავე, ოცდახუთი წელი ემექლი ვარ.

მედწვი? (ჩაი გადაევლო ფეხზე თორნიკეს - ჩამწ.) სოუქ სუ გეთურ (მეუღლეს მიმართავს - ჩამწ.)

ჳიჩ არ ვურევთ არაფერს, მარტივი ჩაია.

- არ სვამ შენ? თქვენი ჩაიც კადა. ავადეული ვარ, გზას ვერ მივზდევ. ბევრი გავაკეთე, თქვენა სვათ ესე.

- შენ რას წერავ?

- არა, არა, მე არ დემესხა.

- თურისტის საქმე ისეა - დედნახავ, მოწერავ.



- დეგისხამ! რაზე არ გინდა? „არ მინდა“ – დეგილი
- სა მიდიან ეგენი, ეგენი უკულმა მიდიან.
- დაგასხა კილო? (თორნიკეს ეხუმრება-ჩამწ.).
- თუ არ მოვკვდი და ბათუმში ჩამუელ, შეგეყრები თქვენ.
- იმან არ'ნა სუას? ჩვენ ათჯელ დავლიეთ, რა იქნა ორი?! მე შექერ არ ვჭამ, შექერი მჭირს-და; მე ლიმონ უვრევ. ამრეველი თუ არი, ოურიეთ.

* * *

- წავასხი ესენი ჰუქუმეთში.
- ვერსად ვერ იპუეს ოთელი.
- ამათ ვიზე გოუკეთა.
- „ჭალ“ რას ეტყვით თქუენ, „ჭალ“? ჭალი გვინდაო, ემ, მე არ ვიცი, ჭალი რაი არი? დონერ გააკეთებენ-და, დონერ, ხორცსა. იმას შიშებ ააცმენ, ჭალ იმას ვეტყვით.

ვარუნე ტრაზუნ, დედნახეს ის ემეი, ჩვენაც ზათენ „ავიზეს“ ვეტყვით იმა, ავიზე, ჰე. ავალეზე ისენი.

- ქართველი მანაც იცის, მეც ვიცი, ჰამა ბევრი ვერ, ემეო, არაბაზეო დაგვაყდუნეო. ჩამოვასხი ემეში დურალზე არაბაში ჩავდევ.

- გეჩენ სენე, ონ ალთი თანე ბადან ვარ, ქალები. ისტამბულიდან მოდიან აქეთ აქვან ბევრი. საბახ გეჩდუმ.

არ იციან თურქა ემეექდა იშტე, არაბა ქი დგება იქა.

* * *

- ჩედე, რე იქნა ფაჩავრა?
- ბევრი დავაქციე, დავასხი.
- ყაშულლარი ისენი, გააწორეთ და თითო კილო სვით.
- რა გეხათრება, კაცო.
- გავაკეთებთ კილო. კილო არიან შიგან.
- ჰა ეს არი, ეს არი, ჰამა შინ არი, აჯაბა?
- გაწავლო სახლი, იქნება შინ?
- რაი გინდა, რაი გინდა?
- გავყევ, სარფში გავყევ.



დევეშვიდობეთ ემეი. ედ კონსულ ვარ და ემეს ვუთხარ, ქი ჩვენებურსა: ესენი, დედი, ჩემი თანიში არიან, არ გააწუხო ესენი-მეთქი. არაო, ეს დევინახო, რაი აქვანო.

დედიმ, ქი ბურდა ბიშე ფარჩა, რაცხეები აქვან-მეთქი, ჩასაცმელი. არ მოუძებნა, უთხრეს ქი, ჰადდე უღურ ოლსუნ, დედი.

- ჩაი არ სვით? დეგისხას კიდო? დოუსხი.
 - გამევიტანო მიორე?
 - მიორეც გამეიტანე. მაქში არი?
 - თქვენ ღვინოსაც სვამთ, ფენა გიყვარან. არა სვამ შენ? ესენი ბევრ სვამენ.
 - მე ბევრ ადგილ ვიმუშავე. ამ, ჩემ სოფელშიც ვიმუშავე.
- ჰაჩარი არი ირანი. იქიდან დევიწყე მე ორდან.
(რისი მასწავლებელი ხართ? – ვეკითხებით)
- მე იმისა, ღარჭებისა და.
- ანი, შენ ჩაი?
შენ, ბაჯი? ძეჩ.
- ორი რაი არი, კაცო, ორი? ჩვენ ბევრ ვსუამთ.
თქვენ ჰერალდე ღვინოზე დაჩვევლი ხართ.
- ეფეი ვსვი, თქვენი ვოტკაც ვსვი, ვოტკა. მეეტანა ვინცხას კიდევ-და.
- ისაც ვსვი. ართვინ ევილევით, კიდო მეეტანა არაბით ბათუმიდან იქაც

ევილევით.

- ნე ვარ?
- ვერ ნახავს, ვერა.
 - შენ რასა წერავ აქა? აინი?
- აინი!
- ბეშ თანე ვიარე.
 - აღარ არი, მოკდა ის, ჩემი მუღელიმი.
- (რას გასწავლიდა?)
- რა ვიცი, თელ მაწავლიდა.
- ალთმიშალთი მაშინდე ვარ.
ზამთარში ისტამბულ ვარ.
- ადით ჰა იქ, ზემოთ და ემე ქენით, კამერა გამეღლევით. ჰა იქ, ზემოთ, ვაკეში, გვაქ.
- ემე არის.
- წყალი მოდის, ჩანჩხერი, ჰო, არი, არი. თოვლებია ასე აყოლება.



თოვლი მოსულა, ერთმანეთზე დეეყარა, დეეყარა

- აღარ მახსოვს ქი, დამავიწყდა. მეგენი ზათი დიგიწერავან.
- ერთი ძველი ხოჯა არი, ალიხოჯა, ბაზგირეთსა. ამისი ახრაბა არი ისა.
- ჩემი ახრაბა არი ისა, იმისი ანაჲ და მე ახრაბა ვართ. ჩემი ანაჲ და მისი

ანაჲ დები არიან.

- ერთი წედკითხე, ერთი.
 - ჩვენი თურქჩაზე მოდის ესა.
 - ჩვენი, გურჯიჯა მაზ არ ფერდება, თქვენი ფერდება.
- ერთი დეგისხა, ერთი ეს გამოვცალოთ აქში.
- სიძე თქვენ რას ეტყვით? ეს ჩემი ბაჯლის ქმარია. ეს ჩემი ბაჯალაა.

- ქმარი შენი რომელია?
- შენ, კაცო, ცოლი სა გყავს?
- ეს შენი ბიჭია? ღმერთმა მოგცეს.
- ჰადდე, ჩვენ წვევიდეთ ახლა.
- შენ რაცხა'და გკითხო, არ დამალო.
- იმათი ბევრი ხათრი იყო, თუ ახლა.
- ერთი მოსულიყო ერთ სირადა, ედდა თქვა.

- კად იყო. რაზე-მეთქი?
- ემეო, ჩვენო საქმიელსაო მეგვიტანდენო საქმის ადგილზეო, დედიმ ქი...
თელი დურუმი, დედი, დოხუზ დუზ, ბინ დოხუზ დუზ ონ

ქათამ რას ეტყვით ქათამ? მოგცემდა ბეგი, კვერცხი იმისი იყო, ხორცი იმისი იყო, ბურღდა იმისი იყო. თუ დაკარგე, მოგკლევდა-მეთქი.

- ახლა ჩვენ ვსეირობთ იმ თქვენ კანალზე. რა გწადია, ჰო ამისი ემოჲ არი, ჩემ კაცისა ემოჲ, იმა ფენა უყვარს ის კანალი.
- ეს სიძე მებნევა ქი, მოთიბა და ფარა მომეო, ამაზე მიცდის.
- თუ იციან, გეტყვიან, მასალი არ არი.
- ბათუმში ყოფილან ჩემი ერთი გადასულა და იქ დარჩომილა.
- იმისი ძმა იქაჲ, ენ ზედა მაჰალეში, სამგირელში. გადმოსული იყო აქა,

ემეში ვიყავ და იქ დევინახე.

- რა იჯებთან იქა?
- ამღერებენ.
- რავად დაწერე, დევინახო.
- ჩქარობენ, ჰამა...
- ღამეში სად დადექით?



- რამდენისა ვიქნები შენ თაამეში? ოთუზალთი,
- ფინთი დედამთილი რძალ დააბერებს. კაცი მომიკდა, ექსი თანე
მეთიმი დამჩა. ეს ძალი მევეყვანე, აქევრია.
- მეც წავდივარ, წრეველ აქ ვიყავ. თუ დავთიბე ჭალები, ვიქნები.
- და მოგიკდა-ჰო? ბითუმ შავი'ნა იცვა? რა თქმა არი ევა? ჩვენთან რასო
გინდა, ჩეიცვი.
- თქვენ საიდან მოხვალთ?
- შენ გენჯი ხარ, მე დაჰა ხნიანი ვარ თქვენზე. თმა გეგეშავებია, რაზე
გაათეთრე?
- გურჯიჯა სიმღერები უთხარ ერთი.
- ბათუმ წევიდოდენ ჩვენები. რუსია ქი დაყაფანდა, დარჩომილი არიან.
- სარფი დენიზი ქენარში ჩამოსული ვარ მე, მაშინ გასხნილი არ იყო,
ახლა გასხნილა. მასალი იყო.
- დაბას არ ახველით? ასე გეარეთ.
- ირმიდორთ თანე ბადიში მყავს.
- მე – ონ თანე.
- ამა ექსი ბიჭი ყავს. მე ერთი ღარჭი მყავს.
- ამა მე ღარჭებ ვუგზანი, გავახმოზ, დავხრეს. ანაჲ მაჭახლურია, ჩვენი
ძალიც მაჭეხლურია.
- ნენეჲ, ნაზიკულაჲ, უმღეროდა, უნანიებდა. ახლა ქი ბაჯალა მყავდა
აგზე, დიმიღღერე ქი, დევეძინო. ჩვენ მამამთილთან არ დუუმღღერებდით, ჩვენ
მამამთილ არ დეველეჰარიკებოდით, სირცხვილი იყო.
- ძალანჩი ბეშლი მოგვიტანეს. ესენი მემრე ევიღე. არ არი იქა ადეთი.
- ეგ რა გკიდია შენ, ხაჩი? თელევიზიონში აქვან. შავები აღარ ჩეიცვა.
ეყოფა. ახლა შავშეთში დგახართ? ისა იქა ქირაზეა ისტამბულში. ჩემ ღარჭ
ერაჲ ქვია, ესაჲ - ემრეჲ.
- ნაზლიჯან წეძეჲა და ჩეესო ჩოფი. დოხტურთან წეძეყვანეს და
გოზლულეზი მისცეს.
- ორი დღეა, ხასტადურ. რა ვიცი, რა ჭირს, გაცივდა. უკითხოთ-ჰო?
თურქულა ვიცი. სამჯელ ამას ჩუუკითხავ, შვიდჯელ ელხემს ჩუუკითხავ, ეს
ყურანიდამაა.
- ეგ არ დეგელაჰარიკება, ცხვენია, აინია, გოგოც აინია, ბაჯალაც აინია.
ესა ფენა მოლაჰარიკეა. მალოცვია.
- ქვამა რაი'ნა გიყოს?



- თავი ტკივილი გექნება, შეკიკი, დეკიკი დო'ნა. დღეს ფენა მტკივა. თავის ტკივილი მეც მჭირს. ეს წამალი ჩაყლაპო'ნა?
 - ჩვენთან უმფო ბევრი რაცხაები იციან.
 - ქლივი დემეწვა, ადე, დავბერდი და ფენა მტკივა. ოთხი წელწადია, არ ავსულვარ თაში. საქონელი დავყიდე, დავაცოტავე.
 - ყანებში მოდიან დათვები. ვერ მოკლავენ ქი. ღორი ხორც ჭამენ? ის იჭმის? სული უდის. ცხვარის ხორცი გერმელია.
 - არ გიკბენენ? ტყი ღორებია? სუქანი არიან?
 - გეარეთ დაბას? ნახეთ? მე დაბური ვარ. სიცხეა შიგან, დავვიანდა, გშიათ. ზარმლი დრო მევიდა, ჩამოდთ თქვენც. ბევრი შორაა.
 - ზარმელი მევიდა, მეგემშევიან.
 - რაე'ნა ვქნა?
 - სა წახველ? ეს დაბიდამ არი. გოგო ყავს აგზე, ბიჭი იქა ყავს, იზმითში. ხოჯა არი, აქიდამ იქ არიან, ბევრი არიან.
 - ოსმანაი იყო, იქიდამ გადმოსული იყო. გოგო ყავდა ლამაზი;
 - ქმარი იქ გეეგდო, აქ დარჩომილიყო. ამას ცოლი არა ყავს, მოუკდა ცოლი, მოუკდა. ხერთვისში ერთი-ორჯელ გადასული ვარ, აგზე მაჭახელაა, მაჭახელის ხერთვისში ვიყავი. ჩემ ბაბოს ბევრი ნავალი აქ. ზამანუნდა კონტრაბანდა მოქონდა,
- შუადლე მოდის, შუადლე'და ვილოცო.
- ვუთხარი, აქ რავაი ცოცხლობ, ფეხი დეგიცურდა, რა'ნა ქნა?!
 - ცხენი წედეცეოდა, თავი დაარტყა, მოკდაო.
 - ჯერ უბეა, უბიდან ფარნუხი, აქ ბითევი ქართველი არიან.
 - ეს გააბევრეთ და მედტანეთ.

საუბრობდენ: მაჰმუდი - 70 წლის.

შააზიე აითექინი - 62 წლის.

დაბა

- უბიდან მოსული ვარ. ჩვენი ნესიბა ესაა.
- თქვენი წერა ჩეთინია, ჩვენი ყოლადა.
- ემინე აბლა, ჩამოდ, შენ რაცხაები იცი; მე შვიდი წლისა წაველი, თურქე ვიკითხე.
- დუგუნ რას ეტყვით თქვენ?



- კად გიქნიან, კად, ალლაჰ რაზი ოლსუნ!
- არ გცივა აგზე? მე რომ მცივა ახლა? აგზე დავყდები და ვათობ ჩემ თავს.

- ემინე აბლა, შამოდ, შამოდ!
- შიგან დავყდეთ, ყოლად დაწერავ.

გამოგავოთ'ნა?

- ემე რავაი იყო, თავი არ მაგონდება. მე გურჯიჯა ზათი არ მიმღერია; გენჯობაში ბევრი იმღერებდა, ჩვენ არ გვახსოვს.

- შენ კიდევ გახსოვს, მე გეჩმიშები აღარ მახსოვს. დაილაში ადით, იქ გაწავლიან გენჯები.

- ტელეფონი უკრავს.

- ცქვიტად წერავთ, მე მასე ვერ დავწერავ. ამათი ლაპარაკი თურქია ერევა, კიდევ ვგნებულობთ ერთმანეთ, კადა.

- ბაზგირეთ დუგუნია, გედებვიდეთ'ნა? ჩვენ თუ დეგვიძახებს, წავალთ.

- ჩემი ანაა რაცხას გააკეთებდა, ბერექეთლი იყოსო, იტყოდა.

- შვილი ოთხი თანე მყავს: სამი თანე ღარჭი, ერთი - ბაკალა. ლაზები ბოზოს უძახიან.

ჩომა არ გყავს.

- მეზობელი მყავს, იმან დამითესა, ზამთარ აქ არი. აქ კად არ არი. აქ ვართ, მარდობაა და დედლიოს იშტე. ნუ გეხატრება, ჭამე. ეგა სინია; ბევრი მოყრილობა იქნება, შამეხვევი, ჭამ. ჭამაზე ბევრი ქი მოვა, ათი თანე დავყდებ.

- ამა ლეჩერ ვეტყვით; ნახე, გერმელია, ჩილექ ლეჩერია, „მარწყვი“ მავიწყდება, აქაც არი, დაბანია, დარგო'ნა. იქიდან წამევილე. ბევრია, ბოლათ. ესა ბიშია, სობაზე, აქ შევწვავთ, გერმელია. ჩემი კაცი ორითმენია, ონ ბემ გუნ წადიან-მოდინ, დაწერვას, კითხვას იწავლიან. იმან მემიპარა ცხენზე.

- მოლა კითხულობს იქინდი ზამანი: ვინცხა ლოცულობს, ადექით, ილოცეთ! ამას ამბობს. კაცები ჯამეში მიდიან, ქალები რემეზანში მიდიან ჯამეში. ვინცხას უნდა, მივა; ვინცხას ლოცვა უნდა, ილოცავს, ზამან გელდი.

- ამათ მეემშეოდენ.

- ემექლი არ ხდები იქა? აქა წლით არი – ოცდახუთი გახდები, იმა უკან გამხდარან აქა. ქალები მალე ხდებიან. ქალებმა ოცი აათავეს, ხდებიან. ენ წინ ასე იყო, ახლა არა. ლაშეთი შავშეთს ზემოთაა. იქ ქართული არ არი. თქვენ თელი მეგივლიათ.

- გაჰერსიანდე'და ქი, მოგაგონდეს წყევლა.

- მეგ წორეა.
- ციციელი დეგეცეს, მეხი დეგეცესო.
- ღმერთმა გაგბარგოს.
- კათოლიკის შვილოო, - ჩვენი ანაა გვეტყოდა.
- თუ კად რაცხა ქენი, ვიტყვით; „ღმერთმა გაგახაროს“, „ღმერთმა ბევრი დღე მოგცეს“; „ღმერთმა შვიდობით ჩეგიყვანოს“, შორ ქი გაგზავნიან.

* * *

- შიგან შევდეთ. მინდრები მუუტანე აგზე, მუსაფირები გვყავს. აქაც ჩემი განაყრები არიან. მე ვერ წავსულვარ, წელზე დაკრული მაქ-და, გევჩუჩუნებ, მიელავს. უკანა, წელი ქომოთ დემიელვა და ჩავარდი, დახი დამაკრა, ღამეში ვერ გადავბრუნებულვარ, ვერ გადმოვბრუნებულვარ, მიელავს.

- ნიჩბით ზიბილი იქნა გედემექნია, სანეხვეზე და ჩავარდი დღისით. ესკი მილეთი არიან, თელი კად არიან; ესენი მოდიან ღამეში, სამი-ოთხი-ხუთი თანე ალლაჰდა რაზიოლსუნ, თელი კად არიან. ისენი მოდიან ღამეში, სამი-ოთხი, ხუთი თანე. ალლაჰდა რაზი ოლსუნ, თელი კად არიან. ჩვენ მეზობელმა ძე მემიტანა, თომათესი, კიტრი. ღამით ცოტა მეშინია; ავათ ქი ვარ, მეშინია, სოფლის შუაზე რა მაშინებს! ახლა მარტო ვერ დავდგები. ეს მეზობელია აგზე. აქ რაცხა ემეს უმახიან, მეფყრებიან ბევრი მილეთი, იშელიგებენ და ისვენ წავლენ უკან ჩემი ემიაშვილის არაბადთ ართვინამდე. ართვინს იქიდან დიდი არაბადთ; სამი-ოთხი-ხუთი კვამლი რჩება, ჩომასაც აძლევენ. აქიდან ჩეგბარგვიან.

- შვილი ერთი თანე მყავს, ერთი მომიკდა, თორუნი ერთი დასახლებულია, აქ არი, ის ვენ'ნა წევდეს; ერთ ძალს სარედ ქვია, ერთს - გონული. სარეს სიდედრი (დედამთილი-ჩამწ.) ყავს, მეც ვერ ვეტანები, შემეხათრება, დიდ ძალთან ვარ. ეზიეთ ვერ მივცემ. მე თურქია იმფო არ ვიცი; თორუნებმა იციან, აბა არ იციან?! თურქიაც იციან და გურჯიჯაც.

- ტოტები შორ არი, ვერ მოწყვიტავ, მიაბრუნებდე, მოწყვიტავ. გატყდება კიბე და ჩავარდები, ნენეჯან.

- ღმერთმა შინ სელამეთით ჩაგასხან, მიგასხან ოღლუშაღთან.

* * *

- დევიეთთან'ნა ჩევდეთ.
- საქონელი აქ არ არიან. ჩამევიდა ღვარები.



- ფაბრიკაში ვისაქმე, ემეკლი გავხდი, ოზდახუთ წელწად ვისაქმე; სამ დღეს იქ ვარ, ათ დღეს –აქ. აქაა დევეთი: ზო, დევილი, ზემობანი, ქომობანი.

- თხუთმეტ წელწად წინ გაკეთდა გზები, ელექტრიკი, ტელეფონი რამე არ ქონდენ აქა.

- ნელა წადი, ნელა, ბიჭო, ეს ფინთი ალაგია. ღვარმა არ გადმეაროს. მე არ მყავს აქ არაფერი.

- ნუ გეშინია, აქევრი გზა კაა არი. არ შეგეშინდეს, ბიჭო. ქომოთ არი ქილისე, იმ სერის ძირში' ნა გეარო.

- სახლები არიან, აგზე დაჯექი; ჭო, გადი, გადი იქეთ.

- ნაფეტვარაა სადაა, იცი? აგერ, გზა რომ მივა.

- მაწონი'ნა გარეკო ცივ წყალში, იმდენი ვიცი, ჩვენაც ვიცი. მე რომ ვერ ვიკითხე, ბაჯალა ვაკითხე, ის ვაკითხე, მე რომ ვერ ვიკითხე.

- ჩემი სიმამრი ავათ არი. ხუთ წელწადია არ მინახავს.

- ჩემი სიძე არ მიცნობს, მეტი ავათ არი.

რეები იცით თქვენ? მე დამავიწყდა, რაცხა გითხრა შადრები:

ართვინის ახალ გზაში,

მე დეშილ თაქსით მუალ,

არ იტირო, ლამაზო,

წავალ და ისვენ მუალ.

დემექ წევდე'ნა, მოიდე'ნა.

იმის იქეთაა არა ვიცი.

- ეგა ჩემი სიმამრის ალაგია. ჩუტაა ქვია. ძველია ისენი, ძველი. ნაქილისვარი, ნაფეტვარაა. ერთიც არი რაბათში.

- რა ვიცი, ორასი წლის წინანდელი მემიტანო, მიკითხო'ნა? გურჯიჯა ბევრი ვილაპარაკე. ჩემი სიტყვა და თქვენი სიტყვა ერთმანეთ არ უდგება.

- მე ჩამოიდე'ნა, თქვენ'ნა წახვიდეთ.

კარგობით!

საუბრობდენ: ზექიე ილდიზი - 45 წლის;

ესმა თორუნჯი - 75 წლის.

შავშათი

- რავაი ხარ? იქიდან რომ მოსულხარ, კარგა ხარ.

კაა გიგიხდია ქითაბი.



- სა დარეთ ახლა? ბაზგირეთ იყავით? ბითევი სოფლები დეარეთ, არა? რა ჰალი გივლიათ! სვირეენიდან აქ წამოხველით? ამისი სოფელი ძალი არი. ცოტა ლამაზი არ არი. ვაკე, ლამაზი ადგილია, აშელიგებენ ახლა.

- ერთი ემედი მოილოდა, რე იქნა არ ვიცი, ვერ მოიდა.

- ბათუმიდან იყო?

- თიფლისიდან იყო.

- ეს მოიდეს, იმან კარგა იცის. ცქვიტად წერავს, ნახე! პაწა ადგილი გვაქ, ჰამა დიდი გულია. თუ არ მეგეწონებიან, თუ არ გეამა, არ ჰამოთ; ესა მერჯიმიგია, წურილ-წურილია, ლობიასავეთ; აქევრი წყალი ფენა კადა. ცოტა დავდო, თუ გეამემათ, მითხარით. ხორცები არ ჩასულა, მედტად, დიგიდვა. ამაში არი კართოფილი, თომათესი, ბიბერი; ეს თულლია. მერჯიმიგ წყალში მოხარშავ, ძალში გააბრაწებ, ნიორსაც გუურევ.

- ჰამოთ'ნა, აბა! ჯერ რა იქნა, ქათამიცი არი. ყუსურზე არ დიმირჩეთ.

ესა შემის გაკეთებულია, თეფშ ვეტყვით. მაწონი ამოჰამეთ, აქევრი მაწონი გერმელია.

- ერთი იქევრობას დევნახევდე! ესენი წამოვდენ, მეიარეს, ჩვენ არაფერი; თურქა იცი? რომ იქნებოდე აქ, დეძწავლი; ერთი ქალი არი, იმან დეძწავლა.

- საზღვარი გეძხნა, მოდიოდენ ქართველები, მოვასხამდი სახში („მოვიყვანე” – ერთი თანე, ბევრი - „მოვასხი”). ქართველებს ერთი რუსი ეხლა, ჩვენი საჰმელები არ მეძწონა, წევიდა, ერთი კონსერი მედტანა, გასხნა კონსერი, დადგა ბეთი სული; ქართველმა უთხრა, ფენჯერზე დადგო.

* * *

- გოგვები ორი ისტამბულ არიან. ეს ბიჭი ვერ დავალაგეთ. გეიარა დრომ. იქ მოდიოდენ ბევრი გოგვები, არ მოწონს.

ჩემი გოგვები ჰემ საქმობენ, ჰამა სახლის საქმეც იციან.

- ჩემი გოგო არაბაში იყო; ისა დაკვირვებულა, ძაბანჩი არ იქს-მეთქი. მე ბევრი ვიდერდე, არ მინდოდა, ჰამა იმან იმსოდ ლამაზათ ილაპარაკა, წეძყვანეო, ამანაც უთხრა. ლურჯი თვალეები ასხია; ძაბანჩი სიძე არ გვინდოდა; ამა თქვენ გებნევით, იმას არა. თერბელი მუა, წავა. არ ვაგინე მე, იმსოდ კად სიძე გამოდგა! ჯარში საქმობს. ძალ-ძალე იცლის ქალაქს. ესენიც ისტამბულში არიან, ბავშები ყავს, ბადიშები ყავს.

- არ ვიცი, გელინი საიდან'და მევეყანოთ, გურჯი დაჰა კად იქნება.



ბიჭი ცოტა შეშლილი არიან (!): მოდიან იქ, გოგვები, კად იქნება, არ იქნება...

წინ-წინ გოგოს არვინ არ კითხევდა, მედწონებდა არ მედწონებდა. ის ადეთი უმფო კად იყო. ახლა არ გვიდინგლავს. გოგოს და ბიჭ ერთმანეთი უყვარან, მამას და დედას არ უნდა, გოგოს უნდა, მომიპარეო, ეტყვის.

მოტაცება ზორით არი.

ახლა ისე ყოლადა.

დედ-მამამა „არ მინდა” თქვას, თვრამეტი წლის გათავდება, წაყვება გოგო.

- ეს მოსულა ჩემ სანახავად. მაშინ ადეთი არ იყო. ოდიდან კარში ბილე არ გამემიშვეს. გამევიდა გარეთ, ჰემ ხელები დევიბანოთ. აგზე ლაპარაკი მესმის. ბალკონზე ჩემი ახრაბა იყო. ვინ არის-მეთქი. არ ვიციო, ბამგირული ვინცხა არიო. მილეთი ედრეოდენ, ჩემ ბაბოს არ იამებოდა.

ჩემი ბაბოდ ვის ელაპარაკება-მეთქი? არ ვიციო. მე გამევიდე-მეთქი? სა მიხვალო?- ბაბომ. კარები'და დავგავო-მეთქი. შედიო, არაფერი დავგა არ გინდაო. ამას მეგერ უნდოდა ჩემი თავი. არ დამანახვეს. ის წევიდა, არ დუუნახავს, ერთი ემიაშვილი ყავს, იმისთინ შუუჩივილია, არ დამანახვესო.

დილა რომ გახდება, ბალკონს დავგვისო, დაბერტყავსო, დედნახავო. არაბაში შესულა, კამიონში შესულა, თავი ანას უნდოდა ჩემი თავი. სხვებიც იყვნენ, მარა ჩემ ბაბომ ჩვენი თერეფის უმფო მედწადინა. ელჩად ბევრი (=ბევრჯერ) არ მოსულა, ერთი-ორჯერ - თავისი ბაბოდ. ბაბომ დედნახა, მეეწონა. ოცდაერთი წლის ვიყავ, არა?

- ჩემთან იჯექი, ვილაპარაკოთ.

- მივხდი მეც. წევიდენ, თექრენ მოიდნენ, მედტანეს მარტო ბეჭედი და დასაკიდებელი. ბეჭედი ალთუნი იყო. ჩვენ მას ერთი ბეჭედი მივეცით. ის დაკარგა. ჩვენ გოგვებმა, ისე არ გიხდებაო და... დუგუნამდე გაზაფხულიდან ოქული რომ იწყება, დუგუნამდე ხუთი-ექსი თვე გევიდა, ჰიჩ არ დიმიანახავს. ჩუმსაც არ ვიღებდი. ჩემ ანას, ბაბოს მოწონდა. ჩვენი სოფელი სხვაა, იმათი-სხვა, ხევწრულს ზემოდან. მოქონდენ ჩასაცმელი. ერთი-ორი-სამი ყათი რაცხა მედტანეს, ისენი მოდიოდნენ.

- მე ველაპარიკებოდი ჩემ დედამთილ, მამამთილ. დოდოფალი არ დედლაპარიკებდა.



- დუგუნი იქნა. ადეთი არი – დუგუნამდე მისი მშობლები მოდიოდნენ. მოიდა დრო, სოფელში წვედით ბითავი მეზობლები. ბევრი საჭმელები იყო: ყაურმა, ფაფა-მაფა, ფილავი, ბორელი, ფშნილასაც მაყარი, გამხმარი ქლიავი, ისენი თელი.

მაშინ სოფელში გზა არ იყო.

ნიქაპი: ამას კითხავს, შენ ეს კაცი ქმარად გინდა, თუ არაო.

დაპატიჟებდნენ მეზობლებ, მაყარი იქნებოდა. დადე, ამისი ემოსი დის ქალი, მოიდა; დადე სამიც იქნება, მარა იმდენ ცხენებს ვერ იპოვიდა.

- დოდოფალი წამოყვანამდი დადეები წვედიოდნენ დოდოფალთან. ქალები ამას დედნახევდნენ, რაცხებს აჩუქებდნენ, ჩვენაც რაცხებს მივცემდით - ფული, ჩასაცმელი, ალთუნი, ძაზმა.

- გიგიცივდა შენ ეს, სვი... არა, რაინა დევილალო?!

- იმას, „იმედს“, ამ დღეებში არ აჩვენებენ, რა დეემართა, არ ვიცი.

ძველ ინსნებმა იცოდნენ ბათუმი, ჩევიდოდნენ, მევიდოდნენ. ართვინში ჩასლამდე ბათუმი ახლოა. იქიდან ქი არ მიდიოდნენ ბათუმში ფეხდაფეხ. დილას ავდგებოდით, მზი ჩასლამდე მივდოდით. ვაჭრობა იქედან ქონდათ.

- ამას ჩემზე მეტი ცოდნია.

- დადესთან მე შემიყვანეს, დადესთან კულანდელი ადეთით ჩამაცვეს ლამაზათ, წასლიხან ჩამაცვეს ამის ბაჯის მოტანილი. ცხენით წამომიყვანეს. მას რაცხას გამაატანებენ, სკივრი. გამოყვანიხან ეზიეთ მიცემენ მამამთილ. ფარებ ართმენ იმას ხისიმები.

კარების დაკეტვაც არის. ვთქვათ, ამისი დამკეტები იქნება ამისი ძმები, ძმა თუ არა ყავს - ბიძაშვილები.

დედას მუუტანებენ საჩუქარ. წამოყვანიხან დედა, მამა, ძმა, მამამთილიც იქნება.

- ამისი ახლო ქალები გამეყვანებენ, შეაჟდუმლებენ ცხენზე, ქორწილი ბიჭის თერეფში იქნება, ერთ ღამეს გათენდება, ბევრი იქნებიან, მეზობლებთან დაწვებიან დაპატიჟებული ხალხი.

დადე არაფერ არ აკეთებს. წინ იქნება ბიჭის დადე, შუაზე დოდოფალი იქნება, უკან გოგოს დადე იქნება, გული არ შუუწუხდეს, აწავლის.

- რა გაწავლეს?

მღერობენ, თურქულად მღერობენ, ჩემმა ნენემ ბევრი იცოდა, ამ დეყეზე არ მომაგონდება. გზაში სიმღერა იქნება, მღერობენ, გზაში ჭიბონ უკრენ. ახლა ადგა ჭიბონი. სიმღერა ზოგი მახსოვს.

„ვაკეთვენ მიმავალი,
ქვაზე ფეხი წამოვკარ,
უკნესკენ მინავალი
ჩემ დარ თვალი წამოვკარ.“

„ეს აჯარა ღომია
ჩიქინი ქმარი გყოლიაო,
ის გააგდე და მე მომყევ,
სირცხვილი ნუ გგონიაო“

* * *

„მიხვალ, მოხვალ
შენი ერთი დანახვა
ჯენნეთი გემიხდება“.

* * *

„ დიმიქორდეს თვალები
მე შენთვის და გავლემდე“.

* * *

„სადგირელის უკნედან
მიბრუნდები, მიბრუნდები.
საცხან ლამაზს დედნახავ
შენ იქ გადაბრუნდები“.

* * *

„გაღმა სერში ქათამი
მივა და მიკაკანებს,
მე რომ შენ დეგინახავ,
გულში გამაკანკალებს“.
ერთი გოგო გაქცევლა, ჩემ ანას ბაბომ, დედემ, გამუუთქვა ლესკი.

* * *

„უბედური მათუ აბლად,
მეყუანა თოფალი ფატყუდ...“

დღინიშნა დოდოფალი – უბეს დუუნიშნიან.

* * *

„ნიშნად ბეჭედი მუუტანა,
ბეჭედს ქონდა ლურჯი თვალი.
შენ, მუხსინევ, შენ პირშავო,
რუ უყავ ჩემი დოდოფალი” (გოგოძს ანადა მუხსინედ).

* * *

„დილას ავდექ, შინ არ იყო,
მე რა ვიცი ი ზუნკალი,
ტყვილ-ტყვილა ნუ ფიცავო,
შენ სომეხო, შენ ფოშაო”.

* * *

„წუხელი დილამდე ვიტირე
ლუთბოს კითხეთ ჩემი ჰალი” (ლუთბოდ-მეზობელია).

* * *

აღარ მახსოვს, უკანაად დამავიწყდა.
ფადყანა რაღას ზიხარ,
თბილ ოდაში, სობი ძირში,
ამ ზამთარშიც გეგიბჯინა
გოჩოღლებში გოგუები.

* * *

„ზედმეტად ხარჯი წუუვიდენ,
ერთი კოდი წმინდა პური,
დილას ადგნენ გოჩოღლებმა,
ვერ მიშუეს,
ერთმანეთში წეიბძლუნენ,
მოსაკლავია შაქროს ქალი.”

* * *

„შენ, მუხსინევ, შენ, პირშავო,

რა უყავი დოდოფალი?
ტყვილ-ტყვილას ნუ იფიცავ,
შენ გახადე პეტრას ქალი.”

- ჩვენ კარგა ვიყავით, ჩვენ ისე მუალამეთ, გაბუკვა არ ვიცით.

წამოსლიხან ბიჭის მაყრები გოგოს მაყრებსა „გოდრიან“ უძახიან. გზა განახევრდება, მაყარი დასხდებიან ორივე. დაჩხვერავენ, რაცხა უნდათ იგზე. ავათ გავხდითო, კუჭიო... რაცხა საჭმელი გვინდაო... გოგოს თერეფიდან რაცხა გაკეთებული ექნებიან, რაცხას ქი გააკეთებენ, ქალის თერეფი დუურიგებს.

ბიჭის სახლთან მოახლოვდენ; რომ მოვლენ სახლთან, ნეფეს თოფი ექნება, ესროლებს. მეფყვანებენ ყვავილ ქვეშედამ დოდოფალ, სიძესაც. ხურდა ფარას შექერთან არეული დოდოფალ გადააყრის. დოდოფალ ვალა აქ. ამ დროს სიძე დედნახავს (იმდენ ხალხში რას დედნახავს?!).

ქვამს ჩააბრუნებენ, ფეხი არ გეემუროსო, გადაახურვენ, ჩამოახტუნებენ დოდოფალ, მაგარი იყვეს იმასავეთო, ავათ არ გახდესო. მემრე ამიდან წამოსული „გოდრიანები“ მოითხოვენ, საჩუქარი რა გაქვანო? ძროხას მოითხოვენ, ცხვარ მოითხოვენ, ყურზე რაცხას მოაბმენ, არ შეიცვალოსო, დოდოფლის არისო. ქალები ამას წაავლობენ ხელ, წეფყვანებენ სახლისკენ (დადეები არა), ფქვილში ჩააყოფიებენ ხელ, ჩამაასმევიანებენ პირზე, არ მახსოვს, მურიან კედელზე. ძველ სახლებში ჯაჭვი იყო. ჯაჭვზე ხელ მიაყოფიებენ. მერე წეფყვანდნენ დოდოფალ თავის ოდაში, მერე იშტე შუუტანებენ საჭმელ, ისინი შევლენ, გავლენ, საჭმელ მოგართმენ, შემოგიტანებენ, ჭამენ, დასხდებიან. ახლა ქალები, კაცები არეული არიან. მაშინ კაცები ადრი იქნებოდენ.

მეორე დღეს საჭმელი გათავდება. დაღამდება. ბიჭის თერეფის მაყარი (გოგოს-არა) ფულს გაყრიან, სინს მოარუნიებენ. ის იმას უყურებს, ის იმას უყურებს, წინ-წინ ასე იყო. წერვენ. მერე დოდოფალიც საჩუქარ აძლევს, ვინ რამდენი მისცა, იმა და გორ: მოქსოვილი წინდები, ქალების ძაზმა, კაცების წინდები. მევრე დღეს მეფყრებიან ქალები, ითამაშებენ – შენ გაჩუმდი, ვერ გიგირიგებია.

- კაცები ფული გაყრიან, წავლენ. ქალები შეფყვანებენ ოდაში დოდოფალ, მამამთილი პირ ახდის, რაცხას აჩუქებს იგზე; მამამთილ დანა აქ, პირის ახდისას დოდოფალ კითხავს, თავი მოგჭრა, თუ ენაო-ბევრი ლაპარაკი არ იცოდეს ქი. გელინის ლაპარაკი ადეთი არ იყო, ჰამა მე ბევრი საბრი არ მიქნია.



- მედგრებიან მემრე ქალები, მისი ხისიმები, რაცხას აჩუქებენ, მამამთილი რომ პირს ახდის, დოდოფალ წყალზე გეყვანდენ, რისთვინ მიყავდენ, რა ვიცი. წყაროს აწავლიდენ. ეს ქალების საქმე იყო.

გერმელათ ვილაპარაკეთ, ახლა ჭვამოთ.

გაწვიმდა, აქ იყავით?

მე გუშინ შინ ვიყავი, კარში არ გამოვსულვარ, მაგარი წვიმა იყო. წუხელი სა იყავით? დედალაღენით? სოფელში იყავით?

- ამათი დაულ-ზურნა არი, არ მოგვწონს, ფახ! ფახ! ერთი ზურნას უკრავს, ერთი – დაულ. ჩვენთან მუზიკაა, გარმონია.

რას იკითხევდი?

იმას ერთი გოგო ყავდა, არ ყოლია ღარჭი. კულა დოხტურთან მისლა-მოსლა არ იყო; იმან ეფემახან იცოცხლა, მემრე მოკდა. ბვერი ეცოდინებოდა.

ერთი თანე ბიჭი დაასუნათეს, პაწად დასასუნათებელია.

- უთხარი ლექსები, გო.

- ვიცოდე, ვეტყვი-და. უთქმელობა რა თქმამა!

ესა დიდი გოგოს არი, ახლა უმფო დიდია. მაშინ სამი თვე დავჩი ანკარაში.

ეს ბიჭი ახლა ფენა იზდებო. ეს გოგო ხეჩო-ხმელი იყო, მალე იზდებო. გაღმა რომ დედნახევი სურათი, ი ჩემი ბაბოა არი; ეს ენ პაწად გოგო არი ჩემი; ეს ამის დეგანი არი. ესეც ჩემი ბაბოა არი. ესაც ჩემი პაწად ძმაა.

დეგანი ფენა მიყვარდა, ესა ჩემია წურილობაში; ეს ჩემი ანაღს და არი, ახლა აღარ ცოცხლობს. წინ-წინ ხალას ვეტყოდით. ჩემი გვარი დედაკარგა, ამისი გოჩინთია.

- გესმის? აწიე ტელეფონი და!

- ნუ ეჩქარებით. ოდიები მქონდეს, დაგაწვენთ.

შავშათში, შუბლადის ოჯახში საუბრობდა ალიე გოჩინთი

უბე

- ხვალ ჯუმაა, ვხოცავთ. ჩამოვეთ, მივხოცეთ-მოვხოცეთ, მივალთ.

- უბური თა ზათი ღადოა. შავშეთ ზემოთა ქოთეთრისია (<ქვათეთრისია), იქით კიდენ ცეხისძირი (რალაცნაირი დაჭიმვით წარმოთქვა მთქმელმა-ჩამწ.).

მოდი დედეჯან, მოდი...

დაყაფანდა ოქული. ჯინალიდამ არი ხოჯა.



ქართული
ენების
სწავლის
სამსახური



- აქ ყარაყირჩილს (შავთავთავიანს – ჩამწ.) დათესდენ. ახლა ადგა, აღარ დათესავენ. ბზეს ბევრ გაყრიდა. ჯარებით გავლენევედით. ფიწალს შიშიდამ ვაკეთებდით. გენჯები წივდენ იქით-აქეთ. ჯარ აღარ ვინახავთ. აღარ მოვკნავთ. სიმინდ დავთესთ, ჭყლინტ ვჭამთ.

- უბეში ბევრი სოდადი არი: ლაზოლლი (იქიენთნი), თანთოლლი (კოლეტენთი), ყარალოლლი (შარიენთი), სუსანოლლი, პეტროლლი, მურევები, ასტანოლლი, იხეთოლლი, ისმეთოლლი, დაჩიენთნი, ბაირახტაროლლი (ქოქლიეთიდან მოვდენ), უსუფოლლი, ხოჯიენთი... შარმათები, ქოსიენთი, ზაზალევი, ჭივიენთი, მელიქიენთი, დავლაძენი, აიშიენთი, იოღვიენთი, გათენენთი, ფუტიენთი, მურეშენი... ხარზვიენთნი, ფეკრიენთნი, ლეზვიენთნი, სარაჯები, დავითენთი...

- სვირევნული მაილა იქაა, ზეთ (ხელით გვაჩვენებს – ჩამწ.); ჩვენი ჯამე არი'ა, იქაც ქილისა ყოფილა.

ყორიენთი - ქვა ამ ალაგსაა. წალკოტი მაღარაც აქაა. დაბლა წყაროდა; აქ ღორღენი ალაგია. უბური მთა არი ბარელთა. დაბლა კიდეა, ქემერიანი კიდე.

- მოხვიდოდით ქი, ვთქვი კი გურჯები არიან, გურჯიჯას ლაპარიკობენ. ეს სახლი ამათი ემოსია, ჩვენი ემოდს განაყარისა, ამათი განაყარისა (გვაცნობს – ჩამწ.).

- მაწონს დალევთ? ადრანსა?

- ემინე მქვია. ჰაიდე, შიგან შევდეთ! თქვენ მუსლიმურად ბძანდებით?"

წასული არიანი'ა? ვერ გიყვარებია და?

ასლან აბაშიძე რომ გააქციეს, მის ალაგზე ვინცხა გევიდა? ვარშალომიძე გევიდა?

- ბათუმი ქა'ზიმ ქარაბექირმა, ათათურქმა მეიგო აქეთკენა და მეგერა რუსმა გადმაყარა შექერი, რაცფერი საჭმელი და აჭარლები გადააბრუნა თავისკე და დარჩათ იქა, თვარა თქვენც აქეთკე იყავით. იქა მაჭეხელი არი, ფენა საცოდავთ შვაზე გაყოფილია. თორმეტი თანე სოფელი ა ისე დარჩენილა, გარეთკე, ექვსი თანე სოფელი აქეთკე დარჩენილა, ზამთარჩი გეჩთი არ აქონ, ბათუმიდამ'და მედარონ, ისე ბორჩხას, ართვინ'და ამოდდენკე, გამთელდენ ხასტახანებში. ისთე რუსმა გამაატყვილა აჭარლები და ისე მარადიდიც შვაზე გაყოფილია. იქ ლაზები არიან, ჰო? იქამდე თელი ოსმანლისა იყო. მემრე მემრე გაბევრდენ რუსები. აზერბაიჯანი, ბაქო, თამამ ოსმანლისა იყო, ჰო.



იმაზე ძველათ ამბობ, ჰა? გურჯისტანი თელათ ოსმანლისა იყო, ჰო! იმაზე ძველათაც კიდო თურქეთისა, სელჯუქლი თურქელი... რუსი ახლა წამოციმციმდა. თუ კოჭლ თიმური არა მოსქოვიც ოსმალისა იყო. რა დროც თიმურმა რომ დაანგრია, და იმას უკან რუსებმა ნელ-ნელა წამოციმციმდენ, ოსმალის თავზე ბელა გუუხდენ. მემრე, მემრე აქად ბილა აგვართვეს. მემრე იმათ ემეში დავჩით. მის სახლისა ემედ იტყოდა, ჩასული ვარო, ად იქიდან რუსები მოდიანო, ჭირი, ჭირიო, შეგვატყობიებდა, ჩომას თივას დუუყრიდითო, ახორშიო, ტყეში დევიმალოდითო, გვეშინოდა.

- სელჩუქების წინათაც სხვადასხვა თურქები იყვენ: აზერი... რუსი ახლა ემე ქნა... მემრე თურქი მოიდა, ოსმანლის მემრე თურქი მოიდა.

- იყვენ თავისთვინ ისინი, აბა არ იყვენ? (გურჯებზე ამბობს – ჩამწ.). რუსი აჰა ბილა მოვდა და... სიდამ მიდიან რუსები? გურჯისტანიდან მიდიან? მისი ალაგი რომ არ არი, მიდიან.

სომეხები ბილა ყოფილან და წამუუსხრეკიან.

ქართველებ უქუმეთი არ ქონიან. არევი ვიყავით

- თურქის იდარეთი იყო და ანჯახ მელლი ემეები... აქ სომეხები ბილა ყოფილან და წამუუსხრეკიან.

ქართველებს უქუმეთი არ ქონდენ. ანჯახ ერთმანეთში ემედ ვიყავით, არევი და ვიცოდით, ქართველი, ანი! ხომ ქართველი ვართ, ჰო! ლაზები ბილა ქართველები, ძმები არიან, ძველისძველი.

- ზიოსი ქვია გაღმა სოფელს. მაღლა ბაზგირეთი.

- აქაც არი მაღარები, ამ სახლი იქეთიდამ, დარეს ვებნევით იმა. ისა ჯენევიზებისა ყოფილა ბილა. ისა მუსლიმანები არ ყოფილან, ხრისტიანები ყოფილან. ჩვენი ემეები იტყოდენ, მუსლიმანები არ ყოფილან. აქა იდარე თურქებისა ყოფილა, დანი ერმანები, სომეხები ყოფილან, ჯენევიზები. ამათ თლათ ჯენევიზებისა ამბობენ. ჯენევიზები ემეები არიან, რუმების ძველები დანი, ბიზანტიელები ემეები... (მთქმელი ცდილობს რაღაც დააზუსტოს, მაგრამ ვერ ახერხებს – ჩამწ.). იმათი საცხოვრებელი ამგვარი სახლი ყოფილა, ჯენევიზებისა. ბევრია ამფერი სახლი. ცხოვრობდენო აქა.

ქომოთ ბილა არი. ჯენევიზების სამცხოვრო არი. აქ ალთუნი ძებნეს, ამა? აქ ალთუნი არ იქნება? (აქეთ შემოგვიბრუნა კითხვა – ჩამწ.).

დევრიშოლლებს გვეტყვიან. გურჯი სოფადი – დევრიშიშვილი, იშტა, ამას გვეტყვიან. მე იბრაჰიმად მქვია. აქა ემეები მცხოვრობენ: ჩაფრასტები, ტივიძები, კორტოხაძები, მოლლოლლები, ზორბებიც არიან. ამ ადგილ



გორგვიეთი ქვიან. იმ მინდორ - ტივიძენი. აყოლებას - კოვიძენი (კობიძენი? - ჩამწ.) ქვიან. აქა შუა მეჭელეს - დოლმები, იმაზე ზომო - კორტობამენი, ამოხვალ - ზორბები. აქ თურქეთის სახელები არ არი. იმ გაღმა მთას სარტყელად ქვიან. აქ ქართული სახელებია ... იმას საბეგი ჯვარი ქვიან. ჰერალდა გეგებებთან ის არი, საგებები ჯვარი. მას აგრათლეუ ქვიან, იმას - ფრიალო ლელე. მაღლა მთას ვაკსელი ქვიან, ზაქიეთი. ზომოთ ზაქიეთური მაილაა, დაბის ზედადამ დაბური მაილაა, ბოსელთა. ბამგირეთ ეხვალ, გედემარ ლეკობანი, ლეკობან გედებვალ მაჭებელი, მაჭებელ გედებვალ, იმტე, ბათუმი.

- არ ვარ გადასული იმტე, ვიცი, ბაბოა გადასულა. აქ დადიოდენ მაჭებელელები, გობები მააქდენ, ყიდიდენ, რაცფერა თაფლი მააქდენ, სხალი, ქლიავი, ყიდიდენ. იქ მეღვა მალე მოვდოდა, მააქდენ, ყიდიდენ იმტე. აქაცა თუთა მოდის, ბალი მოდის, სხალიც მოდის, ამა მაჭებელზე გვიან მოდის. აქ ვერხვები იზდება, სხლები, კატრები, ნამძვები... ვაშლები... ზემოთ ახვალ - სოჭი. ცხრემლა არი, უხრავი არი, კოც არი, კაკალი ბოლათ არი.

ეს კო არის, ესა. ეს თაფლად სხალია. თავრეჯულად არი, დევაგრაად არი, სხვა არ ვიცი. შავი ბალიც არი, წითელი ბალიც არი.

- ეს გზა ბაზგირეთ გასლამდე გადის. თელგნისკე არის გზა. დიობანი, ივეთი, ფაფართიდან გადააჭრი კიდევ მაჭებელ გადახვალ.

- გოლიდან ჯარი ამოიდა? იმგვარო რაცხა გვესმოდა. გოლიდამ ამოსულა თავითალად ჯარი. არ გემიგონია მაგვარი დანი. გოლიდამ ამოსულა და სოფლის ჯარ დაჭედია, მემრე? გოლმა გადმოიდა და სოფელი წალეკა! მამგვარი რაცხიები არ გიმიგონია, რომელი სოფელი იქნა?!

- მარტო ჩვენი მაილის იქეთიდამ და ხემწრული მაილის უკნედამ ერთი ჩვენი რუ არი, იმის წინედამ თორმეტი ცალი თექი არი, ფეგები (სახლი ჩასადგამი ალაგები), ედდა, ჩვენ ემედ გაგონილი გვაქ.

ჩხოკობიხან ახლა ღმერთისთუნ, ბატონისთუნ შეპირობია წასლიხან, ედდა, ამოსლიხან ღიორო დავინახოო, ყურბანი'და დავკლაო, შეპირებია. ავა ქი ღმერთის თერეფიდამ ემედ არ დაფარებულა, ისევ ანთია. არ დაფარებულა და... ახლა ტილობა არ არი. მაშინ ტილობა ბევრი იყო. ამეღლო უბიდამ ტილი და აჰა ყურბანიო და... ღმერთსა ეწყინა და... აბა ხომ ღმერთი თვალში თით არ გკრავს; წამოიდენ და მემრე ზამთარში წამოიდა ქარიშხალი, ერთი ბუქი და წამეღლო ისინი და ეეე ლელეში ჩეიტანა და დაჰა შიშისგან მაილაში ვეღარ ევდენ და ისვენ დარჩა ფეგები.



იმგვარი რაცხა გაგონილი გვაქ. იმგვარი რაცხაები ბევრია. თქვენთანაც ბევრია. ზველათ ბევრ ჰექიას იტყოდენ ბერები. ზოგი მახსონს, ზოგი... რა ვიცი. ჩამოჯექით და... საქმეები გვაქ. ემე ვიჯებით და... ჩემიდან ამდენი კადა, მაგრათ იყავით, ლამაზათ... (ქორწილობა მოიმიზეზა და მოგვშორდა მოუბარი – ჩამწ.).

შენი სახელი? ბათუმიდან ხართ? თურქია ლაპარაკი იცით? ჰანი ქართველი ხართ ისაც? ყოლად ვერ გაგაგნებებთ და...

- ედა ჩემი ღარჭი, იშტა, მეჰმედად, ალი ალთუნის ბაბოად იყო... აჰმედად მილლეთ ვექილი იყო. გურჯისტანიდან პროფესორი მოდიოდა ანკარას, მე ვერ ვნახე, ჰამა მოდიოდა... გიგინეიშვილი იყო, ოთარი. ედა აჰმედ ალთუნმა ენწინ მისი ალიად გაგზანა, მერე დაღჩინა... გოგო ახლაც აკითხებს... ჩემი მეჰმედად, ჩემი ღარჭი თურისთულად წვევიდა... რუს კონსოლუსმა თალიბები გუუკეთა, ქალაღები. ედა აქა დავმაღევით, გიგვიერსდეს ჰუქუმეთმა. თურისთულად წეიყვანა აჰმედ ალთუნმა მეჰმედად მოსკოვში, იქიდან გამოვდა გურჯისტან, იკითხა, იკითხა, დოხტორი გაჭდა, ერთნახევარ წელიწად იქ ხასტანეში ისაქმა, ჰასანამაც მარჩინა და... ჰასანამ იქ დასახლდა. ერთი გოგო შეიყვარა, ის ახლა აქ ყავს, მისი ქალია. ედა იკითხა, მევიდენ. იმა უკან გურჯისტანი გედრჩა, იმა უკან.

- საქმელი გავაჰაზირო?

- გააჰაზირე!

ზარმელი არი ახლა, ჰა! ადრანიც არი. არ გინდა?

აქ კი მევიდენ, ჰამან არ იყაბულეს. დიპლომები ემე ქნეს, გადაასხვაფერეს... ჩემი ღარჭი დოხტორი ანკარას არი. ანკარას იქ მიხვალთ იმათთან.

ჰასანი ახლა სოფელშია, არბათ მოსულია. იმა უკან წვევიდენ, ვინცხამ კი იქა იკითხეს, ალა' იყაბულეს. ზოგმა იქ დაჩდენ, ზოგმა კი აქ მოვდენ, ცუდეთ იარეს, ჰეჩ არ იყაბულეს.

მეჰმედას ერთი გოგო, ერთი ბიჭი ყავს. ბიჭი ამაზე (უთითებს თორნიკეს – ჩამწ.) პაწადა.

ბელქიდა რაცფერი შეინახეს... მალრა ასე დაფლატულა, კვლდეები დაყაფანებულა.

ჩემ ბიჭმა მითხრა, მეჰმედამა, ოთხასი წლის უკან ხრისტიანი იყო აქა, მერე მუსლიმანი გავხდით.



- გრიგორი ხანცთელი... პეტრიწნი წყარონი იქიღამ ქი გამოქცეულა, თამამლის... იმ ადგილ ხანცთა ქვია.

(ვინმე ყოფილა აქ? ვეკითხებით – ჩამწ.)

გრიგორი ხანცთელი, პროფესორი. იქიღამ კი გამოქცეულა, აქა უკითხვებია. ქილისა გუუკეთებია. თექრენ აქიღამა სელჩუკლი თურქებ გუუწუხებია, გაქცეულა. ქილისაც დაფლატულა, დანგრეულა. იმათვინ, ქართველებსთუნ ეს ადგილი წმინდა არი, იციან...

(იქედან რატომ გამოქცეულა? – ჩამწ.)

- რატომდა ოდა მუსლიმანლული ყოფილა. პროფესორ გრიგოლ ხანცთელი რქმევია, იმ პროფესორს.

(ხანცთაში გურჯები დადიან? – ჩამწ.)

- სწორეთ არ ასულან. წორეთაც არ მოსულან ქი... ამა თქვენსავეფ კარგა მერაყებანი ინსნები არ მოსულან ქი... თქვენ იმას ემე იჯებით... გვკითხავთ. იმათ არ უკითხვან ქი.

(შატბერდი ხომ არ გაგიგონიათ?- ჩამწ.)

- შატბერდი არ გემიგონია.

(ახლა ამ მთას რას ემახიან? – ჩამწ.)

- სასკივრე. ზედუბე. უბის ზედედამ ადგილია ზედუბე.

(ხანძთა რომ ერქვა, იმას ახლა რა ქვია? – ჩამწ.)

- ხანძთა ქვია. ჩემ ბიჭებმა თქვეს კი, იმას იკითხავენ თიფლისშიო...

ეს კაკალი'ა.

(ხანძთაში ვინმე ცხოვრობს? – ჩამწ.)

- ძველათ იყვენ. ყიშლები დაკეთებული იყო. ძროხებსა ინახავდენ. ძროხას გამუშუვებდენ, მემრე შეაყენებდენ, მოწველევდენ. მემრე... კარში წასულია თლათ მილეთი, ზაფხულ მოდიან. ერთი ემედა, დიობანი დაცლილი, ერთი – უბე. კარში არიან გენჯები...

- ბათუმდა შიგანი ხართ? ბათუმდა ჩვენ არ ვიცით.

(ძველი წიგნები არ გაქვთ?- ჩამწ.)

- ახლა რა იცი? ჩვენ მაგარი გურჯი არ ვართ, ბლაცვი გურჯი ვართ. ღორი'და იყვე. ადაფაზარ ფენა იციან, ჰიღამ მოსულან. კაცმა რომ გვარი არ ეცოდინება დედესი, დედეს დედესი....

ჩემმა დედემ იცის (ჩაერთო ცოლი საუბარში – ჩამწ.), ხასან ტადამ იცის.

ჭადი, გევრეგი, ფშუნაი, გამდარი... ზამთარში ჭამე და იყავი. ავიდეთ სათავეში. გამევეცლებით, მე ჩემი არაბადთ წამულა, ავალთ.



- სიტალინსა იხტიბარი ქი უქნი'ა, ახლა ყოლა ალაგიდამ თითო კაცი უთხოვნია. ჩვენ გურჯებსაც იქ ემეში, ბათუმში, აჭარას უთქვიან, ვინ გავგზანოთ? უფიქრიან, ჩობანი გუუგზანიან. სამ თვე უკან მოსულა, ემე მოსულა, ხებერი. გახდა! ვინ გახდა? რა გახდა? ბექიროლლი მუსტაფაა მოსკოფაში ნუფუსი გახდა.

-ღელეს ერთი ჯვალაია,
 ეჰლოჯან, ეჰლოჯან,
 ის ვერ ემიტანია,
 შენ რომ სხვას უყურებდი,
 ის ვერ გემიტანია.
 ეჰლოჯან, ეჰლოჯან,
 სახლი'ნა გავაკეთო,
 გავთალო'ნა დოკანი,
 არ გეგეზარდე'ნა, დედავ,
 ეჰლოჯან, დეგეწვა'ნა აკვანი.
 გემარე, გამემარე,
 ზემოდან ჩამომარე,
 ვერ ვიპუე შენთანა,
 ეჰლოჯან, ეჰლოჯან,
 ე დუნია მევიარე...

მოდი, ჩამოგიკითხო კიდევ... ხანძთის გაღმა – შოლტისხევი, ფოჯანათი... ღორი, გამჭრენა იყო... გურჯი ბლაცყია. ჭადი, ჰემაც ლობიო... იქიდანაც არიან ჩვენთან, აქიდანაც არიან იქაც.

მაგარი კაცი რიზე-თრაფიზონია. ჩვენი გურჯებიც იშტა, წადან ვთქვია, შუქურჯი არიან. კად წყალი-მალა ნახეს, იქ დამსხდარან. სად ასულან, მაშალლაჰ, კად ჰავა'ნა იყოს, კად წყალი, კად შეშა. მე მინდა ქი გურჯიც'ნა იყოს გამჭრე. ამგვარი გურჯები მინდა მე – მაგარი, ღორი, კად.

- ხალილად აქ არი'ა? მე აქ სოფელში ვარ.
 - მადლობთ, ბატონო! არაფრის, ბატონო!
 დეგემველება. თავის თავ დაარჩენს, შენც დაგარჩენს...
 გურჯები გაგაგდებენ, გემარებენ წევლენ...
 ამ ალაგ ქვია ხანძთა, ამას – საყვეერა.

ეს ნართია; ჰემ ნართია, ჰემ ძაფია. ეს კალათია. ძველათ ფოშები აკეთებდენ და ვილებდით.



- დიობანში ასი თანე ჩვენთან არიან. სამოცდაათიც, ლიცეს ვებნევიტ, იქ არიან. ახლა ახალ ბინას აკეთებენ, იქა ლიცე იქნება. მაფირის ვებნევიტ, ჭამა იქნება, დაწოლა იქ იქნება.

(ქართულად ლაპარაკობენ ღარჭები? – ჩამწ.).

- იმ თერეფში დიობანის გარდა. დიობანის შიგანად არა და მეორე სოფლები არი, ივეთ ვებნევიტ, ემეა არი, იფხრევილი ძველი სახელი, იქა თამამ წვრილი ბაღნები ქართულად ლაპარაკობენ. ზემოდ სოფლები წვრილი ბაღნები ქართულად ლაპარაკობენ. წასულა, იქავრულად ლაპარაკოფს, ხან-ხან ურევს იშტე... აქა ზოგი რაცხაები არ არი. ბინა ქი არ არის, ყველაფერი არ არის. ილაპარაკოს'ნა ქი, რომ დედაწავლოს ბაღმა.

(აქ ქართულ ტელევიზიას უყურებთ? – ჩამწ.).

- ზოგსა ვსეირობთ. ზოგი ვერ გიგვიგნია, ცქვიტათ ლაპარაკოფს. რუსთავი ორი ილაპარაკეფს, ფენა ცქვიტათ, ვერ მივმხტარვართ. თქვენ იქ მიხტებით, ჩვენ აქ ვერ მივმხტარვართ. ერთი რამე ემეა არი ახლა. ჩვენ ახლა თურქსა ვლაპარაკოფთ, ბაბადამ ვიგონეფ, მე ისე ვლაპარაკოფ... ბაღვი ჩემგან იგონეფს, ისე ილაპარაკეფს. ბრუნდება იქითკე ლაპარაკი, ცოტა გაგნებინან გვეჩეთინება. ცქვიტათ ილაპარაკებენ, ვატრიალებთ. ერთ დრამ მოსულათ ილაპარაკებდენ, გეგნებთ და დევეწავლით.

ისენი არ არიან აქა.

მექთების მასწალეხელი ვარ. იმის უკან იმთიანი გავხდი. ოთხ წელიწად რიხეს ვისაქმე, მემრე აქ გამომგზანეს. თხუთმეტი წელია ვსაქმოფ. ორმოცდაათოთხმეტის გავხტები, ელლიდორთ წლისა, ემექლი გავხდები.

ამ სოფელს სვირევანი//სვიროვანი რატომ ქვია? სვილი ხომ არ მოდიოდა?

პურ ვთესევიტთ და ფენა მოდიოდა, შავთავთავიანს ვთესავდიტ. დახრეს, ორმოცდაათი-სამოცი კაკალი იქნებოდა, მაგარია, ფენა მაგარი.

ჩვენ ბუღდას (სელი?-ჩამწ.) ჩავდარ ვეტყოდიტ; ერთ წელიწად პურ არ დავთესდიტ, თავთანად ამოვდოდა ისა... იმას თივათ მოთიბავდენ. ფენა პური მოვდოდა აქა. ჰემ გეგნებოდა, ხვავ დაყრიდა. ბზეს გავლექევიტთ ჯარებით, კევრ ვეტყოდიტ. იმ კევრში შეაბემდი ჯარებსა, დალექდა. ახლა მაქინა გამოვდა, ხვავმაქინა. მაქინა დანახული გაქვან? უკანიხან მანქანა გამოვდა, თრაქტორზე აქ, იგი გაარჩევს. ის ევლევით, იმი ვქენით. იმას უკან ფათორი (ელევატორი) გამოვდა... ახლა იმა ვთესავთ, სიმინდი... ღორები ფენა ბევრი არიან... თითო ყანა ემე ვქენით, დონჯას სიმინდში შიგან ვთესავთ. მე ხუთი



თორუმი დათესილი მაქ, ფონჯა. ყოველ დღე იმა არ ვაჭმევთ, ერთ-ორ დღე ფონჯას მიაერთმევ, მერე თივას მიაერთმევ, აცხელეფს საქონელს. ზამთარში ფენა თფილათ იჭირავს ისა და კაა არ არი. მოლი ბევრი გვაქ აქა, თლათ ჭალობა გახდა...

- ჯარ აღარ ვინახავთ, მოვცნათ, ყანეები წვრილია, მაქინა არ შედის, თრაქტორი, ჰემენქი ბევრი არი... თლათ ჭალობაზე გაგდებულია. თითო ყანა ჰყლინტი გვაქ. მა მოხარშავ, მა ღვიოროზე შეწვავ. ჭადსაც ვაკეთებთ. უსიმინდო არ იჯება.

- ზიარეთი არი იქ. კარეთ ვებნევით. ზაქიეთს აქეთ-იქით ... ზიარეთი არის, იქ უთხრიან. ვინცხა-რაცხა ამბოფს, წადიან, აფუჭებენ. მაღარა ძველი გაკეთებული, თხარეს, დაანგრის.

ეს სოფელი რომ არ იყო, მაშინ აქ ხალხი ცხოვრობდენ. ქვა იყო დაყუდებული, კარი იყო. აქ კარი ყოფილა და ქვეშ ემე ყოფილა, ბინა. ესაც ასეა გაკეთებული. აქაც ყალე იყო და დაანგრის. ის ყალე ორ ყალეს ინახავს (ხედავს).

პარეხში ამფერები არი? ბელქიდა აქ მადენი ადნეს. ჩვენი ძაილა არი, იქა ფახირი ამუღიათ, ცხენებით უზიდიან. ბაზგირეთ ბორი ნახეს, ჩვენი არესკენა ფახირი არი, ათასში ხუთი-ათი გრამი. აქა ას კილოში ათი გრამიაო. მოსულან, დუუხედვან... ჩახურეს, ბახირ ქვა დაარქვეს ახალი სახელი. იმ ემეში ბახირი და ალთუნი არი მიწაში...

- მე ფუზამინდე ვარ. ფარნუხიდან მოსული ვარ. სამი ღარჭი დასახლებული არიან; ზამთარში ანტალიას, ალმანიაში მიდიან. ექსი თორუნი მყავს; შვილები საქმობენ, თორუნები ჰელე არა.

ჩემთან წავდივარ, ამა არაბას წყენულობს, წამლებს ყლაპავს. მეზობლები თელი მოკდენ, თითო თანე არიან, ყურბეთში არიან. უყრით, ვინ'ნა დარჩეს. ოსმანაა არი ამათთან; არ არი აქ იმდენი საქმე; საქმე გავაგდევი; შიშას გავაჰაზირებთ. კალოს გავლეწევდით.

- იქაც მოდის თოვლი? აქა თოვლია, ჟღავია.

აქ მყოფები თიბვენ; აქ ქი არ ხარ, რა'ნა მოთიბო?!

არა აქ, არა სიმინდ კოტორი.

- მე მივდივარ და ანაა აქ არი; ძილი მეგივიდა, წამთ, დაწევით, დეფინეთ, წამ, დეფინეთ.



მორჩი მყავდა, ადრე ავდექი; ილაჯების ფარა გავატანე, ამატანინო'ნა. კაცები არ გვყავს-და. გელინი ერთი ბაიბურთულია, ერთი – ართვინული, ერთი – მახანი, ართვინი გარედან.

ეს ჩემი დიდი ღარჭისაა. ესა დიდი ღარჭია, ელლი დორთ მაშინდა. მე რა მიკლია მართლა, მეთმიშბეში ვარ.

გელინი ერთი ჰემშირია.

არ არიან, დაყრილია კარები. უნდანან და ვერ მოსულან; აქა ჩემი განაყრები არიან, ეს სახლები დაყრილია; ისა მაჰალეში დგას, არ მოიდა, არ გაალო სახლი. ადგილები ბევრი გვაქ, ჰამა ვეღარ შეგვინახავს; მალ ვყიდულობთ, რა'ნა ჰამო! ზაჰალობაა, ფარა ბევრი'და გქონდეს.

ჯერ გედეარ, ფარნუხში არ'ნა გახვიდე? ფარნუხ არ'ნა გახვიდე? სად'ნა შეიყარნეთ?

- ესა გუგუმია, ფახირია, იბრელიც არი, ლეგენი, გუგუმი. გუგუმი ყაფალებიც არიან, ჰამა აღარ იყიდებიან; მოიკალვის, ჩილავს, ლამაზი არაა, შავდება.

გაჩეჩილი მაქ სახლი, მოიდენ იშტა, არ მეგვიწონებენ.

- შენ კაი'და იყო, ძალიც კაი'ნა იყოს. ჩემ შვილსაც ნუ მეხვევა, ჩემი შვილი უნდა, ჩემი თავიც უნდოდეს; რომ დავადებ, ბაბოძს სახში გავაგზანნი; შენი შვილ კაი'ნა იყოს, შენი დასმული, ისა სხვისი დასმულია; იმასაც შენი შვილის ხათრი'და ქონდეს; ქმარმა, შენ შვილმა'ნა უთხრას, გავახაროთო. გოგოც მყავს, გათხოვლია, გოგვები შენი ჰკვით არ მეძწადინებენ.

თიებში არ ახველით? ხედავთ? ამათაც დუუწავლიან ადგილები.

წყალი არ მაქ, შეიყვანო'ნა ბორით.

- აგზე ლაყლაყში გამხმარა ცომი; აქ ბევრია შიშა; იქოვრობა თლათ ტყე არი.

- ტრაქტორით მათანინებს, მოთორით. ფარა აქ ამას, ფარა.

- კიბილები დამჰალი აქ, ხედავ? შენ არ გებნევი, ბაღვ ვებნევი.

ბაღვები არ დეძწავლიან, გურჯიჯა არ იციან, არა. ბაზგირეთ დუგუნია. ბაზგირული დოდოფალი მოყავან? დუგუნი ორი დღეა, ბუღა'ნა დაკლან, ბუღა!

- ფქვილ მაიას ურთავ, თეფერაზე გაატყელებ, ფურნეში, სობაში გამუაცხოზ. პაწად ცომ გავაშვებ.

- ცომ აშვებს, ბეჩი ხარ, ცომი გეძვება?!

- იმფო კადა, შენ ხებერი არ გაქ.



- მე აღარ მახსოვს, გენჯი'და იყვე ქი, აღარ გვახსოვს.

ეგა ამბობს დუას. ამას დაჰა ეცოდინება.

ჩვენთან მღერა არ იციან. დაარწე, დაარწე, დეფინე - იტყვიან. „ნანი, ნანი, დეფინოს და გეფარდოს“.

დალოცვა არი: შვიდობით, კარგობით, წადი, მოდი.

- მეც მოგეკრა და წევედით.

სად წახველით?

რაი გელაპარიკო, რაი ვიცი?

დალოცვა გურჯიჯა არაა, თურქია არი. ღმერთის დუა თავზე იყვეს.

- მე გუმუში ვარ, იმაზე წინ ყადა ვიყავ. ზამთარში წავდივართ, ახლა წამუელით, ხედრი ვნახოთ. ჯამე დავასუფთეთ, ხვალ ჯუმა არი, მივხოცეთ, მოვხოცეთ.

- მადლია, ხვალ ჯუმაა, ილოცვენ, დამლოცვენ. იმ დუნიას დოხუზ მერთელი გვიწევს. რა დღეები გვიწევს.

- ციციელი ჩამოვარდება, დაჰა იქუხებს, „ბისმილა, ბისმილა“ ვიტყვით ყველაფერში ბისმილა'და თქვა, ბერექეთი ყოფილა, ჩვენი ნენეა ისე გვეტყოდა.

- ხოჯა ზემოთ მეზობლის სახში ცხოვრობს. ეს ხალები გარცხილია, მეზობლებმა გარცხეს. ესა მე ჩამევიტანე, დაგჭირდებათ, საცხა შედევ, მე მარტო წამეველე.

- რა იჯები? შენი არაბა ვერ გიცნია.

ჩემ ძეგანმა'ნა წიგიყვანონ არაბით'ნა. საჭმელი ჭამეთ საცხა თუ არ ჭამეთ? შარაფი, ის არ ვიციტ ჩვენ.

- მე რიზეს ვიყავ.

- ჩვენი დედების დედები ბათუმიდან გადმოსულან. ჩვენ კად გურჯი არ ვართ, ბლაცვი გურჯები ვართ. ერთი სისხლიდან ვართ; ასიმილე გამხდარი ვართ; ერთი ემე დაკარგული არ ვართ: მუზიკად, ჭადი, გვერეგი, ფშუნად, გამდნარი. ჰასანი მყავს ემიაა, ის გადმოდის ბათუმიდა. ჩვენი ახრაბები ყოფილან. ისა პოვნილობს. ქართველი ან ბლაცვია, ან მოჭირებული, ხიზანია. გურჯიჯა ასე იტყვიან, ფენა ხიზანიაო; ჩვენ ვერ გვეტყვიან შიშიმკვლელაა გურჯები.

ბათუმიდან მოსულან, კად ალაგები უნახავან, აქ დამყდარან. ჩვენ ძერლი ვართ, აქევრი ვართ. იმგვარი ალაგები უნახავან.



- ევიდეთ სათავეში, სად გაქვა არაბა? მე აქ ვარ, ნუ გეშინია. დმერთმა იცის-და, ფენა ცხელა. ეს უბე ბედუალი არი, აქ არ გაწვიმდება, ფეჰრუნ გაწვიმდა, აქ არ გაწვიმდა.

- რაცხები'და გავაჰაზირო იქ და ჭამე.
- მუხტრის სახელი მკითხეს და ვუთხარ.

- უკნედან წამოძარე, ჩვენ უკნედან მოით, გზასაც დეფავლი. გზები ლამაზია, სერებზე წყალი ცივია.

- ეს არი შოფერი? ზეზე გმინავს? შენ ჩემ უკნედან მოდი, ნუ გეშინია. ზედან არი ადგილი, ღარჭებო, ზედან დაჯექ, არ არის საშიში, მოსაკიდებელი აქ.

- მოდიან აჯაბა ისენი? ერთ კვირე უკან მოსულიყავით, კაი იყო; ეს ჩვენი მეზელულებია; მოკდები, აგზე ჩაგდებენ. ძველიც არი, ახალიც.

- ლოცვის დროა, სახში'ნა მელოცა, თქვენ ჩამოხვედით-და. ეს ქვები მეზობელმა მოყარა, ტვარი'ნა ააშენოს.

- ჰიჩ თურქია არ იცით თქვენ? ჩემ ბაჯლებმა გურჯიჯა იგნებენ და ვერ ილაპარაკებენ, იგნებენ და ვერ ულაპარაკნიათ.

- ეს არის ხანძთა, არაფერი არ დამჩალა, წაქცეულა, ხანძთა დუურქვამენ; ჩვენ ვთიბავთ; აქიდან გზა თაზე, უბურ თაზე, მივა.

- ე ნაზვია, ე კატარი, ესა - კატრი კოკოლაა. რა ლამაზათ ყარს! რა ლამაზი სული აქს!

- იტკინე? გაგშავებია, გეგიარს იშტე.

- ერთი თორუნი მყავს ღარჭიდან; ორ ბაჯლიდან სამი თორუნი მყავს.

- მე ღარჭი არ მყავს. სამი ბაჯალა მყავს. ბაჯლები ყოდას ცოცხლობს, ერთი - იზმით. მესამე შინ არი, იმან იკითხა, არ გათხოვდა. ოცდაორი წლის არი. შუათანა ოცდავრა წლისაა. ყავს ელჩები, ჯერ არ ვაძლევ, თავის ფულით თავვეთ მედგოს, მარჩილი მედგოს; ოთხი წელწადი ვაკითხე.

- ყოდა შორ არი, შორ. ანკარადან ახლოა, სამი საათი გეარ. იზმითი ისტამბულ ახლოა. იქ ჩვენი გურჯები ბევრი არიან.

- აქ დიდი თოვლებია. ძველათ წავდიოდით, ახლა ვეღარ წავსულვართ. გენჯები მიდიან, კითხულობენ, აღარ მოდიან, ბერები დაბერდენ. დიდი



ბაჭალა მაგინებს, ამ სიმინდებ დიგიგლეჯ, შავშეთ ევლოთო. აჯილი დიდრვანები დეფხოცნენ, გენჯები არ მოდიან.

- აქა ჯარის გზა იყო ძველათ, მარხილის გზა. ამას ჩვენც კლდეს ვებნევით. მექთებში თლათ თურქქას ლაპარაკობენ. ისენი თურქი არიან, იმათ ორი ლაპარაკი არ აქვან, ჩვენ ორი ლაპარაკი გვაქ. მე პატრობით ვიწავლე, შვიდი წლის უკან თურქქა დევიწავლე, მემრე გევეთხვე, მემრე წვეელ შეჰერში, მექთებში ვიწავლე თურქქა.

- ჯინჭველმა გიკბინა, დეგანჯან, ჯინჭველმა? აქ ბევრი ჯინჭველაა არი. ეგეფხანება, მემრე გეგიარს. ბოიკი ფენა ფისათ გიკბენს, გიგისივდება.

- „დეგანი“ ორთავეა – დიშვილი, ძმის შვილი. ახლა ანას დას თეფხეს ებნევიან. ბაბოს დას - ხალას. ბიბოდ და ხალად გუუცლიან ერთმანებში.

- „გურჯებ“ იმერხევ უძახიან, ებნევიან. შერთულ ზემოთ „გურჯებ“ გვებნევიან.

- ადაფაზარში სახლი გვაქ, ჩემი კაცი ორითმენი იყო. ათ-ათი მილიონი დავაწვინეთ. სამ სახში შევედით. ჩემი დიდი ბაჭალაც ორითმენია. ჯამეთან რომ იყო, ის არი. ესენი შემეყარენ, მუხტრის სახლი მკითხეს, მე ვაწავლე. მუხთარი შინ არ არი.

- თურქიეში ფენა ცხელა; ისე გედევიდეთ აგზე, კაცებთან, ფეხი დახეთქილი მაქ და ფენა მეწვის.

- კაცო, სა წევიდენ?

- დიობანი'ნა დედნახონ.

- ალაგზე წყალი ცივია; მეძტად მეც ვსვა ერთი. ჩვენი წყალი არ აწყენს.

- იმა ოჯახი აქ, ძველებური ბუხარი; აირანი გასვეს? თქვენ რაი მოგართვეს? ბაჯლებმა დაამზადეს და დეგიდვეს.

- ჩევიდეთ, ჭადი ჩეგისხა და გაჭამოთ. კეც აღარ ვაყუდებთ, კეცი ადგა. სობაში შევაგდებ და გამუაცხოვ. აჩმას ჩვენც გავალებთ, უხლავადთ. ბიშ მაღში ვაბრაწებთ; ხმიადის ფორმაში ჩავასხამთ, სოდას ვურევთ, აფუმფრუჭდება. ბევრი ლაზებმა იციან. იმათ სუთმაქინაა არ აქვან. ისინი ძალ იყიდიან კოპერატივში. ძველათ ასე ვარია გვექონდა. ჯეირანზე ავაცვამდით, გავრეკავდით; ყართოფს მოვხარშავთ, მაწონ შევხვრეტ, ჩაის გავაკეთებთ, ჩაის ვჭამთ.

სახში შევიდეთ, ჭადი ჩეგისხა. დაგაყენებთ, კაცებ ერთ ოთახში ავავსოვ, მუსაფირ გაგხდი. ჭად ჩეგისხამ, დილაზე პურ მოგართვამ და გაგზავნი.



- მე დუგუნი ვეენი, ენ ცოტა ლაზები მოსულიყვენ, ენ ბევრი ქურდები (ქურთები) მოსულიყვენ. ახლა თელი ფენა დაზენგილდენ, ძველათ ფუხრობა იყო.

- ჩვენები რაზე არ წასულან აქიდან? ამგვარ წყალს, ამგვარ ტყეს, ამგვარ ჰავას ვერსად ვერ ვიპოვოთ. მაშინ ბუზდოლაბი არ იყო.

- გულში გიგიარდა აქ მოსლა?

- ძველათ ცხვარი იყვენ, ჩომა იყვენ, ახლა გავბეჯინდით, დევილიეთ. მე ბაღვებ ვაკითხვებდი, წერვას, მათემატიკს.

ჩვენი გენჯები არ არიან მოკითხავე, მოლოცავე; ლოცვა-კითხვა გენჯებს არ უყვარან, მოზღებსაც. მოლოცვა ბერებს უყვარან.

- ამ ქალებმა ფენა სიმღერა იციან, დავაწერიოთ.

- გამარჯობა, ნენევ, ამოი აქანე. ფოთოგრაფ ვწევ, სურათი გამევილოთ. ენა არ აქ, ყურ არ ესმის. ჩვენ რაინა ვქნათ? ხვალ არა და ზეგ მივა. შენ აქნა იყვე.

- ეგ თაზე იპოვნება.

- რატონ არ გამოხველ?

- როდი'ნა გამევიდე, ანაჯან?

- ჩემი არ იყოს, დაკიდული ხარ.

- ჩამოვიდენ იშტა ბათუმელები.

- ეგა იხლამურია, გავახმობოთ, ჩაი ვადულებოთ.

- თუთიდან ბექმეზ ვაკეთებოთ. გოდორში ჩავდებ ფქვილი ჯვალ, იქში ჩასახამ მოხარშულს, ქვეშ შუღდგამ ქვაბს და ჩემწურვის თეშთში.

- ჩემი სოფადი დუმანია, კვამლი. გურჯიჯა არ ვიცი, ჩვენ გურჯიჯა არ ვიცით.

ვიცი და ვერ ლაპარიკობ.

- ოთელში ხართ?

- დაწყევლა ვიცით: ღმერთმა თავი წამოგიწყვიტოს;

- ღმერთმა არ გაღირსოს;

- ჯინჯარი ამოვიდეს შენ ოჯახში...

საუბრობდენ: რესმიე ყარა-75 წლის,
ნესიე დუმანი,
შააზიე გუმუში-36 წლის,
სევგულა დუმანი-23 წლის,
გუნჩარ დუმანი,
ოლქან დუმანი.

სვირევანი

- რუსების აშენებულია უსტამისის ციხე. კენჭ ვერ მათრობ, იმგვარად გუუკოჭვან. მე ჯეჰენნემში ბილა წამოგყვებით, ჯენნეთში კარა. კად კაცები ხართ და იმიტომ.

ეს გაჭრილია ყირხ ოდა და ისე ემე იჯებიან. მალარა ქვეშ გაჭრილია, ჰამა ჩაწვა ახლა. სა გადის იშტე, არ ვიცი. ხე მოვგლიჯეთ, ქვეშ მალარა იყო. შავშეთ მიდისო იტყოდენ, ამ ყალედამ შავშეთ ყალემდე.

- ბხესა ჩუენ ჯარებით გავლუწევდით. იმ კევრში შეაბემდი ჯარებსა... ლობიოს ვებნევით სწორი რა არის, არ ვიცი. ჯარ აღარ ვინახავთ.

- კარეთ ვეტყვით, ზიარეთი ყოფილა. ის უთხრიან, იპუეს, არ იპუეს არ ვიცი. ქილისე იმათი ჯამეა, იქ რამეს არ ჩადებენ. აქიდამ ცეცხლ ანთებდენ, სათქმელ გადასცემდენ. მაშინ ტელეფონი არ იყო...

- ღარჭები მოდიან, თხრიან, რა გამუა კი... ამ ადგილ წალკოტი ქვია...

- მდერა, ქორწილი თქვენი და მაჭეხლელებისა ერთია.

სოფლელებში ქორწილი სოფლურადა ჰამა... გააბლეზებენ დოდოფალ:

გოგოვ, გოგოვ ფაციავ,

ახალ კაბა გაცვია,

მე შენი კაცი დევნახე,

ე რა ბლაცვი კაცია...

- მერლი ვარ, ნენი, მერლი, აგზე ჩადრში მივალ, ნენი, ჩაირი'ნა ვჭრა... აგზე ჩამომახტუნეთ, აბა მერზე... თქვენაც იცოცხლეთ... მოხვალთ ჯამი კარზე მაქ სახლი, საჭმელი გემშევიან, მოგართვამთ, ჭამოთ, ჩაი გასვათ...

- ერთ სოფლისა რომ ვიყავით, იცნობდენ ერთმანებს. მოვდა, დოსტობა ვქნათო, ვიყაბულეთ. ნიშნობა იქნა, ახლა ქორწილია.

ნიშნი გაცლაში ურუბა მუუტადთ ბიჭი თერეფ, ერთი წლის წინ...

ქორწილი გუშინ დეაწყო. ბეჭედი აცმული აქვან ნიშანზე. ახლა გოგო'ნა მივცეთ. დადეები არიან, ამოვდენ, საჭმელი ჭამენ, ერთი დღე მერე წეყვანებენ გოგოს.

ნეფე აქაა, სახშია. ძველათ ასე არ იყო. ძველათ სიძეე დოდოფალ არ დეენახვებოდა. ახლა გამეცვალა. ახლა ერთ ოდაში არ არიან. ხვალ შეხდებიან ერთმანეთს.



დღესაც კიდევ სტუმრებსა საჭმელ დუღდგმენ, ჭამენ, დღეს მეტი არ იქნება.

ძველათ ცხენით წყევანდენ, ახლა - მანქანით. შექერ გადააყრიან. სიძე ყავარზე დახდება. აქედან მიდევან გოგოს ნათესავეები. ვდერდოფ, გული მეწვის. ეს ენ უკანაა. ბითევათ გული მეწვის, დავჩეთ'ნა...

პურ ვჭამდით, ვსამობდით, ვიმღერებდით, ღვინოს ვსვამდით...

- მაჭეხლიდან, ზედვაკიდან, ევკიდე სიმინდი, წამუელ და...გამუელ, დავჯექ, თია გამომივდა. წამუელ დოხტურთან. წაველ თრაფიზონ... კარგა ვარ.

- კარქი ხარ ფენაო. არა დერდი არ მოქცეს ღმერთმა... ჩემი ფოთოლაფი (ფოტო?) ბათუმში'ნა ჩევდეს.

- ჯორჯი - ჯევზე გადებული სამი ხე, ზედან ტოტები. თოვლი მუა, გაყინავს და ჯარის გზა გაკეთდება.

- მე აქვერი არა ვარ. მე ზიოსიდან ვარ. ჰასანი მქვია. მუშაობისთვის ამუელ აქა. სალამოზე დოდოფალი'ნა ჩევყვანო ქომო სოფელში....

ქალები სამობენ შიან და ისენიც გამოწიეთ... ჩვენ გამეშეთური მყარი ვართ...

იმდენი არ ვიცი კი. ამ ცეკვა ჩვენებურადა, აქ იცეკვებენ, იმერხევში, შავშებმა არ იციან კი. ამ ცეკვას შემორბენილაფ ქვია. ქართული კიდევ დართულაფ იციან, მატყლის დართულაფ. არის ჰემშილ ხორუმი, იმის წინ დელიხორომი იყო...

- ბევრი სალამი, სალა'მი. მინდა წასლა, ჰამა ვერ ჩავსულვარ, ვერ მიმიცლია, ყანას ვთიბ.

ქართველებისა დუგუნია. დოდოფალი სახში რომ მუა, ამფერი იქნება.

გაღმა მუხოზანია, იქით ჩიხისხევის სოფლები. იქით ანაკერტია, იმა იქეთ - ნორგიეთი.

ამეძარეთ ყალე არ სჩანდა? ძველი სოდადი არ ვიცი, ახალი დემირი ვართ. ბელქი დედეს ეცოდინებოდა. იტყვიან, ჩვენ დიარბექირიდან მოვსულვართ. აქ ხემწიფის საქონელი ყოფილა, მერე ჩვენთუნ მუუციან.

შამ შალახო, შალახო,
მოგლეჯილო ბალახო,
ახალი კაზა მაცვია,
გოგოვ, არ გამატალახო.



- სოფლის სახელი ყოჩაგარა. ხალხი ამოსულია მარიობას. გულობენ, ცეკვავენ... მე ერთი დედა მყავს, სამოცდათხუთმეტისაა, თურქული სწორი არც იცის. სადაცა რომ წევდეს, ორ-სამ პასუხს ვერ მოძტანს. სუფთა ქართულია.

- მე ვუთხარ, ცივი კოკა იყოს, დავლევო. ერთი კაცია, იმან თქვა, კოკა მიწიდან კეთდებაო. თქვენ სადამ ხართ ჩამოსულიო. ჩვენ აქვერი ვართ. მე მოსიაშვილ მეტყვიან, ემეში დურმუში წერია. ნიზამეთთინი მქვია, სოფელში ნიზოს მეტყვიან.

- ე ძველებიო თამარა დოდოფლის თორომებისააო. მე'და ემე'და ვქნათო, ჩამფლათნაო, ჩემი ემე, მეხარი ვერ იპოვონო, იმა მერე თქვენი თავი'ნა დედხოცოთაო. ფიქალზე დაწერილი იყო. ბევრი ემე ემე ქნეს და მეძპარეს. ჩვენი გვარი დათუნაშვილი ქობგლეთ ყოფილა. ჩამუელ, ჰამა ვერ ვიპვე.

- წყალი ქი მოქონდა კარჩხლიდამ, ჩამოიტანდა, გაწვიმდებოდა.

არ შეგეხათრონ, არიან. მუუყრიან და ვერ უქნიან.

- შენი ღარჭი რამხელაა? მე ერ თანე ვარ, თურქული არ ვიცი, გურჯიჯე ვიცი. ორი ბაჯალა მყავ და ერთი ღარჭი.

ნენეა ქალაქში არ წამოსულა. მე ალთუნი ვარ, კაცი ბედინებიდამ არი. ძველი სოფოკვერი არი. ჩემი სახელი სეზილე.

იქაც ყალე იყო, დაანგრეს. ის ყალე ორ მხარეს ინახავს. იმ ყალეს სვირევანი ქვია...

* * *

- ალთუნებიაო და ეძებენ, აქ არიანო, - ამბობენ.

- იმან სარფიდან გედეძარა.

- რას წერავ შენ?

- მეჰმედად არი ერთი, გარმონი აქ და ამღერებს.

- აქ დაჰა ბევრია თუთი, ბევრია.

- ადესა, დათუნა ყურძენია, ჰამა მალე ხმება. ბალუზუმაც არი.

- თულლი სხალია აქ.

საქონელი გადადიან, გადმოდიან; ჩემი ძალი იქ არი, შავშეთიდან მოსული ძალია. იცის დუა, ჰამა...

- რემატიზმა გექნება, კიბილები აგტკივდება, ის უკითხავს; ახალი სახლი ქი გუუკეთებინ, იმის უკნედან არი.



- ენ პატარად ესა მყავს, ერთი თანე ღარჭია.
 - თორუნი? ონალთინე მყავს, სამი თანე ბაჯალა იქ მყავს.
 - დუქანი მაქ გასხნილი, ბორელ-მორელ ვაკეთებ და ვყიდი. უსტა კაცი დაჭირული მყავს, ის აკეთებს და ყიდის.

- ბორელს აყრი ყართოფს, მოხარშო'ნა, დაფცქენა'და ლამაზად, დაზილო'ნა. ბიბერი'ნა შუურიო, რენგი მიცეს. ჩვენ თლათ ვალებთ, მეტი წმინდად'და გედლოს, ძალიც'ნა მოასხა, ფშვნილას ვაყრიო.

- კაკალ ფიდეს მოვაყრიო, გავაბრაწებთ; წანდილში გვიყვარს, სიმინდ კაკალ მოვაყრიო, სალათში ბილა ურევენ;

- მალახთო ფენა მიყვარს, მოვკრეფ ლობიოს, ასე-ასე გატეხ ლობიოს, ჩავაყრი შიგან ხახვ, მოხრაკავ. მემრე წყალ დაასხამ, ბიბერი-მიბერი, რეჰანი ურთავ, მოხარშავ.

- შენ რას წერავ? სიდან ბძანდები? ბათუმში შიგან ხარ? იქ ცოცხლობ? ბათუმი ჩვენი იყო წინათ. ჩვენები არ გვახსოვს; ბევრი იქ გადასული, დარჩენილი ყოფილა, თავითვინ არიან.

- სიდან მიხვალ? ეს ჩემი კომშია და დუუდინგლე. თქვენი იმეები მოდიან და სამობენ. ესენი გამეშეთ ასულან, თიებზე.

- კარი მუუძარ.

- ანას და თეძა არი.

„დიდი სიძე ბინალი,
 პატარა სიძე იმამი“.

- დუგუნობა იყო და არ დედწავლე, ჭო? აბლაცუნებენ.

- დედემ არ მახსოვს. ბაბო, ჩვენი დიდვანები იქ ყოფილან.

- თამარას ცნობილობ? აქავრი თამარას ყალეები არიან. ხევიდან დუუმწკრივებია კაცები, ხელიდან ხელში აძლევდენ ქვებ, ჩვენი ყალე ისე უშენებია - ბაბო ილაპარაკებდა.

- იგზე ვფაჭევდი, ყანისკენ წაველ, გადავხედე, ასკრები იყვენ, ჩაველ, ყერიბი მეზრებია, ამოყარეს. თითო-თითო მოკრიფეს, მოყარეს და იგზე ჩაყარეს თექრენ, ჩაჭახეს, მიყარეს.

- იტყოდენ ქი პატრობაში, რუსები მოდიანო, მუცელში დამჩხვერდა, ფუში ამტკივდებოდა.

- არ ვიცი ქი მანები; აქ ერთი დედაბერია, ნებიე ხალა, თელი იცის ფენა, მივყვანო, გო, იმათან? მოკუკული არი.

შენ დადექ აგზე, ბელქი არ იქნება-და!



მოიდა და ვსაქმობთ, მაქინაჯი ვარ, ყუმაშ ვკერავ.

- მეც ვიკითხე, ისტამბულ ვსაქმობდი, ახლა მუელ. თურქები საქმეზე ემეს იჯებთან. გიგიერთიანდებთან, არ საქმობენ. ქართულად ვაგინებ და ვარ, არ გნებულობენ. შენ დედა გალღეტილოო... ლაშში ჩაგა...; ღმერთმა არ მიგიყვანოს; ღმერთმა სახელი ჩიგიძრინოს, წამოგიწყდა ყაფა...

- თქვენ კასეტები არ გაქვან, მე ვუდინგლო?

- ვფაჭევდი, იგზე ჩემი ტყუპები იყვენ, ყანი ქენერზე. ერთი ჯამე აქ არი, აქ მოდიან. ღმერა არის. ჩვენც ჭვამთ; აგზე ბევრი გადმოიდენ, ვინ იყო, არ ვიცი. ქალი აქუჩული იყო.

გუშინ ამ დროს ჩასული ვიყავი, აქ ჩამუელით ამ დროს; ისა მივდოდა, თუ წამოხვალ შენ, წამოდო.

- ეს ამის ემე არი, ბაჯო.

ლამაზები არ არიან, არ მინდა, ალაძსე, უშნო არიან.

- გევეზობს, ხედავ? თხუთმეტი წლისაა. კად არიან, კად, თელი კად არიან.

- ჩვენ ორი თანე ვართ, ერთი ძმა მაქ.

- ჩვენ ცხრა თანე ვართ. ის ჩემი ბიბოა არი, ამის ანამისი. სახში შივდეთ.

- ბათუმიდან მოსულა-და. გურჯიჯა სიმღერები იცი, ხალა?

- პატრობის დროს ვიცოდი, ისტამბულ ვიყავ, ბევრი დიმივიწყდა. მივხებები, ვერ მილაპარაკნია. თელი დამავიწყდა ისტამბულ.

- რაი გითხრა მე შენ, რაი გითხრა? ამან დუები კად იცის, გენჯებმა, ახალეებმა სიმღერები იციან, ჩვენ ლოცვა ვიცი.

- ვიცოდე, ვიტყოდი, ხომ ფული არ მინდა, დაგაწერიებდი, ცოდვა ხომ არ არი, მადლია. თურქჩას ვურევ ხან-ხან. გული ტკივა, დოხტურთან მივდა. აგზე ტკივა, აგზე რა იქნება ნეტად? ჭლიკი, წელი ტკივა.

- ემინე აბლა! ქომოთ ჩადი, იქ რა არი?

- რა იჯება, გო? უკნედან მეწიკება.

- ემე, ჯავეს ჭამს.

- დაბერებული ხარ, გო, არ გიკბენს, ჩემზე მუა.

- თავი ტკივილი არ მაქ, ხელი მიბუჟდება. შემეშინა, გული ასე მიჯება. რაზე მიჯება? ძროხის ძალი'ნა ჭამო? მარილი ბევრი კად არაა.

- ჩემი ღარჭი დენიზში მოხარშულა შვიდი წელიწადია. ეცურებოდა, ებანებოდა, ისტამბულ, მარმარში, იქ მცხოვრებდა. რძალი დამჩა, ბაღვები ყავს ორი თანე, ემექლი გახდა.



- ბევრი ვიცოდე, ბევრ დაგაწერიებ. თექელღემე იცით? ამ სოფელში ამბობენ: „კაკლის ხეჭოდან გამოიდა, კაკლის ხეჭოს არ წონულობსო“; „ანას შეხედე, ბაჯალა ისე ითხვე“; „ქენერს შეხედე...“...

- მე აქევრი ვარ, ჰამა გურჯი ვარ. ამისი დედამთილი ჩემ კაცისა და იყო, ბაჯი.

- ჯინჭველი იცი, ჯინჭველი? იმის დუა არი აქა.

- კიდო მე, კიდო მე მოგიყვები ჰექიას.

- სამი ძმანი ყოფილან; ორი თანე ძმას ღარჭები ყოლია, ერთ ზმას ბაჯალა. ეს სამი ძმა ქი არიან, ამ ემოს ღარჭებმა, ორთამა, ემოს ბაჯალაზე თვალი გამოდგა. ერთი თანე სეფილი გამოდგა, ვერ გაამჟღავნა, მევერე აჩული გამოდგა - უმანული, ბოზი, აჩული. იმან გაამჟღავნა. რომელცხამ ქი გაამჟღავნა, იმან ითხვა. რომელცხამ ვერ გაამჟღავნა, იმისი ანა დადეთ გაგზანა. ანამა ზორით ღარჭი დუგუნში წეყვანა. იმანაც თვალნაჭირი დედნახა, სიმწარე გულზე მოხდა. ამან ავათ გახდა. შვიდ წელწად ლოგინში იწვა. არც დობტურმა, არც კითხვამა ვერ გააკეთა. ემჯამი ერთ დობტურმა მიხთა. ამას თვალი დუჭირია, იმიტომ ავათ გამხდარა. ამისი თვალდაჭირული ბაჯალა, რავარცხა ქი დოდოფლობაში შეკაზმული იყო, აინი მეყვანეთ, ამის ბალიში ძირში დააჟდუმლეთ, ისე დედნახოს ქი, ჯანი მისცეს. ნეისა, ართულ შეკაზმენ, მეყვანებენ, დააჟდუმლებენ; ავატყოფს უბეში ხელ ჩუყყოფს, ერთ ხელსაც ხელზე წაავლებს, იმაზე ყურება-ყურებაში მოკდება-ჯან მისცემს.

ძველანდელი ჰექიაა, იმღერებდენ, სიმღერაში დევწავლე, დესტანში დევწავლე. თქვენ დიმიდინგლეთ:

ორი თანე ხოჯა მოვლენ, გამაბანებენ; იმა უკან თაბუთში ჩამდებენ, თაბუთის წასალეებელად შენ მიმოხველ, მეზერში ჩამდებენ, მიწის დასაყრელად შენ მიმოხველ.

ამ სიმღერას იტყვის, თან ჯანი ამოდრება, მისცა.

* * *

-- იქიდან არ ჩამოვლენ ისე ყოლადა.

- დღე ვარ, ხვალ არ ვარ.

- მატავრის ლოცვა კამერაში არ'ნა თქვა, შენ'ნა იცოდე, ცოდვაა. მე კამერაში არ შევალ, ასე დიმიანხე. გეხსოვნება.



ეროვნული
ბიბლიოთეკა



თავი ასტკივდება, გული ატკივდება, გული ეგერება, შვიდი პირი'ნა უკითხო. აბდესიანი იქნები, მეტი კადა. წყალს თუ უკითხავ, თუ ფეხი დაადგი, ცოდვად დეგედება.

- წყალი დავლიე.

დალიე, აღარაა? დედლია?

- ესენი გურჯები არიან. მივხთი, რა იცი შენ? რა'ნა იქნას?

- ამ ზამანში ბევრი ილაჯია.

- აჲ ქალი გამეფლე.

- გამემილოს, ტიტველად არ ვარ!

- თუთად დიგირხიო? თუთა ჭამე და ისე წემთ აქედან.

- კარგა ვარ, კარგა. შენ რა იჯები?

- ესა ძანულია – ღორი ქალია, მოლაპარაკე.

- რას ამბობ, რას? მოდი და იმღერე კამერაში.

- არ გამემილო! – მე არ ვიცი ის მელოდი.

- ილო, ილო, ხებერი არ გაქ, ნენეჯან!

- სახელი რა არი შენი?

- თელი წავდივართ ისტამბულ.

- ღმერთმა გაცოცხლოს, კარგა მაგარჩინოს, ყაზა-ბელას გადაგარჩინოს.

- ყველა მანქანა ვერ ჩავა, აქ დედლევა გზა. ამით ვერ ჩახვალთ, თქვენ

ძიმე ხართ.

- ნალებ აბა ვერ იყიდავთ?! მე ძროხა არ მყავს.

- მაწონი შეყენებული ჯერ არ ექნებიან, ნალები ექნებიან.

- იბოვ ადგილ? ასე მიაყენე, ჩემ კარზე მიაყენე; გასასივებელი ვის ექნება?

რომ გაწვიმდება, მე ამ სახში ვერ ჩავსულვარ. მე ბათუმ ორ-სამჯერ ამუელ. აქა შეხვალ, მეპკითხავ, მე მიპოვნენ. ესა ნაფურნევია. ჩვენც გურჯი ვართ. ჩემ გოგოს წევთ, მარა არ გემითხოვო!

საუბრობდნენ: ვაკად ყისა-75 წლის;

აითენ ევბაში-27 წლის;

მელაჰათ სუჩჩუ - 34 წლის;

გუნგურ გიუნეი-30 წლის.

უსტამისი

- აქ ხარების შეჯიბრება არ არის.

- გერმელათ იძინებენ თაში.



- მაჭახელიდან, იქიდან ძველათ გადმოსულან ჩვენი დიდგანი დედიები. დაკეტილია ბევრი ადგილები: ფესტივალები ბევრი ხანია აქ არი, გუმინ, დღეს, ამაღამ თავდება.

ბაშქან! (არ გეფონა, არ გუდუშუწყვეტია), აქ თელი საჭმელები არი, თქვენ სასტუმროში დგახართ ქია, იმის ზედანაა. წყალი იქიდან ვწიკავთ. თერთმეტი ქილომეტრია ცენტრი გზიდან თამდე. ოთხი ქილომეტრი აქიდან სოფლამდეა. კარგი გზიებია.

- სოფელში ასლამდი მეც მუალ, შვიდი, ვრა ქილომეტრი არის. ციხისხევი ჩვენ იქითიდამ არი, იქვერი გზით ჩვენ თავე ფეხდაფეხ გედსლება; ჩიხირში ახველით? ჩიხირი მაილაში ნაფურნევიდან'და მართო. მეგ არ ვიცი. სვირევანი დაწერილი გაქ? ვერ გამემძინე შენაც? მე ვერ გამევიძინე: ილაპარაკეს, მარეს, არ დაგვამინეს: იმ ბახჩაში დავჟექით, ვისამეთ, არც მათ დემზინეს, არც ჩვენ დაგვამინეს. გუმინ დუგუნში ახველით ბაზგირეთ? ჩვენში კად დუგუნი იციან? ყავარზე ადიან? ახლა აწიეს.

რა თქმა არი! აქ თურქული არიან. ამეზლამ აქ დუგუნია, ქომო ჩამოვლიხან დაგანახვებ ადგილ. ბალანას თევრათაე ქვია, ჩემ ბაბოს-რეჯებად. ამეზლამდელი დუგუნი აგზეა. ჩვენ სოფლური არიან, ბიჭიც ქართულია, გოგოც ქართულია. ჭამა არ არი, ბელქიდა სოფელში არი ჭამა. ისამებენ, ფულ აჩუქებენ, ახლა ის აწიეს, აღარ იჯებინან;

ბაზგირეთ არი? აქვერულად არი იქა. ყავარზე არ ადიან ქალაქში. შექერ გადააყრის სიძე დოდოფალ.

- რაზე'ნა შევიღებო თმა?

- ვერ დალიეს?

- ჩვენი მუზიკა, ცეკვა ვიცი; ამა ბევრი სიმღერა დუშუწერია. ააარ მაგონდება, ტვინი არ მაქ.

- პივა, არაყი-თელი არი აქა.

- ქილისე არ არი, ყალე არი.

- ჩვენში რა არი, იცი? შუადრობიხან იქნება მარიობად, თელი ემბარგვის თაზე.

- ქომოთებში არ არი კად, იქ არ არის ქართული, იქ არ იციან ქართული, არ დუშუწავლიან. შორ, ათი ქილომეტრი არი. აგერ ასეა, ამ გზას'ნა წაყვეთ; იქ, თაში, შევყრებით.



- გგონია, ბუზდოლაზია. გუუთალე და დააჟღინე: საკმეზი მოგცეთ, ემეები დათალეთ და ჭამეთ; ემეში არიან, თაზე ქარი უკნედან არი. ერთი გამოვთხარე ქია, შიგნიდამ გამოდის, ყალეს ზემოდამ ასე გალობვილი ყოფილა.

- აქ, ქომობანში, ზემოთაც არიან.

იმაზე წინ რავაი იყო, არ ვიცი. ბითევი მისი დარჩომილია. ეს არი ქომობანი, ზოგი დაფანტული არიან ქომოთ.

- მე ქითაბი მუატანიე, აქევრი ენა სხვაა, მაგითანაა არ ეცოდინება. პაწა ბალანაა, აქ არ გაზდილა, ის გაზდილა მურლულ.

- მარიობას დადიოდი?

- ერთი ღარჭი მყავ, ერთი-ბაკალა. მე ვერ წეველ, წყლის სირა მაქ. მარიობა იყო, გადააბრუნეს ფესტივალი; მარიობაზე თაზე წეებარგვიან, თიებზე. ამ თერეფზე დორთეფუზ ხანე გახდა.

- წყალ დაარუნებ ათ დღეში, ონბემ გიუნე, ერთ თვეში, ვრა დღეში. ბაზგირეთის ზედანედან მოდის გრიალოს წყალი. ვალლაჰა, არ ვიცი ქი, რამდენი ქილომეტრია. ახლა ემეი მოგვყავს მაჭეხლიდან. შორაა, ჰამა... დევლეთ მოყავს, ჩვენ ხომ არა. ბორები ჩააწყეს. სამი სოფლის რუები დაკეთებულია; ერთ კაც ვიჭირავთ, ფარას ვაძლევთ, დღივ ავა, ჩამუა. იმა არაფერი არ ქვია, იმა სუჯი ეტყვიან. წრევლაა, სიტყვაზე, მე ვიქნები, მემრე შენ იქნები, ფართი დეეჭირავ; მეორე წელწად სხვა დადგება.

- ჩვენ სამი თანე ვართ, ადგილი არ გექნებათ არაბაში. ისე, თუ გინდანან, თერჯიმიანად მარტოა წამოგყვები, ამათ გავყრი აქა. ავლაა შეგვეყრება, დაგანახვებ. მოსადენი წყალი ძველათ მუყყვიანათ.

- ფანთოლი გამოვცვალო. ერთი თანე აქ დარჩეს, ჯანი შუუწუხდება. ზედან ევვაროთ, იგზე ჩამეევართ.

- ბათუმი ანია.

- აქევრობა თლათ გურჯია. შერთულიდან ასწიე და მედდანლიქ თერეფი გურჯი.

- ხანდებან მოდიან აქევრებში. ესეც ბევრი გურჯია. ასე თქვენსავეე მოდიან, მაშინ ვცნობილობთ.

- აღარ მააქვენ. შავშეთში ვილებდითა, ართვინში ვილებდით რუს ბაზარზე.



- ზველები გურჯები ყოფილან. თამარა დედოფალ გუშუკეთებია ყალე, ესკი ყალე. იქევრობა სულ ბალები ყოფილან, აღარაა.

- ბათუმში მაჭიხლიდან მიდიოდენ. ჩემი ბაბად იყო კონდრაბაღზე.

- ყალეს გადმოღმიდან თერეფში დერგები იყო, იმდენი, შარაფხანე იყო თელი, ღვინო უკეთებიან. ღვინო იქნება ბელქიდა, იმითანა ვრა თანე დერგი იყო. ზველი ბინა იყო და... ამდენერთი იყო, სავსე. ფიქალი დაბურული იყო. არ დეგექციეს, შარაბი იყო იშტე, ბევრი ხნის.

- ერთი ბაგენიდან აბდულა ჩაუში იყო. ბათუმში ვიყავიო და ალთუნი ქონდა, ალთუნი ქონდა ჩაფლული, ყაზანი ალთუნი ბათუმში ქონდა ქი დარჩომილი. აბდულა ჩაუში ჩალოღლი ყოფილა. ნენეე დარჩაო, უკანხან გადმოიყვანა. ერთი ხალი ქონდა და ამბობდა, ად ხალი ბათუმში მერდევანზე დაგებული მქონდაო, ისე შევარდით.

- სამი შვილი მყავს. ერთი თანე ისტამბოლაა. ერთი თანე შავშეთაა. ემექლი არიან ჩემი შვილები. ბაკალა პაწაა მომიკდა.

- ერთ ასი წელიწადი უცოცხლია, ხუთმოცი. ბევრიც უცოცხლია უმფო. ოთხი ემეზე ვიკითხე, მეტი აღარ იყო.

გურჯიჯა აღარ ილაპარაკა, აღარ ილაპარაკა, გამედცვალა კაცი.

- ვარიაში შევდლობავ.

- მევეწარენით ასი, ასი და ათი... ერთანე იყო ასი და ათი და ხუთი. ხუთმოცი და ათი და ხუთი. გარგანი არ დეღჭირა იმან.

- ბექიროღლები გადმოვდენ, დევნახე აქა. ძველებმან იცოდენ. ჩემ დედემა იცოდა. ჩემ დედეს საქონელი უწიკავს აქიდამ.

აქედან ევდოდენ, კარჩხალში გედეარდენ, ასე თიებიდან, მაშინ ისე ყოფილა. მაჭიხლიდან მიდიოდენ ბათუმში. დედემა მაწავლა, ფაფართ უკან მერისია და იქიდამ გედევდოდითო.

- ბაკალას ეტყვიან, გოგოსაც ეტყვიან. ერთმანეთ მეღწონებენ, ელჩ გაგზანან, რაზი გახდებიან, მოიყვანენ. დადიები ერთი ბაკლი თერეფიდან იქნება, ერთი - ბიჭი თერეფიდან.

ყავარზე შექერ გადააყრიან. ბახშიში მიცემენ, რძალ შიგან შეეყვანებენ. ხორომი, ქურთ-ბარი, ორთაბათუმი... ზოგი იმღერებენ ქართულსაც.

- ვკლავთ და არ ჭვუამთ.

- ესკიყალე ქოღ.

- ერთი ძაშლი იქნება....



მაჭახელ აკრიადამ გათხოვილი ყოფილა, იმისი ბაჯალა პრთვინ რესულ დედემ იყო ერთი იმა ყავდა.

იმისი სულალე იქნება. დელი ჰასანოღლის ეტყოდენ. ბიბოღს სახელი არ ვიცი.

- საუზმარი – დილაზე, ზარმელი, სადილი, ვახშამი..

- ჯარი მათალი, ჯარებ ვაწვენდით იქ.

ყვიარან ჯვარი, ბულა გოლი.

ბულა და გოგო ყოფილა გოღში. თმეები ასე ჩასული აქო, წელზე ასხია ნაწნებიო და... მიქელეთში ამოდულს ცხელი წყალი; ამოდულს წყალი, ქვიებს ყრის გარეთ, ახლოს ვერ მიხვალ. ჩაჟდებიან და უშვილოს შვილი ეყოღვის.

- ადგიღის სახელები ჰო? სანდაღოს წვერი, მინდორი, საბურთია, სამალავათი, ფეღელა, დიდნაზვი, ტამალთი, ჩიტიწყარო, სავაცა თავი...

- ყოღაფერი იზდება აქ: ღვალო, სამყურად, ქუბად, ხალი, ჟინჭარი, იფხვრი (ეწერი), პატიტად, ანწლი, ხოზადიმღად, მოცვი, თიყურძენად (მოცხარი), მაცვალი, სოჭი, ნაზვი, კატარი, ლეკი, უხრავი, კო, წიფელად...

- იმ კეცებზე ამ სიგრძე პურებ გამააცხოზდენ.

- წვრიღმანი ვიყავით. სამ წღის ვიყავით, წვეღეთ. სულ პაწად მე ვარ. მე იმაზე ცხრა წელიწადი დიდი ვარ.

- ამას ლეჩეგი ქვია.

- სხვა სოფლებიღსა ადინი არ არი. ჩვენ ორი დიღი ანჯახ ვიცით: გურჯული ვიცით, თურქჩა ვიცით. ჩვენი დეღეები აჭარადამ მოსულან. ჩვენი დედემ ჭედელი იყო. ოთხი კაცი მოსულა, ასი წელი იქნება (ოთხი ასიცი იქნება – შეუსწორა უფროსმა დამ – ჩამწ.). დედეს ოთხი შვიღი ყოღია: ოსმანად., ღისად, მუსტაფად, მურადად. ერთი წესულა, სამი თანე აქ დამჩალა.

დრომან გედეარა.

- სიმინდ თესევდენ, პურ თესევდენ, იმით ცხოვროზდენ. აქ მარტო აზოვებენ. უსტამისურ სოფლებში

- ვურევთ ასე. ხან ისე, ხან ასე.

- იქ მივდივართ. მიორეფულად ლაპარიკოზენ, ის ვერ მოგვიფერებია.

- მაჭალე წეფთა, ყალე წეფთა. ყოჩაგარა, უსტამისი, წეფთა – ასე გამჟულია.

- საღოცი გავაკეთეთ. სახღის ბინა იყო უწინ. სახღი ჩემი იყო. ჰამა ჩემი გაკეთებული არაა, ჩემი დედესი გაკეთებულია.



- ჰერკალდა შარაფ აკეთებდენ. ყურზენი ფენა მოდიოდა, ახლა აღარ მოდის. ზველათ ბევრ რგოვდენ. ქომოთვე არი, აქ არ იჯება.

- სოადები, ზათენ სოადი... იმაზე წინ არ გვქონებია ჩვენ. ქომოთვე გვიცდიან, წევალ.

- ჩემი დედეჲ ჰარაბ კარგა იცოდა, ჩვენ აღარ ვიცით.

- სოადი ილგინი. იტყოდენ ბათუმ ბევრი ძარა ბაბომ. არიან ჩვენიდან, პაპიებიდან. გვინდა ვნახოთ ჰამა, ძანი... დირეგი ქომოდან წისქვილია, უწყლოდ, ქარისა ჰო. ახლა აღარა, ძველათ ყოფილა.

- ალეთი გაქვთ ის თქვი, ოქროდ რაფერ'და იპუო.... ილლაქი არი ალთუნი.

- ამ სოფლის წინედან ბაღებში იმდენი შარაბის ქუფებია, მოთხარე, თალლაჲ გამოდის. ამ ყალლეზეც ბევრია. იქ ჰაუზიც არი, გასაბანებიც არი ყალეზე. რავაჲ იჯებოდენ.

- ქორწილს ჩვენ არ გავაკეთებთ. ჩომას დაკლავენ. ღორი აქ ბევრია, ძარა არ ჰვამთ, ძასადია. ძარ ელჩათ, მოხვალ ჩემთან, დიყაშდება. მომე, მოგე არაფერი არაა. ბაჯალამან და ბაღანამ მედწონა, თამამ. გაათხოვ, გოძა დანიშნავ.

გოგოს ბაჯალას ვეტყვით და... ჯარს ოქუზს ვეტყვით. ფეჯი – აძალი.

ჯარები არ კვყავს იშტე. ზველათ ბევრი იყო. ჩომაც ზოგს ჰირ არ ყავან, ზოგს ერთი ყავს.

- რაცხა ქი უნდანან, იმას მეძთხოვენ. რაცხა არ იქნება, იმასაც მეძთხოვენ.

ფუთკრის ზენა მეძტანოვო, რაცხა'და მოძტანოვო. თელ მეძთხოვენ, ადგებინ.

რაცხაზე მესალაჲ ვიმუშავოთ'ნა...

აქ დევბადე, დევესახლე, იმას მერე წავეჲ.

უსტამისის აილაჲ იშტე. ერთ ასს იცოცხლებდენ. ხუთმოცი, ოთხმოცი, შვიდოცი...

საუბრობდენ: ეუბ ბულდუზი (ბოკვეროლი-დათუნაშვილი),
ნიზამეთთინ დურმიში (გიზო მოსიაშვილი),
მემედ სანჯარი.

- ამას ქვია ესკი ყალე; ახლა დაღმა იკრიფებინ.



ახლა ალთუნ'და ამედლო? არაბანი მეგეშალნენ? შენ ემეში იყავ, თაზე, ჭო?

- არა, ახლა მივდეგ ამათ.
- ე დემურად ვაშლია; მოგაწონდა სოფელი? თაზე ახვალთ, უმფო მოგაწონდებიან. ე მეგ ფოცხის ტარი გატყდება.
- რაი მედშალა? ემეი დაბლა ბევრი არიან. აქ მარტო ქვაა. წყალი არ გვაქ. ერთი საათი გზიდან მოგვაქ წყალი.
- თაფლი რა'ნა ქნა? უმფო მოგაწყურებს.
- შენ მეგვიტანე, ჩვენ ჭვამთ თაფლ.
- მე ხალად ვარ, შენ მემიტანე.
- გურჯები არიან, ჰამა იქვერი ლაპარიკი და ჩვენებური ლაპარიკი ერთი არაა. ჩვენ ვერ გავაგნებებთ, თქვენი მაჭახლურია.
- ზველათ სკიები დააკეთებდნენ, ამათ რანკებს უმახიან, ხეზე აკეთებდნენ, ყოანოზებს ვებნევოდით.
- ამევდეს, იყოს, აგზე დადგება, ცივი წყალია იშტა. ფენა ქომოთ არი.
- რა დაბალი არაბად არი, მაღალი იყოს, არ მოხდება ქვას. აამედას არა აქ ზენჯირი.
- აამედაა სა წევდა, ვერ კითხეთ? ჩვენი ზენჯირი ბარშია. მეგეც გაწყდება.
- ლაილონი არ გაწყდება.
- ეს არ გაწყდება, ორყათია.
- პური'ნა ჩევსხა, დაკეთებულია სომუნები, სობაში'ნა ჩავსხა. დაბრუნდებით-და თექერენა? ჰალა ვერ მოგაწრობთ. ბელქი-და გაკეთებული იქნება.
- ბალი არ არი, მე ვერ ავალ, ვერ მოგვრეფ, ჭლივი მეწვის.
- რას გავლუნავ, ესა დემირია, კინაკეტი.
- წალან ქი ვქენეა, ახლა გადი, დეეწიკე!
- სოფელი დაფანტულია, არ არიან.
- მეგ ჯავე იქნება.
- მატლი შენზე დიდი ხომ არ არი, გეაროს, წევდეს.
- აქნიდამ ვერ გედევალთ, გზა არ გედსხნა, აქ გოლი არ არი, ლელეებია.

საუბრობდა ქაზიმ მოლიოლლი, პენსიონერი

- სელამით აი, სელამით ჩამოი.

ძველებმა დაჰა იციან, ახლანდებლებმა – ცოტა; ჩემ კაცმა დაჰა კამ იცის. ჩემი კაცი ართვინ არი. ჩვენ აქ ვართ, ის იქ საქმოფს;

ის ჩემი და არი, ისაც (=იმანაც) იცის, ბევრი არა. მე რავად გითხრა, ვიცი, ჰამა ბევრი არ ვიცი; დარჭებმა იციან, ჰო ისინი (=იმათ) იციან. ახლა იქ, ზემოთ, კამ იციან, მე არ ვიცი, ბევრი არ ვიცი.

- მოი და ერთი შენ აწავლე, ახლა აღარ მაგონდება ქი; ესენი, ფესთივალი არი, იქ მიდიან; სამობენ დაილაში.

- ჩემი კაცი სვამს (სიგარეტზე ამბობს – ჩამწ.), მეც ვსვამ, ვერ გიმოგდია, შექერი მჭირს.

შვილი ერთანე მყავს, ორი თანე მომიკდენ, ღმერთი მომცემს, მეყოლება.

ქორწილში, პური ჰამაში, სუფრას დეიჭირვენ; რასაც ქი უნდნან, იმას მეთხოვენ, არ ადგებიან სუფრიდან; ფუტკრის ძე მედტანეო, მედტანო'ნა იბტა; შუა გზაში მოვლენ, ქალ მეთხოვენ.

- აქ გოგოს უწინ ვერ დეელაპარაკებოდი, სირცხვილი იყო, ახლა ისე აღარ არი.

„ირღას“ ვეტყვით, მევერებით, რაცხაზე'ნა ვიმუშავოთ, დუუმახებთ მეზობლებ, ხუთი თანე, ათი თანე მოვლენ, დეგემველებიან.

- ამ სახლებში ნენეები არ არიან, მეორედ მიხვალთ, ღმერთმა თუ გაღირსა. არ გადავარდე, ძელი გატყდება-და... ერთხელ აგზე ქალი იქდა და გადავარდა, წამოვდევ ფეხი და ამევექნიე.

აქედამ ფეხით გადახვალ.

- ლუჰმან ექიმს მოკდომა ემეე უქნია, უპოვნია; ხიდზე გავლიხან ის ემეები ჩუუყრია, წამლები უპოვნია, მოკდომისა უპოვნია, არ მოკდესო, ხიდზე გავლიხან ფურცლები გუუყრია, გუუფრენია.

ახლა ჩვენ მივალთ, ჰადდე, კარგათ.

- რას ქსოვ?

- წინდებს. ეს წინდის ჩხირებია, ესა ხერტალი; ძაფები იყიდება.

- დაჯექ, დაჯექ, აწავლე; მე ძველებიდან არ ვიცი ქი, ბაჭლებ ეცოდინებიან. ჩვენ არ ვიცით, დავბერდით. დაწერო'ნა ქი, შენ ძალი იქავრი გყავს, გეცოდინება, აღარ მაგონდება ქი. ჩემს ყაფაში რაი დამჩება.



- თელი ავით ვართ, შექერი მჭირს; ბევრი წვიმები ჰალღებია აქ.

- იქაც სახლებია, იქ გახვალ, საბუდარას ვუმახით, იქაც სახლებია, იგზე გახედავ, დიდი დუზია, ნალიებიცაა, ჰო, ასე ამ სერზე გახვალ, ასე გახედავ, სახლები ჩანს. აქაა თეთრაქეთი, ჩიხორი, ლიბანი, ჩიხორული დაილები, არდიაწმინდა; ამოხვალ, დუზზე გახედავ, საბურთიას თა არი, ესე სარეთია, ეს ჯუმიანა'თია. არდიაწმინდაც ადგილია, ნაფურნევიც ადგილია, თელი სახლებია. აქ თიებია, ჰო, თიები; ისე'ნა ეარო, დიდი თა არი, ახვალ ზედან, თეფეზე. ჩვენ ერთი ადგილი გვაქ აქა.

- ჩიხორიდან აქ გამევთხუე, უსტამისში. ბაწლები გათხოვილი არიან, მარტო ერთი ბერ-დედაბერი ვართ, ახლა აღარ ვეხვევით-და... შვილი ორი თანე დამჩა, დორთთანე მყავდა, ერთი დასახლებულია, ქალი გენჯია.

მე ესკი ყალედან ვარ, ამეარეთ იქ; ღარჭი მყავს დასასახლებელი, არ წონილობენ გოდა გოგვები; ხოჯების ნაკითხიც არი, ხოჯებიდანაც არი.

- ვარია'ნა გავრცხა'ნა, დოღურთი'ნა ჩავასხა, მე არა, მაწონი, მაწონი! ძროხები გვყავს;

ავდექი და წამოველი უსტამისში; ორდა ჩეთინია; ქმარი მყავს, არ საქმობს, ემექლია; ყაჩი ძერდა ჩალიშდი.

- აქ გათოვდა, ცივა აქა; მაშინ, ჩუენ ამუელით, სიცხე იყო. გათოვლდა აქა, რა ჰალი თოვლი იყო!

- ჭკვა დეიკარგა სიმწარისგან; გენჯობა გეარა, წევდა. რა გერმელი იყო! რავაი მოვაფერო გურჯიჯა, გურჯიჯა ვერ მოგვიფერებია, ამაზე მეტი არ ვიცი. შელოცვა ჩემთინ ვიცი, არც არავის ვაწავლი, არც იმათი წავლა მინდა, ასეა იშტა.

ემჯამი ჯანი სალი იყოს'და, არაფერი არ მინდა, რა იქნა?

- ეს წალდია, წალდი (ქამარში აქვს გარჭობილი – ჩამწ.). ერთთანე დავკარგე.

- ახლა, წრევლს?

- ჰო, ჩიხორის თავ ჩავასხი საქონელი, ეს ახლა მიმიტანა ბაღანამა.



ეროვნული
ბიბლიოთეკა



- მაქიდან გამოგძრა?

- ჰო. რაცხა მიაწყდა. აგზე გამოსადები აქ-და, აგზე. იმაზე გამომშპა.
გამომშპა საცხან-და... იმდენი ვძებნე და ვერ ვიპზე.

ვთიბავ მანგალით, ახლანდელი მანგლები მაგრები.

- დაგვავიწყდა ძველანდელი, დავბერდით-და; ერთი ნენე არი და იმან
იცის ბვერი ჰექიები.

- აწავლე!

- გაწვიმდა. რაი'და ვაწავლო! თურქჰა ლაპარიკობენ, გურჯიჯა ვერ
მუუფერებიან; მე არ მაქ ქი ყაფაში, იგნებენ, ჰამა ვერ დუულაპარაკნიან, ჩვენ
სხვა ვიცით, თქვენ სხვა იცით.

- მე ემინე მქვია, გვარი – დემირ.

- თქვენ სიდამ მოხველით? სარფიდან გადმეარეთ?

ჩამოვდივართ აქა და ელიბემ გუნ ვჩებით.

მაჭეხლური წამალი მაქ მე, ჩემი ნენე იქიდან იყო, მაჭახელიდან.

- გეიპარე?

- არა, არ გევპარე, კითხვა, დუგუნი ვქენეთ, ვისამეთ, ძარები, ჰიბონი
დუუკარით. ედკიდი, ძალანჩი დუნია! ჰალბუქი, თქვენ დეიწავლოთ თურქჰა;
დობტურთან ქი წევალოთ, კაი თურქჰა არ ვიცით, ისენი წადიან; ვერ გეიგნა
მეგერ, რატონ არ დევწავლე გურჯულიო, ჰეჩ თურქჰა ვერ დიმილაპარაკნია.

- მარტო ჰევასი დაწერა, ამ გურჯებს კაი ეცოდინება, ერთი-ორი უთხარ.
დუგუნებში იმღერებენ, თურქულად უმღერებენ, ვერ იგნებენ.

ბამგირული აწავლე. ღმა დელიებში წევდეთ. ტყეში წევლენ, იმღერებენ.
ჰადდე, გამეარე, ჰადდე, დელიებში შეე-მეთქი.

დედამთილ-მამამთილი არ მყავს, მიმიკდენ. მალე მიმიკდენ, მარტო
ვიყავი. ერთი კაცი იყო, ჩაღმა ვქენე თავი, აღმაც (ხუმრობს, იცინიან – ჩამწ.).
დედამთილი რაზე არ'ნა მიყვარდეს, კაცი თუ გიყვარს, დედამთილიც
გიყვარება. დედამთილს კად მუუარეო, არ გითხრა კაცმა?

- ერთი ბიჭი მყავს, ერთი ბაჯალა; იმ ბაჯალას სამი ბიჭი ყავს, ერთი –
ბაჯალა. ბაჯალასაც ერთი ბიჭი ყავს, ერთანე კაცი.



კაც სახელ არ დუღმახეზი, ბავ ვეცოდი, ბაბოს უთხარ, ანად გიმახისო-და.

- ამანაც კად მღერა იცის, ჰე! გურჯიჯა სიმღერა იმღერე, ქალეზ'ნა წულღონ. შენ ისამეზ? არა? დუღუნი ქენი, მაშინ არ ისამეზ? დოდოფალს ქი მეფევიან, მაშინ არ ისამეზ?

- კაცი ქი შამუა, ფეხზე'ნა დაადგა, შენ კვალზე გეაროს, აბა! აწავლე ახალეზს! აბა, იმან თუ დაადგა, კაცმა, იმისკენ'ნა გეარო.

- ხელგაშლილი გასამდი!

- მიგიტანო ჩაი?

თქვენ ჰიდან მოხველით? სარფიდან გადმეარეთ? მცოდნოდა დიგიწერევი.

- დოდოფალ დავნიშნავთ, ნიშან მუუტანეზენ, ერთ წელიწად იქნება, არ იქნება დანიშნული; ურბას უღლებენ, აბა, რას იზმენ; მასკვან წეფევიანეზენ ართვინ, სალონში, იქ დუღუნ იჯებიან ახლა. აქ იყო დუღუნი; არაბა, არაბა, მიღღეთი მიღღეთი! ამოვლენ, ჯეიზიც აქვან; თქვენ არ გაქვან ადეთი?

- ჩვენი ბაღნები იყვენენ იქავრი და ხარლი გიგვიკეთეს აქა, წყალი მიგვიყვიანეს, ჰე, კარჩხალიდან, ედა, ემეღ ჩულუსხი, გევრეგი. ჩვენც ჩავსხამთ მაგითანასა.

კაცი ავათ გიმიხდა, ველარ მიმიწველია ძროხა, რა იქნება?! (რამდენიმე წინადადება თურქულად თქვა – ჩამწ.). მიხდეზი ახლა თურქა?

- წევდა ჩემი კაცი ესკერში, დავჩი მარტო, ეღ, შეშა დამპობელი - არა, კარი გამღებელი - არა, ერთი ნენეღ, ხასტანლული ნენეღ; წადი, ფაჰე, მოდი. ღარჭი გყავს, ტირის; ბარი გვაქ, ბარი, ზეგანი. მეიკიდე აკვანი ზრუღში; ჩადი - ამოდი, ჩადი - ამოდი; თუთა მაადღღე, ისე, რა ვიცი მე; მარტოღ დავჩი ფენა; ისაქმე იქა; ანად მყავდა, ბაბოღ მყავდა, ისენი მიშველიდენ; ძმა ამოვდოდა, მარტოღ დახევიდა ასე შეშას, დიმიპობდა, წევდოდა; ახლა ისიც აღარ მყავს, წრეველ მოკდა, ჩემზე პაწად.

- ჩაველ, იქიდან მუელ, ვერ დევნახე, შორ ვიყავ; ვერ ჩა'ველ, შორ ვიყავი. საღამო მოვდოდა, ჩემი სიძე იყო ერთხან, ჩემი მულის კაცი, ერთად



წევდოდით. „ნიაზი, ჰადდე, წამოდ“ – გოდა ასე მესმის, გვეხედავ, არავინ არა. ჰადკიდი, ჩემ ხესაბში, არავინ არ იყო. რა ჩეთინია მარტვობა!

ერთი საქმე ერთ თერევიდან, ქაჩხიედან, წინედან გაძლოლა უნდა, უკნედან აინალს დაჭირვა უნდა; შენ მიეპარები?

- იმათ ბიჭი არ ყოლიან-და... ედდა, დევიბარე ქი; ა'რა! ჩემ ბაბოს და ემოს, ამოდთო, ადგილი შააგენითო, სახლები'ნა დიგიდგათ, ჩამოვდეთ'ნაო. რაზე არ ესაბებითო? ესენიც ვერ ევდენ, დარჩნენ სხვას, ამა ვერ ავედით, გეიყიდებოდა ადგილი. არ ყოლიან ძმა-და. ძმას დარჩება და... ხოფიდან მოსულია; ნური ნენეე ერქვა-და. დედესაც რა ერქვა, გო? იბოდ, ჰო, იბოდ ერქვა. დედემ მახსოვს მე...

- აქ ვინ არ მარა, ქი... ესკიდან არი მაილა, ახლა არა-და! ვომ! წინ-წინ საცოდვავე ვიყავით; ზრუგზე ევკიდებდით, ამეკტანდით., ჩომას მივართმევდით. თხა ბევრი იყო, ცხვარი ბევრი იყო, საქონელი ბევრი იყვნენ და არ ყოფნილობდენ ბალახი; ახლა ცოტაია; ახლა ლამაზი სახლები დავაკეთეთ. წინ-წინ უთავნო (იყო – ჩამწ), გვიფრუწუნებდა ქარი. ა, იქიდან გამოხედეთ აქეთ.

კამ'ნა იყო, იმასთანაც'ნა მიხვიდე, იმასთანაც'ნა მივდე, ისე'ნა იცოცხლო. ორი ადგილი გვაქ, ერთი ბარი გვაქ, ერთი – ზეგანი; ზეგანში ვართ ახლა, ზამთრიც – ბარში. ასე ახლა ყოლადა, თბილა-და, ზამთრიც ზორია.

წყალი არ ქვქონდა, ახლა წყლიები მიგვიყვანეს, ა, იქიდან მიგვიყვანეს, კარჩხლიდან. ცოტა თბილია, ეე, საიდან მოვა, სოფელი სად არი?! ადგილზე ცივია, ჰო. ვლოცავთ ფენა, კარზე ქი ავაესობთ, ყოლაია; აღმართზე აღარ ვწიკავთ ყაბებ; ღმერთმა დევლეთს ზარალი არ მისცეს!

- ბათუმიდან არი ემედ, რად ქვია, გო, ალადასე? ნატომ.

კიტრ დავთესავთ, თუთები გვაქ, ვაშლები გვაქ, ატმები... ყართოფი არ მოდის; ყართოფ ყანის ქენერზე ვთესავთ, კიტრებში, ტომათესსაც ვთესავთ, ხახვი, მაიდანოზი. წყალი თუა, მუა. სამიელი ხრავს, ემეს იჯება...ახმოფს, ნისლი ახმოფს.

- ნისლი ხყავან?

- ლახანას აღარ ვთესავთ, ჰაზირ ვიღებთ ჩვენც; ახლა გაყოლავედა... წეიყვანონ, მედტანონ, მოქყვიდონ, აქაც ვთესავთ-და... აქ არ იჯება. აღარ ვგდობილობთ ყურ; ყიშლები არი-ა ცოტა ზემოთ? ამოხვალ და აქა-იქ



დაიღვბია. იქ კად იჯება. ეთესებოდენ ლახანა, დაკვირდებოდი ამოვლად, ჰო, ჰო, იქ კად მოდის, აღარ ვთესავთ, გაყოლავდა ახლა...

წინ-წინ რავად ვიყავითო დაილაში: ვირები ქვყავდა, ვირებ ავკიდებდით ზრუგზე, ვირებით ამევიტანდით, ვირებით წევლებდით; ედ, ზრუგებზე ევკიდებდით, ფენა ეზიათი იყო და ახლა ფენა, ახლა დაბერდა ჭლიკები, ჰო, აღარ იჯება, აღარ წავა. ოდ, მაშინ რა კად იყო, ჰამა ეზიათიც გამევარეთ. ნალებ ხელებში დევჭირევდით, ჩევტანდით იქ, სოფელში, ჩავსხემდით გევრევ... რავად, შენ გურჯი ხარ? თურქია იცი? არა?

* * *

აქ ყველა ბალახი არი: თის ბალახი, ილაჯია; ყველა ჩეშიტი არის, ფამფარა, ხალი, ყველა ჯინსი არის. ყვავილა ბალახები; ემეგ აკეთებენ, ჩაის სმენ, ჰო, თეელი არის.

ეს გზა არ ჩანდა, წყალი ჰა ასე იყო. არაბა, არაბა ქი, არ ეტეოდენ. ქომო სოფლიდან იმა ვერ ამადინეს, აღმართია-და აქ გაყრიან. ჩვენ აქ ვართ, ზემოთ, ქომოთ ცოტა დუშულია-და... იმა, ემე'დ, ტლაპო დგება. რავად მიფერდება...

- თემენას აკეთებენ? რა ჩეთინი იყო მაშინ! რა სირცხვილი იყო, მცხვენია. ახლა წაგავლებენ თავზე ფენად, გეარებენ წავლენ, ნათქვამია ისა.

- ვართავ ასე, ხერტლით.

- გაღმითი აბლად მყავდა, ემოსი ქალი-და, შექამა და'თვმა, აბა რად! საქონელი დარჩა ღამე გარე'თ-და, და შექამა, მოკდა. ღამეში ვერ იპუეს, და ქი გათენდა, დილაზე იპუეს-და, ჰამა შექმული.

ბევრჯერ ხდება, ჰო.

დეიჭირა დათვმან, საქონელი მევდენ, დაღამდა, საქონელი მევდენ და თავეთ ვერ მევდა იმტე. იმათ არაფერ არ ემეს იჯებიან, იმტე... ცოტა... ვერ მუუკვლან, მასალიაო, არ კვლენ, მასალია და, ვერ მუუკვლან წასულან ავჯობაზე (?).

- ღორები არიან, ყართოფილს ამოყრიან, მოვლენ; ო, ფენათ არიან, დუზები ბუთუნ დათხრილია, არ ემინიან, გამოვლენ.

მაბანი აღარ არიან, ძველათ ბევრი იყვენ; ძველათ წევდოდენ, ეს ჩემი კაცი ფენა წევდოდა, წევდოდენ და ძველათ დახოცევდენ; ახლა აღარ არიან, ბევრი აღარ არიან...

საქონელს დაკვლენ, ცხვარს დაკვლენ იმტე.

შავშეთისკენ ავლენ, სათლეელ, ჰო. აქ არაბით მოვლენ, ჰო, მოვლენ; არაბა ამოვა ჩურუგაში, ქირეზა მილევნიხან ამოვლენ. ახლა თვე ქი დგას, მარიობად



არი. დაჩვევლი ვარ გურჯა, თურქა-და ხან-ხან ვურევ: ახალბ ცოტა ვერ დულაპარაკნიან ჩვენსავებ, ისენი ბითევ თურქას ლაპარაკობენ და გურჯა ვერ დუღწავლიან... ვერ ემე უქნიან, იწავლიან და ვერ დულაპარაკნიან. ე, ჩვენ, ქიმი ოქულში, თურქა ოქულში დეიწავლიან; გურჯი ზათინ, ანად გურჯი, ბაბოდ გურჯი, ზათინ კითხვაც არ ვიცით.

- ისე არ არი?

ვისამებთ! ზისანდარმა დუღკარ.

ჩვენ ვსეირობთ, ფენა ვსეირობთ იქა, ტელევიზიონში.

* * *

- სარმას გავაკეთეფთ, ბირინჯით, მაიდანოზით, ხახვ ჩურეფთ, სარჩას ჩურეფთ, ტომათისის ერთათ მაღით ჩავასხამთ, ლამაზათ მოურეფთ, მოვხრაკავთ, გურეფთ, შურეფთ, დავახვეფთ სარმას, გემონი მოდის, გერმელია.

- იქაც გყავან საქონელი? შენ შეერიდან მოხველ?

- კაკლით ბორეგ ვაკეთეფთ, ასე გავაკეთეფთ: მოვზელავთ, გავაღებთ, გავაღებთ, ჩავჭახავთ, მოვაცრით, მემრეც გამუაცხოვთ, ჭვამთ.

- იმასაც ვაკეთებთ, პარკი ლობიოსაც: ხმელ ლობიოსაც ჩავყრით, მოვხარშავთ, დეშილსაც, კონსერვებს გავაკეთეფთ, ჟავეს.

- თელმა არ იციან, ზოგმა-და. ერთი გევდეთ, ვიმღერებთ. რაცხას ვიგონებთ, მა ვმღერობთ, მა არა. თქვენ გურჯი მღერა გინდანან? გურჯიჯა ვერ მიგვიფერებია. აგზე გვამღერეს, ვერ მუაფერეთ, არ იქნა. მაღაჯინებენ, არიან, ასე გიმღერია, მაწონი შივაყენეო, ისე ერთი ვიმღერე და ვერ მუაფერე:

მაწონი შივაყენე,

ე რა ჯავე გამოდგა,

ბაჯალა მოვარჯულე,

ანად ჯაზი გამოდგა.

ქამერად არ გვინდა. იმან მათაფერა, იმას ფენა უყვარს.

საუბრობდნენ: ხატოჯე ალთუნი, 60 წლის,
ემინე დემირი, 63 წლის.

უსტამისის დაილა

- აქავრელები გურჯი ვართ, არ ვიცი ქი, რაი გითხრა? დალევა ვერ მომიფერებია. ამით სამობენ, ისამონ'ნა ახლა. ახლა აღარ სვამობთ, ზველათ სვამობდით.

- რავად ხარ?

- კარგი ვარ, კარგი. მაგრა გერმელია.

- ქომოდან გამუელ. დედაბერიც მყავ აგზე. ვიცი, ჰამა ვერ მემიგონია ახლა. ე შენი ღარჭი არი?

- გერჩექ წერავთ? ჩვენ მაგრე ვერ დიგიწერავ, ჩვენ თურქა ვწერავთ, თქვენ ვერ გეგნებთ.

- არ მიმღერია ქი, არ ვიცი.

- სათაოზე არ მიხვალთ? ახლოა-ოზდაათ დეყეზე ამუელ.

- ისა მღერაში არ მედღალვის.

- აქ ხეები უნდა, ხეები!

- ემე, ჯანჯირის ზემოდან დუზეა, აქ გზა იყოს გაბმული, მაშინ ბევრი ხალხი იქნებთან. აქიდან მიდიან, დუგუნში მიდიან. ამ სოფლის ბიჭია.

- ბექარაა-ჰო?

- ჰური ვჰამოთ, ჩვენი გევრეგი მედტეხეთ.

- მუსაფირ გელდი. აქევრი ვარ. რა ვქნათ?

- ხუსნი, რა იჯები?

- უსტამისის ყალე თამარა დოდოფალმა გააკეთა; ასფალტი არ იყო, იქიდან ხელი-ხელ მუუტანიან, ხელიდან ხელში ქვა მუუცემიან, ისე გუუკეთებთან. დავით აღმაშენებელი იმის ემოდ ყოფილა, დავით აღმაშენებელის სურათი არი.

- ესენი თქვენიდან გამდოსულიყვენ, გზა გეხსნა, დიდვანი კაცები გამდოსულიყვენ, არ უშვებდენ. მე ქართული ვიცი-მეთქი, გამიშვეს.

- თამარა დედოფლის მეზერი თურქიეშია? გურჯიჯა დუშწერავ. თქვენ სოფელში ასე უკრენ? არ უკრენ აქ ამგვარ მუსიკას.

- ყალეზე არ ასულხართ-ჰო? ყალეზე ახვალთ ქია, იქ ერთი ემეა. აქევრობა ვიცი თელი. ამ თის გადაღმიდან ბამგირეთია. წუხელი იქ დუგუნი იყო.



- ხომ გელდი, გო, რა ამბავია?
- გაწვიმდეს' და. შიერი არ იყოთ, საჭმელი მოქცეთ, ჭამდე.
- აგზე თუ გაწვიმდა, მანქანა ვერ შეარს.
- ღმერთის საქმეა, გააწვიმებს, არ გააწვიმებს.
- წევდეთ!
- წევდეთ, ჰამა, ადგილი ექნება არაბაში?
- თუ გაწვიმდა, აგზეც ვერ ავალთ!
- არ გაწვიმდება, კანკამებს.
- ესა ციხისური დეგანია. რეზიყე ხალაა იყო, და?
- თქვენითანა კაცებ ჯენნეთში კი არა ჯეჰენნემში წავყვები.
- ამა განა კად ყური უგდევით; გენჯები რაზე არ წამასხით?
- ზვის შესატანს საბზელი ქვია.
- ლოქანტა მევტანეთ, იგზე ჩევტადთ.
- აქვერი ადგილების სახელებია: საბუზარა, მინდორი, სამალავათი, ჭალათი, გიათი, ბარი, ზეგანი, ამოსავალთი.

- ზოგი მახსოვს და გეტყვი:

„გედცინო, დიგინახო,
უბემი შიგინახო,
გემეპარე კარიდან,
აჯაფ, სა დიგინახო”.

„აველ გორი წვერაზე,
დავჯექ მაზი წერვაზე,
შენ ქი მე არ მომყევ,
დავჯექ შენთან წყევლაზე”

„მოყორილში წვიმა წვიმს,
დიობანში დარეა,
სამი წელიწადია,
დასახლება მწადია”.

„ვითხოუნა შიშმანი

არ გიმიხდე ფიშმანი,
შენაც მე თუ არ მომყევ
გიგიხდები დუშმანი”.

„სობაზე დავდევ გუგუმი,
დათვმა დეიწყო ბუბუნი,
რა სული მიწუხდება,
როდი’ნა ვქნათ დუგუნი?”

„შიშმანი” – გასივებული, სხვილი. ახლა გახდნენ შიშმანი, არ ეთხვებიან, ბიჭებიც არ ესახლებიან, დალპნენ’ნა. ადრე ასე არ იყო. დედაგაღლეტილები!

საუბრობდა: ბინალი თათუიშვილი, 62 წლის.

ჩიხვთა

- ზემოთ მიხუალთ თუ ქვეშეთ მიხუალთ? იქედამ ერთი რძალი გვყავს, ოლადაურიდან ხალად გვყავდა. ჩვენ მაილაში ამოდიოდა. იმისი ბაჭლები ვნახე.

- ჩემი ხალადს ემე იყო, ხალად. ჩვენ არ ვართ წამოსულები, მერჯანად ქვიოდა ჩვენ სიძეს.

- აქედან გათხოვილია იქა. ისა თქვენებურებში იქნა აუზბაში. თქვენაც კარგა იყავით, სელამეთით.

საუბრობდა მეჰმედ ილმაზი (პაპოლლი), 68 წლის.

ივეთი

- კაპანი ამეარეთ? ჩვენებურა პაწად ვიცი.

- უკან თუ გახვალ, მოსაბრუნებელს ვერ ვპოულობთ.

- ხანუმ, ეს ქვაა, ადე, აქ დაჯექ.

- გოგო არ მყავს, ღარჭები ერთი თანე ის ემე არი, ხოჯა, აკითხვებს.

ორი თანე გერმანიაში არიან, ერთი – ბურსას.



- ჩემ ბაბოს დედე აქ ყოფილა. იმნიეთ არი თამარას ციხე
- ოც წელწადზე ვძებნე ალთუნი, მაქინა მქონდა. შენ არ ჩეგიფლავს, მე ვიპოვნო, მე არ ჩემიფლავს, შენ იპოვნო.

- თურქის მოსლამდე ჩვენ ბათუმზე დაბმული ვიყავით;
- ჩამეარდენ, კაცებ ხოცევდენ, კლევდენ. მე გერმანიაში ვიყავ და რადიოს ვუდინგლევდი.

ამ ფაფართის თავში გოგამის დაილა არი. აქიდან ჩვენი ესკერი წევდა. გიოლი აქ არ არი. ხვალ არი დუგუნი, ხვალ სალამ არი.

- მე არ მიძღერია, მღერებელი არიან. მე მარტო ეს ვიცი - ბათუმურად სიმღერა, ერთიც ის არი...

- მე ბაბასი ერთი ბიჭი ვიყავი, იმან მექთებში არ გამგზავნა.
- ამ სოფლის სახელი ძველიდან დარჩენილა, ივეთ უძახიან.
- ეს ჩემი ძეგენია, ეს ჩემი დის პრატია. რამდენი ბაღანა მყავს? – ერთი ღარჭი, „პრატი“ თქვი, თელი ერთია - ციცამ, ბაკალაა.

- გერმანიაში წემიყვანეს ჩემ ბაღნებმა, იქა ვერ მიშველეს. ჩემზე ძალაი არიან – ვერ გაქანებულან, გარში ვერ გასულან, მე ჯოხით ვიარები.

- ცოტაი დარჩენ, აქა სამოცდაათი ოჯახია, ზამთარში ოცდაათი რჩებიან, მე გერმანიაში ვარ, წავდივარ.

- ჩემი სიმამრი ახლა იზმით არიან, მისი უსტიები ყავან. ექსი თვე იქ ვარ, ექსი თვე აქ ვარ. იქა დოხტურები არიან, დუურეკავ, მოვლენ. აქა ბევრი თოვლი მოდის, გზები ყაფანდება, ვერ წახვალ დოხტურთან.

- შენ დუუნახველაი წერავ?
- ხარების ჭედნა იყო მაისში.
- წყევლა სირცხვილია, დალოცვა ვიცი:
გაცოცხლოს ღმერთმა მამის ოჯახზე;
ღმერთმა კად შვილები მოგცეს.
- ძროხას ვეტყვი, „დადექ, დადექ“, არ დადგება, ქვას გუუქნევ; ვერ დაწყევლი, ვერ გამეიმეტებ.

- ესაა, იქიდან გადმოსულია, ჩვენი მემლექეთიდან.
- ეს, იფხრევილი, ძველი სახელია, ახლა ტაშკოფეი ქვია?
- რა სოფლიდან ხართ? ახლო ყოფილხართ. გურჯიჯა ჩაის რა ქვია?
აჯაფ ქართულია-თუ?
„ჩაი“ ჩინური იქნება.
შერბეთობა ახლა გახდა.



იყავით იქა-ჰო? მეც იქ ვიყავ, დემინახეთ?

- მე არ მისამია, იქ ვიჯექი, მუხტარი, ბაღნები იყვნენ, ღამეში დაილაში ვიყავით, იქ ვისამეთ.

- მეჰმედად უკრავდა!

- მეჰმედად-ჰო? მე იმა არ გეზნევი.

- გამოსწიეთ ერთი. სა მიხვალ, დაჯექ აგზე.

- ჩამოდ აქით, თოხი გქონდეს, დეფქირე. ჩვენ მისირლი არ ვართ, ივე[ნ]თი ვართ ძველებური.

- დურსუნ ემო, ჩამოდ, ჩამოდ, ჩაი ვსვათ.

- ბაღნები კითხულობენ, ფული აღარ შემარჩინეს.

- ჰა მიხვალ ეზანის დროს მუუსლელი?

- მე თუ ღამაზათ არ გამუალ, შენ დაგაბრალებ... ნუ მაცინებ!

- ნუ იცინი.

- გაცინული გამოიდა.

- ჩაი სვით, ბიჭებო, ჩაი; გამედღეთ სელიმად.

ეს შეატანეთ ჩაის.

- თქვენ დიგინახეთ. თქვენ ქართული არ დედლაპარიკეთ, მუხტარმა დედლაპარიკა.

- სათავეზე ამოხვიდეთ'ნა?

- მედტად, ავავსო.

- ამა ეცოდინება, ამა. მაჭიხლელებმა, ამათ იციან.

- პური მიაქ.

- საზღვარი ზემოთ არი.

- მოვსულიყავით'ნა, ადრესი არ მქონდა. ამისი ემიაშვილები ვართ.

- ჩაი დოუსხით, ჭო, ჩაი.

- ჩემ დედესაც ჩემნაირი თვალეები ქონდა. ესა აქევრულია.

- ხოჯა ამბობს, მოდთ, საქმე გააგდევით.

- ათეისტი არ იქს. არ წავა.

- ზოგი სვემს, ზოგი - არა; მე ვსვამ.

- ნამეტარი ძვირია. ფარას ვაგებ; ისენი არ სმენ.

- სამოც წელ ვსვი მე ძიგარად. მლეველიც არიან და დუულეველიც.

- იმის საქმე ისაა, იქევრობა სხვა არი.

- თურქეთი კად არი, აქ გინდა ილოცავ, გინდა - არა. წორე ის არი.

- ეძინა? რადა? თვალეები არ გავს.



- კახიძეები არიან-თუ ბათუმში? კახიძეები ნათესავია ჩემი. ჩემი ნენეა კახიძეა, ფარნუხიდან გადმოსული. მევლუდაა თქვენი ნათესავია?

- დიობნელებ ინსანიჭამიას უძახიან.

- უცოცხლიან ბევრ ხალხ აქ.

- ჭოჭე ყოფილა, ვერ გეარდენ, ინსანი ვერ ცხოვრობდა.

- სა წევყვანოთ, დიობან წემყვანეთო, ზათი ვერ იცოცხლებენ, დეფხოცნენო.

- ნელ-ნელა ინსანი გახდენ; მე არ მოვწრებივარ, იქიდან გამოჭენებულან გაღმა სერები დოუნახავან, ორი თანე მოკლეს, ერთი თანე გეექვა. სამი თანე ყოფილან. ოთხასი თანე წამოიდნენ.

- შედურ-ბუდურ მოდიან, წამოსულან, იქიდან დოუნახავან და ედდა აქ მოსულან.

- ხახვი'ნა გაჭრა, მარილი'ნა დააყარო.

- ჩვენი ბიბიაა გათხოვლი ყოფილა გოგიეთ.

- დღვან იმისი ბიბომს ბაჯალა გათხოვილა. მემედაა ჩვენი დეგანი ყოფილა. გვარი არ მახსოვს, ენი წვერზე მიგორავს. ჩიფჩიოლი მემედაა ყოფილა, ედა ჯაჩ ეტყოდენ, ლაღაბს.

- არ გეექცევი, არა, ქომოთკენ მივდოდი, აგზე გამაჩერეს.

- მე წევდე ახლა. თავრობაში ვიყავ, თავრობაში.

- აქეთ ათი თანედან ცხრა კარში, გარეთ არიან. ბათუმში ერთი თანე უნივერსიტეა?

- აქიდან თაზე რომ წახვალ, ქომოთ ჩხოკობაა ქვია, არაბას გზა არ არი, ხარით ადიან.

- ახალისოფელი იცი? ტადაა მყავს იქა. ოთხი კვირის წინ იქ ვიყავ.

- აქ არის ჯამიკარი წყალი, წყაროთვალი ჯანარაა - ესა ნაცარას ქვეშიდამ გამოდის. გერმელი წყალეზია.

- ჩვენთან სხალი მოდის, ვაშლი, ქლიავი, ჭანჭური, ოტურია.

- სხალი არის თავრეზულაა, სასელაა, ბოსტავანი.

გვაქ შექერვაშლი, ჯავევაშლი, კარაფილაა.

თუთა ერთი მეტი არაა. ბალია-შავი ბალი, ქვიშნაა, ნორმალი ბალი.

- ლობიო არის აგარელაა, ხაშრი ლობიო; ჩვენ სოფელში მოსული ლობიოს გემო ქომოთ არ არი.

- მაროლი-ხახვის ერთათ ჩაჭრი, ოურევ და იმას ქვია სალათა.



- ყართოფი ორი ჯინსი არი: ერთი მოხარშავ, ჰამ ერთ ჭორბაში ჰამ. ერთი გასაბრაწებია. ფრჩხილით წამოკარ, თუ თეთრია, კადა. გარედან წითელი - ი არ იჰმის, წარეა.

- ამ სოფლის სახელი - „იფხრეველი“ იქიდან, იმ ხიდიდან არი ართმეველი.

საუბრობდა დურსუნ სანჯა - 72 წლის.

იფხრეველი

- ბათუმიდან მოიდა იმისი ახრაბა, ზათი გადადიოდენ, მოდიოდენ. ჩვენი დეგანია, გედევდა იქა, თავის დედამ არ მედწონა: შენ რავაი ლაპარაკი დიგიწავლიაო. ბაბოს დას ზათი ბიბოს ვეტყოდით, ანას დას თეიზას უძახიან. ჩვენი ლაპარაკი თქვენთვინ დეიშურია, თქვენი ლაპარაკი ჩვენთინ დეიშურია.

- ხოფას'ნა ჩახვიდე ქი, ბათუმ'ნა ჩახვიდე.

- რასოდ უთავდებით ოთელში? ხასები არ წეველით სახში. ჩემი ბაბოღს სახლი აქაა, კაცის სახლი აქაა.

- ზეზე დგას და ცოდვავა პატარად, ორი წელწადი აკლია, ოცის გახდეს.

- ჩვენი ბიბიად იყო იგზე და მოკდა.

- ესა ჩემი დოდოფალია. ამა სამი რძალი ყავს. ისენი წასული არიან? ერთი - ისტამბულ, ერთი - რიზეში. მე შინა ვარ.

- რაი'ნა ქნა ჩემი სახელი, რათ გინდა?

- ბინაზ! ოდლე მაფმა. ბაღვები იქევრულია, გურჯიჯა არ ილაპარაკებენ. ალთუნი აბა არ გექნებიან? ჰამა მალავთ, მალავთ! ჩემი მული იქ არი, დეშმინაზად, ბათუმ შეჰერში ვარო. ბაღანა გადმოიდა და ისე ილაპარაკა. იქ ბევრი ნაკითხი აქ, რამე არ ხდება, ვერ შედიან ვერაფერში. ჰექიმი'ნა გამხდარიყო, ვერ გახდა, იქ იკითხეო.

- საიდან ხართ თქვენ, რომელი ადგილიდან? ჩვენი სახელი რა'ნა ქნა, სად'ნა წიგვიყვანოთ? მე დეთიმი ვარ, არ ვიცი; ფასაფორთი არ გვაქ.

- ჩემ მამამთილ ქალი ყავდა, გადმოდიან, გაქუცვენ და წადიან. ნაჩარი ქალები.

- ჰილმაზ, შენ უმფო გცოდნია. ახლა არ მაგონდება ქი. ჩვენ თქვენი ლაპარაკი ვერ მიმხდარვართ ქი ხანდახან. სახში არ დევლაპარაკებთ, აქევრი კაცები არ გედტანს.



- ჰიჩ არ მეშინია, მაშლი ვართ, ღარჭები აგზე, გამოგვიღე, აგზე ეს გამეღლე!

- თქვენ მარტივად დადიხართ, თუ? ბათუმიდან ნენეები გვყავს. ქითაბ გააკეთებ?

- კაცები ყურბეთში წადიან, მოდიან.
- ამა კიბეს ვუძახით ჩვენ, გურჯები. მერდევანიც ქვია.
- ერთი დეყე გამასვენე! ჩვენი ბიბიაშვილის ბადიშია. იი გამოვსწიოთ, ე ხელები გამოვსწიოთ.

- გამოწევა არ უნდნან.

-- აქ ბევრი ქალები არ არიან.

- ამა ქორ ვეტყვით ჩვენ, თივას ვინახავთ.

- ამან არ იცის სიმღერა, ზლაცყია, ზლაცყი. მე მურადად მქვია, ამა გიუნად.

- მოგიტანს, აბა, არ მოგიტანს?

- ჩვენ გოლში მივალთ, დევბანოთ'ნა. იმათ ვუთხართ, ჰამა არ წამოიდეს.

- გზა გააკეთეს – მაღლი დეგედვა.

- თქვენშიც ცივია? აქევრი წყალი სადმე არაა.

- ბევრი იცის იმა. ესენი მორცხვი არიან, აჩული არ დარჩე.

- რას წერავ? თურქა უმფო ყოლადა.

- აქიდან კითხულობენ ბევრი, მარა იქ ნაკითხები აქ არ ყაბულობენ, თექრე შედიან.

- მე აქ არ ვარ, წასული ვარ ანკარაში.
- დამავიწყდა, გეარა, წევდა. არ მაგონდება ქი ახლა.
- ივეთ არიან? იქ ვისთან იყავით? სახელი იცით?
- მახველებს, შემცივდა რაცხა, ჩოხა გევხადე.
- აქ გადმოდიან ბათუმური ბაღები, სამობენ. თქვენ არ გადმოდიხართ? აქაც არი ფესტივალი, წადით, დაწერავთ. სა ემეს იჯებით, სა წვებით?
- იქიდამ ვინმე გყავან, რომ დადიხართ? რაცხა მოდიან, თეთრი არაბად თქვენია? გზა მიილევა იგზე, არაბა არ ავა იგზე.

- ესაა თუთა, ჟოლი. ბექმეზ მაადულეებენ. დავარყევთ, მემრე ქვაბში ჩავყვით, ავადულეებთ. ადულეებ, ადულეებ, მაადულეებ, მოვხარშავთ, ჯვალში გადავსხამთ, გეძურვის, თეშთში ჩავასხამთ, მოვხარშავთ, ჩეიდულოს'ნა. ბიდონში, ყველამფერში ჩაასხამ, ყაფად არ დააბურავ.

- წყევლა ვიცი: კარი გამოგემრას, შენ გამოვსილო.
- ამან იცის სიმღერა, თქვი, გო!

„ის ანჯახ ღმერთმა იცის,
მე რომ შენთვის ვიწვი.“

„ტაფაში დავდე ძალი,
ე რა ფენა დემეწვა,
სერი რომ გედემარე,
ე რა გული დემეწვა.“

- ეს ჩემი ბაკალაა, ევამ. ეს დიდია. ამაზე პატარა არი, ამაზე ქვია. ევამ კითხულობს, ბელლი არაა, სად'ნა იკითხოს.

- ახლა მევბარგეთ, ანკარას ვიყავთ, ბაღვები იქ არიან, კითხულობენ. ერთი დავასახლეთ ახლა. თაზე ჩვენი ძროხა არ არი, თითო ძროხა გვყავს, შინ არი.

- თელი მიხდებიან, ვერ ილაპარაკებენ. ესენი ჩარში დემბადნენ, იქ გემზარდნენ. ათი წელწადია ანკარას ბაშქანი გახდა ჩვენი კაცი. ყურბეთში აღარ წაველით, ბითევი აქ ვართ.

- დიდი თოვლი მოვა, ჰამა კამა, ლამაზი. ესა ნაზვია, იმა ციხეს ვებნევით, იმნიეთ ციხეა.

კაკალი ხანდახან არ მოდის, შარშან არ იყო, წელს მემსხა.

- ვიცოდე, ვიტყვი.

- ახლა აღარ გადმოდიან, აღარ გადავდივართ.

- რა ალაგიდან ხართ?

- მოდიოდენ იქიდან, გურჯისტანიდან, გამოალებიეს ფაშაფორთი.

- ათი წელწადი ხდება, ვერ წაველით. ჩემ კაცმა არ ქნა, ჯენნეთლიმ, შეშინდა.

ფესტივალია, მაშინ'ნა მოსულიყავით.

წყალსიმერიდან რძალი გვყავს, ღარჭმა მემდონა, დუგუნი ვქენით.

- სამ წელწად დედამთილმა რძალს'და უყოს რძალობა, მემრე რძალმა'ნა ქნას რძალობა. დედასავეთ ბითუმ კამ'ნა იყოს; სხვის შვილ მედევან, ახალი მედევანე, იმა რა იცის სხვის სახში? იმან შედმალა.

- ბირბუჩულ საათი გახდა.

- ახლა მყავს ბადიში, ხდება და არ ლაპარაკობს.

ხოჯა ქალი ხარ შენ?



- ჰამანქი ქომოთ თურქი არიან. წეთილეთ აღარ ლაპარაკობენ გურჯიჯა, დიდრვანები ლაპარაკობენ, წურილები - არა.

- კამერა არ გაქვან, გამოსწიოთ? ჩვენები მოიდენ იმ წელწად, დიობან წავასხით; გამოდარეს ასკერებმა, მეგერ რა გონიან? იზანი გაქვანო?

რა უხაროდენ!

- ნური ანას და იქ მომკდარა. ზამან თუ მოიდა, გზა გემსხნა, იქვერი მიწა მემტანეთ და დამაყარეთო. ღარჭები ყავს იქ. მაშინ მისლა-მოსლა ყოფილა, მემრე დაყაფანებულა.

თქვენ თელევიზორ ბევრ ვსეირობთ. მოსულები არა ვართ. გურჯისტანში არიან ჩენი ხისიმები. ადგილები არ ვიცი. გადმოიდენ და დარჩენილან. ბევრი წადიან. ძველათ დუდუმი ყოფილა იშტა, ფენა ალაგი უპოვნიან.

- ღმერთს ჯერობთ? იმგვარები არიან, ღმერთს არ ჯერობენ.

ქალი არ შედის ჯამეში. არ სწყევლო არავის. ღმერთმა ჩენგე დიგიყაფანოს, - ამგვარი ვიცი.

- ბაჯალა მყავს ანკარას და მოვა დღეს. ამ თერეფზე ახლო ხართ თქვენ? ჩენი ანად იტყოდა, სავლელად წევდოდითო, გასათხვარი ყოფილა.

- ესა ჩემი დოდოფალია. ამ თვეში'ნა ეყოლოს, ფენა მიყვარს. ფენა ახლოა, გზა არი, იგზედან იგზე გახვალ-და.

- ახლა დევნიშნეთ რძალი ერზუმიდან. ფეხბიმეზე ვიტყვით, ფუშიანიანო. „დასვა - ბაღვი ეყოლა“, შობიარეაო-ვიტყვით.

- ჩემი ბაჯალა მოვა, შავშეთ იყო. თახსით წევდენ.

- შავშეთ ვიყავ, იქიდამ მუალ, დამცხა. ქომოიდან'ნა გამოიდენენ.

- გამოგწვევენ, გო!

- ვინცხა მომეკრას, ჯანუმ, ძიგარადთ ვარ. სამოცი წელწადია, ვსვამ.

- დუგუნში სიმღერას ფენა ამბობენ, ჰამა თლათ თურქია არი.

- თქვენები ჩამოიდენენ არაბადთ, ახლა მეორები წევდენ.

- ის თივაზე მივა, თივაზე, გიდელად მიაქ.

* * *

- ჩვენ ვიცი თუ ფშუნილა, მაღი, ძე, მაწონი, წვანე ლობიო.

იმა დავამტრევთ, გავრცხით, ხახვ ჩავსჭრით მაღში, შედხრაკვის, ჩააყარო'ნა ლობიო ერთ დრამ წყალ შუუყენებ, მარილ დააყრი, ნიორი არ გუურევ.



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ვიცით ფხალ-ლობიო.

ლობიოს მოხარშავ კარქა. წვენ წაწურავთ, გადავასხამთ, იმა ამოვლესავთ ასე ციცხვით (გაქვან ციცხვი?), ლახანას მოხარშავ, კარგა მეხარშვის, კარქა'ნა გაწურო. გარცხა, ეჩოდთ დანაყე, ლობიოს წვენი, დარჩენილი, დაასხა, ხახვი ძაღში'ნა მოხრაკო, ნიორიც'ნა დანაყო, რაცხამდენი გაიმება, ლობიოც ჩაყარო.

- თქვენ ღორი ყოფილხართ ჩვენზე (ღორი აქ კარგის, უკეთესის მნიშვნელობითაა. ასე მოგვმართა მოსაუბრემ, როცა ჩვენ კერძის დამზადების ჩვენეული წესი ვუთხარით - ჩამწ.)

- გვაქ ჭანჭური, წურილი, ზეითუნივით. რომ მუა, მოკრეფ, გავახმოთ, შევინახავთ. დუგუნებში იხმარენ ყაფსიფე.

საუბრობდნენ: ვესპიე ემირი-87 წლის;

ემინე ხაშაროღლი - 60 წლის.

ჩაქველთა

- დუნიაზე ქი მოდის, ანადამ-და, გურჯის ასწავლის; ხომ ფუშიდან გურჯი არ გამოდის, დედი ფუშიდან? ასწავლის-და ღარქ? ფუშიდან თურქი გამოდის, მუსლიმან ოლადი, ჰამა ფუშიდან მუსლიმანი გამოდის, ხრისტიანი გამოდის; ამას უკან ისწავლის ქრისტიანს, სომხობას, მუსლიმობას, ზოგი მეგრელია...

ქრისტიანი თურქი არ არის, თურქულათ ლაპარაკობს, თურქია.

ჩვენ თურქისაგან გარჩეული არ ვართ. თან გურჯი ვარ, თან მუსლიმანი ვარ. მაჭიხელი გურჯია.

უსტამისიდან ამოსულიც არიან. გურჯისტანიდან არ არიან. მე კარგა არ ვიცი, ჩვენი ფოცხოვიდან მოსულან, ოილე...

ი ჩემი დუნგუნია – ჩემი ბაჯალა იმისი დედოფალია.

ეს ანწლია; ყართოფ დავთესავ, სიმინდ დავთესავ, ლობიოს დავთესავ, მოჩოჩთას დავთესავ.

ყველაფერ გააკეთებ, ემელს; კოტორ მოხარშავ – ჭამ; მოჩოჩთას მოხარშავ – ჭამ და ემელს გააკეთებ, ლობიოდანაც ჟავეს ჩადებ, ემელს გააკეთებ, ყველაფერიდან გააკეთებ, ითხოვს ჩემი ბერი, ჟავე ჩადევო.



დათესილია-და, იგი მაქ, ცოტა გვიან, არ გათბა-და, ახალთ გამეიყარა, მალე'ნა გამოიდეს ქი, ემე ექნა, ჰალა არ გამოსულა. სიმინდ დავფქვავ, ჭადი. ყველაფერ გააკეთებ, ხავიწ მადულეებ, ემ, ჭად ჩასხამ, გევრეგ ჩასხამ, იმიდამ შორვასაც მადულეებ.

მაწვნიდან? გასწურავ, ემე იქნება, დო იქნება, სუზმა იქნება, ყველაფერი იქნება მაწვნიდან.

ზაფხულში შჭრიან, აკმობენ, ზამთრისთვის ადულეებენ.

- დანი, ზამთარშიც სდგე'ბით აქა?

ჩვენ წავდივართ ზამთარში, არავინ არა მყავს შავშეთში, ორნი ვართ, ერთი თექი ბაჯალა მყავს. წაღან შენ თქვი, ქი არ დეგველაპარაკაო, ერთი ბიჭი ყავს, ართვინ, ხადასტროში საქმობს, იქ არი იშტე, ზათი ერზრუმ იყო. ონ სენე იქ იყვენ ჩემი სიძე და ახლა იქ მეიქუჩნენ, შეიდისი (!?) იქ წამოიდა და ახლა იქ არიან; იზინი თუ მისცეს, მუა და თუ არა-და – ვერა. ორი თანე ღარჭი ყავს – ერთი ბაჯალა, ერთი ბიჭი. ახლაც ემე, მექთები მარჩინეს, ახლაც ხოჯის ემეში არიან, აკითხვებენ.

- ჩემი დუგუნი მართალი დუგუნი იყო: ჰემ მუზიკა იყო, ჰემ დავლი იყო. მე... ენ წინა ბიჭი იყო ესა-და; ედდა, სულ ენ წინა იშტა. ჩემ დედამთილ ზათი სამი ბიჭი ყავს იმა... იმგვარი დუგუნი'ნა ვქნაო, ქი... სულ წინადგ არიო (ზეგნური იყო ზათი, ახალდაბიდან გამოთხოვილი, იქიდან უთხოვნიან ხორთლად ბერ... აინი ადეთი არის, აქ მეიხედე, იმ ხიდზე'ნა გედეაროს, იქეთა თერეფიდან, იქიდან გადმოუყვანია იშტა, ის არი იქიდან. სოფელში არ დასახლებულა-და, იქიდან იქ გადმოუყვანია-და იშტა, სულ წინა ბიჭი ეს არი), უთქვამს ქი, იმგვარი დუგუნი'ნა ვქნა ქი... ჩალლი ორი-სამი ჩემიტი'ნა მეყვანო'და... ამა მართალი დუგუნი იყო: დავლი, მუზიყამ, გარმონი... იმღერეს... ამა მე რა ვიცი, მღერაზე ვერ მუაწყობ.

ელჩებმა მარეს, უთხრეს ქი, ჯერ პატარაია, ე ასეა, ე ისეა იშტა, ერთი ბიჭი იყო, მისცეს.

მაშინ რაცხას მეტანდა ქი, მეტანდა, არა-და...



ახლა... უუ... ბევრი რაცხა უნდანან: ორი ბილეთი იყოს, ორი ამავალი'ნა იყოს, ორი ჩამავალი'ნა იყოს, უთლიან, აბა რადა! უთლის-ჰო.

დუგუნში ბიშ ჩამოურიგებენ, დემეგ, უუ... ტათლის გააკეთებენ, ყაურმას გააკეთებენ.

მამამთილთან ბევრხან არ დეილაპარაკებენ, მე ბევრხან არ ველაპარაკებოდი, მაშინ ადეთი ისე იყო – უსულად ლაპარაკობდენ. თქვენშიც არი? დამძრახება, მამამთილი შამუა, ადგე'ნა ფეხზე, თამამ, აბა, მასწრო'ნა, ჩეთინია. დედამთილ დოუჯერო'ნა, იმის პასუხიდან გადახველ, თამამ. მაშინ თელი ერთათ იყო: დედამთილი, მამამთილი, მაზლი; ახლა წავლენ ბიჭი, ბაჯალა; ახლა დოდოფალ ოდას მუუწყობენ, თავესთვინ არიან. მაშინ ბევრი იყვენ.

- ამას ეკალი ქვია, ზოგს გავახმობთ, ზოგ ამა დავაჭრით, გამუასუფთებთ, მოვადუღებთ ლეჩერს.

- ამის კაცი მუხტარი იყო. შენ ილაპარაკებ, ჩემ კაც ასეო? ის ილაპარაკებდა. ამის სახში იყავით? რა გენჯი ყოფილხართ. ორი სენე? ამის კაც ხასანაჲ ქვია. მეც დავაქო, ჩემი კაცია-და! სხვამ არ დააქოს; ონ სენე იყო მუხტარი, აბა! იმდენ ხან მუხტარი იყო. ჯამაგირი, ფარა ქონდა, ჰამა ცოტაჲ.

ისა თურმანეთია, ესა ჩიმაგეთია, იმა გაღმიეთი ქვია.

- დოხ, მღერა არ ვიცი, მემღერალი ზათი არ ვიყავი.

იგი იმ კაცის ემოდს შვილია-და... მითხრა ქი... ჯამეს ქი აკეთებენ კაცები, დემეგზე ამასხა, დემეგ უჰაზირებდა-და, მითხრა ქი, მე არ მცალიაო-და, შენ დოუმახე და შენ ასწავლეო ლაპარაკიო, მე დემედ ვაკეთებო-და.

- იმგვარად გათოვლდება ქი... ეფსება თოვლი ფენა...

აქაც არიან ისა, ესა.

ჩემი დედემ სტამბოლ დადის, ერთი ბიჭი ყავს და იმათან დადის, საქონელი ქვქონდა, ჰამა თველზე ქი წავდივართ, ზამთარში, მემრე ვერ გავჰყიდითო, ქი ვაძლევეთ გასაკვებლად, ეჲ, გასაკვებლად მიე, ფარა მიე ხან-ხან და... გავყიდეთ.

- აქიდან თურმანეთია, ალთმიმ და... ბინდოხუზ დუზ ალთმიმ გვერჩიეთ. თქვენი რაგორია, არ ვიცი, ჩვენი ბინდოხუზ დუზ ალთმიმ, ორმოცდაცხრა წელიწადია, გვერჩიეთ, გვერჩიენით, ისენი თავესთვინ არიან, ჩვენ - ჩვენთვინ.

ჯვარისხვეი ეს არი, ეჰე, გზა შემოვა. ჩვენი, ჩვენ ბარაძს ვეტყვით, ჩაქველთაძს ბარაძა ეს, ჰო; ეს ჩაქველთის გზა არი, ესეც ბარაძა-და; არვინ არ არიან იქა ახლა, ჩვენი დაილაძ, ისაც ჩვენია. ზამთარში ზოგი წავლენ, ბითევი არა, ევეთ.

თურმანეთსა გზა... შავშეთში მინავალი კოთხევია, კოთხევიდან აბრუნდება - ველიქოძა, ველიქოძიდან გადმოდის, ორ-სამ ალაგიდან გადმოდის თურმანეთსა გზა, ჰამა კოთხევიდან ფეთექოძ, ახალდაბა ავა, ახალდაბიდან თურმანეთსა გადავა, აქიდან არ გადავა.

- ძველები, ძველები დეფხოცნენ, ახლებმა არ იციან.

- სიმინდ ფქვევდა წკრიალო და ფქვილი ხდებოდა; წისქვილი არ იცით თქვენ, წისქვილი? უწინ ღელეში იყო, წყლით ბრუნევდა-და, მემრე აქ ამევიტანეთ.

- რაზე ვერ'ნა გააკეთოს, დედეს გუჟუკეთებია და ეს ვერ გააკეთებს?

ერთ საცხა მეზერ დეინახევდენ კვდრისას, ზიარეთიაო. იწვებოდენ, იწვებოდენ, ტყვილათ სიზმარ ნახევდენ (სიზმარ რას ეტყვით, ღამით ქი ნახვენ, „სიზმარ“ არ ეტყვით?), ეძ, მე სიზმარი ვნახე და ასე ყოფილაო, ფორტას ებნევიან, ფორტას, უსტამისის თერეფზეა ფორტა, იქ იყო ერთანე, ჰე, იქ წადიოდენ; ჰო, აქიდან გევიდოდენ, მაშინ ფეხდაფეხ გევიდოდენ, მაშინ არაბა არ იყო, ზათენ აღარვინ აღარ წავლენ იქ, დოხტრები ქი არ იყვნენ, მაშინ გევიდოდენ, ახლა დოხტრები არიან, იქ არევენ არ წავა.

დავიქეთი სვირევნის მეჰელეა.



- რაცხას დაჰკლევდენ, ყურბან, მე რა ვიცი, რას შეეხვეწებოდენ ღმერთს... ბევრი თუ არი, არ გააწვიმოო, აგრეა; სა იყავთ გუშინ, ქი გაწვიმდა?

- ახმანამაზზე ბზე ჩეიწურვის, შვიდ დეყე უკან, ბზე'ნა ჩეიწუროს, შვიდ დეყე უკან იფთარია, ეზან იკითხვენ.

გათენებას ერთი-ორი საათი დოურჩება, ემე'ნა ქნა, მასლული'ნა ჭამო, ღამით კად რამეს ჭამ, იფთარზეც, მასლულზეც.

- ახლა მივალთ, შეშა'ნა მევიტანოთ, ზამთარში დავსჭარით და, ისა გამხმარა-და, ბუზანკალია, ხარს ეხვევა, ფურცელ მოვსტეხავ, ასე ვუბრაგუნებ, პურ ვაჭმევ, თივას ვაჭმევ, დედნახე მოტანილი თივა?

- მამპარეს ძაღლი; დათვმა იქ, ღელეში, შეიყვანა; დათვმა და გელებმა მეერივნენ. ერთი ძაღლი კიდევ მეყვანე-და, წეიყვანეს ისაც. ახლა უძაღლო ვერ დავმდგარვარ; დათვი მოდის და დევნახე დათვი. ძაღლს შეეშინა და იქ შეძრა.

- იცოცხლე, გერმელობით იცოცხლე, გერმელობით წადით, მოდით; კარგობა მოგცეს ღმერთმა.

დაღამდება, გევინათლებთ; ძიგარაჲ გინდა, მოუკიდებთ. ჩემი (?) ისტამბოლ სახლი დიდი კიბე აქ, ხან-ხან ელექტრიკები სწყდება; გევინათლებ, გევიარ; სწყდება, სახლებში სწყდება, ჰო კარგად (=ბევრჯერ, ხშირად – ჩამწ.) სწყდება.

აშურა

ჰაშურა, აშურა ქვია. შვიდი ჩეშიტი'ნა იყოს, შვიდი ჩეშიტი. შვიდი თანედან'ნა იყოს, ჰო; რაცხა გინდა, შვიდი თანე აათავე-და... ბულდა'ნა იყოს, კაკალი ვურევთ ჩვენ, თხილ ვურევთ, ემეს ვურევთ... ეე... ყურძნის გამხმარს (რა არი, არ ვიცი, „ყურძნის გამხმარი“ რა იქნება თქვენში?), ლობიოს ვურევთ, სიმინდ მოვხარშავთ, იმა უკან ჩავაყრით, სიმინდსაც ვაყრით. შვიდი ჩეშიტი'ნა აათავო. მერე მარილი, მარილიც შვიდთანე.

- მარილი ბევრი არა, ისე... გაამწარებს'და.

მარილი ცოტაჲ'ნა ჩააყარო.

- შექერი ხასი უნდა, ბევრი. ბევრმა ქი გემო მისცეს. შექერი უნდა, აზა! დარიგება... დავარიგებთ, დარიგება კაჲა.



- ვოდნაა!... ბევრ დავარიგებთ, შვიდთანე და აათავო, გინდა
ოცდაათთანეს მიე, ორმოც-თანეს მიე და შვიდზე ქომოთ არა; შვიდთანე და
ათავო. ჰამა შენ გინდა, დოუფანტე, მადლია...

- თქვენ ადულბთ ქი?

- დოდოფალი თხუთმეტი დღისა გახდა, მივიდოდით იმით, იმა
მეიყვანდენ ბაბოს სახში, ეფეიხან იქნებოდა, ჰამა ახლა ისა ადგა, აღარ
იჯებიან, ფეხსაბრუნებელად მივიდოდა. ყველა წელიწად წევიდოდა, ყველა
წელიწად ფეხსაბრუნებელად მივიდოდა ბაბოს სახში, თხუთმეტი დღე
დადგებოდა, ჰამა ისა ადგა ახლა. ჰო, სამშობლოს, სამშობლოს მივალო,
იტყვიან (მოულოდნელად მთქმელმა შეცვალა ინფორმაცია – ჩამწ.).

სამ დღეს უკან'ნა მივდეს, სამ დღეს უკან'ნა მივიდეს. იმ ღამეს
დეიფანტვიან, სიძე'ნა წევიდეს, ის არ'ნა წევიდეს, სიძე არ'ნა დაჟდეს.

დოდოფლობა ახლა ისე აღარ არი... ჰო, ჩვენ ვქენეთ, ჩვენ ვქენეთ და ჩვენ
უკან – არა.

- დოდოფალი მოქყავან, საჩუქვარი ვინ ქყავან? გელინ, გელინ, ბიზუმ
გელინო (თურქულად ამბობს, შემდეგ ქართულად – ჩამწ.), შენი რძალიო
დაჟდეს, ფეხზე არ ადგესო... სიმღერას გამოუთქვამდენ იმა. ჰამა ახლანდელი
აღარაფერი აღარ არი. ესენი, გადმითა სოფლები რომ არი, ბევრია ესენი. რაცხა
რომ გასაგნები გაქვან, იქ'ნა უთხრათ'ნა.

საჩუქარი... ემეს გამოუშვებდენ... და ცხვარი, და ყოჩია, ძროხა... ჰო, იმას
გამოუშვებდენ და იმისი გახდებოდა, დოდოფლისა, ჰო, დოდოფლისა.

ცხენით მეიყვანეს ქი, ჩამუახტუმლებდენ, იმას ქვეშედან ემე ჰქონდა,
ფარდაგ დოუგებდენ, იმაზე ჩამუახტუმლებდენ, ჰო იმაზე
ჩამუახტუმლებდენ. და ცხვარ გამოუშვებდენ, და ძროხას და... ჰამა ბიჭის
თერეფი, თუ უნდა, იმას დაჰკლევდა იგზე, ბიჭის თერეფი.

- ბაჯლის თერეფი (სხვა მოსაუბრემ შეუსწორა – ჩამწ.).

- ჰო, ბაჯლი თერეფი. გამოუშვებენ იმა. თუ უნდანან იგზე დაჰკვლენ
იმტა, თუ არა და... დოდოფლისა გახდება.

- უწინ ელჩები იყო, ელჩები... აბა! იმგვარი ემე იყო ქი, დოდოფალი, ერთ
წელიწად არუნიებდენ, არ აძლევდენ, ერთ წელიწად, ორ წელიწად. მე ორ



მისლაზე ემე ვქენ... მე გევიპარე, ჩვენ ორთავ ბაჯანალი ვართ, აბა რადა?! (იქ მყოფ ქვისლზე ამბობს – ჩამწ.).

ჩვენ ანნი ბაჯანალი ვართ, ამან მეიპარა.

ერთ-ორ წელიწად არ დეგველაპარაკენ. სიმაგრმა ბარსამხან არბენია ესენი, ჰამა მემრე დეებარიშა.

- გოგოს არ ენდომებოდა, მე წევყვანდი გზაზე? ამ სოფლის გოგოა,

... გოგო ღამით, ახშანამაზი იყო... ორმოცდაცხრა წელიწადია.

- იმდენი არ არი.

- ორმოცდარვა წელიწადია, ოცდარვა (უჭირს ქართულად რიცხვების დასახელება – ჩამწ.). ოცდათვრამეტი (გაუსწორა ქვისლმა – ჩამწ.).

- ჰო, ოცდათვრამეტი, ოთუზ სექიზ სენე, ოცდათვრამეტი, ჩემიც ორმოცდათერთმეტ... ორმოცდაერთი წელიწადია. მე ოცდაორი-სამი ვიყავ, ოცდაორი წელიწადისა ვიყავ კი. ესკრობას ეტყვიან, ორ წელიწად ესკერი ვიყავ, ჯარი-მია? რას ეტყვიან? ჯარში წაველი, მას უკან მუელ. იმ წელიწადზე ემე ვქენ.

ბაბომის არ უნდოდა, ანამისი არ ჰყავდა ზათი, მომკდარი იყო, დედა არ ჰყავდა.

სხვაგან უნდოდა, ბაკალასაც ამის თავი უნდოდა, გოგოსაც.

(აქაური იყო? – ჩამწ.).

აქევრი, ჰო.

ა იმისი სახლიც, ამ... ჰაწა სახლი რომ არი, იმის ზემოდან არი, ჩემი სახლიც ამ უკნედან არი, ამათი სახლი რომ არი, ამ გზის ზემოთ, სერში.

(მოპარულ ქალს სახლში ვერ მიიყვანდი?)

ვერა, ვერა. სხვაგან წეიყვანა, სოფელგარეთ.

(შენს სახლში რატომ არ მიიყვანე ბაჯანალი?)

მამინ ესა სუჩლი გახდებოდა, ქი... შენ მათაპარვიეო.

- მე დამაბრალიდენ.

- ამა დააბრალეზდენ, ამა!

მემრე დავბარიშდით. ველარ შოუძლო ბაბომისმა, აქა... მესელა... ცოტა... წინ... წინა ემიები არიან, ვინცხას პასუხი ემე აქ, იმას წასწევდენ წინ, ისინი მივიდოდენ, დააბარიშებდენ.

„დაბარიშება“ – გაბუკული ვიქნებით და დეველაპარიკებით.

არ დეველაპარიკებით - „გაბუკვას“ იმა ვეტყვით; „დაბარიშება“ - შერიგება, ჰო! „დაბარიშება“ თურქია არი, „გაბუკული“... არ დეველაპარიკები



„გაბუკული“ისაა, ბუკი პირსაც ქვია, ჰამა „გაბუკვას“ არ დევლაპარიკებით, იმას ვეტყვით.

- ეს წარბი, ეს – წამწამად, ესა „თვალის დახუჭვა“, ვინცხას რომ მათყვილეფ, არა? (თვალის ჩაკვრაზე ამბობს – ჩამწ.). რაცხა შეგივარდება თვალში, წუელა შეგივარდება. ამისი ნათქვამი ბევრი რაცხადსთინ იქნება (თვალის ჩაკვრის სხვადასხვა მნიშვნელობას გულისხმობს – ჩამწ.), „იშმარი მისცაო“. „იშმარი მისცაო“, - ისე ვიტყვით. თვალებს ქი დოუხუჭავ, ემეს იქ, „იშმარი მისცაო“. სხვა სიტყვა არ არი.

- ეს ცხვირი. აქ (ჩაღრმავებულ ადგილზე ამბობს – ჩამწ.) არაფერ არ ვიტყვით. „კეხსაც“ ვიტყვით, „კეხი“, „კეხი“ ჰო, „კეხი“. ჩავარდნილ ალაგ „კეხ“ ვეტყვით, „კომბოხოსაც“ ეტყვიან. იმდენი არ ვიცი-და.

ცხვირის ნეშტო. ესა ტუჩები (ლაწვზე მიუთითა – ჩამწ.), ესა „ტიტვირი“, ესა ლოყა არი, „ლოყაც“ ითქმის. ეს გურჯიჯა „ტუჩია“. „ტუჩები დოუწითლდაო“, ვიტყვით, გაშავდება – „გოუშავდაო“ ვიტყვით, გაწითდება – „გოუწითლდაო“. „გოულამაზდა, გოულამაზდა“.

ეს - ყური. მაგას „ქუფელას“ ვეტყვით (ყურის ბიბილოზე მიუთითა – ჩამწ.). ზათი თურქჩაც „ქუფელა“ არი.

გურჯიჯაც „ქუფელა“ ებნევიან. „ფარფალასაც“ ეტყვიან, ესენი „ქუფელას“ ეტყვიან; „ყური დოუწიწა“, ჰო „ყური დოუწიწა“. გაჰერსიანდები და ემეს იქ მაშინ და ... „ყური დოუწიწა“.

ეს ნიკაპი. ეს – თავი. „თავ“ ვეტყვით ამას, „ხაპერ არ ვეტყვით, ესა - „ქელი“. „ქელი“ არ ექნება, ამა თმა (გაუსწორა მეორემ – ჩამწ.).

თმა რომ არ გექნება, „ქელია“.

იმას კომისთვინ ვიტყვით, ამ კომისთინ, აგზე თუ ემე აქ (შუბლის ნაოჭზე ამბობს – ჩამწ.). ორი ღარჭი'ნა ეყოლოს, სამი ღარჭი'ნა ეყოლოს...

თქვენ რას ეტყვით? არ ვიცი, ჩვენ „კომ“ ვიტყვით, მართალია, ტყვილია...

სამი თანე მყავს. „კომი“ ეს არის, შუბლია.

„კომი“ ერთიე ემეს ქვია, დათესვენ და ამოვა, მოჩოშტას გავს ცოტა, ხაპი. იმასაც „კომ“ ვეტყვით; შიგანად ცარიელია, წმინდა ტარი აქ, იმა „კომ“ ვეტყვით. იმაჰაც, ამაჰაც „კომ“ ვეტყვით. ანი, შენი დავთვალო (მერი ცინცადის შუბლის ნაოჭებს ითვლის – ჩამწ.), ერთი, ორი, სამი, ოთხითანე გყავს. ტყვილი, ტყვილი ყოფილა ის.



„თავ“ ვეტყვით. ძველებ ეცოდინებიან ბელქიდა, მე არ ვიცი, ძველებსა ეცოდინებიან.

ე - „ნიკაპი“, ჰო. ე – ყია, ყია. ესა – გული, აგზე გულია. ყირყიტონი შიგან არი. თქვენ ხოჯები ხართ უნივერსიტეტში? ღარჭებ ასწავლით, არა?

ბობოლი? გძელი ემე ის არი, სხვა რამეს არა, გველი, გველი, ბობოლი იმა ვეტყვით. „ფინთიშეს“ ვეტყვით.

„ფინთიშესაც“ ვეტყვით, ჰამა მისი სახელი „ბობოლია“. გძელი ემე არი-ა? გაცურდება. იმიდან გვეშინია ჩვენ, არავისთვის არ უკბენია, ჰამა გვეშინია. დემირლიც არიან, მანი, ბევრი არიან აქა, ყორეებზე იციან... ქვიან ალაგებში იქნებიან, ჭალეებშიც არიან.

მე ეხლა აქ თუთა'ნა მეჭამა, ჩაველი და... თუთის ძირიდან ერთიც წამოვიდა, ჰამან დეიყეყელა თავი, ასწია; დიდი იყო. ერთი ქვა გევიქნიე, გეიქვა იშტა, ჰამა მოვკალ, არა, არ ვიცი, გეიქვა. სახში რომ მოვა, შენი ემეე გახდება, არ'და მოკლავ, იტყვიან. კიდეე მოვა ისაო, ერთთანეს მოჰკლავ, მეორე მოვაო და გიკბენსო. დანახული მაქ და მოკლული არ მყავს.

ჭიაყელად, მეშველად, ი მეშველად, მეშველადც იმფო მოკლეა ის, ასე ... ონ სანთიმ, ონბემ სანთიმ, ქვიან ალაგეფში არის. ჩვენ სახლებში. ხვლივი სხვაა, ხვლივი ეფილია,, ამ რენგზე, აგზე წყალი არი აგზე, ამ რენგისია. ე, შენ გაცვია, მაგ რენგისია.

კუდ აქანებს, ჰო; მევიგონე, დამავიწყდა, რა ვთქვი, დამავიწყდა... მეშველად, მეშველად. მეშველად ხვლივზე პატარაა, ასე კუდ იქნევს, დარბის სახლებში. ზარალი არა აქ იმა, არავის არც უკბენს. ამ ჩვენ სახლებში, დეფნებში, შემის სახლებში შამუა. ხვლივი, დეგმა არ შამუა, ხვლივი უკბენსო, ამბობს, იტყვიან, ჰამა.

კოშზე მიახტებაო.

კოშზე მიახტებაო, ჰამა არავის არ მიხტომია.

(იმას რა ქვია, ყართოფას და იმას რა აფუჭებს?)

ბოტოტი, ბოტოტი ქვია, ილაჯ იმას ვიჯებით, ვფუმფავთ და ვხოცავთ. დერმან ემეს ვიჯებით, დერმან გავათხელებთ, ვიღებთ დერმან-და, ჰო, ფომფაში ჩავასხამთ, ზრუგზე მედკიდავ ფომფას, იმა აქნევ, ასე ვფომფავთ, ასე



ემეს იჯება, აშხაპებს ყართოფების ფურცლებზე, ისენი დეინოცებიან, ჩაცვივიან ძირ.

კალადა, კალადა!

არა, არა, ჩემი ნათქვამი სხვა არი, ბოტოტია, ბოტოტი ხრავს. ხრავს, შჭამს ი ფურცელს... წითელი ბოტოტია, ქერქიანი.

კალადა ქი უხტება ის არი; ჭალებში არი, ბევრი არიან, ბევრი. ისენიც შჭამენ, ჰამა ჩვენში ისენი არ არიან. გაღმა სოფელში არიან.

* * *

იმას ციცინათელას ვებნევიტ, ღამით ანთობს... საიდან ანთობს არ ვიცი, ენთება ღამით. იმა ციცინათელას ვებნევიტ, თქვენც ებნევიტ „ციცინათელას“?

* * *

ა, თისარტყელადა, თისარტყელადა, თისარტყელადა, „თისარტყელას“ ვეტყვიტ. რენგ-რენგ დაჰა დეეყუდება ასე, აქიდან ე იქ გადავა. თქვენ იმა რას ეტყვიტ? აქაც იტყვიან, აქაც იტყვიან. გადახტები ზედ, ქვეშ, ბიჭი თუ ხარ, ბაჯალა გახდები. ბაჯალა თუ ხარ, ბიჭი გახდები. არ გედეიხტუმლება და იმაზე ამბობენ.

* * *

ეს ჯინჭარია, ჩვენც ვკრეფთ, ჩვენც. ახლაც ვჭჭამთ. ზამთრისთვინაც ვინახავთ. გავახმოთ, ის კადა. აქ იცინა.

- კადაო, იტყვიან.

ზეთ ის იქნება, თოხუმი ზეიდან, დასათესი, იმა მოჰკრეფენ, გაახმობენ იმა და შეხრესენ, ლამაზათ შეხრესენ და შუშეში ემეში ჩადებენ, თაფლ თქვენ ეტყვიტ. თაფლი!. თაფლის ერთგან უურევენ და ჰასტანლული რომ იქნებიან ადანი, უგოვლელი ჰასტანლული, იმა ისე აჭმევენ. ეშილ ფურცელსაც ახმობენ, ადულებენ.

ძველ მუხტრის ქალია, ის ალაპარაკეთ ახლა, ჩემიდან გეყოფიან.

უგოვლელი – ავატყოფი რომ ვერ დადის.

ავატყოფებს უყურებთ, დოხტრები ხართ თუ არა? დოხტრობა არ გაქვან?

- ჩემი სახელი? ნიზამ ბილმინი. გურჯული გვარი არა მაქ. რაცხა არის, არის. ძველები მოსული არიან. ერთი ამბობენ ბათომიდან, ერთი ამბობენ – მაჭიხლიდან, ისე, იმიდან... რა ქვია? ფოცხოვიდან, ფოცხოვიდანო....



დედებმაც ჩვენსავენ იცოდენ, არ იციან. სამი თანე ძმა მოსულან აქა, ამ სოფელში დამყდარან, დემურჯი ყოფილან, ჰო, იშტა, იქიდან ამდენი გახდილან იშტა, გაბევრებულან.

* * *

სოფელი ჩაქველთა, ახალი სახელი „შენოჯახ“; ახალი სახელი, ორმოცი წელიწადია ანჯახ არის, შეერქვა. იმაზე წინ „ჩაქველთა“ იყო. სხვა სოფელზე ერთად ვიყავით, მაშინ „ყაბაშ“ ეტყოდენ.. ჩაქველთა ესკიდან ბერი „ჩაქველთა“, ძველი სახელია, არ გამოცლილა.

„თა“, „ჩაქველ თა“ (გვიხსნის – ჩამწ.), ზემოთ ქვა არი მაღალი, მაღალი ქვა არი. ჰემ დუშუგი ალაგიც არი, ჰემ თიანი ალაგი. დაბლაც არი, ჰემ თა არი, ჰემ დაბლა არი. ა იქ არი. გადაღმით არი, ემეა, სოფელია, გურჯისტანის სოფელია, ჰამა ახლოს, ვლაპარაკობთ ჩობნები, ძროხას ამუებენ, ველაპარაკებით ერთმანებ, ჰო, ჰო, დოუძახებთ ერთმანებ, ისენი ლოცულობენ, დოუძახებთ, დეველაპარაკებით, ჰამა აქიდან და აი გაღმითა სახლია, ამ სიშორიეს; მივხდებით, ჰო, მივხდებით. ჩამოიდეთო? – ვეტყვით. არ ჩამოხვიდეთო, ქი დეგიჭირვენო და ახლა, ახლა ჩადიან უჩუმალი, წავლენ, დაჯდებიან, დეელაპარაკებიან.

მე დემიჭირეს, რუსების ესკრებმა მე დემიჭირეს, ჩომას ვაძუებდი-და, დემიჭირეს, მოვდენ თოფებით. ბაღვი მეხლა მე, ძველ დროს, თორმეტი წელიწადია. ახლა აღარ, კიდენ დადიან ისენი, ჰამა დღივ არა, დღივ არ არიან. დემიჭირეს და იმან დიდ ვინცხას ელაპარაკა.

- „რამდენი მეტრო გოუვლია, რა იჯება, რას იჯება?“

- „ჩომას ამუებს, ძროხებ ამუებს“ – ისე უთხრა ჰერალდა, მეტროც გაზომეს, რამდენი გემივლია (რუსები კიდევ ხან-ხანს დადიან).

ჩვენ (=ჩვენმა) ჩობნებმა დემიძახეს, გეიქეცი, ქი მოდიანო, იმათვინ, ჰამა ვერ მოვასწარ, ჩემი ჩომა გედვიდენ იქა.

ელაპარაკა იმან დიდ ვინცხამა უთხრა ქი, გოუშვითო. იმ ასკერს ერთი თანე გურჯი ახლავს, ქართველი ახლავს. ისენი წევიდენ და ცოტა უკან დარჩა ის ქართველი, მითხრა ქი, წადი და მეორედ აღარ ამასხაო, ჩვენებურად მითხრა, იმათთან ვერ მელაპარაკა. ახლა გაყოლავდა.

- ჩემი სახელი?

- ზია, ზია ჩოვორჯუ. ექვს თვეს აქ ვცოცხლობ, ექვს თვეს ემეში, რიზესთან, ვსაქმობ. რიზე იცი? ჰაქიმთან საქმობდა. რას ეტყვით თქვენ?



თამამ-მი. ვინცხა ქი დასაკოჭებელი, გასაშვები, თამამ'ში. ვინცხას რაცხა უქნია, იმას მოასხემდენ ჩვენთან, ჩვენ იმას დეველაპარაკებოდით ყველაფერ, მართლა თუ უქნია ი საქმე, შიგან შევაგდებდით (ხელით გვაჩვენებს გისოსებს – ჩამწ.). თუ არადა ილლა გოუშვებდით.

- მეც ჩაის ვაკეთებდი, ჩაის ფაბრიკაში ვიყავ.

- ფაბრიკაში იყო.

- მეც ჩაის ვაკეთებდი.

- ახლაც ზამთარში ისტამბოლში ჩავალთ, ზაფხულში – აქა. ზამთარში ღარჭები იქ არიან. ზამთარში ბევრი თოვლი მოვა აქა; აქ ორი მეტრო თოვლი მოვა იმაზე აქ არ შეიძლომლება(!) ბევრი რამ. ჩემი ღარჭები ბითევი იქ არიან, რიზეს არიან. ამისიც ისტამბოლ არიან. იქ წავდივართ ზამთარში „ნისანი“ რას ეტყვიან?

- „ნისან“ ემეს ეტყვიან... მაისში მოვდივართ, მაისში; მაისში მოვდივართ, იმას უკან...

- „ნისან“ აპრილ ეტყვიან.

- ჰო, აპრილი. ჰა იმ დროში მოვდივართ, გასათოვლებელ დროში წავდივართ.

- ნისანი აპრილია.

- აქა რჩებიან, ჰამა ბევრი არა. ცოტად რჩებიან, ჩვენი არავინ; ოცი თანე რჩებიან, ოცი კვამლი.

- ყველაფერ, ექვს თვე რაცხა გეყოფა, აავსობ ბედელ. გახვალ, ჰამა, შებარგავ კიდევ, გზა გეისხნება, გათოვლდება. ჰუქუმეთი გასხნის, ჰოო, გასხნის გზას. გათოვლდა ამაღამ, ხვალ გასხნის, გეგვიხსნის. ჰუქუმეთი გეგვიხსნის, ჩახვალ, ედღებ შავშეთში, ამოხვალ. იყიდებ ფარაზე.

- აქა სიმინდი, ბუღდა... ყველაფერ ჩვენ ვიქდით, ამა ახლა ველარ გვიქნია, არ ვიჯებით (იმათ ქი ჰამენ, ღორები არიან-და, ღორები).

- ზათი იქ ვიღებთ ფარას, სათლელ. „სათლელი“ ფარას ქვია, ფული, ფული. ქართულა „ფარას“ ვეტყვით ჩვენ, „სათლელსაც“ ვეტყვით, „ფულსაც“ ვეტყვით. „სათლელი ედღე?“ მესელა, ისაც აანი, ისაც აანი.

- ემექლი ვარ, ოცი წელიწადია ემექლი ვარ. ახლა აღარ არი, ჩვენ დროში იყო-და. ახლა სამოცდახუთი... ორმოცდათხუთმეტი წლისა, სამოცი წლისა'ნა გახდე. ჩვენ დროში ორმოცი წლისა ემექლი ხდებოდა., ორმოცი წლისა ვიყავ.



ახლანდელი დოლარით ვთქვა მე, ახლანდელი დოლარით სამასი და ორმოცდაათი. ვყოფნილობ. ამა ექვსასი დოლარის ამღებელიც არი. ორეთმენები, მემრე ბევრი მსაქმებელები დაჰა ბევრ იღებენ.

მე ვისაქმე ოც წელიწად და იმაზე ცოტას ვიღებ. ცოტადც არ არი, მე ვყოფნილობ, ვყოფნილობ.

მე ახლა ჯამეში'ნა ჩევიდე. იქაც ჩამოძოთ, მეძარეთ.

- ბეთი ხმა აქ ფენა. მე კამიონი მეგონა. ერთი კაცი მოიდა-და კამიონის ხმა იყო. ახლოა... ჩავლაზე დაგანახვებ (გამოქვაბულზე გვეუბნება – ჩამწ.), შეხვალ, ჰამა ისე ბნელეთ არი და იშილი'ნა წეილო. არ დავკვირვებულვარ, არ ვიცი, ჰამა ეფედხანია, ჰალა ღარჭობის დროს გევიდოდით ბაჭლები, გათხვეული არ ვიყავ. ახლა ძნელი არ არი ემედ, ცოტა აღმართია ჰამა...

საუბრობდნენ: ნიზამ ბილმში

ზია ჩოვორჯუ

ხასან ბაირახტარი

ფეზმეგულ გუნდაგონი, 60 წლის

ემსალ ირჩი, 53 წლის

აქ ვარ, აქა, არსათ არ წევალ.

შვილები მყავ...

ჩაქველთური წყალია...

რე ვიცი..

ა' ვიცი, ტყვილი რაფერ გელაპარიკო? ა' ვიცი.

ზემო, ემე არიან, თურქები. იქა ბევრი მაჰალეზია...

შენი ოჯალი თურქა.

მალლა თურმანიზე არი, თურქა არი...

დიდი ჯამე არი, სალოცველი, იგზე ვიყავი. ქობღლეთ ვიყავი, რაცხაეფ ვეწიკებოდი. რიზედან მანქანებ დუუდებდი, ვეწიკებოდი.

ფული ვაწვინე, ემექლი გავზდი.



აქა, რიდამ რა მოდის... ვაშლი მოვა, კაკალი არი, ყურძენი, სხალი, ყურძენი თეთრი, შავი, ადესაა... ქერი მოდის, ვთესვედით, აღარ ვთესავთ, ქართოფ ვთესავთ...

ამნი ვართ. აჟარადან გადმოსული ვართ, ბაბამა თქვა. ჩვენი დაილა იგზეა, ჩანს. ჩვენი ძველი სოფადი ბაირახტარია.

ძველი გვარი აღარაა, ადგა. ახალი გვარები მოვდა, თურქული...

ერთი, ორი, სამი თანე მეჰელეა. ამას გაღმეთი ქვია, იმას - ლაზეთი, იმას ზედავრი მეჰელე ქვია. იმა - მეგრელები, იმა - დადიენთი. იმაში არიან, ბათუმში, დადიანები.

აქ ღელე ქი ჩადის, რაბათის ღელე ქვია. შერთული ქი გამეძარეთ, ყალე რომაა, იგი რაბათია. ყალე ახლა დაანგრის, ალთუნი ნახეს. მინდორი ქია, იქა დუზზე დორთ ქოშალი ციხე იყო, დაანგრის. ქვაზე ნაწერები იყო... ღამით მეეთხარეს... მეთაბრა ქვია იმ ადგილ. ქვემოდან ქილისა იყო, ზედდან ყალე. აქავრელებმა დაანგრის, ოქრო ძებნეს... აქ თურქი მაგას არ გეძკითხავს. თურქი კაც კლავს და მაგას არ გეძკითხავს.

ჰასანად ვარ, ბაირახტარი, აქდემირი.

აქავრობებში მაქ ყანა.

მეთაბრას ეტყოდენ ამ ციხეს. აქავრელებმა დარგეს ეს ნიგზები.

ავჯობას ვიჯებოდით. ღორ. დათვ, მგელ ვკლავდით. ყოლლამ მოდიან. ახლა დასაღია. ერთი დათვის მოკლა ალთი ბინ ჯარიმაა.

სოფლიერმა გააკეთეს ად ჯამე.

მე არა მყავს შვილები.

ზამთარში შავშეთ ჩავდივარ. ისტამბოლშიც მაქ სახლი, ქირაზე. აქ გავწუხდები, ჩავალ შავშეთში, ამათი ბაბოდ ისტამბოლშია.

ამოდ, ჰაიდე, ამოდ, აქ მუა.

საქონელი ვასხამთ: ჩომა, ჯარი ავასხამთ, რიზეში გავასხამთ, თრაპიზონში გავასხამთ, იქ ვაკლევებთ. ძვირი ღირს ხორცი. ქილო, თურქის ფარა შვიდი მილიონი. აქ ცუდათ არ გემძლება, ბათუმურად არაა. აქ ფული ვერა ჰთხოვ ვერავის, არ მოქცემენ. შენ მამლარი'ნა იყო. შენთან'ნა მოვიდენ. ორმოცი მილიარდი ასაღები მაქ, ვერ მამლევენ...

ჩომას ცყიდი, ჰო...

დაილა გვაქ სარიჩაირი. ჩვენაც იქ ვართ. ვლაპარაკობდი ხულებებში, იმათ ეშინოდათ. იქვერი ქალი წეთილეთ არი.

ძველებურიც არი, ახალიც არი. ად სახლი ირმი წლისაა, ოზდაორი.



ამ სხალ წარიას ვეტყვით. თოვლი ქი მუა, მაშინ მუა, თავერეჯულაჲ არია, სახელები მე არ ვიცი. ზიზნაური, შექერ ვაშლი, ბერვაჲ... ეს ლობიო თეთრი ლობიოა, ჩორბალული. შავშეთი (ლობიო ჯიშია – ჩამწ.) აქ არ მოდის.

აქ მოდიან, იქვერი ენა ვერ ვიწავლეთ...

ამ სოფელში იყო, კაცი მუუკტა, ფარა დაშჩა, მევერედ გეეთხვა.

მღერა? ძველებმა თუ ახლებმა? აბა არ იცოდენ? მე არ ვერეოდი მაქვერ საქმეებში. სიმღერას დუუდინგლავ, ჰექიას დუუდინგლავ, ყოლაფერ დუუდინგლავ იშტა.

შეატანე ბისქვიტი. დალიე ერთიც, ერთიც...

სახში შევალთ, ამაღამა დარჩით აქა.

ფესტივალზე არ'ნა გახვიდეთ? ახლა'ნა მოვიდენ თქვენიდამა.

ვოტკა არ მერჩოლება, ბევრ დავლევ. ახლა ალთმიმ წლისა ვარ. ვისკი დავლიე.

ამ აჭარული ბულუთებია. იმ ბულუთებ ხედავ? იქამდე მისული ვარ აჭარადდამ. ჩვენი მაილაც იგზეა. იქედამ გადმასხი საქონელი.

ყალეზე'ნა ახვიდე, მანქანიდამ'ნა ჩამოხვიდე, ფეხის გზა არი, გეარო'და ციხის იქით, ძუზ მეთრო, გზაც არ იქნება, ახვიდე'ნა ყალეში შიგან, ხუთასი მეთრო შეხვალ. მაღარა ციხის იქითაა... იმისი წამოსული წვერი აქ გამოსულია. მაღარა ოსმალლი დევლეთ უხმარია. თამარა ქალი ყოფილა, იმა უხმარია; იქა ქვიებზე მაღლა მაზებია, ჩემ მუხთრობი დროში, ჰოდა იქა ჩავტენეთ დინამეთი და გავხეთქეთ ქვა და კლდეში შიგა სილაჰი ამოვღე...

მაღარაში მეც წამულ მალე იყოს, ჰამა, იქ ველარ ამულ. მაზები არი იქა. ოსმალური მაზი არაა, რუსის მაზ ვეტყოდით. იქ ზეით კიდევ ძველებური სილაჰი იყო... მოვდა და მითხრა წვერიან კაცმა, ასე წვერი ქონდა, ჰიდამ ხარო, დაჟდა.

ართვინიდამ ვარ-მეთქი, ჩაქველთას ეტყვიან-მეთქი.

რაბათი ახლოაო? იმამ მითხრა, იქიდამა ჩამოსული ვარო. ერთი-ორი ადგილი მითხრა ოქრო არიო. ვნახეთ და არ იყო.

თერორი იყო მაშინ. კაცებ კლევდენ-მეთქი და დევლეთი მამლევდა თოფებ-მეთქი.... ფული თუ გაქ, ყველაფერი გაქ. იფხრევლაც არი მაღარა, ყალეც არი, ბრევილი არი. ყოლა მედარეთ?

აქ ესკი ხრისტიანები ყოფილან. ქილისა ქი ყოფილა? იგზე ელიაწმინდა არი. ქილისა არალი. წმინდა ემე არი.... ელიაწმინდის იქიდამე, სერზე ისი



არი... დუზია, ქუნდი ჯვარი ქვია, დიდი ოდა არი, დანგრეულა და... იქიდან თელი ჩანს. საზგირელზე ჩვენც გავდივართ.

ა იქ იყო, დარვიეთი არი ერთი გაღმით, იქაც ქილისას ნანგრევები არი ერთი გაღმით. დაბლა რაბათი არია, აქ ამეარეთ, ერმენები ყოფილან, ჰო იქ ქილისები ქვები დამჩალა. იქიდან წასულან, იმათ ჩვენი ემეები, დიდვანები დაწმარებიან, თურქებიც დუუჯოციან და ბათუმ გადასხმაში უშველიან იმათთვინ. აქიდან ბათუმ წევდოდითა ჩვენ, იქ ჩევდოდით, ჩვენი დედეები იტყოდენ, ზოგნი დაჯოცილან ერმენები, იქ არ მუუკლიან.

იქ მა ქილისა იყო, მადა ასკერი. ზველათ აქ ზათი ქართველების დევლეთი იყო, იქიდან უყურებდენ.

ნაღები დინდება, მერე ემე... მაღი ცალკე გეერჩევა, მემრე მიორე შედგება, ყველი გახდება, ამეაღეფ. დავხრესავთ იმა შეში გობებში... შეთბება, მაღით მოხრაკული გაკეთდება... შეშის კროჭში ჩავტენავთ...

შენ რას უძახდი?

ჩუმ არ გეველებდი. დიდი ქი იყო, ვთლიდი, ჩუმ არ გეველებდი. ის მეტყოდა - ოროსპოო, დედამთილი. მეც ვეტყოდი - ოროსპოო... ღმერთმა ჯეჰენემში წიგიყვანოსო... ისე ეტყვიან გონჯი ინსნები დედამთილ. კაა იტყვის, გერმელათ გაცოცხლოს, არა დეადი (დერდი) არ მოქცეს; ღმერთმა ქალი-კაცი ერთ ბალიშზე დაგაბეროს; საცხა წახვალ გზა-კვალი გიგირჩიოს.

დიმინახა, მიმიპარა, იშტა მე, წამავლო ხელი... კაა ბიჭი იყო, ჰო, მიმღერებდა...

ფესტივალზე მიხვალთ ახლა?

თურქულად არ'ნა იყოს ჰიჩ?

საქონელი ათი სული არიან. ქორში, საბძელში, იქში ჩავყრით ჩვენ (თივას - ჩამწ.).

თოვლი. უუუ აქ რამდენი გათოვდება? ზამთარში ჩავალთ ახორში, მუალთ სახში...

იმგვარ თავი ტკივა... ნახევარი მეცოდები, ნახევარი არა... დიგარას ბრალია, აბა რა!

ი დიდი ბიჭია და ად პაწადა.

ღარჭები აღარ არიან, გენჯები აღარ არიან, ოქული დაყაფანდა.

აქა ფაბრიკა, არაფერი არაა. არვინ არაა, ღარჭიც არაა.

შენი არხატაში რომ იყო, ი რე იქნა? მაშინ ჩვენი ნათესავი ხართ: მოლაშვილი-მოლლოღლი.



მეგრელი ინადიო, ჩვენი ნენე ისე ეტყოდა. აქ რაცნა სოდადია, იქაც არიან.

შარშან იშტე ფალაზად იყო, უხსნიდა თელეფონით....

ამას წამოყვია?

ნახმარიც იყოს მომიტანონა. ამგვარი აკორდიონები ბევრი მქონდა.

ყველა ქართველებს სალამი. ეს სასამურადა ორთაბათუმი, დუუკრა'და, თქვენ ისამოთ'ნა.

თქვენიდამ გადმოსული არი ეს, ჰაიდე. ჩვენ აქ დევწავლეთ, ახლა მე აქში დუუკარი, თქვენ გამოგიგზავნო'ნა. მე ჯაპირ ილმაზი ვარ, აკორდიონჯი, გარმონჯი, გვარიც მოლლოლლი მაქ, მოლაშვილი.

დახრესამდე შედეფ, შედნახავ. ანაგორად გააკეთებ კანდრას, ბუზდოლაფში შედეფ.

ბაჯალას რამზე ქვია. ბუზდოლაბი'ნა დედნახოს ჰო!

მაშინ მატლი ჩადიოდა, ისე ჭამდენ. უწინ ერთი-ორი ძროხა იყო. აკეთებდენ, ჭამდენ.

ბექმეზია, ლეჩერს მოჩოჩთად უნდა. ქესტანად ხაპი არი, ერთი მოჩოჩთად არი.

სიმინდი კად არი, კად. ყანას დავწნავთ წარებით. ახლა თრაქტორით. წარები ამოვწყვიტეთ. ახლა მათაღში არიან წარები, აქ არ არიან...

ეჭედებოდენ.

ზაქიეთი, ბელტიეთი, დაბა. გზეები არი.

აბა არ არი'ან, სავსე. ერ თანე ბაჯალას მოქცემთ, ერთ აგართვამთ ყარშიბერი.

ახლა ზმები თავისთივ იკეთებენ. კად იქნებიან დანაწილდებიან. ბაბოდ გაარჩევს, გაანაწილევს. წეძკინდლებენ, მეზობელი მუა, გაარჩევს: სახლ გუუყოფს, მემრე ყოლიფერ გუუყოფს მოზობელი.

შავ ფოშეთში ბალი მაქ,

გოგო შენზე თვალი მაქ,

შენ ანამ არ შეგვიტყვანოს,

ე რასოდ იყბალი გვაქ...

* * *



- მალარა გასწავლათ, არ წამოგყვა?! იმა ტკივა და მე არ მტკივა? წამოკყვე'და, პასუხი მოგე, წამოკყვე'და. თურმანიზე სოფელია. ზედან შევიართ, ევალთ. უკანიდანაც ადის, აქიდანაც ადის.

გეძვიტხო უნდა. ტყვილი ტყვილს იპოვს. თქვენ ტყვილი არ ყოფილიყავით, ტყვილ კაც არ იპოვიდით.

აჲ დედე რამდენის იქნება? სამი წელიწადი და დოქსან ბეში იქნება. ჰალა მამე აქეთ. თქვენით არ ლაპარაკობდა ამისი ქმარი? იგზე ლაპარაკობდა. ჩვენი მიცემა არ იქნება. ემსალა დაწერე იმ სახშია. იქ არ გითხარ, იმ სახშიაო? ტყვილი ტყვილს იპოვს. უპოვნიან ერთი არხატაში ამათ, ჭლიკები მტკივაო, ვერ წამუალო. შედთანქიბი აშხანაყალარ თირფანს თიბავს, ჭლიკი არ ტკივა და.... ჭლიკები მტკივა ჰა? შეშინდა თქვენიდან.

- ჩემი ერთი ბიჭი ოთხი დღის წინ ბათომ იყო. გურჯისტან გაველითო, ერთი-ორი სოფელი ვნახეთ, დავბრუნდითო. მაზუთი ევლეო, ნაჩარი გამომიდგაო. აღმართში არ ეწიკა სულო. მაფათ მომცეს ჰამაო, აღმართში მივადექ, დადგაო. დედილიაო, იმათი აღარააო მაზოთი, ახლა ფრინავს...

ახლა ქი ბენზინში მიველით, დეგვინახეს, სიცილი დედიწყესო. ჰამან მივბტი, ნაჩარი ბენზინი ჩემისხათ'ნა, გოუგენი. ვუთხარ, მე ქართული ვარ, ნაჩარი ბენზინი არ ჩემისხათაო. არა, კაცო, არა, კაცოო. თელი იმგვარია იქა?!

- ოთხმოცდაათი წლისაა. რაზე დაბერებულხარ შენა? სექსანია!

- ჯამეში ვიყავი ახლა. ჩაის ფაბრიკაში ვსაქმობდი. აგი დევლეთის საქმეში, ადლიეში საქმობდა.

არხავე ლაზია. მე არდაშენს ვიყავი. იქიდან გადმოსულან, ლაზურად არ იციან. ამათი ძველები ლაზოდლები ყოფილან, ჰამა მურადოდლებს ეტყვიან. შავშეთშიც გურჯი ყოფილან, ჰამა დავიწყნიან, გადაბრუნებულან.

ორი თორუნი მყავს, გურჯიჯა ატყვებენ, ვერ დუულაპარაკნიან. ჩვენაც გურჯი ვართ, ჰამა თურქჩას რომ ვლაპარაკოფთ'ა, გურჯი ბევრი აღარ ვიცით. რავარ გითხრა, ვერ გვილაპარაკნია.

- ჩვენ მელეზი ვართ, დოღმა, არეული. დოღრი გურჯი თქვენ ხართ, ჩვენ - მელეზი. ჩვენში თურქი ლაპარაკი მოსწონან. თქვენში გურჯი ჩასაწერია, ჩვენში - თურქი.

- ძველათ გუუკეთებინ, დარჩომილა. შეშით არი თქვენი სახლები? ბაზგირეთ ახველით თქვენ? ფესტივალზე იყავით? აჲ სახლი დაანგრის და ახალი გააკეთეს. ამის ემოღსა. ქორი აჲა, მერეგსაც ვეტყვით, საბძელსაც.



გაღმითა სოფელი რომ არი, ქორს ეტყვიან, საბძელს არ ეტყვიან. ესა ტანტრაბა, ჩვენში – დეფანი.

ამისი ხე რომ არი, გაჰხდიან, გაჰხდიან, სახმარო კასრ გაჰხდიან, ჭურჭელი გაკეთდება, კროჭ ეტყვიან... ხის ტყავიდან რომ გააკეთებენ, კოდს ეტყვიან. აჰწონავ ერთ ემესა, ათი, თერთმეტი რომაა, იმისი სათავოდა, ენა, სარწყავი. კოლოფი იყო, კასრი იყო, კოდი იყო, კაპილადა იყო. კაპილადა... წყალ ამოიღებ, დოს ამოიღებ... შეშიდან აკეთებენ კაპილას. ამის ემეა და შიანადა ხაპერადა რომ არი... კოში. ესაც არი. შიანადა ცარიელია... ყიაწმინდაა.

შავშეთში მინავალი კოთხეცია. ქართული აღარ იციან. ძველები დედხოცნენ, ახლებმა არ იციან.

- ღორები თუთას ჭამენ. დათვი მასაღია, მოჰკლავ, არ'ნა შიგიტყვან'ნა, ღორი სერბესია.

- აქა იქნება თხიები, ქიები ექნება, ისენიც იქნება. ისენი აქ არ დადგებიან, გაღმა კვლდები რომაა, იქ დადგებიან.

- ზიარეთი სვირევან არის. დაწვებიან იქ, სიზმარ ნახვენ. ზიარეთი ევლია მეზურია.

- მაშინ ჩვენი ესკერი წასულია. წასული იქა. ისინი, კანეთის ემეზე მომკტარი, კამ ინსანიო, იმაზე იტყვიან...

ყურალი იქნებოდა, დეაწვებოდა მიწა, გააწვიმეო შეეხვეწებოდა. უსტამისს მაილაზე ვიყავით, სად ახველით ჯანუმ. კარჩხალის ჰამან უკნედან. აქიდან წამუა ჩვენი წვიმა. წვიმა ბორჩხის ბარაჟიდან არი. ახლა დენირელის ბარაჟს აკეთებენ, მაშინ აქ ჩადა მუა. ართვინის ამოდდეს'ნა აქამდის. დასამობს ამუა, ჰა. ვიწროზე წამოსულია ღელე.

ვინცხას მეემშევა ჭამოს. ლოკანტადა დოქ. შიერი არ დარჩები, საცხა მიხუალ, იქ ჭამ პურ.

კარი-კარ ხომ ვერ მარს?!

აქა მიართმენ, დააყენებენ. რომელცხა კარზე მიხვიდე, იქ დაგაყანებენ. აი იმ სახლის ერთი დედეა ყოფილა, სობა ბათუმიდამ მუუტანია, აქ ყიდის. ძველათ ბუხარი იყო. ქუთულე ბუუდებდით, შორიდან ვთბებოდით. ლობიას მუუდგამდით, შორვას ვხარჩავდით.

ბათუმი არ ვიცი და რუსიე თერეფიდა შიშას არ წვავენ. ფიჩხი ბევრია...

- შენ კაცი არ გახდები, დაქუხე და... მარტო იყო? ბითევ ღორ ვეტყვით. თექათ იყო, თექათ? კამ ტყავი ექნებოდა იმა.



გამარჯობა! ხანთუშეთი (ხანრი - ახალი) ვერხენალია, ყარადაჯს ეტყვიან, მერე არფალია, ბოლოს ხანთუშეთი, იქეთ დებლათი, კვესაური, ზვარეთი...

* * *

- ამისი ანაჲ თეფე ქოიდან არი.

ზამთარშიც აქ ვართ; ახლა აქ ამეარეთ, ჩვენი ყიშლაჲ იყო. ეს ბევრი ნავალია, თელი იცის მან.

- ბათომიდან ერთი ქალი გამიეთხვა აქა, კაცი მუჟკდა, ხამდა გეეთხვა, მესამედ-სხვა სოფელში.

- ყალეს ქომოთ რაბათია, ასე ხასად დანგრევი არ იყო. ოქრო ნახეს და ემბნეს, ქვები გადაყარეს ღელეში; ხალხმა, აქევრელებმა, დაანგრიეს. ოქრო მებნეს.

- თურქი მაგას არ მედკითხავს, თურქი კაც კლავს და ყალეს არ დაანგრევს?!

- ბევრი იყვნენ ბევრი და ისტამბულ წევდენ.

- მეზობელი, მოკდე, არ აგაყენებს. ისე გახდნენ, წინ-წინ ასე არ იყვნენ; მოკდე, არ შექხედავენ; შეხვიდე, კარებზე არ მოვლენ.

- ონ იქი სენე მუხტრობა ქნა ამან.

- აქ ბაღვები ქი არიან, ისტამბულიდან მოიდნენ. თელმა იციან: „წყალი სვი“, „წყალი“ - „სუ“; „პური ჭამე“.

- ის არი, ცოლი ზეგნებიდან არი, ციხიძირიდან. თურმანებიდან გადმოიდენ, მემიდიოდა, ჩემი კაცი მუხტარი იყო. ახლა დავბერდი. იქ დათვი მოდის, ღორები. ყართოფად დავთესე, ამამიყარეს, ღორები ფენა სუქანია.

- სა'ნა დაჟდეთ? თითო ბარდალი სვით. თქვენ დეგიდევთ; არ დაგასხათ ფეხზე. წავალთ, მევიტანთ შეშის დასაყრელს, პურ გამოვაცხოთ სობაში. აგზე დავდგი და სვით. იქ მუჟტანე, სმენ.

- მარიაჲ იყო, ნანიჲ, იქ რაცხამფერი მიქონდენ, ყიდიდენ და იმას იჯებოდენ, იქ ისხდნენ [აქ ამოვასხი ჩემი კაცისთინ].

- ფესტივალზე არ ახველით? ახლა იმერხევ'ნა იყოს ფესტივალი. მეარეთ იქავრობა. ჩვენ საქმედან ვერ მოვჩებით, სადმე წევდეთ. ბახჩაც მაქ, ერთ დეყეზე ვერ დავდგები.

- დათვმა ირმი კოდი ფათათესი შეჭამა.



- ღამით მუუცადე, საათ ონიქიზე ჩამუელ მე აქა; ვუცადე, ვუცადე, არ მოიდა; ერთი შეეხედე, მოდიან, დანგ-დუნგ იჯებიან. ტაშ აგორებდა. ვესროლე,

ირმი ბეშთანე იყო, იქა ჩადიოდა.

- შინ ვიყავ. ერთი შეეხედე, საღამოზე – შუაღამეზე ყაფი მოცხო, გუულე, შამოიდნენ ქალები. თელები ნაკითხი იყვნენ, ერთი არ იყო ღამაზი, მიერები ღამაზები იყვნენ. არაბით ამოიდნენ.

- ეგა მერჯიმეგია. ხახვ დავჭრით, მოვხრაკავთ, მერჯიმეგ ჩავაყრით. ერთ თანე მარილიც ჩუურევთ, ბიბერი, ნიორ ემეში ჩუურევ, ჯავეში. ღამაზი მოდის. აადულე, გააცივე ისა. ნიორი გერმელი მოდის ქი, ჭვამთ ღამაზად.

ჰალვა არ გიმიკეთებია. აქ არ აკეთებენ., ტათლი არ ვაკეთებთ. მეც ავათ ვარ.

- მე პურ ვაცხოვ, ხმიადი მაქ, ცოტა ქუფრია.

- ემსო, ჩაი მედტანე!

- ამას მადა აქ. ეს დაღში გამუაცხე, თუ გინდა, მაწონს შეატან, თუ გინდა, თაფლ მაწობ. შენც ჰელბეთ გააკეთებ. მადა ჩუურიე, გასუქდება, ჩას შეატან, თხილს შეატან ჩაის, ისე გერმელია.

- გვაქ ყარა ბიბერი, ყირმიზ ბიბერი.

- იქავრულები თელი ორითმენები ყოფილან. ერთი ქალი მოიდა, ღაზი იყო დევნახე, ეს ჩვენი ვინცხა არი-მეთქი. არხატაშები არიან, შემემინა, რაცხა'ნა დაგმართონ'ნა. ერთი ქალი მოიდა-და აქა, ჩვენსა. იქ ემეში გათხოვლი იყო, რაბათ. თელეფონ გუუსხნიდი, რავად ხარ-მეთქი.

- ბახჩაში გამეგვიდე. ჰადდე, გევდეთ და სოფლებ დაგანახვებ. გზა-გზა გაგრონიებ, იქა ბახჩა არი, აღმა. ქომოთ ჩეგვესხა, ბევრი ქალები არიან.

- ინსნის ხორცი არ იჭმება, მეზერში რა'ნა წედლო? ინსნობა'ნა წედლო.

ინსანი ხომ არ'ნა ამოთხარო?

- აქ ყალეზე ახველით?

მალარა მართლა არი!

საუბრობდა: ემსელა იჩჩი-აქთემირი-50 წლის.

მანატბა

ახლად ჰა მიხვალთ?

- ააგზე მაკითხეს გურჯი ვადზი და წამედღეს....

- ერთი ჩად მაინც გვესვა, პური მაინც გვეჭამა...

- ახლა ააგზე გამოვდა და ხმა არ აქ...

- მიორე მოსლაზე აათავევ...

- ვერ შესულა შიგა, იტყოდენ წინ-წინ ბერები, დაშლები იტყოდენ, ჰო. რა ვიცით იშტა. ეს დიობანია. წყალსიმერი მიღმაა. აგზე'და შეხვიდეთ'და. გურჯები მექტები კარშია. აქ ჩამოვლენ, აქიდან ჰა. ბერები ახლა ჩამოვლენ. ად ჩემი ტადა, ამან იცის ჰა. დეთმიშ ალთი გედედარა ა...

დათვი ანჯავფეს და ისე ჭამს.

აქაური სახელებია: ტყიპირაა, ჭოჭები, კონზოლები, გვალაა; ტბა ყოფილა დაარქვეს მანატბა. ფენა იწვიმებს, ქარიშხალ ვებნევით. ამა რუს ვეტყვით, გუდუუჭრი, ჭალაში მიცემ, ნაკადი გახდება.

- ზოგი სოკო ალერებს. ცხვარაა არი... ცეცხლზე გააბრაწებენ, ჭამენ.

- სოდადი დამაბიწყდა.

- დაჩუმდი'და, ვერ გიმიგონია.

- სულ ზედთ კი დაბურულია, იმა ჭერ ვეტყვით. ამის ზედთ ერთი ყათია, იმა ზედთ თავანი. დაწოლამდე აგზე ვიჯდებით, დაწოლა უკან წავალთ ოდებში. ამა სალონ ვუძახით. მუთმადი პურის საჭმელი ოდაა. ამა დირედ ვუძახით.

- ჩემი დედა ჭუარებიდან არი, თურქია.

ლურსი ბითთავა ამას აწვება, არ იყოს, ჩამოწვება.

- ციხე არ ვიცოდი, დევწავლე. სამ დღეს ვერ იცოცხლებ, მოკდებიო, ვერ დაჟდებიო, ვერც ადგებიო... რა დეეშავებიენ იცი? ერთი აქიდან გადმოვიდენ, ერთი საქონელ გაგაყიდიეფო, გადმუარეკია ჩომა და არ ევდა. დედჭირეს, გონჯი კაცია. ფული ვერ იპუა, არ ევდა, მატყვილა.

ჩვენ თაზე ავდივართ, ლუდუდ ვუძახით, წამოვყვანთ ჩომას. დეფი იყო.

ერთი აქ მეზობელი მყავ გაღმა სოფლიდამა, ქალები იყვნენ, გაკვებილი, გაკვებილი ქალები...

ჩვენ ჩვენი თავრობა გვაჭმევდა, გვასმევდა, მოვდა თქვენი ოზალი და პური გაგვიმწარა.

- აქ ისაქმებ, ჭამ, არ ისაქმებ, არავინ მოგართვამს.

- ჩვენ ყავეს ვებნევით, ამა ფინჯან ვეტყვით. ჩემი გოგოა-და, გათხოვილია, არდანუჯში, რაცხაფერ მანწყობდა იტყოდა და რაცხა უუხდებოდა, იციო ეტყოდენ. ქართველები ჩაისა დაჰა დიდი ჭიქით სვამენ. ი მალე'და დედლიოს ქი, გემო გევლოთ.



- ახლა ჩვენ დარბაზიშვილ გვეტყვიან სოფელში იქით წევალთ, ალთუნელ გვეტყვიან.

- ისამებენ, იმღერებენ, ის მიყვარს. ხოჯიები კითხვა არ მიყვარს. ხორომი, ცაკვა (ასე რომ შემოირბენს – გვაჩვენა მთხრობელმა – ჩამწ.), ბარი (ნელა ისამებენ), ჩქარა ისამებენ, ხორომ ეტყვიან.

ჩვენ კარიდან გევხედე,
ჭექლოს დაზმა კიდია,
ჭექლოს თუ არ მომცემენ,
ლოცვა-კითხვა ცუდია.
ჩვენ კარიდან გავხედე,
ქარიშხალი მუაო,
ჭექლოს თუ არ მომცემენ,
ახლიშანი (ყიამეთი) მოვაო.

ქალაქში აველ და ისენი მოიდენ, შვიდი-ვრა კაცი იყვენ, ჯამეში ამოდდენ... ამა მემრე დუგუნში ჩემთან დაჟდა, არ მავიწყდებითო. ადგენ, უჭმელი, უსმელი არ წახვალთო. გემექვა გემო, დავბერდი. უწინ, დუგუნში უჩემოთ არ იმღერებდენ. „მოსლა შენი არი, წასლა შენ თქმით არ არი“.

- ჩაბმული ვიქნებოდით, ორი თანე აქიდან ვიტყოდით, ორი - იქიდან. დაშველებიხან ვიმღერებდით. აქავრობა თურქულზე ახლოა და... ბაზგირეთი რომა, იქა ფენა კად გურჯული იციან, თვალი იმაზე დაგვჩეხა. მაჭიხელი ნახევარი გაყოფილა. წყალ იქითად გურჯისტანია, აქეთად – თურქი. ამათი ლაპარაკი დაჰა ბევრი ხდებიან. თქვენი დაჰა ახლოა ჩვენთან. ევდოდით, რაცხაეფს ყიდიან, შავშეთლები გვეკითხებოდენ, ისენი დეფად ამბობენ, თქვენ ბევრ იხდითო. ისენი იტყოდენ ათი ლირა, ამათ ესმიან – დეთი (ერთი?).

შავშეთ ევდოდით, მანქანას გავაგდებდი და იმათ ბაზარზე წევდოდი, დეფად ყიდდენ. ახლა ერთთანე ვერ მუუტანიან.

(მასპინძელი გვაცნობს თავის სახლს, სამუშაო იარაღებს... ჩამწ.):
მერული, ფოცხი, კიბე, ზენჯირი, საბელი//თოკი, ვარიოზი, თოხი//ეჩოპინტრა, გოგორა, სახვეწელი, სატეხი, რენდე//თაბლა რენდე, პლანია – შალაშინი, ქუშტარა – გვერდის სასწორებელი, მათხაფი – „ხეში გასახვრეტი ბურლი“, ჩირფი, წერნაქი...

ერთმანეთზე მიახუტებს, შეკრავს.
გომიძებს!
ნეგო – სუნველაა.



კაცსა რაცხაზე ქი ჭკუა უჭრის, იმას ასწავლებენ,
საუბრობდა: ალაათდინ ალთუნელი (დარბაზიშვილი)

* * *

- ერთიც რად უთქვამს იცი? ჩემი ბაბომა იმიყვანა, ავათ ვიყავი. ამბობდა, იმფერი დრო მუა ქი, კაცმა'და მედბას'და და იფრინოს'და ქი. მილლეთი სახლების კეთებას მუუხშირებენ ქი, ახირზამანი ახლოაო.

იმდენი არ ვიცი ქი, რად გითხრათ. ჩემი დედე ბათუმ ყოფილა ხოჯათ. შენზე ათ ტკაველ ზემოში არ'და გეერიო, შენ ქვემოთ ათ ტკაველში არ'ნა გეერიოთ. ღმერთი სათ არი, შენი საქმე არაა.

- ახლა მემუნნი ხართ შევარდნაძიდაძამ?! უნდათ ჩამაგდონ, ჰამა ვერ გააქანეს. ბურსასკე არ ჩამოდიხართ? მე გევრიქ ვარ. სხვამ თაფლი ჭამოს, შენ ტიტვირები ილოკე. იმან ფარა ედლოს, შენ იყვირე.

იქ ბევრი არიან, ბევრი. ძველი გურჯები არიან იქა. აქ მარტო ბერ-დედაბერი დავრჩენილვართ. აქიდამ წასულიც არიან ბევრი.

დარბაზიშვილები არიან იქა? თქვენ აჭარაზე ახლოს არ ხართ. ჩვენი ნათესები იქ არიან. იტყვიან, იქ დაჩიძეები არიან შუბანშიო. ჩამოთლიდენ იშტა. გადასლა-გადმოსლაზე ზღვა (ზღვე? – ჩამწ.) დუუდვიან, მარა უჩუმარაა გადავდიოდით ღამეო, ბაბა იტყოდა.

- ჩვენი ჯიჯანიძეები არიან თუ არა? იქიდან მოსული იქნებიან, იქიდან. ჩვენი ალაგი ზველი არ არი. ჩუნქი რაზე იცი, ბერები ილაპარაკებენ, ჩვენი დედენუმ დედე აჭარადან მოსულა.

ერთი ქილისა რაბათში იყო, ერთი ტიბეთში იყო, მე შევდიოდი ქილისეში ჰამა, ჯამეთ უხმარიათ, ჯამეთ, ეშინოდენ მილეთ, ჰოდა შიან სურათები იყო და გუუმურვან, ცეცხლი მუუცემიან და გუუმურიან, მერე დაანგრიეს. უჩ თანე ფოტოგრაფები იყო. დიდრვანი ფოტოები იყო (დააზუსტა მეორემ – ჩამწ.).

მაჭეხლელები „ფუმ“ უძახიან. ყრალი სული უდინს ანწლის ფურცელ... ცაცხვის ყოვილი... ჩემ რძალმა მოკრიფა და მზისუდუნახველი ვახმოფთ...

ყანაში დავასე ხაშარი,
დედამთილმა გამაბღეზა
და არ ვაჭამე ვახშამი...

თქვენ ლამაზათ თუ იცით, ისე დაწერეთ (გაგვაფრთხილა მთქმელმა – ჩამწ.).

სახლ უკნედამ ტყიმალი,
კუნწალ-კუნწალ კიდიას,
იმ გამოვსილ უთხარი,
მე ნუ ჩამომკიდიას.

ზროხა წამედყვანას რომ თქვით, სუნგალი გაჰკრა, გაჩუმდა.

გაღმა სერში აკრიაო,
დასახლება მაკლიას,
ლამაზი ხარ, გოგოჯან,
შენც გათხოვა გაკლიას.
გოგო ეტყვის, თამამო.

რომ კი გაათავებდენ, იმა უკან ვიმღერებდით... ღარჭები შევდოდით,
გვეტყოდენ, შემოდით, შემოდით. შევდოდით, ვიმღერებდით, ვიცეკვებდით...
ღამით, გმელი ღამეები იქნებოდა, ირღათ ვიზამდით. ღარჭები ყართოფ
მუუპარევდით.

ჰა, ჭამეთენა (სიც) (კარტოფილი მოგვართვა – ჩამწ.).

მაწონი შევაყენე,
ე რა ჯავე გამოდგა,
გოგო ქი მოვარჯულე,
დედა ჯაზი გამოდგა.
ე რა მე წყალი მინდა,
გრილოს წყალი მინდა,
შორედან ნუ მიყურებ
და ჩემზე დასალი (სიც) უნდა
ჩემ ანას ძალი უნდა.

საუბრობდა: მელექ ხოჯა ჯიჯანიძე

სოფლის ადგილები? ნაფუზრი თავი, ნასახლევი, ზედვაკე, საკაჯე, სერები, ოქროს საწველები, საბადური, ზნელი, ზაღლიპირიად, საყინაური, უხერეთი, ჩხავრიეთი, ღურღულეთი, სამათვარიელო, ყამჩიეთი, სარტყელად, რობანეთი, ნაკალევი, ჩახლი ახო, თუთუნები, შავტყეები, ჯავრიეთი, ტყიპირად, ჯომყუნა ვაკე, სამელიენთი, ღმაღელითავები, ვაჩანეთური, დიდ ახო, ქათი ჯვარი, ზელ ქეთი (გმელ ქედი? – ჩამწ.). მანატბა ზღვიდამ ათასი და შვიდასი მეთროა, მაღალია. ასი კაცი სოფელშია, ექვსასი გარში.



სელიმ უსტა, ად ქვები ჩაგორება მიშველე და!!! ქორი, საზნესაც ვეტყვით.
კალოს ვლენევიდით ჯარებით.

საუბრობდნენ: მულემ ჯიჯანიძე
აიჰან კოსოლიძე

ვიყავით, ჰამა გეგრიფენ, ათ და ხუთ ანჯალ ვართ; აგზე იხლამური მაქ, იგზე კიბე გევჰაზირე, ვახმოთ და ჩაის ვაკეთებთ; ილაჯია, ავათ გახდები, სვამ და გაგამთელებს.

(ოჯახში ვინ გყავთ?)

- ამას ნუ მკითხავ:

ოცდაორ ნუფუსში გაზდილი ვარ, ახლა მარტივი ვარ; თორუნები ბურსას არიან, აღარ მოდიან. ზათი მოდიოდნენ, მიშველიდნენ. საქონელი მყავდა, გავყიდე, აღარ მყავს, ზამთარში წავდივარ. სამი გოგო მყავს. მე ბიჭი მყავდა, ამართვა ღმერთმა უკან. ჩვენთან გაცივდა, სხვაგან იწვიან, ჩემი გოგო მელაპარიკება ტელეფონზე. მე სობას ვანთებ, ანჯახ ვთბები. შიშას მევტან კამიონით, ჰუქუმეთი იზინს მოგცემს, ათ და ხუთ დღეში მოჭრი, მეტან.

ეგა მეზობელია, გზის ადგილი ჩაწოლილა და აკეთებს. იდარეს ვიჯები, ვხლართავ (გულისხმობს, რომ თვითონ ოჯახობს – ჩამწ.).

ბევრმა იციან, ყურბეთში წასული არ ვარ, მეწავლა. ბახჩა რამდენი მაქ? გავაგდე, სხვანი თიბვენ; აგზე ჩემი დეგანია, იმა მივცემ, თიბვენ.

ორი წელწადია, მარტო ვარ; ჩვენი ლაპარიკი გედემცვალა. თაზე ახვალ ერთ საათზე, აქიდან თქვენი ჰუდუდია, მაწყვალთა არი. გადახედავ დარჩიძეებს.

ჩვენგან თქვენ ჰუდუდში დარჩნენ, ჩვენ აქ დავრჩით.

კარჩხალიდან ჩვენი სოფელი ჩანს, მაჭიხლური ბევრი არიან. ხატიჯე ხალაა არ გეეთხვა. ყარადენიზი არის თქვენში? რას ეტყვით?

ჩვენ ახორში საქონელ დავაზღვევთ; ზღვა იმა ვებნევით (ასე გვითხრა ჩვენს პასუხზე - „შავი ზღვა“ – ჩამწ.).

- ჩვენი დედე ბათუმიდან მოსულა და აქ დამჟდარა;

- შენ დედეს კად ადგილი არ შუურჩევია, წყალი რომ არ გაქ.

- სასმელი წყალი აქვან, სარწყავი წყალი აქვან, გარედან მოყვანილი აქ. ეს

ჩემი ემოღს შვილია.

- ემექლი იქნები; თქვენ რუსებმა ემე გიყო.

ღარჭები მყავს, ერთი ბურსას მყავს, ერთი შავშეთშია, სამი ღარჭი მყავს. სამი ჩავფალ, იმა უკნები არიან.

- მივალ, თაზე მივალ; ჩვენი სოფელი ცივია ფენა, გაზაფხულამდი იქნა ვიყო. გზაზე მივალ. კაცი არ მომდევს იქა, მევრე ღარჭთან წევდე'დაო.

ერთად ჭვამთ; ბადიშები მყავს, თაზე არიან, ღარჭები არიან, გუშინ ჩვენთან იყვნენ.

გურჯიჯა ჩვენი ფენა ჩეთინია.

თხუთმეტი თანე თორუნი არი; ამის კაცი ხოჯა არი.

ოთუზბეშთანე ჩოჯუხლარ აკითხვინა ჩემ კაცმა.

ერთი თანე თორუნი მეზნევა ქი, შენი მოხედვა ჩვენი ბორჯია, არავისთან არ გიგიშვებთო.

ჩემი ემოდ და ბაბოდ ბათუმიდან ამოსულან და აქ დამყდარან.

წყალი თიდან მუშუშვეს და სახში გვაქ, მოსარწყავი არ გვაქ, ღმერთი რწყავს.

დეთმიშუჩ წლისა ხოჯა იყო, ბაღნებ აკითხვებდა, ალოცებდა. მეც მაკითხებდა, ჩემ ბაღნებ მე ვაკითხებდი, დერს მისცემდა, ებზედი ჯამეში არ ჩაკითხებდა.

სიხიში იყო. გორბაჩოვმა გახსნა. აქ ერთი ემოდ იყო, გადმოსული იქიდან. კად იქნა, რომ გეძხსნა. რუსებიდან გავშორდით, გურჯებთან ახლოს გავხდით.

თქვენ იქ გეირჩიეთ რუსებიდან, ადრი ხართ, კადა თუ არა? აბაზებთან ეკინდლებოდით, დაბარიშდით?

აქ მევეყრებით; თორუნები შარშან მოვდენ, თავეთ წელს არ მომივდენ; ერთი ბაჯალა ახლა გავათხუე, თავეთ აირჩია, უწინ სხვა იყო.

თავიდან ემელიეთი გავხდი.

რამაზანს ვიჭირავთ, ღმერთი, მარტოაო და, არ გვიხათრებს, ვაკეთებ რაცხაებს.

ჩვენი რემეზანი ყოფილა ერთ თვეში ყოლთინ, თვეები აჩივლებულან, ათ-ათი დღე წინ მუშუწვიან, ყველა ათ თვეში მოდის. მეორე თვეებ უტირიან. სამ წელიწადში ერთი თვე წინ წადის.

ღმერთი წინ არ გვიშვებს ქი. კაცებმა ბუკი კრან მარტივი, რა დროს ვყავართ, ხელი დიგვისვან.

იმ ყაზამ ბევრი მიღეთი ემე ქნა; სობას ჰიჩ არ ვაპარებთ, შიშა გვაქ.
ესენი აქ მოდიან-და... დუმანამ, ასლანამ, ჩვენი სოფადი დუურქმევიან.
ბევრი გადმოვიდენ, ყიდიდენ; თაქსი ქვეშეთში გადახტა, ამევეყანეთ;
ერთს არაბა ყავდა, საცქვეტავი შემეშალაო.

შარშან ფელჯი გავხდი, ენა დემება, მასკან ხელი დემეკრანჩხა. ღმერთმა გამაკეთა, წყალ მივე და გემსხნა. მაჭახლიდან ორი ხალაა იყო: ხატიჯე ხალაა და ვაიდე ხალაა. მიწიხაპად მიყვარსო, სოფელში არ არიო და აქვენა არი მიწიხაპად. არ გეეთხვა, ბაბოს'და მუჟაროო, ბაბომს მოკდენამდე დრომ გიმიარაო. სახლებ უგვიდა ფართით. ერთი ყათი გეძკეთა. ერთ სახში მივდოდი და ახლა აღარ მივდივარო. ერთ კაცმა მეხსუს მომიჭირა ხელზე. გაბღეზდა და აღარ მივდა. ქალი წყენულობს, რატომ არ მოდისო.

ქალმა კითხა ქი, რაზე აღარ მოდიხარო ჩვენსაო? მეც ვუთხარ, შენ კაც კითხეო.

ვაიდე ნენეჲ ჰაჯ წევდა, ჰაჯი გააკეთა, ზიარეთ იჯება-და, მიდის. ორი ღარჭი ყავს, ერთი ბაჯალა.

თელევიზორ გამოდიან თქვენები, ცქვიტად ლაპარიკობენ, ვერ მივმხდარვარ.

ერთ თანეს ყავდა ორი ქალი. ქალებიც მოკდენ, თავეთაც მოკდა. ქალები არ ეკინდლებოდენ, ლამაზათ იყვნენ, მოკდა.



მველათ იყო, ახლა აღარ არის, ჰუქუმეთი არ უშვებს. ბიჭი შვილი არ ყვდა, დასახლდა, მეყოლებო და არ ეყოლა.

მაჭიხლურია, თაზე დავდექით. ერთპირ წევედით კარჩხალ, ედა... ამბობდა, ქი, მე ბაღვი არ მეყოლა, დასახლდა კაცი, დიმისახლდა; ის ქალი მოკდა. ერთი ბაჭალა ეყოლა, მე გავზდიო. ის (=იმან) ანად არ იცის, ანად, ანადო, ბარში წასულა და ტიროდა.

ავათ არი, იწვა, გადმეყვანეს, ხმა არ აქ. გურჯიჯა ვაიზია, იმა კითხულობს.

შინ'ნა მივდეთ, პური მოგართვათ.

სამჯერ მელიეთი გავხდი; ყაფა აღარ მაქ, ყაფა; მაქინათ ჭლიკი ჩამოთალეს და თავზე დამაკრეს, ხუთი წელწადი გახდა; ღმერთ მუუცემია დღე. მექთებში ერთ თვეს ვაწავლიდი.

ერთი მერიემად ყოფილა, დათვ მუუპარავს და ბაღვი ყოლია. დათვიდან ემინია, გაქცევა უნდა და ვერ წასულა. დათვითვინ უთქვამს ქი, წყალზე გიმიშვიო. არ უქნია, გეექცევიო.

- წელზე თოკი მომაბი, წავალ წყალზეო, თოკი მომწიე და მოვალო. ავადანანზე მუუბამს თოკი და გაქცეულა. ბაღვი გააგდო და გეექცა. ცომი მუუზელია ქალ და არ მოსულა.

დათვ უთქვამს ქი: „ცომი ხე-ხე” და „ბაღვი ტი, ტი”... ფურნე გახურებული ყოფილა. დათვი გაბღეზებული ყოფილა და ბაღვი ფურნეში ჩუუგდია. ცომი ჩუუსხამს, ფურნე მუუქოლავს და გაქცეულა.

ეს სოფელი გურჯია, გურჯი. საქმე მაქ-და.

ეგა დანიშნულია, ბექარია, ბადრამ უკან'ნა მედყვანოს.

- აქევრი ვარ.

- სიძე წადის და მოდის; ნიშანი მამამთილმა, დედამთილმა მეტანეს. უღუგუნო იქნება ახლანდელი გენჯები? ახლა ისე აქვან ადეთი.

- ამ სოფლიდანაა; სოფელში ვიყავ, დიმინახა, გაზაფხულიდან თველამდე ერთი არც შემყრია, ერთპირ შემეყარა. გემეცინა, მასაც გეეცინა. სხვა სოფლებიდანაც წავა. პირ მაზლი ან ვინმე ახდის, ბახშიშ მისცემენ. დადეს'ნა დუუსხნას, ფეხში ფარა აქ დოდოფალ.

ერთთანე დოდოფალი ყრუ იყო. მამამთილმა კითხა: ენა მოგჭრა თუ თავიო? უთხრეს, არ ესმისო.

- უუჰ! უუჰ! ყვირის.
- უთხრეს, რაც გინდა მათქერო.
- თავიც მათქრან და ენაც წაჰყვება.

საუბრობდნენ: ფიჭქრი ჯიჯანიძე („არსლან” ახალი გვარი,
„ჰუქუშეთის მოცემული” 80 წლის).
ენდემად ჯიჯანიძე, 60 წლის.

ნიოლეტი (არდიჩლი)

- ჭურჭელი დავრცხა. თქვენ საიდან მოხვალთ ახლა?
- წყალი მოადინო ბოსტანში. მეგა ქლიავია.
- აქევრი ვარ, ჩიხორიდან გადმოსული ვარ. დედის დედემ ბათუმიდან მოვდა.

- ისე ბევრი ლაზებია, ჩვენ გურჯი ვართ.

- წყალი, ორი წელიწადია, მოგვიყვანა ბაშქანმა, ჩვენ წყალი არ გვექონდა, ფერდიდან მოგვიყვანა.

- მცოდნოდა, ვინცხები მოდიან-მეთქი, მოვზელდი. მე არ მიყვარს, კაცებ არ უყვარს. ჩომა არ მყავს. ჩვენი გურჯიჯა თქვენ გურჯიჯას ვერ მივმხდარვართ.

- ურდული მიკრულია.

- გადავდგი, გადააბიჯე.

- გეეჩქარე, ცქვიტამ წადი.

- „აჩ” თურქულად არის „ერთ თანე გააღე”.

- მაქინაიდან ნალებ გამაადენ.

- აქ თელი გურჯი არიან.

- ჭად ჩავსხემდი, ჭვამთ, გერმელია.

- ორი წელიწადი დადგა, თავრობამ მეტანა წყალი. თორმეტ სოფელში მოდის წყალი. სახლებში არი, ზამთარში მოტყდება (გულისხმობს მილის



გატეხას – ჩამწ.), გააკეთებენ. იქვერი წყალი დაჰა კადა განა, ზამგირეთის წყალი კადა, იქა თაა.

- აქაც ვერ იყიდავ მაგა.

საუბრობდა: სარე ჩეჩქილ (ინჯე).

- ახალი სახელია „არდიჩლი“, „ნიოლეტი“ ძველი სახელი. რატომ დაარქვეს, არ ვიცი.

მიწის სახელი ა'რი! გიგიმა'რჯოს. რა იჯებით, კარგათ ხართ?! ჩვენაც კარგათ ვართ იშტე, რა ვიცი.?!

ყანეფ რა ქვია, ჰო? ნასეფართი, ჭერულთი, ქვავდევერები, ბარნაზილი, ნადრიენტ ჭალები, ღვიანარები (ღვია ეკლიანი იგია, იმ ემეში ბევრი არი და... ისე დუურქმევნიან), ეფენდიმ: ჭოჭნარები (წყლიანი ადგილია და ისე დუურქმევნიან). თქვენში არ ეტყვიან? ტალახიანი-მალახიანი... ჰო, ჰო ისეთი. ღომელათი, გარე ყანები, დანთვიეთ თავი, სალებე (ქვიანი ადგილია და ისე დუურქმევნიან), გაღმა ჩიხორ ებნევიან, თხილებ უკანაჲ, გვერთ ყანები, მიღმიეთ წინა...

- ვცურავ იშტე, არ მოვყლარჭვი და... შორ არ წევალ.

- მე ახლა ემეჟლი ვარ, აღარ ვსაქმობ. ისე ხოჯა ვიყავ, ხალხ ვალოცებდი. ახლა ემეჟლი გავხდი, აღარ ვარ. არხავი ჰამანქი შეხვალ და დიდი ჯამე არი იგზე, იმ ჯამეში ვიყავი... ლიცვი დავამთავრე, უნივერსიტი არა.

- გურჯი ვაიზები გაგონილი მაქ, ჰამა ჩვენ აქ გურჯი ვაიზებ არ ვიჯებით. იქაც ახველით მანატბაში?! დიობან? გურჯიჯას არ ემეს ვიჯებით ჩვენა...

- ჰაიდე, ასე ჩუუყვეთ ქომოთკე.

- ორი ღარჭი მყავს, ორი გოგო. ისენი ემეში არიან, ქომოთკე. თორუნებიც მყავს ორ-ორი თანე. მიორეები არ არიან დაქორწილებული. რა ვიცი, არ წონულობენ. რაცხა თავისი ემეჲ აქვან. უნივერსიტეს კითხულობენ... ჩემი სახლი აგია, ახალათ ვაკეთეფ. კომუნისტეფ გუდუსხვაფერებიან, ჩვენ ჰალა მუსლიმანი ვართ, ელხემდურილაჲ.

თიფლიზისკენ გადახვალ მარტო ხრისტიანი გურჯები არიან. კად გურჯები არიან ჰო. აჯაფ ჩვენი ხრისტიანი ყოფილა კი? მე არ ვიცი. ძველათ ჩვენი დედეს, დედეს, დედეს დედეჲ ისე ყოფილა იშტე.



- ახლა მე ბურსას ვდგავარ. ბურსასაც არიან გურჯები, აჭარელი გურჯები.

- გამარჯობა, თქვენ ბათუმიდამ ხართ? იქა ახალსოფელი იცით თუ არა?! იქ ბათუმიდამ მოსული ბევრი არი, ბურსა, ინეგოლში დიობანიდან (აქ გამოქცევლან ზამთარში, იმერხევიდან). ჩვენებური ვართ, ქართველი ვართ, ჰამა ბითევათ ვერ ვაფერეთ სიტყვას. რუსჯა, ერმენიჯა, ემეში ქართველიჯა უურევთან, ჩვენიც თურქ გადარეველა და...

- აჭარადან გადმუუვლიან ამ სერებზე, თოვლი ყოფილა ასე (გვაჩვენებს მკერდამდეო – ჩამწ.).

ყურე ყოფილა ერთი ასკერისი, შეგვცივდაო და კარები დავანგრიეთო, ფენჯრები დავანგრიეთო, დავანთევით ცეცხლივო და დილამდე იქ გავათენეთო, იქიდან გადმოველითო დიობანში. დიობანში იყ'ვით? იქედამ ჩამოსულან, იქეც ასკერი არი, ცხრა კაცი ყოფილა, ისინი დუუკავიან ასკერეფ ჰამანად, ჰამან ასე მუუძებნიან ფიშტოდ აქვან თუ არაო.... არ ვიცი იშტე, ონდანსორად, იქა ისინი სობაზე გუუთბიან – ცეცხლი დუუთიან ჩვენ ასკრებ. ონდანსორად, გუუგზანიან ართვინში. ართვინშიც დუულაგებიან ერთ ოდაში, საჭმელი მუუცემიან, ონდანსორად, აგინი გუუგზანიან ჰუქუმეთთან. ჰა მიხვალთ, რა გინდანან, ჩვენ უკან წასლა არ გვინდება, რუსი სიბირიას გვაგზანისო. იქ არ გვინდაო, ჩვენ აქ'ნა ვიყვეთო. აქ ერთი თურქეთში ემე არი, მუშ; მუში არი ერთი ბათუმსავენ ძერი, ერთი ვინცხად ზიად ყოლიან იქა ზველათ წამოსული, იქ წასულან, მუშში, ცხრა-ათი კაცი გადმოსულან იმათსა. პაწახან დამჩალან იქა. იქა ქურთები-მურთები ყოფილან იქა, ვერ უცხოვრიან იქა. წამოსულან ბურსაში. ბურსაში მოსულან, სოფლები ასე დუზ ადგილებში ძერი მუუცემიან აქევრ თურქებსა. აქ იყავითო. იმათაც უთქვიან ქი: ჩვენო ასეთ ზალიან დუზზეო ვერ ვიქთო, ჩვენო ასეო, პაწად გვერდი'ნა იყოსო, ასეო მივეთესოთო. გუუგდიან იი ლამაზი ძერი და წასულან ტყეებში, მაღლა. ჰოდა, ახლა ჩემი სოფელი ასე ტყეებია, იქ მაღლა ასულან, იქ ცხოვრობენ. სოდადები იქ ახლა იგენი არიან იშტე, ლომანავრიდან მოსულები ყოფილან და, უსტაისმეილოღლები არიან, ონდანსორა, ჯინოღლები არიან, კიდო რაცხაები არიან და ამ სირაზე ხაპერში არ მაქ. დანი თქვენ ახლა რა იჯებით, ამას წერავთ და მემრე ქითაბი'ნა დაწეროთ?

ინეგოლში ვისაქმე. აქევრი ვარ, იქ წევედი. ემია-მემია მყავდა იქ.. ახლა აქ იზენზე მუელ. ათ დღე უკან მივალ იქა. ესაც ჩემი ძიადა, დნი ვართ. ესაც ჩემი სიმამრის ზმაა, ემექლია.



საუბრობდენ: ნუოდინ ქუჩუკი
ენვერ სეჩვი
ომერ სეჩვი

* * *

- ახლა, ძიავ, ძველებმა არ იციან. ჩვენ თურქეთში შევრეველვართ, აქ დავრჩენილვართ, იმას მემრე თამარად - მამარად არ ვიცით. ვინც აქანად ნაკითხია, მე, მესელაჲ, ქითბებში ვიკითხე, ჰქვ ჩვენ ჰაიდან დავმჩალვართ აქა... აქა ართვინი, შავშეთი... გურჯების თავდიდი თამარა ყოფილა. იშტე, მე იქიდან პაწად ვიცი. ძველებმა არ იციან, ვინცხა რომე ნაკითხია, იმან იცის. თამარას მეზეერი საზგირელზეა. თქვენ გცოდნიათ, ხედავ?

- აქ სკოლაში არ გვაწავლიან გურჯულს. თქვენსას კომუნისტების რეჟიმდე ენწინ არ აწავლიდენ, მემრე დედაწყეს. ქართულეფ არ დედალაპარიკოთ, თურქა იწავლეთო. ჰამა ჩვენ გურჯებიც გამეყვავათ. აქა ბევრი თოვლი არია. აქა მარტო წყალი კად გვაქ, ჰავა კად არი, არ ცხელა. აქ ზაფხულში ემექლები მუალთ, სახლებ ვიკეთეფთ. აა ამან გეძკეთა, ჩემ ძიამ იგზე გეძკეთა, ახლა ზაფხულში აქ ვართ, ზამთარში წევალთ ქვეათ. ძველებურა არ არი. ზველებურა ჰარებ ჩავაბემდით. მამაჩემი ცოცხალი იყო, ასე გუთანით ემეს ვებნევით ჩვენ, ჯილლა, ჯილღები-მილღები ჰალა მიყრილი გექონდა, დედაქაქა. ახლა ჰარები მარტო ჩემ სიმამრ ყავს, აძუებენ, თურქებულად ოქუზი...

ჰარი დათალი ახლა გუაქ. ჩვენ დაილებ საქორიად ქვია. იქ გუაქ ჰარი დათალები. გადაღმა თერეფი მაჰახელია, გადმოღმა ჩუენი დაილებია. ორი დაილა გექონდა ჩუენ მამაჩემის დროში. ვეღარ წაველით, ვეღარ წაველით ის სახლიც ჩაწოლილა. ჩეხორ აღარ წავდივართ. ზიარეთში ზოგ-ზოგი წევლენ, იქა დემინებენ, დუას იქმენ, ღმერთ შიეხვეწებიან. ამა მუსლიმანობიზა იმგვარობად კად არ არი. ჩუენი ყურანი ქერიმში კად არ არი. ჰამა ხალხი რაცხას დედაჯერებენ, ცხვარსავეფ იქ წევლენ. ახლა რესმი ხოჯა ვიყავ მე, ხალხს ვეტყოდი, არ გიჯერებენ, კიღო მიდიან იქა.

- სიყვარულობა ჩემ ყანიდან ვინცხად ხართ, ისინი არიან. სხვებიც ზმა არი, ძიად არი. კარავათი, ციცვეთი, ჯუარები...

- გზა გაბრუნდება, ჩავა ბრილში. ქალი არ არი სახში. მარტო მე ვარ. ხალხი ჰალაში არიან, ბითევი თიბენ. ჩვენც ახლა'ნა წევდეთ. პური ვჰამეთ,



ახლა'ნა წევდეთ. სადამოზა ხოხომს//ხორომს გავაკეთებთ, ვხორმავთ. მერე მოვტანთ და მივართუქმთ ჩომას.

- მე მექთებში ვიყავ, ოდაჯი ვიყავ. ამა კითხე. ჩვენ ჭალაში ვართ, სახში ვართ. ჩომაც გავყიდე, სამი თანე მყავს ახლა. ჯარი არ მყავს. ბურსას ვსაქმობ, ტექსილში ვართ.

- დიდი ზამთარი გუდად იქნებოდა. სამი-ოთხი წელიწადია აღარ მოდის თოვლი. გზას გაასუფთებენ. ფენა იწვიმა ახლა.

- ვაშლი, სხალი, კაკალი, ქლიავი...თხილი იცის, არ დავრგავთ. უქუმათი არ გვეშველება. ჩვენათად რაი'ნა ვქნათ?

- წუხელი თელევიზიონში ვუყურებდი, ყარადენისი ტიროდა. თხილი ვერ გუყუიდავან. ორი მილიონი მიცეს. ვერ გაყიდა, ფარა ვერ მიცა. ზვირი არ არი ემე. ი შერჩნეს ხელში.

ჩვენც ისე ვიტყვითა, ღობეა. ღობეს ვეტყვით ამასაც (უთითებს ყორეზე – ჩამწ.), ეს ჭერია, ეს მესარი, ესა მუხი.

- ჰაიდე დავსხდეთ, მივდეთ სახში. ქალი არის, ამის ხანუმი არი. ახალია და იცის ქართულად. ზაქიეთური ხანუმი გვყავს, ჩემი ბაზგირეთულია. აგზე გელაპარიკებოდა, ამისი ბაჯოდა. ეს ჩემი ტადაა.

- ამა ჩაისავენ სმენ (ასკილზე ამბობს – ჩამწ.). გურჯიჯა ეკალ ვეტყვით ჩვენ. ეს დამწიფდება ახლა, მუა, მოკრეფ ამას, ლეჩელ ვეტყვით, გაკეთდება, ხუშბურნე, ან გურჯიჯა ჩიტის ბუკი თქმა არი, ჰა. ჩიტის ჰო.

- ეს ემედა იშტე მოყრილი, ფიჩხები. ვერ გეგე.

- ვე' მიუხდი, ჰაა, ხუტუტ ვეტყვით; გამეძხუტუტაო ვიტყვით. ახალათ ქი ფურცელი'ნა მედხას, იმა ვეტყვით გამეძხუტუტაო. ყვავილიდან ქი გამუა, ვიტყვით, ანე ყვავილი გაყარაო, იმა უკანას მედხაო ვიტყვით. სანამ არ იჭმება, უმუსლეელი, კვახეა.

- ვალად ამათ სახელები არ ვიცი. ახლა დოხტრები ამბობენ, ჰამა ჩვენ არ ვიცი... ჯავეს ჩავდებთ, შორვას მუადულებთ... ჯინჭარი, მადიმაქ ვეტყვით, იმისას ვიქთ, ლობიოს ვთესავთ, ჟაუნად, ჰო, ემეა. თელახარჩი ემეს ამეძამს, იმას გავფცქნით, შევჭამთ, გერმელია. თესლი მოსხმული არ ექნება, შევჭამთ...

ფურცელი ვიტყვით. ფოთელი იმას ვეტყვით, დიდვან ფურცელ მედხამს, ფოთელ იმას ვეტყვით. ეს სხვილი ყერო, ეს წმინდა ყერო. ბითავად ხე. წალდით გამოვკაფავთ. წალდი ასე ნილრი აქ, იმით გამოვკაფავთ. ხერხით მუახევთ...



- თივა რად'ნა ვუთხრათ. ქორს ვეტყვით. საბძელსაც ვეტყვით, ქორსაც ვეტყვით. ვერ წედღევი შენი არაბაა? დუუდგამდი და გამოვტანდი.

- ეს ტანტრაბაა, ეს მუთბაღია, კარებს დუუყრით.

კვეი. ბაზგირეთი იცით? იმის ზედან მოდის. ასე'ნა ედარო, გეხვალ. თამამ, თაზეა იშტე. ოთხი კილომეტრი იქნება. აქედან, ოჰო, ბევრია აქედამ. მე მესუთი მქვია.

იქ'ნა იყვნეთ? ჩვენ ჩამუალთ და ვისამებთ. ყველა სამას ვისამეფთ: ხორომი არი, ქურთბარი არი, ხელგაშლილაა...

ქიზინეთი ამ გაღმა არი. მიწაწვევლთი, ნაგომართი, ვაკეტყე, ჯინჭრავალთი, აღმართ-თავი, დარე, ბაგათი, ბარდნანეთი, ჭილკვერი, კოკობათი, გვერდა ღელე (არ არი ისე დიდი ღელე), ამას კარ-მიდამოს ეტყვიან. შესასლელი ტანტრაბაა. ამ საწეთურია. ასე დაბალი ახორები იქნება, თხას შევყრით, იმას საჩებს ვეტყვით.

ძროხას ძველათ კალით დავაბამდით, შეშის კალი გაკეთდებოდა, ხიდან გაკეთებული ასე....

მარჯილით მუათრევთ შიშას. კელნებ მუაბამთ, იმით დუუდგამთ ზედან, მუათრევთ. შორ არ წავდივართ. ხედიკები (იციან თხილამურიც – ჩამწ.) ადგა. ზოგან ხედიკ იტყვიან, ზოგან თხილამურ. ზემოთკე ვიცით, ქომოთკე არ იციან.

- სანარწყალიდან მიდის სანეხვეზე. ნიჩბით მიაწვები, გაცურდება დელუგში. სანათური, ემედ თუ გაკეთებული გაქ, სანათურ ვეტყვით.

- დავასხმევო ჩაი.

- კინათი, თურქი სახელი რააა, ის არ ვიცით. უხრავი აგზე არ არი

- ლავარძარღვა (მრავალძარღვა – ჩამწ.).

- ჩვენებურები „ჩოხიან“ ეტყვიან, გძელჩოხიანებს. ფიხიო გვეტყვიან ისენი. ფიხი სოზადს თავია. ჩვენი ემეა... მივხდი და... არიან იმგვარი საქმიები.

- კაცი მომკტარა, ერთი ჭლიკი ასე დარჩომია, ახლა მიყავან, ჩადვან'ნა და... აღმართია, აღმართიც ტალახიანია, ახლა ემეში ჩადებულია, თაბუთში. ოთხ კაც მიყავან. აღმართში ავლენ, დაცურდებიან, უკან ჩამოდიან... ვერ უუვლიან ტალახში. რომ მომკტარა, იმა რიზად ქვია. რომ წიკვენ, ერთ თანე სულიად ქვია. ახლა ის ამბობს, ჭლიკი კი ასე დარჩომია, იმან იცის. ამბობს ქი: იმაო, ჭლიკი-ჭლიკზე გადადებული იქო, ჩვენ აქაო ჩამოიტან, ად, ჩამოიტან, ადო, ვწვალობთო.

საუბრობდენ: ენვერ ფეიზოღლი

- რა თქმადა, კი გეტყვიო. ძალიან გეეხარა. ჩემი ცოლისაო დედა და მამა ისტამბოლ მუშაობენო, ფუტკარ უყურებსო. გავწუხდი იქაო, ისტამბოლ და ბათუმში წავალო. მე თვის თხუთმეტზე მოვალ-მეთქი. არ გავწუხდე, მოვალ, დეგეხმარები-მეთქი. სულიკოდ ქვია, სულიკო ჯაიანი. გავპირდი, ჩევდეწა იქა, ვუშველო.

დავლათიდან ტალახს ზიდევდენ და ჭურებს აკეთებდენ. ლახნი ჯავვს ჩადებდენ. წყალ-სასმელსაც აკეთებდენ, ტარიან. ახლა აღარ აკეთებენ. ძველი კაცები დეეხოცენ, ახლები აღარ აკეთებენ.

ზაფხულში აქ გერმელია.

ა, ძველი კაცი, ფოცხი მუაქ.

აქათ თავდიდია ესა, ჯუმურ ბაშქანი.

ბრილი გრილი ადგილია, მზე არ მიადგება. ბრილი დუურქმიან. ბრილის ახალი სახელია დონჯალი.

მოგთა (||მოგვთა? – ჩამწ.) შავშეთის სოფელია.

ახალდაბაში ქართული იციან. ციხისძირში ძველებმა იციან, ახლებმა არა. კარავათში (თურმანეთის გვერდით) იციან ქართული.

კოთხევი||კოთხევი (ამბობენ ორივე ფორმას – ჩამწ.).

ბრილი

- რაცხა შემხტება, იმა დავლევ. ზოგი არ შეიძლება. ჩემთვინ მარტვად დავლევ. ჩემ პაწად გოგოდ მებნევა, მამაო, შენ რომ დალევო და გერმელი ხდებიო, ამფერი ბითუმ იქნებოდეო, შენ გვერდიდან არ წევალო.

გაღმა სერში თიკნები,

ვეხლები და ვიქნებიო,

შენ ქი მე არ მომყვები,

ბექარ ვიარ, ვიქნებიო.

წამომყევ, ქალო, წამომყევ,

არ წამოგყვები, რად გინდა,

თორმეტ წითელ ვალას დაგიკრავ,

თორმეტ ალთუნ მეგიტანო...



გრილი ბრილზე გადააბრუნეს. ეს ბრილი პაწაღ ალაგია, ჰამა თაზე გაყოფილია. ჩიხორული დაილა, ბრილური დაილა... აქ დიდ ხალხს უცოცხლიან. მე ათი წლის ვიყავი, აქ ათი კომლი იყო, ორმოცდაათი წლის ვარ, ათი კომლია. დავდივართ იშტე....

საუბრობდნენ: ჯემალ ჩელიქი
მევლუდ ჩელიქი

* * *

მაჩხატეთი

ზამთარში ბურსას ვარ მე. ერთი ბაღვი ბოშაჲ იყო, ცარიელზე იყო, ოქულიდან წამევეყვანე, ახლა მეც'ნა წევდე.

საჭმელსა შავშეთ ვიღებთ, აქ არ თესვენ ქი. მარტოჲ ყართოფ ვთესავთ, სიმინდ არ ვთესავთ, წყალი არ გვაქ. კალოს გალეწვა უნდა, მაქინა არ არი, ხელით'ნა გალეწო, ბუღდას არვინ არ თესავს.

თორუნი ონ სექიზ მყავს, შვილი ექვსი თანე – ოთხი ბაჯალა, ორი ღარჭი. დასახლებული არიან. აქ არი ერთი თანე, ჰამა ჩიხვთაში წევდა. ძალი იქაური არი-ა-და, შვილის ქალი. ოთხი წელიწადია, აღარა მყავს კაცი, იმას აგზე (ხელით გვიჩვენებს ლოყას – ჩამწ.) შავი რაცხა გამუუვდა და არ იკადრა და წევდა, გამააჭრევიანა დოხტურს. რძალი უარდა, ალლაჰ რაზი ოლსუნ, კად რძალია, უარდა; მე რძალთან ვარ, ბურსას, სიშორე ერთ საათს გასტანს. რომ არ გამეეჭრევიანებია, არ ემეს იქმოდა... ემელიეთ ვაქნევიეთ, გამოვარდა, ჯანი მიცემამდი ჭკვა ქონდა.

მეზობლობაში მივალთ, მუალთ, ჰელბეთ ჩვენებში.

იმ სოფლიდან ვარ, ხოხლევიდან. ჩვენ სოფლიდან ბევრი არიან იქა, ბათუმში. ჩემი ემიაშვილები იყვნენ, არ ვიცი იქ დარჩნენ ქი, ცოცხალი არიან, თუ კდარი არიან. დაყაფანებული არ ყოფილა მაშინ.

ნიაზ დავითაძე ჩემი ემიაშვილია. ერთი მოგვებნა ფასაფორთით, ჩემ სიძემ მოძებნა, ორი-სამი წელია. ფელჯი გამხდარა. ახლა ფურუნ ასაქმებდა ისა. იქ ესკიდამ ბერი შოფერი იყო, არ დასახლდა, მაქინას ვასაქმებო. მე არ მემიკითხეს და ქალები არ გადმოსულან ჰიჩ, ორი ბაჯოდს შილები იყვნენ. ერთი ბაჯალა გადმოდიოდა, წევდა ისვენ.

სამი კვამლი რჩებიან, სამი. სხვა არვინ არ არის. ახლა არვინ არ არი ქი, ვინც დარჩება.



დიდი თოვლი მოდის, შარშან არ გათოვლებულა ბევრი თოვლი, არა, ისე ყავრებზე ევდოდა.

ბუღდას ვთესევედი, ლობიოს დავთესევედი, სიმინდ დავთესევედი, ელლი სენე ვიყავი. ახლები წადიან, დაბადებულები წადიან.

აქ ქი გამოველ, გურჯულა არ მილაპარაკნია. მე აქ გამუელ სამოცი წელია. ჩემი დედამთილი თურქია იყო. აქ არიან გურჯები. კაცი არ მიშლიდა გურჯულ ლაპარაკს, რაღა დიმიშალოს! სამი თვისა მეთიმი დავრჩენილვარ, ონაგორაჲ ანალული არ მყავდა. ანაჲ, ჩემი ანაჲ დუუბრუნეს ემოს; ანაჲს კაცი ჩემი ემოდ იყო.

ოთხი და მყავს, ერთი ძმა წინა კაციდან. უკანა კაციდან ერთი ღარჭი ეყოლა, მე სულ პაწაჲ ვიყავი, მე იშტე. დიდი იქნებოდა ათი წლის, თერთმეტის. ერთი ღარჭი, ოთხი ბაჯალა ყავდა. ახლა ქი ბაბოს უძახიან, მე ფახილი ვარ, მეც მყოლოდა ბაბოჲ.

აქა ორმოცდაათ წელწად ჩვენ ბარაბარ კად ვიყავით.

კაც არაფერ არ ვუძახდი. ბაღვ ვეტყოდი, წაჲ, შენ ბაბოს დუუძახე, მოიდეს. ახლა ჰენეგობაზე გევდა.

ბაღნები გეფხდება, ღარჭ, „ბაღვ“ ვეტყვით. „ბაღვ“ ვეტყვით, პაწაჲ ბაღვი ყავს. შუშანამ ჩემთან გაათენა ორ-სამ ღამეს, ერთად დავწევით. ხატიჯეს ანამ სელამი გითხრაო, ჩემი ხატიჯეჲ იქ გადმოვდა, ბათუმში, იმათმა წამეიყვანეს ფასაფორთით. იმასთან დადგნენ.

ოსმანაჲ ეხლა იქიდან გადმოსული იყო. ანას მიძახს, თურქია-მურქია ისეა, რაცხა ბაჯალამ მეიწონა. ჩვენებური ენა გააყოლავეს. ქითაბში წერია, ღარჭის ანაჲ ანაჲჲ, ბაჯალას ანაჲც ანაჲჲ, ორსავე ანაჲჲ.

მიღეთი აქ იკითხავდა, ოქულში.

რემეზანს იჭირავთ?

საჭმელის გაკეთება არ შემეზარება, თექ იყოს. მირთმევა გიმხარდება. ჰემ ჰვამ, ჰემ მივართვამთ.

შორვა თელზე ვაკეთებთ: ჯინჭრის შორვა, ბოლოკის შორვა, ლახნის შორვა, თელ გავაკეთებთ, ბურღულის შორვა; შორვებში კაკალ არ გუურევთ. ძველათ აქ არც ქლიავი იყო, არც კაკალი. ბალი იყო, კაის იჯება, ბევრი სხალი გვაქ. იმფოსერთი სხალი, ვაშლი იჯება კარქა. აქ თესავს ერთი ღარჭი. იმა დეეთესა ჩემი ერთი დრამი ლობიო, ერთი ყართოფი. აქავრობაზე ეხტიჯი არიან.

ვინცხა ქი მეტყვის მიკითხეო, ვუკითხავ.

ქვეშეთ მივალ.

ეს ხოჯა არი, სოფლის ხოჯაა.

ზამთარ საქმე არ არი, ფეხებისტინ ფათიკი ვქსოვთ, „ფათიკ“ ვეტყვით ჩვენ.

ჩემი ბაბოღს ძმიშვილია, ხობლიური ვარ, დავითაძე. ნიაზი, დავითაძე გადმოვდა აქა, ისმაილ ყარა ჩემი სიძეა, ჰემ ბაჯღოღს შვილია. მე ბაჯღალა მიცემული მყავს. ოთხმოცის ბილღე იქნება, ხასტანღული ქონდა ბევრი, ქონდა ქითბები დაწერილი. იმის ბაჯღალა აქ გამეეთხვა და დუღუნში ვიყავი. დუღუნი იყო. ჩემი ბაჯღალაც აქ არი, კაცის ერთად ბათუმ იყო, ერთ თვეს დადღნენ.

ერთი გეღკითხე, ხებერი მოგვეცი ქი, ცოცხალი არიან, არ არიან, ორისამი წელიწადია, არ ვიცი.

ისიც ასე სწერეღდა.

ჩვენ აქ ვიყავით, აქა ბაღვები დეღზდენ, წევდენ. ექვსი თანე მყავს, თორუნები არიან, ეს ღარჭიღდან თორუნია; ერთი დღეს გავაგზანეთ, უჩაღით წევდა. ახღა ქი წევდა, ის ხოჯაა. იმისი კაციც მოეღსია. ჩემი ღარჭი თავისტინ საქმოღს, კარებს აკეთებს, ფენჯრებს, ახღა აქ არი, ჩიხვთაში წევდენ, ქალი იქევრი ყავს; ერთი ღარჭი ემექღი გახდა, ის არ საქმოღს. თორუნები ავსიღი არიან.

ეს კაციც წეღყვენეს, ორი ადღმი გადაღღა, ჩოზანი დეღნახა, ბაბოღსაც გავს, ანასაც, ორსავეს გავს.

აღარ იწავღიან, აღარ! ბარიშოზა რომ გამოვიღა, დემელაპარიკა. მამამთიღი გურჯია.

დავნიშნეთ და კაცი არ მეღწონა, ირმი დოხუზია: აბანჯი კაცი იყო, ჩვენი მოძებნიღი. ძაღსა არ უნდა, ამისი ანაღ ჩემ შიღის ბაჯღალაა, თორუნია. ჩემ შიღსა ბაჯღლები ყავან, თავისი თორუნი მეღყვანა, მემიაროსო.

ერთი თვე კიღვე დავრჩები, ვძღლებ და მარტოღ ვეღარ დავმდგარვარ. აქ ერთი მაზღის ღარჭიღაა, იქ ვწვები, მოშიშარი ვარ, ბირემეღენი ავათ არ გავხდე, დათვიც შამუა სოფელში, დათვი ძმა გიგვიხდა, ასაღია მოკღა, მოკღავ, ფარაღდა გეღეიხადღო – იგირმიღიღიარღი, ექვს წელწად დაგაჰავსებენ...

- საიღან მოიღენ ესენი? რას საქმობთ? მე სამსუნ ვარ, მე ქართული არ ვიცი, ორეთმენი ვარ; ჩემი სოფელი ეს არი, ბერები (=ბერებმა) კარგა იციან.



ძალი თაზე არი, აქა ბაჯლები არიან. ჩვენი მილეთი იქ გეგზარდენ, აქ არვინ არ დარჩებინან, გურჯულს არ დაჰკარგავენ..

აქ ერთი ქალი არი მოსული ბურსადან, აგზე ღარჭმა გედეარა, მისი ბიბოდა. ახლა ხალას უძახიან, გადააბრუნეს, ესკიდან „ხალა“ ანადს ბაჯოდ იყო.

ღამით არ ვანთებთ სობას, დილაზე ცოტა ცივა და ვანთებთ, შიშას ძველათ მოტანილს ვხმარობთ. აქევრობა ცივი ალაგია.

ძაფს ვიღებთ, ჭრელსაც ვქსოვთ, არ ვჰყიდი, არა, ისე ვაძლევ იშტე. მოქსოვილი მქონდეს შენც მოგცემდი, ჰამა არ მაქ მოქსოვილი.

ქვეშა სობაა, ზედა ძველათ „ჩაინიკ“ ვეტყოდით, „დემლიგ“. ჩაის ვიღებთ რიზეს. ბორჩხას არი ჩაი, აქ არ არი; დეშილ ჩაისაც ვხმარობთ, დეგანი მყავს, ის გვიგზანის. იხლამური კად ჩაია, იხლამურის ძირებიც გვაქ, ჰამა ვერ მოგვიკრეფია, ვერ ავსულვართ.

ეს ცივი წყალია, შიგანაც ცივია.

ოცდაათ... სამოც დღე ვიხმარეთ წყალი, დეგვიშრეს იმ სოფელმა, დავა იყო, იმათ ჰუქუმეთი არ გაძდა, ფახილობა რა არის, რაზე იმათი სიძინდი კად მოდის და ჩვენი არ მოდისო, დიგვიშრეს წყალი; ახლა სხვა, ამგვარი წყალი'ნა მედყვანონ, ბორები დახეთქილა და ხამდა მედყვანო'ნა.

წრეველ არ უნდა მორწყვა, წვიმს, ორ დღეში ერთს გაწვიმდება, ხანდახან ყურალი იქნება.

- აგზედან არ გეარეთ? დიგინახეთ, ჰამა გულში არ გიძიარდა, გნახევდით.

ფასაფორთით გამოდით თუ ისე? ახლა დასალი არაა? ჩემი დედამთილის დედამთილი იქავრი იყო, იქიდან – შუბნიდან. თუნთულად ერქვა სახელად. იშტა იქიდან ყოფილა აქა. მისი კაცი იქა ხოჯა ყოფილა და იქა უთხოვია. იქა ჩემი მამამთილი მომკდარა, ღარჭი არ მყავდაო და თექერენ წუუყვანიან უკან და იქა გათხოვილა, ემინ-ახმედად ყოფილა, ორი ბაჯალა წუუყვანია, ერთს ფატყუმედ რქმევია, ერთს – მერიემად. ღარჭები ყოლია ამ კაც და აქიდან წასული ბაჯლები მუუცემიან, ოღლუები.

დაყაფანდა, ჩვენ აქ დავრჩით, ისინი – იქ.

ფატყუმედს ბაბოდ მალე მომკდარა, ერთ თანე თორუნს ემინ-აჰმედად ქვია, მერიემადს ჯინსიდან არიან, ფატყუმეს ცოცხალი არიან, არა, არ ვიცი. ჩვენ ერთი თანე ვიცით. ემინა ახლა მოიდა, არაბა ყაზა ქნა სამსუნ და მალევე



წევდა. შვილები ყავს, ჰამა სახელები არ ვიცი. ერთი ბავაღა, ერთი ღარჭი ყავდა, აქ ქი მოიდა.

დოდოფალ დანით ახდიდენ ვალას, მამამთილი ეტყოდა, ენად მოგჭრა, მოხსა თავიო?

აგზე მესუს ჭვამ ქი, მილეთი მოიდეს და ერთათ ჭვამოთო. მზისუმზირა გდუნემ ჩიჩეგია.

დალ აკეთებენ, ისე შქამენ. გურჯიჯა „გაულ“ ვიტყვით, ყაბლი ჩიჩეგი. სობაში წადებენ, ფორმაში ლამაზათ მედშუმვის, მარილს შეყარაან, მედხრაკება, თორბებში აავსებენ, ყიდიან იშტე.

დალიც აკეთებენ, კარგიაო, იტყვიან.

„კარდალა“ დამვიწყდა, ფახრიდამ გაკეთებულია კარდალა.

„წოვაა“ ვიტყვით, ყორავა სხვაა, ნაღბის წოვაა, ქვეშას მოადულებ, გახდება წოვაა, ადულდება, გაცივდება, გახდება წოვაა.

ახლა იგზე გევდეთ, დავჟდეთ. ეს სულ ყანები იყო; ახლა არ თესვენ, ბალახი მოდის; აქ ვინც დგებიან, ყავან ძროხა, ისაც ორი თანე, სამი თანე. ესკიდანბერი ის თერეფი თურქა ყოფილა.

ხორცი მამტვრევსო, - იტყვიან, - მეჭედებაო. დამგალა ფეხიო, - იტყვიან. საქემე გამაწუხა - საქემე მემერიაო, - ჩემი ბაბოა იტყოდა, - დემიგევით ლოგინი, დავწვეო.

- ჩემი დეგანია ის, „დეგან“ ეტყვით თქვენც?

(მთქმელი ჩამოთვლის თითებზე – ჩამწ.)

საჩვენებელზე: ამას უთქვამს, ჰადდე პური ჭვამოთო.

შუა თითზე: ამას უთქვამს, ქი: რად გვაქ, რა ჭვამოთო?

„არა თითზე“: ამასაც უთქვამს: ღმერთსა რაცხა მუუცემია, ის ჭვამოთო.



ნევზე: ამასაც უთქვამს ქი: ევლოთ და ჭვამოთო.

ცერზე: ამასაც უთქვამს ქი: მევპაროთ და ჭვამოთო.

მოპარვაც გულში ჩამუდვია.

„პარმადი“ თურქხაა, „თითი“ - გურჯიჯა.

ძველათ ფხილ არ დავაჭრიდით, ორ წელწად დავუცდიდით, ახლა დედბადება, აჭრიან. სარკემიც არ ახედვიებდენ, რისთვის, არ ვიცი.

- წერვაზე არიან, წერვენ.

არ გეზარებიან?

- წუხელი ჰა იყავით?

კაცი-მაცი არ გვყავს და.

ასი, ტუალეტი ქალაღი დადევ იქა.

წყევლა კად არალი.

„ნაწნები“ – ორი თანე თუა, „ნაწნავი“ – ერთი თანე.

- პური ჰაზირია, გააჰაზირებენ.

გენჯები თუ იქნებოდენ, იმღერებდენ, დედაბრებმა არც სამა ვიცით, არც მღერა.

- ღმერთმა კად დღე მოგცეს.

ჰაჯერ, ჰაჯერ!

- ღმერთმა ის დუნიაც მოგცეს, ეს დუნიაც.

- ღმერთმა ჯანი საღი მოგცეს.

ჩვენ გურჯიჯა ვართ, დევეჩვიენით თურქხას, ხან გურჯიჯა და ხან თურქხა.

ანკარას წავდივართ და ჰემ გურჯულა, ჰემ თურქხა ვლაპარაკობთ.

ემეში ქი ვიმღერებდი, ამან ბევრი იცის.

ესაც გურჯია!

* * *

გურჯულ აწავლით ბაღვებსა?

- ფესტივალზე წაველით, გაწვიმდა-და... ღამით ამუელ.

გამეღლე ბაღვები; ად ჩემი ოდა გამეღლე; ეს გუგუმია წყლისა.

შერთულებში-მერთულებში იარეს.

ახლებმა არ იციან-და გურჯული.

ვინცხა ჩამემიყვანდეს, წამოვალ.



კოშხე მე რამდენი მაქ, ანი... (ნაოჭხე ამბობს – ჩამწ.); ძე ხუთი ბაღვი მყავს.

იცინის და „ეპუტნისო ლოყა“, - იტყვიან.

თელს „ბუკი“ ქვია (გულისხმობს სახეს, პირს – ჩამწ.).

ტელეფონი არ გაქვან? იმათი ტელეფონი?

გრილა-და... გრილა, შემცივდა. მუხლები მტკივა, მამტრევს.

„დეაკავე“ ზემოდან ქვას აძლევს და „დეაკავეო“, - ებნევა.

დანახული მყავს, ჩამოდიან მეგნები, გურჯები.

ჩემი ღმერთი ყურძენი ხომ არაა?

საუბრობდა ეზინე სარაჩი, 80 წლის.

- ორი წლის წინ... ჩვენ „წინ“ ვამბობთ, „უკან“ ჰელადა მოიდეს, იგია „უკან“. ჰიდან მოხვალთ თქვენ? გუშინ აქიდან ჩეძარეთ. ჩემი დედამისი თურქულად არი, მამამისი გურჯია. მე უნივერსიტე მარჩინე, ისტამბულ მუფთის მერე ვარ, დარდიმჯი. ორ დღეს უკან'ნა წევდე, მაზეგ'ნა წევდე. ჩვენ ეშია ბევრი გვაქ... მაქინა არ მაქ. ისტამბულის ენ შუაზე მე ვარ. სულთან აჰმედი ჩვენზე მობმულია. მე და მუფთი ხოჯეების ემე ვართ, ბაშქანი. ჩვენზე მობმული ჯამე სამას ოცია. ენ ბევრი ჯამეები ჩემ ალაგშია. ძველი ისტამბოლი ჩვენ ვართ. სტამბოლ უნივერსიტეტი ჩვენ ემეში არი, ბეაზეთი ჩვენ ალაგში არი.

- კალო აგზე იყო. აქ გავლეწევდით. არ ვთესავთ და გავყიდეთ ჯარები. ბაღნები გეძვენ, ბურსას საქმობენ, ინეგოლში. ერთი მოდდა და წევდა. სამი თანე არიან. ერთი ბაღალა (შდრ. ბაჭალა) არი, გათხოვილია. ორივედ შვილია.

აქ ზემო სახში არი, ჰამა წახვალ? არ მიხვალ შენ ამათთან?

- რაგვარ უსაქმიან, იმგვარეთე ვილაპარიკებ. ბაბოს მარჩილი გუუკეთებია, ჯარის არაბად. ავჯები არიან და ზამთარში იარებენ. გევეზულად ილაპარიკებენ. ვალლა რა ვიცი მე. რად გითხრა ახლა? იშტე მათყვილებენ ერთმანებ, გეძინებენ.

ჯინები ამბობენ ქი, სამობენ, ხუთშაბათი, ხუთშაბათი. დაფანტვიხან უთქვიან ქი... ად ჩვენსავე სამობდა, ხუთშაბათიო თქვა, ჩვენებურია, მოდ გავასწოროთო. გაასწორეს ად კაცი და დეფანტენ. ჩამოვდა სოფელში. სოფლიერმა კაცმა კითხა, რაგვარ გასწორდი კუზიდანო. წისქვილში ვიყავ, ვისამეთ, ხუთშაბათი ვთქვით... ჯინებმა გამასწორეს კუზიდან. წევდა ად



მეორე კუზიანი კაცი წისქვილში. მოვდენ ჯინები შულამეზე, დედოფეს სამა. ისენი ხუთშაბათიო ამბობენ, ად ჯუმაო იძახის. დაფანტვიხან ჯინებმა თქვეს ქი, რად ედღუგი ვუყოთო ამას? მეორე კუზიც დავამატოთო. მოვიდა ად კაცი სოფელში ორი კუზით...

ჯინები ინსნებ დეემგვანებთან, შეითნები – არა. ჩვენ მუსლიმანობაში შედთან არ დეინახვის.

ისტამბოლ ქილისე აქვან ხრისტიანებ.

უნივერსიტეტ ორი წელიწადი გავათავე, იზმით გავათავე.

- ორი ბაღვია და ოთხი თანე ბაჭალა. ახლა თორუნები მყავს. ისტამბულ წევდა დღეს. ყურანი იკითხა, ხოჯა გახდა, მუედისია.

ჩემი ღარჭი ერთი თავისთვინ საქმობს ბურსას. ახლა აქ არი. ქალის სოფელში წევდა. ერთი თანე ღარჭი ემექლი გახდა, აღარ საქმობს.

თორუნები ავსილი არიან, ათი და ვრა. ქართული არ იციან. გედგებენ, ვერ დუულაპარიციან.

- თქვენ სიდავრი ხართ? ბათუმს შიგნედამ? ნულა ლაპადკობთო. მეგემ იმის ბაღვის შვილი მოინდომა ჩვენმა ღარჭმა და... გავხდით დოსტები.

შუუყენებდი მაწონსა, მივცემდი...

ბურსას ბევრი არიან გურჯები. ბელედიე ბაშქანიც გურჯია.

დოდოფალი მოქყავან,

მეფე თოფალი ქყავან,

საჩუქარი რად ქყავან,

ერთი თოფალი თხად ჰყავანო.

შენებურა ამბობს. მე იმგვარი არაფერი ვიცი. დედამთილი არ არი, მულია.

დედამთილი იისაო,

მამამთილი ბიისაო,

შვილი შექერ-შხამისაო,

მაზლი ვარდი-გულისაო,

მული – მუხი კუნძისაო... (ბზათაში ჩაიწერა თინამ).

ჩამოგვიკითხა, ნახე?

შენი მუხი მოტეხილია. არ მესობა შენი მუხი.

- კარგათ იყავით. ანნი, ანნი შენ ჩვენზე კად იცი (აგულიანებენ თინას – ჩამწ.). ღმერთმა გაგახაროს; ერთ ბალიშზე დაგაბეროს... იმის სახელი დაწერეთ, ჭო! ღმერთმა კად გეჩიმი მოქცეს.

- შენი ლაპარაკი დაჰა ლამაზია.

კაკლის ხეჭბოდან გამოსულა და ჩემი თავი არ მოჰწონსო.

გაზენგილებულა და ცხვირი გუუზდიაო.

ანად ნახე, და ნახე, შვილი ნახე, მადლიაო.

ბერი ხარი რქიებ ქვემოთ დედლებს.

შიმიყვარდი და აღარ დამავიწყდები.

- ესენი ხლისტიანი ყოფილან.

- ჩვენ პრეზიდენტმა რუსჯა აქ'ნა ასწავლოს'ნა. აქა რუსჯა უნივერსიტეტჯა ოქული'ნა გააკეთოს. რუსიეში ბევრი თურქი საქმოფს. ზამთარი ბურსას ვართ ჩვენ. აქა ორი-სამი მეტრი თოვლი მოვა. ახლა აღარ თოვს, ერთი მეტრო გათოვდება.

- ამამ არ მამდერა, დიმიშალა. ოქი არ ვისამე, არ ვიმდერე!

ბაჯლობით ძალვან ლამაზი იყო. ამა სხვამ არ შეხედონო, არ ვასამე.

ალელისა-მალელისა, თვალი გეცა ალემისა (თელი მილლეთი – განმარტა მთქმელმა – ჩამწ.).

ჩვენი ბაღანები, თორუნები (=ბაღანებმა, თორუნებმა) არ იციან. თურქჩაზე გადაბრუნდენ. ოქულში გურჯიჯა არ არი.

- შენიდან არ დეძწავლა და ოქულში ძარა?

- ნენემ აქ დეძწავლა გურჯული. ყვირაღადამ არი გურჯი.

რად გითხრა და?

გაღმა სერზე ტყიმალი,

კონწალ-კონწალ ჰკივია,

შენ ქი მე მამყვები,

ზუქომ გადაგკივია...

ფინთათა რაცხა და არ ამბოფს ნენე...

გაღმა სერში ქათამი,

დამყდარა და კაკანოფს,

მე შენ რომ დიგინახავ,

გულში გამაკანკალოფს...

ნისლმა გედეძწინდაო, ვიტყვით.

ქუდი გამოვაქციე,

ნისლი გავაქციე.



ასე გამააქციე (გვაჩვენა – ჩამწ.). გამააბრუნე, ის თქმდა. ჩვენ თქმით არ წავა. ღმერთმა იცის. თუ უნდა ღმერთსა წავა. ჩონ ღმერთი ხელში ვართ, ჩონ ხელში არაფერი არ არი. ის გააწვიმებს, ის დააყენებს, ის წეფყვანს.

ღმერთმა გაგაწყნაროს, - ისე დავჰწყევლით ჩვენ. დაგჰწყევლო შენ?! თორუნები გყავს? აფერუმ, ღმერთმა მოგცეს.

ხგბო, კოტიკი. კურდღელსა შვილები ხყოლიაო.

გელის - ლეკვი.

ცხვრის შვილი - კრავია.

ურბას გუურცხი; გავრცხი.

უკან გამედქვა ხოჯამა.

შემცივდა, დავბერდი და შემცივდა.

ახალი ხარ, პრატ გავხარ.

ჩვენ სოფელში ჰიჩ თურქა მალაპარიკებელი არ იყო. ფოცხველ ნენეა არ ვთლი. რატომ არ'ნა დათვალო?

ისენი ვერ გველაპარიკებიან, ჩვენ გადავბრუნდით....

- იმან გურჯიჯა იცის, ანგლისჯა იცის.

- შენ რუსოო; შენ მოსკოველოო; რუსჯა გადაგარონია; შენ კათოლიკის შვილო... ღმერთმა გაგაწყნაროს; მშვიდობით არ მოგიყვანოს...

ღმერთმა გაგახაროს; არა დერდი არ მოქცეს; უდერდელი იმ დუნისაა, იქ არიანა.

სიმღერაა და: ქვეშა სოფელში აიშეს იმათ ეცოდინებიან.

თელი სოფელი (=სოფელმა) თურქა არ იცის. ზაქიეთი, დაბა, ბითავ გურჯია.

- სიმინდი, ქერი, ბულდა, ლობიო, ლახანა, ხახვი, ნიორი, თომატისი... ბულდა ჩეშიტ ჩეშიტია. შავი ბულდა, ფეტვი, ჭვავი, თეთრი ბულდა.

- კვიცი, ხობო, კოტიკი, კურდღლის შვილი, ცინტალი, ლეკვი, ბოკვერი, გელის - ლეკვი, თიკანი, კრავი...

შენ დეილაპარიკვა, გევგე, ერთი უცხო, აბა?!

- ძველათ ბურსას მოვიდენ გურჯები, ვერ მივხტი მათი ლაპარიკი. თქვენი ლაპარიკი მივხტები. ჩვენი დედები ზათი აჭარადდამ გადმოსულან...

ჭუჭული, მამალი (იყივლეფს, გამედღვიძეთ, ვილოცოთო), ინდი (ინდაური – ჩამწ.), ბატი... ბაჯალა ბაჯალაა, დარჭი ბიჭია. ორივე შვილია, აინი შვილია. ერთი შვილი მყავს, ორი - ბაჯალა.

- ქალები შინ არიან. დავგვი, ურბას გავრცხი, საჭმელ გუუკეთეფ...



ხოხლევში ქალები ბევრი აჭარადამ არიან. ჩვენი დაილადან გამოვდივართ ღუღუღზე. ჩვენი კაცი დიგვიჭირეს იქა.

გემასხარები, შორია იქიდამ.

იქ იყენ და?! გამლელად იყენ და... დოუშტვინეთ, უკან გამეძეცა ხოჯამა. ასკრებმა თოფი მუღღირეს, გაჩერდა. თვალი უუხვიეს, წეყვანეს, ფარა (რიშვეთი) აართვეს.

ჰუქუმეთში მივა ი ფული? ავუკატი შეიძლება? სუდია კაც იერთვა. ახლა კაცი ქი მოკლა, თოკს წაგაბმენ აქა. მოკლა აღარაა? სიბირიას გაგზანთან? ზველათ იქვერობა რაფერ იცოდით? ზველათ კარ იყო თქვენსა? ფარა ბევრი იყო? რატომ გეექვით?

- ღმერთო, წვიმა მოგვეც. ყურადი არი... რვა თანე თურქი ქალი მოვიდა აქა. ისენი გველაპარიკებიან, ჩვენ ველაპარიკებით, გადავბრუნდით ჰანი. ფოცხოვიდან მოვიდა ნენე, თურქი იყო, გურჯი არ იცოდა. მექთები არ იყო ზველათ. კავლა კი იქნა, ნაომარისთინ ათათურქმა ემე ქნა, მექთები გააწყო. მე წყალსიმერში ვიკითხე. იქ ვიდექით, შოლტისხევ. აქედან იქ ვერ იარ.

- ზროხის სახელებია: სათუთა, სადილა, ზარმელა, ნაზლია... ნაზლიჯან, ნაზლი-ჯან... ვეტყოდი, ჩემოჰყრიდა, ხბოსთვინაძე შეინახვიდა, ისე არ მოქცემდა... მოვჰსწველიდი, მაქინაში მივჰცემდით, გავადენდით. ნალები ერთ თერეფში... ჩავადენდით, ედვსება, მოვშუშავთ, ერთ დღეს იქნება. მერე ჯონჯოლოს გავაკეთებთ, მოვხრისავთ, კროჰში ჩავტენავთ. მერე წოვას გავაკეთებთ. ფშნილას გავაკეთებდით. ირმი ლირა ღირს. ჩლეჩილას ვაკეთებთ, ჩვენაც ვიცით. აჭარაში, ჩვენ თაზე ამოვდივართ და ვეყურებით, თირფნით თიბვენ. ხანდახან ელაპარიკებიან, იმათ ემინიან. ჩვენი თურქი ჯიბგირია, იმა არ შეიშინდება.

- მაწვნი დედას შევნახავთ, მაწონ შევაყენებთ.

გორბაჩოვს უკან გედრჩივნენ?

ერმენი კაცი... შენი ერმენიო, დააგინებენ. ასკერში ბევრი ერმენები არიან.

საუბრობდნენ: შემსიე ნური ალთინერი

დემურ-ალი ყადა

დემურ ალი ყაია

მაჰმუდ ჩახმახი

ზელიმ ალთუნელი

ზენაგარა

(ეს არის იმერხევის გადაღმა მხარე?)

ჰო, გადაღმა, ჰო, წეთილეთი აქეთა თერეფში რჩება, ველიქოდ არი-ა? წეთილეთი აქითა თერეფში ეარო'და ზემოთ. წეთილეთი ეარო'ნა, შეხვალ. დელეგაღმა-ჰო?

მაქ... ჩაქველთა ქი გზა გეირჩევა, ა იმ გზიდან,... სეზხელ ... ეს ჩაქველთას ყალეა, ჰო. ბარაა, ზედთკენ წეხვალ, ჩაქველთას მაჰალე ჩანს, ეს აქეთა მაჰალე ჩაქველთასია; აქეთ გზა არი ჩაქველთა, ჰამა აგზე დარჩა. ზემოთ, სულ ზემოთაც იშტე თურმანეთი, ყაბაში. სახლებია იქ სულ, გაღმა არი, ჯვარიკვე; ჯვარიკვე ორთავში იციან გურჯი...

მე, ჩვენ აქ ამ სოფლური ვართ, აგარადანა ვარ და ჩიხორიდან ვარ.

მე და ჩემი კაცი ხალაშვილები ვართ.

მე რამე აღარ ვიცი ქი ... დამავიწყდა.

ამა ზენაგარა ქვია.

მე რა ვიცი, რამდენ ხნისა ვარ... ალთმიშ დედი ზოვლი ვარ.

გურჯიჯა ყოლა აფერებ-ჰო?

- ჰო, იმღერებენ, მე რა ვიცი. მეც დამავიწყდა ქი, აღარ დავდივარ. თოვლს ნიჩბით მივყრით იქეთ-აქეთ და ამევართ, მივყრით ასე, გედევართ. მითესია იგზე... ლობიო, სიმინდი, კიტრი, ტომათესი, ჰამა არ მაქ მე, ზემოთ არი მეტი და... წინა თერეფზე გათოვდა, ჰამან მედხრუკა. ფართო ვიღებთ, ვჰამთ. შავშეთ ჩემი კაცი ბარაში საქმობს, ართვინ. ედ, იქიდან წამოსლიხან მეტანს. ხვალ არა, ზეგ'ნა მევდეს, წამედლებს იშტე, რაცხა არი.

ჰო, ჰო, ჩვენ შინ ვართ. გყავს ჰო, ოთხი ძროხა. ვწველა-ჰო, აბა რად იქნება, მაწონი იშტა, შივაყენებთ. ბევრი რომ იქნება, მაქინას გამოვადენთ, გორჯოლას გავაკეთებთ, ფშნილას გავაკეთებთ, ჰო, კას ვაყენებ რავად... ავადულებ კარგა მეს, იდულებს ცოტა ბოლათ, არ გადმოიდეს, იდულებს, იდულებს, გადმოვლებთ, ძირს დავდებთ, გაცივდება. ხელ ჩაყოფ, ხელ მოგწვავს, ვურთავთ დედას, შეახვევ... უჩ... თუ ცხელა მალე, თუ არ ცივა, ზამთარში დანი... დილაზე ავყრი, სადამოზე დავბურავ, შევახვევ. ამ დრო, დანი, დაბურვაც არ უნდა, დედაც ცოტად უნდა. ამ დრო, ანი, ერთი ლიტრა მეს ამ დრო იმდენი ქი ყაშული, კოვზი დანი მაწონში ჩადევ, ამედლე, შევაყენებ დანი, ნახევარ კოვზი ურთო'ნა. მე ვედროში შევაყენებ. ვედრა არ იყო წინ-წინ.

კროჭებში, ქილაკებში, კოლოფებ აკეთებდენ შეშიდან, შეშისა-ჰო, კოლოფად ლამაზი მახხვევდნენ.

არი, ჰამა ძველია.

ზაჰამ მაჰალე

- მე ჰაჯერად მქვია. მე ისე გევგე.

ორი შვილი მყავს, ღარჭი. ერთთანე დასახლებულია, ერთთანე - არა. ანკარას არიან.

(იმას ყავს შვილები?)

ეყოლოს უნდა. აქედან არი. იქ მცხოვრობენ ჰო. იქ მცხოვრობენ, ცოცხლობენ, იშტა. სამი წელიწადია. უნდოდენ-და, ღმერთმა ახლა მისცა.

ახალია სახლი, შვიდი-რვა წელიწადი გახდა; აქ ზემოთ გვექონდა იმგვარი სახლი ჰა, აგზე ზემოდან.

გურჯები არიან, ჰო.

ხან ისე ვლაპარაკობთ, ხან-ისე რავარცხა. ჩვენ იმდენი არ ვიცით, მაშლი ვინცხეებიდან, ძველებ... ყურბეთში მაშიერუნ... ყურბეთში ვართ ჩვენ იმფო ბევრი; თქვენ, აქ ვინცხა მცხოვრობენ, იმათიდან'და მოკრიფოთ დანი. ახლა ჩვენ ... ზაფხულში მარტივ მემრე - ანკარას.

(რა მოგყავთ ბოსტანში?)

რაცხას ხედავ, თელი არი, რა ვიცი მე, თელი არი. ბენ ტოლებითდა (=ტოლებთან?) ილაპარაკოთ ქი დანი, მე იმდენი არ ვიცი. რა ვიცი, არიან აქა იშტე, ჩვენთან ანკარაში არიან, ახლო არიან. ახლა ახლო არიან და შინ არალიან, წევდნენ ისა ლოცვაზე, ბაბოდ იქ წევდა, ანად არ მგონია შინ, ახრახასთანაა, მგონია, თუ არ წასულა, შინ იქნება. თელი ჰო, აქა თელი გურჯებია, ეს მაჰალე ბითევი გურჯები ვართ... ავათ არის, ჰამა იშტა...

რაცხას სვამთ?

ამ სოფლისა ვართ, თურქა ელლი სექიზ, ზაჰამ მაჰალე (სოფლის უბანია -ჩამწ).

გურჯიჯა ლაპარაკი უნდანან-და. გურჯიჯა სიტყვები, რაცხა... ნე ბილემი (ბუ ქო... ესკი-ისკი, ეელი ისკი...).

იციან, ამა არ ბრუნავს ამათი ენა, მიხდი? იციან, ამა არ უბრუნავან ენა-და. ესაც ჩემი მეზობელია, აგზე, აქ ცხოვრობს, ამ სახში.

ამისი მაჰალე გურჯი არ არი, აქ დეისწავლა. აქ, ქომო მაჰალედან არის ჰე, აგზე ქომოთ მაჰალედან ჰა.

ვუთხარ, არსად არ ჩადვათ-მეთქი და ...



ქომოდ მაჰალე ნახევარი თურქა არი, ზემოდ მაჰალე... ერთი მაჰალე გურჯი არი, მეგრები თურქა არიან. ზემო თერეფები თლათ გურჯიჯა იციან, ამ ჩვენ თერეფში არევლია.

წვე კარგი არ არის.

წვე წინ ნუ გადიხარ!

მაჰალეები: მოსიძე, მარგაძე, შულლაძე (აბაშიძე), ვარდიძე; ჯამიკრი ღელე, დარბაზ უკანაძე, კარწინათი, კალო, ქურდი ყანათი, ქვიტაური//ქვატაური (<ქვათაური? – ჩამწ.), დიდ-ვაკე, დაწვილი ტყე, ქილისა. თუთხმეტი სოფლის ქილისა ყოფილა. ტბეთის ქილისა ამაზე ყოფილა მიბმული. თექსმეტ სვეტზე დამდგარი ყოფილა. სამი ყათი მიწის ქვეშ ყოფილა, სამიც – ზევით.

თეთროზეთი, ბრინჯვალი, რუბანეთი, ქათიჯვარი.

აგარა – აგზე შეჰყრიან და უთქვიან, აგერააო.

ბათუმიდამ გოგო გამოქცეულა, აქ შეჰყრიან, უთქვიან, აგერაო.

ჩვენი გადარცხილია, თქვენი გადარცხილია, არ ვიცი.

ამ ქილისაში თამარა მოსულა, უკანა ხანები აქ უცოცხლია. ერთი კიდო იტყვიან, სასაფლაო აქ ქონია. დიდი ქილისა ყოფილა, მიწი ქვეში სამი თანე გზა არი. ჩვენ არ მოვწრილვართ, ერთი წეთილეთ ჩადის, ერთი უხედ თერეფში,... ეს ალაგი მარგაძეა.

ცხეა!

ციხევ მოგიკტეს ამშენებელი,

გარედან ქოშა მიმშენებელი.

წისქვილ პური დავაყარე,

სარეკველა უხდებოდა,

მე რომ იმ ლამაზზე არ მეკოცნა,

მერაყისგან მოკტებოდა.

ცქვიტათ სამას ცაკვა უთხრეს. ცეკვაოდან ცაკვა გახდა. ქართული ნათესია...

საუბრობდნენ: ვეისელ მარგაძე

სულიკო მარგაძე

წეთილეთი

- თქვენიდან ერთი ქალი არი, ის ვერ იპუეთ? კამ ქალია.

კაცი არი და აქ არ არი ახლა, ზემოთ სოფელშია და ჩამოიდეს'ნა; იზმით ვარ, მევბარგო'და რიზეს, საქმე არ აქ კაც, მევბარგო'ნა, უსაქმურია, იქ'ნა ვიყვნეთ. ერთი წელწადი საქმე არ აქ, უსაქმურია. „ილდირუმ“ – ბაბოს სოდადი. გურჯული მე ანას უკან დევწავლე.

გევეთხვე წყალსიმერში, იქ არ მივდივარ, იქა – ანა-ბაბოსთან. კაცის ემოად არი იქა და იმისი ქალი.

- გავანათლო სინათლე? ხანდახან წადის, მოდის, სულ გვიან მოდის; ზაფხულში იმდენი არ წადის.

ამ სახლის ბაჯალა ვარ, სამი თანე ვართ. ზამთარ-ზაფხულ ესენი აქ არიან. ემე ყავან ახორში. ზამთარში თივებ ზიდვენ ჩომასათვინ ტყიდამ. ტყეებიდამ შიშას ზიდვენ. წავლენ, გააკეთებენ, მემრე მეტანებენ, მემრე ჩომას ემეს – ნეხვ ზიდვენ ზამთარში.

ვთესავთ სიმინდ, ლობიოს, ხასად მოიდესო. ყანას „ჭალას“ ვეტყვით. სათიბავებს, სათიბლებს „ჭალას“ ვეტყვით. ნაფუზარ „ყანებ“ ვეტყვით „ნაფუზრებ“. ბახჩიებში არაფერი არ მოდის. თუთებს დავარყევთ. ჩემ ბაბოად ავა, ასე შეაქანებს, მოვადულებთ, ჩადირებს დავაგებთ, მემრე მოვადულებთ.

ძროხას მოვსწველთ, მემრე მაქინაში გავადენთ, მემრე შევდლებავთ.

მე დევნახე კაცი და ისე გევეთხვე. ელჩი სამჯერ მოვიდენ, დევფიქრავთო, უთხრეს (ჩვენ არ გამოგვწიო, აქ არ მისცეთ თელევიზიონში, - ოჯახის დედა, ასაკოვანი ქალი გვთხოვს – ჩამწ.), მოვაწონდი. დეემძრახები თუ არა მამამთილ, ის ძველად იყო, ახლა არაა, სირცხვილი იყო. უჩუმარად დევლაპარიკებდით.

მიგიყვანდენ, ვალას დავაბურავდენ, დუგუნი იქნებოდა.

მექთები დეფანტვის, მუალთ, გედსხნება, წავალთ, ორთვენახევარში.

რძალი თავის ბაბოსთან წასულია, ჩამოიდეს'ნა; ძმა იქ არი, იზმით, ორ თვეს. რძალი მოდის გაზაფხულ აქ, ზამთარში თავის სახში, მე ჩემ სახში, ხოხლევიში.



მეორე ძმა ბექარია, დასახლებული არ არი, ვერ ვიპოვეთ გოგო, ოთუზ წლისაა. ჩემი ნენეა, დედეა მანატბაში არიან: ზამთარში მიდიან, ზაფხულში მოდიან.

ოქულშია პაწაა, იქ მექტების წინ ასწავლიან, მემრე მეჩეთში. ერთმანეთს ემეს იჯებთან. ამა ხედავ? ეს ახსი ბიჭია, ხელი არ დუუდგება.

- ესენი არ გინდა?

- აქ უჩალით მოხველით? ახლა სერბესია წასლა-მოსლა.

მოიდა ერთ ქალმა, მადულა ბეთმეზი და წეალო.

ჩვენც ამისდროული (ბავშვზე ამბობს – ჩამწ.) არ ვიცოდით გურჯული, მემრე დევსწავლეთ, ახლა რა'ნა ქნას, გნებულობს.

დედამთილი გურჯულია.

ოქულში ფული არ უნდა, ფეხდაფეხ წადის, ახლოა.

აგზე ქალია, რაფიე, იგიც გაწავლის, ბათუმი-მათუმი იმან იცის. ბაჭალა ბათუმ ყავს.

ჩემ ბაბოს ბათუმი ფენა უყვარდა. ადესა ყურძენი იცოდა ქი, ბათუმ დაჩოვლი ვიყავით. პატარა არ ვარ, არა, მეთმიში გადავძლიე. მეშინია სიკდილის. კაცი წევდა ტყეში, შიშა'ნა ჩამეატანოს. ბათუმიდან ქი ქალი მოვდა და ისაქმა, მეზობელთან იყო, ი ქალი მოიდა, ჰო, რძალიც ეხლა, ძაშლი იყო, დედაბერი და ძალი ყავდა.

ზამთარში არ წავდივარ, რძლები არიან წასული, არ მოდიან. საქონელი გვყავს, თაზე ადიან. ზათინ ბევრი გვყავდა საქონელი, ორი ხბო, ზათი ბევრი; რაი'ნა მყავდეს მე, ბერ-დედაბერი ვართ.

ზოგი მარტივი რჩებთან.

- ხალა, იქ შეყარე, სობაში.



- ფინთები არიან, არ მოდიან (ამ მოხუცის ვაჟზე და რძალზე ამბობს მეზობელი ქალი, რომელიც ეხმარება მოხუცს – ამზადებს ნამცხვრის ფენებს – ჩამწ.).

დევენახო, რაი გაქ (გახსნა ნარგიზას ჩანთა – ჩამწ.), დააყაფანო'და. ჰო, ჩავავდე...

საუბრობდნენ: მუაზეთ გულთექილი, 40 წლის.
საფიე ილდიზი, 70 წლის.

- (მოჭრილ ჭიპს – ჩამწ.) ჯამის ქოშაზე ჩამოდებდენ, მლოცავი გამოვდესო, მიუდეს-მოუდესო. სხვა სოფელში სხვა ადეთია, ჩვენ სოფელში სხვა ადეთია. მოცლილ კბილსაც შევენახავდით, ლენჭოში შევდებდით კი, დუზი კბილი ამუუვდესო.

- თუ დეემართა ჩიჩეგი, საპონ არ ვიხმარებდით. პირპილ არ ვიხმარებდით, გაღორდებო, არ მორჩებო. საპონიც გააღორებს ავატყოფობასო. არ მაკმარებდენ საპონ, არ ვიკმარებდით.

ყაბა-ყურავი – ყურები გუუსივდებოდა. სამი-ოთხი დღე იქნებოდა, მერე დუუცხრებოდა. კარში არ გუუშვებდით, არ შუუქციოსო. თაფლ, აახველებდენ, მაშინ ვაჭამდით. დაჩხვერდენ, ჩიტის სკინტ გუულებსავდით, გადავაყლაპევდით.

თათარხანა ჩუუვარდებოდა რაცხა, იმასა ჭიპ მუუბრუნებდენ ასე, ბარდალებსა მუუკიდებდენ ასე... ცეცხლ ჩაანთებდენ და დუუყულებდენ.

ჩვენზე წინამ იცოდენ, ჩვენ იმდენი არ ვიცით. ჭიაზე ყაბლი გულ მიაართმიდენ, ის გააყრიებსო...

წითელაღც არი. იმას რას უზემდენ? ილაჯ უზემდენ. ჩიჩეგი სხვა არი, წითელი სხვა არი.

ჩემ დიდ ღარჭ აქ და ახველებს. ნიორი ილაჯია, ბაბოა შჭამდა.

„ძიმეთ“ ვიტყვით ჩვენ. ძიმეს საქმეს არ ასაქმებდენ, არ მოჰკიდებდენ. აქა ზრუგში მოკიდვა არი, მოიკიდებ, წეღებ, მეტან. მოწყდებო ბადანა. ორმოც დღე მელოგინე ქალს არ ასაქმებდენ. მეზობლებში არ შევდეს, თაგვები ბევრი იქნებიანო, ასე იტყოდენ. თაგვები იქნებიანო, გაჩეჩდებო.



ეროვნული
ბიბლიოთეკა



მშობიარი ქალი შემოვა, არ შეუშვებდენ. ქალი რომ იმშობიარებს, დალოგინდაო, ვიტყვით. ჯინები არ მოვდენო, საბელ შამაავლებდენ, ქვას აწონავდენ და ლოგინთან დადებდენ, სხვის ბაღვმა არ დაძლიოსო.

კარა – ყურად არი. შეგეშინდება... დაილაში ვარ, კარი გააღო, შემოვდა. ვეღარ გავქანებულვარ, გავშემდი სანქი. ერთი სალავათი გევლე და წევდა. იტყვიან, კარა-ყურად მოვდაო და დამაწვაო გულზე.

დაილაზე დანას შევაკოჭიებდით ხოჯას, გელს პირი შეეკოჭებო. ხალაე შაკოჭიებდა, ჩამოვდოდით, გახსნიდა, ცოდვა არიანო, გელები შიერები დაწყებდებიანო.

ზა'თინ ხორთლადათ დგებოდენ, ახლა აღარ დგებიან. ვინცხა გონჯი იქნება, იგი ადგება. ბზათას ამდგარა ვინცხა, იტყოდენ...

- ბზე ადგება და იმიზა ბზათა ქვია, მე ვამბობ.

ჯინი სხვაა, ჯაზი სხვა. ჯაზი ქალიც იქნება, კაციც. სხვის ახორებში შედიან. დედეს ჩულაა მუუხურავს, დამჟდარა. შემოსულა ჯაზი, შემჟდარა ჩომაზე, წულუჭირა ყიაში, იძახა, გიმიშვი, თქვენ ჩომას აღარ მივეკარებო.

ჯინდარ ხოჯებ ეტყვიან. ახლანდელი კაცი, ქალი ჯინიც გახდა, შედთანიც გახდა, ჯაზიც გახდა.

ფერი, ჯინი ადნი არიან. კამ იქნება ფერია, გონჯი – ჯინი. ჯინზე გეეთხვები, გალეჩდები.

- კვირის ჩხვერაზე გატყვილდება ქალი, მერე გამართლდებოდა. პირველი არისო იტყვიან. ზოგი ქმრის სახში დალოგინდებოდა, ზოგი – ბაბომს სახში. ვინცხა კი დაალოგინებს, ბიბიაე ქვია, ებე. ბიბომ ბაბომს დაა. ბიბიამა რაცხა იცის, ისაა. ჩხვერაში თუ იყვირებდა, კაცი გევდოდა კარში. ზათინ თოფის სროლაც იცოდენ. ღარჭი მეყოლაო, ემეს იზემდენ, მიასობდენ, ემესა გააგდებდენ... ერთი წლისა უკან ქირვას დააყენებდენ. ქირვად მეზობელიც იქნება, ხისიმიც იქნება, ტადაც იქნება... ქირვად დასუნათების საქმეს აკეთებდა. სუნნეთ დუგუნ აკეთებენ, მეზობლებ დუუმახებენ, ახრბას, ღარჭ დაასუნათებენ, ბახშიმ მიცემენ. ახლა დოხტორთან მიხყავან, ამა სოფელში არიან სუნნეთაჯები. ორ დღეე დუგუნი იქნება.

ქირვის შვილებთან დასახლება მასალია, არ ხდებო, იტყვიან. ტააშვილი, ბიბიაშვილი ხდებო ამბობენ. ჰამა ხოჯა ამბობს, ხდებო. ხალაშვილი ერთი დრამი ამბობენ ხდებო, ბაჯომ ბაჯოს ბაჯალას თხოვნილობს.



ძველათ ქითაბის სახელს არქმევდენ, ახლა რადიოში ამბობენ, თელევიზიონში ამბობენ... ორ სახელს არქმევენ: ერთი ახალი (ჭიპის) სახელი, ერთი დედემს (ძველი) სახელი.

ყეფავს (ყვირის).

ყამჩიეთი... დღვაბიზები – მიხყევა დიობნამდე.

ხურმა არი და არ ისხამს, ფიჯი ხურმაა. ად ბაწარი აგზე, გზაზე ადის, ხეს მახტები, ახვალ. ხანდებან შემას ვხყრით თავდაღმა. მანქანას დუღდგამთ, ჩამოვტანთ. დელე-დელე ჩამოვხყრით...

ახლა გაჰაზირებ ქი, ზამთარში დაჰყვავ.

დავლათი (ბახჩიყაფი)

ორი თანე ბაჰალა მყავს, მესამე ბიჰია.

თუთაყურსი, თეთრი თუთა რომ გაწითლდება, ისაა. თეთრს „თუთას“ ვეტყვი. თუთაყურსი გახდება, ზამთარში ჰვამთ. ჩაის შეატან, გერმელია. ბეთმეზ მოვადუღებთ, ტყლაჰ დავასხამთ. შვიდ დოხტრის ილაჯია ბეთმეზი.

ჩადირში დავარხევთ, ქვაბ დავდგამთ, თეშტ დავდგამთ, ადუღდება, გადაწურავთ. მუხა, რკო მაგარია, ისაც მაგარია, იხლამური, ყვითელ ჩიჩეგ ისხამს. სხალიდან, ვაშლიდან ყორავს მოვადუღებთ, რა ვიცი, მოდუღდება და მოდუღდება.

ყველამფერი მავიწყდება. თელი გურჯი არიან რაბათში. აქ გზები ცოტა ფინთია, ასფალტი დასხმულია, ლამაზი გზებია. აქ ყველა მეივა არის, თევრ-თევრი ვაშლი. მეივა არი და არი ჯინს-ჯინსი: ქრისტა ვაშლი, თავრეჯულია, ნაშენებია ხეჰეჰურად ვაშლი.

საუბრობდა უზუნ აქდემირი

- ბაღანა ვიყავ, ერთ ღამეზე სამი მეთრო გათოვდებოდა.

- ჰკვით დაწერვა სხვა არი, გულით დაწერვა სხვა არი. ეროლ ორალი (90-იან წლებში ერზრუმის უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი – ჩამწ.) მახსოვს. ენვერ კონიუნქჩი (ისტორიკოსი, ერზრუმის უნივერსიტეტის პროფესორი ჩამწ.) მეტყოდა, შენ დაჩუმიდო და თავის დაწერულ ტყვილ იტყოდა. ბესიმაღ (შავშია, დაბიდან, ერზრუმის უნივერსიტეტის პროფესორი, ისტორიკოსი – ჩამწ.) არი. აქევრია, მაღლა სოფლიდამ.



- ქილისე აგზე იყო, გზი ქვეშ. სხვაგნდან მოსული რომ იკრეფენ, ჩვენ ფოშას ვეტყვით.

ზაფხულ იქადა კადა.

- ნენე მოყვებოდა, აქ ერმენები იყვენო. გოლგზანთან ისენი. ზოგი ჩაქველთა სოფელია, სერ გადაღმა თურქები არიან, გადმოსულან დუუკლავან. გურჯებ შუუნახვან, ახორში დუუმაღავან.

- ერთი ბერი იყო ქი იმა ვეტყოდი: ხოფადან მოსულან ქი, შავშეთში, კარქი ადგილები დუუჭირვან. ვეტყოდი, თქვენ შავშეთში არ გადასულხართ, სომეხები გაკრეფილან; იტყვით, ჭკვიანი ვართო, არ გადასულხართ. დარჩომილან იმტე სოფლებში. შვილო, ჩვენ ვფიქრობდით, ჩვენც'და გაგკვირფონო...

ჯინალი უკნედან აჭარაა. აქ ფარნუხია, აგზე სვირევანი. გადმოხვალ უბეა, ბრილს უკნედან ერთი აგარაა, წეთილეთ უკან ერთი აგარაა. ამ თერეფში ბითევი ქართველია. წეთვეთი შავშეთის უკანაა. იქ ქართველები აღარ არიან.

ნორგიალი შავშეთში არ არი, არდანუჯ არი. დიდრონები ლაპარიკობენო...

- იქვერი გურჯები წასულან.

ოლთუს ემე არი, გზის გაღმა სარაა ყოფილა. ზამთარში იქ ჩამოვდოდაო, თბილი ალაგიაო.

- აქ ყოლაფერი მოვა, ბერები, დედაბრები არიან. ჩემ მამას დედემ აღარ დადგა, მე ზაფხულ სოფელში'ნა მივდეო, აღარ დადგა. ჩვენ სტამბოლ ვდგავართ. ხოხლევისკე ასე წახვალ...

ერთი ავედი, ჰამა არ ვიცი...

საუბრობდა სელიმ უზუმი (ყურძენაშვილი)

ჩიხისხევი||ჩგხისხევი

- საღამოზე პრობლემ არ არი, დილას პრობლემ იქნება, მანქანები ბევრია. ქირაში ვარ. გაწვიმდება, პრობლემ იქნება. მანქანა ვერ ჩამოღარს.

ეს არ არი გურჯი, ეს აქვერია.

- ჰიდან ჩამოხველით?

ჩვენებურები მოდიან აქ, რიზეში. პამიდორი აქვერია, კიტრიც აქვერია; ჩემი ემიაშვილი აქშია, ქომოთ.



აქ ბევრი არიან გურჯები. ქვემო ყალეზე თქვენ ახველით? ტეფთა ძველი სახელია. იქ ვიყავით ბევრი, იქვერობა ჩვენ დავანგრეთ, ალთუნ ვემებდით.

ხოჯა ლოცვას ასწავლის, კითხვას, რავად იკითხვენ.

- რას შობი? კად ხარ?

ის არ ესახლება, ფარა უნდა, კად გოგო უნდა; მე ვებნევი, ჰამა არ იჯებიან. კად ფული'ნა გქონდეს.

- ანჯახ გავთბით, გაჰყინა, გაჰყინა.

- ათა თურქს ბევრი ქალები ყოლია.

ხელი წამეიქნია, დეილია, ახლა გევეგენ.

გურჯიჯა ბილე არ იცის.

ბავშები რატომ არ წამაასხით? წამეგესხეს.

მაწყინარი თაფლი მაჭახელშია, აქ არ არი. თაფლ არ ვყიდით, ანჯახ ვყოფნილობთ.

თითო-ოროლა ძროხა გყავს. მეზობლობა კად გვაქ, კად. მეზობელ დაჩხვერსო, შენ ფუშზე ხელი'და დეიდვა.

ადგილების ძველი სახელებია: ზუბიეთი, მამლიეთი, ზეფზათი,... ჰალა არი კიდო... სამწყარე, ბაღლარი, ხოზაბირ, ბესელარ... გათავდა.

- ძმიები ყავს. ჩემი სახლი აგზედ არი, არაბად არი, ჩემი ქალი (=ჩემმა ქალმა – ჩამწ.) ჩემზე კად იცის და თაზე არი. მაჭახელ მაილები არი, ხერთვისი.

მეცაც წამუალ, თაზე არიან, ნახევარ საათზე ავა არაბა. დანოლლი მაილა, ჩიხთა სოფელია, ქომოდამ ესკი ყალე არი-ა? იქიდან შერთულია, ერთი გზაა.

ერთი გურჯიც მევიდა, ჩემზე კად იცის. გურჯიჯა სიმღერები თქვენ ასწავლეთ.

ჩიხორი ამ სერი გადაღმა არი, ჩიხთა შორ არი. აქ იმდენი იღმერებენ ქი, ვერ დაწერავ.

თოვლი ქი წამოვა, შვაგი. „ჩიხი“ ერთია, „ჩიხი“ თურქულია, დაწვილა. ჩიხარი – დაბალი(?) ღელე გვაქ.

ესენი ქალაქში არიან, შეჰერში. ბაბომ არ იცის, შენ დეგეპარიკებით.

თქვენ სა მიხვალთ?

გურჯები არიან ბევრი ადაფაზარ, ბურსას, ისტამბულ, ჩვენ ძერლი ვართ. წყალი არ ქონდენ იმათ. ბათუმიდან ვწიკვედით ძველათ სიმინდ, მარულ.

უსტამისის ციხე გურჯებმა ააშენეს, ელლი, ელლი ბეში არ არი. ძველი არაა, ვინ ააშენა? ისე ამბობენ თელი. შავშეთის ქომოდან არი, გაღმა არი, იქ



ბევრი ქილისეები არიან; ეფემ გურჯია, გურჯი არიან, ამა არ იციან. ბევრი არიან, ბევრი იყო, დიდი ქალაქებში წვეიდნენ, ახლა სამოცი კვამლია, ორას და ორმოცდაათი იყო.

ბებერები არიან, ახალგაზდები დიდ ქალაქებში არიან, სწავლობენ, საქმობენ. ძველი გვარები ჩვენც დავკარგეთ, კომუნისტები იყვნენ, ჩვენი ძველები ამბობდნენ, ბათუმელები ვართ, ბათუმიდან ვართ; მარადიდიდან ვერ ვუყურებდი. მე რიზეში ვარ, გურჯისტანში ხანდახან მოვდივარ, ბევრი არ ვიცოდი, გეისხნა, ვიწავლე ქართული. რიზეში ლაზები არიან ზოგი, ჰემშილები არიან. სამი რაიონი არიან.

თელ ადამიანებში კარგიც არი, ცუდიც არი. თელი ჰემშილები კარგები, ლაზები კარგიც არიან, ცუდიც არიან, თურქებიც. თურქიეში ბევრი ხალხი ცხოვრობენ: თურქი არი, მოსული არი, ლაზი არი, აფხაზი არი. ჩვენში პრობლემ არ არი, მე ქართველი ვარ, რუსის კულტურა ჩვენთან მევდა, თქვენ რუსებთან იყავით.

აკორდეონით ქორწილ ვიჯებით, მეზობელი თურქულია, იგი დავლით იჯება, ლაზი – ქემენჩით.

ქართველებს ჭადი ძალიან გვიყვარს, თქვენც გვიყვართ, თურქები არ ჭამენ ჭადს, არ უყვარან. ბევრი არ ჭამს.

- მე ახალგაზდელი ვიყავ, ადრე თელი ერთი იყო, სოფელში იყო, ქალაქებში ვერ წადიოდენ. ეკონომია კაა არ იყო; ახლა ეკონომია აიწია. გურჯები ამ სოფელში არ არიან, სხვა ქალაქებშიც არიან... ეს საქმე როგორაა, იცი? გერმანიაში, ფრანგეთში იმის ეკონომია კააა, ჩვენ დავკარგული ვართ, თქვენც დავკარგული ხართ, ჩვენ ერთად ვიყავით; კულტურა აირია, კულტურა დეიკარგა; ჩვენი ენაც ედრია, არაბულია ბევრი, ენა არევლია, კულტურა არევლია, ამის მერე ვერ ემეს ვიქ...

რომელი მილეთიდან იყვეს, ჩემი პრობლემა არ არი. ასე დევლაპარიკებთ.

საქაშვილი როგორ მოგწონს? შევარდნაძე როგორ იყო; ერდოგანი მუსლიმანი კაცია, ესე ეყოფა.

- ჰა მიხვალ?

- ახალი გელინია. ერთი, ორი თვე გახდა, ღარჭები გარეთ არიან, კაცები არიან, გელინი არ წავა, ბათუმური არ არი, ქუთაისური არი.



საუბრობდნენ: მამლიენ ზუმბოლო (ზუმბაძე);
 ზექერია ორალი („თათოღლებ გვეტყვიან“);
 ჯემალ ავჯი (ავჯიშვილი, ავეჯოღლი).

* * *

ჩეხისხევის ადგილებია: კოკიბერეთი, ზუბუნთი, წელწათი||წერწათი, დუღბიენთი, ბარები, მოკლითი, ხოზაბირი||ხოდაბირი... ბევრია.

სოადები? არიან ყავეჯოღლი (რიზედან მოსულან, ლაზები არიან), ხოჯიოღლი (ადანადან მოსულან), ჭიკვიები, ზუბოღლები (ყირიმიდან მოსულან)...

მამალიშვილები (მაჭახლიდან მოსულან), ბერიშვილები (იხტიაროღლები), ყარსელოღლები (ორი ოჯახია, ყარსიდან არიანო იტყვიან)...

დელიოღლები (ლეჩიშვილები), ფათოღლები (მაჭიხლიდან), გენჯოღლები...

კიკვიები (ლაღაბია, დაბალი კაცები არიან და ისე ეტყვიან), პაპიები...

ქართველები აქ არეულობის დროს მოკრებილი არიან. არეულობა იყო და... ქართველი მუჰაჯირათ წევდა: ერმენები იყვენ აქ, ართვინ ქალაქიდან, ვინცხა ქი იქა წევდა, ოსმანლიმ მიწა მიცა. აქ ძველი ძერლი არავინ არიან...

ქომოთას... ის დუნია ნავალი იყო, რუსიას.... ამან აწავლა ქი და უკან გაგზანა... ახლაც ბურსას ჩასული იყვენ.

- ხეს მოჭრიდენ, გაახევიებდენ თახტას. გარე თერეფ „ლამფას“ ვეტყოდით, შიგან – ფიცარი. დახას ამოჭრიდით, ტახტას ერთმანეთზე დავარიგებდით, გაკეთდებოდა. ქვეშ ჩომის ახორ, ზეით დასადგომ სახლს გავაკეთებდით. სახურავს ყავარს დავახურევდით, მოვხევდით ერთნახევარ მეტრო მორს, შუაზე გავხეთქავდით... თეელი ხე არ იქს, გამორჩეული'და იყოს. ერთ ხიდან ხუთას ყავარს გამეველებდით.

- საბურთიას დაილაზე დავდიოდით. დათვ, ღორ, გარეულ თხას (კარჩხალში არის), კვერნას დევჭირევდით. მახეს მუუდგემდით, ჩავარდებოდა.

ქომო მაჰალე ჰიჩ თურქჩა არ დუულაპარიკია.

ჩემი ბაბოღ ბათუმში ხაფისხანეში ჩაწვა. სამ თვეს იქ იყო. ხოფაიდან მოსულა, მე პაწად ვყოფიღვარ მაშინ. ჯავე არიო და არ უნდა...

დასამობი

სერ იქით ლამაზი არ არი. სინკოთ ქართული, გურჯიჯა არ იციან...
ბაბოდ დასამობ არი, ანედ თაზე წევდა.

ცხელადა, სახლებში იქნებიან.

ზოგი რჩებიან, ზოგი წადიან. აგზე გახვალ, გაღმა ნიოლეთია. აქ
ზველათ ჭურებ ვაკეთებდით, ვყიდევდით. ჯავეს ჩადებდენ, ლახნი ჯავეს.
ფურუნში გამოვწვევდით. კეცებ ვაკეთებდით, ქოთან, დერგებსა... არ
დააწავლეს თორუნებსა თავიანთი ალამობა.

აგი ზმის ქალია.

- ჩვენზე მოსულ იტყვიან ზველათ ბათომიდამ.

- დაკონწიალებაც იქნება.

ახლა გაკრეფილი არიან, აქ არ არიან ბაჯლები. ჩაქველთას არსიანზე აქ
მაილა, ჩვენ – კარჩხალზე.

ბაჯლებიდან თორუნი, ღარჭებიდან თორუნი არიან ათი თანე.
ნაფურნევი აგარული მაილაა. აგარაშიც იციან გურჯული.

აქედამ ჩახვალა? აგარა ჩიხორის მაჰალაა. შერთულზე გამეძარ,
დასამობ გადმუხხვევ, აღმაზე'ნა აბრუნდე... ქოფრი თავიდან ზეით'ნა
აბრუნდე. ჩვენი შემოდის აგზედან, აგარის შემოდის აგზედან (ხელით
გვაჩვენებს – ჩამწ.).

იმტა მოსულან, აქ დამსხდარან. ოცი წლის წინ ზამთარ-ზაფხულ აქ
იქნებოდენ. ახლა დაბლა ჩავდივართ. თივას არაბით ჩაწიკვენ დაბლა, ჩომას
მიართუმენ.

ჯარები ყავდენ, ახლა აღარ ყავან..

უზუმლი ბოხობანია.

ად ხეჩოდ ცულია.

ესკიდან აქ სომეხები ყოფილან. ისენი გაქცევლან, გურჯები მოსულან
ბათომიდამ.

- ციხი ყელი ქვია იმ ყალეს, ჩაქველთურ ყალეს. ჩვენ ყალეს –
დავლავლები. საისრები სინკოთი თავზეა.

იფხრევის ყალეს პარეთა (პარეხთა? ბოჯანეთი – ჩამწ.) ქვია.

ჭედლური დელეში ქილისაა, ყალე არაა. დანგრეულია, ეტყევა.



ოპიზა ღელე, ბერთასკე თამარა დედოფალს იტყვიან შენ ეს ქოფრი გააკეთე, მე ეს ყალენა გავაკეთოვო. დაგვაჯებიან ერთმანებ თამარა დედოფალი და ი კაცი, ვერ მევგონე...

- კარჩხალი თაზე დუუბამან ნუხ ფეილამბერის გემი, ქვა გახრეტილი ყოფილა და ჰალლა გამუუბამთ სხვილი...

თათარზენად იქნებოდა, გადახტება ხიდან-ხეზე. კაკალ რომ ჭამს, აქა თათარზენას ეტყვიან (ციყვზე მიგვითითებს – ჩამწ.). ფცქვინი – დიდი თავგია.

ბალახები ბევრია: წმინდა ბალახი. ლავადმარღვა (მრავალმარღვა – ჩამწ.), ლიხვინად, ჭინჭარი, სამყურად, კატარაბალახი...

მსხლები: პაპად, წარიად, ჩიხორელად, ერბოად, ხრამუნად, თავრეჯულად, სასელად, ხეჭეჭურად, აშილად, ჭურად...

ვაშლები: წითელვაშლი, ზიარეთი ვაშლი, ბუმბულად, სინკოთულად, დემირალმა...

ქლიავი: შავი ქლიავი, თეთრი ქლიავი, ტყუბად, დოდოფლო ქლიავი, სართულად...

ყურძენი: შავი ყურძენი, ადესად, თეთრი ყურძენი...

საუბრობდნენ: მუხამედ უზუნი
ჯევრი უზუნი

ახალდაბა

ახალდაბა ჩონი სოფელია. ახალი ტბათი. ადგილების სახელებია: გაგათური, პაპათი, კაცათი, გოჯელეთი, გომნიგილი, წერი (წვერი), ქილისა, შაული, კოთხევი, ქარიათი, ყიშლები, კვლდიზირი, ზირზირათი...

აქ დავთესავთ სიმინდ, ყართოფ, ლობიოს. ზველათ ვთესევდით ქერ და ხორბალ. აქ ხორბლი ყანები იყო.

საუბრობდა ხუსეინ კარაპანი

N.B. ახალდაბაში ქართული აღარ იციან. ჩვენმა მთხრობელმა, ხუსეინ კარაპანმა დედისგან იცის ქართული. „ანედ ჩაქველთური ქალიაო“, გვითხრა, ქართული მან მასწავლაო.

ციხისძირი//ცგხისძირი

ამ სოფელში ქართული არ იციან. ჩავიწერეთ რამდენიმე ქართული ტოპონიმი: თეთრკვლდე, ასნიგილი, ჯინშარლარი (ჭინჭარლარი).



(თემურხან ათაბეგმა ჩაგვაწერინა ეს ტოპონიმები)

აგარა

ერთათ გაზდილები ვართ.

ამდამე ბაზგირეთ დუგუნია, მე არ მივალ აქიდან, აქ არ არიან, თაზე არიან, ჭალეზში არიან, კაცებიც ჭალეზში არიან, ქალი, კაცი. აქიდან არაბა ადის. ჩომა-მომა აქ არ არიან. ბერი ზემოთ არი ერთი თანე. არ ჩამოიდენ თაზედან.

- თელი დღე რას აკეთებ?

მე ვაკითხებ. ეს კაცი (=ამ კაცმა) იცის.

ბაზგირეთ ახლა დუგუნი იქნას'და. იქ რად არი, აქაც ისაა. ლიცეში თურქია. ჩემი ანაა არი-და, სახშია, ჩემი ნენეა აქ არ არი.

ხოჯა ჩემი კაცია, ლიბანი ჩემი ანას მაჰალაა. ჩიხორის თერეფიდან ასე ეარ. აქ ჩემი კაცი იმამია, ხოჯა. ზამთარშიც ვრჩები; ზამთარში მოდი და გამოსწიე, არ ყაფანდება გზა, არ მოდის დიდი თოვლი.

ერთი ბიჭი მყავს, ორი ბაჯალა.

თქვენ რა ხართ?

თურქია ვიცი.

ჩვენ მაჰალეშია, ჩიხორისკენ, თეთრაქედის ყარშიბერ, ლიბან ეტყვიან, ორთასაც კითხულობენ. ჩემი კაცი ჩიხორულია, ლიბანური. ადნი ვართ.

- სამი ღარჭი მყავს, ერთი ბაჯალა, ორიც ბიჭი.

„ბაღანასაც“ იტყვიან, „ღარჭსაც“.

„ვაგლახი“ კად არ არი.

ტელეფონმა დააწკრიალა.

- სოდადი ბილმამ.

რამდენი წლის ვარ? ჰეჩ ბიშე ბილმამ.

ღარჭებმა იციან, რამდენი წლისა ვარ და მე არ ვიცი, მე ვიტყვი, ჰამა თურქია ვიტყვი, გურჯიჯა ამან გადმაატრიალოს.

ახალზე ვიტყვით, „კად დღეში ჩეიცვიო“, „ეს ძველი და სხვა ახალი“.

მეც არ ვიცი იმდენი გურჯიჯა.

„ღმერთმა დღე დიგილიოსო“ – დავწყევლით.

გეძეცოდა ძროხა, ბირთული ვერ მოვაბრუნებდი.

ხბოს მოვაწოვებდი, ჩამოყრიდა, გორჯულას გავაკეთებდი.

ჩვენმა ასკერებმა დიმიჭირეს, საქონელი გადმოვასხი, ფარა გედევხადე.
გურჯები კარგებიც არიან, ნაჩარიც არიან. გადმოდიან ღარჭები, ახალმოზღები გადმოსული იყვენ. რა იჯებითო? მიწა გადმოგიტანეთ იქიდანო. თხუთმეტი წელი გახდა. დედაბრებ უთქმიან, ბიბოდ გვყავდა იქა, მომკდარა იქ.

წუხელი აქ-მი იყავი?

უბრაახუნეთ ბევრი, მე არ ვიცი, არა.

„თავი იპუა“, - ვიტყვით, ახალგაზდა ქი დაკაცდება.

„დაკვრასაც“ იტყვიან, „ჩასხმასაც“ იტყვიან ჭადზე.

დააკვრენ, კეცები ადგა, ახლა სობაა.

„ჭადი'ნა ჩავსხა“ – აქ არ იციან თქმა, „ჭადი'ნა დოუშვა“ – იმასაც იტყვიან, „პური'ნა გამუაცხო“.

ვიტყვით: „ფორმაში ჩავდებ, ჩავსხამ“; „სამი ჭიქა მაწონი'და დავასხა“.

ფთხილად შეხედეთ თქვენ თავს. არ დეგვივიწყეთ, ცქვიტად არ წახვიდეთ. ნელ-ნელა წადით.

- ინეგოლები ვართ. ჩემი ბაბოდ და იმის ბაბოდ ყარდაშები არიან, ანადები სხვაა. ბაბოდ საქმობს ინეგოლში, მე აქ ვარ.

სახში გურჯიჯა არ ლაპარაკობენ.

განაგონი აქ და იმიტომ ლაპარაკობს.

ხოჯა (=ხოჯამ) იცის გურჯული. ხობლევაც არიან გურჯები. ხისიმები ყავან ბათუმ.

დავდექი, ჰამა შენ იქა პურ ჭამდი. ბაბოდ მყავდა რიზეში.

ნიაზი კდარია, მე ბურსაში ვარ, იქიდან მოვალ. რიზეში იყო, ხასტანეში იყო. არა, არ გაჭრეს, დეთმიშ ბემ არის.

- რატომ ქვია „აგარა“?

- გადმუღუხედავს, უთქვამს: „აგერა“ და ... „აგარა“.

ჭალებს ვკოლავთ. „მოჭრას“ „კოლვას“ ვებნევით. ასლი გურჯი „კოლვაა“. „მანგალი“ პაწადა, „თირფანი“ – დიდი. თირფანი სადაც არ მუუდგება, მანგლით ვკოლავთ, ქენერებზე.



გურჯული ჩვენ ბილლე დაგვავიწყდა, ბაღვებ ვებნევიტ ქი: მილეთი ფარას აძლევენ, ჩვენგან დედწავლეთო.

- გამარჯობა! რა იჯები?

ხაპის ემელია, მოჩოჩდა.

ყაბაღია, ხაპია, „ხაპი“ არ იციან, სხვა სოფლებში „ხაპ“ ებნევიან.

ვთესავთ ყართოფს, თუთა მოდის, ვაშლი, ქლიავი საჭმელია, ესენი – მეივა. შეწვილი ყაბღი გულია, ფურნეში აპაზირებენ, ვყიდით, ასწონენ ყანთარით, გაგზავნიან, გულს მოფხეკენ.

საუბრობდნენ: აიჰან გფუნემ,
აისელ სეჩენი,
უმიან სეჩენი,
ზელჩუქ აიდინი,
ერსელ აიდინი...

* * *

თირფანს რავარ'ნა წაავლო?!
ამეზღამ რა იჯები?

შემეხალა (შემეყარა – ჩამწ.).

დათვები წითელია აქა, ბრეში. ბოკრები//ბოკვრები.

ქონით საპონ მაადლეებენ. ზუზუ//ცური.

ბზე ამევდაო, ვიტყვით. ბზე ჩევდა. მარტო მე ჩიხორიდან აქ გადმოსული ვარ ზედსიძედ.

გაბლეზდებიან, ჰამა მერე იტყვიან: ხოჯა ჰაცხან წესულაო. ჩვენც მივალთ ჰაცხან...

არ გვიგველოთ. უნდა გელოდინო, მალე მოფთ, თვარა გევბუკვი. მოხვალ, ერთ ღამე'ნა ვილაპარიკოთ.

საუბრობდნენ: იზეთ გუნეში
იუსუფ ჩოლახოლლი
ვაჰიდ სეჩვი

* * *

ჯვარისხევი

- ანაფ, ბაბოფ, დედეფ, ნენეფ გურჯები არიან. ყალე-მალე არ არი. იქეთკენ არი.



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ჩემი კაცის ბიბოდა ესა; გოგვები ერთი გათხოვლი მყავს, აქ გეეთხვა, პაწად კითხულობს, ლიცეში, აქა, ქომო, შავშეთში.

- ესა ემოს ძალია. ჩვენც გამოგვწიე.

ქვემოდან ხევი მივა, „ჯუარი“ კაცის სახელი ყოფილა.

ზოგი რჩებიან, ზოგი წადიან; თოთხმეტი კომლი დარჩება.

- რა'და ვქნა, შენ საქმე დაგლეენია. ფარით ვწეროთ, ფარით დევლაპარაკოთ. შავშეთში ავა, ღამე ამოვა; გუუყრია თმა. „ქოსას“ არ იტყვიან აქა.

- ჩამეიხსენ, ისე ელაპარიკე.

- დავბერდი. ატყვილეთ ერთმანეთი.

შორიდან რაზე'ნა ვქნა, ჩემი ახრაბადა; ჩვენი ჯინდარი არ შააწუხო ბევრი.

მე წავდივარ ზამთარში, ჯანი შეწუხებული მაქ, ძალა წევდა, სახლი დედაცალა. რა მიხდით, კად გოგოაო?

ხუთი კომლი რჩებიან, ბევრი წადიან.

ღმერთმა შვიდობით ჩაგასხან ადგილზე. იმ დეყე მომგონდება, ახლა დამავიწყდება.

ე, რამდენი არაბები გადიან! გელინი'და დედნიშონ. ქომოთკენ სოფლები არიან.

თვალი მე მტკივა, მე. ამით ვხედავ, ამით ვერ ვხედავ.

ჩევწერეთ, დედილია.

ავათ ვარ და თელი დამვიწყდა.

ძროხები არ გყავს ქი.

ადის არაბად, იგზე დუზია, შოშე გზაა. ესე ძალია, ძმის ცოლი. ძმა მომიკდა. მეზობელმა წედლო ნიშანი, აქიდან ბაჭალა გათხვებულია, ღარჭი ეყოლა, ასახლებს. ორი დაასახლა, ერთ ახლა ასახლებს, ახალად თხოულობენ.

თელევიზორი მაქ, ჰამა არ საქმობს.

დანჩბენ, დანიჩბენ, გზას გააკეთებენ.

ისტამბულ არ წავსულვარ.

ოქულში დადიან და იქ'და დედაწავლონ.

საუბრობდა ზულფეთ გიეთელი, 82 წლის,

სექსან გავლილი ვარო, თქვა.

დერლები არ არიან აქა. მოსულეები ვართ, იშტე.

ადგილის სახელები ბევრია: ტიტველა სერი, შავქვაბები, ონაგირა (მთა), სატრედო, ზულვართი, თავბრული, სამელე, ვაკეები, ჩონჩხერი, გალიმურევი, თათავრი, ალჩირავლი, დართავი, ქორწინაჲ, წინაგამთი, მინდორი, კაკლები.

უწინ აქ სამასი თანე ჯარი იქნებოდა, ერთი ცალი ჯარი დარჩა.

საუბრობდა ისლამ თორუნი

ბზათა

- ჩვენ ბზათას ვიტყვით, დაწერვიხან ზათას დაწერვენ.

დიობანიდამ მაღლანა აბრუნდე, იქ გურჯული სოფლებია: ქოქლიეთი, იფხრევილი, ივეთი. იქ უფრო ხასათ იციან გურჯული.

შოლტისხევი

შოლტისხევის ადგილებია: სომეხეთი, ქურდიკეთი, ქედენთი, თათუნთი, კვირიკეთი, მიქელეთი, ხოჯიენთი, ციციენთი, ბათინეთი....

კაცები ჯამეში არიან, ილოცებენ, მერე ყავეში წადიან. ქალებიც წევდენ ჯამეში; მე პატარა ბავი მყავს, ვერ წევდ. ერთი ბიჭი მყავს, ერთი ბაჯალა.

საუბრობდა დემეთი ბოტოლლი.

ხოხლევი

არ ვიცი, გურჯიჯა ვერ დევლაპარაკებ? გურჯიჯას ვლაპარაკობ, აბა მე თურქია არ ვიცი.

მოგნაზე მყავდა და დედკარგა ძროხა. დელე-დელე აგზე მუელით, ჰა ვმეზნოთ'და... ბრეში ძროხა არი, გუზელად ქვია.

ვერ გააგნებდა, სახლ გააგნებდა-და, ცოტა ფთხალი ძროხა არი. მე რა ვიცი, სად'ნა ვმეზნოთ იშტა; არ ვიცი, ჰითვენ'ნა წევდეთ. აქ შოში არი-და, ქვემედან შოში მუა იქიდან, ედ იშტა რაცხა შეხტენ, ვინცხამ წედყვანა, დოხლი გზაში ჩადგნენ და იქ ერთქლისკენ წევდენ იქა, ქვემე სოფლებში, რა ვიცი, სა'ნა ვმეზნო ქი, სა? შევშალე მე, ა? ამ ბავით ჰა აქედან სად'ნა ვმეზნოთ ახლა, სად'ნა ვმეზნოთ, შევშალე. მოზვერი ახლავს.

- სულეიმანაჲ არი, არაბით მოდდენ და იმა დევკითხო'ნა.



- დეეკითხე-და. შოშით ბელქი წევდნენ. შოშის ქვეშედან არი, შოში ლელიდამ იშტა ჩაველით შოშში, არსად არაფერი არაა. იქიდაამ აბა ასე იქითა ლელიდამ, ამ ჩვენი სოფლის გადაღმიდან ლელე არის, იმ ლელეში ჩასული, ჰა, იქიდან მუალთ ამ ბაღვის ერთად. ჰა, მევევარეთ იქა, იქიდამ აქ ამუელით; ესაც ჩემი ღარჭი არის, ახლა ის'და მოიდას, ჩვენ ქი ვერ მუელით ჰო, ჩემი ღარჭია. ვინ გასწავლოს შენ, მე რა ვიცი; ჰო, იმისი ანაჲ ვარ მე. ჩემი დიდი შვილი ეს არი, იმის უკანაჲ ბაჯალა არი, გოგო. სამი თანე გოგო... გოგო მყავს, ორი თანე ბიჭი.

მეძპარეს, რად ქნეს იშტა ოღმადი, ვერ ვიპუეთ ვერსად. კვალიც არ ეტყობა ქი, მან რაცხა მიხვდეს. არაბები ქი დავა...

* * *

უკანეთის მეჰელი

დენგას ამბობენ. გურჯიჯა ვერ მოგვიფერებია ქი.

- ჰო, ვერ მოგვიფერებია გურჯიჯა. დოდოფალ რომ მუუმღერებენ დენგასო-და.

- ქედფში ვუკრავთ-და, გურჯიჯა, გურჯიჯა არ ვებნევით ჩვენ, გურჯიჯა. თურქჩა ჰო.

ჩვენი ადნია დუგუნები...

შორ არ არი, არა; ა იგზე არი, სახლები, ჰა. ჰა აგზე არიან. ლელეებში დედჭირავ საჩმადთ, თორით... რა ვიცი მე, ღმა არალი. ამ შოშედს ლელეებში ჩახვალ და დედჭირავ, ჰამა აღარ არი ტალული. „ტალული“ თევზია. სხვა სახელი არ აქ.

- მე არ ვიცი გურჯი.

- მოი, დაჯექ, მოი!

- აგერ ის ვინ არი, თქვენი რა არი? არხატაშია?

- ჩაის სვავ?

- ვერ მიხდება გურჯიჯას-და...

- ჰო!

ჰე, ჰე თავი'ნა დაახუროს.

ახლა მუა ის; მუალ მეო, ასე თქვა.

ჩაი არ'და ასვა?

- ეს ყართოფის ყანაა. ნისანში ვთესავთ. ხარით მოარევთ, ხარით დავარევთ, თითო-თითოს ჩავხყრით, მივყრით მიწას. იშტა მოვრწყავთ. იი



ახლა თველია. თველზე ამოვყრით და ყუებში ჩავხყრით, ყუში ჩავხყრით, ავავსებთ ყუებსა, იმას ვჭამთ იშტა.

იგირმი ოთუზ ემეკებ, მოსაფირები მოვლენ, იმათ მივართვავთ, მოვხარშავთ, ჩაის გავაკეთებთ, სვავთ. ჩაის ერთათ ყართოფი, ფენა გერმელია, ჩემი დაჰა კად არი.

რა ვიცი, ნახევარ ტონემდი იქნება.

ლობიო არგვენ, ჰამა მე არ ვარგევ.

თქვენ არ გითესიან? არ გაქვან?

იქა ყაბალი, ყაბალი. ადნი, ყარფუზ გავს, გათლი, ძეს დაასხამ, მოხარშავ, ძეს დაასხამ, ჭამ; ძე'ნა დაასხა. იცი ძე? ძე იცი? ძროხის ძე? ისეც მოხარშე, ჭამე, თუ გინდა, ხასი თუ არი, მოხარშავ, ჭამ. ხასი იქნება და, კარგა ხასი იქნება-და, გერმელი იქნება, არ დამწიფდება ის ყაბალი? თუ ემეა, სამძროხე იქნება, თუ ნაჩარია, ძროხას დუუჭრი, თუ არა-და, მოხარშავ, ჭამ. ხაპის ჯინსები არაფერი არ არი, ერთი ჯინსია, ერთი. შავიც არი, თეთრიც არი; თეთრიც არი, შავიც არიან. ქერქი ემეა... სქელქერქად, თხელქერქად იქნება. სქელქერქად... ვერ გასხნი-და, მოხარშავ, ჭამ იმა და, თხელქერქად ლამაზი იქნება, ჰამა ჩემი სულ თხელქერქადა, სქელქერქას არ დავთესავთ.

რა ვიცი, კარგიაო, იტყვიან. ყაბალიც ჩიჩეგია და.

ჩიჩეგი არ იყოს, ყაბალიც არ იქნება.

ადნი ჩვენი გურჯი ხარ შენ.

ბაბოდ, ანადა... ხუთი წლისა ვიყავ, მომიკდა, დეთიმი დავჩი. ბაბოდ ორჯერ დასახლდა, სამი მედყვანა. აქავრი ქალი იყო ჩემი ანალული და გეძეცა. აქა ამოიდა და აქ გეთხზა-და.

ერთი სხვა მედდანჯულიდან მეყვანეთ ანალული და ის კად იყო, კად იყო, კად. უყვარდა ჩემი თავი.

ექვსი თანე იმიდან ყავს, ორიც ჩვენ, რვა თანე ვართ.

არც ანალული მყავს, აღარც ანადა.

ერთი ძმა მყავდა, ერთი ძმა მოკდა და სამი ძმა მყავს.

ერთი ღარჭი მყავს, სამი ბაჯალა.

(ბიჭი დასახლებულია?)

- ჰელბეთ. ოთხი თანე ბაღვი ყავს, ისტამბოლ არი.

სამი თანე ბაჯალა მყავს. ერთი სვირევანაა, ერთიც აქ არი, იქეთა სოფელში, ჯამიეთი არი? ჯამიეთის იქიდან არი. ქვეშედან ქი ამოხველით, ერიქლი ქოღს ებნევიან, ერიქლის ქოღდამ არი, აგარა მაჰალესი.



ბაბოს დის ღარჭია, ზორით მისცა ბაბომა, დეგანიათ-და, ისაც აეთიმი იყო-და. ძველათ ზორით მიცემა იყო, ახლა არალი.

მე არ გომიტანებია იმდენი. ერთ ხელ ათაღ გაატან, ზანდული, სკივრი დანი, სკივრი; ერთიც... ერთი ხელი ათაღი, და ჯეჯიმი გექნება, და ქილიმი, და ერთიც ემე, ერთიც ყაბი. ახლა იძლევიან... ყველაფერ აძლევენ. ჩემ ძალმა მისცა ბაგალას ჩამაშურ მაქინა, თელი მისცა, ჰამა ი ზენგილი იყო, მე არ ვარ ზენგილი, რა მიმეცა. ერთი ძალი მყავს, მეძტანა იმანაც იშტა ათაღი, ბალიშები ხქონდა, იშლამა, იშლამა, თელი ქონდა იშტე. ამა ემე არა, ქილიმი... არაფერი არა, ვერმედი.

თუ აქ გაჩუქებს, თუ არ აქ, საიდან'ნა გაჩუქოს... თუ აქ იშტა – ალთუნ, ბილეზუღ იშტა, მე რა ვიცი... ახლა ბილეზუღ-მილეზუღ არ იძლევიან. ეს ალთუნ ქუფეა, ქემერი ძველათ იყო და ახლა არალი ქემერი, არალი. ბილეზუღები, ალთუნ ქუფე, ალთუნ ძუზუგ, ერთიც ემე იშტა. თუ ზენგილი ხარ, იქ; რა ვქნა. მე ძალი ქი მევეყანე, არ მქონდა არაფერი; ტყვილი რად ვთქვა, მარტივი ალთუნი, ალთუნ ძუზუგ, ალთუნ ქუფე, ისინი უფლევი.

ჩემ ღარჭზე შვიდ წელწად თვალი ქონდა ბაგალას. ჰე, შვიდ წელწად და დუუცადა, კითხულობდა ჩემი ღარჭი ოქულში იმამათ, (დედი სენე) თვალი ქონდა, ჰო.

ბაბოს და იყო, ოთუზ ბემ სენე. ახლა იყრებიან, არ დგებიან დედამთილთან, მამამთილთან. დედამთილთან ვიყავ, ქრივი იყო, არ ყავდა კაცი ჰო. მემრე ავათ გახდა იშტა, მოკდა. თაზე წადიოდა, მემთევრე იყო.

ყართოფის თესლ ჩადებ. ყიზათმა აფარსუნ. გურჯიჯა გითხრა? ძალში'ნა მოხარშო, ემე... ყართოფი. გათლი, ისტა ძალში მოხარშე, ისტა ცეცხლში ჩადევ. „ყიზათმას“ ვეტყვით ჩვენ იშტა. ძალში, ემე ყიზათმა, თურქჩა იშტა. ყართოფის შორვას გააკეთებ, ყართოფში ემე'ნა... რა ქვია... მოსართავს მისცემ, ფშნილას ჩაყრი, ძალ მასხამ იშტა; ზოგი შიძამ დებენ, ზოგი... ზედამ მასხამ.

ფხალ-ლობიო იციან აქა. ლობიოს ჩაყრი, ფხალსაც მოხარშავ, დაჰკეპავ, ჩაჰყრი, ფხალ-ლობია იქნება. გერმელი მოდის. ეჩოდთ დაჰკეპავ, ეჩო გარცხი, ასეა, ჩაჰყრი, მავლებ იმასაც; გარცხი, ჩაყარე, დაკეპე. ერთი გუნდი გააკეთე, ჩაყარე, ასე პაწ-პაწად. საფანელი ემეს აქ... ანი, ცარიელი თუ გააკეთე ფხალი,



მაშინ საფანელ ამოვკრავთ, ფხალ-ლობიოს არ უნდა. ლობიო ჩაყარე, ემე...
 ძალი და ხახვი დაწვა-და, ძალი და ხახვი.

* * *

- დეთმიშ, სამოცდაათზე ბევრი ვარ... სამოცი... ოცი?... ოთხმოცი.

* * *

იტყვიან არ ისხამსო, ყაბაღმა არ'ნა მედსხასო, - იტყვიან. ბევრი მედსხაო, ისე ამბობენ, არ იქსო წრეველს ბევრი ყაბაღიო, თუ ბევრია, ბევრი მედსხაო.

კიტრი მოდის ფენა, ჰამა თველზე. ჰალა არალი არაფერი, ჰამა ხოშკოკოლამ ჩაწყვიტა, ერთი წამასხა და ჩაწყვიტა კიტრები და მოჯეჯა, წევდა, მოხსა ისე მედსხამს ქი... ძვილად კალთით მევტან.

ერთი ისტამბულიდან მევტანე კიტრის თოხუმი-და. მაშალაც და ისე ქნა. კილამ დემილპეს. ჩემ ღარჭმა თქვა ქი, ანავ, თოხუმი ევლოთო. ფაზარი იყო, ისტამბოლის ფაზარი. ევლევით, მევტანეთ, დავთესეთ და... ასე დავაჭახებდი, ძანი, დავალაგე; დალაგება, ჩვენ ისე ვიტყვით, კლავით მომქონდა.

* * *

ეს ჭლიკია, ეს ფეხები, ეს მენჯები.

დუები არი, ჰამა არ ვიცი ქი. ისეც იჯებიან, ჰამა ბევრი ზათინ არ ვიცი. ბაჯალაც შვილი არი, ღარჭიც შვილია. ტელევიზიონში გააგდეს, ბაჯალა რაზე გეყოლაო-და.

საუბრობდა ემინე ბალჯი, 80 წლის.

* * *

აქილამ ჰო? ამ სოფელ ხოხლევი//ხოხლოვი ქვია. ორივეს ვიტყვი. ყანის სახელები ჰო? ეკლუანთი, ქომომთა, ხოზნები, ქვატაბლა... ტყეს? დადექ, მევგონო! ვერ მევგონე... დიდ სახლი, კლდი თავი...

ბუღდა არ ითესება, ადგა მამა საქმე.

ზველი გორი მესხაძეებია, იქითებში – ხევრაზე არიან. ქომიენთი არიან, თუშები არიან. მე დენჩარად ვარ, ათაქანი. შულლაზეები არიან აგარას. დაბლა მაჰალეს მესხიეთი ქვია, ქვემოთ ქომინთი (sic) (ქომოენთი>ქომინთი? – ჩამწ.). ხევრაზეები უკანეთში არიან. ზემოთ ერთი ემეა, ბარაკას ვებნევით, იქ'ნა ამობრუნდე.



ჯარები წიკავდენ აქა შეშას-მეშას, გუუკეთებინა ჯამე, ზეგნელები ხობლევეურ ებნევიან.

საუბრობდენ: ენჩარ ათაქანი
ნიაზ ათაქანი

დაბაწრული

აქი დამ ასე გზა წავაა, ჩვენ თაზე ავა. სორწიო აგარული მაილაა. ფიქალათი, კლდეჭრელი, ყიშლისთავები, ოფივევი, კურცხალთები, ქათი ჯვარი (ხატი ჯვარი? – ჩამწ.), სარი ჩადრი (მაილა), კინი ჯუარი, ხობლოვი დელე, ნაფეტვარი, ბაკათი, ნაკადი (შდრ. ნაკადული – ჩამწ.).

დონჯა ბალახი ითესება. სამყური ბალახი ამოვა იშტე. არის კიდო თივა ქერად (გმელი თივაა ისა), ად ზინჭარია. თაზე გეიზდება ხალი, ფანჯარსაც ვეტყვით.

სხლებია: სასელად, ნასყიდი, შიშველად, პანტად, ოდრევილი, თავრეჯული, წუწულად (წოწოლად)...

ვაშლი: ჯავე ვაშლი, ტკბილი ვაშლი, ჯანიანი ვაშლი...

ქლიავი: თეთრი ქლიავი, წითელი ქლიავი, ჭანჭური, ტყიმალი... ჭახე ფესტილ გავაკეთებთ ტყიმალიდან. სხლიდან ბექმეზს გავაკეთავთ. ვაშლიდან ყორავას მოვადულებთ, გაათხელებ, სუამ.

ად ნაფლატი ადგილი წუმპოა. მესხაძეები სისხაძეები არიანო, ჰერსლი კაცები....

ერთი კაცი აგარადამ წეიყვანეს, მოიდა, მოკდა. ურტყეს ბევრი...

ბათუმ სიმინდი კად ყოფილა, კოტორზე ევლოდით არ გატყდებოდაო, დედემ იტყოდა.

ძერად – ყართალია; ყარაბუად – ხარაბუად.

კოკბერეთი//კოკვერეთი

- ფინთი გზაა. ყალე არ არი აქ.

ვერ დავკვირვებულვარ ვერაფერი. გითხრა, ჰამა თქვენ ვერ გეიგნებთ. რძალი ვარ მე ქომოდან გამოთხოვლი.

- დუზ მაშინდა არი, აქვერულვენად არი, მაყუფოლლები.

ჩემი ბაბოე უსტამისიდან მოსულია. თელი დამავიწყდა, არაფერი არ ვიცი. თვალი მეწვის, კად კაცი მყავდა.



- ათ და ხუთი წლის გათხოვდა, ხუთი თანე შვილი ყავს: სამი ბაჭალა, ორი ბიჭი. თელი გათხოვლი, დასახლული ყავს. ამისმა ბაჭალამა ბაჭალა გაათხვა; თორუნის თორუნი ყავს. რავად დუგუნი ქნა? პაწად დუგუნი ქნა. ძველანდელი დუგუნი ქნა.

ენ დიდი ანადა.

- ართვინ წასული ვარ. ჩემზე დიდი არიან.

- ეფე ილაპარაკეთ.

ჩემი ბაბომ ქართველი იყო.

ესა შენი ბაჭალაა, თუ არხატაში?

გვერდი მეწვის და ვერ მილაპარაკნია. ილაჯ აბა არ ვსვამ?!
ძველათ ფენა გვეშინოდა, გარეთ ვერ გამევედოდით.

- აქაური ადგილებია: დგანდგალი, ჭალები, ლოთი, უკანხევი,

მახვიენთი, სერიჭალა, მოლიენთი, დარეთავები, წოწოლაძირი, ოროკდარე – კად ადგილ ეტყვიან, ჭახიენთი - „ჭახე“- კურკიანი. არ ვიცი ქი, რაზე ქვია, ნათელახევი – კად ყანის ადგილი, ირკახიეთი... ბევრი არიან.

დგნალი – ხე, ფურცლიანი, ბევრი დგნალია. მიწაზე რაც მოდის, აქაც მოდის.

ქერი, ბულდა – ფურნეში ქი აცხოზენ, თეთრი, წითელიც არიან; დონჯა ჩაირია, მოთიბავ სამი-ორი პირი, ახმოზენ, „ქორ“ ვეტყვით, ცალკე გაკეთებული იქნება, დაეჭახავთ; ხარი არ გყავს, არ ვინახავთ. ჩომა წინ-წინ ბევრი იყო.

- გაღმა თურმანეთია, ყადა ბაში იყო, შავშეთიდანა ამოხვიდე. ახალდაბა – ძველი „თეფე ქოა“, ციხისძირი – ყაია დიბი. ამ თერეფმა არ იციან გურჯული. გარყრილობი დაჰა შორ ქი არი. ძველათ ერმენები იყვენ, ბათომ წასულან, ბევრი ხანია, მე ვერ მევესწარ. თურქული არი, გურჯული – არა.

ადრე მოსული ვარ. ვერ გადაველ მე სიმონეთ, მომიტანა ვიზა, ვერ წაველი. ბევრი არიან, მუსლიმანი გამხდარან, ჩვენი ქილისები აქ არ არის. ბევრი არი სხვაგან. აქ ზედან ყოფილა, მე არ მახსოვს; აგზე იყო ყორე, ბაღვებმა დაანგრიეს, ალთუნ ეძებდენ, ბევრი ალთუნი არიან-და... ერთი კაცი ყოფილა-და...- ისაც წევდა.

საუბრობდნენ: ასლი სანჯალი, 100 წლის;
ემინე, სონგულ, ფატა გენჩები;
შაქირ ხოჯიენთი, 76 წლისა.

ლექსიკონი

ა

ა - 1. კითხვითი ნაწილაკი: შენ დეილაპარიკვა, გევგე, ერთი უცხო, აბა? (მაჩხ.). 2. აი: „ა, იმ ქალმა ბევრი იცის” (ხევწ.); 3. არ: „ა’ ვიცი, ტყვილი რაფერ ვილაპარიკო? ა’ ვიცი” (ჩაქ.).

აა - 1. შორისდებული, გამოხატავს გაკვირვებას: „აბა საქმეზე არიო? აა! საქმეზე არიო?” (ჩაქვ.); „აა! ვერ ევდა და იმიტონ?” (ხევწ.). 2. ნაწილაკი, გამოხატავს კითხვას: „შენ დოდოფალ ეყვარები! აა?” (ხევწ.).

აბაზები - აფაზები: „აბაზებთან ეკინდლებოდიო.”

აბლა (თ. abla) 1. ბიცოლა: „ტადას ქალს აბლას ვეტყვით” (წეთ.); 2. მიმართვა ასაკით უფროსი ქალისადმი. შდრ. ბიცოლა, დეიდა: „ემინე აბლა, შამოდ, შამოდ (უ.).

აბრუნება ახვევა: შერთულზე გამეძარ, დასამობ გადმუუხვევ, აღმაზე’ნა აბრუნდე (დას.).

აგდებს - აქ: ტოვებს: „მარტოდ გაგდებ, ყუსურ ბახმა” (ზ.).

აგარა - სოფელი წეთილეთს უკან.

აგზე - აქ: აგზე მეზობლებმა იციან (ბაზგ.).

აგზედან - აქედან: „აგზედან არ გეარეთ? დიგინახეთ...” (მაჩხ.).

ადგა - გადატ. ხმარებიდან გავიდა; რომელიმე წესი, ჩვეულება მოიშალა, გადავარდა: „კეც აღარ ვაყუდებთ, კეცი ადგა” (უ.); „ჰამა ახლა აღარ იჯებთან, ახლა ისა ადგა” (ჩაქ.).

ადეთი - ადათი, ჩვეულება, წესი: „ის ადეთი არ არის აქა, ნენი, არ არი ადეთი” (ბაზგ.).

ადუმი - (თ. adim) ნაბიჯი: „... ორი ადუმი გადადგა, ჩობანი დედნახა...” (მაჩხ.).

ადულებს - ხარშავს: „თქვენ ადულებთ ქი [ამურას]?” (ჩაქ.).

ადულული - ადულებული: „... ცხელ წყალს ჩასახამ, ადულულ წყალს” (ბაზგ.).

ავადაზანი - ავაზანი: „ავადაზანზე მიუბამს თოკით” (მაჩხ.).

ავადევლი - ავადმყოფი: „გზას ვერ მივზდევ, ავადევლი ვარ” (ზ.).

ავატყოფი - ავადმყოფი: „ავატყოფია, ანი, ხასტა დედამთილი-და...” (ბაზგ.).



ავიზე - (თ. avize) ჭალი: „... დედნახეს ის ემეღ, ჩვენაც ზათენ ავიზეს ვეტყვით იმა, ავიზე, ჰე” (ზაქ.).

ავრუმ - (?): „ელია, ავრუმ, ელია, ე რა წმინდა წელია!”

ავსილი - აქ: ბევრი, ბლომად: „თორუნები ავსილი არიან, ათი და ვრა” (მაჩხ.).

ავჯი - (თ. avci) მონადირე: „ავჯები არიან და ზამთარში იარებენ” (მაჩხ.).

ავჯობა - მონადირეობა.

აზერი - აზერბაიჯანელი.

აზრობა - აძრობა, ართმევა: „ღმერთმა ჯანი აგაზრას” (მან.).

ათაგება - დამთავრება, შესრულება: „შვიდი თანე აათავო’და” (ჩაქ.).

ათიკური - ანტიკური, ძველი: „შენ ათიკურ სიტყვებ ლაპარიკობ და იმა ვიწერო” (ბაზგ.).

ათოზება - ამტკვრება: დოდოფალო, მოდი, /სახლი დაგავე, /არ აათოზო, /დედამთილის პასუხი არა ქნა”.

ათოლიე - ატელიე, სახელოსნო: „ათოლიე გვაქ” (ბაზგ.).

ათორბვა - (თ. torba) თორბაზე (ტომარაზე) თავის მოკვრა: „ათორბე, არ გამეფაროს” (ხევწ.).

აიშიენთი - ქოხის სახელი უბეში.

აინალი - (თ. ayak(ği) ფეხი: „უკნედან აინალს დაჭირვა უნდა” (უსტ.).

ალამობა - ჩვეულება?: „არ დააწავლეს თორუნებს თავიანთი ალამობა” (დას.).

ალაძსე - (allah-ise): „თუ ღმერთი გწამს”: არ მინდა, ალაძსე უშნო არიან” (სვირ.); „რა გქვია, გო, ალაძსე?”.

ალეთი - მოწყობილობა, ხელსაწყო: „ალეთი გაქ, ის თქვი, ოქროდ რაფერ’და იპუო” (უსტ.).

ალემი - (არ. alem) აქ ხალხი, საზოგადოება: „ალელისა-მალელისა, თვალი გეცა ალემისა” (თელი მილლეთი – განმარტა მთქმელმა) (მაჩხ.).

ალეჩებს - ასულელებს: „ზოგი სოკო ალეჩებს” (მან.) (შდრ. შ. ფუტკ.).

ალთუნაფ - სიმინდის ჯიში: „სიმინდი ალთუნაფ არის, სხვაც...” (ხევწ.).

ალთმიშ დედი - სამოცდა შვიდი.

ალთუნი - (თ. altın) ოქრო.

ალთუნ ყიზა-ფ - (თ. altın) ძროხის სახელი: „ალთუნ ყიზაფ, ნენოჯან, ჩამოყარე, ნენოჯან...”

ალლა ეთმასინ - „ღმერთმა ნუ ქნას”.



ალმანი - (თ. alman) გერმანელი: „ერთი **ალმანი** მევიდა, იურისტი” (ბაზგ.).

ალფაბე - (თ. alfabe) ანბანი.

ალჩირავლი - ადგილი ჯვარისხევაში.

ამა - 1. (თ. ama) მაგრამ: ჩვენ ქართულად ვიცით, **ამა** წერვა არ ვიცით (ბაზგ.). ნ. ჰამა. შდრ.შ. ნიჟ. 2. **ამა** - **ამას**: **ამა** ორი ძმა ყავს...(ზ.).

ამამ - **ამან**: „**ამამ** არ მამღერა, დიმიშალა” (მაჩხ).

ამეზღამ - **ამალამ**: „**ამეზღამ** აქ დუგუნია, ქომო ჩამოვლიხან დაგანახვებ ადგილ” (უსტ.).

ამისდროული - ამის ასაკში: „ჩვენც **ამისდროული** არ ვიცოდით გურჯული”(წეთ.).

ამოკვრა - საფანლით შესქელება წვნიანი კერძისა: „საფანელ **ამოკვრავთ**” (ხოხ.).

ამოკიდება - იგივეა, რაც **ამოკვრა**: „... თეთრი ფქვილი’და **ამუკიდო** ლახნის ჩორბას” (ბაზგ.).

ამოსავალთი - ადგილის უსტამისში.

ამოსლიხან - ამოსვლისას: „შეპირობია, ... **ამოსლიხან** ღიორო დავინახო, ყურბანი’და დავკლაო” (უ.).

ამოსხმა - ამოყვანა (ბევრისა): „... ცოტა უკან დარჩა ის ქართველი, მითხრა ქი, წადი და მეორედ აღარ **ამასხხო** [ჩომა]” (ჩაქ.).

ამოჭმა - წვნიანი კერძის, მაწვნის შეჭმა ღრმა თევზიდან: „მე არ მშია, ჩორბა **ამოჭამე**” (ბაზგ.); „მაწონი **ამოჭამეთ**” (შავშ.).

ამუალ დღეს - **ამა** და **ამ** დღეს: „რანდევნი რა არი? ყაიდი გახდები ქი, **ამუალ დღე**’და მოიდეო (ხევწ.).

ამჯა - (თ. amca) 1. ბიძა. იხ. ემოჯ; 2. მამამთილი: „მამამთილს „**ამჯას**”, „ემოს” [ვუძახთ]... ბაბოჯ არ ქნა (ბაზგ.).

ანა-ე - (თ. anne) 1. დედა; 2. დედა ფუტკარი, ფუტკრის დედო: „**ანა**ე მომიკდა, სამი წლის დავჩი...” (დ.); „მართვი ქი გამუა... ჩულა დუუდებთ წინედან... **ანა**ე შევდა, ბითევი შედყრებიან შიგან, **ანა**ე არ შევდა, არ შევლენ” (ბაზგ.).

ანაგორად - შესაბამისად(?), მსგავსად: „**ანაგორად** გააკეთებ კანდრას” (ჩაქ.). შდრ. ფუტკარაძე, 1993 - ონაგორა.



ანალული - (თ. analik) დედინაცვალი: „მე **ანალული** მყავს, ანაღ არ მყავს ზათი” (ბაზგ.); „ანაღ ქი მეგიკდება და თექრენ ქი დეესახლება, ბაბოღ მედყვანს, იმა „**ანალულ**” ვეტყვით” (ბაზგ.).

ანაჯან - მოფერებით მიმართვის ფორმა: „როდი’ნა გამევიდე, **ანაჯან**?” (უ.); შდრ. ნენი, ნენიჯან.

ანი - 1. (თ. ani) უცბად: „აღარ იგვიღია **ანი** რანდევი”(ხევწ.); 2. შორისდებული: „მული არ არის გათხოვილი, დიღია, **ანი**” (ბაზგ.). შდრ. შ. ნიჟ. ანოი.

აჟარა (<აჯარა) - აჟარა: „**აჟარადან** გადმოსული ვართ, ბაბამა თქვა” (ჩაქ.).

ანჯავეფს - ამჟავეფს: „დათვი ანჯავეფს და ისე ჭამს” (მან.).

ანჯახ - (თ. ancak) ძლივს, მხოლოდ: „ის **ანჯახ** ღმერთმა იცის,/მე რომენ შენთვინ ვიწვი” (შდრ. შ. ნიჟ.).

ადეთი - ადათი, წესი: „იმათ უბერვენ, იმათი **ადეთები** არ ვიცი” (ბაზგ.).

აღლული - (თ. ailik(ği) ხელფასი, ჯამაგირი: „**აღლული** არ მაქ, კაც რომ არ ქონდა ნასაქმი ... არაფერი არ აქ” (ბაზგ.).

აღნი - (თ. ayni) ერთნაირი, ერთი და იგივე: „ჩვენი **აღნია** დუგუნები” (ხოხ.); „ფერი, ჯინი **აღნი** არიან”(წეთ.).

აღრანი - (თ. ayran) დღო.

აღრი - (თ. ayri) ცალკე.

აღსი (?): „**აღსი** ყედისი მაჰანა დავწერე” (მან.).

არა - (თ. ara) შუაში: „ღარჭის **არაში** და ბაჯლის **არაში** ვინცხა შევა, იმათი ცოდვა შენ ყიაზე” (ზენ.) (შდრ. შ. ფუტკ.).

არაბა - (თ. araba) მანქანა, ურემი: „ჰასანი ახლა სოფელშია, **არაბით** მოსულია” (უ); „**არაბა** სად გაქვან?”(ზაქ.).

არე - მხარე: „ჩვენ **არესკენა** ფახირი არი, ათასში ხუთი-ათი გრამი” (უ).

არევი - არავინ: „იქ **არევი** არ წავა” (ჩაქ.).

ართულ - (თ. artik) უკვე, ბოლოს: „**ართულ** შეკაზმენ”.

არფალი - სოფელი შავშეთში.

არხატაში - (თ. arkadaş) ამხანაგი: „ერთმანებ მუუმღერებდით **არხატა-შები**”(ბაზგ.).

ასაქმება - ამუშავება: „ერთი იყო ორმოცდათვრამეტისა ვარო, არაბა გუუფუჭდა, ვეღარ **ასაქმა**” (ბაზგ.).



ასიმილე - (თ. asimile) შერევა, აღრევა, ასიმილაცია: „ასიმილე გამხდარი ვართ” (ბაზგ.).

ასკერი - (თ. asker) მეომარი, ჯარისკაცი, არმია: „ასკრებმა თოფი მუულერეს, გაჩერდა (ხოჯა)” (მაჩხ). ნ. ესკერი.

ასრიგილი - ადგილი ციხისძირში.

ასტანოღლი - ქოხის სახელი უბეში.

ასხია - აქ: აქვს (თვალეები): „შენ ლამაზი თვალეები გასხია-და” (ხევწ.).

ატყეებს - იგებს, ხვდება: „ორი თორუნი მყავს, გურჯიჯა ატყეებენ, ვერ დუულაპარიკნიან” (უსტ.).

აფუმფრუჭება - აფუება: „სოდას ვუზამთ, აფუმფრუჭდება” (ბაზგ.).

აქევრულად - აქაური წესით, აქაურის მსგავსი: „აქევრულად არ არი იქა, ყავარზე არ ადიან ქალაქში” (უსტ.).

აქნევა ნ. ხელის აქნევა.

აქნიდამ - აქიდამ: აქნიდამ ვერ გევალო... (უსტ.).

აქუჩული - პირახვეული: „ვინ იყო, ვერ ვიცანი, აქუჩული იყო”.

აღაჯინებს - აბრაზებს: „მაღაჯინებენ, არიან, ასე გიმღერია, მაწონი შივაყენო...” (უსტ.).

აღდი - (არ. ahitllahdi) ფიცი, ქორწინების რეგისტრაცია, აღთქმა, პირობის დადება, მოვალეობის დაკისრება (შ. ფუტკ.): „ძველი კაცები მოვლენ, გოგოს დეინიშვნენ, მემრე აღდს იქმენ” (ზ).

აღება - ყიდვა: „ოსმან დედემ ბექაძე იღებდა იქ ყველაფერს” (ზ); „ეიდებ შავშეთში, ამოხვალ, იყიდებ ფარაზე.”

აღმართი თავი - ადგილი მანატბაში.

აღრიბასანი - მაჯლაჯუნა: „აღრიბასანი აქაც იყო, ღამეში დაგაწვება” (ხევწ.).

აყუდება ნ. კეცის აყუდება.

აშილი//აშიკი - (თ. aşik) შეყვარებული: „ორთავე აშიკი ვართ”.

აშურა - (თ. aşere), კერძია ერთგვარი. ნ. ჰაშურა.

აშხანაყალარ - საღამომდე(?): „შეითანქიბი აშხანაყალარ თირფანს თიბავს” (ჩაქ.).

აჩივლებულა - უჩივლია: „ჩვენ რემეზანი ყოფილა ერთ თვეში ყოლთინ, თვეები აჩივლებულან, ათ-ათი დღე წინ მუუწევინ, ყველა ათ თვეში მოდის (მან.).

აჩმა - ხაჭაპურის სახეობა, ფენოვანი ხაჭაპური.



აჩული - (თ. acik(ği) 1. ნათელი: „გაწვიმდეს“ნა. არა, არა, **აჩულია**” (ხევწ.);
2. გად. გაბედული, თამამი: „ერთი თანე სეფილი გამოდგა, მევრე **აჩული** გამოდგა” (სვირ.).

აძრობა - აქ: აშვება: „ერთი ჩევალ, ძროხა **ავაძრო**, ახორშია” (ხევწ.).

აწევა - რომელიმე ტრადიციული წესის, ჩვეულების მოშლა: „დოდოფალ ფულ აჩუქებენ, ახლა ის **აწიეს**, აღარ იჯებიან” (ჩაქ.).

აწევლი - აქ: აყვანილი: „ანაჲ იყო-და, ედა, აფუხელი თანე ღარჭი **აწევლი** მყავსო, ერთი თანე კდარი დემადაო” (ბაზგ.).

აჭრიახებს - ყელში უჭერს(?): „მატავრი, რაცხა ერთი ჩიბანი გამუა, ხან ყიაში **აჭრიახებენ**” (სვირ.).

ახავება - ნარგავისთვის ძირში მიწის შემოყრა, ახვავება მიწისა: „მემრეც კიდო **ოუხავოს**’ნა ასე ძირი, მიწა’ნა **ოუხავო** ასე, ქი დადგეს, არ წიქცეს, მიწა **მოუხავო**’ნა” (იფხ.).

ახალი - ახალგაზრდა: „**ახლებმა** არ იციან გურჯული”(მაჩხ.); „**ახლები** წადიან, დაბადულები წადიან” (მან.).

ახალგაზდილი - ახალგაზრდა: „მე **ახალგაზდილი** ვიყავ...” (ჩიხ.).

ახალდაბა - სოფელი იმერხევში.

ახალმოზდი, ახალმოზდილი - ახალგაზრდა: „გადმოდიან ღარჭები, **ახალმოზდები** გადმოსული იყვნენ (ა); მე **ახალმოზდილი** ვიყავ, ადრე თელი ერთი იყო, ქალაქებში არ წევდოდენ” (ჩიხ.).

ახირზამანი - (არ. ahirzaman) სამყაროს დასასრული, ბოლო: „ეს ვახტი არი **ახირზამანი**,/ გათავდა დუნმაში კარგი ღინსანი” (მან.).

ახლიშანი - ყიამეთი, ქვეყნის დასასრული: „ჭეჭლოს თუ არ მომცემენ, **ახლიშანი** მუაო” (მან.).

ახრაბა - (თ. akraba) ნათესავი: „მეზობლებ დუუმახებენ, **ახრაბას**”(წეთ.); „არ მგონია შინ, **ახრაბასთანაა**” (ზენ.).

ახსი - (თ. aksi) ნავსი, ცელქი, დაუდგარი: „ეს **ახსი** ბიჭია, ხელი არ დუუდგება” (წეთ.) (შდრ. შ. ნიჟ.).

ახუჭუნება - ახუტება, ხელში აყვანა: „**ეახუჭუნებს**, გეარს, წევა” (ბაზგ.).

ახშანამაზი - (თ. ahşannamaz) საღამოს ლოცვის დრო, აღნიშნავს საღამოსაც ზოგადად: „წუხელი, **ახშალამაზიხან** გადადგომია დათვი ზემოდან, ტყიდან” (ხევწ.).

აჯაბ - (თ. acaba) ნეტავ.



აჯილი - (თ. acil) მწარე, სიმწარე, ტანჯვა, დარდი, სიმწარეგამრავლილი: „აჯილი დიდრვანები დეფხოცნენ, გენჯები არ მოდიან” (უსტ.).

აჯილის ყრა - (თ. acik) შურისძიება, სამაგიეროს გადახდა: „... დავაბერე ქორ ქალზე, ამით აჯილი ვიყარე, მეც დავტრინკე” (ბაზგ.).

ბ

ბაბად - (თ. baba) მამა: „ბაბად იტყოდა...” (წეთ.).

ბაბო-ა - მამა: „[რძალი] ჩემი ბაბოსი ხალაშვილია” (ბაზგ.).

ბაგათი - ადგილი მანატბაში.

ბავში - ბავშვი: „ესენიც ისტამბულ არიან, ბავშვები ყავს...”(შავშ.).

ბაზგირეთი - სოფელი იმერხევში. იხ. ბაძგირეთი.

ბაზგირეთული - ბაზგირელი ქალი: „ჩემი [ხანუმი] ბაზგირეთულია” (ნიოლ.).

ბათაჯალი - (თ. batacak) გაიძვერა, მატყუარა, ბოროტი (შ. ფუტკ.).

ბათინეთი - ადგილი შოლტისხევში.

ბათუმურად - ბათუმის მსგავსად, ბათუმსავით: „აქ ცუდათ არ გეძღვება, აქ ბათუმურად არაა (ჩაქ.).

ბათუმური - ბათუმელი: „აქ გადმოდიან ბათუმური ბაღვები”(იფხ.).

ბათუმშიგან - ბათუმში, შიგ ბათუმში: „ბათუმშიგან ხართ?” (ზაქ.).

ბაირახტაროღლი - ქოხის გვარი უბეში.

ბაკათი - ადგილი დაბაწვრილში.

ბაღრახტარი - ქოხის გვარი ჩაქველთაში.

ბანტი - ბინტი, დოღბანდი: „... ჩემი დაწვილი გული/ბანტებით შეხვევლია” (ბაზგ.).

ბადანი - (თ. bayan) ქალბატონი.

ბარა - ადგილი ჩაქველთაში: „ჩვენ ბარადს ვეტყვით, ჩაქველთას ბარადა ეს, ჰო”. შდრ. ბარი.

ბარაბარ - (თ. beraber) ერთად: „აქ ორმოცდაათ წელწად ჩვენ ბარაბარ კად ვიყავით” (მაჩხ.).

ბარაკა - ადგილი უკანეთის მაჰალეში.

ბარაჯი - (თ. baraj) კაშხალი: „შავშეთ ჩემი კაცი ბარა(ჯ)ში საქმოფს, ართვინ” (ზენ.).

ბარდალი - (თ. bardak(gi)) ჭიქა: „თითო ბარდალი ჩაი სვით” (ზაქ.).

ბარდნანეთი - ადგილი მანატბაში.

ბარე - ბარემ.

ბარები - ადგილი ჩიხისხევში.

ბარელთა - უბური მთა.

ბარი - ადგილი უსტამისში.

ბარიშობა - (თ. barış) შერიგება: „**ბარიშობა** რომ გამოვიდა, დემელა-პარიკა” (მაჩხ).

ბარნაზილი - ყანა მანატბაში.

ბატონი - აქ: ღმერთი: „მე და შენ გაგვარჩია,/გადარეველა **ბატონი**.”

ბატონო - თავაზიანი მიმართვის ფორმა მექართულე შავშეთში: მადლობთ, **ბატონო!** არაფრის, **ბატონო...**“ (უ.).

ბაღალა - გოგონა, ქალიშვილი, იხ. **ბაჭალა**: „ერთი **ბაღალა** არი, გათხოვილია” (მაჩხ.).

ბაღანა - ბავშვი: „**ბაღანასაც** ეტყვიან, ღარჭსაც” (ა.); „ჩვენი **ბაღანები** [გურჯიჯა] არ იციან” (მაჩხ.).

ბაღვი - ბავშვი: „**ბაღვი** მეხლა მე” (ჩაქ.).

ბაღლარი - ადგილი ჩიხისხევში. შდრ. ბაღები.

ბაღნური - აქ: ბაღანა: „...**ბაღნური**” ძველებურია, ახლა „ღარჭის” ებნევიან” (ბაზგ.).

ბაღუზუმა - ყურძნის ადგილობრივი ჯიში (სვირ.).

ბაყვი - „ბარძაყის შიგნითა მხარე” (შ. ნიჟ.); „მუხლის ზეითი” (საბა): „დასივდა **ბაყვები**” (ბაზგ.).

ბაყლიანი - ჭუჭყიანი, დაუბანელი: „არ გამომწიო, **ბაყლიანი** ვარ” (ხევწ.).

ბაშქანი - (თ. başkan) უფროსი, ხელმძღვანელი: „მე და მუფთი ხოჯეების ემე ვართ, **ბაშქანი**” (მაჩხ.); „წყალი, ორი წელიწადია, **ბაშქანმა** მოგვიყვანა” (ნიოლ.).

ბაძგირეთი - სოფელი იმერხევში, იხ. ბაზგირეთი.

ბაძგირული - ბაძგირელი: „... არ ვიციო, **ბაძგირული** ვინცხა არიო” (შავშ.).

ბაწარი - ბილიკი: „ამ **ბაწარი** აგზე ადის, ხეს მახტები, ახვალ” (წეთ.); „ჯანჯირის **ბაწრებიდან** /გეარ, გეხვალ ზიარეთ...” (ბაზგ.).

ბახალუმ - (თ. bakalim) ვნახოთ: „ჰალა **ბახალუმ**” (ბაზგ.).

ბახშიში - (თ. bahşiş) საჩუქარი, ძღვენი: „[რძალს] **ბახშიში** მიცემენ, ... შიგან შეიყვანებენ” (უსტ.).



ბაწალა - ქალი, ქალიშვილი, ნ. ბაღალა: „**ბაწალას** ეტყვიან, გოგოსაც ეტყვიან” (უსტ.).

ბაჯანალი - (თ. bacanak) ქვისლი, ცოლის დის ქმარი: „ჩვენ ორთავ **ბაჯანალი** ვართ” (ჩაქვ.).

ბაჯი, ბაჯო-ი - (თ. baci) 1. და, უფროსი და: „ამისი დედამთილი ჩემ კაცისა და იყო, **ბაჯი**” (სვირ); „**ბაჯო** ბაჯოს ბაწალას თხოვნილოფს” (წეთ.). 2. მიმართვის ფორმა, მიმართავენ უცხო ქალს, შდრ. დაო: „შენ, **ბაჯი**? ჩუენ ბევრ ვსუამთ” (ზაქ.).

ბაჰალი - (თ. pahal) ძვირი, ძვირად ღირებული: „გინდა, ეძღებ, წეძღებ, **ბაჰალია**, ჰამა რად'ნა ქნა...” (ბაზგ.).

ბაჰალობა - (თ. pahalilik) სიძვირე: „**ბაჰალობაა**, ფარა ბევრი'და გქონ-დეს”(უ.).

ბებერები - ბებრები: „**ბებერები** არიან, ახალგაზდები დიდ ქალაქებში არიან” (ჩიხ.).

ბედვა - (არ. beddua) წყევლა: „არ აწყენ დედას, მამას და ხოჯას, ბითთუმ მუერიდები იმათ **ბედვას**...” (მან.).

ბედინები - ქოხის გვარი სვირევანში.

ბედუალი - დაწყევლილი: „ეს უბე **ბედუალი** არი, აქ არ გაწვიმდება” (უ.).

ბეზირგანოღლი - ქოხის გვარი ბაზგირეთში, **პალიშაშვილებსაც** ეძახიან.

ბეთარი - (სპ. beter) უარესი: „ღმერთმა ჩემზე **ბეთარი** გაგხადოს” (ბაზგ.).

ბეთი - (თ. bed) ცუდი: „**ბეთი** ხმა აქ ფენა” (ჩაქ.).

ბეთმეზი - ნ. ბექმეზი: „ერთმა ქალმა მაადულა **ბეთმეზი** და წეძლო”(წეთ.).

ბეღლური - (?): „ამა ანას **ბეღლური** არ ყავდა, არ იყო იშტე...” (ბაზგ.).

ბელა - (არ. bela) უბედურება, მწუხარება. იხ. ყეზა.

ბელედიე ბაშქანი - (თ. belediye başkan) მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი: „[ბურსას] ... **ბელედიე ბაშქანიც** გურჯია” (მაჩხ.).

ბელლი//ბელი - (თ. belli) ნათელი, ცხადი, ცნობილი.

ბელქი - (თ. belki) შეიძლება, იქნებ: „**ბელქი** გაწვიმდა” (ხევწ.).

ბერეკეთი - (თ. bereket) ხვაგი, ბარაქა.

ბერეკეთლი - (თ. bereketli) ხვავიანი, ბარაქიანი: „ჩემი ანაჲ რაცხას გააკეთებდა, **ბერეკეთლი** იყოსო, იტყოდა” (უ.).



ბერი - (თ. beri) 1. იხმარება თანდებულის მნიშვნელობით დროის აღსანიშნავად, მას შემდეგ, რაც, მოყოლებული, ძველთაგანვე: „ესკიდან ბერი ჩაქველთაა”(ჩაქ.); 2. გადატ. ქმარი: „ითხოვს ჩემი ბერი, ჟავე ჩადევითო” (ჩაქ.).

ბერიშვილები - ქობის გვარი ჩიხისხევში, **იხტიაროლლისაც** ეტყვიან.

ბესელარ - ადგილი ჩიხისხევში.

ბექარი - (არ. bekar) დაუქორწილებელი, უცოლშვილო, გაუთხოვარი: „ეგა დანიშნულია, ბექარია, ბაირამ უკან'ნა მეფყვანოს” (მან.); „შენ ქი მე არ მომყვები,/ბექარ ვიარ, ვიქნებო” (ბრ.).

ბექმეზი - (თ. peqmez) ხილის დადუღებული წვენი. ნ. ბეთმეზი.

ბეშლი - ბეშლული, ძველი ოქროს ფული, ხუთმანეთიანი; ქალის ყელსაბამი: „მალანჩი ბეშლი მოგვიტანეს” (ზაქ.).

ბზათა - სოფელი იმერხევში: „ჩვენ ბზათას ვიტყვით, დაწერვიხან ზათას დაწერვენ” (ინფრომატორის განმარტება); „ბზე ადგება და იმიზა ბზათა ქვია, მე ვამბობ ასე” (ინფორმატორის განმარტება).

ბიბერი - (თ. biber) წიწაკა, პილპილი: „ჩვენ ბიბერი, ემე, ნანე-მანე არ გვიყვარს და იმას არ ჩავყრით” (ბაზგ.).

ბიბი, ბიბო-მ - (თ. bibi) მამიდა: „ბიბო ბაბო მს დაა (წეთ.); ერთი ბიბო მყავდა, ბაბო მს და” (ბაზგ.); „მალს ... თავის ბიბის სახელი ქვია...” (ბაზგ.).

ბიბია-მ - ბებია ქალი. იხ. ებე: „ვინცხა რომ დაალოგინებს [ქალს], ბიბია ქვია” (წეთ.).

ბითამ - ვითამ, ვითომ.

ბითავი//ბითევი - (თ. bitey) მთლიანი, სულ, ყველა: „ბითევი ბათუმ-ლები ხართ? ბითევი დეიზარდენით” (ბაზგ.).

ბითევათ - მთლიანად: „ბითევათ ვერ ვაფერებთ სიტყვას”(ნიოლ.).

ბითთუმ//ბითუმ - (თ. bütüm) მუდამ, ყოველთვის: „დუზები ბითუმ დათხრილია”. ნ. ბუთუნ.

ბილა - (თ. bile) ასრულებს ც ნაწილაკის ფუნქციას, კიდევ: „რუსი აჰა ბილა მოვდა და...“(უ); „აქ სომეხები ბილა ყოფილან და წამუუსხრეკიან”(უ).

ბილეზული - (თ. bilezik) სამაჯური: „თუ აქ გაჩუქებს, ალთუნ, ბილეზულ იმტა”(ხობ.).

ბინა - (არ. bina) საფუძველი, საძირკველი: „ძველი ბინა იყო და... ამდენერთი იყო, საცვ”(უსტ.); „სახლის ბინა იყო უწინ”(უსტ.).

ბირა - (თ. bira) ლუდი: „ბირას დავლევ, ვიმდერეფ”(ბაზგ.).



ბირემედენი - უცბად, უეცრად: „მოშიშარი ვარ, **ბირემედენი** ავით არ გავხდე”(მაჩხ.).

ბირთული - ვერასგზის: „გეექცეოდა ძროხა, ბირთული ვერ მოვაბრუნებდი”(ა.).

ბირინჯი - ბრინჯი: „სარმას გავაკეთებთ **ბირინჯით**, მაიდანოზით...”(უსტ.).

ბისმილა - (არ. bismillahi ar rahmani-er rahim) `ყოვლის შემძლე ღმერთის სახელით”.

ბისონიენთი - ქობის გვარი ბაზგირეთში.

ბიში - (თ. pişmek) ცხიმში გამომცხვარი პურის კვერები (შ. ფუტკ.): „ეს **ბიშია**, სობაზე, აქ შევწვავთ, გერმელია”(უ.).

ბიჭიშვილი - ვაჟი: „[კაცს] **ბიჭიშვილი** არ ყავდა, დასახლდა, მეყოლებო, არ ეყოლა” (მან.).

ბლაცვი - სულელი, ლენჩი, აბდალი: „ამან არ იცის სიმღერა, **ბლაცვია**, **ბლაცვი**”(იფხ).

ბლაცვი გურჯი - ცუდი, აბდალი გურჯი: „ჩვენ მაგარი გურჯი არ ვართ, **ბლაცვი გურჯი** ვართ”(უ.).

ბობოლი - გველი: „გძელი ემე ის არი, სხვა რამეს არა, გველი, გველი, **ბობოლი** იმა ვეტყვით”(უსტ.) შდრ. შ. ფუტკ.

ბოზო - ლაზ. ქალი: „შვილი ოთხი თანე მყავს: სამი თანე ღარჭი, ერთი ბაჯალა. ლაზები **ბოზოს** უძახიან (დ.).

ბოკვერი - ქობის გვარი სვირევანში.

ბოლათ - ბლომად, მეტხანს, მეტად: „იმა ფული აართვით **ბოლათ**”(ბაზგ.); „იდუღებს ცოტა **ბოლათ**”(ბაზგ.); „იმ სადამოს საქმელ მოგვართმენ **ბოლათ**”(ზ).

ბონერი - დიდი ბუზი: „ის დიდი ბუზები, **ბონერები** არიან”(ბაზგ.).

ბოდნე - (თ. boyna) ყოველთვის, მუდამ.

ბორი (თ.bori) მილი: „**ბორები** დახეთქილა” (დას.); „წყალი არ გაქ, შეიყვანო'ნა **ბორით**”(უ.).

ბორეგი//ბორელი - (თ. börek(ği)) ნამცხვრის სახეობა.

ბოსელთა - დაბური დაილა.

ბორჯი - (თ. borc) 1. ვალი; 2. მოვალეობა: „ერთი თანე თორუნნი მებნევა ქი, შენი მოხედვა ჩვენი **ბორჯია**, არავისთან არ გიგიშვებთო”(მან.).



ბონჯღალი - ტოტეხშირი, დატოტვილი: „ბუკი ხესავენ გეზდება, ემეებს მიცემს ზედამ, - **ბონჯღალეზ**. **ბონჯღალი** ბოლათ თესლია” (ზაქ.). შდრ. შ. ფუტკ. ბორჯღალა-ი.

ბოტოტი - მახრა(?): „**ბოტოტი** ხრავს, შჭამს ფურცელს, წითელი **ბოტოტია**, ქერქიანი”(ჩაქ.).

ბოშაჲ - (თ. ხიჟ) 1. ცარიელი; 2. თავისუფალი: „ერთი ბადვი **ბოშაჲ** იყო, ცარიელზე იყო, ოქულიდან წამევეყვანე”(მაჩხ.).

ბოხოზანი - სოფელი შავშეთში: „უზუმლი ბოხოზანია” (დას.).

ბოჯანეთი - იფხრეულის ციხე. იხ. პარეხთა.

ბრაგუნე - ფოთლიანი ტოტის ქნევა ბუზების მოსაგერიებლად, ცემა: „ფურცელ მოვსტეხავ, ასე **ვუბრაგუნებ**”(ჩაქ.).

ბრეში - ნაცრისფერი, რუხი: „**ბრეში** ძროხა არი”(ხოხ.); „დათვები წითელია აქ, **ბრეში**” (ა.).

ბრილი - სოფელი იმერხევში: „**ბრილი** გრილი ადგილია”(მანატბელი უნფორმატორის განმარტება); „გრილი **ბრილზე** გადააბრუნეს” (ბრილელი ინფორმატორის განმარტება).

ბრინჯვალი - ადგილი ზენაგარაში.

ბუზმა - (თ. büzme) კაბა, ქალის ტანსაცმელი: „შამ შალახო, შალახო,/მოგლეჯილო ბალახო, /თეთრი **ბუზმა** მაცვია,/არ წემეცხო ტალახო” (ბზ.).

ბუთუნ - ნ. ბითუმ.

ბუზდოლაბი - მაცივარი.

ბუკი (||**ბუკვი**) - 1. პირი, სახე: „**ბუკი** პირსაც ქვია...” (უსტ.). 2. გადაჭრილი მხალი: „**ბუკი** ხესავენ გეზდება, ემეებს მიცემს ზედამ, ბონჯღალეზ; ბონჯღალი ბოლათ თესლია” (ზაქ.).

ბულუთი - (თ. bulut) ღრუბელი: „აჲ აჭარული **ბულუთებია**. იმ **ბულუთებ** ხედავ?” (ჩაქ.).

ბუქი - ქარისაგან ჰაერში ატანილი თოვლი. აქ: სიცივე, ყინვა, თოვლი: „ბამგირეთი ვის უქია,/მარიობის თვეში **უბუქია**”(ბაზგ.).

ბულა - ხარი: „[გოლიდან] ... გამოვდოდა **ბულეზი**, დეჟედებოდენ, ვერ მიერევიოდა, შევდოდენ მორევში” (ზ); „ბაზგირეთ დუგუნია, ... **ბულა**ნა დაკლან, ბულა” (უ.).

ბულა გოლი - ტბა იმერხევში.



ბუღდა - (თ. buğda) ხორბალი: „უწინ აქ დავთესევიდით ბუღდას, ქერს“ (ხევწ.).

ბუჭიამ - ადგილი ზაქიეთში.

ბუხარი - ოჯახი: „იმა ოჯახი აქ, ძველებური - ბუხარი“ (უ.). იხ. ოჯახი.

ბ

გაარონიებს - გაატარებს: „გზა-გზა გაგარონიებ, იქა ბახჩა არი, ალმა“ (ჩაქ.).

გააჩულება - გათამამება, გაბედულების შემატება. ნ. აჩული: „ცხვენია, გურჯული არ იცის, მოდ აგზე, გაგააჩულებ“ (ბაზგ.).

გაბანვა - დაბანა: „[ქალი] ცივ წყალში'ნა გაბანიო“ (ბაზგ.).

გაბანება - 1. გაბანვა, დაბანა: „ორი თანე ხოჯა მოვლენ, გამაბანებენ“ (სვირ.). 2. ბანის მიცემა: „გენჯობაში ვიმღერებდით, გუუბანებდით სადგირელზე, კილდი თავზე დავჟდებოდით და გუუბანებდით; აბა ახლა გუუბანე, აბა!“ (ბაზგ.).

გაბარგვა - გარდაცვალება, ამ ქვეყნიდან წასვლა: „ღმერთმა გაგბარგოს“ (დ.).

გაბეგრება - გამრავლება: „[სურათები] გააბეგრეთ და მეტაათ“.

გაბრაწება - შეწვა, შებრაწვა: „[ქათამს] ... მოხარშავ, ძალში გააბრაწებ... აქავრი ასეა“ (უსტ.).

გაბუკვა - გაბრაზება, წყენა, უბრად ყოფნა: „უნდა გელოდინო. მალე მოდთ, თვარა გეგბუკვი“ (ა.); „არ დეველაპარიკებით, გაბუკვას იმა ვეტყვიო“ (უსტ.).

გაბუკული - დამდურებული, განაწყენებული: „გაბუკული“ - არ დეელაპარიკები, „გაბუკული“ ისაა“ (ჩაქ.).

გაბღეზება - გაბრაზება: „გაბღეზდა და აღარ მოვდა“ (მან.); „[შავშელეგმა] ქართული რომ დეღვიწყენ, ვბღეზდები, ჰამა რა'ნა ქნა?“ (ბაზგ.); „დედამ-თილმა გამაბღეზა,/არ ვაჭამე ვახშამი“ (მან.).

გაბღეზებული - გაბრაზებული: „დათვი გაბღეზებული ყოფილა“ (მან.).

გაბჯინება 1. დაწყევლა: „ღმერთმა მოგკლას, გაგაბჯინოს“! 2. გაღარიბება, დაცოტავება, შემცირება: „ძველათ ცხვარი იყვენ, ჩომა იყვენ, ახლა გაგბჯინდით, დევილიეთ“ (უ.).

გაგათური - ადგილი ახალდაბაში.



გაგდება - დატოვება, მიტოვება: „მარტომ **გაგდებ**“ (ზ.); „მე **გაგადე** კაცი, დავტრინკე“ (ბაზგ.); „ბალვი **გააგდო** და გექცა“ (მან.); „შეერში ჩავდივარ ბალნებთან, აქაც ვერ **გიგვიგდია** სახლები“ (ბაზგ.).

გაგინება - საყვედური, ლანძღვა, გინება: „ფატყუ ნენემ არ **გამაგინოს**, ცოტა დაშლი არის“ (ბაზგ.).

გაგნება - გაგება, მიხვედრა: „ვერ **გიგნა** მეგერ, რატონ არ დევწავლე გურჯული“ (უსტ.); „ბრუნდება იქითვე ლაპარიკი, ცოტა **გაგნებიან** გვეჩეთინება“ (უ); „შენ **გაგნებიე**, ჩვენი ლაპარიკი ერ **გუუგნიან**“ (ბაზგ.).

გაგონება - მოსმენა, სწავლა: „ბაბადან **ვიგონებ**, ბალვი ჩემგან **იგონებს**“ (უ.).

გადაბრუნება - შეცვლა: „გრილი ბრილზე **გადაბრუნეს**“ (ბრ.); „მესამე დღეს მეზე **გადაბრუნდება**, ძე იქნება“ (ბაზგ.).

გადაბრუნებული - შეცვლილი: „ჩვენი ბევრი **გადაბრუნებულია**, გურჯიჯა აღარ დარჩა“ (ბრ.).

გადაბურვა - დახურვა: „დოდოფალ შეგვიკაზმენ, ვალას **გადაბურვენ**“ (ზ.).

გადალაბიჯება - დიდი ნაბიჯების გადადგმა: „ურდული მიკრულია, გადავდგი, **გადალაბიჯე** (ნიოლ.).

გადაფუნჩხვა - გადაჩეხვა: „საცხა **გადაფუნჩხოს!**“ (წყევლა).

გადაყათვა, გადმოყათვა - გადაკეცვა, გადმოკეცვა: „არ გავალბთ დუხას, **გადაყათავთ, გადმოყათავთ**“ (უ.).

გადაშლა - გამწვანება, ამწვანება: „აქავრობა არ **გადაშლილა** ჯერ“ (ბაზგ.).

გადაძლევა - გადაცილება, გადაშორება: „პატარა არ ვარ, დეთმიშ ბეში **გადაძლიე**“ (წეთ.).

გადაცვლა - შეცვლა: „ჩვენი ლაპარიკი **გედეცვალა**“ (მან.).

გადახტომა - აქ გადავარდნა: „თაქსი ქვეშეთში **გადახტა**, ამეყყვანეთ“ (მან).

გადენა - გატარება: „მაქინაში **გავადენტ**“ (წეთ.).

გადმაყარა - გადმოყარა: „მეგერა რუსმა **გადმაყარა** შექერი [აჭარლებს]“ (უ.).

გადმობრუნება - შეცვლა, გამოცვლა: „ზველი ჯამე ეს არის, ესკი ქილისე ყოფილა, **გადმობრუნებულა**“ (ზ).



გადმოტრიალება - აქ: გადმოტანა, გადმოთარგმნა: „რამდენი წლისა ვარ და მე რა ვიცი, მე თურქია ვიტყვი, გურჯიჯა ამან **გადმაატრიალოს** (ა).

გაემთხვა - გათხოვდა: „რაც **გვემთხვენი**თ, არ გვიმღერია” (ბაზგ.).

გაერსება - გაბრაზება: „ეიდა აქა დავმაღევით, **გიგვიერსდეს** ჰუქუმეთმა” (უ.). შდრ. შ. ნიჟ. გაჭერსება.

გაზავება - დაშლა: „ეს მანქანა ერთ წელიწადში **გაზავდება**” (უ.).

გაზენგილება - გამდიდრება: „**გაზენგილებულა** და ცხვირი გუუზდიაო” (მაჩხ.).

გათავება - 1. გარკვეული ასაკის შესრულება: „თვრამეტი წლის **გათავდება**, წაყვება”; 2. დამთავრება: „უნივერსიტეტ ორი წელიწადი **გავათავე**” (მაჩხ.).

გათემბლება - (თ. tembel) გაზარმაცება: „ახლა **გათემბლდა** ხალხი” (უსტ.).

გათენენთი - ქოხის სახელი უბეში.

გათქლეშა - გახეთქვა, ძლიერ ცემა: „შენ რომ მე არ მითხოუო, ზმას’და **გავათქლეშიო**”.

გაკეთება - 1. კარგად, უკეთესად გახდომა, ავადმყოფობისაგან განკურნება: „ღმერთმა **გამაკეთა**, წყალს მივე და გეღსხნა”(მან.); 2. გალამაზება: „ურუბას ჩავაცმევთ, **გავაკეთებთ**” (ზ.).

გაკვება - გამოკვება: „ცხრა ხბოს **გაკვება** არ უნდა?” (ხეფწ.).

გაკვებილი - გად. კარგად გამოკვებილი, კარგად მოვლილი: „ერთი აქ მეზობელი მყავ, გაღმა სოფლიდამა, ქალები იყვნენ, **გაკვებილი**, **გაკვებილი** ქალები” (მან.).

გაკორდვა - კორდად ქცევა: „ზოგი ჩაფარებულია, ზოგი **გეაკორდა**” (ბაზგ.).

გაკოჭვა - შეკვრა: „არ მოგცემო, **გაქკოჭავთ** ფეხებიდან და ხელებიდანო, ავწევთ ბაჯალას და წევყვანთო” (ბაზგ.).

გაკოჭილი - მაგრად შეკრული: „[უსტამისის ციხეს] კენჭ ვერ მააძრობ, იმგვარად **გაკოჭილია**” (სვირ.);

გაკრეფა - ერთად წასვლა ბევრისა.

გაკრეფილი - წასული: „ახლა **გაკრეფილი** არიან, აქ არ არიან ბაჯლები” (დას.); „აქიდან წასული, **გაკრეფილი** არიან” (ბაზგ.); „სომეხები **გაკრეფილან**”(დავლ.).



გალანძვა - დაწვა: „შენ რომ მომაგონდები, გვეზრუნვი და ვევლანძვი“ (ზაქ.).

გალეშება - გასულელება: „დიმიტორდეს თვალები, მე შენთვინ’და გავლემდე“ (შავშ.).

გალეჩება - გასულელება: „ზოგი სოკო ალეჩებს. ცხვარად არი... ცეცხლზე გააბრაწებენ, ჭამენ“ (მან.); „ჯინზე (ნ) გეეთხვები, გალეჩდები“ (წეთ.).

გალეწევდა - გალეწავდა: „[პურს] წარებით გავლეწევდით“ (უ.).

გალიმურევი - ადგილი ჯვარისხევში.

გამააბრუნა - გამოაბრუნა: „[ქუდი] გამააბრუნე... (მაჩხ.).

გამაატანს - გამოატანს: „მას რაცხას გამაატანებენ, სკივრი“ (შავშ.).

გამაატყვილა - მოატყუა: „ისტე რუსმა გამაატყვილა აჭარლები“ (უ.).

გამაქცევა გამობრუნება: „ასე გამააქციე, ... გამააბრუნე, ის თქმადა“ (მაჩხ).

გამგნე - მცოდნე: „ჩვენი გამგნე იყო [ნოდარ კომახიძე]“ (ბაზგ.).

გამეერს - გამო: „სიმღერის გამეერს თავ-პირს დეიჩეხვენ“ (მან.).

გამემიშვეს - გამომიშვეს: „ოდიდან კარში ბილე არ გამემიშვეს“ (შავშ.).

გამეშეთი - ბაზგირეთის ზემო უბანი.

გამეშეთური - გამეშეთელი, გამეშეთიდან: „ჩვენ გამეშეთური მყარი ვართ“ (სვირ.).

გამეშიძე - გვარი გამეშეთში.

გამთელება - გამოჯანმრთელება: „ილაჯია, ავათ გახდები, სვამ და გაგამთელებს“ (მან.).

გამოვსილი - ღარიბი, უქონელი: „იმ გამოვსილ უთხარი, მე ნუ ჩამოშვიდილო“ (მან.).

გამოვსილო - წყევლა.

გამოიდა - გამოვიდა: „სურათი გაცინული გამოიდა“ (ივ.).

გამორეზილება - შერცხვენა საქვეყნოდ: „გამორეზილები მეშერის მეიდანში“ (მან.).

გამოსვლა - დათესილის ამოსვლა, გახარება, ნაყოფის გამოღება: „დათესილია-და, ცოტა გვიან, არ გათბა... მალენა გამოიდეს... ჰალა არ გამოსულა“ (ჩაქ.).

გამოქცევა - გამობრუნება: „ქუდი გამოვაქციე/ნისლი გავაქციე“ (მაჩხ).

გამოღება - აქ გადაღება სურათის: „გამეიღე ბაღვები; ად ჩემი ოდა გამეიღე“ (მაჩხ).

გამოძრა - გამოხურვა: „კარი გამოგეძრას“.



გამოწევა - სურათის გადაღება: „**გამოგწიოს**, წედლოს'ნა გურჯისტანში, ბათუმში” (ბაზგ.); „**მე არ გამომწიო; გამომწიე** და წედლე ბაყლიანი თავი; ჩვენი დედაბერი **გამოწიეთ**”(ხევწ.). 2. **გამოვწიე** - გამოვიარე, გამოვცადე: „ბევრი დეთიმობა **გამოვწიე**”(ბაზგ.).

გამოჰქენებულა - გამოჰქცეულა: „... იქიდან **გამოჰქენებულან**, გაღმა სერები დუუნახვან” (ივ.).

გამოხუტუტება - დაკვირტვა ნ. ხუტუტი: „ახალათ ქი ფურცელი'ნა მემსხას, იმა ვეტყვით **გამეხუტუტაო**” (ნიოლ.).

გამრეკლიძე - გვარი ხევწვრილში.

გამწარება - გამლაშება: „მარილი ბევრი არა, ისე... **გამწარებს-და**”(ჩაქ.).

განათლება - აქ: განათება: „**გავანათლო** სინათლე?” (წეთ.).

განაყარი -განაყოფი, მეზობელი: „ეს სახლი ამათი ემოსია, ჩვენი ემომს **განაყარისა**, ამათი **განაყარისა**” (უ.); „ის ჩემი კაცის **განაყარია**, ემიას შვილი...”(ბაზგ.).

გაპარება - აქ: ჩაქრობა ცეცხლის: „სობას ჰიჩ არ **ვაპარებთ**, შიშა გვაქ” (მან.).

გაპირება - დაპირება: „**გავპირდი**, ჩევდე'ნა იქა, ვუშველო” (მან.).

გარგანი - ჯოხი, არგანი: „ეს ის ემე, რაცხა ჰკვაში არ ხარ, გადაგკრავ ამ **გარგან...**” (ხევწ.); „**გარგანი** არ დეჟირა იმან” (უსტ.).

გარე ყანები - ყანები მანატბაში.

გარედან - სხვა მხრიდან, სხვა კუთხიდან: „ერთი ართვინიდან, ერთი ართვინ **გარედანაა**”(უ.).

გარეკვა - არევა, გაძვრა: „მაწონს წყალში **გარეკავ**”.

გარიგება - მოხერხება, გარკვევა: „მე წევდე, ამათ სიცოცხლე (ნ) ვერ'ნა **გარიგონ**” (ბაზგ.); „ვერ **გავარიგებთ**, ასე ვლაპარიკობთ”.

გარუნება - გამოტოვება: ჯუმა დლე მოდიან, არ **გაარუნებენ** ისე, ანი” (ბაზგ.).

გარში - გარეთ, კარში: „**გარში** ვერ გასულან, მე ჯოხით ვიარები” (ივ.). ნ. კარში.

გარჩევა - გამოყოფა, გაცალკეება: „თქვენ აქ **გეირჩიეთ** რუსებიდან, ადრი ხართ (მან.); „უკანიხან მანქანა გამოვდა, თრაქტორზე აქ, იგი **გაარჩევს**”(უ.).

გარცხა - გარეცხვა: „ეს ხალები **გარცხილია**, მეზობლებმა **გარცხეს**”(უ.); „[ფხალი] **გარცხი**, ჩაყარე, დაკეპე...”(ხოხ.); „ჭურჭელი **დავრცხა**” (ნიოლ.).



გასაბანები - აბანო: „იქ ჰაუზიც არი, **გასაბანებიც** არი ყალბიც“ (უსტ.).

გასასივებელი - გასაბერი, ტუმბო: „[მანქანა] ... ჩემ კარზე მიაყენე, **გასასივებელი** ვის ექნება?“ (ნაფ.).

გასამება - ცეკვა, სამა: „ხელგაშლილი **გასამედი!**“ (უსტ.).

გასწურავს - გაწურავს: მაწვნიდან? **გასწურავ** დო იქნება, ემე იქნება, სუზმა... (ჩაქ.).

გასხნა - გახსნა: „(რუსმა) ... **გასხნა** კონსერი, დადგა ბეთი სული“ (შავშ.); „აქნიდამ ვე' გევალოთ, გზა არ **გემსხნა**“ (უსტ.).

გატყვილება - მოტყუება, აქ: მოჩვენებითი ტკივილები ფეხმძიმე ქალისა: „კვირის ჩხვერაზე **გატყვილდება** ქალი...“ (წეთ.).

გაფაჭვა - გამარგვლა: „მეორედი უნდა **გაფაჭო**“ (ჩაქ.); „მერე **გაფაჭო**ნა თოხით“ ნ. ფაჭვა.

გაფელევენება - აქ: გაახალგაზრდავება, გავაჟკაცება: „ვერ'ნა გიცნო? **გაფელევენებულხარ** რაცხა“ (ბაზგ.).

გაფქვავს - დაფქვავს: „[სიმინდს] გარეცხვენ, მემრენ წაახმობენ, გაფქვენ“ (ზ).

გაფწდომა - გაცვეთა, დახვევა: „ჩაფულები **გიმიფწდა** (<გიმიფრწდა), ახლა ვინ'და მიყიდოს?“ (ზ).

გაქარება - გაქრობა: „ღმერთმა **გიგიქაროს**, რაცხა დერდი გაქ“.

გაქნევა - სროლა: „ერთი ქვა **გევიქნიე**, გეიქვა“ (ჩაქ.).

გაქუცვა - გამარცვა, რაიმეს წართმევა: „ჩემ მამამთილ ქალი ყავდა, გადმოდიან, **გაქუცვენ** და წადიან“ (იფხრ.).

გაქცევა - გაბრუნება: „ქუდი გამოვაქციე, ნისლი **გავაქციე**“ (მაჩხ.).

გაყოლავება - გაადვილება, გაიოლება: „ჩვენებური ენა **გაყოლავეს**“ (მაჩხ); „ყველაჲ ემეჲ **გიგიყოლავედეს**“ (დალოცვა).

გაყრა - დაყრევინება: 1. „ჭიპზე ყაბლი(ს) გულ მიაყრიდენ, ის **გაყარიებსო**“; 2. დატოვება: „ამათ აქ **გაყერი**“. 3. გაცვივნა, დაცვივნა: „ყვავილიდან ქი გამუა, ვიტყვით, ანე(ნ.) „ყვავილი **გაყარაო**“, იმა უკანაჲ „მემსხაო“, ვიტყვით“ (ნიოლ.); „იგზე გვისხია [თუთა], სეტყვამა **გაყარა**“ (ხეფწ.).

გაყრილი - ვინც გაიყო, ვინც გაცალკევდა: „წევდა მაგან, ბურსას არი, **გაყრილია**, იქ წევდა...“ (ბაზგ.).

გაღება - ცომის ფენის გაყვანა, გაბრტყელება: „აჩმას ჩვენც **გაგაღებთ** უხლავადთ (ნ)“ (უ.); [ცომს] „მოვზელავთ, **გაგაღებთ**“ (უსტ.).



გაღმეითი - 1. გაღმეითიდან: **გაღმეითი** აბლად მყავდა (უსტ.); 2. **გაღმეითი** - ჩაქველთას უბანი.

გაღმიეს - გაღმა, გაღმით, გაღმა მხარეს: „**გაღმიესას** თიბავს მუდუროდ (ხევწ.).

გაღორება - გადატ. გაჯიუტება, ავადმყოფობის გახანგრძლივება: „პირპილ არ ვიხმარებდით, **გაღორდებაო**, არ მორჩებაო, საპონიც **გააღორებს** ავატყოფობასო” (წეთ.).

გაშელიგება - გამხიარულება, ახმაურება: „მეიყრებიან, ისამებენ, **იშელიგებენ და წავლენ**”.

გაშვება - დატოვება, მიტოვება: „პაწად ცომს **გავაშვებთ**” (უ).

გაჩერება - გამრავლება: „[მელოგინე ქალს] არ ასაქმებდენ. მეზობლებში არ შევდეს, თაგვები ბევრი იქნებაო... **გაჩერდებაო**” (წეთ.).

გაჩერილი - არეულ-დარეული, დაულაგებელი: „**გაჩერილი** მაქ სახლი, მოიდენ იშტა, არ მეგვიწონებენ” (უბე).

გაჩურუნება - განძრევა: „წელზე დაკრული მაქ და **გეეჩურუნებ**, მიელავს” (დ.).

გაჩქარება - აჩქარება, სიჩქარე: „**გეეჩქარე**, ცქვიტად წადი” (ნიოლ.).

გაცდა - მოკვდა, იტყვიან ცხოველზე, აგდებით კაცზეც: „**გაცდა** - ფინთია ასეთი ნათქვამი, ისე იქნაო” (ბაზგ.).

გაცივება - აქ: აციება: „ჩვენთან **გაცივდა**, სხვაგან იწვიან” (მან.).

გაცინული - გაცინებული: „[სურათში] **გაცინული** გამოიდა” (ივ.).

გაცოხნა - დაღეჭვა: „კაკალი არ იცი? ჰო, იმის გულ **გაცოხნი** და დაადებ. კაკალ **გავცოხნიდით** და დავადებდით ქი, მალე მორჩესო” (ბაზგ.).

გაცოხნილი - დაღეჭილი: „კაკალი ყოფილა, კაკლის გული **გაცოხნილი**” (ბაზგ.).

გაწორდება - გასწორდება: „[გოდორს] ედკიდავ, **გაწორდები**” (ხევწ.).

გაწუხება - შეწუხება: „ეს **გავაწუხით**, აგზე ზექერიადა, ამან ბევრი იცის” (ბაზგ.); „საქმემ **გამაწუხა**, საქმე მემერიაო, ჩემი ბაბო იტყოდა” (მაჩხ.); „[გრიგოლ ხანძთელი] თექრენ აქიდანა სელჩუკლი თურქებ **გუუწუხებია**, გაქცეულა” (უ.).

გაწყნარება - ხმის ჩაწყვეტა (წყევლა): „ღმერთმა **გაგაწყნაროს**, ისე დავწყევლით ჩვენ. დაგწყევლო შენ?” (მაჩხ.).

გაზოცვა - გაწმენდა: „ჯამე დავასუფთეთ, ხვალ ჯუმა არი, მივზოცეთ, **მოვზოცეთ**” (უ.).



გახრაკება - შეხრაკვა, მოხრაკვა: „... ხახვით **გახრაკებ**, ხახვ დაწვავ დაღის ერთად...” (ბაზგ.).

გაჯრა - გაჩრა, გაჩხერა: „**გეეჯრება** [გეეჩრება] ყიაში ჰარამჯის სული” (მაჩხ.).

გაჰაზირება - (თ. hazir) გამზადება, მომზადება: „ჰური ჰაზირია, **გაჰაზირებენ** ზარმელ...” (მაჩხ) ნ. **ჰაზირი**.

გაჰერსიანება - (თ. hersi ბრაზი) გაბრაზება, გაგულისება: „თუ **გაგვაჰერსიანებს**, მაშინ დაგწყევლით” (უსტ.); „**გაჰერსიანდები** და ემეს იქ” (ჩაქ.).

გაჰყინა - გაყინა: „ანჯახ გავთბით, **გაჰყინა**, **გაჰყინა...**” (ჩიხ.).

გდობილობს - უგდებს ყურს, ყურადღებას აქცევს: „[ფხალი] აქ არ იჯება, აღარ **ვგდობილობთ** ყურ” (უსტ.).

გეარა - გაიარა: „ძველი არ ვიცი, ძველმა **გეარა**” (ზ.).

გედეიცვალა - აქ: შეიცვალა: „ჩვენი ლაპარიკი **გედეიცვალა**” (მან.).

გეესტრი (?): „პაწია არ მყავს დასახლებული, შარშან მევედა **გეესტრიდან**, ჰო...” (ბაზგ.).

გეეხარა - გაუხარდა: ძალიან გეეხარა (მან.).

გევეზობა - (თ. gevezeli, gevoze ყბედი), ყბედობა, ლაყბობა: „**გევეზობს**, ხედავ? თხუთმეტი წლისაა” (ბაზგ.).

გეეჩქარე - აჩქარდი: „**გეეჩქარე**, ცქვიტამ წადი” (ნიოლ.).

გეეჯრება - გეეჩრება, გაეჩრება: „**გეეჯრება** ყიაში ჰარამჯის სული” (მან.).

გევრეგი - (თ. gevregi) ნაღებში მოზელოლი მჭადი (შდრ. შ. ფუტკ.): „მემრე **გევრეგ** მოვზელთ ნაღებში” (ბაზგ.).

გეირცხი - გაირეცხე: „დიდ ღმერთ არ უყვარს ფისი ინსანი/**გეირცხი** ურუბა, ლამაზი ის არი” (მან.).

გელი - მგელი: „**გელმა** შეჭამოს და მომარჩინოს”; „გაღმა სერში **გელები** //მიმოდევეან ბერები” (ხოხ.).

გელინი - 1. რძალი - ძმის ცოლი, ვაჟის ცოლი; 2. პატარძალი.

გემისკდა გული - გამისკდა გული, გად. შევშინდი: „აჰმედაა კაი არ იყო, **გემისკდა გული**” (ზ.).

გენჯი - (თ. genc) ახალგაზრდა: „**გენჯები** წადიან, არ ჩერდებიან” (ზ.).

გენჯობა გავაქციე - ახალგაზრდობა გავაქციე, დავბერდი: „მალანჩი დუნია, **გავაქციე გენჯობა**” (ბაზგ.).

გენჯოღლები - ქოხის სახელი ჩიხისხევში.



გენათლება - განათლება: „დადამდება, გეგინათლებით, გეგინათლებ, გეგიარ“ (ჩაქ.).

გეახსნა - გაიხსნა: „საზღვარი გეახსნა, მოდიოდენ ქართველები“ (შავშ.).

გერმელი - გემრიელი.

გერმელობით - გემრიელად.

გერთი/გეშტი - (თ. gectit(di)) გასასვლელი, გადასასვლელი, აქ: გასასვლელი: „[მაჭახლებს]... ზამთარში გერთი არ აქონ“ (უ.).

გერმიში - (თ. gecim) არსებობის საშუალება: „ღმერთმა კამ გერმიში მოგცეს“ (უსტ.).

გვალად - ადგილი მანატბაში.

გვაჯება - ჯიბრი: „გვედნენ, კაცები არ არიან, ერთმანებ ეგვაჯებიან“ (ხევეწ.).

გველობა - ცუდის თქმა, ცუდად ხსენება, დაძრახვა: „არ გვიგველოთ, მოხვალთ, ერთ ღამეწა ვილაპარაკოთ“ (ა.). ნ. წაგველება.

გვერდა ღელე - ღელე მანატბასთან.

გვერთ ყანები - ყანები მანატბაში.

გიათი - ადგილი უსტამისში.

გიდელად - გიდელი.

გნებულობს - იგებს: „... გურჯიჯა გნებულობს და ვერ დუულაპარიკნია ბევრი...“ (ბაზგ.); „ქართულად ვაგინებ და ვარ, არ გნებულობენ“ (სვირ.).

გაავრი - ურჯულო, სხვა რწმენის, არამუსლიმანი: „გაავრის ქვამ რომ თქვან, არ შედნახვენ“ (ხევეწ.).

გიუნ/გუნ - (თ. gün) დღე: „ელიბემ გუნ ვრჩები“ (უსტ.).

გაუნემ ჩიჩეგი - (თ. güneş cicek) მზის ყვავილი, მზესუმზირა: „მზისუმზირა გაუნემ ჩიჩეგია...“ (მაჩხ.).

გო (<გოგო) - მიმართვის ფორმა, გავრცელებული სამხრულ დიალექტებში (სხვაგანაც): „გადმოსკდეს და, გო! (ბაზგ.).

გოგამის დაილა - დაილა (მთა) იმერხევში.

გოგოეთი - სოფელი იმერხევში.

გოგორა-ე - ბორბალი.

გოდრიანი - დაცინვით ქორწილში ქალის მაცარი: „წამოსლიხან ბიჭის მაცრები გოგოს მაცრებსა გოდრიან უმახიან“ (შავშ.).

გოზგორა - (თ. gözögore) როგორც ჩანს, ნამდვილად.

გოზლული - (თ. gözlük) სათვალე.

გოლი - (თ. göl) ტბა.

გოდა - (თ. goya) თითქოს.

გორგვიეთი - ადგილი უბეში.

გორე - (თ. göre) მიხედვით, თანახმად, შესაბამისად; **იმადა გორე** - იმის მიხედვით.

გორჯოლა - ყველის სახეობა (შდრ. შ. ფუტკ. შ. ნიჟ. ვ. შამ.): „[მაწონი] ბევრი რომ იქნება, მაქინას გამოვადენთ, **გორჯოლას** გავაკეთებთ...”(ზენ.).

გომნიგილი - ადგილი ახალდაბაში.

გოჩინთი - ქობის სახელი შავშათში: „ჩემი გვარი დეიკარქა, ამისი - **გოჩინთია**” (შავშ.).

გოჯელეთი - ადგილი ახალდაბაში.

გუგუმი - წყლის ჭურჭელი სპილენძისა: „ეს **გუგუმია**, ფახირია, იბრედიც არი...”(უ.).

გუზელა - (თ. güzel მშვენიერი, ლამაზი) ძროხის სახელია, შდრ. ლამაზად: „ბრეში ძროხა არი, **გუზელა** ქვია”(ხობ.).

გულით დაწერვა - ემოციით წერა, სიყვარულით წერა: „ჭკვით დაწერვა სხვა არი, **გულით დაწერვა** სხვა არი” (დავ.).

გუმუში - (თ. gümüş) ვერცხლი.

გურჯა - აქ: გურჯული, ქართული ენა: „ჰო, ანა-ბაბომაც იციან **გურჯა**, იმათამაც იციან...”(ბაზგ.).

გურჯი ვაიზი - (თ. gürcü vaiz) - ქართული ქადაგება.

გურჯი, გურჯული, ქართული ენა: „**გურჯის** ასწავლის”(ჩაქ.).

დ

და (<უნდა): „იზმით ვარ, მევბარგო^{და} რიზეს” (წეთ.); „აქ ვართ, მარიობა^{და} დედლიოს იშტე...”(დ.).

და - ნაწილაკი, ახლავს დადასტურებითი შინაარსი: „**ჭამე-და**, ბალი აქევრი არი”(ბაზგ.). შდრ. შ. ნიჟ. და.

დაბარიშება შერიგება, დარიგება: „**დაბარიშება**” - გაბუკული ვიქნებით და დეველაპარიკებით” (ჩაქ.); „აბაზებთან ეკინდლებოდით, **დაბარიშდით?**” (მან.).

დაბაწვრილი/დაბაწრული - სოფელი იმერხევში.

დაბრაწება - ნ. გაბრაწება.

დაბიწყება - დავიწყება: „სოადი **დამაბიწყდა**”(მან.).



დაბურვა - დახურვა: „დილაზე ავეყრი, საღამოზე **დაბურავ**“ (ზენ.).

დაბური - დაბელი: „მე **დაბური** ვარ“ (ზაქ.).

დაგვაჯება - შეჯიბრება: „**დაგვაჯებიან** ერთმანებ თამარა დედოფალი და ი კაცი, ვერ მეგვონე...“ (დას.).

დაგვანდო - დაგვაბარა: „რაცხა რომ **დაგვანდო**,/თელილი'და ვისაქმოთ...“ (მან.).

დაგლა - დაჩეჩვა, დანაყვა: „თირფანმა (ნ) **დამგალა** ხელები“ (ზაზგ.).
შდრ. საბა, ნიჟ. დაგლა.

დადგმა - აშენება: „სახლები'ნა **დიგიდგათო**“ (უსტ.).

დადგომა - დარჩენა: „არ **ვდგები** აქ“ (ზაზგ.); „სოფელში'ნა მივდეო, აღარ **დადგა**“ (დავ.).

დადე - მდადე: „**დადე**, ამისი ემოსი დის ქალი მოიდა“ (შავშ.).

დადიენთი - ჩაქველთას უბანი.

დადინგლება - მოსმენა: „[შვილი] ახლა არ **დიგვიდინგლავს**“ (შავშ.); „მე გერმანიაში ვიყავ და რადიოს **ვუდინგლავდი**“ (ივ.); „ხუთ დღეში ქორწილი იქნება, მაშინ'ნა **დუუდინგლო**“ (ზაზგ.).

დაელვება - გად. ტკივილი: „მე ვერ წავსულვარ, წელზე დაკრული მაქ და, გევჩუჩუნებ, **მიელავს**“ (უ.); „უკანა, წელის ქომოთ **დემიელვა** და ჩავარდი...“ (დ.).

დავა - აქ: დადის: „...ძალი საქმეზე **დავა**-და... საქმეზე **დავა**, ათი წელია საქმეზეა“ (ზაზგ.); „არაბები ქი **დავა**“ (ხოხ.).

დავადებ - აქ: დავკრავ, დავარტყამ, გად. მოვუგვარებ: „[რძალს] ...რომ **დავადებ**, ბაბოღ სახში გავაგზან“ (უ).

დავლათი - სოფელი იმერხევში.

დავითენთი - ქოხის სახელი უბეში.

დავიქეთი - სვირეენის უბანი.

დავიწყნული - დავიწყებული: „ზოგი სიტყვები **დავიწყნული** გვაქ“ (ზაზგ.).

დავლავლები - დასამობის ციხე.

დავლაძენი - გვარი უბეში.

დავლი - დოლი: „ჰემ მუზიკა, ჰემ **დავლი**“ (ჩაქ.).

დავჩი - დავრჩი: „წევდა ჩემი კაცი ესკერში, **დავჩი** მარტო...“ (უსტ.).

დაზუნგილება - დამდიდრება.



დაზღვევა - აქ: ზღვევზე დაბმა საქონლისა: „ჩვენ ახორციელებს საქონელ დავაზღვევით”(მან.).

დათან - დასთან: „იქ ჩემ დათან ახვალთ...” (ბაზგ.).

დათესვა - დაკარგვა: „ამდენი ჭკვა არ მიჭრის, დავთესე” (ბაზგ.). ნ. ჭკვის დათესვა.

დათიბვა - მოთიბვა ჭალის: „...იმან ჭალა დათიბა“ (ხევწ.).

დათუნა ყურძენი - ყურძნის ადგილობრივი ჯიშია მაღლარი (სვირ.).

დათხრა - დაგდება, გად. დაჯდომა: „დეეთხარე აგზე, დაჯექ” (ბაზგ.).

დაკავება - დაჭერა: „ზემოდან ქვას აძლევს და დეიკავეო, ებნევა”(მაჩხ.).

დაკეპვა - წვრილად დაჭრა ბოსტნეულის, ხორცის: „ეჩოდთ'ნა დაკეპო” (ბაზგ.).

დაკიდული - მოუცლელი, ძალიან დაკავებული: „ჩემი არ იყოს, დაკიდული ხარ” (ბაზგ.).

დაკიჟინება - ხმამაღლა დამახება, დაყვირება: „დავაკიჟინებდით, დავბერდით ახლა” (ბაზგ.).

დაკრანჩხვა - დაკრუნჩხვა: „მარშან ფელჯი გავხდი, ენა დემება, მასკან ხელი დემეკრანჩხა”(მან.). შდრ. ნიჟ.

დაკონწიალება - ჩამოკიდება: „დაკონწიალება იქნება”(დას.).

დალაგება - 1. რაიმეს ერთმანეთზე დაწყობა: „[კიტრებ] ასე დავაჭახებდი, დანი, დავალაგე. დალაგება, ჩვენ ისე ვიტყვით...”(ხოხ.). ნ. დაჭახება. 2. დაოჯახება: „ეს ბიჭი ვერ დავალაგეთ” (შავშ.).

დალეული - რაც დასრულდა, წარსული: „დალეული ყველაფერი მოგწონდება” (უ.).

დალეწვა - გალეწვა თავთავის: „მე კევრში შევაბემდი ჯარებსა, დალეწდა [ზზეს]”(უ.).

დალოგინება - მშობიარობა: „ქალი რომ იმშობიერებს, დალოგინდაო, ვიტყვით” (წეთ.).

დამ - თანდებული: იქ ისწავლიან, იქიდამ წამაასხეს ქალები... (ბაზგ.).

დამარი - (თ. damar) ძარღვი: „დამრები გეიხსნება”.

დამკობტება - ნ. მოკობტება.

დამჩალი - დარჩენილი: „... სამი წლისა დამჩალი ვარ დეთიმი...” (ბაზგ.).

დამძრახება - დალაპარაკება: „დეემძრახები თუ არა მამამთილ, ის ძველად იყო, ახლა არაა”(წეთ.).



დანგ-დუნგ - ხმაბამვითი სიტყვა, შორისდ. დათვების სიარულის ხმაზე თქვა: „ვუცადე, [დათვი]... არ მოიდა; ერთი შევხედე მოდიან, **დანგ-დუნგ** იჯებიან“ (ჩაქ.).

დანღობა - დაბარება.

დანიჩხვა - ნიჩხით მიწის გადაყრა, დასუფთავება: „**დანიჩხენ, დანიჩხენ**, გზას გააკეთებენ“ (ჯვარ.)

დანჯავება - დამჯავება: „დათვი **ანჯავეფს** და ისე ჭამს“ (მან.).

დაპარება - ჩაქრობა, გაქრობა: „სობას ჰიჩ არ **ვაპარებთ**“ (მაჩხ.).

დაჟდომა - დაბინავება, ცხოვრების, მოსახლობის დაწყება: „ამ სოფელში **დამჟდარან**“ (ჩაქ.); „კად ალაგები უნახვან, იქ **დამჟდარან**“ (ივ.).

დაჟდუმლება - დასმა: „ცალკეა **დაჟდუმლო** დოდოფალი“ (ხეფწ.).

დარბაზ უკანაჲ - უბანი ზენაგარაში.

დარე - 1. ფერდობი: „**დარეს** ვებნევით იმა“ (უ). 2. **დარე** - ადგილი უბეში და მანატბაში.

დარეთავები - ადგილი კოკბერეთში.

დარვევა - მოხვნა: „ეს ყართოფის ყანაა, ჯარით მოარევთ, ჯარით **დავარვევთ**“ (ხობ.).

დარვიეთი - ადგილი იმერხევში.

დარვიეთ თავი - ყანა მანატბაში.

დარიგება - განაწილება, სხვებისთვის მიცემა: „**დავარიგებთ, დარიგება** კადა“ (ჩაქ.).

დართავი - ადგილი ჯვარიხევში.

დარუნიება - მოტარება: „წყალ **დაარუნიებ** ათ დღეში“ (ზ.).

დარჩომილი - დარჩენილი: „ძველათ გუუკეთებიან, **დარჩომილა**“ (ჩაქ.).

დარცხა - დარეცხა: „ჭურჭელი **დარცხა**“ (მან.).

დასადგომი - საცხოვრებელი: „ზედთ **დასადგომ** სახლს გავაკეთებთ“ (ჩიხ.).

დასაკიდებელი - ძეწკვი, ყელსაბამი: „მომიტანეს მარტო ბეჭედი და ყელსაბამი, **დასაკიდებელი**“ (ჩაქ.).

დასაკოჭბელი - დასაკატომრებელი (ბორკილდასადები): „ვინცხა ქი **დასაკოჭბელი** [იქნება]... რაცხა უქნია, იმას მოასხემდენ ჩვენთან“ (ჩაქვ.).

დასამობი - სოფელი იმერხევში.

დასასუნათებელი - წინადასაცვეთი. ნ. დასუნათება.



დასახლება - დაქორწინება, დაოჯახება: „აქ დევბადე, **დევესახლე**, იმას მერე წევედ” (უსტ.); „... მე ბაღვი არ მეყოლა, **დასახლდა** კაცი, დიმისახლდა” (მან.); „ჩემ ბაბო დევესახლა და... ბაჯალა ითხვა...” (ბაზგ.).

დასმული - ნაშობი: „შენი **დასმული** და მოგცეს ღმერთმა, მალე ამართვა პატრობაში” (ბაზგ.).

დასუნათება - (არ. sünnat) წინდაცვეთა: „ქირვა დასუნათების საქმეს აკეთებდა. სუნნეთ დუგუნ აკეთებენ, მეზობლებ დუუძახებენ, ახრაბას, ღარქ **დასუნათებენ...**” (წეთ.).

დატრინკვა - აქ: ფეხის დაკვრა, გადატ. წამოსვლა, უფრო გამოქცევა: „**დავტრინკე** და წამუელი... იმათ ხიზმეთქრობას ჩემ ბაბოს ხიზმეთქრობას ვიზამ” (ბაზგ.); „მე გავაგდე კაცი, **დავტრინკე**” (ბაზგ.).

დაფუთვა - დაფუტვა, დაკვამლვა: „ქორუგით **დაფუთავთ**, მივაფუებთ ასე” (ბაზგ.).

დაქანება - დარხევა, აქ: დაბერტყვა თუთის: „წუხელი გაწვიმდა, თუთები **დიმიქანა**, გაყარა” (ხევწ.); „ჩემიც **დეგექანებია**, ვინ და **დააქანოს?**“ (ხევწ.).

დაქნევა - აქ: მოხმობა საჩვენებელი თითით: „ღმერთი როდი **დიგვიქნევს**, თავეთ **დიგვიქნევს**, ჩვენ ვერ **დევქნევთ**” (ბაზგ.). შდრ. ქეგლ - დაქნევა.

დაქუხება - აქ: თოფის სროლა: „შენ კაცი არ გახდები, **დააქუხე**-და... მარტო იყო? (ღორზე ეკითხება)” (ჩაქვ.); „[თოფი] **დავაქუხე** და მოვკალ” (ხევწ.).

დაქცევა - გადაღვრა, გადასხმა: „მოვხარშავ, წვენს **დავაქცევთ**” (ზ.).

დაღება - დახრა, ქვევით დაწევა: „ბერი ხარი რქიებ დაბლა **დეიღებს**” (მაჩხ.).

დაღენკვა - 1. იხ. დახოშრვა: „წყალი ცოტადა, არ აბრუნეფს, დახოშრავს და **დაღენკავს**” (ბაზგ.). 2. მოგროვება: „მერული (თივის) **მოსაღენკია**” (ბაზგ.).

დაყაბულება - დათანხმება, დაკმაყოფილება: „აქ კი მევიდნენ, ჰამა არ **იყაბულეს**” (უ.).

დაყაფანება - (თ. kanatmak) ჩაკეტვა, დაკეტვა: „მაშინ მისვლა-მოსვლა ყოფილა, მემრე **დაყაფანებულა**” (მაჩხ.); „**დაყაფანდა** ოქული” (უ.).

დაყაფანებული - დაკეტილი: „**დაყაფანებული** არ ყოფილა მაშინ” (მაჩხ.).

დაყეყელება - თავის წამოწევა: „თუთის ძირიდან ერთიც წამოვიდა [გველი], **დეყეყელა** თავი” (ჩაქ.).



დაყრა - დაკეტვა: „ამეზღამ თქვენთან მუალ,/არ დუუყარო კარები“; „არ არიან, დაყრილია კარები“(უ.); „ახლა მე'ნა წევდე... კარები'ნა დუუყარო“(ბაზგ.); „[კარი] დუუყარე, იგზე არ დადევ?“ (ხევწ.).

დაყრილი - დაკეტილი: „არავინ არა, დაყრილი მაქ-და“ (ბაზგ.).

დაყრუება - აქ: რაიმე აპარატის გამორთვა: „თამამ, ედვსო, დაყრუე [ვიდეოკამერა გამორთეო], მევღალე ლაპარაკში“ (ბაზგ.).

დაყუდება - კეცის ცეცხლთან გასახურებლად მიდგმა: „კეც აღარ ვაყუდებთ, კეცი ადგა“ (უ.).

დაშველება - 1. დახმარება: „ახლა თურქი ყვირის, ქურთებ რაზე გარედამ ეშველებიან?“ (ბაზგ.); „დეგეშველება, თავის თავს დაარჩენს, შენც დაგარჩენს“ (უ.). 2. ნადი: „დაშველებიან ვიმღერებდით“(მან.).

დაშჰენა - დაცდენა ფეხის: „თუ დიგიშჰა ფეხი, მაშინ დედნახავ“(ბაზგ.).

დაჩინთი - ქოხის სახელი უბეში.

დაჩოული - დაჩვეული: „მუსაფირ დაჩოული ვარ“ (ხევწ.).

დაჩუმდი - გაჩუმდი: „დაჩუმდი-და, ვერ გიმიგონია“(მან.).

დაჩხვერა - ატკივება, ტკივილი, „მუცლის გვრემა“(საბა): „მუცელში დამჩხვერდა, ფუში ამტკივდებოდა“; „მეზობელ დაჩხვერსო, შენ ფუშზე ხელი'და დეიდვა“(ჩიხ.). ნ. ჩხვერა.

დაძლევა - ჯობნება: „სხვის ბაღვმა არ დაძლიოსო...“(წეთ.).

დაძრა - დაკეტვა: „კარი აღარ დიმიძრია“(ბაზგ.).

დაწახული - დაწყობილი, იხ. **დაჭახული**: „აილაში მინავალი/დაწახული შეშები...(ბაზგ.).

დაწვენა - ფულის დაწვენა, ფულის შეტანა ბანკში: „ფული ვაწვინე, ემექლი გავხდი“ (ჩაქ.).

დაწვილი ტყე - ტყე ზენაგარაში.

დაწკრიალება - ნ. ტელეფონმა დააწკრიალა.

დაწონა - გადატ. ჯობნება, დაძლევა: „თერეზმა დაწონა, თერეზმა დაძლია“ (ბაზგ.).

დაჭახვა - ერთმანეთზე დაწყობა, დალაგება: „დავთესეთ და... ასე დავა-ჭახებდი. დავალაგე, დალაგება, ჩვენ ასე ვიტყვით“ (ჩაქ.).

დაჭახული დაწყობილი, დალაგებული ნ. **დაწახული**: „ღელე-ღელე ევიარე,/დაჭახული შეშები...“(უსტ.).

დაჭედვა - დაჭედება, ჭიდაობა: „დაჭედავ ბულებს“ (ბაზგ.).

დაჭირვა - დაქირავება: „ერთ კაც ვიჭირავთ, ფარას ვაძლევთ“ (უსტ.).



დაჭირული - აქ დაქირავებული: „უსტა კაცი **დაჭირული** მყავს, ის აკეთებს და ყიდის” (სვირ.); „ამას სახლი **დაჭირული** აქ ემეში” (ბაზგ.).

დახოშრვა - მსხვილად დაფქვა, დაროხვა, იხ. **დალენკვა**: „წყალი ცოტადა, არ აბრუნეფს, [წისქვილს] **დახოშრავს** და **დალენკავს**” (ბაზგ.).

დახრესა - დაფშვნა: „**დახრეს** [თავთავს], ორმოცდაათი-სამოცი კაკალი იქნებოდა...” (უ).

დახსენება - ვინმეს ცუდად, აუგად მოხსენიება: „მუსათან ვერაფერ ვერ **დამახსენებს**, შენი ანაჲ ასეო, ვერ იტყვის” (ხევწ.).

დაჰა - ძალიან, უფრო მეტად, ძლიერ: „**დაჰა** ბევრ იღებენ. ძველებმა **დაჰა** იციან, ახლანდელებმა ცოტა” (ხევწ.); „ჩემ კაცმა **დაჰა** კაი იცის, **დაჰა**” (უ).

დაჰაფსება - (არ. hapis) დაჰატიმრება: „[დათვის მოკლავ]... ექვს წელწად **დაგაჰაფსებენ**” (მაჩხ).

დგომა - ყოფნა, ცხოვრება: „ახლა მე ბურსას **ვდგავარ**” (ნიოლ.).

დგანდგალი - ადგილი კოკბერეთში.

დგნალი - ფოთლოვანი ხე: „**დგნალი** - ხე, ფურცლიანი, [ტყეში] ბევრი **დგნალია**” (კოკ.).

დეგილი - ადგილი დაბაში.

დედამისი - აქ: დედაჩემი: „ჩემი **დედამისი** თურქულაჲ არი” (მაჩხ.).

დედე-ე - (თ. dede) ბაბუა: „**დედე** მაყვდა, ბაბოსი ბაბოჲ” (ბაზგ.).

დედო-ე - დედა ფუტკარი, იხ. **ანაჲ**: „ჰო, ჰემ ანაჲ, ჰემ **დედო** იშტე, თელი ერთია” (ბაზგ.).

დევეთი - ადგილი დაბაში.

დევლეთი - (თ. devlet) სახელმწიფო, ქვეყანა: „ოთუზ სენე გახდა მე წესული ვარ **დევლეთიდან**”.

დევრიშოღლი - ქობის სახელი უბეში.

დეიშური - (თ. değicik) განსხვავებული: „ჩვენი ლაპარიკი თქვენთვინ **დეიშურია**, თქვენი ლაპარიკი ჩვენთინ **დეიშურია**” (ბაზგ.).

დეკეული - ფური უმობელი: „ხბო გეიზდება, **დეკეული** იქნება” (ბაზგ.).

დელიოღლები - (ლეჩიშვილებსაც იტყვიან) - ქობის სახელი ჩიხისხევში.

დელუგი - (თ. delik) ხვრელი: „ნიჩბით მიაწვები, გაცურდება **დელუგში**” (ნიოლ.).

დემაქ//დემექ - ესე იგი, მაშასადამე.



დემითხუეს - გემითხუეს, გამითხოვეს: „მარი რომ დემითხუეს, აღარა ვარ ჭკუაში” (ბაზგ.).

დემირი - (თ. demir) რკინა: „ეს დემირია, კინაკეტი”(მან.).

დემლიგი - (თ. demlik(ği) ჩაიდან: „ძველათ „ჩაინიკ” ვეტყოდით, დემლიგ” (მაჩხ.).

დემური - რკინა: „ეს ადგილია და გეეჭრეს, დემური და ჩეედგენ, სად ღმერთის გაჩენილი ემე და სად იგი”(ბაზგ.).

დემურჯი - (თ. demurci): „დემურჯი ყოფილან, ჰო”(ჩაქ.).

დენი - მარცვალ: „სიმინდის დენი იშტა, დენი, ჩვენ ვეტყვით მაგა” (ჩაქ.).

დენიზი//დენისი - (თ. deniz) ზღვა.

დეადი (<დერდი) - დარდი: „გერმელათ გაცოცხლოს, არა დეადი არ მოქცეს” (ჩაქ.).

დეაზდენ - დაიზარდენ: „ჩვენ აქ ვიყავით, აქა ბაღვები დეაზდენ, წევდენ (მაჩხ.).

დერგი - აქ: ჭური, ქვევრი: „ღვინო იქნება ბელქიდა, იმითანად ვრა თანე დერგი იყო” (უსტ.).

დერდი - (თ. dert(di)) დარდი: „აღარც ანად მყავს, აღარც ბაბომ, ჩემი დერდი წეადლო” (ბაზგ.).

დერმანი - (თ. derman) წამალი: „დერმან გავათხელებთ, ფომფაში ჩავასხამთ”(ჩაქ.).

დესტანი - (თ. destan) ბალადა: „სიმღერაში დევწავლე, დესტანში დევწავლე”(ჩაქ.).

დეფანი - დერეფანი: „ეს ტანტრაბა, ჩვენში - დეფანი”(ჩაქ.).

დეფთერი - (არ. defter) დავთარი, რვეული.

დეყე - (თ. dakika) წუთი: „ზემოთ არაბად ოც დეყეზე ავა”.

დიდი - ასაკით უფროსი: „ქალი დიდია ამაზე” (ბაზგ.).

დიდ ახო - ადგილი მანატბაში.

დიდვაკე - ადგილი ზენაგარაში.

დიდვენახი - კლარჯული სოფელი კარჩხალას ხეობაში.

დიდნაზვი - ადილი უსტამისში.

დიდრვანი - აქ: უფროსები: „წეთილეთ აღარ ლაპარაკობენ გურჯიჯა, დიდრვანები ლაპარაკობენ (იფხ.). შდრ. აჭ. დიდვანი.

დიდრუანი - ერქექარი [ფუტკარი] ცოტა დიდრუანი არიან (ბაზგ.).



დიდსახლი - ტყე უკანეთის მაჰალეში.

დიექები - „სალამოს მუშაობის უფროსი“ [მოსაუბრის განმარტება]:
ლამეში **დიექები** ვარ” (ბაზგ.).

დილი - (თ. dil) ენა: „ჩვენ ორი **დილი** ანჯახ ვიცით: გურჯული ვიცით, თურქა ვიცით” (უსტ.).

დიმივიწყდა - დამავიწყდა: „პატრობის დროს ვიცოდი, ... ახლა **დიმივიწყდა**“ (სვირ.).

დინდგარაჲ//დინდგალაჲ - დინდგელი.

დირელი//დირეგი - (თ. direk(gi) ბოძი: „ამა **დირელ** ვუძახით. ლურსი ბითავა ამას აწვება, არ იყოს, ჩამოწვება” (მან.).

დიხვინა/დილხუინა/დილხინა - ბალახია ერთგვარი. იგივე უნდა იყოს, რაც **დილხამი**, *Campanula glomerata* (მაყ.), შდრ. მთ. **დილხამა**; აჭ. **ჭარბადელო** - მხალეული მცენარე, მთაში იზრდება, „მისგან მხლის შეჭამანდს ამზადებენ...” (შ. ნიჟ.).

დოდოფალი - 1. რძალი, ვაჟის ცოლი: „ორი ძროხა შენ (შენმა) **დოდოფლებმა** არ მოგიწველონ, სხვამ და მოგიწველოს?”; 2. პატარძალი.

დოკანი - ხის სახლის იატაკისა და კედლების საყრდენი მსხვილი ბოძი (შ. ფუტკ.), ქირიში: „სახლი’ნა გავაკეთო, გავთალო’ნა **დოკანი**...” (მან.).

დოლანი - (თ. Dolan სიცრუე, ტყუილი, თაღლითობა, ყალბათანდობა): „ანაჲ **დოლანია**, ერქექარი არ იყოს, ანაჲ დოლამა” (ბაზგ.).

დოლმა ნ. მელეზი.

დოლმები - 1. ქობის სახელი უბეში. 2. უბანი უბეში.

დონერი (თ. döner) შამფურზე შემწვარი ხორცი: „**დონერ** გააკეთებენ, **დონერ**, ხორცსა” (ზაქ.).

დოსტი (თ. dost) მეგობარი: „გავხდით **დოსტები**” (მაჩხ.).

დოუკარ - დაუკარ: „**დოუკარ** და ვისამებ” (ზაქ.).

დოურჩება - დარჩება: „გათენებას ერთი-ორი საათი **დოურჩება**, ... დასლული’ნა ჭამო” (ჩაქ.).

დოუჯერა - დაუჯერა: „დედამთილ **დოუჯერო’ნა**“ (ჩაქ.).

დოდრი - (თ. dođri) ნამდვილი, პირდაპირი, მართალი: „აქევრები **დოდრი** გურჯები არიან” (ბაზგ.).

დოხუზ - (თ. dokuz) ცხრა.

დუა - (არ. dua) ლოცვა: „ხიზმეთ თუ იზამ, შენ ეძღებ **დუვას** [მშობლებისაგან და ხოჯისგან]” (მან.).



დუბარა - (სპ. dubara) აქ ღალატი: „ამეზღამ შენთან მუჯღ, არ და მიყო **დუბარა**“.

დუგუნი - (თ. duğün) ქორწილი, ლხინი: „ქორწილობა დიდი **დუგუნი** აქა“ (ზ.).

დუგუნობა - ქორწილი, ქორწილობა: „**დუგუნობა** იყო და არ დედწავლე, ჭო?“ (სვირ.).

დუდბიენთი - ადგილი ჩიხისხევში.

დუზგარი (?): „იმ მაქინაში ჩავდებთ ოთხთანე ჩითას, დავაბრუნებთ, **დუზგარი** აქ იმას, ... გამოდინდება“ (ბაზგ.).

დუზე//დუზი - (თ. düz) სწორი, ვაკე ადგილი: „იგზე **დუზია**, შოშე გზაა, **დუზ** ადგილეფში ძერი მუუცემიან აქევრ თურქებსა“ (ჯვ.).

დუმანი - (თ. duman) კვამლი: „ჩემი სოფადი „**დუმანია**“, კვამლი“ (ნიოლ.).

დუნგური - მზახალი: „ჩემი **დუნგურია**, ჩემი ბაჯალა იმისი დოდოფალია“ (ჩაქ.).

დუნია - (თ. dünya) ქვეყანა, სამყარო: „**დუნიაში** არაფერი არ იცოდა“ (ბაზგ.).

დურამადი - (?): „დავტრინკე და წამუელი, **დურამადი**“ (ბაზგ.).

დურალი - (თ. durak) ტრანსპორტის გაჩერების ადგილი: „ჩამოვასხი ემეში **დურალზე**, არაბაში ჩავდევ“ (ზაქ.).

დურუმი - (თ. durum) მდგომარეობა: „ძველათ **დურუმი** ყოფილა იშტა, ფენა ალაგი უპოვნიან“ (იფხ.).

დღვაბიზები - უბანი წეთილეთში.

დღივ - ყოველდღიურად: „ერთ კაც ვიჭირავთ, ფარას ვაძლევთ, **დღივ** ავა, ჩამუა“ (უსტ.).

ე

ე - ა'ს ფონეტიკური ვარიანტი: „ღვინოსე ევღებთ, ორასი ... კაცი იქნება“ (ბაზგ.).

ებანება - ბანაობს: „[ბიჭი] ...**ებანებოდა**... მარმარაში“ (სვირ.).

ებბედი - (არ. ebed) მუდამ, ყოველთვის, არასდროს: „ზოგი შვილი და დედ-მამა ერთათ მეიყრებიან,/ებბედი ისინი ერთათ იქნებიან...“ (მან.); „ებბედი არ უქნია მაქფრათ...“ (ნიოლ.).

ებე-ე - (თ. ebe) იხ. ბიბიაე.



ეგნება - ეხერხება, იცის: „მოგვევანე ერთი ბიჭი, ამდგერი რამე **ეგნებოდა**” (ბაზგ.).

ედგმის - ეწყობა, შეესაბამება.

ევეთ - (თ. evet) დიახ: „ზამთარში ზოგი წავლენ, ბითევი არა, **ევეთ**”(ჩაქ.).

ეზანი - (თ. ezan) სალოცავად მოწოდება მინარეთიდან: „ჰა მიხვალ ეზანის დროს მუუსლელი, **ეზან** იკითხვენ”(ჩაქ.).

ეზბერად - (თ. ezber, ezberden) ზეპირად: „მე ყურანი(ს) სურები **ეზბერად** ვიცი”(ბაზგ.).

ეზგილი - (თ. ezgil) ვიწრო, შევიწროებული: „რა ვქნა, **ეზგილი** ალაგები არი, ასე, გარეთა ალაგები არი, გაგდებული მაქ...”(ბაზგ.).

ეზიეთი//ეზიათი - (თ. eziet) შეწყუბება, გაჭირვება: „**ეზიეთ** ვერ მივცემ”(დ.); „ჰამა **ეზიეთიც** გამევარეთ”(უსტ.).

ეზრაელი - (თ. azrail) სიკვდილის ანგელოზი: „**ეზრაელი** მოვა იმ ავატყოფზე,/დაასობს ჩანგალს გულის კაკალზე...”(მან.).

ეკალი - ასკილი: „ამა [ასკილს] ჩაისავენ სმენ, გურჯიჯა „**ეკალ**” ვეტყვით ჩვენ”(ნიოლ.).

ეკონომია - ეკონომიკა: „**ეკონომია** კად არ იყო. ახლა **ეკონომია** აიწია”(ჩიხ.).

ეკლუანთი - ადგილი უკანეთის უბანში.

ელბეთ - (თ. elbet, elbette) უეჭველია, რასაკვირველია, შეიძლება. ნ. **ჰელბეთ**.

ელბისე - (არ. elbise) კაბა: „... რა ფენა გიხდებოდა,/თეთრი **ელბისე** ტანზე”.

ელექტრიკები - (თ. elektrik) ელექტრობა, შუქი: „ხან-ხან **ელექტრიკები** წყდება”(ჩაქ.).

ელიაწმინდა - ადგილი ჩაქველთაში.

ელლი სეეიზ - ორმოცდათვრამეტი.

ელჩი - (თ. elci) მამვალი, შუამავალი: „**ელჩი** გაგზანინან, რაზი გახდება”(უსტ.).

ელხემდურილა-ე - (არ. elhamdülilah) დიდება ღმერთს: „... ჩვენ ჰალა მუსლიმანები ვართ, **ელხემდურილა**”(ნიოლ.).

ემე/ემეე - (თ. emme) დამხმარე სიტყვა, საჭირო სიტყვის მოუფონებლობის შემთხვევაში იხმარება: „**ემეში** წევდა ისა, იქ...”



ისტამბოლისკენ არი ისა” (ბაზგ.); „... იქ ზიოს არი იგი, **ემეში**, ჰო” (ბაზგ.); „**ემე** ჩუუსხი, გევრეგი”(უსტ.).

ემეგ-ი - საჭმელი, საკვები. ნ. დემეგი//დემელი.

ემელიეთი - (თ. ameliyat) ქირურგიული ოპერაცია: „თავიდან **ემელიეთი** გავხდი” (მან.).

ემეს იქს - დამხმარე სიტყვათშეხამება, საჭირო სიტყვის ვერმოგონებისას იყენებენ: „...კვრცხ დადებს შიგან იმტე, **ემეს იქს**, დემატება“ (ბაზგ.). შდრ. საბა - **ემენი**.

ემეს იჯება - დამხმარე სინტაგმა საჭირო სიტყვის ვერმოგონების დროს იყენებენ: „თვალეში დიმიბნელდა, ხანდახან **ემეს მიჯება** იმტე (ზ).

ემექლი - (თ. emekli) პენსიონერი, ამაგდარი: „**ემექლი** არიან ჩემი შვილები” (უსტ.).

ემია - (თ. emmi) ბიძა, მამის ძმა.

ემიაშვილი - (თ. emmi ბიძა) ბიძაშვილი: „ერთი **ემიაშვილი** ყავს, იმისთინ შუუჩივლია, არ დამანახვესო”(შავშ.); „აძჰანის ბაბოდ და ჩემი ნენედ **ემიაშვილები** არიან” (ბაზგ.).

ემიობა - გადატ. ქცევა, საქმე: „[ანალუდი] ... რაცხა სოფლისა იყო, ამა არ იცოდა არაფერი, მაშინდელი **ემიობა** იმტე”(ბაზგ.).

ემლაქჩი - (თ. emlak უძრავი ქონება) უძრავი ქონებით ვაჭრობაში შუამავალი: „მუსად **ემლაქჩია**, ებლაცუნება, არი” (ხევეწ.).

ემო-დ - ნ. ემია: „ეს სახლი ამათი **ემოსია**...” (უ.); „ჩემი ანად დუუბრუნეს **ემოს**; ანადს კაცი ჩემი **ემოდ** იყო”(მაჩხ.).

ემჯამი - (თ. encam) ბოლოს და ბოლოს, დასასრულს. აქ: ოლონდ: „**ემჯამი** ჯანი სადი იყოს-და...”(ბაზგ.).

ენ - ზედსართავი სახელისაგან აღმატებითი ხარისხის მაწარმოებელი აფიქსი: „**ენ ბევრი** ჯამეები ჩემ ალაგშია”(მაჩხ.).

ენა არ უბრუნავს - ვერ ლაპარაკობს, ვერ ამბობს: „იციან, ამა **არ ბრუნავს ენა**-და!” (ბაზგ.).

ენგილო - ანგელოზი: „ჰეზრეთი ყურანით მეზარში მოვა,/ლამაზათ **ენგილოს** სურეთში შევა...”(მან.).

ენის წვერზე მიგორავს - იგივეა, რაც ენის წვერზე მაქვს, იტყვიან, როცა ვერ იგონებენ სათქმელს: „გვარი არ მახსოვს, **ენის წვერზე მიგორავს**“ (ივ.).

ენწინ - პირველად, თავდაპირველად: „ეიდა აჰმედ ალთუნმა **ენწინ** მისი ალია გაგზანა” (უ.).



ენჩული - (თ. ençegu) განსაკუთრებით, უფრო მეტად: „ზეინას მიძახიან **ენჩული**”(ბაზგ.).

ემ - (თ. ey) კიდევ, იხმარება ჩამოთვლის დროს: „ხავიწ მაადულებ, **ემ**, ჭად ჩასხამ”(ჩაქ.).

ემდა - ჰოდა, ხოდა.

ემკიდი - ნ. ჰადკიდი: „**ემკიდი**, ძალანჩი დუნია”(ბაზგ.).

ემლუგი - (თ. eylik) სიკეთე, სამაგიერო: „რამ **ემლუგი** ვუყოთ ამას?” (მაჩხ.).

ერ’ი - ერთ’ი: „[ასიემ] **ერ** წელწად მოიდა, რატონ არ მოხველო” (ხევწ.).

ერთი - 1. ზოგი (ერთნი): „ძველები მოსული არიან. **ერთი** ამბობენ ბათომიდან, **ერთი** ამბობენ მაჭიხლიდან”(ჩაქ.); 2. ერთი და იგივე: „ბირ მილიარი და ალთმიშ ბემის ადლული, ძუზ მილიონი **ერთია**?”(ბაზგ.).

ერთთანე/ერთანე - ერთი, ერთი ცალი: „ახლა **ერთთანე** ვერ მუუტანიან” (მან.).

ერთად ვზივართ - მეზობლად ვცხოვრობთ, ერთად ვცხოვრობთ: „ჰო, **ერთად ვზივართ**, ჰო, მივდივართ, მოვდივართ” (ბაზგ.).

ერთპირ - ერთხელ: „**ერთპირ** შემეყარა”(მაჩხ.).

ერთჰალ (?): ილოცე **ერთჰალ**, თუ გაქ გეჩმიში”(მან.).

ერიქლი - სოფელი შავშეთში.

ერმანი - სომეხი: აქა ადრე თურქებისა ყოფილა, ძანი **ერმანები**, სომეხები ყოფილან”(უ.).

ერმენიჯა - (თ. ermen სომეხი) სომხური: რუსჯა, **ერმენიჯა**, ემეში ქართველიჯა უურევიან, ჩვენიც თურქ გადარეველა და...”(ნიოლ.).

ერქექარი - (erkek(gi) მამაკაცი) მამალი ფუტკარი: „**ერქექარი** ცოტა დიდრუანი არიან, ის ჰაზირ მარტივ თაფლ ჭამს...”(ბაზგ.).

ესა - ეს: „**ესა**, აგარას იტყვიან, იქიდან გამეეთხუა”(ზ.).

ესახლება - ქორწინდება: „ის არ **ესახლება**, ფარა უნდა, კად გოგო უნდა“ (ჩიხ.).

ეს კაცი - აქ: ამ კაცმა: „მე ვაკითხებ, ეს კაცი იცის”.

ესკერი - ნ. ასკერი.

ესკი - (თ. eski) 1. ძველი: „**ესკი** ყალე” ძველი ციხე – ეძახიან წეფთის ციხეს, უსტამისის თურქული სახელიც იგივეა: „მე **ესკი** ყალედან ვარ”(უსტ.) 2. ძველად: „**ესკი** [ძველად] ფეხებით უტენავან კანდრაში ფშნილაა”(ბაზგ.)



ესკიდან - ძველად: „**ესკიდან** მარილი ბათუმიდან უწიკავს ძრუგით” (ბაზგ.); „**ესკიდან** აქ ნენეები ყოფილან იქვერი, დარჩენილან ადნი” (ბაზგ.).

ესკიდანზერი - ძველთაგანვე, ძველიდან მოყოლებული: „**ესკიდანზერი** ის თერეფი თურქჳა ყოფილა” (მაჩხ.).

ესკი ყალე - 1. ძველი ციხე, ეძახიან წეფთას ციხეს. 2. სოფელი შავშეთში.

ეტყვება - ეტყობა: „... თავის თავმა დააბერა ეს, **ეტყვება**, ვერ ხედავ?” (ბაზგ.).

ეფეი - (თ. epey) საკმარისი, საკმაო: „**ეფეი** გურჯია, გურჯი არიან” (ჩიხ.).

ექსი - ექვსი: „**ექსი** თორუნი მყავს” (უ.).

ეყოლვის - ეყოლება: „[ქალები ტბაში] ჩაყდებიან და უშვილოს შვილი **ეყოლვის**“ (უსტ.).

ეში - ტოლი: „არ შეჭამ ჰერამს, ხუთჯერ ილოცავ დღეში,/თან არ გახდები გონჯების **ეში**” (მან).

ეშია - (თ. eşya) ტვირთი: „ჩვენ **ეშია** ბევრი გვაქ” (ხევწ.).

ეშხია - (თ. eşkiya) ყაჩაღი: „ამასობაში მოსულან მეგერ სამი **ეშხია**” (ბაზგ.).

ეჩეთინება - ეძნელება: „[თქვენი ლაპარაკი] .. ცოტა გაგნებიხან **გვეჩეთინება**” (უ.).

ეჩოპიტრა - თოხი.

ეჩქარები - ჩქარობ: „**ნუ ეჩქარებით**, ოდიები მქონდეს, დაგაწვენთ” (შავშ.).

ეცურება - ცურავს: „[ბიჭი] ... **ეცურებოდა**, მარმარაში [მოძყლარჭა], იქ მცხოვრობდა (სვირ.).

ეწიკება - ეზიდება: „ქობლეთ ვიყავი, რაცხაეფ **ვეწიკებოდი**. რიზედან მანქანებ დუუდებდი, **ვეწიკებოდი**” (ჩაქ.).

ეხტიაჯი - (თ. ihtiyac) გაჭირვება: „აქავრობაზე **ეხტიაჯი** არიან” (მაჩხ.).

ეჯელი - (თ. ecel) უკანასკნელი საათი, სიკვდილი.

3

ვაგლახი - ვაის ძახილი, ვაება, გოდება (ქეგლ): „**ვაგლახი** კად არ არი” (ა).

ვაკეები - ადგილი ჯვარისხეფში.

ვაკე ტყე - ტყე მანატბაში.

ვაკსელი - მთა უბეს ზემოთ.



ვაიზი - (არ. vaiz) დარიგება, სწავლება, ქადაგება: „აგზე მაკითხეს გურჯი **ვაიზი** და წამედეს“(მან.); „**ვაიზ** გეიგონებენ, ზუკვ მარიდებენ, სიმღერის გამეერს, თავპირ დეიჩეხვენ“(მან.).

ვალა - (თ. vala) პირბადე, დედოფლის თავსაფარი: „დოდოფალ შეგვიკაზმენ, **ვალას** გადააბურვენ“(ზ.); „დოდოფალ დანით ახდიდენ **ვალას**“(ზ.).

ვალი - (თ. vali) გუბერნატორი.

ვალაჰ//ვალლა//ვალლაჰა - (თ. vallahi) ღმერთმანი: „**ვალაჰ**, ამათი სახელები არ ვიცი“(ნიოლ.).

ვარდიძე - უბანი ზენაგარაში.

ვარია - 1. სადღვებელი: „**ვარიაში** შევდლობავ“ (უსტ.). 2. ვარ: „აქ რომ აღარ ვარ, იქ **ვარია**, რაღდა ქნა?“ (ზაზგ.).

ვარიოზი - (თ. varyoz) დიდი ჩაქუჩი, ურო.

ვაჩანეთური - ადგილი მანატბაში.

ვახთი//ვახტი - (არ. vakit) დრო.

ვახიცუზი - (თ. vakitsiz უდროო, არადროული), აქ: ფეხმძიმე: „**ვახიცუზი** ქალიაო, იტყვიან ძიმეთ რომაა“(ზაზგ.).

ვახტანგი ვაკე - ადგილი ბაზგირეთს ზემოთ.

ველიქოჰ - სოფელი იმერხევში.

ვერ შეუძლია - აქ: არ შეუძლია: **ვერ შეუძლია**, დაბერდა (ხევწ.).

ვერხვანალი - სოფელი შავშეთში.

ვეყურები - ვყურებ: „აჭარაში ჩვენ თავზე ამოვდივართ და **ვეყურებით**, თირფნთ თიბვენ“ (მაჩხ.).

ვთიბ - ვთიბავ: „ყანას **ვთიბ**“ (სვირ.).

ვიზე - (თ. vize) ვიზა.

ვიქმოდე - შევძლებდე, გავაკეთებდე: „მე **ვიქმოდე**, მივცემ ფარას, მოვათიბიებ...“(ხევწ.).

ვოჰ - შორისდებული, გამოხატავს სინანულს: „ესკიდან არი მაილა, ახლა არა-და! **ვოჰ!**“ (უსტ.).

ვოჰნაა - შორისდებული, აღფრთოვანებას გამოხატავს: „**ვოჰნაა!** ბევრს დავარიგებთ, შვიდთანე და აათავო...“(ჩაქ.).

ვრა - რვა: „სოფელში ასლამდი მეც მუალ, შვიდი-**ვრა** ქილომეთრი არი“ (უსტ.).

ვრცხი - ვრცხავ: „სიმინდ **ვრცხი**, ჭადი'ნა გავაკეთო“ (ზაქ.).



ვეწე - ვეწნი: „წალან კი **ვეწეწა**, ახლა გადი, დეწნიგე“ (უსტ.); „არა, არ გეკპარე, დუგუწნი ვეწნეთ“ (უსტ.).

ვეკბწე - ვეკბეუ: „[წალდი] იმდენი **ვეკბწე**, ვერ ვიპუე“ (უსტ.).

ზ

ზა - თანდებული: „სიარულზე ამოსული ვართ, ტელეფონებიზა ამოვედით“ (ზაზგ.).

ზაზალევი - ქობის სახელი უბეში.

ზათა - ბზათა, სოფელი იმერხევეში: „ჩვენ **ბზათას** ვიტყვით, დაწერვიხან „ზათას“ დაწერვენ“ (ბზ.).

ზათი/ზათინ/ზათენ - (თ. zatin) 1. მაინც, ისედაც, უკვე: „ბევრი **ზათინ** არ ვიცი“; „**ზათი** ვერ იცოცხლებენ“ (ივ.). 2. უწინ: „**ზათინ** ბევრი გყავდა საქონელი“ (ხობ.); „აღარ მოდიან, **ზათი** მოდიოდენ, მიშველიდენ“ (მან).

ზამანი - (არ. zaman) დრო: „ჩვენ **ზამანში** დასალი იყო ლოცვა“ (ზაზგ.).

ზამთრივ ზამთარში: „ზეგანში ვართ ახლა, **ზამთრივ** – ბარში“ (უსტ.); ასე ახლა ყოლამა, თბილა-და, **ზამთრივ** ზორია“ (უსტ.).

ზანდული/ზანდუკი - სკივრი: „ერთი ხელი დათალი გაატანა, **ზანდული** - სკივრი, დანი, სკივრი“ (ჩაქ.).

ზარმელი - სადილის მომდევნო ჭამის პერიოდი (შ.ფუტკ.): „... დაგვიანდა, გშიათ. **ზარმელი** დრო მევიდა...“ (ზაქ.); „**ზარმელი** არი ახლა, ჰა!“ (უ.).

ზაქიეთი - სოფელი იმერხევეში.

ზაქიეთური - ზაქიეთელი: „**ზაქიეთური** ხანუმი გყავს“ (ნიოლ.); „ზაქიეთურია ბესიმაი“ (ზ.).

ზალლი - ძალლი: „პური გადავარდა და **ზალლი** გადაყვა“ (ხევწ.).

ზალლიპირამ - ძალლიპირამ, მიკროტოპონიმი მანატბაში.

ზალლის საფინავი - ადგილის სახელი ხევწულში: „იქ **ზალლის** საფინავია. პური გადავარდა, ზალლი გადაყვა, იმიტომ ქვია ასე“ (ხევწ.).

ზე - რძე.

ზებზები/ზემზემი - (თ. zemzem), მექაში, ქაბასთან არსებული ჭის წმინდა წყალი: „დამწველ, დამხრუკველ ამეყვანებენ, ჯენნეთის **ზებზებით** ტან დაბანებენ...“ (მან.).

ზეგანი - ადგილი უსტამისში.



ზედანედან - აქ: ზემოდან: „ბაზგირეთის **ზედანედან** მოდის გრილოს წყალი”(უსტ.).

ზედავრი - ჩაქველთას უბანი.

ზედან - ზედ, ზემოდან.

ზედვაკე - 1. ადგილი ზაქიეთში. 2. ადგილი მანატბაში.

ზედუბე - „უბის ზედედამ ადგილია **ზედუბე**”(უ.).

ზევზათი - ადგილი ჩიხისხევში.

ზეირი - (სპ. zehir(hri)) საწამლავი, შხამი, მწარე: „**ზეირი** ზუხუმი გუუხდეს”(მან.).

ზელქეთი//მელქედი *გრძელ ქედი - მიკროტოპონიმი ს. მანატბაში.

ზემოზანი - ადგილი დაბაში.

ზემუდამ - აქ: ზემოდამ: „დაბა და დევიეთი/**ზემუდამ** ზაქიეთი...”(დ.).

ზენაგარა - სოფელი იმერხევში.

ზენგილი//ზენგინი - (თ. zengin) მდიდარი: „ჰამა ი **ზენგილი** იყო, მე არ ვარ **ზენგილი**, რა მიმეცა”(ჩაქ.).

ზენჯირი - (თ. zincir) ჯაჭვი: „ჩვენი **ზენჯირი** ბარშია”(უსტ.).

ზერა - ძერა: „გაღმა სერში ქათმები/მიმოდევან **ზერები**...”.

ზექათი - (თ. zacet) „გადასახადი, მოწყალეების გაღება. მუსლიმანი ვალდებულია ყოველწლიურად თავისი ოჯახის შემოსავლის ერთი მეორმოდედი გასცეს მოწყალეებად ქვრივ-ობლებსა და ღარიბებზე... ზექათი ნაწილდება რამაზნის [მარხვის] ბოლო დღეებში”(შ. ფუტკ.).

ზვალი - ძვალი: „მატავრო, **ზვალში** ხარ, ბილში გამოა”(ზზ.).

ზვარეთი - სოფელი შავშეთში.

ზველი - ძველი: „ჩვენი **ზველია**“(ბაზგ.); „**ზველი** ჯამე ეს არი”(ბაზგ.); „**ზველი** სოფელი ღელეში ყოფილა“(ხევწ.).

ზველებურა - აქ: ძველად: „**ზველებურა** კარებ ჩავაბემდით“(მან.).

ზიარეთი - (არ. zialet) წმინდა ადგილი, სალოცავი: „**ზიარეთი** არის იქ, „კარეთ” ვებნევიტ”(უ.).

ზიბილი - (არ. zibil) ჭუჭყი, სიბინძურე: „ეზარებიან ლოცვა და სუფთობა/**ზიბილია** თავამდე მათი ურუბა”(მან.).

ზიგარა//მიგარა - სიგარეტი: „ორ **ზიგარას** წუუკიდე”.

ზივი //ძივი - მძივი: „მერჯიმგის შორვას გავაკეთებთ, კაკლებია წვრილი, **ზივებსავენ**”(ბაზგ.).



ზიზილა - რძე ბავშვის ენაზე, მოფერებით: „დედო, დედო, ჩამოყარე, /ზიზილა მოვწველოთ, დედო!“

ზირზირათი - ადგილი ახალდაბაში.

ზისანდარმა - ცეკვა ერთგვარი: „ვისამებთ, **ზისანდარმა** დუუკარ“ (უსტ.).

ზიოსური - ზიოსელი ქალი: „გელინი **ზიოსურია**“ (ბაზგ.).

ზმა - ძმა: „სხვებიც **ზმა** არი, ძიად არი“ (მან.).

ზნელი - 1. ძნელი. 2. ადგილი მანატბაში.

ზო - ადგილი დაბაში.

ზოვლი - (თ. zovli) ძალიან, კარგად: „ალთმიშ დედი **ზოვლი** ვარ“ (ზენ.).

ზომდენვე (?): „**ზომდენვე** იმ დუნიას დეეხვევა დიდი კვამლი“ (მან.).

ზორი - (თ. zor) ძნელი: „ახლა ყოლადა, თბილა-და, ზამთრივ **ზორია**“ (უსტ.).

ზორბები - უბანი უბეში.

ზორით - (სპ. zorla) ძალად: „ძველათ **ზორით** მიცემა იყო, ახლა არალი“ (ხობ.).

ზურგი - ზურგი: „ამა **ზურგ** ეტყვიან“ (ბაზგ.).

ზრუგმა დაგვაბერა - გად. ზურგით ტვირტის ზიდვამ დაგვაბერა (ხევწ.).

ზუბიეთი - ადგილი ჩიხისხევში.

ზუბოლლები - ქობის სახელი ჩიხისხევში (ყირიმიდან მოსულანო - ინფ.).

ზუბუნთი - ადგილი ჩიხისხევში.

ზულვართი - ადგილი ჯვარისხევში.

ზუნკალი||წუნკალი - ლანძღ. მურტალი. გად. გათახსირებული, ზნედაცემული (შ. ნიჟ. ნ. გურგ.): „დილას ავდექ შინ არ იყო, /მე რა ვიცი ი **ზუნკალი**...“ (შავშ.).

ზუხუმი - (არ. zikkim) საწამლავი. იყენებენ სალანძღავად, წყევლის ფორმულებში.

ზღვა - აქ: საზღვარი: „გადასლა-გადმოსლაზე **ზღვა** დუუდვიან...“ (მან.).

ზღვე - საქონლის სადგომის იატაკი (საბა).

თ

თა - მთა: „ჩვენ **თა** ადგილზე ვართ, გვიან მოდის“ (ზ.).



თაამენი - (თ. tahminen) ვარაუდი, აზრი: „რამდენის ვიქნები შენ თაამენში?“.

თაბუთი - (თ. tabut) კუბო: „ახლა ემეში ჩადებულა, **თაბუთში**“(ნიოლ.).

თავანი - (თ. tavan) ჭერი: „[ავადმყოფი] გააქცევს თვალებს მაშინ **თავანზე**“(მან.).

თავი - დასაწყისი: „ემედ რავად იყო? **თავი** არ მაგონდება“.

თავბრული - ადგილი ჯვარისხევში.

თავდიდი - უფროსი, ხელმძღვანელი, მეთაური: „გურჯების **თავდიდი** თამარა ყოფილა“(ნიოლ.); „აქათ **თავდიდია** ესა, ჯუმურ ბაშქანი“(ნიოლ.).

თავეთ - თავად, თვითონ: „დედამთილები არ უყვარან, ამა **თავეთაც**’ნა გახდენ დედამთილი, ხებერი არ აქვან“(ხევწ.); „ამა ორი ძმა ყავს, **თავეთ** იქ არიან (ზ.).“

თავეთვინ - თავისთვის: „სამი ძმა მყავს, ერთი ართვინ არი, **თავეთვინ**“(ბაზგ.); „დღე ვარ, ხვალ არ ვარ, თავეთვინ კარგი იყვენ-და...“(ხევწ.).

თავითალად - თავად, თვითონ: „[მაქინა] ...ჯეირანისაც გამოსულა, **თავითალად** ატრიალებსო...“(ბაზგ.).

თავი იპუა - დაკაცდა, დავაჟკაცდა: „**თავი იპუა**“ ვიტყვით, ახალგაზდა ქი დაკაცდება“(ა.).

თავის ნათქვამურად - თავისი ნათქვამი: „თურქს უნდა **თავის ნათქვამურად** საქმე ქნას“(ბაზგ.).

თავის ქერქი - აქ: თავის ქალა: „**თავის ქერქები**, ხაპერის ქერქები ყრია პაწად“(ბაზგ.).

თავის ქერქშია - თავისთვისაა: „**თავის ქერქშია**, ბევრი არ’ნა გააწუხო“(ბაზგ.).

თაზედან - მთიდან: „არ ჩამოდდენ **თაზედან**“(ა.).

თათავრი - ადგილი ჯვარისხევში.

თათარზენა - ციყვი: „**თათარზენამ** იქნებოდა, გადახტება ხიდან-ხეზე. კაკალ რომ ჭამს, აქა **თათარზენას** ეტყვიან“(დას.).

თათარზანა - კუჭის აშლა: „**თათარზანა** ჩუუვარდებოდა რაცხა იმასა, ჭიბ მუუბრუნებდენ“(წეთ.).

თათუნთი - ადგილი შოლტისხევში.

თალაში - (თ. talaş) აქ: გარჯა, შრომა, მოუსვენრობა (იხ. შ. ნიჟ.): „... დადგებით მაშინ მემერის კარში,/მაშინ გექნება ბევრი **თალაში**...“(მან.).



თალებე - (თ. talebe) მოსწავლე, სტუდენტი: „ზექათი, სედეყე მიეცი ფუხარას ყველას,/დაურიგე ლამაზათ **თალებეს** და მოლლას...”(მან.).

თალიბი - (არ. talep(bi)) მოთხოვნა: „რუს კონსოლუსმა **თალიბები** გუუკეთა, ქაღალდები” (უ.) (შდრ. შ. ფუტკ.).

თამამ - (არ. tamam) 1. მთლიანი, სრული, ზუსტად, ნამდვილად: „აზერბაიჯანი, ბაქო, **თამამ** ოსმანლისა იყო”(უ.) (შდრ. შ. ფუტკ.); 2. კმარა: „**თამამ**, ედვსო, დააყრუე”(ბაზგ.).

თამარა - თამარ მეფე, თამარ დედოფალი: „ამ ქილისაში **თამარა** მოსულა, უკანა ხანები აქ უცოცხლია”(ზენ.).

თამარას სასვენი - „**თამარას სასვენი**ზე ქვა იყო, მეც დევნახე”(ბაზგ.).

თანე - (სპ. tane) ცალი: „თორმეტი **თანე** სოფელი ა ისე დარჩენილა”(დ.).

თანთოშვილი - გვარი ბაზგირეთში.

თანთოღლი - ქობის სახელი უბეში. იხ. კოლეტენთი.

თანში - (თ. taniş) ნაცნობი: „... ვუთხარ ქი ჩვენებურსა: ესენი, დედი, ჩემი **თანში** არიან, არ გააწუხო ესენი-მეთქი”(ზაქ.).

თახსი//თაქსი - ტაქსი.

თახტა//თახთა - (თ. tahta) ხე, ძელი, ფიცარი: „ხეს მოჭრიდენ, გაახვეი-ებდენ **თახტას**”(ჩიხ.) ნ. **ტახტა**.

თახუმი - (თ. takim) ჯიში, გვარი, ნათესაობა: „სახლის **თახუმი** ერთათ მიეყრებიან...(მან.) შდრ. შ. ფუტკ.

თეთრიენთი - ქობის სახელი ბაზგირეთში.

თეთრკვლდე - ადგილი ციხისძირში.

თეთროზეთი - უბანი ზენაგარაში.

თეიზე//თეიზე - დეიდა: „...დედამთილი ალთმიშბეშია, **თეიზე**, ხალას უძახიან გურჯიჯა” (ბაზგ.); „**თეიზე** ახლა ანაღს დას ებნევიან”(ხევწ.).

თელაში - (არ. telaş) მოუსვენრობა, მღელვარება, შიში: „მადლი ნასაქმი მუა ჩუენ კელში, ... მაშინ გუექნება ბევრი **თელაში**...”(მან.).

თელი - ყველა, ყველაფერი: „**თელმა** არ იციან”(უსტ.); „იქამდე **თელი** ოსმანლისა იყო”(უსტ.).

თელახარჩი - ბალახია ერთგვარი, დიყი (მაყ.): „**თელახარჩი** ემეს ამეიბამს, იმას გაფვცქვინით, შევკამთ”(ნიოლ.).

თელგან ყველგან: „[ფუტკარი] **თელგან** წავა ჩიჩეგისთინ, **თელგან** წავა”(ბაზგ.).

თელეფონ გუუხსნიდი - დავურეკავდი.



თელობა - თელი, მავთული: „რაცხა რომ ახალია, მოღობილია, თელობით შემოღობეს“ (ბაზგ.).

თელსიზი - (თ. telsizi) რადიო, აქ: რაცია: „დიდ ვინცხას ელაპარაკა თელსიზით“ (ჩაქ.).

თემენა - (თ. temmena) მისალმება ხელის შუბლთან მიტანით, თაყვანისცემა(?): „თემენას აკეთებენ“ (უსტ.).

თგლათ - მთლად: „გურჯისტანი თგლათ ოსმანლისა იყო, ჰო!“ (უ.).

თერბიელი - (თ. terbiyli) აღზრდილი, ნასწავლი: „თერბიელი მუა, წავა“.

თერეზი - სასწორი: „თერეზმა დაწონა“ (ბაზგ.) გადატ. აჯობა.

თერეფი - (არ. taraf) მხარე: „მემრე ის თერეფი გამეღწურვის, გადაატრი-
ალეფ...“ (ბაზგ.).

თერჯიმანი - (თ. tercüman) თარჯიმანი: „თერჯიმნად მარტომ წამოგყ-
ვები“ (უსტ.).

თეფე - (თ. tefe) ბორცვი, გორაკი: „ახვალ ზედან თეფეზე“ (უსტ.).

თეფერა - ხისგან გამოთლილი დაფა, რომელზეც აბრტყელებენ ცომს: „თეფერაზე გააბრტყელებ“ (უ.).

თექ - ოღონდ: „საჭმელის გაკეთება არ შემეზარება, თექ იყოს“ (მაჩხ.).

თექი - (თ. tek) ერთი, მარტო, ცალი: „თექათ იყო, თექათ? კამ ტყავი
ექნებოდა იმა...“ (ჩაქვ.).

თექელლემე - (თ. tekerleme) ქარაგმული ნათქვამი, კალამბური: „თექელ-
ლემე იცით?“ (სვ.).

თექრენ//თექრარ - (თ. tekrar): კიდევ, კვლავ, ხელახლა: „... ღარჭი
მყავდაო და თექრენ წუუყვანიან უკან...“ (მაჩხ); „ეიდა მემრე თექრენ გავაკეთებ
იმა“ (ბაზგ.).

თეშთი//თეშტი - თასი: „ჩეღწურვის თეშთში“ (ხევწ.).

თვალი - ნახვრეტი: „ქვეშედან შუუდგამთ რაცხას, ბიდონიდან, თვალი
აქ, გამოდინდება იქში“ (ბაზგ.).

თვალის გამოდგმა - თვალის დადგმა: „ამ ემოს ღარჭებმა ემოს ბაჯალაზე
თვალი გამოდგა“ (წეთ)..

თვალის დაჭირვა - მოწონება: „ამას თვალი დუუჭირა“ (სვირ.).

თვალნაჭირი - თვალდადგმული, მოწონებული: „იმანაც თვალნაჭირი
დედნახა“ (სვირ.).

თველი - რთველი.



თვინ(<თვის) - თანდებული: „იყვენ თავისთვინ ისინი, აზა არ იყვენ?“ (უ.).

თია - თიაქარი: „ზედვაკიდან ეკვიდე სიმინდი, წამუელ და გამუელ, დავჯექ, თია გამომივდა“(სვირ.).

თიები - (<თეები<თაები) - მთები: „თიებში არ ახველით?“ (უ.).

თივრიფხალა - ბოტ. იგივეა, რაც კატარაა (ბაზგ.).

თილა?: „(ჰეზრეთი ფადიმე) **თილას** ურუბით იმ დუნდას წევდა“(მან.).

თირფანი - (თ. tirfan) ცელი: „თირფანი სადაც არ მუუდგება, მანგლით ვკოლავთ“(ა.).

თისარტყველა - ცისარტყელა: „... **თისარტყელას** ვეტყვით... რენგ-რენგ დაჰა დეეყუდება ასე, აქიდან ე იქ გადავა“(ჩაქ.).

თოკი - საბელი: „წავლფე **თოკზე**, გაარწობ“(ბაზგ.).

თომათესი//ტომათესი - (თ. domates) პომიდორი.

თორი (თ. tor) სარტყელი, ბადურად ნაქსოვი სარტყელი (შ. ნიჟ.), თევზსაჭერი ბადე: „ლელეებში დეფირავ საჩმაით, **თორით**“(ხოხ.).

თორომი//თორუმი - (თ. tureme) შთამომავლობა, მოდგმა: „ძველებიო, თამარა დოდოფლის **თორომებისააო**“(უსტ.).

თორუნი - (თ. torun) 1. შვილიშვილი: „თორუნები მყავს, ბიჭი გამბულდა, **თორუნები** მიყვარან“(ზ.);

თოფალი - (თ. tofal) კოჭლი: „საჩუქვარი რად ჰყავანო, სიძე **თოფალი** ჰყავანო“(ბაზგ.).

თოფრახი - (თ. toprak (gi)) მიწა: „[კეცებს] თიხისას ავაშენებდით, **თოფრახ** მოვთხრიდით, იმისას ავაშენებდით“(ჩაქ.).

თოფუზი - (თ. tofuz) კვერთხი, გურუზი: „თუ არ გაქ იმანი, ჩეხვალ მეზარში, დაგარტყმენ **თოფუზს**, წახვალ გეზაჰში...“(მან.); „ეზრაელი მოვა იმ ავატყოფზე, დაარტყამს **თოფუზს** გულის კაკალზე...“(მან.).

თოხუმი - (თ. tohum) თესლი: „ზეთ ის იქნება, **თოხუმი**, ზეიდან დასათესი“(ჩაქ.).

თუ - კითხვითი ნაწილაკი: „რა იჯებოდა, შეხველ-თუ?“ (ხეფწ.).

თუთაყურსი - თუთის სახეობა: „**თუთაყურსი** თეთრი თუთა რომ გაწითლდება, ისაა“(დავ.).

თუთბარი - ერთ-ერთი ცეკვა, ქურთბარი: „თელლი ისამებენ, ხორუმ ისამებენ, **თუთბარ** ისამებენ“(ბაზგ.).

თუთი - ქალის სახელი ბაზგირეთში: „თუთი, მოდი აგზე, გო!“ (ბაზგ.).

თუთუნები - ადგილი მანატბაში.

თულლი - (თ. türlü) ჯიში, სახე, განსხვავებული, ნაირი, მრავალგვარი: „შეიკვრავს თურმე თულლი ურუბას...”(მან.).

თურმანები//თურმანეთი, თურმანიძე//თურმანიზე - სოფელი, ახლა ჩაქველთას მაჰალე.

თურქა - (თ. türkce) თურქული: „ჩვენ ლაპარაკში თურქა შერევლია, ქართველ შინა თურქა შერევლია”(ბაზგ.).

თურქაზე გადაბრუნდნენ - გათურქდნენ.

თუქშები - ზიოსის უბანი: „ჩვენ სოფელ თუქშები ქვია. ზიოსიდან ქი ჩამეიარეთ, ... იქვე მაჰალეა (ხევწ.).

თუშები - ქობის სახელი უკანეთის მაჰალეში.

თხილებ უკანაჲ - ადგილი მანატბაში.

თხული - მთხოველი, მათხოვარი: „არ დაგავიწყდეს ღმერთის შვილია,/ყველა თხული და გაჭირვებული”(მან.).

ო

ო' - ნაცვალსახელი ის: **ო ბექმეზია** (ბაზგ.).

იბრელი//იბრილი - (არ. ibrik) სპილენძის ვიწროყელიანი თუნგი: „[ჯენნეთში] ... ალთუნი და შუშე არის **იბრილი**...”(მან.).

იგზე - იქ: „ბაჯლის შვილიც ყავდა **იგზე**...”(ბაზგ.); „ძირ დავდებ იგზე, იქიდან ჩამოვტანთ...”(ბაზგ.).

იგზედან - იქედან: „არა, ქომო მაჰალედან [ვარ], ჰამან მოხვალ თუ არა **იგზედან**“ (ხევწ.).

იგირმიმილიარდი//იქირმიმილიარდი - ორ ოცი მილიარდი: „... მოკლავ ფარა'და გედეხადო, **იგირმიმილიარდი**”(მაჩხ.).

იდარე - (თ. idare) მმართველობა, ხელისუფლება: „იქა **იდარე** თურქებისა ყოფილა”(უ.); „ქართველებს უქუმეთი არ ქონიან... თურქის **იდარეთი** იყო”(უ.).

ივე[ნ]თი - ქობის სახელი ივეთში: „ჩვენ მისირლი არ ვართ, **ივე[ნ]თი** ვართ”(ივ.).

ილლა//ილლე - (თ. illa, illaki) აუცილებლად: „**ილლაქი** არი ოქრო”(ივ.); „თუ არა და, **ილლა** გოუშვებდით” (ჩაქ.).

იზეთოლლი - ქობის სახელი უბეში.



იზნი (თ. izin) ნებართვა, შვებულება, განთავისუფლება: „[ქალები] ქმარის უიზნოთ სოფლებში დადიან...”(მან.); „... თხუთმეტი დღე **იზინი** აქ რაცხა...” (ბაზგ.).

ილაჯი - (არ. ilac) წამალი: „იმგუარ დერდში ჩამაგდე/ვერა ვნახე **ილაჯი**”; „**ილაჯია**, ავთ გახდები, სვამ და გაგამთელებს” (მან.).

იმაზე - აქ: იმიტომ: „აქავრულა არ იცით და იმაზე...”

იმა და გორე - იმის მიხედვით, შესაბამისად: „მერე დოდოფალიც საჩუქარ აძლევს, ვინ რამდენი მისცა, **იმა და გორე**” (შავშ.).

იმათან - იმასთან: „[დედეს] ... ერთი ბიჭი ყავს და **იმათან** დადის” (ჩაქ.).

იმგვარეთე - იმგვარად: „რაგვარ უსაქმიან, **იმგვარეთე** ვილაპარიკებ” (მაჩხ.).

იმდენეთი - აქ: ტოლი: „ამ ღარჭის **იმდენეთი** ვიყავ, ბევრიც არ მახსოვს” (ხევწ.).

იმერტვევი//იმერხევი - მექართულე ხეობა შავშეთში: „აქ არიან ქართველები **იმერტვევი**, შავშეთში არ არიან”(ბაზგ.).

იმითანი - (თ. imtahan) გამოცა: „იმის უკან **იმითანი** გავხდი”(უ.).

იმის უკან - იმის შემდეგ.

იმნიეთი - ადგილი ივეთში: „**იმნიეთ** არი თამარას ციხე”(ივ.).

იმნიეთ ციხე - ციხე იფხრეულთან.

იმსოი - ისეთი, ისე, იმგვარად. ნ. **სოი**: „იმან **იმსოი** ლამაზათ ილაპარიკა”(შავშ.); „**იმსოი** არც ხორცი იქნება, არაფერი არ იქნება”(ბაზგ.).

იმფოსერთი - განსაკუთრებით: „ბევრი ხილი გვაქ, **იმფოსერთი** სხალი, ვაშლი იჯება კარქა”(მაჩხ.).

ინადი - (თ. inat(di)) ჯიუტობა.

ინაწმინდა - ქედი მაჭახლის ზემოთ.

ინახავს - აქ ხედავს (||დაინახავს): „ის ყალე ორ მხარეს **ინახავს**” (სვირ.).

ინდი - ინდაური.

ინსანი - (თ. insan) ადამიანი.

ინსნიჭამია - დიობნელების მეტსახელი.

ინსნობა - (არ. insan) ადამიანობა: „ხორცი არ იჭმება, ქონიც არ იჭმება, **ინსნობა** კადა” (მან.).

იოღვიენთი - ქობის სახელი უბეში.

იპოვს - ნახავს: „თავდაღმა ჩუყუყევით, იქ უმფო **იპოვთ**” (ზ.); „ვერ **იპოვ** ამას”(ზ.).



იპუა - იპოვა: „[ფუტკარმა] ახლო **იპუა** ჩიჩეგი, შორ არ წავა“ (ბაზგ.); „იქეთ კლიტეები, აქეთ კლიტეები, ვერ **იპუა** ვერსად“ (ხევწ.).

ირზი - (არ. irza) რწმენა, მრწამსი: „**ირზი**, ნამუსი თუ გაქ დუნდაზე/ჯენნეთში შეხვალ, ეხვალ კოშკებზე...“ (მან.).

ირკახიეთი - ადგილი კოკბერეთში.

ირმადი - ხევი, ქარაფი?: „ჯენნეთში არის ზეების **ირმადი**,/ერთ სუჯზე მოდის თაფლი და მაღი“ (მან.).

ირმი დოხუზ - ოცდაცხრა: „... კაცი არ მედწონა, **ირმიდოხუზია**...“ (მაჩხ.).

ირლა//ირლათი - ნადი, იხ. დაშველება: „**ირლას** ვეტყვით, მეყვრებით, რაცხაზე’ნა ვიმუშავოთ, დუუმახებთ მეზობლებ... დეგეშველებიან“ (უსტ.); „ღამით, გძელი ღამეები იქნებოდა, **ირლათ** ვიზამდით“ (მან.).

ისაც - აქ: იმანაც: „ის ჩემი და არი, **ისაც** იცის, ბევრი – არა“ (უსტ.).

ისინი - აქ: იმათ: „ღარჭებმა იციან, ჰო, **ისინი** იციან“ (უსტ.).

ისმეთოღლი - ქოხის სახელი უბეში.

ისტა//ისტემექ - გინდა, გსურს: „[კარტოფილს] გათლი, **ისტა** მაღში მოხარშე, **ისტა** ცეცხლში ჩადევ“ (ხოხ.).

ისტარ//ისტარსა - (თ. ister) გინდ, თუნდ, თუ გინდა.

იფხრეელი - სოფელი იმერხევში.

იქევრი - იქაური: „**იქევრი** შარაბები მიეტანეს...“ (ზაქ.).

იქევრულა//იქევრულაჲ - იქაური: „... **იქევრულა** არ იცით და იმაზე, აქ მაადულებენ, მეც ვიცი...“ (ბაზგ.).

იქეთ - შემდეგ: „ჩვენი ფესტივალი ოთხი დღე **იქეთ** იქნება“ (ბაზგ.).

იქვენა - იქვე: „**იქვენა** არიან“ (სვ.); „სამი თანე **იქვენა** არიან (ზ.).

იქიენთი - ქოხის სახელი უბეში. იხ. ლაზოღლი.

იქინდი - (თ. ikinidi) სადამოს ლოცვა, ნამაზი შუადღის შემდეგ: „ხოჯა კითხულობს **იქინდი** ნამაზი“ (დ.).

იქს, არ იქს - არ ივარგებს, არ შეიძლება: „თელი ხე არ **იქს**“ (ჩიხ.).

იყბალი - (თ. ikbal) იღბალი, ბედი: „[გოგო] წყევანეს, გემითხუეს, ფისი **იყბალი** მაქ“ (უსტ.).

იყვე - იყო: „არ’ნა **იყვე**, ჰამა ... ბირქერე რომ იქნება, რას იქ, აბა?!“ (ბაზგ.).

იყიდავს - იყიდის: „აქაც ვერ **იყიდავ** მაგა“ (მან.).

იშიილი - (თ. işik) სინათლე, შუქი: „ბნელებთია, **იშიილი**’ნა წედლოთ“ (ჩაქ.).

იშლამა - (თ. işlemek) დამუშავება, გაფორმება: „ბალიშები ხქონდა, **იშლამა**, **იშლამა** თელი ქონდა“ (ხოხ.).



იშმარის მიცემა - (თ. işmar) ნიშნის მიცემა, მინიშნება: „**იშმარი მისცაო**” ისე ვიტყვით. თვალეზს ქი დოუხუჭავ, ემეს იქ, „**იშმარი მისცაო**” (ჩაქ.).

იშტა//იშტე - (თ. işte) აი, ასე, სწორედ ასე: „თუ უნდანან, იგზე დაკვლენ **იშტა**” (ჩაქ.).

იშჩიარი - (თ. işci) მუშა: „**იშჩიარი** არი, ერქექარი არი, ანაიჯი არი, არი და, არი იშტე” (ბაზგ.).

იხლამური - (თ. ihlamur) ცაცხვი.

იხტიბარი - გამოცდილება, მოხერხება. საუბ. საქციელი წაუხდება, შერცხვება (ქეგლ): „სტალინსა **იხტიბარი** ქი უქნია, ახლა ყოლა ადგილიდან თითო კაცი უთხოვნია”(უ.).

იჯება - აკეთებს: „... რაცხა რომ ძველათ დუუსწავლიან, იმათებ **იჯებთან**“ (ბაზგ.).

კ

კავლა (თ. kavga) დავა, ჩხუბი: „**კავლა** ქი იქნა”(მაჩხ.).

კათოლიკის შვილო - წყევლაა, გად. ურჯულოს შვილო.

კაკალი - მარცვალი: „**კაკლებია** წვრილი, ზივებსავენ”(ბაზგ.).

კაკლები - ადგილი ჯვარისხევში.

კალაჲ - კალია: „**კალაჲ** ქი უხტება, ის არი”(უსტ.).

კალი - საქონლის დასაბმელი ხისა. ნ. **კაპი**: „ძროხას ძველათ **კალით** დავაბემდით, შემის **კალი** გაკეთდებოდა, ხიდან გაკეთდებოდა ასე...”(ნიოლ.).

კალო - ადგილი, სადაც ხორბალს ლეწავდნენ: „**კალო** აგზე იყო, აქ გავლენწევდით”(მაჩხ.).

კალო - ადგილი ზენაგარაში.

კამიონი - (თ. kamyon) სატვირთო მანქანა.

კანალი - (თ. kanal) სატელევიზიო არხი: „იმა ფენა უყვარს ის **კანალი**; ჩვენ ვსეირობთ იმ **კანალზე**”.

კანკამი - კამკამი: „არ გაწვიმდება, **კანკამებს**”(ხევწ.).

კანდრა - ხის ჭურჭელი, კაპიწი(?): „ესკი ფეხებით უტენავან **კანდრაში** ფშნილაჲ...”(ბაზგ.).

კანსერი - (თ. kanser) სიმსივნე, კიბო: „**კანსერი** იყო და გეცოდინებთან, არ ემე იქნა იშტე”(ბაზგ.).

კაჲ - კარგად: „აჰმედაჲ **კაჲ** არ იყო, გემისკდა გული. ახლა **კაჲა**”(ზ.).

კაპანი - აღმართი: „**კაპანი** ამეძარეთ?”(ივ.).



კაპი - საქონლის დასაბმელი ხისა ნ. **კალი** (შდრ. შ. ნიჟ. აჭ. კალი).

კაპილამ - ხის ჭურჭელი, ხმარობენ წყლის, დოს... ამოსაღებად: „კაპილამ ... წყალ ამოიღებ, დოს ამოიღებ... შემიდან აკეთებენ **კაპილას**” (ჩაქ.).

კაპიწი - „ხის კასრი ოვალური ფორმისა” (შ. ნიჟ.), ჭურჭელი რძის პროდუქტისათვის: „[მაჭახლეღმა] ნახა, დადი აღარაა, კაპიწი ცარიელია” (ბაზგ.).

კარა-კურამ//ყარა-ყურამ, მაჯლაჯუნა: „იტყვიან, **კარა-ყურამ** მოვდაო და დამაწვაო გულზე” (წეთ.).

კარავათი//კარავეთი - სოფელი იმერხევში, თურმანეთის გვერდით, მექართულე სოფელია.

კარგი ვარ, კამ ვარ - კარგად ვარ.

კარდალა - სპილენძის ჭურჭელი: „**კარდალა** დამვიწყდა, ფახრიდამ გაკეთებულია კარდალა” (მაჩხ.).

კარეთი - ადგილი ზაქიეთს იქით, სადაც ზიარეთია: „ზიარეთი არის იქ, **კარეთ** ვებნევით...” (უ.).

კარზე - ეზოში: „**კარზე** ქი ავავსობთ, ყოლადა” (უსტ.).

კარი გამოგეძრას - წყევლაა, ოჯახი ამოგიწყდესო (იფხ.).

კარში - ეზოში, გარეთ. ნ. გარში: „**კარში** წასულია თლათ მილეთი” (უ.); „სახში რომ არ იქნები, **კარში** დადევ ლაჩაგი” (ზ.); „...იმ სკივრ მოგვცემენ, გამეცტანთ **კარში**...” (ზ.); „**კარები** და დავგავო-მეთქი” (შავშ.). შდრ. აჭარული: „ოჯახი-და სამი კაცის, დანარჩენმა **კარში** გადით“.

კარჩხალი - სოფელი კარჩხალას ხეობაში.

კარწინათი - ადგილი ზენაგარაში.

კას//კამს - კარგს: „[მაწონს] ჰო, **კას** ვაყენებთ“ (ზენ.).

კატარი - წიწვოვანი მცენარე: „ეს ნამპია, ეს **კატარი**” (უ).

კატარამ - ბალახია ერთგვარი: „ამას წამლადაც ხმარობენ... **კატარამ** ბალახია“ (ბაზგ.).

კასეტი - კასეტა: „**კასეტში** გედემდეფს” (ბაზგ.).

კაშული//ყაშული - (თ. kaşık) კოვზი: „**კაშული**” თურქხაა, „კოვზი” (ჩაქ.).

კაცი - ქმარი: „იქ ჩემ დათან ახვალთ, მისი **კაცი** თქვენსამი გადმოსულია” (უ.); „**კაცი** არ მყავს, ნენე. ონ სექიზ სენე აღარ არის-და, თვრამეტი წელიწადია” (ბაზგ.).

კაცათი - ადგილი ახალდაბაში.



კე - კენ: „თქვენც აქეთვე იყავით“(უ.); „ექსი თანე სოფელი აქეთვე დარჩენილა“(უ.).

კვლდიზირი - ადგილი ახალდაბაში.

კეცის აყულება - კეცის გასახურებლად ჩადგმა ბუხარში გაჩაღებულ ცეცხლზე ცომის დაკვრის წინ.

კეხი - ცხვირსა და შუბლს შორის ჩაღრმავებული ადგილი: „ეს ცხვირი, ჩავარდნილ ალაგ **კეხ** ვეტყვით“(ჩაქ.).

კვლდე - კლდე: „**კვლდეები** დაყაფანებულა“(უ.).

კვამლი - კომლი: „[სოფელში] სამი-ოთხი-ხუთი **კვამლი** რჩება...“(დ.).

კვდარი - მკვდარი: „ერთ საცხა მეზერ დეინახევდენ **კვდრისას**, ზიარეთიაო...“(ჩაქ.).

კვეთა - შელოცვის ზემოქმედება, რგება: „მე რომ გაწავლო შენო, მე რომ ვულოცო სხვებს, აღარ **კვეთავსო**, სოღრა [=შემდეგ] გასწავლიო“(ბაზგ.).

კვერცხი არ გადაბრუნდება - გად. სწორი [კარგი] გზაა: „აქიდან წახვიდე გამიშეთში, დუზი გზაა, **კვერცხი არ გადაბრუნდება**“(ბაზგ.).

კვესაური - სოფ. შავშეთში.

კვეტავს - კვეთავს, ჭრის: „ე რო გაწავლო შენო, მე რო ულოცო სხვასო, აღარ **კვეტავსო**...“(ბაზგ.).

კვირიკეთი - ადგილი შოლტისხევში.

კითხვა 1. სწავლება: „მე ამათ **ვაკითხებ**“(ბაზგ.); „ბაღნებ **აკითხებდა**... ჩემ ბაღნებ მე **ვაკითხებ**“ (მან.); 2. სწავლა: „მე აქ **ვიკითხე**, ლიცე გავათავე“(კოკ.); „იქ ოქულიც **იკითხა**“ (ბაზგ.); 3. შელოცვა: „ის არც დობტურმა, არც **კითხავმა** ვერ გააკეთა“(სვირ.); „რა ჭირს, **უკითხოთ**, ჰო“; 4. ქადაგება: „მოლა **კითხულობს**“; „გურჯიჯა ვაიზია, იმა **კითხულობს**“(მან.).

კიკვიები - ქოხის სახელი ჩიხისხევში: „ლაღაბია, დაბალი კაცები არიან და ისე ეტყვიან“(ჩიხ.).


კიკნამე - გვარი ხევწვრილში.

კინათი - ადგილი მანატბაში: „თურქი სახელი რააა, ის არ ვიცით“(მან.). შდრ. კირნათი.

კინაკეტი - ძალაყინი, ლომი: „რას გავლუნავ, ესა დემირია, **კინაკეტი**“(უსტ.).

კინდლობა - ჩხუბი: „აბაზებთან **ეკინდლებოდით**, დაბარიშდით?“ (მან.).

კინი ჯუარი - ადგილი დაბაწვრილში.



კიწი - კისერი: „დედამთილი გიყვირებს,/ჰამან **კიწი** მუღურბე”(უსტ.); „**კიწი** ამოგივარდა“ (ხევწ.). შდრ. საბა - კინწი.

კლდეჭრელი - ადგილი დაბაწვრილში.

კლდითავი - ტყე უკანეთის მაჰალეში.

კლევს - კლავს: „ჩამეარდენ, კაცებ **კლევდენ**“ (ივ.).

კო - რკო, მუხა: „ცხემლა არი, უხრავი არი, **კოც** არი”(უ.).

კოდი - ხის ტყავისაგან დამზადებული ჭურჭელი, იყენებენ სარწყავად: „ხის ტყავიდან რომ გააკეთებენ, **კოდს** ეტყვიან. აჰწონავ ერთ ემესა, ათი, თერთმეტი რომაა, იმისი სათავოა, სარწყავი”(ჩაქ.).

კოვიძე - გვარი ხევწვრილში.

კოვიძეები - ადგილი უბეში.

კოთხევი - ადგილი ახალდაბაში.

კოთხევი//ქოთხევი - ადგილი მანატბასთან.

კოკობათი - ადგილი მანატბაში.

კოკბერეთი//კოკიბერეთი//კოკვერეთი - სოფელი იმერხევში.

კოკოლაი - გირჩი: „ე ნაზვია, ე კატარი, ესა კატრი **კოკოლაი**”(უ.).

კოკოტაი - სიმინდის ტარო. შდრ. ნოღ. კოტა.

კოლეტენტი - ქოხის სახელი უბეში. იხ. თანთოღლი.

კომბოხო - ნ. კეხი: „ჩავარდნილ ალაგ კებ ვეტყვით, **კომბოხოსაც** ვეტყვით”(ჩაქ.).

კომში - (თ. komşa) მეზობელი.

კონდრაბადი - კონდრაბანდა: „ჩემი ბაბაი იყო **კონდრაბადზე**”(უსტ.).

კონზოლები - ადგილი მანატბაში.

კონსერი - კონსერვი.

კორტოხაძე - გვარი უბეში.

კორტოხაძენი - უბანი უბეში.

კოტიკი - ზაქი.

კოტორი//კოტრი - ტარო: „(სიმინდი) **კოტორი** მისცემს მალე” (ხევწ.); „სიმინდი **კოტრებ** გეიკეთებს, ქუჩუჩ მედბამს”(ხევწ.).

კოში - 1. თავი (იხ. ხაპერი), შუბლი: „[ნაოჭი] **კოშიზე** მე რამდენი მაქ, ანი”(მაჩხ.); „**კოში** ეს არი, შუბლია”; 2. გოგრა: „**კოში** ერთიცი ემეს ქვია, დათესვენ და ამუა... ხაპი”(ჩაქ.).

კოღვა - მოჭრა თივის: „ჭალებს **ვკოღავთ**. „მოჭრას” „**კოღვას**” ვებნევით” (ა.).



კრედი გამოწილი - კრედიტი აიღო: „**კრედი გამოწილი**, იმასაც ემე გართმენ, არ იჯება, ჰო”(ბაზგ.).

კრეფა - 1. მათხოვრობა: „სხვაგნინდან მოსული რომ **იკრეფენ**, ჩვენ ფოშს ვეტყვით”(დავ.); 2. წასვლა, აბარგება: „ახლა დაღმა **იკრიფებიან**” ნ. **გაკრეფა**.

კროჭი - ხის ჭურჭელი რძის პროდუქტების შესანახად, კასრი: „ამისი ხე რომ არი, გაჰხდიან, გაჰხდიან, სახმარო კასრ გაჰხდიან, ჭურჭელი გაკეთდება, **კროჭ ეტყვიან**”(ჩაქ.).

კულა - ძველად: „**კულა** დოხტურთან მისლა-მოსლა არ იყო” (შავშ.).

კულან - კვლავ: „ორი-სამი თანე **კულან** და დაჟდეთ, თვარა არ იქნება“ (ბაზგ.).

კულანდელი - ძველი: „დადესთან **კულანდელი** ადეთით ჩამაცვეს ლამაზათ...” (შავშ.).

კუნწალ-კუნწალ - დახუნძლული: „სახლ უკნედან ტყიმალი, **კუნწალ-კუნწალ** კიდიო” (მან.).

კურჩხელა - აკვანზე დასაკვიდებელი სათამაშო: „[აკვანზე] **კურჩხელას** უკიდებენ, დანახული გექნება... იმა ექცევა [ბავშვი]”(ბაზგ.).

კურცხალთები - ადგილი დაბაწვრილში.

კუტაბალი - პანტა ბალი: „აჲ **კუტაბალია**, იქ ზაღლის საფინავი” (ხევწ.).

კუტიბალი - პანტა, ველური ბალი: „აჲ **კუტიბალია...**“ (ხევწ.).

კუტუტაძ - მარცვალგაცლილი სიმინდის ტარო. შდრ. აჭ. ხვინგალი, ხვირკალი (შ. ნიქ.), ხვინტალი, ნაგუჩალაჲ (ნოდ.): „სიმინდ დაფშნი, **კუტუტაძ** დარჩება”(ხევწ.).

ლ

ლავარმარღვა - მრავალმარღვა.

ლაზეთი - ჩაქველთას უბანი.

ლაზოდლი - ქოხის სახელი უბეში. იხ. იქიენთი.

ლაილონი - (naylor) ნეილონი: „**ლაილონი** არ გაწყდება”(უსტ.).

ლამფა - გახერხილი მორის გარეთა ნაწილი: „[თახტს]... გარე თერეფ **ლამფას** ვეტყოდით...”(ჩიხ.).

ლაპარაკი//ლაპარიკი - ენა, მეტყველება.

ლაღაბი - (თ. lağap) შერქმეული მეტსახელი: „კიკვიები **ლაღაბია**, დაბალი კაცები არიან და ისე ეტყვიან”(ჩიხ.).

ლაყლაყი - ლაქლაქი, ლაპარაკი: „აგზე **ლაყლაყში** გამხდარა”(უ.).



ქართული
ბიბლიოთეკა



ლაშეთი - ადილი შავშათს ზემოთ.

ლახანა - (თ. lahana) კომბოსტო, მხალი: „[ჭურში] ჯავეს ჩადებენ, **ლახნი** ჯავეს”(დას.).

ლეგენი - (თ. legen) ტაშტი.

ლეზგიენთნი - ქიხის სახელი უბეში.

ლეკობნი სერი - ადგილი ხერთვისულ დაილებთან.

ლენჩბერი - (სპ. lenciber) გლეხი, მიწის მუშა: „მე **ლენჩბერ** ვერ მივყვები,/დილაზე ჯარ ვერ დუუდეფ...”(ზ.).

ლესკი - ლექსი.

ლერეგი - ლერაქი: „მივიანი **ლერეგი**/რა ლამაზათ გიხდება” (უსტ.).

ლერელი - მურაბა. ნ. **რერელი**.

ლიბანი - აგარის უბანი.

ლიბანური - ლიბანელი.

ლისი - გამდნარი ფიჭა, ფაჭა, სანთელი: „... ფაჭას გააძნობ, გახდება **ლისი**... სანთელი იშტე” (ბაზგ.); „... ჩითებზე **ლისი** დასხმული გვაქ... (ბაზგ.).

ლისე/ლიცე - (lise) ლიცეუმი: „ორთაც იკითხა, **ლისეც** იკითხა” (ბაზგ.).

ლოგინის დაგება - ლოგინის გაშლა: „... ჩემი ბაბოა იტყოდა, **დიმიგევით** **ლოგინი**, დავწვეო” (მაჩხ.).

ლოთი - ადგილი კოკბერეთში.

ლოკანტა//ლოქანთა - (თ. lokanta) რესტორანი.

ლუპმან ექიმი, **ლუყმან** (<ლოყმან) **ექიმი** - ლეგენდარული ბრძენი წმინდანი (მ. ნიჟ.): „**ლუპმან ექიმს** მოკდომა ემეფ უქნია, უპოვნია, წამლები უპოვნია” (უსტ.).

ლურსი - ფიცარი ირიბად პირწაჭრილი (საბა): „**ლურსი** ბითავა ამას [ბოდს] აწვება, არ იყოს, ჩამოწვება” (მან.).

ლუქუსი - სანთელი: „მე **ლუქუსი** ავანთე,/მატყლი'და ვაჩეჩიო”.

მ

მაადენს - აქ: მორწყავს: „სასმელი წყალი ყანას **მაადენს**?” (ხევწ.).

მაადულეზს - მოადულეზს: „...აქ **მაადულეზს**, მე ვიცი, დედამთილი ადულეზდა” (ბაზგ.).

მაარჩინა - დაამთავრა, დაასრულა: „მე უნივერსიტე **მაარჩინე**“ (მაჩხ.).

მააქდენ - მოქონდათ: „იქ მედვე მალე მოვდოდა, **მააქდენ**“ (ბაზგ.).



მაგარი გურჯი - კარგი გურჯი: „ჩვენ **მაგარი გურჯი** არ ვართ, ბლაცვი გურჯი ვართ“ (უ.).

მაგარჩინოს - მოგარჩინოს: „ღმერთმა გაცოცხლოს, კარგა **მაგარჩინოს**, ყაზა-ბელას გადაგარჩინოს“ (სვირ.).

მადენი - (თ. maden) მადანი, ლითონი: „ბელქი-და აქ **მადენი** აღნეს?“ (უ.).

მადიმაქი - ჭინჭარი: „ჯინჭარ **მადიმაქი** ვეტყვი“.

მათხაფი - ხეში გასახვრეტი ბურღი (მან.)(შდრ. შ. ნიჟ.).

მაკარინა - (თ. makarna) მაკარონი: „**მაკარნა** სახში ცომით გაკეთებული უმფო გერმელია“ (ზ.).

მალაპარიკებელი - მოლაპარაკე: „ჩვენ სოფელში ჰიჩ თურქა **მალაპარიკებელი** არ იყო“ (მაჩხ.).

მალახთო/მალახტო - ლობიოს შეჭამანდი, სხვადასხვა კუთხეში განსხვავებულად ამზადებენ. მოხარშულ ლობიოს შეაზავებენ ხახვით, პიმპილით, რეჰანით: „**მალახთო** ფენა მიყვარს. მოვკრეფ ლობიოს, გავტეხ, ჩავაყრი შიგან ხახვ, მოვხრაკავ. მემრე წყალ დავასხამ, ბიბერი-მიბერი, რეჰანი ვურთავ, მოვხარშავ“ (სვირ.) (შდრ. შ. ნიჟ.).

მამალიშვილი - ქობის სახელი ჩიხისხევეში.

მამამისი - აქ: მამაჩემი: „ჩემი დედამისი თურქულად არი, **მამამისი** გურჯია“ (მაჩხ.).

მამლიეთი - ადგილი ჩიხისხევეში.

მამპარეს - მომპარეს: „**მამპარეს** ძალი“ (ჩაქ.).

მანი - (თ. mani) ხალხური სასიმღერო ტექსტი: „არ ვიცი ქი **მანები**“ (ზაზგ.).

მანატბა - სოფელი იმერხევეში.

მანგალი - ნამგალი: „ვთიბავ **მანგალით**, ახლანდელი **მანგლები** მაგრებია“ (უსტ.).

მანდოლინი - დასაკრავი სიმებიანი ინსტრუმენტი: „**მანდოლინი** ქონდა ამას“.

მაიდანოზი - (თ. maydanoz) ოხრახუმი: „სარმას გავაკეთებთ ბრინჯით, **მაიდანოზით**“ (უსტ.).

მარგაძე - უბანი ზენაგარაში.

მართვი - მართვე: „**მართვი** ქი გამუა... ხეზე დეეხვევა“ (ზაზგ.).



მარიობა - მარიამობის დღესასწაული, ტარდება აგვისტოს დასაწყისში და გრძელდება რამდენიმე დღეს: „**მარიობას** ვეტყვით ჩვენ იმა, საქორიას დავდივართ” (ზ).

მარმარი - (თ. Marmara) მარმარილოს ზღვა: „[ჩემი ბიჭი] ეცურებოდა, ებანებოდა ისტამბულ, **მარმარიში**” (სვ.).

მარტივი - მარტო: „ჰიჩ არ ვურევთ არაფერს, **მარტივი** ჩაია” (ბაზგ.).

მარული - მხალეული. ბოტ. ღორის ქადა. ნ. მერული.

მარჩილი - ფულის ერთეული: „ერთი **მარჩილი** თავთ მეიგოს” (უ.).

მასკან//მასკვან - მას უკან, მას შემდეგ: „**მასკან** ის ემე'ნა ქნა, ქალი გააბანიო” (ბაზგ.).

მასკე - მასკა, ნილაბი: „**მასკე** თუ არ გაცვია, დეგეხვევიან [ფუტკრები]” (ბაზგ.).

მატავრი - საყმაწვილო დაავადება, ქუნთრუმა: „**მატავრი** უჭირავ ყიაში და ეს კითხვა იმითვინ კარგია. მა ყური ატკივდება, მა თვალი ატკივდება, იმითვინ კარგია” (სვირ.).

მაქინა - (თ. makin) ხელსაწყო, დანადგარი: „[რძეს] **მაქინაში** გავადენტ, მემრე შევდღებავთ” (წეთ.).

მაქინაჯი - საკერავ მანქანაზე მომუშავე, მკერავი: „**მაქინაჯი** ვარ, ყუმამ ვკერავ” (სვ.).

მატყვილო - მომატყვილო: „გაწვიმდეს'ნა, არ **მატყვილო**” (ბაზგ.).

მაქეს - აქ: მყავს: „ჩვენ ორი თანე ვართ, ერთი ძმა **მაქ**” (სვირ.).

მალარა - (თ. mağara) გამოქვაბული: „რომ გათოვდებოდა, გაწვიმდე-ბოდა, ჯარები შევდოდენ **მალარაში**” (ზ.); „წალკოტი **მალარაც** აქაა” (უ.).

მაყრაბა - ნათესავი (?): „რაცა რომ არიან ხისიმ-**მაყრაბა**,/ჯენნეთის კოშკებზე ერთათ შედყრება...” (მან.).

მაშალა - (არ. maşallar) ღმერთო, დაიცავი (ავი თვალისგან): „ჩვენთან შვიდი ხბო ყავან, **მაშალა!**” (ხევწ.).

მაწაწეველთი - ადგილი მანატბაში.

მაჭახლური - მაჭახლელი ქალი: „ზათინ იქ რომ ვიყავ, იქ **მაჭახლური** ემედ ყავდენ იქა, ჩემ მეზობელ ანად იმიდან ყავდა, **მაჭახლური**” (ბაზგ.).

მახასი - (თ. makas) მაკრატელი: „**მახასით**'ნა მოკნაქო” (ბაზგ.).

მახსონს - მახსოვს: „[ჰქეიები] ზოგი **მახსონს**, ზოგი ... რა ვიცი“ (უ.).

მაჰანა - (თ. mahane) საბაბი, მიზეზი.

მაჰალე - (თ. mahale) უბანი: „იმ **მაჰალეში** გახვალ, იპოვნი” ნ. მეჰელე.



მეგემ//მეგერ//მეგერა//მეგრემ - (თ. meger) თურმე: „ვერ გვიგნა მეგერ“ (უსტ.); „მეგემ იმის ბაღვის შვილი მეინდომა“(მაჩხ.); „ძველათ მეგრემ აქ მაჭახლელს ცხენით ძალი მიქონდა“; „მეგერა რუსმა გადმაყარა შექერი“(უ.).

მეგრელები - ჩაქველთას უბანი.

მეგრელი ინადი - მეგრელის ჯიუტობა: „მეგრელი ინადიო, - ჩვენი ნენეღ ისე იტყოდა“ (ჩაქ.).

მევრე - მეორე: „... კაცი მუჟუკტა, მევრედ გეეთხვა“ (ჩაქ.).

მეზარი//მეზერი - (არ. mezar) საფლავი: „თუ წაგყვა მეზარში შენი იმანი, /მოქცილდება მაშინ ქორი შედთან“ (მან.); „მეზერზე დაგაყარე მიწა“!(წყევლა).

მეთაზრა - ჩაქველთას ციხის მიდამოები.

მეივა - (თ. meyva) ხილი: „აქ ყველა მეივა არის“(დავლ).

მეიმური - (თ. memur) თანამშრომელი, მოხელე, მოსამსახურე: „მეიმური გამოდიოდა“(ბ.).

მელაიქი - (არ. melek) ანგელოზი (შდრ. შ. ნიჟ. შ. ფუტკ.): „მოვლენ მელაიქები, მოგიკვარებენ, ჯენნეთის კარებ ჰემ გიგილებენ...“ (მან.).

მელეზი - (თ. melez) ნარევი, არეული, იხ. **დოღმა**: „ჩვენ მელეზი ვართ, დოღმა, არეული. დოღრი გურჯი თქვენ ხართ, ჩვენ – მელეზი“ (ჩაქ.).

მელიეთი ნ. ემელიეთი: „სამჯერ მელიეთი გავხდი“(მან.).

მელიქიენთი - ქოხის სახელი უბეში.

მელიქოლიშივილი - ქოხის სახელი ხევწვრილში.

მელოდი - (თ. melodi) მელოდია, ჰანგი: „მე არ ვიცი მელოდი“ (ზ).

მემთევრე - ქალი, რომელიც საქონელს მიყვება იალაღებზე, მაიღებზე: „თაზე წადიოდა, მემთევრე იყო“(ხოხ.).

მემიტანა - მომიტანა: „ჩვენ მეზობელმა ძე მემიტანა“ (დ.).

მემკითხავ - მომიკითხავ: „აქა შეხვალ, მემკითხავ, მე მიპოვნენ“ (სვირ.).

მემლეკეთი - (თ. memleqet) სახელმწიფო, ქვეყანა, მხარე.

მემნუნი - (თ. memnun) კმაყოფილი: „ახლა მემნუნი ხართ შევარდნამი-დამ?“ (მან.).

მემრენ - მერე, შემდეგ: „[სიმიინდ] გარეცხვენ, მემრენ წაახმობენ“ (ზაქ.); „[ერმენები] აქ ყოფილან, მემრენ წესულან“(ზაქ.).

მეიდანნი - (თ. meydan) მოედანი: „გამორეზილდები მეშერის მეიდანში“ (მან.).

მერაყი - (თ. merak) დარდი: „... მე რომ იმ ლამაზზე არ მეკოცნა, /მერა-ყისგან მოკდებოდა“ (ზენ.).



მერაყიანი - დარდიანი იხ. **მერაყლი**: „ამა თქვენსავე კარგა მერაყეზიანი ინსნები არ მოსულან ქი...“ (უ.).

მერაყლი - (თ. merakli) დარდიანი იხ. **მერაყიანი**: „ბაბად მერაყლია, აქაო ალთუნი არიო, წაველით, ვნახოთო“ (ბაზგ.).

მერაყოზა - დარდი, ნადვლობა, წუხილი: „რავად ქი გურჯული დევწავლო და გურჯი გავხდეთ, **მერაყოზდა**“ (ბაზგ.).

მერდევანი - (სპ. merdivan) კიბე: „...ად ხალი ბათუმში **მერდევანზე** დაგებული მქონდაო“ (უსტ.).

მერთელი - (თ. mertek) ძელი საფლავში მიცვალეზულზე გადასახურავი: „იმ დუნის დოხუზ **მერთელი** გვიწევს“.

მერეგი - (თ. merek) საქონლის საკვების შესანახი ნაგებობა, საბძელი, ქორი: „ქორი ადა, **მერეგსაც** ვეტყვით, საბძელსაც“ (ჩაქ.).

მერული - ორთითა ან სამთითა, იყენებენ კალოობისა და თიბვის დროს: „თირფანი მაქ, მერულიც. **მერული** მოსაღენკია“ (ბაზგ.).

მერჯიმეგი//მერჯიმეკი - (თ. mercimek) ოსპი: „**მერჯიმეგის** შორვას გავაკეთებთ, კაკლებია წვრილი, ზივებსავენ...“ (ბაზგ.); „ესა **მერჯიმეგია**, წურილ-წურილია ლობიასავით“ (შავშ.).

მესალად - (თ. mesele) მაგალითად: „რაცხაზე **მესალად** ვიმუშავოთ'ნა“ (უსტ.); „ავატყოფია, **მესელა**, არ წევს, ჰამა... ზოგი კეთდებიან, ზოგი ვერ კეთდებიან“ (ბაზგ.).

მესხაძე - გვარი უკანეთის მაჰალესა და დაბაწვრილში: „მესხაძეები სისხაძეები არიანო, ჰერსლი კაცები“ (დაბ.).

მესხიეთი - ადგილი უკანეთის მაჰალეში.

მექთები - (თ. Mektep (bi)) სკოლა, სასწავლებელი.

მეშერი - (არ. mahşer) მუსლიმანური რელიგიის მიხედვით, ადგილი, სადაც თავს იყრის ყველა ადამიანი საშინელი განკითხვის ჟამს, მეორედ მოსვლის დროს, საშინელი სასამართლოს დღე (შ. ფუტკ.), მეშერი: „მადლი, ნასაქმი, მოვა თქვენ ხელში./დადგებით მაშინ **მეშერის** კარში...“ (მან.).

მეშველა-ა - ხვლიკი: „**მეშველა** ხვლივზე პატარაა, ასე კუდ იქნევს, დარბის სახლებში“ (უსტ.).

მეჭებელი - მაჭახელი: „დედემ იქიდან გადმოსულა, **მეჭებელ** ეტყვიან...“ (ბაზგ.).

მეხსუს - (არ. mahsus) განგებ: „**მეხსუს** მალაპარიკებენ აგზე, ახლა მივხდი“ (ბაზგ.); „ფუშტი სკამი გუუკეთებია **მეხსუზ**“ (ბაზგ.).



მეჭელე ნ. მაჰალე.

მეჭმური//მემური - (თ. memur) ნ. **მეიმური**: „... მეჭმური ხომ არა ხარ, რაში თვალი'ნა დამჩეს“ (უსტ.).

მზისუდუნახველი - მზის დაუნახავი, მზისუნახავი: „ჩემ ძალმა მოკრიფა და მზისუდუნახველი ვახმოთ“ (მან.).

მიბმული - შეერთებული: „ტბეთის ქილისა ამაზე ყოფილა მიბმული“ (მაჩხ.).

მიგვიყვანეს - აქ: მოგვიყვანეს: „წყალი არ ქვქონდა, ახლა წყლიები მიგვიყვანეს, ა, იქიდან მიგვიყვანეს, კარჩხლიდან“ (უსტ.).

მიდეგს - მიყვება: „შენ ემეში იყავ, თაზე, ჭო? - არა, ახლა მიდეგს ამათ“ (უსტ.).

მიერე - მეორე: „აქ ერთ დღეში ისაქმე, მიერე დღე დედსვენე“ (ბაზგ.).

მიეტანეს - (მეეტანეს-მოეტანეს) - მოეტანათ: „იქვერი შარაბები მიეტანეს, წითელი შარაბი“ (ზაქ.).

მიველი - მივედი: „არ მიველი, სათიბი დამჩაო“ (ხევწ.).

მითხოზა - ყურადღება, გულთბილობა: „მაზლი მყავს მე ... ჰამა იმან არ მითხოზ... ჩემიც აქვერ საქმეზე არ გაგზანა“ (მაჩხ.).

მიტესვა - აქ: დასახლება: „იმათაც უთქვიან ქი, ასეთ ზალიან დუზზე ვერ ვიქთო, ჩვენო, ასეო, პაწად გვერდი'ნა იყოსო, ასეო მივეთესოთი“ (ნიოლ.).

მიტხეთა - მკითხავის საკ. სახელი: „შენ ჩემი ნესიბი ხარ/ჩავახედე მიტხეთას“.

მიიყვანს - აქ: მოიყვანს: „ანაჲ ქი მეგიკდება და თექრენ კი დეესახლება, ბაზოდ მიიყვანს, იმა „ანალულ“ ვეტყვით“ (ბაზგ.).

მიკვრა - შეერთება, შერევა.

მილეთი//მილლეთი - (თ. millet) ხალხი: „კარში წასულია თლათ მილეთი, ზავხულ მოდიან“ (უ.); „ესკი მილეთი არიან, თელი კად არიან“ (უ.).

მილიარი - მილიარდი: „ერთი მილიარიც რომ მეიგო, ანჯახ იქნები“ (ხევწ.).

მილლეთ ვექილი - (თ. Millet vekil) სახალხო დეპუტატი, დეპუტატი: „ქართველებიც მილლეთ ვექილი ბევრი არიან“ (ბაზგ.).

მიმიარა - მომიარა: „აგერ რომ ედარა, იმის ბაზოდ მედყვანეს, იმან მიმიარა“ (ბაზგ.).

მიმიკდენ - აქ: მომიკვდენენ: „დედამთილ-მამამთილი არ მყავს, მიმიკდენ“ (უსტ.).



მინდერი, მინდარი - (თ. minder) 1. ლეიბი; 2. დასავლეთი ბალიში: „**მინდრები** მუუტანე აგზე, მუსაფირები გყავს” (უ.).

მინდორი - ადგილი უსტამისა და ჯვარისხევში.

მიორეფულად - მეორენაირად, სხვანაირად, სხვაგვარად: „იქ მივდივართ, **მიორეფულად** ლაპარაკობენ, ის ვერ მოგვიფერებია” (უსტ.).

მისილოღლების დაილები - მაჭახლელთა საზაფხულო სამოვრები კარჩხალას კალთებზე.

მიუზიყე - აქ: აკორდეონი: „... ჩვენი მეზობელი კაცი მდეროფს, **მიუზიყეს** უკრავს” (ზაქ.).

მიფუება - მიფუტება, მიკვამლება: „ქორუგით დავფუთავთ, **მივაფუებთ** ასე” (ზაზგ.).

მიქამე - გვარი და უბანი ზაქიეთში.

მიქელეთი - ადგილი შოლტისხევში.

მიღმიენთი - ადგილი მანატბაში.

მიყოფა ნ. ხელის მიყოფა.

მიწაში თავი ჩაყო - გარდაიცვალა, მოკვდა: „ზათი ანამ მოკდა, ანამ **მიწაში თავი ჩაყო**, ბაზოდც ფინთი გახდა...” (ზაზგ.).

მიწიხაპა-ა - კარტოფილი: „აქ **მიწიხაპამ** მოდის, ჩომა ყავან” (ზაზგ.).
შდრ. შ. ნიჟ.

მიხოცვა - გაწმენდა, გასუფთავება: „ჯამე დავასუფთეთ, ხვალ ჯუმა არი, **მიეხოცეთ**, მოეხოცეთ” (უ.).

მიხყება - მიყვება: „[გზა] **მიხყება** დიობნამდე“ (წეთ.).

მლეველი - მსმელი: „**მლეველიც** არიან და **დუულეველიც**“ (ივ.).

მოაჯირი - (თ. muhacir) მუჰაჯირი: „ზოგი წასული არიან, **მოაჯირად** წევდენ” (ზაზგ.).

მოზმული - აქ გაერთიანებული: „ჩვენზე **მოზმული** ჯამე სამას ოცია” (მაჩხ.).

მოგაწონდა - მოგწონდა: „**მოგაწონდა** სოფელი“ (უსტ.).

მოგთა (-მოგვთა) - სოფელი მეთურქულე შავშეთში.

მოგობება//მოკობება - მოხმობა ახალდაბადებულის ჭიპის: „[კაკლის] გულს გაცოხნი... მესამე დღე დაადებ, მალე **მოგობდება**” (ზაზგ.).

მოგცონ - მოგცენ: „კარგობა **მოგცონ**” (დალოცვა) (ჩაქ.).

მოდენა - მორწყვა, წყლის მოტარება: „წყალი **მოადინო** ბოსტანში” (ნიოლ.).



მოდევნება - მოყოლა: „კაცი არ მომდევს აქა“ (მან).
მოედისი//მუედისი - (თ. mühendis) ინჟინერი: „იმის კაციც მოედისია“ (მაჩხ.).

მოვჩებით - მოვრჩებით, საქმე არ გაგვითავდება: „ჩვენ საქმიდან ვერ მოვჩებით“ (ჩაქ.).

მოზდე - მოზრდილი: „ლოცვა-კითხვა გენჯებს არ უყვარან, მოზდებსაც“ (უ.).

მოზიკა - აკორდიონი: „ჩემი ბიჭი ამბობფს, ბათუმ'და გევდე'და მოზიკა'და ამოვტანოვო“ (ზ.).

მოთლა - აქ მოლექსება: „მევდოდენ მაყარი, დაჟდებოდენ, მოთლიდენ“ (უსტ.).

მოთორი - (motor) ძრავა, მოტორი.

მოი - მოდი: „მოი, დაჯექ, მოი“ (უკან.).

მოიდა - მოვიდა: „ერ წელიწად მოიდა...“ (ხევწ.).

მოკვარება - მონათება: „მოვლენ მელაიქები, მოგიკვარებენ, ჯენნეთის კარებ ჰემ გიგილებენ...“ (მან.).

მოკითხავე - მლოცავ-მკითხველი (აქ:წმინდა წიგნის, ყურანის): „ჩვენში გენჯები არ არიან მოკითხავე, მოლოცავე“ (უ.).

მოკლევდა - მოკლავდა: „[ქათამი] თუ დაკარგე, [ზეგი] მოგკლევდა“ (ზაქ.).

მოკლთი - ადგილი ჩიხისხევში.

მოკნაჭვა - გაკრეჭა: „... იმა მახასით'ნა მოკნაჭო'და, ჩორბას ადულებენ, ჩაყარო'ნა...“ (ზაზგ.).

მოკრეფა - შეკრება: „აქ ვინცხა მცხოვრობენ, იმათიდან'და მოკრიფოთ“ (ზაზგ.).

მოკუკული - მოხრილი: „აქ ერთი დედაბერია... მოკუკული არი“ (სვირ.).

მოლაფვა - მოსვრა: „რავად ჭამს, მედლაფა პირი“ (ზაზგ.).

მოლი - ბალახი: „მოლი ბევრია, მოჭარ, მიაართვი ჩომას“ (ზ.).

მოლიენთი - ადგილი კოკბერეთში.

მოლოლოლები - ქობის სახელი უბეში.

მოლოცვა - ლოცვა: „... მოლოცვა ბერებს უყვარან“ (უ.).

მოლოცავი - მლოცავი: „მოლოცავი'ნა იყო, მადლი მეიკიდო...“ (ზაზგ.).

მოპარვა - მოტაცება ქალის: „[ქალი] ამან მეიპარა“ (ჩაქ.).



მოყდომა - მიჯდომა გვერდით: „ჩამუელ ჩემი ბაბოის სანში, მუუდე ქორ?“ (ბაზგ.).

მორვევა - მოხნა: „ეს ყართოფის ყანაა, ხართ **მოარევთ**, ხართ **დავარევთ**“ (ხოხ.). ნ. **დარვევა**

მორუნიება - ჩამოტარება, მოტარება: „სინს **მოარუნიებენ**“ (დ.).

მორჩენა - დამთავრება სასწავლებლის: „პატარამაც **მარჩინა** ლიცე“ (მაჩხ.).

მოსადენი - მოსარწყავი: „**მოსადენი** წყალი ძველათ მუუყვანიან“ (უსტ.).

მოსართავი - აქ: შესაკმაზი, საკმაზი: „ყართოფის შორვას გააკეთებ... **მოსართავს** მისცემ, ფშნილას ჩაყრი, დაღ მასხამ იშტა“ (ხოხ.).

მოსაფირი - (თ. misafir) სტუმარი ნ. **მუსაფირი**: „ამ დუნდაში ჩვენ **მოსაფირი** ვართ, პაწა ხან უკან მეზერში წავალთ...“ (ჩაქვ.).

მოსაღენკი - თივის, ჩალის ასაღები: „**მერული** მოსაღენკია“ (მან.).

მოსვლა - 1. ხილის, ბოსტნეულის შემოსვლა, დამწიფება: „ჯერ არ მოგლიჯო, არ **მოსულა**“; 2. შესაბამისობა, დამთხვევა: „ჩვენი თურქჩაზე **მოდის**“.

მოსკმა - ცემა, ნ. **ჯოხის მოსკმა**.

მოსიძე - უბანი ზენაგარაში.

მოსულათ - აქ: ნელა: „ერთ დრამ **მოსულათ** ილაპარიკებდენ, გევგნებთ და დევწავლით“ (უ.).

მოსხმა - მოყვანა ბევრის: „მოვიყვანე ერთი თანე, ბევრი - **მოვასხი**“ (შავშ.).

მოფერება - მოხერხება, შეძლება.

მოქოლვა - ამოქოლვა, დახშობა: „[დათვს] ცომი ჩუუსხამს, ფურნე **მოუქოლავს** და გაქცეულა“ (მან.).

მოღალული - დაღლილი: „ჩომაში იქნები,... მოხვალ **მოღალული**“ (ბაზგ.).

მოღამება - შებინდება. გადატ. ცხოვრების გატარება, დაბერება: „ჩვენ კარგა ვიყავით, ჩვენ ისე **მუღამეთ**, გაბუკვა არ ვიცით“ (შავშ.).

მოღენკვა - შეგროვება თივის: „მერული **მოსაღენკია**“ (ბაზგ.).

მოყლარკვა - დახრჩობა: „წყალში **მოყლარკულაო**, იტყვიან, ლოგინში რომ მოკდება, მოკდაო“ (ბაზგ.); „ვეცურავ იშტე, არ **მოვეყლარკვი**“ (ნიოლ.).

მოყორილი - ყორეშემოვლებული.



მოყრილობა - თავმოყრა, წვეულება: „ეგა სინია, ბევრი მოყრილობა იქნება, შამეხხვევი...“ (დ.).

მოშიშარი - მშიშარა: „აქ ერთი მაზლის ღარჭიცაა, იქ ვწვები, მოშისარი ვარ...“ (მაჩხ.).

მოშოშთა - მსხლის ჯიშია, ხარობს შავშეთში, მას წარიასაც ეძახიან.

მოშპენა - მოძრობა: „... სამ-ოთხ დღეზე მოშპება, საღლული იქნება“ (ბაზგ.).

მოჩოჩთა - 1. გოგრა: „ლეჩერს მოჩოჩთა უნდა. ქესტანად ხაპი არი, ერთი მოჩოჩთა არი“ (ჩაქ.); 2. მსხლის ჯიში: „სხალი არის, მოჩოჩთა (|მოჩეჩთა) სხალი...“ (ზ.).

მოძრა - დახურვა კარის: „კარი მუუძარ“ (სვირ.).

მოჭირებული - ძუნწი: „ქართველი ან ბლაცყია, ან მოჭირებული“ (უ.).

მოჭუტული - დახუჭული: „ერთი თვალი მოჭუტული აქ“ (ბაზგ.).

მოჭუჭკვა - თავის მოყრა: „ბაბომ მოჭუჭკავდა რაცხაეფს, მომიტანდა“ (უ.).

მოხარშვა - აქ დახრჩობა: „ჩემი ღარჭი დენიზში მოხარშულა შვიდი წელიწადია“ (სვირ.).

მოხკვეთავს - მოკვეთს: „ამა ჩვენი მალე მოხკვეთავს [კბილს]“ (ბაზგ.).

მოხოცვა - მოწმენდა, გასუფთავება. ნ. მიხოცვა.

მოჯეჯვა - გათელვა: „ხოშკაკალამ ... ჩაწყვიტა კიტრები და მოჯეჯა“ (ხოხ.).

მტრევა - ტკივილი: „ხორცი მამტრევს, იტყვიან“ (მაჩხ.).

მუა - მოვა: „ახლა მუა ის; მუალ მეო, ასე თქვა (უკან.); „სოფელში ასლამდე მეც მუალ...“ (უსტ.).

მუედისი ნ. მოედისი.

მუთმადი - (თ. mutfak(ği)) სამზადი, სასადილო ოთახი: „მუთმადი პურის საჭმელი ოდაა“ (მან.).

მუყდას გიზამენ - (თ. müjde) მოგახარებენ: „მოვლენ მელაიქები, მოგიკვარებენ, ჯენნეთი კარებ ჰემ გიგიღებენ, ალარ გაქ შიში, მუყდას გიზამენ...“ (მან.).

მურადი - (არ. murat) სურვილი, იმედი, მისწრაფება: „კარგ მურადს შეგყარონ“ (ლოცვა).

მურევები - ქობის სახელი უბეში.

მურეშენი - ქობის სახელი უბეში.



მუსათან - მუსასთან: „ჰო, ზათი **მუსათან** ვერაფერ ვერ დამახსენებს...“ (ხევწ.).

მუსაფირი - (არ. misafir) სტუმარი, ნ. **მოსაფირი**: „**მუსაფირ** დაჩოვლი ვარ“ (ხევწ.).

მუსლიმანლული - (თ. müslüman) სამუსლიმანო: „**მუსლიმანლული** ყოფილა“ (უ.).

მუსლიმანურად - მუსლიმანი: „თქვენ **მუსლიმანურად** ბმანდებით“ (ბაზგ.).

მუუპარევედა - მოპარავდა: „ღარჭები ყართოვ **მუუპარევედით**“ (მან.).

მუქერ-მექერი (?): „მეზარში მოვა **მუქერ-მექერი**“ (მან.).

მუღელიმი - (თ. muallim) მასწავლებელი.

მუშტავი - მუჟდავი, ხარება: „**გიმუშტავე**, ვერ ხედავ?“ (ბაზგ.).

მუშტიოდენი - მუშტისოდენი: „იგზე გვისხია, სეტყვამა გაყარა, აქ **მუშტიოდენი** იყო“ (ხევწ.).

მუხი - ლურსმანი: „შენი **მუხი** მოტეხილია, არ მესობა შენი **მუხი**“ (მაჩხ.).

მუხობანი - სოფელი იმერხევში, სვირევანს გაღმა.

მუხტარი - მამასახლისი.

მუხტრობა - მამასახლისობა.

მღერებელი - მომღერალი: „მე არ მიმღერია, **მღერებელი** არიან“ (ივ.).

მწვანე ლობიო - ლობიოს შეჭამანდი: „იმა დავამტრევთ, გავრცხით, ხახვ ჩავსჭირთ ძალში, შედხრაკვის, ჩაყარო'ნა ლობიო ერთ დრამ წყალ შუუყენებ, მარილ დააყრი, ნიორი არ გუჟრევ (იფხ.).

მჭედლიძე - გვარი ბაზგირეთში.

ნ

'ნა - შეკვეცილი უნდა: „წეთილეთი ეარო'ნა, შეხვალ...“ (ზენ.); „ჰო, ახლა'ნა ჩევდე'ნა, მივდე“ (ხევწ.).

ნაგომართი - ადგილი მანატბაში.

ნადრიენტ ჭალები - სათიბი მანატბაში.

ნაზვი - ნაძვი: „ესა **ნაზვია**, იმა „ციხეს“ ვებნევით, იმნიეთ ციხეა“ (იფხ.).

ნაზლიე - ძროხის სახელი: „**ნაზლიჯან**, **ნაზლიჯან**, ჩამოყარე, ანამჯან“ (ბაზგ.).

ნათელახევი - ადგილი კოკბერეთში.

ნათესი - ნათესავი: „ჩვენი **ნათესები** იქ არიან“ (მან.).



ნათქვამურად - ნათქვამი: „თურქს უნდა თავის **ნათქვამურად** საქმე ქნას” (ბაზგ.).

ნაკადი - 1. ჭალაში სარწყავად მიცემული წყალი: „ამა რუს ვეტყვით, ჭალაში მიცემ **ნაკადი** გახდება”(მან.); 2. ნაკადული დაბაწვრილში.

ნაკალევი - ადგილი მანატბაში.

ნაკითხი - 1. ნასწავლი: „**ნაკითხი** იქნებოდა”(ბაზგ.); 2. ნალოცავი, შელოცვილი: „ხოჯების **ნაკითხიც** არი”(უსტ.).

ნამეჰრამი - (არ. namahrem) უცხო, უცნობი: „ახლანდელ ქალებ რა ედერ-დებიან, /**ნამეჰრამ** კაცებ არ დეერიდებიან...” (მან.).

ნანე - ბოტ. ბალის პიტნა: „ჩვენ ბიბერი, **ნანე**-მანე არ გვიყვარს”(ბაზგ.); „ყანეფში მოვკრეფთ **ნანებს**”(ბაზგ.).

ნართი - რაც ნართავია, ძაფი: „ეს **ნართია**; ჰემ **ნართია**, ჰემ ძაფია”(უ.).

ნასაქმი - ნამსახურები: „კაც რომ არ ქონდა **ნასაქმი**, არ იყო გარეთ...” (ბაზგ.).

ნასახლევი - ადგილი მანატბაში.

ნასეფართი - ყანა მანატბაში.

ნაფეტვარად - ადგილი დაბაში.

ნაფეტვარი - ადგილი დაბაწვრილში.

ნაფლატი - დამსკდარი: „ამ **ნაფლატი** ადგილი წუმპოა”.

ნაფუზარი - საკარმიდამო ნაკვეთი. სახლთან, კარმიდამოსთან ახლოს მდებარე (შ. ნიჟ.): „**ნაფუზარ** ყანებ ვეტყვით „ნაფუზრებ”(მან.).

ნაფუზარი თავი - ადგილი მანატბაში.

ნაფურნევი - მაილა იმერხევი.

ნაქილისვარი - ადგილი დაბაში.

ნაჩარი - (თ. nacar) ცუდი, უვარგისი, უშნო: „გალამაზდება, თუ არი აქ **ნაჩარი**”(მან.); „მე ქართველი ვარ, **ნაჩარი** ბენზინი არ ჩემისხათო”(ჩაქ.).

ნახვარი - ნახევარი: „**ნახვარ** გურჯში თურქა ვურევ”(ბაზგ.).

ნაჯევდე დერე - ხევი იმერხევი.

ნეგო - ბალახია, იყენებენ სამკურნალოდ. იგივეა, რაც სუნველაჲ. შდრ. მაყ. უკვდავა.

ნენე - (თ. nene) 1. ბებია: „ჩემი **ნენე** აქ არ არი”(ა.); 2. თავაზიანი მიმართვის ფორმა უფროსი ქალისადმი: „აქა ერთი მილიარი ერთ წელიწად გეყოფა, ჰამა იქა ერთი მილიარი ერთ თვეს არ გეყოფა, **ნენე**!” (ბაზგ.).



ნენი - მიმართვის ფორმა: „მოთიბვა უნდა, მოტანა უნდა, **ნენი**, ვინ ქნას?“ (ბაზგ.).

ნეისა - (თ. neysa) „რალა დროისაა“, „რალას იზამ“: „იგზე არ ჩამოგეყვანა, კაი იყო, მარა **ნეისა**“.

ნესიბი - (არ. nasip(bi)) ხვედრი, ბედი, წილი: „გელეების **ნესიბი** გაგხადოს“ (წყევლა).

ნეშტო - ცხვირის ნესტო.

ნიგზები - ნიგვები: „აქავრელებმა დარგეს ეს **ნიგზები**“ (ჩაქ.).

ნიეთლობა - მარხვა: „ილოცე, **ინიეთლე**, ქენი ჰაჯობა, შეიბრალებ ამ დუნდას ფუხარა ყველა...“ (მან.).

ნიოლეთი - სოფელი იმერხევეში.

ნისანი - (თ. nisan) აპრილი: „მარტის უკან ქი არის, **ნისანი**“ (ჩაქ.).

ნიქაჰი - (თ. nikahi) ქორწილი.

ნიღრი - წალდის ცხვირი: „წალდ ასე **ნიღრი** აქ, იმით გამოვკაფავთ“ (ნიოლ.).

ნიშანლი - ნიშნიანი, დანიშნული: „ერთ წელიწად ვიყავ **ნიშანლი**“ (ბაზგ.).

ნთება - ნათება: „იმას ციციანათელას ვებნევით, ღამით **ანთობს**“ (უსტ.).

ნური - (არ. nur) შუქი, სინათლე: „[ქალს] ... ჩამოადგება ბუკზე ღამაზი **ნური**“ (მან.).

ნუფუსი - (თ. nüfus) მოსახლე, მოქალაქე: „ბექიროლლი მუსტაფად მოსკოფაში **ნუფუსი** გახდა“ (უ.).

ნუხ ფეილამბერი - (თ. Nuh Peygamber) იგივე ნოე ფეილამბერი, ნოე წინასწარმეტყველი: „კარჩხალი თაზე დუუბამან **ნუხ ფეილამბერის** გემი“ (დას.).

ღ

ღა - (თ. ya) ან: „რაცხას ვიგონებთ, **ღა** ვმღერობთ, **ღა** არა“ (უსტ.).

ღაბანი - (სპ. yabani) მხეცი, ნადირი, აქ: გარეული ღორი: „**ღაბანი** აღარ არიან, ძველათ ბევრი იყვნენ“ (უსტ.).

ღაბანჩი/ჯი - (თ. yabancı) უცხო: „**ღაბანჩი** სიძე არ გვინდოდა“ (შავშ.).

ღაბანჯობა - უცხოობა: „ახლა **ღაბანჯობა** აღარ არის“ (ბაზგ.).

ღავაშ-ღავაშ - (თ. yavaş-yavaş) ნელ-ნელა: „**ღავაშ-ღავაშ** ისწავლი“ (ბაზგ.).

ღაზი - (თ. yazi) ნაწერი: „იქა ქვიებზე მაღლა **ღაზები**ა“ (ჩაქ.).



აზმა - (თ. yazma) ჩითი, წარმა. აქ: ლეჩაქი, ქალის თავსაბურავი: „ღმერთმა თეთრი **აზმით** დაგაბეროს”(ხევწ.).

ათალი - (თ. yatak) საწოლი: „[გათხოვილ ქალს] ერთ ხელ **ათალ** გაატან...”(ხობ.).

აილა - (თ. yayla) საზაფხულო სამოვარი: „ჩიქუნეთური **აილების** მხრიდან არის გოლი”(ზ.).

ალანჩი - (თ. yalanci) ტყუილი, მატყუარა: „**ალანჩი** დუნია, გავაქციეთ გენჯობა”(ბაზგ.).

ამ-ამები - კაციჭამიები: „ინსანი ინსან ქი ჭამს, იმას ეტყვიან **ამ-ამს**”(ბაზგ.).

ანი - (თ. yani) ესე იგი, მამასადამე: „**ანი**, ზამთარშიც სდგებით აქა?”(ჩაქ.).

არაჰმა - (თ. yaramak) შესაფერისი, გამოსადეგი, ვარგისი: „გადავარჩევთ ძროხებისთვინ **არაჰმას**, ლამაზებსაც წავიღებდით”(ჩაქ.).

არდიმჯი - (თ. yardimci) მოადგილე: „ისტამბულ მუფტის მერე ვარ, **არდიმჯი**”(მაჩხ.).

არი - აქ საყვარელი, მეგობარი: „ჩემი **არი** დევნახე/გუშინდელ გერმელ ძილში”.

ასალი - (თ. yasak) აკრძალული: „დათვი **ასალია**, მოჰკლავ, არ'ნა შიგი-ტყვან'ნა”(ჩაქ.).

ასინი - (თ. yasin) „ყურანის” 36-ე სურის სახელი.

ასლული - (თ. yatsilik) მარხვაში [რამაზანში] ღამით [გამთენიისას] ჭამა: „გათენებას ერთი-ორი საათი დუურჩება, **ასლული**ნა ჭამო”(ჩაქ.).

აღის სადნობი - ადგილი საზვირელს იქით.

აღმური - (თ. yağmur) წვიმა: „**აღმური** არი, წვიმა მოდის”(ბაზგ.).

აშინდა - (თ. yaşında) წლის, ასაკის: „ალთმიშ **აშინდა** ვარ”(ბაზგ.).

აშლი - (თ. yaşlı) ასაკოვანი, ხნიერი: „ჩვენ იმდენი არ ვიცით, **აშლი** ვინცხეებიდან'ნა მოკრიფოთ”(ა.). ნ. **ჰაშლი**.

ახა - (თ. yaki) 1. საყელო: „**ახას** ამოვჭრიდით, ტახტას ერთმანებ დავარჩიებდით... გაკეთდებოდა”(ჩიხ.); 2. პლასტიკი, არტაშანი, თაბაშირი: „... წელი ქომოთ დიმიელვა და ჩავარდი, **ახი** დამაკრა, ღამეში ვერ გადავბრუნებულვარ...”(უ.).



ეგანი//ეგენი - (თ. egen) 1. ძმისშვილი ან დისშვილი: „ნათესავის შვილი: „**ეგანი** ორთავა – დისშვილი, ძმისშვილი”(უ.); „**ეგანი** ფენა მიყვარდა, ეს ჩემია წურილობაში” (შავშ.).

ეთიმი - (თ. yetim) ობოლი: „სამი წლისა დამჩალი ვარ **ეთიმი**”(ბაზგ.).

ეთიმიშურ - სამოცდაცამეტი: „**ეთიმიშურ** წლისა ხოჯა იყო, ბაღნებ აკითხვებდა...”(მან.).

ელი - (თ. yel) ქარი, რევმატული ტკივილი.

ემეგი//ემელი//ემექ - (თ.yemek) კერძი, საჭმელი, სადილი: „**ემეგებ** აკეთებენ... **ემექებში** გუურევენ”(ბაზგ.).

ენგა - (თ. yenge) ძმის ცოლი, ბიძის ცოლი: „**ენგას** ამბობენ. გურჯიჯა ვერ მოგვიფერებია ქი” (ხობ.).

ერლი - (თ. yerli) ადგილობრივი: „**ერლი** ვარ, ნენი, **ერლი**, აგზე ჩაირში მივალ,... ჩაირი'ნა ვჭრა” (სვირ.).

ემილი - (თ. yeşil) მწვანე: „**ემილ** ჩაისაც ვხმარობ”(მაჩხ.).

ონჯა - (თ. yonca) ბოტ. სამყურა ბალახი: „**ონჯა** ჩაირია, მოთიბავ”(კოკ.); „ეს **ონჯაა**, დათესავ, მოთიბავ, გაახმობ, ქორში შედებ”(ხევწ.).

ორჩი, ოლჩი - (თ. yolcu) მგზავრი: „**ორჩი** მყავდა, ადრე ავდექი”(უ.). შდრ. ფუტკ. ოლოჩი.

ორდამელა - (თ. yordam) გაიძვერა, მოხერხებული: „**ორდამელა** თხა ყავანო, /ნეფე თოფალი ყავანო”(ბაზგ.).

ოხ - (თ. yok) არა: „**ოხ**, მღერა არ ვიცი”.

ოხა//იუხა - (თ. yufka) ცომის ფენა გაბრტყელებული: „**ოხას** გეყვანთ; ასე გააღებ **იუხას**”(უსტ.).

ოხსა - თუ: „ენა მოგჭრა, **ოხსა** თავიო”(მაჩხ.).

იუზ'ი - (თ. yüz) ასი: „გეძარო'და ციხი იქით **იუზ** მეტრო...”(ჩაქვ.).

იუზბაში - (თ. yuzbaşı) ასისტავი.

იუზუგი - (თ. yüzü(ğü)) ბეჭედი: „ეს ალთუნ ქუფეა, ალთუნ **იუზუგ**”.

იუქი - ტვირთი(?): „შვიდი ვირი გავზარდე,/ჩემი **იუქი** არ მემეხსნაო”(ანდ.); „... გუზელეებიც დევნახე, **იუქები** ჩამოვყარე”.

ო

ო - შორისდებული, გამოხატავს გაკვირვებას: „**ო**, ფენათ არიან, დუზები ბუთუნ დათხრილია“ (უსტ.).

ოდა - (თ. oda) ოთახი: „სიმინდ **ოდეში** ვინახავთ”(ზ.).



ეროვნული
ენათმეცნიერების
ცენტრი



ოზდახუთი - ოცდახუთი: „**ოზდახუთ** წელწად ვისაქმე...“ (დ.).

ოთუზ - (თ. otuz) ოცდაათი.

ოთელი - (თ. otell) სასტუმრო.

ომრი - (თ. ömür(mrü)) სიცოცხლე, ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა: „გათავდა დუნიაში **ომრი** ღირსანუმ“ (მან.).

ონაგირა - მთა ჯვარისხევთან. შდრ. აჭ. უნაგირა.

ოპიზა ღელე - მდინარე ბერთასთან.

ორთა - (თ. orta) საშუალო სკოლა: „**ორთაც** იკითხა, ლიცეც იკითხა“ (ბაზგ.).

ორთაბათუმურა - ხორუმის სახეობა. ცნობილია ხორუმის რამდენიმე სახე: ხიხამირული, მაჭახლური, დელი ხორუმი... მათ შორის იყო **ორთაბათუმური**. დღეისათვის ორთაბათუმურას ორთაბათუმში აღარ ცეკვავენ, შეუნახავთ იგი შავშეთში: „**ორთაბათუმურას** ვეტყვით საცეკვაო მუზიკას, დიგიკრათ'ნა, გაცეკვოთ'ნა“ (ზ.).

ორთამა - ორივემ: „ამ ემოს ღარჭებმა, **ორთამა**, ემოს ბაჯალაზე თვალი გამოდგა“ (სვირ.).

ორთაღ-ი//ორთაქ-ი - (თ. ortaği) პარტნიორი, მონაწილე: „**ორთაღი** კაცთან დეიდგომება? არც დევნახავ, არც ვექოლავები“ (ბაზგ.).

ორითმენი//ორეთმენი - (თ. oğretmen) მასწავლებელი: „ბათუმიდან იყვენ, ერთი **ორითმენი** ეხლენ“ (ბაზგ.).

ოროკდარე - ადგილი კოკბერეთში.

ოროსპი - (თ. orospu) მეძავი: „ის [დედამთილი] მეტყოდა **ოროსპო**“ (ჩაქ.).

ოსდაექსი - ოცდაექვსი: „[ქართველები] ახლა **ოსდაექსი** არიან მეჯლისში“ (ზაქ.).

ოსმანლი - ოსმალეთი: „იქამდე თელი **ოსმანლისა** იყო“ (უ.).

ოფიჯევი - ადგილი დაბაწვრილში.

ოქროს საწველები - ადგილი მანატბაში.

ოქუზი - (თ. öqüz) ჯარი/ხარი: „ჯარს **ოქუზს** ვეტყვით“ (უსტ.).

ოქული - (თ. okul) სკოლა: „[უმცროსმა შვილმა] იქ **ოქული** იკითხა, ლისეც იკითხა“ (ბაზგ.).

ოდლუ//ოდულ - ვაჟი, ძე, შვილი: „ღარჭები ყოლია იმ კაც და აქიდან წასული ბაჯლები მუუცემიან, **ოდლუები**“ (მაჩხ.).

ოდლუშადი - (თ. oğluşak) ცოლ-შვილი.



ოჯახი//ოჯალი - (თ. ocak) ბუხარი: „იმა **ოჯახი** აქ, ძველებური ბუხარი”
(უ.).

პ

პალიშაშვილი - გვარი ბაზგირეთში. იხ. ბეზირგანოლი.

პაპათი - ადლი ახალდაბაში.

პაპიები - ქობის სახელი ჩიხისხევში.

პაპოლი - ქობის სახელი ჩიხვთაში.

პარეხთა - იფხრევის ციხე. იხ. ბოჯანეთი.

პარმალი - (თ. parmak) თითი: „**პარმალი**” თურქჩაა, „თითი” გურჯიჯა”
(მაჩხ.).

პატრობით - პატარობიდანვე, ბავშვობაში.

პაწაძ - უმცროსი: „ეს დაბერებულია, ჰამა ჩემზე **პაწაძა**”(ბაზგ.).

პეტრიენი წყარო - წყარო უბეში.

პეტროლი - ქობის სახელი უბეში.

პივა - ლუდი: „პივა, **არაყი** - თელი არი აქა“ (უსტ.).

პირის ახდა - „ქორწილის შემადგენელი რიტუალი, რომელსაც ტრადიციულად მამათილი ასრულებს. „ქალები შედგენებენ ოდაში დოდოფალ, მამათილი **პირ ახდის** ... მამათილ დანა აქ, პირის ახდისას დოდოფალ კითხავს: თავი მოგჭრა თუ ენაო...ბევრი ლაპარაკი არ იცოდეს ქი” (შავშ.).

პოლიცევი - პოლიცია: „ჩემი ღარჭი **პოლიცევი** საქმოფს, დიდი ბიჭი“(ხევწ.).

პრატი - გოგონა, ქალიშვილი: „...ეს ჩემი დის **პრატია**” (ივ.).

პროტოკოლი - (protokol(lü)) დიპლომატიური ოქმი.

პურის გამწარება - ცხოვრების გამძირება, ცხოვრების გამწვანება, გაჭირვება ზოგადად: „მოვდა თქვენი ოზალი და **პური გაგვიმწარა**“ (მან.).

ჟ

ჟაუნა - ბოტ. მჟაუნა. შდრ. აჭ. ჟაველაძ, მაყ. მჟაუნა.

ჟღვავი - ცვარი, ნამი: „აქა თოვლია, **ჟღვაია**“ (უ.). შდრ. შ. ნიჟ. ჟვაგი.

რ

რა - როგორ: „**რა** ლამაზათ ყარს”(უ.).

რაბათი - ადგილი ჩაქველთას ქვემოთ, სადაც ციხეა.

რაბათის ღელე - მდინარე ჩაქველთასთან.



რაგორი - როგორი: „თქვენი სიმღერები **რაგორი** არიან?“ (ხევწ.).

რაგად//რავარ - როგორ: „**რაგად** ხარ? იქიდან რომ მოსულხარ, კარგა ხარ“ (შავშ.); „ვუთხარი, აქ **რაგად** ცოცხლობ? (ზაქ.).

რაზი - (არ. razi) თანახმა, კმაყოფილი.

რად - რა: „... მე არ გიმიგონია, მე **რად** ვიცი? (ბაზგ.); „**რად** გინდა?“ (ზაქ.).

რანდევი - (ფრ. Rendez vous) შეხვედრა, პაემანი: „**რანდევი** აღარ აგვიღია და ჩავალ მაშინ...” (ხევ.).

რანკა - რამკა, ჩარჩო: „ზველათ სკიებ დააკეთებდენ, ამათ **რანკებს** უძახიან...” (უსტ.).

რასოდ - როგორი? როგორ? „ჩვენთან **რასოდ** გინდა ჩეიცი?“ (ზაქ.); „თქვენი სიმღერები რასოდა?“ (ხევწ.).

რატონ - რატომ: „[ასიემ] ... **რატონ** არ მოხველო“ (ხევწ.).

რაცფერი - მრავალგვარი(?): „... რუსმა გადმააყარა **რაცფერი** საჭმელი“ (უ.).

რახი - (თ. raki) ერთგვარი არაყი: „ჩვენში **რახ** ბევრ დავლევთ“ (ბაზგ.).

რახუნი - აქ: რახა-რუხი, უაზრო ლაპარაკი: „არაფერი არ ვიცი და **ვურა-ხუნებ**“ (ბაზგ.).

რაჰათი - (არ. rahat) მოსვენება, სიმშვიდე, მყუდროება: „**რაჰათათ** იყავ“ (ხევ.).

რე - რა: „**რე** იქნა მანქანა?“ (ხევწ.).

რემეზანი//რამაზანი - (არ. ramazan), მთვარის წელიწადის მეცხრე თვე, როცა მუსლიმანები მარხულობენ (შ. ფუტკ.).

რემეზანის//რამაზანის დაჭირვა - მარხულობა: „ავათ ვიყავ, ვერ **დევჭირე რემეზანი**“ (ბაზგ.).

რენგი - (თ. renk(ge)) ფერი: „მეშველად დეშილია, ე, შენ გაცვია, მაგ **რენ-გისაა**“ (ჩაქ.).

რენგ-რენგ - ფერად-ფერადად: „თისარტყელას ვიტყვით, **რენგ-რენგ** დაჰა დეეყუდება“ (ჩაქ.).

რეჩელი - (თ. recel) მურაბა: „ამა **რეჩელ** ვეტყვით“. ნ. ლეჩელი.

როზანეთი - ადგილი მანატბაში.

როდი - როდის: „ბაბოდ აქ არი? **როდი** მოვა?“ (ბაზგ.).

რუბანეთი - ადგილი ზენაგარაში.

რუსია//რუსიე - (rusya) რუსეთი.



რუსიეში გედეიარე - წყევლაა, მოუსავლეთში წადით: „ჩატენილოში ნუ ახვალ,/რუსიეში გედეიარ...?“

რუსჯა - (თ. rusça) 1. რუსული ენა: „ჩვენ პრეზიდენტმა **რუსჯა** აქნა ასწავლოს'ნა“ (მაჩხ.); 2. „**რუსჯა გადაგრონია**“ (წყევლა) (მაჩხ.).

რცხა - გარეცხვა: „ჭურჭელი **დავრცხა**“ (ნიოლ.); „ვარია **გავრცხა**'ნა, დოღურთი'ნა ჩავასხა...“ (უსტ.).

ს

სა - სად: „**სა** მიხვალო? – ბაბომ“ (შავშ.).

სააბი - (თ. sahip) პატრონი, მფლობელი: „რაზე არ **ესააბებითო**“ (უსტ.).

სააბობა - (თ. sahiplik) პატრონობა.

საანი/საღანი/საჰანი - (თ. sahan) თეფში: „**საანი** გექნება“ (ბაზგ.).

საბადური - ადგილი მანატბაში.

საბეგი ჯვარი - ადგილი უბეში.

საბელი - ბაწარი, თოკი: „**საბელ** შამაავლებენ“ (წეთ.).

საბრი - (თ. sabir(bri)) მოთმინება: „ბევრი **საბრი** არ მიქნია“ (შავშ.).

საბრი ყაბი - (არ. Sabir kap(bi)) მოთმინების ფიალა, ჭურჭელი: „ისტა ძალი იყოს, ისტა დედამთილი, **საბრი ყაბი** ედვსობა, გადმოდინდება“ (ხევწ.).

საბუდარა - ადგილი უსტამისთან.

საბურთია - ადგილი უსტამისში.

სადგირელი - ადგილი გამეშეთს ზემოთ, იხ. საზგირელი.

სავაცა თავი - ადგილი უსტამისში.

სავლელაა - სასეირნოდ, მოსავლელად, მოსანახულებლად: „ანაა იტყოდა, **სავლელაა** წევდოდითო“ (ბაზგ.).

სავსე - გად. ბევრი: „იმან ილაპარაკა, ჩომა **სავსე** არიანო...“ (ხევწ.).

საზგირელი - ადგილი გამეშეთს ზემოთ, სადაც ადგილობრივთა რწმენით „თამარის სასვენია“. იხ. სადგირელი.

სათაო (<სათავე) - ადგილი იმერხევში, სადაც იმართება ტრადიციული მარიობის დღესასწაული.

სათლელი - ფული: „ზათი იქ ვიღებთ ფარას, **სათლელ**. **სათლელი** ფარას ქვია...“ (ჩაქ.).

სათივრი - ნ. სათიბი: „აქ **სათივრებია**, ჭალებია“ (ბაზგ.).

საისრები - ადგილი სინკოთის თავზე.

საკაჯე - საკაჟე, მიკროტოპონიმი მანატბაში.

საკუპრია - დაილა იმერხევი.

სალეზე - ადგილი მანატბაში: „ქვიანი ადგილია და ის დღურქმიან“ (ინფორმატორის განმარტება) (მან).

სალონი - (თ. salon) სასტუმრო, მისაღები ოთახი, დარბაზი: „ამა სალონ ვუძახით“ (მან.).

სამა - ცეკვა: „ყველა (=ყველანაირ) სამას ვისამებთ“ (წეთ.).

სამათვარიელო - ადგილი მანატბაში.

სამალავათი - ადგილი უსტამისში.

სამელე - ადგილი ჯვარისხევიში.

სამელიეთი - ადგილი მანატბაში.

სამიელი - (თ. samyeli) ცხელი ქარი: „სამიელი ხრავს, ემეს იჯება, ახმოფს... (ბოსტნეულს)“ (უსტ.).

სამსუნშიგან - სამსუნში: „ვაკითხებდი კიდევ სამსუნშიგან“ (ზ.).

სამშობლო - გათხოვილი ქალის მამისეული მხარე, იჯახი: „ჰო, სამშობლოს, სამშობლოს მივალო, იტყვიან“ (ჩაქ.).

სამცხოვრო - საცხოვრებელი: „[ქომოთ] ჯენევიზების სამცხოვრო არი“ (უ.).

სამწყარე - ადგილი და წყარო ჩიხისხევიში.

სანათური - აქ: სარკმელი: „სანათური, ემედა თუ გაკეთებული გაქ, სანათურ ვეტყვით“ (ნიოლ.).

სანარწყალი - „ბოსლის შუა ადგილას სიგრძივ გადარული ნაწილი, რაზედაც ნეხვს მიაცურებენ“ (შ. ნიჟ.): „სანარწყალიდან მიდის სანეხვეზე“ (ნიოლ.).

სანდალიე - (თ. sandalye) დიდი სკამი, ძელსკამი: „დიდ სკამს სანდალიეს ვეტყვით“ (ბაზგ.).

სანდალოს წვერი - ადგილი უსტამისში.

სანეხვე - ნეხვის გადასაყრელი ადგილი: „სანარწყალიდან გადის სანეხვეზე“ (ნიოლ.).

სანქი - (თ. sanki) თითქოს: „სანქი კადა არი“ (ბაზგ.).

სარაჯები - ქოხის სახელი უბეში.

სარბიელაჲ - ადგილი ზაქიეთი.

სარეთი - ადგილი უსტამისთან.

სარეკველაჲ - სარეკელა: „წისქვილ პური დავაყარე, სარეკველაჲ უხდებოდა“ (მაჩხ.).



სარიჩაირი - დაბაწვრილის დაილა.

სარმა - (თ. sarma) ტოლმა: „სარმას ვაკეთებთ, ლახანაში გავახვევთ...” (ბაზგ.).

სარტყელად - მთა უბის გაღმით.

სარჩა - (თ. salca) ტომატი: „ხახვ ჩუურევთ, სარჩას ჩუურევთ”(უსტ.).

სასამურად - საცეკვაო, ცეკვა: „სასამურადა ორთაბათუმი, დუუკრა’და, თქვენ ისამოთ’ნა” (ზ.).

სასვენნი/სასვენებელი - განსასვენებელი, საფლავი, აკლდამა: „თამარას სასვენზე ქვა იყო, მეც დევნახე”(ბაზგ.); „იქ ეწერა: თამარ დედოფლის სასვენ-ებელი” (ბაზგ.).

სასკვივრე - მთა უბეს ზემოთ.

სასიარულოთ - სასეირნოდ: „ჩვენ’ნა წევდეთ, სასიარულოთ ვართ ამოსული”. ნ. სავლელად.

სატრედო - ადგილი ჯვარისხევში.

საუზმარი - საუზმე: „საუზმარი დილაზე, ზარმელი, სადილი, ვახშამი” (უსტ.).

საფა/სეფა - (თ. safa) ცხოვრებით დატკობა: „ენა ვერ იტყვის ჯენნეთის საფას”(მან.).

საფანელი - წვნიანი საჭმლის შესქელების მიზნით გამოყენებული ფქვილი (შ.ფუტკ.): „... ცარიელი თუ გააკეთე ფხალი, მაშინ საფანელ ამოვჭკრავთ”(ხობ.).

საქმე - სამსახური, სამუშაო: „ძალი საქმეზე მივა”(ბაზგ.).

საქმეზე დავა - საქმეზე დადის, მუშაობს: „...ძალი საქმეზე დავა-და, ათი წელიწადია საქმეზეა”(ბაზგ.).

საქმით გაწუხება - საქმით შეწუხება, საქმის მორევა, როცა ადამიანი ვეღარ აუდის საქმეს: „საქმემ გამაწუხა, საქმემ მემერიო, - ჩემი ბაბო იტყოდა”(მაჩხ.).

საქმობა - საქმიანობა: „ასე ხელში დაჭერული რა’ნა ისაქმო”(ბაზგ.); „რას საქმობთ?” (მაჩხ.).

საქორია - 1. ზიოსის დაილა. 2. მანატბის დაილა.

სალანი - თევში, ნ. საანი: „ეს თასია, ეს სალანი”.

სალი - (თ. sağ) ჯანმრთელი: „ემჯამი ჯანი სალი იყოს”.

საღლამი - (თ. sağlam) ჯანმრთელი: „ერთი თანე კდარი დეიბადაო, რაცხა საღლამი არ იყოო” (ბაზგ.).



საღლული - (თ. Sağlık(ği)) ჯანმრთელი: „**საღლული** არ არიან, ავატყოფი არიან” (ბაზგ.).

საყვევრა - ადგილი უბეში.

საყინაური - ადგილი მანატბაში.

საჩმა - 1. (თ. saçma) საფანტი. 2. ბადე; თევზის საჭერი ბადე (იხ. ლექსიკონი, 2001): „[თევზს] დელეებში დეაჭირავ **საჩმაით**“ (უკან.).

საცქვეტავი - რაც აცქვიტებს, სიჩქარის კოლოფი? „ერთს არაბა ყავდა, **საცქვეტავი** შემეშალაო” (მან.).

საწეთური - საწვეთური.

საწიკი - საზიდი: „აღმა **საწიკი** არ აქ, დაღმა **საწიკი** არ აქ”(წეთ.).

სახში - სახლში: „მაკარნა **სახში** ცომით გაკეთებული უმფო გერმელია“ (ზ.).

საჰათი - საათი: „**საჰათი** შევბი კლავზე, / აველ საზგირელაზე...” (ბაზგ.).

საჰანი - (თ. sahan) ნ. საანი, საღანი.

სები - (არ. sabi) მცირეწლოვანი, უმანკო: „მეიყრებიან მეზარში კდარი შვილები, / თუ გყავს იმ დუნდას **სები** ბაღნები...” (მან.).

სედეყე - (არ. sadaka) მოწყალება.

სეირობა - (თ. seyir(yri)) ყურება: „ჩვენ **ვსეირობთ** იქა, ტელევიზიონში” (უსტ.); „ზოგსა **ვსეირობთ**, ზოგსა ვერ მივმხდარვართ” (ჩაქ.).

სელავათი - (თ. selavat) ლოცვა.

სელვი - (თ. selvi) კვიპაროსი: „მაღალი არიან **სელვი** ფიდანზე” (მან.).

სელამით - (თ. selam, selamet) მშვიდობიანად, ბედნიერად: „**სელამით** აი, **სელამით** ჩამოი” (უსტ.); „ღმერთმა **სელამეთით** მიგასხან” (ლოცვა).

სენე - (თ. sene) წელი, წელიწადი: „ონ **სენე** იყო მუხტარი” (ჩაქ.).

სემერი - (თ. semer) უნაგირი: „[კაცი ამბობს] იცინე, იცინე, თუ გიგიტებ-ნია **სემერი**, დაგაგლეჯ კბილებო” (ბაზგ.).

სერბესი - (სპ. srbes) თავისუფალი, დამოუკიდებელი (შ. ფუტკ.), აქ: დაშვებული, ნებადართული: „ღორი **სერბესია**” (ჩაქ.).

სერები - ადგილი მანატბაში.

სერთი - (თ. serti) მაგარი: „ჭაჭა ზათინ მეტი **სერთია**” (ბაზგ.).

სერი ჭალა - ადგილი კოკბერეთში.

სეფა/საფა - (არ. safa) განცხრომა, შვება, ქეიფი, დროსტარება (შ. ნიჟ. შ. ფუტკ. საფა): „[ჯენნეთში] ტკბილათ ცხოვრება და **სეფა** არი...” (მან.).



სეფილი - (თ. sefil) მორიდებული, მოკრძალებული, წყნარი; „ერთი თანე **სეფილი** გამოდგა“ (სვ.).

სექურიანტი - დაცვის თანამშრომელი; „**სექურიანტია** ფაბრიკაში“ (ბაზგ.).

სვავს - სვამს; „ჩაის **სვავს**“ (უკან.).

სვალი - (არ. sual) შეკითხვა, კითხვა; „რათ გინდა **დუნაში** დიდი ქონება,/დიდი ქონების **სვალი** დიდია...“ (მან.).

სვამობ - ვსამობ; „ახლა აღარ **სვამობთ**, ზველათ - **სვამობდით**“ (უსტ.).

სვანეთი - ადგილი ზაქიეთში.

სვამს - აქ: ეწევა სიგარეტს; „სამოც წელს **ვსვი** მე ძიგარად“ (ივ.).

სვემს - სვამს; „[ღვინოს] ზოგი **სვემს**, ზოგი - არა“ (ივ.).

სიარული - სეირნობა; „**სიარულზე** ამოსული ვართ“ (ბაზგ.). ნ. **სავლე-ლაა**, **სასიარულოთ**.

სიდედრი - აქ: დედამთილი; „სარეს [რზალია] **სიდედრი** ყავს, მეც ვერ ვეტანები...“ (დ.).

სიკვდილი - განარჩევენ რამდენიმე სახეს: 1. **მოკდა** ზოგადად გარდაიცვალა; 2. **მოიყლარჭა** დაიხრჩო; 3. **გაცდა** გაბოროტებით იტყვიან ვინმეს გარდაცვალებაზე; 4. **ყეზა//ყაზა ქნილა** ავარია მომხდარა, უბედური შემთხვევით მომკვდარა.

სილაჰი - (არ. silah) იარაღი, საჭურველი; „... გაგხეთქე ქვა და კლდემი შიგა **სილაჰი** ამოვდე“ (ჩაქ.).

სინი - (თ. sini) ლანგარი; „ეს **სინია**, ეს ლანგარი“.

სინწარე - სიმწარე; „ღმერთმა არა **სინწარე** არ დაგანახვოს“ (დალოცვა).

სირა - (თ. sira) რიგი, ჯერი; „წყლის **სირა** მაქ. ერთი მოსულიყო ერთი **სირა-და**“ (უ.).

სირათ - თანმიმდევრობით, მიყოლებით; „ბითავი **სირათ** არ ვიცი“ (დ.).

სიციელი//ციციელი//ცისიელი - მეხი.

სიცოცხლე - აქ: ცხოვრება; „მე წევდე, ამათ **სიცოცხლე** ვერ'ნა გაარიგონ. **სიცოცხლე** ასე არი“ (ბაზგ.).

სიხი - (არ. sik) ხშირი; „სიმინდი **სიხია**, თხელი'ნა იყვეს, ჰო“ (ხევწ.); „მაშინ **სიხი** იყო და გვიჭირევდენ“ (ზ.).

სიხიში - (თ. sikişik) დახურული(?); „**სიხიში** იყო, გორბაჩოვმა გასხნა“ (მან.).



სმა - აქ: მოწევა სიგარეტის: „ჩემი კაცი **სვამს**, მეც **ვსვამ**, ვერ გიმიგდია [სიგარეტზე ამბობს]”(უსტ.).

სობა - (თ. soba) ლუმელი: „ფადყანა რალას ზიხარ,/თბილ ოდაში, **სობი** ძირში”(შავშ.).

სომეხები - სომხები: „**სომეხები** ბილა ყოფილან და წამუუსხრეკიან“ (უ.).

სომეხეთი - შოლტისხევის უბანი.

სოდ - (თ. soy) ჯიში, გვარი, სახეობა.

სორწიო - აგარის ძაილა.

სხვა სოდ - სხვაგვარი: „თქვენი ლაპარაკი **სხვა სოდ** არი“ (უ.).

სოდადი - (თ. soyad) გვარი, ჯიში: „უბეში ბევრი **სოდადი** არი...”(უ.); „ძველი **სოდადი** არ ვიცი, ახალი დემირი ვარ”(სვ.).

სოფლიერი - სოფელი: „**სოფლიერმა** გააკეთეს ად ჯამე”(ჩაქ.); „**სოფლი-ერმა** კაცმა კითხა” (მაჩხ.).

სოფლურად - სოფლური: „სოფლებში ქორწილი **სოფლურად**”(სვირ.).

სოფლური - აქ: სოფელი: „მე, ჩვენ აქ ამ **სოფლური** ვართ”(ზენ.); „ჩვენ **სოფლური** არიან, ბიჭიც ქართულია, გოგოც ქართულია“ (უსტ.).

სოდრა - (თ. sonra) შემდეგ, მერე: „შენ **სოდრა** გასწავლიო”(ბაზგ.).

სოხრა - მომსახურება: „ყველა **სოხრაში** ფარას აძლევ”(ბაზგ.).

სუზმა - (თ. süzme) გაწურული მაწონი: „გაწურავ დო იქნება, **სუზმა** იქნება”(ჩაქ.).

სუთი - (süt) რძე.

სუთმაქინა - (თ. sutmakine) რძის გამოსახდელი მანქანა, სეფერატორი: „იმათ **სუთმაქინა** არ აქვან”(უ.).

სულალე - (არ. süllale) შთამომავლობა, გვარი, მოდგმა: „იმისი **სულალე** იქნება”(უსტ.).

სული - სუნი: „ღორი ხორც ჭამენ? ის იჭმის? **სული** უდის”(ზაქ.).

სულთან აჰმედი - ჯამე სტამბოლში.

სულის ეზიეთი - სიკვდილის აგონია, სულის მიცემა. ნ. **ჯანს აძლევს**: „ჯანს აძლევს, ვიტყვით, **სულის ეზიეთშია**”(ბაზგ.).

სუნგალი გაჰკრა - გაჩუმდა: „ზროხა წამეყვანაო, რომ თქვით, **სუნგალი გაჰკრა**, გაჩუმდა”(მან.).

სუნნეთ დუგუნი - (თ. sünnet düğün) წინადაცვეთის რიტუალის აღსანიშნავი წვეულება.



სუნნეთჯი - (თ. sünnetçi) ვინც ასუნათებს, ვინც სუნნეთს (წინდაცვეთას) აკეთებს: „ახლა დოხტორთან მიხყავან, ამა სოფელში არიან **სუნნეთ-ჯები**”(წეთ.).

სურა - (არ. süre) ყურანის თავი: „ყურანის **სურები** ეზბერად ვიცი”.

სურეთი - აქ: სახე: „ჰეზრეთი ყურანით მეზარში მოვა,/ლამაზ ენგილოს **სურეთში** შევა”(მან.).

სურმელოდ - ძროხის სახელი: „ჩამოყარე, ნენოჯან,/ ჩამოყარე **სურმელო-ჯან**”.

სუსანოლლი - ქობის სახელი უბეში.

სუჩლი - (თ. suçlu) დამნაშავე: „მამინ ესა **სუჩლი** იქნებოდა”(ჩაქ.).

სუფხანელა - (არ. suphanallah) „ღმერთო, ცოდვისაგან მიხსენი” (შდრ. შ. ფუტკ.).

სუჯი - ვინც სარწყავ წყალს მეთვალყურეობს: „ერთ კაც ვიჭირავთ, ფარას ვაძლევთ... იმა **სუჯი** ქვია”(უსტ.).

სხვირათი - იგულისხმება სხვირათის ხიდი, საშიში ხიდი საიქიოში: „[ბავშვები]... ქარსავენ გეირბენენ იმ წმინდა **სხვირათს**”(მან.).

სხმა - ჩაყვანა, წაყვანა ბევრისა, ჩარეკვა საქონლის: „... ჩიხორის თავ **ჩავასხი** საქონელი”(უსტ.).

ტ

ტათლი - (თ. tatli) ტკბილი, ტკბილეულობა: „**ტათლის** გააკეთებენ”.

ტალუდი - თევზი: „ამ შოშემს დეღებში ჩახვალ და დეღჭირავ, ჰამა აღარ არი **ტალუდი**. **ტალუდი** თევზია, სხვა სახელი არ აქ”(ხოხ.).

ტანა - (თ. danat) ხბო: „**ტანას** თურქები უძახიან, ჩვენ ხბუებ ვეტყვით-და, **ხბუებ**”(ჩაქ.).

ტანტრაბა//ტანტრაფა - დერეფანი: „ამას კარ-მიდამოს ეტყვიან, შესასლელი – **ტანტრაბაა**”(ნიოლ.).

ტაპიკი - ტაბიკი.

ტადა - (თ. dayi) ბიძა, დედის ძმა.

ტაშ'ი - (თ. taş) ქვა: „**ტაშ** აგორებდა”(ჩაქ.).

ტახტა - იხ. თახტა.

ტბათი - ახალდაბის (იხ.) მეორე სახელი.

ტელეფონის დაწვრილება - თელეფონის დარეკვა.



ტეფთა - წეფთა, იგულისხმება წეფთას ციხე: „**ტეფთა** ძველი სახელია. იქ ვიყავით ბევრი, იქავრობა ჩვენ დავანგრეთ” (ზოხ.).

ტვარი - (სპ. duvar) ქვის კედელი, ყორე, სახლის საძირკველი (შ. ფუტკ.): „ეს ქვები მეზობელმა მოყარა, **ტვარი**’ნა ააშენოს”(უ.).

ტიბეთი - ტბეთი: „ერთი ქილისა ... **ტიბეთში** იყო”(მან.).

ტივიძები - გვარი უბეში.

ტივიძენი - მინდორი უბეში.

ტიტველამ - შიშველი: „გამემიღოს, **ტიტველამ** არ ვარ (სვირ.).

ტიტველი სერი - ადგილი ჯვარისხევში.

ტიტვირი - ბაგე, ტუჩი: „სხვამ თაფლი ჭამოს და შენ **ტიტვირები** ილოკეო”(უსტ.).

ტლაპო - თხელი ტალახი (ქველ).

ტომათესი - ნ. **თომათესი**.

ტოტვი - ტოტი. აქ წინა კიდური: „ორი **ტოტვი** აღმა აწია დათვმა”(მან.).

ტოლი - სიმინდის ტარო: „კოტორიც ქვია, „კოტორი” „**ტოლი**” ერთია” (ჩაქ.).

ტყიპირამ - ადგილი მანატბაში.

უ

უ - შორისდებული უი, გამოხატავს აღტაცებას: **უ**, ჩვენი გამზე (ხევეწ.).

უუჰ, უუჰ! - შორისდებული, გამოხატავს წუხილს: „[დედამთილს] უთხრეს, არ ესმისო, **უუჰ, უუჰ**, ყვირის...” (მან.).

უართ/ვუართ - ვუვლით: „ჩომა გყავს, ხარები გყავს, **უართ**”(ბაზგ.); „რძალი **უარდა** [მამამთილს], კაა რძალია”(მაჩხ.).

უბე - სოფელი იმერხევში.

უბრახუნებს - უაზროდ ლაპარაკობს: „**უბრახუნეთ** ბევრი, მე არ ვიცი, არა“ (ა.). შდრ. ნიჟ. ერახუნება.

უგოვლეელი - უგუვლეელი, გაუვლეელი, „ავატყოფი რომ ვერ დადის”: „... ჰასტალული რომ იქნებიან ადნი, **უგოვლეელი** ჰასტალული, იმა ისე აჭმევენ” (ჩაქ.).

უდინგლავს (<უდინგლებს) - უსმენს: „ახლა არ **გვიდინგლავს**“ (შავშ.).

უდინს - უდის: „ყრალი სული **უდინს** ანწლის ფურცელ“ (მან.).

უვრევ - უურევ (<აურევ): „მე ლიმონათს **უვრევ**“ (ზაქ.).



უზონია - უძოვია: „[ჯარს] ... **უზონია, უზონია და დაწოლილა**“ (ხევწ.).

უზური - (თ. uzul) ნათქვამი, ნანდომი, ნასურვილვე: „ღმერთის გამჩენელის **უზურზე** მოვალთ“ (მან.).

უიანული - (თ. uyanık) გამჭირახი, მკვირცხლი, მოუსვენარი, გაბედული: „ერთი თანე მეგემ სეფილი გამოდგა, მეორე **უიანული...**“ (სვირ.).

უკან - 1. წინ: დაწოლა **უკან** წავალთ ოდებში” (მან.); 2. შემდეგ: „... „**უკან**“ ჰერალდა მოიდეს, იგია „უკან“: „ორ დღეს **უკან**ნა წევდე, ზეგნა წევდე” (მაჩხ.).

უკანაი - შემდეგი, მომდევნო: „ჩემი დიდი შვილი არი, იმის **უკანაი** ბაჯალა არი, გოგო” (ბაზგ.); „აღარ მახსოვს, **უკანაი** დამავიწყდა”.

უკანეთი - ადგილი უკანეთის მაჰალეში.

უკანეთის მაჰალე - აგარის უბანი.

უკან ხევი - ადგილი კოკბერეთში.

უკითხვებია - უსწავლებია: „[გრიგოლ ხანძთელს] ... აქა **უკითხვებია**“ (უ.).

უკნედან < უკნიდან - შემდეგ: „შენ ჩემ **უკნედან** მოდი, ნუ გეშინია“ (უ.).

უკრენ - უკრავენ: „თქვენ სოფელში ასე **უკრენ?**“ (უსტ.).

უმუსლეელი - მოუსვლეელი ხილი: „სანამ არ იჭმება, **უმუსლეელი**, კვახეა“ (მან.).

ურაშდა - ღმერთმა მაშოროს: „მე არავისი ჰარამი არ მინდა **ურაშდა, ურაშდა**, ძარები შუქურ“ (უ.).

ურახუნებ - გად. უაზროდ ლაპარაკობს: „არაფერი არ ვიცი და **ვურახუნებ**“ (ბაზგ.).

ურდული - კარის საკეტი კეტი (ხის, რკინის): „**ურდული** მიკრულია“ (ნიოლ.).

ურუბა - (თ. urba) ტანსაცმელი: „**ურუბა** შეწყობილია მათ ლამაზ ტანზე“ (მან.).

უსაქმური - უმუშევარი: „საქმე არ აქ კაც, **უსაქმურია**“ (წეთ.).

უსტამისი - 1. სოფელი შავშეთში. იხ. ესკი ყალე. 2. ციხე შავშეთში.

უსულაი - (თ. usul, usul-usul) ჩუმად, ჩუმ-ჩუმად: „მაშინ ადეთი ასე იყო, **უსულაი** ლაპარაკობდენ”.

უსუფოდლი - ქოხის გვარი უბეში.

უქუმათი - მთავრობა. ნ. **უქუმეთი**: „**უქუმათი** არ გვეშველება“ (ნიოლ.).



უქუმეთი, ჰუქუმეთი//ჰუქუმათი - (თ. hükümet) ხელისუფლება, მთავრობა: „ქართველებს უქუმეთი არ ქონდენ“ (დ.).

უყურეგდებულებს - ყურადღებას აქცევს: „...იმაზე მიცემული მაქ კლიტე და უყურეგდებულებს... ჰო, უყურეგდებულებს“ (ბაზგ.).

უშხანა (<ყუშხანა) - (თ. kuşhane) ქვაბი: „ამას დახრეს, უშხანაში ჩახყრი“ (ჩაქ.).

უჩადი - (თ. ucak) თვითმფრინავი: „ერთ დღეს გავავჩანეთ, უჩადით წევდა“ (მაჩხ.).

უჩყარდემი - ბაზგირეთის დაილა. იხ. ჯანჯირი.

უხედ-ი - ადგილის სახელია იმერხევში: „სამი თანე გზა არი, ერთი წეთილეთ ჩადის, ერთი უხედ თერეფში“ (ჩიხ.).

უხერეთი - ადგილი მანატბაში.

უხლავა - ცომის ფენის გასაბრტყელებელი ჯოხი: „ამას ჩვენ გავალბეთ უხლავით“.

უხრავი - ბოტ. შდრ. მაყ. უხრავა.

ფ

ფაზანი - (თ. Kazan) ქვაბი: „ზეს მაქინაში გავწურავთ, შუუდგამთ ფაზან, ფაზანი ეივსობა“ (ჩაქ.).

ფაზარი - (თ. pazar) 1. კვირა; 2. ბაზარი: „ფაზარი იყო, ისტამბულ ფაზარი“ (ხობ.).

ფათათესი - (თ. patates) კარტოფილი.

ფათიკი - (თ. patik) ფაჩუჩი: „ფეხებისთინ ფათიკი ვქსოვთ, „ფათიკ“ ვეტყვით ჩვენ“ (მაჩხ.).

ფათოლლები - ქობის სახელი ჩიხისხევში.

ფათუნაჲ//ფათფათაჲ - ბატიბუტი: „ფათუნაჲ, ჩვენ ფათუნას ვუძახით, ფათფათაჲ (ჩაქ.). შდრ. ზ.აჟ. ფათფუთაჲ (შ. ნიჟ.).

ფალაზაჲ - (თ. Palas ნაცვეთი, ნაგლეჯი ტანსაცმელი, ძველმანი, ძონძი შ. ნიჟ.) ის ვისაც ფალაზები აცვია: „მარშან იმტე ფალაზაჲ იყო“ (ჩაქ.).

ფალაზი - მეტსახელი ერთი ზიოსური „გვარისა“: „შემსასავეთ დადიან ფალაზები“ (ზ.).

ფამფარა - მთის ბალახია ერთგვარი.

ფანთოლი - (თ. pantolon) შარვალი.

ფარნუხი - სოფელი იმერხევში.



ფარფარა - ყურის ბიბილო: „მაგას „ქუფელას“ ვეტყვით, ზათი თურქია „ქუფელა“ არი, „ფარფალასაც“ ვეტყვით”(ჩაქ.).

ფასაფორთი//ფაშაფორთი - (თ. pasaport) პასპორტი.

ფასტა - (თ. pasta) ნამცხვარი.

ფაფართის ხეობა - იმერხევის ხეობა.

ფაქეთი - (თ. paket) პაკეტი.

ფაჩავრა - (თ. paçavra) ჩვარი: „რე იქნა ფაჩავრა?“ (ზაქ.).

ფაცხა - წნული სახლი (საბა): „ერთი ფაცხა სახლი აქ“(ზაზგ.).

ფაჭა - „ცვილის ნაწური“(საბა): „[ფუტკარს] თაფლი მააქ, იმას აკეთებს...

ფაჭა რჩება“ (ზაზგ.); „ჯერ ფაჭას გააძნობ, გახდება ლისი“ (ზაზგ.).

ფაჭვა - თოხნა, ფხევა: „მე ყანა'ნა მეფაჭა, სახწინედან ყანაში“.

ფახილი - (თ. pahil) გულქვა, ხარბი, შურიანი: „ახლა ქი ბაბოს უძახიან, მე ფახილი ვარ, მეც მყოლოდა ბაბოა“(მაჩხ.).

ფახილობა - შურიანობა: „მოაგონდებოდა, ფახილობა იყო“ (წეთ.).

ფახირი - (თ. bakir) სპილენძი. ნ. ბახირი.

ფეგ'ი - (თ. pek) ნასახლარი.

ფეიღამბერი - წინასწარმეტყველი, აქ: მუჰამედი: „კითხვა და ლოცვა მოგვცა მან,/გვასწავლა თელი ჩვენ ფეიღამბერმან...“(მან.).

ფელჯი - (არ. felç(ci)) დამღირებული: „დედამთილი ფელჯი გახდა, ... ჭკვაში არ იყო და... (ზაზგ.).

ფენა, ფენათ - (თ. pena) ძალიან, ბევრი: „მარტოდ დავჭი ფენა“ (უსტ.); „ო, ფენათ არიან [ლორები]“.

ფენჯერი - (თ. pencere) ფანჯარა.

ფერი - (სპ. peri) კეთილი სული, ფერია: „ფერი და ჯინი ადნი არიან. კამ იქნება ფერია, გონჯი – ჯინი“(წეთ.).

ფერება - მოხერხება, შეძლება, შესაბამისობა: „გურჯიჯა ყოლადა აფერებ-ჰო?“ (ა.); „ჩვენი გურჯიჯა აზ არ ფერდება“(ა.).

ფერვანი - (თ. pervane) ხრახნი: „დეზგარი აქ იმას, ფერვანები აქ იმა“ (ზაზგ.).

ფესვანდი - ფესვები(?): „... გავატად ქარ და ნიავესა,/შენი ფესვანდია,/ცხრა კოჭამდინ გასულია“ (სვირ.).

ფესტილი - (თ. pestil) ტყლაპი: „ჭახე ფესტილ გავაკეთებთ ტყიმალ-დან“ (დაბწ.).

ფეფელა - ადგილი უსტამისში.



ფექრიენტონი - ქობის სახელი უბეში.

ფეხდაფეხ - ფეხით, ქვეითად: „იქიდან ქი მიდიოდენ ბათუმში **ფეხდაფეხ**” (შავშ.); „მაშინ **ფეხდაფეხ** გევლოდენ, მაშინ არაბა არ იყო“ (ჩაქ.).

ფეხის დაგლა - ფეხის დაჟეჟა, „ფეხის ... ადგილობრივი გასქელება, დაკორჟება, დაკორძება” (შ. ნიჟ.); „**დამგალა** ფეხიო, იტყვიან” (მაჩხ.).

ფეხის დაშპენა - ფეხის დაცურება: „თუ **დიგიშპა ფეხი**, მაშინ დედნახავ” (ბაზგ.).

ფეხსაბრუნებლამ, იგივეა რაც ფეხნაქცევამ: გათხოვილი ქალის მშობლების ოჯახში მისვლა ქორწინებიდან ორმოცი დღის შემდეგ: „**ფეხსაბრუნებლამ** მივიდოდა” (ჩაქ.); „ყველა წელიწად **ფეხსაბრუნებლამ** მივიდოდა ბაბოს სახში, ჰამა ის ადგა ახლა” (ჩაქ.).

ფიდან - (თ. pidan) ნერგი.

ფიდე - პურის კვერი: „კაკალ **ფიდეს** მოვაყრით”.

ფინტი - (თ. pinti) ცუდი: „**ფინტი** გზაა” (კოკ.).

ფინთათ - ცუდად: „**ფინთათაა** რაცხა და არ ამბოფს ნენე” (მაჩხ.).

ფინთიშე - გველი. იხ. ბობოლი: „**ფინთიშესაც** ვეტყვით, ჰამა მისი სახელი ბობოლია, გძელი ემე არია?” (ჩაქ.).

ფისათ - მწარედ: „ბზიკი ფენა **ფისათ** გიკბენს” (ხობ.).

ფიქალათი - ადგილი დაბაწვრილში.

ფიქალი - „კლდის ქუა ძარღვებიანი, რომელიც თავისთავად დაიშლება ფიცრებად სხვადასხვა ნაკვეთისად“ (ნ. ჩუბ.) „**ფიქალი** დაბურული იყო” (უსტ.).

ფიშმანი - (თ. pişman) ფიქრი.

ფიწალი - თივის ასაღები ოთხთითა: „**ფიწალს** შიშიდამ ვაკეთებდით” (უ.).

ფიხი - ღუმელის ზედა ნაწილი. იმერხეველი ქართველების მეტსახელი, მეთურქულე შავშელებისაგან შერქმეული: „**ფიხიო**, გვეტყვიან ისინი. **ფიხი** სობაჲს თავია...” (ნიოლ.).

ფიჯი - (თ. piç) გადაჯიშებული მცენარე: „სხლისა **ფიჯი** იქნება, ვაშლიც არი **ფიჯი**” (ჩაქ.).

ფოდრა - (თ. podra, პუდრა) პუდრი: „ზოგი ახლა დობტრებთან ემე აყრიან... **ფოდრას** აყრიან” (ბაზგ.).

ფოთელი - ფოთოლი: „**ფოთელ** იმა ვეტყვით, დიდვან ფურცელ მედსხამს, **ფოთელ** იმას ვეტყვით” (ნიოლ.).



ფომფა - (თ. pompa) ტუმბო: „დერმან გავათხელებთ, **ფომფაში** ჩავასხამთ” (ჩაქ.).

ფომფვა//ფუმფვა - ფომფით (ტუმბოთი) ნარგავების შეწამვლა: „მეიკიდავ **ფომფას**, იმა აქნევ, ასე, **ვფომფავთ**”; „ასე **ვფომფავთ**, ასე ემე იჯება, აშხაპებს ყართოფს ფურცლებზე”(ჩაქ.); „ილაჯ იმას ვიჯებით, **ვფუმფავთ** და ვხოცავთ” (ჩაქ.).

ფოტოგრაფები - აქ: ფრესკები: „უჩ თანე **ფოტოგრაფები** იყო (ტბეთის ქილისაში)” (მან.).

ფოტოლაფი - ფოტო: „ჩემი **ფოტოლაფი** ბათუმში'ნა ჩევდეს“ (სვირ.).

ფოშა -1. ბოშა, 2. მათხოვარი: „ძველათ [კალათს] **ფოშები** აკეთებდენ და ევლებდით” (უ.); „სხვაგანიდან მოსული რომ იკრეფენ, ჩვენ **ფოშას** ვეტყვით” (დავ.).

ფოცხველი - ფოცხოველი: „**ფოცხველი** ნენედ არ ვთვლი“ (მაჩხ.).

ფრანგეთი - საფრანგეთი: „**ფრანგეთში** ... ეკონომია კადა“ (ჩიხ.).

ფრუწუნი - აქ: ქარის წივილი, ქროლა: „[სახლები] წინ-წინ უთავნო [იყო], **გვიფრუწუნებდა** ქარი” (უსტ.).

ფულის დაწვენა - ფულის დაბანდება საპენსიო ფონდში: „**ფული** **ვაწვინე**, ემექლი გავხდი“ (ბაზგ.).

ფურნე//ფურუნი - (თ. firin) 1. თონე; 2. ღუმელი: „**ფურნეში** გამუაცხობთ”.

ფურჩა (?): „ლაილონს დავაგებთ, ჩადირს, **ფურჩათ**” (ბაზგ.).

ფურცელი - აქ: ტოტი: „**ფურცელ** მოვსტეხავ, ვუბრაგუნებ”(ჩაქ.).

ფუტიენთი - ქოხის სახელი უბეში.

ფუში - სტომაქი, კუჭი: „აქ ფუხრობაა, აქავრ კაც **ფუში** არ გუუძღება” (ხევწ.).

ფუშიანი - ფეხმძიმე: „**ფეხძიმეზე** ვიტყვით, **ფუშიანი**აო”(იფხ.). შდრ. აჭ. მუცლიანი.

ფუშტი - ცული: „სკამი დეენგრა, **ფუშტი** სკამი გუუკეთებია”(ბაზგ.).

ფუჩო - ხბო: „ამას **ფუჩო** არ უქნია” (ხევწ.).

ფუხარა - (არ. fukara) უქონელი, ღარიბი, გაჭირვებული: „ბირქერე **ფუხარადან** გამოხველ, **ფუხარა** ფუხარაში ჩავარდები”(ბაზგ.).

ფუხრობა - სიღარიბე, გაჭირვება: „ლამზიდან **ფუხრობა** აღარ არი, ახლა ჯერანებია” (ბაზგ.); „ჩვენში **ფუხრობა** მეტია“ (ხევწ.).



ფუხრული - ღარიბული, ღარიბი: „ჩემ ბარობად დასახლდა...**ფუხრული** იყვენ” (ბაზგ.).

ფშუნა'ა//ფშნილა'ა - ყველის სახეობა: „[ვიციტ] ჭადი, გევრეგი, **ფშუნაა**, გამდნარი... ზამთარში ჭამე და იყავი”(უ.); „[მხალს] მოხარშავ, გაწურავ, ...იმას **ფშნილას** ჩააყრი, **ფშნილას**...”(ბაზგ.).

ფჩხილი - ფრჩხილი: „[ზავშვს] **ფჩხილ** არ დავაჭრიდით, ... ახლა დეეზადება აჭრიან“ (მაჩხ.).

ფცქვინი - ვირთხა: „**ფცქვინი** დიდი თავგია”(დას.).

ფხალ-ლობიო - შეჭამანდი: „ლობიოს მოხარშავ კარქა. წვენ წავწურავთ, გადავასხამთ, იმა ამოვლესავთ ასე ციცხვით (გაქვან ციცხვი?), ლახანას მოხარშავ, კარგა მედხარშვის, კარქა'ნა გაწურო. გარცხა, ეჩოდთ დანაყე, ლობიოს წვენი, დარჩენილი, დაასხა, ხახვი ძაღში'ნა მოხრაკო, ნიორიც'ნა დანაყო, რაცხამდენი გიამება, ლობიოც ჩაყარო“ (იფხ.). იხ. შ. ფუტკ. **ფხალობიაა**, შ. ნიჟ. **ფხა[ლ]ლობიაა**.

ქ

ქათი ჯვარი - ადგილი მანატბაში.

ქალი - ცოლი: „ღმერთმა კაა **ქალი** მოგცეს” (წეთ.); „აგი ზმის **ქალია**” (წეთ.); „... ამის **ქალიც** ჩემი მულის ბაჯალა არის”(ბაზგ.).

ქალი-კაცი - ცოლ-ქმარი: „ღმერთმა **ქალი-კაცი** ერთ ბალიშზე დაგაბერონ” (ლოცვა).

ქართველ-ი - აქ: ქართული: „ჩვენ ლაპარაკში თურქა შერევა, **ქართველ** შინა თურქა შერევა“ (ბაზგ.).

ქართველიჯა - ქართული.

ქართოფი - კარტოფილი: „[ქერს] აღარ ვთესავთ, **ქართოფ** ვთესავთ“ (ჩაქ.).

ქართული - აქ: ქართველი: „ჩვენ სოფლური არიან, ბიჭიც **ქართულია**, გოგოც **ქართულია**” (უსტ.).

ქარი (სპ. kar) სარგებელი, შემოსავალი: „ემერთმევენია თელი, მე **ქარში** ვიყავ...”(ხევწ.).

ქარიათი - ადგილი ახალდაბაში.

ქაფირი - ურჯულო, ურწმუნო, გაიური (იხ. შ. ნიჟ.).

ქაჩხიე - წინიდან(?): „ერთი საქმე ერთ თერეფიდან, **ქაჩხიედან**, წინედან გაძლოლა უნდა...” (უსტ.).



ქელი - (სპ. kell) მელოტი, ქაჩალი: „თმა რომ არ ექნება – ქელია“ (უსტ.).

ქემალათ - (არ. kemal) სრულად, მთლიანად: „ეს ვაიზი აგზე დედლია თელათ,/ათავდა აგზე ყველაჲ ქემალათ“ (მან.).

ქემენჩა - საკრავი ინსტრუმენტი, ქამანჩა: „იგი დავლით იჯება, ლაზი - ქემენჩით“ (ჩაქ.).

ქემერი - (სპ. kemer) ქამარი, თალი: დაბლა ჳიდია, **ქემერიანი ჳიდი**“ (უ.).

ქეა- მამასახლისი, დამცველი, ვეკილი: „ქალებმა კაცებ ქეა გუუხდა...“ (მან.).

ქენერი - (თ. kener) ნაპირი, განაპირა: „იგზე იყვენ, ყანის **ქენერზე**“ (უსტ.).

ქედენთი - ადგილი შოლტისხევში.

ქერიმი - (არ. kerim) კეთილშობილი, მოწყალე: „ჩვენი ყურანი **ქერიმში** კაჲ არ არი“ (ჩაქ.).

ქერქში ყოფნა - თავისთვის ყოფნა: „თავის **ქერქშია**, ბევრი არ'ნა გააწუხო“ (ბაზგ.).

ქესკერე ვერდუმ ონა (?): ... აქ ბაბოს სახში ვარ, აღარ ვარ იმთთან, **ქესკერე ვერდუმ ონა**“ (ბაზგ.).

ქვაბითავ მაილა - საზაფხულო სამოვარი იმერხევში.

ქვავევერები - ყანა მანატბაში.

ქვაკიბე - მაილა იმერხევში.

ქვატაბლა - ადგილი უკანეთის მაჳალეში.

ქვეშეთი - 1. ქვემო უბანი მაჩხატეთში: „**ქვეშეთ** მივალ“ (მაჩხ.). 2. ქვემო: „ზემოთ მიხუალთ თუ **ქვეშეთ** მიხუალთ?“ (ჩიხვ.).

ქვიტაური//ქვატაური - ადგილი ზენაგარაში.

ქი - (თ. ki) კავშირი რომ.

ქიზინეთი - ადგილი მანატბაში.

ქითაბი - (არ. Kitap) წიგნი: „ხანდახან **ქითბებს** ემე იჯება, კითხუ-ლობს...“ (ბაზგ.); „ზეველ **ქითბებ** არ შეინახდენ“ (ხევწ.).

ქილიმი (თ. kilim) ფარდაგი: „მა ჯეჯიმი გექნება, მა **ქილიმი**“ (ჩაქ.).

ქილისა//ქილისე 1. (თ. kilise) ეკლესია: „ძველათ ყოფილა **ქილისა**. თუთხმეტი სოფლის **ქილისა** ყოფილა“ (ა.); 2. ადგილი ახალდაბასა და ზენაგარაში.

ქიმი (თ. kimi) ზოგი: „ე ჩვენ **ქიმი** ოქულში თურქა დეიწავლიან“ (უსტ.).

ქირეზა - (თ. kiraz//kirez) ივნისი: „**ქირეზა** მილევნიხან ამოვალთ“ (უსტ.).



ქირვა - (თ. kirve) ნათლია: „ერთი წლის უკან ქირვას დააყენებდენ. ქირვამ დასუნათების საქმეს აკეთებდა“ (წეთ.).

ქმარად - ქმრად: „[ხოჯა] ამას კითხავს, შენ ეს კაცი ქმარად გინდა თუ არაო?“ (შავშ.).

ქოთეთრისი - სოფელი შავშეთში.

ქოილუქ (?): „ჩვენ ჩაირში ახლა ვართ და ქოილუქ და ვჭამოთ“ (ჩაქ.).

ქოლა//ქოლე (თ. kōle) მოსამსახურე, მონა, მოჯამაგირე: „იმათი ქოლა ვყოფილიყავ? რა ზორი მაქ ვექოლაგო?“ (ბაზგ.).

ქოლობა - მოჯამაგირეობა, მონება: „რათ'ნა ვექოლაგო, ვეხიზმეთქარო“ (ბაზგ.).

ქოლოდ - ურქო პირუტყვი, შდრ. აჭარული დოლაძე: „ერთი ქოლოდ თხა ჰყავან, ნეფეც თოფალი ხყავან“ (ზენ.).

ქომიენთი//ქომინთი - ქოხის სახელი უკანეთის მაჰალეში.

ქომო - ქვემო: „ქომოდან გამოთხოვილი ვარ, ჰვეი მაჰალედან“ (ზაქ.).

ქომობანი - 1. უბანი უსტამისში: „ეს არი ქომობანი, ზოგი დაფანტული არიან ქომოთ“ (უსტ.). 2. უბანი დაბაში.

ქომოთები - ქვემოთ, ქვევითა ადგილები.

ქომოთკენ - ქვემოთ: „[ფუტკარი] ქომოთკენ წავა, აღმაც წავა, თელგან წავა იშტე“ (ბაზგ.).

ქომო მთა - ადგილი უკანეთის მაჰალეში.

ქორი - 1. საბძელი: „ქორებ ავავსებთ თივით“ (ბაზგ.); „ქორი ადა, მერეგსაც ვეტყვით, საბძელსაც“ (ჩაქ.). 2. ბრმა (თ. kör): „ქორია, მარჯვენა თვალი ჩახუჭული აქ“ (ბაზგ.).

ქორწინაძ - ადგილი ჯვარისხევში.

ქორული//ქორუგი - (თ. körük) საბერველი: „ქორულ ამბობს! ქორუგით დავფუთავთ, მივაფუფთ ასე...“ (ბაზგ.).

ქოსიენთი - ქოხის სახელი უბეში.

ქოფრი - (თ. köprü) ხიდი: „შენ ეს ქოფრი გააკეთე, მე ეს ყალენა გავაკეთოვო“ (დას.).

ქოშა//ქოშე - (თ. köşe) კუთხე: „[მოჭრილ ჭიპს] ჯამის ქოშაზე ჩამოდეხენ“ (წეთ.).

ქოჩეგი - მოცეკვავე.

ქუთული//ქუთუგი - (თ. kütük) კუნძი, მორი, ჯირკი: „ძველათ ბუხარი იყო, ქუთულე მუუდებდით, შორიდან ვთბებოდით“ (ჩაქ.).

ქუნდი ჯვარი - ადგილი ჩაქველთაში.

ქურდიკეთი - ადგილი შოლტისხევში.

ქურდი ყანათი - სათესი ზენაგარაში.

ქურდუკიძე - გვარი ხევწვრილში.

ქუფე - (თ. küpe) 1. საყურე: „ეს ალთუნ **ქუფა**“ (ჩაქ.); 2. ქვევრი: „ბაღებში იმდენი შარაბის **ქუფებია**, მოთხარე, თალღაა გამოდის“ (უსტ.).

ქუფელა - (თ. küpela) საყურე: „მაგას **ქუფელას**“ ვეტყვით... ზათი თურქნაც „**ქუფელა**“ არის“ (უსტ.).

ქუფრი - მაგარი: „ხმიადი მაქ, ცოტა **ქუფრია**“ (ჩაქ.).

ქუჩუჩი - ფოჩვი, სიმინდის ქოჩორი: „...[სიმინდი] ... კოტრებ გეძკეთებს, **ქუჩუჩ** მეიბამს...“ (ხევწ.).

ქყავან - გყავან: „დოდოფალი **მოქყავან**,/მეფე თოფალი **ქყავან**“ (მაჩხ.).

ღ

ღადღო - დაილა შავშეთში: „უბური თა ზათი **ღადღა**“ (უ.).

ღარჭი - 1. შვილი: „ოთხი თანე მყავს **ღარჭები**: ორი ბიჭი და ორი ბაჯალა“ (ზ.); 2. ვაჟი: „იმას ერთი გოგო ყავდა, არ ყოლია **ღარჭი**“ (შავშ.).

ღარჭზე დაწოლა - სამშობიაროდ დაწოლა: „**ღარჭზე დაწვაო**, იტყვიან, დალოგინდაო, იმასაც იტყვიან“ (ბაზგ.).

ღარჭობა - ბავშვობა: „**ღარჭობაში** ერთი დედე იყო“.

ღაჯინი - გაბრაზობა, შეჩენა; **მაღაჯინებენ** მაბრაზებენ: „**მაღაჯინებენ**, არიან, ასე გიმღერიტაო“ (უსტ.). შდრ. შ. ნიჟ. ჯღინი.

ღეზაბი - (არ. gazap) წვალება, დარდი, გაჭირვება: „დაგარტყმენ თოფუხს, შეხვალ **ღეზაბში**...“ (მან.).


ღენჭო - კუთხე, წიბო: „მოცლილ კბილსაც შევნახავდით, **ღენჭოში** შევდებდით, დუზი კბილი ამუუვდესო“ (წეთ.).

ღერესეთი - (არ. arasat) ადგილი, სადაც, ისლამის მიხედვით, საშინელი სამსჯავროს დღეს თავი უნდა მოიყარონ მკვდრეთით აღმდგარმა სულეებმა (შ. ფუტკ.): „ზამანი მოვა და შეიყრება/იმ **ღერესეთის** წარე მეიდანზე,/ამ ტყვილი ქვეყნის ყველა მილლეთი“ (მან.).

ღერსანუმ (?): „გათავდა დუნმაში ომრი **ღერსანუმ**“ (მან.).

ღვიანარები - ადილი მანატბაში.

ღვიორო//ღიორო - ღადარი, ნაკვერცხალი: „და მოხარშავ, და **ღვიოროზე** შეწვავ“ (ბაზგ.).



ღმა - ღრმა: „[თევზს] ღელეებში დედჭირავ საჩმადო, თორით, (იხ.), რა ვიცი მე, ღმა არალი“(უკან.).

ღმაღელითავეები - ადგილი მანატბაში.

ღმერა - მღერა: „აქ იმდენი **იღმერებენ** ქი, ვერ დაწერავ“(ჩიხ.).

ღმერთმა ამართვა - გად. მომიკვდა: „მე ბიჭი მყავდა, **ამართვა ღმერთმა უწინ**“(მან.).

ღმერთმა ბევრი დღე მოგცეს - დალოცვა.

ღმერთმა გაგახაროს - დალოცვა.

ღმერთმა გაგბარგოს - წყევლა, გად. ღმერთმა მოგკლას (უ.).

ღმერთმა დღე დიგილიოს - წყევლა, გად. ღმერთმა მოგკლას.

ღმერთმა შინ სელამეთით (მშვიდობით - ავტ.) **ჩაგასხან, მიგასხან ოღლუშადთან** (ცოლ-შვილთან)“ - დალოცვა.

ღმერთმა შვიდობით ჩეგიყვანოს - დალოცვა.

ღომელათი - ყანა მანატბაში.

ღორი - მაგარი, ძლიერი, გამტანი (იხ. შ. ფუტკ. **ღორაი**): „ჩვენ მაგარი გურჯი არ ვართ. **ღორი**’და იყვე...“(უ.).

ღუდუდი//ჰუდუდი - (თ. Hudut(du)) საზღვარი: „**ღუდუდზე** ჩვენ კაცი დიგვიჭირეს იქა“(მაჩხ.).

ღურბელი - ღრუბელი: „ღმერთმა აქევრი **ღურბელი** არ დაგანახვოს“ (ხევწ.).

ღურღულეთი - ადგილი მანატბაში.

ყ

ყაბ-ი - (თ. kap(bi)) ჭურჭელი: „აღმართზე აღარ ვწიკავთ **ყაბებ**“(უსტ.).

ყაბალი - (თ. kabak) გოგრა, ხაპი (შდრ. შ. ფუტკ.): „ამას მოჩოშტად [მოჩოჩთად] ქვია, **ყაბალი**“(ხევწ.); „ჭიაზე **ყაბლი** გულ მიართმიდენ, ის გააყრიებსო“(წეთ.).

ყაბაყურავი - ყბაყურა: „**ყაბაყურავი** - ყურები გუუსივდებოდა“(წეთ.).

ყაბულობა - (თ. kabul(lu)) თანხმობა, დათანხმება: „ვინცხამ ქი იკითხეს, არ **იყაბულეს**“(უ.); „მან მოვდა, დოსტობა ვქნათო, **ვიყაბულეთ**“(სვ.).

ყადრი - ფასი, დაფასება: „მანი ჩემი **ყადრი** არ იცოდენ“(ბაზგ.).

ყავან - ყავთ: „აქ ვინც დგებიან, **ყავან** ძროხა...“ (მაჩხ.).

ყავანი//ყავალი - (თ. kaval) სალამური: „რა ლამაზათ **ყავან** უკრავს“ (ბაზგ.).



ყავარი - აქ: სახურავი: „ფენა, ფენა ბევრი გათოვლდება **ყავარზე** ავა თოვლი”(ბაზგ.); „[დოდოფალს] სიძე **ყავარზე** დახდება“ (სვ.).

ყავეჯოლი - ქოხის სახელი ჩიხისხევში.

ყაზა - (თ. kaza), ყაზა-ბელა, უბედური შემთხვევა, ავარია: „ღმერთმა ყველა **ყაზიდან** გადაგარჩინოს”(დალოცვა).

ყაზა ქნილა - დაღუპულა ავარიით, უბედური შემთხვევის მსხვერპლი გამხდარა: „**ყაზა ქნილა** - მოკდა“ (ბაზგ.).

ყაზანი - (თ. kazan) ქვაბი: „... **ყაზანი** ალთუნი ბათუმში ქონდა დარჩომილი” (უსტ.).

ყაზიალი - (თ. gazyag'i) ნავთი: „ერთ თენექე **ყაზიალ** სამ მარჩილად იღებდენ ბათუმ...”(ზ.).

ყათი - 1. ხელი: „მოქონდენ ტანსაცმელი. ერთი-ორი-სამი **ყათი** რაცხა მეიტანეს” (შავშ.). 2. სართული (თ. kat): „შვიდი **ყათი** სახლი მაქ იზმით” (ბაზგ.).

ყათირი - (თ. katir) ჯორი, აქ: ცხენი: „საფუტკრი კარში დააბა ცხენი მაჭებლელმა. დაკბინა ფუტკარმა. გიმიბღეზე ფუტკარიო, მოკლა **ყათირი**”(ბაზგ.).

ყათმერი - (თ. katmer) ფენები, ფენოვანი: „ასე გააღებ ძუხას, **ყათმერ** გააკეთებ” (უსტ.).

ყალე - (არ. kale) ციხე: „შერთული ქი გამეძარეთ, **ყალე** რომაა, იგი რაბათია. **ყალე** ახლა დაანგრიეს...”(ჩაქ.).

ყამჩიეთი - ადგილი მანატბაში.

ყანადი - (თ. kanat(di)) ფრთა: „ძერაჲ სხვაჲ, ასე დიდრვანი **ყანადები** აქ და ჰავაში ფრინავს”(ჩაქ.).

ყანა - აქ: მიწა: „სიყვარულობა ჩემ **ყანიდან** ვინცხაჲ ხართ, ისინი არიან“ (მან.).

ყანეები - ყანები: „ჯარ აღარ ვინახავთ, მოვკნათ, **ყანეები** წვრილია, მაქინა არ შედის“ (უ.). შდრ. აჭ. ყანეები//ყანიები.

ყანთარი - (თ. kantar) სასწორი: „ასე წონენ **ყანთარით**”(ა).

ყაბი - (არ. kayıp(di)) დაკარგვა, დაკლება: „**ყაბი** გახდები, კი ამუალ, დღე და მოიდეო”(ხევწ.).

ყაისიფე - (თ. kaysi) გარგარი. დიალ. kaysefe (შ. ნიჟ. შ. ფუტკ.) ჩირის შეჭამანდი.



ყარაბუა - ხარაბუა: „შავი ფერის მოზრდილი მწერი, ტარაკანის მსგავსი“ (შ. ფუტკ.).

ყარა დენიზი//ყარა დენისი - შავი ზღვა, აქ: შავი ზღვის რეგიონი: „წუხელი თელევიზიონში ვუყურებდი **ყარადენისი** ტიროდა“ (ნიოლ.).

ყარალოღლი - ქობის სახელი უბეში.

ყარაყირჩილი - შავთავთავიანი ხორბალი: „აქ **ყარაყირჩილს** დათესდენ. ახლა ადგა, აღარ დათესვენ“ (უ.).

ყარდაში - (თ. kardeş) ძმა: „ჩემი ბაბო და იმისი ბაბო **ყარდაშები** არიან“ (ა).

ყართალი - (თ. kartal) არწივი.

ყარსელოღლი - ქობის სახელი ჩიხისხევში.

ყარშიბერი - (თ. karşiberi) მოპირდაპირე: „აგია ჩემი სახლი, **ყარშიბერი**“ (ბაზგ.).

ყაფა - (არ. kafa) თავი: „**ყაფა** აღარ მაქ, **ყაფა**“ (მან.).

ყაფაღლი - (თ. kafali) სახურავიანი: „გუგუმი **ყაფაღლებიც** არიან, ჰამა აღარ იყიდებიან“ (უ.).

ყაფი ნ. კაფი.

ყაფის მოცხება - კარზე ცემა, რახუნი: „ერთი შევხედე, საღამოზე, შუაღამეზე **ყაფი მოცხო**, გუუღე...“ (ჩაქ.).

ყაშული - (თ. kaşık) კოვზი ნ. **კაშული.**

ყაჩ - (თ. kac) რამდენი:

ყაჰვერენგი - (არ. kahverengi) ყავისფერი.

ყედიმი - (არ. kadim) უსასრულო, მუდამ (შ. ფუტკ.): „მეორე დღეს გამუალთ **ყედიმი** კარში...“ (მან.).

ყედისი - (?): „აისი **ყედისი** თელი დაწვერე“ (მან.).

ყეზა - (თ. kaza) უბედურება, მარცხი ნ. **ყაზა.**

ყერიბი - (არ. kerip) უპატრონო, ობოლი: „**ყერიბი** მეზრებია“ (ბაზგ.); „**ყერიბია** იგი, ძეგანია, ჰამა მოსული მოსაფირია“ (ბაზგ.).

ყერიბობა - ობლობა, მიუსაფრობა: „ბევრი ძეთიმობა გამოვწიე, ბევრი **ყერიბობა** გამოვწიე, ნენეჯან“ (ბაზგ.).

ყერო - ღერო: „ეს სხვილი **ყერო**, ეს წმინდა **ყერო**, ბითავად ხე“ (ნიოლ.).

ყეფვა - აქ: ყვრილი: „**ყეფავს** ოსმანად, გაჰერსებულია“ (წეთ.).

ყვარიან ჯვარი - ადგილი უსტამისის ზემოთ.

ყველაჳინ - ყველა: „ნუსხას **ყველაჳინ** ვერ დაწერს“ (ბაზგ.).



ყია - ყელი: „წუჭყირა **ყიაში**“ (წეთ.).

ყიზათმა//ყიზართმა - (თ. kizartma) შემწვარი ხორცი: „**ყიზათმას** ვეტყვით ჩვენ იშტა, ძაღში ემე, **ყიზათმა** თურქა იშტა“ (ხობ.).

ყილიჯი - (თ. kiliç) აქ აზარტული თამაში ზარებით: „**ყილიჯი** ითამაშებდენ ზარებით“ (ხევ.).

ყირყიტონი - ხორხი: „**ყირყიტონი** შიგან არი“ (ჩაქ.).

ყირხ გუნ - ორმოცი დღე: „**ყირხ გუნ** იტყვიან, ყირხ, ქალი არ უნდა გამოვდეს, ჰამა...“ (ბაზგ.).

ყისმი - (თ. kisme) მოდგმა: „სახში ქალი **ყისმი** არაა...“ (ბაზგ.).

ყიშლა - (თ. kişlak) საზამთრო საძოვარი მთასა და ბარს შორის: „**ყიშლები** დაკეთებული იყო“ (უ.).

ყიშლები - ადგილი ახალდაბაში.

ყიშლისთავები - ადგილი დაბაწვრილში.

ყიანოზი - (თ. kovan) სკა.

ყოლა - ყველა: „[სიტალინსა] ... **ყოლა** ადგილიდამ თითო კაცი უთხოვნია“ (უ.).

ყლარჭვა - ხმის ჩახშობა: „ნუ **ყლარჭვა**, ლამაზათ იმღერე, იმღერე კიდე, ამუშვი ხმა“ (ბაზგ.).

ყოვილი - ყვავილი: „ცაცხვის **ყოვილი** ... ჩემ რძალმა მოკრიფა და... ვახმოფთ“ (მან.).

ყოლაი - (თ. kolay) ადვილი: „გურჯიჯა **ყოლაი** აფერებთ“ (ზენ.).

ყონუშობა - (თ. konuşmak) ლაპარაკი: „დაჯე, **ყიყონუშოთ**, ხალები არ დეიგება აქ“ (ბაზ.).

ყორავა/ო - (თ. korava) აქ: დადუღებული ხილის (უმეტესად ვაშლის) წვენი, სიროფი (შდრ. შ. ფუტკ.): „ვაშლიდან **ყორავას** მოვადუღებთ, გაათხელებ, სუამ“ (დაბაწ.).

ყორიენთი - ადგილი უბეში: „აქ ღორღეანი ალაგია“ (უ.).

ყორაგარა - უსტამისის უბანი.

ყუი - (თ. kuyu) ორმო: „თველზე ამოვთხრით და **ყუებში** ჩავხყრით, ავავსებთ **ყუებსა**“ (ხობ.).

ყუმაში - (თ. kumaş) აქ: ქსოვილი: „მაქინაჯი ვარ, **ყუმაში** ვკერავ“ (სვირ.).

ყურადი - (თ. kurak) გვალვა: „**ყურადი** იქნებოდა, დედწებოდა მიწა...“ (ჩაქ.).



ყურბანი - (არ. kurban) შესაწირავი, სამსხვერპლო: „ჩხოვობიხან... ბატონისთუნ შეპირობებია, ამოსლიხან ღიორო დავინახო, ყურბანი'და დავკლაო...”(უ.).

ყურბეთი - (არ. kurbet) უცხო მხარე, უცხოეთი: „ყურბეთში ვართ ჩვენ იმფო ბევრი...”(ზენ.).

ყური დოუწიწა - ყური აუწია, გად. დატუქსა: „გაჰერსიანდები და ემეს იქ მაშინ და ... „ყური დოუწიწავ” (უსტ.).

ყური უგდევით - მოუსმინეთ: „ამა განა ყური უგდევით“ (უსტ.).

ყუსური - (თ. kusur) ნაკლი: „მარტოჲ გაგდეზ, ყუსურ ბახმა”(ზ.).

შ

შავქვაბები - ადგილი ჯვარისხევში.

შავტყეები - ადგილი მანატბაში.

შანსი - (şans) ბედი, ხვედრი: „იქიდან შანსი ისე მქონდა, რა ვიცი”(ბაზგ.).

შარაბი - (სპ. şarap) ღვინო: „იქვერი შარაბები მედტანეს, წითელი შარაბი, გერმელი იყო” (ბაზგ.).

შარმათები - ქობის სახელი უბეში.

შარაფხანე - ღვინის სახლი, მარანი: „ყალეს გადმოღმიდან თერეფში დერგები იყო, იმდენი, შარაფხანე იყო თელი...”(უსტ.).

შარიენთი - ქობის სახელი უბეში.

შაული - ადგილი ახალდაბაში.

შაფხა - (თ. şapka) ქუდი: „არ ცემო, არა, შაფხა მიეცი”(ბაზგ.).

შედგმა - აქ: დაზვინვა თივის: „[ჭალას] ... მოვათიბიებ, შევდგამ, მასკვან გავყიდავ“ (დაბ.).

შეგნება - შერჩევა: „შააგენითო, ამოდთო, ადგილი შააგენითო”(უსტ.).

შედლობა - შედღვება, ათქვეფა: „მაწონს ვარიამი შევდლობავ“ (უსტ.).

შეერი/შეჰერი- (თ. şehir) ქალაქი: „ჩუენ აქ ვსაქმობთ, შეერშიც ჩავდივარ ბალნებთან” (ბაზგ.); „შეჰერში წადიან გენჯები”(ხევ.).

შეყრა - შეხვედრა: „თუ არ მოვკვდი და ბათუმში ჩამუელ, შეგეყრები თქვენ“ (ზაქ.).

შიდისი - (şeyda) სიყვარულით შერყეული: „ახლა იქ მიექუჩენ, შიდისი ქი წამოიდა”.

შეკიკი - (თ. şekik) შაკიკი: „თავი(ს) ტკივილი გექნება, შეკიკი, დეიკი-დო'ნა” (ზაქ.).



შეკოჭვა - შელოცვა, ცრუ რწმენით მხედისათვის პირის შეკვრა, საქონელი რომ არ შეჭამოს: „აილაზე შევაკოჭიებდით ხოჯას, გელს პირი შეეკოჭებო, ხალაა შეაკოჭიებდა“ (წეთ.).

შელიგობა - (თ. şenlik) მხიარულება: „მეიყრებიან, ისამებენ, იცეკვებენ, იშელიგებენ და ისვენ წავლენ“.

შედათაქიბი - (თ. şeytan - ეშმაკი) ეშმაკივით: „შედათაქიბი აშხანაყალარ თირფანს თიბავს“ (ჩაქ.).

შენი დასმული - შენი ნაშობი, შენი შვილი: „შენი დასმული და მოგცეს ღმერთმა, მალე ამართვა, პატრობაში“ (ბაზგ.).

შენთანა - შენისთანა: „... ვერ ვიპუე შენთანა, ე დუნია მევიარე“ (უ.).

შერბეთი - (თ. şerbet) შარბათი, ტკბილი, შაქრიანი წვენი.

შეფაღეთი - შევება, დასვენება (შ. ფუტკ.): „დიდი ფეიღამბერი ჩვენ გვიზამს შეფაღეთს“ (მან.).

შექერი - (თ. şeker) აქ დიაბეტი, შაქრის დაავადება: „თელი ავათ ვართ, შექერი მჭირს...“ (უსტ.).

შექერლი - შაქრიანი, დაშაქრული: „რა ქენით, დააყარეთ? ბექმეზი დუღდება, ზათი შექერლია, რათ უნდა“ (ხევ.).

შექცევა - შებრუნება (იტყვიან ავადმყოფობაზე): „კარში არ გუშვებდით, არ შუუქციოსო“ (წეთ.).

შეყრა - შეხვედრა: „შეყრებით კილო“ (ხევწ.).

შეშა - ხე, შეშა: „ამ ჩვენ დეფნებში შეშის სახლები შამუა“ (ზენ.); „შეშით არი თქვენი სახლები?“ (ჩაქ.).

შეხვრეტა - შეხვრეპა: „ყართოფს მოვხარშავთ, მაწონს შეხვრეტ, ... ჩაის ვჭამთ“ (უ.).

შეხლა - შეყრა, შეხვედრა.

შეხრესა - დაფშვნა: „იმა მოჰკრეფენ, გაახმობენ, შეხრესენ“ (ჩაქ.).

შვაფი - შვაფი: „თოვლი ქი წამოვა, შვაფია“ (ჩიხ.).

შველა - დახმარება, მიშველება: „ჩევდე'ნა, ვუშველო'ნა“ (ნიოლ.).

შვილი - აქ: ვაჟი, ძე: „ერთი შვილი მყავს, ორი ბაჯალა“ (მაჩხ.).

შვილოჯან - მოფერებითი ფორმა მიმართვისას: „დავბერდით, შვილო-ჯან“ (ბაზგ.).

შიგან - შიგ: „კილო არიან შიგან“ (ზაქ.).

შივაყენე - შევაყენე: „მაწონი შივაყენე, ე რა ჯავე გამოდგა...“ (უსტ.).

შილი - მაზლის ცოლი: „ორი ბაჯომ შილები იყვენენ“ (მაჩხ.).



ერეკლე
საქართველოს
საქართველოს



შინა - თანდ. ში: „... ქართველ **შინა** თურქცა შერევილია (ბაზგ.)

შიშა ნ. შეშა: „ფიწალს **შიშიდამ** ვაკეთებდით”(უ.).

შიში - (თ. şış) შამფური: ხორცსა იმა, **შიშებ** ააცმენ, ჭალი იმას ვეტყვით”(ზ.). იხ. **ჭალი**.

შიშიმკვლელა **გურჯი** - მშიშარა ქართველი: „ჩვენ ვერ გვეტყვიან **შიშიმკვლელა** **გურჯები**”(უ.).

შიშმანი - (თ. Şişman) მსუქანი, სქელი: „ვითხოვო'ნა **შიშმანი**/არ გომიხდე ფიშმანი”.

შოლტისხევი - სოფელი იმერხევიში.

შორვა - (თ. çorba) წვნიანი კერძი. ნ. **ჩორბა**.

შოში//**შოშე**(<შოსე) - გზა, ტრასა: „აქ **შოში** არი-და, ქვეშიდან **შოში** მუა იქიდან...”(ხობ.).

შუადრობა - შუა ხანი, მთაზე (დაილაზე) ყოფნის შუა პერიოდი. შდრ. აჭარული **შუამთობა**: „ჩვენში რა არი იცი? **შუადრობიხან** იქნება მარიობაა...”(უსტ.).

შუუსობს - დაუსობს: „ეს ხაშარია, ლობიოს **შუუსობ**“ (ზ.).

შულლაზე - გვარი აგარაში.

შუშე - მინის ჭურჭელი: „ლამაზათ შეხრესენ და **შუშეში**, ემეში ჩადებენ”(ჩაქ.).

შუშკუნ-ი - (თ. şuşkun) უენო, ჩუმი: „... შენსავენ ასე **შუშკუნ**, მაღალი ემედი ქალი იყო...”(ბაზგ.).

შჭრის - ჭრის: „ხაფხულში **შჭრიან**, ახმობენ...”(ჩაქ.).

შხაპება სხურება, შესხურება, მისხურება: „**აშხაპებს** ყართოფის ფურცლებზე”(ჩაქ.).

ჩ

ჩააბემს - ჩააბამს: „ზეველებურა ჯარებ **ჩავაბემდით**“ (მან.).

ჩაბერტყვა - ჩაყრა: „კროჭი გექნება რაცხა, იქში ედღებ, მუუშვებ, **ჩავბერტყავთ**, ჩამევეტანთ...”(ბაზგ.).

ჩადება - გად. დასაფლავება: „დილაზე თუ მოკდა, შუადღე უკან **ჩადებენ**, საღამოზე თუ ემედი იქნა, დილაზე შუადღემდი **ჩადებენ**”(ბაზგ.).

ჩადირი - (თ. çadir) ბრეზენტი: „ლაილონს დავაგებთ, **ჩადირს**”(ბაზგ.).

ჩავდარი - (თ. çavdar) ჭვავი, სვილი: „ჩვენ ბულდას „**ჩავდარ**” ვეტყოდით”(უ.).



ჩაირი - (თ. çayr) ბალახი ნედლი: „**მონჯა ჩაირია, მოთიბავ**“ (ვოკ.).

ჩაკითხვა - შელოცვა: „**სამჯელ ამას ჩულებთხავ**“.

ჩალღი - (თ. çalgi) დასაკრავი, მუსიკალური ინსტრუმენტი: „**ჩალღი** ორი-სამი ჩემიტი'ნა მეყვანო“ (ჩაქ.).

ჩამაშურ მაქინა - (სპ. çamaşır makinesi) სარეცხი მანქანა: „**ჩემ ძალმა მისცა** ბაჯალას **ჩამაშურ მაქინა...**“ (ხობ.).

ჩამოყრა - რძის მოცემა ძროხის მიერ: „**ხბოს მოვაწოვიებდი,** **ჩამოყრიდა**“ (ა.).

ჩაპეპლვა - აქ: წვრილად ჩაჭრა: „...**ყართოფ დავთლით, სინში** **ჩაპეპლავთ, დაღ, ფშნილას მუყართ...** შევდგამთ სობაში, **გამოცხვება**“ (ბაზგ.).

ჩარში - (თ. carşı) ბაზარი: „**აიჰანა ჩარშიში წევდა**“ (ბაზგ.).

ჩასხმა - 1. სითხის (რძე, მაწონი...) ჩასხმა ჭურჭელში: „**მოღურთი'ნა** **ჩავასხა**“ (უსტ.); 2. ჩაკვრა მჭადის, პურის...: „**კვერებ... თექრენ ჩავსხამთ** იშტე სობაში“ (ბაზგ.); „**დაკვრასაც იტყვიან, ჩასხმასაც იტყვიან**“ (ა.).

ჩაუში - სამხედრო პირი, გამრიგებელი: „**ერთი ბაგენიდან აბდულა** **ჩაუში იყო**“ (უსტ.).

ჩაფარდება - დაფარვა: „**დრო მუა, რომ ჩაფარდება** (დაიფარება) აქავრო-**ბა, გათოვდება**“ (ბაზგ.).

ჩაფრასტები - ქოხის სახელი უბეში.

ჩაქველთური წყალი - ჩაქველთას წყალი.

ჩაქველთი - ჩაქველთა სოფელი იმერხევში.

ჩაქვიძე - გვარი ზაქიეთში.

ჩაქვრიენთი - ქოხის სახელი ზაქიეთში.

ჩაქურიძე - გვარი ხევწვრილში.

ჩაყაფანება//დაყაფანება დაკეტვა, დახურვა: „**დანაზე უკითხვენ დუას,** **ჩაყაფანებენ, დადებენ...**“ (სვ.).

ჩაწოლა 1. სიკვდილი: „**ჩემი ბაბოდ ბათუმში ხაფისხანეში ჩაწვა...**“ (ჩიხ.); 2. ჩამოწოლა, ჩამოშლა: „**ეგა მეზობელია, გზის ადგილი ჩაწოლილა და** აკეთებს“ (მან.).

ჩაწურვა - აქ: ჩასვლა მზის: „**ახმანამაზზე მზე ჩეიწურვის, შვიდ დეყე** უკან“ (ჩაქ.).

ჩაჭახვა - ჩაწყობა ერთიმეორის მიყოლებით: „**[ასკერებმა] თითო-თითო** მოკრიფეს, მოყარეს და იგზე ჩაყარეს თექრენ, **ჩაჭახეს, მიაყარეს**“ (სვირ.).



ჩახვი - პარკი: „**ჩახვი** ჩასახამ, ჩადეფ გოფში, დანოტილ გოფში, გედწურვის”(ბაზგ.).

ჩახლი ახო - ადგილი მანატბაში.

ჩახყრის - ჩაყრის: „[კარტოფილს] ყუებში **ჩახყრით**...” (უკან.).

ჩეგიყვანა - ჩაგიყვანა: „ღმერთმა შვიდობით **ჩეგიყვანოს**“ (დ.).

ჩეთინი - (თ. çetin) ძნელი, რთული: „თქვენი წერა **ჩეთინია**, ჩვენი ყოლაა“ (დ.); „გურჯიჯა ჩვენი ფენა **ჩეთინია**“ (მან.).

ჩემი დედამისი - აქ: დედაჩემი: „**ჩემი დედამისი** თურქულად არი“ (მაჩხ.).

ჩემსამ - ჩემთან: „**ჩემსამ** ქართული არ იციან“ (ზ.).

ჩენგე - (თ. çenge) ყბა: „ღმერთმა **ჩენგე** დიგიყაფანოს”, - ამგვარი ვიცი“ (იფხ.).

ჩერჩევე - (სპ. çerçeve) ჩარჩო, ბუდე: „ახლა ისე, ლისა-მე, **ჩერჩევე** რომ არი, მაქინები გვაქ გამოსაწური”(ბაზგ.).

ჩეშტი - (თ. çeşit) სხვადასხვა სახის, სხვადასხვანაირი: „ყველა **ჩეშტი** არის, ყველა ჯინსი არის” (უსტ.); „ჩალი ორი-სამი **ჩეშტი**ნა მეყვანო“ (ჩაქ.).

ჩეხოტი - მანატბელთა დაილა: „**ჩეხოტი** აღარ წავდივართ“ (მან.).

ჩვენათა - ჩვენი: „უქუმათი არ გვეშველება, **ჩვენათა** რაინა ვქნათ“ (მან.).

ჩი (<ში)- თანდებული: „[მაჭახლელებს] ... ზამთარ**ჩი** გეჭთი არ აქონ“ (უ.).

ჩითა - (თ. çita) თამასა ხის. ვიწრო და თხელი ფიცარი, ფირფიტა (ქეგლ): „**ჩითებზე** ლისი დასხმული გვაქ”(ბაზგ.).

ჩილექი - (თ. çilek) მარწყვი: „ნახე, გერმელია, **ჩილექ** ლეჩერია, „მარწყვი” მავიწყდება...” (დ.).

ჩილვა - მოსინვა: „[გუგუმი] მოიკალვის, **ჩილავს**, ლამაზი არაა, შავდება”(უ.).

ჩიმაგეთი - ჩაქველთას უბანი.

ჩიტი წყარო - წყარო უსტამისში.

ჩიფთი - (თ. çift) წყვილი: „ორი **ჩიფთი** მაცვია და კიდეც მცივა”(ბაზგ.).

ჩიქინი - (?): „... **ჩიქინი** ქმარი გყოლიაო,/ის გააგდე და მე წამომყევ/ სირცხვილი ნუ გგონიაო”.

ჩიქუნეთური დაილა - ჩიქუნეთლების დაილა: „**ჩიქუნეთური დაილების** მხრიდან არის გოლი“ (ზ.).



ჩიჩეგი - (თ. cicek) 1. ყვავილი: „ვაშლს ბევრი **ჩიჩეგი** ესხა, შემცივდა და გაყარა”(ზ.); „ეს **ჩიჩეგია** (ასკილზე ამბობს), ჩაის ვაკეთავთ”(ა); 2. ავადმყოფობა (ყვავილი): „**ჩიჩეგი** სხვა არი, წითელი სხვა არი” (წეთ.).

ჩიხარი - ღელე ჩიხისხეთან.

ჩიხეთა - სოფელი იმერხევეში.

ჩიხირი - საზაფხულო საძოვრები იმერხევეში.

ჩიხისხევი//ჩეხისხევი - სოფელი იმერხევეში.

ჩიხორული - ჩიხორელი.

ჩობანი - (თ. coban) მწყემსი: „ვლაპარაკობთ **ჩობნები**”(ჩაქ.).

ჩომა - საქონელი, პირუტყვი, ძროხა: „**ჩომა** გვყავს, კარები გვყავს, უართ” (ბაზგ.).

ჩონჩხერი - ადგილი ჯვარისხევეში.

ჩორბა - (თ. çorba) წვნიანი კერძი. ნ. შორვა.

ჩოფი - (თ. çop) ნაფოტი, ხიჭვი (ქეგლ): „ნაზლიჯან წეიქცა და ჩეესო **ჩოფი**”(ზაქ.).

ჩოხა - მატყლის სამოსელი (საბა): „მახველებს, შემცივდა რაცხა, **ჩოხა** გევხადე” (იფხ.).

ჩოხიანი - გათურქებული შავშელების მეტსახელი ქართველთაგან შერქმეული: „ჩვენებურები [შავშელებს] **ჩოხიან** ეტყვიან, გძელჩოხიანებს” (ნიოლ.).

ჩოჯუხლარ’ი - (თ. çoçuklar) ბავშვები: „ოთუზბეშთანე **ჩოჯუხლარ** აკითხვინა ჩემ კაცმა” (მან.).

ჩულა - (თ. çul) ქეჩა, უხეში შალის ქსოვილი: „დედეს **ჩულად** მუუხურავს, დამჟდარა” (წეთ.).

ჩუმი - ხმა: „**ჩუმი** არ გიმილია; **ჩუმსაც** არ ვიღებდი”.

ჩუმის ამოღება - ხმის ამოღება: „... ჰიჩ არ დომინახავს [საქმრო], **ჩუმსაც** არ ვიღებდი“ (შავშ.).

ჩუნქი - (თ. çünkü, çünki) იმიტომ, რომ, რადგან: „**ჩუნქი** რაზე იცი?”(მან.).

ჩუტამ - ადგილი დაბაში.

ჩლეჩილა - ყველის სახეობა: „[რმიდან] **ჩლეჩილს** ვაკეთებთ” (მაჩხ.).

ჩხავრიეთი - ადგილი მანატბაში.

ჩხვერა - მუცლის ტკივილი, გვრემა: „მეზობელ ქი **დაჩხვერს**, შენ ფუშზე ხელი’ნა დეიდგაო” (წეთ.).

ჩხოკობა - „მთაში ზაფხულობით საცხოვრებლად ბარგის წაღებას ... და შემდეგ მთიდან ბარად წამოღებას იმერხევეში „**ჩხოკობას**” ეძახიან” (შ. ფუტკ.).



შდრ. აჭ. **თაბარობა**): „ჩხოვობიხან ახლა ღმერთისთუნ, ბატონისთუნ შეპირობია წასლიხან, ედა, ამოსლიხან ღიორო დევნახო, ყურბანი'და დავკლაო, შეპირობია”(ბაზგ.).

ჩხოვობა - ადგილი ივეთს ზემოთ.

ც

ცაკვა - სწრაფი ცეკვა: „ცევიტათ ცეკვას „ცაკვა” უთხრეს. „ცეკვადან” „ცაკვა” გახდა” (ზენ.).

ცეხისძირი//ციხისძირი - სოფელი იმერხევში.

ცვარიძე - გვარი ბაზგიურეთში.

ციცვეთი - სოფელი შავშეთში.

ციციელი - ელვა: „ციციელი ჩამოვარდება, დაჰა იქუხებს...”(უ.).

ციციენთი - ადგილი შოლტისხევში.

ციციელი დეგეცეს - წყევლაა, მეხი დაგეცესო (უ.).

ციხიყელი - ადგილი ჩაქველთას ციხესთან.

ციხისხევი - ხევი უსტამისს იქით.

ციხისური - ციხიდან: „ესა ციხისური დეგანია...” (უსტ.).

ცოცხლობა - 1. ცხოვრება: „ბათუმში შიგან ხარ? იქ ცოცხლობ?” (სვ.); 2. სიცოცხლე: „ეს ჩემი ანამს და არი [სურათს გვიჩვენებს], ახლა აღარ ცოცხლობს”(შავშ.).

ცუდათ - ამოდ, ტყუილად: „ზოგმა იქ დაჟდენ, ზოგმა კი აქ მოვდენ, ცუდეთ მარეს, ჰეჩ არ იყაბულეს”(უ.).

ცევიტად//ცევიტამ - სწრაფად: „ცევიტად ლაპარაკობენ, ვერ მივმხტარვარ” (მან.). „ცევიტად წერავს”(ა.).

ცხვარა - საჭმელი სოკოს სახეობა, ამოდის ხეზე: „ხეზე ემეში ამოდის, ცხვარას ებნევიან, თეთრი ცხვარამ, გერმელია, იმსოდ არც ხორცი იქნება” (ბაზგ.).

ცხვენია - რცხვენია: „რა სირცხვილი იყო, მცხვენია“ (უსტ.).

ძ

ძალი - რძალი: „ეს ემოს ძალია”(ჯვარ.).

ძალამ - ცუდად: „ჩემზე ძალამ არიან, ვერ გაქანებულან, გარში ვერ გასულან...” (ივ.).

ძალიანი - ძალის მქონე, ძლიერი: „არ მედღალვის, ძალიანია“ (ხევწ.).

ძახვიენთი - ადგილი კოკბერეთში.

ძე - რძე: „იცი ძე? ძე იცი, ძროხის ძე?“ (ხობ.).

ძებნის - ეძებს: „ვის ძებნით?“ (ზ.).

ძველანდელი - ძველებური: „რავად დუგუნი ქნა? პაწად დუგუნი ქნა, ძველანდელი დუგუნი ქნა“ (კოკბ).

ძველი, ძველები: - 1. ასაკოვანი, მოხუცი: „ძველებმა იციან, ახლებმა - არა“ (ნიოლ.). 2. წინაპრები: „ძველები მოსული არიან“ (ჩაქ.).

ძველებმან - ძველებმა: „ძველებმან იცოდენ“ (უსტ.).

ძიად - ბიძაშვილი: „ესაც ჩემი ძიად“ (ნიოლ.).

ძიგარად - (სიგარა) სიგარეტი: „ძიგარად გინდა, მოუკიდებთ“ (ჩაქ.).

ძიმე - მძიმე, აქ: ფეხმძიმე: „ძიმეთ იტყვიან, ფეხძიმე - იქეთურია“ (ბაზგ.).

ძოვნაზე - აქ: სამოვარზე: „ძოვნაზე მყავდა და დედკარგა ძროხა“ (ხობ.).

ძროხის აძრობა - ძროხის ახსნა: „ერთი ჩევალ, ძროხა ავაძრო, ახორშია“ (ზ.).

ძუნკალი - სალანძღავი სიტყვაა. ნ. ზუნკალი//წუნკალი: „ძუნკალი კაცია, ტყვილი უთქმია...“ (ჩაქ.).

წ

წაბძანებული - წასული: „აქევრი ვარ, ბურსაში წაბძანებული ვარ“ (ბაზგ.).

წაბძლუნება - წაჩხუბება: „ერთმანეთში წეიბძლუნენ,/მოსაკლავია შაქროს ქალი“ (შავშ.).

წაგველება - აუგის თქმა: „მე შენი ქეიფის დრო მაქო, წიგვიგველებს“ (ბაზგ.).

წადის - მიდის: „სიძე წადის და მოდის“ (მან.); „აქედან წადიან, სალამოს წამოდიან აქეთ“ (ბაზგ.).

წავლა - სწავლა: „[შელოცვა] ჩემთინ ვიცი, არც არავის ვაწავლი, არც იმათი წავლა მინდა“ (უსტ.).

წაკინდლება - წაჩხუბება: „კვამ მეზობლები არიან, აქ არავინ არ წეიკინდლებიან“ (ბაზგ.).

წალკოტი - მიკროტოპონიმი იმერხევში: „წალკოტი მაღარაც აქა“ (უ.).

წამოიარე - იარე: „უკნედან წამოიარე, ჩვენ უკნედან მოით...“ (უ.).

წამოსხმა - წამოყვანა ბევრის: „იქ ისწავლიან, იქიდან წამასხეს ქალები და აქ მასხეს“ (ბაზგ.).



წამოსხრევა - გაქცევა: „აქ სომეხები ბილა ყოფილან და წამუსხრევიან“ (დ.).

წამოციმციმება - გადატ. წამოტივტივება, გამოჩენა: „რუსი ახლა წამოციმციმდა, იქამდე თელი ოსმანლისა იყო“ (უ.).

წანდილი - მოხარშული სიმინდი ან ხორბალი ნიგვზით და თაფლით შეზავებული (შ. ფუტკ.): „წანდილ მოხარშავენ და ჭამენ“ (ჩაქ.).

წარია - იხ. მოშოშთა.

წასლიხან - წასვლისას: „...წასლიხან ჩამაცვეს ამის ბაჯის მოტანილი (შავშ.).

წასხმა - წაყვანა: „ართვინ ვინმეს საქმე აქ, წასახამს...“ (ბაზგ.).

წაშრობა - აშრობა, გამრობა: „თოვლი ქი აშრება, მაშინ, გაზაფხულზე, თოვლი წაშრება“ (ჩაქ.).

წაწევა - გაგზავნა: „აქ ცოტა წინა ემიები არიან, იმას წასწევდენ წინ“ (ჩაქ.).

წახმობა - გახმობა ნაწილობრივ: „[სიმინდი] ...წახმობენ, გაფქვენ (ზაქ.).

წაჰყვება - წაყვება: „თავი მათრიან და ენაც წაჰყვება“ (მან.).

წეთვეთი - სოფელი შავშათს უკან. შდრ. წიწვეთი.

წელწათი/წერწათი - ადგილი ჩიხისხევში.

წერვა - წერა: „წერვაზე არიან, წერვენ“ (მაჩხ.); „ჩვენ ქართულად ვიცით, ამა წერვა არ ვიცით“ (ბაზგ.).

წერი - ადგილი ახალდაბაში.

წეფთა - სოფელი იმერხევში.

წვა - ტკივილი: „გვერდი მეწვის და ვერ მილაპარაკნია“ (უსტ.); „წელი მეწვისო“ – იტყვიან“ (ბაზგ.).

წვე (<მწვედ) - ზმნიზედა, ძალიან: „წვე კარგი არ არის; წვე წინ ნუ გადიხარ“ (ა.).

წვრილი - პატარა: „იქა წვრილი ბაღნები ქართულად ლაპარაკობენ“ (უ.).

წვრილმანი - 1. წვრილები, პატარები: „წვრილმანი ვიყავით. სამ წლის ვიყავით, წევდით“ (უსტ.); 2. წვრილი: „ვიწრო ყანეები „წვრილია“ (უსტ.).

წვიდენ - წავიდნენ: „გენჯები წვიდენ იქით-აქეთ (უ.).

წიკვა - ზიდვა: „აღმართზე აღარ ვწიკავთ ყაბებ“ (უსტ.).

წინ - 1. უკან: „თხუთმეტ წელწად წინ გაკეთდა გზები...“ (უ.); 2. ადრე, უწინ, ძველად: „ენ წინ ასე იყო“.



წინა - 1. ადრინდელი, წინანდელი: „ოთხი და მყავს ერთი ძმა წინა კაციდან. უკანა კაციდან ერთი ღარჭი ეყოლა“(მაჩხ.). 2. უფროსი: „ენ წინა ბიჭი იყო ესა“(ჩაქ.).

წინაგამთი - ადგილი ჯვარისხევაში.

წინ-წინ - ადრე, უწინ: „წინ-წინ რავად ვიყავით მაილაში“(უსტ.).

წინა სირ - წინა ჯერზე, წინათ: „წინა სირ ორი თემტი მოვადულე“(ხევწ.).

წოვად - დო: „წოვად“ ვიტყვით... ნაღბის წოვად, ქვემას მუადულეებ, გახდება წოვად. ადულდება, გაცივდება, გახდება წოვად“. შდრ. შ. ნიჟ.

წონილობს - იწონებს: „ღარჭი მყავს დასასახლებელი, არ წონილობენ გომა გოგვები“(უსტ.); „მიორეები არ არიან დაქორწილებული. რა ვიცი, არ წონილობენ“(ნიოლ.).

წონულობს - იწუნებს: „კაკლის ხეჭოიდან გამოიდა, კაკლის ხეჭოს წონულობსო“(სვირ.).

წოწოლა - ვაშლის ჯიშია, ხარობს იმერხევის სოფლებში.

წოწოლაძირი - ადგილი კოკბერეთში.

წრეველ - წელს: „წრეველ არ უნდა მორწყვა, წვიმს“(მაჩხ.).

წუელა - ბალახის ღერო: „რაცხა შეგივარდება თვალში, წუელა შეგივარდება“(ჩაქ.).

წუმპო - ტლაპო: „ამ ნაფლატი ადგილი წუმპოა“(დაბაწ.).

წუნკერი - ანჩხლი, გად. ქალების მოყვარულზეც იტყვიან: „[ამის ცოლი] ... მეტი წუნკერია“(ბაზგ.); „მეტი წუნკერია და თავის თავმა დააბერა ეს, ეტყვება, ვერ ხედავ? წუნკერია... ეს ქალიც ამან დააბერა, თავის ქალი“(ბაზგ.).

წურილობა - პატარაობა, ბავშვობა: „დეგანი ფენა მიყვარდა, ესა [ფოტო] ჩემია წურილობაში“(შავშ.).

წყევარი - მაწყევარი, ვინც წყველის, იწყევლება: „წყევლა წყევარისა არი“(ბაზგ.).

წყენულობა - წყენა: „არაბას წყენულობს, წამლებს ყლაპავს“(უ.).

წყალსასმელი - წყლის სასმელი, ტარიანი ჭურჭელი, მიწისაგან აკეთებენ: „[ტალახისაგან] ...წყალსასმელსაც აკეთებდენ, ტარიან, ახლა აღარ აკეთებენ“(მან.).

წყაროსთვალი - წყარო ივეთში.

წყლის მოდინება - მორწყვა: „წყალი მოადინო'და ბოსტანში“(ნიოლ.).

ჭ

ჭადის ჩასხმა - ჭადის დაკვრა, გამოცხობა.

ჭადის ჩაშვება - ჭადის ჩაკვრა გამოსაცხობად.

ჭალა - 1. სათიბი: „მოლი ბევრი გვაქ აქა, თლათ **ჭალობა** გახდა”(უ.); „თლათ **ჭალობაზე** გაგდებულია”(უ.); 2. ყანა: „ყანას „**ჭალას**” ვეტყვით (წეთ.).

ჭალები - ადგილი კოკბერეთში.

ჭალობა - თიბვის, ჭალაში მუშაობის დრო: „**ჭალობა** არი, მილეთი არ არიან“ (ბაზგ.).

ჭამა - წვნიან საჭმელზე, წამლებზეც იტყვიან: „დეპრესიანის წამლები **ვჭამე**” (ბაზგ.). ნ. ამოჭმა.

ჭამეთე - ჭამეთ: „ჭა, **ჭამეთე!** (მან.).

ჭამიან - ჭამენ: „არ ემეს იჯებიან, არ **ჭამიან** ჭადი, პურ ჭამენ“ (ბაზგ.).

ჭალი - შამფური: „დონერ გააკეთებენ და... იმას შიშებ ააცმენ, **ჭალ** იმას ვეტყვით”(ზაქ.).

ჭახიენთი - ადგილი კოკბერეთში.

ჭედნა - ჭიდაობა: „ხარების **ჭედნა** იყო მისში”(ივ.).

ჭერი - ადგილი სახურავს ქვეშ, სხვენი: „სულ ზედთ კი დაბურულია, იმა **ჭერ** ვეტყვით“ (მან.).

ჭერულთი - ყანა მანატბაში.

ჭვამ//ჭვუამ - ვჭამ: „აგზე მესხუს **ჭვამ** ქი”(მაჩხ.); „[თაფლს] ვყიდით, ჰო, **ჭვამთ** სახში...(ბაზგ.); „[ღორს] ვკლავთ და არ **ჭვუამთ**” (უსტ.).

ჭიბონი - საკრავი ინსტრუმენტი, გუდა-სტვირი: „**ჭიბონი** დუუკარით” (უსტ.).

ჭივიენთი - ქობის სახელი უბეში.

ჭიკვიები - ქობის სახელი ჩიხისხევეში.

ჭილხევრი - ადგილი მანატბაში.

ჭიპის სახელი - ბავშვობის სახელი არაოფიციალური: „ახლა ორ სახელს არქმევენ: ერთი ახალი – **ჭიპის სახელი**, ერთი – დედებს, ძველი სახელი (წეთ.).

ჭკვადათესილი - გად. უჭკუო, ბრიყვი: „მაგას **ჭკვა დათესილი** აქ და თიბავს ჭკვას”(ბაზგ.).

ჭკვით დაწერვა - გონებით დაწერა: „**ჭკვით დაწერვა** სხვა არი, გულით დაწერვა - სხვა“ (დავ.).

ჭლიკი „ფეხის ნაწილი მუხლიდან კოჭამდე“ (ნიჟ.): „**ჭლიკი** მეტკინა, დიმისკდა...”(ბაზგ.); „მაგ **ჭლიკზე** არ’ნა შეგცივდეს“ (ბაზგ.).



ჭო (<ბიჭო) - მიმართვის ფორმა, გავრცელებულია სამხრულ დიალექტებში: „რა ცივი ხელები გქონდა, ჭოვ?!“ (ბაზგ.).

ჭოჭე - 1. წყლიანი, დატბორილი ადგილი: **ჭოჭე** ყოფილა, ვერ გეარდენ, ინსანი ვერ ცხოვრობდა (ივ.); 2. **ჭოჭნარები** (ტოპ. ნიოლეთში): „წყლიანი ადგილია და ასე დუურქმევენან“ (ნიოლ.).

ჭოჭები - ადგილი მანატბაში.

ჭუარები -სოფელი იმერხევში. იხ. ჯუარები.

ჭურჭელი:

კაპილაძე - წყლის, დოს ამოსაღები ჭურჭელი. ამზადებენ ხისაგან.

კასრი - ხისგან ამზადებენ.

კოდი - ხის ტყავისაგან აკეთებენ.

კოლოფი - ხისგან ამზადებენ.

კოში - „შიანაჲ ცარიელია, ყიანმინდაჲ“, აყირო, „ყელიანი გოგრა“ (ნიჟ.).

კროჭი - ხის ჭურჭელია.

ჭყლინტი - ჭყინტი: „სიმინდ დავთესავთ, **ჭყლინტი** ვჭამთ“ (უ.).

ხ

ხადასტრო (?): „ერთი ბიჭი მყავს, **ხადასტროში** საქმობს“.

ხავიწი - კერძია ერთგვარი, ნაღებითა და ფქვილით შემზადებული: „**ხავიწი** მაადუღებ“ (ჩაქ.).

ხალი - (თ. hali) 1. ხალიჩა, ნოხი: „ერთი **ხალი** ქონდა და ამბობდა: ად **ხალი** ბათუმში მერდევანზე დაგებული მქონდაო“ (უსტ.). 2. მთის ბალახია ერთგვარი.

ხალა'ა - 1. დეიდა, იხ. **თეიზე**; 2. მამის და: „ახლა ... ბაბოს დას **ხალას** (ებნევიან)“ (უ.); „თეიზედ, **ხალას** უძახიან გურჯიჯა“ (ბაზგ.); „ახლა **ხალას** უძახიან, გადააბრუნეს. „**ხალა**“ „ანადს“ ბაჯო იყო“ (მაჩხ.); 2. თავაზიანი მიმართვის ფორმა უფროსი ქალისადმი: „გურჯიჯა სიმღერები იცი, **ხალა**?“ (სვირ.). შდრ. დეიდა.

ხალაშვილი - დეიდაშვილი: „მე და ჩემი კაცი **ხალაშვილები** ვართ“ (ზენ.).

ხალხამი - მსხვილფეხა საქონელის დროებითი სადგომი, ფარეხი დაილებსა და ყიშლებში: „ერთ ბაზგირელ თაზე თხები ... ყავს შეყრილი **ხალხამში**“ (ბაზგ.).



ხამდა - ხელახლა, ისევ: „ბორები დახეთქილა და **ხამდა** გედევანონ'ნა“; „**ხამდა** გეთხვა“ (მაჩხ.).

ხანე (თ. hane) სახლი, აქ კომლი: „ამ თერეფზე დორთიუზ **ხანე** გახდა“ (უსტ.).

ხანებური - უცხო: „აქევრსაც აქ, **ხანებურსაც**“ (ბაზგ.).

ხანთუშეთი - სოფელი შავშეთში.

ხანცთა - ადგილი უბის თავზე, უბური ხანცთა.

ხაპერი - თავი: „... კიდო რაცხაეზი არიან და ამ სირაზე **ხაპერში** არ მაქ“ (ნიოლ.).

ხაპერის ქერქი - თავის ქალა: „[საზგირელზე] ... **ხაპერის ქერქები** ყრია“ (ბაზგ.).

ხაპერში ჭკვის მოჭუჭკვა - ვერ აზროვნებს: „დაბერდა, **ხაპერში ჭკვას** ველარ **ჭუჭკავს**“ (ბაზგ.).

ხაპი - გოგრა: „**ხაპის** ემელია, მოჩოჩდა“ (ა.).

ხაპერად - გოგრის სახეობა: „**ხაპერად** რომ არი, კოში“ ნ. კოში.

ხარზვიენტნი - ქოხის სახელი უბეში.

ხარდი - (თ. ark(ki)) არხი, სარწყავი არხი: „**ხარდი** გიგვიკეთეს აქა“ (უსტ.)
ნ. ჰარდი.

ხასი - (თ. has) კარგი, გემრიელი: „[ყაბალი]... მოხარშე, ჭამე ... **ხასი** თუ არი...“ (ხოხ.).

ხასად/ხასათ - 1. კარგად: „იქ უფრო **ხასად** იციან გურჯული“ (ბაზგ.); „**ხასად** გავაკეთე, არ უნდა“; 2. მთლიანად: „ასე **ხასად** დანგრეული არ იყო“ (უ.).

ხასმება (?): „გული გეისუფთე ღმერთის ჯამეზე, ნუ **მეხასმები** ჰემდა ხოჯაზე“ (მან.).

ხასტა - (სპ. hasta) ავადმყოფი: „ავატყოფია, ანი, **ხასტაა** დედამთილი-და“ (ბაზგ.).

ხასტანე - (სპ. hastane) საავადმყოფო: „**ხასტანებში** იყო“ (ა.). ნ. ჰასტანე.

ხასტახანა - (სპ. hastane) საავადმყოფო: „[მაჭახლელებს] ... ზამთარში გეჩთი არ აქონ... ართვინ'და ამოდდენ ქი, გამთელდენ **ხასტახანებში**“ (უ.).

ხასტანლული - (hastanlikli) ავადმყოფური, ავადმყოფობა: „**ხასტანლული** ქონდა ბევრი“ (მაჩხ.). ნ. ჰასტანლული.

ხაფისხანე - (თ. hapishane) ციხე: „ჩემი ბაბო **ხაფისხანეში** ჩაწვა“ (ჩიხ.).

ხაფისხანეში ჩაწოლა - ციხეში სიკვდილი.



ხაშარი - სარი: „ეს **ხაშარია**, ლობიოს შუუსობ“ (ზ.); „ყანაში დავასე **ხაშარი**,/დედამთილმა გამაბლუნა,/არ ვაჭამე ვახშამი“ (მან.).

ხაჩი - (თ. hac) ჯვარი: „ეგ რა გკიდია, შენ, **ხაჩი**?“ (ზაქ.).

ხებერი - (არ. haber) ამბავი, ცნობა: „დარჩა ჩემი ჭალები, ახლა **ხებერი** მომცეს, ვერ'ნა მოვთიბოთო“ (წეთ.).

ხებერის მიცემა - შეტყობინება: „**ხებერი მომცეს**, ვერ'ნა მოვთიბოთო“ (წეთ.).

ხედიკი - თხილამური: „**ხედიკები** ადგა. ზოგან **ხედიკ** იტყვიან, ზოგან თხილამურ“ (ნიოლ.).

ხევრაზე - გვარი უკანეთის მაჰალეში.

ხევწვრილი/ხევწრული - სოფელი იმერხევში.

ხევწურული - ხევწვრილელი: „**ხევწურული** ანაჲ მყავს“ (ხევწ.).

ხელგაშლილა-ჲ - ცეკვაა ერთგვარი იმერხევში: „**ხელგაშლილა** გასამ-დი,/სამა არ დაგიშლია, /გოგო, რავად გიხდება, სამა და **ხელგაშლილა**“ (ზაზგ.).

ხელის მიყოფა - ხელის ხლება, ხელის მოკიდება: „[დედე] ახლა **ხელ** არ მიყოფს კლიტეს“ (ხევწ.).

ხელის აქნევა - ხელის ჩაქნევა: „კაციც აღარ მყავდა, მოკდა, **ევქნე ხელი**“ (ზაზგ.).

ხელიხელ - ხელიდან ხელში: „**ხელიხელ** ქვა მუუცემიან“ (უსტ.).

ხერთვისური დაილა - ხერთვისელთა საზაფხულო საძოვრები.

ხესაბი - (თ. hesabi) ფიქრი, ვარაუდი: „ჩემ **ხესაბში** არვინ იყო“ (უსტ.).

ხეჩო-ჲ 1. ხმელი, გამხდარი: „ეგ გოგო **ხეჩო**, ხმელი იყო, მალე იზდებაო“ (შავშ.); 2. ხელეჩო: „აქ **ხეჩოდ** ცულია“ (დას.).

ხეჭო - ნიგვზის ნაჭუჭი: „კაკლის **ხეჭოიდან** გამოიდა, კაკლის **ხეჭოს** წონულობსო“ (სვირ.).

ხეტი - კომბოსტოს (მხლის) ღერო: „ორი გორგალია ეგერ, **ხეტიანი**“ (ხევ.).

ხელივი - ხვლიკი: „**ხელივი**... დეშლია, ამ რენგზე, აგზე წყალი არი, აგზე, ამ რენგისია“ (უსტ.).

ხვრიტა/ხვრეტა - ხვრეპა: „მაწონი კოვზით'ნა **ხვრიტო**'ნა, გემო იმა ქონდეს“ (ზ.).

ხიზანი - გაქცეული, გადაკარგული, ლტოლვილი: „გურჯიჯა იტყვიან, ფენა **ხიზანიაო**“ (უ.).



ხიზმეთქარი - (არ. hizmetqar) მოსამსახურე: „მე ჩემთანაღა წამუელ, რათ'ნა ვექოლაავო, ვეხიზმეთქარო?“ (ბაზგ.).

ხიზმეთქრობა - მოჯამაგირეობა, მომსახურება.

ხილვა - სკიდან თაფლის ამოღება; **თაფლი იხილა** სკიდან თაფლი ამოიღო: „[თაფლი] ჯერ არ გეხილია, მალეა“ (ბაზგ.).

ხისიმი - (არ. hisim) ნათესავი: „**ხისიმები** ყავან ბათუმ“ (ა.).

ხლართვა - ჯახირი, წვალემა: „იდარეს ვიჯები, **ვხლართავ**“ (მან.).

ხლისტიანი - ქრისტიანი: „ესენი **ხლისტიანი** ყოფილან“ (მაჩხ.).

ხმიადი - აქ: პური: „**ხმიადის** ფორმაში ჩავასხამთ, სოდას ვურევთ, აფუმფრუქდება“ (უ.). შდრ. ქეგლ - **ხმიადი**.

ხნიანი - ასაკოვანი: „მე დაჰა **ხნიანი** ვარ“ (ბაზგ.).

ხოზაბირი/ხოდაბირი - ადგილი ჩიხისხევში.

ხოზნები - ადგილი უკანეთის მაჰალეში.

ხორთლადი - (თ. hortlak) საფლავიდან ამდგარი მიცვალებული, მოჩვენება: „ზათინ **ხორთლად** დგებოდენ, ახლა აღარ დგებიან. ვინცხა გონჯი იქნება, იგი ადგება“ (წეთ.).

ხორომი/ხოხომი - თივის ბულული: „სადამოზე **ხორომს/ხოხომს** გავაკეთებთ, ვხორმავთ“ (ნიოლ.).

ხორმვა - ხორომის გაკეთება.

ხორცის მტვრევა - ციება: „**ხორცი მამტვრევსო** - იტყვიან, მექედება“ (მაჩხ.).

ხოშ - კითხვითი ნაწილაკი.

ხოშკოკოლა - ხოშკაკალა, სეტყვა: „... **ხოშკოკოლამ** ჩაწყვიტა, ერთი წამასხა და ჩაწყვიტა კიტრები...“ (ხოხ.).

ხოცვა - წმენდა: „ხვალ ჯუმაა, **ვხოცავთ**. ჩამოვედთ, მივხოცეთ-მოვხოცეთ, მივალთ“ (უ.) ნ. **მიხოცვა, მოხოცვა**.

ხოცევს - ხოცავს: „ჩამეარდენ, კაცებ **ხოცევდენ**“ (ივ.).

ხოწვა - ხვეწა, მოხარატება: „აკვან ხოწვენ“ (ბაზგ.).

ხოხლევნი/ხოხლოვი - სოფელი იმერხევში.

ხოხლოვი ღელე - მდინარე ხოხლევთან.

ხოხლიური - ხოხლეველი: „**ხოხლიური** ვარ, დავითაძე“ (მაჩხ.).

ხოჯა - (თ. hoca) მასწავლებელი, მოძღვარი: „**ხოჯა** ჩემი კაცია“ (ა.).

ხოჯები - ხოჯები: „მე და მუფთი **ხოჯების** ემეღ ვართ, ბაშქანი“ (მაჩხ.).

ხოჯიენთი - ქოხის სახელი უბესა და შოლტისხევში.



ხოჯიოღლი - ქობის სახელი ჩიხისხევში.

ხსენი - ახალნამშობიარევის რძე: „ჰო, **ხსენ** ეტყვიან, ერთ-ორ დღე ისე იქნება და მასკან ძეზე გადაბრუნდება“ (ბაზგ.); „ჰო, **ხსენ** ვეტყვით, ჰო, ძროხასავენ“ (ბაზგ.).

ხუთმოცი - ასი, ხუთი ოცი: „ერთ ასი წელიწადი უცოცხლია, **ხუთმოცი**“ (უსტ.); „**ხუთმოცი** და ათი და ხუთი“ (უსტ.).

ხულუსი - (არ. hulus) გულწრფელობა, მოწადინება, სურვილი: „ლოცვებზე“ნა გქონდეს კარგა **ხულუსი**, ილოცე ერჰალ თუ გაქ გეჩმიში“ (მან.).

ხუტუტი - კვირტი: „ეე' მიუხდი, ჰაა, **ხუტუტ** ვეტყვით, **გამეძუტუტაო**, ვიტყვით“ (ნიოლ.).

ხუშბურნე - ნამცხვრის სახეობა: „გაკეთდება **ხუშბურნე**, გურჯიჯა „ჩიტის ბუკის“ თქმა არი“ (ნიოლ.).

ხუჭი არ მიქნია - თვალი არ მომიხუჭავს, არ დამიძინია.

ხუჯუზი - მკაცრი, ფინთი: „ბაბოძც **ხუჯუზი** მყავდა, ფინთი“ (ბაზგ.).

ხქონდა - ჰქონდა: [რძალს] ... ბალიშები **ხქონდა**“ (უკან.).

ხყავან - ჰყავთ: „ნისლი **ხყავან**“ (უსტ.).

ხყრის - ყრის: „ხანდებან შეშას **ხყრით** თავდაღმა; დღე-ღეღე **ჩამოხყრით**“ (წეთ.).

ჯ

ჯ - უკანაენისმიერი ხშული თანხმოვანი, დასტურდება შავშურში. **ჯ**'ს შავშურში არ აქვს სიტყვათგანმასხვავებელი ფუნქცია, მას ჩვეულებრივ ცვლის **ხ**: **ფერჯი:ფეხი; ჯევი:ხევი; ჯარი:ხარი...**

ჯარი - ხარი.

ჯარი ძათალი - იალადი ხარებისათვის, ხარის საწოლი.

ჯარის არაბაძ - ურემი, მარჯილი: „ბაბოს მარჯილი გუუკეთებია, **ჯარის არაბაძ**“ (მაჩხ.).

ჯევი - 1. ხევი, წყალი: „**ჯევ** მოქონდა შავი გველი“ (შელოცვიდან); 2. **ჯევი** - ზაქიეთის უბანი.

ჯელნები - „მარხილის ნაწილი, საცურავები“ (შ. ფუტკ): „[შეშას] **ჯელნებ** მუაბამთ, იმით დუუდგამთ ზედან, მუათრევთ“ (ხევწ.).

ჯორჯი - ხევზე გადებული ხე, ხიდი: „**ჯორჯი** ჯევზე გადებული სამი ხეა, ზედან ტოტებით. თოვლი მუა, გაყინავს და ჯარის გზა გაკეთდება“ (სვირ.).



ჯ

ჯავე (ჯავე) - მჟავე: „ჭარხალს დავეთესავთ, **ჯავეს** ჩავდებთ“ (ზ.).

ჯავრიეთი - ადგილი მანატბაში.

ჯაზი - (სპ. caz) კულიანი, გრძნეული, მკითხავი: „ჯინი სხვაა, **ჯაზი** სხვა.

ჯაზი ქალიც იქნება და კაციც“ (წეთ.).

ჯამიკარი წყალი - წყარო ივეთში.

ჯამიკრი ღელე - მდინარე ზენაგარაში.

ჯან' - „სუფიქსი მორფომოიდი (სპ.), ... დაერთოდა არსებითი სახელის წოდებითის ფორმებს და აწარმოებდა მათ საალერსო ფორმებს“ (ჯორბ.): „ნამეტრად გეყვარება, იმა „**ჯან'**“ ვეტყვით: **ნენეჯან'**, გატყვილებენ...“ (ხევწ.).

ჯანა/ჯანაზა - (არ. cenaze) მიცვალებული, ცხედარი: „მეიყრებიან ხალდი, **ჯანას** ილოცვენ,/ორ-სამჯელ კალოზე შემოგაყენებენ“ (მან.).

ჯანარაი - წყარო ივეთში.

ჯანი - (თ. can) სული, სიცოცხლე, გად. ჯანმრთელობა: „ემჯამი **ჯანი** სალი იყოს და“ (ხევწ.); „ღმერთმა **ჯანი** სალი მოგცეს“ (ა.).

ჯანის მიცემა - სულის მიცემა, სიკვდილი: „**ჯანს** აძლევსო, ვიტყვით, სულის ეზიეთშია“ (ბაზგ.); „ემელიეთ ვაქნევიეთ, გამოვარდა, **ჯანი** მიცემამდე ჭკვა ქონდა“ (მაჩხ).

ჯანჯირი - ბაზგირეთის დაილა. იხ. უჩყარდეში.

ჯაჩი - კაცის მეტსახელი, ლაღაბი: „ჩიფჩიოლლი მემედაა ყოფილა, ედაა „**ჯაჩ'**“ ეტყოდენ, ლაღაბს“ (ივ.).

ჯდომა - ცხოვრება, მოსახლეობა, სახლობა, ბინადრობა.

ჯეზა - (თ. ceza) სასჯელი: „ემინიან, ვერ მუუკვლიან, **ჯეზაა** და ვერ მუუკვლიან, არ კვლენ“ (უსტ.).

ჯეიზი - (თ. ceyiz) მზითევი: „**ჯეიზიც** აქვან“ (უსტ.).

ჯენევიზი - ბერძნების წინაპრები: „**ჯენევიზები** ემეები არიან, რუმების ძველები... ისა **ჯენევიზისა** ყოფილა, ბილა“ (უ.).

ჯენნეთი - (არ. cennet) სამოთხე: „**ჯენნეთში** ბეთი ზათი არ არი“ (მან.).

ჯენნეთლი - სამოთხეში მყოფი, ცხოვნებული: „ჩემ კაცმა არ ქნა, **ჯენნეთლიმ**, შეშინდა“.

ჯერანი - (თ. cereyan) ელექტროდენი, შუქი: „ახლა **ჯერანებია**, ლამბები არაა“ (ბაზგ.).

ჯერობა - აქ რწმენა: „ღმერთს **ჯერობთ?** იმგვარები არიან, ღმერთს არ **ჯერობენ**“ (იფხ.).



ჯეჯიმი - (თ. cicim) ფარდაგი: „...ერთი ხელი დათავადი, მა ჯეჯიმი გექნება, და ქილიმი...“ (ხობ.).

ჯეჰენემი//ჯენემი - (არ. cehenem) ჯოჯოხეთი: „დედბრუკვის **ჯეჰენემი** მში მისი ხელი და გული, ღმერთო, ბატონო, შენ შეგვიბრალე“ (მან.).

ჯვალი - (თ. çuval) ჯუალი ტომარა: „დელეში რომ **ჯვალია**,/ის ვერ იმიტანია...“ (უსტ.).

ჯვარისხევი - სოფელი იმერხევში: „ქვემოდან ხევი მივა, „ჯუარი“ კაცის სახელი ყოფილა“.

ჯიასალი - მაწყინარი: „[თაფლი] ... წაბლისა არი, შქერისა არი, ისენი ცოტა **ჯიასალია**“ (ბაზგ.).

ჯივანოდლი - ქობის სახელი ბაზგირეთში.

ჯინი (არ. cin) ავი სული, ჭინკა: „**ჯინები** ამზობენ ქი, სამობენ, ხუთმა-ბათი“ (მაჩხ.).

ჯინდარი - (არ. cadi) გრძნეული, ჯადოქარი, ვისაც ჯინებთან აქვს ურთიერთობა: „**ჯინდარ** ხოჯებ ეტყვიან“ (წეთ.); „შენ ჩემი **ჯინდარი** ხარ, /გულში მითხრა **ჯინდარმა**“ (ზ.).

ჯინსი - (სპ. cins) ჯიში, გვარი: „ფატყუმეღს ბაბოღს ... მერიემადს **ჯინსიდან** არის...“ (მაჩხ.); „ხაპის **ჯინსები** არაფერი არ არი, ერთი **ჯინსია**...“ (ხობ.).

ჯინს-ჯინსი - სხვადასხვა ჯიშის, სხვადასხვა გვარი: „მეივა არი და არი, **ჯინს-ჯინსი**“ (დავ.).

ჯინშარლარ - ადგილი ციხისძირში. შდრ. **ჯინჭრები**.

ჯინჭველი - ჭიანჭველა: „**ჯინჭველმა** გიკბინა, დეგენჯან, **ჯინჭველმა**“ (უ).

ჯინჭრავალთი - ადგილი მანატბაში.

ჯონჯოლო - ყველის სახეობა. ნ. გორჯოლა: „მერე **ჯონჯოლოს** გავაკეთებთ“ (მაჩხ.).

ჯოშყუნა ვაკე - ადგილი მანატბაში.

ჯოხის მოსკმა - ცემა: „**ჯოხი**’ნა მუუსკვა, მუუხდება“ (ბაზგ.).

ჯუარები - სოფელი იმერხევში. იხ. ჭუარები.

ჯუმა - (თ. cuma) პარასკევი.

ჯუმაერთასი - (თ. cumartesi) შაბათი: „ჩვენ **ჯუმაერთასის** ფაზარ ვეტყვით“ (ბაზგ.).

ჯუმბუშობა - (სპ. cümbüş) გართობა.

ჯუმიაეთი - ადგილი უსტამისთან.

ჰ

ჰა - აი: „ადით, ჰა, იქ“; „ჰა, ეს არი, ეს არი, ჰამა შინ არი აჯაბა?“ (ზაქ.).

ჰად - სად: **ჰადაა**, რა თქვა, რა იჯებო?“ (ხევწ.).

ჰავა - (თ. hava) 1. ჰაერი: „[მერას] ... დიდვანი ყანადები აქ და **ჰავაში** ფრინავს“ (ჩაქ.); 2. ამინდი: „ლამაზი **ჰავები** გამოიდა, ალლაჰა შუქურ“ (ზაზგ.).

ჰავესი - (არ. heves) ხალისი, სურვილი, მისწრაფება, ინტერესი: „სობაზე დავდეგ გუგუმი,/დათვმა დეძწყო ბუბუნი,/მე რა **მეჰავესება**,/ როდი'და ვქნათ დუგუნი“ (დ.).

ჰავის მოშლა - ამინდის შეცვლა: „ჰავა'ნა მეძშალოს, ჰალა ბახალუმ!“ (ზაზგ.).

ჰაზირი - (არ. hazir) მზა: „პური **ჰაზირია**, გააჰაზირებენ“ (მაჩხ.).

ჰალი - (თ. hal(li)) ბევრი: „რა **ჰალი** გივლიათ“ (უსტ.); „რა **ჰალი** თოვლი იყო“ (უსტ.).

ჰალა - (თ. hala) ჯერ კიდევ, კიდევ, აბა: „**ჰალა** არ გამოსულა“ (ცაქ.); „ჩვენ **ჰალა** მუსლიმანი ვართ“ (წეთ.).

ჰალბუქი - (თ. halbuqi) მაშინ როდესაც, მაინც: „**ჰალბუქი** ქი იცი დეყემი დავჩი, იმდენიც არა“ (ზაზგ.).

ჰალლა - (თ. halka) რკალი: „**ჰალლა** გამუღბამ სხვილი“ (დას.).

ჰამა/ამა - მაგრამ: „ო, მაშინ რა კად იყო, **ჰამა** ეზიათიც გამევარეთ“ (უსტ.).

ჰამან - (თ. hemen) უცბად, ამ წუთში, სწორედ მაშინ, როგორც კი: „ისინი დუუკავიან ასკერებ, **ჰამანა**, **ჰამან** ასე“ (ნიოლ.).

ჰამანქი - (თ. hemenki) თითქმის: „**ჰამანქი** ძუზელლი ხასტანიშ ვიარე“ (ხევწ.).

ჰაიდე - (თ. haydi) აბა! ჰაიდა! „**ჰაიდე**, წედით ახლა; ნიაზი! **ჰაიდე**, წამოდ“ (უსტ.).

ჰაიკიდი - (თ. haygidi) ეი, ჭკუით იყავი: „**ჰაიკიდი**, ჩემ ხესაზში არავინ არ იყო“.

ჰარამი - (თ. haram) არამი: „მე არავის **ჰარამი** არ მინდა“ (ხევწ.).

ჰასტანე - ნ. ხასტანე.

ჰასტანლული - ნ. ხასტანლული.

ჰაუზი - (თ. havuz) აუზი, წყალსაცავი: „იქ **ჰაუზიც** არი, გასაბანებიც არი“ (უსტ.).



ჰაქიმი - (თ. hakim) მოსამართლე: „**ჰაქიმთან** საქმობდა, რას ეტყვიოთ თქვენ?” (ჩაქ.).

ჰაშურა//აშურა - კერძის სახეობა: „შვიდი ჩემიტი’ნა იყოს, შვიდი ჩემიტი. შვიდი თანედან’ნა იყოს, ჰო; რაცხა გინდა, შვიდი თანე აათავე-და... ბუღდა’ნა იყოს, კაკალი ვურევთ ჩვენ, თხილ ვურევთ, ემეს ვურევთ... ეე... ყურძნის გამხმარს (რა არი, არ ვიცი, „ყურძნის გამხმარი” რა იქნება თქვენში?), ლობიოს ვურევთ, სიმინდ მოვხარშავთ, იმა უკან ჩავაყრით, სიმინდსაც ვაყრით. შვიდი ჩემიტი’ნა აათავო. მერე მარილი, მარილიც შვიდთანე.

- მარილი ბევრი არა, ისე... გაამწარებს’და.

მარილი ცოტაა’ნა ჩააყარო.

- შექერი ხასი უნდა, ბევრი. ბევრმა ქი გემო მისცეს. შექერი უნდა, აბა!“ (ბაზგ.).

ჰაჯერამა - ჰაჯერამ: „ღელის წყალი **ჰაჯერამა** მივდა და გამოთხარა“ (ხევწ.).

ჰაჯი - (არ. haci) მექაში სალოცავად ნამყოფი მუსლიმანი: „გვიდე ნენე **ჰაჯი** წევდა, **ჰაჯი** გააკეთა...” (მან.).

ჰე - 1. დადასტურებითი ნაწილაკი, ჰო, დიახ: „ილმაზი ავათ არი? **ჰე, ჰე**, ავათ არი! (ხევწ.). 2. შორისდებული, გამოხატავს ემოციას: ამანაც კაა მღერა იცის, **ჰე!**“(უსტ.).

ჰევასი - ნ. ჰავესი.

ჰეზრეთი//ხეზრეთი - უწმინდესი.

ჰელბეთ - (არ. elbette) იქნებ, შეიძლება, ნამდვილად: „აკვანში **ჰელბეთ** უმღერებენ”(ზაქ.). ნ. **ელბეთ**.

ჰელე - (თ. helle) აბა, ჯერ: „ჯერ არ იქნა **ჰელე**”.

ჰემ, ჰემდა - (თ. hem) კიდეც: „ილოცე, იკითხე, **ჰემდა** იტირე”(მან.).

ჰემენქი - ნ. ჰამანქი: „**ჰემენქი** ბევრი არი”(უ.).

ჰემშირი - (თ. hemşire) მედდა, ექთანი.

ჰენეგობა - ჩხუბი (?): „ბალვ ვეტყოდი, წაა შენ ბაბოს დუუძახე, მოიდეს. ახლა **ჰენეგობაზე** გევდა”(მაჩხ.).

ჰერალდა//ჰერალდე - (თ. heralda) შეიძლება, ალბათ, როგორც ჩანს, ვითომც: „**ჰერალდა** გეგებებიან ის არი, საგებები ჯვარი”(უ.).

ჰერსლი - (თ. hirslı) ბრაზიანი: „მესხადეები სისხადეები არიანო, **ჰერსლი** კაცები”(დაბაწ).

ჰეჩ//ჰიჩ - (სპ. hiç) სრულებით, სავსებით: „... **ჰეჩ** არ იყაბულეს”(უ.).



ჰაშლი//აშლი - ასაკოვანი, ხანდაზმული: „ჰიჩ, არ მეშინია, ჰაშლი ვართ...“ (იფხ.).

ჰთხოვ - თხოვ: „აქ ფული ვერ ჰთხოვ ვერავის...“ (ჩაქ.).

ჰო - 1. დადასტურებითი ნაწილაკი, დიახ: „ჰო, ერთად ვზივართ, ჰო! (ბაზგ.); 2. შორისდებული, გამოხატავს სხვადასხვა ემოციას: „და მოგიკდა, ჰო? ბითუმ შავი'ნა იცვა?“ (ზაქ.); „შავშეთისკენ ავლენ, სათლელ, ჰო! (უსტ.); „სიმინდი სიხია, თხელი'ნა იყვეს, ჰო? (ხევწ.).

ჰუდუდი - (არ. hudut) საზღვარი: „ბაზგირეთის უკნედან/ბათუმის ჰუდუდია“.

ჰური - (არ. huri) სამოთხის ფერია: „ერთ კაც ეყოლვის შვიდასი ჰური“ (მან.).

ჰუქუმეთი - ნ. უქუმეთი: „ჰუქუმეთი იზინს მოგცემს“ (მან.).

შემოკლებანი

ა. - აგარა; **ადდლ** - აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა; **ავტ.** - ავტორი//ავტორები; **ამირ.** - მოსე ხონელი, ამირანდარეჯანიანი. გამოსაცემად მოამზადა ლ. ათანელაშვილმა, თბ. 1969; **ამონ. ერმ.** - ამონიოს ერმისის თხზულებანი ქართულ მწერლობაში. ტექსტები გამოსაცემად მოამზადეს ნათელა კეჭაღმაძემ და მათა რაფაევამ. თბ. 1983; **ამხფ** - აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, ა. 1, ს. 220; **ანდ.** - ანდაზა; **ანკ.** - ანკლია; **არ.** არაბული ენა; **არჩ.** - არჩილი. ქართული მწერლობა, ტ. IV, თბ. 1989; **ახალდ.** - ახალდაბა; **ა.ხ.პ.** - აჭარის ხალხური პოეზია.

ბ. - ბაკო; **ბალავ.** - ბალავარიანის ქართული რედაქციები. გამოსცა ილ. აბულაძემ. თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 10, თბ. 1957; **ბალ.** - ბალვანა; **ბაზგ.** - ბაზგირეთი; **ბზ.** - ბზათა; **ბოტ.** - ბოტანიკური; **ბრ.** - ბრილი; **ბსკიფ** - ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ფონდები.

ნ. გურ. - ნ. გურგენიძე, აღმოსავლური წარმოშობის ლექსიკური ერთეულები აჭარულსა და გურულში. თბ. 1973; **გურ.** - გურნათელი.



დ. - დაბა; **დაბაკ.** - დაბაკეთლი; **დაბაწ.** - დაბაწვრილი; **დავ.** - დავლათი; **დას.** - დასამობი; **დიობ.** - დიობანი.

ვ. - ვანთა; **ვარდ.** - ვარდიეთი; **ვერხვ.** - ვერხვნალი; **ვეფხ.** - შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და კომენტარი დაურთო ნ. ნათაძემ. თბ. 1974; **ვისრ.** - ვისრამიანი, ალ. გვახარიასა და მაგალი თოდუას რედაქციით. თბ. 1964.

ზ. - ზიოსი; **ზ.მ.** - ზაკამ მაკალე; **ზ. სულ.** - ზემო სულისი; **ზარზ.** - ბასილი ზარზმელი, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება. ჩვენი საუნჯე, ტ. 1. თბ. 1962; **ზაქ.** - ზაქიეთი; **ზენ.** - ზენაგარა; **ზენდ.** - ზენდაბა

თ. - თურქული ენა; **თანდ.** - თანდებული.

ივ. - ივეთი; **იმ.** - იმერხევი; **ინ.** - ინეგოლი; **იფხ.** - იფხრეული; **იხ.** - იხილე.

კარ. - კარავათი; **კოკ.** - კოკბერეთი//კოკვერეთი; **კუჭ.** - კუჭენი

ლიმ. - იოანე მოსხი, ლიმონარი. ტექსტი გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ილ. აბულაძემ. თბ. 1960.

ვლ. მგელ. - ვლ. მგელაძე, სახლი და კარ-მიდამო ზემო აჭარაში. ხ. ახვედიანის სახ. მუზეუმის მაცნე, 3, ბათ.; **მამ.** - მამანელისი; **მამ. ცხ.** - მამათა ცხოვრებანი, გამოსცა ვ. იმნაიშვილმა, თბ. 1975; **მან.** - მანატბა; **მაყ.** - ალექსანდრე მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბ. 1991. **მაჩხ.** - მაჩხატეთი; **მდ.** - მდინარე; **მეგრ.** - მეგრული; **მთაწმ.** - გიორგი მცირე, ცხოვრება და მოქალაქობა გიორგი მთაწმიდელისაჲ. ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II (XI-XVII სს). თბ. 1967; **მთქ.** - მთქმელი; **მიქ.** - მიქელეთი; **მოგზ.** - სულხან-საბა ორბელიანი, მოგზაურობა ევროპაში. ქართული მწერლობა, ტ. VII, თბ. 1989; **მორღ.** - მორღელი; **მოქ.** - მოქეთა; **მცხ.** - მცხოვრები; **მცხეთ.** - უცნობი ავტორი, ევსტათი მცხეთელის წამება. ქართული მწერლობა, ტ. I, თბ. 1987.



ნაფ. - ნაფურნევის დაილა; **ნზიფა** - ნ. ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფოლკლორული არქივი; **ნენ.** - ნენია; **ნიოლ.** - ნიოლეთი; **შ. ნიჟ.** - შ. ნიჟარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა, ბათ. 1971; **ნოდ.** - ჯემალ ნოღაიდელი, აჭარული კილოს სალექსიკონო მასალა, ბათუმი, 2015.

ოქრ. - ოქრობაგეთი; **ოქტ.** - ოქტომბერი.

რიფს. - წამებაჲ წმიდისა რიფსიმესი და გაიანესი და მოყუასთა მისთაჲ. ილ. აბულაძე, აგათანგელოსის „რიფსიმეანთა მარტვილობის“ ძველი ქართული თარგმანი. ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, თბ. 1960; **რსუ** - რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი; **რუსუდ.** - რუსუდანია. ილ. აბულაძისა და ივ. გიგინეიშვილის რედაქციით. თბ. 1957.

ს. - სოფელი; **საბა** - სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, თბ. 1949; **საზგ.** - საზგირელი; **სათ. რაბ.** - სათლელ რაბათი; **სვირ.** - სვირევანი; **სიბრძ.** - სულხან-საბა ორბელიანი, სიბრძნე სიცრუისა. გ. ლეონიძის წინასიტყვაობითა და ს. იორდანიშვილის რედაქციით. თ. 1957; **სინ.** - სინური მრავალთავი 864 წლისა. ავ. შანიძის რედაქციით. თბ. 1959; **სინკ.** - სინკოთი; **სოფ.** - სოფორო; **სპ.** - სპარსული ენა; **სხლობ.** - სხლობანი.

ტბ. - ტბეთი; **ტიპ.** - პეტრიწონის ქართველთა მონასტრის ტიპიკონი, გამოსცა ავ. შანიძემ: ქართველთა მონასტერი ბულგარეთში. თბ. 1971; **უ.** - უბე; **უკან** - უკანეთის მაჰალე; **უსტ.** - უსტამისი.

შ. ფუტკ. - შ. ფუტკარაძე, ჩენებურების ქართული, ბათ. 1993.

ქართ. - ქართული; **ქართ. ხალხ. პ.** - ქართული ხალხური პოეზია; **ქართ. ხალხ. შელ.** - ქართული ხალხური შელოცვები; **ქ.დ.** - ივ. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ივ. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I. თბ. 1961; **ქ. ცხ. I.** - ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ. 1955; **ქ. ცხ. II** - ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ. 1959; **ქეგლ** - ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. პროფ. არნ ჩიქობავას საერთო რედაქციით, I-VIII, თბ. 1950-1964;



ქეგლ 1990 - ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, ნაკვეთი მეორე, თბ.; **ქსმ II** - ქართული სამართლის ძეგლები, II, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ. 1965; **ქვ. სულ.** - ქვემო სულისი; **ქილ. დამ.** - ქილილა და დამანა, იგავ-არაკები ქართულად გადმოღებული ვახტანგ მეექვსისად სულხან-საბა ორბელიანის მიერ. ალ. ბარამიძისა და პ. ინგოროყვას რედაქციით. თბ. 1949; **ქოთ.** - ქოთეთრისი; **ქრესტ.** - ქართული ხალხური სიტყვიერება. ქრესტომათია. თბ. 1967.

ყარამ. - ყარამანიანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, წინასიტყვაობა და ლექსიკონი დაურთეს ა. გვახარიამ და ს. ცაიშვილმა, თბ. 1985; **ყვირ.** - ყვირალა.

შავმ. - შავმთა; **შავშ.** - შავშათი; **ვ. შამ.** - ვ. შამილაძე, ალპური მესაქონლეობა საქართველოში, თბ. 1969; **შავქ.** - შავქეთი; **შდრ.** - შეადარე; **შელ.** - შელოცვა; **შოლტ.** - შოლტისხევი.

ჩ. - ჩიხორი; **ჩამწ.** - ჩამწერი; **ჩარ.** - ჩართული; **ჩართ.** - ჩართულეთი; **ჩაქ.** - ჩაქველთა; **ჩიხ.** - ჩიხისხევი; **ჩიხვ.** - ჩიხვთა; **ნ. ჩუბ.** - ნიკო ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, თბ. 1961..

ც. - ციხისძირი; **ციხ.** - ციხია; **ძვ.** - ძველი; **წეთ.** - წეთილეთი; **წით.** - წითვეთი; **წყალს.** - წყალსიმერი; **ჭუარ.** - ჭუარები; **ხალხ.** - ხალხური; **ხანთ.** - ხანთუშეთი; **ხევწ.** - ხევწრული//ხევწრილი; **ხოხ.** - ხოხლევო; **ჯავახ.** - ჯავახური დიალექტი; **ჯვარ.** - ჯვარისხევი.

ჯინ. - ჯინალი; **ჯორბ.** - ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე, ქართული ენის მორფომებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბ. 1988.



A Shavshian Dialect of the Georgian Language

Summary

The monograph consists of three parts: In the first part, the phonetic, grammatical and lexical features of the Shavshuri dialect are discussed.

The Georgian speech of the Chorokhi Basin is called the southern speech while the results of the

differentiation of this speech are called southern dialects. The Shavshian is one of the southern dialects.

Sometimes it is called the Imerkhevi dialect. As far as Imerkhevi is the part of Shavsheti, it is more reasonable to call the local speech as the Shavshian dialect.

The book gives the description of the Shavshian dialect based on the materials obtained from the

field expeditions (2005, 2009, 2010) and the recordings of famous scholars (N. Mari...).

It should be noted that despite the Turkish influence on the Shavshian speech (the Shavshians are the carriers of two languages – Turkish and Georgian), the Shavshian dialect has preserved the structural unity. The Turkish element is mainly seen in the vocabulary. It can be said that with all parameters the Shavshian dialect is the subsystem of the Georgian language.

On the phonetic level ω , \mathfrak{z} , sounds can be singled out, as well as œ and ɔ̃ with umlaut.

ω , \mathfrak{z} , sounds are used in the same positions that were historically confirmed in Georgian literature.


Phonetic phenomena are the same in the Shavshian as in the other dialects and literary Georgian,

only with the peculiarities characteristic to the region. It should be remarked that in the Shavshian dialect the Turkish borrowings are subjected to the phonetic system of the Georgian language.

The Shavshian dialect reveals its peculiarities on the grammatical level too: name declension, verb formation, conjugation system, formation of verbal noun (infinitive, participle), use of postpositions, conjunctions and particles; the peculiarities are found in syntax and word-building and derivation as well.

The Shavshian lexis draws much attention too.

We can conclude the following: the Shavshian dialect reveals much in common with the adjacent



Adjarian, Tao and Klarjetian dialects and together with them forms a unified southern speech. The old Georgian layer is also palpable in it (especially on the lexical level).

Onomastic of Shavsheti is discussed in the second part: Shavsheti toponymy, Shavsheti hydronymy, surnames in Shavsheti, plant names...

The villages in Shavsheti are arranged in the gorges of the following rivers: Shavshetistskali,

Mansurati, Skhlobani, Meria, Khantushetistskali, Kvirala, Imerkhevi, Bazgiretistskali and Chikhiskhevi.

The following monuments of the old Georgian literature are important sources for the study of the Shavsheti toponymy: “Kartlis Tskhovreba” (“History of Kartli”), “The Life of Grogol Khandzteli”, “A Centenary Chronicle”, Vakhushti Bagrationi’s “Description of the Kingdom of Georgia”, “Tbeti Chronicle”, etc. The recordings of travelers and scholars referring this region are also of great importance. The significant materials on Shavsheti toponymy have been obtained during the field expeditions (over 3000

lexical units). The book describes the toponyms of Shavsheti with consideration of all the above mentioned materials.

It appears that despite numerous reasons many Georgian geographical names are remembered in Shavsheti – micro and macro toponyms. The names of Turkish origin are relatively small in number (about 28%).

According to the origin, the geographical names in Shavsheti are divided into several groups: a)

Georgian toponyms; b) toponyms of Turkish structure and semantics; c) toponyms formed with Georgian-Turkish words; d) Zanian toponyms.

According to derivation and word-formation the following can be singled out in the Shavsheti

- toponymy: 1. Names without affixes;
- 2. Names with affixes: a) names with prefixes; b) names with suffixes;
- c) names with suffixes and prefixes;
- 3. Compound geographical names.

The toponymy of Shavsheti is a constituent part of the unified Georgian geographical nomenclature.


Naturally, it considers the regional peculiarities too.

The toponymic material from Shavsheti is a significant source for the study of historical geography of Georgia.


In the third part, the materials of Shavshuri Kilo and the glossary are included.

შინაარსი

შესავალი	4
ნაწილი პირველი, შავშური დიალექტი	7
თავი I. ფონეტიკა	8
§1. შავშურის ბგერითი შედგენილობიდან	8
1.1. ა შავშურში	8
1.2. ს შავშურში	9
1.3. ჯ შავშურში	10
1.4. გ შავშურში	11
§2. უმლაუტი შავშურში	11
§3. ფონეტიკური მოვლენები	12
3.1. ასიმილაცია	12
3.2. დისიმილაცია	23
3.3. ბგერის დაკარგვა	25
3.4. ბგერათა ჩართვა	31
3.5. სუბსტიტუცია	32
3.6. მეტათეზისი	35
3.7. ბგერათა შერწყმა	37
3.8. კონტამინაცია	38
§4. ფონეტიკური ცვლილებები ნასესხებ სიტყვებში	39
§5. ტონური მახვილი	48
თავი II. მორფოლოგია	50
§1. სახელები	50
1.1. სახელის ფუძე	50
1.2. ბრუნვის ნიშნები, მრავლობითი რიცხვის წარმოება, მავრცობი ხმოვანი	53
1.3. კვეცა და კუმშვა შავშურში	56
1.4. ნაცვალსახელი	61
§2. ზმნა	66
2.1. პირისა და რიცხვის ნიშნები	66
2.2 დრო	69
2.3. ზმნისწინი	70
2.4. თემის ნიშნები	74



2.5. გვარი -----	78
2.6. ზმნის ფორმათა წარმოება -----	81
2.7. I თურმეობითის ფორმათა წარმოება -----	89
2.8. ფუძემონაცვლე ზმნები -----	90
2.9. სახელზმნური ფუძის ზმნები -----	91
§3. სახელზმნა -----	93
3.1. საწყისი -----	93
3.2. მიმღობა -----	93
§4. ზმნიზედა -----	98
§5. თანდებული -----	100
§6. ნაწილაკი -----	103
თავი III. ლექსიკა -----	105
§1. სიტყვაწარმოება -----	105
§2. ფრაზეოლოგიზმები შავშურში -----	110
თავი IV. სინტაქსი -----	120
§1. მსაზღვრელ-საზღვრული -----	120
§2. ქვემდებარისა და შემასმენლის ურთიერთობა რიცხვში -----	122
§ 3. ქვემდებარის ბრუნვა -----	125
§4. დამატების ბრუნვა -----	125
§5. გარემოებანი -----	126
5.1. ადგილის გარემოება -----	126
5.2. დროის გარემოება -----	126
5.3. მიზნის გარემოება -----	128
§6. უბრალი დამატება -----	128
§7. აღწერითი წარმოება -----	128
ნაწილი მეორე, შავშეთის ონომასტიკა -----	132
თავი 1. შავშეთის ტოპონიმია -----	133
§1. შავშეთის ტოპონიმის მასალები -----	133
§2. შავშეთის ტოპონიმთა	
სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი -----	185
2.1. უსუფიქსო გეოგრაფიული სახელები -----	185



2.1.1. თანხმოდანფუძიანი სახელები -----	185
2.1.2. ხმოდანფუძიანი სახელები -----	191
2.2. ოდენპრეფიქსური წარმოება შავშეთის ტოპონიმიაში -----	194
2.3. ოდენსუფიქსური წარმოება შავშეთის ტოპონიმიაში -----	195
2.3.1. სუფიქსი -ეთ -----	195
2.3.2. სუფიქსი -თა -----	209
2.3.3. სუფიქსი -ათ -----	213
2.3.4. სუფიქსი -ით -----	216
2.3.5. სუფიქსი -ოთ -----	217
2.3.6. სუფიქსი -თ(ი) -----	217
2.3.7. სუფიქსი -ა -----	219
2.3.8. სუფიქსი -ის -----	222
2.3.9. სუფიქსი -ობ'ა -----	223
2.3.10. სუფიქსი -ეულ -----	223
2.3.11. სუფიქსი -ურ(//-ულ) -----	224
2.3.12. სუფიქსი -არ(-ალ) -----	227
2.3.13. სუფიქსი -ელ -----	229
2.3.14. სუფიქსი -ებ -----	231
2.3.15. სუფიქსი -ნარ//-ნალ -----	233
2.3.16. სუფიქსი -ევ -----	234
2.3.17. სუფიქსი -ენტ//-ანთ -----	235
2.3.18. სუფიქსი -იან -----	237
2.3.19. სუფიქსი -ევან -----	237
2.3.20. სუფიქსი -ოვან -----	238
2.3.21. სუფიქსი -ხ (-უხ) -----	238
2.3.22. სუფიქსი -გილ -----	239
2.3.23. სუფიქსი -ლარ//-ლერ -----	240
2.3.24. სუფიქსი -ლულ (-ლუ, -ლიქ) -----	241
2.3.25. სუფიქსი -ლი -----	241
2.4. პრეფიქს-სუფიქსური წარმოება შავშეთის ტოპონიმიაში -----	242
2.4.1. პრეფიქს-სუფიქსი სა-ო -----	242
2.4.2. პრეფიქს-სუფიქსი სა-ა -----	244
2.4.3. პრეფიქს-სუფიქსი სა-ე -----	245



2.4.4. პრეფიქს-სუფიქსი სა-ელ -----	246
2.4.5. პრეფიქს-სუფიქსი სა-არ -----	247
2.4.6. პრეფიქს-სუფიქსი სა-ურ -----	248
2.4.7. პრეფიქს-სუფიქსი სა-ეთ -----	248
2.4.8. პრეფიქს-სუფიქსი ნა-ევ -----	249
2.4.9. პრეფიქს-სუფიქსი ნა - არ// ნა - ალ -----	250
2.5. რთული სახელები შავშეთის ტოპონიმიაში -----	251
2.5.1. კომპოზიტის მეორე ნაწილია ჰევი//ხევი -----	251
2.5.2. კომპოზიტის მეორე ნაწილია უბანი//ობანი -----	253
2.5.3. კომპოზიტის მეორე ნაწილია ძირი -----	255
2.5.4. კომპოზიტის მეორე ნაწილია თავი//თავები -----	255
2.5.5. კომპოზიტის მეორე ნაწილია ქედი -----	256
2.5.6. კომპოზიტის მეორე ნაწილია „ყანა“ და „დაბა“ -----	257
2.5.7. სხვა კომპონენტის კომპოზიტები შავშეთის ტოპონიმიაში -----	257
2.5.8. კომპოზიტის მეორე ნაწილი ზედსართავი სახელია -----	260
2.5.9. ზმნიზედები კომპოზიტებში -----	263
2.5.10. ძეზე დასრულებული გვარები ტოპონიმებად -----	265
2.6. სიტყვათმეერთებით მიღებული ტოპონიმები -----	266
2.6.1. ატრიბუტივანი გეოგრაფიული სახელები -----	267
2.6.2. ნათესაობითი დასმული მსაზღვრელ-საზღვრული გეოგრაფიულ სახელად -----	268
თავი 2. გვარ-სახელები შავშეთში -----	274
§1. -ენტ სუფიქსი -----	274
§2. ძე//ზე შავშურ გვარებში -----	281
§3. „შვილი“ შავშურ გვარებში -----	286
§4. „უცნაური“ გვარები შავშეთიდან -----	287
§ 5. „ოღლი“ შავშურ გვარებში -----	289
თავი 3. შავშეთის ჰიდრონიმია, - მდინარეები, წყაროები, ხეხევი შავშეთში -----	293
§1. ჰიდრონიმის მეორე ნაწილია „წყალი“ -----	293
§2. სინტაგმა ჰიდრონიმის მეორე ნაწილია „ღელე“ -----	297
§3. სინტაგმა ჰიდრონიმის მეორე ნაწილია „მდინარე“ -----	298



§4. სინტაგმა ჰიდრონიმის მეორე ნაწილია „ხევი“ ----- 299

§5. სინტაგმა ჰიდრონიმის მეორე ნაწილია „ჭალა“ ----- 301

§6. „წყაროები“ შავშეთში ----- 301

§7. წყლის აღმნიშვნელი სხვა სახელები ----- 302

თავი 4. მცენარეთა სახელები შავშეთიდან ----- 304

§1. ვაშლი შავშეთში ----- 304

§2. მსხალი შავშეთში ----- 307

§3. ქლიავი შავშეთში ----- 310

§4. ვაზი შავშეთში ----- 310

§5. სხვა ხეხილი შავშეთში ----- 311

§6. ყანა, ბოსტანი და ბალახები შავშეთში ----- 311

§7. ტყის მცენარეები შავშეთში ----- 316

§8. სოკო შავშეთში ----- 317

თავი 5. მასალები პირუტყვის სახელებისათვის შავშეთიდან ----- 319

§1. ფურის სახელები შავშეთში ----- 319

§2. კარის//ხარის სახელები შავშეთში ----- 321

პირველი ნაწილისათვის გამოყენებული ლიტერატურა ----- 325

მეორე ნაწილისათვის გამოყენებული ლიტერატურა ----- 330

ნაწილი მესამე, შავშური დიალექტის მასალები ----- 339

ლექსიკონი ----- 519

შემოკლებანი ----- 629

Summary ----- 633

მამია ფაღავა, ქმერი ცინცაძე, მამია ბარამიძე

ქართული ენის შავშური დიალექტი